საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მაკეტი
ხელნაწერის უფლებით

საქართველოს ისტორია

I

СССР Академия наук СССР
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი — 1950

რ ე დ კ ო ლ ე გ ი ა

ა. აფაჩიძე, ნ. გერძენიშვილი (მთავარი რედაქტორი), გ. მელიქიშვილი,
შ. მესხია, პ. რატიანი, გ. ჩიტაია, გ. ხაფაპურიძე

წიგნი მომზადდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტსა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

წიგნის ცალკეული ნაწილების ავტორები არიან:

შესავალი და თავი I—III — ისტ. მეცნ. დოქტორი
გ. მელიქიშვილი

თავი IV—V — ისტ. მეცნ. კანდიდატი
ვ. დონდუა

თავი VI—XIV — საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ/წ., პროფ.
ნ. ბერძენიშვილი

თავი XV—XVIII — ისტ. მეცნ. დოქტორი
შ. მესხია

თავი XIX—XXIV — საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ/წ., პროფ.
ნ. ბერძენიშვილი
ისტ. მეცნ. კანდ. ვ. დონდუა
ისტ. მეცნ. დოქტორი შ. მესხია

თავი XXV—XXVII — ისტ. მეცნ. კანდიდატი
მ. დუმბაძე

თავი XXVIII—XXXIV — ისტ. მეცნ. კანდიდატი
პ. რატიანი*

---

* წიგნისათვის მასალების მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა. წიგნის ზოგიერთ თავში გამოყენებულია აგრეთვე „საქართველოს ისტორიის“ ძველი სახელმძღვანელოს ტექსტი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი თანასწორუფლებიანი წევრია. ჩვენი დიდი სამშობლო, საბჭოთა კავშირი არის მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე, სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ქვეყანა, სადაც პირველად ახდა ყველა დროის მოწინავე ადამიანთა ოცნება: მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და საზოგადოების უმთავრესი საზრუნავი ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება გახდა.

ქართველი ხალხი წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ხალხს, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე გულმოდგინე შრომითა და დამპყრობელთა წინააღმდეგ თავგამოდებული ბრძოლით შექმნა და დაიცვა თავისი მაღალი და თავისთავადი კულტურა, რითაც თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში. ქართველმა მშრომელებმა რუსეთის მუშათა კლასისა და მისი მოწინავე რაზმის — დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის — ხელმძღვანელობით აქტიური მონაწილეობა მიიღეს ცარიზმისაგან რუსეთის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში: ქართველი ხალხის წიაღიდან მგზნებარე რევოლუციონერთა მთელი წყება გამოვიდა.

ქართველი ხალხი რამდენიმე მონათესავე ტომისაგან ჩამოყალიბდა. ამ ტომთა შორის ძირითადნი არიან: ქართები, მეგრელ-ჭანები (ზანები) და სვანები. ისინი მეტყველებენ ერთიმეორის მონათესავე ენებზე, რომელთაც ერთობლივ „ქართველურ ენებს“ უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ იყო დრო, როდესაც არსებობდა ყველა ამ ენათა ერთიანი ფუძე-ენა, რომლის განშტოების შედეგადაც გაჩნდა ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ენები. ჩვენ ძალიან დიდი დრო, ათასობით წლები გვაშორებს იმ ხანას, როდესაც არსებულა ქართველური ენების ასეთი ერთიანი ფუძე-ენა და იმ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება. ეს იქიდან ჩანს, რომ ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ენები, რომლებიც ამ ფუძე-ენის დაშლის შედეგად არიან წარმოშობილნი, იმდენად დაშორებულან ერთიმეორეს, რომ საამისოდ ათასეული წლები უნდა გასულიყო, ასეთი ცვლილება ხანგრძლივი პროცესის შედეგი უნდა იყოს.

ამრიგად, რამდენიმე ათასი წლის წინ არსებულ ადამიანთა ჯგუფს, რომლის ენაც დასდებია საფუძვლად ქართველურ ენებს, უკვე ჰქონია თავისი საკუთარი ენობრივი სახე. შემდეგ, როდესაც საზოგადოების განვითარება წინ წავიდა, თანდათან დაიწყო მონათესავე ტომების დაახლოებისა და შერწყმის პროცესი, რომელმაც მიგვიყვანა ჯერ ქართველი ეროვნებისა და შემდეგ ქართველი ერის ჩამოყალიბებამდე, ე. ი. ადამიანთა ისეთი ჯგუფის შექმნამდე, რომელიც წარმოადგენს „ისტორიულად ჩამოყალიბებულ მყარ ერთობას, წარმოშობილს ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“ (ი. სტალინი).

ყოველი ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის, ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი მჭიდროდაა გადანასკვული საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების პროცესთან. დიდი ხნის მანძილზე, პირველყოფილ-თემური წყობილების დროს ქართველი ტომები ერთმანეთისგან გათიშულნი ცხოვრობდნენ. ასეთ პირობებში თანდათან კლებულობდა ის, რაც მათ ენას და კულტურას ჰქონდათ საერთო და, პირიქით, ღრმავდებოდა მათ შორის განსხვავება. მას შემდეგ, რაც ცხოვრება წინ წავიდა და მეზობელ ტომებს შორის მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის დამყარება აუცილებელი შეიქნა, იწყო ჩამოყალიბება მონათესავე ტომთა დიდმა კავშირებმა. თავდაპირველად ეს გაერთიანებანი არ იყვნენ მყარი, ადვილად იშლებოდნენ, მერე კი თანდათან უფრო მტკიცენი გახდნენ. დიდი ტერიტორიის მომცველ ასეთ გაერთიანებათა ფარგლებში სწრაფად მიმდინარეობდა მათში შემავალი ტომების დაახლოებისა და შერწყმის პროცესი—ყალიბდებოდა ერთიანი ენა და კულტურა. ეს პროცესი საქართველოს ზოგ კუთხეში ძალზე ადრე, ჯერ კიდევ ამ 3.000—3.500 წლის წინ დაიწყო. დაახლოებით იმავე დროს იწყებს თანდათან დაწინაურებას ბარის მოსახლეობა, რომელიც წამყვანი ხდება ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარების მხრივ. ტომების დაახლოებისა და შერწყმის პროცესიც ბარად უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს.

ერთხანს უფრო წინაურდება დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობა. აქ უფრო ადრე, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, ყალიბდება პირველყოფილ-თემურ წყობილებასთან შედარებით მაღალი ტიპის, კლასობრივი, საზოგადოება და წარმოიქმნება სახელმწიფო — კოლხეთის სამეფო. დასავლეთ საქართველოს ბარის ტომთა დაახლოებისა და შერწყმის პროცესი ამ დროისათვის უკვე საკმაოდ შორსაა წასული. სახელმწიფოს წარმოქმნა, რომელიც ვერ ეგუება ტომთა გათიშულობას, ასრულებს ამ პროცესს და მივყავართ ტომზე უფრო მაღალი ტიპის ერთობის — ეროვნების, სახელდობრ დასავლურ-ქართული ეროვნების, ჩამოყალიბებამდე. ეს მოვლენა ამ 2.500 წლის წინათ უკვე მომხდარი ჩანს დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე; მაგრამ განვითარების ასეთ მაღალ საფეხურზე ამ დროს დასავლურ-ქართული ტომების მხოლოდ ნაწილია ჯერ ასული. კოლხეთის მრავალი მთიანი კუთხის მოსახლეობა. ძირითადად კვლავ ძველებურად გათიშული რჩებოდა.

ორიოდე საუკუნის შემდეგ კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოშიც. ამით აქ დასრულდა აღმოსავლურ-ქართული ეროვნების ჩამოყალიბება. აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო და აღმოსავლურ-ქართული ეროვნება დასავლურთან შედარებით უფრო მტკიცე და გამძლე აღმოჩნდნენ.

ძლიერმა დამოუკიდებელმა დასავლურ-ქართულმა სახელმწიფომ სულ რამდენსამე საუკუნეს იარსება. ძვ. წ. III—II საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოში მრავალი ასეული წლის მანძილზე ბატონობდნენ უცხოელები (პონტოს სამეფოს მმართველები, შემდეგ რომაელები და ბიზანტიელები). ზღვის სანაპირო ზოლიც ადრიდანვე მოფენილი იყო ბერძნული ახალშენებით. ამიტომ კულტურასა და მეცნიერებაში აქ ბერძნული ენა გაბატონდა; ადგილობრივი ენა და კულტურა იჩრდილებოდა ბერძნული ენისა და განვითარებუ-

ლი ბერძნული კულტურის მხრივ. ყოველივე ამან დააბრკოლა ახალგაზ-
რდა დასავლურ-ქართული ეროვნების შემდგომი შემჭიდროება, კონსოლი-
დაცია.

უფრო ხელსაყრელ ვითარებაში მოუხდა განვითარება აღმოსავლურ-ქარ-
თულ სახელმწიფოებრიობასა და აღმოსავლურ-ქართულ ეროვნებას. აღმოსავ-
ლურ-ქართული სახელმწიფო — იბერიის სამეფო უფრო მყარი და ძლიერი გა-
მოდგა. ეკონომიური და სოციალური განვითარება აქ სწრაფად წავიდა წინ. ად-
გილობრივმა სახელმწიფოებრიობამ შეინახა თავი უცხოელ დამპყრობლებთან
ბრძოლაში და განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. კლასობრივმა საზოგადო-
ებამ აქ ბევრად უფრო ფართო ტერიტორია მოიცვა და უფრო ღრმად გაიდგა
ფესვები, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ამასთან დაკავშირებით აღმოსავ-
ლურ-ქართული ეროვნების, მისი ერთიანი ენისა და კულტურის განვითარებაც
შორს წავიდა. დამწერლობა აქ ძველიდანვე ინტენსიურად იყო განვითარებული.
ადრე სამწერლო ენებს უცხო (არამეული, ბერძნული) ენები წარმოად-
გენდნენ, შემდეგ კი მათი ადგილი ადგილობრივმა, ქართულმა ენამ დაიკავა.
სამწერლო ენად ქცეულმა ქართულმა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მო-
იპოვა და გავრცელების არე გაიფართოვა მას შემდეგ, რაც აქ გაბატონდა ახა-
ლი სარწმუნოება — ქრისტიანობა, რომლისთვისაც სამწერლო ენას დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ პირობებში ქართველი ხალხის შემდგომი შემჭიდ-
როება, კონსოლიდაცია უკვე აღმოსავლურ-ქართული ეროვნების ირგვლივ
წარმოებდა. დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ანტიკურ
ხანაში დროდადრო ექცეოდა აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს შემადგენ-
ლობაში. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში აღმო-
სავლურ-ქართული ელემენტის გავრცელებასა და კულტურის მხრივ აღმოსავ-
ლეთ და დასავლეთ საქართველოს დაახლოებას. აღმოსავლურ-ქართული ელე-
მენტის ენა და კულტურა თანდათან მტკიცედ იკიდებდა ფეხს მთელ დასავლეთ
საქართველოში. დასავლურ-ქართული ტომებისათვის იგი იარაღი იყო უცხო-
ელი (ბიზანტიელი და სხვა) ასიმილატორების წინააღმდეგ ბრძოლაში. დასავ-
ლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და საქართველოს მიწა-
წყალზე დიდი, თითქმის მთელი ქვეყნის მომცველი, სახელმწიფოებრივი გაერ-
თიანების შექმნით დასრულდა ერთიანი ქართველი ეროვნების ჩამოყალიბების
პროცესი. „ქართველი"-სა და „საქართველო"-ს მნიშვნელობაც ძლიერ ფარ-
თოვდება. ეს სიტყვები აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად აგრეთვე დასავ-
ლეთ საქართველოსა და მისი მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინებად იქცევა.

მაგრამ ყოველი ხალხისა და, კერძოდ, ქართველი ხალხის ჩამოყალიბება
მარტო მონათესავე ტომების შერწყმით როდი ხდება. თავისი ხანგრძლივი ისტო-
რიის მანძილზე ხალხი სხვა მოდგმის ტომებსაც შეითვისებს ხოლმე. ასეთი რამ
ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესშიც მოხდა. ქართველების მიერ ამ-
რიგად შეთვისებულმა (ასიმილაციაქმნილმა) ტომებმა დაჰკარგეს თავთავიანთი
ენა და ტომობრიობის სხვა ნიშნები, მაგრამ, თავის მხრივ, გავლენა მოახდინეს
ქართველი ხალხის დამახასიათებელი ფიზიკური ტიპის, ენისა (კერძოდ, ლექსი-
კისა) და კულტურის ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც მუდამ უნდა გვახსოვდეს,
რომ „ერი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა და არა რა-

სობრივი და ტომობრივი ერთობა“ (ი. სტალინი) და მის ჩამოყალიბებაში, ჩვეულებრივ, ბევრი სხვადასხვა მოდგმის ტომი მონაწილეობს.

ქართველი ხალხის განვითარების პროცესი ახალ საფეხურზე ავიდა უკვე მას შემდეგ, რაც, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოში კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეები ეკონომიურად მთლიან ერთეულად აქცია და, თავის მხრივ, ქართველი ხალხის ენობრივი და კულტურული ერთიანობის შემდგომი განმტკიცება გამოიწვია. ამით დასრულდა ქართველი ერის ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვანი პროცესი.

მაგრამ ქართველ ერს კაპიტალიზმის ხანაში მრავალი შინაგანი წინააღმდეგობა ღრღნიდა. იგი გათიშული იყო მჩაგვრელებად და ჩაგრულებად, გაბატონებულ და დამორჩილებულ კლასებად. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ბოლო მოუღო სოციალურ ჩაგვრას და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამდე მიგვიყვანა, ძველი ბურჟუაზიული ერები შეცვალეს ახალმა სოციალისტურმა ერებმა, რომლებიც თავისუფალი არიან ასეთი შინაგანი წინააღმდეგობისაგან და რომელთაც მანამდე არნახული სიმტკიცე და მთლიანობა ახასიათებთ. ერებს შორის შუღლისა და ბატონობა-მონობის ურთიერთობა, რომელსაც ძველად ყოველ მხრივ ნერგავდნენ და ავითარებდნენ გაბატონებული კლასები, ამჟამად სოციალისტურ ერებს შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობითაა შეცვლილი. ქართველი სოციალისტური ერის წინაშე გაიშალა ეროვნული ენისა და ეროვნული კულტურის განვითარების მანამდე არნახული პერსპექტივა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, ცხოვრების ყველა დარგში უდიდეს წარმატებას მიაღწია. მანამდე არნახული განვითარება ჰპოვა საქართველოში მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, კულტურამ. საქართველოში ამჟამად წარმოდგენილია მრეწველობის თითქმის ყველა დარგი, მათ შორის მანქანათმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა და სხვ. საქართველოს სიამაყეს წარმოადგენს ი. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. წინასაბჭოურ პერიოდთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოებამ, მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის, პროდუქციამ საქართველოში მრავალ ათეულჯერ იმატა. სოციალისტურად გარდაიქმნა და თან მოწინავე ტექნიკით აღიჭურვა სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობაში დიდად იმატა ისეთი ძვირფასი კულტურების ხვედრითმა წონამ, როგორიცაა ვაზი, ჩაი, ციტრუსები და სხვა. გაიფურჩქნა ქართველი ხალხის ეროვნული კულტურა. მოსახლეობის სულადობასთან შედარებით საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობით საქართველო ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე კუთხეა მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მძლავრი კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში ქართველ ხალხს უზრუნველყოფილი აქვს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების შემდგომი აყვავება, მისი შემოქმედებითი ძალების ყოველმხრივი გაშლის შესაძლებლობა. ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, ძლევამოსილად მიემართება წინ, კაცობრიობის დიდი ხნის ოცნების — კომუნიზმის განხორციელებისაკენ.

პირველყოფილ-თემური წყობილება

თ ა ვ ი I

საქართველოს მოსახლეობა პირველყოფილ-თემური წყობილების ადრეულ საფეხურზე

§ 1. წინაგვაროვნული საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე

კავკასია, სადაც საქართველო მდებარეობს, ერთ ხანს თითქმის მთლად ზღვას ეჭირა, წყლით იყო დაფარული. მოგვიანებით ამოიზიდა აქ ხმელეთი. ზღვა ორად გაითიშა, ახალი ხმელეთის კიდეებზე შავი და კასპიის ზღვები გაჩნდა. მთათწარმომშობმა ძალებმა აქ დიდი მთის ქედები და მწვერვალები გააჩინა. ეს მოვლენები განსაკუთრებით ძლიერი იყო იმ გეოლოგიურ ეპოქაში, რომელსაც მესამეულს უწოდებენ. მაგრამ ნაწილობრივ მომდევნო, მეოთხეულ ხანაშიც გრძელდებოდა. კავკასიის ახალ ამოზიდულ ხმელეთზე გაჩნდა მცენარეული საფარი და მოშენდნენ ცხოველებიც. უკვე ამ დროის ფენებში პოულობენ ბევრი აწ უკვე გადაშენებული ცხოველის ნაშთებს. საქართველოში უცხოვრიათ ამ უხსოვარ დროს, კერძოდ, უზარმაზარ ცხოველებს — დინოზავრებს; მათი თათების ანაბეჭდებს დიდი ხანი არაა რაც მიაკვლიეს კირქვის შრეებზე ქალაქ ქუთაისთან. მეცნიერებმა საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ბევრი სხვა, დიდი ხნის წინათ უკვე გადაშენებული ცხოველის ნაშთებს მიაგნეს.

განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ სწორედ მესამეული ხანის დასასრულს საქართველოში უცხოვრია ადამიანის მსგავსი მაიმუნის ერთ-ერთ სახეს. ძისი ყბის ძვლის ნაწილი ორი კბილითურთ აღმოაჩინეს საგარეჯოს რაიონში, ე. წ. გარეჯის უდაბნოში, მესამეული გეოლოგიური ხანის გვიანდელ ფენებში. ადამიანის მსგავსი მაიმუნის ამ სახეს მეცნიერებმა „უდაბნოპითეკი" ანუ „უდაბნოელი მაიმუნი" უწოდეს. ეს აღმოჩენა იმას მოასწავებს, რომ საქართველო, და საერთოდ კავკასია, ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც მაიმუნის გაადამიანების პროცესი მიმდინარეობდა.

ეს პროცესი ძალზე ხანგრძლივი იყო. ასეული ათასი წლების მანძილზე მიმდინარეობდა. მასში ძირითადი როლი შრომამ შეასრულა, „შრომამ შექმნა ადამიანი" (ფ. ენგელსი).

„ადამიანთა საზოგადოების არსებითი განსხვავება ცხოველთა საზოგადოებისაგან ისაა, რომ ცხოველები უკეთეს შემთხვევაში ა გ რ ო ვ ე ბ ე ნ, მაშინ

როდესაც ადამიანები აწარმოებენ“ (ფ. ენგელსი). პირველყოფილ ადამიანს იარაღი თავდაპირველად ხისგან უნდა გაეკეთებინა, მაგრამ იმისათვის, რომ მისთვის საჭირო მოყვანილობა მიენიჭებინა, ხე რაიმე მასზე უფრო მაგარი ნივთიერების საშუალებით უნდა დაემუშავებინა. ასეთ ნივთიერებას კი ქვა წარმოადგენდა. ამრიგად, ქვა თვითონაც იარაღია და სხვა იარაღთა წარმოების საშუალებადაც გვევლინება. ამიტომ არის, რომ ადამიანთა საზოგადოების ისტორიის იმ უძველეს ხანას „ქვის ხანა“ უწოდეს. „ქვის ხანაში“ ორ ძირითად საფეხურს არჩევენ — უფრო ადრეულს — „ძველი ქვის ხანას“ (ბერძნ. პალეოლითს) და უფრო გვიანდელს — „ახალი ქვის ხანას“ (ბერძნ. ნეოლითს). ძველი ქვის ხანაც, თავის მხრივ, ორად იყოფა: ქვედა პალეოლითად და ზედა პალეოლითად.

ქვედა პალეოლითი ჯერ კიდევ ადამიანთა მოდგმის ჩამოყალიბების ხანაა. იგი ყველაზე ხანგრძლივი პერიოდია ადამიანის ისტორიაში და რამდენსამე ასეულ ათას წელს გრძელდებოდა.

ქვედა პალეოლითში ქვის იარაღები ჯერ კიდევ ძალზე პრიმიტიული იყო. მათ გასაკეთებლად პირველყოფილი ადამიანი იყენებდა ისეთ მაგარ ქანებს, როგორიცაა კაჟი, ობსიდიანი (ვულკანური მინა) და სხვ. იარაღთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული იყო საკვეთი იარაღი — ხელცული, მაგრამ იყო სხვაგვარი იარაღებიც: წვეტანები, საფხეკები და სხვ. ამგვარი იარაღები ბლომადაა ნაპოვნი საქართველოში. განსაკუთრებით ბევრგან (ორმოცზე მეტ ადგილას) არის აღმოჩენილი ქვედა პალეოლითის ადამიანის იარაღები შავი ზღვის სანაპიროზე. აღმოსავლეთ საქართველოში ქვედა პალეოლითური იარაღები ჯერჯერობით თითქმის მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ფარგლებშია ნაპოვნი.

იმ დროს ადამიანები ცხოვრობდნენ რამდენიმე ათეული კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად, რომლებიც ჯოგურად დახეტიალობდნენ, ოჯახი, გვარი ან სხვა რამ უფრო რთული ორგანიზაცია მათ ჯერ არ გააჩნდათ. ნადირთან ბრძოლაში საკმაოდ უმწეონი იყვნენ, რადგანაც სპეციალური საბრძოლო იარაღი ჯერ არ ჰქონდათ. მართალია, ნადირობა მათთვის თავის რჩენის ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ტყიური თუ ველური ნაყოფის გროვებასაც. ზღვის მახლობლად ისინი დროებით სადგომებს, ჩვეულებრივ, მდინარის შესართავთან და ტყის პირას აწყობდნენ ხოლმე და აქ ხშირად ხის შტო-ფოთლებისგან იკეთებდნენ დროებით თავშესაფარს. იმ დროს კავკასიაში შედარებით თბილი ჰავა იყო, რაც ამგვარი ცხოვრების საშუალებას იძლეოდა.

§ 2. გვაროვნული საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე. მატრიარქატის ხანა

გვარის წარმოქმნა

წინაგვაროვნული საზოგადოება შესცვალა გვაროვნულმა საზოგადოებამ. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ძირითად უჯრედად გვარი იქცა. გვაროვნული წყობილების წარმოქმნა ადამიანთა საზოგადოების განვითარების, წინსვლის შედეგი იყო.

წინაგვაროვნული საზოგადოების ხანგრძლივი განვითარების მანძილზე ხდებოდა ადამიანის, როგორც გონიერი არსების, ჩამოყალიბება და იგი, ბოლო!, და ბოლოს, მკვეთრად გამოეთიშა ცხოველთა სამყაროს. ზედა პალეოლითის დასაწყისში თანამედროვე ადამიანის ტიპი უკვე ჩამოყალიბებული იყო. იმავე ხანას ეკუთვნის სისხლით მონათესავე ადამიანების მტკიცე გაერთიანებათა — გვარების შექმნაც.

თავდაპირველად ჩამოყალიბდა დედით ნათესაობაზე დამყარებული, ე. წ. მატრიარქალური გვარები. მათ საფუძვლად დაედო სისხლით ახლო მონათესავე ჯგუფს შიგნით შეუღლების აკრძალვა, რასაც სხვათა შორის ფრიად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ ადამიანთა მოდგმის ფიზიკური განვითარებისათვის. რაკი გვარს შიგნით შეუღლება აკრძალული იყო, გვარის მამრობითი ნაწილის შთამომავლობა სხვა გვარში რჩებოდა, მდედრობითი ნაწილის შთამომავლობა კი — იმავე გვარში. ამიტომ იმ დროს გადამწყვეტად ითვლებოდა წარმოშობა მდედრობითი ხაზით. გვარები წარმოადგენდნენ მდედრობით ნათესაობაზე დამყარებულ სოციალურ უჯრედს.

გვარის უძველესი ქართული სახელი „სახლი“ იყო. მატრიარქალური გვარის სათავეში მდგომ ქალს ქართველთა წინაპრებში „დიასახლისი“ უნდა რქმეოდა.

გვარს სისხლით ნათესაობისა და ეგზოგამიის (გვარს შიგნით შეუღლების აკრძალვის) გარდა ახასიათებდა აგრეთვე საერთო საკუთრება და საერთო წარმოება. სამუშაო და საბრძოლო იარაღი პირველყოფილ-თემური წყობილების დროს საერთოდ ისეთი პრიმიტიული იყო, რომ ისინი „გამორიცხავდნენ ბუნების ძალებთან და მტაცებელ ცხოველებთან მარტოხელად ბრძოლის შესაძლებლობას. ტყეში რომ ნაყოფი შეაგროვონ, წყალში რომ თევზი დაიჭიროს, რაიმე საცხოვრებელი ბინა რომ ააშენონ, ადამიანები იძულებული არიან ერთად იმუშაონ, თუ არ სურთ გახდნენ შიმშილით სიკვდილის, მტაცებელ ცხოველთა ან მეზობელ საზოგადოებათა მსხვერპლნი. საერთო შრომა იწვევს წარმოების საშუალებათა, აგრეთვე წარმოების პროდუქტების საერთო საკუთრებას. აქ ჯერ კიდევ წარმოდგენა, არა აქვთ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე, თუ არ ვიანგარიშებთ წარმოების იმ ზოგიერთი იარაღის კერძო საკუთრებას, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ მტაცებელი ნადირებისაგან თავდაცვის იარაღებს. აქ არ არის ექსპლუატაცია, არ არიან კლასები“ (ი. სტალინი).

გვარის წარმოქმნა-ჩამოყალიბებას საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის მიწა-წყალზე რამდენადმე ხელი შეუწყო იმ დიდმა გაყინვარებამ, რომელიც ქვედა პალეოლითის უკანასკნელ საფეხურზე დაიწყო. თუ ამჟამად კავკასიონის ქედზე მუდმივი თოვლის ხაზი ზღვის დონიდან 2800—3400 მეტრის სიმაღლეზე ძევს, გაყინვარების დროს იგი 1200—1300 მეტრით უფრო დაბლა გადიოდა. ამას, რა თქმა უნდა, თან მოჰყვა საერთო აცივება. იმდროინდელ საყოველთაო აცივებას თუნდაც ის მოწმობს, რომ კავკასიაში გამოჩენილა ჩრდილოეთის ირემი, რომლის ნაშთებიც აღმოაჩინეს და შეისწავლეს არქეოლოგებმა. პირველყოფილი ადამიანი იძულებული შეიქნა გამოქვაბულებისათვის მიემართა და თავის მუდმივ ბინად ექცია ისინი. ერთსა და იმავე ადგილას ხანგრძლივმა

ცხოვრებამაც რამდენადმე შეუწყო ხელი სისხლით მონათესავე ადამიანთა მყარი ჯგუფების — გვარების შექმნას.

ზედა პალეოლითი

დასავლეთ საქართველოში გამოკვლეულია რამდენიმე ისეთი გამოქვაბული, რომელშიც ზედა პალეოლითის ადამიანს უცხოვრია (დევის ხვრელი (ხარაგოულის რაიონი), საკაჟია (ქუთაისის რაიონი), საგვარჯილე (თერჯოლის რაიონი), გვარჯილას კლდე (ჭიათურის რაიონი) და სხვა). იმ დროის ადამიანი უკვე ფართოდ იყენებდა ცეცხლს, რომელიც განუწყვეტლივ გიზგიზებდა გამოქვაბულში.

მაშინდელი ადამიანის იარაღი წინანდელთან შედარებით უფრო მრავალფეროვანი და უფრო სრულყოფილი გახდა. ხისა და ქვის იარაღთან ერთად უკვე ძვლისა და რქის იარაღსაც აკეთებდნენ, იცოდნენ ტყავის დამუშავებაც. უმთავრეს სანადირო იარაღს შუბი წარმოადგენდა, ხოლო ზედა პალეოლითის დასასრულს უნდა გაჩენილიყო მშვილდისარიც, რაც იქიდან ჩანს, რომ ზედაპალეოლითურ სადგომებში პოულობენ შუბისპირებსაც და ისრისპირებსაც.

იმ ხანებში ადამიანი საზრდოს უმთავრესად ნადირობით შოულობდა. ზედაპალეოლითურ გამოქვაბულებში ნაპოვნია ცხოველთა ძვლები, რომელთა მეხედვით ადვილი გასაგებია, თუ რაზე უნადირიათ იმ გამოქვაბულთა მცხოვრებლებს. ზოგი იმ ცხოველთაგანი დიდი ხანია გადაშენებულა (მაგალითად, გაშოქვაბულის დათვი, ლომი და აფთარი), ზოგი საქართველო-კავკასიაში აღარ მოიპოვება (მაგალითად, ბიზონი — ხარის მონათესავე ცხოველი, ლოსი ანუ ცხენირემი), ზოგი კი ახლაც ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში (ირემი, ჯიხვი, ქურციკი, შველი, დათვი, მგელი, მელა, ტახი, კვერნა, მაჩვი, წავი და სხვ.). ნადირობა უმთავრესად მამაკაცის საქმე იყო.

სადაც საამისო პირობები იყო, მეთევზეობასაც მისდევდნენ.

ამასთანავე ფართოდ იყო განვითარებული საზრდოდ ტყის ნაყოფისა და სხვადასხვა ბალახეულის შეგროვება. იმ დროს ეს უკვე ძირითადად ქალის საქმეს წარმოადგენდა. შემდგომ ამ შეგროვებითი საქმიანობის საფუძველზე განვითარდა პირველყოფილი მიწათმოქმედება, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ქალის დაწინაურებას საზოგადოებაში. საქართველოში უკვე ზედა პალეოლითის ხანაში ჩნდება ძვლისა და რქის წერაქვისნაირად და თოხისნაირად პირგამოყვანილი იარაღები, რომლებსაც გამოიყენებდნენ სწორედ შეგროვებით მეურნეობაში, დედამიწიდან მცენარეული საკვების ამოსათხრელად.

ნეოლითი

მრავალმხრივ დაწინაურდა ცხოვრება მომდევნო ხანაში, რომელსაც ახალი ქვის ხანას ანუ ნ ე ო ლ ი თ ს უწოდებენ. ძველი ქვის ხანა ანუ პალეოლითი მრავალი ასეული ათასი წლის მანძილზე გაგრძელდა, იგი დასრულდა დაახლოებით ამ ათი ათასი წლის წინათ. ნეოლითის პერიოდი უფრო ხანმოკლე იყო. ჩვენში იგი, კერძოდ, სულ რამდენიმე ათასი წლის მანძილზე გაგრძელდა, ვიდრე დაახლოებით ძვ. წ. 3000 წლამდე.

ნეოლითის ხანაში საქართველო-კავკასიაში ბუნებრივი პირობები საგრძნობლად შეიცვალა. ჰავა ზომიერად თბილი გახდა, ამის გამო ადამიანმა მიატოვა ნოტიო და ბნელი გამოქვაბულები და გაშლილ ადგილებში დამკვიდრდა.

ნეოლითური ხანის სადგომები აღმოჩენილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

სამუშაო თუ საბრძოლო იარაღმა იმ დროს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება განიცადა. ძლიერ განვითარდა და სრულყოფილი გახდა კაჟის თუ სხვა ქვის დამუშავების ტექნიკა. ნეოლითის განვითარებულ საფეხურზე ადამიანმა ქვის გახვრეტა და იარაღისათვის ტარის დაგებაც ისწავლა. საერთოდ ქვის იარაღი უფრო მრავალფეროვანი და უკეთ დამუშავებული გახდა.

ნადირობას იმ ხანაში კვლავ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარ სანადირო იარაღს შუბი და მშვილდისარი წარმოადგენდა.

ნეოლითის დროს დაიწყო ცხოველების მოშინაურება. საქართველოს იმდროინდელ სადგომებში არქეოლოგებმა იპოვეს მოშინაურებული ხარისა და ძროხის, ცხვრის, თხის, ძაღლის ძვლები. ასე რომ, მაშინვე ჩაჰყრია ჩვენში საფუძველი მესაქონლეობას.

ნეოლითშივე წარმოიქმნა პირველყოფილი მიწათმოქმედება, რომელიც შეგროვებითი მეურნეობის საფუძველზე განვითარდა. საქართველო მსოფლიოში პურეული კულტურების მოშინაურების ერთ-ერთ უძველეს კერადაა მიჩნეული. იმ დროს მიწის დასამუშავებლად უკვე იყენებდნენ სპეციალურ მოწყობილობას — რქის წერაქვისებრსა და თოხისებრ იარაღებს, ქვის თოხებს და სხვ. პირველყოფილ მიწათმოქმედებას და მისი პროდუქტების დამუშავებას ემსახურებოდა აგრეთვე ნამგლის პირის გასამართავი დაკბილული კაჟის პატარა იარაღები (მიკროლითები), ქვის ხელსაფქვავები და სხვ., რომელთაც ხშირად პოულობენ საქართველოს იმდროინდელ სადგომებში.

მიწათმოქმედება იმ დროს კვლავ ქალის საქმედ რჩება. მისი მნიშვნელობა ზოგ ადგილას მაინც უკვე საკმაოდ დიდი ყოფილა. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ არის სადგომები, სადაც მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული საგნები მრავლადაა ნაპოვნი (სოფ. ოდიში ზუგდიდის რაიონში; კისტრიკი გუდაუთის მახლობლად, აფხაზეთში).

ნეოლითურ სადგომებში ნაპოვნი ანკესები და ბადის ჩასაძირავი ქვები გვიჩვენებს, რომ იმ დროს მეთევზეობაც საკმაოდ განვითარებული ყოფილა.

ნეოლითშივე ვხედავთ ხელოსნობის ჩანასახებსაც. ადამიანი იწყებს თიხის ჭურჭლის კეთებას, თუმცა ის ჭურჭელი ჯერ კიდევ ხელით კეთდება, ჩვეულებრივ ღია ცეცხლზე, სუსტად გამომწვარია და მოყვანილობაც ტლანქი აქვს.

არქეოლოგებს ეგულებათ იმის ნიშნები, რომ იმ დროის საქართველოს მოსახლეობას რთვა და ქსოვაც სცოდნია.

საზოგადოების ძირითად უჯრედს ნეოლითშიც, ისევე როგორც ზედა პალეოლითში, დედისუფლებრივი (მატრიარქალური) გვარი წარმოადგენს. ნეოლითი უკვე განვითარებული მატრიარქატის ხანაა. იმ ხანაში იქმნება, გვარების შეკავშირების (კონსოლიდაციის) გზით, ტომები, რომელთაც საერთო სატომო ენა და საერთო სატომო მმართველობა უჩნდებათ.

§ 3. მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლის ხანა. ენეოლითური კულტურა საქართველოში

ამ ოთხი-ხუთი ათასი წლის წინ საქართველოს მოსახლეობას პირველად მიუყვია ხელი ლითონების დამუშავებისათვის. საერთოდ ადამიანმა პირველად იმ ლითონთა ათვისება შეძლო, რომლებიც ხალასად მოიპოვება ხოლმე ბუნებაში. ერთ-ერთი ამათგანია სპილენძი. ერთხანს სპილენძს ცივად ჭედვის საშუალებით ამუშავებდნენ. ლითონის გამოდნობა ადამიანმა უფრო გვიან ისწავლა. სპილენძი საერთოდ საკმაოდ რბილი ლითონია და მისგან გაკეთებული იარაღი ვერ გაუწევს ძლიერ მეტოქეობას ქვის იარაღს. ამიტომ იარაღს ჯერ კიდევ ძირითადად ისევ ქვისაგან აკეთებენ. ამ ხანას არქეოლოგები ენეოლითის ხანას უწოდებენ, რაც „სპილენძ-ქვის“ ხანას ნიშნავს.

ენეოლითი, ე. ი. ის ხანა, როდესაც ქვასთან ერთად ადამიანი სპილენძსაც იყენებს (უმთავრესად ცივად ნაჭედს), საქართველოში მაინცდამაინც ხანგრძლივი არ უნდა ყოფილიყო. აქ მეტალურგიის განვითარების მეტად ხელსაყრელი პირობები არსებობდა (მადნების სიუხვე, საწვავი მასალის — ხე-ტყის და წყლის სიუხვე და სხვა). ასე რომ, რაკი ადამიანი ლითონებს გაეცნო, იგი აქ მალე უნდა გადასულიყო მათ გამოდნობაზე და სპილენძთან ერთად სხვა ლითონების დამუშავებაზედაც.

იმ დროს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, და მათ შორის მთიანეთიც, უკვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს. სამოსახლოები ხშირად ეწყობოდა ამაღლებულ ადგილებზე, ბორცვებზე, თუმცა მოსახლეობას დაბლობ ადგილებშიც ვხვდებით, მდინარეთა მახლობლად.

იმდროინდელმა ლითონის (სპილენძის) ნივთებმა ჩვენამდე ცოტამ მოაღწია. ლითონი, როგორც ვთქვით, საერთოდ ფართოდ არც უნდა ყოფილიყო მაშინ გამოყენებული. განსაკუთრებით ბევრია ნაპოვნი ენეოლითური კერამიკული ნაწარმი (თიხის ჭურჭელი), რომელიც ამასთანავე მეტად მრავალფეროვანიცაა. განვითარებული ჩანს იმ დროს რთვა-ქსოვის ხელობაც.

მაშინდელი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში კვლავ დიდი ადგილი ეკავა მონადირეობასა და მეთევზეობას. მიწის დამუშავება იმ ხანაშიც წარმოებდა უმთავრესად ხის, რქისა და ქვის იარაღით (რიყის ქვისა და რქის თოხები, კაჟის კბილებიანი ნამგლები და სხვ.), რომლებიც მცირედ განსხვავდებიან უფრო ადრინდელი (ნეოლითური) სამიწათმოქმედო იარაღისაგან. მაგრამ, მეორე მხრივ, სამიწათმოქმედო იარაღისა და სხვა ინვენტარის (ხელსაფქვავების, მარცვლეულის შესანახი ჭურჭლისა და სხვა) მრავლად აღმოჩენა იმას მოასწავებს, რომ მიწათმოქმედების ხვედრითი წონა იმდროინდელ მეურნეობაში მაინც საგრძნობლად გაზრდილა.

ჩვენში ენეოლითის დროს მიწათმოქმედებას კვლავ უმთავრესად ქალი ეწეოდა. ენეოლითის პირველ საფეხურზე მატრიარქალური წყობა ჯერ კიდევ ძალაში ყოფილა, ქალს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს გვარში წამყვანი მდგომარეობა.

მაგრამ ენეოლითი არის მატრიარქატიდან გვაროვნული წყობის უფრო მაღალ საფეხურზე — პატრიარქატზე გადასვლის ხანაც. პატრიარქალურ

წყობაზე გადასვლის საქმეში საქართველოში. ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, გადამწყვეტი როლი მესაქონლეობის ძლიერ დაწინაურებას, ხოლო შემდეგ აგრეთვე მეტალურგიის განვითარებას უნდა ეთამაშა.

მესაქონლეობა განსაკუთრებით ვითარდება მთაში, სადაც იგი თანდათან ზოგიერთი ტომის ძირითად სამეურნეო საქმიანობად იქცევა. ასე ეყრება საფუძველი საზოგადოების გათიშვას მესაქონლე და მიწათმოქმედ ტომებად. რაც შრომის პირველ დიდ საზოგადოებრივ დანაწილებას მოასწავებდა.

იმდროინდელ მესაქონლეობაში უფრო მეტად გავრცელებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება ჩანს. მეცხვარეობის ფართო განვითარებას ხელს შეუშლიდა ის, რომ მაშინ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყით იყო დაფარული. მესაქონლეობის ეს დარგი უფრო მაღალმთიან კუთხეებში ვითარდებოდა.

მესაქონლეობის განვითარებამ გამოიწვია მწყემსი მამაკაცის დაწინაურება, რასაც მოჰყვა მატრიარქატიდან პატრიარქატზე — მამის უფლებაზე დამყარებული საგვარეულო ორგანიზაციაზე გადასვლა.

§ 4. უძველესი რელიგიური წარმოდგენები. ხელოვნების ჩანასახები

უძველესი დროის ადამიანი, როგორც დავინახეთ, უმწეო იყო ბუნების ძალებთან ბრძოლაში. ბუნება, მისი ყველა მოვლენა და თვით უსულო საგნებიც კი მისთვის საიდუმლოებით მოცულ სამყაროს წარმოადგენდა. ბუნება ზოგჯერ მოწყალე თვალით გადმოხედავდა ადამიანს, ზოგჯერ კი დიდად გაამწარებდა ხოლმე. ამიტომ ადამიანს ეგონა, რომ სამყარო სავსეა კეთილი თუ ბოროტი ძალებით, ანუ სულებით. ყოველ საგანში იგი ამა თუ იმ სულს ხედავდა და ცდილობდა კეთილი სულისათვის პატივი ეცა, ხოლო ბოროტის გული მოელბო. სულთა ასეთი თაყვანისცემა იყო რელიგიის ერთ-ერთი უძველესი საფეხური. ამგვარივე თაყვანისცემის საგნად იქცეოდა ხოლმე ზოგჯერ ესა თუ ის ცხოველიც — განსაკუთრებით ისეთი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ადამიანის სამეურნეო ცხოვრებაში.

მატრიარქატის ხანაში, კერძოდ, მის განვითარებულ საფეხურზე კულტის საგანი ხდება ქალი, რომლის ქანდაკებებსაც ხშირად პოულობენ იმ დროის ნაშთებს შორის.

უძველესი დროის ადამიანს მძიმე ბრძოლა უხდებოდა ბუნებასთან ყოველდღიური სარჩოს მოსაპოვებლად, ამ ბრძოლას ალევდა იგი თავისი დროისა და ძალ-ღონის უდიდეს ნაწილს. მიუხედავად ამისა, ადამიანს იმ დროს სხვაგვარი მოთხოვნილებაც უჩნდება. იგი იკეთებს სამკაულებს (სამაჯურები, სამკაულად გამოყენებული ლოკოკინის გახვრეტილი ნიჟარები, ცხოველის გახვრეტილი კბილები და სხვ.), ხატავს, ძერწავს, აქანდაკებს. ერთი სიტყვით, იწყება ხელოვნება, რომელიც ჯერჯერობით მეტად პრიმიტიული ნიმუშებით არის წარმოდგენილი. უკვე პალეოლითში მოიპოვება ორნამენტით შემკული სხვადასხვა ნივთები. ნეოლითური თიხის ჭურჭელიც ზოგჯერ შემკულია გარკვეული (მაგალითად, თავთავისებრი) ორნამენტით.

§ 5. პატრიარქატის განმტკიცების ხანა. ბრინჯაოს მეტალურგიის საწყისი ეტაპები

საზოგადოების განვითარება ძალზე დაჩქარდა მას შემდეგ, რაც ადამიანმა ლითონის (სპილენძის) გამოდნობა, ჩამოსხმა და თან გამოდნობისას მისთვის სხვა ლითონების შერთვაც ისწავლა. ეს შენართი გამომდნარ ლითონს სიმტკიცეს მატებდა. განსაკუთრებით მაღალხარისხოვან ლითონს წარმოადგენდა სპილენძისა და კალის შენადნობი, რომელსაც ბრინჯაო ეწოდება. საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში კალა ძალიან ცოტაა და ამიტომ აქ ძველად კალის ნაცვლად ხშირად სხვა მის მსგავს ლითონებს (ანტიმონს, დარიშხანს და სხვ.) ურევდნენ ხოლმე სპილენძს. ბრინჯაოსაგან გაკეთებული, ჩამოსხმული და გამოკვერილი იარაღი უკვე თამამად უწევდა მეტოქეობას ქვის იარაღს და თანდათან მან შეცვალა კიდევაც იგი. საქართველოში ბრინჯაოს მეტალურგიაზე გადასვლა დაახლოებით ამ ოთხი ათასი წლის წინ უნდა მომხდარიყო.

ბრინჯაოს მეტალურგია თავდაპირველად განვითარდა მადნეული საბადოების მახლობლად, მთა ადგილებში — იქ, სადაც ამასთანავე ძალზე განვითარებული იყო მესაქონლეობა. მთიელი ტომები უმთავრესად მას მისდევდნენ, თუმცა არც მიწათმოქმედება იყო მათთვის უცხო.

ბარის მეურნეობაში კი მთავარი ამ დროს მიწათმოქმედებაა. თუმცა აქ მესაქონლეობასაც მისდევენ. ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების პირველ საფეხურზე მიწის დასამუშავებელ ძირითად იარაღად რჩება თოხი, რომელსაც ახლა უკვე ლითონისაგან აკეთებენ.

მთაში მცხოვრები მესაქონლე და მეტალურგი ტომების ხელში თანდათან დიდი ქონება იყრის თავს პირუტყვისა და ლითონების სახით. ერთიცა და მეორეც მეზობლებთან გაცვლა-გამოცვლის საგნად იქცევა და ხელს უწყობს მთიელ ტომთა გამდიდრებას. ბრინჯაოს ხანის საწყის საფეხურებზე მთა აშკარად მოწინავეობს ბართან შედარებით.

ეს ხანა პატრიარქალური (მამისუფლებრივი) გვარის შემდგომი განმტკიცების ხანაა. მეორე მხრივ განმტკიცებას განიცდის აგრეთვე ტომი, რომელიც გვარებზე გაბატონებულ ორგანიზაციად იქცევა.

სიმდიდრის დაგროვება ცალკეული გვარებისა და ტომების ხელში და პირუტყვის საძოვრებით უზრუნველყოფის ამოცანის სიმწვავე ხშირად იწვევს საომარ შეტაკებას ცალკეულ გვარებსა და ტომებს შორის. ეს გარემოება კი ხელს უწყობს გვარისა და ტომის მეთაურთა ხელისუფლების დიდად გაძლიერებას. ამ მეთაურებს თავისი ძალაუფლების ნიშანიც კი უჩნდებათ. ეს არის ძველებური საცემ-სახეთქი იარაღის, ლახტის თავები (ქვისა, ლითონისა), რომლებსაც ხშირად პოულობენ ასეთ მეთაურთა საფლავებში.

აშკარად ჩანს, რომ ბელადები განსაკუთრებული პატივით იმარხებიან, გვარის ჩვეულებრივ წევრებთან შედარებით. არქეოლოგებს ამ დროიდან ერთი მხრივ საქმე აქვთ გვარის უბრალო წევრების კოლექტიურ სამარხებთან, ხოლო მეორე მხრივ კი მოზრდილ ყორღანულ სამარხებთან, რომლებშიც მხოლოდ თითო მიცვალებულია დამარხული, და ეს მიცვალებული, ეტყობა, სწორედ გვარისა თუ ტომის ბელადები არიან. ტომის ბელადთა სამარხებს უნდა

წარმოადგენდნენ, მაგალითად, სამგორის სამი დიდი ყორღანი, რომელთაგან ერთი ამ ცოტა ხნის წინ გაითხარა. მასში აღმოჩნდა ხის მოზრდილი შენობის ნაშთი, რომელშიც დასვენებული უნდა ყოფილიყო ბელადის ნეშტი. ამ შენობაზე უზარმაზარი, 10 მეტრის სიმაღლე ქვა-მიწაყრილი იყო აღმართული.

ჩატანებული ნივთების რაოდენობითა თუ ხარისხით ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) ბელადთა სამარხები მაინცადამაინც არ გამოირჩევიან გვარის უბრალო წევრთა სამარხებისაგან. ეს იმას მოასწავებს, რომ ქონებრივად გვარის წევრები ჯერ კიდევ დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან.

ცოტა უფრო გვიან, ე. წ. შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანები), საქართველოს ზოგ კუთხეში საზოგადოების განვითარება უკვე შორს მიდის. გვარის უბრალო წევრებს გამოეყოფა ზედა ფენა, რომელიც ქონებრივადაც იწყებს მომძლავრებას. იმდროინდელ ბელადებს ზოგან უკვე დიდი ფუფუნებით, საზეიმო ვითარებაში მარხავდნენ. მაგალითად, თრიალეთში (წალკის რაიონში) გათხრილ ერთ ასეთ ყორღანულ სამარხს 170 კვ. მეტრი ფართობი ეჭირა. მაშინ წესად ჰქონიათ მიცვალებულის კრემაცია (დაწვა) და ბელადის ფერფლისა და მისი ნივთების ოთხთვალა ეტლით შესვენება სამარხში. მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ ოქროსა და ვერცხლის ბევრი ნივთი. ზოგი მათგანი (მაგალითად, ვერცხლის დიდი და პატარა სასმისები, ოქროს პატარა სასმისი და სხვები) იმდროინდელი ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებს წარმოადგენს. იქვე აღმოჩნდა ნამტვრევები თიხის დიდრონი ჭურჭლების, რომლებშიც 3000 ლიტრი სასმელი ჩაეტეოდა. ფიქრობენ, რომ აქ დაკრძალული მიცვალებული ტომის ბელადი კი არა, არამედ უკვე ტომთა საკმაოდ დიდი კავშირის ბელადი შეიძლება ყოფილიყო.

ამ ბოლო დროს თრიალეთის მდიდრულ ყორღანებში ნაპოვნთა მსგავსი ნივთების შემცველი სამარხი აღმოჩნდა სომხეთშიც (თრიალეთის მეზობელ, კიროვაკანის რაიონში). შესაძლოა, მაშინ მთელ ამ ტერიტორიაზე ტომთა ერთი დიდი კავშირის ძალაუფლება ვრცელდებოდა და ეს კი დიდ არეზე ერთგვაროვანი კულტურის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს.

იმ ხანაში თრიალეთის მოსახლეობა განვითარების მაღალ დონეზე მდგარა. კერძოდ, დიდად დაწინაურებული ყოფილა ხელოსნობა. აქაური კულტურა ადგილობრივ ნიადაგზეა განვითარებული, მაგრამ მას სამხრეთის მეზობელ კულტურულ ქვეყნებთან ურთიერთობის დაღიც ატარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

თ ა ვ ი II

პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა საქართველოს მოსახლეობაში

§ 1. ქართველი და მათი მეზობელი ტომები ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში

რა თქმა უნდა, იმხანად საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა ჯერ კიდევ არ იყო ისე დაწინაურებული, როგორც თრიალეთისა. ამ უკანასკნელს უკვე შედგმული ჰქონდა ფეხი იმ საფეხურზე, როდესაც პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა იწყება, წარმოიშობა ტომთა გაერთიანებანი და ნელ-ნელა მზადდება პირობები უფრო განვითარებული საზოგადოების — კლასობრივი საზოგადოების წარმოსაქმნელად.

მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა განვითარების თვალსაზრისით მაშინ დაახლოებით იმავე დონეზე იდგა, როგორზეც საქართველოს მოსახლეობა. თრიალეთის სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით გადაჭიმულ მთიანეთში, ისევე როგორც თრიალეთში, აქა-იქ იქმნებოდნენ ტომთა კავშირები, რომლებიც ერთიმეორესაც ებრძოდნენ და მეზობელ დიდ სახელმწიფოებსაც.

მითანისა და ხეთების სამეფოები

ამიერკავკასიის სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით იმ დროს არსებობდა ორი დიდი სახელმწიფო: მ ი თ ა ნ ი ს ს ა მ ე ფ ო და ხ ე თ ე ბ ი ს ს ა მ ე ფ ო. მითანის სამეფო ჩრდილო მესოპოტამიაში ჩამოყალიბდა. მის მოსახლეობას ხურიტებს ანუ სუბარელებს უწოდებენ. ერთხანს მითანი დიდად გაძლიერდა და ბევრი მეზობელი ქვეყანა (ასურეთი, სირია-პალესტინა, ირანის დასავლეთი ნაწილი და სხვ.) დაიპყრო. ჩრდილოეთით მის ხელთ მოექცა ვანის ტბის რაიონი და, საფიქრებელია, რომ მისი გავლენა გავრცელდა კიდევ უფრო ჩრდილოეთითაც, არარატის მთისა და შავი ზღვის მიმართულებით. მაგრამ ძვ. წ. XVI საუკუნიდან მითანიმ დასუსტება იწყო. მას ჯერ ეგვიპტემ შეუტია, მერე ხეთების სამეფომ, რომელთაც მას ბლომად მიწა-წყალი წაართვეს. ძვ. წ. XV საუკუნის ბოლოს მისგან თავი გაითავისუფლა ასურეთმა, რომელმაც XIII საუკუნეში ბოლოც მოუღო მითანის დამოუკიდებლობას.

ხეთების სამეფო მცირე აზიაში შეიქმნა. მცირე აზიაში მეტად ჭრელი მოსახლეობა იყო: იქ სულ სხვადასხვა მოდგმის ტომები ცხოვრობდნენ. იმ დროს ხეთების სამეფოს სათავეში უდგნენ ნესიტი ტომები, რომლებიც ენით ახლოს იდგნენ ინდო-ევროპელ ხალხებთან.

ხეთების სამეფო განსაკუთრებით ძლიერი იყო ძვ. წ. XV—XIV საუკუნეებში. მაშინ იგი მთელ მცირე აზიას, ჩრდილო მესოპოტამიის ნაწილსა და ჩრდილო სირიას ფლობდა. მან ძვ. წ. XIII საუკუნის ბოლომდე იარსება.

მითანისა და ხეთების სამეფოები მონათმფლობელურ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. მეფე და დიდებულები, მონებს გარდა, ჩაგრავდნენ მრავალრიცხოვან თავისუფალ მიწის მუშებსაც, რომელნიც სასოფლო თემებად იყვნენ გაერთიანებული. მონები ცოტა იყო და საერთოდ ბევრ რამეში ჯერ კიდევ იგრძნობოდა პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთები. ამგვარ სახელმწიფოებს ადრემონათმფლობელურ ანუ თემურ-მონათმფლობელურ სახელმწიფოებს უწოდებენ. მეფე იქ შეუზღუდავი (დესპოტური) ხელისუფლებით სარგებლობდა. დიდი ძალა ჰქონდათ სახელმწიფოში ქურუმებსაც.

მითანელებმა და ხეთებმა საკმაოდ მაღალი კულტურა შექმნეს. ისინი ფართოდ იყენებდნენ მთელ წინა აზიაში გავრცელებულ ლურსმულ დამწერლობას, მაგრამ ხეთებს, მის გარდა, თავისი საკუთარი, ხატოვანი (იეროგლიფური) დამწერლობაც ჰქონდათ.

თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურას მოეპოვება ზოგი რამ საერთოროგორც ხეთურ, ისე მითანურ კულტურასთან. ეს გასაგებიცაა, რადგან სამხრეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ტომებს ცხოველი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ ამ სახელმწიფოებთან. ეს ურთიერთობა ზოგჯერ მტრული იქნებოდა, ზოგჯერ კი მშვიდობიანი. იგი იწვევდა კულტურულ მონაპოვართა ურთიერთ გაზიარებას.

ქართველ ტოგთა გავრცელება უძველეს ხანებში

მითანისა და ხეთების სამეფოთა ჩრდილოეთით მრავალი სხვადასხვა ტომი ცხოვრობდა. მათ შორის იყვნენ ქართველთა წინაპარი ტომებიც.

იმ დროს ქართველ ტომებს, ენობრივი თვალსაზრისით, უკვე ჰქონდათ საკუთარი სახე. კიდევ უფრო მეტი, თვით ქართველ ტომთა შიგნითაც უნდა ყოფილიყო უკვე განსხვავება: ქართები, მეგრელები და სვანები ალბათ ენობრივად უკვე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. რა თქმა უნდა, ამ ძველ დროს მათ შორის განსხვავება ჯერ კიდევ არ იქნებოდა ისე შორს წასული, როგორც შემდეგში.

მეგრულ-ჭანური ტომების უძველესი კერა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს აღმოსავლეთი მონაკვეთი უნდა ყოფილიყო. ქართები მათ მეზობლად, აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. ფართო ტერიტორია უნდა სჭეროდათ ძველად სვანებსაც. ისინი იმ დროს დასავლეთ საქართველოს ბარშიც უნდა ყოფილიყვნენ განსახლებული და არა მარტო მთაში.

საქართველოს ტერიტორიაზე ძველად უცხოვრიათ სხვა მოდგმის ტომებსაც. მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ, კერძოდ, დღევანდელ ჩრდილო-კავკასიელ ხალხებთან ახლო მდგომი ცალკეული ტომებიც. ამ მოდგმის ტომები იმ დროს

ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი უმთავრესად საქართველოს მეზობლად ჩრდილოეთ კავკასიაში და აგრეთვე თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

სომეხ ტომთა უძველესი აღგილსამყოფელი. ხაიასას ქვეყანა

ქართველ ტომთა უძველესი მეზობლები იყვნენ სომეხი ტომებიც. იმ დროს ისინი ცხოვრობდნენ ხაიასას ქვეყანაში, რომელიც მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე მდებარეობდა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ვიდრე მდ. დასავლეთ ევფრატის (თანამედროვე ყარა-სუს) ზემო წელის რაიონამდე აღწევდა. შემდეგ სომეხი ტომები გავრცელდნენ მეზობლად მდებარე სოხმის ქვეყანაშიც და აქაც თანდათან პირველობა მოიპოვეს. ჭოროხის სათავეებში მცხოვრები ქართველი ტომები ამ ქვეყნის მეზობლად ცხოვრობდნენ, რის გამოც სოხმი ქვეყნის სახელი („**სომ[ე]ხი**" ფორმით) მათთვის და შემდეგ საერთოდ ქართველებისათვის სომხების აღმნიშვნელ სახელად იქცა. ხაიასა-სოხმის ქვეყანაში მცხოვრები სომეხი ტომები მაშინ ემეზობლებოდნენ როგორც აღმოსავლურ-ქართულ, ისევე დასავლურ-ქართულ ტომებსაც.

ხაიასას ქვეყანაში მცხოვრები სომეხი ტომები გამუდმებით ებრძოდნენ ხეთებს, რომელთა მეფეებიც მათ დამორჩილებასა და გაძარცვას ცდილობდნენ. ხაიასას მოსახლეობა ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა. აქ იყო დიდი ტომთა კავშირები, ჰყავდათ ბელადები, იყო უხუცესთა საბჭოც და სხვ. ხეთების მეფეები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ხოლმე, მაგალითად, ხაიასას ბელადებთან ერთად (რომელთაც ისინი თავიანთ წარწერებში „მეფეებს" ეძახიან), აგრეთვე „ხაიასას ხალხთან" და „ხაიასას უხუცესებთან".

ქაშქები

ხაიასას ჩრდილოეთით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ქვეყანაში მცხოვრებ ტომებს ხეთები ქაშქებს ეძახდნენ. ქაშქებთან ხეთებს საუკუნეთა მანძილზე უხდებოდათ დიდი ბრძოლა. ზოგჯერ თვით ქაშქები ესხმოდნენ მათ თავს, უფრო ხშირად კი ხეთების მეფეები აწყობდნენ ხოლმე დიდ ლაშქრობას ქაშქების წინააღმდეგ — მათი გაძარცვისა, მათგან ტყვეების წამოყვანისა და მათი დამორჩილების მიზნით.

საზოგადოებრივი განვითარების მხრით ქაშქებიც დაახლოებით იმავე დონეზე იდგნენ, რაც ხაიასას ტომები. აქაც იყო ტომთა დიდი კავშირები, რომელთაც დიდი ძალაუფლებით აღჭურვილი ბელადები ედგნენ სათავეში. ზოგი ასეთი ბელადი უკვე მეფედ გახდომის სურვილსაც იჩენდა. ხეთური წარწერები ერთი ასეთი ქაშქაელი ბელადის ფიხუნიას შესახებ ამბობენ, რომ იგი „ქვეყანას ქაშქურად კი არ მართავდა, არამედ მეფურადო" და დასძენენ, რომ „ქაშქებში ერთი კაცის ბატონობა წესი არ არისო".

ხეთებისათვის „ქაშქა"-სახელი მათი სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთით **მცხოვრები ტომების ზოგადი სახელი უნდა ყოფილიყო.** ამ სახელით აერთიანებდნენ ისინი სხვადასხვა წარმოშობის ტომებს. საკუთრივ ქაშქა-სახელის მატარებელი ტომები მცირე აზიის **უძველეს მოსახლეობას — ე. წ. პროტოხეთებს** უნდა ეკუთვნოდნენ. **მაგრამ ზოგადი მნიშვნელობით** ხმარებისას ამ სახელით, **ალბათ, ხშირად იგულისხმებოდნენ** ამ რაიონებში მცხოვრები ქართველი ტომებიც.

ხეთების სამეფოს დაცემა. მუშქების და ტაბალების ტომების შეჭრა მცირე აზიის სიღრმეში

ძვ. წ. XIII საუკუნეში ხეთების სახელმწიფო საგრძნობლად დასუსტდა. საშინაო ვითარების გართულებას დაემატა ხშირი თავდასხმა უცხო ტომებისა, რომლებიც დასავლეთიდან, ხმელთაშუა ზღვისა და ეგეოსის კუნძულებიდან შემოესეოდნენ ხოლმე მცირე აზიას. მათ „ზღვის ხალხებს“ უწოდებდნენ. ამ გარემოებით ისარგებლეს ქაშქებმა და XIII საუკუნის ბოლოს, „ზღვის ხალხებთან“ ერთად, ბოლო მოუღეს ხეთების სახელმწიფოს. გამარჯვებული ქაშქები სამხრეთით გაიჭრნენ. მათთან ერთად ხეთების სამეფოს განადგურებაში მონაწილეობა უსდა მიეღოთ და სამხრეთით გაჭრილიყვნენ მ უ შ ქ ე ბ ი, ქართველი ტომები (მერმინდელი მესხები). ქაშქები და მუშქები ასურეთის საზღვარს მიადგნენ. ძვ. წ. 1115 წ. ასურეთის ძლიერმა მეფემ ტიგლათფილესერ I დაამარცხა ქაშიარის მთებში (დღევანდელი ტურ-აბდინის მთა) შეჭრილი 20.000 მუშქი, რომელთაც თურმე 5 ბელადი ჰყოლიათ — ე. ი. 5 დიდი ტომის კავშირს წარმოადგენდნენ. ამით ასურეთის მეფემ შეაკავა მუშქების მოძალება და დაამარცხა ქაშქებიც. ამის შემდეგ მუშქები დამკვიდრდნენ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, უცხო მოდგმის ტომთა გარემოცვაში. აქ ისინი კიდევ კარგა ხანს ცხოვრობდნენ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში.

შესაძლოა, იმ ხანებშივე გაიჭრნენ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებიდან მცირე აზიის სიღრმეში ტ ა ბ ა ლ ე ბ ი ც. ისინი იმ ტომთა ნაწილი უნდა ყოფილიყვნენ, რომლებსაც მოგვიანებით ბერძენი მწერლები ტიბარენების სახელით იცნობენ. ტიბარენები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს იმ უბანზე ცხოვრობდნენ, რომელიც ძველთაგანვე დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური) წარმოშობის ტომებით იყო დასახლებული. ამიტომ შესაძლებელია, ტაბალები (იგივე ტიბარენები) დასავლურ-ქართული ტომები იყვნენ.

მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში დამკვიდრებული ტაბალებიც დიდხანს პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. ისინი მრავალ ტომად იყოფოდნენ. ასე მაგალითად, ასურეთის მეფე სალმანასარ III ძვ. წ. IX საუკუნეში იხსენიებს ტაბალების „24 მეფეს“, ე. ი. ტომთა ბელადებს.

მცირე აზიაში დასახლებულმა ტაბალებმა და მუშქებმა ხეთური კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს.

დიაუხის დიდი გაერთიანება

მითანისა და ხეთების სახელმწიფოების დამხობამ ხელი შეუწყო აქაური ტომების ახალ გაერთიანებათა გაძლიერებას. ერთ-ერთი ასეთი გაერთიანება იყო დ ი ა უ ხ ი (ანუ „დაიაენი“), რომელიც ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა. ამ გაერთიანების ცენტრი დღევანდელ ქალაქ არზრუმის რაიონში მდებარეობდა, მაგრამ მისი გავლენა შორს, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებამდე უწევდა.

დიაუხი ძლიერი გაერთიანება იყო. როდესაც 1112 წ. ასურეთის მეფემ ტიგლათფილესერ I ჩრდილოეთისაკენ გამოილაშქრა, დიაუხის ბელადი სიენი სათავეში ჩაუდგა ჩრდილოელ ტომთა ბრძოლას ასურეთის წინააღმდეგ. მისი ხელმძღვანელობით 23 დიდი ტომისა თუ ტომთა კავშირის გაერთიანებული ლაშქარი

შეებრძოლა ასურეთის ლაშქარს, მაგრამ დამარცხდა სასტიკ ბრძოლაში. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომები, რომლებიც დიაუხის გავლენას ექვემდებარებოდნენ, დაიძრნენ დიაუხისა და მის მოკავშირეთა საშველად. 60 ტომის ლაშქარი გაემართა აქედან ასურელებთან საომრად. მათ სხვა ტომთა ლაშქარიც წაჰყვა თან, მაგრამ, ეტყობა, დაიგვიანეს. მთავარი ბრძოლა ასურელებს უკვე მოგებული ჰქონდათ. ამიტომ შავიზღვისპირელმა ტომებმა უკან დაიხიეს; ასურეთის მეფე იკვეხნის, რომ მან „თავისი შუბის წვერით" მისდია მათ „დიდ ზღვამდე", ე. ი. შავ ზღვამდე. ასურელებმა სასტიკად დაარბიეს დალაშქრული ქვეყნები და ნადავლად დიდძალი პირუტყვი წაასხეს აქედან.

დამარცხებული ბელადები, და მათ შორის სიენიც, ასურელებმა მორჩილებაზე დააფიცეს, მაგრამ მალე ასურეთი დასუსტდა და ჩრდილოეთის ტომებმა, რა თქმა უნდა, გაითავისუფლეს თავი მისი მორჩილებისაგან. დიაუხი ამის შემდეგაც რამდენიმე საუკუნის მანძილზე რჩებოდა ძლიერ გაერთიანებად. უეჭველია, რომ მისი გავლენის არეში მოქცეული იქნებოდა აწინდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში მცხოვრები მრავალი ტომი.

დიაუხის გაბატონებულ ტომებში პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის პროცესი შორს იყო წასული. ხალხის მასას თანდათან ეთიშებოდა სატომო არისტოკრატიის ძლიერი ფენა, რომლის ხელთ დიდი სიმდიდრე იყრიდა თავს. საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების თვალსაზრისით ეს რაიონი ამ დროის საქართველოში ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებულ კუთხეთაგანი უნდა ყოფილიყო. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ აქ მეტად განვითარებული იყო ლითონების (სპილენძის, ბრინჯაოს, ოქრო-ვერცხლის) დამუშავება.

§ 2. პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა საქართველოს მოსახლეობაში

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში, ე. ი. დაახლოებით ამ სამი ათასი წლის წინ, საქართველოს მოსახლეობა ეკონომიურად და კულტურულად საგრძნობლად დაწინაურდა.

მეტალურგიის განვითარება

ბრინჯაოს მეტალურგია ამ დროს თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს. იმდროინდელი ბრინჯაოს სამუშაო და საომარი იარაღი და აგრეთვე საოჯახო ნივთები მრავალფეროვანია და მაღალი მხატვრული გემოვნებით არის გაკეთებული. ამასთანავე, მასალას უკვე თითქმის მთელ ამიერკავკასიაში მაღალხარისხოვანი კალიანი ბრინჯაო წარმოადგენს. ამ პერიოდს გვიანი ბრინჯაოს ხანას უწოდებენ.

მაშინ იწყებს გამოჩენას რკინის პირველი ნივთებიც. სამთავროს სამაროვანზე (მცხეთაში) რკინის პირველი ნივთები უკვე დაახლოებით ამ სამი ათასი წლის წინ ჩნდება. მოყვანილობით ისინი ხშირად ძალიან უახლოვდებიან ბრინჯაოს სათანადო ადგილობრივ ნივთებს, რაც მოწმობს, რომ რკინის მეტა-

ლურგია აქ ადგილობრივ ნიადაგზე იწყებს განვითარებას. რკინის ფართო საწარმოო გამოყენება, როგორც სამეშაო და საომარი იარაღის ძირითადი მასალისა, უფრო გვიან, ძვ. წ. IX—VII საუკუნეებში იწყება.

ბრინჯაოს მეტალურგიის ძირითად საწარმოო კერებს წარმოადგენდნენ: დასავლეთ საქართველოში ჭოროხის აუზი, რაჭა-ლეჩხუმი და აფხაზეთი, აღმოსავლეთ საქართველოში კი ქვემო ქართლი და კახეთი.

ერთგვაროვანი კულტურის დიდი არეების წარმოქმნა

სატომთაშორისო ვაჭრობის განვითარების შედეგად ამა თუ იმ მეტალურგიული კერიდან გამოსული ნაწარმი და მისი სპეციფიკური ფორმები ფართო ტერიტორიაზე ვრცელდება. ასე მაგალითად, ბრინჯაოს თავისებური მოყვანილობის საბრძოლველი და სამეშაო იარაღი, ე. წ. „კოლხური ცული" გავრცელებულია ძალიან დიდ ტერიტორიაზე — მთელ თანამედროვე დასავლეთ საქართველოში და მის გარეთაც — სამხრეთ-დასავლეთით. ასეთი ცულები ნაპოვნია, მაგალითად, შავი ზღვის სანაპირო ზონაში ვიდრე ქალ. ორდუს ტერიტორიამდე (თურქეთში), ჩრდილო-აღმოსავლეთით კი მათი გავრცელების არე ჩრდილოეთ ოსეთსა და ყაბარდოსაც მოიცავს. ასევე მთელ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული ბრინჯაოს თავისებური მოყვანილობის თოხი. დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ნივთები ამ დროს იჩენს თავს აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს იმ ნაწილშიც, რომელიც დასავლეთ საქართველოს ესაზღვრება. აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილში კი ამ დროს ფეხს იკიდებს აგრეთვე თავისებური კულტურა, რომელსაც დასავლურისაგან განსხვავებული სამეშაო თუ საომარი იარაღები ახასიათებს.

დიდი ტერიტორიის მომცველი ერთგვაროვანი კულტურის არეების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ის, რომ ამ დროს იქმნება ტომთა დიდი კავშირები, რომელთა შორის ურთიერთობა, კერძოდ საალმიცემო ურთიერთობა, ძლიერ ცხოველდება და ამას კი კულტურულ მონაპოვართა ფართო ტერიტორიაზე გავრცელება მოსდევს შედეგად. ეს გარემოება აადვილებს ტომთა შემდგომ დაახლოებას და მათ შერწყმასა და ეროვნებათა წარმოშობას უმზადებს ნიადაგს.

ბარის მოსახლეობის დაწინაურება

რაკი სატომთაშორისო აღებ-მიცემა გაცხოველდა, უკვე აღარ იყო აუცილებელი, რომ მეტალურგია უთუოდ მადნეულ საბადოთა მახლობლად, ე. ი. მთებში განვითარებულიყო. მეტალურგია განვითარებას იწყებს ბარის რაიონებშიც, სადაც მეცხვარეობაც საგრძნობლად წინაურდება, მიწათმოქმედება ხომ ახალ, მაღალ საფეხურზე ადის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვითარებასა და სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების დაწინაურებასთან დაკავშირებით. ყოველივე ამის გამო, ამ დროს მთის მოწინავეობა თანდათან ქრება და დაწინაურებას ბარის მოსახლეობა იწყებს. იმდროინდელი შესანიშნავი ძეგლები ჩვენ უკვე ბარის რაიონებიდან, მდინარეთა ველებიდან გვაქვს. ერთ-ერთი ასეთი რაიონი იყო მცხეთის რაიონი, რომლის იმდროინდელი ვითარების შესახებ საკმაოდ დაწვრილებით შეგვიძლია მსჯელობა იქ გათხრილი სამთავროს სამაროვნის (ძველი სასაფლაოს) მასალების მიხედვით.

მესაქონლეობის, მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარება

საქართველოს მოსახლეობის დაწინაურება საგრძნობი ხდება მეურნეობის ყველა დარგში. მესაქონლეობაში ამ დროს წამყვანი უკვე მეცხვარეობაა, რომელიც უმთავრესად მომთაბარეობით წარმოებს, ე. ი. ცხვარს ზაფხულობით მაღალ მთებში აძოვებენ, ხოლო ზამთრობით — ბარში. ფართოდ ვრცელდება რძის დღვება და კარაქ-ერბოს კეთება, რასაც მოწმობს თიხის სადღვებლების სიხშირე იმდროინდელ არქეოლოგიურ მონაპოვარში. საქართველოს მოსახლეობა ამ ეპოქაში იწყებს ცხენის მასიურად გამოყენებასაც.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიწათმოქმედების დაწინაურება. მიწას, უეკველია, აფხვიერებდნენ პირველყოფილი მარტივი სახვნელით, რომელშიც გამწევ ძალად გამოყენებული იყო ხარი. ამასთან ერთად კვლავ ფართოდ იყო გამოყენებული თოხიც. მკა ლითონის ნამგლით წარმოებდა, ლეწვისას კი უკვე იყენებდნენ კევრს, რომლის ნაშთებიც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არის ნაპოვნი (კერძოდ, მცხეთა-სამთავროში).

ამ პერიოდში ფართოდ ვითარდება აგრეთვე სოფლის მეურნეობის ისეთი ინტენსიური დარგები, როგორიცაა მებაღეობა და მეევნახეობა-მეღვინეობა.

იმ დროის კვალობაზე განვითარების მაღალ დონეს აღწევს ხელოსნობაც. კერამიკული (თიხის) ნაწარმი ახლა თითქმის მთლიანად სამეთუნეო ჩარხზე მზადდება, გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მაღალი გემოვნებითაა შესრულებული. ასევე ლითონის ნაწარმიც მათი გამკეთებლის დახელოვნება-ოსტატობას მოწმობს. იმდროინდელი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს, მაგალითად, ბრინჯაოს ფართო ფურცლისაგან გამოჭრილი სარტყლები, რომლებზედაც გამოხატულია ნადირობისა და მითოლოგიური სცენები. რთვა-ქსოვის ხელობაც განვითარებული ჩანს. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ამ დროს ფართოდ მისდევენ სელის მოყვანასა და ქსოვას.

ხელოსნობის ესოდენ მაღალი განვითარება იმას მოასწავებს, რომ მოსახლეობაში უკვე წარმოქმნილა პროფესიონალი ხელოსნების ფენა; ხელოსნობა თანდათან გამოეყოფა მიწათმოქმედებას და ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მთავარ საქმიანობად იქცევა. თუ მიწათმოქმედი ტომებისაგან მეჯოგე ტომების გამოყოფა შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება იყო, მიწათმოქმედებიდან ხელოსნობის გამოყოფა შრომის მეორე დიდ საზოგადოებრივ დანაწილებად ითვლება. ამ მოვლენამ საზოგადოებრივი განვითარების პროცესი დიდად დააჩქარა.

ალებ-მიცემის გაცხოველება

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებამ სასაქონლო წარმოებისა და ალებ-მიცემის განვითარება გამოიწვია. იმ დროს ალებ-მიცემა ვითარდება არა მარტო საქართველოსა და კავკასიაში მცხოვრებ ტომებს შორის, არამედ მათსა და შორეულ ქვეყნებს შორისაც. მაგალითად, შესაძლოა, მაშინდელი ბრინჯაოს მეტალურგია საკმაოდ ბევრს ხმარობდა უცხოეთიდან შემოტანილ კალას. ნაპოვნია კალის ზოდები, რომლებიც, ალბათ, ასეთი გზით მოხვედრილა საქართველოში. ერთი მეტალურგიული კერის ნაწარმის ფართო ტერიტორიაზე გავრცელებაც ალებ-მიცემის განვითარებას მოწმობს. საქართველოში აღმოჩე-

ნილი ზოგი უცხოური ნივთისა თუ სხვა ქვეყნებში აღმოჩენილი აქაური ნაწარმის მიხედვით ირკვევა. რომ საქართველოს და, საერთოდ, ამიერკავკასიის მოსახლეობას სავაჭრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ჩრდილო შავიზღვისპირეთთან, ეგეოსის სამყაროსთან, წინა აზიის მეზობელ ქვეყნებთან და, შეიძლება, აგრეთვე ლიბიასა და ეგვიპტესთანაც კი. უცხოეთიდან შემოტანილ ნივთებს შორის დიდი ადგილი ეკავა სამკაულებს.

აღებ-მიცემის განვითარებას გვანიშნებს აგრეთვე იმ დროს გაჩენა გარკვეული წონის ბრინჯაოს რგოლებისა. რომლებიც ფულის როლს ასრულებდნენ და ჩვენში მონეტის წინამორბედებს წარმოადგენდნენ.

ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის გაღრმავება საქართველოს მოსახლეობაში

სამეურნეო ცხოვრების განვითარებამ და აღებ-მიცემის გაცხოველებამ ხელი შეუწყო საქართველოს მოსახლეობაში ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას. ამას გვანიშნებს ის გარემოება, რომ მაშინდელი სამარხები უკვე აშკარად განირჩევა ერთიმეორისაგან სიმდიდრე-სიღარიბის მიხედვით — არის მდიდრული და ღარიბული სამარხები.

საზოგადოების გამდიდრებულ ზედაფენას საშუალება ეძლევა ხშირი ომიანობის დროს ხელთგდებული ტყვეები მონებად აქციოს. საწარმოო ძალთა განვითარება ახლა უკვე იმ დონეზეა ასული, რომ შეიძლება მონას იმაზე მეტი გააკეთებინონ, რაც მისი არსებობის შენარჩუნებისთვისაა საკმარისი. იმდროინდელი არქეოლოგიური მასალა გვაძლევს გარკვეულ ნიშნებს იმისა, რომ ტყვე-მონების გამოყენებას ამიერკავკასიის მოსახლეობაში უკვე ადგილი ჰქონია.

ამრიგად საზოგადოების განვითარება აშკარად მიემართებოდა დიდი რევოლუციური გარდატეხისაკენ: პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევისა და მის ნიადაგზე კლასობრივი საზოგადოების შექმნისაკენ. რა თქმა უნდა, განვითარების დონე ქვეყნის ყველა კუთხეში ერთნაირი არ ყოფილა. იმ დროს სამეურნეო თვალსაზრისითაც და საზოგადოებრივი განვითარების მხრივაც ბარის მოსახლეობა წინაურდება.

§ 3. საქართველოს მეზობელი ქვეყნები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში

მას შემდეგ, რაც ძვ. წ. XIII საუკუნეში მითანისა და ხეთების სახელმწიფოები დაემხო, ამიერკავკასიის სამხრეთ საზღვრებზე რამდენიმე საუკუნის მანძილზე დიდი სახელმწიფო აღარ არსებულა. ამ დროს მცირე აზიაში და ვანის ტბის გარშემო მდებარე ტერიტორიაზე მრავალ მცირე პოლიტიკურ ერთეულს ვხედავთ.

ურარტუ

ვანის ტბის ირგვლივ ცხოვრობდნენ ურარტელი ტომები. ენითა და კულტურით ისინი ახლო ენათესაებოდნენ ხურიტ ტომებს, რომელთაც თავის დროზე მითანის სამეფო შექმნეს. მაშინ ურარტელებიც შედიოდნენ მითანის სამეფოს შემადგენლობაში, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. საწარმოო ძალების განვითარებამ, — რაშიც მნიშვნელოვანი როლი

რკინის სამრეწველო გამოყენებაზე გადასვლამ შეასრულა, — ურარტელთა შორისაც შეამზადა პირობები კლასობრივი საზოგადოების წარმოსაქმნელად. სახელმწიფოს წარმოქმნას კი ერთგვარი ბიძგი მისცა მეზობელი ასურეთის სახელმწიფოს მეფეთა თარეშმა, რომლებიც სასტიკად არბევდნენ და აწიოკებდნენ ურარტელებს და მათ მეზობელ სხვა ტომებსაც. ძვ. წ. IX საუკუნის პირველ ნახევარში აქ ჩამოყალიბდა ურარტელი ტომების დიდი გაერთიანება — ურარტუს სამეფო.

ძვ. წ. IX საუკუნის ბოლოს და VIII საუკუნის პირველ ნახევარში ურარტუ მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. მისი გავლენა ამ დროს დასავლეთით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებამდე უწევდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ურმიის ტბასაც გასცილდა. ურარტუს მეფეებმა დიდი ტერიტორია დაიპყრეს ჩრდილოეთითაც, მათი სამეფოს შემადგენლობაში შევიდა თითქმის მთელი ის ტერიტორია, რომელიც დღეს სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში იმყოფება, და აგრეთვე ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის გარკვეული რაიონები. ამაზე უფრო ჩრდილოეთით ურარტუს მეფეებმა ვეღარ შესძლეს თავისი ძალაუფლების გავრცელება უმთავრესად იმ ენერგიული წინააღმდეგობის გამო, რომელსაც ისინი წააწყდნენ აქ მცხოვრებ ტომებთან ბრძოლაში.

ურარტუს მეფეთა ლაშქრობის მთავარ მიზანს ნადავლისა და ტყვეების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. ურარტუს ჯარი სასტიკად არბევდა და აწიოკებდა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას.

ურარტუ მონათმფლობელური სახელმწიფო იყო. მონების შრომას ფართოდ იყენებდნენ სააღმშენებლო და საირიგაციო (სარწყავ) სამუშაოებზე. მეფისა და დიდებულების მამულებში. მეფე და მოხელეები, მონებს გარდა. სასტიკად ჩაგრავდნენ თემებში გაერთიანებულ თავისუფალ გლეხობასაც.

მეზობელი ხალხებისა და თავისი საკუთარი ხალხის ექსპლუატაციის შედეგად ურარტუს მეფეებს დაუგროვდათ დიდძალი დოვლათი, რაც მათ საშუალებას აძლევდა ბრწყინვალე სასახლეები და ტაძრები აეგოთ, კლდეებში დარბაზები გამოეკვეთინებინათ და ა. შ. ურარტუში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მეტალურგიამ, ქვის დამუშავებამ. ურარტელები სარგებლობდნენ ლურსმული დამწერლობით, რომელიც მათ მეზობელი ასურელებისაგან შეითვისეს. ჩვენამდე მოღწეული 400-ოდე ურარტული წარწერა უმთავრესად ამა თუ იმ მეფის სახელითაა შედგენილი და მათი ლაშქრობისა თუ საალმშენებლო საქმიანობის ამბებს მოგვითხრობს.

ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოს ურარტუ საგრძნობლად დასუსტდა, ხოლო VI საუკუნის დასაწყისში სავსებით განადგურებულ იქნა — ერთი მხრივ მიდიელების, ხოლო, მეორე მხრივ, ამიერკავკასიელი ტომების, კერძოდ, ქართველ ტომთა გაერთიანებების ძლიერი შეტევის შედეგად.

ურარტელთა ბატონობა სამხრეთ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში

ამიერკავკასიის დაპყრობილ რაიონებში ურარტუს მეფეები ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ და შიგ თავიანთ მოხელეებსა და მეციხოვნე რაზმებს აყენებდნენ. ადგილობრივ მოსახლეობას გადასახადებისა და ლაშქრობაში სავალდებულო მონაწილეობის მძიმე ტვირთი აწვებოდა მხრებზე. ისინი

გამოჰყავდათ აგრეთვე საზოგადოებრივ სამუშაოებზე — აღმშენებლობაზე და არხების გაყვანაზე.

ურარტული კულტურა ფართოდ იკიდებდა ფეხს ამიერკავკასიის იმ რაიონების მოსახლეობაში, რომლებიც ურარტუს სამეფოს შემადგენლობაში მოექცნენ. ურარტუსადმი დაქვემდებარებამ კიდევ უფრო დააჩქარა სამხრეთ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებში პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი.

აქ მცხოვრები ტომები ენით ახლო უნდა მდგარიყვნენ ურარტელ ტომებთან. სომხურ ენაზე მოლაპარაკე ტომების გაერთიანებანი ამ დროს ჯერ კიდევ ურარტუს დასავლეთ საზღვრებზე იმყოფებოდნენ, ძველი დროის ხაიასასა და სოხმის ქვეყნების მიწა-წყალზე (მდ. აღმოსავლეთ ევფრატის (მურად-სუს) ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით გადაჭიმულ ტერიტორიაზე).

მდგომარეობა აზერბაიჯანში

მეზობელ აზერბაიჯანშიც ამ დროს ყალიბდება ტომთა დიდი კავშირები და ერთგვაროვანი კულტურის ვრცელი არეები. უკვე იგრძნობა გვაროვნული არისტოკრატიის გამოყოფის პროცესი. ადგილი აქვს ტყვეების მონებად გამოყენებასაც.

აზერბაიჯანის იმდროინდელი მოსახლეობა ენით ახლო მონათესავე ხყო ქართველებისა და სხვა კავკასიელი ტომების. შემდეგში მათ „ალბანელების" სახელი დაუმკვიდრდათ. ალბანური ტომები მერმინდელი აზერბაიჯანელი ხალხის შემადგენლობაში შევიდნენ.

საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნების მოსახლეობა

ჩრდილოეთიდან საქართველოს მოსახლეობას ემეზობლებოდა აგრეთვე პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში მცხოვრები არა ერთი ტომი. ნივთიერი კულტურით კავკასიონის ჩრდილო კალთებზე მცხოვრები ტომები ახლო იდგნენ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობასთან. ენობრივად ისინი ქართველთა მონათესავე კავკასიელი ხალხების (აფხაზები, ჩერქეზები (ადიღეველები), დაღისტნელები) წინაპარი ტომები იყვნენ. ისინი ნაწილობრივ სამხრეთ კავკასიის, კერძოდ საქართველოს, ტერიტორიაზეც უნდა ყოფილიყვნენ გავრცელებული.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის უძველეს მოსახლეობას კიმერიელები წარმოადგენდნენ. ძვ. წ. VIII საუკუნეში აქაურობას შუა აზიიდან შეესიენ ჩრდილო-ირანულ ენებზე მოლაპარაკე სკვითი ტომები. ისინი დიდ ტერიტორიაზე გავრცელდნენ მდ. დუნაისა და მდ. დონს შორის. დონის აღმოსავლეთით, ვიდრე ურალამდე სარმატების სახელით ცნობილი ტომები დამკვიდრდნენ.

სახელები „კიმერიელები", „სკვითები" და „სარმატები" უფრო ხშირად ძველ დროს კრებითი სახელწოდებების სახით იხმარებოდა, რომლებითაც აერთიანებდნენ სხვადასხვა მოდგმის ტომებს. მათ შორის, ჩრდილო-ირანულ ტომებს გარდა, იგულისხმებოდნენ სხვა წარმოშობის ტომებიც, კერძოდ, არც თუ იშვიათად ქართველთა მონათესავე ჩრდილო-კავკასიელი ტომებიც.

§ 4. ქართველი ტომების მცირეაზიური გაერთიანებანი

ზემოთ დავინახეთ, რომ ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში ჩრდილოეთიდან ქართველი ტომები მუშქები და ტაბალები შეიჭრნენ. აქაც ისინი დიდხანს კვლავ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ, მაგრამ მცირე აზიაში შეჭრის შემდეგ სწრაფად წავიდა მათი საზოგადოებრივი განვითარების პროცესი. ამას დიდად შეუწყო ხელი აქ რკინის მეტალურგიის განვითარებამ, აგრეთვე საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ხალხების მეზობლობამ.

მახლობელ აღმოსავლეთში რკინის სამრეწველო გამოყენების დასაწყისად ძვ. წ. IX ს. ითვლება. ამასთანავე, რაც ამ დროს მახლობელ აღმოსავლეთში რკინა მოიხმარებოდა თითქმის სულ მცირე აზიის აღმოსავლეთი რაიონებიდან, ე. ი. სწორედ იქიდან მომდინარეობდა, სადაც მუშქები და ტაბალები ცხოვრობდნენ. ეს ტომები ძველ სამყაროში სახელგანთქმული შეიქნენ ლითონების დამუშავებაში, ისინი ლითონის ნაწარმით ვაჭრობას შორეულ ქვეყნებთანაც აწარმოებდნენ.

ყოველივე ამან დააჩქარა მათში საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, კერძოდ, ხელი შეუწყო კლასობრივი საზოგადოების შექმნას. ძვ. წ. VIII საუკუნისათვის უკვე წარმოიქმნა მუშქებისა და ტაბალების სამეფოები. ამ ტომების შეკავშირება-შერწყმისა და აქ სახელმწიფოების შექმნისათვის გარკვეული ბიძგი უნდა მიეცა იმ ბრძოლასაც, რომელსაც მუშქები და ტაბალები ეწეოდნენ როგორც მეზობელ ტომებთან, ისე მოსაზღვრე დიდ სახელმწიფოებთან, პირველ ყოვლისა, ასურეთთან.

განსაკუთრებით გაძლიერდა მუშქების სამეფო მეფე მითას დროს, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში მეფობდა. მის ხელში მუშქების ბატონობა გავრცელდა მცირე აზიის მნიშვნელოვან ნაწილზე, მათ შორის ფრიგიაზეც. ამის გამო ძველი ბერძნები, რომლებიც ფრიგიის მეზობლად, მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, მითას ფრიგიის მეფეს უწოდებდნენ, თუმცა ფრიგიელები ამ სამეფოში შემავალი მხოლოდ ერთი ტომი უნდა ყოფილიყო, რომელსაც საკუთრივ მუშქებთან ტომობრივად არაფერი ჰქონდა საერთო.

ძვ. წ. 676 წ. მუშქების სამეფო სასტიკად დაარბია ურარტუს მეფე რუსა II. რომელმაც მასზე კიმერიელებთან ერთად ილაშქრა. ძველი მწერლები მოგვითხრობენ, რომ დამარცხებულმა მითა მეფემ ხარის სისხლი დალია და ასე მოიკლა თავი. მაშინ დაემხო მუშქების სამეფო. მალე აქ დაწინაურდნენ სხვა ტომები, რომელთა მეთაურობით შეიქმნა ახალი პოლიტიკური გაერთიანებანი. ამის შემდეგ სწრაფად წავიდა მუშქების დიდი ნაწილის ამ ტომებთან ასიმილაციის (შერწყმის) პროცესი. შემდეგ მუშქების (მესხების) ნაწილმა ერთ ხანს პირველობა მოიპოვა სამხრეთ საქართველოში, რის გამოც მთელ ამ კუთხეს მესხეთი ეწოდა.

ძვ. წ. VII საუკუნეში განადგურდა ტაბალების სამეფოც. მცირე აზიის სიღრმეში გაჭრილი ტაბალებიც გაითქვიფნენ სხვა ტომებში, ხოლო იმ ტერი-

ტორიაზე, საიდანაც ისინი წამოვიდნენ — შავი ზღვის სანაპიროებზე, შემდეგ-შიც განაგრძობდა არსებობას ამ ტომების ერთი ნაწილი, რომელიც ტიბარენე-ბის სახელით იყო ცნობილი.

ძვ. წ. VII საუკუნეში მუშქების სამეფოს ჩრდილოეთით, შავი ზღვის სანა-პიროების მახლობლად ჩამოყალიბდა დასავლურ-ქართული წარმოშობის ტო-მების — ხ ა ლ დ ე ბ ი ს დიდი გაერთიანება. იგი ტომთა დიდი კავშირი უნდა ყოფილიყო. 676 წ. ურარტუს მეფე რუსა მეორემ მუშქების სამეფოზე ლაშ-ქრობის დროს ამ გაერთიანების წინააღმდეგაც ილაშქრა. თავის წარწერაში იგი ამ ტომების ქვეყანას ხალიტუს უწოდებს. ისევე როგორც მუშქების ქვეყნიდან, რუსა II ხალიტუდანაც დიდძალი ტყვე წაუყვანია თავის ქვეყანაში, სადაც მათ მონებად ამუშავებდა.

§ 5. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა დიდი გაერთიანებანი—დიაუხი, კულხა, სასპერები

დიაუხი ძვ. წ. IX—VIII სს-ში

ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნა-წილში ჩამოყალიბებული დიდი გაერთიანება — დია-უხი, როგორც ზემოთ დავინახეთ, რამდენიმე საუ-კუნის მანძილზე უძლიერესი პოლიტიკური ერთეული იყო ვანის ტბასა და შავ ზღვას შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე. მის ძლიერებას ლახვარი ჩაეცა ძვ. წ. IX საუკუნეში, როდესაც მეზობლად ძლიერი ურარტუს სამეფო ჩამო-ყალიბდა.

ურარტუს მეფეები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ხელში ჩაეგდოთ ეს მადნეულითა და ლითონით მდიდარი ქვეყანა. აქ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მცხოვრები ტომები ძველიდანვე განთქმული იყვნენ ლითონების დამუშავების ოსტატობით. ამ დროს აქ ფართოდ იწყებს განვითარებას რკინის მეტალურგია. ძველი ბერძნები ამ ადგილებში მცხოვრებ ზოგიერთ ტომს, მაგალითად ხალიბებს, „რკინის გამომგონებლად“ თვლიდნენ.

IX საუკუნეში და VIII საუკუნის პირველ ნახევარში დიაუხი ჯერ კიდევ ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო. ამ დროს მის გარშემო იკრიბებოდნენ სამხრეთ ამიერკავკასიის ტომები, რათა შეერთებული ძალით წინ აღდგომოდ-ნენ ურარტელებს.

ურარტუს მეფეებმა მენუამ და არგიშთი I მრავალგზის ილაშქრეს დიაუ-ხის „ძლევამოსილი ქვეყნის“ წინააღმდეგ, როგორც თავიანთ წარწერებში უწოდებდნენ მას. რამდენჯერმე დაამარცხეს მისი მეფე უტუფურშინი, რომ-ლისაგან ერთდროული ხარკის სახით დიდძალი პირუტყვი (ცხენი, ხარი, ძროხა, ცხვარი) და აგრეთვე რამდენიმე ათეული კილოგრამი ოქრო-ვერცხლი და რა-მდენიმე ტონა სპილენძი მიიღეს, ყოველწლიური ხარკის სახით კი დიაუხის უნდა ეხადა 5 ტონაზე მეტი სპილენძი, აგრეთვე ოქრო, პირუტყვი და სხვ. ურარტელებმა შესძლეს დიაუხისათვის სამხრეთი რაიონების მოწყვეტა და თა-ვიანთი სამეფოსათვის შეერთება.

კულხას გაძლიერება

VIII საუკუნის შუახანებში დიაუხის ახალი საშიში მტერი გამოუჩნდა. ეს იყო კ უ ლ ხ ა — სამხრეთ-

დასავლეთ საქართველოს ტომთა დიდი გაერთიანება, , რომელიც დიაუხის ჩრდილოეთით, შავიზღვისპირა მხარეში ჩამოყალიბდა.

ურარტუსთან გამუდმებული ბრძოლით დასუსტებულმა დიაუხიმ ვეღარ გაუძლო ძლიერი კულხას შემოტევას და განადგურებულ იქნა მის მიერ. დიაუხის ჩრდილოეთი რაიონები კულხას გავლენის არეში მოექცა. სამხრეთით შეტევისას კულხა, რა თქმა უნდა, ურარტუს უნდა შეტაკებოდა და შეეტაკა კიდეც. ურარტუს მეფე სარდური მეორემ, რომელიც VIII საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა, დიდი ბრძოლები გადაიხადა კულხასთან. მან რამდენჯერმე გაილაშქრა კულხას წინააღმდეგ, მაგრამ ეტყობა ამ ქვეყნის შუაგულში ვერ შეაღწია — ერთი ლაშქრობისას კულხას მიერ დამორჩილებული ერთ-ერთი ტომი დაარბია და აჰყარა, მეორე ლაშქრობისას კი დაიპყრო ქალაქი ილდამუშა, სადაც კულხას მეფის მოხელე — გარნიზონის უფროსი იჯდა.

შემდეგ კულხა კიდევ უფრო გაძლიერდა. ეტყობა, მან შავი ზღვის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირების გასწვრივ მდებარე დიდ ტერიტორიაზე განავრცო თავისი გავლენა. ამით უნდა აიხსნას, რომ მთელ ამ ქვეყანას კულხას სახელის მიხედვით ბერძნებმა „კოლხიდა“ უწოდეს. ისინი ამ ადგილებს, ეტყობა, ახლოს გაეცნენ სწორედ კულხას ძლიერების ხანაში, რის გამოც აქ ამ დროს არსებული ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეულის სახელი გაავრცელეს მთელ ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე. ასე შეიქნა კრებითი სახელწოდება „კოლხიდა“ („კოლხეთი“).

კოლხეთი ბერძნულ თქმულებაში არგონავტების შესახებ

ძველი ბერძნული ეპოსის ერთ-ერთ შესანიშნავ ქმნილებას წარმოადგენს თქმულება არგონავტების შესახებ. ამ მითის შექმნას ბერძნულ სამყაროში მეტად ადრე, ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში უნდა ჩაჰყროდა საფუძველი. მაგრამ შემდეგ მითს არა ერთი ახალი ფენა, არა ერთი ახალი ნაკადი შერწყმია. ეტყობა, მასში აირეკლა, კერძოდ, ნამდვილად არსებული კულხას გაერთიანების დიდება და ბრწყინვალება.

თქმულება მოგვითხრობს, რომ კოლხეთში ერთ დროს მეფობდა ძლიერი მეფე აეტი. იგი, სხვა ბევრ სიმდიდრესთან ერთად, ფლობდა ოქროს საწმისს — ზღაპრული ოქროსმატყლიანი ცხვრის ტყავს. ამ საწმისის მოსაპოვებლად კოლხეთს გაემართა ორმოცდაათიოდე ბერძენი გმირი იასონის მეთაურობით. თქმულება მათ არგონავტებს უწოდებს, რადგან მათ იმგზავრეს ხომალდით, რომელსაც სახელად „არგო“ ერქვა. აეტმა არგონავტები თავის ბრწყინვალე სასახლეში მიიღო. იასონმა ამცნო მეფეს თავიანთი მოსვლის მიზანი და ოქროს საწმისის საანაცვლოდ სარმატებთან ბრძოლაში დახმარება შესთავაზა.

აეტმა იასონს უპასუხა: „ოქროს საწმისს მოგცემ, ოღონდ მანამდე სამი რამ უნდა გააკეთო: სპილენძისჩლიქიანსა და ცეცხლისმფრქვეველ ხარებს მიწა მოახვნევინო, ურჩხული მოჰკლა და მისი კბილები დათესო; და, ბოლოს, იმ ნათესიდან რომ დევგმირები ამოვლენ, ისინი დახოცო“.

იასონი ვერც ერთ პირობას ვერ შეასრულებდა, აეტის ასულს, მზეთუნახავ მედეას რომ არ აღმოეჩინა მისთვის დახმარება. მედეამ ეს იასონისადმი ტრფობის გამო ჩაიდინა. მისი დახმარებით იასონმა აეტის ყველა დავალება შეასრულა. მიუხედავად ამისა, აეტი მაინც არ აპირებდა მისთვის ოქროს საწ-

მისის მიცემას. მაშინ იასონმა და მისმა თანამგზავრებმა გაიტაცეს ოქროს საწ-ისი — ისევ და ისევ მედეას შემწეობით, რომელმაც მოაჯადოვა და მიაძინა საწისის მცველი ურჩხული. არგონავტებმა მედეაც თან წაიყვანეს და საბერძ-ნეთისაკენ გაემართნენ. გზაში მათ წამოეწივნენ აეტის მიერ დადევნებული მეომრები. მედეას ძმის აფსირტეს მეთაურობით, მაგრამ არგონავტებმა დაა-მარცხეს მდევრები და თვით აფსირტეც მოკლეს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ზღაპრულ ამბებთან ერთად ამ თქმუ-ლებაში ისტორიული სინამდვილეც არის ასახული. კერძოდ, საინტერესოა, რომ თქმულებაში საუბარია კოლხეთში დიდი ძლიერი სამეფოს, ბრწყინვალე სამეფო კარის, მონებისა და სხვ. არსებობის შესახებ. არგონავტების თქმულებაში კოლ-ხეთის სამეფოს აღწერისას ნაწილობრივ ალბათ აირეკლა რეალურად არსებული კულხას დიდი გაერთიანების დიდება და ბრწყინვალება.

დიაუხისა და კულხას გაერთიანებათა სო-ციალური გუნება

მართლაც. უეჭველია, რომ კულხასა და დიაუხის მტკიცე, საუკუნეთა მანძილზე არსებული გაერთია-ნებანი ტომთა ჩვეულებრივ კავშირებს კი არ წარ-მოადგენდნენ. არამედ უკვე სახელმწიფოები ან სა-ხელმწიფოდ ქცევის მიჯნაზე მდგარი წარმონაქმები უნდა ყოფილიყვნენ. ამ გაერთიანებათა სათავეში მდგომ ტომებში, უეჭველია, უკვე შორს იყო წასული კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი. მათი ხელისუფლები — „მეფეები" დიდი ფუფუნებით ცხოვრობდნენ. მათ შეეძლოთ, მაგალითად, საჭიროებისამებრ ათეული კილოგრამობით ეძღვნათ ხოლმე ოქრო-ვერცხლი: მათ ჰყოლიათ მოხელეები — სარდლები, რომლებიც მეთაურობდნენ მსხვილ ცენტრებში — ძლიერ გამაგრებულ „სამეფო ქალაქებში" ჩაყენებულ სამეფო ლაშქარს-გარნიზონებს და ა. შ. ძლიერი არისტოკრატიული ზედაფენის არსე-ბობა გულისხმობს აქვე ექსპლუატირებული ხალხის ფენის არსებობასაც. ამ ფენებს შეადგენდნენ მონები და, მათთან ერთად, თავისუფალი მეთემეები.

ამასთანავე, დიაუხისა და კულხას ხელისუფალნი ალბათ ხარკს ახდევინებ-დნენ ბევრ მეზობელ ტომს, რომლებიც მათ ექვემდებარებოდნენ. დიაუხისა და კულხას შემადგენლობაში მართლაც მოქცეული იყო ბევრი ისეთი რაიონი, სადაც მოსახლეობა ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებ-ში ცხოვრობდა. აქ იყვნენ ტომები თავ-თავისი ბელადებითურთ, მოსახლეობა პატარ-პატარა სოფლებად ცხოვრობდა. ყოველი 5-6 ასეთი სოფელი მდებარეობ-და მცირედ გამაგრებული დასახლებული პუნქტის — ციხე-სიმაგრის გარშემო. ასეთ ციხე-სიმაგრეს ირგვლივ ერტყა მშრალად ნაწყობი დიდრონი ლოდებით ნაგები გალავანი, რომლის შიგნით ზოგჯერ „შიდაციხეც" (ციტადელი) იყო ხოლმე აღმართული. ასეთ სიმაგრეს „ციკლოპურ ციხე-ქალაქს" ანდა ქართუ-ლად „გმირთნაკვეთს" ეძახიან. ზოგან კიდევ (განსაკუთრებით დაბლობ ადგი-ლებში) გამართული იყო ხე-ტყის მასალითა და მიწაყრილით შემოზღუდული გამაგრებული პუნქტები. ამგვარი მცირედ გამაგრებული პუნქტები გამოდგე-ბოდნენ მისი და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობისა და პირუტყ-ვის თავშესაფარად მცირერიცხოვანი და სუსტად შეიარაღებული მტრის თავ-დასხმისას. დიდ სახელმწიფოთა ლაშქარს ისინი ვერ წინააღუდგებოდნენ. მაგა-ლითად, ურარტუს მეფე სარდური II ერთ თავის წარწერაში მოგვითხრობს,

რომ ჩილდირის ტბის მიდამოებში მან ერთი დღის განმავლობაში 35 ასეული „ციხე-სიმაგრე“ და მათ გარშემო მიმოფანტული 200 სოფელი დაიპყრო. ის, რომ აქ დასახლების ასეთი ტიპი იყო გავრცელებული, იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი დაქუცმაცებულობა სუფევდა და მცირე გვაროვნულ თუ ტომობრივ გაერთიანებებს სისტემატური ომები ჰქონდათ ურთიერთ შორის.

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევა

ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთიდან, აზოვისა და შავი ზღვის სანაპიროების გზით, ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთს შემოესიენ კიმერიელი ტომები, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კი, VII საუკუნის პირველ ნახევარში, უკვე აღმოსავლეთის გზით — კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროებით აქვე მოხდა სკვითების შემოსევა.

კიმერიელები და სკვითები თავზარსა სცემდნენ იმ დროის დიდ სახელმწიფოებს — ასურეთს, ურარტუს და სხვ. ხშირად მათ ალბათ ამიერკავკასიისა და სხვა მეზობელი ადგილების ტომებიც ემხრობოდნენ სამხრეთის სახელმწიფოებთან ბრძოლაში. საინტერესოა, რომ ქართულ ენაში კიმერიელთა სახელი („გომირი“ — გმირი), ხოლო სომხურში კი სკვითების სახელი („საკა“ — სკა „გოლიათს“ ნიშნავს) განმადიდებელი შინაარსის საზოგადო სახელებად გადაიქცა.

სკვითებისა და კიმერიელების ნაწილი ამიერკავკასიის ტერიტორიაზეც დამკვიდრდა. ისინი დასახლდნენ, კერძოდ, საქართველოს იმ კუთხეში, რომელიც ქვემო ქართლის სახელითაა ცნობილი და აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე ოლქებში. აქ ისინი ერთხანს (VIII საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში) ყველაზე ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ, რის გამოც ზოგიერთ ამ ოლქს მათი სახელიც კი დაუმკვიდრდა. ასეთია, კერძოდ, ძველ ბერძნულ მწერლობაში დამოწმებული სახელწოდება „გოგარენე“ და ძველ სომხურ მწერლობაში დამოწმებული სახელწოდება „გუგარქი“, რაც ქვემო ქართლის ტერიტორიას გულისხმობს, აგრეთვე მის აღმოსავლეთით მდებარე საკაშენეს ოლქის სახელი და ა. შ.

სკვითები და კიმერიელები თანდათან დასუსტდნენ და ძვ. წ. VII საუკუნის შუახანებიდან ისინი უკვე იშვიათადღა ჩანან, როგორც დამოუკიდებელი ძალა. ამ დროს მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისინი ჩვეულებრივ თავს იჩენენ, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოს მმართველთა მოკავშირეები თუ დაქირავებული რაზმები. მახლობელი აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ვრცელ ტერიტორიაზე მცირერიცხოვან ჯგუფებად მიმოფანტული სკვითები და კიმერიელები თანდათან ადგილობრივი პოლიტიკური ერთეულების გავლენის არეში მოექცნენ და ადგილობრივ მოსახლეობაშიც გაითქვიფნენ. მათი ერთი ნაწილი კი, შესაძლებელია, ისევ კავკასიონს გადაღმაც დაბრუნდა.

სკვითებისა და კიმერიელების შემოსევამ მრავალმხრივ დაასვა თავისი დაღი საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების მოსახლეობას. აქაურ ტომთა აღმოცენებაში სკვითებისათვის ჩვეული იარაღი იწყებს გამოჩენას. ამას გარდა, გაცხოველდა ურთიერთობა როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის

ქვეყნებთან. შემდეგ ზოგიერთი სკვითურ-კიმერიული ტომი სულაც შეერწყა ქართველ ტომებს. ამან გარკვეული კვალი დასტოვა ქართული ენის ლექსიკაში, სადაც გზა გაიკვლია არა ერთმა ჩრდილო-ირანული წარმოშობის სიტყვამ თუ ადამიანის სახელმა.

სკვითებმა და კიმერიელებმა დიდი როლი ითამაშეს მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში პოლიტიკური ვითარების შეცვლაში. მათ ხელი შეუწყეს ზოგიერთი გაერთიანების გაძლიერებას, ხოლო ზოგიერთის დაკნინებასა-ღასუსტებას.

სკვითებისა და კიმერიელების რაზმებთან კავშირი და მათი საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება საშუალებას აძლევდა სამხრეთის სახელმწიფოებს, მაგალითად ურარტუს, აგრეთვე მის მეზობლად, ურმიის ტბის მიდამოებში მყოფ მანას და სხვ., თავზარი დაეცა თავიანთი მტრებისათვის. შესაძლოა, ამავე გარემოებამ გარკვეული როლი ითამაშა მდ. ჭოროხის სათავეებში, ისტორიული სპერის ოლქში მცხოვრები ქართველი ტომების დაწინაურებაში.

სასპერეგების გაერთიანების გაძლიერება

VII საუკუნის მეორე ნახევარში ამ ადგილებში მოსახლე ქართველი ტომების მეთაურობით ყალიბდება დიდი გაერთიანება, რომელსაც ძველი ბერძენი მწერლები, ქვეყნის სახელების მაწარმოებელი ქართული „სა“ თავსართით, „ს ა ს პ ე რ ე ბ ს“ უწოდებენ. ამ გაერთიანების გავლენა დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება — ბერძნები სასპერებს იხსენიებენ სპარსეთის, მიდიისა და კოლხეთის გვერდით, როგორც ერთ-ერთ იმ ოთხ ხალხთაგანს, რომლებიც ცხოვრობდნენ სპარსეთის ყურიდან მოყოლებული ვიდრე შავ ზღვამდე. ისინი ბატონობდნენ მთელ იმ ქვეყანაზე, რომელიც კოლხეთსა და მიდიას შორის იდო. ამ ახალი დიდი გაერთიანების გავლენის არეში უნდა მოხვედრილიყვნენ, სხვათა შორის, სამხრეთ საქართველოსა და მის მეზობელ ადგილებში მცხოვრები სკვითი ტომებიც. სასპერების გაერთიანებამ მათთან ერთად ენერგიულად შეუტია სამხრეთით არსებულ, ერთ დროს ძლევამოსილ, ახლა კი უკვე ღონემიხდილ ურარტუს სახელმწიფოს და მის განადგურებაშიც მიიღო მონაწილეობა.

ურარტუს სამეფოს დაცემა. სასპერების გაერთიანების გავლენის გავრცელება ურარტუს ჩრდილოეთ რაიონებზე

გაბატონებული კლასის სხვადასხვა წრეებს შორის ამტყდარმა ბრძოლამ საგრძნობლად დაასუსტა ურარტუს სახელმწიფო. ამას დაემატა რამდენიმე საგარეო მარცხიც. ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოს ურარტუ სასტიკად დამარცხდა ჯერ კიმერიელებისა და შემდეგ ასურელების მიერ. VII საუკუნეში მეტად გაძლიერდა ურარტუს მეზობლად, თანამედროვე სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მიდიის სამეფო. ამავე საუკუნის დასასრულს მიდია შეუკავშირდა ბაბილონეთის სახელმწიფოს და ორივემ ერთად ბოლო მოუღეს ასურეთის ერთ დროს ძლევამოსილ სახელმწიფოს. მიდიამ მალე შეიერთა მეზობელი მანას სამეფოც, ხოლო სულ მალე, VI საუკუნის დასაწყისში მიდიელებმა ურარტუს ცენტრალური რაიონებიც დაარბიეს და იქ თავისი ბატონობა დამყარეს.

მაგრამ ურარტელების ძალაუფლება, როგორც ვიცით, ჩრდილოეთით ძალზე შორს ვრცელდებოდა. კერძოდ, არარატის ველზე ურარტელებს აგებული

ჰქონდათ მრავალი ციხე-ქალაქი, რომლებშიც მათი ჯარი იყო ჩაყენებული. ერთი ასეთი ციხე-ქალაქი, რომელიც დღევანდელი ერევნის განაპირას მდებარე გორაკზე (კარმირ-ბლურის გორაკზე) და მის მიდამოებში ყოფილა, გათხარეს საბჭოთა არქეოლოგებმა. გამოირკვა, რომ ამ ციხე-ქალაქს თეიშებაინი (ღვთაება თეიშებას ქალაქი) რქმევია. ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში იგი დაურბევიათ და გადაუწვავთ შემოსეულ მტრებს, რომლებიც ე. წ. სკვითური ტიპის ისრისპირებით ყოფილან შეიარაღებული. გადის მას შემდეგ მცირე ხანი და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ადგილები უკვე სასპერების გაერთიანების გავლენის არეში არიან მოქცეული. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ურარტელთა ბატონობისათვის სწორედ სასპერებს მოუღიათ ბოლო, შესაძლებელია, ამიერკავკასიის სხვა ტომებსა და ამ ადგილებში მოსახლე სკვითებთან ერთად.

ამ ადგილების უძველესი მოსახლეობა მოდგმით ურარტელებს უახლოვდებოდა. ქართველ ტომთა პოლიტიკური გავლენის ამ მხარეზე გავრცელებამ დასაბამი მისცა ურარტელი ტომების ერთი ნაკადის გათქვეფას ქართველ ტომებში. მათ დაკარგეს საკუთარი ენა და ტომობრივობის სხვა ნიშნები და შეივიდნენ ქართველი ხალხის შემადგენლობაში, მაგრამ თავისი ეხრითაც ზოგი წვლილი შეიტანეს მერმინდელი ქართველი ხალხის ენასა და კულტურაში. ასე მაგალითად, ხალხში ფართოდ გავრცელებულ ქართულ სიმღერათა მისამღერებში ხშირად იჩენს თავს გაუგებარი სიტყვები, რომლებიც, როგორც ირკვევა, ურარტული სიტყვები ყოფილა. ასეთი მისამღერებია: „ივრი არალე“, „თარი არალე“, „არი არალე“. „არალე“ ძველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული სახელი იყო მოსავლის ღვთაებისა, ხოლო „ივრი“ ურარტულად ნიშნავს „მეუფეს“, „ბატონს“; „თარი“ — „ძლიერს“, „ძლევამოსილს“; „არი“ კი ასევე ურარტულად იქნება — „მოგვეც!“. ასე რომ ამ სიმღერებში შემორჩენილია წმინდა ურარტული შეძახილები ღვთაებისადმი: „მეუფეო არალე!“, „ძლევამოსილო არალე!“ და „მოგვეც (ღმერთო) არალე!“ ასევე ურარტული ენის მონაცემებით თუ აიხსნება ზოგიერთი, დღევანდელი ქართველისათვის თავისი შედგენილობით სრულიად გაუგებარი არა ერთი სხვა გამოთქმაც; მაგალითად: „ყირა მა/ლა“, „თავდა ყირა“, „ყირაზე გადასვლა“ (ურარტულად ყირა (კირა) მიწას ნიშნავს), „შარშან“ (ურარტულად „შალიშან“ ნიშნავს „იქითა წელს“, „იმ წელს“) და სხვ.

ასეთი ელემენტები ქართულ ენაში უნდა შემოეტანათ სწორედ ურარტულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის იმ ჯგუფებს, რომლებიც შეერივნენ ქართველ ტომებს და ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდნენ.

სომეხი ტომების დიდ გაერთიანებათა ჩამოყალიბება

როგორც ზემოთ დავინახეთ, ურარტუს სამეფოს დამხობის შემდეგ მის ჩრდილოეთ რაიონებში პირველობას ქართველი ტომები იგდებენ ხელთ.

იმავე დროს ურარტუს დასავლეთ რაიონებში მოთავეობას იწყებენ ქართველ ტომთა ძველისძველი მეზობლები — ს ო მ ე ხ ი ტ ო მ ე ბ ი. ხაიასა-სომხის ქვეყნებიდან ისინი ვრცელდებიან სამხრეთითა და აღმოსავლეთით; სომხურ გაერთიანებათა ბატონობის არეში ექცევა დიდი ტერიტორია, სადაც ძველად ხურიტი და ურარტელი ტომები ცხოვრობდნენ, და აგრეთვე ბევრი ისეთი ადგილი, სადაც ადრე ჩრდილოეთიდან შემოსეული

სკვითი და კიმერიელი ტომები დასახლებულიყვნენ. შემდეგ ამ ტომების მნიშვნელოვანი ნაწილი შეერწყა სომეხ ტომებს და სომეხი ხალხის შემადგენლობაში შევიდა. ამ გარემოებამ თავისი კვალი დაამჩნია სომხურ ენას: მასში გზა გაიკვლია ბევრმა ხურიტულმა, ურარტულმა და სხვ. სიტყვამ. სომეხი ხალხის კულტურაშიც ბევრი რამ შევიდა ძველი ხურიტული და ურარტული კულტურიდან.

ქართველი ტომების დამოკიდებულება მიდიისა და სპარსეთის სახელმწიფოებთან

ქართველი და სომეხი ტომების გაერთიანებანი ებრძოდნენ მიდიის სამეფოს. რომელიც ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის პირველ ნახევარში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა წინა აზიაში. მაგრამ VI საუკუნის შუა ხანებში გაძლიერდა მიდიის სამხრეთით მდებარე სპარსეთის სამეფო, რომლის მეფემ კიროსმა დაიპყრო მრავალი ქვეყანა და მათ შორის თვით მიდიაც. სპარსელებმა მალე სომეხი ტომები და აგრეთვე ზოგიერთი, შედარებით სამხრეთით მცხოვრები, ქართველი ტომი დაიმორჩილეს.

დამორჩილებულ ხალხებსა და ტომებს სპარსელებმა ხარკი და ლაშქრის გამოყვანა დააკისრეს. თავიანთი დიდი სამეფო მათ ოლქებად ანუ „სატრაპიებად“ დაჰყვეს, რომელთაც განაგებდნენ მეფის მოხელეები — „სატრაპები“. სასპერები, მატიენებთან და ალაროდიებთან ერთად, მეთვრამეტე სატრაპიაში იყვნენ მოქცეული. მეცხრამეტე სატრაპიაში კი, რომელშიც გაერთიანებული იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მცხოვრები მოსახლეობა, შედიოდნენ: მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მარები.

უფრო ჩრდილოეთით მცხოვრები ქართველი ტომების უშუალოდ შეყვანა თავისი სამეფოს ფარგლებში სპარსელებმა ვერ შეძლეს. ამ დროს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდნენ დიდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები, რომელთა ენერგიული წინააღმდეგობის დაძლევა სპარსეთის მეფეებმა, ეტყობა, ვერ მოახერხეს.

§ 6. ხელოვნების განვითარება ბრინჯაოს მეტალურგიის ხანაში. ცვლილება რელიგიურ წარმოდგენებში

ხელოვნების განვითარება

ხელოვნების უძველესი ნიმუშები, როგორც ამის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, ჩვენ უკვე ქვის ხანიდან გვაქვს. მომდევნო პერიოდში, განსაკუთრებით ბრინჯაოს ხანის აყვავების ჟამს, ხელოვნება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებში საგრძნობ განვითარებას აღწევს.

ე. წ. შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენამდე მოაღწია იმდროინდელი ხელოვნების ბევრმა შესანიშნავმა ქმნილებამ. ასეთებია, მაგალითად, თრიალეთში (წალკის რაიონი) შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანულ სამარხებში ნაპოვნი ოქროს პატარა სასმისი, ვერცხლის პატარა და

დიდი სასმისები. ოქროს სასმისის ზედაპირი უხვადაა შემკული ოქროსივე მარცვლოვანი, წვრილგრეხილოვანი სახეებითა და ფირუზისა და სარდიონის ცისფერი და წითელი თვლებით. ვერცხლის პატარა სასმისის კედლები მთლიანად დაფარულია ჭედური გამოსახულებებით — აქ ხეებს შორის გამოსახულია სხვადასხვა პირუტყვი: ირმები, შვლები, ქურციკები, მელიები, თხები, ტახი და ხარი, რომელთაგანაც ზოგიერთს მკერდში ისარი შერჭობია. ვერცხლის დიდ სასმისზე კი გამოსახულია რთული სარიტუალო სცენა, რომლის მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ ამ ადგილების იმდროინდელი მოსახლეობის ზოგი რელიგიური წარმოდგენის შესახებ. აქვე არქეოლოგებმა იპოვეს მაღალი მხატვრული გემოვნებით შესრულებული ლითონისა და რთული ფერადი სახეებით მოხატული თიხის ჭურჭელი.

გვიანი ბრინჯაოს ხანაში საქართველოს მატერიალური კულტურა განსაკუთრებით თავისებურ იერს ატარებს. ყალიბდება ლითონის (საომარი, სამუშაო თუ საყოფაცხოვრებო) ნივთების მკვეთრად ჩამოყალიბებული სახეები, რომლებიც ფორმის მიხედვით დიდ სრულყოფას აღწევენ. ეს პერიოდი განსაკუთრებით ბრწყინვალე ხანაა საქართველოს მატერიალური კულტურის განვითარებაში. როგორც ლითონის, ისე თიხის ნაწარმი ხშირად შემკულია მეტად რთული და მაღალი მხატვრული გემოვნებით შესრულებული ორნამენტით. ზოგიერთ ასეთ ნივთზე (მაგალითად, ბრინჯაოს ცულებზე და სხვ.) ზღაპრული ცხოველებიცაა გამოსახული. საკუთრივ მხატვრულ ნაკეთობათაგან შეიძლება, პირველ ყოვლისა, დავასახელოთ სხვადასხვა გამოსახულებებით დამშვენებული სარტყლები და მათი ბალთები. ბრინჯაოს თხელი ფურცლებისაგან გაკეთებულ ფართო სარტყლებზე, რომლებიც უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა ნაპოვნი, გამოსახულია ძირითადად ნადირობის სცენები. ცხოველებს აქაც ხშირად ზღაპრული, არაბუნებრივი სახე აქვთ, ტანზეც ზოგ მათგანს მზე ან სხვა მნათობი ახატია, რაც იმაზე ლაპარაკობს, რომ ამ გამოსახულებებს შეიძლება ზოგჯერ რელიგიური ხასიათი ჰქონდათ. ასევე ხელოვნების შესანიშნავ ძეგლებს წარმოადგენენ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული სარტყლის ბალთები, რომლებზედაც აგრეთვე ცხოველები (ირემი, ცხენი, ძაღლი) არის გამოსახული.

ამავე ხანიდან ჩვენამდე მოაღწია ბრინჯაოსაგან გაკეთებულმა ცალკეულმა, საკმაოდ მაღალი ხელოვნებით შესრულებულმა ქანდაკებებმაც.

ამ დროის მონუმენტური ხელოვნების ნიმუშებს, სხვათა შორის, წარმოადგენს ზოგიერთი ის ციკლოპური ციხე-ქალაქი, რომლის ნაშთებსაც ჩვენ ვხვდებით საქართველოს ცალკეულ, უმეტეს წილად სამხრეთის, რაიონებში.

რელიგიური წარმოდგენები. უძველესი სარწმუნოებრივი თქმულებანი

გარკვეული გარდატეხა მოხდა იმდროინდელი მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენებშიც. თუ სულ ძველად რელიგიაში უმთავრესი ადგილი საგნების ან ცხოველების გაღმერთებას ეკავა, ახლა უკვე წამყვანი ადგილი დაიკავა ბუნების ძალების გაღმერთებამ. თაყვანისცემის საგანი შეიქნენ, კერძოდ, მნათობებიც — მზე, მთვარე, ვარსკვლავები. დიდი ხვედრითი წონა უნდა მოეპოვებინა ნაყოფიერების იდეის გამომხატველ ღვთაებებს და ამასთან დაკავშირებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს.

ყველა ტომს თავისი საკუთარი მფარველი ღვთაება ჰყავდა. მაგრამ, ისევე როგორც ყალიბდებოდა ერთგვაროვანი ნივთიერი კულტურის დიდი არეები, ასევე თანდათან დიდ ტომთა კავშირების ფარგლებში და მათ მეზობლადაც ხდებოდა რელიგიური წარმოდგენების შერწყმა. ყალიბდებოდა აგრეთვე ღვთაებათა საერთო პანთეონი. რა თქმა უნდა, რაც რამ საერთო იყო იმდროინდელ ტომთა სარწმუნოებაში, ყველაფერი როდი იყო ამ ტომთა დაახლოების შედეგი, არამედ ზოგი რამ მათი საერთო წარმოშობის შედეგი იყო, მათი საერთო წინაპარი ტომებისაგან მიღებულ მემკვიდრეობას წარმოადგენდა.

რთულდება სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებებიც. ღმერთების პატივსაცემად, მათი გულის მოსაგებად, იმდროინდელი მოსახლეობა, ეტყობა, მრავალ სხვადასხვა რელიგიურ წესს ასრულებდა. თრიალეთში აღმოჩენილ შუა ბრინჯაოს ხანის ვერცხლის დიდ სასმისზე გამოსახულია ერთი ასეთი სარწმუნოებრივი ცერემონია, მიძღვნილი, შესაძლებელია, ნაყოფიერების ღვთაებისადმი: სასმისის ზედა ნაწილზე გამოსახულია ტახტზე მჯდომარე ადამიანისებრი არსება, რომელსაც ხელში სასმისი უჭირავს. მის უკან ხე დგას, ხოლო წინ — სამსხვერპლო, რომლის აქეთ-იქით ორი მხეცია გამოსახული. ტახტზე მჯდომისაკენ მიემართება მისივე მსგავსი არსებების პროცესია; ამ უკანასკნელთაც ხელში სასმისები უჭირავთ. ყველა ისინი ერთნაირად არიან ჩაცმული, სახეზე თითქოს ნიღბები აქვთ აფარებული, ხოლო უკან ნადირის კუდები ჰკიდიათ. სასმისის ქვედა ნაწილზე კი ირმების მსვლელობაა გამოხატული.

ამ ძველ დროს ქართველ ტომებს, რა თქმა უნდა, უკვე ჰქონდათ მრავალი სხვადასხვა მითიური და ეპიკური თქმულება, სადაც, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა ხალხის ამგვარ თქმულებებში, დიდი ადგილი ეკავა კეთილი გმირის ბოროტ ძალებთან ბრძოლის მოტივს. კერძოდ, უკვე ამ დროს ქართველ ტომებში გავრცელებული უნდა ყოფილიყო მრავალი სხვადასხვა თქმულება, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ცნობილი ძველი ქართული **ეპოსი ამირანის შესახებ.** საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ, უკვე ბრინჯაოს ხანის ზოგიერთ ნივთზე (მაგალითად, შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანულ სამარხებში ნაპოვნი ვერცხლის სარწყული და ვერცხლის თასი, სამთავროში (მცხეთა) ნაპოვნი გვიანბრინჯაოს ხანის სარტყელი, სტეფანწმიდაში აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის მცირე ქანდაკებები) მოცემულ გამოსახულებებში მეცნიერები არჩევენ ამირანის ეპოსის ცალკეულ მოტივებს.

ამირანის ეპოსი მოგვითხრობს კეთილი გმირთა გმირის ამირანის ბრძოლას ბოროტ არსებებთან და ამირანის მიერ ამ არსებათა დამარცხებას. გმირთა გმირი ამირანი ნახევრად ღმერთია და ნახევრად ადამიანი. მისი მამა ადამიანია, ხოლო დედა კი ღვთაება — მონადირეობის ქალღმერთი დალი. ბოროტ სულებთან ამირანის ბრძოლის მოტივს გარდა ეპოსში დიდი ადგილი უკავია ამირანის მიერ „ღრუბელთ-მეუფის“ — როგორც ჩანს, ცის, ჰექა-ქუხილის ღვთაების — ქალის, მზეთუნახავ ყამარის მოტაცების ამბავს. ყამარის მამა თავისი ღვთიური ლაშქრით დაედევნება ამირანს, მაგრამ დამარცხდება ამირანთან ბრძოლაში. ამირანი ამ გამარჯვებას თვით ყამარის დახმარებით აღწევს. თქმულება იმ სახით, როგორც ჩვენამდეა მოღწეული, თავდება

ღმერთის მიერ ამირანის კლდეზე მიჯაჭვის ამბით. ღმერთმა ამირანი ასე იმიტომ დასაჯა, რომ თავისი ძალითა და გამარჯვებით გაამაყებულმა ამირანმა ღმერთთან შებრძოლებაც კი მოინდომა...

ამირანის ეპოსმა დროთა განმავლობაში მრავალგზის სახეცვლა განიცადა. მასში ბევრი სხვადასხვა დროის ფენაა, მაგრამ, როგორც ვთქვით, თქმულებანი, რომლებიც ამ ეპოსის ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად, უეჭველია, უკვე ძალიან ძველ დროს, უკვე ბრინჯაოს კულტურის ხანაში უნდა ყოფილიყო გავრცელებული ქართველ ტომებში.

თ ა ვ ი III

პირველ სახელმწიფოთა წარმოქმნა აწინდელი საქართველოს ტერიტორიაზე

§ 1. დასავლეთი საქართველო. კოლხეთის სამეფოს არსებობის ხანაში (ძვ. წ. VI-III სს.)

კოლხეთის სამეფო. მისი მიწა-წყალი. სპარსეთთან ურთიერთობა

ძვ. წ. VI საუკუნეში და მომდევნო ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი დიდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, რომლის დამორჩილებაც სპარსეთის მეფეებმა ვერ შეძლეს, კ ო ლ ხ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო იყო. იგი თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა.

კოლხეთის სამეფო ძველი კულხას მემკვიდრე იყო. ოღონდ თუ VIII—VII საუკუნეების კულხას ცენტრი სამხრეთში იყო — შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროების რაიონში მდებარეობდა, შემდეგ. VI საუკუნიდან ამ ცენტრმა უკვე ჩრდილოეთით, თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოინაცვლა. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ უკვე VII საუკუნეში ჩამოყალიბდა სასპერების დიდი გაერთიანება, რომლის ცენტრიც სპერის ოლქში (მდ. ჭოროხის სათავეებში) იყო. ეს ვერ მოხდებოდა კულხას პოზიციების შერყევის გარეშე, რადგან ცოტა უფრო ადრე აქ სწორედ კულხა იყო გაბატონებული. შემდეგ ეს ადგილები ჯერ მიდიელებისა და მერე სპარსელების თარეშის სარბიელად იქცა. ამანაც შეუწყო ხელი, რომ კულხას, ე. ი. კოლხეთის დიდი გაერთიანების ცენტრს, ჩრდილოეთით გადაენაცვლებინა ადგილი.

სწორედ კოლხეთის ეს სამეფო ვერ დაიქვემდებარეს სპარსელებმა იმგვარად, როგორც. მათ დაიმორჩილეს სამხრეთის ქართული გაერთიანებანი (სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და სხვ.). სპარსეთის მეფეებმა ვერ შეიყვანეს კოლხეთი თავის სამეფოს შემადგენლობაში, ვერ დანიშნეს აქ თავისი მმართველი და ა. შ. მიუხედავად ამისა, კოლხეთის სამეფო პირველ ხანებში, ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის პირველ ნახევარში, მაინც იძულებული შეიქნა გარკვეული ვალდებულება ეკისრა სპარსეთის მიმართ: კოლხები დროდადრო, 5 წელიწადში ერთხელ, სპარსეთის სა-

მეფო კარს უგზავნიდნენ მონებს — 100 ბიჭსა და 100 გოგოს, თან მაშველი ჯარიც გამოჰყავდათ ხოლმე სპარსელების მხარეზე. მაგალითად, როდესაც სპარსეთის მეფე ქსერქსემ ძვ. წ. 480 წელს საბერძნეთზე გაილაშქრა, მის ჯარში მოსხებთან, ტიბარენებთან, მაკრონებთან, მოსინიკებთან, მარებთან და სასპერებთან ერთად იმყოფებოდნენ კოლხებიც.

V საუკუნის მეორე ნახევარში კოლხეთის სამეფოს სამხრეთით მცხოვრები ბევრი ქართველი ტომიც განთავისუფლდა სპარსელების მორჩილებისაგან. განთავისუფლდნენ, სხვათა შორის, მაკრონები, მოსინიკები, ტიბარენები, ხალდები, ხალიბები და სხვ. რა თქმა უნდა, ამ დროს სპარსეთისადმი ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან თავს დაღწევდა აგრეთვე უფრო ჩრდილოეთით მდებარე კოლხეთის სამეფოს მოსახლეობა.

კოლხეთის დიდმა სამეფომ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის სახით იარსება ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო ახლად წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს გავლენის არეში მოექცა.

საბეურნეო ცხოვრების განვითარება დასავლეთ საქართველოში კოლხეთის სამეფოს არსებობის ხანაში

ამ ხანაში დასავლეთ საქართველოში სამუშაო თუ საბრძოლო იარაღი უკვე უმთავრესად რკინისაგან კეთდებოდა. ამან ძლიერ აამაღლა შრომის ნაყოფიერება და მეურნეობის საგრძნობ დაწინაურებას შეუწყო ხელი.

მიწათმოქმედებაში, რომელიც დასავლეთ საქართველოს ბარის მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენდა, ამ დროს უკვე იყენებენ რკინის სახნისს, რასაც მემინდვრეობის მკვეთრი დაწინაურება მოსდევს შედეგად.

პურეულის გარდა დასავლეთ საქართველოში ძლიერ ფართოდ ვრცელდება ბოჭკოვანი სართავი მცენარეების, კერძოდ სელისა და კანაფის, მოყვანა. კიდევ უფრო ვითარდება მებაღეობა და მევენახეობა.

მთაშიცა და ბარადაც ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე მესაქონლეობა. თუმცა იგი მეურნეობის უმთავრეს დარგს მხოლოდ მთიანეთის მოსახლეობისათვის წარმოადგენს. მთა ადგილებში შინაური პირუტყვიდან დიდ მნიშვნელობას იძენს ცხვარი, თხა, ძროხა, ხარი, ცხენი, მწყემსური მესაქონლეობისათვის საჭირო ძაღლი, ბარში კი უმთავრესად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, აგრეთვე ღორი. მთაშიცა და ბარშიც ვითარდება მეფუტკრეობა.

შემდგომ განვითარებას აღწევს ხელოსნობის მრავალი დარგი. ხელოსნობის ის ნაწარმი, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, იმდენად გაწაფული ხელითაა ნაკეთები, რომ, უეჭველია, დაოსტატებული ხელოსნების მიერაა ნაკეთები. ეს ითქმის როგორც ლითონის, ისე თიხის (კერამიკულ) ნაწარმზე. პროფესიონალი ხელოსნების არსებობას მოწმობს, მაგალითად, ისიც, რომ დაბლაგომში (სამტრედიის რაიონი) ნაპოვნ იმდროინდელ ქვევრებს ცალკეული ხელოსნებისა თუ სახელოსნოების დამღა-ნიშნებიც კი აზის, რომლებიც გამოწვამდეა მასზე ამოჭრილი.

ასევე პროფესიული ხელოსნობის დარგად არის გამოყოფილი სელის წარმოებაც. კოლხური სელის ქსოვილი მთელ იმდროინდელ მსოფლიოში განთქ-

მული იყო. უკვე დიდი ხანი იყო, აქ საქსოვ დაზგას ხმარობდნენ. გავრცელებული იყო მეტად წმინდა ქსოვილი, რომელიც უკვე ძალზე რთული საქსოვ დაზგის გამოყენებას მოწმობს.

ამას გარდა აქ ბევრი სხვა დარგის ხელოსნობაც უნდა ყოფილიყო განვითარებული (ლითონების, კერძოდ ძვირფასი ლითონების, დამუშავება, დურგლობა და სხვ.).

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ასეთ გაღრმავებას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია აღებ-მიცემის გაცხოველება. ამას, თავის მხრივ, დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ სანაპიროებზე ბერძნების ახალშენთა გაჩენამ.

ბერძნული ახალშენები კოლხეთში და მათი მნიშვნელობა ძვ. ეგნის სოციალ-ეკონომიური განვითარებისათვის

ბერძნებმა ადრიდანვე დაამყარეს სავაჭრო ურთიერთობა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ტომებთან. ამან შეუმზადა ნიადაგი აქ ბერძნული ახალშენების დაარსებას. ბერძნებს აქეთ იზიდავდა დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრე და, აგრეთვე, მონების მოპოვების შესაძლებლობა. ყოველივე ამას ისინი ადგილობრივ ტომებისაგან იძენდნენ.

შავი ზღვის პირას პირველი ბერძნული ახალშენები უკვე ძვ. წ. VIII საუკუნეში ჩნდება. VII—VI საუკუნეებში კოლხეთის სანაპიროზე გაჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი ახალშენები, როგორიც იყო ტრაპეზუნტი, კერასუნტი, ფაზისი (ახლანდელი ფოთი), დიოსკურია (ახლანდელი სუხუმი), და ცოტა მოგვიანებით აგრეთვე, პიტიუნტი (ახლანდელი ბიჭვინტა) და სხვა.

ეს ახალშენები ჩვეულებრივ ადგილობრივ უკვე არსებულ სამოსახლოთა ადგილას ან მათ მეზობლად ეწყობოდა. ამიტომ კოლხეთის სანაპიროზე არსებული ბევრი ამ ახალშენის მოსახლეობა ძველიდანვე ნარევი იყო: მოსულ უცხოელებს, ბერძნებს, გარდა, მასში მრავლად შედიოდნენ ადგილობრივი მკვიდრნიც. ამასთანავე, ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წონა დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მატულობდა.

გარდა უცხოეთში გასაზიდად განკუთვნილი საქონლისა, ადგილობრივი მოსახლეობა ბერძნულ ახალშენებს აწვდიდა მათი მოსახლეობის არსებობისათვის საჭირო სურსათსაც. აქაური ბერძნებს შორის იყვნენ საამისოდ გამოყოფილი პირები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ვაჭრობას აწარმოებდნენ. მათ ადგილობრივი მოსახლეობის ენაც იცოდნენ.

ბერძნებს კოლხეთიდან გაჰქონდათ ხე-ტყე, სელის, ლითონის ნაწარმი და სხვ., გაჰყავდათ მონებიც. ბერძნულ მწერლობაში არა ერთგზის იხსენიებიან აქაური წარმოშობის მონები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ამბავი, რომელსაც მოგვითხრობს ძველი ბერძენი მწერალი ქსენოფონტე. ქსენოფონტემ სამხრეთ საქართველოზე გაიარა ძვ. წ. 401 წ. სპარსელების მიერ დაქირავებულ ბერძენთა ათიათასიან ლაშქართან ერთად. როდესაც ბერძნები მიუახლოვდნენ მდინარეს, რომლის გაღმაც იწყებოდა ერთ-ერთი ქართველი ტომის — მაკრონების ქვეყანა, მაკრონები თურმე ჩამწკრივდნენ გაღმა ნაპირზე. ქვა დაუშინეს ბერძნებს და თან შეძახილებით ამხნევებდნენ ერთიმეორეს. ერთ-ერთ ჯარისკაცს, უწინ საბერძნეთის ქალაქ ათენში მონად ნამყოფს, გაუ-

გია მათი ლაპარაკი და მიმხვდარა, რომ წარმოშობით თვითონაც მაკრონი უნდა ყოფილიყო. ეტყობა, იგი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ჩავარდნილა ტყვედ, მიუყიდიათ ბერძენ მოახალშენეებისათვის, ხოლო მათი მეშვეობით ათენში მოხვედრილა.

ბერძნული ახალშენების გზით დასავლეთ საქართველოში შემოდიოდა უმთავრესად ფუფუნების საგნები — ძვირფასი (შავლაკიანი და სხვ.) თიხის ჭურჭელი, ღვინო, ნელსაცხებლები, ზეთი და სხვ. მათი შემძენი უმთავრესად ადგილობრივი საზოგადოების ზედაფენა იყო.

ბერძნული ახალშენები მონათმფლობელური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდნენ, მათი მოსახლეობა, უეჭველია, ფართოდ იყენებდა მონურ შრომას. ამასთანავე, როგორც ითქვა, მონები ამ ახალშენთა მეშვეობით უცხოეთშიც გაჰყავდათ.

ბერძნული ახალშენები დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის სანაპიროზე იმ დროს გაჩნდა, როდესაც აქ არსებობდა დიდი და ძლიერი კოლხეთის სამეფო. ამიტომ მათ ვერ შეძლეს აქ მაინცადამაინც მნიშვნელოვანი როლის თამაში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კოლხეთის სამეფოს გავლენის სფეროში მყოფ ტერიტორიაზე მდებარე ახალშენები ამ დიდი პოლიტიკური ერთეულის სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამ მხრივ კი მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ კოლხეთის სოციალ-ეკონომიურ განვითარებაში — დიდად შეუწყეს ხელი აღებ-მიცემის გაცხოველებასა და ამასთან დაკავშირებული სოციალური მოვლენების გაღრმავებას (ქონებრივი უთანასწორობის შემდგომი გაღრმავება, სასოფლო თემის რღვევა და სხვ.).

ადგილობრივი ქალაქური ტიპის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების შექმნა დასავლეთ საქართველოში

კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე ამ დროს არსებობდა აგრეთვე ადგილობრივი ქალაქები — სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები. ისინი უმთავრესად მდინარეების, კერძოდ მდ. რიონის, სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდნენ. ამგვარი პუნქტები ყოფილა, მაგალითად, იქ, სადაც ამჟამად დაბა (რაიონის ცენტრი) ვანი და სოფელი დაბლაგომია (ეს უკანასკნელი სამტრედიის რაიონშია). აქ არქეოლოგებმა გამოაღლინეს თავდაცვითი ნაგებობებისა და კრამიტით დახურულ ქალაქურ შენობათა ნაშთები; ჩანს პროფესიონალური ხელოსნობის განვითარება, მრავლადაა ნაპოვნი მონეტები და სხვ. იქვე საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა უცხოური საფუფუნებო საგნები — შავლაკიანი ჭურჭელი, საღვინე ჭურჭლეული და სხვ., რომელთა მომხმარებელიც ამ ქალაქების მდიდარი ზედაფენა უნდა ყოფილიყო.

სასაქონლო წარმოების განვითარება. ადგილობრივ მოჭრილი ფულის ცხოველი ტრიალი

იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში სასაქონლო წარმოებისა და აღებ-მიცემის განვითარების მაღალ დონეს მოასწავებს აგრეთვე ადგილობრივ მოჭრილი ვერცხლის მონეტების სიმრავლე, რაც თავის დროზე ფულის გაცხოველებულ ტრიალს გულისხმობს. ამ ფულს „კოლხურ თეთრს“ უწოდებენ. ისინი ათასობითაა ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, მის შიდა რაიონებშიც, ზღვის სანაპირო ზოლისაგან მოშორებით. დასავლეთ საქართველოს გარეთ კი მას ძალიან იშვიათად პოულობენ. ამ ფულის ერთ მხარეზე გამოსახულია

ადამიანის თავი, მეორე მხარეზე კი ცხოველის — ჩვეულებრივ ხარის — თავი. „კოლხური თეთრის“ ამ გამოსახულებებს მეცნიერები ახსნას ადგილობრივ, უძველეს რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებში უძებნიან.

„კოლხური თეთრი“ იჭრებოდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე, დაწყებული ძვ. წ. VI საუკუნიდან. მას, ალბათ, სწორედ იმ დიდი პოლიტიკური ერთეულის — კოლხეთის სამეფოს ხელისუფლები სჭრიდნენ, რომელიც, როგორც ვიცით, იმ ხანებში არსებობდა დასავლეთ საქართველოში. უეჭველია, რომ ეს უკანასკნელი უკვე სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა. ფულის ასეთი ინტენსიური ტრიალი უცხოა გვაროვნული საზოგადოებისათვის.

ფულის გაცხოველებული ტრიალი მოასწავებს სასაქონლო მეურნეობისა და აღებ-მიცემის განვითარების მაღალ დონესა და ვაჭართა ფენის არსებობას.

ქონებრივი და სოციალური უთანასწორობა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში

ქონებრივი უთანასწორობა დასავლეთ საქართველოს, მეტადრე მისი ბარის, მოსახლეობაში ამ დროს უკვე მეტად შორსაა წასული; იგი იგრძნობა არა მარტო ქალაქურ, არამედ სოფლის ტიპის დასახლებულ პუნქტებშიც. იმდროინდელ სამარხთა ერთი წყება თუ შიგ ჩატანებული ნივთების ღარიბულობით გამოირჩევა, მეორე წყებაში, პირიქით, ვხედავთ მდიდრულ ნივთებს, რომელთა შორის გვხვდება მაღალი მხატვრული გემოვნებით ნაკეთები უაღრესად ძვირფასი სამკაულები, ლითონის ჭურჭელი და სხვ. ეს იმას ნიშნავს, რომ სამარხებში დაკრძალულთ სიცოცხლეში ხელი მიუწვდებოდათ ფუფუნების საგნებზე და ისინი უეჭველად საზოგადოების ზედაფენას ეკუთვნოდნენ. ეს ზედაფენა იყო, როგორც უკვე ითქვა, მთავარი შემძენი და მომხმარებელი უცხოური თუ ადგილობრივი ფუფუნების საგნებისა. იგი, უეჭველია, იყენებდა მონების შრომასაც. მონებად უმთავრესად ტყვეები იყვნენ.

მონებს გარდა საზოგადოების ეს ზედაფენა ჩაგრავდა აგრეთვე თავისუფალ და ნახევრადთავისუფალ მიწისმოქმედთა ჯერ კიდევ მრავალრიცხოვან ფენას. მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებელთა ძირითად ნაწილს აქ ჯერ კიდევ წარმოადგენდნენ ეს თავისუფალი და ნახევრადთავისუფალი მიწისმოქმედნი, რომელნიც უმთავრესად კვლავ თემებად გაერთიანებული ცხოვრობდნენ. თუმცა თემი განუწყვეტლივ რღვევას განიცდიდა: მეთემეთა მცირე ნაწილი მდიდრდებოდა, უმეტესობა კი ღატაკდებოდა. მაგრამ პირველყოფილ-თემური წყობილების ტრადიციები ჯერ კიდევ ბევრ რამეში იჩენდა თავს.

დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყანაში სარწმუნოების მსახურნი — ქურუმები. კოლხეთის სამეფო ადრემონათმფლობელური სახელმწიფო იყო. ასე უწოდებენ ისეთ შედარებით განუვითარებელ კლასობრივ საზოგადოებას, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთები, მონათა რაოდენობა და მათი გამოყენების არე საკმაოდ შეზღუდულია და მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ძირითად მასას ჯერ კიდევ სასოფლო თემებში გაერთიანებული თავისუფალი თუ ნახევრადთავისუფალი მიწისმოქმედები შეადგენენ.

ვითარება კოლხეთის მთიან რაიონებში

საზოგადოებრივი განვითარების პროცესი ასე შორს იყო წასული უმთავრესად ბარის მოსახლეობაში, მაგრამ მთელი დასავლეთი საქართველოს მოსახლეობა როდი იდგა ამ მხრივ ერთ დონეზე. მთიელი ტომები უფრო ჩამორჩენილი იყვნენ. ისინი ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. დროდადრო კოლხეთის მეფეები ალბათ ახერხებდნენ მათ დამორჩილებას, მაგრამ ეს არ სცვლიდა ვითარებას. დასავლეთ საქართველოს ჩრდილო მთიანეთში მცხოვრები სვანები უფრო გვიანაც, მით უმეტეს ამ დროსაც, ჯერ კიდევ გვაროვნული საზოგადოების წესებით ცხოვრობდნენ: ჰყავდათ ბელადი, სატომო საბჭო და ა. შ.

პირველყოფილ-თემური წყობილება უჩანს აგრეთვე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მოსახლე ქართველ ტომთა უმეტესობას, თუმცა აქ მოსახლეობის ქონებრივი და საზოგადოებრივი დიფერენციაციის პროცესი უკვე საკმაოდ შორს იყო წასული. აქ მცხოვრები ტომების შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ძველმა ბერძენმა ისტორიკოსმა ქსენოფონტემ, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვით, ძვ. წ. 401 წ. გაიარა ამ ადგილებზე.

ეტყობა, ყველა ეს ტომი არ მდგარა განვითარების ერთსა და იმავე დონეზე. ზოგი მათგანი საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. მაგალითად, ქსენოფონტე ერთგან იხსენიებს „ხალხმრავალ, დიდ და მდიდარ ქალაქ“ გვიმნიასს, სხვაგან კი მოსახლეობას უფრო ჩამორჩენილს გვიხატავს. აქ არსებულ ტომთა მცირე გაერთიანებებს მუდმივი ბრძოლა ჰქონდათ ერთიმეორესთან, ამიტომ აქ, უწინდელივით, კვლავ გავრცელებული ყოფილა მცირედ გამაგრებული (დიდრონი ლოდებით გალავანშემოვლებული და სხვ.) სამოსახლოები, მაგრამ საერთო მტერს კი ეს ტომები ხშირად გაერთიანებული ძალით წინააღუდგებოდნენ ხოლმე.

იმ დროისათვის აქაურ ტომებს თავდადებული ბრძოლით სპარსეთისაგან დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ. თუ როგორი თავგანწირვით ებრძოდნენ ისინი მტრებს და მორჩილება-მონობას სიკვდილს ამჯობინებდნენ, კარგად ჩანს იმავე ქსენოფონტეს მიერ მოთხრობილი ერთი საინტერესო ამბიდან: 10.000 ბერძნისაგან შემდგარი ლაშქარი, რომელსაც ქსენოფონტე სარდლობდა, ამ ადგილებზე გავლისას გზადაგზა დაუნდობლად ძარცვავდა ადგილობრივ მოსახლეობას. როდესაც ერთ-ერთი აქაური ტომის, ტაოხების ადგილსამყოფელს მიაღწიეს, ტაოხებმა თავი შეაფარეს მაღლობ ადგილებზე აგებულ ციხე-სიმაგრეებს, სადაც თავი მოუყარეს აგრეთვე თავიანთ სანოვაგესა და პირუტყვს. ბერძნებმა დიდი გაჭირვებით მოახერხეს ერთ-ერთი ასეთი სიმაგრის აღება. მაშინო, გვიამბობს ქსენოფონტე, საშინელი სურათი გადაიშალა ჩვენს თვალწინ: ქალები კლდიდან ისროდნენ ბავშვებს და თვითონაც ვარდებოდნენ; ასევე იქცეოდნენ კაცებიც. ერთი ბერძენი დახარბებია ტაოხი კაცის ლამაზ ტანსაცმელს და ცდილა არ დაენებებინა მისთვის კლდეზე გადავარდნა, მაგრამ ამ უკანასკნელს დაუძლევია, ბერძენიც გადაუყოლებია თან უფსკრულში და ორივენი დაღუპულან. „აქაო, — დაასკვნის ქსენოფონტე, — ხალხი ძალიან ცოტა ვიგდეთ ხელთ, მაგრამ რქოსანი პირუტყვი, სახედარი და ცხვარი კი ბევრიო“.

§ 2. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა

აღმოსავლურ-ქართულ ტომთა გაერთიანებანი და სპარსეთის სახელმწიფო

სპარსეთის სახელმწიფომ ძვ. წ. VI საუკუნეშივე დაიმორჩილა სასპერების დიდი ქართული გაერთიანება, რომლის ცენტრიც სპერის ოლქში (მდ. ჭოროხის სათავეებში) იყო. აქაურ მოსახლეობას იმგვარივე ვალდებულება დააკისრეს, როგორიც სხვა დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობას — ხარკის გადახდა და საჭიროების ჟამს ლაშქრის გამოყვანა. უეჭველია, რომ აქ ჩაყენებული იქნებოდა სპარსული ჯარიც და ისხდებოდნენ სპარსელი მოხელეები, რომლებიც ალბათ პიტიახშების ტიტულს ატარებდნენ. ასე ეძახდნენ სანაპირო ოლქების მმართველ მოხელეებს.

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით თუ რამდენად შორს ვრცელდებოდა ჩრდილოეთით სპარსელების ბატონობა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო მხარეთა მოსახლეობას დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებია. აღმოსავლეთ საქართველოს ამ ნაწილში იყო მცხეთაც, რომელიც შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქად იქცა.

ძველი ბერძნები და რომაელები აღმოსავლეთ საქართველოს იბერიას ეძახდნენ. ეს სახელი „სასპერი“ სახელის სახეცვლილებას უნდა წარმოადგენდეს. ერთ ბერძენ მწერალს, პლუტარქეს შემონახული აქვს ცნობა, რომ „იბერები არც მიდიელებს ემორჩილებოდნენ და არც სპარსელებს“. აქ სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს და საერთოდ აღმოსავლურ-ქართული ტომებით დასახლებული ტერიტორიის ჩრდილო მხარე უნდა იგულისხმებოდეს, რომელზედაც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ.

აღებ-მიცემის გაცხოველება

სპარსეთის მძლავრმა სახელმწიფომ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა აღმოსავლურ-ქართული ტომების სამხრეთული გაერთიანება — სასპერები, ორ საუკუნეზე მეტ ხანს იარსება, ძვ. წ. VI საუკუნიდან ვიდრე IV საუკუნის 30-იან წლებამდე, როდესაც იგი განადგურებულ იქნა ბერძენ-მაკედონელთა არმიების მიერ, ალექსანდრე მაკედონელის მეთაურობით რომ შეესიენ აზიას.

სპარსეთის იმპერია ამ დროს ერთგვარად მსოფლიო სახელმწიფო იყო, მას ეპყრა ძალზე ვრცელი მიწა-წყალი: ირანი, მესოპოტამია, მცირე აზია, სირია-პალესტინა, ეგვიპტე და სხვა. ასეთი დიდი იმპერიის შექმნამ ძლიერ შეუწყო ხელი იმპერიაში შემავალ ქვეყნებში აღებ-მიცემის განვითარებას. ცენტრალურმა ხელისუფლებამ წესრიგი შეიტანა ფულის მოჭრის საქმეშიც. იჭრებოდა ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტა, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა იმპერიის ტერიტორიაზე.

ყოველივე ეს, უეჭველია, დაჩქარებდა საზოგადოებრივი განვითარების პროცესს იმ აღმოსავლურ-ქართულ ტომებშიც, რომლებიც სპარსეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ ანდა ამ სამეფოს მეზობლად ცხოვრობდნენ.

ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის გაღრმავება აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში

საწარმოო ძალთა განვითარებამ, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებამ და აღებ-მიცემის მკვეთრმა გაცხოველებამ გამოიწვია ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის გაღრმავება აღმოსავლურ-ქართული ტომების იმ ჯგუფშიც, რომელიც სპარსეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და იმაშიც, რომელმაც სპარსელების მიმართ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

აღმოსავლეთ საქართველოში რამდენსამე ადგილას არის არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი იმდროინდელ შეძლებულ-წარჩინებულ ადამიანთა სამარხები. ამ სამარხებში ნაპოვნი ნივთებით ჩანს, თუ რა სიმდიდრეს მოუყრია თავი ხალხის მასიდან ჭამოყოფილი ზედაფენის წარმომადგენელთა ხელში.

ქსნის ხეობაში, ახლანდელი ლენინგორის რაიონის სოფ. საძეგურთან აღმოჩნდა მრავალი ძვირფასი ნივთი, რომლებიც წარჩინებული ქალის სამარხს უნდა ეკუთვნოდეს. ეს ნივთები მოწმობენ, რომ მიცვალებული ნამდვილი დიდკაცური ფუფუნებით დაუმარხავთ. მისთვის ჩაუტანებიათ ოქრომჭედლობის მრავალი შესანიშნავი ქმნილება-სამკაული (ოქროს წყვილი სამაჯური, ყელსაბამები, ბეჭდები, საფეთქლის სამკაულები, საყურეები და სხვ.), ჭურჭელი, ცხენის აკაზმულობის ნაწილები: სარდიონის, მთის ბროლის, გიშრისა და ქარვის მძივები. ასეთი მდიდრული სამარხის მეზობლად კი არქეოლოგებმა მრავლად გამოავლინეს ნაშთები ღარიბთა სამარხებისა, რომლებიც თითქმის არაფერს არ შეიცავდნენ.

სოფ. საძეგურის მდიდრული სამარხის მსგავსი და იმავდროული სამარხები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებშიაც, მაგალითად, სოფ. ყაზბეგში და სოფ. წინწყაროსთან (თეთრიწყაროს რაიონში).

აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე და მის მეზობლად ამ დროს არსებობდა რამდენიმე დიდი გაერთიანება, რომლებიც გამუდმებით ეომებოდნენ ერთიმეორეს. ამ ომიანობის შედეგად გამარჯვებულებს დავლად სხვა ქონებასთან ერთად ხელთ უვარდებოდათ ტყვეებიც, რომელთაც საზოგადოების გამდიდრებული ზედაფენა მონებად იყენებდა. მაგრამ, ამასთანავე, განვითარების ის მაღალი დონე, რომლის პირობებშიც ასეთი ომიანობა მიმდინარეობდა, ხელსაყრელ ვითარებას ჰქმნიდა იმისათვის, რომ ასეთი გაერთიანებანი სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად ქცეულიყვნენ.

ბრძოლა ქართველი ტომების სხვადასხვა გაერთიანებათა შორის. ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნა დედაქალაქით მცხეთაში

თავდაპირველად დაწინაურდა და სხვებზე უფრო განვითარდა სამხრეთ მხარეთა მოსახლეობა, რომელიც სპარსეთის სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული. ძვ. წ. IV საუკუნეში, მას შემდეგ, რაც აქ მცხოვრები ტომები გათავისუფლდნენ სპარსელებისაგან, ქვემო ქართლისა და მესხეთის ტერიტორიაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო ქართველი ტომების დიდი პოლიტიკური ერთეული. მოთავეობა აქ მესხების ტომმა მოიპოვა. მესხების ერთი ნაწილი უფრო ჩრდილოეთითაც იყო დამკვიდრებული, კერძოდ მცხეთის რაიონში, და ამ პუნქტსაც თავისი სახელი მისცა — სახელი „მცხეთა“ მესხების სახელწოდებიდან უნდა იყოს წარმომდგარი.

მესხებში ძლიერი იყო ხეთურ-მცირეაზიური კულტურული ტრადიციები. მათი მეოხებით ბევრმა ხეთურ-მცირეაზიურმა ტრადიციამ გზა გაიკვლია ქართულ სამყაროში. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის გარემოება, რომ ქართველთა ზოგიერთ ძველ ღვთაებას ხეთური სახელები დაუმკვიდრდა — ასეთებია, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელი მოსახლეობის მთავარი ღვთაების — მთვარის ღმერთის არმაზისა და ღვთაება ზადენის სახელები.

ძვ. წ. IV საუკუნეში სამხრეთ-ქართული (მესხეთისა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული) გაერთიანება უკვე სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა; მისი ხელისუფლები მედგრად იბრძოდნენ, რათა თავიანთი გავლენა გაევრცელებინათ აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო კუთხეებზეც. მათ ძალზე იზიდავდა, კერძოდ, მცხეთის რაიონი, რომელიც სხვადასხვა მხრიდან (დასავლეთ საქართველოდან, მესხეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან მდ. არაგვის ჩამოყოლებით) მომავალი გზების გზასაყარზე მდებარეობდა. მცხეთაზე გადიოდა აგრეთვე მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ მიემართებოდა შავი ზღვის ნავსადგურთა მეშვეობით. ინდური საქონელი მდ. ამუდარიით ჩაჰქონდათ კასპიის ზღვაში (რომელსაც ერთვოდა იმჟამად ეს მდინარე) და იქიდან მტკვრით ამოჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში. აქედან კი უკვე ხმელეთით — სურამის უღელტეხილით — ეზიდებოდნენ დასავლეთ საქართველოში, სადაც საქონელი მდ. რიონით შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს, კერძოდ ფაზისს (ახლანდელი ფოთი), აღწევდა, რომელიც იმ დროისათვის ფრიად მნიშვნელოვან ნავსადგურად იქცა. ამ გზის შესახებ ცნობები მოეპოვებათ უკვე ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრებ ბერძენ მწერლებს.

ამას გარდა მცხეთასა და მის მიდამოებს თავდაცვის თვალსაზრისითაც მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა ეკავა. ეს იყო ძალიან ხელსაყრელი ადგილი მრავალი ურთიერთდაკავშირებული ციხე-სიმაგრის ასაგებად.

მცხეთის რაიონში მცხოვრები მოსახლეობა ჯერ კიდევ არ იყო მთლად გამოსული გვაროვნული წყობილებიდან, თუმცა ქონებრივ უთანასწორობას შასში უკვე ღრმად ჰქონდა ფეხი მოკიდებული. მცხეთელები მეომარი მიწისმოქმედები და მესაქონლეები იყვნენ. მცხეთის თემს სათავეში ედგა მამასახლისი, რომელიც უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრისას ყოველთვის ხალხს ეკითხებოდა, ხალხის აზრს იგებდა.

ძვ. წ. IV ს. დასასრულს წინააზიურ სამყაროში დიდი ამბები დატრიალდა. სპარსეთის სამეფოს შემოესია ბერძენ-მაკედონელთა მძლავრი ლაშქარი ალექსანდრე მაკედონელის მეთაურობით. ამ არმიის დარტყმით სპარსეთის სამეფო სწრაფად დაემხო, მის ნანგრევებზე აღმოცენებული ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაც ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ (323 წ.) ძალიან მალე დაიშალა. ალექსანდრეს სარდლებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება სხვადასხვა ქვეყანაში. მათ შორის წინა აზია წილად ხვდა ჯერ სელევკსა და მერე მის შემკვიდრეებს, რომელთაც სელევკიდებს უწოდებენ.

ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნანგრევებზე კიდევ არა ერთი სხვა სახელმწიფო ჩამოყალიბდა. მათ ელინისტურ სახელმწიფოებს უწოდებენ. ელინისტურ ხანას კი ძველი მსოფლიოს ისტორიაში ეძახიან პერიოდს დაწყე-

ბულს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან ვიდრე ძვ. წ. 30 წლამდე, როდესაც რომმა დაიპყრო უკანასკნელი ელინისტური სახელმწიფო — ეგვიპტე.

ელინისტურ სამყაროში ადგილი ჰქონდა ეკონომიური და სოციალური წყობილების, პოლიტიკური დაწესებულებების, წესჩვეულებებისა და იდეოლოგიის ბერძნული და აღმოსავლური ელემენტების შეერთებასა და ურთიერთმოქმედებას.

სამხრეთ-ქართული სახელმწიფო ელინისტური სახელმწიფოების უშუალო მეზობელი იყო; იგი, რა თქმა უნდა, ვერ დარჩებოდა იმ ბრძოლის გარეშე, რომელიც გაიშალა სულ მალე ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ ახლადწარმოქმნილ ცალკეულ ელინისტურ სახელმწიფოებს შორის.

საფიქრებელია, ამ სახელმწიფოს მესვეურებმა მოინდომეს ერთ-ერთი ელინისტური სახელმწიფოს, მეზობლად, მცირე აზიის ჩრდილო სანაპიროებზე ჩამოყალიბებული პონტოს სამეფოს, მხარდაჭერით თავიანთი გავლენა კიდევ უფრო ჩრდილოეთით განევრცოთ. ეს მათ მართლაც შეძლეს.

ძველმა ქართულმა საისტორიო ტრადიციამ შემოგვინახა ცნობა იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთი საქართველო და, კერძოდ, მცხეთა ბერძენთა რაზმების დახმარებით დაუპყრია არიან-ქართლის მეფის ძეს აზოს. უნდა ვიფიქროთ, რომ საუბარი ეხება სწორედ სამხრეთ-ქართული სამეფოს ხელისუფალს, რომელსაც ზემოდასახელებული ელინისტური სამეფოს შემწეობით მოუხერხებია თავისი ძალაუფლების მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე გავრცელება.

აზოს თავისი ძალაუფლება მთიანეთის მცხოვრებლებზედაც გაუვრცელებია და დაუხარკავს ისინი.

მალე აზოს წინააღმდეგ აჯანყება მოეწყო. აჯანყების მთავარი კერა აღმოსავლეთ საქართველოს ის რაიონი იყო, რომელიც აზომ დაიპყრო. აჯანყებას სათავეში ფარნავაზი ჩაუდგა, რომელიც, გადმოცემის თანახმად, მცხეთის ძველი მამასახლისის ნათესავი ყოფილა. აზოსთან ბრძოლაში ფარნავაზმა მთიელი ტომებიც მოიშველია. ფარნავაზს დიდად დაეხმარა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ხელისუფალი ქუჯი.

დასავლეთ საქართველოში არსებული კოლხეთის სამეფო, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ე გ რ ი ს ს ეძახდა, იმხანად უკვე საკმაოდ დასუსტებული იყო. მისი მმართველების ძალაუფლება ვრცელდებოდა უკვე სამცხისა (მესხეთის) და აჭარის ჩრდილოეთით მდებარე საკმაოდ ვიწროდ შემოფარგლულ ტერიტორიაზე. ქუჯი ამ პოლიტიკური ერთეულის ხელისუფალი იყო.

აჯანყებულებმა განდევნეს აზო მცხეთიდან, ფარნავაზმა მალე აზოს წაართვა აგრეთვე სამხრეთი საქართველო, სადაც მცხეთიდან განდევნის შემდეგ გამაგრდა აზო და, მისი მფარველი ელინისტური პონტოს სამეფოს ლაშქრის დახმარებით, ლამობდა დაკარგულის დაბრუნებას.

აზოსთან ბრძოლაში ფარნავაზს ზურგს უმაგრებდნენ მეორე ელინისტური სამეფოს — სელევკიდების ძლიერი სამეფოს მესვეურები და აგრეთვე სომეხთა რაზმები. გამარჯვების შემდეგაც ფარნავაზს მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სელევკიდების სამეფოსთან, სადაც ამ დროს ანტიოქოს I მეფობდა.

ფარნავაზი დიდი სამეფოს ხელისუფალი გახდა, იგი აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის ანუ იბერიის) სამეფო დინასტიის ფუძემდებელი შეიქნა. ეს დინასტია ფარნავაზიანთა დინასტიად იწოდებოდა და მრავალი საუკუნის მანძილზე მეფობდა აქ. ფარნავაზმა ძალაუფლება ძვ. წ. III საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში დაიპყრო.

ძვ. წ. III საუკუნე — ქართლის (იბერიის) სამეფოს ძლიერების ხანაა

ფარნავაზისა და მისი უახლოესი მემკვიდრეების დროს — ძვ. წ. III საუკუნის მანძილზე ქართლის სამეფო (რომელსაც უცხოელები იბერიას უწოდებდნენ) ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. იგი არა მარტო მთელ თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, არამედ მის გარეთაც გადიოდა. მას ეკუთვნოდა, კერძოდ, ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (ტაო, კლარჯეთი, სპერი და სხვ.). ამ რაიონში იბერიის სამეფოს ტერიტორია შავი ზღვის ნაპირებზე გადიოდა.

იბერიის სამეფომ უშუალოდ შემოიერთა დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი. აქ, იმ ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სურამის უღელტეხილის მომდებარე რაიონში, შეიქმნა იბერიის ერთ-ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული — არგვეთის საერისთაო. რაც შეეხება საკუთრივ ეგრისის სამეფოს, იბერიის პოლიტიკური გავლენა მასზედაც გავრცელდა, თუმცა იგი იბერიის სამეფოს ჩვეულებრივ პროვინციად არ იქნა გადაქცეული.

ძველი ქართული მატიანე მოგვითხრობს, რომ უკვე იბერიის სამეფოს დამაარსებელს, ფარნავაზს, სამეფოს ტერიტორია დაუყვია 8 სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქად, რომელთაგანაც შვიდს მეფის მოხელეები — ერისთავები განაგებდნენ. ისინი „პიტიახშის“ სპარსულ ტიტულსაც ატარებდნენ. ეს შვიდი საერისთაო იყო: 1) კახეთი, 2) გარდაბანი (ერისთავის რეზიდენცია ხუნანში), 3) ტაშირი და აბოცი (ცენტრი სამშვილდეში), 4) ჯავახეთი, კოლა და არტაანი (ცენტრი წუნდაში), 5) სამცხე და აჭარა (ცენტრი — ოძრხე), 6) კლარჯეთი, 7) არგვეთი. მერვე სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქს წარმოადგენდა სამეფოს ცენტრალური ნაწილი ახლანდელი თბილისიდან და მდ. არაგვიდან ვიდრე ტაშისკარამდე და ფარავნის ტბამდე. ამ ოლქს სამეფოს მთავარსარდალი განაგებდა.

სოციალური ვითარება ქართლის (იბერიის) ახლადწარმოქმნილ სამეფოში

ასე ჩამოყალიბდა ძვ. წ. III საუკუნეში ქართლის (იბერიის) დიდი სამეფო.

ქართლის სამეფო, ისევე როგორც კოლხეთისა (ეგრისისა), ადრემონათმფლობელურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ასეთ სახელმწიფოს, როგორც უკვე ვთქვით, პირველყოფილ-თემური წყობილების მძლავრი გადმონაშთების არსებობა ახასიათებს.

მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ძირითად მასას კვლავ წარმოადგენდნენ თავისუფალი და ნახევრადთავისუფალი მიწისმოქმედნი, რომელნიც ასოფლო თემებად იყვნენ გაერთიანებული. ისინი ექსპლუატაციას განიცდიდნენ სამეფო ხელისუფლების, არისტოკრატიული ზედაფენისა და ქურუმებისაგან.

ნავისუფალ მეთემეთა ფენა მუდმივ დაშლას განიცდიდა. მცირე ნაწილი ახერ-ხებდა გამდიდრებასა და ზედაფენებში გზის გაკვლევას, უდიდესი ნაწილი კი ღატაკდებოდა.

სამეფო საგვარეულო და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია სულ უფრო და უფრო ფართოდ იყენებდნენ ჩვეულებრივ მონებსაც, რომელთა მო-პოვების ძირითად წყაროს ომი წარმოადგენდა. ეს იყო გამუდმებული ომიანო-ბის ხანა, რის შედეგადაც იბერიის ხელისუფალთ ხელთ უვარდებოდათ დიდძალი ტყვე. რომელთაც ძირითადად მონობის მძიმე უღელი ელოდა. უკვე ამ დროს იწყებენ იბერიის ხელისუფლები უზარმაზარ თავდაცვით და სხვა ნაგებობათა შენებას. ახლანდელი მცხეთის პირდაპირ, მტკვარ გაღმა (ამჟამად ბაგინეთად წოდებულ მთაზე) აგებულ იქნა დიდი და მძლავრი ციხე-ქალაქი — მეფეთა ადგილსამყოფელი არმაზციხე. დედაქალაქის მიდამოებში და აგრეთვე სამეფოს სხვა ადგილებშიც ბევრგან აშენდა მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები თუ სხვა ნაგებობანი. ამ დიდ მშენებლობას იბერიის მეფეები ალბათ სწორედ მონების ხელით აწარმოებდნენ. მონების შრომა ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენე-ბული მენიჩბეების მძიმე სამუშაოშიც. ჩვენ ვიცით, რომ ამ დროს საქართველოს მდინარეებზე (მტკვარი, რიონი) ნაოსნობა წარმოებდა, მტკვრითა და რიონით გადაჰქონდათ, კერძოდ, შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ ინდოეთიდან მომა-ვალი საქონელი. წყლის დინების საწინააღმდეგოდ (მაგალითად, მტკვარზე) ნა-ვების მოძრაობა, გასაგებია, მენიჩბეების ბალზე მძიმე შრომას მოითხოვდა.

მონები, მაშინაც და შემდგომაც, ფართოდ იქნებოდნენ გამოყენებული აგრეთვე მეფისა და დიდკაცობის ოჯახებში მსახურებად.

მეურნეობაში მონური შრომა შედარებით ნაკლებ უნდა ყოფილიყო გამო-ყენებული. აქ ექსპლუატირებული ხალხის ძირითად მასას დაპყრობილ და და-მორჩილებულ თემთა წევრები შეადგენდნენ. ასეთები ბლომად უნდა გაჩენი-ლიყვნენ უკვე იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების ხანაში, ურჩი თემების დაპყრობის შედეგად. შემდეგ და შემდეგ მოსახლეობის ეს ფენა გაიზრდებოდა, ალბათ, გადმოსახლებულ თემთა სამეფო მიწებზე დასმითაც. მოსახლეობის ეს ჯგუფი უკეთებდა „ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვისაა საჭირო“ არისტოკ-რატიის უმაღლეს ფენას — სამეფო საგვარეულოს.

სამეფოს შექმნასთან ერთად იბერიაში იქმნება და ვითარდება ქალაქები, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები. მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად ყალიბდება თვით სამეფოს დედაქალაქი — მცხეთა. არქეოლოგებმა ყურადღება მიაქციეს ერთ საინტერესო გარემოებას: სამთავროს სამაროვანზე, სადაც მცხეთისა თუ მისი ერთ-ერთი ძირითადი უბნის მოსახლეობა იმარხე-ბოდა, საუკუნეთა განმავლობაში მიცვალებულებს მრავალგვარ საბრძოლო იარაღ-საჭურველს ატანდნენ საფლავში, მაგრამ უკვე ძვ. წ. III საუკუნიდან კი საფლავებში თითქმის აღარავითარ იარაღს აღარ ატანდნენ. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მცხეთის ერთ დროს მეომარი მიწისმოქმედი და მესაქონლე მოსახლეობა მშვიდობიან ქალაქელებად ქცეულა. თანდათან განვითარებულ სა-ქალაქო ცხოვრებასა და სათანადო ხელობა-საქმიანობას ჩამოუცილებია მამა-კაცთა დიდრონი ჯგუფები მუდმივი მეომრული საქმიანობისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში და, კერძოდ, დედაქალაქ მცხეთაში

ამ დროს უკვე არსებობს ცალკე გამოყოფილი ებრაული უბნები, რომელთა მოსახლეობა ძირითადად ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევს. მაგრამ ამ საქმიანობას, მათ გარდა, ეწევა ქალაქების ადგილობრივი მოსახლეობაც. იბერიის ქალაქებში, ებრაელებს გარდა, უცხო მოდგმის სხვა ხალხიც ირეოდა. ძველი ქართული მატიანე ამბობს, რომ ქართლში ექვსი სხვადასხვა ენა იყოო გავრცელებული: ქართული, სომხური, არამეული, ებრაული, ბერძნული და ხაზარული (ამ უკანასკნელში მატიანე ალბათ ერთ-ერთ ჩრდილო-ირანულ ენას გულისხმობს). მოსახლეობის სიჭრელით იბერიის ქალაქები ძალზე ჰგავან საერთოდ იმდროინდელი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ქალაქებს, დიდრონ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს.

იბერიაში უკვე ფართოდ იყენებდნენ იმდროინდელ მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებულ ორ დამწერლობას — არამეულსა და ბერძნულს. კერძოდ, არამეულ დამწერლობას აქ, ეტყობა, ისეთი ინტენსიური გამოყენება ჰქონდა, რომ აქ ჩამოყალიბდა მისი თავისებური სახე, რომელსაც მეცნიერებმა „არმაზული“ უწოდეს, რადგან ამ დამწერლობის ყველაზე უფრო შესანიშნავი ძეგლები არმაზში (მცხეთის მახლობლად) იპოვნეს.

მოსახლეობის წარჩინებულ ფენებს წარმოადგენდნენ: სამეფო საგვარეულო, სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატია და ქურუმობა.

სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის ფენის შევსება ხდებოდა ნაწილობრივ მეფეთა მცველი რაზმის წევრთაგან, ნაწილობრივ კი თემის იმ უბრალო წევრებიდან, რომლებიც ქონებრივი და საზოგადოებრივი დიფერენციაციის შედეგად გამოიყოფოდნენ გვაროვნული არისტოკრატიის სახით. გვაროვნული წყობილების დროინდელი ზოგი თანამდებობა — მაგალითად თემის მამასახლისობა, სამეფოს შექმნის შემდეგ იჩენს სახელმწიფო-სამოხელეო თანამდებობად გადაქცევისადმი მიდრეკილებას. მერე და მერე სამეფო საგვარეულო და სამხედრო-სამოხელეო დიდკაცობა თანდათან ჩამოყალიბდნენ, როგორც საზოგადოების მკაფიოდ გამოხატული სოციალური ზედაფენები.

§ 3. დასავლურ-ქართულ და აღმოსავლურ-ქართულ ეროვნებათა ჩამოყალიბება. ერთიანი ქართული ეროვნების ჩამოყალიბების დასაწყისი

ჯერ კიდევ შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანაში, ტომთა კავშირების შექმნა რომ დაიწყო, მიეცა დასაბამი ქართველი ტომების კონსოლიდაციას (შეკავშირებას), რაც დიდხანს მიმდინარეობდა. ცხოველი და ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად ცალკეულ ქართველ ტომთა ენები — ერთიმეორესთან უაღრესად ახლო მდგარი კილოკავები ერთიმეორეს შეერია, გაითქვიფა და დიდრონ გაერთიანებათა ფარგლებში თანდათან საერთო ენები ჩამოყალიბდა. ასეთივე ვითარება იყო კულტურის დარგშიც — თანდათან ყალიბდებოდა ამ ტომების ერთიანი კულტურა.

ასე თანდათან მიემართებოდა განვითარება ტომიდან და ტომთა კავშირიდან უფრო მაღალი ერთობის, ეროვნების ჩამოყალიბებისაკენ. ამგვარი განვითარება დაგვირგვინდა საქართველოში პირველ სახელმწიფოთა შექმნის ხანაში.

საქართველოს მიწა-წყალზე ჩამოყალიბდა ორი, დასავლურ-ქართული და აღ-მოსავლურ-ქართული ეროვნება, რომლებიც წარმოადგენდნენ აქ არსებული ორი სახელმწიფოებრივი წარმონაქმის — კოლხეთისა (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოთა ეთნიკურ საფუძველს.

ადრევე დაიწყო თვით დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული ტო-მების დაახლოებაც. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დაახლოება ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მიმდინარეობდა. ეს პროცესი დიდად გაცხოველდა ძვ. წ. III საუკუნეში, როდესაც ქართლის სამეფოს ფარგ-ლებში, აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, დასავლეთ საქართველოს გარ-კვეული ნაწილიც მოექცა. ამან ისინი კულტურულად დიდად დააახლოვა და ამრიგად ჩაეყარა საფუძველი ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესს. ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს ორივე ნაწილის ნივთიერი კულტურა საოცარ ერთგვაროვნებას იჩენს — არა მარტო არსებითად, არამედ დეტალებშიც კი.

ერთიანობის ის ელემენტები, რომლებიც ადრემონათმფლობელურ საქარ-თველოში უკვე საკმაოდ მძლავრი ნაკადის სახით ჩაისახა, ახალ გაქანებას ჰპოვებენ შემდგომ, უკვე ფეოდალურ ხანაში, როდესაც სრულდება ერთიანი ქართველი ეროვნების ჩამოყალიბების პროცესი.

ის მიწა-წყალი, რომელზედაც თანდათან გავრცელება იწყო დასავლურ-ქართულ და აღმოსავლურ-ქართულ გაერთიანებათა პოლიტიკურმა გავლენამ, მარტოოდენ ქართველი ტომებით როდი იყო დასახლებული. მათ გარდა აქ ცხოვრობდნენ ცალკეული ჩრდილო-კავკასიური, ჩრდილო-ირანული, ხეთური, ხურიტული, ურარტული და სხვ. მოდგმის ტომები. მოეცნენ რა ქართული გაერთიანებათა პოლიტიკური გავლენის არეში, ბევრი ამ ტომთაგანი გაითქვიფა ამა თუ იმ ქართველ ტომში. მათ დაჰკარგეს საკუთარი ენა და ტომობრიობის სხვა ნიშნები, მაგრამ თავის მხრივაც ერთგვარი გავლენა მოახდინეს ქართველი ხალხის ენისა და კულტურის ჩამოყალიბებაზე. ბევრი რამ ქართული ენის სიტყვიერ მარაგში ამ გათქვეფილ ტომთა მიერ შემოტანილ წვლილს წარმო-ადგენს. ქართულმა კულტურამაც ბევრი რამ შეითვისა ამ ტომების კულტური-საგან. ქართული სახელმწიფოების წარმოქმნისა და ქართველ ტომთა ეროვ-ნებებად ჩამოყალიბების შემდეგ უცხო ტომთა ასიმილაციის (შეთვისება-გა-თქვეფის) ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა.

თ ა ვ ი IV

მონათმფლობელური ხანის საქართველო ელინისტური სამეფოებისა და რომის იმპერიის გარემოცვაში

§ 1. ვითარება იბერიის მეზობელ ქვეყნებში

იბერიის უშუალო მეზობლები იყვნენ სომხეთის, პართიისა და პონტოს სამეფოები. ბოსფორის სამეფოსთან მისი ურთიერთობა კოლხეთის მეშვეობით ხორციელდებოდა. მჭიდრო მეზობლობაში იმყოფებოდნენ მათთან აგრეთვე კავკასიის მთიელები და ალბანელები; მასთან ურთიერთობა ჰქონდათ აგრეთვე სირიას, სომხეთისა და მცირე აზიის მხრიდან, და უფრო შორეულ ბაქტრიას — კასპიის გაღმიდან.

ეს ელინისტური სამეფოები შეიქმნენ ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის პროცესში და სელევკიანთ სამეფოს ბატონობის წინააღმდეგ აჯანყების გზით.

სომხური სახელმწიფოები

სომეხთა სახელმწიფოს საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრე მმართველების (ბერძნულად „დიადოქების“) დროს, იბერიის მეზობლად. აირარატის ოლქის ტერიტორიაზე, მდ. არაქსის შუაწელზე (ძვ. წ. 316 წ.). აირარატის სამეფოს მმართველ დინასტიად გამოვიდა ერვანდიანთა გვარი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში დაწინაურდა, როგორც სატრაპთა თანამდებობის ამსრულებელი. სატახტო ქალაქი იყო არმავირი.

ევფრატის ზემო დინებაში შეიქმნა „მცირე არმენიად“ წოდებული სამეფო. სელევკიანთ მფლობელობაში მოექცნენ, სასატრაპოთა სახით, ვანის ტბის აუზი და წოფნი ევფრატის ხეობაში.

სელევკიანებმა თავისი ძლიერების ხანაში აირარატის სამეფოც გააუქმეს (220 წ. ძვ. წ.), ამით სირიამ შეიერთა ვრცელი სომხური ქვეყანა, ეგრეთ წოდებული „დიდი არმენია“. რამდენსამე ხანში სომეხთა სამეფო კვლავ აღდგენილ იქნა.

პონტო

ეს ელინისტური სამეფო შეიქმნა ძვ. წ. IV ს., მცირე აზიაში, ქართველური (შეგრულ-ჭანური) და სხვა ტომების მიწა-წყლის ხარჯზე. მის ძირითად ტერიტორიას შეადგენდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთი სანაპირო ზოლი, საიდანაც წარმოდგა პონტოს სამეფოს სახელიც (ბერძნულად „პონტოს“ — საერთოდ ზღვას

ნიშნავს და, კერძოდ, შავ ზღვას ეწოდებოდა). პონტოს ფარგლებში შედიოდნენ ელინისტური სანაპირო ქალაქები — ტრაპიზონი, ამისო, კერასუნტი, კოტიორა და სხვ. მცირე აზიის დასავლეთ სანაპირო ზოლში ბატონობდნენ სელევკიანები.

პონტოს სამეფომ უდიდეს პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია ძვ. წ. I ს. მითრიდატ მეექვსის დროს. სამეფოს არსებობა დასრულდა რომაელთა მიერ მისი დაპყრობით (ახ. წ. I ს.).

პართია

პართიის სამეფოს საფუძველი ჩაეყარა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე, როდესაც ერთ-ერთი აქაური ძლიერი საგვარეულოს მეთაური, სახელად არშაკი, აუჯანყდა სელევკიანთა მპყრობელობას და მოიპოვა მეფის ხელისუფლება (ძვ. წ. 255 წ.). პართიის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების საფუძველს შეადგენდნენ სახელ-მოხვეჭილი ცხენოსანი ჯარი და მოისართა გუნდები. თავისი არსებობის ხუთიოდე საუკუნის მანძილზე პართიამ, აქემენიანთა სპარსეთის მსგავსად, დიდი პოლიტიკური ძლიერება განიცადა, მისი მიწა-წყალი მდ. ევფრატიდან მდ. ინდუსამდე იყო გადაჭიმული. პართიის ელინისტურ ქალაქთა შორის უმნიშ-ვნელოვანესი იყო ეკბატანა და ქტეზიფონი; ერთ ხანს არშაკიანი მეფეები ფლობდნენ სელევკიასაც (მდ. ტიგროსის შუა წელზე).

პართიის მონათმფლობელური სამეფო ხანგრძლივ ეომებოდა სელევკიანთა სამეფოს, რომს, ერთ დროს აგრეთვე „დიდ სომხეთს". მას ბოლო მოეღო სასა-ნიანთა ააგვარეულოს აჯანყებისა და გამარჯვების შედეგად (ახ. წ. 224 წ.).

ბოსფორის სამეფო

შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე შეიქმნა ბოსფო-რის სამეფო. მას სახელი მიეცა კ ი მ ე რ თ ა ბოსფო-რისაგან — ასე ეწოდებოდა ახლანდელ ქერჩის სრუტეს, ძველი ტომის, კიმე-რების სახელის მიხედვით. ეს სრუტე ერთიმეორისაგან ყოფს ქერჩის ნახევარ-კუნძულსა (დასავლეთით) და ტამანის ნახევარკუნძულს (აღმოსავლეთით) და აერთებს ევქსინის ზღვას (შავი ზღვა) და მეოტიდას (აზოვის ზღვა). იმ არემა-რეში მოსახლეობდნენ სინდები, მეოტები, სკვითები. ბოსფორის სამეფოს ფარ-გლებში მნიშვნელოვან ეკონომიურ ძალას წარმოადგენდნენ ბერძენთა მონათ-მფლობელური ქალაქები (ახალშენები). ბოსფორელ მეფეთა სატახტო ქალაქი იყო პანტიკაპაიონი (ახლანდელი ქერჩი). ქალაქთა შორის ირიცხებოდნენ: მირ-მეკი, ნიმფეი, ფანაგორია, კეპი და სხვ.

ბერძენი მოახალშენეები მტკიცედ დაეპატრონენ, სამოსახლოდ და უშუალო ექსპლოატაციის საწარმოებლად, იმ მხარეს.

ბერძენ არისტოკრატიას კარგად შეეთვისნენ ადგილობრივი წარჩინებულნი.

ბოსფორელთა ბატონობამ და კულტურულმა გავლენამ თანდათან მოიცვა, კერძოდ, ყუბანის ქვემო დინება და შუა წელი. ელინისტურ კულტურას ეზიარ-ნენ კერკეტები (ჩერქეზები), რომელნიც განიცდიდნენ კოლხეთის გავლენასაც. ბოსფორის ელინისტური სამეფო საბოლოოდ მოისპო ჰუნთა და ალანთა შესე-ვების შედეგად (IV ს. ახ. წ.).

ალბანეთი

ეს ქვეყანა ძირითადად დღევანდელი ჩვენი მოძმე აზერბაიჯანისა და დაღისტნის მთიან ნაწილს მოი-ცავდა. აღმოსავლეთით იგი მიდიოდა კასპიის ზღვამდე, სადაც მას ეპყრა ზღვის-პირა მხარეც, კასპიანა. ალბანეთი ქართლის სამეფოს ესაზღვრებოდა ალაზან-

თან, მის გაღმა. იგი სწვდებოდა კამბეჩოვანს, ისე რომ კამბეჩოვანის მხარეში ალბანელებს, ქართველებსა და სომხებს საერთო საზღვრები ჰქონდათ. კასპიის კარი (მერმინდელი დარუბანდის კარი) ალბანეთს უადვილებდა ჩრდილოეთის ხალხებთან სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის დამყარებას.

ალბანეთის მოსახლეობას იმ დროს შეადგენდნენ ალბანელები, უტიები თუ უდიები, ლეგები და სხვა მათი მონათესავე ტომები. უძლიერესი იყვნენ ალბანელები, რომელთა სახელიც გავრცელდა მთელ ქვეყანაზე. ალბანელთა ეთნიკური სახელი შემორჩენილია კახეთის ისეთ გეოგრაფიულ სახელში, რიგორიცაა ალვანი. ალბანური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენებს.

ალბანელების მეთაურობით მოხდა მათი თანამეტომეების სახელმწიფოებრივი გაერთიანება (ძვ. წ. I ს.). ალბანეთის სამეფომ თავის საზღვრებში შეიმოიკრიბა „ოცდაექვსი“ ტომი.

ალბანელთა კულტურული მემკვიდრეობა შემდგომ აზერბაიჯანის ხალხმა მიიღო.

ჩრდილო კავკასიის მთიელები

იმიერკავკასიის მთიელებს ბერძნები და რომაელები, ერთობლივ, უწოდებდნენ სარმატებს („აზიელ სარმატებს“). ნამდვილად იგულისხმებოდნენ მთავარ ქედს გადაღმა, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოსახლე ადიღე და სხვ. ტომები; ადიღესგან — ანტიკურ ხანაში ცნობილი კერკეტები (ასახელებდნენ ბერძნები და რომაელები), მერმინდელი ჩერქეზები და სხვ. ქართლის სამეფოსთან იმიერკავკასიელ ირანულ ტომთაგან უახლოესი იყვნენ ალანნი, რომელთა მემკვიდრეები ნაწილობრივ გახდნენ ოსები; უფრო დასავლეთით ცნობილი იყვნენ მკვიდრი მოსახლე დიდური, ლეგი და სხვ.

ისინი ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში, რომელიც ნაწილობრივ უკვე განიცდიდა რღვევას. მეურნეობაში, მეჯოგეობისა და მონადირეობის გვერდით, თანდათან ვრცელდებოდა მიწათმოქმედება.

იბერიის ურთიერთობას კავკასიის მთიელებთან აადვილებდნენ ადგილობრივი ქართველი ან გაქართველების გზაზე მდგარი მთიელები, რომელთაც ეჭირათ მთავარი ქედის ღრმა ხევებში გამავალი ბილიკები, გადასავლები. კავკასია მაშინაც კარგად იყო ცნობილი, როგორც მთავარი ქედის სახელი (ბერძნული დაბოლოებით კავკასიონ, მრ. რიცხვ. — კავკასია). ცნობილი იყო აგრეთვე მისი უზარმაზარი ბუნებრივი ჭიშკარი, რომელსაც ბერძენ-რომაელები კავკასიის კარს უწოდებდნენ, ხოლო ქართველები, სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში, არაგვის კარსაც და ოვსთა (ალანთა) კარსაც. სპარსულადაც ამ კარს ერქვა ალანთა კარი („დარ-ი-ალან“; აქედანაა ახლანდელი დარიალა ანუ დარიელი). მდ. თერგის ძველი ქართული სახელია არაგვი (რადგან მისი სათავე ახლოს იყო ქართლის არაგვის სათავესთან), ანუ ლომეკის მდინარე (ლომეკი — კლდის ნაპრალს ნიშნავს).

§ 2. იბერიის სამეფო ძვ. წ. II—I ს-ში

პოლიტიკური ვითარება საქართველოს ფეზოგლად ძვ. წ. II ს. დასდეგს

როგორც ზემოთ დავინახეთ, ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევარში იბერიის სამეფო ხელისუფლება სწრაფად ძლიერდებოდა, მისი ბატონობის ასპარეზი თანდათან ფართოვდებოდა. ძვ. წ. II ს-ის დამდეგიდან კი ვითარება საფუძვლიანად შეიცვალა.

იმ დროს მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები დაიწყო საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებზე.

რომის ლეგიონებმა განავითარეს ევროპის კონტინენტზე დაწყებული დიპყრობითი ომები, გადმოლახეს მაკედონიიდან ეგეოსის ზღვა და მოაშურეს მცირე აზიის სანაპიროებს. აქ სელევკიანთა მიერ ძლეულ ქვეყანას ახლა მონათმფლობელური რომი ეპატრონებოდა. მათ შორის მოხდა ომი და სელევკიანთა მხედრობამ დიდი მარცხი ნახა ქ. მაგნეზიასთან (ძვ. წ. 190 წ.).

მალე ომწაგებულ სელევკიანებს ზურგში აუჯანყდნენ სომხები ზარეპანა და არტაშესის მეთაურობით. აჯანყების შედეგად დამოუკიდებლობა მოიპოვეს სომხეთმა და წოფნიმ (სოფენამ). „დიდი სომხეთის“ სამეფო ხელისუფლებამ (არტაშეს I, 189—170 წწ.) კვლავ დარაზმა თავისი ძალები, ააგო ახალი სატახტო ქალაქი არტაშატი; შეიერთა „მცირე სომხეთის“ ნაწილი და დაემუქრა მომიჯნავე, ქართველი ტომებით დასახლებულ თემებსაც.

ცვლილება იბერიის სანაპირო ზოლში

მცირე აზიაში რომის შემოჭრით შექმნილ ვითარებაში იბერიის მმართველ წრეს არ აღმოაჩნდა საკმაო შინაგანი დარაზმულობა, სამეფო ხელისუფლებასა და მის მოწინააღმდეგე სოციალურ ძალთა შორის არსებული განხეთქილება ართულებდა თავდაცვის საქმეს.

ამ პირობებში არტაშეს მეფის ლაშქარმა იბერიის ტერიტორიაზე დაიკავა ხუთი მომიჯნავე ოლქი — პარიადრი, ხორძენა და გოგარენა, კარინითი (მერმინდელი კარნუ-ქალაქის ანუ არზრუმის ოლქი) და დერქსენა (დერჯანი). ესენი მდებარეობდნენ 5 მდინარის — ჰალისის, ევფრატის, ჭოროხის, არაქსისა და მტკვრის სათავეებს შორის.

ამასობაში იბერიის სამეფო მემკვიდრეობად მიიღო დინასტიის ფუძემდებელ ფარნავაზის ვაჟის საურმაგის ძემ მირიანმა (დაახლოებით ძვ. წ. 189—155 წწ.). ის იყო თანამედროვე სელევკიანთ დიდმპყრობელობის დასრულებისა, რაც მოხდა ანტიოქოზ მესამის (ძვ. წ. 224—187წწ.) ხელში.

ქართლის მმართველი წრე ახლა უფრო ენერგიულად მოქმედებდა ჩრდილოეთის მიმართულებით. მეფემ დასძრა რაზმები დარიალის ხეობისკენ, სადაც ისხდნენ ტომები — ჭართალი და ღლიღვი (დურძუკნი), დაეუფლა ამ ბუნებრივ კარს და, საბოლოოდ შესანარჩუნებლად, კიდევაც გაამაგრა იგი — „შეაბნა კარნი ქვიტკირითა“. ერთი რომაელი მწერლის დახასიათებით (ახ. წ. I ს.), ეს კარი კარგად ყოფილა შეკრული რკინით შემოჭედილი ხის მორებით. კარს დარაჯობდა უფრო სამხრეთით, კლდეზე აშენებული სიძაგრე — კუბანია, რომელიც გზას უღობავდა ჩრდილოეთიდან მოწოლილ ტომებსო.

პართიელთოლგა სომხეთსა და პართიას-თან ძვ. წ. II ს-ის მეოთხე ნახევარში

იბერიაში სამეფოს განმტკიცებისათვის ბრძოლა გრძელდებოდა. ფარნაჯომ მირიანის ძის (დაახლოებით ძვ. წ. 155—140 წწ.) მეფობაში მცხეთის გასაძლიერებლად აშენებულ იქნა ციხე ზადენი. ხოლო ყვარლის-წყალზე (ალაზნის შენაკადი) საფუძველი ჩაეყარა ქალაქ ნეკრესს.

მაგრამ მეფის ბრძოლამ თავისუფალი თემების წინააღმდეგ იბერიაში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. ამ ვითარებაში სომეხთა მეფემ, რომელსაც უკვე მანამდე იბერიის სამხრეთი მიწები ჰქონდა დაპერილი, ფარნაჯომი ომში დაამარცხა. ამის შედეგად იბერიაში გამეფდა არტაშესის ძე არშაკი (არსოკი. დაახლოებით ძვ. წ. 140—120 წწ.), ქართლის ფარნავაზიანთა ნათესავი.

იმ დროს პართიის არშაკიანები (სამეფო დინასტია) სირიელთა ნაბატონარ ქვეყნებს ეუფლებოდნენ, ხოლო ამიერკავკასიის ფარგლებში მათ ატროპატენა დაიპყრეს. სომხეთიც იძულებული შეიქნა თავისი მიწების ნაწილი დაეთმო მათთვის. იბერიის მეფემაც სცადა პართიასთან პოლიტიკური და კულტურული კავშირის დამყარება.

იბერია-კავკასიის ხალხთა სამხედრო კავშირი

დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით იბერია შეუერთდა იმ დიდ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს, რომელიც შეიკრა პონტოს სამეფოსა და დიდ სომხეთს შორის (94 წ. ძვ. წ.), რომაელ და პართელ დამპყრობელთა უკუსაგდებად. ამით იბერია. ისევე როგორც ალბანია, დაუყოვნებლივ ებმოდა უჩვეულოდ დიდ ომიანობაში.

რომაელებს უკვე ხელთ ეპყრათ მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი („პ რ ო ვ ი ნ ც ი ა ა ზ ი ა“). მათი ლეგიონები აგრესიისათვის ახალ გზებს იკვლევდნენ. კავკასიის ხალხებიც ვეღარ აარიდებდნენ თავს ომს. პართია. თავის მხრივ. საომარ მოქმედებას უფრო და უფრო აძლიერებდა.

მოკავშირეთა დროებითი წარმატება

ამ კავშირის სულის ჩამდგმელი, პონტოს მეფე მითრიდატ VI (ძვ. წ. 132-63, ტახტზე ავიდა 114 წ.) და სომეხთა მეფე ტიგრან II მაშინ დამოყვრდნენ კიდეეაც.

შეერთებული ძალებით დაწყებულ ომს პირველად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰქონდა, მაგრამ წარმატებულ სამხედრო ოპერაციებს იმთავითვე თან სდევდა უდანაშაულო მცირე ხალხთა რბევა-დაწიოკება და სრული დაპყრობაც კი.

მითრიდატმა ჯერ კიდევ თავისი მეფობის პირველ წლებში შეიერთა ყოლხეთი: მან სისხლში ჩაახშო მონების რამდენიმე აჯანყება ტავრიდაში (ყირიმის ნახევარკუნძული) და ბოსფორის სამეფოსაც დაეუფლა (II ს. დამლევს). მოკავშირეთა ომის მსვლელობაში სომხეთმა ზედიზედ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება (ძვ. წ. 88—85 წწ.) მესოპოტამიაში, კავკასიასთან ახლოს ადარბადგანში (ატროპატენა, მერმინდელი სპარსეთის აზერბაიჯანი), ქურთისტანში. ტიგრანის სირიაში ლაშქრობაც წარმატებით დასრულდა (ძვ. წ. 70 წ.).

დროებითი წარმატება რომის წინააღმდეგ ომში

ამას შემდეგ უმეტესი მნიშვნელობა ენიჭებოდა რომთან ურთიერთობას. რომაელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაც მოკავშირეებმა წარმატებით დაიწყეს. მითრიდატმა მცირე აზიაში ბითინიის სამეფო და მისი მშველელი რომაელთა რაზმი ერთი დარტყმით გაანადგურა. ერთი დღის განმავლობაში ამოჟლეტილ იქნა 80 ათასი რომაელი და საზეიმოდ გამოცხადდა (ძვ. წ. 88 წ.), რომ **აზია**, ე. ი. რომის მიერ დაპყრობილი ნაწილი მცირე აზიისა, გათავისუფლდა. რომაელთაგან იმავე წელს (88 წ. ძვ. წ.) ატენილი ომიც მტრის სასტიკი დამარცხებით დასრულდა. პონტოს სარდლობას ომის გასაგრძელებლად საჭირო ულეველი რეზერვები ეგულებოდა კოლხეთში, ბოსფორში და სხვაგანაც. კოლხეთიდან, კერძოდ, აწვდიდნენ მას ფლოტის საშენებელ ხე-ტყეს.

მაგრამ რომის მიერ დაჟინებით წარმოებული შემოტევის მოსაგერიებლად (სულ მოხდა სამი დაძაბული ომი) მონათმფლობელურ წინა აზიას, პონტოსა და სომხეთს თავდაცვითი ძალა აღარ ეყოთ. ორივე სახელმწიფო, ისევე როგორც პართია, მომძლავრებული იყვნენ სხვადასხვა უფლებააყრილი ხალხების და საკუთარი მშრომელი მოსახლეობის ჩაგვრის ხარჯზე. ეს სთიშავდა მათ დასაყრდენ სოციალურ ძალებს და ასუსტებდა მათ. ვერ მოხერხდა სომხეთზე გადამტერებულ პართიის მეფესთან მორიგებაც.

ომწაგებულმა პონტომ და სომხეთმა, ქართველთა და ალბანელთა მხარდაჭერით, ერთხელ კიდევ სცადეს ბედი.

რომაელთა შემოტევის საშიშროებამ იმთავითვე ფეხზე დააყენა ქართველებიცა და ალბანელებიც, თუმცა მათ ომის სიმძიმე უშუალოდ ჯერ არ შეხებოდათ. ქართველთა, სომეხთა და ალბანელთა შორის ღვივდებოდა ურთიერთ ნდობის, მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობა, რომელიც შემდეგაც, მრავალი საუკუნის მანძილზე უადვილებდა მათ მტერთან შემართებას, თავდაცვას.

რომაელები რომ ლუკულის სარდლობით სომხეთის დედაქალაქს არტაშატს დაესხნენ თავს (ძვ. წ. 68 წ.), მათ მოსაგერიებლად სომეხ მეომართა მხარდამხარ ქართველი შუბოსნებიც იბრძოდნენ. სომეხი ხალხის მეთაურები მშველელ რაზმთაგან ყველაზე უფრო სანდო, ერთგულ და მამაც მებრძოლებად სწორედ ამ იბერიელ შუბოსნებს მიიჩნევდნენ.

მოკავშირეები ზედიზედ ერთიმეორეზე მიყოლებით დამარცხდნენ. მითრიდატმა თავი მოიკლა.

რომის სარდალმა პომპეუსმა პონტოში მეფობა გაუქმა, სომხეთი დახარკა და სალაშქრო ბეგარა დააკისრა. შემდეგ კი ამიერკავკასიის დასამორჩილებლად დასძრა თავისი ლეგიონები.

§ 3. რომაელთა პირველი ლაშქრობა საქართველოში

ალბანელთა წინააღმდეგობის გადალახვით იბერიაში შემოჭრა

სომხეთიდან დაძრულმა რომაელთა მხედრობამ განიზრახა იბერიაში შემოჭრა აღმოსავლეთის მხრიდან, ალბანეთის დავაკებული გასავლებით.

რაკი ალბანელებმა ნებით გზა არ მისცეს და გვირგვინად თავსაც დაესხნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს (ბრძოლაში ალბანელთა 40-ათასიან ჯარს მიუღია მონაწილეობა). რომაელებმა ძალა იხმარეს, მერე კი ალბანელთა მეფე ორისე დაიზავეს და მტკვრის ხეობით შემოვიდნენ ქართლში (65 წ. ძვ. წ.).

იბერიელები ჯერ კიდევ არ სთვლიდნენ წაგებულად პონტოს მეთაურობით დაწყებულ ომს. ისინი მზად იყვნენ კვლავაც ეტვირთათ მოკავშირეთა საერთო ვალი და, მით უფრო, დაეცვათ საკუთარი ქვეყანა. ამიტომ ქართლის მესვეურები, მეფე არტაგის მეთაურობით, საომრად გაემზადნენ.

რომაელთა მტაცებლური ზრახვები

ძომხდურნი დარწმუნდნენ, რომ იბერიელები უომრად არაფერს დაუთმობდნენ და რომ ხალხი ემზადებოდა მათგან თავის დასაცავად. რომაელები კი აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდნენ იბერიისა და კოლხეთის დაპყრობას. რომის სარდლობის ვარაუდით, ეს იქნებოდა პონტოს შეუპოვარ მოკავშირეთა საბოლოო განადგურება. ამას გარდა, საქართველოში დამპყრობელს სამართლიანად ეგულებოდა საჭირო სამხედრო ძალა, სხვადასხვა ბუნებრივი რესურსები (მარცვლეული, მატყლეული და სხვ.), მნიშვნელოვანი სატრანსპორტო გზა შავსა და კასპიის ზღვებს შორის, უმოკლესი გზები მთიანეთში, დარიალით. იმიერკავკასიაში, სადაც ადვილი იყო ნედლეულისა და მონების შეძენა და ა. შ. უმთავრესად კი მათ ეწადათ მაგარი ზურგი ჰქონოდათ კავკასიაში, აღმოსავლეთში კასაბატონებლად.

იბერიელთა თავდაცვითი ომი

ქართლის ხალხი და მეფის ხელისუფლება შეეკადნენ რომაელებს მომზადებული დახვედროდნენ. დროის მოსაგებად მეფე არტაგმა პომპეუსს დესპანების მეშვეობით მოლაპარაკება გაუმართა, ვითომ მასთან პოლიტიკური მეგობრობის დასამყარებლად, მაგრამ ომი მაინც აუცილებელი გახდა.

იბერიას ალბანიასავით შეეძლო 40 ათასზე მეტი გაწვრთნილი შეიარაღებული მეომარი გამოეყვანა. მეფის საკუთარ სპას, ლაშქარს სამი ათასეული შეჯავშნული ცხენოსანი შეადგენდა. იმხანად იბერიელი შუბოსნები საყოველთაოდ იყვნენ განთქმული.

თავდასაცავი სიმაგრეებიც საიმედო ჰქონდათ, მეტადრე მცხეთის შიდაცხენ ანუ აკროპოლისი — არმაზციხე, რომელსაც თვით რომაელებიც კარგ სიმაგრედ სთვლიდნენ.

არმაზციხე აღმართული იყო ქალაქ მცხეთის პირისპირ, ახლანდელი ბაგინეთის კლდოვანი მთის თხემსა და კალთებზე, რომელნიც ეშვებიან მტკვრის ბარჯვენა ნაპირზე. არმაზის ზღუდეთა ნანგრევები, არქეოლოგთა მიერ გათხრილ-გამოვლინებული, ახასიათებენ იბერიაში ციხეთა მშენებლობის მაღალ დონეს დიდი ხნის განმავლობაში და, კერძოდ, ძვ. წ. IV—III სს-ში. ერთი კი-

ლომეტრის სიგრძე სამხრეთი ზღუდის სიგანე ზოგან ოთხს, ექვს და ზოგან რვა მეტრსაც უდრის. კლდის ნაკაფში ჩადგმული გალავნის საფუძვლად დაგებულია თლილი ქვა, ხოლო ამ საფუძველზე ამოყვანილია ორი-ორნახევარი მეტრის სიმაღლე ალიზის კედელი. ციხეს წყალი მოსდიოდა თიხის წყალსადენი მილებითა და ქვის ღარებით.

მაგრამ თავდაცვითი ომის სამზადისი ვერ დააბოლოვეს, რომაელმა ლეგიონერებმა დაასწრეს სატახტო ქალაქთან მიხდომა. არტაგმა დაუყოვნებლივ გადალახა მტკვარი და დასწვა ზედ გადებული ხიდი, რათა მტრის წინსვლა დაებრკოლებინა. არმაზციხე მტერს დანებდა, დაპყრობილ იქნა იბერიის მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილი.

იბერიის ჯარმა მტკვარგაღმა, ტყით დაბურულ ხეობაში გადაიხადა ფიცხელი ომი. მშვილდოსნები, შუბოსნები, ხელსატევრიანები თავგამოდებით იბრძოდნენ. ხოცავდნენ მომხდურთ და თვითონაც იხოცებოდნენ. მაღალ ხეებზე შესული მებრძოლები ისარს აყრიდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს. თავისი მიწა-წყლისათვის დაიხოცა 9000 კაცი, ხოლო 10.000 ტყვე რომაელებმა წინ გაირეკეს.

პომპეუსი დაეზავა არტაგს და თავისი მხედრობითურთ ქართლიდან კოლხეთს მიაშურა.

ეგაგეგული ომის უშუალო შედეგები

შორს მყოფი იბერიის ძლიერი სამეფოს უბრალო პროვინციად ქცევა მტერს არ შეეძლო. საზავო ხელშეკრულების თანახმად, იბერიაში მეფობა ძალაში რჩებოდა. სამაგიეროდ დამპყრობლები ხალხს მძიმე ტვირთად დააწვნენ, არტაგს თავზე მოახვიეს რომის პოლიტიკური „მეგობრობა“ და სამხედრო „მოკავშირეობა“, სწორედ ისევე, როგორც სომეხთა მეფეს და ზოგ სხვა გავლენიან ხელმწიფეს. არტაგი იძულებული გახდა შვილებიც მძევლად მიეცა რომაელებისათვის.

რომში იბერიელებზე ისეთი აზრისა იყვნენ, რომ ეს ხალხი არასოდეს არავისგან დაპყრობილი არ ყოფილა და ვერც ახლა შეურიგდებოდა უღლის ტარებას და რომ საჭირო იყო მათ ციხეებში ჯარის ჩაყენება.

§ 4. კოლხეთის სამეფო ძვ. წ. III-I სს-ში

მეურნეობა

ძვ. წ. III ს-ში, როგორც ვიცით, კოლხეთის ანუ ეგრისის სამეფომ დიდი ხნით დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და იბერიას დაექვემდებარა. მაგრამ ეგრისი მაინც ერთგულად მისდევდა თავის ჩვეულ სამეურნეო თუ კულტურულ ტრადიციებს.

მეურნეობის სხვადასხვა დარგი, ხელოსნობა, აღებ-მიცემა საკმაო სახსრებს იძლეოდნენ საარსებოდ.

ლითონის დამუშავებას, მჭედლობას ადგილობრივ დიდი და ხანგრძლივი წარსულება ჰქონდა. სათანადო ნიმუშები შემორჩენილან, კერძოდ, რაჭას, სოფ. ბრილის სამარხებში.

მეტალურგიაში გამოყენებული იყო კარგა ხნით ადრე აღმოჩენილი ჩამოსხმის ისეთი წესი (ცვილის მოდელი), რომელიც ყოველი ახალი ნივთისთვის

ახალ ყალიბს მოითხოვდა. ბრინჯაოს მხატვრული ჩამოსხმის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ სარტყლის ჭვირული ბალთები.

კერამიკულ ნაწარმში ადრინდელი შავპრიალა ლამაზი ჭურჭელი შეცვალა წითელი თიხის სადა ნაწარმმა (ხელადები და სხვ.). ქვევრებში ინახავდნენ ღვინოს, მარცვლეულს. ძვ. წ. VI ს-დან დაწყებული, ამ ქვევრებს ხმარობდნენ მიცვალებულთა სამარხ ჭურჭლადაც. მეთუნეების ნახელავის ნიმუშები უხვადაა მოპოვებული დაბლაგომში წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგად. ხელოსნები მასალად ხმარობდნენ, რკინისა და თიხის გარდა, ბრინჯაოს, ოქრო-ვერცხლს, მინას, პასტას, ქვას.

კოლხეთის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა არხებს. ნავთმშენებლობას, ნაოსნობას რიონის ქვემო დინებაში. ტყით დაფარული თბილი ჰაობიანი არეები მიმოსვლის გასაადვილებლად, მონური შრომის გამოყენებით. არხებით ჰქონდათ დაქსელილი. შიგ დაცურავდნენ საწნახელთა მსგავსი ნავები, ეგრეთ წოდებული ორეები, „ცალფახეები“. რომში მოწონება ჰქონდათ კოლხურ საზღვაო ნავებს.

ალებ-მიცემა

ეგრისში უწინდებურად უხვად მზადდებოდა ფასეული ყიდი საქონელი, ხე-ტყე, სელი. კანაფი, ცვილი და ა. შ. ალებ-მიცემის საგანი იყო მონებიც. კვლავ იჭრებოდა ფული — ორივეს ადგილობრივ მეფეთა სახელით, ისე უცხო მეფეთა (ალექსანდრე მაკედონელი, ლიზიმაქი, რომის კეისრები) ფულის მიბაძვით.

კოლხეთის სატახტო ქალაქი — მდ. ფასიდზე (რიონზე) მდებარე ციხე, იგივე ქუთათისი (ქუთაისი), ძვ. წ. III ს-დან უკვე საკმაოდ დასუსტებული სამეფოს (და არა წინანდელი დიდი კოლხეთის) ცენტრი იყო. მაგრამ, კოლხეთ-იბერიისა და ამიერკავკასიის სავაჭრო გზაზე მდებარეობის გამო, ის მნიშვნელოვან ეკონომიურ როლს თამაშობდა. ერთი თანამედროვის (ძვ. წ. III ს.) გამოთქმით, ეს „ახლაც მტკიცედ დგას“.

ფოთში აღმართული იყო ამ ქალაქის „მფარველი“ ქალღმერთის ქანდაკება. ერთი რომაელის აღწერით (ახ. წ. 134 წ.), ქალღმერთი იჯდა ტახტზე, მას ხელთ ეპყრა კიმბალი (ერთგვარი საკრავი), ხოლო ტახტს გამოძერწილი ლომები „ხდარაჯობდნენ“. ქანდაკებას აღმწერელი ადარებს სახელოვანი ბერძენი მოქანდაკე ფიდიასის (ძვ. წ. V ს.) ერთ-ერთ ნაწარმოებს.

მდ. ყვირილა ერთ ხანს მდ. ფასიდის (რიონის) გაგრძელებად მიაჩნდათ. დიდი ციხე შორაპანიც (ბერძ. სარაპანისი) ფასიდზე მდებარედ ითვლებოდა. საკვაჭრო ნაოსნობა წარმოებდა ფოთიდან შორაპნამდე. ამ ციხეს ზემოთ ნავები ვეღარ ადიოდნენ ხეობის სივიწროვისა და ჩქერის გამო. ფასიდ-ყვირილაზე 124 ხიდი ყოფილა გადებული. მდ. რიონის ზემო დინებას, ყვირილის შესართავს ზემოთ, უწოდებდნენ თავის ნამდვილ სახელს — რიონს. ქ. ციხე-გოჯი მდებარეობდა მდ. ტეხურის ხეობაში.

კოლხეთის სამეფოს თანდათანი დასუსტება

უკვე ძვ. წ. III ს-დან, როგორც ვიცით, ეგრისი მოექცა იბერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ. კოლხთა უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, რომლის სატახტო ქალაქი იყო ციხე-გოჯი, მეფე ფარნავაზი „უფლად“ აღიარა, ხოლო თავისი თავი — მის „მონად“.

საერთოდ, იმხანად კოლხთა მეფეები თავის ქვეყანას სკეპტუქების მეშვეობით მართავდნენ და თითოეული ამათგანის საგამგეო კუთხეს სკეპტუქია (სასკეპტუქო) ეწოდებოდა, რადგან მათ ენიჭებოდათ ხელისუფლების ნიშანი — არგანი (კვერთხი, ჯოხი, ბერძნ. „სკეპტრონი"). სკეპტუქები ანუ „ხელჯოხიანები" მეფის ხელქვეითი მოხელეები იყვნენ. კოლხეთში მეფის ხელისუფლების დასუსტების ვითარებაში სკეპტუქები, ისევე როგორც ქუჯი, ვეღარ იცავდნენ თავს. იბერიის მოხელეს, არგვეთის პიტიახშს, ციხე-გოჯიც დამორჩილებია.

ძვ. წ. III—II ს-ის კოლხ მეფეთაგან ჩვენთვის ამ ბოლო დროს ცნობილი გახდნენ აკი (III ს.), რომლის სახელითაც არის მოჭრილი ოქროს ფული, და საელაკი (II ს.). ეს უკანასკნელი, როგორც „აიეტის შთამომავალი" მეფე, ულევი ოქრო-ვერცხლის მფლობელად ჰყავდათ რომაელებს მიჩნეული. მისი სახელით მოჭრილი რამდენიმე ვერცხლის ფულიც არის აღმოჩენილი.

II ს-ის დამლევს, როდესაც პონტო გაძლიერდა, კოლხეთი მითრიდატე VI-მ (114—63 წწ. ძვ. წ.) დაიპყრო და იგი მართავდა მას თავისი მოადგილეების (მოაფერნეს და სხვ.) ხელით.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ცვალებადობა, შავი ზღვის სანაპირეებიდან მომდინარე თავდასხმები (მაგალ., ჰენიოხებისა, სკვითებისა) — ყოველივე ეს დიდად აზარალებდა მთელ დასავლეთ საქართველოს. ერთ იმ დროინდელ (I ს. ახ. წ.) მწერალს აღნიშნული აქვს, რომ „დიდი პიტიუნტი" (პიტვინტა), დიოსკურიადა (სოხუმი) და ბევრი სხვა ქალაქი დაქცეულ იქნენ. ფასიდის ანუ რიონის ხეობაშიც ასეთი სურათი იყო. აქაურ დაცემულ ქალაქთა რიცხვს ეკუთვნოდა აიაც.

კოლხეთის დაპყრობა რომაელთა მიერ

რომაელებმა რომ იბერიაში გაიმარჯვეს (ძვ. წ. 65 წ.), პომპეუსმა გადალახა სურამის ქედი და, მითრიდატის გავლენის აღმოსაკვეთად, ეგრისში მეფედ დასვა ვინმე არისტარქი. შემონახულია ამ მეფის სახელით მოჭრილი დრაქმა (ძვ. წ. 52 წ.). კოლხეთის სამეფო ხელისუფლებას აღარც არისტარქის შემდეგ დაპრუნებია ადრინდელი პოლიტიკური ძლიერება-გავლენა.

§ 5. იბერიის სახელმწიფოს გაძლიერება (ახ. წ. I-III სს.)

ბრძოლა რომაელ დამპყრობელთა წინააღმდეგ

ქართლში თავისი მბრძანებლობის განსამტკიცებლად რომაელებს მთავარ ციხეებში საკუთარი გარნიზონები ჰყავდათ ჩაყენებული. თუ არა სამხედრო ძალდატანება, ქართლის მოსახლეობა, ცხადია, მომხდურებს არ დაემორჩილებოდა. ეალი კი დიდი ჰქონდა დაკისრებული ქართველ მეფეს, კეისრის „მეგობარს", რომელიც „სიმმაქიაშიც" (ბერძნ. „თანამებრძოლობა") იყო ჩათრეული და რომელსაც ამით სამხედრო ბეგარა ეკისრებოდა.

თანამედროვე რომაელის მოწმობით, დამპყრობელთა ყოველი მოუცლელობა, რომაელთა მხრივ იბერიაში სამხედრო თავდაცვის შესუსტება ქართველებს მყისვე აგულიანებდა და მტრის განსადევნად ხელში იარაღს აღებინებდა. კერძოდ, ხალხი აჯანყდა ფარნავაზის მეფობაში (ძვ. წ. 36 წ.). ფარნავაზი, რომაელთაგან დამარცხებული, იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო მათ ომში

ალბანელთა წინააღმდეგ. მალე აჯანყება განმეორდა (ძვ. წ. 15 წ.). ამ აჯანყებას შემდეგ იბერთა მეფემ განიზრახა რომთან „სამეგობრო“ ურთიერთობის აღდგენა და ავგუსტე კეისარს ელჩები გაუგზავნა. ეს ამბავი აღნიშნული აქვს თვით ავგუსტეს ანკვირიის ერთ წარწერაში (დაახლოებით ახ. წ. 14 წ; ანკვირია დღევანდელი ანკარაა, თურქეთის დედაქალაქი, მცირე აზიაში).

მოკლე ხანში იბერიის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ქართლი ფაქტიურად რომისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას დაადგა.

ბრძოლა პართელ დამპყრობელთა წინააღმდეგ სომეხი ხალხის მხარდაჭერით

პართიის მეფემ არტაბანმა განაახლა სომხეთთან ძველი მტრობა, თავს დაესხა მას, მოშალა იქ რომაული ადმინისტრაცია და თავისი შვილი არშაკი გაამეფა (ახ. წ. 35 წ.).

პართელების უკუქცევა და სათანადო საომარი ოპერაციების ხელმძღვანელობა რომის მთავრობამ იბერიის მეფეს ფარსმანს დაუკისრა. ამრიგად, იმ დიდ პოლიტიკურ მეტოქეობაში, რომელშიც ჩაბმული იყვნენ პართელი და რომაელი დამპყრობლები, ახლა პირისპირ ხვდებოდნენ ერთიმეორეს პართელთა ძლევამოსილი ჯარი და იბერიის ჯანაკლებ განთქმული ჯარი. ამ უკანასკნელის გამარჯვების საწინდარი ის იყო, რომ სომეხი ხალხი ბუნებრივად უჭერდა მხარს პართელი დამპყრობლების განდევნის იდეას.

ომის დასაწყისშივე იბერიელთა დიდი ჯარი ეკვეთა სომეხ მეფეთა საბანაკო ქალაქს, დიდსა და მდიდარ არტაშატს (არაქსის ხეობაში), გაამეტა იქიდან პართელები და დაიკავა ქალაქი.

ქართველ მხედართმთავრებს, ფარსმანის მეთაურობით, დიდი გამარჯვება ხვდათ წილად. მათ ძალიან ეხმარებოდნენ ალბანელები და კავკასიელი მთიელებიც. იბერიელები და ალბანელები უშუალოდ ზედამხედველობდნენ მთიელების გადმოსასვლელ კარს, დარიალს და აგრეთვე კასპიის კარს (მერმინდელ დარუბანდს). ესეც ძალზე უშლიდა ხელს პართიის სარდლობას.

ქართველი სეფეწულეგის მეფობა სომხეთში

მოგებული ომის შედეგად სომხეთში, რომის იმპერატორის ბრძანებით, გამეფდა ფარსმანის ძმა მიჰრდატი (მითრიდატი), რომელიც თხუთმეტოდე წლის განმავლობაში განაგებდა სომხეთს (ახ. წ. 35—51 წწ.).

მაგრამ მიჰრდატის სომხეთში მეფობას ბოლო მოუღო მისი ძმისწულის, რადამისტის პატივმოყვარე ტახტისმაძიებლურმა ზრახვებმა. მიჰრდატის ბედი გადასწყვიტა რადამისტის მამამ ფარსმანმა. მამა-შვილის შეთანხმებული მოქმედების შედეგად მიჰრდატი მოკლულ იქნა და მის მაგიერ სომხეთში გამეფდა რადამისტი (51 წ.).

ამ გზით სომხეთი და იბერია პოლიტიკურად რამდენადმე გაერთიანდნენ. შექმნილ ვითარებაში ფარსმანი, იბერიისა და სომხეთის ფაქტიური მეფე, თავის პოლიტიკურ ღონისძიებებში კიდევაც უგულვებელყოფდა ხოლმე ქვეყნის მპყრობელი რომის ნებისყოფას. კერძოდ, მან რომის ხელისუფალთა გვერდის ავლითაც ჩამოაშორა ხელმწიფეს მიჰრდატი და მის მაგიერ გაამეფა რადამისტი და ა. შ. გაძლიერებული ფარსმანი მით უფრო არ შეეპოვებოდა ალბანელთა მეფეს და მას ალბანეთთან ომიც გადაუხდია.

მაგრამ იმ დროის შესაფერისად ტირანული ხასიათი მეფობისა იბერიელ-სეფეწულებს და ფარსმანს მკვეთრად უპირისპირებდა სომეხი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. მიჰრდატმაც და მეტადრე რადამისტმა თავისი უზომო სიმკაცრით და უანგარიშო შურისმაძიებლობით აიმხედრეს ხალხი. რადამისტს აუჯანყდა ქალაქ გარნისის (სადაც ის იჯდა) მოსახლეობა, ხალხი გარს შემოერტყა ციხეს და რადამისტმა გაქცევით-ღა უშველა თავს.

იბერიის შეიდგოგი გაძლიერება

სომხეთში დამკვიდრების განზრახვა იბერიის ხელისუფლებას არ გაუმართლდა, მაგრამ ქართლის სახელმწიფოს საზღვრები მაინც გაფართოვდა. იმავეანად ქართლის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებში შემოდიოდა ზვიდრიტთა ტომის საცხოვრისი, რომელსაც მდ. ჭოროხის ქვემო ხეობა ეჭირა.

რომის იმპერატორები, საერთოდ, იძულებული ხდებოდნენ ხელი შეეწყოთ იბერიის აქტიური პოლიტიკისათვის კავკასიის ასპარეზზე და ქართველთა სამეფო ხელისუფლებას დიდი პატივით მოჰკიდებოდნენ.

ფარსმან მეფის ძეს მიჰრდატს (რადამისტის ძმას) ვესპასიანე კეისრის სახელით მცხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ზღუდე გაუმაგრეს და ამ მშენებლობისა სახსოვრად იქ დიდი წარწერიანი ქვაც აღმართეს (ახ. წ. 75 წ.). ამ წარწერაში, სხვათა შორის, საზეიმო კილოთი გამოცხადებულია, რომ იბერიის მეფეც და ხალხიც კეისრისა და რომაელთა მეგობრები არიან.

ორმოციოდე წლის შემდეგ იბერიის მეფე ფარსმან მეორე ეწვია რომს და იქ, მარსის მინდორზე, ამ მეფის ცხენოსანი ქანდაკებაც აღუმართავთ (117 წ., ახლოს). ამას გარდა, ფარსმანმა კეისრის დახმარებით საქართველოს ახალი მიწა-წყალიც შესძინა.

ამ ფარსმანის თანამოღვაწეთაგან, ამ ბოლო დროს მცხეთაში არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, ცნობილი გახდნენ: ეზოსმოძღვარი აგრიპა და მისი შვილი, სახელოვანი *ბუდართბთავარი* იოდმანგანი; ერიეთავი ანუ პიტიახში ზევახი, რომლის სიძეც ყოფილა იოდმანგანი და სხვ.

ფარსმან II-ის მემკვიდრე ხსეფარნუგი მეფობდა ქართლში II ს-ის მეორე ნახევარში და მას „იბერთა დიდი მეფე“ ეწოდებოდა. ამ მეფის მარჯვენა ხელი იყო იოდმანგან აგრიპას ძე, თანამდებობით მაძასავით ეზოსმოძღვარი. ამ ეზოსმოძღვარმა იბერიას (ქართლის სახელმწიფოს) „მრავალი გამარჯვება“ მოუპოვა, ე. ი. ბევრი მტერი დაუმარცხა.

იბერიის მტკიცე საშხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, ურთიერთობა რომთან და სხვა მეზობლებთან III ს-შიც ძირითადად უცვლელი დარჩა. ასეთი ვითარება სავსებით შეეფერებოდა ქართველი ხალხის შემდგომ წარმატებას სოციალურ-ეკონომიურ სფეროში. მართალია, სპარსეთმა განიზრახა იბერიაზე გაბატონება, მაგრამ მან წააგო ომი რომთან და იძულებული შეიქნა მიეღო ნიზიბინის ხელშეკრულება (298 წ.), რომლის ძალითაც იბერია რომის მეგობრად რჩებოდა.

§ 6. სოციალ-ეკონომიური ვითარება მონათმფლობელურ იბერიაში

როგორც ვიცით, იბერიაში ადრევე ღრმად გაიდგა ფესვები მონურმა წარმოებამ, მაგრამ ამავე დროს აქ მონური შრომის გვერდით ჯერ კიდევ ფართოდ იყო გავრცელებული თავისუფალი შრომა. უშუალო მწარმოებელთაგან მონებსა და თავისუფალი შრომის ადამიანთა შორის იდგნენ „ნახევრად“ მონები, „ნახევრად“ თავისუფალნი და ა. შ.

ასეთი ვითარება, იბერიაში ადამიანთა ქონებრივი და სოციალური უთანასწორობა, აღუნიშვნელი არ დარჩენილა უკვე იმ ძველ ხანაში. ერთი მაშინდელი (ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I ს.) ბერძენ-რომაელი მწიგნობრის სტრაბონის სიტყვით ქართლის მოსახლეობის მიწისმოქმედი უმეტესობის ერთ ნაწილს შეადგენდა თავისუფალი ხალხი (ძველი ქართული ტერმინი რომ მივუყენოთ—ე რ ი), რომელიც მშვიდობიანობის დროს მიწას ამუშავებდა, ხოლო ომის დროს — მეომრად გამოდიოდა. მეორე ნაწილი წარმოადგენდა თავისუფლებაშეზღუდულ მიწისმუშა ხალხს, ის სამეფო საგვარეულოს (ძველი ქართული „სეფე-სახლი“) ემსახურებოდა „სამეფო მონების“ მსგავსად და აწვდიდა მას ყოველივეს, რაც კი ადამიანს საარსებოდ სჭირდებოდა.

გაბატონებული კლასის შემადგენლობაში ყველაზე მდიდარი იყვნენ სეფე-სახლი და ამ სახლის უმნიშვნელოვანესი წევრი — „იბერთა დიდი მეფე“.

ზემოაღნიშნულთა გარდა, იბერიის საზოგადოების მნიშვნელოვან ფენებს შეადგენდნენ ხელოსნები, ვაჭრები, კულტის მსახურნი და სხვ.

მონები

მონათმფლობელის „სახლსა“ და მეურნეობაში მონა ერთ-ერთ „ნივთად“, სამუშაო იარაღად იქცეოდა. ამიტომ ზოგ ენაზე „მონა“ და „სახლი“, ორივე ცნება ერთი ძირისაგან ნაწარმოები სახელით აღინიშნება. მონათმფლობელურ რომში „ფამილია“ ოჯახს ნიშნავდა, ხოლო „ფამულუს“ — მონას. თვით სიტყვა „მონა“ აგრეთვე სახლის სახელთან არის დაკავშირებული. „მსახურები“ საქართველოში თავდაპირველად მონებს უნდა რქმეოდათ („სახ-ლ-ი“ და „მ-სახ-ურ-ი“ ერთი ძირის სიტყვებია). ადრინდელი მსახურის მდგომარეობა მონისაგან არ განირჩეოდა.

საქართველოში მონას (მონა ქალს, მხევალს) „შიმონვარი“-ც ერქვა. უცხო მწერლების თხზულებებში ცალკე იხსენიებიან საკულტო სახლის, „ტაძრის“, „ხატის“ მონები (ბერძნ. „ჰიეროდულები“).

ადამიანთა მონებად ქცევის უფრო გავრცელებული საშუალება იყო მათი ტყვეებად წასხმა-მოტაცება („ტყვენვა“). „ტყვე“ და „მონა“ სინონიმური სახელები გახდნენ. მონებს სყიდვის შედეგად „სყიდულნიც“ ეწოდებოდათ.

როგორც ვიცით, მონებს იყენებდნენ ყველგან და ყველაფერში, მეტადრე მძიმე ფიზიკურ მუშაობაში. ძველმა ქვეყანამ იცოდა მონა-მხვნელიც, მონა-მწყემსიც. მონები ხელოსნობდნენ, მუშაობდნენ მშენებლობაზე, არხების გაყვანაზე და ა. შ.

მონებსა და მათ „უფალთა“ შორის კლასობრივი შეურიგებლობა უკიდურესად იყო გამწვავებული. მონათმფლობელ „სახლის უფალთა“ გესლიან ენაზე

ჩათთვის არასაიმედო მონა ხასიათდებოდა, როგორც „ბოროტი მონა და მედგარი“ (მედგარი — ძველქართულად ნიშნავდა ერთ ადგილზე უქმად მდგომს, მცონარეს, უმოქმედოს, ზარმაცს).

„უფალნი“ მტკიცედ ადგნენ ძალმომრეობას. მონათა მიმართ ძალდატანების წესით იხმარებოდა ჯოხიც, ჯაჭვებიც, უღელიც. ზოგი ამგვარი საგანი, გადმონაშთის სახით, ბოლო ხანებამდე შემორჩენილა, საკულტო-სარიტუალო ხმარებაში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასეთია, მაგალითად, რკინის ნახევარწრიული უღელი, აქეთ-იქით რკინის ჯაჭვებით დამძიმებული, რომელსაც მონებს, მუშა პირუტყვსავით, კისერზე ადგამდნენ. ასევე დაცულია კისერზე შესაბმელი ცალკეული „დიდი მძიმე რკინის ჯაჭვი“ და სხვ.

უფლის ჯდაბიონი

მიწათმოქმედი მოსახლეობის, სოფლის თემების მიმართ ყველაზე ძლიერ ექსპლოატატორად და უფლად, ბუნებრივია, გამოდიოდა მეფე, სეფე-სახლი (ძველქართულად სახლი — გვარს ნიშნავს). რადგან თვით მიწათმოქმედნი დაბა-სოფლებში ცხოვრობდნენ, ამიტომ მათ ერქვათ მდაბიონი, მსოფლიონი. მეფის, ამ დიდი უფლის ხელში ისინი ხდებოდნენ „უფლის მდაბიოებად“. როგორც ექსპლოატირებულნი, დაბეგრილები, მიწისმოქმედნი იწოდებოდნენ გლეხებად, ხოლო რაკი სეფე-სახლს ემსახურებოდნენ, ამიტომ მათ მესეფე გლეხებიც ეწოდებოდათ, რადგან ამუშავებდნენ სეფე ქვეყანას (ძველქართ. ქვეყანა — მიწას ნიშნავს). მათ უნდა მიერთმიათ ყველაფერი, რაც კი ადამიანს სჭირდებოდა საარსებოდ — საკვები, ტანისამოსი და ა. შ. მიუხედავად პირადი თავისუფლებისა, ისინი უფლის ხელში თითქმის მონებივით იჩაგრებოდნენ. ამის გამო მათ ზოგჯერ „სამეფო მონებს“ უწოდებდნენ.

ხელოსნობა

როგორც ვიცით, იმ დროისათვის ქართველ ხალხს ხელოსნობის მრავალ დარგში ჰქონდა უკვე საუკუნოვანი ტრადიციები. ადრევე შეძენილი ჩარხი, სამეთუნეო მორგვი თუ სხვა ტექნიკური ხელსაწყოები ანტიკურ ხანაში კიდევ უფრო გავრცელდა. ხელოსანთა შემდგომი დასპეციალება, სახელოსნო ცენტრების, დაბა-ქალაქების რიცხვობრივი ზრდა — ყოველივე ეს ადრინდელზე უფრო მეტად აუმჯობესებდა ადამიანთა ცხოვრების პირობებს, „აიაფებდა“ ოჯახისთვის საჭირო ჯამ-ჭურჭელს, მიწის სამუშაო იარაღს, სამკაულს. ასეთი პროგრესი ბიძგს აძლევდა მადნეულის ახალი საბადოების მოძიება-გამოვლინებას, უკვე ნაპოვნის მეტი სარგებლით გამოყენებას. იბერიის სამეფოს წარმოქმნის ხანაშივე აქაურ ქალაქთა შორის დაწინაურდა სარკინე ქალაქი ანუ სარკინეთი, სადაც განვითარებული იყო რკინის დამუშავება. ეს ქალაქი მდებარეობდა მცხეთის დასავლეთით, თანამოსახელე ქედის ძირობაზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ძეგვის პირ დაპირ.

მრავალადაა შემონახული და არქეოლოგიური თხრით გამოვლენილი იმდროინდელი ხელოსნობის ნიმუშები, მჭედლებისა და ოქრომჭედლების სანაქებო ნახელავი. მეკეცეების (მეთუნეების) ნაწარმი და სხვ. მასალად უხმარიათ რკინაც და ბრინჯაოც, ოქროც და ვერცხლიც, ძვალიც და ქვაც, მინა, ქარვა, პასტა და ა. შ.

მეკეცეთა ნაწარმიდან ჩვეულებრივ გვხვდება წითლად გამომწვარი თიხის ქვევრები, დოქები, ქოთნები, ქილები, ჯამები. მეშუშეთა ნაწარმიდან — თეთრი

თუ ფერადი მინის ჭურჭლეული, მათ შორის ლამაზი მოყვანილობის სანელსაცხებლეები და სხვ. გვხვდება აგრეთვე ბრინჯაოს ბალთები, სარკეები; რკინის ლურსმნები და სხვ. რკინის საომარი იარაღებიდან — მახვილები, სატევრები, შუბები, ისრები, დანები, რომელთაც ზოგჯერ სალესავებიც ახლავთ თან. არც ოუ იშვიათად გვხვდება რკინის სამკაულიც (სამაჯურები, ბეჭდები).

ოქრომჭედლობის ნაწარმი ძალზე გავრცელებული ყოფილა. მრავლად შემონახულან ოქროს ბალთები და ღილები, სამაჯურები და აბზინდები, ბეჭდები და საყურეები, პატიოსანი თვლებით მოოქვილი, და ბევრი სხვა.

უფრო იშვიათად ჩანს ვერცხლის სამკაული, რომელიც უფრო ბეჭდებითაა წარმოდგენილი. არის ვერცხლის ნივთები, რომლებიც ეკუთვნის ცხენის აკაზმულობას (პატარა ბალთები და აბზინდები), მრავლად მოიპოვება მძივები — ქარვისა, გიშრისა, მინისა.

ხუროები, მჭედლები, ანუ „კვერით ხუროები", ფეიქრები და. საერთოდ, ხელოსნები, ხელობის გარდა, ერთიმეორისაგან სოციალურადაც განსხვავდებიან. ს ო ფ ლ ი ს ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი, რომელნიც მსოფლიოთა, მდაბიოთა, მეთემეთა საჭიროებას აკმაყოფილებდნენ, განირჩეოდნენ კერძო ხელოსნებისაგან, რომელნიც, ჩვეულებრივ, ქალაქად, საკუთარი თაოსნობით, აწარმოებდნენ საქმეს. მდიდარ მესაკუთრეებს ხელოსნებად ჰყავდათ მონა-მხევლებიც, ზოგჯერ უცხოეთის ბაზრებზე ნაყიდი. ამათ რიცხვში იყვნენ მ ე ფ ი ს ხ ე ლ ო ს ნ ე ბ ი.

ვაჭრები

საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში, ხელოსნებთან ერთად, შესამჩნევი ადგილი ეკავათ ვაჭრებს. მათ ძველქართულად ვაჭრებიც ერქვათ და მოფარდულნიც. ვაჭრები აკავშირებდნენ საქართველოს ქალაქებს მთასთან, ზღვასთან, ზღვისგარეთთან. საკუთრივ მ ე ფ ი ს ვ ა ჭ რ ე ბ ი მეფისთვის იყვნენ უცხო ქვეყნების ამბავთა მაუწყებელი, დესპანთა როლის შემსრულებელი. ისინი, გარდა იმისა, რომ იქიდან უცხო საქონელს ეზიდებოდნენ მეფის სასარგებლოდ, მის სახელოსნოებში, ზვრებსა და აგარაკებში დამზადებულ საქონელს ასაღებდნენ.

ადგილობრივი ვაჭრები ბიძგს აძლევდნენ ქვეყნის კეთილმოწყობას, მიმოსვლის საშუალებათა მოვლა-მოწესრიგებას. მათ წილი ედოთ იმ სასარგებლო სამეურნეო საქმიანობაში, რომლის შედეგი იყო რიონზე თუ მტკვარზე ათეულობით ნაგები ხიდები, დარიალას გამაგრებული კარი, ქალაქების სუფთად დაცული მოედნები და ა. შ.

ვაჭრებმა, თავიანთი საქმიანობის კვალობაზე, იცოდნენ უცხო ენები.

ქალაქები

ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარება იწვევდა საქალაქო ცენტრების მომრავლებასა და ზრდას. იბერიის ქალაქებს, მეტადრე მცხეთას, აგვიწერენ, როგორც კეთილმოწყობილ სამოსახლოებს. სამეფო ქალაქად გახდომამდე მცხეთას უკვე კულტურული ცხოვრების ათასწლეული ისტორია ჰქონდა. მცხეთის კარებთან იყრიდნენ თავს სავაჭრო გზები ოთხკუთხივ: არაგვით და ქსნით — ჩრდილო ქვეყნებიდან; მტკვრით — დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც; თრიალეთის უღელტეხილებით — სამხრეთიდან. მცხეთას, როგორც პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცენტრს, იცავდა ოთხი ციხე, რომელთა შორის მთავარი („თავადი ციხე") იყო არმაზციხე.

არმაზციხის (ახლა ბაგინეთის) ტერიტორიაზე მდგარა ქვის სასახლე და

სხვა დანიშნულების შენობები, რომელთა შორის გამოირჩევა ერთი, თეთრი ქვით ნაშენი, ქვის თავ-ძირიანი სვეტებით, ჩუქურთმიანი ლავგარდნებით და ფერადი ნახატებით დამშვენებული.

არმაზციხეს კლდოვანი მაღლობის თხემზე აღმართული ყოფილა ქალაქის მფარველი, ომის წარმართული ღვთაების არმაზის ქანდაკება — ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, ზურმუხტისთვლებიანი, ხელმახვილიანი.

მცხეთის ერთ-ერთი უბანი მდებარეობდა არმაზციხის დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა პატარა შენაკადის არმაზისხევის შესართავთან. ეს საგარაკო ადგილი სამოსახლოდ სჭერია ქართლის ერისთავთა ანუ პიტიახშთა სახლს. პიტიახშებს, სასახლის გარდა, აქ ჰქონიათ საკუთარი საოჯახო განსასვენებელი, სასაფლაო. ქალაქის უდიდესი სასაფლაო მდებარეობდა მტკვრისა და არაგვის შესაყართან, არაგვის მარჯვნივ, იმ ვრცელ მინდორზე, რომელსაც, ზუდ მდგარი მერმინდელი ტაძრის მიხედვით, სამთავრო ეწოდება.

იბერიის ქალაქთაგან მცხეთის სიახლოვეს დაწინაურებულან წიწამური (ბერძნულად — სევსამორა), არაგვის მარჯვენა სანაპიროზე, სარკინე ქალაქი და სხვ. სევსამორას საფუძვლები და ზღუდეთა ნანგრევები მიკვლეულია იმ მთის თხემზე, რომლის ძირშიც მდებარეობს დღევანდელი სოფელი წიწამური, ხოლო სარკინეთისა — სოფ. ძეგვის პირდაპირ. ამ უკანასკნელში აღმოჩნდა რკინის წარმოების ნაშთები.

მტკვრისა და სავაჭრო გზის გაყოლებაზე მდებარეობდნენ ქალაქები ასპი, უფლისციხე, ურბნისი, სურამი, მესხეთის მთის სამხრეთ კალთებზე, ხეობაში — ოძრხე და სხვ.

ქალაქის ღარიბი ფოსახლეობის ნივთიერი დოვლათი

ექსპლოატატორული საზოგადოების პირობებში ხალხის უმეტესობას, უშუალო მწარმოებელთა მასას საკუთარი შრომით შექმნილი დოვლათიდან სულ მცირე რამ რჩებოდა.

ამას მოწმობენ, სხვათა შორის, არქეოლოგთა მიერ გათხრილი სამარხები, რომლებშიც, ძველი წესისამებრ, მიცვალებულებს ჩატანებული აქვთ სხვადასხვა ნივთები და სამკაული. ძველი მცხეთის უდიდეს სასაფლაოზე, სამთავროში, მრავლადაა გათხრილი ძვ. წ. III—I და მომდევნო საუკუნეთა განცალკევებული სამარხები. გარდა შეძლებულთა სამარხებისა, რომლებშიც საკმაოდ მრავლადაა ოქრო-ვერცხლი, გვაქვს აშკარად ღარიბულად დაკრძალულთა სამარხებიც, რომლებიც შეიცავენ ძალიან ცოტა და უფერულ, იაფფასიან ნივთებს (თიხის ორიოდე ჭურჭელი, მინისა თუ პასტის მძივები, რკინისა თუ ბრინჯაოს სამაჯურები და ბეჭდები, რომლებშიც იაფი მასალის თვლები სხედან, და სხვ.). იმავე დროს მცხეთის გარეუბანში, არმაზისხევთან გათხრილია რამდენიმე არაჩვეულებრივ მდიდრული სამარხი, რომლებშიც უამრავი ძვირფასი ვერცხლის ჭურჭელი, ოქროსა და თვალ-მარგალიტის სამკაული აღმოჩნდა.

მეფე და საფეოდ ხელისუფლება

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, უზენაესი. შეუზღუდველი უფლებით მოსილი მბრძანებელი, ანუ უფალი. მისი ხელისუფლების გარეგანი ნიშნები იყო საზეიმო, ძვირფასი დიადემა (თვლებით შემკული თავსაკრავი) და გვირგვინი. მისი სიმდიდრე-სიძლიერისა და გავლენის უშუალო საფუძველი იყო „სეფე-

ქვეყანა". „სეფე" ნიშნავდა სამეფო გვარსაც, სასახლეს, ანუ პალატსაც და აგრეთვე ყოველივე სხვას, რაც სასახლეს ეკუთვნოდა. სეფე-ქვეყანას ანუ სამეფო მიწებს ამუშავებდნენ მონები და უფლის მდაბიონი.

მეფის მეურნეობას განეკუთვნებოდა აგრეთვე მრავალგვარი დამხმარე ნაგებობა — სათონეები, სახელოსნოები, სამჭედლოები და ა. შ.

მეფის შემოსავლის წყარო იყო, ერთი მხრივ, მისი კუთვნილი ხოდაბუნები, ზვრები და საძოვრები და, მეორე მხრივ — სახელოსნოები. სამეფო მეურნეობის ნაწარმი ბაზარზეც იყიდებოდა. ამას ემატებოდა „ხ ა რ კ ი", ჩვეულებრივ მძიმე გადასახადი. დახარკული ხალხისათვის, მეფის ხელქვეითებისათვის ეს იყო „ხარკი და ჭირი". ხარკი იკრიბებოდა მეფის „ჯოხიანი" მოხელეების მიერ.

სამეფო ბეღლებსა და სუფრას მისდიოდა ხალხისაგან „მცირედი ხარკიც". უფლის მდაბიონი თუ სხვა ადგილობრივი გადამხდელები მეფის კარზე ეზიდებოდნენ ტრადიციულ, პირველყოფილ-თემური წყობილებიდან ნაანდერძევ „კოდისპურს".

მიწისმოქმედნი მეფის ხოდაბუნების დამუშავების დროსაც სავალდებულო ბეგარას იხდიდნენ ტრადიციული მ ო დ გ ა მ ი ს სახით, ისინი მეფის საკუთარ მიწის მუშებს გვერდით მ ო უ დ გ ე ბ ო დ ნ ე ნ და თავიანთი სახვნელებით ნონაწილეობდნენ ხოლმე ხვნაში.

ხშვადასხვა შემთხვევებში ამა თუ იმ სოფელში მსოფლიონი მეფეს სავალდებულო პურის ჭამასაც უმართავდნენ. საამისოდ იწვევდნენ ანუ, ძველი ქართულით რომ ვთქვათ, „ჰხადოდნენ" მას. ასეთ მასპინძლობას ხ ა დ ი ლ ი ერქვა.

მეფეს და მთელ სეფე-სახლს ბინა და საგანძური დადებული ჰქონდათ საქართველოს უმდიდრეს ქალაქებში, როგორიც იყო, მაგალითად, იბერიაში მცხეთა.

მეფის უფლება გადადიოდა მამიდან შვილზე, პირდაპირი მემკვიდრეობით. გვირგვინისა და ხელისუფლების მაძიებელნი ხშირად მიმართავდნენ მეფის ფარულ მკვლელობას, საწამლავითა თუ იარაღით.

მეფის ლაშქრისა და ადმინისტრაციის მეთაურები საჭიროების დროს თავს იყრიდნენ მეფესთან სადარბაზოდ. დარბაზობა ნიშნავდა მეფის კარზე, საზეიმოდ მისაღებ დარბაზში, შეკრებას სახელმწიფო საქმეების, კერძოდ, ომის და ზავის საკითხის გადასაწყვეტად.

დარბაზობაში, მეფის მეთაურობით, თავს იყრიდნენ: სპასპეტი, ანუ ლაშქრის უფროსთა თავი, კულტის მსახური (ქურუმები), პიტიახშები, მეფის ადმინისტრაციის მეთაურები, ერისთავები — თავისუფალი ე რ ი ს სათემო-სამხედრო წინამძღოლები. მათი მომდევნო ასისთავები და ზოგი სხვანი.

მეფის ლაშქარი

მეფე-მპყრობელის მთავარი ძალა იყო მისი მცველი საკუთარი მხედრობა. მეფის ლაშქრის ბირთვს შეადგენდნენ სეფე-სახლის წევრები, რომელთაც ს ე ფ ე - წ უ ლ ე ბ ი ეწოდებოდათ.

მეფის ლაშქარი მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად შეადგენდნენ ტ ა ძ რ ე უ ლ ებ ს, ესე იგი ტ ა ძ რ ი ს წევრებს. „ტაძარი" ძველქართულად სახლს და სასახლეს ნიშნავდა.

მეფის ლაშქარი ცხენოსანი იყო, მ ხ ე დ რ ო ბ ა ს შეადგენდა. ამ ლაშ-ქარს ნივთიერი შეძლება ნებას აძლევდა, საჭიროებისამებრ, მსუბუქადაც შეია-რაღებულიყო და მძიმედაც. მძიმე შეიარაღებას ეკუთვნოდა ლითონის თ ო რ ნ ი, ანუ ჯ ა ვ შ ა ნ ი. ამიტომ მხედარს ც ხ ე ნ-თ ო რ ო ს ა ნ ი ც ეწოდებოდა. მის შეიარაღებას შეადგენდა: ჯაჭვ-ჩაბალახი, ფარი, ისარი, შუბი, მახვილი.

მეფის პ ა ლ ა ტ ი ანუ სასახლე, მეფის ლაშქართან ანუ ბ ა ნ ა კ თ ა ნ ერ-თად, წარმოადგენდა განუყოფელ მონარქიულ ძალას, რომლის აღსანიშნავად იხმარებოდა რთული სიტყვა „პალატ-ბანაკი“.

ომში წინ ცხენ-თოროსნები მიდიოდნენ. მათ მიჰყვებოდნენ ქვეითები (ძველქართულად მ კ ვ ი რ ც ხ ლ ე ბ ი), ხოლო ამათ მიჰყვებოდნენ მსუბუქად შეიარაღებული მ ხ ე დ რ ე ბ ი.

უმაღლეს სარდლობას შეადგენდნენ სპასალარები, ათასისთავები. საერთო მეთაურად გამოდიოდა სპასპეტი. რადგან მეფის ტაძარს ანუ „ეზოს“ (სასახლეს, კ ა რ ს) იცავდა ა თ ა ს ე უ ლ ი, ამიტომ სასახლის ათასისთავი იყო იგივე ეზოსმოძღვარი, სასახლის ხელმძღვანელი, სახლთუხუცესი.

იბერიის მხედრობას თავისი ბრძოლისუნარიანობით სახელი ჰქონდა მოხ-ვეჭილი მოწინავე ქვეყნებში, მისი ტანვარჯიში და ასპარეზობა ქებული იყო.

თავისუფალი ერის ლაშქარი

ქვეითობას, მკვირცხლთა გუნდებს მეფეს აძლევდა თავისუფალი მიწისმოქმედი ე რ ი. ქვეითობის მეთა-ურად გამოდიოდა ე რ ი ს თ ა ვ ი, ცალკეულ მეომარს ერქვა ე რ ი ს გ ა ნ ი, ე რ ი ს კ ა ც ი.

მთიანეთის მოსახლეობის უმრავლესობას ომიანობისა და იარაღის მოყვარე ხალხი შეადგენდა. დიდი ომის დროს იქ იარაღს ისხამდა საჭურვლის ხმარების შემძლე ყოველი მამაკაცი. მათი სამხედრო ხელმძღვანელობა ეკისრებოდა ხალხის მხედართმთავარს.

იბერიის ხელისუფალთ საშუალება ჰქონდათ საომრად გამოეყვანათ 10—20 ათასი მხედარი და 30—50 ათასი ქვეითი. საომარ დაძახილზე მთას, ჩრდილო კაც-კასიელთა დახმარებით, შეეძლო ფეხზე დაეყენებინა მრავალი ათეული ათასი კაცი.

საშეფო ადმინისტრა-ცია

სახელმწიფო მართვა-გამგეობას მეფე ახორციე-ლებდა სასახლისა და პროვინციის მოხელეთა მეშვეო-ბით.

მოხელეთა რიგს ეკუთვნოდნენ ეზოსმოძღვარი, პიტიახშები ანუ ერისთავები, ხევისუფლები, ხევისთავები, ციხისთავები და სხვ. პიტიახშები მარ-თავდნენ იბერიის სამეფოს შემადგენელ ადმინისტრაციულ ერთეულებს — ხევებს; კრებდნენ გადასახადებს და ადგილობრივ მეურნეობას იცავდნენ მტრის თავდასხმისაგან. პ ი ტ ი ა ხ შ ი სიტყვა-სიტყვით „ქვეყნის თავს“ ნიშნავს (პიტ — თავია). არქეოლოგიური თხრის შედეგად ცნობილია რამდენიმე პიტიახ-შის სახელი (შარაგასი, ზევახი, ასპარუგი, ბუზმირი), ზოგიერთის პორტრეტიც კი, მათი ოჯახური მდგომარეობა, სიმდიდრე, საგვარეულო სამარხავი და სხვ. მათი სახელისუფლო ნიშნები ყოფილა ოქროსბალთებიანი სარტყელი, პორტ-რეტიან-წარწერიანი საბეჭდავი, ოქროს დიადემა, ოქროსტარიანი თუ ოქროს-ქარქაშიანი სატევრები და სხვა.

პიტიახშები თავ-თავიანთ საგამგებლოში შემავალ ცალკეულ ხევებს მართავდნენ ხევისუფალთა, ხევისთავთა, ციხისთავთა და სხვა მოხელეთა მეშვეობით.

ექსპლოატატორთა საკუთრებისა და ინტერესების დამრღვევს ელოდა ჯდომა საპყრობილეში ანუ დილეგში, მის ბნელ ჯურღმულებში, რომლებიც მოთავსებული იყვნენ განმარტოებულ ციხე-კოშკებში.

მსაჯულთუხუცესნი და ქურუმნი

მმართველთა მაღალ წრეს ეკუთვნოდნენ აგრეთვე უზენაესი მსაჯული და კულტის მსახურნი — ქურუმები, ანუ მღვდელნი. მეფის გარდა, ქურუმებსაც წილი ედოთ სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში. ზავისა თუ ომის პირობებში.

§ 7. კულტურული ვითარება მონათმფლობელურ საქართველოში

ხუროთმოძღვრების ძეგლები

იბერია-ქართლის ერმრავლობას, ქალაქების სიხშირესა და სიკეთეს ასე ახასიათებს ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (გარდ. ახ. წ. 23 წ.): „აქ გვხვდება კრამიტის სახურავებიც, სახუროთმოძღვრო ხელოვნების წესების თანახმად ნაგები შენობები, საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი შენობებიო“.

არქეოლოგიურ ძეგლთა შორის ძნელია იმ დროის ღარიბ ქალაქელთა და სოფლელთა ნასახლარების გარჩევა, რადგან მათი მცირე ფიცრული „სახლაკები“ (და არა სახლები და სასახლეები), მათი ნადგომი „გალიაკები“ თითქმის უკვალოდ გალესილან წარსულის მტვერში. ღარიბ-ღატაკთა კუთვნილ „ნაგებობათაგან“ ჩვენამდე მოუღწევიათ ისევ მათ სამარხებს, რომელნიც, მონათმფლობელთა ოქრო-ვერცხლით აღსავსე აკლდამებისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივ, შეიცავენ თითო-ოროლა უფერულ ჭურჭელს და იაფფასიან სამკაულს.

რაც შეეხება მდიდარ მესაკუთრეთა ნადგომ სასახლეებს, თავდასაცავ გალავნებსა და სხვა შენობებს, მათი ნაშთები მრავლად შემოუნახავს მიწას და გამოვლინებულია არქეოლოგიური თხრის საშუალებით. ბუნებრივია, რომ ყველაზე უფრო მდიდრულ შენობათა ნაშთები აღმოჩნდა იმდროინდელ სატახტო ქალაქ მცხეთაში, მის ძირითად უბნებში (არმაზისხევი, ბაგინეთი).

ქალაქის ზღუდეთა ნაშთები, ბაგინეთს გარდა, გამოვლენილია სხვა ადგილებშიც — მაგალითად, სარკინეთში, წიწამურში, გორში, ურბნისში, ნოქალაქევში (მდ. ტეხურის ხეობაში).

მცხეთის მისადგომებზე (ზაჰესის ახალ ხიდთან) გადარჩენილია ამ ქალაქის გალავნის დიდრონი ლოდები, რომლებზედაც ამოკვეთილია ბერძნული ასოები.

იმდროინდელი ხუროთმოძღვრები მშვენივრად ახერხებდნენ რთულ საინჟინრო ღონისძიებათა განხორციელებას: კაპიტალური შენობების მაღალ ფერდობებზე დაფუძნებას, დაქანებულ კალთებზე კედლების კიბე-კიბედ ჩამოყვანას (მაგალითად, ბაგინეთში), ქვიანი ნიადაგის სათანადოდ გამტკიცვა-გამზადებას.

უფლისციხის ქალაქი (ამჟამად ნაქალაქარი), მისი განიერი და მაღალი დარ-

ბაზები მთლიანად კლდეშია გამოკვეთილი. ყურადღებას იპყრობს ცალკეულ შენობათა ურთიერთ-შეწყობილობა (ანსამბლი); კერძოდ, არმაზისხევში (მცხეთა) ერისთავ-პიტიახშების მდიდრულს სასახლეს თან ახლდა უკანა ეზოში მდგარი მშვენიერი აბანო, გვერდით — მარანი, იქვე ახლოს — საგვარეულო სამარხი. პიტიახშების აბანო კარგად აგებული და ტექნიკურად შესანიშნავად გამართული ნაგებობაა. წყალი მასში თიხის მილებით შედიოდა, ცხელდებოდა და ისეთივე მილებით მოედინებოდა აბაზანებისაკენ. აბანოს გასათბობად გამოყენებული ყოფილა იატაკქვეშა მოწყობილობა. საცეცხლეს ზემოდან ახურავს დუღაბით ამოყვანილი თაღი. მშენებლობაში იყენებდნენ თლილსა და ნაგლეჯ ქვას. კირს („ქვიტკირს"), აგურს, ალიზს.

კარგად გამომწვარი და შეღებილი კრამიტი, სხვადასხვა ფორმის აგური. ჩუქურთმებით შემკული ქვის ფილები მრავლადაა ნაპოვნი მცხეთის ვრცელ ტერიტორიაზე წარმოებული თხრისას.

ხუროთმოძღვრულ ძეგლებში დიდი მხატვრული ხელოვნებაც ჩანს. მაგალითად, არმაზისხევის სასახლის ნანგრევებში გამოირჩევა: კარის ზედანა-ს თლილი პროფილიანი ქვები, მცენარეული ორნამენტით შემკული სვეტისთავი და სვეტისძირი, ნიკბებიანი კარნიზის ნაწილი და სხვ.

საცხოვრებელ ნაგებობათათვის შემუშავებული წესით და გეგმით შენდებოდნენ ქვისსამარხებიც, მეტადრე მდიდართა აკლდამები. ქვისსამარხები გავრცელდნენ I—III ს. ახ. წ.

ქვისსამარხი ჩვეულებრივ წარმოადგენს მინიატურულ მოგრძო „სახლს", რომელსაც აქვს ოთხი კედელი და სახურავი, ხან ქვის ფილებისავე იატაკიც, სახურავი ზოგან ბრტყელია („ბანი"), ზოგან ორფერდა. ფორმით და დანიშნულებით ეს იყო საიქიოს საცხოვრებელი, „სამარადისო" სახლი.

შეძლებულთა სამარხები, გარდა შიგ ჩატანებული ოქროვერცხლისა, თავ-სთავადაც მდიდრულად, სუფთად არიან ნათალ-ნაკეთები. მათ აქვთ ქვის, კრამიტის ან აგურის იატაკი.

ზოგი სამარხი ნათალია ერთი უზარმაზარი ქვისაგან და ასეთივე სახურავითაა დაფარული. დიდკაცის გვამს ზოგჯერ სდებდნენ ვერცხლისფეხებიან სარეცელზე და ასე მწოლიარეს, სარეცლიანად, ათავსებდნენ სამარხში. რამდენიმე ასეთი „სარკოფაგი" აღმოჩენილია არმაზისხევთან, ერთი — ბაგინეთს.

არქიტექტურითა და დეკორაციული მორთულობით გამოირჩევა მ ა ვ ზ ო ლ ეუ მ ი ს ტიპის აკლდამა (არმაზის ქედის ძირში), რომელიც, რა თქმა უნდა, სხვებზე უფრო ემსგავსება იმდროინდელი მცხეთის საცხოვრებელ შენობებს. ერთთვალიანი, სუფთად ნათალი ქვის სახლი დგას საძირკველზე, შემკულია ფრონტონით და ლავგარდნით. ზღურბლიან კარს ამშვენებს საპირე. იატაკი დაგებულია თლილი ქვით, თლილი ქვის თაღად ამოყვანილ სახურავს კრამიტიც აფარია. სწორედ ამგვარ ნაგებობებსა და სახურავებზე ლაპარაკობს სტრაბონი. როცა იბერიის ხუროთმოძღვრებას ახასიათებს.

მცხეთას თავისი „მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი" ჰყოლია. ერთი ამისთანა თანამდებობის პირი, სახელად ავრელი აქოლისი, დაკრძალული ყოფილა მცხეთას, სამთავროში, იქ თხრისას აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერის მიხედვით (ახ. წ. IV—V სს.).

ოქრომჭედლობა

მცხეთაში და საქართველოს სხვა ადგილებში მრავალად გათხრილ მდიდრულ სამარხთა მრავალფეროვან ინვენტარს შეადგენენ, უპირველეს ყოვლისა, ოქრომჭედლების ნახელავი სამკაულები და სუფრის „სამსახურებელნი“ — ვერცხლის ჯამ-ჭურჭელი, ლანგრები, თასები, ფიალები, სურები.

ოქრომჭედლებისა და თვლებისმთლელთა ნაწარმი უხვად ვრცელდება მომხმარებელთა შორის ახ. წ. I ს-დან. შეძლებულ ოჯახებში დიდ ხმარებაში ყოფილა ძვირფასი თვლებით დამშვენებული ოქროს ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, აბზინდები; ხელისუფალნი შუბლს იკრავდნენ დიადემებით, გვირგვინებით. პიტიახშთა მიერ ნატარებ ნივთთაგან დაცულია უფაქიზესი ოსტატობით ნაჭედი ოქროს გულსაკიდები, წნული სამაჯური; კერძოდ, ასპარუგ პიტიახშის საგანძურიდან გადარჩენილია სარტყლისა და დიადემის ბალთები და ა. შ.

იბერიის მეფე ფარსმანს (117 წ. ახლოს) საშუალება ჰქონდა თავისი საგანძურებიდან თუ სახელოსნოებიდან ძღვნად გაეგზავნა რომს ადრიანე კეისრისთვის სამასი ხელი „ოქროთი შემკული წამოსასხამი“ და ოქროს სავარძელი. ადგილობრივი ოქროს საბადოები უზრუნველყოფდნენ ოქრომჭედლობის ფართოდ გავრცელებას. მცხეთაზე არანაკლები სიუხვით დაუცავთ ოქრომჭედლობის ნიმუშები ბორს, კლდეეთს, ურეკს და სხვაგან აღმოჩენილ სამარხებს.

ბეჭდვითი და სახვითი ხელოვნების ცალკეულ ნიმუშთაგან განთქმული არიან, კერძოდ, არმაზისხევში აღმოჩენილი ორი ვერცხლის პინაკი, რომელთა ფსკერზე გამოსახულია სამსხვერპლო და მის წინ მდგომი ცხენი, წინაფეხაწეული (ოქროთი მოვარაყებული ცხენი მკაფიოდ ჩანს ვერცხლის ზედაპირზე); ცხენს, ფაფარს ზემოთ, სამგან სხივთა კონა „ეფრქვევა“, რადგან აქ ცხენი — ღვთაების განსახიერებაა (ცხენის კულტი).

სამკაულებში გამოირჩევიან ისეთი თვლები (ბეჭდებისა, სარტყლის სამკაულებისა), ე. წ. გემები, რომლებზედაც ამოკვეთილ-ამოკაწრულია ადამიანთა პორტრეტები (მაგალითად, პიტიახში ასპარუგისა) ან სხვა გამოსახულებანი. გემათა ნაწილი შემოზიდული ჩანს უცხო, ელინისტური ქალაქებიდან, ნაწილი კი აქვეა ამოჭრილი.

ᲬᲔᲘᲒᲜᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

იბერიაში ფართოდ იყო გამოყენებული არამეული დამწერლობის თავისებური სახე — ე. წ. არმაზული დამწერლობა. ამ დამწერლობის ძეგლთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეგრეთ წოდებული „არმაზის ბილინგვა“ ანუ ს ე რ ა ფ ი ტ ი ს წ ა რ წ ე რ ა (II ს. ახ. წ.), აღმოჩენილი არმაზისხევთან. ის ამოჭრილია ქვის სვეტზე. რომელიც თავის დროზე აღმართული ყოფილა მადალი წრის ქალის სამარხის თავზე. წარწერა ორენოვანია: ბერძნული და არამეული. იგი შემდეგს გვეუბნება:

„მე ვარ სერაფიტი,
ფარსმან მეფის პიტიახშის ზევახის ასული,
ხსეფარნუგ მეფის ეზოსმოძღვრის, ძლევამოსილისა და
მრავალჯერ გამარჯვებულის იოდმანგანის — ფარსმან

მეფის ეზოსმოძღვრის აგრიფას ძის — მეუღლე.
ვაება ვაებისა. ის იმდენად კეთილი და მშვენიერი იყო,
რომ სილამაზით არავინ იყო მისი მსგავსი. გარდაიცვალა 21 წლისა“.

ამრიგად, წარწერა გვაცნობს იბერიის მეფეებისა და დიდი მოხელეების ვინაობას და თანამდებობას. მეორე დიდ წარწერაში იხსენიება „მეფე მიჰრდატი“, „დიდი მეფე ფარსმანის ძე“, მისი პიტიახში შარაგასი და სხვ.

ბორში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგარზე ამოკრილი არამაზული წარწერა იხსენიებს „პიტიახშ ბუზმირს“.

არამაზულ წარწერათა ცნობებს პიტიახშთა შესახებ რამდენადმე ავსებენ არმაზისხევთანვე აღმოჩენილი ბერძნული წარწერები. ოქროს ბეჭდის თვალზე ამოკრილია გრძელწვერა მამაკაცის სახე, რომლის ირგვლივ წერია: „პიტიახში ასპავრუკი“. ამ ასპარუგის აკლდამაში აღმოჩნდა აგრეთვე სარტყლის დამპამშვენებელი ოქროს ბალთები. ერთი მათგანის თვალზე ამოკვეთილია ცოლ-ქმრის გამოსახულება და წარწერა: „ზევახ. ჩემო სიცოცხლე. კარპაკი“. ეს ზევახი სწორედ ის პიტიახშია, რომელიც სერაფიტის წარწერაშიც იხსენიება, როგორც მამა მისი.

იბერიასა და კოლხეთში გავრცელებულ ცოდნის დარგთა შორის აღსანიშნავია გეოგრაფია-კარტოგრაფიაც. ცნობილია, რომ კოლხებს მოეპოვებოდათ მამა-პაპათაგან ნაანდერძევი გეოგრაფიული „დაფები“, რომლებშიაც „მოთვლილი იყო ყველა არსებული გზა, წყლისა და ხმელის საზღვრები, — მოგზაურთათვის სახმარად“.

ქართველ სწავლულებს ძველიდანვე უზრუნავთ საისტორიო თხზულებათა შექმნაზე, რომელნიც შემდეგ შევიდნენ უძველეს ქართულ მატიანეში.

კოლხეთის ქალაქ აიაში არსებობდა ე. წ. გ ი მ ნ ა ს ი ო ნ ე ბ ი. ასე უწოდებდნენ ბერძნები ტანსავარჯიშოდ გამართულ შენობებს, რომლებიც ხანდახან ფრიად მდიდრულად იყვნენ კეთილმოწყობილი. მერე და მერე ამ გიმნასიონებში ფილოსოფოსთა და რიტორთა საუბრები და მსჯელობა იმართებოდა ხოლმე.

ფილოსოფიისა და რიტორიკის დიდ კონსტანტინეპოლელ ოსტატს, სახელად თემისტიოსს (IV ს.), მისივე მოწმობით, კოლხეთში, „ფასიდის (ფოთის) ახლოს მოუმკია რიტორიკულად გამართული სიტყვები“, იქ შეუთვისებია ცოდნის ეს დარგი. მისი წარმოდგენით, კულტურულად დაწინაურებული კოლხეთი თითქოს ელინურ ქვეყანად იყო გარდაქმნილი. ელინთა სადღესასწაულო კრებებზე კოლხები თავს იჩენდნენ რიტორიკაში გაწვრთნილობით.

ქართული ანბანის შექმნა

მას შემდეგ, რაც საქართველოში ქრისტიანული ეკლესია გაბატონდა, უარჰყვეს, წარმართულ ღმერთებთან ერთად, ანტიკური მსოფლმხედველობა და მწიგნობრობა.

საწერად მოიმარჯვეს ახალი, ქართული ანბანი და ხმარებიდან განდევნეს არმაზული. ქართული ანბანი თითო ბგერას თითო ასოთი გამოხატავს. ის შეიცავს 33 ასოს (ერთხანს კი 38 შეიცავდა). საუკუნეთა მანძილზე ქართული ანბანის რამდენიმე სახე (დამწერლობა) შემუშავდა. მათ შორის ძირითადია „ხუცური“ და „მხედრული“. ხუცური ეკლესიურს, მღვდლურს, სასულიერო

ნიშნავს, მხედრული — საეროს, არასასულიეროს. ეს სახელები პირობითია. ქართული ანბანის ხუცურ ნიშნებს, რათა ისინი გამომდგარიყვნენ ტაძრების კედლებზე, ფილაქვებზე ამოსაჭრელად ანუ „საწერად“ და თვალისთვის გასარჩევად, მიეცათ მეტი სიმსხო, სიმრგვალე ან კუთხოვნობა, მოხდა მათი სტილიზაცია და ასე ჩამოყალიბდა ასომთავრული ხუცური. ასომთავრულია, კერძოდ, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული წარწერები — ბოლნისის ტაძრის ის წარწერები (V ს.), რომლებშიც მოხსენებული არიან ბოლნელი ეპისკოპოზი დავითი და სპარსეთის მეფე პეროზი. კარგა ხანს ასომთავრულით წერდნენ ტყავზედაც. მხედრულის ყველაზე უფრო ადრინდელმა და მკაფიო ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწიეს მეთოთხმეტე საუკუნიდან.

თ ა ვ ი V

ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა საქართველოში (IV-VI სს.)

§ 1. ცვლილება ეკონომიურსა და სოციალურ ცხოვრებაში

საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება

IV საუკუნიდან სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში შესამჩნევი გახდა საწარმოო ძალების ზრდა. მეტი გავრცელება მოიპოვა გაუმჯობესებულმა, რკინის სახნისიანმა სახვნელმა — ერქვანმა. შესაძლებელი გახდა მიწის ინტენსიური დამუშავება, მეტი ჭირნახულის მოწევა. მწარმოებელი უფრო დაუახლოვდა მიწას, მეტად დაინტერესდა მუშახელის რაოდენობითა და რაგვარობით. თავისუფალი მხვნელ-მთესველი, რომელსაც გარკვეული წილი დაედებოდა ნაწარმში, საკუთარი ოჯახი ეყოლებოდა და საკუთარი სახლ-კარი ექნებოდა, უფრო გულდასმით შეეჭიდებოდა ბუნებას, მეტ ნაყოფს გამოაღებინებდა მიწას, ვიდრე მონა. ერთი სიტყვით, ერთი თავისუფალი მიწის მუშა შრომის ნაყოფიერებით საშუალოდ რამდენსამე მონას უნდა სჯობნებოდა. ერთ თავისუფალ მდგომარეობასთან შეთანხმებაც აღნიშნული პირობების საფუძველზე უფრო ადვილი ხდებოდა, ვიდრე რამდენიმე მონის შეძენა სყიდვით. ტყვედ წამოსხმით.

მონური წარმოება გამოუსწორებელ კრიზისს განიცდიდა.

სოციალური ურთიერთობა

უკვე მოღონიერებულ კერძო მესაკუთრეებს სტიმული მიეცათ გაეფართოვებინათ მიწები და მიეზიდნათ თავის „ფრთებს ქვეშე“ მდგომარეობა.

ამასთანა მესაკუთრენი, მიწისმფლობელნი, შესამჩნევად გაძლიერდნენ და აღზევდნენ საზოგადოებაში. ისინი თანდათან ისეთსავე ძვირფას (რკინის) იარაღში ჩასხდნენ და ისევე ცხენოსნები გახდნენ, როგორიც მეფის მხედრები იყვნენ. ასეთი ცხენოსანი კაცები აღარ იყვნენ ჩვეულებრივი, წინანდელი თავისუფალნი, უბრალო მდაბიონი, მსოფლიონი. ისინი ახლა შეიქნენ თავისუფალნიც და ყველგან ჩენილნიც, და მათ ამ თვისებებს აღნიშნავდნენ სიტყვით — აზნაური. საქართველოს მხედრობისა და ადმინისტრაციის გაზრდილ მოთხოვნილებას მარტო სეფეწულნი ვეღარ გასწვდებოდნენ. ამიტომ

აზნაურნი თანდათან მრავლობენ მეფის სამსახურშიც, ისინი ხდებიან მეფის წინაშე-მდგომელნი და, საერთოდ, წარჩინებულნი.

ამრიგად, საქართველოში წარმოისახენ ისეთი სოციალურ-ეკონომიური ძალები, რომელთაც შემდგომ შექმნეს წარმოების ფეოდალური წესი.

ჯერჯერობით კი მონათმფლობელობა, მიუხედავად მისი დასუსტებისა, მაინც ძალაში რჩებოდა. უშუალო მწარმოებელთა შორის თავისუფალ მიწის მუშებს და ძონებს კიდევ გარკვეული ადგილი რჩებოდათ.

§ 2. ცვლილება პოლიტიკურსა და კულტურულ ვითარებაში

სასანიანების სამეფო. ირანში პართიის სახელმწიფოს არსებობას ბოლო მოუღო სასანიანების გვარეულობის მომხრეთა ამბოხებამ. უკანასკნელი არშაკიანის, არტაბანის, დამარცხებით (224 წ.) დაიწყო სასანიანთა ხელმწიფობა (პირველი სასანიანი მეფე იყო არდაშირი). განახლებულმა მმართველმა წრეებმა ხელისუფლების განსამტკიცებლად დაგმეს არშაკიანების ელინისტური მისწრაფებანი, უცხო სარწმუნოებათა შემწყნარებლობა; დაუბრუნეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ზარატუშტრას მოძღვრებას, ცეცხლთაყვანისმცემლობას და, ახალი იდეოლოგიური იარაღით აღჭურვილნ, თავის თავზე მიიღეს დაპყრობითი ომების ხელმძღვანელობა. იმ დროიდან მოკიდებული, სასანიანთა სახელმწიფოს არსებობის მთელ სიგრძეზე (III — VII სს.) არ შეწყვეტილა საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის ირანელ დესპოტთა წინააღმდეგ.

აღმოსავლეთი რომის იმპერია. როდესაც რომში მონათა აჯანყებებმა ხელისუფლების კრიზისი გამოიწვია, მმართველმა წრეებმა (330 წელს) რომიდან ტახტი გადმოიტანეს ბალკანეთის ბოსფორზე, კონსტანტინეპოლში, კონსტანტინე იმპერატორის სახელობის ქალაქში.

მალე კონსტანტინეპოლის, ეგრეთ წოდებული ახალი რომის, მმართველობის გარეშე დარჩა იმპერიის დასავლეთი ნაწილი (იქ სატახტო ქალაქობას კვლავ ძველი რომი ეწეოდა). აღმოსავლეთი ნაწილი (აღმოსავლეთი რომის იმპერია) მოიცავდა ძირითადად ბალკანეთს, მცირე აზიას, სირიას. ამ სახელმწიფოს შემდეგ დაერქვა ბიზანტიის იმპერია იმის გამო, რომ ახალშენ ბიზანტიონში ჩაეყარა საფუძველი იმპერიის სატახტო ქალაქს.

ძველი რომიდან კონსტანტინეპოლში გადმოსულ საიმპერატორო სახლს გადმოჰყვა მართვა-გამგეობის ზოგი ტრადიცია, ლათინური ენა (ერთ ხანს)

და ა. შ. მაგრამ ელინისტური კულტურა გავლენას საკმაოდ ინარჩუნებდა. ჭელ საქართველოში ამ იმპერიას ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი ეწოდებოდა, ხოლო მის მოსახლეობას — ბერძენნი, იონნი, ჰრომნი.

„ახალი რომის“ ხელისუფლებამ სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა. ეს იყო 313 წელს.

ამ რელიგიის შექმნა მიეწერებოდა ლეგენდარულ ქრისტეს. ნამდვილად კი ქრისტიანული მოძღვრება დამუშავდა სხვადასხვა პირთა მიერ და წერილობით გამოისახა საეკლესიო წიგნში, რომელსაც სახარება („ევანგელე“) ჰქვიან. ამ წიგნში ჩანს იმის კვალი, რომ ქრისტიანობა თავდაპირველად (ახ. წ. პირველი საუკუნე) ებრძოდა მონათმფლობელებს და ამიტომ ქრისტიანებს ცეცხლშიც კი სწვავდნენ. მაგრამ მერმე ეს მოძღვრება ეკლესიის მსახურებმა ისე გადაამუშავეს, რომ ქრისტიანობა ქადაგებდა მეფეთა მორჩილებას, კერძო მესაკუთრეთა ხელშეუხებლობას და ა. შ. ექსპლოატატორთათვის ასეთი სასარგებლო სარწმუნოება, რომის ხელისუფალთა გარდა, მიიღო ბევრი სხვა მოწინავე სახელმწიფოს მესვეურმაც, კერძოდ, კაუკასიაში—სომეხთა, ალბანელთა და ქართველთა მეფეებმა.

§ ჯ. ძველი ქართული წარმართული სარწმუნოება

ქრისტიანული რელიგიის გავრცელება საქართველოში ადრე დაიწყო. მის გავრცელებას აქ დიდ წინააღმდეგობას უწევდა ძველი, წარმართული სარწმუნოება. ხალხის ფართო ფენებში, მეტადრე მთაში, მამა-პაპათა რჯულს საუკუნეთა განმავლობაში თავისი მედგარი მცველები და მსახურები (ხევისბერები, ოეკანოზები) ჰყავდა.

ანტიკური ხანის იბერიაში, ისევე როგორც კოლხეთში, რელიგიურ წარმოდგენებში უპირატესი ადგილი ეჭირა ადრეც საკმაოდ გავრცელებულ ასტრალურ კულტებს — მზის, მთვარის (და საერთოდ მნათობთა) თაყვანისცემას.

რადგან იბერიაში ძლიერი იყო პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთები, ამიტომ აქ დიდხანს ინახავდნენ თავს პირველყოფილ-ანიმისტური წარმოდგენები სამყაროზე (ბუნების ძალთა გასულიერება), ტოტემთა კულტი (ცხენისა თუ სხვა ცხოველთა, მცენარისა და ა. შ.). ცხენის კულტის კვალი ჩანს, მაგალითად, მცხეთის (არმაზისხევისა) და ბორის ვერცხლის პინაკთა გამოსახულებებში.

მზის ღვთაებას მთაში იხსენიებდნენ, როგორც მზე-ქალს, „დღე-მზეს“. მესხთა მხარეში ყოფილა სახელგანთქმული „თეთრი ქალღმერთის“ (ბერძნ „ლევკოთეა“) ტაძარი, რომელიც მზე-ქალის, დღე-მზის სამლოცველი იყო.

თავის ძალას ინარჩუნებდა მთვარის — მამრობითი ღვთაების — კულტიც. მისი ერთ-ერთი დიდი ტაძარი მდგარა იბერიისა და ალბანეთის საზღვართან ახლოს. მთვარის ტაძარს ეკუთვნოდა სამღვთო მიწა, რომელსაც განაგებდა ქურუში. გაქრისტიანების შემდგომ მთვარის ღვთაებას წმ. გიორგის სახე მიეცა.

იბერიასა და კოლხეთში გავრცელდა მითრას კულტიც, რომელიც იყო აღიარებული საერთოდ ელინისტურ ქვეყნებში. მითრა ღვთაება იყო ძველი სპარსეთისა, ინდოეთისა, მითანისა.

მითრას, როგორც სინათლის, მზის ღვთაებას, წესისამებრ მსხვერპლად ეწირებოდა ცხენი. არმაზისხევის და ბორის ვერცხლის პინაკები შემკული არიან მითრასათვის შესაწირავი ცხენისა და ღვთაება-ცხენის გამოსახულებით.

იბერიაში, მეტადრე სასანიანთა ბატონობის დროს, რამდენადმე გავრცელდა ცეცხლის კულტიც. ცეცხლის სპარსული სახელწოდება ა ტ რ შ უ შ ა ნ ძველქართულს შემოუნახავს, როგორც ა ტ რ ო შ ა ნ ი. ცეცხლმსახურნი, მცხეთას გარდა, გაჩნდნენ, მაგალითად, ლოპოტის ხევში (ალაზნის შენაკადი). ცეცხლის კულტი მტკიცედ იყო დაკავშირებული ა ჰ უ რ ა მ ა ზ დ ა ს სახელთან. ეს იყო „კეთილი" ღმერთი, რომელიც ებრძოდა „ბოროტ" ღმერთს. ზოროასტრული ანუ მაზდაისტური სარწმუნოების თანახმად ქვეყნიერებას უნდა დასდგომოდა აღსასრული. ამას უნდა მოჰყოლოდა ადამიანთა მკვდრეთით აღდგომა და განკითხვის ანუ გასამართლების დღე. ამის შიშის ჩანერგვით, ცეცხლთაყვანისმცემლობის ქურუმები ანუ მოგვები უადვილებდნენ ექსპლოატატორებს დაჩაგრული ხალხის ძრწოლასა და მორჩილებაში ყოლას. ამგვარი იდეები შეითვისა ქრისტიანობამაც.

წარმართობის ხანაში ქართული კალენდრის შ ვ ი დ ე უ ლ ი ს ა თ ვ ა ლ ა ვ შ ი ც ცის მნათობთა სახელებით აღინიშნებოდა. დღეთა ეს სახელები შემოინახა მეგრულ ენაში; ესენია :კვირა — ჟაშხა (მზის დღე); ორშაბათი — თუთაშხა (მთვარის დღე); სამშაბათი — თაშხა (თახას დღე); ოთხშაბათი — ჯუმაშხა (ჯუმას დღე); ხუთშაბათი — ცაშხა (ცის დღე); პარასკევი — ობიშხა (ვობის დღე). ამ სახელებში „ხა" არის ფონეტიკურად სახეცვლილი მეგრ. დღა (დღე): ჟ ა (ბჟა) და თ უ თ ა მეგრულად ნიშნავენ მზეს და მთვარეს.

ზოგ რელიგიურ კულტთან, ამა თუ იმ ღვთაების მსახურებასთან დაკავშირებული იყო ერთგვარი სცენური, დრამატული მოქმედება, რომელსაც თან ახლდა გალობა, ფერხული, წარსათქმელი ლოცვები.

რთულ კომპოზიციას წარმოადგენს სვანეთში ბოლო ხანებამდე შემორჩენილი მ უ რ ყ ვ ა მ ო ბ ი ს ანუ კოშკობის სადღესასწაულო დრამატული მოქმედება. ის შედგება რვა ნაწილისაგან და იწყება ფერხულით: ორპირად ჩაბმული რვა-რვა კაცი დასძახებენ სიმღერა-საგალობელს. სიმღერებში ისმის საკულტო სახელები „ადრეკილა", „მელია ტულეფია". რიტუალის დაცვის შედეგია ,რომ მისი მეშვეობით ჩვენ დრომდე შემოინახა არა ერთი კარგი ნიმუში ხალხური შემოქმედებისა, ვოკალური თუ ქორეოგრაფიული კულტურის დარგში.

§ 4. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება იბერიაში

ქართლში, მირიანის მეფობაში (IV ს.), ქრისტიანობა იქადაგა მცირე აზიიდან, კაბადოკიიდან მოსულმა ქალმა ნინომ. ჯერ მეფემ და მისმა სახლობამ მიიღეს ქრისტიანობა დედაქალაქ მცხეთაში და მერე მ ო ი ქ ც ა ხალხიც (337 წ. ახლოს). პირველ რიგში მოინათლენ გაბატონებული კლასის, აზნაურო-

ბის წარმომადგენლები. ახალი სარწმუნოების მიღების გზით ქართლის ხელისუფლება მტკიცედ უკავშირდებოდა რომის ქრისტიანულ იმპერიას და ემიჯნებოდა სპარსეთს.

მეორე მხრივ, ქრისტიანობის აღსარება ნიშნავდა მამა-პაპათა წარმართული ღმერთების უარყოფას, მათი კერპების შემუსვრას, რაც ძლიერ მტკივნეული გამოდგა ხალხისათვის.

განსაკუთრებით გაძნელებულა მამა-პაპეული რჯულის უარყოფა მთაში, სადაც ძველი, პირველყოფილ-თემური სოციალური ურთიერთობა ჯერაც არ იყო საფუძვლიანად შერყეული. მაგრამ ნინოს მხარდამხარ მისდევდა შეიარაღებული რაზმი ერისთავის მეთაურობით. მთამ, წილკნიდან (არაგვის ხეობაში) ერწო-თიანეთამდე, მახვილის ძალით, იძულებით „ირწმუნა“ ახალი ღმერთი და გასწირა კერპები დასალეწად. ყველამ არ ისურვა ძალით გაქრისტიანება და ზოგი გაექცათ, მაგალითად, ყვარელები ახლანდელი თიანეთის მიდამოებიდან „გადაკრბეს“ ძნელმისადგომ თუშეთს.

მთიელები, მას შემდგომაც, საუკუნეთა მანძილზე, საკმაოდ ერთგულად იცავდნენ თავის ძველისძველ სარწმუნოებრივ წესებს, რაც უფრო შეესაბამებოდა მათი საზოგადოებრივი წყობის, არსებითად პირველყოფილ, ტიპს. ვიდრე ქრისტიანობა, რომელიც კლასობრივი საზოგადოების პირობებს უფრო ეგუებოდა.

დაიწყო ქრისტიანულ სამლოცველოთა აგება-გამართვა, რაშიაც ქართლს ერთხანს გარკვეულ დახმარებას უწევდა საბერძნეთი. მლოცველთა კრება (და საკრებულო შენობებიც) აღინიშნებოდა ბერძნული სიტყვით ე კ ლ ე ს ი ა, რომელსაც შეესატყვისებოდა ქართული „საყდარი“. შეიქმნა ქრისტიანული წესების აღმასრულებელთა პირველადი იერარქიაც: მღვდელი და დიაკონი.

ქართლის ეკლესიას მართავდა მცხეთის, ე. ი. ქართლის, მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (შემდგომ — კათალიკოსი), რომელსაც ეხელქვეითებოდნენ საეკლესიო ოლქთა მღვდელმთავრები, ე პ ი ს კ ო პ ო ს ე ბ ი (ბერძნ. „ზედამხედველი“).

ქართლის ტერიტორიაზე ირიცხებოდა ოცდაათიოდე საეპისკოპოსო — იმდენი, რამდენიც საერისთაო იყო. საერო და სასულიერო ადმინისტრაციის მეთაურები ერისთავი და ეპისკოპოსი ჩვეულებრივ საოლქო ცენტრში ისხდნენ ერთად და ერთიმეორის თანხმობითა და ხელშეწყობით უძღვებოდნენ თავიანთ თანამდებობას. ეკლესიის მონაწილეობით ეწყობოდა მოსახლეობის აღწერა, აღირიცხებოდა გადამხდელთა რაოდენობა და სარჩო-საბადებელი, რათა სახელმწიფოს და საერო-სასულიერო ადმინისტრაციას „თავისი“ არ დაჰკლებოდათ.

ახალი სარწმუნოების მიღებასთან ერთად წარმართულ ტაძართა მიწები (აგარაკები, ზვრები) მეფის ხელთ გადავიდნენ. ქართველთა ქრისტიანულ საზოგადოებრიობაში ზოროასტრული, ცეცხლთაყვანისმცემელთა სარწმუნოების სპარსელი მოძღვარნი გარიყული აღმოჩნდნენ.

ეკლესიებში წირვა-ლოცვის შესასრულებლად საჭირო გახდა სათანადო მწიგნობრობის შექმნა, შემუშავებულ იქნა საკუთარი ანბანი; ქართულად

ითარგმნა საეკლესიო წიგნები (სახარება, დაბადება და სხვ.), განვითარდა საეკ-ლესიო ხუროთმოძღვრება და მხატვრობა. პირველი ეკლესია აშენდა მცხეთას-ხის მასალით — იქ, სადაც შემდეგ აღიმართა სვეტიცხოვლის დიდი ტაძარი.

§ 5. ქართლი IV-V საუკუნეებში

ქართლისა და სომხეთის მიწა-წყალი ნიზიბინის ზავის შემდგომაც რჩებოდა სპარსთა მხედრობის დროდადრო შემოტევის ასპარეზად. შექმნილ ვითარებაში რომაელები სასანიან დამპყრობლებთან დამოკიდებულებაში კავკასიის ხალხთა სასარგებლო მოკავშირენიც აღმოჩნდნენ და თვითონაც ამათგან მხარდაჭერას ეძებდნენ. ქართველთა მეფეს მირიანს და სომეხთა მეფეს არშაკს, გულის მოსაგებად, ძვირფასი საჩუქრები მოსდიოდათ ხოლმე რომიდან.

იბერიის ოარ სამეფოდ გაყოფა

სპარსთა აგრესია განსაკუთრებით გაძლიერდა მათი მეფის შაბურის დროს. დიდად დაარბიეს სომხეთი ზოგიერთი ნახარარის (იქაური ერისთავის) ხელისშეწყობით. აწამეს სომეხთა დედოფალი ფარანძემი. იბერიიდანაც გააქციეს მეფე საურმაგი და ტახტზე აიყვანეს სპარსთა მომხრე ვარაზბაკური (368 წ.). როგორც სომხეთში, ისე იბერიაში ხალხმა, რომაელების დახმარებით, შეძლო მტრის რამდენადმე შეჩერება. სომხეთმა დიდი მსხვერპლის ფასად ჯერჯერობით შეინარჩუნა საკუთარი მეფის ხელისუფლება. იბერიაში სპარსელებმა, ვარაზ-ბაკურს გარდა, მათგან განდევნილი საურმაგის უფლებაც სცნეს. საურმაგს, რომაელთაგან ზურგგამაგრებულს, დაუთმეს სამეფოდ იბერიის ერთი ნაწილი — მტკვრის მარცხნივ მდებარე ქართლი (471 წ.), რომელშიც შედიოდა მცხეთაც.

ამრიგად, ქვემო ქართლი ერთი ხნით მოექცა ირანის კულტურულ-პოლიტიკურ გავლენაში. სამაგიეროდ დანარჩენი იბერია ახლა კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა თანამოძმე ეგრისსაც და ირანულზე უფრო პროგრესულ ბერძნულ-რომაულ ქვეყნებსაც. მისი ეკონომიური განვითარებისათვის, ქვემო ქართლისგან მოწყვეტის შემდეგ, მეტი მნიშვნელობა მიეცათ რიონ-ყვირილის და ჭოროხის ხეობებით შავი ზღვისკენ მიმავალ სავაჭრო გზებს. იმავე დროს ეგრისში თანდათან ღონიერდებოდნენ რომისგან დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები. სააღებ-მიცემო ურთიერთობაში ეგრისისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართლში გადმოსასვლელ სურამის გზას. ამრიგად, ლიხის მთისა და ჭოროხის სათავეებში ერთიანდებოდნენ იბერიისა და ეგრისის სასიცოცხლო ინტერესები და ამის შესაბამისად ორივე მხარის მმართველი წრეები, ურთიერთმხარდაჭერით, ერთმანეთს ძალ-ღონეს მატებდნენ. ლიხის მთის არეებში, ლიხ-არგვეთის დასავლეთით სწრაფად მიმდინარეობდა, კერძოდ, ზანთა და იბერთა შერწყმის პროცესიც.

რომი თუ სპარსეთი თავის ნებისად ვერ სცვლიდნენ ქვეყნის განვითარების ასეთ მიმართულებას. სპარსეთი ამ დროს (IV ს. მეორე ნახევარში) ჯერ კიდევ სჯერდებოდა იბერიაში უკვე მოპოვებულ წარმატებას. მისთვის რამდენადმე მისაღებიც იყო იბერიიდან ქვემო ქართლის გამოთიშვა, რადგან ქვემო

ქართლში საკმაოდ გავრცელებული იყო ირანული კულტურული ტრადიციები, დანარჩენ იბერიაში კი უფრო ძლიერი იყო ქრისტიანული რომის გავლენა.

მალე, რომაელთა დასუსტების შედეგად, სპარსეთსა და რომს შორის დანაწილებულ იქნა სომხეთიც (387 წ.). რომს ერგო გაყოფილი ტერიტორიის ერთი მეხუთედი.

ქართლის ვასალური დამოკიდებულება სპარსეთზე

ქვემო ქართლი, სომხეთსა და ალბანეთთან ერთად, ე. ი. მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია, სპარსთა სახელმწიფოში ჰქმნიდა ერთ დიდ ადმინისტრაციულ გაერთიანებას. ეს იყო ეგრეთ წოდებული კავკასიის კუსტაკი (სპარსეთი სულ ოთხ კუსტაკად იყო დანაწილებული). კავკასიის მთიელები შეადგენდნენ მეორე კუსტაკს. ქართლი, სომხეთი და ალბანია თავის კუსტაკში წარმოადგენდნენ ცალ-ცალკე შ ა ჰ რ ს (ქვეყანას). კუსტაკი ექვემდებარებოდა ერთ საერთო მმართველს, შაჰინშაჰის მოხელეს — პადოსპანს.

მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში თბილისს სპარსეთიდან ჩამოვიდა კუსტაკის უფროსი, სახელად ქრამ-ხუარბორ-ზარდი. მას დაკისრებული ჰქონდა ხარკის განაწილება ხალხში.

ასეთ ვითარებაში ქვემო ქართლის მმართველ წრეებს შეზღუდული ჰქონდათ სამოქმედო ასპარეზი. სპარსთა პიტიახშის ზედამდგომელობით იმეფეს ვარაზ-ბაკურმაც (368—408, დაახლოებით) და მერე მისმა ძმამ არჩილმა (408—437, დაახლოებით).

ამავე დროს იბერიაში რომის მფარველობით მეფობდა საურმაგის მემკვიდრე ფარსმანი (395—413, დაახლოებით), ხოლო მის შემდგომ — ბუზმარი (413—437, დაახლოებით). ეს იბერიელი მეფე იძულებული გახდა თავისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი კონსტანტინეპოლში გაეგზავნა (421—424 წწ.), ერთგულების საწინდრად და მძევლად, თეოდოსი კეისრისათვის. ბავშვი ბიზანტიაში გაიზარდა და გამოვიდა დიდი საეკლესიო მოღვაწე და მწიგნობარ-ფილოსოფოსი, რომელიც ცნობილია პეტრე ქართველის ანუ პეტრე იბერის სახელით.

კლასობრივი წინააღმდეგობის შემდგომი გაფოფოვება

ქართლის საზოგადოებრივ წყობას მეხუთე საუკუნეში კიდევ უფრო ღრმად დააჩნდა კლასობრივი ურთიერთგათიშულობა. რაც უფრო მაღლა ადიოდნენ მიწისმფლობელი არისტოკრატები, აზნაურები, სიმდიდრით და სამხედრო ძლიერებით მით უფრო დაბლა რჩებოდნენ და ღარიბდებოდნენ აზნაურთაგან გაძარცული „მსოფლიონი“ თუ „მდაბიონი“, თავისუფალი მწარმოებლები. აღარც აზნაურები იყვნენ ყველა ერთგვარი. საერთო სტიქიურ შეჯიბრებაში გამდიდრების გზაზე მათმა ერთმა წყებამ უკან მოიტოვა უმრავლესობა: გაჩნდნენ დ ი დ ი ა ზ ნ ა ურ ე ბ ი, რომელთაც დაიქვემდებარეს მცირენი. წარჩინებულები და ერისთავები ირგვლივ ერტყნენ თავის მეფეს. შეადგენდნენ მის „პალატ-ბანაკს“.

სპარსეთის მოკმხრე აზნაურთა დასი

რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო უძნელდებოდათ აზნაურებს მეფისაგან მიღებული მიწის ხელიდან გაშვება. მეფესა და მათ შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. იგივე ხდებოდა იმ დროს სომხეთში (მეფესა და ნახარარებს შორის). შაჰინშაჰს („მეფეთმეფეს“) საკუთარ აზნაურებთან უხდებოდა ბრძოლა. თან იგი,

ანგარი პოლიტიკური მოსაზრებით, უხვად ანიჭებდა თავის წარჩინებულთ სხვადასხვა მათთვის ხელსაყრელ უფლება-პრივილეგიას დაპყრობილ ქვეყნებში. ასე გააძლიერა მან, მაგალითად, ქართლის პიტიახში. ამგვარი ღონისძიება, რა თქმა უნდა, ასუსტებდა ადგილობრივ ხელისუფლებას და, პირიქით, აძლიერებდა სპარსთა ბატონობას.

ქართლში ცეცხლთაყვანისმცემლობის შემოტანა

ქართლის არისტოკრატიას მოსთხოვეს ქრისტიანობის უარყოფა და სპარსთა ზოროასტრული სარწმუნოების, ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღება.

ამ მიზნით შაჰმა იეზდიგერდმა სასანიანთა სატახტო ქალაქ ტტეზიფონში ერთად გაიწვია ამიერკავკასიის სამივე სამეფოს თავი კაცები (438 წ. ახლოს).

ალბანეთის, სომხეთის და ქართლის წარმომადგენლები შეეკრენ ერთიმეორეს „ფიცითა და პირობით", რომ თავიანთი ინტერესების დასაცავად თანხმობით იმოქმედებდნენ. მათ შორის იყვნენ სომეხთა სპარაპეტი (მხედართმთავარი), ქართლის პიტიახში არშუშა, მამასახლისები და სხვ.

შაჰის წინადადებაზე, ქრისტიანობა უარყავით და ზოროასტრის რჯული მიიღეთო, გულღია ურჩობა ვერავინ გაბედა. ხელმწიფემ ყველანი უკან გამოისტუმრა და თან გამოაყოლა ქურუმთა დასები სპარსული სარწმუნოების დასანერგავად. არშუშა კი მეფემ დაიტოვა ქართლის საქმეებზე მოსათათბირებლად. ეს გუგარელი (ქვემო ქართლელი) პიტიახში ცნობილი იყო, როგორც „განსწავლული და მრჩეველი" კაცი. ქართველ და სომეხ მმართველ წრეებში არშუშა პატივით იყო მოსილი.

არშუშასა და მის გავლენიან სახლს შეეძლოთ ქართლის თავკაცების წაქეზება სპარსეთის საერთგულოდ. შაჰინშაჰი ამ პიტიახშის დახმარებას დიდად აფასებდა. ქვემო ქართლში სპარსული ტრადიციები უფრო ძლიერი იყო და მთელ ქართლზე გავლენის მოპოვებაც აქედან უფრო გაადვილდებოდა. ცეცხლსახურებასთან ერთად სპარსთა ვაჭრებიც და სპაც უფრო ადვილად გაიკვლევდნენ გზას მცხეთა-სურამის მიმართულებით და შეზღუდავდნენ ქრისტიანული რომის გავლენას, დასავლეთიდან მოწოლილს. შაჰმა, შიდა ქართლის სამეფო ხელისუფლების უგულებელყოფით, უშუალო თანხმობა დაამყარა ქვემო ქართლის პიტიახშთან. შემდგომ შაჰმა არშუშას შვილს ვარსქენს მისცა დიდი ადმინისტრაციული თანამდებობა საერთოდ კავკასიის მასშტაბით.

§ 6. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V ს. მეორე ნახევარში

შემდგომი ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერება

V ს. მეორე ნახევარში ქართლი მნიშვნელოვნად დაწინაურდა ეკონომიურად და, ამასთან ერთად, პოლიტიკურადაც. იგი ისევ გაერთიანდა. მისი მოსახლეობა, განვლილ საუკუნეებთან შედარებით, გაიზარდა.

დაპოკიდებულება სპარსეთთან. ეკლესიის როლი ქვეყნის შინაურ და საგარეო ცხოვრებაში

ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი, ვარსქენ პიტიახშთან ერთად, სპარსეთის შაჰინშაჰს პეროზს ებრძვის (466 წ.). ვარსქენმა სპარსეთს „აღიარა ატროშანი", ესე იგი თავი გამოირიცხა ქრისტიანთა ეკლესიიდან და შეუერთდა ატროშანს, ანუ ცეცხლმსახურთა სალოცავს. ასეთი დათმობის გზით მან მოიპოვა კავკასიის კუსტაკის უფროსობა და ერთი წლის შემდეგ უკუიქცა ქართლს, ხოლო ვახტანგი მთელი შვიდი წლით ჩარჩა სპარსეთში. იქ მან მიიღო მონაწილეობა შაჰინშაჰის ლაშქრობაში კასპიის ზღვის აღმოსავლეთით. შეიძლებოდა, ის სულაც აღარ დაბრუნებოდა თავის სამეფოს და ქართლში სულაც გაუქმებულიყო მეფობა, ასე დაემართა სომეხთა სამეფოს ჯერ კიდევ 428 წელს.

იმდროინდელი სპარსეთის სასანიანთა ხელისუფლება, რომაელთადმი მტრობით, მფარველობდა რომში დევნილ მონოფიზიტ ქრისტიანებს და, სამაგიეროდ, ულმობლად სდევნიდა რომის სახელმწიფოში 451 წელს საბოლოოდ გამარჯვებულ დიოფიზიტურ ეკლესიას.

ამ ვითარებაში გადაწყდა სპარსეთის დასაშოშმინებლად ქართლშიც შემოეღოთ მონოფიზიტობა. მონოფიზიტურ ქრისტიანობას აღიარებდნენ მიქმე სომხეთშიც და ალბანეთშიც.

მონოფიზიტები, ანუ „ერთბუნებიანები", სცნობდნენ ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას — ღმერთობას და ამით ეთიშებოდნენ აღმოსავლეთ რომში გაბატონებულ დიოფიზიტებს, ე. ი. „ორბუნებიანებს" ანუ ქალკედონიტებს, რომელნიც აღიარებდნენ ქრისტეს ღმერთ-კაცობას. მონოფიზიტები ძლიერი იყვნენ რომის აღმოსავლეთ პროვინციებში (სირია, პალესტინა, ეგვიპტე) და ხელს უწყობდნენ ამ პროვინციების რომისგან ჩამოშორებას. მონოფიზიტი მონაზვნები გმობდნენ მონათმფლობელთა ფუფუნებით ცხოვრებას, ხალხში ავრცელებდნენ ასკეტურ პესიმისტურ იდეებს. დიოფიზიტებმა, პირიქით, შეიწყნარეს ადამიანის მიწიერ მოთხოვნილებათა ბუნებრიობა და ამასთანავე ისინი იცავდნენ იმპერიის მთლიანობას, ხალხთა სავაჭრო-კულტურულ დაახლოებას.

ქართლში დაბრუნებულ ვახტანგს მძაფრი პროტესტი შეაგება მცხეთის მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა, რომელიც ქართლში დიოფიზიტობის დამცველი იყო. მეფის წინააღმდეგ ამბოხებულმა ეკლესიის მეთაურმა „კრულყო მეფე და სპანი". ეკლესიის მესაჭესთან განხეთქილება საზიანო იყო ვახტანგის მეფობისათვის. საერთოდ, სპარსთა მძლავრობისა და აზნაურთა გალაღების პირობებში ვახტანგს არ სურდა მტრის გაჩენა გავლენიან სასულიერო წრეებში. მაგრამ მეფე ჯერ კიდევ მეფობდა. ვახტანგის სიმტკიცემ გააწბილა მიქაელი და მისი მომხრენი. მონოფიზიტური ეკლესიის ცენტრში, ანტიოქიას, ქართლიდან გაიგზავნა მეფის მისანდო ეკლესიის თოთხმეტი დიდი მსახური. ანტიოქიის პატრიარქმა, რომელსაც ემორჩილებოდა ქართლის ეკლესია, შეასრულა ხელდასხმის წესი — აკურთხა ისინი და შემოსა ეპისკოპოსთა სახით, ხოლო ერთი ამ თოთხმეტთაგანი, პეტრე აკურთხა მცხეთის კათალიკოსად. **ქართლის** ეკლესიის საერთო მეთაურად (472 წ. ახლოს). კათალიკოსი ბერძნულად ნიშნავს „საყოველთაოს". ასეთი საეკლესიო წოდებით იყვნენ თავის დროზე შემკული „ყოველთა სომეხთა" ეკლესიისა და აგრეთვე ალბანეთის

ეკლესიის მეთაურებიც. კათალიკოსის მოვლინება ქართლში იმდროინდელ პირობებში ნიშნავდა ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, მეფის ხელისუფლების მიერ სასულიერო მოკავშირის შეძენას, მეფის სალაროს შემოსავლის გადიდებას, ქართული კულტურის შემდგომ გავრცელებას მოშორებულ კუთხეებში, მთაში.

საამეურნეო და საჰ-ხედრო მშენებლობა

ვახტანგ გორგასალის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი ქალაქისა და ციხის, ტაძრისა და საყდრის აგება. იმ დროის კვალობაზე, დიდი მშენებლობა წარმოებდა ქართლის საზღვრიდან საზღვრამდე.

საქალაქო და პოლიტიკური წინსვლის მაუწყებელი იყო, პირველ ყოვლისა, ყურადღების გამახვილება ადრევე ცნობილ სამოსახლოზე — თბილისზე, იქ ზღუდეთა მაგრება, ახალ ნაგებობათა წამოწყება. მცხეთისა და მისი დედაციხის არმაზის ადგილს თანდათან იჭერდა თბილისი და მისი დედაციხე ანუ კალა. ვახტანგის შემდეგ თბილისი ქართლის პოლიტიკური ცენტრი გახდა (VI ს.).

მმართველი წრეების დიდ საზრუნავს შეადგენდა იორ-ალაზნის მხარეზე საზღვრების გამაგრება, დასახლებული პუნქტების დაარსება, ძველთა გამოცოცხლება და კეთილმოწყობა. უდიდესი ენერგია და ხარჯი გაიღო ხალხმა და სახელმწიფო სალარომ უჯარმის ციხე-ქალაქის მშენებლობაზე ივრის ხეობაში. უჯარმა ერთხანს ვახტანგის რეზიდენციის დანიშნულებასაც ასრულებდა.

ქ. უჯარმის მახლობლად ახლანდელ სოფ. ნინოწმინდაში ვახტანგმა ააგო აგრეთვე დიდი საეპისკოპოსო საყდარი. ივრის ზემო დინებაში მანვე ააშენა საეპისკოპოსო საყდარი ჩელეთს (ჟალეთს). მანვე გაამაგრა ქალაქი ჭერემი — ნინოწმიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჭერემის წყალზე, და იქაც ააგო საეპისკოპოსო საყდარი. საეპისკოპოსო საყდარი შეიქმნა აგრეთვე ქალაქ ხორნაბუჯს, კამბეჩოვანში, იორ-ალაზანს შორის. ეპისკოპოსი დასმულ იქნა რუსთავს.

ზრუნვის საგანი იყო არაგვის ხეობაც და მის შესართავთან მდებარე თვით მცხეთა. აქ ვახტანგმა „სვეტიცხოველის“ ძველი, ხის ეკლესიის ადგილას ააგო ქვის დიდი ტაძარი. მერმინდელმა, XI საუკუნეში აგებულმა ტაძარმა შემოინახა ვახტანგის ნაგებობის კუთვნილი ჩუქურთმიანი ქვები. ამ საპატიო ადგილას, ძველი დედაქალაქის შუაგულში აგებული ტაძარი გახდა „მცხეთის კათალიკოსის“ საკათედრო საყდარი, რომელსაც მეფემ, სხვათა შორის, შესწირა სოფელი ძეგვი.

ამავე ხანაში არის აგებული ბოლნისის შესანიშნავი დიდი ტაძარი, რომელიც, იქ გათხრისას აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, 492/93 წწ. დაუსრულებიათ. ეს წარწერა ჯერჯერობით უძველესი ძეგლია ქართული დამწერლობისა, რომელიც იმხანად უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ყოფილა.

ლიახვის ხეობაშიც, ნიქოზს აღიმართა ახალი საეპისკოპოსო ეკლესია. თვით საყდარი აშენდა ზოროასტრული სარწმუნოების მიმდევართა „ცეცხლის საგზებლის“ სიახლოვეს.

ქვემო ქართლის სამხრეთ-დასავლეთით, კლარჯეთს, კლდეზე აღიმართა ციხე არტანუჯისა, სადაც ვახტანგისავე მეფობაში იჯდა ერისთავი.

ახალი საეპისკოპოსოების დაარსება და ეს ამოდენა მშენებლობა მოწმობდა იბერიის როგორც ეკონომიურ და კულტურულ დაწინაურებას, ისე მისი სა-

დამოკიდებულება სპარსეთთან. ეკლესიის როლი ქვეყნის შინაურ და საგარეო ცხოვრებაში

ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი, ვარსქენ პიტიახშთან ერთად, სპარსეთის შაჰინშაჰს პეროზს ეწვია (466 წ.). ვარსქენმა სპარსეთს „აღიარა ატროშანი“, ესე იგი თავი გამოირიცხა ქრისტიანთა ეკლესიიდან და შეუერთდა ატროშანს, ანუ ცეცხლმსახურთა სალოცავს. ასეთი დათმობის გზით მან მოიპოვა კავკასიის კუსტაკის უფროსობა და ერთი წლის შემდეგ უკუიქცა ქართლს, ხოლო ვახტანგი მთელი შვიდი წლით ჩარჩა სპარსეთში. იქ მან მიიღო მონაწილეობა შაჰინშაჰის ლაშქრობაში კასპიის ზღვის აღმოსავლეთით. შეიძლებოდა, ის სულაც აღარ დაბრუნებოდა თავის სამეფოს და ქართლში სულაც გაუქმებულიყო მეფობა, ასე დაემართა სომეხთა სამეფოს ჯერ კიდევ 428 წელს.

იმდროინდელი სპარსეთის სასანიანთა ხელისუფლება, რომაელთადმი მტრობით, მფარველობდა რომში დევნილ მ ო ნ ო ფ ი ზ ი ტ ქრისტიანებს და, სამაგიეროდ, ულმობლად სდევნიდა რომის სახელმწიფოში 451 წელს საბოლოოდ გამარჯვებულ დ ი ო ფ ი ზ ი ტ უ რ ეკლესიას.

ამ ვითარებაში გადაწყდა სპარსეთის დასაშოშმინებლად ქართლშიც შემოეღოთ მონოფიზიტობა. მონოფიზიტურ ქრისტიანობას აღიარებდნენ მოძმე სომხეთშიც და ალბანეთშიც.

მონოფიზიტები, ანუ „ერთბუნებიანები“, სცნობდნენ ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას — ღმერთობას და ამით ეთიშებოდნენ აღმოსავლეთ რომში გაბატონებულ დიოფიზიტებს, ე. ი. „ორბუნებიანებს“ ანუ ქალკედონიტებს, რომელნიც აღიარებდნენ ქრისტეს ღმერთ-კაცობას. მონოფიზიტები ძლიერი იყვნენ რომის აღმოსავლეთ პროვინციებში (სირია, პალესტინა, ეგვიპტე) და ხელს უწყობდნენ ამ პროვინციების რომისგან ჩამოშორებას. მონოფიზიტი მონაზვნები გმობდნენ მონათმფლობელთა ფუფუნებით ცხოვრებას, ხალხში ავრცელებდნენ ასკეტურ პესიმისტურ იდეებს. დიოფიზიტებმა, პირიქით, შეიწყნარეს ადამიანის მიწიერ მოთხოვნილებათა ბუნებრიობა და ამასთანავე ისინი იცავდნენ იმპერიის მთლიანობას, ხალხთა სავაჭრო-კულტურულ დაახლოებას.

ქართლში დაბრუნებულ ვახტანგს მძაფრი პროტესტი შეაგება მცხეთის მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა, რომელიც ქართლში დიოფიზიტობის დამცველი იყო. მეფის წინააღმდეგ ამბოხებულმა ეკლესიის მეთაურმა „კრულყო მეფე და სპანი“. ეკლესიის მესაჭესთან განხეთქილება საზიანო იყო ვახტანგის მეფობისათვის. საერთოდ, სპარსთა მძლავრობისა და აზნაურთა გალაღების პირობებში ვახტანგს არ სურდა მტრის გაჩენა გავლენიან სასულიერო წრეებში. მაგრამ მეფე ჯერ კიდევ მეფობდა. ვახტანგის სიმტკიცემ გააწბილა მიქაელი და მისი მომხრენი. მონოფიზიტური ეკლესიის ცენტრში, ანტიოქიას, ქართლიდან გაიგზავნა მეფის მისანდო ეკლესიის თ ო თ ხ მ ე ტ ი დიდი მსახური. ანტიოქიის პატრიარქმა, რომელსაც ემორჩილებოდა ქართლის ეკლესია, შეასრულა ხ ე ლ დ ა ს ხ მ ი ს წესი — აკურთხა ისინი და შემოსა ეპისკოპოსთა სახით, ხოლო ერთი ამ თოთხმეტთაგანი, პ ე ტ რ ე აკურთხა მცხეთის კ ა თ ა ლ ი კ ო ს ად, **ქართლის ეკლესიის** საერთო მეთაურად (472 წ. ახლოს). კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ბერძნულად ნიშნავს „საყოველთაოს“. ასეთი საეკლესიო წოდებით იყვნენ თავის დროზე შემკული „ყოველთა სომეხთა“ ეკლესიისა და აგრეთვე ალბანეთის

ეკლესიის მეთაურებიც. კათალიკოსის მოვლინება ქართლში იმდროინდელ პირობებში ნიშნავდა ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, მეფის ხელისუფლების მიერ სასულიერო მოკავშირის შეძენას, მეფის სალაროს შემოსავლის გადიდებას, ქართული კულტურის შემდგომ გავრცელებას მოშორებულ კუთხეებში, მთაში.

სამეურნეო და სამხედრო მშენებლობა

ვახტანგ გორგასალის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი ქალაქისა და ციხის, ტაძრისა და საყდრის აგება. იმ დროის კვალობაზე, დიდი მშენებლობა წარმოებდა ქართლის საზღვრიდან საზღვრამდე.

საქალაქო და პოლიტიკური წინსვლის მაუწყებელი იყო, პირველ ყოვლისა, ყურადღების გამახვილება ადრევე ცნობილ სამოსახლოზე — თბილისზე, იქ ზღუდეთა მაგრება, ახალ ნაგებობათა წამოწყება. მცხეთისა და მისი დედაციხის არმაზის ადგილს თანდათან იჭერდა თბილისი და მისი დედაციხე ანუ კალა. ვახტანგის შემდეგ თბილისი ქართლის პოლიტიკური ცენტრი გახდა (VI ს.).

მმართველი წრეების დიდ საზრუნავს შეადგენდა იორ-ალაზნის მხარეზე საზღვრების გამაგრება, დასახლებული პუნქტების დაარსება, ძველთა გამოცოცხლება და კეთილმოწყობა. უდიდესი ენერგია და ხარჯი გაიღო ხალხმა და საxელმწიფო სალარომ უჯარმის ციხე-ქალაქის მშენებლობაზე ივრის ხეობაში. უჯარმა ერთხანს ვახტანგის რეზიდენციის დანიშნულებასაც ასრულებდა.

ქ. უჯარმის მახლობლად ახლანდელ სოფ. ნინოწმინდაში ვახტანგმა ააგო აგრეთვე დიდი საეპისკოპოსო საყდარი. ივრის ზემო დინებაში მანვე ააშენა საეპისკოპოსო საყდარი ჩელეთს (ჟალეთს). მანვე გაამაგრა ქალაქი ჭერემი — ნინოწმიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჭერემის წყალზე, და იქაც ააგო საეპისკოპოსო საყდარი. საეპისკოპოსო საყდარი შეიქმნა აგრეთვე ქალაქ ხორნაბუჯს, კამბეჩოვანში, იორ-ალაზანს შორის. ეპისკოპოსი დასმულ იქნა რუსთავს.

ზრუნვის საგანი იყო არაგვის ხეობაც და მის შესართავთან მდებარე თვით მცხეთა. აქ ვახტანგმა „სვეტიცხოველის“ ძველი, ხის ეკლესიის ადგილას ააგო ქვის დიდი ტაძარი. მერმინდელმა, XI საუკუნეში აგებულმა ტაძარმა შემოინახა ვახტანგის ნაგებობის კუთვნილი ჩუქურთმიანი ქვები. ამ საპატიო ადგილას, ძველი დედაქალაქის შუაგულში აგებული ტაძარი გახდა „მცხეთის კათალიკოსის“ საკათედრო საყდარი, რომელსაც მეფემ, სხვათა შორის, შესწირა სოფელი ძეგვი.

ამავე ხანაში არის აგებული ბოლნისის შესანიშნავი დიდი ტაძარი, რომელიც, იქ გათხრისას აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, 492/93 წწ. დაუსრულებიათ. ეს წარწერა ჯერჯერობით უძველესი ძეგლია ქართული დამწერლობისა, რომელიც იმხანად უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ყოფილა.

ლიახვის ხეობაშიც, ნიქოზს აღიმართა ახალი საეპისკოპოსო ეკლესია. თვით საყდარი აშენდა ზოროასტრული სარწმუნოების მიმდევართა „ცეცხლის საგზებლის“ სიახლოვეს.

ქვემო ქართლის სამხრეთ-დასავლეთით, კლარჯეთს, კლდეზე აღიმართა ციხე არტანუჯისა, სადაც ვახტანგისავე მეფობაში იჯდა ერისთავი.

ახალი საეპისკოპოსოების დაარსება და ეს ამოდენა მშენებლობა მოწმობდა იბერიის როგორც ეკონომიურ და კულტურულ დაწინაურებას; ისე მისი სა-

ერო და საეკლესიო ადმინისტრაციული მოწესრიგების მწვავე საჭიროებას.

ბრძოლა ქართლის დამოუკიდებლობისათვის

სპარსთა და რომაელთაგან გარშემორტყმული ქართლი წარმატებით განაგრძობდა ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისათვის.

ქართლის ლაშქარი, ვახტანგის მეთაურობით, მედგრად იცავდა არაგვის ხეობას (დარიალის ჩათვლით) ალანთა მძლავრი შემოტევებისაგან. ალანები მეორე საუკუნიდან გამოჩნდნენ ჩრდილო კავკასიის მთა-ბარში. ალანები ოსთა წინაპრებად ითვლებიან.

ეგრისში (ლაზიკაში) სამოქმედოდ გზა გაკაფული იყო არგვეთის საერისთავოს მეშვეობით. ქართლის ლაშქარს შემთხვევა მიეცა ღრმად შეჭრილიყო ეგრისში (473 წ. ახლოს) და აეღო მდინარე ტეხურის ხეობაში მდებარე ციხე-გოჯი.

მაგრამ მერე, სამშვიდობო მოლაპარაკების შედეგად, ეს მონაპოვარი ქართლის ხელისუფლებამ დათმო და რომაელებმა სანაცვლოდ მას კლარჯეთი დაუბრუნეს. სწორედ მაშინ დაიწყო იქ, ვახტანგ გორგასალის სახელით, არტანუჯისა და ზოგი სხვა დასახლებული ადგილების მშენებლობა.

ზეიარაღებული აჯანყება სპარსეთის ბატონობის წინააღმდეგ

კავკასიის კუსტაკის მმართველი ვარსქენ არშუშაძე, როგორც სპარსთა სამსახურში მყოფი სატრაპი და ქრისტიანობის მტერი, მოკლულ იქნა მეფე ვახტანგის ბრძანებით (484 წ.). ეს მკვლელობა სიგნალად იქცა სპარსთაგან დაძლეული ხალხებისათვის. კერძოდ, სომხეთში ხალხმა იარაღი აიხსა. ომებში სახელმოხვეჭილი ვახტანგის გმირული სახე გამარჯვების იმედს მატებდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მეზობლებს.

ქართლის ლაშქარი შველას ელოდა, სომეხთა და ალბანთა გარდა, ბომთაბარე ჰუნებისაგანაც, რომელთაც იმ დროს კავკასიის ქედს გადაღმა ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. კარგა ხანი იყო, რაც ისინი უტევდნენ ჯერ შუა აზიიდან და მერე კავკასიის მხრივაც სპარსეთის საზღვრებს.

მალე გამოირკვა, რომ სომეხთა საომარი სამზადისი, შინაგამცემლობის შედეგად, გამომჟღავნებულიყო. ამის შედეგად სპარსეთის ხელისუფლებამ დაასწრო აჯანყებულებს და, ქართველთათვის მოულოდნელად, შეუსია ჯარი განდგარ ქართლს.

ქართველთა და სომეხთა ჯარების შეერთება ვეღარ მოხერხდა და ვახტანგ გორგასლის ლაშქარმა ჯერჯერობით საფარი იპოვა მთა ადგილებში, სომხეთის საზღვრებზე.

თვით სომხეთში სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლა ერთხანს ფიცხლად მიმდინარეობდა და იქ სომეხთა ლაშქარს გამარჯვება ხვდა სოფელ აკორისთან (არარატის მთის ძირობაზე) და მეტადრე ნერსეჰაპატთან, სადაც სომეხთა ოცდათიათასიანი ლაშქარი ჩაება ბრძოლაში, ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით.

ქართლში შემოჭრილ სპარსთა მხედრობამ შაპუჰ მიჰრის სარდლობით მტკვრის პირად დაიბანაკა. ვახტანგ გორგასლის ლაშქარიც დაიძრა მთიდან მტერზე მისასვლელად. ბრძოლა მოხდა ჭარმანის ველზე. ამ კრიზისულ ვითარებაში ომში მონაწილეობდნენ სომეხთა რაზმებიც, ვაჰან მამიკონიანისა და საჰაკ ბაგრატუნის სარდლობით.

აქ საბოლოოდ გამოირკვა, — როგორც მანამდე სომხეთში, — რომ ქართლის სამეფო ხელისუფლება და ხელმძღვანელობა განწირული იყო. მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისის გამწვავებამ, აზნაურების ახალი სოციალური ინტერესების გაღვივებამ მოძველებული, მონათმფლობელური ტიპის სამეფოს ხელმძღვანელობა უმიდოდ გამოთიშა პროგრესული ცხოვრებიდან, გამოამეღვანა ამ მეფობის უნიადაგობა. როგორც ყველგან, ისე საქართველოშიც ასეთი სამეფო თან უნდა გადაჰყოლოდა დრომოჭმულ მონათმფლობელობას.

საქმეს ვეღარც ვახტანგ გორგასლის პირადი სამხედრო და პოლიტიკური გამოცდილება და სახელი შველოდა. სპარსთა ლაშქრის თვალწინ ერთბაშად დაიშალა მეფის ორგული, ქართველ-სომეხთა აზნაურულ-ნახარარული სამხედრო ხელმძღვანელობა. ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე აწვდიდნენ საიდუმლოდ საკუთარი ხელისუფლების მოწინააღმდეგენი სპარსელებს ცნობად საკუთარ გადაწყვეტილებას, რომ ისინი შეტაკების დროს იარაღს დაყრიდნენ და რომ, კერძოდ, სომეხი მოლაშქრეები ვითომ მოტყუებით წამოასხა ქართლისაკენ ვაჰან მამიკონიანმა.

წაგებული ომის შედეგად მძიმედ დაზარალებულმა ქართველ-სომეხთა მხედრობამ დასტოვა ბრძოლის ველი. სომეხთა ლაშქარი უკუიქცა თავის მხარეში. ქართლში შემოიჭრა სპარსთა მთავარი ძალა ზარმიჰრ ჰაზარავუხტის მეთაურობით. მას დაკისრებული ჰქონდა ვახტანგ მეფის მოსპობა. სპარსეთის მხედართმთავარს ხალისიანად შეეგება და მხარში ამოუდგა საკუთარი მეფის წინააღმდეგ ამხედრებული მიწისმფლობელი არისტოკრატია. ვახტანგ გორგასალმა ეგრისს შეაფარა თავი.

ცოტა ხნის შემდგომ ვახტანგ მეფე ღალატით იქნა მოკლული პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიერ, მისივე ერთი მონის ხელით (502 წ.).[1]

ვახტანგ გორგასალი დაუკრძალავთ მცხეთას, „სვეტიცხოველში". საფლავი შეუმკიათ ქვის ძეგლით, რომელზედაც გამოსახული ყოფილა მისი „ხატი". მის მიერ ნატარები საჭურველი, კერძოდ, მგლის თავის გამოსახულებით შემკული მუზარადი და სამოსელი დიდხანს ყოფილა დაცული სახსოვრად.

ყველაზე უფრო უჭკნობი აღმოჩნდა მისი მრავალი გამარჯვებით სახელმოხვეჭილი თეთრი სამეფო დროშა. ფეოდალურ საქართველოში სახელწიფო დროშას, სხვათა შორის, „ვახტანგიანსა" და „გორგასლიანსაც" უწოდებდნენ.

ვახტანგი შთამომავლობამ ადიდა, როგორც ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და პროგრესისთვის მებრძოლი გმირი. მის სახელზე საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა ხალხური პოეტური ნაწარმოებები. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას დიდი შრომა უძღვნა ქართველმა მეისტორიემ ჯუანშერმა (XI ს.).

§ 7. ეგრისის (ლაზიკის) სამეფო II-VI სს-ში

ეგრისის პოლიტიკურმა ცხოვრებამ II ს-ში მნიშვნელოვანი ცვლილება გა-
ნიცადა. რომაელები დარწმუნდნენ, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ-
მოსახლეობა მათ წინააღმდეგ კვლავ იკრებდა ძალ-ღონეს. კეისრებმა ეგრისში
მთავარი პოზიციების შესანარჩუნებლად არჩიეს ზღვისპირა ზოლის გამოთიშვა
მებრძოლი კოლხეთისაგან. ამ ზოლში განლაგებული ახალშენები (ტრაპიზონი,
ფოთი, სებასტოპოლისი ანუ სოხუმი) უშუალოდ ემყარებოდნენ მათ ირგვლივ
მდებარე მხარეებს, რომელნიც ამ ქალაქებს ასაზრდოებდნენ. ტრაპიზონის ოლქს
ჭოროხამდე გარს ერტყნენ კოლხები და ჭანები, მაკრონები და ჰენიოხები;
ფოთის ოლქს (რიონისა და ენგურის ხეობებში) — ლაზები ანუ ზანები; სებას-
ტოპოლისის (დღევანდელი სოხუმის) ოლქს—აფშილები, აბაზგები და სა-
ნიგები.

რომაელებს ეწადათ ამ ტომთა დახმარებით შეექმნათ ეგრისისა და, საერ-
თოდ, კავკასიის მიმართ თავიანთი მოწინავე ხაზი და სათვალთვალო-საფარი. მათ
უგულებელყვეს ადრინდელი ერთმეფობა და წინ წამოსწიეს ტომთა ბელადები,
რომელთაც დამპყრობლები ოფიციალურად „ბასილევსებს“ უწოდებდნენ.

ეგრისი II—III საუკუ-ნეებში

ადრიანე კეისრის მოხელემ არიანემ რომს წარუდ-
გინა ანგარიში რომაელთა სამხედრო-პოლიტიკური
მდგომარეობის შესახებ შავი ზღვის სანაპიროებზე
(134 წ.). აქედან ვიგებთ, რომ თავ-თავიანთი „ბასილევსები“ მეთაურობდნენ
აფშილებსაც, აბაზგებსაც და სანიგებსაც; ცალკე — ლაზებს; ცალკე — მაკრო-
ნებსა და ჰენიოხებს. ამათგან ჭოროხის ჩრდილოეთით მცხოვრებ ტომთა ოთხი
ბასილევსი განწესებული იყო 98—134 წლებს შორის. ამ ტომთა მიწა-წყალს
უწინ, დამოუკიდებლობის ხანაში, კოლხთა მეფის სახელით სკეპტუქები განა-

ებდნენ, ახლა ის „ბასილევსებს“ ემორჩილებოდა. ეს იყო გარკვეული პოლიტიკური რეაქცია, ძველისკენ ხელოვნურად უკუქცევის ცდა, რასაც მიმართავდნენ, სანამ შეეძლოთ, რომაელი დამპყრობლები.

სანების (ჭანების) „უმეფო“ ტომი ბინადრობდა ჰენიოხთა და მაკრონთა შორის. სანებს კარგად ჰქონდათ დაცული პირველყოფილ-თემური წყობილება. რომმა მათ „ძველითგანვე“ შეაწერა ხარკი, მაგრამ, როგორც არიანე ჩივის, ისინი არაფერს იხდიდნენ და, პირიქით, „შეურიგებელ მტრობას“ იჩენდნენ „ტრაპიზონელებისადმი“. ეს მოხელე თან კიდევაც იმუქრება, თუ არ გამოსწორდებიან, „გავდევნით მათ“ თავიანთი ქვეყნიდანო.

ხმელეთის მხრივ თავდასაცავად ფოთში და ზოგ სხვა ქალაქში რომაელებს შეეცხოვნე ჯარი ჰყავდათ ჩაყენებული. ფოთის კედლები და კოშკები, ადრე ხისა, ახლა უკვე აგურით ნაშენი და საომარი მანქანებით გამაგრებული იყო.

ეს სიმაგრეები და მეტადრე ბიზვინტა (პიტიუნტი) ხშირად ძლიერ უზარალებიათ მტრებს, კერძოდ, სკვითებს (256—260 წლებში), მაგრამ მათ აღადგენდნენ ხოლმე. რომაელები არც ფიქრობდნენ იქიდან ფეხის მოცვლას.

ეგრისის სამეფოს გაძლიერება (IV ს.)

IV ს-ში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვამ, იბერიის მსგავსად, ეგრისშიც ფართო გზა გაუხსნა საზოგადოების წინსვლას.

დასახლებულ ადგილთა ზრდა უფრო თვალსაჩინო იყო რიონ-ყვირილის, რიონ-ცხენისწყლის, აბაშა-ტეხურის, ხობისწყლის ბარსა და ხეობებში, დაახლოვებით მერმინდელი სამეგრელოსა და იმერეთის მიწა-წყალზე. აქაური მკვიდრნი, იმერ-მეგრელნი, რომში (და მერმე ბიზანტიაში) II ს-დან უკვე ცნობილი იყვნენ, როგორც ლაზები, და არა კოლხები, ხოლო მათი ქვეყანა და სახელმწიფო, ქართულად ეგრისი, — როგორც ლაზიკა. ლაზთა სატომო სახელს იცნობდნენ უფრო ადრეც (I ს.). ბუნებრივად მდიდარი რიონის დაბლობი, მუხურისად წოდებული, ასაზრდოებდა აქაურ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს. რომელთაგანაც სიმდიდრით გამოირჩეოდნენ ქუთაისი, ვარდციხე, ციხე-გოჯი (ნოქალაქევი) და სხვ.

ეგრისის ხალხს პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ხელს უწყობდა რომის საერთაშორისო მდგომარეობის გართულებაც. IV—V საუკუნეებში რომი დიდ პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა შიგნით მონების აჯანყებათა და გარეთ — გერმანელ ტომთა (გუთების) და ჰუნთა შემოტევის შედეგად.

ამ ვითარებაში ლაზების სამეფოს პოლიტიკურმა მნიშვნელობამაც იმატა. ერთ დროს (II ს.) ეგრისის დაძაბუნებულ „ბასილევსთა“ რიგებში იდგა ლაზთა „ბასილევსი“ მალასაც (დაახლ. 117—138 წ.წ.), ხოლო მის შემდგომ — ბაკური (დაახლ. 138—161). IV ს-ის დამლევისათვის კი კოლხეთის ტერიტორიული მემკვიდრეობა, აჭარის მთებსა და კავკასიონს შორის, უკვე სწორედ ლაზური დინასტიის ხელქვეით იყო გაერთიანებული.

ლაზთა მეფეებზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ სვანთა სამხედრო ბელადებიც.

ეგრისის რომთან ვასალური ურთიერთობის ხასიათი

ლაზთა მეფეები, რამდენადმე მაინც, ვასალურად იყვნენ რომზე დამოკიდებული.

ისინი იმპერატორისაგან იღებდნენ სამეფო ნიშნებს, გვირგვინს და სხვ. რომის კეისრებს თავიანთ სამეთვალყურეოდ მიაჩნდათ ეგრისიდან ჩრდილო კავკასიაში გადამავალი გზები და ისინი ლაზებს აკისრებდნენ ამ გზების დაცვას ჰუნთა და ალანთა შემოსევისაგან. მთავარი კი ის იყო, რომ რომაელები ზღვის სანაპიროზე უზღუდავდნენ ლაზებს ვაჭრობას.

ამგვარად შებორკილი ლაზები დროს უცდიდნენ, რათა იარაღით მოეპოვებინათ სრული დამოუკიდებლობა. ისინი მოწმე იყვნენ რომისა და სპარსეთის შეურიგებელი მეტოქეობისა და ცდილობდნენ მათი ჭიდილიც თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

ეგრისის მნიშვნელობა რომისა და სპარსეთის ურთიერთობაში

მას შემდეგ, რაც სასანიანებმა ქართლში ფეხი მოიკიდეს, ათ საუკუნეზე ეძლეოდათ რომი ლაზიკის მხრიდანაც შეეშფოთებინათ, თვით ეგრისის პოლიტიკურ წრეებშიც და სპარსეთის სამეფო კარზედაც თანდათან მწიფდებოდა აზრი, რომ სასანიანებს, ლაზიკის მეშვეობით, შეეძლოთ წილი დაედოთ შავ ზღვაზე გაჩაღებულ აღებ-მიცემაში და ამრიგადაც შეესუსტებინათ რომის სავაჭრო და სამხედრო ძლიერება.

შემდგომ სპარსეთს გაუჩნდა მისთვის უჩვეულო გეგმაც — ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ლაზიკის მთლად დაპყრობა.

რომის წინააღმდეგ აჯანყების ცდა

V ს-ის შუა წლებში ლაზები იარაღით გამოვიდნენ რომაელთა წინააღმდეგ. ეგრისის დასამორჩილებლად რომაელებმა იქ ლაშქარი შეიყვანეს (456 წ.). ეგრისს რომაელთა ასეთი შემოტევა არ ახსოვდა.

აჯანყებულთა ლაშქარს ხელმძღვანელობდა ლაზთა მეფე გუბაზი.

ომი გამწვავდა და მოწინააღმდეგეებმა ამჯობინეს მისი მალე შეწყვეტა. რომაელებს აფიქრებდათ ლაზიკის მთაგორიანობა, რაც აძნელებდა სამხედრო მოქმედებას. ამას გარდა, მათ გაუმტყუნდათ სპარსეთისაგან დახმარების მიღების ცდა. იმ დროს ლაზებმაც, პირველად, მაგრამ უშედეგოდ, სცადეს სპარსელთა მოშველიება.

ამრიგად, საქმე მორიგებით დასრულდა. გუბაზი კონსტანტინეპოლს ჩავიდა (465 წ. შემდეგ), სპარსულად შემოსილი და „მიდიელთა წესისამებრ“ მცველი რაზმის თანხლებით. რომის ხელისუფლებმა, სხვათა შორის, დაგმეს ის გარემოება, რომ გუბაზის დროს ეგრისში დარღვეული იყო იქ მანამდე არსებული ერთმეფობის ძველი წესი და მამა-შვილი ერთად მეფობდნენ. ამიტომ გუბაზმა მეფობაზე ხელი აიღო და ტახტი მარტო თავის ვაჟიშვილს დაუთმო.

§ 8. ლაზიკის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის VI საუკუნეში

VI ს-ში ეგრისისა და რომის ურთიერთობა ძალზე გართულდა. რომის ენერგიულმა მმართველობამ ამოცანად დაისახა თავისი მონათმფლობელური იმპერიის გადარჩენა მწვავე კრიზისისაგან. საამისოდ მან გამოსცა რეაქციული

კანონები აჯანყებული მონებისა და მშფოთვარე დაპყრობილი ხალხების დასამორჩილებლად. ასეთ კანონებს დარაჯად უდგნენ საიმპერიო ზეიადი ბიუროკრატია, საეკლესიო (კლერიკალური) წრეები და „ქრისტეს“ ძლევამოსილი მხედრობა. რომმა რამდენიმე ხნით შეძლო დასავლეთ იმპერიის პროვინციების შემოერთებაც და დაპყრობილი ხალხების დაშოშმინებაც.

საერთოდ, VI ს-ში რომში ახალი ვითარება შეიქმნა. ამის შესაბამისად, VI—XV საუკუნეთათვის რომის იმპერიას უკვე ახალი, „ბიზანტიის იმპერიის“ სახელწოდებით იცნობს ისტორია.

ამრიგად, VI ს-ში ლაზიკა გარდაქმნილი და გაძლიერებული ბიზანტიის პირისპირ დადგა.

ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად ეგრისში

იბერიის მსგავსად, ეგრისიც ქრისტიანული სახელმწიფო უნდა გამხდარიყო და ამ გზით მასაც მტკიცედ უნდა დაეკავებინა ბიზანტიურ კულტურულ სამყაროში თავდაცვითი პოზიციები, სპარსეთსაც გამიჯნოდა და ბიზანტიის ძალმომრეობისგანაც დაეცვა საკუთარი სახელმწიფოებრიობა და ეროვნება.

ქრისტიანობა ლაზიკაში IV ს-შიც კი უკვე საკმაოდ იყო გავრცელებული, ისე რომ შავი ზღვის მხარეში, ბიჭვინტასა და ტრაპიზონში, საეპისკოპოსო საყდრებიც კი არსებობდნენ.

ლაზთა მეფე წათე, რომელიც ჯერ სპარსულ ხელისუფლებასთან დაახლოებას შეეცადა, ისევ კონსტანტინეპოლს გაეშურა კეისართან შესარიგებლად. იქ იგი „მოინათლა“, ე. ი. გაქრისტიანდა, მეფედ დამტკიცებულ იქნა და ზეიმით დაბრუნდა ეგრისს (523 წ.) გვირგვინით, სამოსელზე ოქროს სამეფო ზოლითა და მარგალიტით ნაკერი ქართული წაღებით მორთული.

იმ დროს სპარსთა მმართველ წრეებში მიჩნეული ჰქონდათ, რომ ეგრისი „ძველთაგანვე სპარსეთის ქვეშევრდომი იყო“. ამიტომ წათეს მონათლამ ჯერ შაჰინშაჰის პროტესტი გამოიწვია და მერე საქმე ომზედაც მიდგა.

თავდაცვითი ომი სპარსთა წინააღმდეგ 528 წ.

წათე სწორედ მაშინ გაქრისტიანდა, როდესაც ქართლში გურგენი აჯანყდა. ქართლიდან გაქცეულ მეფეს სპარსთა ლაშქარმა ეგრისის საზღვრებში შესდია და მან ჯერ მისი სანაპირო ციხეები სკანდა და შორაპანი დაიკავა, ხოლო შემდეგ შეძლო ღრმად შეჭრა თვით სამეფოშიც — ეს უკვე წათესთან ანგარიშის მოსაკითხად (528 წ.).

ეგრისს კეისრისაგან მოუვიდა მაშველი მხედრობა, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი სარდალი ველიზარი. დამარცხებულმა სპარსთა ლაშქარმა უკან დაიხია.

მაშინ ორივე მხარემ ისევ დაზავება არჩია. მათ მიერ დადებული „საუკუნო ზავი“ (532 წ.) ავალებდა სპარსეთსა და ბიზანტიას ერთიმეორისთვის დაებრუნებინათ ომში მიტაცებული ადგილები. სპარსელები კვლავ უტოვებდნენ ბიზანტიას სკანდასა და შორაპანს, ქართლი კი მათვე დარჩათ.

ახალი ომის საშზადისი

532 წლის „საუკუნო“ ზავის დამდებნი, ბიზანტია და სპარსეთი, თავ-თავისთვის კარგად ითვალისწინებდნენ ამ ზავის დროებითობას. ამიტომ ორივე მხარე სათანადო სამზადისში იყო. თადარიგის მასშტაბი საკმაოდ შეეფერებოდა ამ ორი მეტოქე სახელმწიფოს დიდმპყრობელობას, რომელთაც ახლა ასახიერებდნენ მსოფლიო ისტორიაში კარგად ცნობილი აგრესორები — „დიდი ავტოკრატორი“ (თვითმპყრობელი) იუსტინიანე (527—565), მართლმადიდებლური, დიოფიზიტური ქრისტიანობის მცველი კეისარი, და ხოსრო I (531—579).

სამზადისს ეწეოდნენ სპარსეთისა და ბიზანტიის ყველა სასაზღვრო მხარეში. იუსტინიანეს ბრძანებით, რომელთა „ხელმძღვანელობით“ სომხეთის მიწა-წყალზე მოიშალა ტრადიციული მმართველობითი წესები, შეიქმნა ოთხი ადმინისტრაციული ერთეული (I, II, III და IV არმენია). სომეხ მესაკუთრეთა მიწები დააქუცმაცეს უთვალავ მემკვიდრეთა რაოდენობის მიხედვით. დამპყრობთა განზრახვით, არმენიას უნდა დაჰკარგოდა ძალა და სომხური სახე.

ლაზიკის სანაპირო ქალაქებში გაძლიერებულ იქნენ ბიზანტიელთა მეცისოვნე ჯარები. სამხრეთის მიჯნაზე, ზღვის პირას აშენდა ახალი ციხე-ქალაქი პ ე ტ რ ა; მისი შიდა ციხის ნაწილი დღემდეა შემორჩენილი ციხისძირში (ბათომის მახლობლად). რომელთა განზრახვით, პეტრას ბჭეებზე უნდა დამსხვრეულიყო ადგილობრივი ხალხის ყოველი ამბოხი და ურჩობა. დაახლოებით იმავე დროს დაწყებულა აფხაზეთში 160 კილომეტრის სიგრძის თავდასაცავი კედლის, „კლისურის (კელასურის) ზღუდის“, მშენებლობა.

ბიზანტიურმა ადმინისტრაციამ გააძლიერა ბიჭვინტის საეპისკოპოსო კათედრა. ა ბ ა ზ გ ე ბ ი ც მონათლეს, გააქრისტიანეს.

ომის საბაბი

ბიზანტიელებმა, სპარსეთის შიშით, დაარღვიეს ზავის პირობები და ლაზიკაში ჯარი ჩააყენეს (532 წელს შემდეგ). ჯარის უფროსად დანიშნეს ანგარი და დაუნდობელი იოანე (ციბე). მდიდრულად ნაგები პეტრა იქცა ადგილობრივი ხალხის საძარცვავ საბაჟოდ. დაწესდა ისეთი „მონოპოლია“, რომ თვით ბიზანტიელთა მოწმობით კვნიტ მარილსაც ვერავინ შეიტანდა ლაზიკაში და ვერც რასმე იქიდან გაიტანდა. უზომო ბაჟებმა ლაზები საგარეო-საზღვაო ვაჭრობიდანაც გამოთიშეს და თან მათ პირველი საჭიროების მარილიც კი სანატრელი გაუხადეს.

13 წლიანი ომის (542—555 წ. წ.) დაწყება ლაზიკაში

ლაზთა მეფემ გუბაზმა ელჩთა მეშვეობით აცნობა ხოსრო I-ს თავისი გადაწყვეტილება, ზურგი ექცია რომელთათვის მათი „უწმინდური საქმეების“ გამო და თან წინადადება მისცა, ლაზებისათვის მოკავშირეობა გაეწია და თავისი უძლეველი ლაშქრით შეჭრილიყო ლაზიკაში ბიზანტიელთა განდევნაში მონაწილეობის მისაღებად.

სპარსეთის მეფე დათანხმდა ამ წინადადებას, სხვათა შორის, იმ მოსაზრებითაც, რომ რაკი ეგრისიც მის განკარგულებაში გადავიდოდა, იგი ველარ გამოადგებოდა ქართლის ურჩ მოსახლეობას ზურგად, თავშესაფრად და მოკავშირედ.

შაჰინშაჰი ხოსრო I თითონვე გაუძღვა დიდ ლაშქარს ქართლისაკენ (542 წ.) და იქიდან კი ლაზიკის ძნელ უღელტეხილებს შეუდგა ლიხის ტყიან მთებს შო-

რის. გუბაზი შეეგება მეფეთ მეფეს. რომაელებს მიუვიდათ ამბავი, რომ ლაზთა მეფე „ეთაყვანა“ ხოსროს.

სპარსელები გარს შემოერტყნენ პეტრას ციხეს. დიდი მსხვერპლის ფასად ციხე-ქალაქი ხოსროს ჩაბარდა. ეს სპარსელთა მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

აჯანყება სპარსელთა წინააღმდეგ

მალე გამეღავნდა ხოსროს ფარული ზრახვა — ეგრისის დაპყრობა, ლაზების აყრა-გასახლება და მათ ნაჭირნახულევზე სპარსელების დასახლება. მას გუბაზ მეფის მოსპობაც ეწადა და მკვლელებიც მიუგზავნა (548 წ.).

მაშინ ეგრისის მმართველმა წრეებმა დაუყოვნებლივ აღადგინეს კეისართან ურთიერთობა სპარსელების განდევნის მიზნით და აუჯანყდნენ ან უკანასკნელებს. რომაელთა მაშველ ლაშქარში ირიცხებოდა 7.000 კაცი და აგრეთვე ჭანების ათასეული.

ბრძოლა პეტრას გასათავისუფლებლად

აჯანყებულთა რისხვა თავს დაატყდა პეტრას ციხეში გამაგრებულ სპარსელებს. სპარსთა ახალი ლაშქარი, მერმეროეს სარდლობით, ლაზიკისკენ მოისწრაფოდა პეტრას შესანარჩუნებლად.

პეტრას გარემოცვას მეთაურობდა რომაელი სარდალი დაგისთე, გუბაზი კი ლაზთა ლაშქრით იცავდა ეგრისის უფრო სუსტ საზღვრებს. ამაში მას ალანთა და ჰუნთა რაზმებიც ეხმარებოდნენ.

მერმეროეს ლაშქარმა პეტრას მეციხოვნე ჯარს სულზე მიუსწრო. 1.500 კაცისაგან 300-ღა იყო დარჩენილი, ცოცხალ-მკვდარი, და მხოლოდ 150 უვნებელი. ციხის კედლებიც ძალზე იყო დაზიანებული.

მერმეროემ კვლავ გააძლიერა პეტრას მეციხოვნე ჯარი, 3.000 მეომარი ჩააყენა შიგ, 5000 მეომარი ლაზიკაში დასტოვა და დანარჩენი 25.000 კაცით კი სწრაფად სომხეთისაკენ გაეშურა.

მის მიერ დატოვებულ 5.000 ჯარისკაცს ძარცვა-რბევით უნდა შეენახა პეტრას გარნიზონიცა და საკუთარი თავიც. მათ ბანაკი დასცეს რიონის ქვემო დინებაში, სანაპიროსთან და იქიდან პატარ-პატარა რაზმებით იწყეს დაბა-სოფლების რბევა.

მაგრამ ლაზთა და რომაელთა შეერთებულმა 14.000-იანმა ლაშქარმა სპარსელთა მთავარი ბანაკის მცველი ათასეული გაანადგურა და თვით ბანაკიც (549 წ.) მათ დავლად დარჩათ: დროშები, უამრავი იარაღი და ფული, ცხენები, ჯორები. იქვე აღმოჩნდა იბერიიდან გაზიდული სურსათი და „აუარებელი ფქვილი“.

ამჯერად ეგრისი გაწმინდეს მტრისგან.

ბრძოლა სპარსთა დამხმარე ძალების უკუსაძცევად

თავდაცვითი ბრძოლა ეგრისში მალე განახლდა. სპარსელთა დიდი მხედრობა, ხურიანეს სარდლობით, ღრმად შეიჭრა ლაზიკაში და ცხენისწყლის ნაპირზე დაბანაკდა (451 წ.). შეშფოთებული ლაზები სამართლიანად უსაყვედურებდნენ კეისრის მეომრებს, თავდადებით არ იბრძოდითო, სხვისი ქვეყნისა და სხვისი ცოლშვილისათვის რა გული უნდა შეგტკიოდეთო.

ამიტომ ლაზთა რაზმები გამოეთიშნენ რომაელებს და საკუთარი ძალით ეკვეთ-ნენ ხურიანეს ბანაკს. გახურებულ ბრძოლაში მაინც აუცილებელი შეიქნა რომაელ ცხენოსანთა გადასვლა შეტევაზე. მტერი სასტიკად დამარცხდა.

პეტრას განთავისუფლებას მოჰყვა მისი კედლების დაქცევა, რათა სპარსელებს იქ ფეხი ვეღარ მოეკიდებინათ.

დიდი ბრძოლა მოხდა ეგრისის ძველი ქალაქის ციხე-გოჯის (დღევანდელი ნოქალაქევი) კედლებთანაც. მომხდურთა მხრივ 4.000 დახოცილი ირიცხებოდა, სამი სარდლის ჩათვლით. ნაწილიც საკუთარმავე სპილოებმა გათელეს. ლაზებსა და ბიზანტიელებს, სხვა დავლასთან ერთად, ოთხი დროშაც დარჩათ.

სპარსეთიდან კვლავ ჩამოსული მერმეროე დაეპატრონა ქუთაისს და მის მაგარ ციხეს, უქიმერიონს. ამ ციხის დაჭერა მას გაუადვილეს თვით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომელთაც ხალხის მყვლეფელი ბიზანტიელების მიმართ სიძულვილი სულ უფრო და უფრო უძლიერდებოდათ. უქიმერიონის მეშვეობით სპარსელებმა ჩაკეტეს ლეჩხუმსა (სკვიმნია) და სვანეთზე მიმავალი გზა. სვანეთი და მისი უღელტეხილები, ჩრდილო კავკასიაში გადამავალი გზები სპარსელთა ხელთ მოექცნენ. ლაზთა სამეფოს ამით აკლდებოდა სვანური საკავრო საქონელიც — ბეწვეული, ტყავეული, ცვილი და სხვ.

გუბაზი და მისი ერთგულნი მძიმე ზამთარს ატარებდნენ სიმშილსა და სიცივეში. ძნელად მისადგომ მთებში სპარსელები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგეთა საფრების ძებნას. მერმეროემ ცბიერებით იგდო ხელთ რიონის ქვემო დინებაში ციხე ტელეფისი, ანუ ტ ო ლ ე ბ ი. მოტყუებული ბიზანტიელები გადაბარგდნენ იმ კუნძულზე, რომელსაც ქმნიდა რიონ-ტეხურის შესართავთან ამ მდინარეების შემაერთებელი არხი. იქ მდებარე სოფელს ახლაც ი ს უ ლ ე თ ი ჰქვიან, რადგან რომაელები იმ ადგილს ლათინურად ი ნ ს უ ლ ა ს, კუნძულს უწოდებდნენ.

სახალხო კრების დაღგენილება

სპარსთაგან მიყენებული დამარცხება და შეურაცხყოფა ლაზებში რომაელთადმი მძულვარებას იწვევდა, რადგან დამარცხების მიზეზი რომაელთა უქნაროობაც იყო და გამცემლობაც. გუბაზ მეფე უჩიოდა მათ კეისრის წინაშე. ბიზანტიელი სარდლები და მოხელეები შიშობდნენ, რომ მათ პასუხი მოეთხოვებოდათ და ამიტომ მათ ვერაგულად მოკლეს გუბაზი (553 წ.). ამას მოჰყვა აღშფოთებული ხალხის ფარული ყრილობა, წარჩინებულთა მეთაურობით. აქ რომაელთა სრულიად განდევნისა და სპარსელებთან დაახლოების მომხრეებიც აღმოჩნდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ლაზიკა უზომოდ იჩაგრებოდა ბიზანტიელ-

თა ხელში, რომელთაც ლაზთა სამეფოს წაართვეს ძველი კოლხეთის დიდება. ნაგრამ რადგან ლაზებს იმის ღონე აღარ ჰქონდათ, რომ რომაელთა განსადევნად მხოლოდ „საკუთარ თავს დანდობოდნენ“, ამიტომ ვითომ აჯობებდა, რომ კეისრის წინააღმდეგ საბრძოლველად ისევ შაჰინშაჰს დაკავშირებოდნენ. ასეთი აზრები გამოთქვა ყრილობაზე ერთ-ერთმა ორატორმა — აიეტმა.

მაგრამ მღელვარე ბჭობის შედეგად გამოირკვა, რომ უმრავლესობა უფრო წინდახედული მოქმედების მომხრე იყო. ერთი მათგანი ფარტაზი ბრძნულად გამოეკამათა აიეტს. ჯერ ერთი, რომისგან განდგომა ომის ვითარებაში, როდესაც ლაზიკა სავსეა მათი მეომრებითა და სარდლებით, საშიში იქნება, კეისრის მხედრობა სასტიკად გაუსწორდება აჯანყებულებსო. მეორე, ლაზები თავისი სახელმწიფო წყობილებისა და ცხოვრების წესით უფრო ახლოს დგანან ბიზანტიელებთან და სარწმუნოებრივი ერთობაც აქვთ მათთან, სპარსელები კი მათთვის უცხოებად რჩებიანო.

კრებამ მოიწონა ფარტაზის მოსაზრება. ამის შემდეგ ლაზებმა იუსტინიანეს მოსთხოვეს მკვლელების დასჯა და გუბაზის ძმის, წათეს, დამტკიცება მეფედ. ეგრისის ხალხის გადამტერება კარგს არას უქადიდა რომს და ამიტომ ლაზების მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შეასრულეს.

აბაზგებისა და მისიმიელების აჯანყებანი

ომის მსვლელობაში დღევანდელი აფხაზეთისა და სვანეთის მხარეში ბიზანტიელებს ხალხი რამდენიმეჯერ აუჯანყდა.

აბაზგები (აფხაზები), მიუხედავად იმისა, რომ გაქრისტიანებული იყვნენ, იარაღით გამოვიდნენ მათი შემაწუხებელი ბიზანტიელი მოხელეების ამოსაყლეტად (550 წ.). მათ ბელადობდნენ ოფსიტე და სკეპარნა. ბიზანტიელებმა შეძლეს ცეცხლითა და მახვილით აჯანყების ჩაქრობა და მისი წამქეზებელი სპარსელების განდევნაც.

უფრო გაძნელდა აჯანყებულ მისიმიელთა (სვანეთი) განიარაღება (555 წ.). ესენი ბიზანტიელებმა მეტადრე იმით გაამწარეს, რომ ურცხვი დაუნდობლობით გაუჯოხეს მოციქულები. შეურაცხყოფილმა ხალხმა აღარ დაზოგა ბიზანტიელი სტრატეგოსი სოტერიქე, აღარც მისი შვილები და აღარც მისი ბანაკი, ყველანი ამოჟლიტა. აჯანყებულ სვანეთში ბიზანტიელთა დამსჯელ რაზმებს (4.000 ცხენოსანსა და ქვეითს) ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა მიუვალი ციხე ძაბარა. დამსჯელთა ხელმძღვანელებს შორის უმთავრესი იყო ეოლხი სტრატეგოსი ფარსანტი, ლაზთა მეფის მცველი რაზმის უფროსი.

ცხადია, ეგრისის სამეფო ხელისუფლებაც ვერ შეიწყნარებდა აჯანყებულთა დამოუკიდებელ პოლიტიკურ საქმიანობას.

ძაბარას ხანგრძლივ თავდაცვას დიდძალი ხალხი შეეწირა, მათ შორის ქალებიცა და ბავშვებიც. ხუთი ათასამდე სული დაიღუპა. დამსჯელმა რაზმებმა ბოლოს დაიმორჩილეს მათგან ცეცხლწაკიდებული თემები. თვითონ ბიზანტიელმა მოწინავე კაცებმაც კი გაჰკიცხეს თავისიანების ასეთი დაუნდობლობა.

ომის დასასრული

სპარსეთს ლაზიკაში ომის წარმოება მეტად ძვირად დაუჯდა. გამარჯვების იმედიც მიიწურა, მეტადრე მას შემდეგ, რაც სპარსელმა სარდალმა ნახორაგანმა, რომლის განკარგულებაში 60.000-ოდე კაცი იყო, მწარე მარცხი განიცადა. ფოთის აღების უშედეგო

ცდამ მისი მხედრობის ორი ათას კაცზე მეტი შეიწირა (554 წ.). ამ დამარცხებამდე სპარსელებმა თითქმის ამდენივე დაკარგეს ციხე-გოჯთან (ნოქალაქევთან). ნახორაგანმა სულ მიატოვა ეგრისი.

ხოსრო I იძულებული გახდა ბიზანტიას დაზავებოდა. საზავო ხელშეკრულება დაიდო 50 წლის ვადით (653 წ.). მისი ძალით სპარსელებმა ხელი აიღეს ეგრისზე. ისინი დიდ ხანს ცდილობდნენ სვანეთის შენარჩუნებას, მაგრამ ვეღარც ამ წადილს ეწივნენ, ბიზანტიელებმა ისინი იქიდანაც გამორეკეს (575 წ.).

ამრიგად, ადრემონათმფლობელური ეგრისი ვერ მისწვდა სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ᲗᲐᲕᲘ VI

ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

§ 1. ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ძველ ქართველ ისტორიკოსთა ცნობებიდან ირკვევა, რომ ქართლის მონათმფლობელური სამეფო დაუმხიათ ქართლისავე წარჩინებულებს. აღარც მათთვის იყო ხელსაყრელი და აღარც ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ვითარებას შეეფერებოდა ეს ძველი წყობა, რომელიც აფერხებდა ქვეყნის შემდგომ განვითარებას. საქმე იმაში იყო, რომ ქართლის პოლიტიკური წყობილება ძველი რჩებოდა, მაშინ როცა ქვეყანა სოციალურად ახალ გზაზე შემდგარიყო. ქართლის წარჩინებულნი უკვე ის აღარ იყვნენ, რაც თავდაპირველად. აზნაურ-წარჩინებულნი დიდი მიწისმფლობელები შექმნილიყვნენ და სულ იმისთვის იბრძოდნენ, რომ კიდევ უფრო მარჯვე პირობები შექმნოდათ შემდგომი გაძლიერებისათვის, სათემო მიწების მიტაცებისათვის, ქვეყნის დოვლათის მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებისათვის. მონებისა და სასოფლო თემების ექსპლუატაციაზე აგებული ძველი ქართული პოლიტიკური წყობილება ამ მემამულე აზნაურ-წარჩინებულებს აღარ აკმაყოფილებდა და ისინიც თავგამოდებით იბრძოდნენ ამ წყობილების შეცვლისათვის. წარჩინებულებს ნიშანში ამოეღოთ ერთი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის ძველი წესი, რომლის მიხედვით ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე ერისთავი მემკვიდრეობით კი არ იჯდა საერისთაოზე, არამედ მისი დანიშვნა და შეცვლა მეფის ნებაზე იყო დამოკიდებული.

ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში მიწათმოქმედება იმ დროს უმთავრესი სამეურნეო დარგი იყო. უმჯობესდებოდა სხვადასხვა ჯიშის ხორბლეულის თესვა, სელის მოყვანა, ვაზის კულტურა. წინ მიდიოდა მიწის დამუშავების ტექნიკა. მეფის და წარჩინებულთა ოჩე-ხოდაბუნებს თუ სათემო მიწებს სარწყავი არხები სერავდნენ. გასაგებია, თუ რატომ იზიდავდა ასე ძლიერ მიწა აზნაურ-წარჩინებულთა ხარბ თვალებს. ისინი ჩასანთქავად უყურებდნენ თემს, რომელსაც, სწორედ იმავე სამეურნეო განვითარების ნიადაგზე, რღვევის ნიშნები უკვე ძლიერად დასტყობოდა.

რაც უფრო ინტენსიური ხდებოდა მიწისმოქმედება, მით უფრო ძლიერ

ცდამ მისი მხედრობის ორი ათას კაცზე მეტი შეიწირა (554 წ.). ამ დამარცხებამდე სპარსელებმა თითქმის ამდენივე დაკარგეს ციხე-გოჯთან (ნოქალაქევთან). ნახორაგანმა სულ მიატოვა ეგრისი.

ხოსრო I იძულებული გახდა ბიზანტიას დაზავებოდა. საზავო ხელშეკრულება დაიდო 50 წლის ვადით (653 წ.). მისი ძალით სპარსელებმა ხელი აიღეს ეგრისზე. ისინი დიდ ხანს ცდილობდნენ სვანეთის შენარჩუნებას, მაგრამ ვერარც ამ წადილს ეწივნენ, ბიზანტიელებმა ისინი იქიდანაც გამორეკეს (575 წ.).

ამრიგად, ადრემონათმფლობელური ეგრისი ვერ მისწვდა სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ადრეფეოდალური ხანა

თ ა ვ ი VI

ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საქართველოში

§ 1. ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობა

ძველ ქართველ ისტორიკოსთა ცნობებიდან ირკვევა, რომ ქართლის მონათმფლობელური სამეფო დაუმხიათ ქართლისავე წარჩინებულებს. აღარც მათთვის იყო ხელსაყრელი და აღარც ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ვითარებას შეეფერებოდა ეს ძველი წყობა, რომელიც აფერხებდა ქვეყნის შემდგომ განვითარებას. საქმე იმაში იყო, რომ ქართლის პოლიტიკური წყობილება ძველი რჩებოდა, მაშინ როცა ქვეყანა სოციალურად ახალ გზაზე შემდგარიყო. ქართლის წარჩინებულნი უკვე ის აღარ იყვნენ, რაც თავდაპირველად. აზნაურ-წარჩინებულნი დიდი მიწისმფლობელები შექმნილიყვნენ და სულ იმისთვის იბრძოდნენ, რომ კიდევ უფრო მარჯვე პირობები შექმნოდათ შემდგომი გაძლიერებისათვის, სათემო მიწების მიტაცებისათვის, ქვეყნის დოვლათის მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებისათვის. მონებისა და სასოფლო თემების ექსპლუატაციაზე აგებული ძველი ქართული პოლიტიკური წყობილება ამ მემამულე აზნაურ-წარჩინებულებს აღარ აკმაყოფილებდა და ისინიც თავგამოდებით იბრძოდნენ ამ წყობილების შეცვლისათვის. წარჩინებულებს ნიშანში ამოეღოთ ერთი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის ძველი წესი, რომლის მიხედვით ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე ერისთავი მემკვიდრეობით კი არ იჯდა საერისთაოზე, არამედ მისი დანიშვნა და შეცვლა მეფის ნებაზე იყო დამოკიდებული.

ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში მიწათმოქმედება იმ დროს უმთავრესი სამეურნეო დარგი იყო. უმჯობესდებოდა სხვადასხვა ჯიშის ხორბლეულის თესვა, სელის მოყვანა, ვაზის კულტურა. წინ მიდიოდა მიწის დამუშავების ტექნიკა. მეფის და წარჩინებულთა ოჩე-ხოდაბუნებს თუ სათემო მიწებს სარწყავი არხები სერავდნენ. გასაგებია, თუ რატომ იზიდავდა ასე ძლიერ მიწა აზნაურ-წარჩინებულთა ხარბ თვალებს. ისინი ჩასანთქავად უყურებდნენ თემს, რომელსაც, სწორედ იმავე სამეურნეო განვითარების ნიადაგზე, რღვევის ნიშნები უკვე ძლიერად დასტყობოდა.

რაც უფრო ინტენსიური ხდებოდა მიწისმოქმედება, მით უფრო ძლიერ

ჩენდა თავს მიწის კერძო საკუთრებად გადაქცევისადმი მიდრეკილება. ვენახისა თუ ხილოანის (ხეხილის ბაღის) მონაშენე მეთემე მიწის მუშა ცდილობდა არ შეშვებოდა თავის ნაჭირნახულევს და ასეთი ნაშენის მეთემეთა შორის გადანაწილების წინააღმდეგ გამოდიოდა. ასე შემოდიოდა კერძო მფლობელობა ჯერ საბაღ-ვენახე მიწებზე და შემდეგ თანდათან სახნავ-სათესზედაც.

დროთა განმავლობაში ასეთი დაჩემებული ნაკვეთები დამჩემებელთა საკუთრებად იქცეოდა. VI საუკუნეში ჩვენ უკვე გვაქვს მიწის ნასყიდობის ფაქტები, მაგრამ ეს წესი გაცილებით უფრო ძველ დროს არის შემოსული.

თემი იშლებოდა. ყოფილ მეთემეთაგან ზოგიერთი ძლიერდებოდა, „მდიდარი“ ხდებოდა და, სამაგიეროდ, უმრავლესობა „წვრილი“ რჩებოდა. მიმძლავრება-მიტაცების, სყიდვის თუ სხვა რამ გზით „მდიდარნი“ დიდრონ მიწებს დაეპატრონენ და იმის ცდაში იყვნენ, რომ ამ მიწების ექსპლუატაცია მოეწყოთ. ასეთ მიწებზე, მძიმე გადასახადებისა და სამსახურის პირობით, ისინი სხამდნენ ტყვე-მონებს, „მფარველობაში“ იღებდნენ ამა თუ იმ შევიწროებულ მეთემეყოფილს მისი მცირე მიწითურთ, ან სულ უმიწოდ, აძლევდნენ მას მიწას და, ამის ნაცვლად, გარკვეულ სამსახურს აკისრებდნენ. ასე თანდათან იქმნებოდა, სამიწო ურთიერთობის ნიადაგზე, ორი კლასი, რომელთაგან ერთისათვის მიწა სიმდიდრისა და სოციალური ძლიერების წყაროდ იქცეოდა, ხოლო მეორისათვის სიღარიბისა და დამონების წყაროდ. იქმნებოდა ფეოდალური ურთიერთობა.

ეს ახალი ურთიერთობა ფავისთვის შესაფერის პოლიტიკურ წესწყობილებას საჭიროებდა. ქართლის მეფის დესპოტური ხელისუფლება კი თავისი საგადასახადო სისტემით, ადმინისტრაციით, ლაშქრის ორგანიზაციით, ერთი სიტყვით, ქვეყნის მართვა-გამგეობის ძველი წესი ხელს არ უწყობდა და, პირიქით, წინ ეღობებოდა ამ ახალი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. ბუნებრივი იყო, რომ აზნაურთა აღმავალი კლასი სათავეში ჩაუდგა მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის პოლიტიკურ გარდაქმნას. ასეთი გარდაქმნა ქართლის წინსვლის საქმეს ემსახურებოდა, ქვეყანა განვითარების ახალ საფეხურზე დგებოდა.

მეხუთე საუკუნის მიწურულში ეს ბრძოლა ძველ სამეფო ხელისუფლებასა და აზნაურებს შორის უკიდურეს წერტილამდე იყო მიღწეული. ეს გარემოება კარგად გამოჩნდა, როგორც ვნახეთ, ვახტანგ გორგასალის მეფობაში, როცა ქართლის წარჩინებულები მრავლად გადავიდნენ სპარსთა მხარეზე იმ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელსაც მონათმფლობელური ქართლი ვახტანგ მეფის მეთაურობით ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის აწარმოებდა.

სპარსეთის გატაცება ქართლში

ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შემდეგ სპარსელები კიდევ უფრო მეტი დაჟინებით ცდილობდნენ ქართლის საბოლოოდ დამორჩილებას. ამისთვის მტერს საჭიროდ მიაჩნდა ქართლში მეფობის გაუქმება. დიდი ხანი იყო რაც სპარსელებს კარგად დაეზვერათ ქართლის საზოგადოების შიგნით არსებული სოციალური წინააღმდეგობა და მეფობის გაუქმების საქმეში თავიანთ მოკავშირედ აზნაურ-წარჩინებულები შეერჩიათ. სპარსეთის მეფე თავისი დიდმოხელის პირით მრავალ წყალობას შეპირდა ქართლის აზნაურებს და წერილობითაც აღუთქვა, რომ შეუსრულებდა იმას, რისთვისაც აზნაურები თავგამოდებით ებრძოდნენ ქართ-

ლის მეფეს: სამოხელეო თანამდებობათა (ერისთაობის) მემკვიდრეობით წყალობას.

რაკი დიდი აზნაურები მიიმხრეს, ქართლის მეფის დამხობა სპარსთათვის ადვილი აღარ იყო.

მეფობის გაუქმება ქართლში

523 წელს ქართლში ისევ მოხდა აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ, რადგანაც შაჰს ბრძანება გამოეცა — ყველამ მაზდეიანური (ცეცხლისთაყვანისმცემელური) წესები შეასრულეთ, მკვდრები მიწაში არ დამარხოთო. ქართლის მეფე გურგენი, რომელსაც კავშირი ჰქონდა გაბმული კეისართან და კეისრისაგან ჯარსაც ელოდა, სპარსელებს გადაუდგა. მაგრამ რომაელების მეშველი ჯარი რიცხვმცირე გამოდგა. გურგენი სპარსელებს ვეღარ გაუმკლავდა და იძულებული შეიქნა მთელი ოჯახითა და თავისი მომხრე დარბაისლებითურთ ეგრისს შეჰფარებოდა. ქართლში მეფობა მოისპო და სპარსელების მმართველობა დამყარდა.

იმდროინდელი რომაელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ გურგენ მეფის აჯანყების შემდეგ „არც სპარსელები აძლევდნენ ქართველებს ნებას თავისი მეფე ჰყოლოდათ, არც ქართველები ემორჩილებოდნენ სპარსელებს ნებაყოფლობით. სპარსელები და ქართველები დიდი ეჭვითა და უნდობლობით უყურებდნენ ერთმანეთს“. და მართლაც, სპარსელთა ერთგული ქართლში ცოტა ვინმე თუ იყო. ხალხის მასას დამპყრობელთა ხარკი და სხვა მრავალგვარი შევიწროება სიცოცხლეს უმწარებდა. არც აზნაურ-წარჩინებულნი შერჩნენ სპარსეთის ერთგულებას. ამ მოკავშირეთა თანხმობა მაშინვე დაირღვა, როგორც კი მათ შეერთებული ძალით ქართლში მეფობა დაამხეს.

სპარსელებმა ქართლში მეფობა სამუდამოდ გააუქმეს და ქვეყანა სპარსეთის პროვინციად აქციეს. ეს კი სრულიადაც არ შეესაბამებოდა ქართლის აზნაურთა სოციალურ-პოლიტიკურ მიზნებს. აზნაურთა სოციალურად აღმავალ ფენას სურდა ქვეყნის სათავეში ჰყოლოდა არა შაჰის მოხელე, არამედ ამ აზნაურთა ნების ამსრულებელი ფეოდალური მეფე.

იმ თანამდებობათაგან, რომლებიც ქართლში სპარსელებმა ადგილობრივ აზნაურებს დაუმტკიცეს, ყველაზე დიდი იყო „ქართლის მამასახლისის“ და „ქართლის პიტიახშის“ თანამდებობანი. ამ მთავრებს გარდა იყვნენ აგრეთვე ცალკე თემთა ერისთავები.

ქართლის სათავეში სპარსელებს ეყენათ თავისი მოხელე, რომელიც **„მარზპანის“** წოდებას ატარებდა. „მარზპანი“ სპარსული სიტყვაა და „ოლქის მმართველს“ ნიშნავს. მარზპანს დიდი უფლება ჰქონდა. მას შეეძლო ქართლის ყოველი მცხოვრების გასამართლება და სიკვდილით დასჯაც-კი. მარზპანივე ჰკრეფდა ხარკს ქართველი მთავრებისა და ერისთავების საშუალებით.

ქართლის დიდი ქალაქების, მაგალითად თბილისისა და მცხეთის, ციხეებში სპარსელთა ჯარი იდგა.

ქართლის მოსახლეობას სპარსელებმა, ხარკს გარდა, სამხედრო სამსახურიც დააკისრეს. ეს სპარსული ხარკი, ბეგარა და უსამართლობა სულ უფრო და

უფრო მატულობდა და აღვივებდა ქართველ ხალხში დამპყრობლებისადმი სიძულვილს. ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გამო სპარსელებმა დიდხანს ვეღარ იბოგინეს ჩვენს ქვეყანაში.

§ 2. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

სახალხო მოძრაობა სპარსელების წინააღმდეგ

ჯერ კიდევ VI საუკუნის შუა წლებში რომაელები ირწმუნებოდნენ, „იბერები ნებაყოფლობით არ ემორჩილებიან სპარსელებს... ცხადია, რომ იბერებს ილაჯი გაწყვეტილი აქვთ და ისინი აპირებენ აჯანყებას უახლოეს მომავალში, თუ მოხერხებულ დროს შეურჩევენ“.

ამ მოძრაობას სპარსელების წინააღმდეგ სახალხო ხასიათი ჰქონდა. სპარსელთა ბატონობით უკმაყოფილო ქართლის აზნაურები, ბუნებრივია, ამ მოძრაობაში გაერივნენ, მისი მეთაურობა დაიჩემეს და მოხერხებულად ცდილობდნენ ეს სახალხო ბრძოლა თავისი კლასობრივი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

ქართლიდან სპარსელების განდევნა VI საუკუნის სამოციანი წლების დამლევს დაიწყო. იმ დროს სპარსელების საქმე უკან იყო წასული მარტო ეგრისში კი არა, სხვაგანაც. ქართლში კი საკმაოდ მოიპოვებოდა ძალა და შეძლება სპარსელებთან საბრძოლველად.

ქართლის საშეურნეო დაწინაურება

მიუხედავად იმისა, რომ სპარსელების ბატონობა აფერხებდა ქვეყნის განვითარებას, ქართლი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა. იმ დროს ქართლი მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა. ერთი მაშინდელი რომაელი ისტორიკოსი ამბობს ქართლსა და სომხეთზე, „ეს ქვეყნები ძალიან ნაყოფიერი არის და დიდ შემოსავალსაც იძლევა“-ო. მართლაც, ქართლში ამ დროს კარგად იყო განვითარებული მიწათმოქმედება და, კერძოდ, მევენახეობა. პური იმდენი მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთაც კი გაჰქონდათ. მეორე რომაელი მწერალი მოგვითხრობს მესხების შესახებ: „ისინი ძველთაგანვე იბერების ქვეშევრდომები არიან და მთებში ცხოვრობენ. მესხეთის მთები მწირი და უნაყოფო კი არ არის, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, იმიტომ რომ მესხები დახელოვნებული მიწათმოქმედნი არიან და მათ ვენახებიც აქვთ“.

ქართლის ბარი კიდევ უფრო დაწინაურებული იყო იმ დროს, ვიდრე მესხეთის მთები. ბარში დიდი და გრძელი არხებიც გაჰყავდათ უწყლო საყანეების მოსარწყავად. მაგალითად, რუსთავის არხი IV საუკუნეშია გაყვანილი ქართლის მეფის ბრძანებით, ხოლო წილკანის არხი (მუხრანის ველზე) VI საუკუნეში გაუყვანიათ.

განვითარებული იყო ქართლში ამ დროს ხელოსნობა, ვაჭრობა და ქალაქები. ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქები ქართლში VI საუკუნეში იყო თბილისი, უჯარმა, მცხეთა, რუსთავი, სამშვილდე. ვაჭრობას ქართლი აწარმოებდა სომხეთთან, სპარსეთთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, დასავლეთის ქვეყნებთან და სხვებთან.

სპარსელების დასუ-ტება ქართლში

VI საუკუნის 70-იან წლებში რომაელებსა და სპარსელებს შორის ომი ატყდა. სპარსელთა ბატონობით სულშეხუთული კავკასიელი ხალხები ერთდროულად აუჯანყდნენ დამპყრობლებს, რომაელებს მიემხრნენ და მრავალი ბრძოლა გადაიხადეს ცალ-ცალკე თუ საერთო ძალით. შაჰი დიდხანს თავგამოდებით ცდილობდა ბატონობის შენარჩუნებას ქართლსა და სომხეთში. ამასობაში სპარსეთში შინაური შფოთი ატყდა. მოწინააღმდეგის დასუსტებით მარჯვედ ისარგებლეს რომაელებმა და შაჰისაგან მიიღეს სომხეთის დიდი ნაწილი და ქართლი თბილისამდე. ეს მოხდა 591 წელს. სპარსეთის ბატონობისაგან მალე დანარჩენი ქართლიც განთავისუფლდა და შაჰის მეციხოვნეები მხოლოდ თბილისის ციხეში და მის მიმდგომ მცირე რაიონში-ღა იყვნენ გამაგრებული.

ერისმთავროების დაწესება ქართლში

როცა სპარსელი დამპყრობლების მმართველობა თავიდან მოიცილეს, ქართლის აზნაურ-წარჩინებულნი საკუთარ წესზე ქვეყნის მართვა-გამგეობის მოწყობას შეუდგნენ. ძველი მეფობის აღდგენა ქართლის აზნაურ-წარჩინებულებს არ სურდათ. რომაელებიც ანგარიშს უწევდნენ მათ. მოხდა შეთანხმება. აზნაურ-წარჩინებულებმა ქვეყნის მმართველობის სათავეში **„ერისმთავრად“** რომაელთათვის სასურველი პირი, ქართველი სეფე-წული გვარამი „გააჩინეს“. თავის მხრივ ქართლის ერისთავებმა მტკიცე დაპირება მიიღეს რომაელთაგან, რომ ეს ახალი მმართველი არ წაართმევდა მათ საერისთაოების მემკვიდრეობით მართვის უფლებას. გვარამ ერისმთავარი, ამრიგად, ქართლის აზნაურ-წარჩინებულთა ნების ამსრულებელი უნდა ყოფილიყო. ეს იყო დიდი მნიშვნელობის ფაქტი ახალი (ფეოდალური) სოციალ-ეკონომიური წესწყობილების ზრდა-წარმატებისათვის.

ქართლის აზნაურებს ამიერიდან ხელის შემშლელი აღარავინ ჰყავდა ქვეყნის საბოლოოდ დაუფლების საქმეში. ქართლიც დაწინაურების გზით სწრაფად წინ მიდიოდა.

§ 3. კულტურა და იდეოლოგია V-VI საუკუნეებში

მწერლობა

ისე როგორც სხვაგან, საქართველოშიაც თავდაპირველად კულტურა და იდეოლოგია უპირატესად სარწმუნოების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეს გასაგებია, რადგან რაც უფრო უძლური იყო ადამიანი გარემო ბუნებასთან ბრძოლაში, ტექნიკისა და მეცნიერების სუსტი განვითარების გამო, მით უფრო მორწმუნე იყო იგი.

მას შემდეგ, რაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა, კულტურასა და იდეოლოგიასაც მეტ-ნაკლებად საეკლესიო-ქრისტიანული ელფერი ედო. ასეთი იყო, მაგალითად, მწერლობა. ქრისტიანობამ ძველი ქართული წარმართული მწერლობა მოსპო და ახალი კი უმთავრესად თარგმანებით დაიწყო. როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, საქართველოშიაც უძველესი ნათარგმნი საქრისტიანო წიგნები „სახარება“ და „დაბადება“ იყო. თარგმნიდნენ ბერძნული, სირიული და სომხური ენებიდან.

მალე ორიგინალური მწერლობაც გაჩნდა, ჰაგიოგრაფიული ხასიათისა.

ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მოთხრობილი იყო ისეთი პირების ცხოვრება, რომლებმაც ღვაწლი დასდეს ქრისტიანობას ან თავიც-კი შესწირეს მას. უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებაა „შუშანიკის მარტვილობა“ ანუ წამება, დაწერილი იაკობის მიერ V საუკუნის სამოცდაათიან წლებში, იქ აღწერილია, თუ როგორ აწამა ვარსქენ ქართლის პიტიახშმა თავისი ცოლი შუშანიკი იმის გამო, რომ შუშანიკმა არ შეასრულა ვარსქენის მოთხოვნა და ცეცხლის მსახურება არ მიიღო. დაწერილია ეს ძეგლი მოქნილი, მომჭირნე და მდიდარი მხატვრული ენით. ამასთანავე იგი ძვირფასია, როგორც ისტორიული წყარო, იმიტომ რომ მასში კარგად არის ასახული ქართლის საზოგადოება და მისი ყოფა-ცხოვრება V საუკუნის მეორე ნახევარში. ასეთივე კარგი ისტორიული წყაროა „ესტატე მცხეთელის წამება“, რომელიც უცნობ ავტორს დაუწერია VI საუკუნის შუა წლებში და რომელშიც აწერილია ქართლის ვითარება მარზპანობის დროს.

მწერლობა მაშინ ემსახურებოდა სხვა მიზნებსაც — მაგალითად სახელმწიფოებრივსა და კერძო სამოქალაქო საქმისწარმოებას. წარწერებს აკეთებდნენ ფულებზედაც. შენახულია ერთი წარწერიანი ქვა, ახალციხის მხარის სოფ. წყისეში ნაპოვნი. ეს წარწერა VI საუკუნის დამლევს თუ VII საუკუნის დამდეგს ამოუკრეფინებია ქვის ჯვარზე ვინმე კონსტანტის იმის ნიშნად, რომ მიწა, სადაც აღმართული იყო ეს ქვაჯვარი, ნაყიდი მამული იყო.

დამწერლობას იყენებდნენ აგრეთვე უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს. ეგრისის სამეფო არქივში ძალიან ძველი საბუთებიც ჰქონდათ დაცული. ასევე იყო, რა თქმა უნდა, ქართლშიაც.

იმდროინდელი ქართული პოეტური და ფილოსოფიური მწერლობიდან ჩვენ დრომდე თითქმის არაფერი შემონახულა, თუმცა ამ დარგის უცხოურ ლიტერატურას ჩვენში კარგად იცნობდნენ. IV საუკუნეში ეგრისელებს თურმე არა ერთგზის უსახელებიათ თავი მჭევრმეტყველებით ბერძნების საღვთისწაულო კრებებზე, ბერძნები-კი ამ საქმის უდიდესი ოსტატები იყვნენ. იმავე საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ რომის იმპერიაში კარგად ყოფილა ცნობილი თავისი ჭკუით, განათლებითა და ფილოსოფიის სიყვარულით ქართველი სეფეწული ბაკური.

ცხადია, რომ ძველ იბერიასა და კოლხეთში გავრცელებული იყო ძველი ბერძნული განათლება, ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და პოეზიის ცოდნა. მართლაც, IV საუკუნეში კოლხეთში, ქ. ფასიდის (ფოთის) მახლობლად, არსებობდა ფილოსოფიური სკოლა, სადაც სათანადო განათლების მისაღებად ახალგაზრდებს გზავნიდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის სხვა, შორეული ადგილებიდან. კოლხეთის ფილოსოფიურ სკოლაში უსწავლიათ იმდროინდელ გამოჩენილ კონსტანტინეპოლელ რიტორს ევგენისა და მის შვილს თემისტის. როგორც ქართლში, ისე ეგრისში, ჩანს, იცნობდნენ სპარსულ მწერლობასაც.

იდეოლოგია

მწერლობა გამოყენებული იყო საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ბრძოლაშიაც. როცა სპარსელები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ მაზდეიანობის (ცეცხლისთაყვანისმცემლობის) გავრცელებაზე ამიერკავკასიაში და, სამაგიეროდ, მონოფიზიტური ქრისტიანობის მფარველებად იქცნენ, მათ საეკლესიო მწერლობას დაავალეს. მო-

ნოფიზიტური იდეები და სპარსეთთან განუყრელი კავშირის აუცილებლობა ექადაგა. ამ მიზნით სპარსეთის მეფის აგენტებმა შეთხზეს ლეგენდები, ვითომც ქრისტიანობა სომხეთსა, ქართლსა და ალბანეთში ერთისა და იმავე პირის მიერ არის დანერგილი, ვითომც ქართული, სომხური და ალბანური ანბანი აგრეთვე ერთისა და იმავე პირის მიერ არის გამოგონებული და რომ ეს „განმანათლებელნი" იმავე დროს ვითომც სპარსეთთან იყვნენ დაკავშირებულნი.

მონოფიზიტები შეუბრალებლად სპობდნენ დიოფიზიტების ანუ ქალკედონიტების მწერლობას. დროგამოშვებით გავლენას იხვეჭდა რომელიმე სხვა მიმართულებაც. სპარსეთის მთავრობა სხვა გზებსაც მიმართავდა ამ იდეოლოგიური კავშირის განსამტკიცებლად. მას სურდა, მაგალითად, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების გაერთიანება, რათა სპარსელი მოხელეებისათვის უფრო ადვილი ყოფილიყო მათი მართვა.

ამიტომ, მოკლეს თუ არა ვახტანგ გორგასალი, სპარსელების მთავარი მტერი და მოწინააღმდეგე ამიერკავკასიაში, სულ მალე, 506 წელს, სპარსელებმა სომხეთის დედაქალაქ დ ვ ი ნ ში მოიწვიეს სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების საერთო კრება. ამ კრებამ, სპარსელებისავე კარნახით, ერთადერთ ჭეშმარიტ ქრისტიანობად მონოფიზიტური სარწმუნოება აღიარა. ამის შემდეგ ეკლესია სპარსელების მთავარი დასაყრდენი გახდა.

მაგრამ, როგორც კი სპარსელების გავლენამ შესუსტება იწყო, კვლავ წამოჰყვეს თავი ქალკედონიტებმა. მათ უკვე 574 წელს, გურგენის აჯანყებისთანავე, ჰქონიათ ძალა მოპოვებული ქართლში. VI საუკუნის დამლევისათვის-კი მონოფიზიტები აქ საბოლოოდ დამარცხებული იყვნენ. რადგანაც სომხეთში, რომელიც სპარსეთთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მონოფიზიტებმა მეტ ხანს გასძლეს, ამიტომ სომხეთისა და ქართლის ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდა (607 წ.). ეხლა უკვე ქალკედონიტებმა დაუწყეს მონოფიზიტებსა და მათ მწერლობას უწყალო დევნა. ამიტომ არის ძველი ქართული მწერლობა ასეთი დაზიანებული სახით მოღწეული ჩვენ დრომდე.

სულიერი კულტურის დარგში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმ დროს ქართლისა და ეგრისის თანდათანი დაახლოება. როცა ეგრისში ქრისტიანობა შემოვიდა, იგი აქ ბერძნულ მწერლობას ხმარობდა, მაგრამ ბერძნული ენა გაუგებარი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ამავე დროს არგვეთიდან (დღევანდელი ზემო-იმერეთი), რომელიც მრავალი საუკუნე იყო, რომ ქართლის სამეფოს საზღვრებში შედიოდა, ეგრისში მარჯვედ ვრცელდებოდა ქართული ენა. ის გაცილებით უფრო ადვილად შესათვისებელი იყო მოძმე ქართველი ტომებისათვის. ქართულ ენასთან ერთად ვრცელდებოდა ქართული მწერლობაც. ქართულმა მწიგნობრობამ ადრევე დაიჭირა ეგრისში ბერძნულის ადგილი. ქართული კულტურის ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცენტრთაგანი დასავლეთ საქართველოში იყო ქალაქი ქუთაისი (ქუთაისი). კულტურულ დაახლოებას თან მოსდევდა მოძმე ტომთა ერთობის შეგნების ზრდაც.

ხელოვნება

იმდროინდელი ნივთიერი კულტურის დარგშიც მრავალი ცვირფასი ძეგლია შემონახული. უმეტესწილად გადარჩენილია საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები, უფრო ნაკლებ

მოღწეულია საერო ხუროთმოძღვრების ნაშთებიც. ამ უკანასკნელის ძეგლია, მაგალითად, უჯარმის ციხე.

იმდროინდელი საეკლესიო არქიტექტურა ორი მთავარი რიგისაა. უფრო ძველი შენობები ანტიკური ხანის არქიტექტურას უახლოვდება და ეგრეთ წოდებულ „ბ ა ზ ი ლ ი კ ა ს“ ანუ უგუმბათო ნაგებობას წარმოადგენს. ასეთია მეხუთე საუკუნის დიდებული ძეგლები — ბ ო ლ ნ ი ს ი ს ა და უ რ ბ ნ ი ს ი ს ტაძრები და სხვები.

VI საუკუნიდან გაბატონდა სხვა რიგის საეკლესიო ხუროთმოძღვრება, რომელიც თავისი წარმოშობით იმ ხანაზე უფრო ძველი იყო. ეს იყო ჯვრის ტიპის გუმბათიანი ნაგებობა, რომელიც უფრო შეეფერებოდა ფეოდალური ხანის მოთხოვნილებასა და გემოვნებას. ჯვრის ტიპის ტაძარია მცხეთის ჯვარის საყდარი, რომელიც არაგვის შესართავთან მაღალ კლდეზეა აგებული მეექვსე-მეშვიდე საუკუნეების მიჯნაზე.

მცხეთის „ჯვარი“ გენიალური არქიტექტორის უკვდავი ქმნილებაა და ქართული კულტურის საამაყო ძეგლი.

საერთოდ, „ჯვარის“ არქიტექტურული ტიპი დაიბადა და განვითარდა საქართველოში და აქვე მიაღწია მან თავის სრულყოფას. ეს ტიპი ძველი ეროვნული, ხალხური ხელოვნების ტრადიციების ნიადაგზე წარმოიშვა. მისი ხალხური წინამორბედია ქართული გლეხური სახლი, „დარბაზი“ ანუ „ერთობის სახლი“, რომელიც დღემდე არის შემონახული აღმოსავლეთ საქართველოში.

V—VI საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლა ამტკიცებს, რომ საამშენებლო ხელოვნება იმდროინდელ საქართველოში მაღალ საფეხურზე იდგა.

თ ა ვ ი VII

ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ VII-VIII სს.

§ 1. საქართველოს მეზობელი ქვეყნები VII საუკუნეში

VII საუკუნეში საქართველოს გარშემო მდებარე ქვეყნებში ბევრი დიდი ცვლილება მოხდა. გამოიცვალა მოსახლეობა, საზოგადოებრივი ყოფა, სახელმწიფო წყობილება. ისტორიის სარბიელიდან წავიდა ზოგი ძველი ტომი და მათ ადგილას-კი ახალი ხალხები გამოვიდნენ.

ბიზანტია

დიდი ცვლილება განიცადა რომის სახელმწიფომ. IV საუკუნის დამლევს იგი ორ ნაწილად გაიყო. აღმოსავლეთი ნაწილის დედაქალაქი უკვე IV საუკუნის დამდეგიდან კონსტანტინეპოლი იყო. V საუკუნის დამლევს მოსპობილ იქნა დასავლეთ რომის იმპერია.

აღმოსავლეთ რომის იმპერია ამის შემდეგ მარტო განაგრძობს არსებობას. VII საუკუნიდან ჩვენ მას ბ ი ზ ა ნ ტ ი ა ს ვუწოდებთ. თუ ძველი რომი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, ბიზანტია უკვე ფეოდალური ქვეყანაა. გარდა ამისა, ბიზანტიაში ბერძნულმა ენამ საბოლოოდ განდევნა ლათინური.

ჰუნები და ხაზარები

ჩრდილო კავკასიაშიაც ბევრი ახალი ამბავი მოხდა: IV საუკუნიდან იქ ბატონობდნენ ჰუნები, რომელნიც განსაკუთრებით V—VI საუკუნეში მძლავრობდნენ. ჰუნებს შეენაცვლენ ხაზარები, რომელთაც VI საუკუნის დამლევიდან მოიპოვეს გავლენა ჩრდილო კავკასიაში. მალე აქ მათ შექმნეს მეტად ძლიერი სამეფო, რომელიც მდ. ვოლგიდან აზოვის ზღვამდე იყო გადაჭიმული. ხაზართა სამეფოს მეთაური ხ ა კ ა ნ ი ს წოდებას ატარებდა.

არაბები

მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის ა რ ა ბ ე ბ ი ს გამოჩენას მსოფლიო ისტორიულ სარბიელზე.

არაბების სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძულია. ამ უკანასკნელის მთავარი რაიონებია: 1) ნ ე ჯ დ ი, შუაგული, 2) ჰ ი ჯ ა ზ ი, მეწამული ზღვის ნაპირზე ვიდებარე ზოლი და 3) ი ა მ ა ნ ი, რომელსაც ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო უჭირავს. ჰიჯაზში იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქები — მ ა ქ ა და ი ა ს რ ი ბ ი. ჰიჯაზისა და იამანის არაბები ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ და მიწათმოქმედებასა და ვაჭრობას მისდევდნენ.

შინაგანი რაიონები კი ბ ე დ უ ი ნ ე ბ ი ს სახელით ცნობილ მომთაბარე არაბებს ეჭირათ. VII საუკუნის დამდეგს მოხდა არაბი ტომების გაერთიანება. ახალი სახელმწიფოს მეთაური იყო მ უ ჰ ა მ ა დ ი, რომელმაც ამავე დროს არაბებში ახალი სარწმუნოებაც გაავრცელა. ახალ სარწმუნოებას ეწოდა „ი ს ლ ა მ ი“, რაც „მინდობას“ ნიშნავს. ისლამის მიმდევარს „მ უ ს ლ ი მ ს“ („მინდობილს“) ეძახიან. მუსლიმებს მაჰმადიანებსაც უწოდებენ, მუჰამადის ანუ მაჰმადის სახელის მიხედვით. მუჰამადის ქადაგებანი ჩაწერილია ცალკე წიგნში, რომელიც „ყ უ რ ა ნ ი ს“ სახელით არის ცნობილი (არაბულად ნიშნავს „ს ა კ ი თ ხ ა ვ ს“).

ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა არაბულ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს მეთაური შემდეგში იწოდება ხ ა ლ ი ფ ა დ, რაც ნიშნავს „მ ო ა დ გ ი ლ ე ს“ (იგულისხმება მუჰამადის „მოადგილე“). ამიტომ თვით სახელმწიფოს ხ ა ლ ი ფ ა ტ ს ანუ ს ა ხ ა ლ ი ფ ო ს ეძახიან. ხალიფები სარწმუნოების მეთაურებადაც ითვლებოდნენ.

§ 2. საქართველო VII საუკუნის პირველ ნახევარში

ჰერაკლეს ლაშქრობანი სპარსეთის წინააღმდეგ

მე-7 საუკუნის დამდეგს სპარსეთის ძველი სახელმწიფო განადგურების პირამდე მიიყვანა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ. ამ ომში ჰერაკლე კეისრის ყველაზე მძლავრი მოკავშირეები და თანამოლაშქრეები იყვნენ ქართლელები, ეგრისელები და აბაზგები. ქართველ მოკავშირეებს მაინც თავი დამოუკიდებლად ეჭირათ. ისინი თვითონ უკარნახებდნენ კეისარს ბრძოლის გეგმას და როცა ჰერაკლე ამ გეგმას არ ეთანხმებოდა, საერთოდ უარს ამბობდნენ ლაშქრობაზე.

ჰერაკლემ კავშირი გააბა ხაზარებთანაც, რომლებმაც დიდი ჯარი მისცეს ბიზანტიის მფლობელს.

თბილისის აღება ბიზანტიელების მიერ

ამ დროს ქართლის ერთი ნაწილი, უმთავრესად — საპიტიახშო, ჯერ კიდევ სპარსელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, თბილისშიც სპარსელების ჯარი იდგა. ბიზანტიელებმა და ხაზარებმა თბილისს ალყა შემოარტყეს, ბევრი ძალაც შეალიეს, მაგრამ ვერას გახდნენ. მეციხოვნე ქართველებმა და სპარსელებმა ჰერაკლე კეისარი და ხაზარების ხაკანი მასხრად აიგდეს: ციხის გალავანზე გაღმოდგებოდნენ თურმე და ბიზანტიელებს მისძახოდნენ — თქვენს მეფეს თხის წვერი ასხია და ვაცის კისერი აქვსო, ხაზარებს კი უჩვენებდნენ დიდ კვახს, რომელზედაც დაცინვით ადამიანის სახე იყო გამოსახული და უყვიროდნენ. აი თქვენი ჯიბღუ ხაკანიო. კეისარი და ხაზარები მძვინვარებდნენ ამ შეურაცხყოფის გამო, მაგრამ თბილისელებს მაინც ვერაფერი უყვეს და იძულებული შეიქნენ გასცლოდნენ ქართლის დედაქალაქს. მხოლოდ მეორე წელს, როცა კეისარმა სპარსელებს ირანში ახალი დამარცხება მიაყენა, ხაზარებმა კვლავ ალყა შემოარტყეს თბილისს და ორი თვის ბრძოლის შემდეგ ძლივს აიღეს იგი (627 წ.).

ხაზარებმა ქალაქი ააოხრეს, მცხოვრებნი შეუბრალებლად გაჟლიტეს და, უთვალავი სიმდიდრე იგდეს ხელთ. ძველი ალბანელი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ როცა ხაზარებმა აიღეს „ნებიერი, მოვაჭრე, სახელოვანი დიდი ქალაქი თბილისი“, მათ ხელი მიჰყვეს ქალაქის საგანძურების ძარცვასო. ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტით შემკული ნივთების ისეთი ზვინები დაუდგეს თავის ბატონს ხაზარმა მეომრებმა, რომ თვალს წყალი ელეოდა მათს ცქერაშია.

როგორც ვხედავთ, VII საუკუნის დამდეგს თბილისი მდიდარი და დიდი სავაჭრო ქალაქი ყოფილა.

საქართველოს ბიზანტიის გავლენის ქვეშ

ამ დროიდან მოყოლებული საკმაო ხნით (თითქმის ნახევარი საუკუნით) ამიერკავკასიაში დამყარდა ბიზანტიის გავლენა. ეს გავლენა სხვადასხვანაირი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში. ეგრისში ბიზანტიის მთავრობა თავს უფრო ლაღად გრძნობდა და სულ უფრო და უფრო ავიწროებდა ეგრისის მეფეს. VII საუკუნის დამლევს „ლაზიკის მეფე“ უკვე აღარ იხსენიება და ამ ქვეყნის მმართველი „პატრიკიოზის“ პატივს ატარებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეგრისის მმართველის უფლებები კიდევ უფრო შევიწროებულა, ქვეყანას დამოუკიდებლობა დაუკარგავს და ის ბიზანტიის პროვინციის მდგომარეობამდე მისულა.

ქართლში იმ დროს ერისმთავარი იჯდა. მისი უფლებები, როგორც აღვნიშნეთ, შეზღუდული იყო ქართლის აზნაურების მიერ. ბიზანტიელების წადილი კი ის იყო, რომ ერთგული და ძლიერი მოკავშირე მმართველი ჰყოლოდათ ამ შორეულ სასაზღვრო ქვეყანაში. ამიტომ ქართლის ერისმთავარი კეისარს განსაკუთრებულ პატივში ჰყავდა და მის გაძლიერებას ხელს უწყობდა. კეისარი ქართლის ერისმთავრისაგან მხოლოდ ერთგულებასა და სამხედრო სამსახურს მოითხოვდა, ხოლო მის შინაურ საქმეებში არ ერეოდა.

VII საუკუნეში გაძლიერდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტომების ერთიმეორესთან დაახლოება. მჭიდრო ურთიერთობას ეხლა ხელს აღარ უშლიდა არც პოლიტიკური და არც საეკლესიო სარწმუნოებრივი ზღუდეები. იმ დროს ქართულმა ენამ და მწერლობამ შემდგომი გავრცელება მოიპოვა დასავლეთ საქართველოში.

§ 3. არაბების შემოსევა საქართველოში

ხალიფები თავიდანვე ფართო დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას შეუდგნენ. უკვე მეორე ხალიფა ომარის დროს (634—644) არაბებმა დაიმორჩილეს სირია, პალესტინა, ირანის მეტი ნაწილი. ამის შემდეგ მათ გზა გაკაფული ჰქონდათ ამიერკავკასიისაკენაც. მართლაც, პირველი არაბული რაზმი სომხეთში უკვე 640 წელს გამოჩნდა, მაგრამ ეს უფრო მარბიელი ჯარის თარეში იყო, ვიდრე ქვეყნის დაპყრობა.

ქართლის და არაბეთის შეთანხმება

ქართლსაც არაბები პირველად 642-3 წელს მოსდგომიან. მაგრამ ქართლელებს ისინი დაუმარცხებიათ და თავისი საზღვრებიდან გაუდევნიათ. თანდათანობით არაბები მომაგრდნენ. 654 წლის დამდეგისათვის არაბებს უკვე მთელი სომხეთი ჰქონდათ დაპყრობილი. იმავე წელს არაბებმა აიღეს ქალ. თ ე ო დ ო ს ი ო პ ო ლ ი. ლეონანდელი ა რ ზ რ უ მ ი. ბიზანტიელების მთავარი სიმაგრე ამიერკავკასიაში. და ქართლისაკენ გამოემართნენ.

ქართლის პატრიკიოზს. ესე იგი ერისმთავარს, გადაუწყვეტია არაბებთან ბრძოლა აღარ ღირსო, მათთვის თავისი ელჩი შეუგებებია საჩუქრებით და ზავი და მშვიდობა უთხოვნია. არაბთა სარდალს მოსწონებია ქართლის ერისმთავრის საქციელი და მიუცია მისთვის ეგრეთ წოდებული „დაცვის სიგელი“, რომელშიაც არაბ-ქართველთა ურთიერთობა იყო განსაზღვრული.

.ამ სიგელის მთავარი მუხლები ასეთი იყო: 1) არაბები ქართლის მოსახლეობის სარწმუნოებას ხელს არ ახლებდნენ, ხოლო თუ ვინმე ნებაყოფლობით ისლამს მიიღებდა. ის არაბების ძმად ჩაითვლებოდა, ესე იგი ხარკს აღარ გადახდიდა; 2) ქართველები იხდიდნენ არაბების სასარგებლოდ ჯ ი ზ ი ა თ ს, პირად გადასახადს, თითო დ ი ნ ა რ ს ა ნ უ დ რ ა ჰ კ ა ნ ს (ოქროს ფული იყო, წონით ერთ მისხლამდე, რაც დაახლოებით ხუთ მანეთს უდრის ოქროთი) კომლზე; 3) ქართველებს არ უნდა შეეერთებინათ კომლები, გადასახადის შესამცირებლად, არაბებს კიდევ არ უნდა დაეყოთ კომლები, გადასახადის გასადიდებლად; 4) ქართველებს ევალებოდათ არაბთა ჯარისა და. საერთოდ. მაჰმადიანებისაგან დახმარების გაწევა: 5) სამაგიეროდ, არაბები უშიშროებას ჰპირდებოდნენ ქართლის მოსახლეობას.

ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

მაგრამ იმხანად ქართლში არაბებმა სულ ორიოდე წელიწადი თუ გასძლეს. ხალიფატში დიდი შინაური შფოთი იყო ატეხილი (657—661 წწ.) და არაბებს ამიერკავკასიისათვის არ ეცალათ.

შემდეგაც ქართლში მდგომარეობა ცვალებადი იყო. არაბები მხოლოდ მოკლე ხნით თუ გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ხანდახან ბიზანტიაც თავს წამოყოფდა და თავის წილს მოითხოვდა. 686 წელს კეისარსა და ხალიფას ზავი შეუკრავთ, კვიპროსის კუნძულის, სომხეთისა და ქართლის ქვეყნებიდან შემოსული ხარკი შუაზე გავიყოთო. მაგრამ ეს ჯერ მოუკლავი დათვის გატყავებას ჰგავდა. ამიერკავკასიის ხალხები ერთნაირი შეუპოვრობით იბრძოდნენ თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად როგორც არაბების, ისე ბიზანტიელების წინააღმდეგ.

.ბევრ ხანებში ქართლის ერისმთავარს ნ ე რ ს ე ს სასტიკად დაუმარცხებია სომხეთში მდგარი არაბთა სარდალი, მისი ჯარი გაუფანტავს და გაუქცევია. მეორე მხრივ, ჩვენი ხალხები არც ბიზანტიელებს უხრიდნენ ქედს: 686 წელსვე კეისარს სომხეთ-ქართლ-ალბანიის დასამორჩილებლად ლაშქარი გამოუგზავნია, მაგრამ. ჩანს. ბევრს ვერაფერს გამხდარა.

მესამე მტერი, ხაზარების სახით, ჩრდილოეთიდან იყო მომდგარი. შფოთსა. თარეშებსა და ძარცვა-გლეჯაში ხაზარებსაც თავისი წილი ედოთ. 689 წელს ხაზარებს დაურბევიათ სომხეთი და ქართლისა და ალბანეთის მთავრები დაუხოცავთ.

არაბთა გაძლიერება. მათი გადასვლა ეგრისში

სამი მხრივ ხმლის ქნევამ ხალხი, ცხადია, დაასუსტა, და ამით ყველაზე მეტად არაბებმა ისარგებლეს. VII საუკუნის მიწურულში არაბებს ქართლში ფეხი შედგარებით უფრო მკვიდრად ედგათ.

იმავე დროს დასავლეთ საქართველოშიაც ძველი ამბავი გამეორდა: ერთი, უფრო საშიში და თავს წამომდგარი, მტრის წინააღმდეგ მეორე, ნაკლებ საშიში და უფრო შორეული, მტრის გამოყენება სცადეს. 697 წელს ეგრისის პატრიკიოზი სერგი ბიზანტიელების წინააღმდეგ აჯანყებულა და თავისი ქვეყანა არაბებისათვის გადაუცია. VIII საუკუნის დამდეგსაც არაბების მეცადინეობა ჯარი მდგარა ეგრისის დედაქალაქ ციხე-გოჯში და კოდორის ხეობის ზოგიერთ ციხე-სიმაგრეშიაც. გაგულისებული კეისარი-კი ცდილობდა მოექრთამა ალანები, რათა ისინი შესეოდნენ აფხაზეთს, ეგრისსა და ქართლს და ბიზანტიისადმი ურჩობის გამო ეს ქვეყნები აეოხრებინათ.

ქართველებს არც ბიზანტიელები ეხატნენ გულზე და არც არაბები. საჭიროებისამებრ და ხელსაყრელ პირობებში ხალხი პირველთაც ებრძოდა და მეორეთაც.

ბრძოლა არაბების წინააღმდეგ ქართლში

VIII საუკუნის დამდეგიდან გაძლიერდა ბრძოლა არაბების წინააღმდეგ, რადგან არაბები სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ დაპყრობილ ქვეყნებს. ამიტომ იყო, რომ ქართლში აჯანყება აჯანყებას მოსდევდა და არაბები იძულებული იყვნენ ქართველთა ურჩობის გასატეხად სულ ახალ-ახალი ჯარები ეგზავნათ აქეთკენ.

VIII საუკუნის ოციან წლებში არაბებმა რამდენჯერმე დალაშქრეს ქართლი, ქვეყანა ააოხრეს და ხალხი ააწიოკეს, მაგრამ გულისწადილს მაინც ვერ ეწივნენ. ქართლი განაგრძობდა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას და არაბები აქ ფეხს ვერ იკიდებდნენ. არაბების რისხვას საზღვარი აღარ ჰქონდა. და ქართველ ხალხს მათ სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტეს.

მართლაც, იშვიათად დასტყდომია საქართველოს თავზე ისეთი უბედურება, როგორიც 736-8 წლებში აქ არაბთა სარდალმა მ ურ ვ ა ნ მ ა დაატრიალა. მურვანი ისედაც სასტიკი და გულქვა ადამიანი იყო, რის გამოც მას ქართველებმა „ყრუ“ შეარქვეს, ეხლა კი მას ქართველების სამაგალითოდ დასჯა სურდა. იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსი ასე აგვიწერს ამ შემოსევას: მურვანმა მთელი კავკასია დიპყრო, დარუბანდიდან აფხაზეთამდე, მაგრამ ეს არ იკმარა, არამედ უმრავლესობა ქალაქები და ციხეები დაანგრია, მათ შორის ეგრისის სამ-გალავნიანი დედაქალაქი ციხე-გოჯი, აფხაზეთის დედაქალაქი ცხუმი (სოხუმი) და სხვებიო. განსაკუთრებით მაინც აღმოსავლეთი ამიერკავკასია აოხრებულა — ქართლი, სომხეთი და ალბანეთი; აქ არც ნაშენები რამე დარჩა და არც კაცისა და პირუტყვის საჭმელიო. ქართლში მურვანმა დაანგრია ძველი დედაქალაქის შიდაციხე — არმაზი.

დასავლეთ საქართველოში არაბები მაინც ვერ გამაგრდნენ, ქართლი-კი მურვანის შემოსევამ კარგა ხნით გასტეხა წელში.

§ 4. არაბთა ბატონობა ქართლში

მმართველობა და ხარკი

არაბებმა ქვეყნის სათავეში დააყენეს თავისი მოხელე, რომელიც ამირას წოდებულებას ატარებდა. ქართლის ამირა თბილისში იჯდა. ის სარდალიც იყო, ქვეყნის მმართველიცა და უზენაესი მსაჯულიც. არაბთა მთავარი რაზმი თბილისში იდგა, დანარჩენები — სხვა მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებში.

ქართლში არაბებს ერისმთავრობა არ მოუსპიათ, ოღონდ ერისმთავარი ამირას დაუმორჩილეს. ერისმთავარი ვალდებული იყო მოეკრიფა საარაბო ხარკი და ჯარი გამოეყვანა, როცა არაბები ამას მოითხოვდნენ.

არაბებს მხოლოდ ხარკი და სამხედრო სამსახური აინტერესებდათ.

VIII საუკუნეში ქართლის მოსახლეობა არაბებს უხდიდა არა მარტო ხიზიათს, ე. ი. პირად გადასახადს, არამედ ხარაჯასაც. ხარაჯა იყო საადგილმამულო გადასახადი, რომელიც შეეფარდებოდა მხოლოდ მამულის სიდიდეს და არა მის ავკარგიანობას, ნაყოფიერებას. ორივე გადასახადს ფულად ახდევინებდნენ.

არაბთა ბატონობის დამძიმება

თანდათან არაბული ხარკი სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა. ეს იმიტომ, რომ ხალიფების სამფლობელო მეტისმეტად გაიზარდა და მის მართვა-გამგეობას დიდი შემოსავალი სჭიროდა. ეხლა დაპყრობითს ომებს ეს შემოსავალი უკვე აღარ მოჰქონდა, რადგანაც რისი დაპყრობაც შეეძლოთ. არაბებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ. ხალიფების დაცარიელებული ხაზინა მათსავე ქვეშევრდომებს უნდა შეევსოთ.

განსაკუთრებით მძიმე შეიქნა არაბთა ბატონობა დაპყრობილ ქვეყნებში ხალიფების ახალი დინასტიის, აბასიანთა დროს, რომელმაც ხელისუფლება მიიღო 749 წელს.

VIII საუკუნის დამლევს ქართველი მწერალი იოანე საბანისძე შემდეგს წერს ქართლში არაბთა წესწყობილების შესახებ: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირძვირად ზღვეულნი“-ო, ესე იგი ჩვენ, ქართველები, არაბთა მძლავრობის ქვეშ მოქცეულნი. სიღარიბითა და შეუძლებითი ისე ვართ შეკრულნი, როგორც რკინით, რადგანაც საარაბო ხარკისაგან დატანჯული და დარბეული ვართო.

ბრძოლის განახლება არაბების წინააღმდეგ

ამიტომ გასაგებია, რომ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ხალხის გულისწყრომა და სიძულვილი უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბრძოლა ხანგრძლივი და მსხვერპლით სავსე იყო, თუმცა ქართველებს ზოგი გარემოება ხელს უწყობდა.

არაბებმა ვერ მოახერხეს საქართველოს მთლიანად დაპყრობა, მიუხედავად ძრავალგვარი ცდისა. ფეოდალურად აღმავალი საქართველო მედგარ წინააღმდეგობას უწევდა არაბებს. ბარბაროსმა დამპყრობელმა ქართულ საზოგადოებაში რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი დასაყრდენი ვერ გაიჩინა და მას თავისი ბატონობის განხორციელება შიშველი ძალით-ღა უხდებოდა. ამით იყო

გამოწვეული ის სისასტიკე, რომლითაც არაბები ქართლის ფეოდალური საზოგადოების გატეხას და მის დამორჩილებას ცდილობდნენ.

არაბები ყოველ ღონეს მიმართავდნენ. მათ სცადეს ქართლში კლასობრივი წინააღმდეგობის თავის სასარგებლოდ გამოყენება. ურჩ აზნაურ-წარჩინებულთა სასტიკი დევნით, ხოლო მწარმოებელი საზოგადოებისათვის შეღავათების აღთქმით დამპყრობელი ცდილობდა დასაყრდენი გაეჩინა ხალხის ფართო მასებში. მაგრამ ამაოდ. ქართლის აღმავალი ფეოდალური საზოგადოება ჯანსაღი და მტკიცე აღმოჩნდა. მან საკუთარი მაღალი საზოგადოებრივი ურთიერთობა („ქართველობა") უფრო დაბალ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე („არაბობაზე") არ გაცვალა.

არაბთა შიშველი ძალა მხოლოდ ქართლის შიდა ოლქში მაგრობდა; რაც შეეხება განაპირა ოლქებს, აქ არაბები დრო და დრო მარბიელებად მოდიოდნენ, მაგრამ საკადრის პასუხსაც იღებდნენ ხოლმე. ასე რომ კახეთ-თიანეთში, დასავლეთსა და სამხრეთ საქართველოში არაბები ხანგრძლივ ვერ ბოგინობდნენ და ამ განაპირა ოლქებში სწრაფად თავს იყრიდა ძალა, რომელიც დღეს თუ ხვალ მხნედ წამოიწყებდა ბარბაროს დამპყრობელთაგან ქვეყნის განთავისუფლების საქმეს.

სიცოცხლეს უმწარებდნენ არაბებს ხაზარებიც, რომლებიც ხშირად კავკასიონის სამხრეთითაც ახერხებდნენ შემოჭრას და აოხრებდნენ არაბთა სამფლობელოს. 764 წელს ხაზარებს მცირე ხნით თბილისიც კი დაუჭერიათ. ძველი ქართველი ისტორიკოსი გვიამბობს: ქართლის ერისმთავარს ჯუანშერს ჰყავდა და, შუშანი, სილამაზით განთქმული. ხაზართა ხაკანმა სთხოვა ჯუანშერს, შენი და ცოლად მომეც და არაბების წინააღმდეგ გიშველიო. შუშანი და მისი დედა ცივ უარზე იდგნენ, წარმართის ცოლობა როგორ იქნებაო. გაგულისებულმა ხაკანმა დაალაშქრინა ქართლი და შუშანი და ჯუანშერი ტყვედ წააყვანინა, მაგრამ გულის წადილს მაინც ვერ ეწია: შუშანს ბეჭდის თვლის ქვეშ საწამლავი ჰქონდა, მოსწოვა ის და თავი მოიკლაო. დიდი მეფის არასასურველ ცოლობას ქართველმა ქალმა სიკვდილი არჩია.

არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ხალხის წარმატებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ, რაც დრო გადიოდა, არაბთა სახელმწიფოს სიმტკიცე მით უფრო სუსტდებოდა. არაბთა სახელმწიფო საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ხალხთა ნაძალადევად გაერთიანებას წარმოადგენდა. ასეთი გაერთიანების ეკონომიური საფუძველი იმ დროს არ არსებობდა და ამდენადვე ეს ორგანიზაცია უნიადაგო იყო და მასში მოყოლილ ხალხთა განვითარებას აფერხებდა. ამიტომაც არაბთა სახელმწიფოს დაშლა გარდაუვალი იყო. ამას გულისხმობდა მასში შემავალი ქვეყნების წინსვლა.

და მართლაც, IX საუკუნის დამდეგიდანვე დაიწყო არაბთა სახელმწიფოს დაშლისაკენ მიმართული მოძრაობა, რომელიც, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ღრმავდებოდა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი გამოხატულება იყო პროვინციელი არაბი მოხელეების — ამირების ურჩობა ხალიფების მიმართ. ბრძოლა ხალიფასა და ამირებს შორის ხელს უწყობდა არაბების შინაგან დასუსტებას, რითაც დაპყრობილი ხალხები კარგად სარგებლობდნენ.

არაბების წინააღმდეგ დიდი აჯანყების ცეცხლი უფრო ადრე სომხეთში

დაინთო, იმიტომ რომ სომხეთში ხალხი კიდევ უფრო გაწამებული იყო. ქართველები ეხმარებოდნენ სომხებს. დამარცხებული სომეხი მთავრები ქართლსა და ეგრისში პოულობდნენ თავშესაფარს. ეს გარემოებაც აღიზიანებდა არაბებს, რომელნიც ლტოლვილების გაცემას მოითხოვდნენ და მათს მასპინძლებს სასტიკად სჯიდნენ ხოლმე.

იქნებ სწორედ ასეთი მიზეზით დაისაჯა ქართლის ერისმთავარი ნ ე რ ს ე, რომელიც 772-3 წელს ხალიფას თავის სატახტო ქალაქში, ბ ა ღ დ ა დ შ ი, დაუბარებია და „ბოროტ კაცთა შესმენით“ საპყრობილეში ჩაუსვამს. ნერსე სამ წელიწადს მჯდარა ბაღდადის საპატიმროში. შემდეგ იგი ისევ ერისმთავრად დაბრუნებულა ქართლში, მაგრამ, ჩანს, არაბებთან შეგუება მისთვის ძნელი ყოფილა. ნერსე იძულებული გამხდარა თავისი ოჯახი და ქონება აფხაზეთში გაეგზავნა და თვითონ კი დიდი ამალით გადასულიყო ჯერ ხაზარეთში და შემდეგ აგრეთვე აფხაზეთში. ეს ამბები VIII საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს მომხდარა.

იმ დროიდან მოყოლებული ქართლი, სომხეთი და ალბანია უკვე გამუდმებით აჯანყების ალსა და კვამლში იყო გახვეული. ამბოხებული იყო მთელი ხალხი. ხალიფები ჯარს ჯარზე ჰგზავნიდნენ ერთიმეორეზე უფრო სასტიკი ამირების მეთაურობით და შეუბრალებლად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, მაგრამ მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

საბანისძის ქადაგება

ამ დიდ სახალხო მოძრაობას ქართლში თავისი მქადაგებლები და იდეოლოგები ჰყავდა. მათ შორის პირველი იყო VIII საუკუნის მწერალი იოანე საბანისძე. საბანისძემ ასწერა ერთი ჭაბუკი არაბის, ა ბ ო ს, ცხოვრება. აბო ქართლის ერისმთავრის ნერსეს მსახური იყო. მან ისლამს თავი დაანება და ქრისტიანობა მიიღო. 786 წლის 6 იანვარს ქართლის ამირამ აბო სიკვდილით დასაჯა, რადგან აბომ უარი სთქვა ისევ ისლამს დაბრუნებოდა, რასაც მისგან არაბები მოითხოვდნენ.

საბანისძემ გამოიყენა აბოს წამების ამბავი, რათა თავის თანამემამულეებში ეროვნული სიამაყის შეგნება გაეღვიძებინა: აი, როგორია ჩვენი რჯული, ჩვენი წესი და ქვეყანა, რომ გაბატონებული ხალხის შვილი ჩვენკენ გადმოდის და თავსაც-კი სდებს ახალი სამშობლოსათვისო.

საბანისძე მიზნად ისახავდა გაემხნევებინა მერყევნი და სუსტნი, რომელნიც „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“, არაბების ძალმომრეობის გამო. საბანისძეს სურდა კვლავ მშობლიურ კერას დაბრუნებოდნენ ისინი, ვინც არაბებმა უკვე „შეაცთუნეს და გარდადრიკნეს ჭეშმარიტებისაგან სიმართლისა“ დაშინებით, ვერაგობით, მოსყიდვით, „რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე წზაკვარებით“-ო. ლამის ჩვენი საკუთარი სახე დაგვეკარგოს და უცხო ხალხში გავითქვიფოთო, მრისხანე გულისწუხილით მოსთქვამდა საბანისძე: „აღვერიენით ერსა უცხოსა“-ო.

იოანე საბანისძისა და მისი მსგავსი მქადაგებლების მოწოდება ამტკიცებდა სახალხო თვითშეგნებას, აკაკებდა მებრძოლთა სულისკვეთებას ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ერისმთავრობის მოსპობა ქართლში

განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა დამპყრობლებსა და დაპყრობილებს შორის VIII საუკუნის მიწურულსა და IX საუკუნის დამდეგს. ყველაზე დაუნდობელი იყო ეს ბრძოლა ქართლის შუაგულ თემებში და, საერთოდ, ბარის ცენტრალურ რაიონებში. IX საუკუნის დამდეგისათვის არაბებმა მოსპეს ქართლის ერისმთავრობა და თითქმის მთლიანად გაჟლიტეს ძველი ქართველი არისტოკრატია, სეფეწულები და დიდ-დიდი აზნაურები. ამ თემებში, განსაკუთრებით მტკვრის გაყოლება, საერთოდ მოსახლეობა ძალიან დაზარალდა. მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა განაპირა თემებში, სადაც ქართველები, — როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ისე სხვა კუთხეებიდან შემოხიზნულნი, — ჩვეულებრივ მწარედ ამარცხებდნენ ხოლმე უცხოელ მოძალადეებს.

ქართლის ფეოდალური სახელმწიფო VIII საუკუნის შუა წლებში

ორასი წლის მანძილზე ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, აზნაურ-წარჩინებულთა სოციალური დაწინაურება, მიუხედავად არახელსაყრელი საგარეო პირობებისა, სწრაფად მიმდინარეობდა. ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა პროცესი აზნაურების მიერ მწარმოებელ საზოგადოების დამორჩილებისა. მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში და მის შედეგად იქმნებოდა „სამთავროები“, რომელნიც თანდათან, იმავე კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, ფეოდალურ პოლიტიკურ ორგანიზაციებად ყალიბდებოდნენ.

მცირე „მთავარი“ თავისი სასახლით, ციხით და მიტაცებულ-მითვისებული მიწებითა თუ დაბა-სოფლებითურთ უფრო ძლიერი მფლობელის „დიდი მთავრის“ „მფარველობაში“ შედიოდა. ეს მცირე მთავრები ამიერიდან „დიდ მთავარს“ „ახლდნენ“, მის ამალას შეადგენდნენ. იქმნებოდა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ წარმატებით გამკლავებოდა როგორც საკუთარ გლეხობას კლასობრივ ბრძოლაში, ისე მეზობელი მთავრის მტაცებლურ ზრახვებს.

ბუნებრივი იყო, რომ ამ ახალ პირობებში ქართლის ერისთავები, რომელთაც უკვე ორი საუკუნის განმავლობაში ჰქონდათ სამემკვიდრეო სამმართველოდ დაჩემებული საერისთაო ქვეყნები, თანდათან ამ საერისთაო ქვეყნების „მთავრებად“ იქცნენ. VIII საუკუნის შუა ხანებში ამ მხრივ საქმე იქამდე იყო მისული, რომ ქართლის ერისმთავარს სხვა აღარა დარჩენოდა-რა და მანაც აღიარა ერისთავთა „ხელმწიფობა“ საერისთაოებში და ქართლის პოლიტიკური ორგანიზაციაც ამის კვალობაზე მოაწყო.

ასეთ რეფორმას ძველი ქართული წყაროა მიაწერს ა რ ჩ ი ლ ს, რომელიც VIII საუკუნის 40—50-იან წლებში მართავდა ქვეყანას და თითქო მეფის სახელსაც კი ატარებდა.

ქვეყნის ნახევარი არჩილმა სამეფო საკუთრებად დაიტოვა, ხოლო მეორე ნახევარი ერისთავებს გადასცა, მაგრამ არა პირობით და დროებით, არამედ მკვიდრად და სამამულოდ. ამის შემდეგ ერისთავი თავის საერისთაო ქვეყანაში ხელმწიფე იყო და მისი მორჩილება ქართლის მმართველისადმი სუსტი მთავრის მორჩილებას ძლიერი მთავრისადმი (ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ, „შვილის“

მორჩილებას „მამაუფლისადმი“) უფრო ჰგავდა, ვიდრე მოხელის მორჩილებას თავისი ხელმწიფისადმი.

თითოეულ ერისთავს, ბუნებრივია, მრავლად ახლდნენ მცირე მთავრები, რომელნიც მას იმავე სამამულო ურთიერთობის საფუძველზე მორჩილებდნენ, როგორც უმცროსები („შვილები“) უფროსს („მამაუფალს“).

ასე და ამრიგად მთელი ქართლი უკვე აურაცხელი სამთავროების კრებულს წარმოადგენდა და თვით ქართლის ერისმთავარიც ერთ-ერთი ასეთი „მამა-უფალი“ იყო, თუმცა პირველი და უძლიერესი სხვა „მამაუფალთა“ შორის.

ამ ახალი ვითარების შესაბამისი იყო ლაშქრის ორგანიზაციაც. თითოეულ მთავარს, თითოეულ ერისთავს თავისი „ერი“, თავისი ლაშქარი ჰყავდა. მთავ-რები თუ ერისთავები საჭიროებისამებრ მოვალენი იყვნენ თავიანთი რაზმებით მეფეს მისვლოდნენ. ლაშქრის მეორე ნახევარი საკუთრივ სამეფო ქვეყნიდან გამოდიოდა. მაგრამ ესენი არ იყვნენ ძველი მეფის „ტაძრეულები“. არჩილმაო, მოგვითხრობს ძველი ქართველი ისტორიკოსი, „ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყუნა იგინი“. ასე რომ ტაძრეულთა სამხედრო სამ-სახურიც უკვე სამამულო ურთიერთობის საფუძველზე ეწყობოდა: გაჩნდნენ „ტაძრეული აზნაურები“, „მოსაკარგავე“ აზნაურები, რომელნიც სამხედრო სამ-სახურის პირობით ფლობდნენ „საკარგავებს“, ე. ი. მიწა-ადგილს, დაბა-სოფ-ლებს.

ასე გაქრა უკანასკნელი ნაშთი მონათმფლობელური სამეფოს ორგანიზა-ციისა და ქვეყანა საბოლოოდ მოეწყო ფეოდალური ურთიერთობის საფუძ-ველზე.

თ ა ვ ი VIII

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის

§ 1. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა საქართველოში

VIII საუკუნის მიწურულსა და IX საუკუნის დასაწყისში, როცა არაბებმა ქართლში ერისმთავრობა მოსპეს, საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარება მაღალ დონეზე იყო ასული. ერისმთავრობის ხანის ამ ორასი წლის მანძილზე ქვეყანას უკვე გადაელახა ადრეფეოდალური ურთიერთობის პირველი („პოლიტიკური დაშლილობის") საფეხური. დაწყებულიყო ახალი ხანა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების შემდგომი საფეხურის შესაფერის პოლიტიკურ ფორმას გულისხმობდა. ამის მაჩვენებელი იყო, რომ VIII საუკუნის მიწურულს ერთიმეორის მიყოლებით წარმოიქმნენ დიდრონი სამთავროები (კახეთისა, ჰერეთისა, აფხაზეთისა, ტაო-კლარჯეთისა), რომელნიც მზად იყვნენ დაეწყოთ ბრძოლა „ქართლსა ზედა", ე. ი. ბრძოლა უფრო მაღალი გაერთიანებისათვის. მათი ამ საქმეში წარმატება, რა თქმა უნდა, ქვეყნის შემდგომ წინსვლაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ არაბთა მიერ ერისმთავრობის გაუქმება არ წარმოადგენდა ისეთ ღონისძიებას, რომელსაც ქვეყნისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენება შეეძლო.

კახეთი

ქართლის განაპირა თემებში ყველაზე ადრე კახეთი გაძლიერდა. აქ, ივრისა და ალაზნის ნოყიერ ხეობებში, განსაკუთრებით ამ ხეობების ზემოთა ნაწილში, ხალხი თავს უფრო გულმშვიდად გრძნობდა, თავისუფლად ცხოვრობდა და შრომობდა. VIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის კახეთში ხალხი ძალიან მომრავლებული და შეძლებულიც იყო. კახელები მისდევდნენ მიწათმოქმედებას, კერძოდ მევენახეობას, და მესაქონლეობას, ფართოდ. ისინი საუცხოო ცხენსა და ცხვარს აშენებდნენ და მრავალრიცხოვანი ფარა-ჯოგების პატრონნი იყვნენ. ხარბ დამპყრობლებს კახელების სიმდიდრე ძალიან იზიდავდა ხოლმე, მაგრამ საკმარისი იყო კახეთის ხეობებში არაბები გამოჩენილიყვნენ, რომ უშიშარი და ამაყი მთიელები მათ თავს დასხმოდნენ და მუსრი გაევლოთ.

VIII საუკუნის შუა ხანებიდან მოკიდებული კახეთი უკვე აინუნშიაც აღარ აგდებდა არაბებს. არაბული ცნობებით, იმ დროს კახელები ყველაზე საშიში მტერი ყოფილან არაბებისათვის ამიერკავკასიაში. მართლაც, სისხლისმღვრელ ბრძოლაში, არაბებსა და კახელებს შორის რომ ხშირად ხდებოდა, გამარჯვება

ჩვეულებრივ კახელებს რჩებოდათ ხოლმე. VIII საუკუნის დამლევისათვის კახელებმა უკვე თავიანთი მთავარიც გაიჩინეს და საკუთარი მართვა-გამგეობა მოაწყეს.

ჰერეთი

კახეთს აღმოსავლეთით ძველიდანვე ალბანეთი ესაზღვრებოდა. ალბანეთი შედგებოდა ქართველთა მონათესავე მრავალი ტომისაგან, რომელთაგან ერთი — ჰერთა ტომი ქართველთა უშუალო მეზობლად ცხოვრობდა და ამ უკანასკნელთა ძლიერ გავლენასაც ვანიცდიდა. ჰერების შერწყმა ქართლ-კახელებთან ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს უნდა დაწყებულიყო. IV—VI საუკუნეებისათვის ეს პროცესი ძირითადად უკვე დასასრულს იყო მიახლოებული. ვახტანგ გორგასლის დროს ჰერეთი ქართლის სამეფოში შემავალი ქვეყანა იყო.

როცა VI საუკუნეში სპარსელებმა ქართლში მეფობა მოსპეს, მათ სცადეს ჰერეთის ჩამოცილება ქართლისაგან და მისი საკუთრად მიტაცება, მაგრამ ამაოდ. აჯანყებულმა ჰერებმა მოკლეს შაჰის სპარსელი მოხელე, ვეყან ხორნაბუჯის ერისთავი, და ერისმთავრობის მთელი ხნის განმავლობაში ჰერეთი პოლიტიკურად ისევ ქართლში შემოდიოდა.

არაბთა ბატონობის დროს სხვა ქართული სამთავროების გვერდით ჰერეთის სამთავროც წარმოიქმნა.

ჰერეთის მთავარს ქიშპი და მტრობა ჰქონდა კახეთის ძლიერ მთავართან, რომელიც მდიდარი ჰერეთის დაპყრობას მუდამ ცდილობდა. ბუნებრივი იყო, თუ არაბები თავის მხრივ ხელს შეუწყობდნენ ჰერეთის მთავრებს და კახეთის სამტროდ მათ გამოყენებას ეცდებოდნენ.

აფხაზეთი

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოშიაც.

არაბმა დამპყრობლებმა დასავლეთ საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, ფეხი მტკიცედ ვერ მოიკიდეს. ქვეყანა ხანგრძლივი მშვიდობიანობით სარგებლობდა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გზით სწრაფად მიდიოდა წინ. VIII საუკუნის მიწურულს ეგრის-აფხაზეთი მჭიდროდ დასახლებული ღონიერი ქვეყანა იყო.

როგორც ეგრისი, ისე აფხაზეთი ბიზანტიის კეისრის ხელქვეშ ითვლებოდა. ბიზანტიელები, როგორც ვიცით, ძველიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეგრისში ბატონობას და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მის შესანარჩუნებლად. ძლიერ მეფეს ვრცელსა და მდიდარ ეგრისში კეისარი სახიფათოდ სთვლიდა და სულ მუდამ მის დასუსტებას ცდილობდა. ამ მიზანს ემსახურებოდა აფხაზთა სამთავროს გამოყოფა ეგრისის სამეფოდან და კეისრისათვის მისი უშუალოდ დამორჩილება.

ეგრისის მეფის უფლების დასუსტებას ხელს უწყობდა, უეჭველია, ქვეყნის შიგნით ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავება, „ხელმწიფე"-„მთავრების" წარმოშობა. ამათზე დაყრდნობით შეძლეს ბიზანტიელებმა ეგრისის მეფის უფლებების შეკვეცა და, ბოლოს, მისი ერისმთავრად გადაქცევა.

მაგრამ რაც დრო გადიოდა და ეგრის-აფხაზეთი სოციალ-ეკონომიურად წინაურდებოდა, დაშლილობის ნაცვლად ქვეყანაში გაერთიანებისადმი მიდრეკილება ძლიერდებოდა. ამავე დროს ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა კულ-

ტურული და პოლიტიკური კავშირი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მოძმე ხალხთა შორის. ისახებოდა რეალური პირობები ერთიანი ფეოდალური საქართველოს წარმოქმნისათვის. ერთი ძველი ქართული წყაროს ცნობით, VIII საუკუნის შუა წლებში ქართლის მეფის არჩილის საბრძანებელში ეგრისიც შედიოდა და ქუთაისი მის სამკვიდრო ქალაქად იყო გამოცხადებული, ხოლო აფხაზეთის ერისთავი ლეონ პირველი ქართლის მეფის სიძე და ყმადნაფიცი იყო.

რაც უფრო წინ მიდიოდა საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება დასავლეთ საქართველოში, რაც უფრო ძლიერდებოდა პოლიტიკური და კულტურული კავშირი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მოძმე ტომთა შორის, მით უფრო ძნელად ასატანი ჩანდა ბიზანტიელთა არამკითხე ბატონობა.

VIII საუკუნის მიწურულს უცხოელთა ბატონობის ლიკვიდატორისა და ქვეყნის პოლიტიკურად გამაერთიანებლის როლში გამოვიდა აფხაზეთის ერისთავი ლეონ მეორე. იმ დროს ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი და არევ-დარევა იყო. ამით ისარგებლა ლეონ ერისთავმა, მოირთო ძალა ხაზართა მეფისაგან, რომლის ასულის შვილიც იგი იყო, უკუაგდო ბიზანტიელები, გააერთიანა ეგრის-აფხაზეთი და არგვეთი, თავი მეფედ გამოაცხადა და სამეფო ტახტი ქუთაისში გადმოიტანა.

ეს არ იყო არც ძველი ეგრისის სამეფოს აღდგენა და არც აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნა, თუმცა გამეფებული დინასტიის მიხედვით მას „აფხაზთა სამეფო“ ეწოდებოდა. იმ დროისათვის იმ მხარეში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოძმე ტომების ეთნიკურ-კულტურული შერწყმა-შეკავშირება ისე შორს იყო წასული (ამ „აფხაზთა სამეფოში“ ამ დროს უკვე ქართული იყო არგვეთი ქუთაისით, რაჭა, გურია, ფერსათის მხარე) და ქართულ ენას ისეთი პოზიციები ეჭირა კულტურის დარგში, რომ ეს ახალი სამეფო მხოლოდ ქართული შეიძლებოდა ყოფილიყო. და მართლაც, ლეონ მეფისა და მისი მემკვიდრეების პოლიტიკა ზოგადქართული იყო. ეს „აფხაზთა მეფეები“ ხელს უწყობდნენ თავის სამეფოში ბერძნული ენის ნაცვლად ქართული ენის გაბატონებას სახელმწიფო მმართველობისა თუ საეკლესიო სფეროში. იმავე დროს აფხაზთ მეფეები საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ენერგიული მოღვაწენი იყვნენ.

ტაო-კლარჯეთი

ახალი ქართული ფეოდალური სამთავრო ყველაზე გვიან სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბდა. მისი დამაარსებელი აშოტ ბაგრატიონი იყო.

ბაგრატიონების განთქმული საგვარეულო წარმოშობით ძველისძველი ქართული თემიდან — **სპერიდან** (ეხლანდელი ისპირი) იყო. თავისი წინდახედული, მოქნილი მოქმედებით ბაგრატიონებმა დიდი გავლენა მოიპოვეს VI—VIII საუკუნეებში. ერთი მათი შტო სომხეთში დაწინაურდა, მეორე — ქართლში, ორივეგან ბაგრატიონებმა მთავრობასა და მეფობას მიაღწიეს, ხოლო საქართველოში სამეფო ხელისუფლება XIX საუკუნის დამდეგამდე შეინარჩუნეს.

აშოტ ბაგრატიონის მამა ადარნასე არჩილ მეფის ერისთავი იყო. VIII საუკუნის 60-იან წლებში არაბთა მძლავრობის გამო ადარნასე ბაგრატიონი წაუ-

ვიდა მათ, შეეფარა თავის სამშობლო სამხრეთ საქართველოს, რომელიც ამ დროს ბიზანტიის სამფლობელოში შედიოდა. ეს ქვეყანა, ტაო-კლარჯეთი, სასაზღვრო ზოლს წარმოადგენდა არაბთა საბატონოსა და ბიზანტიას შორის და ამის გამო მძიმედ იყო დაზიანებული არაბებთან ომში. საბოლოოდ ტაო-კლარჯეთი ბიზანტიას დარჩა და ახლა მისი კვლავ მოშენება იწყებოდა. კერძოდ, ძალიან ეტანებოდა იმ მხარეს ქართლის შიდა ნაწილებიდან აყრილი, არაბთა მძლავრობით სულშეხუთული მწარმოებელი მოსახლეობა.

ადარნასეს მემკვიდრე აშოტმა ტაო-კლარჯეთში ცხოველი მოღვაწეობა წამოიწყო. ზოგი სოფელი იყიდა, ზოგი ახლად ააშენა, ზოგს კი სხვა გზით დაეუფლა და, ამრიგად, დიდი საბატონო ერთეული შექმნა. თავის საჯდომად აშოტმა განსაკუთრებით მარჯვე ადგილი შეარჩია. ეს იყო **არტანუჯი**, სადაც ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს აეშენებინა ციხე, რომელიც შემდეგ მურვან ყრუს აეოხრებინა, ისე რომ აშოტის დროს მისი ნანგრევი-ღა ჩანდა. აშოტმა განაახლა არტანუჯის ციხე და იქვე ქალაქის შენება წამოიწყო. დიდ სავაჭრო გზასაყარზე მდებარე არტანუჯი მალე დაწინაურდა და სამხრეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ქალაქი შეიქნა.

აშოტი ბიზანტიელთა მომხრეობით ცნობილი სახლის შვილი იყო. კეისარმა ყურადღება მიაქცია მხნე ბაგრატიონს და ტაო-კლარჯეთში მის გაბატონებას ხელი შეუწყო. ბოლოს, კეისარმა აშოტს უმაღლესი საკარისკაცო პატივი, კუროპალატობა, მიანიჭა. ბუნებრივია, რომ ენერგიული აშოტი ასეთ განდიდებას არა მარტო არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენებდა, არამედ, არანაკლებ, ქვეყნის შიგნით, ტაო-კლარჯეთში გასაძლიერებლად.

მესხეთში ქართველ ტომთა შერწყმის პროცესი კიდევ უფრო შორს იყო წასული, ვიდრე სხვაგან და შავშ-კლარჯ-ჯავახ-სამცხელნი დიდი ხანია თავნკარი ქართველები იყვნენ ენით, კულტურით, რელიგიით.

ამიტომ, ისევე როგორც „აფხაზთა მეფე“ ან კახეთის მთავარი, ტაო-კლარჯეთის მფლობელი ბაგრატიონებიც არაბების ქართლიდან დევნას და იქ გაბატონებას საკუთარ საქმედ მიიჩნევდნენ. ამას კარგად ხედავდა ბიზანტიის კეისარი და ამიტომ იყო, რომ თავის სახელმწიფოში ამ ქართული სამთავროს გაძლიერებას იგი ხელს უწყობდა. კეისარს ტაო-კლარჯეთის ქართული სამთავრო არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად და ქართლში ბიზანტიის ძველი გავლენის აღდგენის საშუალებად ეგულებოდა.

აშოტ კურაპალატი მოჰკლეს 826 წელს.

თბილისის ამირას განდგომა ხალიფასაგან და თბილისის ამირის დაკნინება

IX საუკუნის დამდეგისათვის თბილისის, ისევე როგორც სხვა ამირებმა, ხალიფების ურჩობა და განზე წევა დაიწყეს. ეს ამირები ყურს აღარ ათხოვდნენ ცენტრალური მთავრობის განკარგულებას და ქვეყნიდან მოკრეფილ ხარკს ცენტრში კი არ გზავნიდნენ, არამედ თვითონ ითვისებდნენ.

ასეთივე მიდრეკილება გაუჩნდათ თბილისის ამირებსაც. უკვე IX საუკუნის ოციან წლებში გადასდგომია ხალიფას თბილისის ამირა. მაგრამ **განსაკუთრებით** ძლიერი აღმოჩნდა მომდევნო ამირა, საჰაკი, რომელსაც კახელები უმაგრებდნენ ზურგს. საჰაკის ურჩობა თითქმის თხუთმეტ წელიწადს გაგრძელდა. გა-

გულისებულმა ხალიფამ საქართველოში 853 წელს დიდი ჯარი გამოგზავნა ბ უ ღ ა თ ურ ქ ი ს მეთაურობით. ბუღამ, ზოგი ადგილობრივი მთავრების დახმარებით, დაამარცხა საჰაკი და მისი მოკავშირეები, 5 აგვისტოს აიღო თბილისი, დასწვა ივი და მცხოვრებნი ამოჟლიტა. სიკვდილით დასჯილ იქნა საჰაკიც. არაბული ცნობებით, ამ ბრძოლის დროს თბილისში 50000 კაცი დაღუპულა.

ამის მიუხედავად, თბილისის ამირები IX საუკუნის დამლევიდან უკვე ფაქტიურად აღარ ემორჩილებიან ხალიფას. მორჩილება გარეგნულად მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ თბილისის ამირები ერთი ხანობა ფულს კიდევ ხალიფას სახელით სჭრიან.

უკანასკნელად ამიერკავკასიის დამორჩილება ხალიფამ X საუკუნის დამდეგს სცადა. 914 წელს აქ დიდი ჯარით მოვიდა ხალიფას სარდალი ა ბ უ ლ კ ა ს ი მ ი. მან აიღო კახეთის ციხეები უ ჯ ა რ მ ა და ბ ო ჭ ო რ მ ა და მოაოხრა ს ა მ ცხ ე და ჯ ა ვ ა ხ ე თ ი. ამ შემოსევის მიზანი იგივე იყო: ურჩების დამორჩილება, ძველი და ახალი ხარკის მოკრეფა. მაგრამ ვერც ამ ლაშქრობამ უშველა ხალიფებს და მათი გავლენა ამიერკავკასიაში X საუკუნის შუა წლებიდან სრულიად გაქრა, დარჩნენ მხოლოდ ადგილობრივი ამირები, როგორც, მაგალითად, თბილისის ამირა, რომელნიც ახლა სხვა, ადგილობრივ დიდ ფეოდალებში აღარაფრით გამოირჩეოდნენ.

იმ დროს თბილისის საამირო მეტად შემცირებული იყო. საამიროს საზღვრები თანდათან ვიწროვდებოდა ქართული სამთავროების — კახეთის, ტაოკლარჯეთისა და აფხაზეთის — შემოტევის წყალობით.

§ 2. საზოგადოებრივი კლასები და მათი ბრძოლა VII-IX საუკუნეებში

საზოგადოებრივი წყობილება

VII, VIII, IX საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ფეოდალური წყობილება კიდევ უფრო გაძლიერდა.

ამ დროისათვის აზნაურები, რომელნიც უკვე სავსებით გაბატონებულ წოდებას შეადგენდნენ, სხვადასხვანაირი იყვნენ. ვისაც აზნაურობა შთამომავლობით, მამა-პაპით ჰქონდა მიღებული, იმას „ნ ა თ ე ს ა ვ ი თ ა ზ ნ ა უ რ ს“ ეძახდნენ. მაგრამ აზნაურობა შეიძლებოდა ზოგჯერ მეფის სამსახურითაც მოეპოვებინათ. ასეთი მ ს ა ხ ურ ე უ ლ ი ა ზ ნ ა ურ ე ბ ი იწოდებოდნენ **მეფის აზნაურებად**. ყველაზე მდიდარსა და ძლიერ აზნაურებს დ ი დ ე ბ უ ლ ი ა ზ ნ ა ურ ე ბ ი ერქვათ.

აზნაურებზე დაბლა მ ს ა ხ ურ ნ ი იდგნენ.

ზოგი აზნაური სხვა, უფრო ძლიერ, აზნაურზე იყო დამოკიდებული და „წ ი ნ ა შ ე მ დ გ ო მ ე ლ ა დ“ ან „ს ა კ უ თ ა რ ა დ“ იწოდებოდა.

მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ სოფლელი მიწის მუშები, რომელთაც ჩვეულებრივად მ დ ა ბ ი უ რ ე ბ ს (მდაბიორებს) უწოდებდნენ. ისინი ამა თუ იმ მთავარსა და დიდ აზნაურს ემორჩილებოდნენ. ასეთი მთავარი და დიდი აზნაური მდაბიურების „უ ფ ა ლ ი“ იყო. ამ უფალს ეკუთვნოდა

ბ ა, ესე იგი სოფელი, მთელი თავისი მიწა-წყლით. მდაბიურებზე უფრო დაბლა იდგნენ გ ლ ე ხ ე ბ ი.

„გ ლ ე ხ ი“ თავდაპირველად ეწოდებოდა მიწის მუშას, რომელიც პირად თავისუფლებას მოკლებული იყო. მას ჰყავდა „უფალი“, რომელსაც ეს გლეხი ეკუთვნოდა. უფალსავე ეკუთვნოდა ის მიწა, რომელზედაც გლეხი, უფლისავე ნებით, მეურნეობდა. თავის უფალს გლეხი ემსახურებოდა ყველაფრით, რაც საჭირო იყო ცხოვრებისათვის. ეს იყო სულადი გადასახადი (პურით, ღვინით, ხორცით და სხვ.) და უფლის მიწაზე მუშაობა (სეფეობა, ოჩის მუშაობა).

გლეხთა გაჩენის წყარო სხვადასხვა იყო: ზოგჯერ ყოფილ მონას მისი უფალი მიწაზე დასვამდა და გლეხად აქცევდა; ომში დარჩენილი ტყვე ან ნასყიდი კაცი, მიწაზე დასმული, აგრეთვე „გლეხად“ იქცეოდა; ძალით დაპყრობილი მიწისმოქმედთა თემი დამპყრობელის მიერ იბეგრებოდა (ე. ი. თემის მიწა დამპყრობლის საკუთრებად ცხადდებოდა, ხოლო მეთემეები თავისუფლება წართმეულ მიწის მუშებად—გლეხებად იქცეოდნენ).

გლეხი ფ უ ძ ე ზ ე იჯდა. ფუძე ანუ მიწა სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა: ვენახი, სასახლე ადგილი, საყანე და სათემო მფლობელობაში მყოფი მინდორი, ჭალა, ტყე... ფუძე საგადასახადო ერთეული იყო. ხშირად ფუძეზე რამდენიმე კ ო მ ლ ი გლეხი იჯდა.

გლეხს საკუთარი მიწა არ ჰქონდა და ის არც იურიდიული პირი იყო, მაგრამ დამოუკიდებელი მეურნეობა მას ნახევრადთავისუფალ კაცად აქცევდა. გლეხი ფლობდა მოძრავ და უძრავ ქონებას, მაგრამ მათი გასხვისების უფლება უფლის უნებართვოდ (ხელისჩაურთავად) არ ჰქონდა.

მაგრამ გლეხთა ფართე ფენა, მთელ მიწისმოქმედ საზოგადოებას რომ მოიცავდა XI — XIII საუკუნეში, მხოლოდ ზემოთ ნაჩვენები გზებით არ წარმოიშვებოდა. ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში თავისუფალი სასოფლო თემები თანდათან ამა თუ იმ დიდაზნაურის მფარველობაში შედიოდნენ, მის ყმებად, „შვილებად“ იქცეოდნენ, ის კიდევ ამ ყმების „მამა-უფალი“ ხდებოდა. ასეთ თემებს მამა-უფლის გარკვეული სამსახური ეკისრებოდათ — ლაშქრობა, მასპინძლობა, ძღვენი, ხლება და სხვა საპატიო სამსახური. პირადად ეს მდაბიურები თავისუფალნი იყვნენ. მაგრამ დრო გადიოდა, თემი იშლებოდა, თავისუფალი მეთემენი ზოგი ამაღლდებოდა, აზნაურდებოდა (სამსახურით, ლაშქრობით), ზოგი მცირდებოდა, კნინდებოდა და მამა-უფლის მიერ იბეგრებოდა და თანდათან გლეხს ემსგავსებოდა. დაბოლოს ის ყმა-გლეხი ხდებოდა, ლაშქრობას ვეღარ ახერხებდა, გლეხთა სხვადასხვა კატეგორიას ქმნიდა... XI—XII საუკუნეში ეს პროცესი ძირითადად დასრულებულია და საქართველოს მიწისმოქმედი საზოგადოება გლეხობაშია გაერთიანებული. კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ე ს ი ყ ო უ მ ა ღ ლ ე ს ი რ ა მ, რ ა ს ა ც ქ ა რ თ უ ლ მ ა ფ ე ო დ ა ლ უ რ მ ა უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა მ ი ა ღ წ ი ა.

ბრძოლა მიწისათვის

X საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს მოწინავე თემებში მიწების უდიდესი ნაწილი უკვე მთავრებსა და აზნაურებს ჰქონდათ დაჩემებული. მაგრამ ხალხის მიწა-წყლის მითვისება და ფეოდალურ მამულებად გადაქცევა უბრძოლველად არ მომხდარა.

როცა VI საუკუნეში საქართველოს მთავრებმა და აზნაურებმა ქვეყნის მართვა-გამგეობა ხელთ იგდეს, მათ ეს ძალა ხალხისათვის ადგილ-მამულის წასართმევად გამოიყენეს. მთავრები, აზნაურები, ეკლესია-მონასტრები ერთიანი ძალით უტევდნენ მდაბიორებს და იტაცებდნენ მათს სათემო თუ კერძო სამფლობელო მიწებს. ხალხი გააფთრებით იცავდა თავის უფლებებს და მამაპაპეულ მიწა-წყალს უსისხლოდ არავის უთმობდა, მაგრამ უპირატესობა ამ მიმტაცებელთა მხარეზე იყო, ისინი უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი და დარაზმულნი. თემის სიმტკიცე კი უკვე შიგნიდან ტყდებოდა. დიდი ხანი იყო, რაც მეთემეებს სათემო მიწები ურთიერთ შორის დაენაწილებინათ და დაესაკუთრებინათ კიდევაც. ხოლო ამის შედეგად მდაბიურთა შორის ქონებრივი უთანასწორობა წარმოშობილიყო. ზოგს „მონაგები ფრიადი ჰქონდა და სიხარულსა შინა იყო ცხოვრება“ მისი, ზოგი კი სავსებით არაფრის მქონებელი, „ალსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეული“ იყო. ასე გათიშული მდაბიურები, რა თქმა უნდა, ერთსულოვნად ვერ იცავდნენ თავს და მიმტაცებელთა ხელში ცვიოდნენ. ხალხმა თანდათანობით დაჰკარგა თავისი სათემო თუ კერძო-სამფლობელო ადგილ-მამული. აზნაურებმა მდაბიურებს ჯერ წაართვეს სახნავ-სათესი მიწები, როძლებსაც ყველაზე მეტი შემოსავალი მოჰქონდა, შემდეგ სათიბ-საძოვრები და, ბოლოს, ტყის მიჩემებასაც მიყვეს ხელი.

ფეოდალურ ხანაში სიმდიდრის მთავარი წყარო მიწა იყო. ვისაც ყველაზე დიდი მამული ჰქონდა, ყველაზე მდიდარი და ძლიერიც ის იყო. ამიტომ მიწის გულისათვის თვითონ აზნაურებიც ებრძოდნენ ერთიმეორეს.

მამულების გულისათვის ბრძოლა წარმოებდა მთავრებსა და ეკლესიას შორისაც. ამ დროისათვის ქრისტიანულ ეკლესიას დიდძალი ადგილ-მამული ჰქონდა ხელთ. VII საუკუნის დამდეგს ქართლის ერისმთავრებმა სცადეს წაერთმიათ ეკლესია-მონასტრებისათვის მათი მამულების ნაწილი და ამას კი მწვავე ბრძოლა მოჰყვა.

დასასრულ, მას შემდეგ, რაც VIII საუკუნის დამლევსა და IX საუკუნის დამდეგს საქართველოში ახალი ფეოდალური სამთავროები აღმოცენდა, გაჩაღდა ბრძოლა ქართველ მთავრებს შორისაც. თითოეული მთავარი ცდილობდა საკუთარი მიწა-წყლის, სამფლობელოს გაფართოებას მეზობელი მთავრის ხარჯზე. ეს ბრძოლა გაგრძელდა მთელი IX საუკუნე და X საუკუნის მეტი ხანი და საქართველოს გაერთიანებით დამთავრდა.

§ 3. სამთავროების გაერთიანების აუცილებლობა

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართლ-ეგრისის სოციალ-ეკონომიური განვითარების შესაბამისი მოვლენა იყო ამ ქვეყნების დაშლა მცირე პოლიტიკურ ერთეულებად. ამავე საფუძველს, ე. ი. ქვეყნის შემდგომ განვითარებას, ემყარებოდა ამ ერთეულების ახალ სამთავრო-სამეფოებად გაერთიანებაც.

მეურნეობის განვითარების ნიადაგზე დაიშალა, როგორც ვნახეთ, თემი. მეურნეობის და, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარების შედეგი იყო, რომ მიწა სიმდიდრისა და სიძლიერის მთავარი წყარო შეიქმნა, რომ მიწა აზნაურთა მიერ მიტაცების საგანი გახდა. მიწათმოქმედების განვითარების ნიადაგზე წარმოიშვა მცირე სამთავროები, რომელნიც უფრო შეესაბამებოდნენ სოციალ-ეკონომიური განვითარების ამ საფეხურს, ვიდრე ძველი მონათმფლობელური სახელმწიფო თავისი მოუქნელი მოხელეებით და სამეურნეო თაოსნობის შემზღუდველი სასოფლო თემებით.

მაგრამ დრო გადიოდა, მეურნეობა სწრაფად წინ მიდიოდა. თავს იჩენდა შეუთანხმებლობა ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ განვითარებასა და მის პოლიტიკურ ფორმას შორის. მცირე სამთავროები ვეღარ უზრუნველყოფდნენ ვერც პოლიტიკურად და ვერც ეკონომიურად ქვეყნის შემდგომი განვითარების ხელშემწყობ პირობებს და ამდენადვე აფერხებდნენ ქვეყნის წინსვლას. ამიტომ ექსპლუატატორთა ამ ორგანიზაციას ადგილი უნდა დაეთმო სხვა ორგანიზაციისათვის, რომელიც უფრო შეეფერებოდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების ახალ საფეხურს.

IX—X საუკუნეებში ჩვენი ქვეყანა გაიზარდა და ეკონომიურად გაძლიერდა. მართალია, არაბთა შემოსევებმა VIII საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მურვან ყრუს ლაშქრობამ, შეამცირა მოსახლეობა და გაანადგურა მისი მეურნეობა ბარის ზოგიერთ მხარეში, მაგრამ დროთა განმავლობაში ხალხმა აქაც შესძლო ხელახლა დამკვიდრება და მეურნეობის გაჩენა.

არაბებისათვის მიუწვდომელი განაპირა კუთხეები კი უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ. სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარული, შრომისმოყვარეობა და ძველისძველი დიდი კულტურული გამოცდილება იყო იმის საფუძველი, რომ ხალხი ამ განაპირა თემებში ახერხებდა თავისი მეურნეობის ფართოდ გაშლას, სამოქალაქო ცხოვრების გაჩაღებასა და თან მარჯვედ თავის დაცვას ხანდახან კარზე მომდგარი მტრისაგან.

მრავლად წარმოიშვა მცირე სამთავროები, რომელნიც გაერთიანებისადმი გარდაუვალ მიდრეკილებას იჩენდნენ.

მაგალითისათვის საკმაოა ბაგრატიონთა სამთავროს თავგადასავალი IX—X საუკუნეებში.

აშოტ კურაპალატის შთამომავლებს, თითოეულს, თავისი „ქვეყანა“ ეკუთვნის და იქ იგი „ხელმწიფეა“. ურთიერთ შორის ამ სახლისკაცებს გაუნელებელი ქიშპი აქვთ. და თუ ერთი ვინმე მეორეს შვილის მესამის წინააღმდეგ, ეს იმ მიზნით, რომ უფრო საშიში მოქიშპე თავიდან მოიცილოს, რათა შემდეგ დღევანდელი მოკავშირე თვითონ გადაყლაპოს. ძმა ძმებს არ ინდობს, შვილები — მამას. ყველას უკავშირდებიან და ერთგულობენ, ან მტრობენ და ებრძვიან — კეისარს, ხალიფას, ამირას, მეფეებს და მთავრებს, შორეულს თუ ახლობელს, ოღონდ თავიანთ მიზანს მიაღწიონ, გაძლიერდნენ, მოძმე-მეზობელი დაიპყრონ, ქვეყანა ქვეყანას შერთონ.

ამ აურაცხელ მთავრებს შორის ზოგიერთი „დიდის“ სახელითაა ცნობილი. ესენი არიან ისინი, ვინც სხვებზე უფრო მხნე, დაუნდობელნი და მომხვეჭელნი

იყვნენ. ამ მიმხვეკელობის ნიადაგზე მოკლეს აშოტი მისივე ქვეშევრდომებმა 826 წელს, ამ მიწისათვის ბრძოლაში ამოწყდა აშოტის ძის გვარამ მამფალის შთამომავლობა. ასეთსავე ბრძოლას შეეწირა ბაგრატ კურაპალატის შვილი დავითი, ხოლო ყველაზე უფრო „დიდმა" მათ შორის, ბაგრატ მეფემ, თავისი სახლიკაცები სულ ერთიანად გაჟლიტა და მათი ქვეყნები მიისაკუთრა.

ბიზანტიის კეისრები ეჭვის თვალით უყურებდენ ბაგრატიონთა სამფლობელოს ზრდას და სხვადასხვა ღონით ცდილობენ ხელი შეუშალონ ამ პროცესს. მაგრამ ამაოდ. ქვეყნის გაერთიანება გარდაუვალი იყო; ამას მოითხოვდა ქართული ფეოდალური ურთიერთობის განვითარება.

ასეთივე იყო, ზოგადად, სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა წარმოქმნა-გაერთიანების პროცესი.

იმავე დროს ამ დიდრონ გაერთიანებათა შორის მიმდინარეობდა შეუნელებელი ჭიდილი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ერთიანი ფეოდალური სამეფოს წარმოქმნას.

ამრიგად, კახეთი, ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი გაიზარდნენ და გაშენდნენ IX საუკუნისათვის. როცა IX საუკუნის დამდეგს არაბებმა ზავი დასდეს კახელებთან, კახელებმა არაბების მოთხოვნით იკისრეს მიეცათ მათთვის სამი ათასი ფაშატი ცხენი და ოცი ათასი ცხვარი. ეს მოწმობს, თუ რა მრავლად უშენებიათ კახელებს იმ დროს საქონელი. კახეთი შემდგომაც განთქმული იყო თავისი ცხენებითა და ცხვრით. კახური ჯიშის ჩამომავალია ეხლანდელი საყოველთაოდ ცნობილი თუშური ცხვარი. კახეთის იმდროინდელი სიმდიდრის უტყუვი ნაშთია ხუროთმოძღვრების ძვირფასი ძეგლები, რომლებითაც მოფენილია კახეთის მიწა-წყალი.

IX—X საუკუნეებში დასავლეთი საქართველო („აფხაზეთი") ყველაზე უფრო მყუდროდ დაცული სამთავრო იყო. ხალხის გამრავლებასა და ცხოვრებას გარეშე მტერი ხელს არ უშლიდა. იმდროინდელი ნივთიერი კულტურის ძეგლებია: მ ა რ ტ ვ ი ლ ი ს შესანიშნავი ტაძარი ჭ ყ ო ნ დ ი დ შ ი, განახლებულ-გადაკეთებული აფხაზთა მეფის გ ი ო რ გ ი ს მიერ X საუკუნის პირველ ნახევარში, მ ო ქ ვ ი ს დიდებული ტაძარი, აშენებული აფხაზთა მეფის ლ ე ო ნ ი ს მიერ X საუკუნის შუა წლებში, და სხვა.

ტაო-კლარჯეთი სიმდიდრით აფხაზეთსაც წააცილებდა. ერთი აქაური ქართველ ტომთაგანი, მესხების სახელით ცნობილი, როგორც ვიცით, უძველეს დროშიაც განთქმული იყო თავისი მიწათმოქმედებით. პური, მაგალითად, მესხებს და ტაო-კლარჯეთის სხვა ქართველ ტომებს (კლარჯებს, შავშებს...) იმდენი მოჰყავდათ, რომ საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. ისინი მევენახეობა-მეღვინეობასაც მისდევდნენ და თან ბლომად აშენებდნენ შინაურ საქონელს.

იმდროინდელი ტაო-კლარჯეთის ქონებრივი შეძლებისა და კულტურული განვითარების ცოცხალი მოწმეა ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა ო შ კ ი ს, ი შ ხ ა ნ ი ს, ბ ა ნ ა ს და ხ ა ხ უ ლ ი ს ტაძრები. თუ რა სახსარი სჭიროდა ასეთი ტაძრების აშენებას, კარგად ჩანს ოშკის ტაძრის წარწერიდან. ამ წარწერაში ნათქვამია, რომ კალატოზების, მუშებისა და მუშა-საქონლის ქირა ყოველწლიურად შეადგენდა ოცი ათას დრამას. დრამა ვერცხლის ფული იყო და უდრიდა დაახლოებით 20—25 კაპიკს ოქროთი. ასე

რომ 20.000 დრამა 4.000 მანეთზე მეტია ოქროთი. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს ფული ბევრად უფრო ძვირი იყო, ვიდრე ახალ ხანაში. გარდა ამ ფულისა, ღვინო დაუხარჯავთ ყოველწლიურად ხუთი ათასი საწყაო, ხორბალი 250 გრივი (დაახლოებით — 10.000 კილოგრამი), ხოლო რკინა — 50 ლიტრა (დაახლოებით — 20 კილოგრამი). შემდეგ წარწერა გვაუწყებს, რომ ტაძრის მშენებლობაზე მუდმივად მუშაობდა 70 კალატოზი, ხურო და მჭედელი, 30 ქვისმზიდავი ხარი, 30 ჯორი და სხვა საკიდარი საქონელი და სხვა.

მოსახლეობის გამრავლება და მისი მეურნეობის გაფართოება იწვევდა სხვადასხვა კუთხეების დაახლოების საჭიროებას. ერთი კუთხე საქონლით იყო მდიდარი, მეორე — სხვა რამით.ზოგან საუკეთესო ჭურჭელს აკეთებდნენ, მეორე ადგილას კარგ შალის ქსოვილებს ქსოვდნენ, მესამეგან — მადანს სთხრიდნენ და იარაღს სჭედდნენ, სხვები კიდევ საშენ მასალას ამზადებდნენ, წისქვილის ქვებს სთლიდნენ და მრავალ სხვა ხელობას მისდევდნენ. განვითარდა ხელოსნური წარმოება. მთიელები ბარში ჩადიოდნენ პურისა და ღვინისათვის და თან თავიანთი მეურნეობის ნაყოფი ჩაჰქონდათ. მესაქონლეობაც ხელს უწყობდა მოძრაობას: ჯოგებს საზაფხულო საძოვრები ერთ ადგილას ჰქონდათ, საზამთრო-კი — სხვაგან. „ნინოს ცხოვრებაში“, რომელიც იმ ხანებშია დაწერილი, ნაამბობია, თუ როგორ აძოვებენ ჯავახეთში თავიანთ ჯოგებს არაგველი მწყემსები. ყოველივე ეს იწვევდა საქართველოს სხვადასხვა თემების ურთიერთობას, შინაგან გაცვლა-გამოცვლასა და აღებ-მიცემას.

ფართოდ იყო იმ დროს განვითარებული საგარეო ვაჭრობაც. ქართულ სამთავროებს მაშინ მრავალ უცხო ქვეყანასთან ჰქონდათ სავაჭრო კავშირი. ბიზანტიური ცნობით, X საუკუნის პირველ ნახევარში კლარჯეთის დედაქალაქი ა რ ტ ა ნ უ ჯ ი ძალიან ძლიერი სიმაგრე და დიდი ქალაქი ყოფილა: აქ მოაქვთ საქონელი ტრაპიზონიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან, მთელი სომხეთიდან და სირიიდანო; არტანუჯი მეტად ფართო ვაჭრობას აწარმოებს ამ საქონლით; თვითონ კლარჯეთიც დიდი და უხვი ქვეყანაა და კლიტე-გასაღებია იბერიისა, აბაზგიისა და მესხეთისათვისო.

თუ რა შორეულ ქვეყნებთან ჰქონდათ ქართველებს კავშირი იმ დროს, გვიჩვენებს ის გარემოება, რომ ქართული ფული, ტაო-კლარჯეთს X საუკუნეში მოჭრილი, ნაპოვნია რუსეთის ჩრდილო მხარეებში და ბალტიის ზღვის ნაპირებზე.

ასეთი გაცხოველებული საშინაო და საგარეო ურთიერთობისათვის დიდი დაბრკოლება იყო მრავალი სამთავროს არსებობა საქართველოში. ყოველ სამთავროს საკუთარი საზღვრები ჰქონდა, ყოველ მთავარს — თავისი საკუთარი საბაჟო. ამიტომ ვაჭრებს ბაჟი რამდენიმე ადგილას უნდა გადაეხადათ, ისევე როგორც ხელოსნებსა და სოფლის მეურნეებს, რომლებსაც საქონელი, სხვისი თუ საკუთარი ნაწარმი, ერთი კუთხიდან მეორეში გადაჰქონდათ. ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ მეჯოგეებიც-კი, რომელნიც საქართველოს ერთი თემიდან მეორეში გადადიოდნენ საზაფხულო თუ საზამთრო საძოვრების გულისათვის.

ამიტომ იყო, რომ მრავალი სამთავროს არსებობა ხელს უშლიდა ჩვენი ქვეყნის განვითარებას და უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობაში. აუცილებელი

იყო ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უფრო კარგად დაიცავდა ქვეყანას გარეშე მტრისაგან, მოსპობდა შინაური ომებს, დაქსაქსულობას და მტკიცე შინაგან წესრიგს დაამყარებდა.

§ 4. სამთავროების ბრძოლა პირველობისათვის

სამთავროების ბრძოლა IX საუკუნის დამდეგიდანვე დაიწყო. ამ ბრძოლაში საკუთრივ ქართველ მთავრებს გარდა მონაწილეობდა თბილისის ამირაც და ხშირად ერეოდნენ აგრეთვე სომეხი მთავრებიც. ჩვეულებრივ, მთავრები ჯგუფ-ჯგუფად ირაზმებოდნენ ხოლმე, მაგრამ შესაძლო იყო გუშინდელი მოკავშირე ხვალ მტრად ქცეულიყო და პირ-უკუ.

ბრძოლა დაიწყო კახეთის მთავარმა, რომელმაც IX საუკუნის დამდეგს ქართლის ერთი ნაწილი დაიპყრო. მაგრამ კლარჯეთის მფლობელმა ა შ ო ტ კურაპალატმა სძლია კახელებს და ქართლი თვითონ დაიჩემა.

აშოტის სიკვდილის შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილები არაბებმა დაჩაგრეს, ქართლიც წაართვეს და კლარჯეთიც დახარკეს. მდგომარეობა გამოასწორა აშოტის მემკვიდრემ, ბ ა გ რ ა ტ კურაპალატმა (826—876 წწ.), რომელიც ეხმარებოდა ხალიფას. სარდლებს გამდგარი თბილისის ამირას წინააღმდეგ. ამ დახმარებისათვის არაბებმა ბაგრატს კვლავ მისცეს ქართლი. მარჯვედ იქცეოდა ბაგრატ კურაპალატის უმცროსი ძმა გ ვ ა რ ა მ ი ც, რომელიც მ ა მ ფ ა ლ ი ს ტიტულს ატარებდა და რომელსაც დაუპყრია ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი.

აშოტ კურაპალატის სიკვდილის შემდეგ აშოტის სამფლობელო ერთმანეთში გაიყვეს მისმა შვილებმა. მართალია, კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთი წარმომადგენელი გვარის უფროსად ითვლებოდა და კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს (ბიზანტიურ) წოდებულებას ატარებდა, მაგრამ საგვარეულოს სხვა შტოებიც სამთავრო უფლებებით აღჭურვილნი და სათანადო წოდებულებით შემკობილნი იყვნენ, ზოგი მ ა მ ფ ლ ა დ იწოდებოდა, ზოგი ე რ ი ს თ ა ვ თ-ე რ ი ს თ ა ვ ა დ და ზოგი მ ა გ ი ს ტ რ ო ს ა დ.

IX საუკუნის დამლევს აშოტის შთამომავლობაშიაც ატყდა შინაური ბრძოლა ადგილ-მამულისა და ძალა-უფლებისათვის. თავდაპირველად ბრძოლა დაიწყო თრიალეთის გამო. IX საუკუნის მეორე ნახევარში თრიალეთში ჩამოსახლდა ერთი დიდი აზნაური, ლ ი პ ა რ ი ტ ი, ბ ა ღ ვ ა შ თ ა საგვარეულოს წარმომადგენელი, რომელსაც მამული ჰქონდა არგვეთში, კაცხში. ლიპარიტმა თრიალეთის ქედის ერთ-ერთ უღელტეხილზე, სადაც ქართლიდან ჯავახეთისაკენ მნიშვნელოვანი გზა გადადიოდა კლდეში გაჭრილ კარში, ეგრეთ წოდებულ კ ლ დ ე-კ ა რ შ ი, მაგარი ციხე ააშენა, დაიპყრო თრიალეთის ქვეყანა და შექმნა სამთავრო. ლიპარიტმა თავის პატრონად გამოაცხადა ბაგრატ კურაპალატის შვილი, დავით კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი. ეს იწყინეს გვარამ მამფლის შვილებმა; რომელნიც თრიალეთს თავის მამულად სთვლიდნენ და 881 წელს მოჰკლეს დავით კურაპალატი. ამ შფოთსა და არეულობაში, რომელმაც დაასუსტა კლარჯეთის სამთავრო სახლი, ამოწყდა გვარამ მამფლის შთამომავლობა.

IX საუკუნის დამლევისათვის საქართველოში ერთგვარი წონასწორობა დამყარდა. მოკლული დავით კურაპალატის შვილმა, ადარნასემ, 888 წელს ქართველთა მეფის წოდებულება მიიღო. ამრიგად, კვლავ აღდგენილ იქნა, თუმცა ახალი შინაარსით, ქართლის მეფეების უძველესი ტიტული.

ქართლისათვის ბრძოლა განახლდა X საუკუნის დამდეგს. ქართლი საქართველოს შუაგული იყო და საქართველოში გაბატონების მოსურნენი უწინარეს ყოვლისა სწორედ ქართლს უმიზნებდნენ ხოლმე. X საუკუნის პირველ წლებში ქართლი ჯერ აფხაზთა მეფემ კონსტანტინემ დაიჭირა.

არაბების 914 წლის შემოსევამ აბულ-კასიმის მეთაურობით კონსტანტინე აფხაზთა მეფეს უკან დაახევინა მცირე ხნით, მაგრამ იგი მალე კვლავ შეუდგა ახალი ადგილების დაპყრობას და ეხლა საამისოდ დაუკავშირდა კახეთის მთავრებს, რომელნიც ამ დროს უკვე ქორეპისკოპოსის წოდებულებას ატარებდნენ. მოკავშირეებმა ჰერეთი დაიპყრეს და გაინაწილეს.

განსაკუთრებით გაძლიერდა აფხაზთა სამეფო კონსტანტინეს შვილის გიორგის დროს. გიორგიმ კახეთის ნაწილი თავის გავლენას დაუმორჩილა. ჩრდილო-დასავლეთით კი აფხაზთა მეფეს ეკუთვნოდა ჯიქეთი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. გიორგის თაოსნობით მიიღეს ქრისტიანობა ალანებმა. ამით გიორგი მეფეს თავისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადაჰქონდა. ასევე ძლიერი იყო აფხაზთა სამეფო გიორგის შვილის ლეონის დროსაც. ლეონ მეფის გავლენა უკვე ჯავახეთსაც სწვდებოდა. მაგრამ ლეონის სიკვდილის შემდეგ მის შვილებს შორის დიდი უთანხმოება და შფოთი ჩამოვარდა. აფხაზთა სამეფომ უკვე ტაო-კლარჯეთს დაუთმო პირველობა.

ტაო-კლარჯეთი X საუკუნის პირველ ნახევარში

როგორც ვნახეთ, ტაო-კლარჯეთის მფლობელები უკვე IX საუკუნის შუა წლებიდან იყვნენ აფხაზთა მეფეების მთავარი მეტოქეები. მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერდა ტაო-კლარჯეთი X საუკუნეში. ამ საუკუნის პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამხრეთი საზღვარი უწევდა მდ. არაქსის ზემო ხეობამდე. სადაც ტაო ბიზანტიას ემიჯნებოდა. თუმცა ტაო-კლარჯეთის მფლობელები ღებულობდნენ კურაპალატისა და მაგისტროსის წოდებულებას ბიზანტიის იმპერატორებისაგან, მაგრამ ნამდვილად ისინი სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ.

ასე მაგალითად, როცა ერთ-ერთმა ბაგრატიონმა, თავისი ნათესავების ჯიბრით, X საუკუნის ოციან წლებში ფარულად გადასცა არტანუჯის ციხე კეისარს და კეისრის მოხელემ არტანუჯის კედელზე ბიზანტიის დროშა აღმართა, ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია დანარჩენ ბაგრატიონებში, რომელნიც ციხეს თავიანთ საგვარეულო საკუთრებად სთვლიდნენ. კეისარმა მაშინვე გადათქვა თავისი მონაწილეობა ამ საქმეში, ყველაფერი ჩემი ბრიყვი მოხელის ბრალიაო, და საჩქაროდ გაიყვანა რაზმი ციხიდან.

იმხანად ტაო-კლარჯეთის ქართველები დიდ როლს თამაშობდნენ თვითონ ბიზანტიის იმპერიის ცხოვრებაშიც. X საუკუნის მეორე ნახევარში, ბიზანტიის იმპერიაში „ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა უკლებლივ სომხებსა და ქართველებს ეჭირათ“.

დავით მეფე

დავით კურაპალატის მეფობაში ტაო-კლარჯეთი დიდი და ძლიერი სამეფო გახდა. დავითი ჭკვიანი და მხნე კაცი იყო. მას დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელ აღმოსავლეთში. დავითის თანამედროვე სომეხი მემატიანე სტეფანოზ ტაროონელი წერს: „დიდი კურაპალატი დავით ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერება ყველა აღმოსავლეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. მან შესწყვიტა ომები, რომლებიც გაშუდმებით ჩნდებოდა ყოველ მხრიდან, და გაიმარჯვა ყველა გარშემო მცხოვრებ ხალხზე. ასე რომ ყველა ხელმწიფე ნებაყოფლობით დაემორჩილა დავითსაო“.

979 წელს დავითმა დიდი დახმარება გაუწია ბიზანტიის იმპერატორ ბასილს, რომელსაც სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. სკლიაროსმა რამდენჯერმე დაამარცხა კეისარი და ტახტიდან ჩამოგდებასაც კი უპირებდა მას. დავითმა სასომიხდილ ბასილს, მისი თხოვნით, ჯარი მიაშველა. თორმეტმა ათასმა რჩეულმა ქართველმა ცხენოსანმა თორნიკე ერისთავისა (რომელიც იმ დროს უკვე ბერად იყო შემდგარი) და ჯოჯიკის მეთაურობით გაანადგურეს სკლიაროსი და მისი ლაშქარი და იმპერატორს მისი სამფლობელო დაუბრუნეს. მადლიერმა ბასილმა ამ დახმარების სანაცვლოდ დავითს დიდი მიწა-წყალი აჩუქა: კარინის ანუ არზრუმის ოლქი, მეზობელი ბასიანის ოლქი და აგრეთვე რამდენიმე სომხური ოლქი. ოთხმოციან წლებში დავითმა დაიპყრო ქალაქი მანაზკერტი (ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით). 997 წელს მან ალყა შემოარტყა ცნობილ სავჭრო ქალაქს ხლათს (ვანის ტბის ნაპირზე). დავითის ასეთი გაძლიერებით დაშინებულმა ადარბადაგანის[1] ამირამ ომი აუტეხა მას. იმავე სომეხი მემატიანის ცნობით, მაჰმადიანების ლაშქარი ასიათასი მეომრისაგან შედგებოდა, მაგრამ დავითმა მწარედ დაამარცხა მტერი და შორს განდევნა იგი. დაპყრობილ ქვეყნებში დავითი ასახლებდა თავის ყმებს — ქართველებსა და სომხებს.

დავითის ომები სამხრეთში ათავისუფლებდა ქართველსა და სომეხ მოსახლეობას არაბი მოძალადეებისაგან და მშვიდობიანობას ამყარებდა ამ ქვეყანაში. ამიტომაა, რომ დავითს დიდი ქებით იხსენიებს ყველა ძველი სომეხი ისტორიკოსიც.

ამრიგად, X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო მოიცავდა ძალზე ვრცელ მიწა-წყალს, რომლის სამხრეთი საზღვარი აღწევდა ვანის ტბასა და ქალაქ ერზინკამდე (ეხლანდელი ერზინჯანი). იმავე დროს დავითი თავის გავლენას ავრცელებდა ჩრდილოეთითაც, საქართველოში. სამოცდაათიან წლებში, როცა აფხაზთა მეფეების ტახტზე იჯდა უძლური, ძმის ვერაგობით თვალდამწვარი თეოდოსი, დავითმა ისარგებლა აფხაზეთის შინაგანი აშლილობით და თავისი შვილობილი ბაგრატ ბაგრატიონი, თეოდო-

---

[1] ადარბადაგანი ეწოდებოდა ირანის ჩრდილო ნაწილს, რომელიც სომხეთსა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობდა. უდრის ეხლანდელს ირანის აზერბაიჯანს.

IX საუკუნის დამლევისათვის საქართველოში ერთგვარი წონასწორობა დამყარდა. მოკლული დავით კურაპალატის შვილმა, ადარნასემ, 888 წელს ქართველთა მეფის წოდებულება მიიღო. ამრიგად, კვლავ აღდგენილ იქნა, თუმცა ახალი შინაარსით, ქართლის მეფეების უძველესი ტიტული.

ქართლისათვის ბრძოლა განახლდა X საუკუნის დამდეგს. ქართლი საქართველოს შუაგული იყო და საქართველოში გაბატონების მოსურნენი უწინარეს ყოვლისა სწორედ ქართლს უმიზნებდნენ ხოლმე. X საუკუნის პირველ წლებში ქართლი ჯერ აფხაზთა მეფემ კონსტანტინემ დაიპყრა.

არაბების 914 წლის შემოსევამ აბულ-კასიმის მეთაურობით კონსტანტინე აფხაზთა მეფეს უკან დაახევინა მცირე ხნით, მაგრამ იგი მალე კვლავ შეუდგა ახალი ადგილების დაპყრობას და ეხლა საამისოდ დაუკავშირდა კახეთის მთავრებს, რომელნიც ამ დროს უკვე ქორეპისკოპოსის წოდებულებას ატარებდნენ. მოკავშირეებმა ჰერეთი დაიპყრეს და გაინაწილეს.

განსაკუთრებით გაძლიერდა აფხაზთა სამეფო კონსტანტინეს შვილის გიორგის დროს. გიორგიმ კახეთის ნაწილი თავის გავლენას დაუმორჩილა. ჩრდილო-დასავლეთით კი აფხაზთა მეფეს ეკუთვნოდა ჯიქეთი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა. გიორგის თაოსნობით მიიღეს ქრისტიანობა ალანებმა. ამით გიორგი მეფეს თავისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადაჰქონდა. ასევე ძლიერი იყო აფხაზთა სამეფო გიორგის შვილის ლეონის დროსაც. ლეონ მეფის გავლენა უკვე ჯავახეთსაც სწვდებოდა. მაგრამ ლეონის სიკვდილის შემდეგ მის შვილებს შორის დიდი უთანხმოება და შფოთი ჩამოვარდა. აფხაზთა სამეფომ უკვე ტაო-კლარჯეთს დაუთმო პირველობა.

ტაო-კლარჯეთი X საუკუნის პირველ ნახევარში

როგორც ვნახეთ, ტაო-კლარჯეთის მფლობელები უკვე IX საუკუნის შუა წლებიდან იყვნენ აფხაზთა მეფეების მთავარი მეტოქეები. მაგრამ განსაკუთრებით გაძლიერდა ტაო-კლარჯეთი X საუკუნეში. ამ საუკუნის პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამხრეთი საზღვარი უწევდა მდ. არაქსის ზემო ხეობამდე. სადაც ტაო ბიზანტიას ემიჯნებოდა. თუმცა ტაო-კლარჯეთის მფლობელები ღებულობდნენ კურაპალატისა და მაგისტროსის წოდებულებას ბიზანტიის იმპერატორებისაგან, მაგრამ ნამდვილად ისინი სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ.

ასე მაგალითად, როცა ერთ-ერთმა ბაგრატიონმა, თავისი ნათესავების ჯიბრით, X საუკუნის ოციან წლებში ფარულად გადასცა არტანუჯის ციხე კეისარს და კეისრის მოხელემ არტანუჯის კედელზე ბიზანტიის დროშა აღმართა, ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია დანარჩენ ბაგრატიონებში, რომელნიც ციხეს თავიანთ საგვარეულო საკუთრებად სთვლიდნენ. კეისარმა მაშინვე გადათქვა თავისი მონაწილეობა ამ საქმეში, ყველაფერი ჩემი ბრიყვი მოხელის ბრალიაო, და საჩქაროდ გაიყვანა რაზმი ციხიდან.

იმხანად ტაო-კლარჯეთის ქართველები დიდ როლს თამაშობდნენ თვითონ ბიზანტიის იმპერიის ცხოვრებაშიც. X საუკუნის მეორე ნახევარში, ბიზანტიის იმპერიაში „ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა უკლებლივ სომხებსა და ქართველებს ეჭირათ“.

დავით მეფე

დავით კურაპალატის მეფობაში ტაო-კლარჯეთი დიდი და ძლიერი სამეფო გახდა. დავითი ტკვიანი და მხნე კაცი იყო. მას დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელ აღმოსავლეთში. დავითის თანამედროვე სომეხი მემატიანე სტეფანოზ ტაროონელი წერს: „დიდი კურაპალატი დავით ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერება ყველა აღმოსავლეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. მან შესწყვიტა ომები, რომლებიც გამუდმებით ჩნდებოდა ყოველ მხრიდან, და გაიმარჯვა ყველა გარშემო მცხოვრებ ხალხზე. ასე რომ ყველა ხელმწიფე ნებაყოფლობით დაემორჩილა დავითსაო".

979 წელს დავითმა დიდი დახმარება გაუწია ბიზანტიის იმპერატორ ბასილს, რომელსაც სარდალი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. სკლიაროსმა რამდენჯერმე დაამარცხა კეისარი და ტახტიდან ჩამოგდებასაც კი უპირებდა მას. დავითმა სასომიხდილ ბასილს, მისი თხოვნით, ჯარი მიაშველა. თორმეტმა ათასმა რჩეულმა ქართველმა ცხენოსანმა თორნიკე ერისთავისა (რომელიც იმ დროს უკვე ბერად იყო შემდგარი) და ჯოჯიკის მეთაურობით გაანადგურეს სკლიაროსი და მისი ლაშქარი და იმპერატორს მისი სამფლობელო დაუბრუნეს. მადლიერმა ბასილმა ამ დახმარების სანაცვლოდ დავითს დიდი მიწა-წყალი აჩუქა: კარინის ანუ არზრუმის ოლქი, მეზობელი ბასიანის ოლქი და აგრეთვე რამდენიმე სომხური ოლქი. ოთხმოციან წლებში დავითმა დაიპყრო ქალაქი მანაზკერტი (ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით). 997 წელს მან ალყა შემოარტყა ცნობილ ხავაჭრო ქალაქს ხლათს (ვანის ტბის ნაპირზე). დავითის ასეთი გაძლიერებით დაშინებულმა ადარბადაგანის[1] ამირამ ომი აუტეხა მას. იმავე სომეხი მემატიანის ცნობით, მაჰმადიანების ლაშქარი ასიათასი მეომრისაგან შედგებოდა. მაგრამ დავითმა მწარედ დაამარცხა მტერი და შორს განდევნა იგი. დაპყრობილ ქვეყნებში დავითი ასახლებდა თავის ყმებს — ქართველებსა და სომხებს.

დავითის ომები სამხრეთში ათავისუფლებდა ქართველსა და სომეხ მოსახლეობას არაბი მოძალადეებისაგან და მშვიდობიანობას ამყარებდა ამ ქვეყანაში. ამიტომაა, რომ დავითს დიდი ქებით იხსენიებს ყველა ძველი სომეხი ისტორიკოსიც.

ამრიგად. X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო მოიცავდა ძალზე ვრცელ მიწა-წყალს, რომლის სამხრეთი საზღვარი აღწევდა ვანის ტბასა და ქალაქ ერზინკამდე (ეხლანდელი ერზინჯანი). იმავე დროს დავითი თავის გავლენას ავრცელებდა ჩრდილოეთითაც. საქართველოში. სამოცდაათიან წლებში, როცა აფხაზთა მეფეების ტახტზე იჯდა უძლური, ძმის ვერაგობით თვალდამწვარი თეოდოსი, დავითმა ისარგებლა აფხაზეთის შინაგანი აშლილობით და თავისი შვილობილი ბაგრატ ბაგრატიონი, თეოდო-

---

[1] ადარბადაგანი ეწოდებოდა ირანის ჩრდილო ნაწილს, რომელიც სომხეთსა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობდა. უდრის ეხლანდელს ირანის აზერბაიჯანს.

სის დისწული, მეფედ გამოაცხადა ქართლში (975), ხოლო შემდეგ აფხაზეთშიც გადაიყვანა (978 წ.). ამ საქმეში დავითის თანამშრომელი იყო ქართლის ეპისკოპოსი ი ო ა ნ ე მ ა რ უ შ ი ს ძ ე.

ასე ჩაეყარა საძირკველი საქართველოს გაერთიანებას.

§ 5. კულტურული ვითარება VIII-X საუკუნეებში

ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის ქართველი ტომების დაახლოება-შერწყმის მრავალსაუკუნოვანი პროცესი უკვე შორს იყო წასული. ძველი ეთნიკური ცნება „ქართლი" ვეღარ იტევდა ფართო შინაარსს, რომელშიაც სხვადასხვა ქართველურ ტომთა გაერთიანება იგულისხმებოდა. ახალი შინაარსი მიენიჭა აგრეთვე ცნებას „ქართველი", რომელიც უკვე აღნიშნავდა არა მარტო ეთნიკური ქართლის მკვიდრს, არამედ, მის თანაბრად, ქართული კულტურის სარბიელზე მოღვაწე კახსაც, ტაოელსაც, მესხსაც, მეგრელსაც, აფხაზსაც, ჰერსაც, სვანსაც და დვალსაც. ამ ახალშინაარსიანი ცნების — „ქართველი"-საგან წარმოიშვა იმავე ხანებში ახალი ცნება-ტერმინი „საქართველო", რომელიც თავის შიგნით ადვილად ითავსებდა გაერთიანების ამ დიდ პროცესში მონაწილე ერთეულებს.

ასე და ამრიგად, საქართველოს ფეოდალურ-პოლიტიკური გაერთიანების პროცესს თან სდევდა ქვეყნის ფეოდალურ-კულტურული გაერთიანების პროცესი.

VIII—X საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. უკვე IX საუკუნეში როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში, ჰერეთსა და აფხაზეთში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილო კავკასიაშიაც, უპირველეს ყოვლისა, — ჩერქეზებსა და ალანებში. ქართულის ასეთმა გავრცელებამ და ქართული მწერლობის აყვავებამ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს ჩაუნერგა დედაენის დიდი ღირებულებისა და ღირსების შეგნება. X საუკუნის მწერალმა ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე მ აღტაცებული შესხმა, ოდა უძღვნა ქართულ ენას — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი". ამ ჰიმნში ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ როლს აკისრებს მსოფლიოს ენათა შორის.

IX—X საუკუნეებშია დაწერილი ისეთი შესანიშნავი თხზულებანი, როგორიცაა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" ბასილი ზარზმელისა, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და სხვა. ეს ბიოგრაფიული თხზულებანი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული წყაროებია. მათი საშუალებით ვსწავლობთ იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრებას, მეურნეობას, საზოგადოებრივ წყობასა და კულტურის დონეს. მეორე მხრივ, ამ ძეგლებში განვითარების მაღალ დონეზეა ასული ქართული სალიტერატურო ენა. ამ თვალსაზრისით პირველ ადგილას დგას მერჩულეს ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოები, დაწერილი 951 წელს.

იმდროინდელი ქართული ორიგინალური მწერლობიდან ცალკე აღსანიშნავია სასულიერო პოეზია ანუ ჰიმნოგრაფია, რომლის მთავარი წარმომადგენლები არიან მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი და იოანე ზოსიმე. ეს მწერლები თავიანთ ლექსებს სწერდნენ იამბიკოსა და შაირის საზომებით. შაირის საზომი, როგორც ცნობილია, შემდეგ მწვერვალამდე აიყვანა რუსთაველმა. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ლექსებს ზოგჯერ თან ახლავს მუსიკალური ნიშნები ანუ ნოტები; ეს იმდროინდელი მუსიკაა, სასულიერო პოეზიისათვის დაწერილი.

ორიგინალური მწერლობის გვერდით ვითარდებოდა თარგმნილი მწერლობაც. იმ დროს სთარგმნიდნენ უკვე არაბული ენიდანაც.

თარგმნილი მწერლობა შინაარსით მეტად მრავალფეროვანი იყო. მთარგმნელობის განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქართველებს უკვე თავიანთი საკუთარი კულტურული ცენტრები ჰქონდათ საზღვარგარეთაც. უკვე VI საუკუნეში არსებობდა ქართული ეკლესიები პალესტინაში. საბაწმინდის განთქმულ ლავრაში. იმავე საუკუნეში ბევრი იყო ქართველი შავ მთაზეც, ანტიოქიის მახლობლად. X საუკუნეში დაარსდა განთქმული ქართული მონასტერი ათონის მთაზე, საბერძნეთში. თვითონ საქართველოშიაც სამონასტრო მოძრაობა დაიწყო VI საუკუნეში, მაგრამ განსაკუთრებით გაიშალა VIII საუკუნის დამლევიდან. კერძოდ, ტაო-კლარჯეთში იმ დროს გაჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-კულტურული ცენტრები, როგორიც იყო: ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა და სხვები. შინაურ ცენტრებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ საზღვარგარეთულ ცენტრებთან.

თარგმნილ მწერლობაში აღსანიშნავია ისეთი მეცნიერულ-ფილოსოფიური თხზულებანი, როგორც, მაგალითად, გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“, რომელიც მოთავსებულია განთქმულ შატბერდის კრებულში (X საუკ.). ფილოსოფიის ცოდნა იმ დროს უკვე სავალდებულოდ ითვლებოდა განათლებული კაცისათვის. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელს, რომელიც ცნობილი ნერსეს ქართლის ერისთავის კარზე იზრდებოდა VIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ჯერ ზეპირი გზით შეუთვისებია ცოდნა („ხმითა სასწავლელი“ „ზეპირით მოწვართნაო“, ამბობს მისი ბიოგრაფი), შემდეგ კი ქართულს გარდა მრავალ სხვა ენაზედაც უსწავლია მწიგნობრობა და ამრიგად შეუძენია როგორც საეკლესიო, ისე საერო, კერძოდ ფილოსოფიური, განათლება.

მაშინდელი მწერლები, დროის შესაფერისად, დიდად განათლებული ადამიანები იყვნენ. იმ ხანაში წარმოიშვა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისეთი შესანიშნავი ნაწარმოები, როგორიცაა „სიბრძნე ბალავარისა“. „ბალავარის სიბრძნე“ არის ქართველი მწერლის მიერ დამუშავებული აღმოსავლური თქმულება ბუდას შესახებ. ქართული „ბალავარის სიბრძნე“ თავისი ღრმა აზრებისა და წარმტაცი მხატვრული თხრობის წყალობით ცნობილი გახდა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. განთქმულმა ქართველმა მოღვაწემ ექვთიმე ათონელმა XI საუკუნეში ეს ნაწარმოები ბერძნულად გადაიღო, ხოლო ბერძნული ენიდან იგი იმავე XI საუკუნის პირველსავე ნახევარში გადათარგმნილ იქნა ლათინურადაც და მთელ ევროპას მოედო.

იმავე დროს საქართველოში, ჩანს, არსებობდა საერო მხატვრული მწერლობაც, კერძოდ — თარგმნილი პოეტური ძეგლები, მაგრამ მათგან პატარა ნაწყვეტები-ღაა შემორჩენილი. თვალსაჩინო გავლენა მოუხდენია ამ საერო მწერლობას საისტორიო და საეკლესიო მწერლობაზე.

შესანიშნავ განვითარებას მიაღწია იმ ხანაში ქართულმა ხელოვნებამაც. კერძოდ — არქიტექტურამ. იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ძეგლები, როგორიცაა ოშკი, ხახული და მრავალი სხვა, ეხლაც აკვირვებს მნახველს სიდიადითა და სილამაზით.

———

თავი IX

ქართული მიწა-წყლის პოლიტიკური გაერთიანება

§ 1. ცვლილება სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრებაში

X საუკუნის მიწურულისათვის საქართველოში ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობა დამთავრდა და ქვეყანა ფეოდალური განვითარების ახალ, უფრო მაღალ, საფეხურზე შედგა.

სოციალური განვითარების მხრივ ეს გარემოება იმაში გამოიხატა, რომ მწარმოებელი საზოგადოების, მდაბიორების მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა აზნაურთა (საერო თუ საეკლესიო ფეოდალების) კლასის წინააღმდეგ ახალ ფაზაში შევიდა. ბარის საქართველოში „ძმობა“ საბოლოოდ დაიშალა და გაქრა. აზნაურებმა ერთიანად დაიტაცეს სათემო თუ საქვეყნო მიწები და მდაბიორებს, ცალ-ცალკე თუ თემობით, უკლებლივ ყველას, ყმობის უღელი დაადგეს. ამიერიდან სოციალური განვითარება იმ გზით წარიმართა, რომ აზნაურთა ამ ყმების ურთიერთისაგან ქონებრივ-უფლებრივი დაშორიშორება უფრო სწრაფი გახდა: ყმათა დიდმა უმრავლესობამ თანდათან დაკარგა თავისუფლების ყველა ნიშანი და აზნაურის „გლეხთა“ რიგში ჩადგა. ყმების მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობამ მოახერხა შედარებით შეღავათიანი პირობების შენარჩუნება ან, კიდევ უფრო იშვიათად, სოციალური კიბურის უფრო მაღალ საფეხურზე აცოცება. კლასობრივი წინააღმდეგობა გამწვავდა, კლასობრივი ბრძოლა გაღრმავდა.

ეკონომიური ურთიერთობის თვალსაზრისით ქართული ფეოდალიზმის ამ ახალ საფეხურს ის ახასიათებდა, რომ ქვეყნის საწარმოო ძალები კიდევ უფრო განვითარდა; ხელოსნობა კიდევ უფრო ჩამოშორდა სასოფლო მეურნეობას და ხელოსნური ნაწარმი სულ უფრო და უფრო ფართო საზოგადოების მოხმარების საგანი გახდა; ინტენსიური გახდა სოფლის მეურნეობა. ამას მოწმობენ დიდი სარწყავი არხები და რთული რუსხმულები, ოსტატურად ნაგები წყალსადენები, დიდი ცოდნა-გამოცდილებით შემუშავებული ზვარ-ვენახები, მრავალგვარი ხორბლეულის ხოდაბუნები, სათიბები, ხეხილისა და თუთის ბაღები, „მტილოვან-სამოთხეები“ (ბოსტან-ბაღები).

გაჩნდნენ სოფლიდან სოფლად ან ქვეყნიდან ქვეყნად მიმომავალი ხელოსნები, ხელოვან-ხუროები, ქვისმთლელ-კალატოზები, ბაღ-ვენახის მშენებელნი, სეზონური მუშები.

ქალაქები და მათში თავმოყრილი ვაჭარ-ხელოსნები, მანამდე რომ ფეოდალისა და საფეოდალო ოლქის სამეურნეო ინტერესების საზღვრებში თავსდებოდნენ, გაიზარდნენ, დამოუკიდებელ ძალად იქცნენ და თანდათან დაუპირისპირდნენ თავიანთ პატრონებს.

გაცხოველდა კუთხეთაშორისი და საერთაშორისო აღებ-მიცემა; განვითარდა ფეოდალური დაქსაქსულობის წინააღმდეგ მებრძოლი და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მოღვაწე ახალი ძალა — ვაჭარ-ხელოსანთა, „მოქალაქეთა“ ძლიერი ფენა; შეიქმნა დიდ-ვაჭართა ამხანაგობანი, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვეს ქვეყნის სოციალურსა თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით ფეოდალური ურთიერთობის ეს საფეხური იმაში გამოიხატა, რომ ჩამოყალიბდა ახალი სოციალ-ეკონომიური ვითარების შესაფერისად გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, მისი კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისათვის.

ამრიგად, **ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება საზოგადოებრივი ურთიერთობის დაწინაურების შედეგიც იყო და თან იყო პირობა ამ საზოგადოების შემდგომი წინსვლისა.**

საზოგადოებრივი ტეხილი, X საუკუნის მიწურულს რომ მოხდა, პროგრესის ძალთა დიდი წარმატების მოწმობა იყო, მაგრამ ამ პროგრესული საქმის შემფერხებელი რეაქციული ძალები კვლავაც ძლიერ მოქმედებდნენ და უბრძოლველად არც ერთ პოზიციას არ თმობდნენ.

რეაქციის ძალებს სათავეში უდგნენ დიდი აზნაურები, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ ქვეყნის გაერთიანების წინააღმდეგ. მაგრამ როცა, ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად, მისი ფეოდალური გაერთიანება გარდაუვალი გახდა, დიდი აზნაურები შეეცადნენ **„შეუვალობა“-„ყმადნაფიცობის“** მოპოვებით უზრუნველეყოთ თავიანთი ხელმწიფობა გაერთიანებული ფეოდალური სახელმწიფოს შიგნით.

შეუვალობა-ყმადნაფიცობისათვის ბრძოლის საქმეში რეაქციულ დიდაზნაურობას დიდად უჭერდა მხარს საქართველოს ეკლესიის ფეოდალური ფრთა.

მაგრამ რეაქციული დიდაზნაურების კიდევ უფრო ერთგული მოკავშირენი იყვნენ უცხოელი დამპყრობლები, რომელთაც საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება მოსვენებას უკარგავდა.

რეაქციული დიდაზნაურები საიმედო მოკავშირეს პოულობდნენ საქართველოს წინსვლის ამ მტრების სახით და პროგრესის ძალებთან ბრძოლაში თვით იყვნენ ამ აგრესორთა საიმედო მოკავშირენი, სულერთი იყო, ვინ იქნებოდა ეს აგრესორი, ქრისტიანული ბიზანტია თუ მაჰმადიანური თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო.

§ 2. ცვლილებები პოლიტიკურ წყობაში

ბაგრატის გამეფების პიროობები

როგორც ვიცით, 975 წელს დავით კურაპალატმა ქართლში თავისი შვილობილი ბაგრატ მესამე დასვა მეფედ. ამ დროს ბაგრატი ჯერ კიდევ სრულწლოვანი არ იყო და დავითმა მზუნველად მამამისი გურგენი დაუნიშნა.

დავით კურაპალატისა და იოანე მარუშისძის პოლიტიკური გეგმა იმაზე იყო დამყარებული, რომ ბაგრატ მესამე მამით ქართველთა მეფის შთამომავალი იყო, დედით-კი აფხაზთა მეფეების მემკვიდრედ ითვლებოდა. რაკი იმდროინდელ აფხაზთა მეფეს, უსინათლო თეოდოსის, შთამომავლობა არ ჰყავდა, კანონითაც გაერთიანებულ საქართველოში მეფობა მხოლოდ ბაგრატ მესამეს შეეძლო.

ბაგრატის საუხტო ქალაქი ქართლში უფლისციხე იყო. როცა, 978 წელს, ბაგრატი აფხაზეთშიაც გამეფდა, მან თავისი უსინათლო ბიძა, თეოდოსი, დავით კურაპალატთან გაგზავნა, ხოლო დედა, აფხაზთა მეფის ასული გურანდუხტი, უფლისციხეში დასტოვა აღმოსავლეთ საქართველოს საქმეების გამგებლად. მხოლოდ 980 წლის შემდეგ მიეცა ბაგრატს, უკვე სრულწლოვანს, საშუალება მთლიანად ხელში აეღო მეფის უფლება.

საქართველოს გაერთიანების დიდი მოღვაწე ბაგრატ მეფე ამ გაერთიანების მოწინააღმდეგეთა დაუნდობელი მტერი იყო, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი: ბაგრატიონი უფლისწულები ტაო-კლარჯეთიდან, დიდი აზნაურები ქართლიდან, მთავრები ჰერეთ-კახეთიდან თუ დიდებული აზნაურები აფხაზეთიდან. წახდენა-გამოთაყვანება, სამშობლოდან გაძევება, პატიმრობა და ამოწყვეტა — ასეთი იყო ის სხვადასხვა მისაგებელი, ბაგრატ მეფე რომ თავის ურჩებს და ქვეყნის გაერთიანების მტრებს დაატეხდა ხოლმე თავს. მისანდო ლაშქრის გამრავლება. ქვეყნის მმართველობის მტკიცე წესების შემოღება, აზნაურთა თვითნებობის ალაგმვა, ერთგულ-მორჩილთა აღზევება იყო ბაგრატ მეფის საშინაო პოლიტიკის გეზი.

ბრძოლა ქართლის დიდგვარიან აზნაურებთან

ბაგრატის მეფობის დასაწყისშივე იჩინა თავი უთანხმოებამ მეფესა და ქართლის დიდგვარიან აზნაურებს შორის. ქართლის დიდაზნაურებს არ სურდათ, რომ მეფეს სამუდამო ადგილსამყოფელი ქართლში გაეჩინა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართლში გადმოსული მეფე მოიკითხავდა სამეფო ქვეყანას, რომელიც, დიდი ხანია, დიდაზნაურებს დაჩემებული ჰქონდათ. ერთ მათგანს, ბაგალითად რატი ბღვაშს, გარდა „საკუთარი“ თრიალეთისა, მიტაცებული ჰქონდა მთელი მიწა-წყალი, რომელიც ქართლში მტკვრის სამხრეთით მდებარეობდა. ასეთივე მიმტაცებელი იყვნენ სხვა აზნაურებიც: ძამელები, კორინთლები, ტბელები, ფხვენელები და სხვანი. ამის გამო, როდესაც ბაგრატ მეფემ საქმეების მოსაწესრიგებლად აფხაზეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა მოინდომა, მას ქართლის საზღვარზე დაუხვდნენ დიდგვარიანი აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით და წინააღმდეგობა გაუწიეს.

ბაგრატი დიდგვარიან აზნაურებს შეებრძოლა, დაამარცხა, ქართლში გადმოვიდა, უფლისციხეს დადგა და ქვეყნის მართვა-გამგეობას ქართლშიაც უკვე თვითონ შეუდგა.

დიდი აზნაურები მიიფანტ-მოიფანტნენ, გადაიხვეწნენ. მხოლოდ თრიალეთის პატრონი რატი ბაღვაში ჯერ ისევ მაგრობდა და დამორჩილებას არ აპირებდა. როცა ამ დიდაზნაურმა ბაგრატ მეფისაგან მოსალოდნელი განსაცდელი იგრძნო, მან ბაგრატის მამობილს დავით კურაპალატს ჩააგონა, შვილობილი შენთან საბრძოლველად ემზადებაო. დავით კურაპალატმა ეს ამბავი დაიჯერა, ჯარი შეჰყარა, ბაგრატის წინააღმდეგ დაიძრა და ჯავახეთში სოფელ დლივს დაბანაკდა. ბაგრატი თრიალეთს მოსულიყო და, აგრეთვე ჯარშეყრილი, კარუშეთს იდგა. მოსალოდნელი ომი ბაგრატმა თავიდან აიცილა. ის მარტო წარუდგა დავით კურაპალატს და ლაშქრის შეყრის მიზეზი მოახსენა. დავითმა შვილობილს დაუჯერა და თრიალეთის პატრონის დამორჩილების საქმე მის ნებაზე მიაგდო.

რაკი მფარველი შემოეცალა, თრიალეთის პატრონი ბაგრატ მეფეს დამორჩილდა. მან თავისი სამფლობელო თრიალეთი, კლდეკარის ციხითურთ, მეფეს გადასცა, ხოლო თვითონ არგვეთში, მამა-პაპეულ მამულში დასახლდა. ეს იყო 989 წელს. ბაგრატ მეფემ რატი ბაღვაშის ძე ლიპარიტი კლდეკარის ერისთავად დასვა და ეს ქვეყანა ამგვარად დაიმორჩილა.

ქართლის საქმეების მოგვარების შემდეგ ბაგრატ მეფე ისევ დასავლეთ საქართველოს ეწვია და იქ განსაკუთრებული მხნეობით „განაგნა ყოველნი საქმენი". მტკიცე ადმინისტრაციული ღონისძიებით მეფემ ქვეყანაში წესრიგი დაამყარა და თავნება აზნაურებს ურჩობის ყოველგვარი ხალისი დაუკარგა. იმავე დროს ბაგრატ მეფემ მანამდე არნახული სიდიდისა და ბრწყინვალების მშენებლობა წამოიწყო სოხუმში, ბედიაში, ქუთაისში.

ბიზანტიასთან ურთიერთობა

საქართველოს გაერთიანება ბიზანტიის კეისარს საგონებელში აგდებდა. იმ დროს ბიზანტია შესამჩნევად გაძლიერებულიყო, ხოლო მისი ძველი მეტოქე, ფეოდალურად დაშლილი სახალიფო დასუსტებული იყო და ბიზანტიაც თავისი ადრინდელი მფლობელობის აღდგენას აპირებდა ამიერკავკასიაში თუ ახლო აღმოსავლეთის სხვა მხარეებში.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ტაო-კლარჯეთის ქართული სამეფო-სამთავროები რამდენადმე დამოკიდებული იყვნენ ბიზანტიის კეისრებზე და რომ კეისართა მიზანი იყო ამ ქართველ მეფე-მთავართა გამოყენება არაბთა წინააღმდეგ. მაგრამ ეხლა ვითარება უკვე შეცვლილი იყო. არაბები დასუსტდნენ და ამიერკავკასიაში ასპარეზი თითქმის დაცალეს. კეისარს სურდა აქ მათი ადგილის დაჭერა, მაგრამ მას ახალი დაბრკოლება გადაეღობა წინ: ამიერკავკასიაში საქართველოსა და სომხეთის დიდი პოლიტიკური ერთეულები ყალიბდებოდნენ და ბიზანტიას უკვე ამათ დამორჩილებაზედაც უნდა ეზრუნა. ბუნებრივი იყო, რომ ეს ძველი დამპყრობელი საქართველოს, ისევე როგორც სომხეთის, გაერთიანება-გაძლიერებას მხარს არ უჭერდა და ამის წინააღმდეგ, რაც გაეწყობოდა, იბრძოდა. ქვეყნის მიტაცებით, დიდაზნაურების მოსყიდვა-გადაბირებით, ტახტის მაძიებელთათვის მხარის დაჭერით და სხვა ასეთი გზებით ცდილობდა ბიზანტია

მორჩილებაში ჰყოლოდა გაერთიანებული საქართველოს მეფე, რომელსაც, ამავე მიზნით, „პატივსა“ და „წყალობას“ არ აკლებდა.

ასეთი იყო ბიზანტიის კეისრის პოლიტიკური გეზი საქართველოს მიმართ მთელი XI საუკუნის განმავლობაში.

1001 წელს დავით კურაპალატი გარდაიცვალა. ბიზანტიის კეისარი ბასილი მაშინვე მრავალრიცხოვანი ჯარით ტაოსაკენ წამოვიდა. ბაგრატი და მამამისი გურგენ მეფეც ტაოსაკენ გაეშურნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ დავით კურაპალატის მემკვიდრეობას მიიღებდნენ და ამიტომ ბიზანტიის კეისარს საზღვარზე დახვდნენ და მიესალმნენ.

ბასილმა ორივენი პატივისცემით მიიღო, მაგრამ დავით კურაპალატის სამფლობელოს უდიდესი ნაწილი მაინც თავისთვის დაიჭირა. ამ მემკვიდრეობის გამო საქართველოსა და ბიზანტიას შორის კარგა ხნის განმავლობაში იყო ბრძოლა.

საბეჭოს ტერიტორიის ზრდა

1008 წელს ბაგრატის მამა, გურგენ მეფე, გარდაიცვალა და მის უშუალო გამგებლობაში მყოფი შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთიც ბაგრატ მესამის საბრძანებელს შემოუერთდა. ახლა კახეთი და ჰერეთი-ღა წარმოადგენდა ცალკე სამთავროებს. 1010 წლის ახლო ხანებში ბაგრატი კახეთში გადავიდა და მისი მეფე დაიჭირა და კახეთ-ჰერეთიც შემოიერთა.

კახეთ-ჰერეთის საქმეთა მოგვარების შემდეგ ბაგრატ მეფემ სამხრეთ საქართველოს საქმეებს მიხედა. იქ, ტაო-კლარჯეთში, ბაგრატის ნათესავი ბაგრატიონი უფლისწულები თავიანთ მამაპაპეულზე ძველებურად მთავრობას ლამობდნენ. 1011-12 წლებში ბაგრატმა ზოგი მათგანი შეიპყრო და ციხეებში გამოკეტა, სხვები კი ბიზანტიაში გადაიხვეწნენ, კეისრის კალთას შეეფარნენ და მისი დახმარებით ეძებდნენ „სამართალს“, ე. ი. მამაპაპეულის დაბრუნებას ცდილობდნენ.

ურთიერთობა ბანძის ამირასთან

საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება შიშსა გვრიდა არაბ დამპყრობელთა ნაშთებს ამიერკავკასიაში.

და მართლაც, საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური აღდგომა მათ გაჭრობას მოასწავებდა. ამიტომ იყო, რომ განძის ამირა ფადლონი განსაკუთრებით მტრობდა აღორძინებულ სომხეთსა და საქართველოს. როცა ბაგრატ მეფემ ჰერეთ-კახეთი დანარჩენ საქართველოს შეუერთა, განძის ამირამ ეს თავისთვის უშუალო საფრთხედ მიიჩნია და საპასუხოდ ჰერეთ-კახეთის განაპირა კუთხეების ბოლომოუღებელი ტყვენვა-ოხრება წამოიწყო.

ბაგრატ მეფემ გაგიკ სომეხთა მეფეს ფადლონის წინააღმდეგ საერთო ლაშქრობა შესთავაზა. 1011-12 წელს ქართველ-სომეხთა შეერთებული ლაშქარი განძის საამიროში შეიჭრა, ქვეყანა დაარბია და ქალაქ შამქორს ალყა შემოარტყა. ფადლონმა დაინახა, რომ წინააღმდეგობა არ გაეწყობოდა და ყმადნაფიცობის პირზე ზავი ითხოვა. ქართველთა მეფემ ეს პირობა მიიღო, ამირა ფადლონს ყოველწლიური ხარკის გადახდა დაუკისრა და საპიროებისას ქართველთა სასარგებლოდ ლაშქრობა დაავალა.

როცა ბაგრატ მეფე გარდაიცვალა (1014 წ.), საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. თბილისი და მისი ოლქი ისევ არაბ ამირას ხელში რჩებოდა. არც დიდი აზნაურები შერიგებოდნენ თავიანთ ბედს, ეს რეაქციონერები ფარ-ხმალს არ ყრიდნენ და ძველი მდგომარეობის აღდგენაზე ოცნებობდნენ. ქვეყნის შიგნით მიდუმებულნი თუ ემიგრაციაში თავშეფარებულნი ხელსაყრელ დროს უცდიდნენ, რომ მოქმედება დაეწყოთ.

§ 3. ბრძოლა ბიზანტიასთან

გიორგი I

ბაგრატ მეფის მემკვიდრე გიორგი მცირეწლოვანი იყო, როცა მეფობა მიიღო. ჰერეთ-კახეთის დიდგვაროვანმა აზნაურებმა უმალვე ისარგებლეს ამ გარემოებით, აჯანყდნენ, ბაგრატ მეფის მოხელეები შეიპყრეს და ქვეყანაში ისევ წინანდელი მმართველი მიიწვიეს. ამგვარად, ჰერეთ-კახეთი კვლავ ჩამოშორდა გაერთიანებულ საქართველოს.

გიორგი პირველმა ყურადღება სამხრეთ საქართველოსაკენ მიმართა. მან ისარგებლა შემთხვევით, რომ ბიზანტიის კეისარი ბასილი 1014—1016 წლებში ბულგარელებს ეომებოდა და, დავით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოს შემოსაერთებლად, ბიზანტიის საზღვარი გადალახა. ქართველებმა ტაო დაიპყრეს.

როცა კეისარმა მოიცალა, გიორგის ტაოს დაცლა მოსთხოვა. გიორგი მეფემ არა თუ ეს წინადადება უარჰყო, არამედ მაჰმადიან მფლობელებთან საიდუმლო მოლაპარაკებაც-კი დაიწყო, რომ შეერთებული ძალით ბიზანტიის წინააღმდეგ გაელაშქრათ. ბასილ კეისარს ეს არ გამოჰპარვია და 1021 წელს ის მრავალრიცხოვანი ჯარით უეცრად დაიძრა საქართველოსაკენ. გიორგიც იძულებული იყო მტრის წინააღმდეგ საჩქაროდ ამხედრებულიყო. ბრძოლა ბასიანში უნდა მომხდარიყო, მაგრამ ქართველებმა უბრძოლველად უკან დაიხიეს ჯერ ოლთისში, ხოლო იქიდან — კოლას. ბიზანტიის ჯარი უკან მოსდევდა. სოფელ შირიმში მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიც ბევრნი დაიხოცნენ — მათ შორის გამოჩენილი ქართველი სარდლები რატი ლიპარიტისძე და ხურცი. ქართველები დამარცხდნენ.

გიორგიმ იქიდანაც დაიხია, ჯერ არტაანში მოვიდა და შემდეგ სამცხეში. ბასილი ცდილობდა ჯავახეთის გზით დასწეოდა ქართველებს და გზადაგზა ქვეყანას აოხრებდა. გიორგი იძულებული გახდა გადმოსულიყო თრიალეთში, სადაც მას მეშველი ჯარი დახვდა. ეხლა კი ბიზანტიის კეისარმაც იკადრა უკან დახევა და შინ დაბრუნება გადასწყვიტა. საზამთროდ მან ქ. ტრაპიზონის მახლობლად დაიბანაკა და აფხაზეთში შესასევად ხომალდებს ამზადებდა. თან საზავო მოლაპარაკებაც წარმოებდა, მაგრამ გიორგი მეფე მოლაპარაკებას აჭიანურებდა და ხელსაყრელ დროს არჩევდა, რომ ბიზანტიისათვის დაერტყა. მაგრამ კეისარმა დაასწრო და კვლავ ატყდა ომი, რომელშიაც ქართვე-

ლები ისევ დამარცხდნენ. 1022 წელს გიორგი პირველი იძულებული შეიქნა მეტად მძიმე ზავის პირობებს დათანხმებოდა: მას დავით კურაპალატის ნაყოფევი ტაოში, კოლა-არტაანსა და ჯავახეთში კეისრისათვის უნდა დაებრუნებინა და, ამას გარდა, თავისი მცირეწლოვანი შვილი ბაგრატიც სამი წლით მძევლად უნდა მიეცა ბიზანტიის მთავრობისათვის.

ბუნებრივი იყო, რომ უკმაყოფილო გიორგი მეფე ბიზანტიასთან ბრძოლას დასრულებულად არ სთვლიდა და მარჯვე შემთხვევას ელოდა, რათა მტრისათვის სამაგიერო მიეზღო და ქვეყანა ამ დამპყრობლისაგან გაეთავისუფლებინა. ამ მიზნით ქართველთა მეფე შეესაქმა კეისრის ტახტის ერთ-ერთ მაძიებელს. კეისარმა გიორგი მეფეს ეს განზრახვა შეუტყო და გადაწყვიტა საგანგებო ღონისძიებით გაეტეხა ეს ურჩი ხელდებული. კეისარმა გიორგის სამეფოსაგან მისი სამხრეთი ნაწილის (ტაო-კლარჯეთის) ჩამოგლეჯა და აქედან ბიზანტიური ადმინისტრაციული ოლქის შექმნა ბრძანა. ეს იქნებოდა გამოუსწორებელი ზიანი საქართველოს გაერთიანების საქმისათვის.

განაზრახის განსახორციელებლად კეისარმა ჩვეულ ხერხს მიმართა: დიდ ლაშქარს უთავა გამოცდილი მხედართმთავარი, რომელსაც, ამას გარდა, ქართველ დიდგვარიან აზნაურთა მოსასყიდლად დიდი განძი გამოატანა. ქვეყნის გადასაბირებლად ამავე ლაშქარს მოსდევდა კეისრის კარზე თავშეფარებული ერთ-ერთი ბაგრატიონი უფლისწული.

ბაგრატ IV

ეს მოხდა 1027-28 წლებში, როცა გიორგი მეფე უკვე გარდაცვლილი იყო და მეფობა მის მცირეწლოვან შვილს **ბაგრატს** ეპყრა.

მდგომარეობა მეტად მძიმე იყო.

საქართველოს გაერთიანებით უკმაყოფილო თავნება დიდაზნაურები ტაო-კლარჯეთიდან მრავლად გადავიდნენ ბერძენთა მხარეზე და მტერს ქვეყნის დაპყრობა გაუადვილეს. კეისრის ფულით მოსყიდული ქართველი საერო და საეკლესიო ფეოდალები სამშობლოს მოღალატეობაში ერთიმეორეს ტოლს არ უდებდნენ. საქართველოს მეფის ერისთავებმა ქვეყნის ციხე-სიმაგრეებში მტრის ჯარი შეიყვანეს, ხოლო მცხეთის საკათალიკოზო ტახტის ეპისკოპოსებმა საქართველოს ეკლესიის ერთიანობა გასტეხეს და მტერს მრავლად მიუვიდნენ.

ფართო მოსახლეობის, „წურილი ერის“ გადასაბირებლად მტერმა სხვა ხერხს მიმართა. ამ მიზნით მან გამოიყვანა ემიგრაციაში მყოფი ბაგრატიონი უფლისწული **დემეტრე** და ტაო-კლარჯეთში მის გამთავრებას ხელს უწყობდა. ტახტის მაძიებელი, უეჭველია, „წურილ ერს“ ბევრს რასმე ჰპირდებოდა და ამის გამო იყო, რომ ესენიც მრავლად მიუვიდნენ მას.

ქვეყანა სასტიკად აირია, საგარეო ომი საშინაო, საურთიერთო ომმა გაართულა და გაამწვავა. ქვეყნის მოღალატეებს საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების მომხრენი წინააღუდგნენ. მტრის დიდ ლაშქარსა და ფულს პატრიოტებმა სამშობლოსათვის თავგანწირვა დაუპირისპირეს. მათ შორის განსაკუთრებით ისახელა თავი ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა, რომელმაც ტბეთში (შავშეთში) ციხე ააგო, იქაური მცხოვრებლებისაგან ჯარი შექმნა და მტერს მედგრად დაუხვდა.

მწვავე და ხანგრძლივ ბრძოლას ბოლო ბიზანტიის სამეფო კარზე შექმნილმა გართულებამ მოუღო.

იმ ხანებში კეისარი (კოსტანტინე) გარდაიცვალა, ხოლო მისმა მოადგილემ (რომანოზმა) საჭიროდ სცნო აღმოსავლეთში (ე. ი. საქართველოში) მშვიდობა ჩამოეგდო. სამშვიდობო მოლაპარაკებას კონსტანტინეპოლში საქართველოს მხრივ ბაგრატ მეფის დედა **მარიამ დედოფალი** და მცხეთის **კათალიკოზი მელქისედეკი** აწარმოებდნენ.

მებრძოლი მხარეები დაზავდნენ. კეისარმა თავისი ასული ელენე ბაგრატ მეოთხეს ცოლად მიათხოვა.

ეს დაზავება მყარი არ იყო და საბოლოო ზავი ბიზანტიასა და საქართველოს შორის არც შეიძლებოდა:

ბიზანტია აღმოსავლეთში ბატონობის პრეტენზიებზე ხელს არ იღებდა და იმ ვითარების აღდგენაზე ოცნებობდა, რომელიც არაბობამდელ ხანას ახასიათებდა, როცა რომის იმპერია მსოფლიოს ხალხებზე მბრძანებლობდა.

ფეოდალურად აღმავალი საქართველო კი მოწიფულობაში შედიოდა. ქვეყანა ერთიანდებოდა, ძლიერდებოდა და, ბუნებრივია, ყველა არამკითხე „პატრონს“, ძველს თუ ახალს, „სწუნობდა“, ე. ი. დამოუკიდებლობას იჩემებდა და სხვის ყმობას ვეღარ ურიგდებოდა. კიდევ მეტი: გაერთიანებული საქართველო თვით ცდილობდა კავკასიელ ხალხთა შემკრებლის როლში გამოსვლას და ამდენადვე ბიზანტიის მეტოქეობას ლამობდა.

ამიტომ იყო, რომ ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური მეოაჭენი ურთიერთს უნდობლად ეკიდებოდნენ და ერთიმეორის სუსტ მხარეებს ენერგიულად ზვერავდნენ, მაშინაც კი, როცა, მოსაჩვენრად, მათ შორის „მამაშვილური სიყვარული“ სუფევდა.

მტრული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ბიზანტიამ 1032 წელსვე გამოამჟღავნა.

ბაგრატ მეფეს ჰყავდა ნახევარ-ძმა — დემეტრე. ეს უფლისწული და დედამისი აფხაზეთში, ანაკოფიის ციხეში იმყოფებოდნენ. ციხე-ქალაქი და მისი ოლქი დემეტრეს საუფლისწულოდ ჰქონდა მიცემული გიორგი მეფის მიერ. აფხაზეთში არა ერთი დიდი აზნაური იყო, რომელსაც ამ უფლისწულის გამეფება და მისი ბაგრატისათვის დაპირისპირება სურდა.

ბიზანტიის კეისარი ფხიზლად უთვალთვალებდა საქართველოში შექმნილ ვითარებას, აქ საქმის გართულებას მოუთმენლად ელოდა და უფლისწულ დემეტრეს მფარველობით აიმედებდა.

კეისრის აგენტებს არაფერი გამოუვიდათ. მათ ვერ გაამეფეს დემეტრე, მაგრამ ვერც ბაგრატ მეფემ მიინდო გამდგარი უფლისწული. დემეტრე ბიზანტიაში გაიქცა, კეისრის საფარველში შევიდა და ანაკოფიის ციხე ამ თავის მწყალობელს შესძღვნა.

ამრიგად, ბიზანტიის კეისრის კარზე გაჩნდა გაერთიანებული საქართველოს ტახტის მაძიებელი, ხოლო აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გაერთიანებულ საქართველოს დიდის ხნით ჩამოსცილდა.

§ 4. ბრძოლა ქვეყნის გაერთიანება-შემომტკიცებისათვის XI ს. მეორე ნახევარში

თბილისის შემოერთების ცდები

ბაგრატ მეოთხის მცირეწლოვანებით სარგებლობა სცადეს საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების სხვა მტრებმაც.

განძის ამირა ფადლონი საქართველოს მეფის ყმობისაგან გამოსულიყო და მეზობელ ქვეყნებსაც არბევდა.

იმ დროს საქართველოს სამეფოს, ბაგრატ მეფის ყრმობის გამო, დიდი აზნაურები მეთაურობდნენ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ლიპარიტის ძე და ქართლის ერისთავი ივანე აბაზას ძე. მათი სარდლობით ბაგრატ მეფის ჯარი ფადლონის წინააღმდეგ გაემართა. განძის ამირას წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე, სომეხთა მეფე დავითი და თბილისის ამირა ჯაფარი. შეერთებული ლაშქარი ფადლონის ჯარს მდინარე ეკლეცზე შეება. განძის ამირა დამარცხდა და თავს გაქცევით უშველა.

კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი თბილისის ამირას მტრობდა. ერისთავს თბილისის საამიროს გაუქმება სურდა. 1032 წელს ლიპარიტ ლიპარიტისძემ და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზასძემ თბილისის ამირა ხელთ იგდეს, პატიმრად დაიჭირეს და მას ერთი ციხეც წაართვეს. ამირას საქმე წასული იყო, მაგრამ ის საქართველოს სამეფო კარზე არსებულმა უთანხმოებამ იხსნა. ლიპარიტის მოწინააღმდეგე დიდაზნაურებმა მეფეს თბილისის ამირას განთავისუფლება ურჩიეს. ბაგრატმა ამირა იყმო და ის ამირადვე დასტოვა.

ცხადია, რომ ლიპარიტსა და ამირას შორის მტრობა ამის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა.

ხუთი წლის შემდეგ კლდეკარის ერისთავის რჩევით ბაგრატ მეფემ თბილისის საამიროს გაუქმება განიზრახა. მისი ლაშქარი კახთა მეფის ჯართან ერთად თბილისს შემოადგა. ამირა მტკიცედ წინააღუდგა და ქალაქის ალყა ორ წელიწადს გაგრძელდა. ამირამ ადერბაიჯანში მოციქულები გაგზავნა და იქაურ მფლობელთაგან დახმარება ითხოვა. აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებთან თბილისს მჭიდრო სავაჭრო კავშირი ჰქონდა და ამირას მოწოდებასაც იქ ფიცხლავ გამოეხმაურნენ. მოსალოდნელი იყო, რომ ამირას მეშველი ძალა მოუვიდოდა. მეორე მხრივ, ქართველთა ალყას ისე შეეწუხებინა ქალაქი, რომ იმედდაკარგულ ამირას მისი დატოვება და განძას გაპარვა გადაეწყვიტა. ბაგრატ მეფის კარზე დიდაზნაურთა ერთი ჯგუფი იმის მომხრე იყო, რომ მეფე მაჰმადიანურ აღმოსავლეთთან დამოკიდებულების გართულებას მორიდებოდა, თბილისის დაპყრობისაგან ხელი აეღო და ამირას დაზავებოდა. დიდაზნაურთა მეორე ჯგუფი კი, კლდეკარის ერისთავ ლიპარიტის მეთაურობით, თბილისის დაპყრობას ურჩევდა მეფეს.

ბაგრატმა პირველი გზა არჩია და კლდეკარის ერისთავის უკითხავად ამირას დაეზავა (1049 წ.). სამაგიეროდ, ლიპარიტ ერისთავი, რომელიც სამეფო კარზე პირველობას იჩემებდა, საბოლოოდ გაუორგულდა ახალგაზრდა მეფეს.

კლდეკარის ერისთავის ბრძოლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ

გამდგარმა ერისთავმა, ბუნებრივად, ბიზანტიას მიმართა. ბიზანტია ხომ საქართველოს მეფის ყველა ორგულ-მოღალატის იმედსა და საფარველს წარმოადგენდა.

კლდეკარის ერისთავი ბიზანტიისათვის დიდი შენაძენი იყო. მაღალნიჭიერი და განათლებული ლიპარიტი დიდი გავლენით სარგებლობდა ქართველ ფეოდალთა წრეებში. ეს ფეოდალი სახელგანთქმული იყო აგრეთვე როგორც პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი.

ლიპარიტზე დაყრდნობით კეისარს შეეძლო ახლა კიდევ უფრო გაბედულად შედგომოდა თავისი პოლიტიკური გეგმების განხორციელებას საქართველო-ამიერკავკასიაში.

თბილისის ალყის მოხსნის შემდეგ ბაგრატ მეფემ კახეთს გაილაშქრა. ამ ქვეყნის ფეოდალების ნაწილი საქართველოს მეფეს მიემხრო და ამიტომ კახეთის შემოერთების საქმე წარმატებით მიდიოდა, მაგრამ იგი ლიპარიტ ერისთავის მიზეზით ჩაიშალა.

ბაგრატ მეფის ორგული ლიპარიტი ბიზანტიის კეისარმა დიდად შეიწყალა. საქართველოს მეფის წინააღმდეგ კეისარმა ერისთავს დამხმარე ლაშქარი, დიდძალი ფული და ტახტის მაძიებელი დემეტრე გიორგის ძე გამოუგზავნა.

სამხრეთ საქართველოს დიდი აზნაურები, — ერისთავებიც კი, მრავლად გადავიდნენ დემეტრე-ლიპარიტ-ბერძენთა მხარეზე. მოწინააღმდეგენი სასწრაფოდ ჩამოვიდნენ ქართლში და სამეფო ციხეს ატენს ალყა შემოარტყეს. აჯანყებულთ კახთა მეშველი ჯარიც მიუვიდა, მაგრამ ქართლი მტკიცედ დადგა მეფის ერთგულებაზე და მტერი იძულებული იყო ატენის ალყა მოეხსნა და ჯავახეთს დაბრუნებულიყო. საქმე გართულდა და მტერი მორიგების გუნებაზე დადგა. ბაგრატ მეფემ ლიპარიტს ქართლის ერისთავობა უწყალობა, ხოლო ბერძენთა ჯარი და დემეტრე უფლისწული ბიზანტიაში დაბრუნდნენ.

მორიგება დროებითი იყო და ვერც ერთი მხარე ვერ იქნებოდა გულგაწმენდილი: ლიპარიტ ერისთავი აგრესიული ბიზანტიის აგენტი იყო, ხოლო კეისარს არ სურდა, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მჯდარიყო ბაგრატ მეფე, რომელიც საქართველოს გაძლიერება-დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა.

იმ ხანებში ბიზანტიელ აგრესორებს საქართველოს მეზობელ სომხეთში წარმატება ხვდათ. სომეხი პატრიოტების მრავალწლიანი ბრძოლა დიდაზნაურთა მოღალატეობის შედეგად მარცხით დამთავრდა: 1045 წელს ბიზანტიელებმა ანისის სომხური სამეფო გააუქმეს და ქვეყანა ბიზანტიას შეუერთეს. შეშფოთებულმა სომეხმა პატრიოტებმა ანისი საქართველოს მეფე ბაგრატს გადასცეს. ბაგრატის მეციხოვნეები და მოხელენი ანისში შევიდნენ. ეს გარემოება კი აღმოსავლეთში ბიზანტიის პოლიტიკის დიდი მარცხი იყო.

იმავე დროს ბაგრატ მეფემ აფხაზეთში ანაკოფიის ციხის გათავისუფლება და იქიდან ბერძენთა განდევნა გადაწყვიტა. მეფემ ციხეს აფხაზთა ლაშქარი შემოაყენა, **ოთალო ჭაჭას ძის** სარდლობით.

მეორე მხრივ, საქართველოს მეფემ მოისურვა ზღვისპირა კლარჯეთში მდებარე **ხუფათის** ციხეც გამოეგლიჯა ბერძენ დამპყრობელთა ხელიდან და მას იმერ-გურულთა ლაშქარი შემოაყენა.

ბაგრატ მეფეს ეს წამოწყებანი ჯერ კიდევ არ დაესრულებინა, რომ ის იძულებული იყო თბილისისათვის მოეშურებინა. თბილისს ამირა უმემკვიდრეოდ გარდაცვლილიყო და ქალაქის თავკაცებს გადაეწყვიტათ თბილისის გადაცემა საქართველოს მეფისათვის. ასეც მოხდა. ბაგრატ მეფემ თბილისი ჩაიბარა და იქ თავისი მეციხოვნეები ჩააყენა.

ცვლილება ბიზანტიასთან ურთიერთობაში

ამრიგად, ბაგრატ მეფეს შესანიშნავი პოლიტიკური წარმატება ხვდა. აღმოსავლეთში საქართველო ბიზანტიას უპირისპირდებოდა და მნიშვნელოვან ძალად იქცეოდა. ბიზანტიის სამეფო კარის კურაპალატი — ბაგრატ მეფე — არა თუ აღარ ემორჩილებოდა კეისარს, არამედ მის მეტოქედ გამოდიოდა და აღმოსავლეთიდან მის განდევნას ლამობდა.

ამიტომ ბაგრატის მოქმედებას ბიზანტიამ ძალთა სრული მობილიზაციით უპასუხა.

ქართველი დიდი ფეოდალები, სამეფო ტახტის მაძიებელი დემეტრე გიორგის ძე, სომეხი ანტიპატრიოტები, ბერძენთა თუ ვარანგთა ჯარი, დიდძალი ფული, — ყველა და ყველაფერი რეაქციულ ძალად ამოქმედდა ბაგრატ მეფისა და ქართველ პატრიოტთა წინააღმდეგ, ლიპარიტ ერისთავის მედროშეობითა და წინამძღოლობით.

ატყდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც ათ წელს გაგრძელდა. გადამწყვეტ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. საქართველოს მეფემ ვერც ანაკოფია აიღო, ანისიც დაკარგა და თბილისიც, მაგრამ ვერც მოწინააღმდეგემ მიაღწია თავის მიზანს: „ურჩი“ ბაგრატი ტახტიდან ვერ ჩამოაგდეს და კეისრის მორჩილი დემეტრე ვერ გაამეფეს.

1054 წელს ბაგრატ მეფე კეისარს ეახლა. ბაგრატის მორჩილება ბიზანტიაში ესიამოვნათ. კეისარი თითონაც დათმობა-დაზავების გუნებაზე იყო, მით უფრო, რომ ტახტის მაძიებელი დემეტრე გიორგის ძე გარდაცვლილიყო და ბაგრატის მეტოქე საქართველოს სამეფო ტახტზე აღარავინ ჩანდა. ქართველი პატრიოტები კი ანგარიშგასაწევი ძალა აღმოჩნდნენ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, კეისარი ხელაღებით არ ენდო ბაგრატის მორჩილებას და მან თავისი ერთგული აგენტი ლიპარიტი არ გასწირა. ბაგრატი მთელი საქართველოს მეფედ აღიარეს, ხოლო ლიპარიტი მთელი სამხრეთ საქართველოს მთავარი გახდა. ამ მზაკვრული ღონეობიდან კარგად ჩანდა, რომ კეისარი საქართველოსაც იმას უმზადებდა, რაც სომხეთის სამეფოს შეამთხვია.

ამიტომ არც ეს მორიგება იყო მყარი და კვლავ არც ერთი მხარე არ იყო გულგაწმენდილი: ბაგრატი საქართველოს გაერთიანების საქმეს არ ეშვებოდა. ბიზანტია კი აღმოსავლეთში აღრინდელი ბატონობის განახლებას ოცნებობდა. კეისრის აგენტის ლიპარიტის მთავრობა ხომ სრულიად შეუთავსებელი იყო საქართველოს გაერთიანების საქმესთან.

1058 წელს მოხდა საქართველოს გაერთიანების თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანი ამბავი. ლიპარიტის გამთავრებით შეურაცხყოფილმა მესხმა აზნაურებმა შეიპყრეს ეს მძლეთა მძლე ფეოდალი და ბაგრატ მეფეს მოგვარეს. მეფემ ლიპარიტ ერისთავი იძულებით შეაყენა ბერად მონასტერში. ეს იყო

ქართველი პატრიოტების დიდი გამარჯვება, და ბიზანტიის პოლიტიკის დიდი მარცხი აღმოსავლეთში.

ამის შესაბამისად წარიმართა მის შემდეგ კეისრის კარის მოქმედებაც.

რაკი ბაგრატის წინააღმდეგ პირდაპირი მტრობით საწადელს ვერ მიაღწიეს, ეხლა დაყვავება-პატივით სცადეს საქმისათვის შველა. ამ მიზანს ისახავდა უხვი საჩუქრები და უმაღლესი საკარისკაცო პატივი, ბაგრატ მეფეს რომ უშურველად მოსდიოდა ბიზანტიის კეისრის კარიდან.

ამრიგად, **XI საუკუნეში საქართველომ მოიგერია ბიზანტიის შემოტევა და საუკუნოვანი ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. მართალია, ბიზანტიამ რამდენადმე შეაფერხა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დიდი საქმე, მაგრამ მან ვერ შეძლო ამ საქმის ჩაშლა და, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა უკან დაეხია.**

მეორე მხრივ, სწორედ იმ დროისათვის აღმოსავლეთში ისეთი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რომ ბიზანტიის თვალში ბაგრატ მეოთხეს განსაკუთრებული ფასი დაედო.

თურქების პირველი ლაშქრობანი საქართველოში

განსაცდელი ქვეყანას ეხლა უკვე სხვა მხრიდან მოადგა. XI საუკუნის პირველ ნახევარში ირანს აღმოსავლეთიდან შემოესივნენ თურქული მოდგმის ტომები, რომელთაც სათავეში ედგა სელჩუკის საგვარეულო და რომელთაც ამის გამო სელჩუკიანების სახელწოდება მიიღეს. მათ ირანი მალე დაიპყრეს და სომხეთის უდიდესი ნაწილიც იგდეს ხელთ. 1065 წელს თურქების სულტანი ალფარსლანი საქართველოს შემოესია, ქვეყნის აოხრება დაიწყო, შემდეგ ჯავახეთის ახალქალაქი აიღო, გაძარცვა და დიდძალი ხალხი ამოხოცა. 1068 წელს სულტანი კვლავ შემოესია საქართველოს. თურქებმა ჯერ ქართლი ააოხრეს და შემდეგ არგვეთიც. თუმცა ზამთრის სიფიცხემ აიძულა სულტანი საქართველოდან გასულიყო, მაგრამ წასვლის წინ თბილისი და რუსთავი მან განძის პატრონს ფადლონს მისცა. გარდა ამისა, ბაგრატ მეფეს კახეთის შემოერთების საქმეც ჩაეშალა.

მეფე ბაგრატს გული არ გასტეხია. როგორც კი სულტანი საქართველოს გარეთ გაიგულა, მან სულტანის მიერ აქ დატოვებულ ფადლონსა და მის ჯარს მუსრი გაავლო და შემდეგ თბილისიც აიღო. მეფემ ქალაქი და საამირო გადასცა თბილისის ძველი ამირების მემკვიდრეს იმ პირობით, რომ მას, როგორც ყმადნაფიცს, საქართველოს მეფისათვის წლიურად 44000 დრაჰკანი ეძლია.

ბაგრატ მეოთხე 1072 წელს გარდაიცვალა.

§ 5. თურქების შემოსევა

სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს ცენტრალისტური გაერთიანების მომხრეთა და მის მოწინააღმდეგე ძალთა შორის გადამწყვეტი ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვითარება მძაფრად გაუარესდა.

XI საუკუნეში შუა აზიიდან ველური თურქული ტომები დაიძრნენ და წამ-

ლეკავ ტალღებად მოედვნენ ახლო აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებს. **მომთაბარე თურქთა დიდი გადმოსახლება** დაიწყო.

თურქები თანდათან დაეპატრონენ სპარსულ-არაბულ ქვეყნებს და XI საუკუნის შუა წლებში უკვე ბიზანტიურ-ქრისტიანულ სამყაროსაც შემოუტიეს.

1071 წელს თურქთა სულტანმა **ალფ-არსლანმა მანაზკერტის ომში** სასტიკად დაამარცხა ბიზანტიის ლაშქარი და თვით იმპერატორი რომანოზი ტყვედ ჩაიგდო. მას შემდეგ თურქ მომთაბარეებს მცირე აზიის ბიზანტიური ნაწილისკენაც ვახსნილი ჰქონდათ გზა.

1074 წელს ბერძნებმა ზავი დადეს თურქებთან. ამ ზავის თანახმად ბერძნებმა აღმოსავლეთის ქვეყნები თურქებს დაუთმეს.

ამიერკავკასიის ასპარეზზე ამ უზარმაზარი ძალის პირისპირ საქართველო, როგორც სახელმწიფო, განმარტოებული აღმოჩნდა: ბიზანტიელმა დამპყრობლებმა ასპარეზი დაცალეს, ხოლო სომეხთა სახელმწიფო ამიერკავკასიაში უკვე აღარ არსებობდა.

თურქებმა საქართველოს ჯერ კიდევ XI საუკუნის 60-იან წლებში შემოუტიეს. ქართველები დიდხანს მხნედ იგერიებდნენ მტერს და ველურ ურდოებს ქართულ მიწაზე ფეხის მოკიდების საშუალებას არ აძლევდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც თურქებმა ბიზანტია დაამარცხეს, სომხეთი წამოლეკეს და საქართველოს ორი მხრით შემოადგნენ, მდგომარეობა უკვე მეტად საშიში შეიქნა.

„დიდი თურქობა“

XI საუკუნის 70-იან წლების მიწურულში მეფე **გიორგი მეორემ, ბაგრატის ძემ**, თავი დამარცხებულად სცნო, თურქთა სულტანს **მალიქშაჰს** ეახლა სპარსეთში, მორჩილება გამოუცხადა მას და ყოველწლიური გადასახადიც (ხარკი) იკისრა.

ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ქვეყანაში მშვიდობა ჩამოვარდებოდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ თურქებთან ზავის პირობების განხორციელება არ ხერხდებოდა. საქართველოს მიწა-წყალზე შემოჭრილი თურქი მომთაბარენი ნებით არ მიდიოდნენ უკან, ხოლო ძალით მათი წაყვანის სურვილს სულტანი არ იჩენდა. პირიქით, საქართველოში თურქ მომთაბარეთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობდა, უწინ მოსულთ ახლები ემატებოდნენ, ასე რომ თურქებით საქართველოს დასახლება შეუნელებლად გრძელდებოდა. განსაკუთრებული გასაჭირი საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის ნაწილებს ადგათ. თანდათან თურქმა მომთაბარეებმა ქართლ-კახეთის ნაყოფიერი ველები საზამთრო სადგომებად, ხოლო ქართლ-მესხეთის ზეგნები თავიანთი ჯოგებისათვის საზაფხულო საძოვრებად გადააქციეს.

შევიწროებულ ქართველ მოსახლეობას გადაშენების საფრთხე ელოდა. მისი სამეურნეო ფართობი მტერს დაეპყრა. საქმე იქამდე იყო მისული, რომ ქართველთა მეფის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს საზღვრებს გარეთ საეკვო და საცილობელიც კი ჩანდა.

ამგვარად, საქართველოს მეფესა და თურქების სულტანს შორის ზავი იყო დადებული, ხოლო ქართველ ხალხსა და თურქ ველურებს შორის სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა გრძელდებოდა.

საერთო საფრთხე საერთო ბრძოლის საკითხსა სვამდა.

XI საუკუნეში საქართველო არც ხალხით იყო რიცხვმცირე და არც ეკონომიკით იყო ხელმოკლე, რომ მომთაბარე თურქთა ურდოების გამკლავება არ შეძლებოდა. მაგრამ საქმეს ის აძნელებდა, რომ ქართველთა ძალების მობილიზაცია არ ხერხდებოდა. დიდგვარიან აზნაურებს, მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართველი ხალხის საერთო მტერი — თურქები თავიანთ პოლიტიკურ მოკავშირეებად ეგულებოდათ. ამიტომ იყო, რომ დიდგვარიანი აზნაურობა თურქებს გულდაგულ არ ებრძოდა და ნშირად კი ესა თუ ის მათგანი მთელი თავისი ძალითურთ თურქების მხარეზე გადადიოდა.

ასე მაგალითად, სწორედ იმ დროს, როცა თურქები ქართულ მიწა-წყალს იპერდნენ, დიდგვარიანი აზნაურები **ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე** და **ვარდან სვანთა ერისთავი** განუდგნენ მეფე გიორგი ბაგრატის ძეს და „აუშალეს ქვეყანა". ქვაბულისძემ სამეფო ქალაქი ქუთაისი დაიჭირა, ვარდანი სვანეთით სამეგრელოს შეესია და ეს კუთხე აიკლო, ივანემ კი კახელები დაიხმარა და ქსნისპირა ადგილები თავისთვის დაიკავა. იგი უფრო შორსაც წავიდა: ქალაქი გაგი გამოსტყუა მეფის მეციხოვნეებს და ის საქართველოს მტერს განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა, ხოლო როცა სულტანი მალიქშაჰი თურქებით საქართველოს ასაოხრებლად მოადგა, იგივე მოღალატე ფეოდალი მორჩილებით ეახლა მას. 1074 წელს მოღალატე ქართველთა ასეთი საქმიანობა იმით დაგვირგვინდა, რომ მათი შემწეობით თურქებმა მოახერხეს ანაზდეულად დასხმოდნენ თავს გიორგი მეფეს. დამარცხებულმა მეფემ გაქცევით ღა უშველა ძლივს თავს.

ამრიგად, საქართველოს „ციხე შიგნიდან ტყდებოდა". თურქებთან ბრძოლა მჭიდრად გადაეხლართა ფეოდალურ ქვეყანაში კლასობრივსა და შინაკლასობრივ ბრძოლას. დიდგვარიან აზნაურთა ორგულობისა და მოღალატეობის წყალობით საქართველო მარცხდებოდა თურქებთან ბრძოლაში. ქვეყნის წინაშე საშინელი საფრთხე აღიმართა. ქართველი ხალხის გადასარჩენად აუცილებელი იყო მისი ძალების სრული მობილიზაცია თურქთა წინააღმდეგ. ეს კი შეუძლებელი იყო დიდაზნაურთა პოლიტიკურ მიდრეკილებებთან გადამჭრელი ბრძოლის გარეშე.

§ 6. საქართველოს კულტურული ვითარება XI საუკუნეში

მწერლობა

საქართველოს კულტურული ვითარება XI საუკუნეში მისი პოლიტიკურ-ეკონომიური წინსვლის შესაბამისი იყო. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროშიაც ყოველ დარგს დიდი სიცხოველე, წინსვლა და მაღალი მიღწევა ახასიათებდა.

ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, ფილოლოგია, საეკლესიო-სამღვდელთმსახურო მწერლობა, მხატვრული პროზა, ფერწერა თუ ხუროთმოძღვრული ხელოვნება და კულტურის ბევრი სხვა დარგიც გამოცოცხლდა და სწრაფად წინწავიდა.

კულტურული ტრადიციები ქართველობას ძველიდანვე მოსდევდა. ქართველი ხალხი დროის შესაფერისად აქტიურად ეხმაურებოდა ამა თუ იმ დიდ კულტურულ მოვლენას და კულტურულ ხალხთა ფერხულში მას ყოველთვის ღირსეული ადგილი ეჭირა. ასევე იყო XI საუკუნეშიც.

XI საუკუნის ქართველთა წინაშე დიდი კულტურული ამოცანა იდგა: ქართულ ენაზე მთელი იმ საქრისტიანო ლიტერატურის გადმოღება, რომელიც იმ დროს ბერძნულად მოიპოვებოდა.

ასეთი საჭიროება სამი მიზეზის გამო წარმოდგა: პირველი ის იყო, რომ განათლებული ფეოდალური საზოგადოება სულ უფრო და უფრო მეტ სულიერ საზრდოს მოითხოვდა; მეორე მიზეზი ის იყო, რომ საქართველოსათვის, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის მაგივრობას აპირებდა, აუცილებელი იყო, რომ ის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ ცენტრადაც ქცეულიყო. დასასრულ, მესამე მიზეზი ის იყო, რომ ბიზანტია, რომელიც საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას ებრძოდა, ამ ბრძოლაში ეკლესიასაც იშველიებდა და ამით საქართველოს ეკლესიის დამორჩილება-გაბერძნულებას ცდილობდა. ბიზანტიის აგრესიული ეკლესია ამ განზრახვას იმით „ასაბუთებდა“, რომ ქართველები რიცხვმცირე ხალხია, ხოლო მათი ენა ქრისტიანული ლიტერატურით ღარიბიაო.

ქართულ ენაზე ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნა უძველესი დროიდანვე წარმოებდა როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთ (საბერძნეთში, სირიაში, პალესტინაში, სადაც ქართველთა მიერ დაარსებული არა ერთი ქართული მონასტერი მოქმედებდა). მაგრამ თუ თავდაპირველად ამ მოძღვრების შემცველი რამდენიმე ფუძემდებელი ნაწარმოების თარგმნა საკმაო ჩანდა, დროთა განმავლობაში ეს აღარ აღმოჩნდა საკმარისი. ქრისტიანული ლიტერატურა სწრაფად იზრდებოდა, ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. ის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ მხარეს სწვდებოდა. ქართულ ეკლესიას, განათლებულ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ეს ლიტერატურა აუცილებლად სჭირდებოდა, თუკი მას სურდა დამოუკიდებელ ფეხზე მდგარიყო სხვა კულტურულ ხალხთა შორის.

ასე რომ ეხლა ბერძნულ-ქრისტიანული მწერლობის ქართულად გადმოღება უკვე არა მარტო კულტურული, არამედ მეტად დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური ღონისძიებაც იყო.

ამით აიხსნება, რომ ამ საქმის წარმატებით შესრულებაში აგრე დაინტერესებული იყვნენ იმდროინდელი ისეთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი, როგორც, მაგალითად, დავით კურაპალატი, მელქისედეკ კათალიკოზი, ბაგრატ მესამე, ბაგრატ მეოთხე და დედამისი დედოფალი მარიამი, ლიპარიტ ბაღვაში და სხვა არა ერთი ფეოდალი, საერო თუ საეკლესიო.

და ეს დიდი ეროვნულ-კულტურული საქმე ღირსეულად შეასრულეს ქართულმა მონასტრებმა, განსაკუთრებით კი ათონის ქართველთა მონასტერმა.

ათონი ადგილია საბერძნეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ქართული მონასტერი იქ X საუკუნის დამლევს იქნა დაარსებული ტაოელი დიდი აზნაურყოფილის **იოანე მონაზონის** მიერ. იქ აღიზარდა იოანეს შვილი **ეფვთიმე**, რომელიც ბერძნული ენისა და ქრისტიანული ლიტერატურის დიდი მცოდნე დადგა. მამამ შვილს საგანგებოდ დაავალა, რომ ბერძნულიდან ქართულად ქრისტიანული წიგნების თარგმნას შედგომოდა და ამით შეევსო ის ხარვეზი, რომელიც ქართულ ქრისტიანულ მწერლობას ჯერ ისევ მოსდგამდა. ეფვთიმე

დიდი მხნეობით შეუდგა საქმეს და საოცარ წარმატებასაც მიაღწია. მან ასამდე წიგნი გადმოთარგმნა ბერძნულიდან ქართულად.

ექვთიმეს შემდეგ ეს საქმე ათონის ქართველთა მონასტერში ტრადიციად იქცა და, ვისაც საამისო ცოდნა და ნიჭი ჰქონდა, ყველა მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ **გიორგი ათონელი,** XI საუკუნის შუა წლების მოღვაწე, ექვთიმე ათონელის საქმის ღირსეული გამგრძობი.

იქვე, მონასტერში ხდებოდა ამ წიგნების გამრავლება, ე. ი. გადაწერა და შეკაზმვა-შემკობა. აგრე დამზადებული წიგნები ეგზავნებოდა საქართველოში დამკვეთელ დაწესებულებებს, ე. ი. ეკლესია-მონასტრებს, თუ კერძო პირებს, ე. ი. საერო თუ საეკლესიო ფეოდალებს.

სხვა მრავალთაგან, დიდ ლიტერატურულ მოღვაწეობას რომ ეწეოდნენ ფილოლოგიისა, ისტორიისა თუ ფილოსოფიის დარგში, გამოირჩეოდნენ **ეფრემ მცირე,** სირიაში, შავი მთის ქართველთა მონასტერში, და **იოანე პეტრიწონელი**— ბულგარეთში, პეტრიწონის ქართველთა მონასტერში.

XI საუკუნის მიწურულისათვის მიზანი უკვე მიღწეული იყო: ქართული ენა კულტურულ ენათა პირველ რიგში იდგა, ამ ენაზე სრულად მოიპოვებოდა იმდროინდელი მსოფლიოს ქრისტიანული კულტურის შენამოქმედი.

საისტორიო მწერლობა

XI საუკუნის ქართული საისტორიო მწერლობა დაწინაურებული საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაფერისი იყო. სწრაფი სოციალ-ეკონომიური განვითარება, მწვავე კლასობრივი ბრძოლა, რთული საერთაშორისო მოვლენები მოწინავე საზოგადოების პოლიტიკურ აზროვნებას ზრდიდა და ამახვილებდა.

XI საუკუნის ქართულ საისტორიო მწერლობას ცხოვლად აინტერესებდა საკითხები „ნათესავის“ (ხალხის) რაობისა, ხალხთა მონათესაურობისა, ქართული ენის გაჩენისა და ქართული დამწერლობის შემოღებისა, სახელმწიფოს წარმოშობისა, წოდებათა გაჩენისა, მეფე-დიდაზნაურთა ბრძოლისა. ეს და სხვა მსგავსი საკითხებია, რომელთა შესახებ მსჯელობდნენ იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსები — **გიორგი ათონელი, გიორგი მცირე, ლეონტი მროველი, „მატიანე ქართლისაჲ-ს“** ავტორი და სხვები.

საგართალი

განსაკუთრებით საყურადღებოა ექვთიმე ათონელის მოღვაწეობა სამართლის თეორიის დარგში. მან თარგმნა „მცირე სჯულის კანონი“, რომელიც საეკლესიო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს. ბოლოში მას დართული აქვს ექვთიმეს ზოგადი მოძღვრება ბოროტმოქმედების შესახებ. ეს საყურადღებო ძეგლი იმდროინდელი ქართული იურიდიული აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ხელოვნება

შესაბამის განვითარებას განიცდიდა ხელოვნებაც. ფერწერის ოსტატებმა მოხატეს ტაძართა კედლები; შინაარსის შესაფერისი ილუსტრაციებით შეამკეს მაღალი კალიგრაფიული ოსტატობით გადაწერილი წიგნები. ხუროთმოძღვრებამ, დროის შესაბამისად, განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. იმდროინდელია შესანიშნავი ნაგებობა-ტაძრები: ბედიისა (აფხაზეთში), „ბაგრატის ტაძარი“ (ქუთაისში), სვეტიცხოველი

და სამთავრო (მცხეთაში), სამთავისი (ქართლში), ნიკორწმიდა (რაჭაში) და ბევრი სხვა.

ქართული ფეოდალური საზოგადოება განსაკუთრებით აფასებდა ხუროთმოძღვრების ამ ძეგლებს. თანამედროვე მწერალი აღტაცებით მოგვითხრობს ბედიისა და ქუთაისის ტაძართა შესახებ. როცა ქუთაისში ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი აშენდა, ბაგრატ მესამემ უცხო ხელმწიფეებიც კი მოიპატიჟა მის სანახავად და ტაძარი დიდი ზეიმით გახსნა.

მაგრამ იმ დროს მარტო ტაძრებს როდი აგებდნენ ოსტატურად. ფეოდალების განვითარებული გემოვნება თავს იჩენდა საერო ნაგებობათა, მაგ., სასახლეების შენებაშიაც. ასეთი შესანიშნავი ყოფილა, მაგალითად, როგორც იმ დროის მწერალი გადმოგვცემს, „დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი“, რომელიც კვირიკე კახთა მეფეს აუგია.

§ 7. დავით IV აღმაშენებელი

ქართველი ხალხი თურქთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ორგანიზატორს საჭიროებდა. გიორგი მეფე საამისო პირად ღირსებებს მოკლებული ჩანდა და მოწინააღმდეგე დიდაზნაურთა წრემ პოლიტიკური გადატრიალება გამოიწვია სამეფო კარზე. ამ წრის საქმიანობით იყო, რომ 1089 წელს გიორგი მეფემ, ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცმა, თავისი შვილი **დავითი,** სულ 16 წლის ყმაწვილი, დასვა მეფედ და თითონ კი გაეცალა სახელმწიფო მოღვაწეობას.

ღონისძიებანი მეფის ხელისუფლების განსამტკიცებლად

ამ დროიდან მოკიდებული სრულიად შეიცვალა საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკური კურსი როგორც თურქების, ისე დიდგვარიანი აზნაურების მიმართ. ახალგაზრდა მეფეს მხარში ამოუდგნენ და ქვეყნის საქმეები წარმართეს ისეთმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, როგორიც იყვნენ მეფის მწიგნობართუხუცესი **გიორგი** და მეფის მოძღვარი **არსენი.**

დავითის მეფობის პირველი ხანა გაგრძელდა 1097 წლამდე, როცა მეფემ თურქთა სულტანს ხარკი შეუწყვიტა და ამით მას ომი გამოუცხადა.

ეს პირველი ხანა თურქთა წინააღმდეგ მომავალი დიდი ბრძოლისათვის ყოველმხრივ მზადებაში გავიდა.

უპირველეს ყოვლისა, დავით მეფე თავდადებულთა განსაკუთრებული ლაშქრის შექმნას შეუდგა. ის დაჟინებით წვრთნიდა და თანდათან იმრავლებდა ერთგულ მხედართა რაზმებს, რომლებიც უმთავრესად მდაბიორ ყმა-მოლაშქრეთა და მსახურეულ აზნაურთაგან შედგებოდნენ. სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მეფე ამ თავის „ტაძრეულებს“ უწყალობებდა მიწა-ადგილს, „საკარგავს“, რომლითაც ეს „მოსაკარგავენი“ მანამდე სარგებლობდნენ, ვიდრე მეფის ამ განსაკუთრებულ ლაშქარში რჩებოდნენ.

ამ ერთგული რაზმებით მეფე თავს ესხმოდა და თანდათან ავიწროებდა თურქ მომთაბარეებს და ამით მთაში გახიზნულ ქართველ მიწისმოქმედ მოსახლეობას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა.

იმავე დროს მეფე მტკიცე ხელით ებრძოდა დიდაზნაურთა თავგასულობას. 1093 წელს დავითმა დააპატიმრა ერთი ყველაზე უფრო ძლიერი ფეოდალი,

კლდეკარის ერისთავი **ლიპარიტ ივანეს ძე**, რომელიც მეფის მოღალატეობაში მამა-პაპის კვალს დასდგომოდა. 1097 წელს კი დავით მეფემ ეს გაუსწორებელი მოჯანყე საქართველოდან გააძევა, ხოლო მთელი მისი ქონება-სამფლობელო სამეფო ქონებად გამოაცხადა.

ბაღვაშთა სახლის გამოკლება მძიმე დანაკლისი იყო დიდგვარიან აზნაურთა რეაქციული ოპოზიციისათვის. ამასთანავე, ლიპარიტის საქმისადმი დამოკიდებულების მაგალითიდან კარგად ჩანდა დავით მეფის პოლიტიკური გეზი საშინაო ურთიერთობაში.

ხელისუფლება, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ ბრძოლას, რა თქმა უნდა, შეღავათიანობის ნასახსაც კი ვერ დაუშვებდა ამ საქმის ხელისშემშლელ მოღალატეთა მიმართ. განუხრელი სიმკაცრე, დავით მეფეს რომ ქართველ დიდაზნაურთა პოლიტიკურ რეაქციასთან ბრძოლაში ახასიათებდა, სრულიად აუცილებელი და გამართლებული იყო.

ამასობაში თურქთა დიდ ერთიან სახელმწიფოს დღე დაელია. მალიქშაჰი უკანასკნელი დიდი სულტანი იყო, რომელიც ახერხებდა, რომ უზარმაზარი ქვეყნის (ამუდარიიდან პალესტინამდე) აურაცხელი საამიროები მორჩილებაში ჰყოლოდა.

1092 წელს სულტანი მალიქშაჰი გარდაიცვალა და მის ძმებსა და შვილებს შორის ატყდა დაუნდობელი საშინაო ომი, რომელშიც ცალკე მხარეთა მოხელე-მმართველები (ამირები, ათაბაგები) ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ. შედეგი ის იყო, რომ ნაძალადევად და ხელოვნურად გაერთიანებული სახელმწიფო მრავალ ურთიერთმოქიშპე პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა. მალიქშაჰის მემკვიდრე სულტნები შედარებით უფრო სუსტი მფლობელები იყვნენ, ვიდრე თურქთა დიდი სახელმწიფოს პირველი ხელმწიფენი ტოღრილ ბეგი, ალფ-არსლანი, მალიქშაჰი. ამდენადვე მათ წინააღმდეგ ბრძოლაც გაადვილებული იყო.

იმავე დროს დაიწყო დასავლეთ ევროპელთა დიდი ომები ახლო აღმოსავლეთში ანუ ეგრეთ წოდებული „ჯვაროსნული ლაშქრობა“. 1097 წელს ევროპელმა ჯვაროსნებმა ძლიერ შეავიწროეს თურქები მცირე აზიასა და სირიაში, ხოლო 1099 წელს ხელთ იგდეს პალესტინა-იერუსალიმი.

ჯვაროსანთა წარმატებით გამხნევებულმა ბიზანტიამაც შეუტია დამპყრობელ თურქებს.

ამრიგად, მებრძოლი საქართველოს მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა: ის თურქთა პირისპირ მარტო აღარ იყო.

დავით მეფემ სწორად შეაფასა შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება. მეფემ სულტანს ხარკის ძლევა შეუწყვიტა, ხოლო ქართულ მიწა-წყალზე მომთაბარე თურქთა წინააღმდეგ გადამჭრელი შეტევა დაიწყო.

გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოს ძალთა უკიდურეს მობილიზაციას მოითხოვდა, თან კი ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი მხარე, ჰერეთ-კახეთის სამეფო, განზე იდგა და სამამულო ომში მონაწილეობას არ იღებდა. აუცილებელი იყო მისი შემოყვანა საქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში.

ჰერეთ-კახეთის შემოერთება

იმ დროს ჰერეთ-კახეთში ბევრი იყო ისეთი, ვინც მხარს უჭერდა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას და მზად იყო ამ ეროვნული საქმისათვის ებრძოლა. დავით მეფემ ჰერეთ-კახეთის დიდმოხელე-აზნაურთა შორისაც გაიჩინა მომხრეები. 1104 წელს დიდმოხელე აზნაურებმა, **ქავთარმა** და მისმა დისწულებმა **არიშიანმა** და **ბარამმა** შეიპყრეს და საქართველოს მეფეს მოგვარეს ჰერეთ-კახეთის მეფე **აღსართანი.** დავით მეფემ ჰერეთ-კახეთი დაიჭირა, მაგრამ ამ ქვეყნისათვის საბოლოო ომი საქართველოს მეფეს ჯერ კიდევ წინ ედო. ჰერეთ-კახეთის შემოერთებით დავით მეფე სულტანს მნიშვნელოვან მოხარკე ქვეყანას ართმევდა და თან შესამჩნევად უსუსტებდა თურქებს საბრძოლო პოზიციას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ამიტომ სულტნის დიდმოხელემ, განძის ათაბაგმა, სასწრაფოდ გამოილაშქრა, რათა საქართველოს მეფე ჰერეთ-კახეთიდან განედევნა. მტერს მიუვიდნენ დავით მეფის შინაური მოწინააღმდეგენიც. საქართველოს მეფეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული მოსალოდნელი ბრძოლა და ის მომზადებული დაუხვდა მტერს. ომი იმავე 1104 წელს მოხდა ერწუხში (აწინდელ საინგილოში) და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.

ჰერეთ-კახეთის შემოერთებამ საქართველოს ეკონომიური და სამხედრო ძალები შესამჩნევად გაზარდა.

დავით მეფის საეკლესიო პოლიტიკა

ქვეყნის ძალთა საყოველთაო შემოკრების ამოცანამ დავით მეფის წინაშე საქართველოს ეკლესიის საქმეთა მოგვარების საკითხიც დასვა. ეკლესია საქართველოში იმ დროს მეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაცია იყო. ის დიდ ყმა-მამულსა და სხვა სიმდიდრეს ფლობდა და ძლიერი ზნეობრივი გავლენითაც სარგებლობდა. ეკლესიას შეეძლო დიდი ძალით შესწეოდა თურქთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლას. ამავე დროს კი იგი შესაფერის მონაწილეობას არ იღებდა ამ ეროვნულ საქმეში. საქმე ის იყო, რომ საქართველოს ეკლესიის მმართველობის საჭე ხელთ ეპყრათ დიდგვარიან აზნაურთა სახლის შვილებს — ეპისკოპოსებს, რომელთაც დავითის წინააღმდეგ მებრძოლ დიდაზნაურთათვის უფრო შესტკიოდათ გული, ვიდრე თურქთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხისა და მისი მეფისათვის.

ეხლა, ამ გადამწყვეტ მომენტში, ასეთი ვითარების მოთმენა უკვე აღარ შეიძლებოდა. ქვეყნის ინტერესები დაუყოვნებლივ მოითხოვდა ეკლესიის მმართველობაში არსებით ცვლილებას.

დავით მეფემ საამისო მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს მეფე ამ საქმეში მარტო არ იყო. საეკლესიო წრეებში ამ საკითხზე იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. მდაბიორ-მოლაშქრეთა და წვრილ აზნაურთა ინტერესების გამომხატველი საეკლესიო მოღვაწენი იბრძოდნენ დიდგვარიან-ფეოდალურ მიდრეკილებათა წინააღმდეგ ეკლესიის მმართველობაში, საეპისკოპოსო კათედრების „მამულობით“ ე. ი. მემკვიდრეობით დაუფლების წინააღმდეგ. საეკლესიო მმართველობაში თანამდებობის დაკავებისათვის, ამ დასის შეხედულებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მისცემოდა მღვდელმთავრის პირად ღირსებას, მიუხედავად მისი გვარიშვილო-

ბისა. ასეთ შეხედულებას იცავდა XI საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი ბერი გიორგი ათონელი, რომელმაც მოურიდებლად ამხილა ამ საკითხთან დაკავშირებით დავითის პაპა, მეფე ბაგრატ IV. ეს უკანასკნელი თურმე, ფისკალური მოსაზრებით, არ ებრძოდა ამ დროს საქართველოში გავრცელებულ წესს თავისუფალი საეკლესიო კათედრების გაყიდვისა, რომელიც ხელს უწყობდა დიდგვარიან აზნაურთა სახლების მიერ საეპისკოპოსოთა მემკვიდრეობით დაპატრონებას.

გიორგი ათონელის მოწოდება იმხანად ვერ განხორციელდა.

სხვა ვითარება იყო ახლა, როცა ქართველი ხალხის გადარჩენის საქმე ეკლესიის მმართველობაში სათანადო ცვლილებას კატეგორიულად მოითხოვდა, ხოლო საქართველოს მეფის გარშემო, სახელმწიფო კარზე, შემოკრებილი იყო გიორგი ათონელის იდეურ მემკვიდრეთა ძლიერი დასი.

ეკლესიის საკითხების მოწესრიგება საეკლესიო კრების საქმე იყო. ასეთი კრების მონაწილენი მხოლოდ საეკლესიო მოღვაწენი იყვნენ.

დავით მეფის ბრძანებით 1103 წელს მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება. ბრძენმა პოლიტიკოსმა ხელი შეუწყო ამ კრების მონაწილეთა საგანგებო შერჩევას. კათალიკოზ-ეპისკოპოსებისა და მონასტრების წინამძღვართა გვერდით კრებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ დიდი ავტორიტეტის მქონე მონაზონ-მეუდაბნოენი, სახელმოხვეჭილი მწერალ-მწიგნობრები, მეცნიერ-ფილოსოფოსები. ისინი ეკლესიის მმართველობის საკითხში უპირატესად გიორგი ათონელის იდეებს იზიარებდნენ.

ამ კრების მოწვევის დროცა და ადგილიც საგანგებოდ იყო შერჩეული. ის ქართლში მეფის სადგომის ახლოს გამართული. ასეთი ღონისძიება გამოწვეული იყო იმით, რომ კრების წინაშე იდგა მეტად მძიმე ამოცანა — ეკლესიაში დიდგვარიან აზნაურთა გავლენის ლიკვიდაცია. საამისოდ მოწვეული კრება, რა თქმა უნდა, მეფის ფხიზელ თვალსა და განსაკუთრებულ დაცვასაც საჭიროებდა.

რუის-ურბნისის კრება (ასე უწოდებენ იმ კრებას) ხანგრძლივი და რთული საკითხებით აღსავსე ყოფილა. განსაკუთრებით მძიმე იყო ეკლესიიდან „უღირსი“ მღვდელმთავრების გაძევების საკითხი. „არა ადგილ იყო ესე ნათესავთა მათთა ძლიერებითა“, „რამეთუ იყვნეს მთავართა და წარჩინებულთა შვილნი“ — განმარტავს იმდროინდელი მწერალი. მიუხედავად სიძნელისა, კრებამ ეს საკითხი სასურველად გადაჭრა. დაუნდობლად გამოაძევეს ეკლესიიდან „უღირსად გამოჩინებულნი“ და მათ ადგილზე „ჭეშმარიტნი მწყემსნი“ დაადგინეს.

ამით დავით მეფის პოლიტიკური მიზანი მიღწეული იყო. მან დიდგვარიანთა რეაქციულ ოპოზიციას ჩამოაშორა დიდი ზნეობრივი და ნივთიერი ძალის მქონე მოკავშირე. მას შემდეგ საქართველოს ეკლესია მთელი თავისი შეძლებით მხარში ამოუდგა მეფეს გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლაში.

ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური გამარჯვების სამუდამოდ უზრუნველყოფისათვის მეფემ საგანგებო ღონისძიება გაატარა.

ჰყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობის შემოღება

აქამდე საქართველოს მეფეს ჰყავდა საკუთარი დიდ-მოხელე მწიგნობართუხუცესი ანუ მეფის სამდივან-მწიგნობრის გამგე. ჩვეულებრივ ამ თანამდებობაზე უბრალო ბერს ნიშნავდნენ ხოლმე. მაგრამ განსწავ-ლულ-გამოცდილი და სამეფო საქმეებში ჩახედული მწიგნობართუხუცესი მეფის უახლოესი მრჩეველი იყო და მას დიდი გავლენაც ჰქონდა.

რაკი მეფეს საეკლესიო საქმეების მოგვარებაში უშუალო მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა, მან ეს თავისი ერთგული მოხელე ბერი ჰყონდიდის (აწინ-დელი მარტვილის) მთავარეპისკოპოსად აქცია და საერთოდ წესად დაადო, რომ მეფის მწიგნობართუხუცესი იმავე დროს ჰყონდიდელიც ყოფილიყო. ამრიგად, შეიქმნა თანამდებობა ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს მეფის საკუთარი მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც.

პირველი ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი იყო მეფის უერთგულესი თანაშემწე, მისი პოლიტიკური აღმზრდელი და უპირველესი მრჩეველი გ ი ო რ გ ი მ ო ნ ა ზ ო ნ ი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე, იმ კრების „თვალი“.

კრების შემდეგ მეფეს კიდევ მეტი წარმატებით შეეძლო ეწარმოებინა მძიმე და ორმხრივი შეტევა თურქი მომთაბარეებისა და ქართველი დიდგვა-რიანი ფეოდალების წინააღმდეგ.

ხალხის ფართო მასებსა და მოლაშქრეთა რაზმებზე დაყრდნობით დავითმა არა მარტო ის იცოდა, თუ სად ეწყობოდა რეაქციონერთა შეთქმულება მეფის წინააღმდეგ, არამედ იცოდა ისიც, თუ ვინ რას ფიქრობდა და როგორ უყუ-რებდა ყოველივე იმას, რაც იმ დროს საქართველოში ხდებოდა. ამიტომ იგი უცდომლად და დროულად ატარებდა საჭირო ღონისძიებებს და მოღალატე შეთქმულთ მეხივით თავს დაატყდებოდა ხოლმე თავისი ერთგული ტაძრეულ-მოლაშქრეებითურთ.

და რეაქცია მწარედ აწუწუნდა. თვით მძლავრობა-უსამართლობის განსა-ხიერება, ეხლა ის მეფეს აბრალებდა „უსამართლობას“. მეფე კი ამით კიდეკ უფრო რწმუნდებოდა, რომ საქმე სწორად მიჰყავდა და, „ბოროტების სულთა მდევნელი“, ის განუხრელი სიმკაცრით განაგრძობდა დიდგვარიანთა დამორ-ჩილების პოლიტიკას.

ბრძოლა საქართველოდან თურქთა გასაძევებლად

ამავე დროს მეფე შეუნელებელ ომს აწარმოებდა საქართველოში ჩამომსხდარ თურქების წინააღმდეგ, ზედიზედ აცლიდა მათ ხელიდან ქართულ ციხე-ქალა-ქებს და ველურ დამპყრობლებს საქართველოს მიწა-წყლიდან ერეკებოდა.

1110 წელს ქართველთა ჯარმა მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი სამშვილდე აიღო, ამას ის მოჰყვა, რომ თურქებმა უბრძოლველად დატოვეს ქვემო ქართ-ლის დიდი ნაწილი.

1115 წელს ქართველებმა თურქებს ქალაქი რუსთავიც დაატოვებინეს.

უცხოელთა ხელში რჩებოდა თბილისი, მაგრამ იგი ეხლა ყოველი მხრივ გარშემორტყმული იყო ქართველთა ძალებით.

1117 წელს დავით მეფემ აიღო ჰერეთის უკიდურესი აღმოსავლეთის განაპირა ქალაქი გიში.

იმავე ხანებში მან არა ერთი სასტიკი დამარცხება აგემა თურქ დამპყრობელებს სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

1118 წელს ქართველებმა ხელიდან გამოგლიჯეს თურქებს ლორეს ციხე — უძლიერესი სიმაგრე „ქართველთა ველში" (აწინდელი ტაშირი) და ამ ქვეყნიდანაც ამოუკვეთეს ფეხი თურქ მომთაბარეებს.

დავით მეფის სამხედრო ღონისძიებანი

თურქებთან ბრძოლა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. მართალია, საქართველოდან მტერი თითქმის სულ განდევნილი იყო, მაგრამ ქვეყანა მაინც საფრთხეში იმყოფებოდა, ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შარვანი, რანი) და სამხრეთი (სომხეთი) თურქთა ხელში რჩებოდა და ვიდრე საქართველოს მოსადგომებზე, ყაბალა-განძა-ანისში, თურქები ბატონობდნენ. ასე რომ საქართველოს საზღვრებს იქით ომის გადატანა სრულიად აუცილებელი იყო საქართველოსავე თავდაცვისათვის.

კავკასიის მოძმე ხალხები თვითონაც ებრძოდნენ დამპყრობელ თურქებს და მზად იყვნენ გვერდში ამოსდგომოდნენ მებრძოლ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

მეტად დიდი ამოცანა ისახებოდა: **თურქების განდევნას ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანება მოჰყვებოდა, ხოლო გამაერთიანებლის როლში საქართველო გამოდიოდა.**

მაგრამ ამოდენა საქმის შემართება საგანგებო ღონისძიებათა გაუტარებლად საქართველოს არ შეეძლო. ისედაც ხშირად ისმოდა დრტვინვა, ქართველ რეაქციონერთა ბანაკიდან რომ გამოდიოდა: მუდმივმა ლაშქრობამ, ბოლომოუღებელმა ომმა ხალხი მოღალა, მეტი აღარ შეგვიძლიანო. ომი მართლაც მძიმე იყო, მაგრამ რეაქციონერებს სულ სხვა მუცლის გვრემა ჰქონდათ: მათ ხალხის მოღლა-გაჭირვება კი არ აწუხებდათ, არამედ მეფის კიდევ უფრო გაძლიერებისა ეშინოდათ.

დიდი ამოცანა, მებრძოლი საქართველოს წინაშე რომ დაისვა, საგანგებო ღონისძიებას მოითხოვდა და დავით მეფის კარმა შესაფერისი გადაწყვეტილებაც მიიღო.

უცხოელთა დამხმარე ჯარის მოწვევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო საქართველოში. ასეთ ლაშქარს კავკასიის მთიანეთში ან იმიერკავკასიაში ქირაობდნენ. დათქმულ დროს დათქმული მტრის წინააღმდეგ ალაშქრებდნენ და შემდეგ ისევ შინ ისტუმრებდნენ ხოლმე.

დავით მეფე სულ სხვა გზას დაადგა. მან საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლება გადაწყვიტა. ყივჩაყები იმიერკავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ველებზე მომთაბარე ძლიერი და მეომარი ტომი იყო.

ქართველები კარგად იცნობდნენ ყივჩაყებს და მათთან ცხოველი ურთიერთობაც ჰქონდათ. დავით მეფის მეუღლე ყივჩაყთა მთავრის ასული იყო.

იმ დროს ყივჩაყთა ერთ-ერთი ტომი რუსეთის დიდ მთავარს სამხრეთ

რუსეთის ველებიდან ძალით გამოეძევებინა და, დამარცხებული, იმიერკავკასიაში იყო შემოხიზნული.

საქართველოს მეფემ მოლაპარაკება გამართა ამ ყივჩაყებთან და ისინი საქართველოში გადმოსვლაზე დაითანხმა.

1118 წელს დავით მეფე და მისი მწიგნობართუხუცესი გიორგი დარიალს გაემგზავრნენ. მეფემ იქიდან დაიმორჩილა ოსები, რომელთაც ყივჩაყებთან მტრობა ჰქონდათ და მათთვის საქართველოში გადმოსასვლელი გზის მიცემა არ სურდათ, დაიჭირა ოსეთის ციხეები და უზრუნველყო მშვიდობიანი გზა. ამის შემდეგ 45 ათასი ყივჩაყთა ოჯახი საქართველოში გადმოვიდა.

ქართველმა რეაქციონერებმა განზრახ განგაში ასტეხეს: ეს ამოდენა ველური ხალხი დახმარების ნაცვლად ჩვენვე წაგვლეკავსო. მათი ნამდვილი საწუხარი კი ის იყო, რომ მეფე უზომოდ ძლიერდებოდა.

დავითმა საქმე ბრძნულად მოაწყო. მან ყივჩაყებს მიწები მიუჩინა და მომთაბარეობის ნაცვლად თანდათან მკვიდრი მოსახლობა დააწყებინა. ასეთი ყივჩაყები კი იგივე მდაბიორ-მოლაშქრეები ხდებოდნენ. წარმართი ყივჩაყები თანდათან ქართულ ცხოვრებას ეზიარნენ, გაქრისტიანდნენ, გაქართველდნენ.

ყივჩაყი მეომრები გუნდებად დაყვეს და ჯეროვნად გაწვრთნეს, იარაღი მათ სამეფო საწყობიდან მისცეს, ცხენები — მეფის ჯოგებიდან გამოუყვანეს.

ყივჩაყთაგან დავითს 40000 ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქარი მოუდიოდა. ამას გარდა მეფემ გაიმრავლა საკუთარი **მცველთა ჯარი,** რომელიც ეხლა უკვე ხუთი ათასი მეომრისაგან შედგებოდა. ამ ჯარს „მონა-სპა“ ეწოდებოდა.

მეფის ასე გაძლიერების შემდეგ ქართული საპატრონყმო ლაშქარიც საიმედო და სანდო გახდა. ეხლა ვეღარც ერთი დიდგვარიანი აზნაური ვერ გაბედავდა და თავისი დროშის ლაშქარს მეფის სამტროს ან მის უნებურს ვერაფერს აქნევინებდა.

ამრიგად, საქართველოს მეფე ძლიერი ხელმწიფე შეიქნა.

დიდგორის ომი

ასე, ყოველმხრივ მომზადებულმა დავითმა 1120 წელს დაიწყო გენერალური შეტევა თურქთა წინააღმდეგ ამიერკავკასიაში.

საქართველოს მეფემ გაილაშქრა შარვანში. თურქთა პოზიციები აქ სუსტი იყო. შარვანის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თურქთა წინააღმდეგი იყო და ქართველებს აქტიურად ეხმარებოდა. დავითმა ქალაქი ყაბალა აიღო. იმავე ხანებში ქართველებმა დაარბიეს შარვანისა და რანის სხვადასხვა ოლქები.

შარვანის მფლობელი ქართველთა მეფის ყმადნაფიცი გახდა, ხოლო შევიწროებულმა თურქებმა სპარსეთში მჯდარ თურქთა სულტანს სთხოვეს ქართველების წინააღმდეგ დახმარება. სულტანმა საფრთხე სწორად შეაფასა და კოალიციური ლაშქრობის თადარიგი დაიჭირა. მაჰმადიანთა გასაჭირის ლოზუნგით მან მრავალი მაჰმადიანი მეფე-მთავარი აღძრა და საქართველოს უზარმაზარი ჯარი გამოუსია.

დავითი მტერს სავსებით მომზადებული დაუხვდა. მან ქართველთა ლაშქრის შედგენილობა ამ ომისათვის საგანგებოდ შეარჩია.

ქართველთა და ყივჩაყთა გარდა ამ ომში მონაწილეობდა დასავლეთ ევროპელ ჯვაროსანთა ათასი მეომრისაგან შემდგარი რაზმი.

დავითი თავისი ჯარით თვით გაეგება მტერს და იქ აიძულა მას ომის დაწყება, სადაც ქართველთათვის იყო ხელსაყრელი. ომი მოხდა თრიალეთ-მანგლისის მხრიდან შიდა ქართლისაკენ მომავალ გზებზე, უმთავრესად კი **დიდგორის მიდამოებში.** ამ ვიწროებში მტერმა თავისი რიცხობრივი სიჭარბე ვერ გამოიყენა და სასტიკადაც დამარცხდა. მრავალი ათასი ტყვე და აურაცხელი სიმდიდრე დავლად დარჩათ ქართველებს. მტრის ვეება ჯარის მცირე ნაწილმა-ღა უშველა თავს გაქცევით. ეს მოხდა 1121 წლის აგვისტოში.

ამ გამარჯვებას ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ თურქების ძლიერებაუძლეველობას უკვე სახელი გაუტყდა, ქართველები კიდევ უფრო გამხნევდნენ, ხოლო მანამდე თურქთა უღელ-ქვეშ მყოფ ხალხებს განთავისუფლების ნამდვილი იმედი აღეძრათ.

ფეოდალური მონარქიის ტექნიკურის ზრდა

1122 წელს დავით მეფემ თბილისი აიღო და ის საქართველოს სატახტო ქალაქად აქცია. ამრიგად, 400 წელს უცხოელთა ხელში ნამყოფი ქართველთა დედაქალაქი ისევ საქართველოს დაუბრუნდა.

მიუხედავად მძიმე მარცხისა თურქები ფარ-ხმალს არ ყრიდნენ, მედგრად იბრძოდნენ და საპასუხო ლაშქრობასაც აწყობდნენ. 1123 წელს თურქთა სულტანი შარვანში შეიჭრა, ქალაქი შამახია აიღო, შარვანის მფლობელი შეიპყრო და საქართველოს მეფეს მუქარით სავსე წერილი გამოუგზავნა.

დავით მეფე სასწრაფოდ შეემზადა და შარვანში გაჩნდა. სულტანმა შებმა სახიფათოდ ჩათვალა, ომს მოერიდა და შარვანის ქვეყანას გაეცალა. დავით მეფემ უწინდელი მდგომარეობა აღადგინა, მაგრამ დროებით. ცოტა ხანს შემდეგ (1124 წ.) მან საჭიროდ მიიჩნია ამ ქვეყნის შემოერთება საქართველოსათვის. ციხეებსა და ქალაქებში დავითმა ჰერ-კახთა მოლაშქრეები ჩააყენა, ხოლო „გამგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა“ თავისი ერთგული დიდმოხელე დანიშნა.

ამავე ხანებში ქართველთა ჯარი ენერგიულად ერეკებოდა თურქ მომთაბარეთა ნაშთებს სამხრეთ საქართველოდან და სომხეთიდან.

სომეხი ხალხი ამ ომში მთლიანად ქართველთა მხარეზე იყო და მოძმე ქართველებთან ერთად მხნედ ებრძოდა თურქ დამპყრობლებს. ამიტომ სომხეთის განთავისუფლება გაადვილებული იყო: მტერს ზურგიდან აჯანყება, ხოლო პირისპირ კი ქართველთა ჯარი ანადგურებდა.

1124 წლის ზაფხულში დავით მეფე თრიალეთში ისვენებდა. იქ მას სომხეთის დედაქალაქ ანისიდან მოციქულები მოუვიდა. ანელ მოქალაქეთა თავკაცები მეფეს ანისზე იწვევდნენ და ქალაქის ჩაბარებას პირდებოდნენ. ანისის პატრონი იმ დროს თურქი ამირა აბულ სოვარი იყო.

მეფემ „წიგნები წვევისა წარსცა ყოველთა“ და ჯარის შეყრა ბრძანა. მესამე დღეს მის წინაშე მზად იყო სამოცი ათასი მხედარი. ამ ჯარით მეფე სომხეთში გადავიდა და ქალაქ ანისს გარს შემოადგა. თურქები დანებდნენ. დავითმა ამირა აბულ სოვარი თავისი ოჯახითურთ ტყვედ გაგზავნა დასავლეთ საქართველოში, ხოლო ანისი საქართველოს შემოუერთა.

ანისის აღებით საქართველოს შემოუერთდა სომხეთის ერთი ნაწილი. ეხლა დავითი უკვე იყო მეფე დიდი სახელმწიფოსი, რომლის სივრცეს „ნიკოფ-

სითგან (აწინდელ კრასნოდარის მხარეში) დარუბანდის (აწინდელი დერბენტი) საზღურადმდე და ოვსეთიდგან (იგულისხმება ჩრდილო ოსეთი) არეგაწადმდე (სომხეთში) თვლიდნენ.

შამახია-ყაბალისა და ანისის დაკარგვა თურქთა დიდ მარცხს ნიშნავდა. მაგრამ ამით ამიერკავკასიიდან მათი განდევნის საქმე მაინც არ იყო დასრულებული. თურქები ჯერ ისევ მტკიცედ ისხდნენ განძას, დვინსა და ბევრ სხვა ქალაქსა და ქვეყანაში.

ანის-შამახიის განთავისუფლების შემდეგ დავით მეფეს ამ მიმართულებით კიდევ უფრო დიდი გეგმები დაუსახავს. უეჭველია, რომ ის უპირველეს ყოველისა შეუტევდა განძას, რომელიც ეხლა თურქთა უმთავრესი დასაყრდენი იყო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ დავითს განაზრახის შესრულება აღარ დასცალდა. ის 1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა.

საგეფო ხელისუფლების საშინაო პოლიტიკა

ეს დიდი ბრძოლა, რომელიც საქართველომ თურქობას გაუმართა, ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი გამოცდა იყო.

ქართველი ხალხის ძალთა მობილიზაცია, რომელსაც თურქობასთან დიდი ბრძოლა მოითხოვდა, საქართველოს ცხოვრების ყოველ მხარეს შეეხებოდა — სოციალურს თუ პოლიტიკურს, ეკონომიურსა თუ კულტურულს. ყოველივე განიხილებოდა და შეფასდებოდა მისი ამ ბრძოლაში გამოსადეგისობის თვალსაზრისით. ყველაფერი, რაც ამ დიდ ბრძოლაში ქართველი ხალხის წარმატებას ხელს უწყობდა, მისაღები იყო, ყველაფერი, რაც ამ საქმეს ვნებდა და ხელს უშლიდა, უარსაყოფი და დასაგმობი იყო.

და მართლაც, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩენილა ისეთი, რომელსაც ახალი სახელმწიფო კარი არ შეხებოდეს დავით მეფის საჯით.

დავითის სოციალური პოლიტიკა უპირატესად წვრილ აზნაურ-მოსაკარგავეთა და ვაჭარ-მოქალაქეთა ინტერესებს გულისხმობდა. იმავე დროს მეფე, ბუნებრივია, ვერ უგულებელყოფდა მდაბიორ-მოლაშქრეებს, რომელთა კისერზედაც გადადიოდა თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სიმძიმე.

ამ საზოგადოებრივ ფენებზე დაყრდნობით შენდებოდა ახალი ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც ცენტრალისტური გაერთიანების ცხადი ნიშნები ჰქონდა.

საერთოდ, საშუალ საუკუნეებში სოციალური თუ პოლიტიკური ძლიერების საფუძველი მიწა იყო. მეფის პოლიტიკური ძალაც უპირატესად საკუთრად სამეფო ქვეყნების სიდიდე-სიმრავლეს ემყარებოდა.

დავითის დროს მეფის სახასო საქონებელი უზომოდ გაიზარდა. მეფემ არა ერთ ორგულ მოჯანყე დიდაზნაურს ჩამოართვა მამული და სამეფოდ აქცია. არა ერთგან „მოიკითხა“ და სამეფო ქონებადვე აქცია ქვეყნები. დიდაზნაურებს რომ ჰქონდათ დიდი ხნის მითვისებულ-მიტაცებული. ასევე სამეფოდ იქნა ჩარიცხული ჰერეთ-კახეთის მეფისა და თბილისის ამირას ნაქონები ქვეყნები, თურქთა მიერ დატოვებული ქართული მიწა-წყალი ქვემო ქართლსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ამრიგად, საქართველოს მეფის განკარ-

გულებაში აღმოჩნდა უზარმაზარი ფონდი, რომელსაც დავით მეფე სამემკვიდ-
რეოდ კი არა, არამედ საკარგავად (ე. ი. სამოხელეოდ, დროებით) უწყალო-
ბებდა ხოლმე თავის ერთგულსა და მორჩილ მოხელე-მოღაშქრეებს.

ასეთივე იყო დავითის პოლიტიკა ახალშემოერთებული არაქართული ქვეყ-
ნების — სომხეთისა და შარვანის მიმართ.

სახელმწიფოებრივი წყობა

აი ასეთი ქვეყნის სათავეში იდგა მეფე. მისი უფლება
განუსაზღვრელი იყო. ეს უფლება, როგორც მისი
მომხრეები ამტკიცებდნენ, მეფეს მინიჭებული ჰქონდა
ღვთისაგან, რომლის ნებასაც ამ ქვეყნად მეფე განასახიერებდა. ამიტომ მეფის
წინააღმდეგ მოქმედება თვით ღვთის წინააღმდეგ მოქმედებად იყო გამოცხა-
დებული.

დავითის დროს ქვეყნის მართვა-გამგეობას ადგილებზე **ერისთავები** ახორ-
ციელებდნენ, ხოლო ცენტრში — **დარბაზის კარი.** დარბაზის კარს შეადგენდნენ
დიდმოხელენი, რომელნიც სახელმწიფო მმართველობის ამა თუ იმ უწყებას მე-
თაურობდნენ: სამხედროს, საფინანსოს, წესრიგისას. ეს დიდმოხელენი მეფის
მრჩეველნი იყვნენ, მაგრამ მათ რჩევის მოვალეობა ჰქონდათ და არა უფლება.
ამ დიდმოხელეებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჭყონდიდელ-მწიგნობართ-
უხუცესი, რომელიც მეფის შემდეგ მეორე პირი იყო სახელმწიფოში. ის მეფის
„მამად" და „ვაზირად" იწოდებოდა და მას არა მარტო რჩევის მოვალეობა.
არამედ რჩევის უფლებაც ჰქონდა: მის უკითხავად ქვეყნის მართვა-გამგეობაში
არაფერი ხდებოდა. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ყველგან და ყველა-
ფერზე მიუწვდებოდა ხელი.

ბაგრატ III-დან მოკიდებული, საქართველოში მეფის შემდეგ მეორე პირი
ქართლის ერისთავი იყო. დავით მეფემ დაამცირა ქართლის ერისთავის მნი-
შვნელობა და განადიდა მწიგნობართუხუცესი, რომელსაც, გარდა აღნიშნუ-
ლისა, მან ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თანამდებობაც მიანიჭა.

ლონისძიებანი სამარ-თლის დარგში

მანამდე საქართველოში უზენაეს სამართალს თვით
მეფე აწარმოებდა, ქვრივ-ობოლთა და მიმძლავრე-
ბულთა (ე. ი. უსამართლოდ დაჩაგრულთა) საჩივრებს
იგი არჩევდა. დავითმა შექმნა „სააჯო კარი" (ე. ი. სასამართლო დაწესებულება)
და მისი მეთაურობა დაავალა მწიგნობართუხუცესს, რომელთან ერთად ამ სასა-
მართლოში ორი სხვა მწიგნობარიც იჯდა.

მეტად დიდი და მძიმე იყო ძალადობა-უსამართლობა ფეოდალურ საქარ-
თველოში მაშინაც კი, როცა ქვეყანა სწრაფ აღმავლობას განიცდიდა. დიდი
აზნაური თავისი სახლისკაცებით, დიდმოხელე-ერისთავი თავისი აგენტებით,
შეკობრე-ჭაბუკები, იჯარადარ-ხარკის ამკრეფნი, მეზვერე-მებაჟენი და სხვა
ათასი ასეთი „მძლავრობდა" და „აპირვებდა", ვისაც კი მოახელებდა.

დაჩაგრულ-მიმძლავრებულნი ხმამაღლა ჩიოდნენ და „მართალ სამართალს"
მეფესთან ეძებდნენ.

ისეთ მოწესრიგებულ სახელმწიფოში, როგორადაც საქართველო იქცა და-
ვითის დროს, „სააჯო კარის" შექმნა სრულიად აუცილებელი იყო. ეს სააჯო
კარი განიკითხავდა ქვრივ-ობლებსა და უსამართლოდ დაჩაგრულებს. სააჯო

კარს დახმარება უნდა აღმოეჩინა ან, როგორც მაშინ იტყოდნენ, „ხელი აეპყრო“ ასეთ მოჩივართათვის, დაეცვა ისინი, სამართალი აღედგინა.

სააჯო კარი რეგულარულად მუშაობდა და მეფის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ბუნებრივი იყო, რომ დიდგვარიან აზნაურებს სძულდათ ესოდენ გაძლიერებული ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, „ქვრივ-ობოლთა, უღონოთა და მიმძლავრებულთა ხელისამპყრობელი“, და მის წინააღმდეგ ბრძოლას მართებულად უკავშირებდნენ მეფისა და მის მიერ შექმნილი ახალი სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ საერთო ბრძოლას.

სამეფო ხელისუფლების ეკონომიური ღონისძიებანი

ის დიდი ამოცანები, რომლებიც ქვეყნის წინაშე იდგა გადასაჭრელად, დიდ მატერიალურ სახსრებსაც მოითხოვდა. ამ მიზეზით იყო, რომ სამეფო კარი ისეთ საგანგებო ღონისძიებასაც კი არ ერიდებოდა, როგორიც იყო იძულებითი სესხი, დავით მეფემ რომ საქართველოს ეკლესიას დააკისრა.

მატერიალური სახსრების ასეთი საყოველთაო მობილიზაციის დროს სახელმწიფო კარს არ შეეძლო ამ საქმის სიმძიმე ქალაქებისთვისაც, ვაჭარ-მოქალაქეთათვის არ გაენაწილებინა.

აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის ხანაში საქართველოში მრავლად აღმოცენდა ქალაქები. ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მათ თანდათან მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს. მალე მთელი საქართველო დაიყო „ქვეყნებად“ (ძველი „ხევების“ ნაცვლად), რომელთა ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ქალაქი იყო. ამა თუ იმ „ქვეყანაში“ ზოგჯერ ორი და მეტიც ქალაქი არსებობდა. მაგრამ „სავაჭრო ერი“, გარდა ქალაქებისა, ხშირად სხვა ადგილებშიც „ქალაქობდა“. ე. ი. აღებ-მიცემას აწარმოებდა. განსაკუთრებით ეტანებოდნენ ვაჭრები მონასტრებს და „სავაჭრო ერის კრება“, აკრძალვის მიუხედავად, ხშირად იმართებოდა მონასტრების სიახლოვეს, მათ გალავანთან.

ქალაქების ეს სიმრავლე, ვაჭრობის ეს სიცხოველე ცხოვრების დაწინაურების მაჩვენებელი იყო.

ქალაქი თანდათან ფეოდალური არისტოკრატიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. დიდაზნაურთა შემოსავლის მნიშვნელოვანი წილი მოქალაქეთა (ვაჭარ-ხელოსანთა) ექსპლუატაციაზე მოდიოდა.

ასევე დაინტერესებული იყო ქალაქებით მეფე. დავითის ახალი სახელმწიფო მნიშვნელოვანწილად ემყარებოდა ამ ახალ ძალას. ამიტომ იყო, რომ დავით მეფე განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ქალაქთა მშენებლობისა და მოქალაქეთათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის საკითხებს.

დავით მეფის ნებით და ხელის შეწყობით გორის ციხე და მისი მიმდგომი დაბა ქალაქად იქცა. მეფის ბრძანებით აქ დასახლდნენ სომხეთიდან მოსული ვაჭრები. ეს იყო იმ დროს, როცა თბილისი ჯერ ისევ უცხოელთა ხელში იმყოფებოდა და დავით მეფე მეტწილად ნაჭარმაგევს (აწინდელი კარალეთი) იდგა ხოლმე.

დავითისავე ნებით დაარსდა ქალაქი ბ ა რ ა ლ ე თ ი ჯავახეთში, სადაც ჯერ კიდევ XI საუკუნეში წარმოშობილიყო მეორე ქალაქი—ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი.

ეკონომიურ ღონისძიებათა რიგს განეკუთვნება დავით მეფის სამონეტო პოლიტიკაც.

დავითის დროისათვის საქართველოს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობა იმ მხრივ შეიცვალა, რომ მთავარი მნიშვნელობა ქვეყნისათვის უკვე აღმოსავლეთთან ვაჭრობას მიენიჭა და თვით დავითის სამეფოში შემოვიდა მეტად მნიშვნელოვანი ქალაქები — თბილისი, რუსთავი, შამახია, ანისი და სხვ., რომელნიც სავაჭრო ურთიერთობით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული აღმოსავლეთის ქალაქებთან.

დავითმა მართებულად გაითვალისწინა შეცვლილი ვითარება და ქართული მონეტა, მისი არაბული ზედწერილით, აღმოსავლურ-მაჰმადიანურს დაუახლოვა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისეთი ღონისძიება, როგორიცაა გზების მშენებლობა. ქვაფენილი გზები, დავითის ბრძანებით რომ იქნა გატანილი, საგზაო სადგურები ანუ ფუნდუკ-ქარვასლები, გარკვეულ ადგილებში რომ იქნა აშენებული, და ხიდები, მდინარეებზე რომ იქნა გადებული, არა მარტო სამხედრო მიზნებით გამოწვეული ღონისძიება იყო, არამედ არა ნაკლებ ეძსახურებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ურთიერთთან სამეურნეო დაახლოებას და ქართული თუ უცხოური სავაჭრო ქარავნების უზრუნველი მიმოსვლისათვის საჭირო პირობების შექმნას.

საქართველოს — მრავალეროვანი სახელმწიფო

დავითის დროს საქართველო მრავალეროვან სახელმწიფოდ იქცა. სამეფო კარს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება, სადაც მაჰმადიანური კულტურა ბატონობდა, და ამისდა შესაბამისად, ერთა შორის კულტურული თანაცხოვრების პოლიტიკური კურსი შეემუშავებინა. მართალია, საქართველო ქრისტიანული ქვეყანა იყო და ბიზანტიის მემკვიდრეობას იჩემებდა, მაგრამ საქართველოში მუსლიმანობას არავინ დევნიდა. დავით მეფე დიდი პატივით ეპყრობოდა მუსლიმან სჯულის მოძღვართ, მფარველობდა მუსლიმან ვაჭრებს, მეგობრობდა მუსლიმან პოეტებს და ფილოსოფოსებს, ასე რომ ამათ დავითის „ქრისტიანულ სამეფოში“ სრულიადაც უარესად არ ეცხოვრებოდათ, ვიდრე მუსლიმან ხელმწიფეთა სამფლობელო ქვეყნებში.

მოკლედ რომ ითქვას: **დავითი თურქ დამპყრობელთ ებრძოდა და ერეკებოდა ამიერკავკასიიდან და არა მუსლიმანობას.**

ღონისძიებანი კულტურის დარგში

დავითის სახელმწიფო კარის პოლიტიკა ქართული კულტურის დარგში მიზნად ისახავდა განვლილი გრძელი გზის თავის მობმას. კულტურული დამოუკიდებლობა, რომელსაც საქართველომ ბერძნულ-ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობაში დიდის წარმატებით მიაღწია, დავითის დროს იმით დაგვირგვინდა, რომ ამ მეფის ინიციატივით საქართველოში შეიქმნა **„სხვა ათინა“**, ე. ი. სამეცნიერო-საღვთისმეტყველო დაწესებულება, სადაც თანამედროვე სიბრძნე ბუდობდა და საიდანაც ეს სიბრძნე შეეძლოთ მიეღოთ ყველა იმათ, ვინც ამიერიდან საქართველოს გარშემო ერთიანდებოდა. ეს დაწესებულება იყო **გელათის აკადემია** — უმაღლესი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო დაწესებულება მოძღვართ-მოძღვარის (ე. ი. საღვთისმეტყველო მეცნიერებათა მასწავლებლის)

მეთაურობით. აქ, მის მიერვე აგებულ გელათში მოუყარა დავითმა თაყვ ყოველი მხრიდან სახელგანთქმულ ქართველ მოღვაწეებს: ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსებს, მთარგმნელ-კომენტატორებს, ფილოლოგებს. სწორედ გელათში მოღვაწეობდა და დავით მეფის განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა პეტრიწის მონასტრიდან მოსული დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწონელი.

მაგრამ უკვე დიდი ხანი იყო, რაც ფეოდალური საქართველოს სულიერი კულტურა ქრისტიანობით აღარ ამოიწურებოდა. აღმოსავლეთის არაქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობას ქართველი ხალხისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული ფეოდალური საზოგადოება თანდათან მჯიდრო კულტურულ კავშირს აბამდა მეზობელი ქვეყნების ფეოდალურ საზოგადოებასთან, მიუხედავად იმისა, თუ რა სარწმუნოებისანი იყვნენ ეს მეზობლები.

ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების ამ ახალ საფეხურზე აღორძინდა ქართული საერო მხატვრული მწერლობა და პოეზია. მეზობელ ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე საქართველოში თანდათან გავრცელდა აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურა, მეცნიერება.

დავით მეფე ამ საერო მწერლობის დიდი მოამაგე იყო. მაგრამ საქართველოში ამ დროს საკუთრივ მუსლიმანი პოეტებიც დიდ პატივში იმყოფებოდნენ. დავით მეფის ბრძანებით თბილისში ამ პოეტების თავშესაფარად სპეციალური სასახლე იქნა აგებული.

ამრიგად, დავითის მეფობაში საქართველოს ყოველმხრივ დიდი წარმატება ჰქონდა. სახელმწიფო გაიზარდა, განმტკიცდა, ეკონომიურად გაძლიერდა; კულტურულად, იმ დროის შესაბამისად, უმაღლეს საფეხურს მიაღწია. თურქები კი მარცხდებოდნენ. მოკლედ: **ახლო აღმოსავლეთში საქართველო საერთაშორისო მნიშვნელობის ძალად იქცა.**

მაგრამ ჯერ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა; ჯერ არც დიდგვარიანი აზნაურები გადალუღიყვნენ და არც თურქებს აეღოთ ხელი ამიერკავკასიაში კვლავ გაბატონების განზრახვაზე. ასე რომ, ჩვენს ქვეყანას ისევ დიდი ბრძოლა ედო წინ და ეს ბრძოლა მით უფრო მწვავე და დაუნდობელი ელოდა მას, რაც უფრო ინტენსიური, რაც უფრო სწრაფი იყო ფეოდალური საქართველოს განვითარება XII საუკუნეში.

დავით IV პიროვნება

ბუნების მიერ მძლავრი გონებითა და რკინისებური ნებისყოფით დაჯილდოებული, თავისი დროისათვის ღრმად განსწავლული დავით IV ადრევე ჩამოყალიბდა ძველი საქართველოს ერთ-ერთ უველაზე უფრო გამოჩენილ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწედ. მას შეთვისებული ჰქონდა აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს განათლება და თანაც საფუძვლიანად შესწავლილი არაბული და სპარსული ენები. არაბი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ დავით მეფე კარგად იცნობდა ისლამსაც და ერთ დროს ვინმე განჯელ ყადისაც კი გამოჰკამათებია ყურანის წარმოშობის საკითხების გარშემო. დავითის გონებრივ ინტერესთა წრე მეტად ფართო იყო, მის ცნობისმოყვარეობას ვარსკვლავთმრიცხველობაც კი იზიდავდა.

მისი თანამედროვე მოღვაწე, შესანიშნავი ისტორიული თხზულების,

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“-ს ავტორი, მრავალ ამბავს მოგვითხრობს ბუნებრივ-ბრობით დავითის მუდმივი გატაცების შესახებ.

დავითის საყვარელი დარგი ისტორიული მწერლობა ყოფილა. მას ჰქონია გზაში და ლაშქრობაში სატარებელი წიგნთსაცავიც, რომელსაც იგი არასდროს არ იშორებდა. როცა მას კითხვისაგან თვალი დაეღლებოდა, დავითი სხვას აკითხებდა, დიდი ყურადღებით უსმენდა, განმეორებით გამოჰკითხავდა ხოლმე და ჩვეულებრივ „თვით განუმარტავდა წანაკითხის ძალასა და სიღრმეს“.

დავით მეფე დიდბუნებოვანი, თავისი დროის მოწინავე აზროვნების კაცი იყო. იგი ბრმა ნდობით როდი ეკიდებოდა მრავალს რასმე, რაც სამღვდელოებას ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნდა. იმავე დროს მან სახელი მოიხვეჭა თავისი საოცრად ლმობიერი მოპყრობით უცხო ტომებისა და უცხო სარწმუნოებათა მიმდევრების მიმართ.

თ ა ვ ი X

საქართველოს ეკონომიური და სოციალური ვითარება XI-XII საუკუნეებში

§ 1. საქართველოს ეკონომიური ვითარება XI-XII საუკუნეებში

სოფლის მეურნეობა

XI—XII საუკუნეებში საქართველო ეკონომიურად დიდად განვითარებული ფეოდალური ქვეყანა იყო. სოფლის მეურნეობის დაწინაურებულობას მოწმობდნენ ის დიდი სარწყავი არხები, რომლებიც ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში, შიგნით კახეთში და გაღმა მხარში იქნა გაყვანილი XII საუკუნეში. ეს გრანდიოზული ნაგებობანი სახელმწიფო ღონისძიების შედეგი იყო. შიგნით კახეთის (ალაზნის) არხი 119 კილომეტრის სიგრძე იყო და 53 ათას ჰექტარ მიწას რწყავდა; 20 კილომეტრი სიგრძე ჰქონდა სამგორის არხს.

უფრო მცირე არხები მანამდეც და შემდეგაც მრავლად გაჰყავდათ ფეოდალებს (ეკლესია-მონასტრებს, დიდაზნაურებს) და სოფლის თემებს. ცხადია, გაზრდილ მოსახლეობას პურეულის მოსავალი არ ჰყოფნიდა და კულტურული მეურნეობა ნაკლის შევსებას არა მარტო სამეურნეო ფართობის გადიდებით, არამედ მეურნეობის ინტენსიფიკაციითაც ცდილობდა. სარწყავი ფართობის გადიდებასთან იყო დაკავშირებული მრავალგვარი პურეულის უხვი მოსავალი; სარწყავ ფართობს მოითხოვდა უაღრესად განვითარებული მევენახეობა, მეხილეობა-მებაღეობა, ბამბის კულტურა.

XI—XII საუკუნეებში საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგებს შორის აღსანიშნავია სელის წარმოება. სელი იმ დროს ფართო მოხმარების პროდუქტი იყო, სელისაგან გამოხდილი ზეთი საჭმელს გარდა საწვავ-სანათ მასალადაც იხმარებოდა. ფართოდ იყენებდნენ სელის ზეთს სხვა ტექნიკური დანიშნულებითაც და, უეჭველია, ის ცხოველი აღებ-მიცემის საგანი იყო.

ასევე ფართე მოხმარებისა და ცხოველი აღებ-მიცემის საგანი იყო თაფლი და ცვილი, რასაც დიდი რაოდენობით იძლეოდა განვითარებული მეფუტკრეობა. XI—XII საუკუნეებში ქართველ მეურნეებს ფუტკარი სპეციალურ ს ა ს კ ე ე ბ შ ი ჰყოლიათ მოშენებული.

ცალკე აღსანიშნავია განვითარებული მეცხოველეობა. მეფეს თუ სხვა ფეოდალებს (ეკლესია-მონასტრებს, დიდაზნაურებს) მრავლად დაუდიოდათ ცხვარი, ცხენის ჯოგები, მსხვილი რქოსანი საქონელი. განსაკუთრებით გან-

თქმული იყო საქართველო საუკეთესო ჯიშის ცხენებით. ცხენი და ჯორი მარტო ქვეყნის შიგნით კი არ იყო აღებ-მიცემის საგანი, არამედ მრავლად გაჰყავდათ უცხოეთშიც. აგრეთვე ფართო აღებ-მიცემის საგანი იყო მატყლი.

ხელოსნობა

საქართველოში დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობის შესაბამისად XI—XII საუკუნეებში განვითარებული იყო ხელოსნობაც. ხელოსნები იმ დროს მეფისა თუ სხვა ფეოდალების (ეკლესია-მონასტრების, დიდაზნაურების) კარ-სასახლეებშიაც შრომობდნენ, სოფლებშიაც და ქალაქებშიაც. ზოგნი ერთი კუთხიდან მეორეში მიმოდიოდნენ, ზოგნი ერთ ადგილას ისხდნენ და ცალ-ცალკე ან ჯგუფ-ჯგუფად, ხოლო ზოგიერთ დარგში, შეიძლება, თემობითაც კი ხელოსნობდნენ: მეთუნე-მეკეცენი (თიხის ჭურჭლის მკეთებელნი), მინის ოსტატები, მეაბჯრენი, მეხმლენი, მემშვილდენი, ცხენის იარაღ-საჭურვლის მჭედელ-მქსოველნი, ხუროები, კალატოზები, მემადნეები (ოქრო-ვერცხლისა, რკინა-ფოლადისა და სპილენძის „გამომახურვებელნი"), მჭედლები, ოქრომქანდაკებლები, ფეიქრები, მღებრები, ეტრატის (საწერი ტყავის) დამამზადებელნი, წიგნების გადამწერელნი, ფერწერის ოსტატები, ოქრონემსულის მოხელსაქმენი. ეს და ბევრი სხვა ხელოსნური დარგი ჰყვაოდა იმ დროს საქართველოში, ფეოდალური ქვეყნის ფართე მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და ამ საქმიანობაში მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოების მოზრდილ ნაწილს აბამდა.

მაღალ ხელოვნებამდე მიღწეული ხელოსნური ნაწარმი მოწმობს არა მარტო ხელოსანთა ხანგრძლივს, თაობიდან თაობამდე დაოსტატებას, არამედ ამა თუ იმ დარგის ხელოსანთა შორის, თუნდაც შეზღუდული, მეტოქეობის არსებობას. მეორე მხრივ, ეს გარემოება მოწმობს ხელოსნური ნაწარმის მომხმარებელთა განვითარებულ გემოვნებას.

ხელოსანთა უმრავლესობა ქალაქებში იჯდა და ქალაქური წარმოების ძირითად შინაარსსა ქმნიდა. ხელოსნობა იყო, რის გარშემოც უპირატესად თავს იყრიდა „სავაჭრო ერის კრება". ხელოსნური ნაწარმი იმ დროს აღებ-მიცემის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა.

ვაჭრობა

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარების მაღალი დონე ბუნებრივად იწვევდა ვაჭრობის გაცხოველებას. ვაჭრობა — აღებ-მიცემა წარმოებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხო ქვეყნებთან. მეფე და ფეოდალები დიდად იყვნენ დაინტერესებული აღებ-მიცემით და ჩაბმულიც იყვნენ ვაჭრობის საქმეში. მეფისა და ფეოდალების (დიდაზნაურების, ეკლესია-მონასტრების) „სავაჭრო" ერთნაირად მიმოდიოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში. კერძოდ, მეფის სავაჭრო საქმე მის ერთ-ერთ ვაზირს, მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა. საგარეო ვაჭრობა უპირატესად ფეოდალური მოხმარების საგნებით ხდებოდა. ვაჭართა ამხანაგობანი დიდ საქარავნო ვაჭრობას აწარმოებდნენ აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ქვეყნებთან: ერანთან, ერაყთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან, ყივჩაყეთთან და სხვა უფრო შორეულ ქვეყნებთანაც. შემოჰქონდათ ძვირფასი ქსოვილები, ძვირფასი ჭურჭელი, იარაღ-საჭურველი, სამოსელი, ბეწვეული, მატყლიც კი (განსაკუთრებით მაღალი ღირსებისა), პატიოსანი

ანუ ძვირფასი თვლები და მარგალიტი, ხელსაცხებელი, სანელებელი და სხვ. გაჰქონდათ აბრეშუმი, ბამბა, ძვირფასი სამოსელი, ოქრონემსული ფარჩა, ბეწვეული, ცხენები, ჯორები, თაფლი და ცვილი, სინდიყი და ნავთობიც კი. უეჭველია, ღვინო და კაკალი აგრეთვე მნიშვნელოვანი საგარეო ვაჭრობის საგანი იქნებოდა.

საშინაო აღებ-მიცემის საგანი იყო სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის მრავალგვარი პროდუქტი: პურეული, ზეთი, ღვინო, მატყლი, ცვილი, თაფლი, ცხენი, ჯორი, ხარ-ძროხა, რკინა-ზოდი და რკინეული, სახნისი, ტყავი, სამხედრო საჭურველი (ჯაჭვი, ჩაბალახი, მუზარადი, საბარკული, ხმალი, მშვილდი), ქვევრ-ჭური და თიხის სხვა მრავალნაირი ნაწარმი, მარილი, ყაჭი და სხვ.

ქალაქები

ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოში არა ერთი მდიდარი ქალაქი მოიპოვებოდა. იმ ხანის მიწურულიდან ხომ მრავლად წარმოიშვა „ახალქალაქები" ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ზოგი მათგანი სწრაფად დაწინაურდა და მალე საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან პუნქტად იქცა. ერთ ასეთ ახალქალაქს, **არტანუჯს** საგანგებოდ ასახელებს მეათე საუკუნის ბერძენი მწერალი.

მას შემდეგ, განსაკუთრებით XI—XII საუკუნეებში, ქალაქთა რიცხვმა საქართველოში კიდევ უფრო სწრაფად იმატა. ეს, ბუნებრივია, ხელოსნობისა და აღებ-მიცემის შემდგომი განვითარება-გაცხოველების შედეგი იყო. დამახასიათებელია, რომ XI—XII საუკუნეებში „ქალაქი" ეწოდებოდა არა მხოლოდ ზუუდეშემოვლებულს, ხელოსნებითა და ვაჭრებით დასახლებულ ადგილს, არამედ ყოველ ადგილს, სადაც კი ვაჭრობა და აღებ-მიცემა წარმოებდა, თუნდაც დროებით.

XII საუკუნეში, როცა საქართველოს მეთაურობით ამიერკავკასია გაერთიანდა, საქართველოს სამეფოში მოჰყვა დიდი სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები სომხეთისა (ანისი, დვინი, კარი), რანისა (განძა, ბარდავი, ბაილაკანი), შარვანისა (შამახია, ყაბალა) და აგრეთვე მრავალი ათეული მცირე ქალაქი.

ფეოდალური არისტოკრატია დიდად იყო მოწადინებული ხელთ ეგდო და შეენარჩუნებინა სიმდიდრისა და სოციალური ბატონობის ისეთი მნიშვნელოვანი წყარო, როგორიც იყო ქალაქები. ქალაქის შემოსავალმა, ვაჭრებისა და ხელოსნების სამსახურმა თანდათან უპირატესი მნიშვნელობა მოიპოვა ფეოდალის ეკონომიკაში. ამიტომ იყო, რომ ფეოდალური არისტოკრატია თავგამოდებით იბრძოდა ქალაქების დაუფლებისათვის. მაგრამ ასეთსავე ფასსა სდებდა ქალაქებს სამეფო ხელისუფლება, რომელიც აგრეთვე დაჟინებით ცდილობდა ამ ქალაქებზე თავისი უფლების შენარჩუნებას.

ამას მოწმობს ის გარემოება, რომ საქართველოს ქალაქებში, მათი კუთვნილების თვალსაზრისით, სხვადასხვა კატეგორია გამოირჩეოდა. ე. წ. „ძველნი ქალაქნი", როგორც, მაგალითად, თბილისი ან ქუთაისი, საფეოდალოდ არ გაიცემოდნენ; ისინი უშუალოდ სამეფო ქალაქები იყვნენ და მათი მართვა-გამგეობა თუ შემოსავალი მეფის ვაზირს, მეჭურჭლეთუხუცესს ეკითხებოდა. სხვა ქალაქები მეფეს ფეოდალებისადმი ჰქონდა გაცემული. გაცემა სხვადასხვა წესით ხდებოდა. ზოგ ქალაქს მეფე **სამამულოდ** (ანუ საშვილიშვილოდ), **ხელმოსხლეტით** გასცემდა ხოლმე, ე. ი. ამ ქალაქზე უფლებას მთლიანად უთმობდა

შეწყალებულ ყმას (დიდებულს) და ასეთი ქალაქი ეკონომიურადაც და სოციალ-პოლიტიკურადაც ამ ფეოდალზე დამოკიდებული ხდებოდა. ზოგჯერ კი მეფე ამა თუ იმ ქალაქის მხოლოდ შემოსავალს (მთლიანად ან ნაწილობრივ) უწყალობებდა ხოლმე ამა თუ იმ დიდებულს, ქალაქზე უფლებას კი თავისთვის იტოვებდა და ასეთი ქალაქის მმართველობა მეფის მოხელეთა ხელშივე რჩებოდა. ისეც მოხდებოდა ხოლმე, რომ მეფე ამა თუ იმ ქალაქის მოურავობას-ღა უწყალობებდა ფეოდალს. ასეთ შემთხვევაში შეწყალებული ფეოდალი ამ ქალაქის მოურავის თანამდებობას ასრულებდა და სამოურავო შემოსავლით კმაყოფილდებოდა, სოციალ-პოლიტიკურად კი მას ქალაქზე ხელი არ მიუწვდებოდა.

მოკლედ რომ მოვჭრათ: XI—XII საუკუნეთა საქართველოში ქალაქები დიდი სოციალ-ეკონომიური მნიშვნელობის ფაქტორი იყო და ის ბრძოლა, რომელსაც დიდი აზნაურები ხელისუფლების დაუფლებისათვის ეწეოდნენ XII საუკუნეში, მიმართული იყო არა მარტო მდაბიორ-მოლაშქრეთა საბოლოოდ დასამონებლად, არამედ ამავე დროს ეს იყო ბრძოლა ქალაქების დაუფლებისათვის, ვაჭარ-ხელოსნებზე უცილობლად ბატონობის ხელში ჩასაგდებად.

ფეოდალის მეურნეობის ორგანიზაცია — „სასახლე“

XI—XII საუკუნეებში ფეოდალები **სასახლეებში** ცხოვრობდნენ. სასახლე იმავე დროს იყო სამეურნეო ხასიათის ორგანიზაციაც, ფეოდალური მეურნეობის ადმინისტრაციული ცენტრი. სასახლეში იყო: **მარანი**, სადაც ზვრებიდან მიღებული ან საგლეხო გადასახადის სახით შემოსული ღვინო ინახებოდა, **ბეღელი** ხოდაბუნებიდან თუ ბეგრის სახით გლეხთაგან შემოსული პურეულისათვის, **საჯინიბო** ცხენებისათვის, **ბოსელი** ძროხა-ხარისათვის, **სახლი სამეხრეო,** სახლი **სამზარეულო** და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. იქვე ცხოვრობდა, განსაკუთრებულ შენობაში, ფეოდალი ან მისი ჩენილი პირი (მოურავი), რომელიც ამ მეურნეობას ადმინისტრაციულად აწესრიგებდა. იქვე, სასახლის შორიახლოს, სათანადო შენობებში ცხოვრობდნენ სასახლის მეურნეობასთან უშუალოდ დაკავშირებული მეღვინე-მემარნენი, მენახირე-მეხრე-მეჯოგენი და სხვა მოსახლენი.

ფეოდალის სადგომი სახლი ჩვეულებრივ ორსართულიანი იყო. ასეთ შენობას ძველ საქართველოში საერთოდ **ცხრაკარა** ეწოდებოდა იმიტომ, რომ მის საცხოვრებელ ნაწილს მრავალი კარი ჰქონდა ხოლმე. „ცხრაკარა“ კეთილმოწყობილ ნაგებობას წარმოადგენდა. მის ახლოს ჩვეულებრივ მოწყობილი იყო აბანო, რომელსაც წყალი ხშირად შორი მანძილიდან საგანგებო წყალსადენით მოუდიოდა. შიგნით ცხრაკარა ზოგჯერ მოხატული იყო. მაგალითად, თამარის მამის გიორგი მეფის სადგომი სახლი თბილისში მოხატული ყოფილა იმ ომთა სცენებით, რომლებიც ამ მეფეს თურქთა წინააღმდეგ წარმატებით უწარმოებია.

ფეოდალის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საჭურჭლეს და **აბჯარს. საჭურჭლე** ძვირფასეულის (ოქრო-ვერცხლის, ფაიფურისა და ფაიანსის — „ჩინური და ქაშანური“ — ჭურჭლის, თვალ-მარგალიტის, ქსოვილების, ფულის და სხვ.) საცავს ეწოდებოდა, ხოლო **აბჯარი** სამხედრო იარაღ-საჭურველის ზოგადი სახელი იყო. ასეთი იარაღის საწყობს **ზარადხანა** ეწოდებოდა. XII საუკუნეში სამეფო ზარადხანა წარმოადგენდა უზარმაზარ დაწესებულებას, სა-

დაც მრავალი ათასი ტანი აბჯარი და ცხენის აღკაზმულობა ინახებოდა. საჭურჭ-ლე XII საუკუნეში საქართველოს მეფეებს ჰქონდათ თბილისში, ქუთაისში, ატენში, უჯარმაში.

§ 2. სოციალური ურთიერთობა და ძლასთა ბრძოლა XI-XII საუკუნეებში

მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის დაშლა-გაჭრობა

მართალია, თურქთა შემოსევებმა საქართველოს საზოგადოებრივი განვითარება დროებით შეაფერხეს, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ჩვენს ქვეყანას აღმოაჩნდა ძალა, რომ მტერი უკუეგდო. ამიერიდან ფეოდალური საქართველოს წინსვლა კიდევ უფრო სწრაფი გახდა.

განვითარებული ფეოდალიზმის იმ საფეხურზე, რომელზედაც საქართველო იმჟამად იმყოფებოდა, საზოგადოებრივი წინსვლა, უპირველეს ყოვლისა, მდაბიორ-მოლაშქრეთა ანუ ერისგან-მოლაშქრეთა საზოგადოებრივი ფენის დაცემა-გაჭრობის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა.

საქართველოში იმ დროს მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოების უდიდეს ნაწილს ჯერ კიდევ მდაბიორ-მოლაშქრენი შეადგენდნენ.

კანონით მდაბიორ-მოლაშქრენი თავისუფალნი იყვნენ, თუმცა მათ ჰყავდათ „პატრონები“, „მფარველები“ (მეფე, ეკლესია-მონასტერი, დიდი თუ მცირე აზნაური), რომელთაც, დიდი ხანია, ამ მდაბიორ-მოლაშქრეთა მიწებზე ხელი დაედოთ, თავიანთი უფლება გაევრცელებინათ. მდაბიორ-მოლაშქრენი თავიანთ „პატრონთა“ „ყმებად“ ითვლებოდნენ და ამის შესაბამისად ემსახურებოდნენ კიდევაც მათ. მაგრამ რაც დრო გადიოდა და ქვეყნის განვითარება წინ მიიწევდა, მდაბიორ-მოლაშქრეთა უმრავლესობას სულ უფრო და უფრო უმძიმდა იმ მოვალეობის შესრულება, ქვეყნისა და პატრონის წინაშე რომ ემართა.

მდაბიორ-მოლაშქრეს მძიმე სახელმწიფო და კერძო-საპატრონო მოვალეობა აწვა: ლაშქრობა და პატრონის წინაშე საპატიო სამსახური. ეს კი საკმაო მატერიალურ სახსარს მოითხოვდა.

მდაბიორ-მოლაშქრის ფეოდალური მოვალეობის შესრულების საფუძველი სრულფუძიანობა იყო. ქვეყნის ეკონომიური განვითარება კი სრულფუძიანობის რღვევას იწვევდა, ხოლო ფუძე-ნაკლული მდაბიორი თავის ფეოდალურ მოვალეობას საჭირო წესით ვეღარ ასრულებდა. შევიწროებული მდაბიორი სესხს მიმართავდა და მევახშის ხელში ვარდებოდა ან „პატრონს“ სთხოვდა ნივთიერ დახმარებას. ორივე შემთხვევაში ის პირადი თავისუფლების დაკარგვის საფრთხის წინაშე დგებოდა.

XI—XII საუკუნეებში გარკვევით ჩანს, თუ როგორ დადიან ამ სოციალური ფენიდან გამოსულნი საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში და ეძებენ სამუშაოს „მოსარეწელად რაჲსამე ღონედ სიგლახაკისა **თჳსისა**“: ხუროები, კალატოზები, მევენახეები და სხვა დარგის მუშები. მაგრამ ესენი ერთობ ცოტა არიან იმათთან შედარებით, ვინც წარმოების ფეოდალურ წესს გამოუძევებია და რომელთა თავისუფალი შრომა მას ვერ აუთვისებია. დიდი არხების გატა-

ნა, წყალსადენების გაყვანა, მადნებზე მუშაობა, ზვრებისა და ხოდაბუნების შეკეთება, მუშავება, გზების მშენებლობა, ზღუდე-გალავნებისა, ციხეებისა, ტაძრებისა და სასახლეების აგება, უეჭველია, დიდძალ მუშახელს მოითხოვდა, მაგრამ აქ თავისუფალი შრომის სარბიელს ზღუდავდა გლეხებისა და ტყვეების არათავისუფალი შრომა.

ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების ნიადაგზე ეკონომიური დაწინაურების პირობებში მდაბიორთა ოდესღაც ერთფეროვანი მასა სწრაფად იშლებოდა. ზოგი მდაბიორი მდიდრდებოდა, პატრონის წინაშე სასახელო ხდებოდა, ლაშქრობასა და ხლება-სამსახურს აზნაურულად ასრულებდა, აზნაურდებოდა, გლეხებს იჩენდა. სხვები კი (უმრავლესობა) სუსტდებოდნენ, ღარიბდებოდნენ, ვალებში ცვივოდნენ, მიწა-ადგილს ჰყიდდნენ, ქვეყნისა და პატრონის მძიმე საპატიო სამსახურს ვერ ასრულებდნენ და გლეხურად იბეგრებოდნენ, გლეხდებოდნენ.

განსაკუთრებული გასაკვირი ამ მდაბიორ-მოლაშქრეებს სწორედ XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე დაადგათ. თურქი მოთარეშენი მათ მეურნეობას ანადგურებდნენ, მაგრამ არა ნაკლებ მძიმე ტვირთად აწვათ თურქთა წინააღმდეგ გამუდმებული ლაშქრობა, რომელსაც ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით აწარმოებდა.

მდაბიორ-მოლაშქრეთა მდგომარეობა არც მას შემდეგ გაუმჯობესებულა, რაც ქართველმა ხალხმა თურქები საზღვრებს გადაღმა გადარეკა და ამიერკავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოვიდა. თურქთა წინააღმდეგ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა და მდაბიორ-მოლაშქრეთაგან ძველებურად მძიმე მსხვერპლს მოითხოვდა. იმავე დროს ქვეყანა სწრაფად შენდებოდა, ეითარდებოდა; მოთხოვნილება — განსაკუთრებით სალაშქრო — მატულობდა. თუ ერთი მდაბიორი აღზევდებოდა ლაშქრობა-სამსახურის საფუძველზე, სამაგიეროდ ათეულები ღარიბდებოდნენ. სალაშქრო საქმეს დაჩვეული გაღარიბებული მდაბიორი გლეხურ მიწისმოქმედებას არ კადრულობდა. მრავალი მათგანი მეკობრეობას ამჯობინებდა ან გლახაკობდა, უმრავლესობა კი გლეხურად იბეგრებოდა. პატრონიც დაბეგრილ მდაბიორსა და გლეხს აღარ ასხვავებდა ერთიმეორისაგან.

ბრძოლა მეკობრეობის წინააღმდეგ

XII საუკუნის მიწურულს მდაბიორ-მოლაშქრეთა საზოგადოებრივ ფენას კრიტიკული ხანა უდგა. ამას მოწმობს მეკობრეთა (ყაჩაღი, მძარცველი, ფირალი) და გლახაკთა (მაწანწალა, მათხოვარი) სიმრავლე, რაც აგრე დამახასიათებელი გარემოება ჩანს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში. კერძოდ, მეკობრეობას განსაკუთრებით საშიში სახე მიუღია XII საუკუნეში. ის სახელმწიფო დარბაზის ბჭობის საგანი ყოფილა და მთავრობას გიორგი მესამის დროს ამ მოვლენის აღსაკვეთად უმკაცრესი ღონისძიებისათვის მიუმართავს: გზაჯვარედინებზე სახრჩობელები აღმართეს და ზედ მეკობრეებს განუკითხავად ჰკიდებდნენო. მაგრამ არც ასეთ მკაცრ ღონისძიებას გაუჭრია და მეკობრეობა ვერ მოუსპიათ. ეს კი იმის მოწმობაა, რომ მეკობრეობა სოციალური მოვლენა იყო, რომ ის ღრმა სოციალურ-ეკონომიურ საფუძველზე იყო აღმოცენებული და ამიტომ ადმინისტრაციული ღონისძიება უძლური იყო მის აღმოსაფხვრელად. და მართლაც, ეს სასტიკი კანონი მეკობრეთა წინააღმდეგ დიდხანს მოქმე-

დებდა და მაშინაც კი მუსრს ავლებდა მეკობრეებს, როცა სხვა დანაშაულისათვის სიკვდილით აღარავის სჯიდნენ, ე. ი. თამარ მეფის დროს.

„გლახაკნი“

მეორე მხრივ, ასევე საყურადღებოა **გლახაკთა სიმრავლე.** დავით აღმაშენებლის ქველმოქმედების დასახასიათებლად მისი თანამედროვე მწერალი გადმოგვცემს, მეფემ თავია სულიერ მოძღვარს გლახაკთათვის დასარიგებლად ერთ ჯერობაზე გადასცა საკუთრად ნაშოვნი ოცდაოთხი ათასი დრაჰკანიო. ამოდენა თანხის დარიგება თავისთავად მოწმობს გლახაკთა სიმრავლეს.

მაგრამ უკვე კარგა ხანი იყო, რაც გლახაკები კერძო პირთა ქველმოქმედების ამარა კი აღარ რჩებოდნენ, არამედ დაკანონებული იყო „გლახაკთა ნაათალი“, ე. ი. მათთვის სახელმწიფო შემოსავლის მეათედის ბოძება. არ ვიცით, როდის რამდენად სრულდებოდა ეს კანონი, მაგრამ ის კი ვიცით, რომ თურმე იმ ვეება სახელმწიფო შემოსავლიდან, რომელიც საქართველოს თამარ მეფის დროს ჰქონდა, გლახაკთათვის განკუთვნილი მეათედი დანიშნულებისამებრ უკლებლივ გაიცემოდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ასეთი ღონისძიება ქველმოქმედების სულისკვეთებით არ აიხსნება და იგი მოწმობს, რომ ფეოდალური საქართველოს ამ ძლიერების ხანაში გლახაკობა მეტისმეტად გავრცელებულა და ამ სოციალური სენის მოვლა-მკურნალობა სახელმწიფოს თავსატეხ საქმედ ქცეულა.

ამრიგად, ჩვენ წინაშეა მრავალრიცხოვანი მეკობრეები და გლახაკები, რომელნიც ფეოდალურ ურთიერთობას გამოთიშვიან და რომელნიც ფეოდალურ წარმოების წესს გამოუძევებია. მეკობართა და გლახაკების სიმრავლე ნიშნავს ცოცხალ პროტესტს არსებული ურთიერთობის წინააღმდეგ, გამოავლენს კლასობრივ ბრძოლაში დამარცხებულთ.

მეკობრეები და გლახაკები უმთავრესად მდაბიორ-მოლაშქრეთა სოციალური ფენიდან გამოდიოდნენ.

გლეხები

XI—XII საუკუნეებში გლეხები სულ უფრო და უფრო ძლიერ ექსპლუატაციას განიცდიდნენ. მართალია, მეურნეობა ვითარდებოდა და ქვეყანა ეკონომიურად ღონიერდებოდა, მაგრამ სწრაფად მატულობდა ფეოდალთა მოთხოვნილებაც და კიდევ უფრო სწრაფად მატულობდა (რიცხობრივ) საზოგადოების არამწარმოებელი ნაწილი.

ბოლომოუღებელი ლაშქრობის მონაწილე მდაბიორები უნებლიედ თავს ანებებდნენ მიწათმოქმედებას და არამწარმოებელთა წრეში ექცეოდნენ. ზოგი მათგანი აზნაურობაში გადადიოდა და გლეხთა ექსპლუატაციის უშუალო მონაწილე ხდებოდა, სხვები კი, მეკობრეობა-გლახაკობას მიდევნებულნი, მატერიალური დოვლათის მწარმოებელ საზოგადოებას ზედმეტ ტვირთად დასწოლოდნენ.

ინტენსიურად მრავლდებოდა აზნაურობა, რასაც, სხვათა შორის, ხელს უწყობდა გამუდმებული ლაშქრობა და მიუხედავად იმისა, რომ მოგებულ ომებში ნარბევ-ნაალაფევი უხვად შემოდიოდა, ეს რიცხვმრავალი აზნაურობა სულ უფრო და უფრო მეტი სიმკაცრით აძვალტყავებდა უუფლებო გლეხობას.

XI—XII საუკუნეებში გლეხთა სოციალური ფენისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია, რომ ის, განსხვავებით მდაბიორ-მოლაშქრეთა სოციალური

ფენისაგან, რიცხობრივ სწრაფად იზრდება. ეს ხდება არა იმდენად ბუ-ნებრივ-ბიოლოგიური გამრავლების სახით, არამედ, უმთავრესად, ფეოდალურ საქართველოში იმ დროს მიმდინარე სოციალური პროცესების შედეგად.

გლეხობაში გადადიოდა მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის დიდი უმრავლე-სობა. **მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის გაქრობა, მისი გლეხობაში გადასვლა იყო ყველაზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი სოციალური პროცესი, რომელიც საქართველოში ფეოდალურმა ურთიერთობამ კლასთა ბრძოლის გაღრმავება-განვითარების გზით მოახდინა.** XII საუკუნის მიწურულისათვის ეს პროცესი ძირითადად უკვე დასრულებული იყო.

ასე რომ მდაბიორ-მოლაშქრეთა სოციალური ფენა, რომელიც ადრეფეო-დალური ხანის ქართული **პატრონ-ყმობის** საფუძველს წარმოადგენდა, იმჟამად უკვე გაქრა ძირითადად და **ქართული ფეოდალური საზოგადოება ორ მთავარ ანტაგონისტურ კლასად — აზნაურებად და გლეხებად დაიყო.**

გლეხთა ფართო ფენის სოციალურ მდგომარეობას განსაკუთრებით აუარე-სებდა იმ ტყვეთა სიმრავლე, მოგებული ომების შედეგად რომ შემოდიოდა XII საუკუნის საქართველოში. ტყვეებით გაივსო აზნაურთა სასახლეები; ტყვე იაფი იყო და მისი შეძენა ყველას შეეძლო. ტყვეს არავითარი უფლება არა ჰქონდა, ის მონა იყო და თუ ტყვის პატრონი მას მიწაზე დასვამდა, „გლეხად აქცევდა", მისი მუშაობისა და ბეგრის სახეობის განსაზღვრა მთლიანად პატრონის ნებაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ტყვეთა მეტისმეტი სიიაფე, რაც XII საუკუნის საქართველოსათვის აგრე დამახასიათებელი მოვლენა იყო, მოწმობდა, რომ აზნაურები ვერ ახერხებდნენ ამ ტყვეების თავიანთი სურვილისამებრ გამოყე-ნებას მეურნეობაში. ამის მიზეზი იყო გლეხობა, რომელიც, ბუნებრივია, თავგა-მოდებით იბრძოლებდა საგლეხო ფუძეებზე ამ ტყვეების დასმის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ადვილი გასაგებია, თუ რამდენად უნდა გაეუარესებინათ გლეხთა მდგომარეობა ამ უსასყიდლო მეტოქეებს.

გლეხთა კატეგო-რიები

ასე და ამრიგად, XIII საუკუნისათვის ძირითადად დასრულდა დიდი სოციალური პროცესი: **გლეხთა ფენაში გაერთიანდა ქვეყნის მატერიალური დოვლა-თის მწარმოებელთა მიწისმოქმედი ნაწილი.** ამ ფართო სოციალური ფენის სა-ერთო დამახასიათებელი ის იყო, რომ ყველა გლეხი **მებეგრე** იყო და ეს იმის გამო, რომ მიწა (ფუძე), რომელზედაც გლეხი მეურნეობდა, ფეოდალის („პატ-რონის") საკუთრებას შეადგენდა, ხოლო გლეხი ამ მიწით საშვილიშვილოდ სარ-გებლობდა. სხვა მხრივ, ე. ი. უფლებრივი და ეკონომიური თვალსაზრისით, გლეხობა არ წარმოადგენდა ერთფეროვან მასას. **უმრავლესობა მკვიდრი** გლე-ხობა იყო. მკვიდრი იმ გლეხს ეწოდებოდა, რომელიც მამით შვილამდე ერთი ფეოდალის ხელთ რჩებოდა. მკვიდრების გვერდით სახლობდნენ **გარეთმოსული** გლეხებიც.

როგორც მკვიდრ, ისე გარეთმოსულ გლეხებში გამოირჩეოდა სხვადასხვა უფლებრივი კატეგორიები: **ნებიერი** ისეთ გლეხს ეწოდებოდა, რომელიც თავისი ნებით მიუვიდოდა ფეოდალს და გარკვეული პირობით ეყმობოდა მას. თუ ასეთი გლეხი თავის ყმობას წერილობით დაუდასტურებდა ფეოდალს და ამ უკანას-კნელის ყმათა სიაში მოჰყვებოდა, მას **თავდაწერილი** ეწოდებოდა, თუ არა —

ის **თავდაუწერელი** რჩებოდა. თუ გლეხს მისი მდგომარეობის განმსაზღვრელი წერილობითი საბუთი მეფისაგან ჰქონდა მიცემული, მას **სიგლოსანი** ეწოდებოდა. **ნასყიდი** ეწოდებოდა იმას, ვინც ფეოდალს სყიდვით პირადად შეეძინა, **ნაწყალობევი** კი ის იყო, ვინც მეფემ ან საერთოდ მაღლა მდგომმა ფეოდალმა თავის ხელქვეით ფეოდალს („ყმას") ერთგული სამსახურის ჯილდოდ უბოძა. **შეწირული** ისეთ გლეხს ეწოდებოდა, რომელიც ფეოდალმა ამა თუ იმ ხატს (ეკლესია-მონასტერს) გადასცა. იყვნენ სხვა კატეგორიებიც.

გლეხთა კატეგორიების ეს სიმრავლე, ნებიერიდან ნასყიდამდე, ცხადი მოწმობა იყო იმ **მუდამი ბრძოლისა, რომელიც ფეოდალებსა და გლეხებს შორის წარმოებდა და ფეოდალური ურთიერთობის შინაარსს შეადგენდა.**

ამასვე მოწმობდა ბეგრისა (ნატურალური თუ ფულადი რენტის) და მუშაობა-სამსახურის (შრომითი რენტის) სახეობათა სიმრავლე.

გლეხთა მთავარი მასა იმ დროს უკვე მიმაგრებულია მიწაზე.

ეკონომიურად გლეხობა აგრეთვე მრავალფეროვანია. გლეხის ნორმალურ ქონებად **საგლეხო** ფუძე ითვლება, მაგრამ სრულფუძიანობა დიდი ხანია დარღვეულია. ზოგი გლეხი ნახევარ ფუძეს ან კიდევ უფრო ნაკლებს ფლობს, ზოგი კი სრულ ფუძეზე მეტის მფლობელიცაა.

მთიელები

მატერიალური დოვლათის მწარმოებელ საზოგადოებაში შედიოდნენ საქართველოს მთიელებიც.

რაც უფრო ძლიერი და ინტენსიური იყო საქართველოს ბარის ფეოდალური განვითარება, მით უფრო მეტად ითრევდა იგი თავისუფალ მთას და თავს ახვევდა მას ფეოდალურ ურთიერთობას, პატრონყმობას. ზოგან კი, სადაც ბარის ასეთ გავლენას უფრო მეტი ნიადაგი ჰქონდა, გლეხობაც ჩნდებოდა. ლეკი, დიდო, დურძუკი, ფხოველი, მთიული, ოსი, დვალი თუ სვანი საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდნენ ფეოდალური ბარის გავლენას, მაგრამ ჩამორჩენილი მთა თანდათან მარცხდებოდა და ფეოდალური ურთიერთობა მის უკიდურეს კუნჭულებსაც აღწევდა. ფეოდალიზაციასთან ერთად ხდებოდა მთიანეთის „გაქართულება", გაქრისტიანება. მთიელთა დიდი აჯანყების ჩაქრობა, რაც თამარის ლაშქარმა სამი თვის ომის შემდეგ ძლივს მოახერხა, იყო ფეოდალური ბარის უკანასკნელი ძლიერი შეტევა თავისუფლებისათვის მებრძოლი მთის წინააღმდეგ.

ხელოსნები და ვაჭრები

ქვეყნის მატერიალური დოვლათის მწარმოებელ საზოგადოებრივ ფენაში შედიოდნენ აგრეთვე **ხელოსნები**, რომელთა სიმრავლე და მრავალსახეობა XI—XII საუკუნის საქართველოში ცნობილია.

ასე რომ, XI—XII საუკუნეებში, როცა საქართველოში მრავალი ათეული ფეოდალური ქალაქი ჰყვაოდა, ხელოსნები შეადგენდნენ დიდად მნიშვნელოვან სოციალურ ფენას, რომელიც ვაჭრებთან ერთად ფეოდალური ქვეყნის დიდი ყურადღების საგნად იყო ქცეული.

XI—XII საუკუნეთა საქართველოში ხელოსნობის განვითარების მაღალი დონის შესაბამისად განვითარებული იყო აღებ-მიცემაც. ამისდა კვალად მნიშვნელოვან სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ ვაჭრები, რომელთაგან ზოგი, **დიდვაჭრები**, საქარავნო ვაჭრობას ეწეოდნენ. მათ უცხო ქვეყნებიდან მოჰქონ-

დათ ან საქართველოდან უცხო ქვეყნებში გაჰქონდათ უპირატესად ფეოდალური მოხმარების საქონელი.

დიდვაჭრები დიდი ქონების პატრონნი იყვნენ და საქართველოში დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ. ფეოდალური სახელმწიფო კარგად გრძნობდა დიდვაჭრების მნიშვნელობას ქვეყნისათვის და ამიტომ მისთვის განსაკუთრებით ზრუნავდა. დიდვაჭარი თავისუფალი კაცი იყო და აზნაურის პატივით სარგებლობდა.

დიდვაჭრები იყვნენ მეფის მაცნე-ინფორმატორები უცხო ქვეყანათა საქმეებში და ხშირად ასრულებდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ-დიპლომატიურ დავალებას.

თავისუფალ ვაჭართა წრე დიდვაჭრებით არ ამოიწურებოდა. აგრეთვე თავისუფალნი იყვნენ და გარკვეული წოდებრივი უპირატესობით სარგებლობდნენ დიდვაჭრებზე ნაკლებად შეძლებული, მაგრამ მათსავით უცხოეთში მიმომავალი **ვაჭრებიც**.

მაგრამ იყვნენ **სხვა ვაჭრებიც,** რომლებიც ამა თუ იმ ფეოდალის (მეფის, ეკლესიის, აზნაურის) **ყმებს** წარმოადგენდნენ. ისინი ქალაქებში, ხულა-ქულბაქებში ისხდნენ და ქვეყნის შიგნით აღებ-მიცემის მოსაშუალეობას ასრულებდნენ. ყმა-ვაჭრები ფეოდალებს უმთავრესად „თეთრით" (ფულით) ან სხვა საეაჭრო საქონლით (ცვილით, მარილით და სხვ.) ემსახურებოდნენ.

ვაჭრებისა და ხელოსნების ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ადმინისტრაციულად მოწესრიგებულს და გაერთიანებულ სახელმწიფოს მოითხოვდა. განვითარებული ვაჭრობისა და ხელოსნობის შემდგომ წარმატებას აფერხებდა ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობა, მისი მთავრები, საბაჟოები, ურთიერთ შორის მტრობა-ქიშპი და ომები, მოუწყობელი ადმინისტრაცია და აზნაურ ჭაბუკების აღვირახსნილი მეკობრეობა. ამიტომ ვაჭარ-ხელოსანთა პოლიტიკური სიმპათიები მეფის მხარეზე იყო ქვეყნის გაერთიანების დროსაც და შემდეგაც, როცა ფეოდალური არისტოკრატია ყმადნაფიცობა-შეუვალობისათვის იბრძოდა.

გაბატონებული კლასი — აზნაურები

საზოგადოების **ფეოდალურ ფენას** შეადგენდნენ მეფე, ეკლესია-მონასტრები და აზნაურები. კარგა ხანი იყო, რაც აზნაურობა აღარ წარმოადგენდა ერთფეროვან მასას. აზნაურები მეფესაც ჰყავდა, ეკლესიასაც (მცხეთიშვილები, შიოსშვილები და ა. შ.) და აზნაურსაც. მეფის აზნაურებს **ტაძრეული აზნაურები, მოსაკარგავე აზნაურები** და **დიდებული აზნაურები** ეწოდებოდათ. აზნაურები უპირატესად ადმინისტრაციული ან სამეურნეო-ადმინისტრაციული მოხელენი იყვნენ. მათვე ეკისრებოდათ მძიმე სამხედრო მოვალეობა და პატრონის ხლება. როგორც ლაშქრობა, ისე ხლება გარკვეული წესით სრულდებოდა და აზნაურისაგან დიდ ხარჯს მოითხოვდა. აზნაურთა დიდი უმრავლესობა მცირემამულიანი იყო, ასეთი აზნაური მთელი სიმძიმით აწვა ტვირთად მის კუთვნილ რიცხვმცირე გლეხებს და თავისი სწრაფად მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ამ გლეხთა ექსპლუატაციის დამძიმების გზით ცდილობდა.

აზნაურთა უმცირესობას შეადგენდნენ **დიდი აზნაურები.**

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, როგორც ვიცით, დიდი აზნაურების („მთავრების“) სოციალურ-პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვას გულისხმობდა. გაერთიანებულ სახელმწიფოში მთავრები კარგავდნენ „ხელმწიფობას“ (საჯარო პოლიტიკურ უფლებას) და ის გამაერთიანებლის ე. ი. მეფის ხელში გადადიოდა. ამიტომ იყო, რომ მთავრები თავგამოდებით იბრძოდნენ ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების წინააღმდეგ. ეს რეაქციონერები ამ ბრძოლაში ემყარებოდნენ საკუთარი „ერის“ (ლაშქრის) სიმრავლეს, მოკეთე-„მოკიდებულთა“ თანადგომას, ციხე-სიმაგრეთა სიმტკიცეს და უცხო დამპყრობელთა დახმარებას (ლაშქრით, ფულით). მაგრამ ძალთა უპირატესობა პროგრესის მხარეზე იყო, ქვეყნის გაერთიანება გარდაუვალი იყო და მთავრებიც ზედიზედ მარცხდებოდნენ. ისინი იძულებული შეიქნენ ახალ ვითარებას შეგუებოდნენ, ხელმწიფობა დაეთმოთ და მეფისაგან **დიდებას** დასჯერებოდნენ.

საქართველოს გაერთიანებამ სამეფო კარი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ფოკუსად აქცია. ამის შემდეგ ფეოდალური საზოგადოების ესა თუ ის ფენა აქ ეძიებდა „სამართალს“, ე. ი. საკუთარი კლასობრივ-წოდებრივი ინტერესების უზრუნველყოფას. ამას მოწმობდა ის **ბრძოლა სამეფო კარის დაუფლებისათვის**, რომელსაც აგრე დაჟინებით აწარმოებდნენ XI—XII საუკუნეში აზნაურთა სხვადასხვა ფენები.

საქართველოს გაერთიანებით დიდი აზნაურებიც პოლიტიკურად გაერთიანდნენ. თუ მანამდე ისინი ცალ-ცალკე იბრძოდნენ მეფის ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ, მას შემდეგ (განსაკუთრებით XII ს-ში) დიდი აზნაურები ხშირად შეერთებული ძალით გამოდიან და ცდილობენ თავს მოახვიონ მეფეს ისეთი პოლიტიკური წყობილება, რომელიც მათი სოციალ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფდა.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შედეგად გაქრნენ **მთავრები** და გაჩნდნენ **დიდებული აზნაურები**. „დიდება“ ეწოდებოდა მეფის მიერ აზნაურისათვის თანამდებობის შინიჭებას და ამ თანამდებობასთან დაკავშირებით ყმა-მამულის წყალობას.

მეფის ხელში „დიდება“ ძლიერი იარაღი იყო. მეფეს შეეძლო „ედიდებინა“ არა მარტო დიდი აზნაური, არამედ ყველა, ვისაც ის ამის ღირსად მიიჩნევდა. მეფის ნებაზედვე იყო დამოკიდებული დიდების შეცვლა თუ წართმევა.

და დიდი აზნაურებიც იბრძოდნენ „დიდებისათვის“, ე. ი. სამეფო კარის იმგვარად დაუფლებისათვის, რომ დიდების „წყალობა“ და „მოღება“ (ე. ი. ბოძება და წართმევა) მეფის ნებაზე კი არა, არამედ ამ დიდებულ აზნაურთა ნებაზე ყოფილიყო დამოკიდებული.

ბრძოლა ხანგრძლივი და მედგარი იყო. ყმა-მამულით ღონიერი დიდაზნაურები XI—XII საუკუნეში კიდევ უფრო გაძლიერდნენ. მათ ხელში ცვივოდნენ არა მარტო გლეხად ქცეული მდაბიორ-მოლაშქრენი, არამედ წვრილაზნაურთა ფართო ფენებიც. და ამას არც თუ მცირედ უწყობდა ხელს სწორედ ის **დიდება**, რომელსაც მეფე უპირატესად ამ დიდაზნაურებს უწყალობებდა ხოლმე.

თ ა ვ ი XI

საქართველოს საშინაო პოლიტიკური და საგარეო ურთიერთობა XII საუკუნესა და XIII ს. დასაწყისში

§ 1. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედში

საგარეო ურთიერთობა

ფეოდალურმა საქართველომ დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით წარმატებით მოიგერია თურქი მომთაბარენი. დავით აღმაშენებლის შემდეგ, ვიდრე XIII საუკუნის ოციან წლებამდე, საქართველოს დროდადრო მედგარი ომი ჰქონდა მეზობელ თურქულ სახელმწიფოებთან, საამირო-სასულტნოებთან. ეს ომები მიზნად ისახავდა, უპირველეს ყოვლისა, სომხეთისა და შარვან-რანის საკითხების გადაწყვეტას. ამიერკავკასიის ფეოდალურ ხალხთა ინტერესები საკვლევით ემთხვეოდნენ ერთიმეორეს. ისე რომ თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველო მარტო არ იყო და მის გვერდით მედგრად იბრძოდნენ სომხეთისა და რან-შარვანის მოძმე კულტურული ხალხები.

მაგრამ საქართველოს პოზიციები ამ ბრძოლაში სხვა მხრივაც იყო გაუმჯობესებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სელჩუკიან თურქთა ერთიანი სახელმწიფო, დიდი ხანი იყო, ურთიერთ მოქიშპე ფეოდალურ ერთეულებად დაიშალა. იმავე დროს თურქულ სასულტნო-საამიროებს დასავლეთიდან ძლიერი მტრები გაუჩნდა: პალესტინა-სირიაში დამკვიდრებული ევროპელი ჯვაროსნები და ახლად ფეხზე წამომდგარი ბიზანტიის იმპერია. ასე რომ თურქთა მიერ საქართველოს დაპყრობის უშუალო საფრთხე გაქრა, ხოლო ამიერკავკასიის სხვადასხვა მხარეში მათი ბატონობის საბოლოო მოშლა შესაძლებელი ჩანდა. საქართველო შეუნელებლივ იბრძოდა თურქთა ამ ბატონობის მოსაშლელად. ასწლოვანი ბრძოლა მან ბრწყინვალედ მოიგო: **XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს ირგვლივ შემოკრებილი იყო მთელი კავკასიისა და მისი ახლო მხარეების ფეოდალურ-კულტურული სამყარო.**

მძიმე და ცვალებადი იყო ეს ასწლოვანი ბრძოლა თურქთა წინააღმდეგ. ასეთ ხანგრძლივ ბრძოლაში მარცხი თუ გამარჯვება, სხვა გარემოებათა გარდა, დამოკიდებულია უპირატესად თითოეული მებრძოლი მხარის შინაურ ვითარებაზე, მის სოციალ-ეკონომიურ წყობასა და ორგანიზაციულ სიმტკიცეზე.

ფეოდალური საქართველო და მისი მეტოქე თურქული სახელმწიფოები ამ მხრით ერთიმეორისაგან დიდად არ განსხვავდებოდნენ. თანდათან თურქები ეზიარნენ ფეოდალურ ურთიერთობას. ისლამიც კი, ეს ოდესღაც დიდი დამრაზმავი ძალა, თურქულ ფეოდალიზმს შეგუებოდა. მძაფრი კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლით მოცული თურქული სასულტნო-საამიროები არანაკლები ენერგიით ებრძოდნენ ერთიმეორეს, ვიდრე მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებს.

არც ამიერკავკასიის ქრისტიანული სამყარო. საქართველოს მეთაურობით, წარმოადგენდა მონოლითურ ძალას თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ისიც ამ მუსლიმანურ მეტოქეს, ისევე როგორც სხვა ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენას, კლასობრივ-წოდებრივი თვალსაზრისით აფასებდა.

დავით აღმაშენებლის ძის დ ე მ ე ტ რ ე მ ე ფ ი ს დროს (1125—1156) თურქები დიდის ენერგიით ცდილობდნენ ანისის უკან დაბრუნებას. ბოლოს და ბოლოს ქართველები იძულებული გახდნენ დათმობის გზით მორიგებოდნენ მეტოქეს. ანისი დემეტრე მეფემ ისევ მაჰმადიან მმართველს დაუთმო, ოღონდ ყმადნაფიცობის პირობით.

საქართველოსათვის არსებითი სასარგებლო შედეგი არც განძაზე ლაშქრობას მოჰყოლია. მართალია, 1138 წელს ქართველებმა განძა აიღეს და ქალაქის კარი გამარჯვების ნიშნად საქართველოში მოიტანეს (ეს კარი დღესაც გელათშია დაცული), მაგრამ ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა ვერ შეინარჩუნეს და განძა მას შემდეგაც დიდხანს მაჰმადიან მეტოქეთა საყრდენ პუნქტად რჩებოდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

საშინაო ურთიერთობა დემეტრე I დროს

ქართველთა ასეთი წარუმატებლობის მიზეზი იყო არა იმდენად დემეტრე მეფის პირადი თვისებები, არამედ, უმთავრესად, ქართული ფეოდალური საზოგადოების შიგნით მიმდინარე მოვლენები.

დავით აღმაშენებელმა, როგორც ვიცით, დიდაზნაურთა პოლიტიკურ მიდრეკილებას ძლიერ შეუტია, მაგრამ დიდაზნაურობის სოციალ-ეკონომიური საფუძვლები მაინც ხელუხლებლად დასტოვა. XII საუკუნეში კი ქვეყნის სწრაფი განვითარება იმ გზით წავიდა, რომ დიდაზნაურთა შემდგომი სოციალ-ეკონომიური გაძლიერება გარდაუვალი იყო. დიდაზნაურთა გლეხებად იქცნენ გაჩანაგებულ მდაბიორ-მოლაშქრეთა ფართე წრეები; დიდაზნაურთა ძლიერ სასლებს შერჩნენ და შეემატნენ წვრილაზნაურული ყმები, დიდაზნაურებმავე თანდათან ხელთ იგდეს, მეფისაგან წყალობად, განდიდება-გაძლიერების ყველაზე უფრო მოქმედი საშუალება — **დიდება.** ბუნებრივია, რომ ასეთი **დიდებული აზნაურები** ცდილობდნენ თავიანთი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის შესაფერისი პოლიტიკური უფლების მოპოვებას. დიდებული აზნაურები, მართალია, პოლიტიკური განდგომა-განცალკევების მიდრეკილებას არ იჩენდნენ, მაგრამ ქვეყნის შიგნით „გახელმწიფებას“ ყოველი ღონით ცდილობდნენ. ამისათვის, მათი აზრით, საჭირო და აუცილებელი იყო გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარის დაუფლება, მეფის დამორჩილება.

მთელი XII საუკუნე და XIII საუკუნის პირველი მეოთხედი აღსავსეა ამ ბრძოლით. დიდებული აზნაურები ხან ცალ-ცალკე, ხან ჯგუფობრივ გამოდიან,

ხან ტახტის მემკვიდრეს ამხედრებენ არასასურველი მეფის წინააღმდეგ, ხან უმისოდაც მოქმედებენ, ხან გაფიცვას მიმართავენ, ხან პოლიტიკურ მოთხოვნებს აყალიბებენ, ხან არსებული წესების დამცველად გამოდიან, ამ წესების დარღვევას მეფეს „აბრალებენ“ და მათ აღდგენას მოითხოვენ.

დიდებულ აზნაურთა ჯგუფის მხარდაჭერით იყო, რომ დემეტრე მეფეს ტახტს ეცილებოდნენ ჯერ მისი ძმა ვახტანგი, ხოლო შემდეგ უფროსი შვილი დავითი, რომელიც მეფეს სწამებდა, ვითომ ის უმცროსი ძის, გიორგის, გამეფებას აპირებდა.

დავით უფლისწულმა დემეტრე მეფეს რამდენჯერმე შეთქმულება მოუწყო და ბოლოს სამეფო გვირგვინიც წაართვა. 1155 წელს დემეტრემ მეფობაზე ხელი აიღო და ბერად შედგა. სამეფო ტახტი დავით დემეტრეს ძემ დაიპირა, მაგრამ მან ერთი წელიც ვერ იმეფა და გარდაიცვალა. დემეტრე ბერმა მონასტერი მყისვე დატოვა, ისევ გამეფდა და 1156 წელს სამეფო ტახტზე თავისი საყვარელი შვილი გიორგი აიყვანა.

სამეფო ტახტის გარშემო დატრიალებულ ამ სისხლიან ამბებს არა ერთი დიდებული აზნაურის სახლი შეეწირა.

§ 2. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XII ს. მეოთხე ნახევარში

თურქებთან ურთიერთობა გიორგი III დროს

ქართველები თურქებს გიორგი მეფის ენერგიული ხელმძღვანელობით უფრო წარმატებით ებრძოდნენ, ვიდრე დემეტრე მეფის დროს. 1161 წელს გიორგი მეფემ ანისზე გაილაშქრა, ქალაქი აიღო, იქ მაჰმადიანთა მმართველობა მოშალა და ქვეყანა საკუთრად სამეფოდ დაიჭირა. ანისი მეფემ ამირსპასალარ **ივანე ორბელს** ჩააბარა და ამ საქმეში თანაშემწედ დიდებული აზნაური **სარგის მხარგრძელი** დაუნიშნა.

1162 წელს ქართველები კიდევ უფრო ღრმად გაიჭრნენ სამხრეთისაკენ და არარატის მხარეში მდებარე სომხეთის ძველი დედაქალაქი **დვინი** აიღეს. ქართველთა ასეთ აქტიურობას პასუხად მოჰყვა თურქულ სახელმწიფოთა კოალიციური ლაშქრობა. შაჰი-არმენად წოდებული, ხლათის მფლობელი, დიარბექირის მმართველი და არზრუმის ამირა შეერთებული ძალით შეეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას — სომხეთიდან საქართველოს გაძევებას, მაგრამ მრავალგზისმა დიდმა და მცირე ლაშქრობამ ამაოდ ჩაუარათ. ქართველ-სომეხთა შეერთებულმა ძალამ გადაჭრით უკუაგდო თურქი დამპყრობლები და 1173 წლიდან დვინ-ანისი და მათი მიმდგომი მხარეები მტკიცედ შემოვიდა საქართველოს სახელმწიფოში.

ამავე ხანებში გიორგი მეფე იძულებული შეიქნა შარვანის საქმეებისათვის მიეხედნა.

როგორც ვიცით, დავით აღმაშენებელმა მოშალა შარვანი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, და უშუალოდ შემოუერთა ის საქართველოს. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ მდგომარეობა აქაც შეიცვალა და შარვანის საკითხი ქართველებმა კომპრომისის გზით მოაგვარეს. შარვანში, ისევე

როგორც მეზობელ რანში, მოსახლეობა ნარევი იყო. შამახიის დასავლეთით ვიდრე ჰერეთის საზღვრებამდე ქრისტიანი მოსახლეობა სჭარბობდა, შარვანის აღმოსავლეთი მხარეები კი უპირატესად მაჰმადიანებით იყო დასახლებული. ამისდა კვალად (უეჭველია, ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობის უმრავლესობის სურვილიც ასეთი იყო), ქართველებს შარვანი ორად გაუყვიათ, მისი დასავლეთი ქრისტიანული ნაწილი ვიდრე თეთრ წყლამდე (შამახიის ახლოს, მის დასავლეთით) ჰერეთისათვის შეუერთებიათ, ხოლო დანარჩენი — შარვანისათვის. ძველი მაჰმადიანი მმართველი შარვან-შაჰი აღუდგენიათ და ის ყმადნაფიცობის პირობით საქართველოს მეფისათვის დაუმორჩილებიათ. ქართველთა ასეთი მოქმედება სამი მიზეზით აიხსნება: აბრეშუმით მდიდარი შარვანი, როგორც შემოსავლის წყარო, განსაკუთრებით ძვირფასი იყო ფეოდალური საქართველოსათვის; შარვანის დაჭერით ქართველები საფრთხეს უქმნიდნენ თურქ მეტოქეთა მფლობელობის მთავარ საყრდენს ამიერკავკასიაში — განძას, და, ბოლოს, მესამე მიზეზი იყო ის პოლიტიკური ტრადიცია, საქართველოს მეფის კარზე რომ შემუშავებულიყო: ბიზანტიის პოლიტიკური მემკვიდრე საქართველო ქრისტიანი მოსახლეობის შემოკრებას და მის ერთ სახელმწიფოდ გადაქცევას ლამობდა.

XII საუკუნის შუახანებში შარვანის მაჰმადიანურ ნაწილს **აღსართან** შარვან-შაჰი განაგებდა. ის საქართველოს მეფის გიორგის ყმადნაფიცი იყო და მისი დისწულიც. აღსართან შარვან-შაჰს დარუბანდის მხრიდან თავს ესხმოდნენ იმიერკავკასიელი მფლობელები. შევიწროებულმა შარვანშამ პატრონს შველა სთხოვა. 1167 წელს გიორგი მეფემ შარვანს გაილაშქრა, ქალაქები შაბურანი და დარუბანდი წაართვა მტერს და ისინი თავის ყმადნაფიც შარვანშას დაუბრუნა.

საშინაო ურთიერთობა გიორგი III დროს

XII საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში განსაკუთრებით ძლიერ იჩინა თავი ისეთმა მოვლენებმა, რომლებიც მოწმობდნენ, რომ ფეოდალური ქვეყანა განვითარების კრიტიკულ პერიოდში შესულიყო, როცა კანონი საწარმოო ძალთა ხასიათთან წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესატყვისობისა სულ უფრო და უფრო ირღვეოდა, როცა სახელმწიფო წყობილების ფორმა აღარ შეესაბამებოდა საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს.

საზოგადოებრივ განვითარებაში კრიზისის ერთი მკაფიო ნიშანი იყო ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებულთა ანუ ე. წ. „გლახაკთა“ არაჩვეულებრივი სიმრავლე, რაც აგრე მძიმე ტვირთად დასწოლოდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელ საზოგადოებას; საზოგადოებრივ განვითარებაში კრიზისის მეორე ნიშანი იყო ფეოდალური წარმოებიდან აგრეთვე გამოძევებულთა ანუ ე. წ. „მეკობართა“ არაჩვეულებრივი სიმრავლე, რაც ასეთ თავსატეხ საკითხად ქცეულიყო ფეოდალური სახელმწიფოს მესვეურთათვის, განსაკუთრებით XII საუკუნის მეორე ნახევარში; საზოგადოებრივ განვითარებაში კრიზისს მოწმობდა ქართველთა ლაშქარში შექმნილი მიდრეკილება ქონების შეძენის მიზნით მეზობელი ქვეყნების ბოლომოუღებელი რბევისადმი. დასასრულ, საზოგადოებრივ განვითარებაში კრიზისს მოწმობდა ფართოდ გავრცელებული მო-

ღალატური განწყობილება, მუდმივი ღალატის მოლოდინი და გარეშე დამპყრობელის მხარეზე გადასვლის გახშირება.

დიდებული აზნაური ხელმწიფობას (შეუვალობა-ყმადნაფიცობას) ეძებდა და მეფის თვითმპყრობელობას ვერ ითმენდა. უკმაყოფილო იყო დამცრობილი აზნაური, დიდაზნაურთა ხელქვეშ რომ მოჰყოლოდა და კვლავ აღზევების იმედი გადასწყვეტოდა. არსებული ურთიერთობის წინააღმდეგ ერთ მთლიან პროტესტს წარმოადგენდა მდაბიორ-მოლაშქრეთა ფართე ფენა, გლეხად გარდაქცევის წინააღმდეგ უიმედო ბრძოლაში რომ გლახაკობა-მეკობრობას მიმართავდა.

არსებული ვითარებით უკმაყოფილო იყვნენ აღმავალობა-გაძლიერების გზაზე მდგომ ვაჭარ-ხელოსანთა ფართე წრეებიც. მათ უკვე ევიწროებოდათ ფეოდალური სოციალ-პოლიტიკური გარემო და, წინააღმდეგ დიდაზნაურებისა, მეფის თვითმპყრობელობის შემდგომი გაძლიერების მომხრედ გამოდიოდნენ.

უკმაყოფილო იყვნენ მთიელები, რომელთა შორის ფეოდალური ურთიერთობა დაჟინებით იკვლევდა გზას და მანამდე თავისუფალ მოსახლეობას სოციალური დამონებით ემუქრებოდა.

დასასრულ, არსებული ვითარების წინააღმდეგ იბრძოდა ფეოდალური ურთიერთობით მუდამ უკმაყოფილო გლეხობა.

აჯანყება გიორგი მეფის წინააღმდეგ რეაქციონერ დიდაზნაურთა ხელმძღვანელობით

განსაკუთრებით ძლიერი იყო დიდგვარიან აზნაურთა ბრძოლა მეფის წინააღმდეგ გიორგი მესამის დროს. აჯანყების სათავეში **უფლისწული დემნა** ანუ **დიმიტრი** იდგა. დემნა გიორგი მეფის უფროსი ძმის დავითის შვილი იყო და თავის ბიძას სამეფო ტახტის მიმტაცებლად სთვლიდა. ტახტის მაძიებელ უფლისწულს განსაკუთრებული ენერგიით უჭერდა მხარს მისი გამზრდელი და სიმამრი **ივანე ორბელი,** რომელიც ამავე დროს საქართველოს ლაშქრის მხედართმთავარიც იყო. როგორც ჩანს, პატივმოყვარე ფეოდალი ივანე ორბელი სამეფო კარზე გაპირველკაცებას აპირებდა და საფიქრებელია, რომ კიდევაც შეძლებდა ამას, თუ გიორგი მეფის მაგივრად თავის გაზრდილსა და სიძეს, ახალგაზრდა დემნას გაამეფებდა.

აჯანყება ივანე ორბელს ფართე გეგმით მოეწყო. გიორგი მეფის წინააღმდეგ დიდგვარიან აზნაურთა დიდი ნაწილი გამოვიდა. აჯანყების ცენტრი, მართალია, ქვემო ქართლი იყო, მაგრამ მეფის მომხრე-მოწინააღმდეგეთა შორის ხმალი ტრიალებდა და სისხლი იღვრებოდა საქართველოს მრავალ კუთხეში. ეს გარემოება იმას მოწმობდა, რომ ამ აჯანყებას ღრმა სოციალური საფუძველი ჰქონდა.

აჯანყება 1177 წელს დაიწყო. შეთქმულ-აჯანყებულთ მეფის მოულოდნელად დატყვევება განუზრახავთ. გიორგი მეფე თურმე თბილისის ახლო სამეფო სასახლეში ისვენებდა, როცა ივანე ორბელმა, რომელიც იმ დროს კოჯორს იდგა, მისი შეპყრობა დააპირა. მაგრამ მეფეს დროულად აცნობეს საფრთხე და ისიც გადარჩა. გიორგი მეფემ სასწრაფოდ თბილისს მოაშურა, ქალაქში ჩაიკეტა და ერთგულებს მოუხმო.

რაკი მეფე პირველ ხიფათს გადაურჩა და გაძლიერება იწყო, მის მოწი-

ნააღმდეგეებს ყოყმანი შეექმნათ. მეფემ ისარგებლა აჯანყებულთა ამ სისუსტით და გაბედული შეტევით კოჯრიდან გააქცია ისინი, შემდეგ სამშვილდეც წაართვა, ტაშირში ავიდა და გარს შემოერტყა **ლორეს ციხეს**, სადაც დემნა უფლისწული და მისი ერთგული ივანე ორბელი გამაგრებულიყვნენ. მეამბოხეთა სიმტკიცეც მალე გატყდა. მრავალი მათგანი მეფეს მიუვიდა და შეცოდების პატიება ითხოვა. მეფემ აჯანყებულთა მოღალატენი დიდის პატივით მიიღო, რამაც დანარჩენ მეამბოხეთა სიმტკიცე კიდევ უფრო მოშალა. აჯანყებულებმა ლორედან მოციქულები გაუგზავნეს მეზობელ თურქ ხელმწიფეებს და დახმარება სთხოვეს მათ გიორგი მეფის წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში მეფე სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, აჯანყებულთა მხარე კი სუსტდებოდა. ბოლოს, ლორეში შემწყვდეულ აჯანყებულთ ყოველივე იმედი გადაუწყდათ: დემნა უფლისწული მორჩილებით გამოცხადდა მეფესთან, დამორჩილდა მეფეს ივანე ორბელიც.

მეფემ დამნაშავეები გაასამართლა და „შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი", ე. ი. კანონის თანახმად დასაჯა ისინი. დემნა უფლისწული ამ სასჯელს გადაყვა. ივანე ორბელის სახლიდან ცოცხალი მხოლოდ ისინი გადარჩნენ, ვინც იმ დროს საქართველოს გარეთ იმყოფებოდნენ, სხვა ყველა ამოხოცეს. მრავლად დაისაჯნენ სხვა აზნაურებიც, აჯანყებულთა ნაწილი კი უცხო სახელმწიფოებს შეეფარა, იქ გიორგი მეფის წინააღმდეგ საქმიანობდა და საშობლოში დასაბრუნებლად ხელსაყრელ პოლიტიკურ ამინდს ელოდა.

ამ აჯანყებამ ნათელყო დიდგვარიან აზნაურთა პოლიტიკური პოზიცია. გიორგი მეფის წინააღმდეგ აჯანყებაში დიდმოხელე აზნაურთა უმრავლესობა იყო გარეული, ზოგი აქტიურად. ზოგი პასიურად. ეს ფაქტი ქვეყანაში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებას მოწმობდა და მძიმე მდგომარეობაში მყოფ მეფეს აჯანყების მონაწილეთა მიმართ ფრთხილსა და მოქნილ პოლიტიკას უკარნახებდა. ამიტომ იყო, რომ გიორგი მეფემ აჯანყების მხოლოდ აქტიურ მონაწილე-მეთაურები დასაჯა.

მეფის უყოყმანო ერთგულებას კი ამ აჯანყების დროს უპირატესად უგვარონი და უხანონი (ე. ი. ახალკაცნი) შერჩნენ. ბუნებრივი იყო, რომ მეფემ აჯანყებაში აქტიურად მონაწილე დიდებულთა ადგილას ეს თავისი ერთგულები დაწინაურა. ასეთი იყო, მაგალითად, ყუბასარი, გაქართველებული ყივჩაყი, რომელსაც მეფემ ამირსპასალარობა უწყალობა; ასეთივე უგვარო იყო აზნაურის ნაყმევი აფრიდონ, რომელმაც მსახურთუხუცესობისა და ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა მიიღო, და სხვ.

მაგრამ ამა თუ იმ ერთგული უგვაროს დაწინაურება და აჯანყებული დიდგვარიანის ადგილას მისი აღზევება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა დიდგვარიანთა პოლიტიკური ზრახვების წინააღმდეგ საერთო შეტევას. საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო საამისოდ მომწიფებული სოციალურ-პოლიტიკური პირობები. მაგრამ გიორგი მეფის პოლიტიკური ღონისძიება მაინც გაბედული და დიდმნიშვნელოვანი წამოწყება იყო. ამიტომ დიდაზნაურებმა განსაკუთრებით მწვავედ განიცადეს ეს ფაქტი და ის დიდგვარიანთა წინააღმდეგ მიმართულ საშიშ შეტევად შეაფასეს. მაგრამ ვიდრე აჯანყებულთა ეს მძიმე ტაქტიკური დამარცხება არ განელებულიყო, ხოლო გამარჯვებული გიორგი მეფე კი ისევ მხნეობ-

და, დიდგვარიანები მიდუმებული ისხდნენ და მოხერხებულ დროს უცდიდნენ. სამაგიეროდ არ სდუმდნენ ეკლესიის მესვეურები.

ეკლესიის მესვეურთა გამოსვლა

1103 წლის მარცხის შემდეგ ეკლესიაში დიდგვარიანებმა ისევ გზა გაიკაფეს და XII საუკუნის მიწურულისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობაც მოიპოვეს. მათი გავლენით და თაოსნობით იყო, რომ, ვიდრე გიორგი მეფე აჯანყებულ დიდგვარიანებს ებრძოდა, ეკლესიის მესვეურთ საეკლესიო კრება მოეწვიათ და როგორც კი მეფე საშიში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ უკან დაბრუნდა, მას კრების მეთაურები წარუდგნენ და კრების სახელით ეკლესიის შეუვალობის აღდგენა, ე. ი. სამეფო გადასახადებისაგან საეკლესიო ქონების განთავისუფლება მოსთხოვეს. მძიმე ომგადახდილი მეფე იძულებული იყო რეაქციულ დიდგვარიან აზნაურთა გავლენისათვის ეკლესიაში დროებით დაეთმო და საეკლესიო კრების მოთხოვნა შეუვალობის აღდგენის თაობაზე დაეკმაყოფილებინა.

თამარის გამეფება

გიორგი მეფეს ვაჟი არ ჰყავდა და მეფობის მემკვიდრედ მისი ქალი თამარი გამოდიოდა. მეფეს ეშინოდა, რომ თამარის გამეფებას პოლიტიკური გართულება არ ასცდებოდა, თუ ეს გამეფება მისი, ე. ი. გიორგი მეფის, გარდაცვალების შემდეგ მოხდებოდა. ამიტომაც იყო, რომ 1178 წელს, აჯანყების ჩაქრობის უმალ, გიორგი მეფემ თამარი დიდის ზეიმით აიყვანა სამეფო ტახტზე.

გიორგი მეფის უკმაყოფილო დიდგვარიანმა აზნაურებმა, ბუნებრივი, ერთი ხნით აქაც დუმილი ამჯობინეს. მამა-შვილის მეფობა გაგრძელდა 1184 წლამდე, როცა გიორგი მეფე გარდაიცვალა.

კანონი მეკობრეობის წინააღმდეგ

ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური კრიზისის ამ სურათს აგვირგვინებს 1179 წლის კანონმდებლობა: სახელმწიფო დარბაზმა შეიმუშავა ღონისძიება ქვეყანაში გავრცელებული მეკობრეობის წინააღმდეგ.

მეკობრეობა, როგორც აღვნიშნეთ, ღრმა სოციალური მოვლენა იყო და ის არც XII საუკუნის მეორე ნახევარში გაჩენილა. მეკობრეობა კლასობრივი ბრძოლის გამოვლინებაა და მეტ-ნაკლები სიძლიერით მუდამ თან ახლავს კლასობრივ ბრძოლას. ზოგჯერ კი ის, ამა თუ იმ სპეციფიკური პირობების ხელშეწყობით განსაკუთრებით ინტენსიური ხდება, სწორედ ასე ყოფილა XII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც იგი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების „ნორმალურ“ განვითარებას დამუქრებია. ამიტომ ეს საკითხი სახელმწიფო დარბაზის საგანგებო ბჭობის საგანი შექმნილა. ფეოდალთა ამ საბჭოს განსაკუთრებული სასტიკი ზომები არ დაუშურებია მეკობრეობის აღმოსაფხვრელად. მეკობრეობდნენ კი იმ დროს, როგორც აღვნიშნეთ, უპირატესად მდაბიორ-მოლაშქრენი, ასე რომ 1179 წლის კანონით დიდგვარიანი აზნაურები აჯანყებულ კლასობრივ მტერს სჯიდნენ, ხოლო მეფე ანადგურებდა თავის იმ მოკავშირე სოციალურ ფენას, რომელიც ახალ დროსა და ვითარებას ვერ შესწყობოდა.

დარბაზს მეკობართათვის სასჯელად „ძელსა ზედა ჩამორჩობა“ გაუჩენია. საამისო მოხელეები, მეკობართ-მძებნელები, ქვეყნის ყოველ მხარეში ამოქმედებულან. სადაც კი მოახელებდნენ მეკობრებს, განუკითხავად ჰკიდებდნენ

სახრჩობელებზე, რომელნიც, სხვათა დასაშინებლად, გზაჯვარედინებზე იყო აღმართული.

მიუხედავად ამ სასტიკი ადმინისტრაციული ღონისძიებისა, მეკობრეობა ვერ მოუსპიათ და 1179 წელს შემოღებული ეს კანონი XIII საუკუნის დამდეგსაც მოქმედებდა თურმე. ეს, როგორც ითქვა, იმის უეჭველი მოწმობაა, რომ ამ მოვლენას ჰქონდა ღრმა სოციალური ფესვები და მის წინააღმდეგ ადმინისტრაციული ზომები, თუნდაც უმკაცრესი, უღონო იყო.

ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოს წუოგბილების შესაცვლელად

მომწიფებული პოლიტიკური კრიზისი უმალვე გამოაშკარავდა, როგორც კი გიორგი მეფე გარდაიცვალა და სამეფო ტახტზე ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. დიდგვარიანმა აზნაურებმა დრო თავიანთი პოლიტიკური ზრახვების განაღდებისათვის შესაფერისად სცნეს.

როგორც ვიცით, გიორგი მეფემ თავისი ქალი თამარი 1178 წელს დასვა მეფედ. ეხლა, გიორგის სიკვდილის შემდეგ, დიდგვარიანმა დიდებულებმა თამარის, როგორც მეფის, უფლება საცილობლად გადააქციეს. ბოლოს და ბოლოს დარბაზმა თამარის გამეფებას დასტური მისცა, ოღონდ საჭიროდ მიიჩნია მისი ხელმეორედ კურთხევა.

1184 წელსვე თამარი დიდი ზეიმით საქართველოს მეფედ დასვეს, მაგრამ მეფის კურთხევის ცერემონია ისეთი წესით შეასრულეს, რომ ძველი დიდგვარიანი სახლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ტახტის მემკვიდრის სამეფო უფლებით აღჭურვის საქმეში საგანგებოდ იყო ხაზგასმული.

ასე დაიწყეს დიდგვარიანმა აზნაურებმა გიორგი მეფის პოლიტიკური ნამოქმედარის „გადასინჯვა“.

იმავე ხანებში სამეფო ტახტს მეორე მარცხიც მოუვიდა. პატივმოყვარე **მიქაელ კათალიკოზმა**, დიდგვარიან **მირიანისძეთა** შვილმა, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა მისტაცა მეფის უერთგულეს პირს **ანტონ გნოლისთავისძეს.** ასე რომ დიდგვარიანი აზნაურის მიქაელ მირიანისძის ხელთ იყო ამიერიდან არა მარტო ეკლესიის მართვა-გამგეობის საქმე, არამედ იგივე გახდა ყველაზე უფრო გავლენიანი ვაზირი მეფის კარზე — მეფის მეორე პირი.

დიდგვარიანმა აზნაურებმა შეტევა თანდათან განავითარეს. მათ ერთხმად განუცხადეს მეფეს, რომ აღარ დაემორჩილებოდნენ უგვარო დიდმოხელეებს და მოითხოვეს თანამდებობა ჩამოერთვათ ასეთ მოხელეთათვის. ეს „უგვარონი“ კი ისინი იყვნენ, ვისაც გიორგი მეფემ, უზადო ერთგულებისათვის, მოღალატე დიდგვარიან აზნაურთა თანამდებობა უწყალობა. გაფიცულმა დიდგვარიანმა აზნაურებმა უპირველეს ყოვლისა ნიშანში ამოიღეს მათთვის განსაკუთრებით საჭულველი **ამირსპასალარი ყუბასარი** და **მსახურთუხუცესი** აფრიდონი.

პოლიტიკური მდგომარეობა ისე გართულდა, რომ სამეფო კარი იძულებული გახდა დაეთმო დიდგვარიან გაფიცულთათვის და მეფის ერთგული ვაზირები გაეწირა.

დიდგვარიან აზნაურებს შორის, როგორც წესია, ატყდა ბრძოლა განთავისუფლებული ადგილების გამო. სწორედ ამ დროს გამოვიდა მეფის ერთ-ერთი ვაზირი ყუთლუ არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, რომელსაც განზრახული ჰქონდა ამირსპასალარის თავისუფალი თანამდებობა დაეჭირა, და სახელმწიფო მმართ-

ველობის საკუთრებით გამოკვეთილი პოლიტიკური პროგრამა წამოაყენა. ყუთლუ-არსლანმა მოითხოვა, რომ ისანში (დღევანდელ ავლაბარში), მეფის სასახლის მახლობლად აეგოთ სპეციალური შენობა — „კარავი“ დიდებულთა შესაკრებელად. ამ კარავში დიდებულთა სხდომებზე უნდა გარჩეულიყო სახელმწიფო მართვა-გამგეობასა და უზენაეს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული უმთავრესი საკითხები, მაგალითად, დიდსამოხელეო თანამდებობათა გაცემა და ჩამორთმევა, სამოხელეო ქვეყნის წყალობა და სხვ. დიდებულთა ამ სხდომებს მეფე არ უნდა დასწრებოდა და მას მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება რჩებოდა: მას უფლება ჰქონდა „სრულეყო“, ე. ი. ცხოვრებაში გაეტარებინა კარავის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილება.

ყუთლუ არსლანის პოლიტიკური მოთხოვნილების მიზანი იყო ისეთი სახელმწიფო წყობილების შექმნა, რომელშიაც რეალური ძალაუფლება ერთხელ და საბოლოოდ მოექცეოდა დიდგვარიან აზნაურთა ხელში; აღარ იქნებოდა შიში მეფის თვითმპყრობელური მიდრეკილების წინაშე; ძირძველ დიდგვარიან აზნაურთა ინტერესები საიმედოდ იქნებოდა დაცული და უხანო-უგვაროებს აღზევება-დაწინაურების გზა მოჭრილი ექნებოდათ; მეფე დიდგვარიან აზნაურთა ტყვე იქნებოდა.

ყუთლუ არსლანის ეს პოლიტიკური პროგრამა იყო შემდგომი განვითარება, მაღალი საფეხური იმ საუკუნოვანი ბრძოლისა, რომელსაც ფეოდალური ოპოზიცია აწარმოებდა მეფის თვითმპყრობელური მიდრეკილების წინააღმდეგ.

სამეფო კარმა სწორად შეაფასა ყუთლუ არსლანის მოთხოვნილების შინაარსი: ცხადი იყო, რომ ამ მოთხოვნილების განხორციელება საქართველოს მეფის „ხელმწიფობისა დასასრული“ იქნებოდა. თავის უახლოეს და უერთგულეს პირებთან მოთათბირების შემდეგ თამარ მეფემ ყუთლუ არსლანის დაპატიმრება ბრძანა. მეთაურის დაპატიმრებამ მის თანაშეფიცულთა ძლიერი შეშფოთება გამოიწვია. ყუთლუს მომხრე დიდებულებმა ახალი ფიცით დაადგინეს, მეფის სასახლეზე იარაღით მისულიყვნენ, თუ ყუთლუ არსლანს რამე დაუშავდებოდა და პატიმარი ბელადის უვნებლად განთავისუფლებაც მოითხოვეს.

ამ კრიტიკულ მომენტში მეფის კარმა მოქმედების მარჯვე გეზი აიღო. მოძრაობის მეთაურის დაპატიმრებით მან აზნაურულ ოპოზიციაში მერყეობა შეიტანა და თავისი პოლიტიკური წარმატება ამ ოპოზიციონერთა ერთიანობის სისუსტეზე ააგო. მართლაც და დიდგვარიანი აზნაურები მთლიანი მტკიცე მასა როდი იყო. სხვადასხვა წარმოშობის, სიძველისა და შეძლების ეს აზნაურები გამუდმებით ებრძოდნენ ურთიერთს და მეფის უფლებათა შეზღუდვის საკითხშიც ყველა ერთ აზრს არ ადგა.

მეფის კარმა ყუთლუ არსლანის დასთან მოლაპარაკება გამართა. თამარ მეფემ აჯანყებულებს ორი მანდილოსანი მიუგზავნა: **ხოშაქ ცოქალი**, დიდგვარიანი აზნაურის **რატი ერისთავთ-ერისთავის** დედა, და **კრავაი ჯაყელი,** აგრეთვე დიდგვარიან აზნაურ **სამძივართა** დედა. ამ ქალებმა მოახერხეს და აჯანყებულნი დაითათბირეს. ორივე მხარემ დათმო. ყუთლუ არსლანი არ დაუსჯიათ, დიდგვარიანთა ცალკე კარავი უარყოფილ იქნა, მაგრამ აღარც მეფეს რჩებოდა სახელმწიფო საკითხების ერთპიროვნული გადაწყვეტის უფლება. ასეთი სა-

კითხები ამიერიდან მეფეს უნდა გადაეჭრა სამეფო დარბაზის მონაწილე დიდებულთა **„თანადგომითა და ერთნებაობითა“**. ამრიგად, დიდგვარიან აზნაურთა საკრებულო დარბაზი მეფობის „თანაზიარი“ (მონაწილე) გახდა. მართალია, ეს იყო მეფის ძალა-უფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვა, მაგრამ დიდგვარიანთა სახლების ინტერესთა სხვადასხვაობის გამოყენებით მეფეს საშუალება ჰქონდა შესამჩნევად გაენელებინა დარბაზის ამ უფლებათა გაფართოების სიმწვავე.

ამ კომპრომისული შედეგების საბოლოოდ კმაყოფილი არც ერთი მხარე არ იყო. მეფეს ემძიმებოდა დიდგვარიან აზნაურთა ჩარევა ისეთ საქმეში, რომელიც მხოლოდ მას ეკითხებოდა „ნებითა ღმრთისაითა“. დიდგვარიანი აზნაურები კი საკმაო გარანტიას ვერ ხედავდნენ და შიშობდნენ, რომ მეფე ამ პირობებშიაც შეძლებდა უგვაროების დაწინაურებას და მსახურეულ სახლის შვილებს უპატიოდ დატოვებდა.

მაგრამ თავი და თავი იყო საქმის ამგვარად გადაწყვეტის ღრმა შეუსაბამობა საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების დონისა და ამ განვითარების ტენდენციებისადმი. სწრაფად მოზარდი ქვეყნის შემოქმედებითი ძალების ხელოვნურ შეფერხებას ემსახურებოდა დიდგვარიან აზნაურთა ეს ამქრულ-კასტური ხასიათის პოლიტიკური ცდები. ამიტომაც სახელმწიფო წყობილების საკითხის ამგვარად გადაწყვეტა დიდხანს ვერ იბოგინებდა და სოციალ-ეკონომიურად სწრაფი განვითარების გზაზე მდგარი საქართველო ადრე თუ გვიან ამ წყობილების შეცვლას გარდაუვალს ყოფდა.

საეკლესიო კრება

ბრძოლა გრძელდებოდა. მალე ამის შემდეგ მეფე შეეცადა გამოესწორებინა ეკლესიაში შექმნილი არასასურველი ვითარება. ეკლესიის საქმეების გასამართავად მეფემ საეკლესიო კრების მოწვევა ბრძანა. ისევე, როგორც დავით აღმაშენებელმა თავის დროზე, თამარმაც სცადა საგანგებოდ შეემზადებინა ეს კრება, რათა უზრუნველეყო სასურველ ღონისძიებათა გატარება. მაგრამ მეფემ ვერც აქ მიაღწია სრულ გამარჯვებას. მართალია, კრებამ ზოგი ვინმე არასასურველი ეპისკოპოსი გააძევა მაღალი თანამდებობიდან, მაგრამ მიქაელ კათალიკოზს ვერაფერი დააკლო: ს ვერც გადააყენეს და მას ვერც მწიგნობართუხუცესობა დაატოვებინეს.

მეფის სახლეულის საკითხი

სამაგიეროდ ვერც რეაქციონერ დიდგვარიან აზნაურთა უკიდურესმა ფრთამ მოიპოვა მისთვის სასურველი წარმატება, როცა საქართველოდან გაძევებული რუსი უფლისწულის კვლავ გამეფებასთან დაკავშირებით თავისი რეაქციული ზრახვების განხორციელება იარაღით მოიწადინა.

თამარ მეფის პირველი ქმარი **გიორგი რუსი** სუზდალის რუსეთის დიდი მთავრის **ანდრია ბოგოლუბსკის** შვილი იყო. იმ დროს ქართველები რუსეთს კარგად იცნობდნენ და უკვე დიდი ხანი იყო, მასთან ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ.

გიორგი უფლისწულის თამარის ქმრად მოყვანა დარბაზის სხდომაზე გადაწყდა. რუსი უფლისწული ბიძას გამოეძევებინა სამშობლოდან და. ყივჩაყებთან შეკედლებული, ქალაქ სუნჯაში (იმიერკავკასიაში) იმყოფებოდა.

საქართველოში მოყვანილი გიორგი უფლისწული თამარის ქმრად და მეფედ შესაფერისად სცნეს. ეს იყო 1185 წელს.

თამარის ქმრად გიორგი რუსის მოყვანის მომხრე ყველა არ იყო. მისი მოყვანის საკითხში დიდგვარიანთა სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა აზრს ადგა. თითოეული ჯგუფი თავისთვის სასურველ კანდიდატს ირჩევდა. იმჯერად რუსი უფლისწულის მომხრეთა დასმა გაიმარჯვა. ასე რომ გიორგი რუსი თავიდანვე საქართველოს სამეფო კარზე გაჩაღებული შინაკლასობრივი ბრძოლის არეში მოჰყვა.

სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ გიორგი რუსი იძულებული გახდა ცოლს გაყროდა, საქართველო დაეტოვებინა და კონსტანტინეპოლში გახიზნულიყო. 1189 წელს თამარს შერთეს მეორე ქმარი, საქართველოს სამეფო კარზე გაზრდილი, ოსთა მეფის შვილი, **დავით სოსლანი.** იმას კიდევ დიდგვარიან აზნაურთა გარკვეული ჯგუფი ემხრობოდა. უკმაყოფილო მოწინააღმდეგეთა ჯგუფი გარეგნულად მიდუმებული იყო და შესაფერის დროს ელოდა.

ეს დროც მალე დადგა. 1191 წელს გიორგი რუსი კონსტანტინეპოლიდან არზრუმს მოსულიყო და საქართველოში შემოსასვლელად პოლიტიკურ ნიადაგს სინჯავდა. უკმაყოფილო დიდგვარიან აზნაურთა ჯგუფმა, რომელშიც აქტიურობით გამოირჩეოდნენ **გუზან ტაოელი, ბოცო სამცხის სპასალარი** და, განსაკუთრებით, **მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი,** მხარი დაუჭირა გიორგი მეფეყოფილს. მათი ხელშეწყობით ტახტის მაძიებელი არზრუმიდან სამცხეზე გამოვლით იმერეთს მოვიდა და გეგუთში კვლავ სამეფო ტახტზე დაჯდა. რა თქმა უნდა, ამ ძველ დიდგვარიანებს საკუთარი პოლიტიკური ანგარიში ამოქმედებდა, როცა თამარ მეფისა და დავით სოსლანის წინააღმდეგ და გიორგი რუსის მხარეზე გამოდიოდნენ. აჯანყებულებმა ყოველ მხრივ შემოიკრიბეს ძალები და ორი მიმართულებით თბილისზე წამოვიდნენ, მაგრამ თამარ მეფისა და დავით სოსლანის მომხრეებმა მძიმედ დაამარცხეს ისინი: ერთი რაზმი — ჯავახეთში, მეორე — შიდა ქართლში. ეს იყო იმავე 1191 წელს.

აჯანყებულნი და მათი მეფე მოწინააღმდეგეს დანებდნენ. დამარცხებულნი შესაფერისი სიმკაცრით არ დაუსჯიათ. გიორგი რუსი კვლავ გააძევეს, სხვებს დანაშაული აპატიეს. ეს იყო ოღონდ, რომ აჯანყების მონაწილე დიდგვარიანებმა დაკარგეს სახელმწიფო სამოხელეო თანამდებობანი, რომელნიც თამარის მომხრე დიდგვარიანებმა დაიჭირეს.

კრიზისის დამთავრება

ასე დამთავრდა ცამეტწლოვანი პოლიტიკური კრიზისი. ორი უკიდურესი მიმართულება სახელმწიფო წყობილების საკითხში — მეფის შეუზღუდველი თვითმპყრობელობისა და დიდგვარიან აზნაურთა სრულუფლებიანობის მომხრეობა („კარავისელები") — ფეოდალური საზოგადოების შიგნით მიმდინარე ღრმა სოციალური პროცესის პოლიტიკურ გამოვლინებას წარმოადგენდა.

ბრძოლა არც ერთი მიმართულების სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა. მხარეები ურთიერთისადმი დათმობის გზით მორიგდნენ (გაიმარჯვა „საშუალო ხაზმა"), მაგრამ ეს იყო დროებითი ზავი, რადგან ნამდვილად არასოდეს მორიგებულან და ვერც მორიგდებოდნენ ის საზოგადოებრივი ძალები, რომელნიც სულ უფრო და უფრო ღრმად უპირისპირდებოდნენ ერთიმეორეს და ამ ზედნაშენ პოლიტიკურ მოვლენათა საფუძველს წარმოადგენდნენ.

§ 3. საგარეო პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნის მიწურულს და XIII საუკუნის დასაწყისში

შამქორის ომი

მოქნილი და ძლიერი სამხედრო ორგანიზაციის საშუალებით ქართველებმა შეძლეს ინიციატივა მთლიანად ხელთ ეგდოთ და თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ საერთო შეტევაზე გადასულიყვნენ. შარვან-რანიდან მოკიდებული ვიდრე ბასიან-სპერამდე ციხე-ქალაქები და ყიშლაღ-იალაღები ზედიზედ ხელიდან ეცლებოდათ დამპყრობლებს.

ქართველ მონაპირეთა შეუნელებელი აქტიურობით, უკიდურესად შეევიწროებულმა თურქებმა საქართველოს გასატეხად კოალიციური ლაშქრობის მოწყობა განიზრახეს. ამ მიზნით მათ ბაღდადის ხალიფას მიმართეს, თავიანთი საჩივარი მოახსენეს და განზრახულ აქმეში დახმარება სთხოვეს. ბაღდადის ხალიფა აღმოსავლეთის მაჰმადიანთა რელიგიური მეთაური იყო და „მართლმორწმუნეთა" „დაცვას" ქრისტიანების მხრივ „შევიწროვებისაგან" თავის მოვალეობად სთვლიდა. ხალიფამ ენერგიულად დაუჭირა მხარი მოჩივართა წამოწყებას. მან უხვად გაიღო ფული კოალიციური ლაშქრობის მოსაწყობად, ბრძანება დაგზავნა ახლო და შორეულ მუსლიმანურ სამფლობელოებში და ყველას საომრად მოუწოდა; ხალიფური დროშაც კი, უძლეველობის ნიშნად, მან ამ „მორწმუნეთა ლაშქარს" წაუმძღვარა.

ხალიფას ამ იდეური და ნივთიერი დახმარებით ადერბაიჯანის ათაბაგმა (იგულისხმება სპარსეთის ადერბაიჯანი) **აბუბექრმა** აღმოსავლეთის თურქთა დიდძალი ლაშქარი შემოიყარა. ლაშქრის შეყრას მტერი საიდუმლოდ აწარმოებდა. ისე რომ საქართველოს სამეფო კარმა ათაბაგის განზრახვა მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა მტერი უკვე შეყრილი იდგა ადერბაიჯანში და კავკასიისაკენ წამოსასვლელად პირი ექნა.

აბუბექრ ათაბაგმა პირველად აღსართან შარვანშაჰის დასჯა გადაწყვიტა. აღსართანი საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო და ათაბაგის სახლის შიგნით მიმდინარე ბრძოლაშიც აბუბექრის სამტროდ გარეულიყო. აბუბექრმა აღსართანი შარვანიდან გამოაძევა. დამარცხებულმა შარვანშაჰმა თავის მფარველს საქართველოს მეფეს მომართა და ათაბაგის წინააღმდეგ მას შველა სთხოვა. თამარ მეფემ შარვანშაჰს დახმარების იმედი მისცა და სასწრაფოდ ლაშქრის შეყრა ბრძანა. ათ დღეში ქართველთა ჯარის მობილიზაცია დასრულდა და ის დავით სოსლანის წინამძღოლობით მტერს გაეგება. ომი მოხდა 1195 წელს შამქორის მიდამოებში. თურქთა შეერთებული ლაშქარი სასტიკად დამარცხდა, შამქორიცა და განძაც გამარჯვებულ ქართველებს დანებდა.

შამქორის ომს ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მან ნათელყო ქართველთა სამხედრო ძალის უპირატესობა ახლო აღმოსავლეთში.

ბრძოლა გრძელდებოდა და ამიერიდან ქართველთა შეტევა კიდევ უფრო ძლიერდებოდა, ხოლო თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგობის ძალა შესამჩნევად კლებულობდა. თანდათან საქართველოს მეფეს დამორჩილდნენ გელაქუნის (სევანის ტბის) გარშემო ქვეყნები, არარატის დაბლობის სომხური თემები, ჭოროხის ხეობის ზემონაწილი.

სასომიხდილი თურქი მმართველები საქართველოს მეფის ყმადნაფიცობას ამჯობინებდნენ და ყოველწლიური ხარკის გადახდით მშვიდობის მოპოვებას ცდილობდნენ.

ტრაპიზონის სამეფოს დაარსება

XIII საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს მეფის კარზე მომწიფდა აზრი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ისეთი ქრისტიანული სამეფოს შექმნისა, რომელიც საქართველოს აქტიურად დაუჭერდა მხარს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბიზანტია იმ დროს მეტად შევიწროებული იყო. კეისრის ტახტის გარშემო ბრძოლას ბოლო არ ეღებოდა, თურქები შეტევაზე გადმოსულიყვნენ, ხოლო დასავლეთევროპელი „ჯვაროსნები" საკეისროს დაპყრობასა და აქ დამკვიდრებას ლამობდნენ. საქართველოს დასავლეთის მხრიდან საფრთხე უჩნდებოდა. დაღუპვის კარზე მდგომი ბიზანტიის აღმოსავლეთ ნაწილს თურქთა მიერ დაპყრობა ემუქრებოდა.

სწორედ ამ დროს (1204 წელს) ბიზანტიის კეისარმა საქართველოს მეფის მიმართ უკადრისი საქციელით საბაბი მისცა უკანასკნელს, რომ თავისი განზრახი „კანონიერად" განეხორციელებინა. კეისრის დასასჯელად ქართველთა ჯარი თამარის ბრძანებით შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს შეესია და ადვილად დაიპყრო ქართველი ტომებით დასახლებული ჭანეთი ანუ ლაზისტანი. ქართველებმა დაიმორჩილეს აგრეთვე ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა და ერაკლეა. დაპყრობილი ქვეყნები თამარმა ჩამოართვა ბიზანტიის კეისარს და მათგან შექმნა ცალკე სახელმწიფო, სადაც მეფედ დასვა საქართველოში, მეფის კარზე გაზრდილი ბერძენი უფლისწული **ალექსი კომნენოსი.**

ამნაირად საქართველომ დასავლეთის მხრით მეზობლად გაიჩინა ტრაპიზონის საკეისრო, სადაც ქართველთა პოლიტიკური გავლენა დიდხანს უცილობლად ბატონობდა.

კარის (უარსის) აღება

ციხე-ქალაქი კარი თურქ დამპყრობელთა ერთ-ერთი საყრდენი იყო ამიერკავკასიაში. ისევე როგორც განძას, თურქები კარს დიდად აფასებდნენ და ამიტომ თავგამოდებით იცავდნენ მას, მაშინაც კი, როცა ამ ციხე-ქალაქის გარშემო ქვეყნები ქართველ მონაპირეებს **შალვა თორელს** და **სარგის თმოგველს** მტრის ხელიდან გამოეგლიჯათ, ხოლო საქართველოს ლაშქარი ამიერკავკასიის სამხრეთით შორს გაჭრილიყო და ხლათ-მანაზკერტ-არჭეშის ქვეყნებს არბევდა. საქართველოს სამხედრო წარმატება სამხრეთში მტკიცე ვერ იქნებოდა მანამ, ვიდრე კარი და სხვა ასეთი საყრდენი პუნქტები ამიერკავკასიაში მტრის ხელთ რჩებოდა.

გარდა ამისა, კარი იმყოფებოდა ანის-არზრუმის დიდ სავაჭრო გზაზე, რომლის ექსპლოატაციას ფეოდალური საქართველოსათვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა.

1204 წელს კარის წინააღმდეგ მებრძოლ მონაპირეებს თამარ მეფემ საგანგებო ჯარი მიაშველა. ქართველთა ჯარმა მაგარი ციხე-ქალაქი გასტეხა. თამარ მეფემ კარი წყალობად კი არ გასცა, როგორც ანისი ან დვინი, არამედ ის უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილა.

ამრიგად, დამპყრობელ თურქებს ეს ძლიერი საყრდენი პუნქტიც მოეშალა და მათმა თავდაცვის ხაზმაც შორს სამხრეთში გადაინაცვლა.

ბასიანის ომი

საქართველოს ამ სამხედრო წარმატებამ დიდად შეაშფოთა დასავლეთის თურქთა სამყარო. ამ დროს იქ, მცირე აზიაში, ყველაზე დიდი თურქული სახელმწიფო რუმის სასულტნო იყო. რუმის სულტანმა **რუკნადინმა,** ისევე როგორც თავის დროზე ადერბაიჯანის ათაბაგმა აბუბექრმა, საქართველოს წინააღმდეგ თურქთა შეერთებული ლაშქრობის მოწყობა განიზრახა. რუმის სულტანმა არა ერთი თურქი ხელმწიფე წამოიტანა თან და დიდი შეერთებული ჯარით საქართველოს წასახდენად დაიძრა.

რუკნადინმა სწორად ვერ შეაფასა საქართველოს ძალა. ამ პოლიტიკურ შეცდომას სამხედრო შეცდომებიც ზედ მიაყოლა და ომიც სამარცხვინოდ წაგო. როცა რუმის სულტანმა დიდძალი ჯარი შემოიყარა, მან თავი უძლეველად წარმოიდგინა, ხოლო საქართველოს საქმე გათავებულად ჩათვალა. რუკნადინმა თამარ მეფეს ბრიყვული კადნიერებით აღსავსე წერილი გამოუგზავნა: სულტანი მოითხოვდა, საქართველოს ქრისტიანობა უარეყო და მას, რუმის სულტანს, დამორჩილებოდა. სულტნის შეცდომით საქართველოს სამეფო კარმა მკაცრად ისარგებლა. თამარ მეფემ სულტანს პასუხი განზრახ დაუგვიანა და ვიდრე რუკნადინის ელჩი მეფის კარზე იმყოფებოდა და პასუხს ელოდა, თამარმა ლაშქრის შეყრა ბრძანა. საქართველოს ჯარი სწრაფად შეიყარა და გაემართა ბასიანისაკენ, სადაც სულტანი დაბანაკებულიყო და საქართველოს მეფისაგან მორჩილების პირზე ელჩსა და პასუხს ელოდა.

თამარ მეფემ შორს გააცილა ომში მიმავალი ლაშქარი. ლაშქარს თან მიჰყვებოდა რუკნადინის ელჩიც. ქართველებმა სულტანის ელჩი და ქართველი მოელჩეული თამარის საპასუხო წერილით მხოლოდ მაშინ დააწინაურეს, როცა თითონაც მიახლოებული იყვნენ სულტნის უზარმაზარ ბანაკს. ასე რომ, ვითარება სრულიად შეიცვალა. თავდამსხმელის როლში ქართველები აღმოჩნდნენ და მათ არც გაუშვიათ ხელიდან ეს ინიციატივა, ვიდრე მტერი სასტიკად არ დაამარცხეს.

რუკნადინი გაიქცა. მისი დროშაც კი ქართველებს დარჩა. რუმის სულტნის არა ერთი მოკავშირე მფლობელი ტყვედ ჩაუვარდათ გამარჯვებულთ. კერძოდ, ტყვედ წამოიყვანეს ერზინკის სულტანი, რომელსაც თამარ მეფემ ყოვლად დამამცირებელი სასჯელი მიაგო: მეფემ ტყვე სულტანი მონად გაყიდა და მის ფასად ჯორის ნალი აიღო.

გამარჯვებულმა ქართველებმა დიდი სამხედრო დავლა იშოვეს. ეს იყო 1205 წელს.

ბასიანის ომს ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, როგორც შამქორის ომს.

1195 და 1205 წლებში საქართველომ ზედიზედ დაამარცხა აღმოსავლეთის და დასავლეთის თურქთა ორი კოალიციური ლაშქრობა, რომელთაც ორი უდიდესი სასულტნო მოთავეობდა. ამაზე უფრო დიდი ძალა ახლო აღმოსავლეთში თურქებს აღარ გააჩნდათ. ასე რომ, საქართველო უკვე ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

ბასიანის ომის გამოძახილი

ბასიანის ომს, ბუნებრივია, დიდი გამოძახილი ჰქონდა. შორეულ პალესტინაში თურქთა მიერ შევიწროებული ჯვაროსნები დახმარების ხელს საქართველოდან ელოდნენ, ხოლო მეზობელი თურქული სამთავრო-სახელმწიფოები ერთიმეორის მიდევნებით საქართველოს მეფის მოხარკე-ყმადნაფიცები ხდებოდნენ. საქართველოს მეფეს ყმადნაფიცობის პირზე დამორჩილდნენ **ერზინკის სასულტნო** და **არზრუმის საამირო**; 1208—1209 წლებში საქართველოს **არჭეში** დამორჩილდა. 1208 წელს თამარ მეფემ ჯარი **არდაველს** გაგზავნა: არდაველის სულტანი გაკადნიერებულიყო და აღდგომა დღეს მოულოდნელი შემოსევით ქალაქ ანისი დაერბია; ამის საპასუხოდ საქართველოს ჯარი ზაქარია ამირსპასალარის სარდლობით არდაველში შეიჭრა, ქალაქი აიღო და აოხრა, ხოლო მისი სულტანი დაატყვევა და თავხედობისათვის სიკვდილით დასაჯა.

1210 წელს საქართველოს ჯარმა შორეული ლაშქრობა მოაწყო ირანში. მან ადვილად აიღო, დაარბია, დაიმორჩილა და დახარკა ქალაქები **მარანდი**, **თავრეჟი** (თავრიზი), **მიანა**, **ზენჯანი** და **ყაზვინი**. ქართველთა ჯარმა ირანის შუაგულში **რომ-გურს** მიაღწია და ალაფით დატვირთული უვნებლად უკან დაბრუნდა.

საქართველოს ყმადნაფიცები

ამრიგად, თამარის მეფობის უკანასკნელ ხანში საქართველოს მეფის ყმადნაფიც-მოხარკენი იყვნენ: ერზინკის სულტანი, არზრუმის ამირა, ხლათის სულტანი და სხვა არა ერთი თურქულ-მუსლიმანური სამფლობელო ამიერკავკასიაში თუ სპარსეთის ადერბაიჯანში.

მაგრამ ფეოდალური საქართველო XII საუკუნეში სხვა მიმართულებითაც გაიზარდა და გაფართოვდა.

კავკასიის მთიანეთსა და იმიერკავკასიის მთისძირობა ქვეყნებს უძველესი დროიდანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ამიერკავკასიასთან. ეს ურთიერთობა, რასაკვირველია, მაშინაც გრძელდებოდა, როცა ფეოდალურად დაწინაურებულ საქართველოში იზრდებოდა და ძლიერდებოდა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების დიდი პროცესი. აფხაზთა მთავრები თუ გაერთიანებული საქართველოს მეფეები სულ უფრო და უფრო მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობას აბამდნენ თავის ამ ჩრდილოეთის მოძმე-მეზობლებთან. **ჩერქეზ-ოსები** თუ **დურძუკ-ღუნძები** სულ უფრო და უფრო ორგანულად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში და, ბუნებრივია, ისინი ვერ დარჩებოდნენ იმ სამყაროს გარეთ, რომელიც ხსენებული პროცესის შედეგად საქართველოს მოთავეობით წარმოიქმნა. ასე რომ, თამარის მეფობის უკანასკნელ ხანში ყველა ეს იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოს მეფის ყმადნაფიცთა შორის იმყოფებოდნენ და პოლიტიკური გავლენის გარდა ფეოდალური საქართველოს ძლიერ კულტურულ გავლენას განიცდიდნენ.

თურქებთან დიდი ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. საქართველო ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა. თურქთა ბატონობის საფრთხე აღარ ემუქრებოდა საქართველოს და მის გარშემო გაერთიანებულ კავკასიის კულტურულ სამყაროს, რომელიც მშვიდობიანი განვითარების გზით სწრაფად წინ

მიდიოდა. ამ განვითარების შედეგი კი უნდა ყოფილიყო „ქვეყანა, გაერთიანებული ერთ ცენტრალისტურ სახელმწიფოდ“, რომელსაც, ამხანაგ სტალინის სიტყვით რომ ვთქვათ, „შეიძლებოდა იმედი ჰქონოდა შემდგომი სერიოზული კულტურულ-სამეურნეო ზრდისა და თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესაძლებლობისა“ („პრავდა“, 1947, 7 IX).

საგარეო ურთიერთობა გიორგი ლაშას დროს

თუმცა თურქობას ფარ-ხმალი საბოლოოდ არ დაუყრია და ბრძოლა არ შეუწყვეტია, მაგრამ ამიერიდან სერიოზული საფრთხე ფეოდალურად დაშლილი თურქული აღმოსავლეთის მხრით გაერთიანებულ საქართველოს აღარ ემუქრებოდა. ასეთი იყო ის ომები, **გიორგი (ლაშა)** თამარის ძე რომ აწარმოებდა XIII საუკუნის ათიან წლებში გამდგარ თურქ ყმადნაფიცთა შემოსამტკიცებლად.

როგორც კი თამარ მეფე გარდაიცვალა (1213 წ.) და სამეფო ტახტი მისმა მემკვიდრემ გიორგი-ლაშამ (გიორგი მეოთხემ) დაიჭირა[1], თურქმა ყმადნაფიცებმა განდგომა იწყეს და საქართველოს მეფეს ხარკის ძლევაზე უარი განუცხადეს. პირველად განძის ათაბაგი განდგა. მეფემ ამ საქმის გამო დარბაზი მოიწვია და გამდგარი ყმადნაფიცის კვლავ დამორჩილება ბრძანა. დარბაზმა მეფეს განზრახვა მოუწონა. ქართველთა ჯარმა განძის ქვეყანა მძიმედ ააოხრა. ათაბაგი განძის ციხე-ქალაქში ჩაიკეტა, მაგრამ ხანგრძლივი ალყით სასომიხდილ საქართველოს მეფეს მორჩილების პირზე მშვიდობას შემოევედრა და ძველებურად ხარკის ძლევა იკისრა. ასევე ძალის ჩვენებით და ომით კვლავ შემოიმტკიცა გიორგი-ლაშამ გამდგარი ყმადნაფიცები: ხლათის, არზრუმის და ნახჭავნის თურქი მფლობელნი. მაგრამ ყოველივე ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფეოდალურ ხელმწიფესა და მის მოხარკეთა შორის ურთიერთობაში და საქართველოში იმ დროს არც არავინ სთვლიდა ამ მოვლენებს რაიმე საფრთხის ნიშნად. პირიქით, ფეოდალური საქართველო თავს უძლეველად გრძნობდა და გიორგი ლაშას კარზე მწიფდებოდა აზრი შორეულ პალესტინაში ლაშქრობისა, თურქთა ხელიდან იერუსალიმის გამოსახსნელად. თვით პალესტინა-იერუსალიმის ქრისტიანებს შორის კი უკვე დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ ქართველი ჯვაროსნების ვითომ დიდი ლაშქრობის დაწყების შესახებ პალესტინის მიმართულებით.

სწორედ იმ ხანებში მეფე გიორგი-ლაშას დასავლეთ ევროპიდან რომის პაპის **ჰონორიუსის** წერილი მოუვიდა. პაპი სთხოვდა მეფეს ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოთა მიერ განზრახულ ჯვაროსანთა ომში საქართველოსაც მიეღო მონაწილეობა.

ლაშა-გიორგიმ თანხმობა განაცხადა და ლაშქრობის სამზადისსაც შეუდგა. მაგრამ მთელი ეს გეგმა მოულოდნელად ჩაიშალა: საქართველოს აღმოსავლეთით, შუა აზიასა და ირანში, თავი იჩინა ისეთმა მოვლენებმა, რომელთაც სავსებით მიიპყრეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის მესვეურთა გულისყური.

---

[1] **1207 წელს, როცა დავით სოლანი გარდაიცვალა, თამარმა თავისი მემკვიდრე გიორგი სამეფო ტახტზე აიყვანა. დედა-შვილის თანამეფობა 1213 წლამდე გრძელდებოდა.**

თ ა ვ ი XII

სახელმწიფოებრივი წყობილება და კულტურული ვითარება XII-XIII საუკუნეებში

§ 1. სახელმწიფოებრივი წყობილება

ძნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურმა წყობილებამ XI—XII საუკუნეებში. ამის საფუძველი იყო ის სწრაფი წინსვლა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიურსა და კულტურულ ცხოვრებას ამ ხანაში ახასიათებდა. ორასი წლის მანძილზე ფეოდალური საქართველო ყოველმხრივ გაიზარდა და დაწინაურდა. გაერთიანებულმა ქვეყანამ გაუძღო ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკების მრავალ მძიმე შემოტევას. უკუაგდო მტრები და ახლო აღმოსავლეთში ის თანდათან საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკურ ძალად იქცა. იმავე დროს იგი აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი კუთხე — დამოუკიდებელი და თავისებური ძლიერი (ქართული) კულტურის ცენტრი გახდა. ასეთივე არსებითი ცვლილება განიცადა საქართველოს სოციალურმა ვითარებამ ამ ორასი წლის მანძილზე.

ყოველივე ეს გულისხმობდა შესაფერის ცვლილებას ქვეყნის პოლიტიკურ წყობილებაში.

მეფე

გაერთიანებული სახელმწიფოს სათავეში მეფე იდგა. ფეოდალური ქვეყნის გაერთიანება ზედაპირული იყო. ის უპირატესად ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და გაერთიანებულ სახელმწიფოში შემავალი ქვეყნები ბევრ ურთიერთისაგან განსხვავებულ არსებით თავისებურებას ინარჩუნებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

თითოეული ასეთი ქვეყანა (ძველად სამეფო) ერთი ან რამდენიმე საერისთაოსაგან შედგებოდა და მეფის ფეოდალური მოხელის, ერისთავის ხელქვეით იყო ფეებოდა.

რაკი მთელი საქართველო ასეთი თავისებური ერთეულების კრებულს წარმოადგენდა, გაერთიანებული სახელმწიფოს მეფეც მმართველობას ორგვარი წესით ახორციელებდა: ცენტრიდან (მეფის მთავარი სადგომიდან) და ადგილობრივ. თავისი მთავარი სადგომიდან მეფე ხშირად მიმოდიოდა და ამა თუ იმ ქვეყნის საქმეს ადგილობრივ „განაგებდა". მართვა-გამგეობის ასეთ წესს ის აზრიც ჰქონდა, რომ მეფე ადგილებთან უშუალო ცოცხალ კავშირს არ სწყვეტ-

და. ერისთავთა მოქმედებას თვალყურს ადევნებდა და ქვეყანას ამ ფეოდალური დიდი მოხელის ანაბარად არ სტოვებდა.

კანონით საქართველოს მეფის უფლება შეზღუდული არ იყო, მაგრამ წამდვილად ეს „თვითმპყრობელი“ ხელმწიფე თავის სამეფო უფლებათა შეუზღუდველად განხორციელებას ყოველთვის ვერ ახერხებდა.

მეფესთან არსებობდა ფეოდალების სათათბირო ორგანო, რომელსაც **დარბაზი** ეწოდებოდა. ის წარმოადგენდა საერო და საეკლესიო დიდმოხელე ფეოდალების (ერისთავები, კათალიკოს-ეპისკოპოსები, სამეფო მონასტერთა წინამძღვრები და სხვ.) კრებას. დარბაზობა მეფესთან, თუ საგანგებოდ მოწვევა არ იყო, დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე (ნათლისღებას, აღდგომას და სხვ.) იმართებოდა ხოლმე.

საქართველოს ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენას მეფის უფლებაზე ერთნაირი შეხედულება არ ჰქონია. წვრილი აზნაურები, ვაჭარ-ხელოსნები, მდაბიორ-მოლაშქრენი მეფის უფლებათა შეუზღუდველობის მომხრენი იყვნენ. დიდი ფეოდალები კი, პირიქით, მეფის უფლებათა შეზღუდვისათვის იბრძოდნენ. მწვავე კლასობრივსა და შინაკლასობრივ ბრძოლას, რაც აგრე ნიშანდობლივი იყო სწრაფად მოზარდი ფეოდალური ქვეყნისათვის, ძლიერი გავლენა ჰქონდა მეფის ხელისუფლების რაგვარობაზე. ზოგი მეფე ძლიერი თვითმპყრობელი იყო (ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი), ზოგი კი სათამაშო ტიკინა დიდაზნაურთა ხელში (გიორგი მეორე). ამისდა კვალად, დარბაზის მნიშვნელობაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო: დავით აღმაშენებლის დროს დარბაზი მეფის მორჩილი იყო, გიორგი მეორის დროს კი მეფე იყო დარბაზის მორჩილი.

მეფე სახელმწიფოს მოხელეთა საშუალებით მართავდა. მოხელენი ორგვარი იყვნენ: **ხელმწიფის კარის** ანუ სახელმწიფოს ცენტრალური დაწესებულების მოხელენი და **საქვეყნოდ გამრიგენი,** ე. ი. ცალ-ცალკე ქვეყნების, მხარეთა მმართველი მოხელენი.

მთელი სახელმწიფო ტერიტორია „ქვეყნებისაგან“ შედგებოდა. „ქვეყანა“ ორგვარი იყო: **სამეფო-სახასო** ანუ ის მიწა-წყალი, რომელიც უშუალოდ მეფის კარის ანუ ცენტრალური აპარატის მმართველობის ხელთ იყო, და **საერისთაო ქვეყნები,** რომელთა მმართველობას მეფე ერისთავების მეშვეობით ახორციელებდა.

ერისთავი

ერისთავს საგამგეოდ მთელი ქვეყანა ებარა. ამ საერისთაო ქვეყნის მმართველობის ყოველი მხარე მას ემორჩილებოდა. ადმინისტრაცია, სამართალი, ფინანსები თუ სამხედრო საქმე — ყველა ერისთავს ეკითხებოდა. ასე რომ საერისთაო ქვეყანა მეფეს ერისთავის მეშვეობით უკავშირდებოდა. ქვეყნის მართვა-გამგეობას ერისთავი საკუთარი კარის საშუალებით ახორციელებდა: მას საამისო საკუთარი მოხელეები ჰყავდა.

საერისთაოზე ერისთავს ჯერ მეფე განაწესებდა ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ, „დალოცავდა“ და შემდეგ კი იქაური ეპისკოპოსი აკურთხებდა ხოლმე ამ თანამდებობაზე. საეკლესიო წესით კურთხევა იმის ნიშნად ხდებოდა, რომ ერისთავი ჩვეულებრივი მოხელე კი არ იყო, არამედ ქვეყნის ისეთი მმართ-

ველი. რომლის საქმეში თვით ღვთის ხელი ერეოდა. ერისთავის კურთხევა იმ დროს შემოსული წესია, როცა, ადრეფეოდალურ ხანაში, ქვეყანა ჯერ ისევ მცირე სამთავროებად იყო დანაწილებული.

ერისთაობა საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა და მას განვითარების დიდი ისტორია ჰქონდა.

ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვის დღიდან ერისთავი საერისთაო ქვეყანას მუდამ საშვილიშვილოდ ეჭიდებოდა და საერისთაოს საქმეებში მეფის ცენტრალური აპარატის ჩარევას მტრულად უყურებდა.

ამ მიზნით ერისთავთა წრეში მთელი ლეგენდაც კი იყო შეთხზული: ვითომცდა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში არჩილ მეფემ თავისი ძმის მეფე მირის ანდერძი შეასრულა — მირის ასულები ერისთავებს ცოლად მიათხოვა და მთელი საქართველოს მიწა-წყლის ნახევარი ამ ქალებს ნამზითვად გაატანა. ამ ლეგენდის მიზანი იყო დაესაბუთებინა კანონიერება ერისთავთა პრეტენზიებისა საერისთავო მიწა-წყლის საშვილიშვილოდ დამკვიდრების მიმართ.

ერისთავი **გამთავრებას** ცდილობდა და მეფისადმი მორჩილებას **ყმადნაფიცობის** რიგზე აპირებდა.

მეფე კი არ სცნობდა ერისთავის მკვიდრობას საერისთაოზე და ამ მოხელის დასმა-გადაყენებას საკუთარ უფლებად სთვლიდა.

ერისთავებსა და მეფეს შორის ამ ნიადაგზე მუდმივი ბრძოლა იყო და იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ძალთა შეფარდება ამა თუ იმ დროს, ერისთავი ხან მეფის „მოსწრაფედ მორჩილი“ მოხელე იყო, ხან კი ქვეყნის „უცილობლად მქონებელი“ მთავარი.

ხელმწიფის კარი

ცენტრალურ სამოხელეო დაწესებულებას „ხელმწიფის კარი“ ეწოდებოდა. თავდაპირველად, ვიდრე მეფე მცირე ქვეყანას განაგებდა, მისი კარიც მცირე და შედარებით მარტივი იყო და ჩვეულებრივი მთავრის (დიდაზნაურის) კარისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. მაგრამ დროთა განმავლობაში, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და მეფის სახასო მიწა-წყლის ზრდასთან ერთად, ხელმწიფის კარიც რთულდებოდა და მისი მნიშვნელობაც მატულობდა.

XII საუკუნის დამდეგს, დავით აღმაშენებლის დროს, ხელმწიფის კარის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა. ამ დროიდან მოკიდებული ხელმწიფის კარის დიდმოხელენი თანდათან ვაზირებად იქცნენ.

ვაზირი (არაბული სიტყვაა და მრჩეველს ნიშნავს) ხელმწიფის კარის ამა თუ იმ დარგს უძღვებოდა.

სამეფო კარის სამდივნოს ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, სამწიგნობროს მეთაურს **მწიგნობართუხუცესი** ეწოდებოდა.

მეფის სამხედრო მეურნეობის სათავეში **ამირსპასალარი** იდგა.

ხელმწიფის კარზე მიღებული წესრიგის დაცვა და სხვა ადმინისტრაციული ფუნქციები **მანდატურთუხუცესის** ხელთ იყო.

სახელმწიფო ფინანსების საქმე **მეჯურჭლეთუხუცესს** ეკითხებოდა.

უფრო გვიან, XIII საუკუნეში, ხელმწიფის კარს მიემატა კიდევ ორი ვაზირი, **ათაბაგი** და **მსახურთუხუცესი.**

მსახურთუხუცესს „ხელშინაური“ ეწოდებოდა; ის სამეფო სახლის მომსახურებას და სახასო მეურნეობას მეთაურობდა.

ათაბაგი თურქული სამყაროდან ნასესხები ინსტიტუტი და სიტყვა იყო: ტახტის მემკვიდრის აღმზრდელსა და მის უახლოეს მრჩეველს ეწოდებოდა.

ვაზირები ყველა ერთნაირი მნიშვნელობისა არ იყვნენ და არც თანასწორი პატივით სარგებლობდნენ. ვაზირთა შორის უპირველესად ითვლებოდა მწიგნობართუხუცესი. ის მეფის მამად იწოდებოდა, მისი მომდევნო პირი იყო სახელმწიფოში და სხვა ვაზირებზე უპირატესი პატივით სარგებლობდა. მწიგნობართუხუცესს სამეფოს საქმე ყველაფერი ეკითხებოდა და საერთავალუურეოდ ხელი მმართველობის ყოველ დარგზე მიუწვდებოდა. დავით აღმაშენებლის დროიდან, როგორც ვიცით, მწიგნობართუხუცესი უზენაესი სასამართლოს — **საჯო კარის** თავმჯდომარეც იყო, ამავე დროიდან ის ჭყონდიდის ეპისკოპოსიც იყო და მისი მეშვეობით მეფე მარჯვედ ერეოდა საეკლესიო საქმეებში. ცხადია, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მნიშვნელობა მეტად დიდი იყო და საერო თუ საეკლესიო დიდი ფეოდალები შურის თვალით უყურებდნენ ამ ყოვლისშემძლე ბერს და მისი ხელის (თანამდებობის) მიტაცებას ცდილობდნენ. XIII საუკუნეში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს აშკარად დაუპირისპირდა ათაბაგი, რომელმაც ხელმწიფის კარზე პირველობა თუ კანონით ვერა, რეალურად მაინც წაართვა მას.

სავაზირო: დრო და დრო, საჭიროებისამებრ, მეფე სათათბიროდ ვაზირებს მოიწვევდა ხოლმე. **ვაზირობაზე** სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხები ირჩეოდა. იმის მიხედვით, თუ რა საკითხი იდგა, ესა თუ ის ვაზირი რჩევის უპირატესი უფლებით სარგებლობდა. პირველი სიტყვა მას ეკუთვნოდა. მაგალითად, თუ საქმე ეხებოდა ვისიმე „სამამულოდ შეწყალებას“, ე. ი. ფეოდალისათვის ამა თუ იმ ქვეყნის საშვილიშვილოდ გადაცემას, მეფეს უპირველეს ყოვლისა ამირსპასალარის აზრი უნდა მოესმინა. ასევე ამირსპასალარს ეკუთვნოდა პირველი სიტყვა ვაზირთა თათბირზე, როცა საკითხი ომსა და სამხედრო საქმეს შეეხებოდა.

ვაზირთა საბჭო მეფესთან არსებულ სათათბიროს წარმოადგენდა და ყოველთვის მისი თანდასწრებით იმართებოდა.

გაერთიანებულ საქართველოში სავაზირო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დაწესებულება იყო. გაერთიანების ნიადაგზე წარმოშობილი, ის ამ გაერთიანების განმტკიცების საქმეს უწყობდა ხელს. **სავაზირო ქვეყნის მმართველობის საუწყებო სისტემის შემოღებას გულისხმობდა და მეფის ხელში სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაციას ემსახურებოდა. სავაზირო** არსებითად ქვეყნის მმართველობის ადრეფეოდალური ხანის სისტემას. — საერისთავოებისა და დარბაზობის სისტემას უპირისპირდებოდა და ბიუროკრატიულ სამოხელეო მმართველობის ჩანასახს წარმოადგენდა.

სავაზირო პროგრესული დაწესებულება იყო. ის ერისთავთა დარბაზზე უფრო შეეფერებოდა თავისი დროის საზოგადოებრივ განვითარებას და ამ განვითარების შემდგომ წინსვლასაც ხელს უწყობდა. გაერთიანების მოღვაწე-მეთაური მეფე, ბუნებრივია, სავაზიროს გზით ცდილობდა მოუხეშავი დარბაზის,

ამ ნახევარ-ხელმწიფეთა კრებულის, დამორჩილებას. ამ მიზნით იყო, რომ მეფის ხელისუფლებამ ვაზირს ერისთავთ ერისთავობა შეუთავსა. XII საუკუნის მიწურულს უკვე ყველა ვაზირი იმავე დროს ერისთავთ ერისთავი იყო. გარდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა, რომელიც, სამაგიეროდ, ჭყონდიდის ეპისკოპოსობას „ათავსებდა" მწიგნობართუხუცესობასთან. ასე და ამრიგად, ხელმწიფის კარის დიდმოხელე (ვაზირი) უმაღლეს საქვეყნოდ გამრიგე მოხელედ-ც იქცა.

ვაზირების გაერისთავთერისთავება ამ უკანასკნელის გაუქმებას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა. ეს იყო **კონსტიტუციური ხასიათის მხოლოდ პირველი შეტევა ერისთავების წინააღმდეგ.** ამ მიმართულებით შემდგომი ბრძოლა და ამ ბრძოლაში წარმატება ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე იყო დამოკიდებული. გარდამავალი მდგომარეობა იყო და ახლო მომავალში უნდა გარკვეულიყო, ხელმწიფის ვაზირი გააქრობდა ერისთავთერისთავს, თუ ვაზირ-ერისთავთერისთავი გახელმწიფდებოდა და შინაარს გამოცლილი ვაზირობა მას გარეგნულ სამკაულად-ღა შერჩებოდა.

ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაცია

დავით აღმაშენებლის დროს, როგორც ვნახეთ, საქართველო სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის კულტურულ ხალხთა დიდ ბრძოლას სელჩუკიან თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ასწლოვან ბრძოლაში ამიერკავკასიის ხალხებს საქართველოს მეთაურობით დიდი წარმატება ხვდათ. XII საუკუნის მიწურულისათვის საქართველოს პოლიტიკური გავლენა მთელ ამიერკავკასიაში ძლიერ იგრძნობოდა. სელჩუკიანი თურქი დამპყრობლები უმთავრესად თავდაცვაზე გადასულიყვნენ და ძველად მინატაცების შენარჩუნებას-ღა ცდილობდნენ. საამისო თვალსაჩინო მოწმობა იყო, რომ თურქებმა ვერ ისარგებლეს იმ ხანგრძლივი შინაპოლიტიკური გართულებით, რომელიც საქართველომ 1177—1191 წლებში განიცადა, და ამიერკავკასიაში ბატონობა ვერ აღიდგინეს. აღნიშნულ ხანაში თურქთა წარმატება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში იმით-ღა შემოიფარგლა, რომ განძა-კარ-არზრუმის მფლობელი თურქები შარვან-სომხეთს არ უსვენებდნენ და საკუთრივ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაპირებსაც აწუხებდნენ.

თურქ დამპყრობლებთან საუკუნოვან ომში ქართველებმა შეიმუშავეს ქართულ სოციალ-ეკონომიურ წყობასთან შეგუებული მოქნილი სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც აადვილებდა საქართველოს თავდაცვას, აქარწყლებდა მტრის სოციალ-ეკონომიური წყობიდან გამომდინარე სამხედრო უპირატესობას, უზრუნველყოფდა საქართველოს საზღვრებს მარბიელი მტრის თარეშისაგან და თან მტრის ქვეყანაში შეტევითი ომის წარმოების ისეთ საშუალებას იძლეოდა, რომლის წინაშე უძლური აღმოჩნდა თურქ მომთაბარეთა სამხედრო ორგანიზაცია.

საქართველოს ეს სამხედრო ორგანიზაცია შემდეგი ნაწილებისაგან შედგებოდა: 1. **საქვეყნო ლაშქარი,** რომელიც ქვეყნის სხვადასხვა მხარეებიდან — საერისთავთერისთაოებისაგან თუ საკუთრივ სამეფო-სახასოსაგან — გამოდიოდა; 2. **„დარბაზის** ერი" ანუ იგივე **„ტაძრეულები"** — ტახტის აზნაურ-მოსაკარგავეთა თუ მდაბიორ-მოლაშქრეთა მუდმივი ჯარი მეფის კარზე, შედარე-

ბით მცირერიცხოვანი. რჩეულ მეომართაგან შემდგარი; ე. მეფის კარზე **სამსახურად მყოფი** რაზმები ყმადნაფიცი ქვეყნებიდან.

სამხედრო ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ გამაგრებულ ციხე-ქალაქებს მათი მეციხოვნეებითურთ.

ლაშქრის ორგანიზაცია, მისი სამხედრო აღჭურვილობა „დროშის მქონე-ბელი" ერისთავთ-ერისთავისა და ამირსპასალარის (და მისი უფროსების) საზრუ-ნავი საქმე იყო. გარდა ამისა, გზების კეთება, ხიდების მშენებლობა ლაშქრის მობილიზაციის დაუბრკოლებელ სიჩქარეს ემსახურებოდა. ხოლო გზებზე სა-ფოსტო სადგურები მარქაფა ცხენებით მეფის კარიდან გამოსული ბრძანების სწრაფად „მიმოდადებას" უზრუნველყოფდა.

საქართველოს ლაშქრის სრულ მობილიზაციას, ფეხზე დაყენებას იმ დროს, როგორც გადმოგვცემენ, ათი დღე სჭირდებოდა.

მონაპირენი

თამარ მეფის დროის საქართველოს სამხედრო ორ-განიზაციაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. **მო-ნაპირეთა** ინსტიტუტი.

მონაპირე იგივე ერისთავი იყო, ოღონდ ერისთავი ქვეყნის სასაზღვრო ზო-ლისა. მონაპირის მოვალეობა უპირატესად მეზობელი მტრის ქვეყნის სამხედრო ზვერვა იყო.

მონაპირის განკარგულებაში იყო შესაფერისი სამხედრო ძალა, რომლითაც ის თავის სანაპიროს მტრის მცირე თარეშისაგან იცავდა და თან მის ქვეყანა-საც არ უსვენებდა. მონაპირე მოვალე იყო სცოდნოდა მეზობელი მტრის ყო-ველი ვითარება: მისი ციხე-ქალაქების სიმტკიცე-სიმაგრე, თურქმანი ელების მოძრაობა, მტრის ქვეყნის მორბევის შესაძლებლობა და სხვ. ყოველივე ამის შესახებ მას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა სამეფო კარისათვის, სადაც მო-ნაპირის მოხსენების საფუძველზე დასახავდნენ ხოლმე შესაფერის ღონისძიე-ბას: სრულ ლაშქარს შეყრიდნენ, ან ნაწილის შეყრას საკმაოდ მიიჩნევდნენ. ან როცა საქმე სასწრაფო იყო, სამეფო კარის დარბაზის ერს წარგზავნიდნენ. ასევე საჭიროებისა და საქმის მნიშვნელობის შესაბამისად ლაშქარს ან მეფეს უთა-ვებდნენ, ან ამირსპასალარს, ან არადა საქმის მოგვარებას ისევ მონაპირეს მიან-დობდნენ.

XII საუკუნის მიწურულში საქართველოს სამეფო კარს ჰქონდა თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართული 6-7 ასეთი სანაპირო, სადაც „მონაპი-რობდნენ" თამარ მეფის დიდად ერთგული სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწენი: **გრიგოლისძენი** და **მახატლისძენი** — ჰერეთსა და კამბეჩანში, **ზაქარია (ვარამ გაგელის** მამა) — გაგის მხარეში, **ზაქარია** და **ივანე მხარგრძელები** — ტაშირ-ზორაკერტში, **სარგის თმოგველი** და **შალვა თორელი** — ჯავახეთში, **ყუარყუა-რე სამცხის** სპასალარი — **ჯაყელი** — არტაანში, **ზაქარია ასპანისძე** — ფანას-კერტში.

§ 2. კ ულ ტ უ რ ა

საქართველოს სამეურნეო და სახელმწიფოებრივი გაძლიერება XII საუ-კუნეში ის ნიადაგი იყო, რომელზედაც გაიფურჩნა და აყვავდა ძველი ქარ-თული, ფეოდალური ხანის, კულტურა.

XII საუკუნის ქართული კულტურა წინამორბედი პერიოდების ქართულივე კულტურის ბუნებრივი განვითარება იყო.

მეცნიერული მწერლობა

ამ საუკუნის ისეთი გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და ფილოსოფოსების მოღვაწეობა, როგორიც იყვნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, XII საუკუნეს აკავშირებს XI საუკუნესთან. ამ ფილოსოფოსების ბრძოლამ აზროვნებისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების თავისუფლებისათვის ღრმა კვალი დააჩნია იმდროინდელი ქართველი საზოგადოების შეგნებას. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ მხრივ იოანე პეტრიწს, რომლის მოღვაწეობა ჯერ ბიზანტიაში, პეტრიწონის ქართველთა მონასტერში (ამჟამად ბულგარეთის ტერიტორიაზე) დაიწყო, შემდეგ კონსტანტინეპოლში და სულ ბოლოს კი საქართველოში მიმდინარეობდა. ფილოსოფიურ თხზულებათა ღრმა ცოდნაზე დამყარებული, სამაგალითო ზედმიწევნით თარგმანების გვერდით, მან საკუთარი კომენტარები და ზოგადი მოძღვრების შემცველი დებულებებიც შექმნა.

გაიფურჩქნა ქართული საისტორიო მწერლობაც. იმ დროს არის დაწერილი ისეთი შესანიშნავი საისტორიო ნაშრომები, როგორიცაა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება და თამარ მეფის სამი ისტორიკოსის თხზულებანი. მეფეთა ბიოგრაფიისა და სამეფო საქმეებს გარდა, ამ ავტორებს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ამბებიც ცხოვლად აინტერესებდათ. შინაარსის მრავალფეროვანება და თვით ისტორიის წერის მაღალი ტექნიკა ამ ნაშრომებს პირველხარისხოვან ისტორიულ ძეგლებად ხდის.

უცხოური კულტურული ნაკადები XII საუკუნის საქართველოში

ძველი ქართული კულტურის გარდა, ფეოდალურ საქართველოს ელინური კულტურის მემკვიდრეობაც საკმაოდ ჰქონდა შეთვისებული. ბერძნული ენის საფუძვლიანი ცოდნა ქართველ მეცნიერებს საშუალებას აძლევდა ბერძნულ თხზულებათა დედნები ეკითხათ.

XII საუკუნის ქართული კულტურის თავისებურებას, დასავლეთის იმდროინდელ კულტურასთან შედარებით, ის წარმოადგენს, რომ საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, საშუალება ჰქონდა, დასავლური ქრისტიანული კულტურის გარდა, ისლამის ნიადაგზე შექმნილს ახალს, მეტად თავისებურსა და მრავალფეროვანს, არაბულ-სპარსულ კულტურასაც გასცნობოდა; ქართველი ხალხი ამ, მისთვის სარწმუნოებრივად დაშორებულსა და თითქოს უცხო, კულტურას დაეწაფა, როგორც ცხოველმყოფელ წყაროს, შეითვისა იგი და ამით თავისი მწერლობა და ხელოვნება გამდიდრა.

მუსიკა და პოეზია

ქართველ ხალხს უძველესი დროიდანვე თავისი მდიდარი ხალხური პოეზია და მრავალფეროვანი ხმიერი და საკრავიერი მუსიკა და აგრეთვე სახიობაც ჰქონდა. ქართული ხალხური მუსიკის მნიშვნელობა ხაზგასმულია უკვე „დაბადებაში“, სადაც ქართველთა წინაპარზე ნათქვამია: „ესე იყო გამომაჩინებელი საფსალმუნისა და ებნისა“-ო. მკაცრ ქრისტიანულ-ასკეტიკური მოძღვრება ხალხური შემოქმედების ამ დარგებს სდევნიდა, მაგრამ მათ თანდათანობით კვლავ მოიკრიფეს

ძალა და უკვე X საუკუნისათვის ქართული საერო მწერლობის განახლების დასაწყისი მკაფიოდ საგრძნობი გახდა.

XI—XII საუკუნეებში ამ საერო მწერლობის მნიშვნელობა და გავლენა სწრაფად იზრდება. ერთ ხანს მაჰმადიანთა საერო მწერლობის ჰანგების მიმბაძველობით შეფერადებული, იგი თანდათანობით ადგება დამოუკიდებელი შემოქმედების გზას. ამ მხრივ საყურადღებოა ქართული „ვისრამიანი", რომელიც ამავე სახელწოდების მქონე, ლექსად დაწერილ სპარსულ რომანს არაფრით ჩამოუვარდება, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ავტორს თავისი თხზულება პროზად აქვს დაწერილი. იოანე შავთელის „აბდულ მესია" და ჩახრუხაძის ხოტბანი ხომ მაშინდელი საქართველოს კულტურის მაღალი დონის გამომხატველია: ასეთ თხზულებათა გაგება მხოლოდ ფართო და ღრმა განათლების მქონე საზოგადოებას შეეძლო. იმავე დროს უმაღლესი ლექსთაწყობა, რომლის მაგალითებიც მათი ნაწარმოების ყოველ სტრიქონში განსაცვიფრებელი ოსტატობით არის მიმობნეული, მხოლოდ უაღრესად დახელოვნებული პოეტისათვის იყო მისაწვდომი.

„ვეფხისტყაოსანი"

მარტო შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანიც", სხვა რომ არაფერი გვქონდეს შემორჩენილი, კმარა მაშინდელი ქართული მხატვრული მწერლობის მაღალი დონის საბუთად. შოთას „ვეფხისტყაოსანი" არაჩვეულებრივი მოვლენაა იმდროინდელი, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მწერლობისათვის. პირველი სტრიქონიდან მოყოლებული იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე თავისი სწორუპოვარი ლექსის მუსიკალობით, მაღალმხატვრული შედარებებითა და ღრმა აზრებით. მთელი ნაწარმოები მარტო სიყვარულის გრძნობით კი არ არის გამსჭვალული, როგორც ეს ჩვეულებრივ რომანებში იყო ხოლმე, არამედ მგოსანი და მისი გმირები სხვა, უაღრესად დიდ საკითხებს დასტრიალებენ თავს.

შოთას მოქმედი პირები მარტო თავის ბედნიერებაზე მზრუნველი ჩვეულებრივი ადამიანები როდი არიან. „ვეფხისტყაოსნის" ვაჟებიცა და ქალებიც საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით დაჯილდოებულ გმირებად გვევლინებიან, მათ უკიდურესი განსაცდელის დროსაც კი არ ავიწყდებათ თავისი სამშობლოს ბედნიერება.

საზოგადოებრივი მოტივები, ადამიანის ბუნების იშვიათი ცოდნა და სიბრძნე განსაკუთრებით ამკობს „ვეფხისტყაოსანს". ეს უკვდავი პოემა სამ ძირითად ჰანგზე არის აგებული: ქალისადმი რაინდული სიყვარული, გმირული თავგანწირულება, ძმათნაფიცთა ერთგულება მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ყოველივე ამან „ვეფხისტყაოსანი" შოთას თანამედროვეებისთვისაც უებრო თხზულებად აქცია და ქართულ მწერლობაში იგი დღევანდლამდე სწორუპოვარ ნიმუშად დარჩა, ხოლო მსოფლიო ლიტერატურაში ერთი საპატიო ადგილი უჭირავს.

ხელოვნების სხვა დარგები

ქართულ მხატვრულ მწერლობას ხელოვნების სხვა დარგებიც უმშვენებდა გვერდს. იმდროინდელმა ხუროთმოძღვრებამ, კედლისა და ხელნაწერების მხატ-

ვრობამ, ჰედვითმა ხელოვნებამ, მინანქარმა, მუსიკამ ბევრი პირველხარისხოვანი ნაწარმოები დაგვიტოვა.

საკმარისია დავასახელოთ ისეთი დიდებული ძეგლები, როგორიც არის უბისის, ყინცვისის, გელათის, ბეთანიის, ბერთუბნის კედლის მხატვრობა და მოზაიკა; ჯრუჭის ოთხთავი, წყაროსთავისა და ტბეთის სახარებათა, ხახულისა და ანჩის ხატების მოუედილობა, რომელიც იმდროინდელი შესანიშნავი ქართველი ოქრომჭანდაკებლების, ბექა და ბეშქენ ოპიზარების, ნახელავია.

აღსანიშნავია აგრეთვე ქართული მუსიკის დიდი დაწინაურება: მრავალხმიანობის გაჩენასა და განვითარებასთან ერთად, საკომპოზიციო ხელოვნება ცალკე დარგად გამოიყო, ისე რომ ამ დროს საგალობელთა სიტყვებისა და ჰანგის შემთხზველნი საქართველოში სხვადასხვა პირები იყვნენ. მაშინდელი ქართველი კომპოზიტორების მიერ შეთხზული ჰანგები, საკუთარი საგალობნიშნებით ჩაწერილი, ნაწილობრივ ჩვენ დრომდეც არის მოღწეული.

მაღალ დონეს მიაღწია ქართულმა ხუროთმოძღვრებამაც. იკორთის, ბერთუბნის, ბეთანიისა და სხვა ტაძრები ამ დიდი ხელოვნების მრავალმეტყველი მოწმენი არიან, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ძალზე დაზიანდნენ და წინანდელი ბრწყინვალებისაგან მათ ბევრი რამ უკვე დაკარგული აქვთ. მთლად კლდეში გამოკვეთილი ვარძიის მონასტერიც, მრავალი სენაკითა და საუცხოოდ მოხატული ეკლესიით, დაანახვებს ადამიანს, თუ რამდენად ძლიერი იყო ხელოვნების ეს დარგი მაშინდელ საქართველოში.

XI—XII საუკუნეთა ქართულ ხელოვნებას ახასიათებს ბევრი ისეთი ნიშანი, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპაში საფუძვლად დაედო ეგრეთ წოდებულ „რენესანსის (აღორძინების) ხანას“.

თ ა ვ ი XIII

ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლთა მფლობელობის წინააღმდეგ

§ 1. საქართველოს საშინაო ვითარება XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე

ამრიგად, XIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო წარმოადგენდა ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოს, რომელმაც დაამარცხა თურქი დამპყრობლები და დამოუკიდებელი განვითარების ფართე გზაზე გამოვიდა.

მაგრამ ამასთანავე საქართველო ფეოდალური განვითარების იმ საფეხურზე იმყოფებოდა, როცა გაბატონებული კლასი (ფეოდალები) უკვე დიდი ხანია კონსერვატიული იყო, ხოლო საზოგადოებრივი პროგრესის წინამძღოლად მოწოდებული კლასი (მესამე წოდება) ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურად ჯერ კიდევ ვერ გამხდარიყო. ასე რომ საქართველო ფ ე ო დ ა ლ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს კ რ ი ზ ი ს უ ლ ხ ა ნ ა შ ი იმყოფებოდა, ქვეყანას შინაგანი სიმტკიცე აკლდა, და ეს აშკარად იჩენდა თავს მის პოლიტიკურსა თუ სამხედრო წესწყობილებაში.

აღნიშნულ ხანაში საქართველოს სახელმწიფო **საკუთრივ საქართველოსა** („ყოველი საქართველო") და **ყმადნაფიცი „სახლებისაგან"** (ვასალური სამფლობელოებისაგან) შედგებოდა. ეს ყმადნაფიცები საკუთრივ საქართველოს მეზობელი პოლიტიკური ერთეულები იყვნენ. საქართველოზე მათი დამოკიდებულება მხოლოდ შიშველ ძალას ემყარებოდა და ამიტომაც იყო, რომ ყმადნაფიცები მუდამ მზად იყვნენ „დაეწუნებინათ" პატრონი, ე. ი. გამდგარიყვნენ, როგორც კი დროს იხელთებდნენ.

ასე რომ, ყ მ ა დ ნ ა ფ ი ც ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ძ ლ ი ე რ ე ბ ი ს მ ო წ მ ო ბ ა ი ყ ო და ა რ ა მ ი ს ი ძ ლ ი ე რ ე ბ ი ს წ ყ ა რ ო.

კრიზისული ხანის თვალსაჩინო სურათს წარმოადგენდა საკუთრივ საქართველოს სახელმწიფო წყობილებაც.

ცამეტწლოვანი პოლიტიკური კრიზისი XII საუკუნის ოთხმოციან წლებში (1177 — 1191), როგორც ვიცით, დიდგვარიან აზნაურთა სრული გამარჯვებით ვერ დამთავრდა, მაგრამ ქვეყნის მართვა-გამგეობაში დიდებულთა „თანადგომა-

ერთნებაობის“ წესის შემოღება მაინც „კარავიელთა“ დიდი პოლიტიკური წარმატება იყო. დიდგვარიანი აზნაურები გადაჭრით წინააღუდგნენ უგვარო-უხანოების შემოტევას, მათ მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

ამ მიმართულებით დიდგვარიანებმა მეფის თვითმპყრობელობა საგრძნობლად შეზღუდეს.

დიდგვარიანთა ამ პოლიტიკურ წარმატებას შედეგიც შესაფერისი მოჰყვა.

„მეფობის თანაზიარმა“ დიდებულებმა ამ პოლიტიკური წარმატების გამოყენება არ დააყოვნეს. გაძლიერდა სამამულოდ შეწყალების, სამოხელეო თანამდებობათა და სახელო ქვეყნების საშვილიშვილოდ გაცემის ტენდენცია. დიდებულთა დარბაზის „ერთნებაობა-თანადგომის“ წესით შეზღუდული მეფე მონაპირეებსავე უბოძებდა ხოლმე წყალობად თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებს. თანდათან ქვეყნის შიგნით თუ მის სანაპიროებზე წარმოიშვნენ დიდი ერისთავთ-ერისთავნი, მთელი ქვეყნების „უცილობლად მქონენელნი“. აგრე გაძლიერებული ერისთავთ-ერისთავი გახელმწიფება-გამთავრებისათვის იწყებდა ბრძოლას და თავისი სამმართველო ქვეყნისათვის საგადასახადო და სასამართლო შეუვალობის მოპოვებას ცდილობდა. ამრიგად იქმნებოდნენ სახელმწიფოში სახელმწიფონი. ასეთი იყვნენ ყველა ეს ერისთავ-ერისთავები, რომელთაგან ზოგიერთს კიდევ უფრო მაღალი პატივისათვის მიეღწიათ—„მთავრები“ და „მეფეთა ადგილზე მჯდომნი“ გამხდარიყვნენ. რა თქმა უნდა, ასეთი დიდმოხელე მეფისადმი მორჩილებას ყმადნაფიცობის პირზე განიზრახავდა და თუ განდგომას არ აწყობდა და მეფის „ერთგული“ რჩებოდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ თითოეული ასეთი სამთავრო მრავალნირად იყო დაკავშირებული საქართველოს სხვა ნაწილებთან და თითოეულ სამთავროში მოიპოვებოდნენ განდგომა-განცალკევების მოწინააღმდეგე ძალები. ასეთი იყვნენ სამთავროს ქალაქები, რომელთა ეკონომიური ინტერესები დიდი და მოწესრიგებული ქვეყნის ერთიანობას მოითხოვდა; ასეთი იყვნენ სამთავროს მცირე ერისთავები და დიდებული აზნაურები (მათი „მოკიდებულებითურთ“). რომელთაც თვალში არ მოსდიოდათ ერისთავთ-ერისთავის გახელმწიფება, ებრძოდნენ მას და ამ ბრძოლაში დასაყრდენს მეფისადმი ერთგულებაში ეძებდნენ. არც კარს მომდგარ თურქთა გაბატონების შიში უწყობდა ხელს მთავრის მიდრეკილებას განდგომისაკენ.

ამრიგად, ეს **ახლად წარმოქმნილი მთავრები** გადაულახავ დაბრკოლებას აწყდებოდნენ გახელმწიფების გზაზე და ისინიც ძალაუნებურად მეფის „ერთგულ ყმებად“ რჩებოდნენ.

რასაკვირველია, ასეთ დიდმოხელეთაგან შემდგარი დარბაზი მეფეს არ გაუზრახავდა „სახლების შერთვას“, ე. ი. დამორჩილებული ქვეყნების „დაპყრობას“, როგორც ამას დავით აღმაშენებელი სჩადიოდა, როცა დამორჩილებულ ქვეყნებს საკუთრივ სამეფოდ იერთებდა და ძველი მფლობელის ნაცვლად თავის მოხელეს სვამდა. ასეთი პოლიტიკა მეფის თვითმპყრობელობის გაძლიერებას უწყობდა ხელს.

თამარის დროს, პირიქით, სახელმწიფო კარის პოლიტიკის მიზანი იყო მე-

ზობელ ფეოდალურ სამფლობელოთა აღდგენა-მფარველობა, ე. ი. იგი ხასიათდებოდა საყმადნაფიცო მცირე ერთეულების გამრავლებით, რაც აგრე სასურველი უნდა ყოფილიყო დიდგვარიან დარბაისელთათვის, რომელთაც მეფის თვითმპყრობელობის გაძლიერებისა არა ნაკლებ ეშინოდათ, ვიდრე თურქ-დამპყრობლებისა. თავის მხრივ მეფეც ამ მცირე საყმადნაფიცო ქვეყნებია ფარველობა-გამრავლებით ორ მიზანს ისახავდა: ერთი მხრივ ასეთი პოლიტიკა გარეშე ძალთა შემოჭრისაგან საქართველოს დაცვას ემსახურებოდა, ხოლო მეორე მხრივ იგი საზღვარს უდებდა მეფის დიდმოხელე მონაპირე-მთავართა შემდგომ გაძლიერებას.

§ 2. ბრძოლა ხვარაზმელების წინააღმდეგ

მონღოლთა პირველი გამოჩენა

XIII საუკუნეში აღმოსავლეთის კულტურული მსოფლიო დიდი ისტორიული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ცენტრალური აზიიდან მას ბარბაროსი დამპყრობლები — მონღოლ-თათრები მოევლინენ.

საქართველოში მონღოლები ანუ თათრები პირველად ხვარაზმელებთან ბრძოლამ მოიყვანა. მონღოლებს კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ხვარაზმის ხელმწიფე მუჰამედი დაემარცხებინათ და თავისი ქვეყნიდან გამოეძევებინათ. ხვარაზმშაჰის შესაპყრობად მონღოლთა ხელმწიფემ **ჩინგიზ-ხანმა** მდევარი ჯარი გამოჰყო. 20000 მეომრისაგან შემდგარი ლაშქარი **ჯებე** და **სუბუდაის** სარდლობით ხვარაზმშაჰ მუჰამედს დაედევნა. ამ ჯარმა გამოვლო ირანი, ადერბაიჯანი, მაგრამ ლტოლვილი მუჰამედის კვალი დაკარგა და უკვე კასპიის ზღვისპირეთით, დარუბანდის გზით, უკან დაბრუნებას აპირებდა. ჩინგიზ-ხანისაგან ამ რაზმს დავალებული ჰქონდა აგრეთვე თვალით ენახა და დაეზვერა მათთვის უცნობი კულტურული ქვეყნები. 1220 წელს მონღოლთა ამ ჯარმა საქართველოს საზღვრებს მოატანა.

სწრაფად შეიყარა ქართველთა ჯარი და მეფე გიორგი-ლაშას სარდლობით თავს დაესხა უცნობ მომხდურს. მონღოლთა საომარი ხერხის უცოდინარი ქართველთა ჯარი დამარცხდა. მონღოლებმა მაინც უკან დაიხიეს, მუღანში გამოიზამთრეს და საქართველოში შემოჭრის ცდა შემდეგ წელს გაიმეორეს, მაგრამ იმჯერად ქართველები უკეთ მომზადებული დაუხვდნენ მტერს და აიძულეს ის ამიერკავკასიას გასცლოდა და მთების გადალახვით ყივჩაყეთს (იმიერკავკასიაში) გადასულიყო. ქართველებმა მონღოლთა გაცლა თავის გამარჯვებად ჩათვალეს.

მონღოლებთან ბრძოლაში მეფე გიორგი-ლაშა დაიჭრა, დასნეულდა და 1222 წელს გარდაიცვალა კიდევაც.

რადგან გიორგი-ლაშას კანონიერი მემკვიდრე არ დარჩენია, დარბაზის დასტურით საქართველოს მეფედ დაჯდა მისი და, თამარის ასული **რუსუდანი.**

მონღოლთა შესახებ საქართველოში მეტად მცირე რამ იცოდნენ. ხედავდნენ, რომ ამ უცნაურმა ხალხმა ხვარაზმის დიდი ხელმწიფე დაამარცხა. მაჰმადიანთა შემავიწროვებელი მონღოლ-თათრები ქრისტიანებადაც კი მოსჩვენებიათ თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში გართულ ქართველებს.

ასე იყო თუ ისე, ქართველებს მონღოლ-თათართა გამოჩენა შემთხვევით მოვლენად მიუჩნევიათ, მონღოლთა მდევარ-მზვერავი ლაშქრის უკუქცევის შემდეგ გული დაუმშვიდებიათ, მონღოლ-თათრები სამუდამოდ წავიდნენო და თავისი მორიგი საქმეები განუგრძიათ: იერუსალიმს ლაშქრობის სამზადისს დაბრუნებიან.

უახლოესმა მოვლენებმა ცხადყვეს, თუ რამდენად შემცდარი იყვნენ ქართველი პოლიტიკოსები.

1222 წლიდან მოკიდებული ვიდრე 1225 წლამდე საქართველო მცირე ომებს აწარმოებდა უკუმდგარი მოხარკეების კვლავ დასამორჩილებლად ან ახალი მოხარკეების შესაძენად მცირე აზიასა თუ სპარსეთში.

ხვარაზმელების ლაშქრობა საქართველოზე

აგრე გალაღების საბუთი ქართველებს ეხლა განსაკუთრებით დიდი ჰქონდათ. ირანი დარღვეულ-დასუსტებული იყო, ხოლო კასპიის აღმოსავლეთით მდებარე ხვარაზმის დიდი მაჰმადიანური სახელმწიფო, რომლის სულტანი აღმოსავლეთის მაჰმადიანთა სამყაროს ხელმწიფობას იჩემებდა და თავს მეორე ალექსანდრე მაკედონელად რაცხდა, მონღოლთა მიერ მოშლილ-დანგრეული იყო, **მუჰამედ ხვარაზმშაჰი** ლტოლვილებაში დაღუპულიყო, ხოლო მისი მემკვიდრე **ჯალალ-ედინი**, აგრეთვე ლტოლვილი, სპარსეთში სადღაც ფეხის მოკიდებას ცდილობდა, რომ მონღოლებს შებრძოლებოდა.

ჯალალ-ედინმა მოახერხა და დასავლეთი ირანი გააერთიანა. ადერბაიჯანის ათაბაგი **უზბეგი** ჯერ კიდევ მუჰამედ ხვარაზმშაჰმა იყმო. ჯალალმა კი 1225 წელს თავი რან-შარვანის პატრონადაც გამოაცხადა. ჯალალ-ედინ სულტანმა კარგად იცოდა, რომ მას საქართველოსთან ომი არ ასცდებოდა და საჭირო მომზადების შემდეგ მან მოქმედება იწყო.

ჯალალმა დიდი ლაშქარი შემოიყარა და საქართველოს დამორჩილება მოსთხოვა, ხოლო მახლობელ მაჰმადიან მფლობელებს აუწყა, რომ ის მათ შემავიწროებელ საქართველოზე ილაშქრებს, რათა ბოლო მოუღოს ქართველთა ბატონობას და ისლამის ძლევამოსილება აღადგინოს.

საქართველოს სამეფო კარმა ჯალალის მუქარა არაფრად ჩააგდო, სულტანის მოციქული გაწბილებული გაისტუმრა და ნელ-ნელა შეუდგა მოსალოდნელ ომისათვის მზადებას. ჯალალმა დასწრება გადაწყვიტა და დიდძალი ჯარით საქართველოს საზღვრები სწრაფად გადმოლახა, ქალაქ დვინის მიდამოები ააოხრა და წამოვიდა გარნისზე, სადაც უკვე მოსულიყო ქართველთა ლაშქარი, რომელსაც თამარის დროის დიდი მოღვაწე ივანე ათაბაგი სარდლობდა.

სასწრაფოდ შეკრილი ქართველები მეშველ ჯარს ელოდნენ, ამიტომ დროის მოგება სურდათ, მაგარი პოზიციები დაეჭირათ და ომს არ იწყებდნენ. ჯალალმა მოწინააღმდეგეს განზრახვა შეუტყო და თითონ შემოუტია. ქართველები დამარცხდნენ. ჯალალ-ედინმა ამის შემდეგ დვინი აიღო, სხვა გადაუდებელი საქმეებიც მოაგვარა და შემდეგ უკვე თბილისზე წამოვიდა.

1225 წლის დეკემბერში ჯალალ-ედინი თბილისს მოადგა და თბილელ მაჰმადიან მცხოვრებთა ღალატის წყალობით ქალაქი ხელთ იგდო.

ხვარაზმშაჰმა ფანატიკური სიმკაცრით ჟლიტა თბილისელები, გაძარცვა და დაანგრია უმდიდრესი ქალაქი.

ჯალალის მარბიელმა ჯარმა მთელი აღმოსავლეთი საქართველო და სომხეთი მოიცვა. ასაღებად შემოადგნენ **ანისსა** და **კარს,** მაგრამ ამ ქალაქების აღება ჯალალმა ვერ მოახერხა და ისევ **ხლათის** წინააღმდეგ გაილაშქრა. რომლის სულტანი ჯალალს არ ემხრობოდა. ჯალალი ხლათს შემოადგა.

ამასობაში ქართველები შეტევაზე გადმოვიდნენ. მათ თბილისი აიღეს და ჯალალის მეციხოვნეები გაწყვიტეს. ამის შემდეგ ქართველებმა შაქ-შარვანში გაილაშქრეს და ჯალალის მეციხოვნეებს ქალაქები **შაქი** და **ყაბალა** დააგდებინეს. ჯალალი მოეხსნა ხლათს, რომელიც მან ვერ აიღო და ისევ საქართველოში წამოვიდა, აქ თავისი შერყეული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ჯალალ-ედინის წინააღმდეგ ეხლა უკვე არა მარტო საქართველო, არამედ რუმის, შამისა და ხლათის მაჰმადიანი მფლობელებიც იყვნენ ამხედრებული და ბაღდადის ხალიფას მოწინააღმდეგე სულტნის ჰეგემონობის გაგონებაც არ სურდათ. ამ მაჰმადიანმა მფლობელებმა ისევ საქართველოსთან გააბეს მოლაპარაკება და მას ჯალალის წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლის გეგმა შემოსთავაზეს. ჯალალმა შეუტყო განზრახვა მტრებს და მათი ცალ-ცალკე დამარცხება გადაწყვიტა. ვიდრე მისი მოწინააღმდეგეები შეიყრებოდნენ, ჯალალი უმალ საქართველოზე წამოვიდა. ომი მოხდა ბოლნისს 1228 წლის დამდეგს. ჯალალმა ომი მოიგო, თბილისი კვლავ დაიჭირა და სასწრაფოდ ისევ ხლათს მიაშურა. მან ხლათიც აიღო, მაგრამ შემდგომი ლაშქრობა კი აღარ დასცალდა.

1230 წელს ჯალალ-ედინს აცნობეს, რომ მონღოლები უკვე ირანის ადერბაიჯანს მოსდგომოდნენ. მონღოლთა წინააღმდეგ ხვარაზმის სულტანი სრულიად უმწეო აღმოჩნდა. ჯალალი მყისვე გაიქცა და ლტოლვილი, მხლებლებშემოცლილი დაიღუპა.

ჯალალ-ედინი ნიჭიერი სარდალიც იყო და გაბედული მეომარიც, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში მონღოლთა წინააღმდეგობის ორგანიზაცია მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. იგი მოევლინა აღმოსავლეთის ქვეყნებს, როგორც დამპყრობელი. ჯერ კიდევ ჯალალის მამა, მუჰამედ ხვარაზმშაჰი აპირებდა ახლო აღმოსავლეთის დაპყრობას და ბაღდადის ხალიფას ამ დედაქალაქის წართმევას უქადდა. ამიტომ მუჰამედისა და ჯალალის მდევნელი მონღოლები არა მარტო ქრისტიან ხალხებს ეგულებოდათ თავიანთ მოკავშირედ, არამედ მაჰმადიან მფლობელებსაც.

მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ჯალალის ხუთწლოვანმა თარეშმა სასტიკად დასცა და დააუძლურა აქაური ქვეყნები და მონღოლთა სამხედრო და პოლიტიკურ წარმატებას ყოველმხრივ შეუწყო ხელი.

ქართველთა ზედიზედ დამარცხება ჯალალ-ედინთან ომებში ნიშანდობლივი იყო და დიდ საფრთხეს მოასწავებდა კრიზისულ ვითარებაში მყოფი ფეოდალური ქვეყნისათვის. მართალია, ჯალალი, როგორც სარდალი, უთუოდ სჯობდა თავის ქართველ მოწინააღმდეგეებს და გადამწყვეტ ომებში (გარნისს, ბოლნისს) მას ჯარიც მეტი ჰყავდა, მაგრამ მძიმეც ის იყო, რომ ქართველებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო უნარი, ვერ მოახერხეს ძალთა სრული მობილიზაცია და ვერც თავდადებული ომი უჩვენეს მტერს. ქართველებს ლაშქარიც მცირე გამოჰყავდათ და ურთიერთ ქიშპისა და ომში ღალატის შემთხვევებიც იჩენდა ხოლმე თავს მათ შორის.

მაინც ჯალალ-ედინის ფეოდალური ლაშქრის გამარჯვება არც გარდაუვალი იყო და არც საბოლოო.

ეს იყო ოღონდ, რომ ამ ომში გამომჟღავნდა ქართველთა ლაშქრის სისუსტე, რაც შეიძლებოდა ქვეყნისათვის საბედისწერო გამომდგარიყო, როცა ეს ლაშქარი სხვა უფრო მტკიცე სოციალურ-სამხედრო ორგანიზაციას შეეტაკებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ლაშქარს უძლეველობის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ის მაინც ფეოდალურ ლაშქარს წარმოადგენდა და მას ახლდა ყველა ის სუსტი მხარე, რაც ასეთ ჯარს საერთოდ ახასიათებს. საქართველოს ლაშქარი თემობით გამოდიოდა და თითოეული დანაყოფი დროშის მქონეებელს ერისთავთ-ერისთავს ან ერისთავს ებარა. ესენი კი ხშირად არა მხოლოდ მეფეს ორგულობდნენ, არამედ ერთიმეორის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ ხოლმე. ფეოდალური ლაშქარი ფეოდალური საზოგადოების ღვიძლი შვილი იყო და მასაც ახასიათებდა ყველა ის სიავკარგე, რაც თვით ფეოდალურ საზოგადოებას.

ურთიერთ შუღლი, მტრობა და ღალატი მეტ-ნაკლებად მუდამ ცოცხლობდა ასეთ ჯარში. დისციპლინის სისუსტე, სამშობლოს კეთილდღეობის შეგნების სისუსტე მისთვის ნიშანდობლივი იყო. ომი ზოგისთვის გამდიდრება-გაძლიერების წყაროს წარმოადგენდა, ხოლო ზოგისათვის — გაღატაკება-დამონების მიზეზს. ასე რომ საქართველოს ეს ლაშქარი „ძლიერი და უძლეველი“ იყო მანამ, სანამ ფეოდალურსავე ლაშქარს ებრძოდა. ასეთ ბრძოლაში, თუ სხვა პირობები ერთნაირი ჰქონდათ, ერთ მხარესაც შეეძლო გამარჯვება და მეორესაც.

მაგრამ სულ სხვაფრივ დადგა საკითხი, როცა საქართველოს პირისპირ აღმოჩნდა ახალი ძალა — სავსებით განსხვავებული სოციალურ-ეკონომიური წყობის მქონე ხალხი.

§ 3. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ

ჯალალ-ედინის ხუთწლიანი თარეშით მძიმედ მოოხრებული საქართველო ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, რომ მონღოლებმა ადერბაიჯანის დაპყრობა დაამთავრეს და ამიერკავკასიას მოადგნენ. ეს იყო 1235 წელს. მონღოლებმა ზედიზედ დაიპყრეს საქართველოს ციხეები — ქალაქები, თემები და 1240 წელს უკვე საქართველოს მთელი აღმოსავლეთი ნაწილი ხელთა ჰქონდათ. ციხე-ქალაქებში მათი რაზმები იდგნენ, ხოლო საქართველოს საზამთრო და საზაფხულო საძოვრები მათ ურდოებს ეჭირათ.

ყმადნაფიცი თურქული სამფლობელოები მონღოლებმა უმალ შემოაცალეს საქართველოს და **„გურჯისტანი“** იცნეს მხოლოდ საკუთრივ მის საზღვრებში, ე. ი. ამიერკავკასიის ქრისტიანული სამყაროს ფარგლებში.

1242 წელს ქუთაისს გახიზნული რუსუდან მეფე დაეზავა მონღოლებს. მეფემ იცნო მონღოლთა ბატონობა, თავს იდო ყოველწლიური ხარკის გადახდა და ლაშქრით სამსახური. თავისი შვილი დავითი რუსუდანმა ვოლგის-პირეთში **ბათო** ყაენთან გაგზავნა საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად.

ასე დაიწყო საქართველოში მონღოლთა ბატონობა.

მონღოლები. მათი ეკონომიური და სოციალური ყოფა

მონღოლების სამშობლო ცენტრალურ აზიაში იყო (იქ, სადაც აწინდელი მონღოლეთის რესპუბლიკაა).

იმ დროს მონღოლები მომთაბარენი იყვნენ: საზრდელისა და სხვა თავსარჩენი სახსარის შემოლევის შემდეგ ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ ხოლმე. ტყეში მობინადრე მონღოლთა ტომები მონადირეობა-მეთევზეობით ცხოვრობდნენ, ველად მცხოვრები მონღოლები კი მომთაბარულ მესაქონლეობას მისდევდნენ: ზაფხულობით მთელი თავისი ავლადიდებით მთაში ადიოდნენ, საზამთროდ კი ისევ ბარად ჩამოდიოდნენ. მონღოლები ხვნა-თესვას არ მისდევდნენ, მიწათმოქმედება არ იცოდნენ. მონღოლთა მესაქონლეობის მთავარი დარგი მეცხენეობა იყო. ცხენი და მონღოლი განუყრელნი იყვნენ. მონღოლი ცხენზე მჯდომი ნადირობდა, ცხენით მიმოდიოდა, თავისი ავლადიდებაც ცხენით დაჰქონდა. ცხენდაცხენ ომობდა, ცხენის რძითა და ცხენის ხორცით იკვებებოდა.

მონადირეობა-მესაქონლეობა ვერ აძლევდა მონღოლებს საკმარის საჩოს და ისინიც დანაკლისს მეკობრეობა-მტაცებლობით ივსებდნენ.

მეკობრობა-მტაცებლობა იგივე ომიანობა იყო. მას მონღოლები ისე უყურებდნენ, როგორც ხელობას და გატაცებითაც მისდევდნენ.

XIII საუკუნის დასაწყისისათვის მონღოლთა ტომებში გვაროვნული წყობილება უკვე საკმაოდ შერყეული იყო და კლასობრივი საზოგადოება ისახებოდა. ამ ნიადაგზე შესაძლებელი გახდა წარმოქმნა მონღოლთა ბარბაროსული სახელმწიფოსი, რომლის მთავარი ორგანიზატორი მონღოლთა ერთ-ერთი მეთაური **თემუჩინი** იყო. მან სიმხნეანი ბრძოლით თანდათან სძლია თავის მეტოქეებს და მონღოლები გააერთიანა. 1206 წელს მონღოლთა თავკაცების ყრილობამ თემუჩინი თავის მბრძანებლად აღიარა. მას შემდეგ თემუჩინს **ჩინგიზ-ხანი** ეწოდა.

ჩინგიზ-ხანმა მონღოლთა საზოგადოებრივი წყობის შესაფერისი სამხედრო ორგანიზაცია შექმნა. მან მოხერხებულად შეუგუა ერთიმეორეს მონღოლთა საზოგადოებაში ახლად წარმოშობილი არისტოკრატიის მფლობელობა და გვაროვნული წყობილების ძლიერი გადმონაშთები. მონღოლ-თათართა მოსახლეობა ჩინგიზ-ხანმა დაჰყო ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათიათასეულებად. ათეული ეწოდებოდა მოსახლეობის იმ დანაყოფს, რომელსაც ათი მოლაშქრე გამოჰყავდა, მოსახლეობის იმ დანაყოფს კი, რომელსაც ასეული ერქვა, ასი მოლაშქრე უნდა გამოეყვანა; ასევე ათასეული და ათიათასეული შესაფერისად ათასსა და ათიათას მოლაშქრეს იძლეოდნენ.

თითოეულ ერთეულს ჰყავდა თავისი სამხედრო უფროსი, რომლის უფლება უსაზღვრო იყო. უმკაცრესი დისციპლინის განხორციელებას ხელს ისიც უწყობდა, რომ ათეულებშიცა და ასეულებშიც ჩვეულებრივ თითო გვარისა და ტომის მოლაშქრენი შედიოდნენ. ამ საგვარეულო ტრადიციებით დატვირთულ მოლაშქრეთათვის ყოვლად უცხო იყო ურთიერთ მტრობა და ღალატი. მონღოლური ჯარი მთლიანი, მჭიდრო, დისციპლინიანი მასა იყო. დისციპლინისა და სიმტკიცის მხრივ მონღოლთა ლაშქარს ოდნავაც ვერ შეედრებოდა ფეოდალური ქვეყნების, თურქული თუ ქართული, ჯარები, სადაც მთავრების თუ დიდებულ-აზნაურების ურთიერთ შორის ქიშპს და მტრობას ტოლს არ

უდებდა რაინდ-აზნაურის თავნებობა („გმირობა"). შეიარაღებით მონღოლები არ ჩამოუვარდებოდნენ მოწინააღმდეგეებს. ამ მხრივ მათ სწორედ კულტურული ქვეყნების ვაჭრები ამარაგებდნენ. რაც შეეხება სურსათით მომარაგებას ან მობილიზაციას, მონღოლთა ჯარს ამ მხრივაც დიდი უპირატესობა ჰქონდა ფეოდალური ქვეყნების ლაშქართან შედარებით. მონღოლთა ყოველ ათეულს თუ ასეულს თან ახლდა თავისი სარჩო — ცხენის ჯოგები, ხოლო მეომართა ჯანაკლისის შევსება მაშინვე ხდებოდა, რადგან ლაშქარს შორიახლო დაყვებოდა მონღოლთა „დედაწული" ანუ მთელი ის „მოსახლეობა" (ურდო), საიდანაც ეს ათეული, ასეული თუ ათასეული და ა. შ. მოლაშქრე გამოდიოდა. ყოველივე ამის შედეგი იყო, რომ მონღოლთა ლაშქარს ხანგრძლივი მანევრირება შეეძლო, ხოლო ფეოდალური ლაშქრის შესაძლებლობა ამ მხრივ მეტისმეტად შეზღუდული იყო.

აი, ასეთი მტკიცე სამხედრო ორგანიზაციის მქონე სახელმწიფო გამოვიდა XIII საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ასპარეზზე, გასაოცარი სისწრაფით დაიპყრო აზია-ევროპის უდიდესი ნაწილი და მანამდე არნახული სიდიდის სამფლობელო შექმნა.

ხვარაზმშაჰ მუჰამედი, რომელიც მსოფლიოს დამპყრობელობას იჩემებდა და თურქული სამყაროს ერთადერთ სულტანად მიიჩნევდა თავს, ყოვლად უძლური აღმოჩნდა მონღოლთა წინაშე. ჩინგიზ-ხანმა ზედიზედ დაამარცხა მუჰამედის რაინდები, აიღო მთელი კასპიის გაღმა მხარე (ხვარაზმი) და იქვე გადაწყვიტა დაეპყრო ახლო აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნები, რაც მან დააკალა თავის ოთხ მხედარმთავარს, რომელთაც 40000 მოლაშქრე გამოატანა და ირანზე გამოგზავნა. მონღოლთა ეს ჯარი იყო, 1230 წელს რომ სამხრეთ ადერბაიჯანს მოადგა.

მონღოლებთან ბრძოლაში დამარცხების მიზეზები

ახლო აღმოსავლეთის ფეოდალურ საზოგადოებასთან შედარებით მონღოლებს სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი უპირატესობაც ჰქონდათ. ფეოდალური ქვეყნის დასაპყრობად მოსულ მონღოლებს მრავლად მიუდიოდნენ კლასობრივსა თუ შინაკლასობრივ ბრძოლაში დახმარების მოიმედენი: დიდების მაძიებელი აზნაურები, მთავრის მიერ მიმძლავრებული დიდებულები, იმედგადაწყვეტილი მეკობრები, ფეოდალების ძალმომრეობით თავმობეზრებული ვაჭრები.

მონღოლები სარწმუნოებისათვის ფრავის ავიწროვებდნენ, კულტის მსახურები ყველანი პატივში ჰყავდათ და მათ არც არაფერს ახდევინებდნენ. ასე რომ საშუალო საუკუნეთა იდეოლოგიის ძლიერი ორგანო — სამღვდელოება მონღოლთა სასარგებლოდ ამეტყველდა.

ქრისტიანული ეკლესია ქადაგებდა, რომ მონღოლები იყვნენ ზეციური სამართლის ხელი, რომლითაც ღმერთი ცოდვილ ქვეყანას სჯიდა. ასე რომ ეკლესია ხალხს მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად მათ მორჩილებას მოუწოდებდა.

ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ მონღოლთა წინაშე ზღაპრული სისწრაფით ეცემოდნენ უმაგრესი ციხეები, ერმრავალი ქალაქები, მარცხდებოდნენ

„უძლეველი“ ჯარები და ქურდ-დამნაშავეებივით გარბოდნენ და სამალავს ეძებდნენ ქედმაღალი ხელმწიფენი, უშიშარი მოლაშქრენი.

სწორედ ასევე „უსახელოდ“ დანებდა ფეოდალური საქართველო მონღოლ დამპყრობლებს.

ჯერ კიდევ ჯალალ-ედინის შემოსევის დროს გახდა ცხადი, რომ საქართველოს სამხედრო ორგანიზაცია ისეთსავე კრიზისულ ვითარებაში იმყოფებოდა, როგორც თვით მთელი ქართული ფეოდალური საზოგადოება. აღარ ჩანდა გამაერთიანებელი მტკიცე ცენტრი, ავტორიტეტული ხელმძღვანელობა. დიდებულთა „ერთნებაობა-თანადგომის“ წესს თავისი ნაყოფი გამოეღო. ერისთავ-მონაპირეები სამემკვიდრეოდ დაუფლებოდნენ მთელ ქვეყნებს და „გახელ-მწიფებულნი“ საკუთარი ლაშქრით აძლევდნენ პასუხს მტერსა და მოყვარეს. უკიდურესი გასაჭირის დროსაც კი საქართველოს ლაშქრის მთლიანი მობილიზაცია ვერ ხერხდებოდა და თითოეული „მთავარი“ თავის საგამგეო ქვეყანაში „საკუთარი ჯარით“ ციხოვნობდა, ხოლო მტრის მიერ მეზობელი საერისთაოს აოხრებას გულგრილად შესცქეროდა.

ასეთ კრიზისულ ვითარებაში მყოფი ქვეყანა, რა თქმა უნდა, ვერ გაუძლებდა მონღოლთა სამხედრო ძალას, რომელსაც მრავალი, სოციალური თუ ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის, დიდი უპირატესობა ჰქონდა მასთან შედარებით.

მონღოლებმა ისე დაიპყრეს მთელი საქართველო, რომ არც ერთი სერიოზული ომი არ გადაუხდიათ. როგორც კი შემოდგეს ფეხი ამ დამპყრობლებმა საქართველოს საზღვრებში, მათ მორჩილებით მიეგება არა ერთი დიდი აზნაური და მონღოლთაგან წყალობად მიიღო როგორც საკუთარი ნაქონევი, ისე ქვეყანაც იმ მეზობლისა, რომელიც ჯერ კიდევ მონღოლებს არ დამორჩილებოდა.

საქართველოს ერთიანი ლაშქარი არსად ჩანდა. მსახურთუხუცესმა **ვარამ გაგელმა** თავისი საგამგეო ქვეყანა უპატრონოდ დააგდო და აჭარაში გადაიხვეწა. მანდატურთუხუცესმა **შანშა მხარგრძელმა** ლორე და ანისი მიატოვა, ხოლო **ავაგ ათაბაგ-ამირსპასალარმა** თავის საგამგეო ქვეყანას მიაშურა და კაენის მიუვალ ციხეში ჩაიკეტა.

მონღოლებმა ზედიზედ დაიპყრეს შამქორი, ლორე, დმანისი, სამშვილდე, ანისი. რუსუდან მეფე თბილისიდან ქუთაისს გადავიდა. თბილისი მეფის ბრძანებით ქართველებმავე დასწვეს. მონღოლებმა უომრად დაიჭირეს გადაბუგული ქალაქი.

ამის შემდეგ მონღოლები კაენის ციხეს შემოადგნენ. ავაგ ათაბაგმა მათთან მორიგება ამჯობინა. მონღოლებმა მას უვნებლობის ფიცი მისცეს და მისი საგამგეო ქვეყანაც შეუნარჩუნეს, ოღონდ ათაბაგის საგამგეო ციხეებში საკუთარი მეციხოვნეები ჩააყენეს.

ამრიგად, საქართველოს მეფის ვაზირი ათაბაგ-ამირსპასალარი მონღოლებს დაემორჩილა თავისი საგამგეო ქვეყნითურთ მაშინ, როცა საქართველოს მეფე ჯერ კიდევ მონღოლებთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ავაგ ათაბაგის საქციელს მიბაძეს ვარამ გაგელმა, შანშა მხარგრძელმა და სხვა მთავრებმა ჰერეთ-კახეთსა თუ ქართლში. აგრე ნაწილ-ნაწილ და საერთო

განკარგულების გარეშე დამორჩილდა მონღოლებს საქართველოს აღმოსავლეთი: ქართლი, ჰერეთი, კახეთი, გარდაბანი, ტაშირი, სომხეთი. დასასრულ, მცირე ბრძოლის შემდეგ, რუსუდან მეფის ნებართვით, მონღოლებს დამორჩილდა სამცხის მთავარი ყვარყვარე ჯაყელიც.

ასე რომ მონღოლებმა ადვილად იპოვეს საქართველოს ფეოდალური ორგანიზაციის სუსტი მხარე და ამ სახელმწიფოს არსებობას საფრთხე შეუქმნეს.

საგეფო ხელისუფლების ურთიერთობა მონღოლებთან

რუსუდანი უმწეოდ საქმოსნობდა. საკუთარ ძალთა თავმოყრა რომ ვერ შეძლო, საქართველოს მეფე რომის პაპს სთხოვდა ლაშქარს მონღოლთა გასადევნად. როცა ყოველი მხრივ იმედი გადაეწურა. ქუთაისს შეხიზნულმა რუსუდან მეფემ მონღოლებთან მოლაპარაკება გამართა. ამავე მიზნით მან **არსენ მწიგნობართუხუცესი** ვოლგისპირეთში გაგზავნა, **ბათო ყაენთან**.

მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა: რუსუდან მეფე მონღოლთა ყაენის უზენაეს უფლებას სცნობდა; საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, როგორც მონღოლთა მიერ ძალით დაპყრობილ ქვეყანაში, ქართულ ხელისუფლებასთან ერთად ყაენის მოხელეებიცა და ჯარიც იქნებოდნენ; დასავლეთ საქართველოში კი, რომელიც მონღოლებს ომით არ დაეპყროთ, ძველი მდგომარეობა დარჩებოდა: ყაენს საქართველო წელიწადში 50000 პერპერას გადაუხდიდა და მონღოლთა ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებდა; ყაენი, თავის მხრით, დავით რუსუდანის ძეს სრულიად საქართველოს მეფედ აღიარებდა. ამ შეთანხმების საფუძველზე რუსუდან მეფე და მისი შვილი დავითი 1242—1243 წელს ქუთაისიდან თბილისს გადმოვიდნენ.

მალე რუსუდანმა თავისი შვილი დავითი ქართველ დიდებულთა თანხლებით მეფედ დასამტკიცებლად გაგზავნა ჯერ ბათო ყაენთან, ხოლო იქიდან — მონღოლეთში, **ყარაყორუმს,** დიდი ყაენის **მანგუს** ურდოში.

დავით რუსუდანის ძემ მონღოლთა ურდოში დიდხანს დააყოვნა.

ამასობაში, 1245 წელს რუსუდან მეფე გარდაიცვალა და საქართველოში უმეფობის ხანა დადგა.

მონღოლური მმართველობა საქართველოში

უმეფოდ დარჩენილი საქართველო მონღოლებმა თავიანთი წესის მიხედვით მოაწყეს და დაპყრობილი ქვეყანა დაანაწილეს. მთელი საქართველო რვა დუმნად (ათიათასეულად) იქნა დაყოფილი. **პირველ დუ**მანს ჰერეთ-კახეთი და მის აღმოსავლეთით მდებარე თემები (ვიდრე თეთრწყლამდე, შამახიის მთებამდე) შეადგენდნენ და ამ დუმნის უფროსად **ეგარსლან ბაკურციხელი** დაინიშნა; მეორე დუმანს შეადგენდა ქვემო ქართლი და მის აღმოსავლეთით მდებარე თემები (ვიდრე შამქორამდე); მის უფროსად მსახურთუხუცესი **ვარამ გაგელი** ითვლებოდა; მესამე დუმანში სომხური თემები შედიოდა და მისი უფროსი **შანშა მანდატურთუხუცესი** იყო; მეოთხე დუმანი, შიდა ქართლი, **გრიგოლ სურამელს** ექვემდებარებოდა; მეხუთე დუმანი, ჯავახეთი, **გამრეკელ თორელის** საგამგეო იყო; მეექვსე დუმანს შეადგენდა დანარჩენი მესხეთი (არზრუმამდე) და იგი **ყვარყვარე ჯაყელს** ემორჩილებოდა. დასავლეთ საქართველო მონღოლებმა ორ დუმნად გაჰყვეს და დუმნის თავებად

ცოტნე დადიანი და **რაჭის ერისთავი** გააჩინეს. ამ დუმნის თავების საზრუნავი მონღოლთა წინაშე იყო მათთან თანამოლაშქრეობა და ყოველწლიური ხარკის განაწილება-შეკრება.

მონღოლთა მხერ საქართველოს დუმნებად დაყოფა კიდევ უფრო აძლიერებდა ქართველ „მთავრებს" და ამ უმეფობის ხანაში ხელს უწყობდა მათ ურთიერთისაგან გათიშულობის შემდგომ გაღრმავებას. აღარსად ჩანდა მათი შეთანხმებული მოქმედება. თითოეული მთავარი ცდილობდა საკუთარი ძალღონით გაეცა პასუხი მტრებისათვის, რომელთაც დრო იხელთეს და დასავლეთიდან თუ სამხრეთიდან ასაოხრებლად შემოადგნენ საქართველოს. შანშა მხარგრძელმა თავისი საგამგეო თემებიდან გამოყვანილი ლაშქრით **ვალაშკერტის** ომში სასტიკად დაამარცხა შამელი თურქები, რომელნიც ვინმე **ყარა ხანის** სარდლობით შემოსეოდნენ სომხეთის ნაპირებს. ასევე საკუთარი ლაშქრით გასცა პასუხი სამცხის მთავარმა ყვარყვარე ჯაყელმა მცირე. აზიიდან შემოსეულ თურქთა ჯარს, რომელიც მან მძიმედ დაამარცხა **ავნისვაკის** ომში (ტაოს) და საქართველოს საზღვრებიდან გადარეკა.

მაგრამ უმთავრესი სამძიმო ეხლა თურქების შემოსევა კი აღარ იყო, არა

და ნებაყოფლობით გაიზიარა მათი მწარე ბედი: სამოსელი გაიხადა და თითონაც იმ მოედანზე დაჯდა, სადაც მისი მხარგაკრული ამხანაგები ეყარნენ ეზეზე. როცა ცოტნეს უცნაური საქციელით გაკვირვებულმა მონღოლებმა დაჰკითხეს იგი, ცოტნემ გაანაცხადა: ჩემი ამხანაგები უდანაშაულონი არიან, და თუ უდანაშაულოთა დასჯა შეიძლება, დაე მეც მათთან ერთად დავისაჯოო.

ცოტნეს თავგანწირვამ გასჭრა. ძველი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც მოგვითხრობს ამ ამბავს, ამტკიცებს, ცოტნეს კეთილშობილებამ თათრები დააჯერა, ქართველები მართალი უნდა იყვნენო, და ყველანი გაათავისუფლესო.

ამავე ხანებში ქართველებს სხვა შეთქმულებაც წამოუწყიათ, ეხლა უკვე თბილისში, ეს შეთქმულებაც გაცემის შედეგად გამომჟღავნებულა და აჯანყება ვერ განხორციელებულა.

შეთქმულებათა მარცხი და აჯანყების ვერ განხორციელება იმის მოწმობაა, რომ მონღოლთა მიერ საქართველოს თავს დატეხილი ჭირი სულ სხვადასხვა სიმძიმით აწვებოდა ფეოდალური ქვეყნის სხვადასხვა კლასს, საზოგადოების სხვადასხვა ფენას. ყველა ცდილობდა, როგორც საერთოდ კლასობრივი საზოგადოების წესია, ტვირთის სიმძიმე საკუთარი მხრებიდან სხვებისთვის გადაელცა და საქვეყნო უბედურება საკუთარ კლასობრივ-წოდებრივი თუ ინდივიდუალური კეთილდღეობისათვის გამოეყენებინა. ერთ-ერთი თანამედროვის გადმოცემით, ქართველმა ფეოდალებმა დიდად ისარგებლეს იმით, რომ სანონღოლო ხარკის გაწერა და შეკრება მათ ჰქონდათ დავალებული. ისინი გაწერილზე გაცილებით მეტს ართმევდნენ ხალხს და ხარკის გადამხდელი საზოგადოების ყვლეფით ურცხვად ითბობდნენ ხელს, ჯიბეს ისქელებდნენო. ფეოდალური საზოგადოების სხვა ფენებიდანაც იყვნენ, რა თქმა უნდა, ისეთები, ვისაც ამ საერთო ქარიშხლის დროს მონღოლთა ფრთებ ქვეშ საამედო საფარველი მოეპოვებინათ: დიდვაჭართაგან, აზნაურთაგან, საეკლესიო ფეოდალებისაგან.

ასე რომ ყველა ერთნაირად როდი იყო მონღოლთა უკმაყოფილო და ამ დამპყრობელთა წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას ყველა თანაბრად როდი თანაუგრძნობდა.

§ 4. საქართველო მონღოლთა უღელ ქვეშ

ორმეფობა საქართველოში

მონღოლთა მფლობელობის ეს პირველი, შედარებით მსუბუქი, ხანა მალე დამთავრდა და XIII საუკუნის 50-იან წლებში სულ სხვა ვითარება შეიქმნა.

მანამდე კი — 1248—1249 წლებში — საქართველოში უმეფობასაც ბოლო მოეღო და სამეფო ტახტზე ერთის ნაცვლად ორი მეფე აღმოჩნდა. ეს ამბავი ასე მოხდა: როცა რუსუდან მეფე ჯერ ისევ ქუთაისში იჯდა და მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის გზებს ეძიებდა, მონღოლებმა მის გასატეხად საქართველოს სამეფო ტახტის მაძიებელი გამონახეს. ეს იყო ლაშა-გიორგის შვილი, სახელად აგრეთვე **დავითი,** რომელიც განსვენებულ მეფეს საყვარლისაგან შესძენოდა და ამიტომ, ქართული სახელმწიფო სამართლის წესით, ტახტის მემკვიდრე ვერ იქნებოდა.

რუსუდანი, როგორც ვიცით, მალე დაემორჩილა მონღოლებს და თავისი შვილი დავითი საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად ყარაყორუმს გაგზავნა. იქვე იქნა გაგზავნილი მონღოლთა მიერ მეორე დავითიც, რომელსაც ქართველ ფეოდალთა ძლიერი ჯგუფი უპერდა უკვე მხარს.

ორივე ბიძაშვილ-მამიდაშვილი დიდხანს იყვნენ დიდი ყაენის კარზე და საქართველოს სამეფო ტახტს ეცილებოდნენ ერთიმეორეს.

ბოლოს მონღოლებმა საქმე მზაკვრულ-გონივრულად განსაჯეს. საქართველოს მეფობა ორივე მაძიებელს დაუმტკიცეს, ოღონდ უფროსობა ლაშას შვილს დავითს არგუნეს.

1249 წელს დავით და დავით მეფეები საქართველოში დაბრუნდნენ. მონღოლური დუმნისთავობა მოიშალა და ისევ ქართული სახელმწიფოებრიობა აღდგა.

1255 წლიდან მონღოლთა მფლობელობის ახალი, მეორე ხანა დაიწყო. დიდი ქვეყნების დაპყრობის ხანა ძირითადად დასრულდა და მონღოლთა წინაშე დაისვა დაპყრობილი ქვეყნების მართვა-გამგეობის საკითხი.

ხალხის აღწერა

დაწინაურებული ფეოდალური ქვეყნების მართვის საქმე მონღოლთათვის გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ამ ქვეყნების დაპყრობა. საქმე ის იყო, რომ გამუდმებული წარმატებული ლაშქრობის შედეგად წარმოიშვა მონღოლთა უზარმაზარი სახელმწიფო — ყაენის კარით, მონღოლი უფლისწულებით, მრავალრიცხოვანი პრივილეგირებული მოლაშქრეებითა და აურაცხელი მოხელეებითურთ. ყოველივე ამის შენახვას კი მეტისმეტად დიდი ხარჯი სჭირდებოდა. ვიდრე მონღოლები ქვეყნებს იპყრობდნენ, მათ შემოსავალს უპირატესად ამ ქვეყნებში ნაშოვნი ნარბევ-ნაალაფევი შეადგენდა. მაგრამ რაც უფრო მეტი დაპყრობილი ქვეყანა შედიოდა მონღოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში, რა თქმა უნდა, მით უფრო კლებულობდა ნარბევ-ნაალაფევი, ხოლო მონღოლთა სახელმწიფოს ხარჯები, ამ სახელმწიფოს ზრდის კვალობაზე, პირიქით, მატულობდა. ამიტომ მონღოლებს, ბუნებრივად, სახელმწიფო შემოსავლის ახალ წყაროთა ძიება მოუხდათ.

გარდა ამისა, სამხედრო ორგანიზაციის საქმეც მოსაგვარებელი იყო. მონღოლთა თვალუწვდენელი სახელმწიფოს სამხედრო მოთხოვნილებას საკუთრივ მონღოლ-თათართაგან გამომავალი ლაშქარი, ცხადია, არა ჰყოფნიდა. დაპყრობილ ხალხთაგან მოლაშქრეთა ძალით გამორეკვა — დროებითი და შემთხვევითი ღონისძიება იყო და მანამ მოქმედებდა, სანამ მონღოლები ამ ქვეყნებს იპყრობდნენ. ეხლა მონღოლთა სახელმწიფოს უკვე სურდა სცოდნოდა, თუ დაახლოებით რამდენი ჯარის გამოყვანა და რამოდენა გადასახადის აკრეფა შეეძლო მას.

ამ მიზნით 1254 წელს დაიწყო მონღოლთა სახელმწიფოს აღწერა. რაკი ამ აღწერას ორი — სამხედრო და ფინანსური — მიზანი ჰქონდა დასახული, ამიტომ აღწერის დავთარში შეჰქონდათ ცნობები როგორც მოსახლეობის, ისე მისი ქონებრივი შეძლების შესახებ. აღწერილ იქნენ: მამაკაცები 11 წლიდან 60 წლის ჰასაკამდე; ყოველგვარი უძრავი ქონება, ყანა, ვენახი, ბოსტანი; ყოველგვარი პირუტყვი...

ამ აღწერით თათრებმა გამოარკვიეს, რომ საქართველოს მათთვის წელიწადში 90 ათასი მოლაშქრე უნდა მიეცა, იმ ანგარიშით, რომ ყოველი 9 სრულმამულიანი გლეხი თითო მოლაშქრეს გამოიყვანდა. ამის მიხედვით ირკვევა, რომ მაშინდელ საქართველოს სამეფოში სულ 5 მილიონამდე მცხოვრები მაინც უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, იმდროინდელ საქართველოში იგულისხმება სომხეთიც, მაგრამ უკვე აღარ იგულისხმება არც აღმოსავლეთ ამიერკავკასია (რანი და შარვანი) და არც სხვა ყმადნაფიცი ქვეყნები.

ამრიგად, ქართველი გლეხობა იძულებული შეიქნა საქართველოს ფეოდალურ წრეებთან ერთად შებმულიყო მონღოლური მოლაშქრეობის მძიმე უღელში, პირადი მონაწილეობით იქნებოდა თუ ამის სამაგიერო საზღაურით.

მონღოლური გადასახადები

აღწერის დამთავრების შემდეგ მონღოლებმა გადასახადების მოწესრიგება სცადეს. მათ დაბეგრეს მეურნეობის ყოველი დარგი.

სოფლის მეურნეობაზე დადებულ საყაენო გადასახადს **მალი** ეწოდებოდა. **საბალახე** გადასახადს ყ ა ფ ჩ ე რ ი ეწოდებოდა: ყოველ ას სულ საქონელზე თითო სული მონღოლებისათვის უნდა ეძლიათ. **სავაჭრო** გადასახადს დ ა მ ღ ა ს უწოდებდნენ. ეს იყო ნასყიდი საქონლის ღირებულების სამი პროცენტი.

იყო სხვა გადასახადიც, რომელიც ადგილობრივი თათარი მოხელეებისათვის იყო განკუთვნილი და რომელსაც უ ლ უ ფ ა ეწოდებოდა. მონღოლთა ათასეულის უფროსისათვის ანუ ათასეულის ნოიონისათვის ყოველ სოფელს თითო კრავი და თითო დრაჰკანი (ოქროს ფული) უნდა ეძლია ულუფად. ხოლო ათიათასეულის უფროსისათვის, რომელსაც **დუმან ნოიონი** ეწოდებოდა, თითო ცხვარი და ორ-ორი დრაჰკანი.

დასასრულ, მონღოლთა საყაენოში იყო **შრომითი გამოსაღები** ანუ **ბეგარა**. სამხედრო ბეგარას მონღოლურად ყ ა ლ ა ნ ი, ხოლო ქართულად ს ა ლ ა შ ქ რ ო ეწოდებოდა. მეორე ბეგარას ს ა ი ა მ ე ერქვა. მონღოლებს ყველა შარაგზაზე, გარკვეულ მანძილზე აგებული ჰქონდათ სადგურები ანუ ი ამ ე ბ ი. ამ სადგურებზე მოსახლეობას გამზადებული უნდა ჰყოლოდა ცხენები გზად მყოფი ყაენის მოციქულებისა და სხვა მოხელეებისათვის და მათთვის საზრდო და სადგომიც უნდა მიეცა. ეს ბეგარა ისეთი საშინელი ტვირთი იყო, რომ საიამე სოფლებიდან მთელი ხალხი გარბოდა და შორს იხვეწებოდა.

გარდა ამისა არსებობდა **ჰულაო** ყაენის მიერ შემოღებული ერთი სამხედრო გადასახადი — თ ა ღ ა რ ი, რომელიც შვიდი სხვადასხვაგვარი გამოსაღებისაგან შედგებოდა. თაღარი კაცის თავზე იყო დაწესებული: თითოეულ პირს მონღოლთა ხაზინისათვის უნდა მიეცა 100 ლიტრა პური, 50 ლიტრა ღვინო, 2 ლიტრა ბრინჯი, 3 თოფრაკი, 2 თოკი, თითო ისარი, თითო ნალი, თითო თეთრი; ამას გარდა, მას უნდა გადაეხადა 20 პირუტყვზე თითო პირუტყვი და 20 თეთრი უნდა გამოეღო.

ჭარბმოგებელი ფოსახლეობის ექსპლუატაციის გაძლიერება

მაგრამ მონღოლთა ხარკის სიმძიმეს მარტო მისი სიდიდე როდი იწვევდა. არა ნაკლებ უბედურებას წარმოადგენდა ხარკის განაწილება და განსაკუთრებით კი მისი აკრეფა. მონღოლთა სახელმწიფო კარი ამო-

ლენა და აგრე განვითარებული ქვეყნების მართვისათვის სრულიად მოუმზადებელი იყო. მომთაბარე, წერა-კითხვის უვიცი მონღოლები, ბუნებრივია, უფრო განვითარებულ ხალხთაგან გამოსულ წიგნიერ მოხელეთა სამსახურს მიმართავდნენ. მონღოლთა მთელი სახელმწიფო, ამრიგად, უპასუხისმგებლო მსუნაგ მოხელეთა ხელში მოექცა. უდიდესიდან დაწყებული უმცირესამდე, მოხელეთა ეს სიმრავლე გაუმაძღარ მტაცებელთა ერთ მთლიან ხროვას წარმოადგენდა.

ქრთამის, ძღვენის თუ სხვა მისართმეველის საშუალებით მათ ერთიანად დახშეს მონღოლთა ხელმწიფის საჯო კარი (მას **დივანი** ეწოდებოდა) და გაღამხდელი საზოგადოება თავიანთ საწყელ ფურად გადააქციეს. გამკითხველი ალარავინ იყო.

მოხელეები სრულიად თვითნებურად ძარცვავდნენ უმწეო გადამხდელ საზოგადოებას და ისედაც მძიმე ხარკს ერთიორად და მეტად ახდევინებდნენ.

საქართველოს მწარმოებელ საზოგადოებას ახალი ექსპლუატატორი დააწვა კისრად. იმავე დროს ხელუხლებელი დარჩა ძველი გადასახადები (სამეფო, საგოხელეო, საეკლესიო, საბატონო), ხოლო ზოგი მათგანი კიდევ უფრო დამძიმდა.

მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველ ფეოდალს მოესპო ის დავლა, ალაფი და ხარკი, თურქთა ქვეყნების რბევისა და მათი დაპყრობის შედეგად რომ შემოსდიოდა, ხარჯი და მოთხოვნილება კი გაეზარდა. ბუნებრივი იყო, რომ ბატონები თავიანთ გლეხებსა სწვდნენ. მონღოლ მოხელეებთან ერთად ქართველი ფეოდალები, ერისთავები, მთავრები ძარცვავდნენ მწარმოებელ საზოგადოებას, არ ერიდებოდნენ არც ძალადობას, არც საზომ-საწყაოში მოტყუილებას. საერო ფეოდალებს ყმების ძარცვაში არც საეკლესიო ფეოდალები უდებდნენ ტოლს. საზომ-საწყაოს გადიდება-დამცრობა ეკლესია-მონასტრებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ასევე გაუდიდებიათ ეკლესიის მსახურთ საეკლესიო წესთა შესრულებისთვის - განკუთვნილი გამოსაღები.

მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. მეურნეობამ გლეხისათვის აზრი დაკარგა. მისი შემოსავალი გადასახადებსაც ვეღარ აუდიოდა და მწარმოებელს არა თუ დაუნჯებისა და კვლავ-წარმოებისათვის არაფერი რჩებოდა, არამედ მრავალი მათგანი იძულებული იყო ხარკში საკუთარი შვილებიც კი ეძლია.

მონღოლებმა საქართველო, ისევე როგორც არა ერთი სხვა დაპყრობილი ქვეყანა, უმთავრესად ფულით დახარკეს. ერთი იმდროინდელი მწერლის ცნობით, გლეხის წლიური ფულადი გადასახადი 60 თეთრს უდრიდა. ფულით ღარიბი ფეოდალური მეურნეობა მალე დაიცალა მისგან, „ოქრო“ გაძვირდა. მწარმოებელ საზოგადოებას სულ უფრო და უფრო გაუჭირდა სახარკო ფულის შოვნა. მევახშეობამ ფრთა გაშალა.

კლასობრივი ურთიერთობის გამწვავება

ყოველმხრივ მიმძლავრებულმა, დათრგუნულმა მწარმოებელმა საზოგადოებამ ბრძოლის უკანასკნელ საშუალებას მიმართა. გლეხები მასობრივად სტოვებდნენ მამაპაპეულ ნაქონევს, თავს ანებებდნენ ინტენსიურ მეურნეობას და გარბოდნენ. ბოგანობას იწყებდნენ. „ხიზნობა“ **აყრილ-გაქცეული** გლეხის სხვას-

თან მიკედლებას ნიშნავდა. „ბოგანო“ სხვაგნით მოსულს ეწოდებოდა, „ღარ-ბობა“ — თავისი ქვეყნიდან გადახვეწას. გლეხებმა მებატონეებს საქმე სულ ერთიანად აურიეს. გლეხები გაექცნენ მონღოლთა ხარკს, გაექცნენ ბატონის ბეგარას, გააუკაცრიელეს ფეოდალთა მამულები.

დაცარიელებული მამული კი საშინელებად იქცა ფეოდალისათვის, რადგან „ყმა-მამულზე გაწერილი მონღოლური ხარკისათვის საბოლოოდ პასუხისმგებელი მემამულე-ფეოდალი იყო. ასე ჩამწარდათ, როგორც ერთი იმდროინდელი მწერალი ამბობს, გლეხთაგან მინახვეჭი გაუმაძღარ ფეოდალებს: მონღოლთა მეხარკეები ფეოდალებსა სწვდნენ და მათ ახდევინებდნენ გლეხთაგან დაცლილ ფუძეებზე გაწერილ გადასახადს.

შედეგი ის იყო, რომ მიწები ამოძრავდა, ჩალის ფასად ჰყიდდნენ ფეოდალები თავიანთი ეკონომიური და სოციალური უპირატესობის საფუძველს — მიწას. ფეოდალი სოციალური საფრთხის წინაშე დადგა. მამულ-დამცირებული, იგი ძველ პატივს კარგავდა და სოციალურ კიბეზე ქვეითდებოდა.

შევიწროვებული ფეოდალები, რომ იტყვიან, „ძველ თამასუქს მიღ-ბრუნდნენ“, საეკლესიო მამულებსა სწვდნენ. როგორც ვიცით, ეკლესიას მონ-ღოლებმა შეღავათი მისცეს: მათი მეხარკეები ნაკლებად აწუხებდნენ ეკლესიის საქონელს. ამიტომ ეკლესიის მიწა-ადგილები კი არ უკაცრიელდებოდა, არ-მედ, პირიქით, ჰყვაოდა.

ფეოდალებმა გაიხსენეს მამა-პაპათა მიერ ეკლესიისათვის შენაწირი „ყმა-მამული“ და მათი „გამოწირვა“ ანუ უკან წართმევა იწყეს. ეკლესია შეშ-ფოთდა. 1263 წელს მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება. სამღვდელოებამ პრო-ტესტით მიმართა მეფეს და ამ უკუწართმევის შეწყვეტა მოსთხოვა მას, მაგრამ „ძნელბედობა“ (უბედურება, გაჭირვება) ისეთი მწვავე ყოფილა, რომ ეკლესიის მოღვაწეთა წყევლა-კრულვის მუქარას ვერ შეუშინებია მეფე და მისი მრჩეველები და მამულების გამოწირვა ამის შემდეგაც გაგრძელებულა.

ამრიგად, ფეოდალებმა საეკლესიო მამულებიც კი გააჩანაგეს, მაგრამ ამით თავს, რა თქმა უნდა, ვერ უშველეს. ასევე არ შველოდა საქმეს ამა თუ იმ ომში მოპოვებული დავლა-ალაფი, თუნდაც ისე მრავალი, როგორიც ხვდა მონღოლებთან ერთად მოლაშქრე ქართველ ფეოდალებს ბაღდადის აღება-გაძარცვის შედეგად 1258 წელს.

ვერაფერი ვერ აღადგენდა ფეოდალური მეურნეობის ღრმად დარღვეულ წონასწორობას, რაც გამოწვეული იყო მწარმოებელი მოსახლეობის საბატონყმოს ტვირთის უზომო დამძიმებით, მონღოლური ხარკის სიდიდით და ამ ხარკის აკრეფის აუტანელი პირობებით.

ბრძოლა მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ

1249 წლიდან ვიდრე 1258 წლამდე საქართველოს მეფეები, ორივე დავითი თანხმობით განაგებდნენ ქვეყანას და მონღოლთა ყმობის მძიმე ჭაპანს ერთად ეწეოდნენ.

აუტანელი გაჭირვების ნიადაგზე საქართველოში 1259 წელს იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც დავით რუსუდანის ძე მეთაურობდა.

ჰულაუ ყაენმა დიდი ჯარი გამოგზავნა არღუნ ნოინის სარდლობით. სასტიკ შეტაკება მონღოლებმა ვერ მოიგეს და ყაენმა საგანგებო მეშველი ჯარიც

ჯაჭრა საქართველოსაკენ. დავით რუსუდანის ძე დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ხოლო დავით გიორგის ძეს ყაენმა უბრძანა, მონღოლებთან ერთად ეგვიპტის სულტანზე გასალაშქრებლად მომზადებულიყო.

დავით გიორგის ძემ სამხედრო თათბირი მოიწვია და ეგვიპტეში ლაშქრობაზე უარი განაცხადა. ქართველ დიდებულთა უმრავლესობამ აჯანყებულ მეფეს მხარი არ დაუჭირა. ამისდა მიუხედავად დავით გიორგის ძე აჯანყდა და გადავიდა სამცხეში, რომლის მთავარი **სარგის ჯაყელი** მეფის ერთგულებას შერჩენოდა.

როგორც კი შეიტყო არღუნ ნოინმა დავით გიორგის ძის აჯანყება, მან აჯანყებული მეფის მეუღლე დედოფალი **გვანცა** და მისი მცირეწლოვანი შვილი **დიმიტრი** დაიჭირა და ყაენის ურდოში გაგზავნა.

ომი დავით გიორგის ძის ჯარსა და არღუნ ნოინის მხედრებს შორის გორის მიდამოებში მოხდა. ქართველები დამარცხდნენ. ეს იყო 1260 წელს. როცა შემდეგ წელს არღუნ ნოინი სამცხეს შეესია, დავით მეფის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, მონღოლთა მხარეს გადავიდა ზოგი ვინმე მესხი ფეოდალიც. ამისდა მიუხედავად, არღუნ ნოინმა აჯანყებულთა მთავარი სადგომი **ციხისჯვარი** ვერ აიღო და ოცი დღის ბრძოლის შემდეგ უკან დაიხია. განრისხებულმა ყაენმა ჯავრი გვანცა დედოფალზე იყარა და მოაკვლევინა იგი. ასევე მოკლულ იქნა **ამირსპასალარი ზაქარია შანშას ძე,** რომელსაც დაბრალდა, **რომ** საიდუმლო მიმოწერა ჰქონდა თავის ცოლთან, სარგის ჯაყელის ასულთან. იმავე ხანებში სიკვდილით დასაჯეს, ხარკის გადაუხდელობის გამო, ხაჩენის მთავარი **ჰასან ჯალალი.**

აჯანყებულ დავით გიორგის ძეს აოხრებულ სამცხეში აღარ დაედგომებოდა და ის სარგის ჯაყელთან ერთად დასავლეთ საქართველოში, დავით რუსუდანის ძესთან გადავიდა.

მართალია, მონღოლები ტყიან დასავლეთ საქართველოში ლაშქრობას მოერიდნენ, მაგრამ ყაენმა მალე მოიგონა ხერხი, რომლითაც აჯანყებული დავით გიორგის ძე ურდოში თავისთან მიიყვანა.

ულუ დავითის შეთანხმება მონღოლებთან

აღმოსავლეთ საქართველოს საქმეების მეთვალყურეობა მონღოლებმა სომეხ დიდვაჭარს ვინმე **შადინს** დაავალეს და ქვეყნის მმართველადაც უპირებდნენ მას დანიშვნას. აჯანყებულნი შეშფოთდნენ და დავით გიორგის ძემ ურდოში მოციქულები გაგზავნა. გამამხნევებელი ცნობების მიღების შემდეგ დავით გიორგის ძე თბილისს გადმოვიდა და 1264 წელს მეფე და მისი უახლოესი მრჩეველი სარგის ჯაყელი ურდოში გაემგზავრნენ და ყაენის წინაშე სასამართლოში წარდგნენ. აქ თარჯიმნად გამოვიდა საქართველოს აზნაური **სადუნ მანკაბერდელი,** ნიჭიერი და ენერგიული ადამიანი, რომელიც ურდოში ფაწინაურდა და ყაენის კარზე დიდი გავლენაც მოიპოვა.

აჯანყების გამო მეფის ნაცვლად სარგის ჯაყელი მოახსენებდა ყაენს, ხოლო სადუნი შესაფერისად შელამაზებულს უთარგმნიდა მას.

სარგის ჯაყელი ბრალს თვით კისრულობდა (როგორც ეს პატრონყმობის წესს შეეფერებოდა) და აჯანყებას ასე ასაბუთებდა: აჯანყება მონღოლთა მოსელვების, მეტადრე კი გადასახადების ამკრეფთა, აუწერელი ბოროტმოქმედე-

ბით იყო გამოწვეული. მათი თვითნებობისა და ძალმომრეობისაგან დაცვის ერთადერთი გზა აღარ იყო, რადგან ამ დიდმოხელეებს ყაენის კარი ქრთამით ჰქონდათ შეკრულია. ასეთ პირობებში აჯანყება ერთადერთი საშუალება იყო, რომ თქვენ საქართველოს უმწეო მდგომარეობისათვის ყურადღება მიგექციათო.

მაგრამ ვიდრე სასამართლო მიმდინარეობდა, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ჰულაუ ყაენის ამ საქმისადმი დამოკიდებულება სულ ერთიანად შეიცვალა.

როგორც ვიცით, ჩინგიზ-ხანმა სიკვდილის წინ მონღოლთა სახელმწიფო თავის ოთხ შვილს გაუნაწილა, მაგრამ იმ პირობით, რომ ყველას ყური უნდა ეგდოთ და დამორჩილებოდნენ უფროს ყაენს, რომლის ურდო ყარაყორუმში (საკუთრივ მონღოლეთში) იყო.

ჩინგიზ-ხანის შვილიშვილი ჰულაუ ახლო აღმოსავლეთის ყაენი იყო: ჩინგიზის უფროსი შვილის **ჯუჩის** ჩამომავლობა აღმოსავლეთ ევროპის, იმიერკავკასიის, ვოლგისპირეთის, ციმბირისა და კასპიის ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთის ქვეყნებს ფლობდა; ჩინგიზ-ხანის მეორე შვილის **ჩაღატას** ჩამომავლობა კი კასპიის ზღვის აღმოსავლეთისა და მისი მიმდგომი **ქვეყნ**ების ყაენი იყო.

მონღოლთა მიერ შექმნილი დიდი სახელმწიფოს არსებობა იმ დროს, ფეოდალური მეურნეობის პირობებში, ყოვლად გაუმართლებელი იყო და ამდენადვე ის მასში შემავალი ქვეყნების შემდგომ განვითარებას მხოლოდ თუ შეაფერხებდა. ეს გაერთიანება ნაძალადევი იყო და მას ეკონომიური საფუძველი არ გააჩნდა. ამიტომაც მოხდა, რომ მან წარმოქმნის უმალ დაშლა იწყო.

XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ოქროს ურდოსა (ვოლგისპირეთში) და ილხანებს (ასე უწოდებდნენ ჰულაო ყაენსა და მის ჩამომავლობას) შორის მტრობა ჩამოვარდა. ოქროს ურდოს ყაენს თვალი ეჭირა სამხრეთის მდიდარ ქვეყნებზე, ილხანის სახელმწიფოში რომ შედიოდა. თანაც **ბერქა ყაენი** (ბათო ყაენის შვილი) თავისი ქვეყნების მიმტაცებლობას აბრალებდა ჰულაო ყაენს.

ომის საბაბი მალე გაჩნდა და 1264 წელს ბერქა ყაენი დიდი ჯარით წამოვიდა დარუბანდზე, რათა ამიერკავკასიაში შემოჭრილიყო. ჰულაო ყაენისათვის ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოზიციას და ყაენიც აჯანყებული მეფის მიმართ ლმობიერება-დათმობის გზებზე დადგა. გამოძიება შეწყდა და ყაენმა დავით მეფე საქართველოში გამოისტუმრა იმ დავალებით, რომ უმალ საქართველოს ლაშქრითურთ მასთან გამოცხადებულიყო.

ილხანის დიდი ლაშქარი დარუბანდისაკენ წავიდა. მას თან ახლდა დავით მეფეც ქართველთა ჯარითურთ. ომი იმიერკავკასიაში მოხდა. ორივე მხარე სასტიკად დაზარალდა. გამარჯვება საბოლოოდ ბერქას დარჩა, მაგრამ იმჯერად ამიერკავკასიაში შემოჭრა მან მაინც ვერ გაბედა.

ოქროს ურდოსა და ილხანების ურთიერთ ბრძოლის შედეგები საქართველოსათვის

ჰულაუ ყაენმა შარვან-საქართველოს საზღვარზე, **თეთრ წყალთან** სანგრები (მონღოლურად — „სიბა") ააშენა და შიგ ჩააყენა სანაპირო ჯარი, რომელსაც ჩრდილოეთიდან შემოსეული მტერი უნდა შეეკავებინა. მონღოლებთან ერთად საქართველოდანაც ყოველწლივ უნდა გასულიყო ჯარი და შემოდგომიდან ზაფხულის დამდეგამდე მდგარიყო იმ სიბაზე.

1265 წელს, როცა ჰულაუ ყაენი გარდაიცვალა და ილხანობა მისმა შვილმა აბაღამ დაიჭირა, ბერქა ყაენმა დრო იხელთა და ილხანების წინააღმდეგ უზარ-ბაზარი ჯარით დაიძრა. ბერქას ლაშქარი 300.000 მეომრისაგან შედგებოდა. აბაღა ყაენმაც შემოიყარა ჯარი (აქ იყო ქართველთა ლაშქარიც) და თავდაცვის ტაქტიკას დაადგა: მტკვრის მარჯვენა ნაპირს გადავიდა, იქ გამაგრდა და მტკვარზე ყველა ხიდი ააყრევინა. გაზაფხულის წყალდიდობა იყო. ბერქამ მტკვარი ვერ გადალახა და თბილისზე წამოვიდა, რომ აქ ეცადნა გაღმა გადასვლა.

ბერქა ყაენის ამოდენა ჯარის მოძრაობამ მტკვრის მარცხენა სანაპირო და ალაზან-ივრის ქვემო წელი (კერძოდ, ქ. რუსთავი) ისე ააოხრა, რომ იმ დროიდან მოყოლებული მრავალი ხნის განმავლობაში იქ მოსახლეობა ვეღარ მოშენდა.

ბერქა ყაენმა თბილისს ვერ მოაღწია. ის გარეჯის მთებზე მდგომი გარდაიცვალა. მისი ლაშქარი უმალ უკუიქცა და ამით აბაღა ყაენიცა და საქართველოც განსაცდელს გადაურჩნენ.

შეშინებული აბაღა ყაენი ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვდა თეთრ წყალზე ჯებირის დაცვას, რის ტვირთიც უპირატესად საქართველოს სამხედრო ძალას აწვებოდა კისერზე. საქართველო იძულებული იყო ყოველწლიურად მოეწყვიტა დიდძალი ხალხი ნაყოფიერი შრომისათვის და მისი ძალ-ღონე მონღოლთა სახელმწიფოს დაცვისათვის შეელია.

ესა და სხვა მსგავსი მოვლენები თან დაერთო ზემოაღნიშნულ სიძნელეებს და ფეოდალური საქართველოს სამეურნეო განვითარებაც შეფერხდა, თანდათან დაქვეითების გზაზე შედგა.

დაეცა ფეოდალური ხანის ისედაც სუსტი აღებ-მიცემა. არა თუ მწარმოებელ საზოგადოებას, ფეოდალსაც კი გაუჭირდა თავისთვის საჭირო საქონლის ყიდვა. დაკნინდა დიდრონი ფეოდალური ქალაქები, სავსებით გაქრა და ისევ სოფლებად იქცა მცირე ქალაქები, გაუდაბურდა დიდი გზა-შარის პირები; მოსახლეობა ერთიანად გადაიხვეწა დიდი გზისპირა სოფლებიდან: ისინი ვერ აუვიდნენ იამის ანუ მონღოლ მოხელეთათვის განკუთვნილ საგზაო-საფოსტო სადგურების მომსახურებას.

რა თქმა უნდა, მონღოლთა ხაზინაში ხარკის დენამაც იკლო. ქვეყნის ძარცვაში დახელოვნებული მოხელეებიც კი ვეღარ ახერხებდნენ მის აკრებას თავდაპირველი რაოდენობით. XIII საუკუნის 70-იან წლებში მონღოლებმა კვლავ აღწერეს თავიანთი საბრძანებელი. აღწერის მიზანი იყო იმის გაგება, თუ „რომელი ქვეყანა აოხრდა გინა აღშენდა“. აღწერეს ქვეყნები და იხილეს, რომ „უმრავლესნი მოოხრებული იყო“. მათ შორის იყო საქართველოც.

მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ მონღოლებს არ შეეძლოთ ამ გასაჭირის შველა და ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობა მას შემდეგაც სულ უკან და უკან მიდიოდა.

§ 5 საქართველოს პოლიტიკური წყობა მონღოლთა მფლობელობის დროს

სამეფო ხელისუფლების დასუსტება და მთავართა გაძლიერება

მონღოლთა მფლობელობის დროს საქართველოს სახელმწიფო წყობილებამ მრავალმხრივი ცვლილება განიცადა. ჯერ იყო და მონღოლებმა საქართველოს სამეფო ტახტზე ორი მეფე დასვეს, რის გამოც მალე ქვეყანა ორ სამეფოდ გაიყო: XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან დავით რუსუდანის ძე არსებითად დასავლეთ საქართველოს მეფეა, ხოლო დავით გიორგის ძე აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთში მეფობს. მაგრამ სახელმწიფო წყობილების ცვლილება ამით არ ამოწურულა.

როგორც ვიცით, მონღოლებმა ჩვენი ქვეყანა შედარებით ადვილად დაიპყრეს. მათ მარჯვედ გამოიყენეს ფეოდალური საქართველოს ის კრიზისული ვითარება, რომელშიაც XII საუკუნის მიწურულიდანვე ქვეყნის პოლიტიკური წყობილება იმყოფებოდა. მონღოლებმა ცალ-ცალკე ერთეულებად დაიპყრეს ქართული სამთავროები, ე. ი. ერისთავთ-ერისთავთა სამმართველო ქვეყნები, თითოეულს ცალ-ცალკე მოურიგდნენ და ამით შეიწყნარეს ყოველი მათგანის პოლიტიკური უფლება თავ-თავის ქვეყანაზე.

მას შემდეგ, რაც საქართველოს მეფე მონღოლებს დაემორჩილა, მთავრები ისევ საქართველოს ერთიან სამეფოში აღმოჩნდნენ, მაგრამ მონღოლებს არც ამის შემდეგ დაუვიწყნიათ ქართველი ფეოდალები. მონღოლები მარჯვედ იყენებდნენ მეფესა და მთავრებს შორის არსებულ უთანხმოებას, ერეოდნენ ასეთ საქმეებში და უპირატესად მთავრების დამცველებად გამოდიოდნენ.

იმ ამბების თანამედროვე ქართველი მოღვაწენი ხელდადებით მონღოლებს სთვლიან იმის მიზეზად, რომ მეფემ „ვერ სცვალნის მთავარნი და ერისთავნი“ და ეს „შიშისათვის ყაენისაო“ (ე. ი. ყაენის შიშის გამო).

ამრიგად, საქართველოს მეფის თვითმპყრობელობამ მონღოლთა მფლობელობის დროს მძიმე პოლიტიკური მარცხი განიცადა, ხოლო რეაქციონერმა დიდებულებმა (მთავრებმა) მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში მონღოლ დამპყრობელთა სახით ძლიერი მფარველი და მოსარჩლე მოიპოვეს.

ასე რომ მონღოლთა ბატონობის დროს მეფის თვითმპყრობელობა სუსტდებოდა, ხოლო მთავართა უფლება სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა. შემცირდა ვაზირის, როგორც სამეფო კარის მოხელის, მნიშვნელობა, გაიზარდა მნიშვნელობა ერისთავთ-ერისთავებისა (მთავრებისა), რომელნიც სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხელმწიფენი ხდებოდნენ. მთავარმა თავისი მნიშვნელობით სძლია ვაზირს. ვაზირობა ამა თუ იმ მთავრის სამკაული-ღა გახდა.

ამიტომ იყო, რომ XIII საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს მეფის პირველმა ვაზირმა **ბასილ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა** თავი დაანება ამ გაუფასურებულ ვაზირობას, საბერო სამოსელი გაიხადა და „მთავრობა მიიტაცა“.

სამეფოს დაშლის კოტაცესის გაღრმავება

XIII საუკუნის მიწურულს მთელი საქართველო ასეთ „სამთავროთა“ კრებულს წარმოადგენდა.

საქართველოს მეფის თვითმპყრობელობის დასუსტებას და საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის დაშლას ხელს უწყობდა აგრეთვე მონღოლთა ყაენის კარზე არსებული წესი ხასინჯუ. ამ წესის არსი ის იყო, რომ მონღოლთა ყაენი ამა თუ იმ ფეოდალს ან ლიდვაჭარს თავისი პირადი მფარველობის ქვეშ აიყვანდა, ხოლო მის საფეოდალო ქვეყანას (სამთავროს, საერისთაოს) თავისთვის სასაკუთროდ აიღებდა. ზოგჯერ ყაენი ასეთ პირს და მის ქვეყანას ხასინჯუდ ანუ სასაკუთროდ მონღოლთა დედოფალს ან მონღოლთა უფლისწულს გადასცემდა. გადასახადი მონღოლთა ხაზინას კი არა, არამედ იმ პირს მიუდიოდა, ვის სასაკუთროდაც ეს ქვეყანა იყო ქცეული. ამიტომ იყო, რომ ხასინჯუდ ქცეულ ქვეყანას მონღოლთა დივნის დავთრებიდან ამორიცხავდნენ ხოლმე. ასეთ ქვეყანაში მონღოლთა დივნის მოხელენი, ხარკის ამკრეფლები ვეღარ შედიოდნენ. ხასად ქცეული ქვეყნის მეთაური ამ ქვეყნის ხარკს თითონ შეკრებდა ხოლმე და თავის ახალ პატრონს მიართმევდა.

ეს გარემოება მეტად დიდი შეღავათი იყო ხასი ქვეყნისათვის, სამაგიეროდ ამა თუ იმ ნაწილის ხასად ქცევა მიუღებელი იყო საქართველოს მეფისათვის. ხასი ქვეყანა მეფისთვის შეუვალი, ხოლო ხასი ფეოდალი მეფისაგან დამოუკიდებელი ხდებოდა.

საქართველოს ფეოდალები ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ხასობა მოეპოვებინათ და ზოგი ამას ახერხებდა კიდევაც. ასეთები იყვნენ ფეოდალები: ელიგუმ ორბელი, სადუნ მანკაბერდელი, სარგის ჯაყელი, და დიდვაჭრები უმეკი და შნორჰავორი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სარგის ჯაყელის ხასობა. სარგის ჯაყელი დავით გიორგის ძის ვაზირი (შეჰურჭლეთუხუცესი) და სამცხის მთავარი იყო. ეს ძლიერი ფეოდალი მეფის ერთგულ ყმად ითვლებოდა. დავით მეფის დასუსტების მიზნით მონღოლთათვის სასურველი ჩანდა ამ მთავრისა და მისი ქვეყნის ჩამოშორება საქართველოსაგან. სარგის ჯაყელს ხასობის იმედი მისცეს ურდოში. მეფემ ეს შეუტყო და დააპატიმრა თავისი ვაზირი. ამ ამბავში ჩაერია მონღოლთა ყაენი და საქმე იმით დასრულდა, რომ სარგის ჯაყელი და მისი სამთავრო ყაენის ხასინჯუდ იქნა გამოცხადებული. ეს მოხდა 1266 წელს.

ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის მესამე ერთეულს.

იმ ხნიდან მოკიდებული, ვიდრე XIV საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველოს ეს ნაწილები ურთიერთისაგან განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებოდნენ.

სამცხის სამთავრო XIII საუკუნის მეოთხე ნახევარში

ყაენის მფარველობის ქვეშ შეღავათიან პირობებში მყოფი სამცხის მთავარი ადვილად ახერხებს თავის სამთავროში გაერთიანოს ქვეყანა ტაშისკარიდან (ქვიშხეთთან) ბასიანამდე. ასე რომ XIII საუკუნის 30-იან წლებში ამ სამთავროში გაერთიანებული იყო: ხ ე ო ბ ა (ბორჯომის

ხეობა), სამცხე, აჭარა, შავშეთი, არტაანი, კოლა, „კარული ქვეყანა“ (ყარსის ქვეყანა), კლარჯეთი, ტაო და სიერი.

მონღოლ მოხელეთა თარეშისაგან დაცული სამთავრო წარმატებით ებრძვის ეპოქის საერთო სიძნელეებს და სხვებზე უკეთ ახერხებს ადრინდელი მაღალი განვითარებულობის შენარჩუნებას. ამის მოწმობაა, რომ იმ ხანებში სამცხე, შედარებით, შენდება, მაშინ როცა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა თემები ვერანდებიან. სამცხეში მირბიან განაწამები გლეხები დამშეული ქართლიდან, რომელიც ბოლომოუღებელი ომის ასპარეზადაა გადაქცეული XIII საუკუნის მიწურულსა და XIV საუკუნის დამდეგს.

სამცხის მთავრები სარგისი, ბექა და ბექას შვილები წარმატებით იცავენ სამთავროს მიწა-წყალს მცირეაზიელ თურქთა შემოსევებისაგან, ეწევიან ცხოველ აღმშენებლობას და დიდმნიშვნელოვან საკანონმდებლო მოღვაწეობას.

ოფიციალურად სამცხის მთავრები საქართველოს მეფის ყმობიდან არ გამოსულან, ისინი ამის შემდეგაც ატარებენ მეფის კარის ვაზირის პატივს (ბექა სარგისის ძე ჯაყელი მეფის მანდატურთუხუცესი იყო), მაგრამ არსებითად სავსებით დამოუკიდებელნი არიან მეფისაგან და მათი ვაზირობა ძველი შინაარსისაგან დაცლილი ფორმა-ღაა.

ასეთია სამცხის სამთავროს პოლიტიკური ვითარება XIV საუკუნის 30-იან წლებამდე, როცა ხდება საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა.

დასავლეთი საქართველო XIII საუკუნის მეორე ნახევარში

მას შემდეგ, რაც ილხანთა წინააღმდეგ აჯანყებული დავით რუსუდანის ძე ქუთაისში დამკვიდრდა, ხოლო დავით გიორგის ძე ყაენს დაემორჩილა (1264 წ.), საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფა ფაქტად იქცა. დასავლეთი საქართველო მონღოლებს აღარ ემორჩილებოდა. დავით რუსუდანის ძე, ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკოსი, თადარიგს იჭერდა და ილხანებისაგან თავის დასაცავად ცდილობდა კავშირის შეკვრას მის მტრებთან და მეტოქეებთან. იმ დროს ასეთები იყვნენ ეგვიპტის სულტანი და ოქროს ურდოს ყაენები. 1264—1265 წელს დავით რუსუდანის ძემ ეგვიპტის სულტანს ძღვენით დატვირთული დესპანები გაუგზავნა. ამგვარადვე გაუგზავნა მან დესპანები ეგვიპტის სულტანს 1268 წელს. მჭიდრო კავშირი ჰქონდა დავით რუსუდანის ძეს ოქროს ურდოსთანაც.

დავით რუსუდანის ძე ილხანების მტრობას არ მალავდა, პასიურ თავდაცვას არ სჯერდებოდა და მონღოლთა შინაურ შფოთსა და არეულობაში ერეოდა. ილხანების წინააღმდეგ განწყობილი თუ აჯანყებული მონღოლი ბატონიშვილები, სარდლები და მოხელეები თავშესაფარს დავით რუსუდანის ძესთან პოულობდნენ.

დავით რუსუდანის ძე იმავე დროს აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა ტრაპიზონის სამეფოში.

ტრაპიზონის სამეფო 1244 წელს მონღოლებმა თავის მოხარკედ აქციეს. მას შემდეგ თანდათან შესუსტდა იქ ქართველთა გავლენა, რომელიც ადრე მეტად ძლიერი იყო. ამავე დროს ახლად ფეხზე წამომდგარი ბიზანტიის კეისარი ენერგიულად ცდილობდა სავსებით აღეკვეთა ქართველთა გავლენა ტრაპიზონში. ამის საპასუხოდ დავით რუსუდანის ძე 1282 წელს თავისი ჯარით ტრაპიზონის

საკეისროს შეესია და მისი ნაწილი დაიპყრო. ბრძოლა ამაზე არ შეწყვეტილა და ტრაპიზონის სამეფო კარი ხან ქართველთა და ხან კი ბიზანტიის კეისრის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ხოლმე.

ილხანები გამუდმებით ცდილობდნენ დავით რუსუდანის ძის დამორჩილებას. ხან რაჭის ერისთავს **კახაბერის ძეს** იმხრობდნენ და აისი დაბმარებით მეფის დაჭერას ლამობდნენ, ხან თითქო დაუყვავებდნენ და მის შვილს **ვახტანგს** აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ სვამდნენ. დავით რუსუდანის ძე ფრთხილობდა, მონღოლებს არ ენდობოდა და ისე გარდაიცვალა (1293 წ.), რომ ის მონღოლებმა ვერც დაიმორჩილეს.

დავით რუსუდანის ძის შემდეგ მის შვილებს ‘მორის შფოთი ატყდა და გრძელდებოდა ვიდრე XIV საუკუნის 20-იან წლებამდე, როცა საქართველო პოლიტიკურად კვლავ გაერთიანდა.

§ 6. საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის პოლიტიკური მდგომარეობა XIII საუკუნის 70-იან წლებიდან XIV საუკუნის 10-იან წლებამდე

უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ დროს საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი.

იწყებოდა ქვეყნის ტერიტორიული დაზიანება. შაქი-შარვანის მხარე ვიდრე თეთრ წყლამდე სიბის მცველ მონღოლთა მფლობელობაში გადადიოდა; აღმოსავლეთი სომხეთი, ავაგ ათაბაგის საგამგეო ქვეყანა, ყაენის პირველი ვაზირის სამფლობელოდ იყო ქცეული; ჯუჩიანთა ულუსის (ოქროს ურდოს) მიერ შევიწროებული და მთიანეთს შემოხიზნებული იმიერკავკასიელი მოსახლეობა ქართლს ჩრდილოეთის მხრიდან აწვებოდა და აქ ჩამოსახლებას ცდილობდა.

ქვეყანა ისევ მონღოლთა დიენის მოხელეთა სათარეშოდ რჩებოდა და უმოწყალოდ იძარცვებოდა.

საქართველოს ლაშქარს ყოველწლიურად სიბაზე დგომა და მონღოლებთან ერთად ბოლომოუღებელ ომებში მონაწილეობა ანადგურებდა.

განსაკუთრებით მძიმე და სახიფათო იყო ხშირი აშლილობა, რამაც მტკიცედ მოიდგა ფეხი ილხანთა ურდოში. მონღოლი უფლისწულები საყაენო ტახტისათვის ერთიმეორეს ეომებოდნენ და საქართველოს მეფე იძულებული იყო ყოველთვის ერთ-ერთი რომელიმე მებრძოლის მხარეზე დამდგარიყო და ომში მონაწილეობა მიეღო.

ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ვითარება სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. მეფის უფლებები საკუთარ ფეოდალებთან ბრძოლაში სათუო და პირობითი შექმნილიყო. მონღოლთა ყაენისა და მისი დიდმოხელეების ნებაზე იყო დამოკიდებული როგორც მეფის მეფობა, ისე მისი მთავრების მთავრობა და მონღოლები, ჩვეულებრივ, მთავრებს იცავდნენ მეფის მიერ შევიწროებისაგან და ქვეყანაც ამ თავაშვებული მთავრების სარბიელად ქცეულიყო.

დასასრულ, მრავალმეფობა: ურჩი და აჯანყებული მეფის გასატეხად მონ-ღოლები მეფობას სხვა მის სახლისკაცს უმტკიცებდნენ და ზოგჯერ არა ერთ-საც, რაც სულ ერთიანად აქარწყლებდა მეფის თვითმპყრობელობას და ქვეყნის პოლიტიკურ დაშლილობას კიდევ უფრო აღრმავებდა.

დემეტრე თავდადებული

მეფე დავით გიორგის ძე სიბაზე დგომაში დასნეულდა და 1270 წელს გარდაიცვალა. აბაღა ყაენმა საქართველოს მეფედ დაამტკიცა უფლისწული **დემეტრე დავითის ძე** და მას, მცირეწლოვანების გამო, მზრუნველად სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა. ახალგაზრდა დემეტრე მეფემ სადუნს ათაბაგობა მისცა. ამით სადუნი საქართველოში პირველი კაცი გახდა.

სადუნმა მარჯვედ გამოიყენა თავისი მდგომარეობა და ქვეყნის ამ გალაშკაკება-გაკერანების დროს უზომოდ გამდიდრდა. საამისოდ იგი არაფერს თაკილობდა. 1278 წელს დემეტრე მეფისაგან მან თელავი, ბელაქანი და ბევრიც სხვა ადგილი ჩაიგდო ხელში. როდესაც შემდეგ თათრებმა მოსთხოვეს დემეტრე მეფეს დიდი თანხის გადახდა, რამოდენას გამოღებაც მას არ შეეძლო, ამ ფულის გადახდა სადუნმა იკისრა, მაგრამ სამაგიეროდ თავისთვის ქალაქი დმანისი და შისი თემი მოითხოვა. დემეტრე იძულებული გახდა ჯერ დმანისი მიეცა სადუნისათვის, შემდეგ კი ციხე-ქალაქი კარი (ყარსი), რომელიც სადუნმა თავის საჯდომად აქცია. კარული ქვეყანა კი ამ მოხერხებულმა მედროვემ ჯაყელებისაგან „მოიერაგა". შემდეგშიაც სადუნის სიმდიდრე სწრაფად იზრდებოდა. სადუნმა თავის მამულებს ცხრა წლით თარხნობა მოუპოვა, ე. ი. ამ ფეოდალის საკონელი ცხრა წლით თავისუფალი იყო მონღოლთა გადასახადებისაგან. გასაგებია, თუ სადუნის ხელში იყრიდა თავს ქართველ ფეოდალთა გაჩალისფასებული და დაცარიელებული მამულები და თან მასვე მიუდიოდნენ ამ ფეოდალთა ალაჯგაწყვეტილი გლეხებიც. ამიტომ ქართველი ფეოდალები შურისა და მტრობის თვალით შესცქეროდნენ სადუნს და არც მეფე იყო მადლიერი ამ თავისი ათაბაგისა, მაგრამ ყაენის აგენტსა და მისანდო მედროვეს ვერავინ ვერაფერს აკლებდა. დემეტრე მეფემ ისღა შეძლო, რომ როცა 1281 წელს სადუნი გარდაიცვალა, ათაბაგობა მის შვილს **ხუტლუბუღას** კი არ მისცა, არამედ მის მოქიშპე ფეოდალს **ტარსაიჯ ორბელს** უწყალობა, ხუტლუბუღა სადუნის ძეს კი ამირსპასალარობა აკმარა.

როგორც აღვნიშნეთ, მონღოლებს იმ დროს მძიმე საგარეო ომები ჰქონდათ. განსაკუთრებით სირია-პალესტინაში, სადაც მათ მხნედ ებრძოდა ეგვიპტის სულტანი, რომელმაც სასტიკი დამარცხება აგემა თავის მოწინააღმდეგეებს 1277, 1280 და 1281 წლებში. ყველა ამ ომში დემეტრე მეფის დროშის ქვეშ ფეოდალიათასობით მონაწილეობდა და მონღოლ დამპყრობელთა საქმეს ეწირებოდა საქართველოს ჯარი.

დემეტრე მეფისათვის მაინც საბედისწერო აღმოჩნდა შინაური ბრძოლა ილხანების სახელმწიფოში.

ილხანთა ულუსს დაპყრობილი ქვეყნების საზოგადოებრივი წყობის გავლენა დაეტყო, მონღოლთა ურდოს ფეოდალური აშლილობა შემოერია.

ულუსში შეთქმულება შეთქმულებას მოსდევდა. დაპყრობილი ქვეყნები და მათ-
მეთაურები ამ პროცესის აქტიური მონაწილენი იყვნენ.

აბაღა ყაენის ძმას და მემკვიდრეს **აჰმად ყაენს** ნოინები აუჯანყდ-
ნენ და მის მაგიერ ყაენად აბაღას შვილი **არღუნი** გამოაცხადეს. აჰმად ყაენ-
ჯარი შემოიყარა და დემეტრე მეფე ქართველთა ლაშქრითურთ თავისთან
იხმო. მეფე ეახლა ყაენს. 1284 წელს აჰმად ყაენმა მოწინააღმდეგენი დაამარცხ-
და ერთგული დემეტრე წყალობით აავსო. მაგრამ ნოინების მხარდაჭერით არ-
ღუნ უფლისწული კვლავ აჯანყდა და კიდევაც გაიმარჯვა. დემეტრე მეფე ის
მოქნილად მოქმედებდა, რომ გამარჯვებული არღუნიც მისი დიდი მწყალობ-
ელი გახდა. არღუნ ყაენის პირველი მრჩეველი **ბუღა** კი დემეტრე მეფის მო-
მხრე და მოსარჩლე იყო.

მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა. 1288 წელს არღუნ ყაენის საწინააღ-
მდეგო შეთქმულება გამომჟღავნდა. შეთქმულების მეთაურობა ყაენის პირველ
ვაზირს ბუღას დაბრალდა. ბუღა სიკვდილით დასაჯეს. იგივე ბედი ეწიათ მის
შვილს, ნათესავებსა და მომხრეებს.

ბუღას მომხრე და მეგობარი დემეტრე ურდოში დაიბარეს. მეფემ დარბაზ-
მოიწვია და რჩევა სთხოვა. დარბაზმა მეფეს მთებში გახიზვნა ურჩია. დემეტრე
ეს რჩევა არ მიიღო, მან თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახი სხვადასხვა ადგილ-
დამალა და თითონ კი ურდოში წავიდა. ეტყობა, მას იმედი ჰქონდა, რომ ყაენ-
რისხვას ცოცხალი გადაურჩებოდა, რადგან მის წინააღმდეგ შეთქმულებ-
აქტიური მონაწილე არ ყოფილა.

მაგრამ დემეტრე მისივე ვაზირმა ამირსპასალარმა ხუტლუბუღა სადუნ-
ძემ დაღუპა. ხუტლუბუღა მეფეზე ნაწყენი იყო, რომ ათაბაგის თანამდებობ-
სადუნ ათაბაგის სიკვდილის შემდეგ მას არ მისცა და სხვას უწყალობა. ხუტლუ-
ბუღამ მოახსენა ყაენს, რომელსაც საქართველოს მეფის სიკვდილით დასჯა სა-
ყოყმანოდ შექმნოდა: დავით რუსუდანის ძის შვილს **ვახტანგს** გადმოვიყვან.
მას მიეცი მეფობა და ამრიგად საქართველოს ორივე სამეფო შენ ხელთ იქნე-
ბაო. ყაენს ეს გეგმა მოეწონა და დემეტრეს ბედიც გადაწყდა. 1289 წელს 1
მარტს დემეტრეს თავი მოკვეთეს. ამის გამო მას **„თავდადებული“** დაერქვა.

ამ მეფის თავგადასავალი აღწერილი აქვს ილია ჭავჭავაძეს თავის ცნობილ
პოემაში „დიმიტრი თავდადებული“.

ვახტანგ II

ყაენის დავალებით ხუტლუბუღამ ვახტანგი აღმო-
სავლეთ საქართველოში გადმოიყვანა. დავით რუსუ-
დანის ძეს ეს საქმე სასურველად ეჩვენებოდა. მამა თან გადმოყვა შვილს.
ქართველ დიდებულებს შვილის ერთგულების ფიცი ჩამოართვა და თითონ
ქუთაისში დაბრუნდა.

ვახტანგი ყაენს ეახლა. არღუნმა მას საქართველოს მეფობა უწყალობ-
ყაენი ამ საქმის კმაყოფილი იყო. ვახტანგი იმერეთში ტახტის მემკვიდრე იყო.
კარგა ხანს მამასთან ერთად ქვეყანას განაგებდა და მეფედაც იწოდებოდა. ასე
რომ მამის სიკვდილის შემდეგ ის ორივე სამეფოს გამაერთიანებლად გამოვი-
დოდა და ამით ლიხთიქითი საქართველოც, ბოლოს და ბოლოს, ყაენს დამორჩი-
ლდებოდა.

ამ დიდი სამსახურისათვის ხუტლუბუღა სადუნის ძე ვახტანგ მეფის ათაბაგი გახდა.

მაგრამ მედროვე ხუტლუბუღა ვერ შეეწყო ვახტანგ მეფეს. ორი წელიც არ გასულიყო, რომ მათ შორის შეურიგებელი მტრობა გაჩაღდა. ხუტლუბუღა ათაბაგი ქართველი დიდებულების მიმხრობას, ვახტანგ მეფის გაძევებას და მის ადგილზე დავით დემეტრეს ძის გამეფებას ცდილობდა. ხუტლუბუღამ ურდოში თანაგრძნობა ვერ პოვა, რადგან სხვა ქართველ დიდებულებს სძულდათ ბოროტი მეტოქე — მედროვე ხუტლუბუღა — და ამიტომ ვახტანგ მეფეს მომხრეობდნენ.

მაგრამ ვახტანგ მეფე ნაადრევად გარდაიცვალა 1292 წელს და ყაენმა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მეფედ დაამტკიცა დავით დემეტრეს ძე (1293 წ.).

ამ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა.

ბრძოლა ყაზან ყაენსა და დავით VIII-ს შორის

1295 წელს საილხანოს ყაენის ტახტი ბრძოლით დაიჭირა **ყაზანმა**, რომელიც ეჭვობდა, რომ დავით მეფე მის მოწინააღმდეგეებს თანაუგრძნობდა. 1297 წელს ყაზან ყაენმა დავით მეფე ურდოში იხმო. მეფე არ ეახლა ყაენს, ფეოდალთა ერთი ნაწილითურთ აუჯანყდა მას, მთიულეთსა და ხევში გაიხიზნა, ოქროს ურდოში დესპანები გაგზავნა და ჩრდილოეთის ულუსს ილხანთა წინააღმდეგ სალაშქროდ იწვევდა.

საქართველოს ფეოდალების მეორე ნაწილი კი ყაზანის მორჩილებაზე დადგა.

ეს აჯანყება მრავალ წელს გრძელდებოდა.

უკუმდგარი მეფის დასამორჩილებლად ყაენი სხვადასხვა გზას მიმართავდა: ხან მოლაპარაკებას აწარმოებდა მეფესთან და მშვიდობას პირდებოდა მას, ხან აჯანყებულის საპირისპიროდ მის ძმებს სვამდა მეფეებად საქართველოში (**გიორგი** 1299 წლიდან, **ვახტანგ** 1302 წლიდან) და დავითის მომხრე ფეოდალების გადაბირებას ცდილობდა. იმავე დროს ყაენი აჯანყებული მეფის მომხრე კუთხეებში მონღოლთა რაზმებს ბოლომოუღებლად ათარეშებდა.

მონღოლთა ლაშქრის ამ ყოველწლიურმა თარეშმა შესაფერი ნაყოფი გამოიღო: „ამა შფოთთა რა იყო ქვეყანა ქართლისა, არა იყო თესვა და არცა შენება ყოვლად“ — გვეუბნება იმდროინდელი მწერალი. ასეთ ხანგრძლივ შფოთს თან სდევდა საშინელი შიმშილობა, რომელიც მთელი სიმძიმით ატყდებოდა ხოლმე თავს მწარმოებელ საზოგადოებას და არანაკლები სისასტიკით ანადგურებდა მას, ვიდრე მონღოლთა ხმალი და ისარი.

მრავალწლივი ტყვენვა-ხოცვისა და შიმშილობა-ჭირის გამო ქართლი მოსახლეობისაგან დაიცალა „და უმრავლესნი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს“, სადაც, შედარებით, მშვიდობა სუფევდა.

მთიულთა მოწოლა ბარზე

სწორედ ამ შფოთიან ხანაში დადგა საქართველო ერთი მოულოდნელი სიძნელის წინაშე. XIII საუკუნეში ოქროს ურდოს მონღოლებმა იმიერკავკასიის ველები დაიჭირეს და თავის სამომთაბაროდ გადააქციეს. მთას შემოხიზნული შე-

ვიწროებული ადგილობრივი მოსახლეობა — ჩერქეზ-აფხაზური მოდგმის ტომები, ოსები, ღუნძ-ღილღვები თანდათან ამიერკავკასიისაკენ მოიწევდნენ და პირაქეთი კავკასიის ტომებს — აფხაზებს, დვალებს, ფხოვლებს ერეოდნენ. ეს პროცესი ზოგან ნელა და შედარებით მშვიდად მიმდინარეობდა, ზოგან კი, განსაკუთრებით ქართლში, ის სწრაფი და მტკივნეული აღმოჩნდა. შევიწროებულ ოსურ ტომთა ბელადებმა მარჯვედ ისარგებლეს ილხანთა ურდოს მხარდაჭერით და აჯანყების ცეცხლში გახვეული ქართლის პოლიტიკური დასუსტებით. მათ დაიჭირეს ლიახვის ხეობა და შიდა ქართლსაც ძლიერ შემოუტიეს. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ოსთა მთავარი „განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა და იყო ჭირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა". ქართველ აზნაურთა მიწისმფლობელობა საფრთხის წინაშე დადგა და ისინიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ.

რა თქმა უნდა, ასეთივე არ იყო ამ საქმეში ქართველი გლეხის პოზიცია. აზნაურთა მიწის დაცვა გლეხის ინტერესს არ შეადგენდა და ქართველი გლეხი ამ მიწის დასაცავად ხელსაც არ გამოიღებდა, თუ ახალმოსულისაგან მას უარესი არ მოელოდა, რასაც ქართველი გლეხი სწორი კლასობრივი ალღოთი შეუცდომლად არკვევდა.

ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოცდაათი წლის გასულს, როცა საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა აღდგენილ იქნა.

ფეოდალებმა, მეფე გიორგი დემეტრეს ძის ხელმძღვანელობით, ქართლის ბარში ომით აღიდგინეს თავიანთი მიწისმფლობელობა, ხოლო მთაში, ლიახვის ხეობაში, ოსთა ჩამოსახლების პროცესი არც ამის შემდეგ შეწყვეტილა.

§ 7. საქართველო XIV ს. პირველ ნახევარში

ილხანთა სახელმწიფოს დაშლა

ასწლოვანი ბატონობის მანძილზე მონღოლთა ურდო თანდათან დაპყრობილ კულტურულ ხალხთა გავლენის ქვეშ მოექცა. ფეოდალურმა მიწისმფლობელობამ გზა გაიკვლია ულუსში. მონღოლი უფლისწულები, ნოიონები თუ სხვა დიდკაცები თანდათან ფეოდალური მიწისმფლობელები გახდნენ, აქაურ ფეოდალებს დაემსგავსნენ და დაუახლოვდნენ, ფეოდალური სოფლისა და ქალაქის კულტურას ეზიარნენ და თანდათან ადგილობრივ მიწისმფლობელებთან ასიმილაციის გზას დაადგნენ.

ეს პროცესი დღის წესრიგში სვამდა მონღოლთა სახელმწიფოს წყობის საკითხს. განვითარებული ფეოდალური ურთიერთობისათვის სრულიად შეუფერებელი მონღოლთა პრიმიტიული სახელმწიფო უნდა მოშლილიყო, რომ მისი ადგილი დაეჭირა საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისათვის შესაფერის პოლიტიკურ ორგანიზაციას.

XIII საუკუნის მიწურულს ილხანთა ერთიანი სახელმწიფო ღრმა კრიზისს განიცდიდა. სოფლის მეურნეობა მოშლილი იყო, ქალაქები — დაცემული, სახელმწიფო შემოსავალი — კატასტროფულად შემცირებული. მონღოლთა ხარკის ამკრეფი მოხელეები (მოიჯარადრეები, „ბასკაკები") ტურა-მგლებივით დაძრწოდნენ და ისედაც გაძვალტყავებულ ქვეყანას საბოლოოდ ავერანებდნენ:

უფლისწულებს, ნოიონებს თვალი განდგომაზე ეჭირათ, დაპყრობილი ხალხები ჯანყობდნენ.

ყაზან ყაენმა (1295—1304) სცადა მონღოლთა სახელმწიფოს გადარჩენა. მან ენერგიული ღონისძიება გაატარა მოიჯარადრე-ბასკაკთა ასალგზავად, საგადასახადო საქმის მოსაგვარებლად. სოფლის მეურნეობის გამოსაცოცხლებლად, ვაჭრობა — აღებ-მიცემისათვის ხელის შესაწყობად, მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა. მონღოლთა სახელმწიფოს დაშლის პროცესი ყაზანის ამ ღონისძიებამ ვერ შეაჩერა და **აბუ-საიდყაენის** (1316—1335) სიკვდილის შემდეგ ილხანთა სახელმწიფო დაიშალა.

მონღოლთა ბატონობის შედეგი

მონღოლთა სახელმწიფოს დაშლა პროგრესული ძალთა გამარჯვების ნიშანი იყო. როგორც ვნახეთ, ეს მოხდა თანდათან, ახლო აღმოსავლეთის კულტურულ ხალხთა მხრივ დიდი ბრძოლის გადატანით და დიდი მსხვერპლის გაღებით.

XIV საუკუნის საქართველოს ღრმად აჩნდა განვლილი უდროობის მძიმე კვალი. ქვეყნის ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური ვითარება მონღოლთან, როგორც იმ დროს იტყოდნენ, **ულუსობის** წინა ხანასთან შედარებით შესამჩნევად იყო შეცვლილი.

1310 წლის ახლო ხანს ქალაქ ანისში გამოქვეყნებულ ერთ ბრძანებაში ილხანი **აბუსაიდ ყაენი** აცხადებდა, რომ **ანისში** და საქართველოს სხვა მხარეებში თურმე სრულებით თვითნებურად და უკანონოდ მრავალი სხვადასხვაგვარი გადასახადი იკრიფებოდა. ამის გამო „ქვეყანა გაოხრდა, მდაბიო ხალხი გაიფანტა“, ხოლო „ქალაქის მამასახლისებმა“ ე. ი. უფრო შეძლებულმა მოქალაქეებმა (აგრეთვე უსამართლო გადასახადების გამო) „თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონება და სახლ-კარი მიატოვეს და გაიქცნენო“.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უბედურ დღეში იმყოფებოდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოება, რომელსაც არა მარტო მონღოლ-ბასკაკთა უსამართლობა ავიწროებდა, არამედ არა ნაკლებ სულს ხდიდა აურაცხელი გარეშე და შინაური ანუ სამონღოლო და საბატონო გადასახადები.

საქართველოდან მონღოლთა ხაზინაში იმ დროს თურმე ყოველწლიურად შედიოდა დაახლოებით 900000 მან. ოქროთი. ამის მიხედვით ანგარიშობენ, რომ საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი ოთხჯერ მაინც ყოფილა შემცირებული მონღოლებამდელ დროსთან შედარებით.

მაგრამ საქართველოს ეკონომიური დაცემის ნამდვილ სურათს გვიხატავს არა ასეთი განყენებული შედარება, არამედ მოშლილი მეურნეობა, აყრილ-გლეხობა, დაცლილი ქალაქები და გავერანებული მხარეები.

განსაკუთრებით დაზიანებული იყო მტკვრისა და იორ-ალაზნის ველები. მოიშალა ქალაქები რუსთავი, ხუნანი, შამქორი. სულ ერთიანად გაუდაბურდა მდიდარი ქვეყანა კამბეჩან-შირაქისა, გარდაბნისა, სამგორ-რუსთავისა. საქართველოს ფაქტიურად ჩამოსცილდა ჰერეთის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა შაქ-შარვანისა (გიშის წყლიდან თეთრ წყლამდე). ყველა ეს ადგილები მონღოლთა ურდოების სადგომ-საძოვრებად იქცა.

ანალოგიური ვითარება იყო შექმნილი საქართველოს სახელმწიფოს სომხეთ-მხარეებში, სადაც ბასკაკების თარეშს თან ერთვოდა მონღოლური ურდოები.

მომთაბარეობა, რაც მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოების ნაყოფიერ შრომას ყოვლად შეუძლებელს ხდიდა.

შედეგი ის იყო, რომ განაწამები სომეხი მოსახლეობა დიდი რაოდენობით აიყარა და საქართველოს სხვა კუთხეებს ან კიდევ უფრო შორეულ ქვეყნებს შეაფარა თავი.

მაგრამ ქვეყნის ეკონომიური დაცემის ერთი მთავარი მიზეზი იყო ფეოდალებსა და მწარმოებელ საზოგადოებას შორის სოციალური ურთიერთობის გამწვავება, რომელსაც ძლიერ შეუწყო ხელი მონღოლთა გაბატონებამ. გლეხმა ვერ გაუძლო „საკუთარი" და „უცხო" მოძალადის, ე. ი. ქართველი ფეოდალისა და მონღოლი ბასკაკის, საერთო შემოტევას და თავი დაანება ფასდაკარგულ მეურნეობას, აიყარა და ხიზნობა-ბოგანოობა იწყო. გლეხები წვრილ აზნაურებს გაურბოდნენ. დიდ აზნაურებს მიუდიოდნენ, ხასებს, ეკლესია-მონასტრებს ეკედლებოდნენ.

გლეხებმა მხარი დაუჭირეს ბრძოლაში თავიანთ მოძმე გლეხებს, ხიზნები და ბოგანოები შეიფარეს და შეიკედლეს.

ქვეყანა აირია. „შინაურ" ბატონს ბეგარა და სამსახური შემოაკლდა, მონღოლ ბატონს — ხარკი.

ბატონები გულმოდგინედ ეძებდნენ გაქცეულ გლეხებს და ხელისუფლებას ამ საქმეში დახმარება-მხარის დაჭერას სთხოვდნენ. ხელისუფლება ენერგიულად ეხმაურებოდა ფეოდალების გასაჭირს. 1303 წელს ყაზან ყაენმა გამოსცა ბრძანება. რომლის ძალითაც გლეხებს ეკრძალებოდათ ფუძის თვითნებურად დატოვება, ხოლო ფეოდალებს ეკრძალათ აყრილი და გაქცეული გლეხების შეკედლება. იმავე ბრძანების თანახმად, ფეოდალს უფლება მიეცა 30 წლის განმავლობაში ეძებნა გაქცეული გლეხი და, როდესაც მიაგნებდა, თავის ფუძეზე დაებრუნებინა იგი.

გლეხის ფუძეზე მიმაგრების წესი საქართველოში დიდი ხნის ამბავი იყო და ყაზან ყაენის ბრძანებას იქ ის მნიშვნელობა-ღა თუ ექნებოდა, რომ მასზე დაყრდნობით ქართველი ფეოდალები კიდევ მეტი ენერგიით ეცდებოდნენ მიემაგრებინათ ფუძეზე მდაბიორ-მოლაშქრეთა ის ნაწილიც, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პირად თავისუფლებას. მაგრამ ყოველი ზომა უძლური აღმოჩნდა და დაცემის გზაზე დამდგარი საზოგადოება კრიზისს თავს ვერ აღწევდა.

იმავე ხანებში გამწვავდა მთისა და ბარის ურთიერთობა. მთიელები ცდილობდნენ კისრიდან გადაეგდოთ ბარის უღელი, უკუეგდოთ ძალით თავს მოხვეული ბარული საზოგადოებრივი ურთიერთობა და აღედგინათ თავიანთი პირველყოფილი თავისუფლება. მთიელი თემები ხოცავდნენ მეფის ერისთავებს, გამგებლებს, აძევებდნენ ქრისტიანული ეკლესიის მსახურთ და სხვა მოხელეებს, იწყებდნენ ბარის რბევას.

ფეოდალური ხელისუფლება იარაღით ცდილობდა აჯანყებული მთის დამორჩილებას, კანონმდებლობით ლამობდა მთაში შერყეული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოგვარებას, ჯვარით და სახარებით ცდილობდა მთიელების შემომტკიცებას.

საქართველოს ეკონომიური დაცემის გამო დაეცა და მოიშალა მისი პოლიტიკური ერთიანობის საფუძვლები. მრავალი ქალაქი გაქრა, მრავალი დაკნინდა, ხელსნობა დაეცა; ამის შესაბამისად შესუსტდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეთა დამაკავშირებელი სამეურნეო ურთიერთობა, აღებ-მიცემა.

სათავადოების წარმოშობა

მთავრები, დიდებული აზნაურები საშვილიშვილოდ დაეუფლენ მეფეთა მიერ მათთვის ნაწყალობევ სახელოებს. ყმა-მამულს („დიდებას"). მთავრებს და ერისთავებს, როგორც პატრონს, დაემორჩილნენ საქთავროს თუ საერისთავოს აზნაურები, მდაბიორ-მოლაშქრენი...

მეფის თვითმპყრობელობის დასუსტებისა და მონღოლთა მხრივ აქტიური მხარდაჭერის ვითარებაში ერისთავთ-ერისთავები გამთავრდნენ და პოლიტიკური უფლებები („ხელმწიფობა") მიიჩემეს. იმათ გვერდით და იმავე სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის საფუძველზე ყალიბდებოდა უფრო მცირე, თვითკმარი ორგანიზაცია — დიდებული აზნაურის სახლი, რომელიც თანდათან ერთადერთი დასაყრდენი ხდებოდა გამრავლებული მთავრებისა თუ დამცირებული მეფეებისა. იშვებოდა ე. წ. **სათავადოები.**

XIV საუკუნეში დიდებული აზნაური, ეს თავადის უშუალო სოციალური წინაპარი, უკვე გამოჰყოფოდა აზნაურთა საერთო ფენას და ცალკე წოდებას წარმოადგენდა. ეხლა **სათავადოს** საბოლოო ჩამოყალიბებას ისღა აკლდა, რომ ხელმწიფეს (მეფეს, მთავარს) ამ დიდებულ აზნაურისათვის მიენდო „შეწერით" ლაშქრის გამოყვანა თავისი სახლის ტერიტორიიდან, ე. ი. გაეუქმებინა ძველი ურთიერთობისათვის შესაფერისი, ხოლო ახალ პირობებში გაზედმეტებული ერისთაობა და მისი სამხედრო ფუნქცია დიდებული აზნაურისათვის გადაეცა. და ეს მართლაც ასე მოხდა XIV—XV საუკუნეებში.

გიორგი V-ის ურთიერთობა ილხანებთან

XIV საუკუნის დამდეგს, როგორც ვიცით, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო უკვე კარგა ხნის გაუქმებული იყო. ლიხთიქით ცალკე სამეფო არსებობდა. საქართველოს სახელმწიფოში ფაქტიურად აღარც სამცხის სამთავრო შემოდიოდა, ხოლო დანარჩენ ქვეყანას დემეტრე მეორის შვილები დაპატრონებოდნენ და მონღოლთა ყაენის ნებით ზოგი ერთ კუთხეს ფლობდა, ზოგი — მეორეს.

1314 წლიდან საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში გიორგი დემეტრეს ძე მეფობდა. იმ დროს მისი უფროსი ძმები **დავითი** და **ვახტანგი** უკვე გარდაცვალებული იყვნენ და ქვეყნის უდიდესი ნაწილი გიორგის ემორჩილებოდა. ქვეყნის შემოკრებაში მეფეს ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მას განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა დაემყარებინა მონღოლთა ყაენის კართან.

1316 წელს, როცა ოლჯაით ყაენი გარდაიცვალა და ყაენად მცირეწლოვანი **აბუსაიდი** დასვეს, გიორგი მეფე ურდოში წავიდა. ყაენის კარზე იმ დროს პირველი ვაზირი იყო **ჩოფან ნოიონი,** გიორგი მეფის ახლო მეგობარი. ჩოფანი დიდად აფასებდა საქართველოს მეფის მეგობრობას და მას თავის ერთგულ კაცად სთვლიდა. გიორგი მეფე მართლაც ერთგულობდა ჩოფანს. რჩევა-თათბირით თუ მონღოლთა ჯართან ერთად მხნე ლაშქრობით მან კარის დიდი ნდობა დაიმსახურა. ამიტომ იყო, რომ ურდოში მისულ გიორგი მეფეს ჩოფანმა

„მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი შვილნი ბექასნი“. ეს რომ დღევანდელი ენით გამოვთქვათ, იქნება: ჩოფანმა უფლება მისცა გიორგი მეფეს, რომ შემოეკრიბა ყოველი საქართველო, დაემორჩილებინა მთავრები (მათ შორის—სამცხისა) და მეფეები, კერძოდ, თავისი ძმის დავით მეფის შვილები, ე. ი. მონღოლთა ყაენის კარი მხარს აღარ უჭერდა საქართველოში მრავალ მთავრობას, როგორც ეს მანამდე იყო.

რა თქმა უნდა, მონღოლთა კარის ამ ნდობას გიორგი მეფე, უპირველეს ყოვლისა, იმ მიზნით გამოიყენებდა, რომ ქვეყანაში ბასკაკების თარეში შეენელებინა და მონღოლთა საოკუპაციო ჯარის სიმრავლე შეემცირებინა.

რაკი მონღოლთა კარის მხარდაჭერა გაინაღდა და სათანადო დასტურიც მიიღო, გიორგი მეფემ საქართველოს შემომტკიცება დაიწყო. მან თანდათან დაიმორჩილა მთავრები და ერისთავები, ხოლო ურჩებს დაუნდობლად გაავლო მუსრი. ასე მაგალითად, კახეთში, მთა **ციოზე**, საზაფხულო სასახლეში გიორგი მეფემ სადარბაზოდ მოიწვია სომხითისა და ჰერეთის ერისთავები, რომელთაც ის განდგომა-ღალატს აბრალებდა. ეს დარბაზობა იმით დასრულდა, რომ მეფემ მოღალატე ერისთავები გააწყვეტინა.

ბრძოლა მთის მოწოლის წინააღმდეგ

გიორგის გამეფებისას განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს შუაგული — ქართლი. მრავალწლიანმა აჯანყებამ დავით მეფის დროს, მონღოლთა დამსჯელი ჯარების თარეშმა, შიმშილობამ და ჰირმა თითქმის მთელი ეს ქვეყანა ნაოხარად აქცია. გლეხები აყრილი იყვნენ, ქალაქები დაცლილი იყო. ლიახვის ხეობიდან, დვალეთის გზით, მოწოლილი ოსები, როგორც აღვნიშნეთ, ქართლს იპერდნენ და ფეოდალურ მიწისმფლობელობას ემუქრებოდნენ; ლიახვის, ქსნისა და არაგვის ხეობათა მცხოვრებნი ურთიერთს ანადგურებდნენ, მეფის სუსტ ხელისუფლებას ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფისთვის საკმაო ძალა არ გააჩნდა.

ამავე დროს მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო შექმნილი მთაში, ქსნის, არაგვისა და თერგის ხეობებში. მთიელ თემებში კარგა ხანი იყო, სოციალურ უთანასწორობას გზა გაეკვლია; ირღვეოდა თემის ერთობა, რასაც ძლიერ უწყობდა ხელს საქართველოს მეფის ფეოდალური ხელისუფლება.

ეხლა, მეფის ხელისუფლების შესუსტებისას, როგორც აღვნიშნეთ, მთა ლამობდა ბარის მეურვეობისაგან განთავისუფლებას. მთიელთა თემები პირშეთქმით ხოცავდნენ მეფის ადგილობრივ მოხელეებს, ერისთავებს, გამგებლებს.

ფეოდალური ქართლი დიდი განსაცდელის წინაშე იყო დამდგარი.

გიორგი მეფემ მრავალწლოვანი ბრძოლით აღადგინა ქართლში ფეოდალური წესრიგი, ქართლის ბარი მთიელთაგან გაწმინდა, აზნაურებს მამულები დაუბრუნა, ხოლო ქსან-არაგვი მტკიცედ დაიმორჩილა.

თბილისიდან ჟინვალს გავლით გიორგი მეფემ მთიულეთი ავლო, ჯვართა ყელზე გადაიარა და ხევში დარიალამდის ჩავიდა; იქიდან მეფე უკუიქცა, ლომისაზე გადმოიარა, ქსნის ხეობა ჩამოვლო და მუხრანით თბილისს მოვიდა. მეფემ ხსენებულ ხეობათა მკვიდრთ ძალა უჩვენა და ქედფიცხელი მთიელები მორჩილების გუნებაზე მოიყვანა.

მეფემ მთიდან თან ჩამოიყვანა მთიანეთის მოხელეები — ერისთავ-ხევისთავები და მთიელთა თემების თავკაცები — ხევისბერნი და ჰეროვანნი, მოიწვია დარბაზი, რომელმაც ამ თავკაცების მონაწილეობით შეიმუშავა კანონები („ძეგლის დება"). ამ კანონთა უმთავრესი მიზანი იყო მთაში საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს შერყეული გავლენის აღდგენა და ამ გავლენის შემდგომი უზრუნველყოფა.

მონღოლთა ბატონობის გადაშენება და საქართველოს ძლიერების აღდგენა

1327 წლიდან მონღოლთა ურდოში ისევ შფოთი ატყდა. აბუსაიდ ყაენმა თავის აღმზრდელსა და პირველ ვაზირს ჩოფანს ორგულობა დასწამა. ჩოფანი, მისი შვილები და თანამოაზრეები გაწყვიტეს. მაგრამ არეულობას ისე ღრმად გავდგა ფესვები, რომ ყაენმა ძველი ძალა ვეღარ მოიცა.

ამასობაში გიორგი მეფე კიდევ უფრო გაძლიერდა და კიდევ უფრო გათავისუფლდა მონღოლთა ბატონობისაგან. მან საქართველოში მდგომი მონღოლთა ჯარი ქვეყნის დიდი ნაწილიდან გარეკა. ხოლო ყაენს ხარკის ძლევა შეუწყვიტა.

1335 წელს აბუსაიდ ყაენი გარდაიცვალა და მას შემდეგ ილხანთა ერთიანი სახელმწიფო ფეხზე აღარც წამომდგარა. ის ფეოდალურ ერთეულებად ან მომთაბარე თურქმანულ-მონღოლურ ტომთა რამდენსამე გაერთიანებად დაიშალა. მათ შორის ატყდა ბოლომოუღებელი ომები, რაც არა ნაკლებ ანადგურებდა მშვიდობიანი შრომის ნაყოფს, ვიდრე მონღოლთა ყაენის ბასკაკები.

ქართული ფეოდალური სახელმწიფო მტკიცედ დაადგა პოლიტიკური რესტავრაციის გზას. დასავლეთ საქართველოსა თუ სამცხის სამთავროში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებოდა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის მომხრე ძალები. ისინი განსაკუთრებით უნდა გამრავლებულიყვნენ მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ საქართველომ ქედიდან გადაიგდო. მონღოლთა ბატონობის მძიმე უღელი.

ასეთ პირობებში გიორგი მეფემ 1329 წელს, როდესაც დასავლეთ საქართველოში მეფე მიქელ დავითის ძე გარდაიცვალა, ლიხთიმერეთში გაილაშქრა, ადვილად აიღო ქუთაისი, ქვეყანა დაიმორჩილა და უფლისწული ბაგრატ მიქელის ძე თან წამოიყვანა. ამრიგად, გიორგი მეფე „ორისავე ტახტის გამაერთიანებელი" ხელმწიფე გახდა.

ამის შემდეგ მეფეს მალე დაემორჩილა სამცხის სამთავროც (1334 წ.).

საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება ბუნებრივად სვამდა საკითხს მისი სახელმწიფო წყობილების შესახებ.

ძველი სახელმწიფო წყობილება მოშლილი იყო. ზოგიერთი სამოხელეო თანამდებობა გამქრალი იყო, ზოგიერთის მნიშვნელობა — შეცვლილი, დამცირებული ან გაზრდილი. თვით მეფის უფლებაც ეხლა სხვანაირად გამოიყურებოდა.

საჭიროდ უცვნიათ აღედგინათ ძველი, თამარის დროინდელი, სახელმწიფო წყობილება.

ქვეყნის პოლიტიკურმა გაერთიანებამ, მონღოლთა უზარმაზარი ხარკის თავიდან მოცილებამ, ულუსობა-ბასკაკობის გადაქარებამ, ქვეყანაში მშვიდობიანობისა და წესრიგის დამყარებამ ნაყოფი გამოიღო. ქვეყანა ეკონომიურად

გამოცოცხლდა. ვაჭრობა-აღება-მიცემისათვის ხელის შეწყობის მიზნით გიორგი მეფემ სრულფასიანი ვერცხლის მონეტა („გიორგაული") მოაჭრევინა. განსაკუთრებით გაცხოველდა ვაჭრობა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან. საქართველომ შორს გაითქვა სახელი. ამასთან იყო კავშირში ის გარემოება, რომ რომის პაპმა აღმოსავლეთის აგენტურა (მისიონი) ქალაქ სმირნიდან თბილისში გადმოიტანა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის გაცხოველებასთან ერთად, საქართველო ცდილობდა ახლო აღმოსავლეთშიაც აღედგინა თავისი ძველი პრესტიჟი. გიორგი მეფემ მეჯობრული ურთიერთობა დაამყარა ეგვიპტის სულტანთან, რომლის ხელშიც იმყოფებოდა მაშინ პალესტინა, ქრისტიანების სალოცავი ადგილი. იქაური ქართველთა მონასტერი მაჰმადიანებს მიზგითად (მუსლიმანთა სამლოცველო სახლად) ექციათ. ეგვიპტის სულტანმა დიდი პატივი დასდო გიორგი მეფეს და ჯვარის მონასტერში ქართველთა უფლება აღადგინა, ხოლო იერუსალიმში მიმავალ ქართველ მლოცველებს ნება დართო წმინდა ქალაქში მხედრულად გაშლილი დროშებით შესულიყვნენ ხოლმე.

ასეთივე ცხოველი დიპლომატური ურთიერთობა ჰქონდა გიორგი მეფეს სხვა მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან — ბიზანტიასთან, რომის პაპთან. რაც შეეხება ტრაპიზონის სამეფოს, იქ საქართველოს სამეფო კარი ტრადიციულ პოლიტიკას განაგრძობდა: ტრაპიზონის მეფის კარზე გიორგი მეფე ენერგიულად უჭერდა მხარს იმ დასს, რომელიც ბიზანტიის საკეისროს წინააღმდეგ და საქართველოს სასარგებლოდ მოქმედებდა.

———

თ ა ვ ი XIV

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლა

§ 1. თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში

საქართველო XIV ს. 50—80-იან წლებში

XIV საუკუნის 30-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა უმჯობესდება. ილხანების სახელმწიფო XIV ს. 50-იანი წლებიდან თანდათან წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად იშლება და ფაქტიურად სწყვეტს არსებობას, როგორც ერთიანი სახელმწიფო. ვეღარც ილხანთა მემკვიდრეები — ჩობანიანები და ჯალაირიანები, და ვეღარც საქართველოს სხვა ახლო თუ შორეული მეზობლები — ოსმალო-თურქები, ოქროს ურდო, ბიზანტია და სხვანი, შინაგანი ურთიერთბრძოლით გართულნი, ვეღარ უქმნიან საქართველოს დაპყრობის უშუალო საფრთხეს.

ქვეყანას საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით ერთგვარი შესვენების ხანა უდგება. საქართველო მშვიდობიან ეკონომიურ ურთიერთობას ამყარებს ოქროს ურდოსთან, ირანისა და მცირე აზიის ქვეყნებთან და განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან.

ამრიგად შექმნილმა ხელსაყრელმა საშინაო და საგარეო მდგომარეობამ რამდენადმე ხელი შეუწყო ფეოდალური ამიერკავკასიის ისევ თავმოყრას. გიორგი ბრწყინვალის მემკვიდრეების დროს, განსაკუთრებით **ბაგრატ V-ის** მეფობაში (1360—1393 წწ.), გონია, მაკრიალი, აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი საქართველოს საზღვრებში იყო მოქცეული; მთელი მესხეთი კვლავ საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა; ქალაქი ანისი და მისი ოლქიც საქართველოს სახელმწიფოს სამფლობელოს შეადგენდა, ჩრდილოეთითაც დვალეთი და ოსეთი ჯერ კიდევ საქართველოს ემორჩილებოდა. მაგრამ ეს ერთიანობა არ იყო დამყარებული მტკიცე ეკონომიურ საფუძველზე. ამას გარდა, ასწლოვანი ბრძოლის მანძილზე კიდევ უფრო განმტკიცდნენ და გაიზარდნენ გაერთიანების მოწინააღმდეგე ძალები. საქართველო, უკვე დაშლის გზაზე შემდგარი, ვეღარ იბრუნებდა თავის ძველ ერთიანობას, მით უფრო, რომ საქართველოსათვის თავისუფალი განვითარების ხანა ახლა კიდევ უფრო მოკლე აღმოჩნდა.

XIV საუკუნის უკანასკნელ ოცეულში საქართველოს, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთსა და ევროპა-აზიას, მოევლინა ახალი მძვინვარე მტერი თემურ-ლენგი და მისი თათარ-თურქმანთა ახალი ურდოები.

თემური და მისი სახელმწიფო

XIV ს. შუა ხანებში შუა აზიაში დაწინაურდა ერთი მონღოლი-თურქი ფეოდალი — თემური. მის ირგვლივ თავი მოიყარა რამდენიმე ასი კაცისაგან შემდგარმა რაზმმა. იგი ამ რაზმთან ერთად სამარყანდის მფლობელს სამსახურში დაუდგა და მასთან ერთად სხვადასხვა ლაშქრობაში მონაწილეობდა. კოჭლობის გამო თემურს მეტსახელად „ლენგი" შეერქვა („ლენგ" ანუ „ლანგ" სპარსულად კოჭლს ნიშნავს).

XIV საუკუნის მეორე ნახევარში შუა აზიაში ჩინგიზ-ხანის შთამომავალნი მეტად დასუსტებული და თითქმის მთლად გადაშენებულიც იყვნენ. თემურ-ლენგმა ისარგებლა ამ გარემოებით და, თავისი სამხედრო ნიჭის წყალობით, 1360-70 წლებში დიდი სამფლობელო შექმნა.

თავის საჯდომ ქალაქად მან სამარყანდი აქცია და იქიდან შეუნელებელ სამხედრო მოქმედებას აწარმოებდა ახალ-ახალი ქვეყნების დასაპყრობად. შუა აზიიდან თემურ-ლენგი მალე ირანშიაც გადმოვიდა და ხელთ იგდო ილხანების უკვე დარღვეული სამფლობელოს დიდი ნაწილი.

თემურ-ლენგის ასეთი სწრაფი გაძლიერება ოქროს ურდოს მბრძანებელმა, თოხთამიშ-ხანმა, თავისთვის სახიფათოდ ჩასთვალა და გადასწყვიტა საშიში მოწინააღმდეგისათვის დაესწრო.

1385 წლის ზამთარში თოხთამიშის ჯარი ადარბადაგანს შეესია და თავრიზი აიღო.

თემურ-ლენგი ამ ამბავმა საშინლად განარისხა. 1386 წელს მან თავრიზი აიღო, მაგრამ ვიდრე ჩრდილოეთის ულუსზე გაემართებოდა, ჯერ საქართველოსაკენ იბრუნა პირი.

თემურის ლაშქრობანი საქართველოში

ჩვეულებისამებრ, თემურ-ლენგი საქართველოს წინააღმდეგ მოულოდნელად დაიძრა. მან ჯერ სომხეთის ციხე-სიმაგრეები გაანადგურა, მათ შორის გარნისი და კარი (ყარსი) აიღო, და შემდეგ ჯავახეთში შემოიჭრა. იქიდან თემური საქართველოს დედა-ქალაქისაკენ გამოემართა.

თემურმა ყოველი ღონე იხმარა თბილისის ასაღებად: ალყა შემოარტყა და გზები შეუკრა ქალაქს. შემდეგ საგანგებო სამარი მანქანები და იარაღი გაამართვინა. 1386 წ. თათრებმა, რომლებსაც თვითონ თემური ხელმძღვანელობდა, თბილისზე მოიტანეს იერიში. თათრები ქართველ მეომართა ისრებისაგან თავს დიდი ჩელტებით იფარავდნენ. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ თემურმა თბილისი აიღო.

თბილისის აღებას მოჰყვა თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიის დალაშქვრა და აოხრება თემურის ჯარების მიერ.

1393 წელს ლანგ-თემური მეორედ შემოესია საქართველოს, თითქოს ურჩების დასასჯელად. თემურის ლაშქარი სამცხის თემს მოედო და დაიწყო იქ თარეში. თემურის ჯარს ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ: გზის გაკაფვა მას მხოლოდ ბრძოლით შეეძლო.

სამცხის, მტკვრის სათავისა და კარის (ყარსის) თემების მორბევის შემდეგ

თემური თბილისში გადმოვიდა, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაკენ გაემართა.

1394 წელს თემური მესამედ შემოესია საქართველოს. თემურს ეჭვი ჰქონდა, საქართველოს მთავრობა ოქროს ურდოსთან არის დაკავშირებული და თოხთამიშს დარიალის გზას უხსნისო. ამიტომ თემურმა მაშინვე არაგვის ხეობისაკენ გაილაშქრა.

მართალია, თემურის ჯარმა არაგვის ხეობაში ციხეები დაიპყრო, მაგრამ მისი მთავარი მიზანი, — დარიალის კარის ხელში ჩაგდება, მაინც განუხორციელებელი დარჩა. თემურმა ახლა მთელი თავისი ძალ-ღონე ოქროს ურდოს წინააღმდეგ მიმართა, ხოლო 1398 წელს ინდოეთს გაილაშქრა.

იმ დროს, როცა მონღოლთა მბრძანებელი ინდოეთში ლაშქრობდა, თემურის დაპყრობილმა და ყმადნაფიცმა ქვეყნებმა თავიანთი დამოუკიდებლობის აღდგენა სცადეს.

საქართველო თავდასხმაზედაც კი გადავიდა: ქართველმა ჯარმა ადარბადაგანი დალაშქრა, თემურის რაზმები დაამარცხა და ზოგი იქაური მნიშვნელოვანი ციხე ხელთ იგდო.

თემურ-ლენგი რომ ინდოეთიდან დაბრუნდა და ეს ამბავი გაიგო, საშინლად განრისხდა. მან გადასწყვიტა სამაგალითოდ დაესაჯა საქართველო ასეთი კადნიერებისათვის.

ამჯერად თემური საქართველოს შემოესია აღმოსავლეთიდან, კახეთისა და ჰერეთის თემებში. ამ თემების მმართველი მაშინ ხიმშია იყო. თემურმა ბრძანება გასცა, რომ საქართველოს ამ, ტყით დაბურულ კუთხეში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად წინასწარ ტყე გაეკაფათ. საქართველოს ჯარი მტერს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. თემურ-ლენგის სპარსელი ისტორიკოსი ამბობს, ამ ბრძოლაში იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ თოვლით დაფარული ველები ლალისა და ბროწეულის ყვავილის ფერად იყო შეღებილი. ბოლოს მაინც თემურის ურდომ სძლია და ქართველებმა უკან დაიხიეს. მტრის ლაშქარი მოედო მიტოვებულ ქვეყანას და ძარცვა-გლეჯას შეუდგა.

მტარვალის ანგარიში არ გამართლდა: ომის დამთავრება სწრაფად ვერ მოხერხდა, ქართველი ხალხის წინააღმდეგობა არ გატყდა, თემურის ლაშქარს ზარალი დიდი მოსდიოდა. ამიტომ თემური იძულებული გახდა საქართველოდან უკან დაეხია და ყარაბაღში დაბრუნებულიყო.

1400 წელს თემური საქართველოში მეხუთედ შემოიჭრა. ამჯერად ქართველებმა ბარიდან დაიხიეს და მთიანეთში დაიწყეს გამაგრება, რადგან ვიწრო ხეობებში მრავალრიცხოვანი მტრისათვის გზის შეკვრა მცირე ლაშქრის საშუალებითაც შესაძლებელი იყო.

თემურ-ლენგი სასტიკი ბრძოლით შევიდა არაგვის ხეობაში და გამოქვაბულებში შეხიზნული ხალხის მოსპობა სცადა. მან დიდრონი გოდრები დააწვნევინა, შიგ თავისი მოლაშქრეები ჩასხა და გამოქვაბულებს გასწვრივ საბლებით ჩამოუშვა, რათა შეხიზნული ქართველი მოლაშქრეებისათვის გოდრებიდან აეტეხათ სროლა. სადაც წინააღმდეგობის დაძლევა ვერც ამით მოხერხდა, თემურმა ბრძანება გასცა, ისრის პირებზე ნაძენძი დაეხვიათ, ნავთში ამოევლოთ,

ცეცხლი მოეკიდებინათ და გამოქვაბულებში მყოფ ქართველ მებრძოლთათვის ისე ესროლათ.

ამრიგად, არაგვის ხეობაში დიდძალი ხალხი დაიღუპა, მაგრამ თემურმა თავის მიზანს საბოლოოდ მაინც ვერ მიაღწია: ხეობა მთლიანად ვერ დაიმორჩილა.

ამიტომ ლანგ-თემური იქიდან გადმოვიდა ქართლში და ააოხრა ქვეყანა, მაგრამ გულის წადილს ვერც აქ ეწია.

1401 წელს თემურ-ლენგმა სამხედრო მოქმედება ისევ განაახლა. თ ო რ თ უ მ ი ს ციხეში ორასი ქართველი გამაგრებულიყო. ისინი არც ხარკს იხდიდნენ და მაჰმადიანებსაც მოსვენებას არ აძლევდნენ. თემურმა თორთუმის ციხეს დიდი ძალი ჯარი გაუსია. მეციხოვნეებმა დამორჩილებაზე უარი განაცხადეს, ციხე დიდი ბრძოლის შემდეგ აიღეს თათრებმა და ორასივე ქართველი მეომარი შიგ ამოხოცეს.

ვერც ამ შემთხვევაში მოხერხდა ქართველებთან დაზავება. ამის გამო თემურ-ლენგმა 1403 წელს თავისი ლაშქარი კვლავ შემოუსია საქართველოს. მან ჯერ ისევ ქართლი დალაშქრა და ააოხრა, ხელთ იგდო აქაური ციხე-სიმაგრეები და შიგ ჩააყენა თავისი მეციხოვნე ჯარი, რომელსაც უბრძანა, ქართველი ქრისტიანი მოსახლეობა დაეხოცა ან გაედევნა და აღარც ერთი ქართველისათვის აღარ მიეცა აქ დასახლების უფლება.

შემდეგ თემური დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მისი ჯარი დაბურულ ტყეში იკაფავდა გზას და ბრძოლით მიიწევდა წინ. თემურ-ლენგის ლაშქარმა ქუთაისამდე მოახერხა მისვლა. გააფთრებული ომი წარმოებდა, მაგრამ დასუსტებულ ქვეყანას უკვე აღარ შეეძლო ისე ხანგრძლივ ებრძოლნა, როგორც მანამდე. მტერმა იმერეთშიაც, სადაც კი ხელი მიუწვდა, ყველაფერი ააოხრა და დაანგრია. დასავლეთ საქართველოში განადგურებული სოფლების რიცხვი, უცხოელი მწერლების ცნობით, 700-ს აღემატებოდა, იმას გარდა, რომ მრავალი ქვიტკირის ნაგებობა, ეკლესია-მონასტერი, ციხე-დარბაზი და სხვა გასწორდა მიწასთან.

თემურის რვაგზის შემოსევის შედეგები

ჩვიდმეტი წლის მანძილზე (1386—1403 წწ.) თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ ამიერკავკასია მძიმედ დაზარალა. თემურთან ომის შედეგად საქართველოს საბოლოოდ ჩამოსცილდა მისი სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები (მოძმე სომხეთი), სადაც ადგილობრივ მიწისმფლობელთა კლასი უმთავრესად მონღოლ-თათარ-თურქმან მომთაბარეთა არისტოკრატიამ შესცვალა.

1386 და 1392 წლებში მრისხანე თემურმა ორგზის ილაშქრა შაქში, რომლის მმართველი სეიდ ალი შაქისელი, საქართველოს მეფესთან ერთად, თემურის მოწინააღმდეგე იყო. მტერმა შაქის ქვეყანა, იმ დროს ჯერ კიდევ ქრისტიანული, სასტიკად ააოხრა. მან იქიდანვე გაუსია ძლიერი ჩარბიელი ჯარი კავკასიის მთიანეთის მოსახლეობას.

სეიდ ალი შაქისელი არ გატყდა და მას შემდეგაც დიდხანს ებრძოდა, საქართველოს მეფესთან ერთად, თემურის ჯარს, ვიდრე ამ ომში არ დაიღუპა კიდეც.

ასე ჩამოსცილდა საქართველოს შაქის ქვეყანა. ასეთ საფრთხეს ვერ ასცდა

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ისეთი შინაგანი კუთხეც კი, როგორიც იყო ლორე, სადაც ქართველი აზნაურობა იძულებული იყო მიწისმფლობელობა თურქმანებისათვის დაეთმო და მამაპაპეულს გასცლოდა.

თემურის სახელმწიფო თან გადაჰყვა მის შემქმნელს, მაგრამ ამ მძვინვარე დამპყრობლის მიერ საქართველოსათვის მოყენებული ზიანი აუნაზღაურებელი იყო. ქვეყანა სისხლისაგან დაიცალა; მტერმა, სადაც კი მისწვდა, ველური ენერგიით გაანადგურა ქართული კულტურის ყოველივე ნივთიერი შენამოქმედი: სამხედრო, სამოქალაქო, საკულტო, სასოფლო-სამეურნეო.

მაინც ყველაზე მძიმე საქართველოსათვის (ისევე როგორც მთელი კავკასიისათვის) თემურის ხშირი ლაშქრობის პოლიტიკური შედეგი იყო. სამასწლოვანი ბრძოლა „ველურ“ მომთაბარეთა წინააღმდეგ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს დამარცხებით დამთავრდა. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური წამოწყება მოიშალა. საქართველომ ვერ განახორციელა დიდი ამოცანა კავკასიის გაერთიანებისა. მოძმე-მეზობელი ქრისტიანული ქვეყნები, (სომხეთი, ალბანეთი) მან საბოლოოდ დაჰკარგა და მოზღვავებულ მომთაბარეთა აგრესიის პირისპირ მარტო აღმოჩნდა. მიწისმფლობელობისათვის მებრძოლმა მომთაბარეებმა მაჰმადიანობა თავის ალამად აღიარეს და ქრისტიან მიწისმფლობელთა წინააღმდეგ ბრძოლა „საღმრთო საქმედ“ გამოაცხადეს. თემურ-ლენგი ამ პოლიტიკის თანმიმდევრული გამტარებელი იყო. ადგილობრივი ფეოდალური მაღალი კულტურის მოშლისა და მის ადგილას აღმოსავლურ-ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობის დამყარებისათვის იბრძოდნენ ყველა ეს მომთაბარეები: მონღოლები, თათარ-თურქმანები. თემურ-ლენგმა ეს ბრძოლა არსებითად დაასრულა.

§ 2. საქართველო XV ს. პირველ ნახევარში

ალექსანდრე პირველის მეფობა

საქართველოში თურქმან ტომთა შემოსევა თემურის გარდაცვალებისთანავე არ შეწყვეტილა და მხოლოდ 1415 წლიდან დამყარდა შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა მეზობელ აღმოსავლეთთან. ასეთი საგარეო ვითარების დროს, 1412 წ., საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ალექსანდრე I. ალექსანდრეს ისევ სრულიად საქართველო ემორჩილებოდა, მაგრამ მაინც მისი სამფლობელო იმასთან შედარებითაც, რაც ბაგრატ V-ის დროს იყო, უკვე ჩამომცრობილ სახელმწიფოს წარმოადგენდა: აღმოსავლეთით ხაჩენი საქართველოს საზღვრებს გარეთ იყო დარჩენილი; საქართველოს სამხრეთი სანაპიროც ძალზე შემცირებული იყო: ანისი უკვე საქართველოს აღარ ეკუთვნოდა და საქართველოს დაცვის თვალსაზრისით ისეთი აუცილებელი სიმაგრეც კი, როგორიც ლორეა, მტერს ჰქონდა ხელში ჩაგდებული.

მხოლოდ 1431 წელს შემოუერთა ალექსანდრე მეფემ ლორეს ველი კვლავ საქართველოს. ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სახელმწიფოებრივი და სამხედრო, ისე სამეურნეო თვალსაზრისით, რადგან ლორეს ველი საქართველოს მესაქონლეობისათვის აუცილებელ საძოვრებს შეიცავდა.

ლორეს შემდეგ შემოერთებულ იქნა სივნიეთიც (ახლანდელი ყარაბაღის ნაწილი) და მისი მეზობელი თემები.

სივნიეთისა და მახლობელი თემების შემოერთებამ საქართველოს შეთხელებულ მოსახლეობას 60 ათასზე მეტი კომლი ახალი ქვეშევრდომი შესძინა.

საქართველოს მოსახლეობას ზრდიდნენ აგრეთვე სომეხი ლტოლვილები, რომელნიც მრავლად მოისწრაფოდნენ მაჰმადიანური სამფლობელოებიდან საქართველოში, რათა აქ შედარებით მყუდრო ცხოვრებისა და შრომის საშუალება მოეპოვებინათ.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილ იქნა გარეშე მტრისაგან, დიდი მუშაობა გაიშალა დანგრეულ-გაპარტახებული ქალაქების, ეკლესია-მონასტრების, ციხე-დარბაზებისა და სხვა ნაგებობათა აღსადგენად.

ალექსანდრემ ამ მუშაობას სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მისცა. მან დააწესა საგანგებო დროებითი გადასახადი: თითოეულ კომლს ყოველწლიურად 40 თეთრი[1] უნდა გამოეღო.

ალექსანდრე მეფემ აღნიშნული საგანგებო გადასახადი 1425 წელს შემოიღო, ხოლო 1440 წ. უკვე გასცა განკარგულება, რომ ეს საამშენებლო გადასახადი ამოეკვეთათ: მეფეს შინაგანი პოლიტიკური ვითარება აღარ ანებებდა, რომ კიდევ უფრო გაეხანგრძლივებინა საგანგებო გადასახადის მოქმედება.

რა დიდი თანხაც არ უნდა ყოფილიყო შეგროვებული 15 წლის განმავლობაში, ყველაფერს ვერ აღადგენდნენ: ამისათვის მაშინდელ საქართველოს არც საკმაო ნივთიერი სახსარი გააჩნდა და არც ფიზიკური ძალ-ღონე.

ალექსანდრე იმასაც ცდილობდა, რომ უკაცრიელად დარჩენილ ადგილებში მოსახლეობა გაემრავლებინა, მაგრამ ამ გეგმის ფართოდ განხორციელება შეუძლებელი იყო. თემურ-ლენგის შემოსევათა დროს განადგურებული ბევრი სოფელი დიდხანს ნასოფლარად დარჩა და დროთა განმავლობაში ტყითაც დაიბურა.

ალექსანდრე I-მა სხვა გზითაც სცადა ქვეყნის აღდგენა, შეკრება-შემომტკიცება. მან ყურადღება მიაქცია ეკლესიის სამეურნეო-ორგანიზაციული ცხოვრების მოწესრიგებას. იგი ფიქრობდა გაძლიერებული ეკლესიის გამოყენებას ქვეყნის ერთიანობის განმტკიცებისა საქმეში. ამავე მიზნით მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ერისთავებს, მაგრამ ამგვარი ღონისძიება მაინც საკმარისი ვერ აღმოჩნდა: საქართველოს ღღვევის ნიშნები თანდათან უფრო აშკარად იჩენდა თავს.

სამეფო ხელისუფლების დასუსტება და ფეოდალების გაძლიერება

ალექსანდრეს მეფობაში უკვე მეტად შესამჩნევი ხდება მეფის ძალაუფლების შესუსტება და დიდგვაროვანი აზნაურობის გაძლიერება. ეს ბუნებრივიც იყო იმ ხანგრძლივი ომიანობის, ნგრევის, გაჭირვებისა და აშლილობის პირობებში, რომელიც საქართველოს გამოიარა.

მეფის თვითმპყრობელობის შესუსტება იმაშიც გამოიხატა, რომ სამეფო ოჯახის წევრები — მეფის ცოლი (დედოფალი), შვილები და ძმები — სულ უფრო და უფრო მეტად ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში.

---

[1] „თეთრი" ვერცხლის ფულია, უდრის დაახლოებით ძველ დრამას.

გაძლიერდა ქიშპი და ბრძოლა ცალკე ფეოდალურ ჯგუფებს შორის. იმატა ფეოდალებისათვის ჩვეულმა შინაურმა კინკლაობამ და უთანხმოებამ.

შფოთი თავს იჩენდა ხოლმე უკვე სამეფო ოჯახის შიგნითაც. ამიტომ უნდა ეიფიქროთ, რომ თავის სახლში გაჩენილი უთანხმოების მიზეზით დაანება ალექსანდრე პირველმა თავი მეფობას 1442 წელს და ბერად შედგა.

საქართველოს სამეფოს რღვევის პირველი ნიშნები

1446 წელს გიორგი VIII გამეფდა. გიორგი მეფემ მთელი თავისი მეფობა ხელისუფლებისა და ბატონობის გამო ამტყდარ ბრძოლას შეალია. ამ ხანაში კვლავ წამოყვეს თავი მთავრებმაც, სხვებზე ადრე — სამცხის მთავარმა.

სამცხეში, ჯაყელების საგვარეულოში, ამ დროს შინაური ბრძოლა იყო: ყვარყვარე ათაბაგობას ეცილებოდა თავის ძმისწულს, აღბუღას.

გიორგი მეფემ მხარი აღბუღას დაუჭირა და ყვარყვარე სამუდამოდ გადაიტერა. თუმცა შემდეგ, 1451 წელს, როცა აღბუღა ათაბაგი გარდაიცვალა, გიორგი მეფემ ათაბაგობა ყვარყვარეს უწყალობა, მაგრამ ყვარყვარეს მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა და მეფის წინააღმდეგ მოქმედებას განაგრძობდა.

ყვარყვარემ ეკლესიურადაც სცადა თავისი სამთავროს ჩამოშორება საქართველოსაგან. ყვარყვარეს გეგმით სამცხის ეკლესიის მეთაური უნდა ყოფილიყო მაწყვერელი (ესე იგი აწყურის ეპისკოპოსი), რომელიც მცხეთის კათალიკოსს არ უნდა დამორჩილებოდა.

მართალია, მცხეთის კათალიკოსმა ბოლოს და ბოლოს სძლია და საეკლესიო მთლიანობა აღდგენილ იქნა, მაგრამ ეს ფაქტი მაინც მოწმობდა რღვევას, რომელსაც საქართველოს სამეფო ამ დროს უკვე განიცდიდა.

ამავე რღვევის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ ამ დროს, გარდა სამცხისა, რომელსაც განკერძოებისადმი მიდრეკილება ჯერ კიდევ XIII საუკუნეში გაუჩნდა, სხვა კუთხეებიც სამთავროების სახით იყო მოწყობილი: აფხაზეთი და სამეგრელო შეადგენდნენ ერთ სამთავროს, რომლის სათავეში ბედიანი იდგა; გურიაც ცალკე სამთავროდ იყო გამოყოფილი. მართალია, ეს მთავრები ჯერ კიდევ მეფის მორჩილად აცხადებდნენ თავის თავს, მაგრამ ძველი ერისთავებისაგან ისინი უკვე თვალსაჩინოდ განსხვავდებოდნენ თავიანთი ძალაუფლების გაძლიერების შედეგად.

ახალი საერთაშორისო ვითარება

საქართველოს ასეთი შინაური მდგომარეობა მეტად სახიფათო იყო იმ ახალი საერთაშორისო ვითარების გამო, რომელიც ამ დროისათვის შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით გაუჩნდა ახალი საშიში მეზობელი, ოსმალეთი. ოსმალო-თურქების წინაპრები შუა აზიიდან მცირე აზიაში XIII საუკუნეში მოვიდნენ, ოსმალეთის სახელმწიფოს არსებობა კი XIV საუკუნიდან დაიწყო. ამ სახელმწიფოს დამაარსებლად ითვლება ოსმანი, რის გამოც თვით სახელმწიფოს ოსმალეთი დაერქვა.

ოსმალეთის სახელმწიფო უცხო ქვეყნების დაპყრობასა და მეზობლებთან

გამუდმებულ ომებში ჩამოყალიბდა; მისი არსებობის მთავარი წყარო ხარკი და ნადავლი იყო.

დაპყრობითი პოლიტიკა ოსმალეთმა პირველად თავისი დასავლეთი მეზობლის, ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართა. ამ დროს ბიზანტია ოდესღაც ძლიერი სამეფოს აჩრდილი-ღა იყო და ოსმალებმა ადვილად წაართვეს მას მოზრდილი მიწა-წყალი. თემურ-ლენგმა მცირე ხნით შეაჩერა ოსმალეთის ზრდა და მძიმე ზიანიც მიაყენა მას, მაგრამ XV საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალები კვლავ იმდენად ვაძლიერდნენ, რომ კვლავ შეტევაზე გადავიდნენ თავიანთი მეზობლების წინააღმდეგ. ოსმალო-თურქების სულტანმა მუჰამედმა 1453 წელს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი აიღო და უძველესი ბიზანტიის იმპერია დედამიწის ზურგიდან აღგავა.

ამიერიდან საქართველოს დასავლეთის გზა დაეხშო და დასავლეთთან უშუალოდ კავშირის ყოველგვარი საშუალება მოესპო. თუ წინათ მას ამ მხრივ მეზობლად პოლიტიკურად დასუსტებული, მაგრამ ძველი კულტურული ტრადიციების მქონე ბიზანტიის საკეისრო ჰყავდა, ახლა უკვე გაუმეზობლდა უაღრესად აგრესიული, ძლიერი, საუცხოოდ შეიარაღებული და თან უკულტურო ოსმალეთის სახელმწიფო.

ამავე დროს კვლავ იკრებდა ძალ-ღონეს მეორე ძლიერი და საშიში მტერი სამხრეთ-აღმოსავლეთით, ირანი.

კონსტანტინეპოლის დაპყრობის მნიშვნელობა საქართველოსათვის

ოსმალო-თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ ყოველმხრივ გააუარესა საქართველოს მდგომარეობა, რომელიც ისედაც მძიმე იყო. მეტად ცუდი გავლენა მოახდინა ამ ახალმა გარემოებამ საქართველოს ეკონომიურ ვითარებაზე. დაქვეითდა შინაგანი აღებ-მიცემა და საქალაქო ცხოვრება, დიდად შემცირდა ქალაქების რიცხვი, დაკნინდა დარჩენილი ქალაქები. ეს შედეგი იყო არა მარტო ქვეყნის შინაგანი სისუსტისა, არამედ იმისიც, რომ თურქებმა მოსწყვიტეს საქართველო მთელ კულტურულ მსოფლიოს.

საგარეო ვაჭრობაც ძალზე შესუსტდა. აოხრებულ ქვეყანას თავისთვისაც-კი აღარ ჰქონდა ყველაფერი სამყოფი და უცხოეთში გასატანს, მით უმეტეს, რაღას დაამზადებდა!

ამასთანავე, საკუთარი ფულის მოჭრა საქართველოში მაინც მთელი XV საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა. მაგრამ ლითონის ფული უმთავრესად ბარად და ქალაქებსა თუ სხვა, შარაგზათა მახლობელ ადგილებში ყოფილა გავრცელებული; სხვა მოშორებულ კუთხეებში კი ვაჭრობა სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლის წესით უწარმოებიათ. ესეც არ იყოს, XV საუკუნეში მოჭრილი ვერცხლის ფული მეტად მდარე ღირსებისა და მცირე ზომისაც არის, რაც მაშინდელი საქართველოს გაღარიბების შედეგია.

ოსმალო-თურქების წინააღმდეგ კოალიციის ფორმირების ცდა

თურქეთის მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობამ შეაშფოთა ქართული ფეოდალური საზოგადოება. სრულ გარემოცვაში მოყოლილი ქვეყანა ცდილობდა დასავლეთ ევროპის ხალხებთან საკუთარ ძალთა გაერთიანებით გაერღვია ეს მტრული რკალი, მით უფრო, რომ ოსმალო-თურქე-

ბის მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ შელახა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტერესებიც. იტალიის ვაჭრები განსაკუთრებით იყვნენ დაზარალებული თურქების აღმოსავლეთში. კერძოდ შავ ზღვაზე, გაბატონებისაგან.

ამიტომ ოსმალ-თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის ორგანიზატორის, რომის პაპის ელჩებს, რომელნიც 1459 წელს საქართველოს ესტუმრეს, ქართველები ნდობით შეხვდნენ. პაპის დესპანმა საქართველოს მეფეს გადაუშალა ოსმალთა ხელიდან კონსტანტინეპოლის გამოგლეჯის გეგმა.

მართალია, ამ დროს საქართველოში მეფე-მთავრებს შორის შინაური უთანხმოება იყო, მაგრამ თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვანი საქმე იყო, რომ მთავრებმა განზე გადასდეს თავ-თავისი კერძო ინტერესები, იმავე წელს დაეზავენ გიორგი მეფეს და საომარ გეგმაზე მსჯელობა დაიწყეს.

თუ დასავლეთის პოლიტიკოსებს უპირველესად ყოვლისა თურქთა ხელიდან კონსტანტინეპოლის გამოგლეჯა აინტერესებდათ, ქართველებს უნდოდათ შემთხვევით ესარგებლათ და მცირე აზიაში თურქთა პოლიტიკური ძალა მოესპოთ, რათა მათი საშიშროება სამუდამოდ აეცილებინათ თავიდან.

ოსმალეთის აღგვისა და ბიზანტიის აღდგენის ასეთ ფართო გეგმას, რომელსაც ქართველები იცავდნენ, უფრო დიდი სამხედრო ძალაც სჭირდებოდა. 70 ათასი ჯარისკაცი, რომლის გამოყვანაც საქართველოს შეეძლო, საკმარისი არ იყო. ამიტომ საქართველოს პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს ტრაპიზონის კეისრისა და მცირე სომხეთის მმართველებისათვისაც მიემართათ. ქართველებს შესაძლებლად მიაჩნდათ ოსმალთა წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთის თვით ამ მაჰმადიან მმართველთა ძალაც-კი გამოეყენებინათ, რადგან მათ ოსმალებთან მტრობა ჰქონდათ.

შეთანხმების მიღწევის შემდეგ მოკავშირეებმა თავის მხრივ გაგზავნეს ელჩები ევროპაში.

საქართველოს მეფის დესპანის ნიკოლოზ ტფილელის გარდა, ამ ელჩობაში მონაწილეობდნენ ყვარყვარე ათაბაგის, ტრაპიზონის კეისრის, მცირე სომხეთის მთავრისა და უზუნ-ჰასანის წარმომადგენლები. პაპის დესპანის წინამძღოლობით ეს ელჩები უკვე 1460 წელს რომში ჩავიდნენ.

საქართველოდან ჩასული დესპანები რომში დიდი ზეიმითა და პატივისცემით მიიღეს, მაგრამ იქ მათ სასიხარულო ვერა გაიგეს-რა: ევროპის მეფე-მთავრები ერთმანეთში ვერ შეთანხმებულიყვნენ, განზრახული ომის მოწყობა შეუძლებელი შექმნილიყო და საქმე უნდა მთლიანად ჩაშლილიყო. რომის პაპმა მაინც ურჩია მათ, დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოთა მესვეურებისათვის პირადად ეთხოვათ ომში მონაწილეობა.

1460 წელს საქართველოს დესპანები ჯერ საფრანგეთის მეფეს კარლოს მეშვიდეს წარუდგნენ და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა სთხოვეს, შემდეგ მის შვილს, ლუდოვიკოს, მაგრამ არც იქ გამოუვიდათ რამე. ცხადი იყო, რომ დასავლეთ ევროპა ასეთი მიზნებისათვის აღარ გამოდგებოდა: ანტიოსმალური კოალიციის მონაწილე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს უკვე ოსმალეთთან მორიგებაზე დაეჭირათ გეზი.

§ 3. საქართველოს დაშლა სამეფოებად და სამთავროებად

საქართველოს საგარეო მდგომარეობა დაშლის წინ

XV ს. მეორე ნახევრისათვის ახლო აღმოსავლეთისა და, კერძოდ, კავკასიის პოლიტიკური რუკა სულ ერთიანად შეცვლილი იყო მონღოლთა მოსვლის წინა დროის ვითარებასთან შედარებით. მთელ ახლო აღმოსავლეთში ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობა გაბატონებულიყო; სპარსეთსა და აზერბაიჯანს თურქმანები ფლობდნენ; მცირე აზიასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულს ოსმალო-თურქები დაპატრონებოდნენ; მათ ბიზანტია გაექროთ, შავი ზღვის გასაღები—კონსტანტინეპოლი აეღოთ და დასავლეთ ევროპას ბარბარიზაციით დამუქრებოდნენ.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დიდ ნაწილში, ისევე როგორც სომხეთში, თურქმანები დაეპატრონენ ადგილობრივ მკვიდრთა მიწა-წყალს. მწარმოებელი მოსახლეობა აუტანელ პირობებში აღმოჩნდა. ის, ბრძოლაში დამარცხებული, დიდი რაოდენობით აიყარა და შორეულსა თუ ახლობელ ქვეყნებში გადასახლდა, სხვებს კი ახალმა მებატონეებმა ბარბაროსული ფეოდალიზმის მძიმე უღელი დაადეს ქედზე.

ორასწლოვანი ბრძოლის შედეგად საქართველო მოძმეებშემოცლილი, ტერიტორიულად შემცირებული და მტრული ბარბაროსული ფეოდალიზმის ქვეყნებით გარემოცული აღმოჩნდა. მართალია, საქართველო გადაურჩა მტერთა მიერ უშუალო დაპყრობას, მან შეინარჩუნა თავისი პროგრესული სოციალურ-ეკონომიური წყობა, მაგრამ, სამაგიეროდ, ქვეყნის შიგნით იჩინა თავი სოციალურ-ეკონომიური განვითარების მძიმე შედეგებმა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა დაშლის წინ

გარეშე მტერთა მიერ ქვეყნის ხშირმა დალაშქვრამ, ქვეყნის აოხრებამა და დიდძალი ხალხის დაღუპვამ საქართველო ისე დაასუსტა, რომ მან საუკუნეთა განმავლობაში ვეღარ შეძლო გამოკეთება. გაპარტახებული მეურნეობის, გაკაფული ბაღ-ვენახების აღსადგენად მშვიდობიან პირობებშიც დიდი დრო და დიდი ძალა, აუარებელი მუშახელი იყო საჭირო; შემოსევებმა კი აურაცხელი ხალხი იმსხვერპლა და საკმაო მუშახელი აღარ იყო.

სოფლის მეურნეობისა და, საერთოდ, ქვეყნის ეკონომიური განადგურების მომასწავებელია ის სიტყვები, რომლებიც ასე გახშირდა ქართველი ხალხის მეტყველებაში XV საუკუნის შემდეგ: ნაფუზარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, პარტახტი და სხვა. ეს იმ ადგილთა სახელწოდებაა, სადაც უწინ ხალხი ცხოვრობდა და მშვიდობიან შრომას ეწეოდა, ახლა კი მოსახლეობაც გამქრალიყო და მისი მეურნეობაც.

სოფლის მეურნეობა საგარეო და საშინაო ომების შედეგად არა მარტო რიცხობრივ შემცირდა, არამედ კულტურული დონის მხრივაც დაქვეითდა. ხალხს უკვე უძნელდებოდა რთული და განვითარებული სამეურნეო დარგების გაძღოლა.

მოიშალა და დაქვეითდა საქალაქო ცხოვრებაც. არც ისე დიდი ხნის წინ სახელგანთქმული თბილისის მნიშვნელოვანი ნაწილი XV ს. 70-იანი წლებისათვის დანგრეული და დაცარიელებული იყო. იმავე დროისათვის მცირე ქალაქებად იქცნენ ქუთაისი, გორი, ახალციხე, ახალქალაქი, ატენი და სხვ. განსაკუთრებით დაზარალდნენ შავი ზღვის სანაპირო ქალაქები: ბათუმი, ფოთი და სოხუმი, რომლებიც იმხანად უკვე ციხე-სიმაგრეებს, ან უბრალო დაბებს-ღა წარმოადგენდნენ. საქართველოს ერთ დროს მნიშვნელოვანი ქალაქები — ოძრხე, სამშვილდე, თმოგვი, დმანისი, ჟინვანი — XV საუკუნიდან საბოლოოდ გაქრნენ, როგორც ქვეყნის ეკონომიური, სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები. მოსახლეობის ამოწყვეტა, უზომო ხარკი, ქვეყნის დოვლათისაგან დაცლა, ვაჭრობა-ხელოსნობის შემცირება, ქალაქების დაცემა, საბატონო ბეგარის დაჭიმება იწვევდა მწარმოებელი კლასის მძაფრ შემცირებას, მფლობელი და მწარმოებელი კლასების რიცხობრივი შეფარდების მძაფრ დარღვევას.

სამეფო ხელისუფლების ღონისძიება ექსპლუატატორული და ექსპლუატირებული მოსახლეობის რიცხობრივი შეფარდების აღსადგენად — ტყვედ წაყვანილთა გამოსყიდვა, მეზობელი ქვეყნებიდან მწარმოებელთა გადმოსახლება, საკუთარ შინამოსამსახურეთა (სახლეულთა) მიწაზე დასახლება და გლეხებად ქცევა და სხვა — საკმარისი არ აღმოჩნდა. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, იწვევდა გლეხთა ექსპლუატაციის შემდგომ ზრდას. შემცირებული მოსახლეობის ნაშრომი სამეფო-საეკლესიო და საბატონო გადასახადებს და სათათრო ხარკს ვეღარ აუდიოდა.

თავადები, აზნაურები, მომრავლებული მეფე-მთავრები და მათი კარისკაცები თავიანთი ძალზე შემცირებული სახსრების გადიდებას და მწარმოებელი მოსახლეობის შემცირებით გამოწვეული დანაკლისის შევსებას ახერხებდნენ გლეხობაზე დაკისრებული გადასახადების გაზრდით, ყმების გაძლიერებული ყვლეფით.

მართლაც, განვლილი პერიოდის მანძილზე ქართველი ყმა-გლეხობის მდგომარეობა ძლიერ გაუარესდა; მისი ფეოდალური ტვირთი დიდად გაიზარდა და დამძიმდა. იმ გამოსაღების მატება, რომელიც მიწისმუშა გლეხს მემამულე ფეოდალის სასარგებლოდ ედო კისრად, ხდებოდა როგორც ახალი გადასახადების შემოღებით, ისე ძველი გადასახადების მომატებით. იმისათვის, რომ ძველი გადასახადების მომატება უფრო შეუმჩნევლად შეეპარებინათ ყმებისათვის, ქართველმა ფეოდალებმა საზომ-საწყაოები გაადიდეს. მარცვლეულისა და ღვინის მოსავლის ნატურალური გადასახადები კაბიწითა (კოდი) და კოკით განისაზღვრებოდა. ამიტომ, თუნდაც რომ გადასახადის ნორმები ძველებურად, უცვლელი დარჩენილიყო, საზომ-საწყაოს გადიდების შედეგად პურიცა და ღვინოც მემამულეებს, ცხადია, ფაქტიურად წინანდელზე მეტი შეუვიდოდათ.

ამნაირად, გაჩნდა ახალი საზომები. თავდაპირველ საზომებს პირველი ან ცოტა (ე. ი. პატარა) საწყაო (საზომი) ეწოდებოდა, ახალ საზომ-საწყაოებს კი — დიდი ლიტრა, კოკა და კაბიწი (კოდი).

XVI საუკუნის დამდეგს ლიტრა, ამ საზომის თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, უკვე ექვსჯერ იყო გადიდებული. ლიტრაზე-ც, დამყარებული იყო დანარჩენი საზომ-საწყაოები (კაბიწი-კოდი, კოკა და სხვა). მაშასა-

დამე, მშრომელ ხალხს ამ დროს წინანდელთან შედარებით ექვსჯერ მეტი გადასახადი უნდა ეძლია. მარტო ეს გარემოებაც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად მძიმე ყოფილა ის ტვირთი, რომელიც მაშინ ყმებს, მიწის დამმუშავებელ მოსახლეობას, ჰქონია საზიდი და რა საშინელ მდგომარეობაში ყოფილან ისინი ჩაცვენილნი.

ცხადია, გლეხობა ნებაყოფლობით ვერ შეურიგდებოდა ასეთ ჩაგვრასა და ყველაფას ფეოდალების მხრივ. გაჩაღდა ბრძოლა მემამულე ფეოდალებსა და მიწისმუშა ყმა-გლეხობას შორის. ეს ბრძოლა ხანგრძლივი და სასტიკი იყო.

მწარმოებელი მოსახლეობის შემცირება თანდათან ანადგურებს, აქრობს მოლაშქრეთა ფენასაც. მოლაშქრე, რომლის ძირითად საქმიანობას ერთ დროს მხოლოდ ლაშქრობა შეადგენდა, თანდათან იბევრება; მას უკვე ლაშქრობაც აწვევს კისრად და საგლეხო გამოსაღებიც. ბოლოს კი იგი გლეხად იქცევა. მძიმედ დაბეგრილ მოლაშქრეებს უკვე აღარ შესწევთ უნარი თავიანთი იარაღ-საჭურვლითა და ხარჯით მიიღონ მონაწილეობა ლაშქრობაში. ამიტომ სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი — მხედარ-მოლაშქრეები და მონაპირენი — იფანტება, იშლება. ამის შესაბამისად იცვლება ლაშქრის ორგანიზაციის ძველი სისტემა. ჩნდება თავადსა და დიდ აზნაურზე შ ე წ ე რ ი ლ ი ლაშქარი. ამრიგად, ჯარი უკვე თავადების ხელთაა. სამეფო ხელისუფლებაც იძულებულია დაემყაროს სათავადო ლაშქარს. ყოველივე ეს კი უფრო ასუსტებს სამეფო ხელისუფლებას, აძლიერებს ქვეყნის ერთიანობის მოწინააღმდეგე ძალებს და კიდევ უფრო ამცირებს ქვეყნის თავდაცვით უნარიანობას.

ამრიგად, სოციალურად ზრდადასრულებული ქართული ფეოდალური საზოგადოება ჩიხში ექცევა, მას განვითარებისათვის საჭირო პირობები მეტისმეტად ეზღუდება.

ყოველივე ამის ნიადაგზე წარმოიშობა სათავადოები, ხოლო სათავადოების ნიადაგზე ერთიანი ფეოდალური ქვეყანა პოლიტიკურად იშლება, ჩნდება სამეფო-სამთავროები. ამრიგად, ქვეყნის პარტიკულარისტული ტენდენციები სძლევს ცენტრალისტურ ტენდენციებს. და ეს იმიტომ, რომ ძლიერ მცირდება და ქვეითდება ამ უკანასკნელის მასაზრდოებელი ძალები. ეს არის პროგრესის შეფერხება, ფეოდალური რეაქციის გამარჯვება. ამ რეაქციის ნაშობია ყველა სათავადო-სამთავრო-სამეფო.

შინაური ზავის ჩაშლა და ბრძოლა მეფე-მთავრებს შორის საქართველოში

როგორც-კი საბოლოოდ გამოირკვა, რომ ოსმალოთურქების წინააღმდეგ ერთობლივ ომი შეუძლებელია, მაშინვე ისიც ცხადი გახდა, რომ დღემოკლე იყო საქართველოს მეფე-მთავრებს შორის 1459 წელს დადებული საზავო ხელშეკრულება.

ყვარყვარე ათაბაგი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც საქართველოში შინაური ბრძოლის ცეცხლი კვლავ დაანთო. სამცხის მთავარმა ხელახლა აუტეხა ომი გიორგი VIII-ს და საქართველოს მეფის წინააღმდეგ ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანიც კი გამოიყენა. უზუნ-ჰასანი 1462 წელს სამცხეში მოვიდა, ათაბაგს საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში მიეშველა და კიდევაც გაამარჯვებინა.

ათაბაგის გამარჯვებამ საქართველოს შინაური მდგომარეობა წინანდელზე უფრო გაართულა. ეხლა გიორგი მეფეს ახალი ურჩი ერისთავებიც გამოუჩნდნენ. მათ შორის ყველაზე აქტიური გამოდგა ბაგრატი, რომელიც, როგორც ჩანს, დავით ნარინის შთამომავალი და ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს (ესე იგი ქუთაისის ოლქის) ერისთავი იყო.

მეფესა და აჯანყებულ ბაგრატს შორის ქალაქ ჩ ი ხ ო რ თ ა ნ (იმერეთში, ჩხარის აღმოსავლეთით) 1463 წელს მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიც გიორგი მეფე დამარცხდა. მაგრამ ბაგრატმა ქუთაისის დაპყრობა მაინც ვერ შეძლო და ვერც აღმოსავლეთ საქართველოში მოიკიდა ფეხი. ამრიგად, ბრძოლის საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო, მაგრამ საკითხი გადასწყვიტა ყვარყვარე ათაბაგის კვლავ განდგომამ. ეს იყო 1465 წელს. ეს ბრძოლა მეფესა და ათაბაგს შორის სამცხეში მოხდა. ყვარყვარემ მეფეს სძლია და ტყვედაც-კი წაიყვანა იგი.

კახეთის საგეფოს წარმოქმნა

შექმნილი მდგომარეობით ყველაზე უკეთესად ბაგრატმა ისარგებლა. 1466 წელს ის ქართლში გადმოვიდა და თავისი თავი მეფედ გამოაცხადა.

ეხლა კი მიხვდა ყვარყვარე ათაბაგი, რომ ჭკუა წააგო: სუსტი გიორგი VIII-ის მაგიერ მეფობა ხელში ჩაუგდო ძლიერსა და უფლებისმოყვარე ბაგრატ VI-ს. ეს სრულიადაც არ იყო ხელსაყრელი ათაბაგისათვის და მას გიორგი მეფე ტყვეობიდან გამოუშვა.

განთავისუფლებულმა გიორგი მეფემ ქართლში თავისი ხელისუფლების დასაბრუნებლად ბრძოლა დაიწყო, მაგრამ დიდგვარიან აზნაურთა წრეში ბაგრატს უკვე ბლომად ჰყავდა მომხრენი და გიორგიმ ბრძოლა წააგო. გიორგიც შექმნილ ვითარებას შეურიგდა და კახეთში გადავიდა. ასე ჩაეყარა საფუძველი ცალკე კახეთის სამეფო შტოსა და თვით კახეთის სამეფოს.

ბაგრატ მეფის საფლობელის საზღვრები

ბაგრატ VI-ის საკუთარ სამფლობელოს საზღვრავდა: დასავლეთით — ცხენისწყალი, სამხრეთით — სამცხე-საათაბაგო, აღმოსავლეთით — კახეთის სამეფო, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — ლორეს მთელი მთიანეთი, რომელიც უზუნ-ჰასანს, ირანის მფლობელს, ჰქონდა დაპყრობილი. ლორეს ციხეში უზუნს თავისი თურქი მეციხოვნენი ჰყავდა.

ბაგრატის საბრძანებელში ორი მნიშვნელოვანი ქალაქი; ქუთაისი და თბილისი იყო. თბილისი, ისევე როგორც წინათ, დედაქალაქად ითვლებოდა და ბაგრატიც იქ იმყოფებოდა.

ბაგრატის სამფლობელოს გარეშე იყო კახეთი და სამცხე, მაგრამ თვით მისი საკუთარი სამეფოს შიგნითაც ერთი დიდი სამთავრო უკვე განკერძოების გზაზე იყო შემდგარი. ამ სამთავროს დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ეჭირა და მას მაშინ ს ა ბ ე დ ი ა ნ ო ეწოდებოდა.

საბედიანო. საბედიანოში შედიოდა აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და სამი იმ დროისათვის მნიშვნელოვანი ზღვისპირა ქალაქი: ცხუმი ანუ სევასტოპოლისი (ეხლანდელი სოხუმი), ფოთი და ქაჯთა ციხე (ძველი პეტრა, ეხლანდელი ციხისძირი). საბედიანოსვე ეკუთვნოდა ბათომი.

საბედიანოს მთავარი ბაგრატს ემორჩილებოდა, როგორც უზენაეს ხელმწიფეს.

სამცხე-საათაბაგო. დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა ამ დროისათვის ჯაყელების სამფლობელო, რომელიც სამცხე-საათაბაგოდ იწოდებოდა. ჯაყელი თავის თავს „საქართველოს ათაბაგსა და სამცხის სპასალარს“ უწოდებდა, ჩვეულებრივ კი მას სამცხის ათაბაგს ეძახდნენ. ათაბაგთა საჯდომი ადგილი ქალაქი ახალციხე იყო, სამთავროს კი ვრცელი საზღვრები ჰქონდა. ბორჯომის ხეობიდან მოყოლებული ვიდრე ჭოროხის ხეობამდე და არზრუმის მხარემდე.

ათაბაგებს მეზობელთა შორის ძლიერ მბრძანებელთა სახელი ჰქონდათ გავარდნილი.

იმერეთის სამეფოს წარმოქმნა. 1478 წელს გარდაიცვალა ბაგრატ VI. ტახტის დაჰერა მისმა შვილმა ალექსანდრემ სცადა, მაგრამ მეფობა ვერ შეინარჩუნა და რაჭა-ლეჩხუმში გამაგრდა. ბაგრატის მაგიერ კი 1479 წელს გამეფდა კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელიც დიმიტრის (ალექსანდრე პირველის ძის) შვილი იყო.

კახეთში ამ დროს, 1476 წლიდან. გიორგი მერვეს ძე ალექსანდრე მეფობდა. კონსტანტინე და ალექსანდრე კახთა მეფე ერთმანეთს დაეზავნენ და თავიანთ სამფლობელოთა საზღვრებზე საბოლოოდ შეთანხმდნენ.

ეხლა კვლავ ატყდა ბრძოლა კონსტანტინესა და სამცხის ათაბაგს ყვარყვარეს შორის. 1483 წელს არადეთთან ყვარყვარე ათაბაგმა მეფეს სძლია. კონსტანტინე მეფის დამარცხებით უმალვე ისარგებლა რაჭა-ლეჩხუმში გამაგრებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა, ბაგრატის ძემ, და იმერეთი ჩაიგდო ხელში. ამნაირად საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობას უკანასკნელი საყრდენი გამოეცალა.

კონსტანტინე მეფე ალექსანდრეს ქუთაისიდან განსადევნად დასავლეთ საქართველოში გადავიდა. სამეგრელოს მთავარი, დადიანი, კონსტანტინე მეფეს მიემხრო და ალექსანდრე იძულებული იყო ქუთაისიდან გასცლოდა მათ. მაგრამ მტრის ახალმა შემოსევამ აღმოსავლეთ საქართველოში კონსტანტინეს იმერეთი მიატოვებინა, ასე რომ ალექსანდრე ბაგრატის ძემ 1489 წელს ქუთაისი კვლავ ხელთ იგდო.

საგარეო დახმარებაზე დამყარებული იმედების დაღუპვამ კონსტანტინე მეფე აიძულა საქართველოში არსებულ განხეთქილებას შერიგებოდა. ეს განხეთქილება მატულობდა.

ამრიგად, XVI ს. დამდეგისათვის საქართველო საბოლოოდ დაირღვა; გაჩნდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები და სამცხის საათაბაგო.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება რუსეთთან

შინაური აშლილობა და გარეშე მტრების მძლავრობა აიძულებდა ქართველ პოლიტიკოსებს ისევ უცხოელი მოკავშირეები ეძებნათ. მეფე კონსტანტინე ფიქრობდა, რომ ისეთ ძლევამოსილ სახელმწიფოს, როგორიც იყო ესპანეთი. შეეძლო მისთვის დახმარების გაწევა. ამიტომ XV ს. 90-იან წლებში იზაბელა დედოფლის მიერ საქართველოში მოვლენილ დესპანებს მან თავისი ელჩი გააყოლა და თან რომის პაპისა და ესპანეთის მბრძანებლისადმი წერილები გაატანა.

მეფე კონსტანტინე ესპანეთის დედოფალს სთხოვდა დაუყოვნებლივ მოეწყო ლაშქრობა კონსტანტინეპოლის თურქებისაგან გასათავისუფლებლად და თვითონაც პირობას სდებდა, რომ თავისი ჯარით თურქების წინააღმდეგ გამოვიდოდა.

ესპანეთის დედოფალს ასეთი შორეული და ძნელი ლაშქრობის არც ძალა შესწევდა და არც ხალისი, ამიტომ ქართველი პოლიტიკოსების ეს გეგმაც განუხორციელებელი დარჩა. ამრიგად, ოსმალური გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა გეზი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე უიმედო საქმე ჩანდა: დასავლეთ ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის საქართველოს მნიშვნელობა განუზომლად უფრო მცირე იყო, ვიდრე ოსმალეთისა.

ასეთ ვითარებაში საქართველოს ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა არ დააყოვნა, რათა გეზი **რუსეთზე** დაეჭირა და სწორად შეეფასებინა მისი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ საქმეებში.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ძველი საწყისები ჰქონდა. XI—XII საუკუნეებში კიევის რუსეთი და საქართველო კარგად იცნობდნენ ურთიერთს და ცხოვლად თანამშრომლობდნენ ეკონომიურს, პოლიტიკურსა თუ კულტურულ ასპარეზზე. მართალია, დონზე და იმიერკავკასიაში მომთაბარე ურდოები (პაჭანიკები, ყივჩაყები) ხშირად უშლიდნენ ხელს ამ ორი კულტურული ხალხის ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ურთიერთობა ხელშეუშლელად ხორციელდებოდა შავი ზღვის გზით.

XIII საუკუნის 30-იან წლებში რუსეთი და საქართველო მონღოლთა ურდოებმა ააოხრეს, დაიპყრეს და დახარკეს. მას შემდეგ, ვიდრე XV ს. მიწურულამდე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ან სავსებით შეწყვეტილი იყო, ან ძლივს თუ ბოგინობდა.

ორასი წლის მანძილზე ფეოდალურ რუსეთში დიდი ცვლილება მოხდა. თათართა წინააღმდეგ მებრძოლმა ქვეყანამ მოსკოვის გარშემო მოიყარა თავი, სოციალურად და ეკონომიურად თანდათან დაწინაურდა, პოლიტიკურად გაძლიერდა და მომთაბარე დამპყრობელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ომი წამოიწყო. 1480 წელს რუსეთმა საბოლოოდ გაიმარჯვა და თათართა მორჩილების უღელი სამუდამოდ გადაიგდო კისრიდან. ეს იყო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში: „ველურ“ მომთაბარეთა ბატონობის დასასრული იწყებოდა.

ცნობა რუსეთის გაძლიერებისა და თათართა დამარცხების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობისა და დიდი იმედების აღმძვრელი იყო კავკასია-

საქართველოში. ამიერიდან პროგრესისათვის მებრძოლი კავკასიელი ხალხები გამარჯვების საბოლოო იმედს რუსეთთან კავშირზე ამყარებდნენ.

გაძლიერებულ რუსეთთან ურთიერთობა ყველაზე უფრო ადრე კახეთის სამეფომ დაამყარა. კახეთის სამეფო ახლო იყო იმ გზებთან, რომლებითაც იმ დროს უკავშირდებოდა საქართველო ჩრდილოეთს.

1491 წელს კახთა მეფემ, ალექსანდრე გიორგის ძემ ელჩები გაუგზავნა მოსკოვის დიდ მთავარს, ივანე III-ს. ელჩებს ალექსანდრემ წერილი გაატანა და უფრო მეტი კი ზეპირად დააბარა. ეს იყო პირველი ნაბიჯი რუსეთთან დიპ-ლომატიური ურთიერთობის დამყარებაში, რაც მომდევნო საუკუნეებში ძლიერ გაღრმავდა.

თ ა ვ ი XV

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XVI-XVII სს.

§ 1. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები კახეთში

საქართველოს მდიდარი, უხვი ბუნება სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის გავრცელებას უწყობდა ხელს და ამიტომ, საწარმოო ძალთა განვითარების სათანადო საფეხურზე, X—XIII სს. საქართველოში სოფლის მეურნეობამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

XIV—XVI სს. კი სოფლის მეურნეობა არათუ განვითარებულა, არამედ თანდათან დაქვეითდა. მიუხედავად ამისა, XVI ს. საქართველოში ზოგი სამეფო ჯერ კიდევ შედარებით დაწინაურებული ჩანდა. ამ მხრივ ყველაზე უფრო კახეთი გამოირჩეოდა.

კახეთის ბარის მეურნეობაში წამყვანი როლი ხორბლეულის მოყვანასა და მევენახეობა-მეღვინეობას ეკუთვნოდა.

კახური ღვინო განთქმული იყო როგორც მთელს საქართველოში, ისე მის გარეთ. იგი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში.

კახეთში ფართოდ მისდევდნენ მეაბრეშუმეობასაც. კახელები ცდილობდნენ თავიანთი აბრეშუმით მეტოქეობა გაეწიათ შირვანის, შაქისა და გილანის მაღალხარისხოვანი აბრეშუმისათვის. აბრეშუმიც კახეთის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი საგანი იყო.

კახეთის ზოგიერთ კუთხეში ბამბა და ბრინჯიც მოჰყავდათ.

ბლომად გაჰქონდათ აქედან ენდროც, რომლისაგანაც მაღალი ღირსების საღებავი მზადდებოდა.

კახეთი მდიდარი იყო ბაღ-ბოსტნებითაც. აქ მოდიოდა ყოველგვარი ხილი, ციტრუსეულთა გარდა. კახეთის ზოგი კუთხე ამ მხრივ იმდენად მდიდარი იყო, რომ იქაური ტყეებიც კი ხეხილით სავსე ყოფილა. აღსანიშნავია, რომ კახეთიდან მეზობელ ქვეყნებში ყოველწლიურად ათასობით საპალნე კაკალი გაჰქონდათ.

საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სიმრავლე ხელს უწყობდა მესაქონლეობის განვითარებას. კახური, განსაკუთრებული ჯიშის ბედაურები, „გურჯის“ ანუ „ქართულის“ სახელწოდებით, მთელ იმდროინდელ აღმოსავლეთში

იყვნენ სახელგანთქმულნი. მესაქონლეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მეცხვარეობასაც, რომელიც განსაკუთრებით თუშეთში იყო განვითარებული. „თუშური ცხვარი" სხვა კუთხის ცხვრებისაგან გამოირჩეოდა ნაზი, გემრიელი ხორცით და ძლიერ ცხიმიანი რძით, რომლისაგანაც საუკეთესო თუშური ყველი კეთდებოდა. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებაში კი ფშავ-ხევსურეთი იყო დაწინაურებული.

ასე რომ, XVI საუკუნეში კახეთი განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო, მაგრამ XVII ს. დამდეგს შაჰ-აბასის არაერთგზის შემოსევამ იგი მიწასთან გაასწორა: კახეთის მიწა-წყალი აოხრდა, მრავალი ადგილი ტყემ დაფარა და აქა-იქ-ღა დარჩა სოფლები.

მაგრამ, როგორც კი ქვეყანა სულს მოითქვამდა, მოსახლეობის მწარმოებელი ფენა კვლავ მიჰყოფდა ხოლმე ხელს გავერანებული მეურნეობის აღდგენას. XVII ს. 40-იან წლებიდან კახეთში ისევ აღდგა ხვნა-თესვა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მებამბეობა და მეურნეობის სხვა დარგები.

სოფლის მეურნეობა ქართლში

ქართლის ბარსა და ზეგნებში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი მემინდვრეობა იყო. ქართლის სხვადასხვა კუთხეში მოჰყავდათ: დოლის პური (განსაკუთრებით ბარში), ქერი, დიკა, ჭვავი, ფეტვი, შვრია, ასლი და სხვ. ქერი საკმაოდ მოჰყავდათ მთაშიცა და ბარშიც. მთა ადგილებში ქერის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ დიკას, შვრიას და სხვ.

ქართლის სოფლის მეურნეობაში არც მევენახეობა-მეღვინეობასა სჭერია მცირე ადგილი. ზოგ კუთხეში ბევრი და საკმაოდ კარგი ღვინო მოჰყავდათ.

ქართლში გავრცელებული იყო აგრეთვე ტექნიკური კულტურის მცენარეები, სელი, კანაფი და სხვ. ბლომად აშენებდნენ სელს ქვემო ქართლში, ხოლო ზოგან (მაგალითად, დებედაში ანუ ბორჩალოში) კანაფი „უმუშაკოდ ხარობდა". სელს და კანაფს იყენებდნენ ქსოვილების დასამზადებლადაც და ზეთის გამოსახდელადაც.

ქართლის ზოგ კუთხეში მოჰყავდათ სხვა ტექნიკური მცენარეებიც — თამბაქო, ბრინჯი, ბამბა, ზეთისხილი და სხვ. ზოგან მისდევდნენ მეაბრეშუმეობასაც, მაგრამ ქართლის მეურნეობაში მას წამყვანი როლი არ ჰქონია.

ქართლის ხილეული გამოირჩეოდა საქართველოს სხვა კუთხის ხილეულისაგან მრავალფეროვანებითა და საუკეთესო გემოთი. აქ გავრცელებული იყო სხვადასხვა ჯიშის ვაშლი, ატამი, მსხალი, ქლიავი, ჭანჭური, ღოღნოშო, შინდი, თუთუბო და მრავალი სხვა; ბოსტნეულიდან — მხალი, ნესვი, საზამთრო, კიტრი, ბადრიჯანი და სხვ.

. ქართლის მთიანეთში — გუდამაყარში, ხევში, ქსნის ზემო ხეობაში, ლიახვის ხეობასა და სხვ. — მეურნეობის მთავარ დარგს ძესაქონლეობა შეადგენდა, მაგრამ იქ იგი მომთაბარული არ ყოფილა. მთის მოსახლეობას, მიუხედავად იქაური საყანე ადგილების სიმცირე-სიმწირისა, მოჰყავდა ხორბლეულის ისეთი ჯიშები, რომლებიც შესაფერი იყო მთის პირობებისათვის: ქერი, დიკა, შვრია, ჭვავი და სხვ.

მთის მოსახლეობა მიწას ხნავდა „ბარული" ანუ „დიდი" გუთნისაგან გან-

სხვავებული გუთნით, რომელსაც „მთის გუთანი“ ან „აჩაჩა“ ეწოდებოდა. მთის ძირა ზოლში კი „ორხელა გუთანი“ იყო გავრცელებული.

XVI ს-ში ქართლის სოფლის მეურნეობაც დაღმავლობის გზით მიდიოდა. ამას ხელს უწყობდა მწარმოებელი მოსახლეობის შემცირება, მისი აყრა-გაქცევა, სარწყავი არხების მოშლა და სხვა. XVI ს-ში ქვემო ქართლის ძველი მოსახლეობის მესამედი-ღა იყო დარჩენილი. იმავე საუკუნის 60-იან წლებში ამ კუთხის აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად გაუკაცრიელდა. საგრძნობლად შემცირდა მოსახლეობა ქართლის სხვა ნაწილებშიც.

ქართლში სოფლის მეურნეობის ერთგვარ აღმავლობას ხელი შეუწყო XVII ს. 40—50-იან წლებში ზოგი ძველი სარწყავი არხის აღდგენამ და ზოგი ახალის გაყვანამ. ამ დროისათვის აღდგენილ იქნა XII საუკუნის არხი, რომელიც აერთებდა დიდსა და მცირე ლიახვს; გაყვანილ იქნა ახალი არხებიც: ძევერისა, ტყიურეთისა, კარალეთისა, გარეჯვრისა და თორტიზისა. დაიწყო ზოგიერთი გაუკაცრიელებული სოფლის დასახლება. მარტო საყაფლანიშვილოში XVII ს. 30—70-იან წლებში ხელახლა დასახლდა 61 სოფელი. ქართლში სამეურნეო ცხოვრებამ ერთგვარი აღორძინება იწყო.

სოფლის მეურნეობა სამცხე-საათაბაგოში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამცხე-საათაბაგოს სოფლის მეურნეობის შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა ოსმალო დამპყრობელთა მიერ 1595 წ. შედგენილმა ვრცელმა საგადასახადო წიგნმა, რომელსაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ეწოდებოდა.

მიუხედავად ოსმალო-თურქების არა ერთი ლაშქრობისა, XVI ს. დასასრულს სამცხე-საათაბაგო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა, სოფლის მეურნეობის ვითარების თვალსაზრისით, საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე კუთხის როლს.

პურეულიდან სამცხე-საათაბაგოში უმთავრესად მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი და ფეტვი. XVI ს. მიწურულს ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრეს, ფანაკისა და დიდი არტაანის „ლივებში“[1] წელიწადში სულ დაახლოებით 77.000 ტონა პურეული მოჰყავდათ. მაგრამ პურეულის ეს რაოდენობა მოდიოდა მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც XVI ს. ჯერ კიდევ იყო დარჩენილი სამცხეში ოსმალეთის ბატონობის პირობებში. მომდევნო საუკუნეებში მეურნეობის ეს დარგიც თანდათან დაქვეითდა.

სამცხე-საათაბაგოში, განსაკუთრებით ახალციხის ლივაში, მოჰყავდათ აგრეთვე მუხუდო, ცერცვი და ოსპი.

სამცხე-საათაბაგოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მევენახეობა-მეღვინეობასაც. ოსმალთა აქ გაბატონების შემდეგ, მრავალი ზვარ-ვენახი მათ მოხელეებს გადაეცა და ამასთანავე XVI ს. ზოგან ვენახები უკვე გადაშენებულიც ყოფილა. მიუხედავად ამისა, XVI ს. დასასრულს მევენახეობა მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგად რჩებოდა. ახალციხის 10 რაიონის თითქმის ყოველ სოფელში მისდევდნენ მევენახეობას. ასევე იყო ახალქალაქის, ფოცხოვისა და ფანაკის სხვადასხვა რაიონების სოფელთა უმეტესობაში.

ოსმალთა ბატონობამ სამცხე-საათაბაგოში, ზვარ-ვენახების მტაცებლურმა

ექსპლუატაციამ ქართული სამეურნეო კულტურის ეს მნიშვნელოვანი დარგიც სრულ გადაშენებამდე მიიყვანა.

ტექნიკური კულტურებიდან განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა სელის მოყვანა. სელის ქსოვილთა წარმოებას მნიშვნელობა არ დაუკარგავს ამ რაიონებში ოსმალთა გაბატონების შემდეგაც.

ოსმალთა მიერ დაპყრობილი მოსახლეობა კაკალსაც იხდიდა. მარტო ჩილდირის რაიონის მოსახლეობაზე 1175 ქილა კაკალი ყოფილა გაწერილი. ნიგვზისაგან და სელის თესლისაგან ზეთს ხდიდნენ.

სამცხე-საათაბაგოში სოფლის მეურნეობის ზემოაღნიშნული დარგებისა და აგრეთვე მეხილეობა-მებოსტნეობის განვითარებას ხელს უწყობდა სარწყავი წყლის სიუხვე და ფართო საირიგაციო სისტემა. მაგრამ მიწის რწყვის ძველი ქართული წესი ოსმალთა გაბატონების შემდეგ მოიშალა და თანდათან დაქვეითდა მასზე დამოკიდებული მეურნეობის დარგებიც.

მდინარეებისა და ტბების სიუხვე ხელს უწყობდა მეთევზეობის დიდად გავრცელებას, რასაც მოწმობს ოსმალების მიერ მდინარეებსა და ტბებზე გაწერილი გადასახადები. ასე მაგ., მარტო საღამოს ტბაზე დაჭერილ თევზზე შეწერილი ჰქონიათ 10.000 ახჩა,[1] ჩილდირის ტბაზე — 30.000 ახჩა და ა. შ.

სამცხე-საათაბაგოში მესაქონლეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ბუნებრივი საძოვრების სიმრავლე. მაგრამ აქ არც ამას დასჯერებიან და საქონლის საკვები ბალახეული — იონჯა და სხვ. — ხელოვნურადაც უთესიათ. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მოშენებას ამ მხარის თითქმის ყოველ კუთხეში მისდევდნენ. ფართოდ იყო გავრცელებული მეფუტკრეობაც.

ასეთი იყო სამცხე-საათაბაგოს სოფლის მეურნეობა იმ დროს, როდესაც აქ ოსმალები გაბატონდნენ. ოსმალო დამპყრობლებმა საქართველოს მოსწყვიტეს სამეურნეო თვალსაზრისით ესოდენ დაწინაურებული ქვეყანა და იქ თანდათან დაამკვიდრეს ოსმალური მიწისმფლობელობის წესები და გლეხთა ექსპლუატაციის მძიმე ფორმები, რამაც XVII ს-ში სოფლის მეურნეობა სრულ დაცემა-გაპარტახებამდე მიიყვანა. ყოველივე ეს, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას ახდენდა არა მარტო ამ კუთხის, არამედ საერთოდ ფეოდალური საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე.

სოფლის მეურნეობა დასავლეთ საქართველოში

XVI საუკუნეში დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა, სხვა კუთხეებთან შედარებით, ჩამორჩენილი იყო.

დასავლეთ საქართველოში XVI—XVII საუკუნეებში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა ღომი იყო. ბართალია, ცალკეულ კუთხეებში (მაგ., ლეჩხუმში და სხვ.) პურეულს ბევრად მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა ვიდრე ღომს, მაგრამ ეს მაინც ვერ ცვლიდა საერთო სურათს. ღომს გარდა, იმერეთის ზოგ სოფელში კოტ-ცოტა ძოჰყავდათ აგრეთვე ფეტვი, ქერი და იფქლი.

---

[1] **ახჩა—ოსმალური ფულის ერთეული.**

XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მოსახლე ქართველებისაგან — ჭანებისა ანუ ლაზებისაგან შეიფოვიდა და გავრცელდა სიმინდი „ლაზუტის“ ანუ „ლაზების მცენარის“ სახელით. ამიტომ სამეგრელოს ერთ ნაწილში სიმინდი დღესაც „ლაზუტის“, „ლასტის“ ან „ლაიტის“ სახელითაა ცნობილი. ლაზებისაგან გადაიღეს ეს კულტურა ოსმალებმაც. აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის თურქები სიმინდს დღესაც „ლაზუტს“ უწოდებენ.

დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მევენახეობა-მეღვინეობას, რომელიც იქ ზოგან მეურნეობის ძირითადი დარგიც კი იყო. მართალია, ღვინოს ბევრს აყენებდნენ, მაგრამ XVI—XVII სს. მისი ღირსება შესამჩნევად დაქვეითდა.

დასავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბრინჯს (რომელიც ზოგან ურწყავადაც ხარობდა), სელს, კანაფსა და ბამბას. ზოგი სოფელი (მაგ., ჯგალი სამეგრელოში) სელისა და კანაფის ტილოს წარმოებით ყოფილა განთქმული, ზოგ სოფელს კი, იმის გამო, რომ იქ უმთავრესად კანაფის („კიფის“) ან ბამბის მოყვანას მისდევდნენ, სათანადო სახელიც კი შერქმევია: „ნაკიფუ“, „საკანაფე“, „საბამბე“ და სხვა. მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგები, სელის და კანაფის წარმოება, რითაც დასავლეთი საქართველო ჯერ კიდევ უძველეს ხანაში იყო გაცთქმული, XVII საუკუნისათვის საგრძნობლად დაკნინებულა.

ასევე დაკნინდა XVII ს. დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობაც. თუმცა იქ თუთის ხე ჩინებულად ხარობდა და ძალიან ბევრიც იზრდებოდა, ხალხი მეაბრეშუმეობას ნაკლებად-ღა მისდევდა.

შავი ზღვის სანაპირო ზოლი ერთადერთი მხარე იყო მთელ საქართველოში, სადაც, სხვა ხილეულთან ერთად, ხარობდნენ ციტრუსეულებიც — ნარინჯი (მანდარინი), თურინჯი (ფორთოხალი), ლიმონი და სხვა. მაგრამ, მეხილეობის ეს დარგი იქ ჯერ კიდევ განუვითარებელი იყო.

დასავლეთ საქართველოს მთიან კუთხეებში მეურნეობის ძირითად დარგს მესაქონლეობა-მეჯოგეობა და მეფუტკრეობა შეადგენდა. დასავლეთი საქართველო თავისებური ჯიშის ხარ-ძროხით, ცხენითა და სხვაგვარი პირუტყვით მდიდარი იყო. მაშინაც განთქმული ყოფილა ტანდიდი და რქაგრძელი, სუფთა და რბილი ბეწვის მქონე მეგრულ-აფხაზური თხა.

სხვადასხვაგვარ პირუტყვს აშენებდა ბარის მოსახლეობაც. თუ გლეხს ერთი ან ორი ძროხა და რამდენიმე თხა მოეპოვებოდა, დიდ სიმდიდრედ ეთვლებოდა. ჯოგები და ფარები, ცხადია, მხოლოდ ფეოდალებს ჰყავდათ.

მდინარეების სიუხვითა და ზღვის სიახლოვით აიხსნება ის, რომ დასავლეთ საქართველოს მეურნეობაში მეთევზეობასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

XVI—XVII სს. დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი დაქვეითების ხანაა. გარეშე მტრის შემოჭრისა და უცხო ქვეყანაში გაყიდვის მუდმივი საფრთხით გულგატეხილი გლეხი თავისი ყანის, ვენახისა და ბაღ-ბოსტნის უკეთ მოწყობასა და გაუმჯობესებას კი აღარ ფიქრობდა, არამედ

მხოლოდ თავის სარჩენი ლუკმა-პურის მოპოვებაზე ზრუნავდა. ამით აიხსნება, რომ მწარმოებელი მოსახლეობა ნაკლებ მისდევდა მეურნეობის ისეთ დარგებს, როგორიცაა მეაბრეშუმეობა, სელისა და კანაფის მოყვანა და სხვა.

სოფლის მეურნეობის დაქვეითების მიზეზები

სოფლის მეურნეობის დაქვეითების ძირითადი მიზეზი ფეოდალური საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების შეფერხება იყო. XVI ს-დან საქართველოში საბოლოოდ გაბატონდა მიწის ე. წ. საერთოსაგვარეულო, სათავადო მფლობელობა, რომელმაც თანდათან განდევნა მიწისმფლობელობის კერძო საბატონო ფორმა და ამით ხელი შეუშალა ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებას.

მებატონეთა ძალაუფლების გაძლიერებამ ხელი შეუწყო აგრეთვე „გლეხის საკომლოს“ თანდათან დაშლას, მის მიტაცება-გაყიდვას, რაც მიწაზე მკვიდრად მჯდარ, ინტენსიური მეურნეობის მიმდევარ გლეხთა ხარჯზე ამრავლებდა ბოგანო, აყრილი და ხიზანი გლეხობის რიცხვს.

მთელი ეს შინაგანი პროცესი დააგვირგვინა „ტყვეთა სყიდვამ“, რომელიც XVI—XVII საუკუნეებში მთელ საქართველოს მოედო. დღეს თუ ხვალ უცხო ქვეყანაში მონად გაყიდვის მომლოდინე გლეხს თავისი მეურნეობის წარმოების ყოველგვარი ინტერესი დაეკარგა.

ინტენსიური სოფლის მეურნეობის დაქვეითების ამ პროცესების გაღრმავებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი საგარეო პირობებმაც.

ყიზილბაშები და ოსმალები ქართული მიწების მიტაცებისათვის იბრძოდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის დარღვევას და სხვადასხვაგვარ ხერხებს იყენებდნენ საამისოდ.

უცხო მოძალადეებმა ამ მხრივ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს მათ მიერ დაპყრობილ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში, სადაც ამის გამო ინტენსიურმა მეურნეობამ თანდათან დაუთმო ადგილი ექსტენსიურ მეურნეობას, მომთაბარეობას.

ქვეყნის, განსაკუთრებით ბარის, დასუსტებამ შეცვალა მთისა და ბარის ურთიერთობაც. საქართველოს გავლენა-მორჩილებაში მყოფი მთა და მისი მოსახლეობა XIII საუკუნიდან თანდათან შეტევაზე გადმოვიდა. მთა ბარისათვის განსაკუთრებით საშიში მას შემდეგ შეიქნა, რაც კავკასიის მთიანეთში ოსმალეთის გავლენა გაძლიერდა. მთის მოსახლეობა დასუსტებულ ბარს არა მარტო არბევდა, არამედ მის ცალკეულ ადგილებს იჭერდა და ზედ ესახლებოდა, თან ჩამოჰქონდა თავისი მეურნეობა და ყოფა — „მეტწილად... მეჯოგური მეურნეობა და პატრიარქალური საგვარეულო ყოფა-ცხოვრება“ (სტალინი). ესეც საქართველოში ინტენსიური მეურნეობის დაქვეითების ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო.

ამას გარდა, უცხოელ დამპყრობელთა გამუდმებული ლაშქრობა არა მარტო ფიზიკურად სპობდა მწარმოებელ მოსახლეობას, არამედ ანადგურებდა მის მეურნეობასაც.

უცხოელ დამპყრობელთა ამგვარი არაიშვიათი „ღონისძიება“ დიდი ხნით სწყვეტდა სიცოცხლეს ამა თუ იმ კუთხეში; მწარმოებელი მოსახლეობის ნაამაგარს ტყე და ნადირი ეუფლებოდა.

§ 2. შინამრეწველობა და ხელოსნობა

XVI—XVII სს. საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური კარჩაკეტილი მეურნეობა იყო გაბატონებული. ნატურალური მეურნეობის პირობებში კი გლეხის ოჯახი ცდილობდა თვითონვე დაემზადებინა ყოველივე, რაც მისთვის აუცილებელი იყო. ფეოდალებსაც, ამავე მიზნით, სხვადასხვა ხელობის მცოდნე ყმა-გლეხები უნდა ჰყოლოდათ. ამიტომ შინამრეწველობა, ე. ი. ნედლეულის გადამუშავება იმავე ოჯახში, სადაც იგი მოპოვებულია, ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. გლეხის ოჯახებს ან თემებს ჰქონდათ თავ-თავისი შინასარეწები, როგორიც იყო, მაგალითად, ზეთსახდელები ანუ „ბეზირხანები", ბამბისა თუ აბრეშუმის საქსოვი დაზგები, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები და სხვ.

ზოგი კუთხე ცნობილი იყო სელისა და კანაფის ტილოების დამზადებით, ზოგი აბრეშუმისა და ბამბის წარმოებით, ზოგი ნაბდის დამზადებით, ტყავის დამუშავებით და ა. შ.

საქართველოს მთიან კუთხეებში მისდევდნენ ტყავის დამუშავებას: ფარდაგებისა და შალეულის ქსოვას; ქეჩის, ნაბდის, ყაბალახის, „მთის მაუდის" და სხვათა კეთებას.

ნაბდებს, სქელ მაუდსა და ბამბეულის ქსოვილს აფხაზეთშიც ამზადებდნენ. აფხაზი ქალები ბამბის ძაფის რთვაში დაოსტატებული ყოფილან და მათ მიერ დართული ძაფი ზოგჯერ შორეულ ქვეყნებშიც კი გაუტანიათ. იქვე ხისა და რქისაგან ამზადებდნენ კოვზებს, ჭიქებს, თეფშებს, ყანწებსა და სხვ.

რაჭაში, სოფ. წედისში და მის მიდამოებში (საერთოდ „სარკინეთი" რომ ეწოდებოდა), განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა რკინის მოპოვება, გამოდნობა და დამუშავება. სამეგრელოში კანაფისა და სელის ტილოების ქსოვა ყოფილა გავრცელებული. გლეხის ოჯახში მოქსოვილი ტილოს დიდი ნაწილი მებატონეს მიჰქონდა. სელის ქსოვილები, შინამრეწველობის ნაწარმის სახით, დიდძალი კეთდებოდა სამცხე-საათაბაგოში, ქვემო ქართლში და სხვაგან, აბრეშუმის ქსოვილები — განსაკუთრებით კახეთში და ა. შ.

შინამრეწველობის დარგი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართოდ გავრცელებული მეჭურჭლეობა, რომელიც ამარაგებდა გლეხთა და მებატონეთა ოჯახებს თიხის ქოთნებით, დოქებით, კოკებით, ქვევრ-ჭურებით და ყოველდღიურად საჭირო სხვა საგნებით.

შინამრეწველების გარდა სოფლად იყვნენ ამა თუ იმ დარგში საგანგებოდ ძომუშავე ოსტატი ხელოსნებიც. ნატურალური მეურნეობის პირობებში, ხელოსანი საქონლის ერთადერთი მწარმოებელი იყო.

XVI—XVII სს. საქართველოს თითქმის ყოველ სოფელში იყო ერთი ან რამდენიმე ხელოსანი. მაშინდელ საქართველოს სოფლებში ვხედავთ შემდეგ ხელოსნებს: მჭედელს, ოქრომჭედელს, თერძს, მეჩექმეს, მედოქეს (მეჭურჭლეს), ხუროს, მექვაბეს, მემშვილდეს, ფეიქარს, ჭონს (მექუდე), მეჩონგურეს, მღებარს, ნალბანდს, კალატოზს, ქვისმთლელს, დურგალს და სხვ.

სოფლის ხელოსანთა უმეტესობა ამა თუ იმ მებატონის ყმა იყო და საბა-

ტონო ბეგარას თავისი ხელობით იხდიდა: ბატონისათვის საჭირო საგნებს ამზადებდა, მისთვის მუშაობდა.

ზოგი ხელოსანი კი ბატონისათვის მხოლოდ მაშინ მუშაობდა, როცა ბატონს მიაჩნდა საჭიროდ, ხოლო დანარჩენი დროის განმავლობაში იგი საბაზროდ ამზადებდა სათანადო საქონელს.

ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში მებატონეს ცალკეული ხელოსნების შრომით სურდა ყოველივე იმის გაკეთება და შეძენა, რასაც ჰას გლეხის მეურნეობა და შინამრეწველობა ვერ აძლევდა. ამიტომ მებატონის სახელოსნოში მუშაობა ხელოსანს მონად გადაქცევას უქადდა. მაგრამ ხელოსანთა შრომის ექსპლუატაციაც ვერ აკმაყოფილებდა ბატონის მოთხოვნილებას ძვირფას ტანსაცმელზე და ფუფუნების სხვა საგნებზე. ამათ შეძენას კი ბატონი უმთავრესად ოსმალო ვაჭრებისათვის ტყვეების მიყიდვით ახერხებდა.

ხელოსნური წარმოების დაქვეითება ყველაზე უფრო დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, სამეგრელოში იგრძნობოდა. სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი კარგად ხედავდა ამას და ცდილობდა მრავლად ჩამოეყვანა უცხოეთიდან ლითონის დამმუშავებელი, აბრეშუმისა და მატყლის მაღალხარისხოვანი ქსოვილების დამამზადებელი ოსტატები. მაგრამ ლევან დადიანის ამ თავისთავად საინტერესო ღონისძიებას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

შედარებით დიდი სარეწავები ჯერ კიდევ არ იყო, თუმცა თითო-ოროლა წამოწყებას ვხედავთ უკვე XVII ს. შუა წლებში. ასე მაგალითად, იმავე ლევან დადიანს სამეგრელოში საფუძველი ჩაუყრია სამთამადნო წარმოებისათვის: ცნობილია, რომ იგი თურქეთს ხარკის დიდ ნაწილს რკინით უხდიდა. მაგრამ, ჩანს, ეს სამთამადნო წარმოება ადრე გამქრალა და მას ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია.

§ 3. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება

საქართველოს ქალაქების დაქვეითება XV—XVI სს.

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის თანდათან დაქვეითებამ გამოიწვია ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაცემაც. არანაკლები როლი ითამაშა ამაში XV—XVI სს. შექმნილმა საგარეო პირობებმაც: ოსმალო-თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ, შავი ზღვის სანაპირო ქალაქებზე მათ თანდათან გაბატონებამ და აქ საზღვისპირო მტაცებლური ვაჭრობის გაჩაღებამ. ამასთანავე, ახალი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, გაუქმდა ამიერკავკასიაზე გამავალი ძველი სავაჭრო გზები. ყოველივე ამან კიდევ უფრო დააკნინა საქართველოს ქალაქების მნიშვნელობა.

დაქვეითება დაეტყო თბილისსაც. მრავალი გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგად XV საუკუნის 70-იანი წლებისათვის თბილისის ზოგი უბანი სავსებით დაცარიელდა. შესამჩნევად იკლო მისმა მოსახლეობამ: XVI ს. დასასრულისათვის აქ 2000 კომლი, ე. ი. დაახლოებით 10.000 მცხოვრები-და იყო.

XV ს-ში მცირე ქალაქებად იქცნენ აგრეთვე ქუთაისი, ახალციხე, გორი და სხვ. განსაკუთრებით დაკნინდა შავი ზღვის პირის ქალაქები — ბათუმი, სოხუმი და ფოთი. ქართლში მცირე ქალაქებად იქცნენ აგრეთვე ატენი, ალი, ზოვრეთი

და სხვ., ხოლო ზოგმა ქალაქმა (სამშვილდემ. დმანისმა. ოძრხემ, თმოგვმა, ჟინ-ვანმა) საბოლოოდ დაჰკარგა ეკონომიური ცენტრის მნიშვნელობა.

XV საუკუნიდან მოკიდებული, ოსმალებმა თანდათან დაიპყრეს და დაიმორჩილეს ახალციხე. ახალქალაქი. არტანუჯი. ოლთისი. არტაანი და სხვ. მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა. რომელიც ამ ქალაქებს ოსმალთა ბატონობამ შეუქმნა, ისინი მაინც არ სწყვეტდნენ ეკონომიურ კავშირს საქართველოს ქალაქებთან.

კახეთი, სხვა კუთხეებთან შედარებით. ამ მხრივაც გაცილებით წინ იდგა. სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარება კახეთში. მისი ქალაქების სიახლოვე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე გამავალ სავაჭრო-საქარავნო გზასთან და მათი მჭიდრო ურთიერთობა ამიერკავკასიის იმდროინდელ დაწინაურებულ ქალაქებთან (შამახიასთან, დარუბანდთან, არეშთან, შაბურანთან, ჯულფასთან და სხვ.) ხელს უწყობდა კახეთში საქალაქო ცხოვრების განვითარებას.

ამას გარდა, კახეთის სოფლები და ქალაქები იმერეთიდან თუ ქართლიდან აყრილ და გამოქცეულ ყმა-გლეხთა და ხელოსანთა თავშესაფარად იქცა. ეს კი ქალაქების გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო.

XV საუკუნეში კახეთის მნიშვნელოვან ქალაქად იქცა ბაზარი (ზაგემი); XV—XVI საუკუნეებში განსაკუთრებით გაძლიერდა და კახეთის უმთავრესი ქალაქი გახდა გრემი. კახეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა ყარაღაჯი, რომელსაც XIV ს-ში თავისი ზარაფხანაც კი ჰქონდა. იმხანად ძველი ქალაქი თელავიც ინარჩუნებდა ეკონომიური ცენტრის როლს. ასე რომ, XV—XVI სს. კახეთში საქალაქო ცხოვრება არათუ არ დაქვეითებულა. არამედ, იმ დროის კვალობაზე,დაწინაურდა კიდევაც, მაგრამ კახეთის ქალაქების აღმავლობა არც ისე დიდხანს გაგრძელებულა.

ქალაქები XVII საუკუნეში

XVII ს. დამდეგს შაჰ-აბასის რამდენიმეგზის ლაშქრობამ კახეთის ქალაქებს არა მარტო ეკონომიური საფუძვლები მოუშალა, არამედ თვით ქალაქებიც დაანგრია. ერთ დროს მჭიდროდ დასახლებულ ბაზარში (ზაგემში) XVII ს. 30—40-იან წლებისათვის ნანგრევები-ღა იყო. ასევე განადგურდა გრემიც. კახეთში თითქმის აღარც ერთი ქალაქი აღარ დარჩა და ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობაც გადაშენდა.

საქალაქო ცხოვრების ერთგვარი აღმავლობა კახეთში მხოლოდ XVII ს. 60—70-იან წლებიდან შეინიშნება.

XVII საუკუნის 30—40-იანი წლებიდან საქალაქო ცხოვრება ქართლშიც აღმავლობის გზით მიდიოდა. სავაჭრო გზების დაცვა, ხიდების აგება, ზოგი ქალაქის ციხე-გალავნის განახლება და სხვადასხვაგვარი მშენებლობა საქალაქო ცხოვრების აღორძინებას უწყობდა ხელს.

XVII ს. 30-იან წლებში, მეფე როსტომის ბრძანებით, მდ. თეძამზე გაშენდა ახალი, „მეფის ქალაქი“ (დღევ. წითელქალაქი). ეს და სხვა ამგვარი ღონისძიება, რა თქმა უნდა, სოფლის და ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების ექსპლუატაციის გაძლიერების ხარჯზე ხდებოდა.

გაცხოველდა ქართლის ქალაქების ურთიერთობა ირანის ქალაქებთან. ქართლი ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებასაც ცდილობდა. იმ ხა-

ნისათვის საქართველოში კვლავ გამოჩნდნენ ევროპელი ვაჭრებიცა და ევროპული სავაჭრო კაპიტალის სხვა აგენტებიც. ქართლის მეფე, თავის მხრივ, ცდილობდა კიდევ უფრო გაეღვივებინა ევროპელი ვაჭრების ინტერესი საქართველოსა და განსაკუთრებით კი თბილისისადმი.

XVII ს. 30-იანი წლებიდან მოკიდებული, თბილისი აღმავლობის გზას დაადგა. იმავე საუკუნის შუა წლებში იგი კვლავ საკმაოდ დიდ, მჭიდროდ დასახლებულ და კარგად ნაშენ ქალაქად იყო მიჩნეული. XVII ს. დასასრულსა და XVII ს. დამდეგს თბილისში 20.000-მდე მცხოვრები იყო.

იმავე ხანებში იწყო აღორძინება გორმაც. ქართლში იყო აგრეთვე რამდენიმე „მცირე ქალაქი“: სურამი, ალი, ატენი, „მეფის ქალაქი“, ცხინვალი, ახალგორი, ახალდაბა და სხვ.

სხვაგვარი ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში. იმერეთის სამეფოში, ფეოდალური მეურნეობის უკიდურესი ჩამორჩენილობის გამო, საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის საჭირო პირობები არ არსებობდა. ქუთაისი დაცემის გზაზე იყო შემდგარი: XVII ს. 70-იანი წლებისათვის იქ მხოლოდ 1000-ოდე მცხოვრები ითვლებოდა.

დასავლეთ საქართველოს ზოგ მხარეში (სამეგრელოში. აფხაზეთში) XVII ს. დამდეგს ნატურალური მეურნეობა იმდენად იყო გაბატონებული, რომ ფული მხოლოდ აქა-იქ იხმარებოდა და ძირითადად საქონლის უშუალო გაცვლა-გამოცვლა წარმოებდა.

ქალაქების, მუდმივი ბაზრების როლს პერიოდული ბაზრობა — ე. წ. „ქალაქობა“, „იარმარკობა“ — ასრულებდა. სამეგრელოსა და აფხაზეთში, XVII ს-ში ამგვარი „ქალაქობა“ იმართებოდა წიფურიაშა, კორცხელში, ილორსა და ბედიაში. ეს დროებითი ბაზრები ზოგჯერ 20.000-მდე კაცს უყრიდა ხოლმე თავს. იარმარკებზე, ადგილობრივ ნაწარმს გარდა, ოსმალეთიდან და ირანიდან შემოტანილი საქონელიც იყიდებოდა.

უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ ქვეყნის შინაგან ეკონომიურ ცხოვრებაში ზღვისპირა ნავსადგურები—ანაკლია, ყულევი, სოხუმი, ბიჭვინტა და სხვ. ისინი, თავიანთი რამდენიმე ასეული მცხოვრებითა და მოუწყობელი ბაზრებით, უმთავრესად უცხოეთთან ადგილობრივი ტყვეებით ჭატაცებლურ საზღვისპირო ვაჭრობას ეწეოდნენ.

ქვეყნის შიგნით იყო „მცირე ქალაქები“ ანუ „ყასაბები“, რომლებიც ციხე-სიმაგრეებთან ან ადმინისტრაციულ ცენტრებთან იყვნენ დაკავშირებული. ეს „მცირე ქალაქები“ — რუხი, ჩიხორი, ჩხარი და სხვა — ვერ ქმნიდნენ ხელოსანთა და ვაჭართა მუდმივ თავშესაფარსა და დიდ სავაჭრო ბაზრებს.

XVII ს. პირველ ნახევარში გაძლიერებულმა მთავარმა, ლევან II-მ, სამეგრელოში ვაჭრობის აღორძინების მიზნით ზოგიერთი ღონისძიება გაატარა: დააარსა ქ. რუხი, შექმნა საკუთარი ზარაფხანა, გარს შემოიკრიბა ვაჭრები, რომელთაც აძლევდა ფულს, ცხენებს და გზავნიდა ირანსა და თურქეთში, რათა იმ ქვეყნებიდან სამეგრელოში მრავალი სავაჭრო საქონელი შემოეტანათ. ამან შედეგიც გამოიღო: ქვეყნის ამ კუთხეს გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ ასეთ ღონისძიებას არ შეეძლო შეეცვალა დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრების დაქვეითების საერთო სურათი.

XVI—XVII ს ს. ქალაქე-ბის ეკონომიური სახე

XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქები ძირითადად წვრილი სასაქონლო წარმოების, ხელოსნობის ცენტრები იყო. XVII ს-ში საქართველოს ქალაქებში მოსაქმეობდნენ: მეჯურჭლეები, მკუპრავები, ოქრომჭედლები, მჭედლები, მექვაბეები, ნალბანდები, მეშარბათეები, მჩითავები, მხატვრები, მეწუღეები, მეკონდახეები, ყაზაზები, მეხანჯლეები, ფეიქრები, მკერვალები, მღებრები, მეზანდუკეები, ჭონები, ქვისმთლელები, კალატოზები, დურგლები, ხუროები, ქურქჩები (ქურქის მკეთებლები), მეაგურეები, ზეინკლები, სარაჯები, მესაათეები და სხვ. მესაათე ხელოსანი თბილისში პირველად XVII საუკუნეში ჩნდება.

ქალაქის ხელოსანთა ნაწარმი გადიოდა საქართველოს სხვა კუთხეებში და ქვეყნის გარეთაც. საქართველოს ქალაქებიდან ექსპორტის საგანს შეადგენდა ბრეშუმის, მატყლისა და ბამბის ქსოვილები, ტყავეული, ბეწვეული და სხვ.

ქალაქის ხელოსანთა ნაწარმი, ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ, გაჰქონდათ ვაჭრებს. მათვე შემოჰქონდათ უცხოეთიდან სხვადასხვა საქონელი. საქართველოს ვაჭრები მიმოდიოდნენ როგორც აზიის, ისე ევროპის ქვეყნებში, მაგრამ საქართველოს ქალაქებს იმ ხანებში უმთავრესად აღმოსავლეთის ქალაქებთან ჰქონდა ვაჭრობა.

საქართველოს ქალაქებისა და ვაჭრების დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ასევე, ჯერ კიდევ სუსტი იყო საქართველოს ქალაქების ურთიერთობა რუსეთის ქალაქებთან.

თ ა ვ ი XVI

სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა XVI-XVII სს.

§ 1. გლეხობა, მისი კატეგორიები და ვალდებულება, გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმები

გლეხი და მისი მეურნეობა

ფეოდალურ ქვეყანაში საზოგადოების დაბალი, ექსპლუატირებული ფენის წარმომადგენელი **გლეხი** იყო.

ფეოდალიზმის ბატონობის დროს მემამულისა და გლეხის წარმოებითი ურთიერთობის საფუძველს შეადგენდა ფეოდალის საკუთრება წარმოების საშუალებაზე — მიწაზე და არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე — ყმა-გლეხზე. მიწის ფეოდალური საკუთრება იყო ფეოდალიზმის საფუძველი.

გლეხი, თუნდაც მკვიდრი, მემამულის მიწაზე მკვიდრი, ამ მიწის მხოლოდ მემკვიდრეობით, ტრადიციული მფლობელი იყო. მიწის ამგვარი მფლობელობაც კი აიძულებდა გლეხს ბეგარა ეკისრა მემამულის სასარგებლოდ.

მაგრამ გლეხს, ბატონისაგან სამფლობელოდ მიღებული მიწის გარდა, ჰქონდა თავის მიერვე ნაყიდი მიწაც, რომელზედაც მას მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე მებატონის მიერ „ნაწყალობევზე". ამ მიწაზე გლეხი ბეგარას არ იხდიდა, მაგრამ მემამულე მაინც ცდილობდა მის არა მარტო დაბეგვრას, არამედ მისაკუთრებასაც.

გლეხის მიწა **„საკომლო მამულად"** ან **„საგლეხო მამულად"** იწოდებოდა. გლეხის „საკომლო" შედგებოდა სახნავი მიწისა, ვენახისა, ბაღ-ბოსტნისა, სახლისა, მარნისა, კალო-საბძლისა და სხვა მისთანათაგან. ამასთანავე გლეხს ჰქონდა საპირო სამეურნეო იარაღი, ჰყავდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ფრინველი და სხვ. ყოველივე ეს შეადგენდა გლეხის პირად შრომაზე დამყარებულ მეურნეობას. ამას გარდა, გლეხი სარგებლობდა ბატონის ტყით, საძოვრით, სასოფლო წისქვილით და სხვ.

თითოეულ „საკომლოზე" ჩვეულებრივ გლეხის თითო კომლის მეურნეობა იყო მოწყობილი, მაგრამ ზოგჯერ ერთი „საგლეხო მამული" ორს ან მეტ საგლეხო კომლს ეკუთვნოდა.

„საკომლო მამულში“ გლეხი ინტენსიურ მეურნეობას აწარმოებდა. მაგრამ მემამულეთა მიერ გლეხის „საკომლო მამულის“ გაყიდვა, მისი ოჯახის დაშლა, გლეხის კერძო მეურნეობაზე თავისი უფლების განხორციელება და ამით გლეხის ტრადიციულ-უფლებრივი მხარის გათელვა, რაც განსაკუთრებით XVI საუკუნიდან გაძლიერდა, ხელს უწყობდა ინტენსიური მეურნეობის დაქვეითებას, საგლეხო მეურნეობის მოშლას.

გლეხთა კატეგორიები

არც ეკონომიური და არც სოციალურ-უფლებრივი თვალსაზრისით გლეხობა არ იყო ერთი მთლიანი საზოგადოებრივი ფენა. გლეხთა ცალკეული ფენები განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან იმის მიხედვითაც, თუ ვის ეკუთვნოდნენ ისინი, და იმის მიხედვითაც, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მათ მებატონეებთან.

კუთვნილების თვალსაზრისით გლეხები XVI — XVII საუკუნეებშიც განიყოფოდნენ სამეფო, სამონასტრო-საეკლესიო და საბატონო (თავადის, აზნაურის) ყმა-გლეხებად.

მებატონეებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით კი გლეხთა ფართო მასა არსებითად იყოფოდა ორ ძირითად ფენად **„მსახურებად“** და **„დაბეგრილ“** ანუ **„ყმა-გლეხებად“**. ამ უკანასკნელთ დასავლეთ საქართველოში „მოინალეებს“[1] უწოდებდნენ.

მსახური გლეხთა კლასში კი შედიოდა, მაგრამ თავისი მოვალეობითა და უფლებით განირჩეოდა ყმა-გლეხისაგან. მისი მოვალეობა უმთავრესად სამსახური და ლაშქრობა იყო. მსახურის უფლებრივი განსხვავება აისახა ფეოდალურ კანონმდებლობაშიც. XVIII ს. დამდეგის სამართლის წიგნის მიხედვით, მსახურის სისხლი 2-ჯერ მეტს ფასობდა, ვიდრე ყმა-გლეხისა. მსახური თავისი ბატონის მიერ მიცემულ მიწაზე იჯდა.

მსახურებიც არ შეადგენდნენ ერთ მთლიან ფენას. დასავლეთ საქართველოში, XVI ს-ში, მსახურთა ერთი ნაწილი მსუბუქად დაბეგრილი იყო, მეორე კი — სულ დაუბეგრავი.

XVII ს-ში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: მსუბუქად დაბეგრილ მსახურ გლეხთა კატეგორია ფაქტიურად გაქრა და ყმა-გლეხთა კატეგორიაში გადავიდა. მსახურთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

მსახურთა სახით მებატონეებს ჰყავდათ შეიარაღებული ამალა, რომელსაც ისინი ხშირად იყენებდნენ „ურჩი“ ყმა-გლეხების დასასჯელადაც. ბატონი თვით მსახურსაც უსწორდებოდა ხოლმე — დაბმით, ცემითა და დარბევით.

ყმათა ერთ-ერთ ძირითად კატეგორიას შეადგენდა ე. წ. **ნასყიდი.** ნ ა ს ყ ი დ ი ეწოდება მებატონის მიერ საკუთარი თანხით შეძენილ კაცს. იგი შეადგენდა მებატონის სრულ საკუთრებას. მიწაზე დასმული ასეთი

[1] მეგრული სიტყვა „მოინალე“ ქართულ „მოსამსახურეს“ შეესაბამება, მაგრამ შინაარსობრივ „მსახურს“ არ აღნიშნავდა, მოინალე მსახურზე უფრო დაბლა იდგა

ყმები უფლებრივი მდგომარეობით ყველა სხვა კატეგორიის ყმებზე დაბლა იდგნენ.

გლეხთა ერთ ჯგუფს **„ნაწყალობევი“** ყმები შეადგენდნენ. ნაწყალობევ ყმათა კატეგორია წარმოიშვა პატრონის მიერ თავის ვასალისადმი ამა თუ იმ ყმის ბოძებით. წყალობის გამცემს, ცხადია, შეეძლო ნაწყალობევი ყმის უკან დაბრუნებაც.

ნასყიდ და ნაწყალობევ ყმათა კატეგორიებისაგან განირჩეოდნენ ე. წ. **„მკვიდრი“** ანუ **„მემკვიდრე“** ყმები, რომლებიც ფეოდალის ყმათა ძირითად ფონდს შეადგენდნენ. „მემკვიდრე ყმა“ ისეთს ეწოდებოდა, რომელიც ერთი თაობის მანძილზე ერთისა და იმავე მებატონის მიწაზე იჯდა. რაც მეტი ჰყავდა მემამულეს მკვიდრი ყმა, მით უფრო მტკიცე იყო მისი ეკონომიური საფუძველი.

ყმათა კიდევ ერთს კატეგორიას შეადგენდნენ **„შეწირული“** ყმები. ასეთი ყმები ჰყავდათ ეკლესია-მონასტრებს. შეწირული ყმების მთავარი წყარო საერო ფეოდალების მიერ ეკლესიისადმი ყმა-გლეხთა შეწირვა იყო. შემწირველი ცდილობდა შედარებით შეღავათიან პირობებში ჩაეყენებინა ეს ყმა, რათა მასაც ელოცნა მისი შემწირველის „სულის ცხონებისათვის“.

ცალკე იყო აგრეთვე **„ნებიერ“** ანუ **„ნებით მოსულ“** ყმათა კატეგორია. „ნებიერი ყმეთი“ ჰყავდათ საერო ფეოდალებს. ასეთსავე კატეგორიას შეადგენდნენ საეკლესიო ფეოდალთა **„თავშეწირული“** ყმებიც. „ნებიერ“ ყმას იმას უწოდებდნენ, რომელიც თავის ნებით ეყმობოდა ამა თუ იმ პირს. ნებიერ ყმას შეეძლო ერთი ბატონიდან მეორესთან გადასვლა. მებატონეთა ოჯახის გაყოფისას, მისი წევრები ნებიერ ყმებს არ იყოფდნენ. „ნებიერ ყმას“ შეიძლება დროებითი, არა მუდმივი ყმა ვუწოდოთ.

„ნებიერ“ და „თავშეწირულ“ ყმათა კატეგორიების არსებობა XVI—XVII სს. საქართველოში იმაზე მიგვითითებს, რომ იმდროინდელი პირობები არ აძლევდა გლეხს თავისუფალი, დამოუკიდებელი შრომის საშუალებას.

ბატონყმური ურთიერთობა თანდათან აქრობდა ამ ნახევრად თავისუფალ ყმათა კატეგორიასაც და ათანაბრებდა მას გლეხთა სხვა კატეგორიებთან.

გლეხთა შედარებით პრივილეგირებულ ფენას ქმნიდნენ **„თარხანი“** ანუ **„აზატი“** გლეხები. ასე ეწოდებოდა საბატონო გამოსაღებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებულ გლეხებს. თარხანი ანუ აზატი ბატონის ყოველგვარი სამსახურისაგან არ თავისუფლდებოდა. ამ კატეგორიის ყმებს ხშირად ევალებოდათ ე. წ. „სამასპინძლო“.

„ბოგანო“ ადრე ეწოდებოდა ერთი ბატონისაგან გაქცეულსა და მეორესთან თავშეფარებულ, შეხიზნულ გლეხს. ბოგანოები სხვებთან შედარებით ღარიბნი იყვნენ. მას შემდეგ, რაც ბოგანოთა კატეგორიას ცალკე გამოეყო „ხიზანთა“ კატეგორია, ბოგანო შეერქვა იმ ადგილობრივ გლეხს, რომელიც თავისი ეკონომიური მდგომარეობით წააგავდა ხიზანს: მას ვენახი არ გააჩნდა და იგი არ იჩენდა ინტენსიური მეურნეობის წარმოების სტიმულს. ბოგანოთა კატეგორია XVII საუკუნეში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო.

ხიზანი ეწოდებოდა გლეხს, რომელიც ერთ მებატონეს წასვლოდა და მეორისათვის შეეფარებინა თავი. რამდენადაც გაქცევა-აყრა, გახიზნვა ფეოდალურ

ქვეყანაში ანტიფეოდალური ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო, ხიზნობა წარმოიშვა გლეხთა ექსპლუატაციის გაძლიერებისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გარკვეულ საფეხურზე. ხიზანთა ცალკე კატეგორია XVI საუკუნეში უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ახალ მებატონესთან თავშეფარებულ გლეხს — ხიზანს ძველი მებატონე. ფეოდალური სამართლის ძალით, ხშირად უკან იბრუნებდა; ასე რომ მას ახალი ადგილიდან ისევ აყრა მოელოდა. ამიტომ მას, ახალ მებატონესთან თავშეფარებულს, არ აინტერესებდა ინტენსიური მეურნეობის წარმოება.

XVI—XVII სს. ცალკე ჩამოყალიბდა აგრეთვე **„მოჯალაბე“** ყმათა კატეგორია. მოჯალაბე („მეახორე“, „მოსასახლე“) ისეთი ყმა იყო, რომელსაც მიწა არ ჰქონდა და, თავისი ჯალაბითურთ, ბატონის სახლში, მისი ნასუფრალით ცხოვრობდა. მოჯალაბის საბატონო სამსახური სხვაზე უფრო დამამცირებელი და სათაკილო იყო. მოჯალაბე თავისი ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობით ყველაზე დაბლა იდგა და ზოგჯერ გლეხადაც კი არ იწოდებოდა.

გლეხის ბეგარა და სამსახური

გლეხის საბატონო მოვალეობას საერთოდ **„გლეხის სამსახური“**, **„ყმობის რიგზე სამსახური“** ან კიდევ **„ბატონყმური სამსახური“** ეწოდებოდა.

XVI—XVII საუკუნეებში ნატურალური და შრომითი რენტის თანაარსებობა გლეხის საბატონო ვალდებულებას ჰყოფდა ორ ძირითად ნაწილად — **ბეგარად** და **სამსახურად**.

ბეგარა ეწოდებოდა მებატონისაგან მიღებულ მიწასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ნატურალურ გამოსაღებს. ზოგჯერ იყო ფულადი ბეგარაც, მაგრამ XVI—XVII სს. ძირითადად ნატურალური რენტა იყო გაბატონებული.

საკუთრივ ბეგარა ორ ნაწილად იყოფოდა: ძირითადს **„თავი ბეგარა“** ეწოდებოდა; ამას გარდა იყო **„სამასპინძლო“** ანუ **„პურის ჭამა“**, რომელსაც საქართველოს ზოგ კუთხეში უწოდებდნენ „საპურობოს“. ზოგში — „ჭამასმას“, ზოგში — „გოჭკომურს“, „რიკრიკაჯ“ **და სხვ. „სამსახური“** ეკისრებოდათ როგორც მსახურებს, ისე ყმა-გლეხებს, მაგრამ ბატონის წინაშე მათი სამსახური სხვადასხვაგვარი იყო: მსახურებს „ცხენით სამსახური“, „სასახლის სამსახური“ და მსგავსი რამ ეკისრებოდათ; ყმა-გლეხებს კი „სასახლის მუშაობა“, „ნადობა“, „ნიადაგ მუშაობა“, „ტვირთის ზიდვა“ და სხვ. „სამსახური“ ზოგჯერ „ერთი კვირისა“ იყო, ზოგჯერ „ყოველ დღისა“, ზოგჯერ კი — „როცა მოიკითხავდნენ“. ყმა-გლეხთა „სამსახური“ შრომითი ბეგარა იყო.

გლეხი, თავის უშუალო ბატონს გარდა, სხვადასხვაგვარი ბეგარით ემსახურებოდა აგრეთვე სახელმწიფოს (მეფეს), ეკლესიას, მეფის თუ ბატონის მოხელეებსა და უცხოელ დამპყრობლებსაც. ამის მიხედვით ჯგუფდებოდა ყველა ის გამოსაღებიც, რომელსაც გლეხი მათ უხდიდა.

გლეხის სამეფო, საბატონო, საეკლესიო თუ სამოხელეო ბეგარა და სამსახური სხვადასხვაგვარი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში, მის მთასა და ბარში თუ ცალკე კუთხეებში.

ამას გარდა, იმის მიხედვით, თუ ვის ეკუთვნოდნენ **გლეხები**, ან კიდევ თუ რა კატეგორიისა იყვნენ ისინი და თუ როგორ ახერხებდნენ თავის დაცვას მება-

ტონეთა ძალმომრეობისაგან, გლეხების ვალდებულება სხვადასხვა იყო თვით ერთი სოფლის ფარგლებშიც კი.

ამიტომ ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გამოსაღები მხოლოდ ერთ რომელიმე კატეგორიის გლეხზე კი არ იყო გაწერილი, არამედ სხვადასხვა კუთხის, კუთვნილებისა და კატეგორიის გლეხებზე, საერთოდ.

საბატონო გამოსაღები

საბატონო ბეგარა გაწერილი იყო გლეხის მეურნეობის ყველა დარგზე. თუმცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოსაღების სიდიდე, სახეობა და სახელწოდებაც კი სხვადასხვაგვარად წესდებოდა, მისი შინაარსი ძაისც არსებითად ერთნაირი იყო.

ერთ-ერთ უმთავრეს გამოსაღებს შეადგენდა **ღალა**. იგი გაწერილი იყო მარცვლეულზე და გლეხები მას პურით, ქერით, ასლით, ღომით და სხვ. იხდიდნენ. ღალა მებატონეს პურეულის მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა.

საბატონო გამოსაღების მეორე სახე იყო **კულუხი** — გამოსაღები გლეხის ვენახზე. კულუხი, ცხადია, იმ კუთხეთა გლეხებზე იყო ხოლმე გაწერილი, სადაც მევენახეობა-მეღვინეობას მისდევდნენ. მისი რაოდენობაც გლეხის შემოსავლის სიდიდის მიხედვით განისაზღვრებოდა.

გამოსაღები გაწერილი იყო აგრეთვე გლეხის მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელზე. ასეთ გამოსაღებს ეწოდებოდა **საბალახე** (გამოსაღები ბატონის კუთვნილი საძოვრებით სარგებლობისათვის) და **პირისთავი**.

ნატურალური ბეგარები ამით არ ამოიწურებოდა. კიდევ ერთი ბეგარა იყო „**ძღვენი**", რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა ერთდროულ მისართმეველს, საჩუქარს, მაგრამ მებატონეებმა იგი თანდათან მუდმივ გამოსაღებად აქციეს: წელიწადში რამდენჯერმე (აღდგომას, შობას, ყველიერს, მარხვას) ყმას უნდა მოენახულებინა თავისი ბატონი და „ძღვენი" მიერთმია მისთვის.

„**სამასპინძლო**" ანუ „**გოჭკომური**" განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ძალიან გავრცელებული და მეტად მძიმე ვალდებულება იყო. „სამასპინძლო" ნიშნავდა ბატონისა და მისი მხლებლების წელიწადში ერთხელ გამასპინძლებას. თან ბატონის სტუმრობისას სასმელ-საჭმელი შერჩეული, მისთვის „საკადრისი" უნდა ყოფილიყო. „სამასპინძლო" ანადგურებდა გლეხის მეურნეობას. „ბატონის სტუმრობა" მას ხშირად უკანასკნელ ლუკმას აცლიდა პირიდან.

მაგრამ მებატონე არ სჯერდებოდა ზემოხსენებულ რამდენსამე ნატურალურ გამოსაღებს და მათთან ერთად აწესებდა ფულად გამოსაღებსაც. ფულად გამოსაღებს ზოგან „თეთრი" ეწოდებოდა, ზოგან „სასვიანო", ზოგან „მალი" და სხვ. XVI ს-ში ფულადი გამოსაღები ჯერ კიდევ არ იყო დიდი, მაგრამ XVII ს-ში მან თანდათან იმატა.

მებატონეებს, მიწისმოქმედ გლეხებს გარდა, ყმებად ჰყავდათ შინამრეწველები, ხელოსნები და ვაჭრებიც, რომელთა საბატონო ბეგარა სხვაგვარი იყო: ხელოსნები და შინამრეწველები უფრო თავიანთი ხელობით ემსახურებოდნენ ბატონს, ვაჭარი კი თავისი შემოსავლის ნაწილით.

ზემოჩამოთვლილ ბეგარათა გარდა, გლეხს „**საბატონო სამსახური**" ანუ

შრომითი ბეგარაც ემართა. შრომითი ბეგარა ბატონის სასახლეში და მამულებში სხვადასხვაგვარ მუშაობას ნიშნავდა. ამა თუ იმ ყმა-გლეხის შრომითი ბეგარის სახე და დრო სხვადასხვაგვარად იყო განსაზღვრული.

ამრიგად, მებატონე ითვისებდა არა მარტო გლეხის შეშოსავლის ნაწილს, არამედ მის შრომასაც.

სახელმწიფო გამოსაღები

არა ნაკლებ მძიმე გამოსაღები ეკისრებოდა გლეხს სახელმწიფოს სასარგებლოდ. ერთ-ერთ ძირითად სამეფო გამოსაღებს ე. წ. **„კოდის პური“**, ანუ პურეულის მოსავლის ნაწილი შეადგენდა. სახელმწიფო გამოსაღები იყო აგრეთვე **„კულუხი“** — ღვინის გადასახადი, „საბალახო“ — გამოსაღები წვრილფეხა საქონელზე (ცხვრის ფარაზე, ღორის ჯოგზე და სხვ.). ამავე რიგის სახელმწიფო გამოსაღებს შეადგენდა **„პირისთავი“**. მსხვილფეხა საქონელზე დაწესებულ გამოსაღებს **„ნახირისთავი“** ეწოდებოდა.

სახელმწიფო გამოსაღებთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფულად გადასახადს **„საურს“**, რომელსაც ზოგჯერ „სათათრო საურს“ უწოდებდნენ. „საური“ ანუ „სათათრო საური“ გაწერილი იყო მოსახლეობაზე უცხოელ დამპყრობელთა — ირანის ან თურქეთის — დასაკმაყოფილებლად. მაგრამ საური მაშინაც იკრიბებოდა, როცა იგი ირანის შაჰს ან თურქეთის სულთანს არ ეგზავნებოდა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფო ბეგარას **„ლაშქარ-ნადირობა“** წარმოადგენდა. „ლაშქრობა“ ანუ მეფის ლაშქრობაში მონაწილეობა ყველასათვის სავალდებულო სამხედრო ბეგარა იყო; მისგან იშვიათად თუ ვინმე განთავისუფლდებოდა. სალაშქროდ გამოსულს თან უნდა ჰქონოდა თავისივე საჭური და საგზალიც. წინასწარ ისაზღვრებოდა ისიც, თუ ვინ როგორი იარაღით უნდა გამოსულიყო.

სამხედრო ბეგარა მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას. თითქმის მუდმივი საშინაო და საგარეო ომიანობა მწარმოებელ კლასს სწყვეტდა თავისი მეურნეობისაგან.

ლაშქრობა ფიზიკურადაც ანადგურებდა მწარმოებელ კლასს. კარგი, მარჯვე იარაღით მხოლოდ ფეოდალები იყვნენ აღჭურვილნი. გლეხობა კი მეტწილად შეადგენდა ცუდად შეიარაღებულ ქვეით ლაშქარს და მსხვერპლიც ომის დროს უმთავრესად სწორედ მათზე მოდიოდა.

არანაკლებ **მძიმე** ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას ე. წ. „ნადირობა“ ანუ სანადირო ბეგარა, შინაარსით სამხედრო ბეგარასთან დაკავშირებული. იგი ნადირობაში პირად მონაწილეობას, ან კიდევ ნადირობასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საქმის შესრულებას გულისხმობდა.

სანადირო ბეგარა, ლაშქრობის მსგავსად, ყველას ეკისრებოდა.

ყმა-გლეხთა ვალდებულებას შეადგენდა ნადირობასთან დაკავშირებული დამხმარე საქმიანობის წარმოება: ქორ-მიმინოების და ძაღლების შენახვა-მოვლა და სხვ. ნადირობასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ზოგ სოფელზე გაწერილი სხვადასხვაგვარი გამოსაღები — მაგალითად, **„საბაზიერო“**, **„საშევარდნო“** და სხვა.

ზემოაღნიშნულს გარდა, ყმა-გლეხობა სახელმწიფოს სასარგებლოდ ეწეოდა სხვადასხვაგვარ შრომით ბეგარასაც.

ყოველი მებატონის ყმა-გლეხთა სახელმწიფო ბეგარას შეადგენდა **გზების** შენახვა, ხიდების, ციხე-სიმაგრეების, სასახლეების და სხვადასხვა საზოგადოებრივ ნაგებობათა შენება-შეკეთება.

ასევე განსაზღვრული ბეგარა იყო ყმა-გლეხთა მონაწილეობა მეფის ტვირთის გადაზიდვაში.

სამეფო ბეგარის ერთ-ერთ სახეს შეადგენდა ე. წ. **„სასტუმროც“**, რაც სტუმრების (ელჩების, მოციქულებისა და სხვ.) ჩაყენებას, მათ შენახვას გულისხმობდა.

მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებული ხარჯები და სათანადო მოხელეების (ამწერლების) გასტუმრებაც თვით მოსახლეობას, მის დაბალ ფენებს ეკისრებოდა.

საეკლესიო გამოსაღები

გლეხი ვალდებული იყო გადასახადი ეძლია ეკლესიისათვისაც. ეკლესიას თავისი საკუთარი ყმები ჰყავდა და მათაც ისეთივე მძიმე ვალდებულება აწვათ კისრად, როგორიც საერო ფეოდალთა ყმებს. ამას გარდა, ეკლესია თავის უფლებას ავრცელებდა სხვათა — მეფის, თავადის თუ აზნაურის — ყმებზედაც.

მეფის, თავადის თუ აზნაურის ყველა ყმა შედიოდა ამა თუ იმ ეკლესიის სამწყსოში. სხვადასხვა სამწყსოში სხვადასხვაგვარად იყო განსაზღვრული ამა თუ იმ კომლის საეკლესიო გამოსაღები.

ძირითად საეკლესიო გამოსაღებს ე. წ. **„დრამა“** შეადგენდა. დრამას ზოგი სოფელი პურით იხდიდა, ზოგი კანაფით, ზოგი ტილოთი, ზოგი ფულით და ა. შ. ამას გარდა, სამწყსოს ზოგ სოფელს ევალებოდა ანუ „ედვა“ ე. წ. **„ჩაყენება“** თუ **„მასპინძლობა“**, ე. ი. ეპისკოპოსისა და მისი მხლებლების გამასპინძლება. მოსანათლავი, ჯვარის დასაწერი თუ მკვდრის დასაკრძალავი საწირავებისათვის გამოსაღებსა და „ძღვენ-საჩუქრებს“ გარდა, ეკლესია აწესებდა ე. წ. „საკანონისაც“ — ჯარიმას სხვადასხვა რელიგიური წესების დარღვევისათვის, რომელიც არანაკლებ ავიწროებდა მწარმოებელ მოსახლეობას.

სამოხელეო გამოსაღები

მეფესაც და ცალკეულ მებატონეებსაც (საეროსა თუ საეკლესიოს) თავ-თავიანთ სოფლებში ჰყავდათ მოხელეები — მოურავები, მამასახლისები, ნაცვლები და სხვა. მოხელეთა მთელი ამ შტატის შენახვა ფაქტიურად აგრეთვე თვით სოფლის მოსახლეობის მწარმოებელ ფენას, ყმა-გლეხობას ეკისრებოდა. ამა თუ იმ მოხელის სარგო, რომელიც მას თავის სამოხელეო სოფლიდან უნდა აეღო, სათანადო წიგნით, „დებულებით“ იყო განსაზღვრული. სამოურაო თუ სხვა მოხელეთა გარიგების წიგნები სხვადასხვა სოფლისათვის სხვადასხვაგვარი იყო.

მოხელეთა უზრუნველყოფის ამგვარი წესი — მათი რჩენა სოფლის ხარჯზე — საშუალებას აძლევდა მოხელეებს სოფლები თავის საწველ ფურად ექციათ. მოურავები, მამასახლისები, ნაცვლები და სხვანი ხშირად არღვევდნენ მათთვის მიცემულ „სარგოს წიგნებს“ და სოფლის მოსახლეობას თვითნებურად ახდევინებდნენ ამა თუ იმ გამოსაღებს, სხვადასხვაგვარ ჯარიმას და როგორც სურდათ, ისე იმსახურებდნენ ყმა-გლეხებს.

გლეხთა ექსპლუატაციის გაძლიერება

როგორც უკვე ვნახეთ, ყმა-გლეხები აჭმევდნენ და ასმევდნენ, ყანას უხნავდნენ და უთოხნიდნენ, ჭირნახულს უმკიდნენ და უბინავებდნენ, ვენახებს უმუშავებდნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს — მეფეს, თავადებს, ეკლესიას, აზნაურებს. გლეხის ხარჯზე ცხოვრობდნენ მოხელეებიც. გლეხის ექსპლუატაცია მრავალმხრივი და მძიმე იყო.

გაბატონებული კლასის ხელთ იყო ძალა, იძულების სხვადასხვა ორგანოები და ამით იგი ყმა-გლეხს აიძულებდა. ხშირად უფრო მეტიც გადაეხადნა და ემუშავნა, ვიდრე ყმობის პირობით იყო დადგენილი. რამდენადაც მეტი ახალ-ახალი მოთხოვნილება უჩნდებოდათ მემამულეებს, იმდენად მატულობდა გლეხთა გამოსაღებიც. გლეხთა საბატონო ბეგარა-გამოსაღებს მებატონეები სხვადასხვა ხერხით ზრდიდნენ. ხშირად მებატონე ამა თუ იმ გადასახადს პირდაპირ უმატებდა, ან არადა ძირითადი ბეგარა-გამოსაღების, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, **„თავი ბეგარის“** გარდა აწესებდა ახალს, რომელსაც **„სხვა ბეგარა“** ერქვა. „სხვა ბეგარის“ გაჩენას ექსპლუატირებული მოსახლეობა **„უდების დადებას“** უწოდებდა. გლეხთა საგადასახადო ნორმების ზრდა და „სხვა ბეგარის“ წარმოქმნა XVII ს. საქართველოში საერთო მოვლენას წარმოადგენდა.

XVII ს-ში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, შეიმჩნევა აგრეთვე მსახურების შემდგომი დაყმევება. ამ დროისათვის ისინი ფაქტიურად ყმებად, მოინალე-გლეხებად გადაიქცნენ; ფეოდალებმა, თავიანთი შემოსავლის შემდგომი გაზრდის მიზნით, მათაც დააკისრეს ნადობა, ნიადაგ მუშაობა და ტვირთის ზიდვაც კი. ესეც XVII ს-ში გლეხთა ექსპლუატაციის შემდგომ გაძლიერებას მიგვითითებს.

საგლეხო გამოსაღების მომატებას მებატონეები ახერხებდნენ აგრეთვე გამოსაღების ასაკრეფ საზომ-საწყაოთა გადიდებით. ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა XVI—XVII საუკუნეებში, როცა ამ საზომთა ძირითადი ერთეული — ლიტრა, XV საუკუნესთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა. საზომ-საწყაოთა ოდენობის გაზრდა, ცხადია, პროპორციულად იწვევდა გლეხთა გამოსაღების ზრდას. ასე რომ, XVI—XVII ს-ში გლეხი ფაქტიურად გაცილებით მეტ ჯოდის პურს, კულუხსა და სხვა გამოსაღებს იხდიდა, ვიდრე XV საუკუნეში.

ექსპლუატაციის ასეთი ფორმები სულ უფრო და უფრო აუარესებდა გლეხთა ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობას: მებატონე თავისი ყმა-გლეხის თითქმის მთელს ნაჭირნახულევს ითვისებდა.

მრავალგვარი ბეგარა-გამოსაღებით დატვირთული ყმა-გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა მებატონეების მოხელეთა თვითნებური თარეში, მექრთამეობა და განსაკუთრებით კი შინაკლასობრივი ბრძოლები თვით ფეოდალებს შორის.

ყმა-გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმები

საბატონო გამოსაღებთა სიმძიმე გლეხთა ბეგარა-გამოსაღების მომატების გარეშეც იწვევდა ყმა-გლეხთა ბრძოლას ფეოდალების წინააღმდეგ. მაგრამ, რაც უფრო ძლიერდებოდა გლეხთა ექსპლუატაცია, მით უფრო მწვავდებოდა კლასობრივი ანტაგონიზმი მემამულეებსა და ყმა-გლეხებს შორის.

ფეოდალთა და მათი მოხელეების თვითნებობა გლეხს აიძულებდა სხვადასხვა საშუალებით დაეცვა თავი მათგან, ებრძოლა მათ წინააღმდეგ.

კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო გლეხთა მიერ სასამართლოში თუ მეფესთან წარდგენა საჩივრისა ამა თუ იმ მებატონის თუ მოხელის თვითნებობის გამო. სასამართლოს შემწეობით ცალკეული გლეხი, ან მთელი სოფელი ცდილობდა საკუთარი ან მეზობელი ბატონის მძლავრობა-უსამართლობისაგან თავის დაცვას. გლეხთა ამგვარ გამოსვლას „დეობას" ანუ „დავას" უწოდებდნენ. ფეოდალური სასამართლო და მეფე ფეოდალთა კლასის ინტერესებს იცავდა და ამიტომ გლეხთა „დეობა" და საჩივარი მეტწილად მათი მარცხით თავდებოდა.

გლეხი იძულებული იყო კლასობრივი ბრძოლის სხვა ფორმისათვის მიემართა. ასეთად მას ბატონყმობაზე „უარის თქმა" და გაქცევა მიაჩნდა. „აყრა-გაქცევა", „ხიზნობა" და „ბოგანობა" XVI—XVII სს. საქართველოში გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა იყო. ყმა-გლეხის გაქცევით მებატონე მუშახელისა და შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს კარგავდა და ამდენად აყრა-გაქცევა ხელს უწყობდა ფეოდალური მეურნეობის დასუსტებას, დაქვეითებას. მებატონისაგან გაქცეული გლეხი სხვაგან მიდიოდა, ან სხვა კუთხის მებატონეს „მიენდობოდა", „შეეხიზნებოდა" და მასთან „ბოგანობდა" ან კიდევ „აბრაგობდა", „ყაზახობდა". კლასობრივი ბრძოლის ამ ფორმის ფართო გავრცელებასა და, საერთოდ, კლასობრივი ანტაგონიზმის გამწვავებას მიგვითითებს „აყრილი მამულებისა" და „პარტახტების" სიმრავლე აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში.

ქართლში აყრილი გლეხები კახეთში გარბოდნენ, იმერეთის სამეფოდან — ქართლსა და კახეთში, სამეგრელოდან — აფხაზეთში, იმერეთში ან კიდევ უფრო შორსაც.

აყრილ-გაქცეულ გლეხთა ერთი ნაწილი აბრაგობას იწყებდა და იარაღით არა მარტო თავს იცავდა უსამართლო ბატონისაგან, არამედ თვით ესხმოდა თავს მის სახლ-კარს, ძარცვავდა და ცეცხლს უკიდებდა მას, კლავდა ბატონსაც და მსგავს „ბევრს ავს საქმეში" ერეოდა. აბრაგ-გლეხთა ჯგუფები ზოგჯერ მრავალრიცხოვანი იყვნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ საერო თუ საეკლესიო მებატონეებს.

გლეხთა აბრაგობა-ყაზახობა ზოგჯერ ერთობლივი გამოსვლის სახესაც იღებდა.

კლასობრივი ბრძოლის კიდევ ერთი გავრცელებული ფორმა იყო „სამსახურის წინააღმდეგობა" ანუ სამეფო, საეკლესიო თუ საბატონო გამოსაღებზე უარის თქმა. საბატონო სამსახურზე უარს ამბობდა ზოგჯერ ცალკეული გლეხი, ზოგჯერ კი მთელი სოფელი. ფეოდალური სამართალი საგლეხო გადასახადებზე უარის თქმას ამბოხებად მიიჩნევდა და ცალკეულ ამბოხებულს გაწყვეტვით სჯიდა. მაგრამ საბატონო სამსახურზე უარის თქმა ზოგჯერ მასიურ ხასიათს იღებდა, აჯანყებად იქცეოდა და მაშინ ხელისუფლება ამბოხებულთა წინააღმდეგ იარაღსაც მიმართავდა.

ერთი ასეთი გამოსვლა მოხდა XVII ს. 70-იან წლებში, არაგვის საერისთაოს სოფელ ქაისხევში. ქაისხეველებმა უარი თქვეს საეკლესიო გამოსაღებზე,

ისინი „წყინობდნენ“ ეპისკოპოზის სოფელში შესვლას და „წილკნელს ჯანღი უყვეს, არ შეუშვეს“. მაგრამ წილკნელს ზაალ ერისთავი ამოუდგა მხარში და სოფელს იასაულები შეუსია, „ავად მოეპყრა“. მიუხედავად ამისა, მთის ამ სოფლის დამორჩილება შეუძლებელი შეიქნა და ამის შემდეგ იგი გათავისუფლებულ იქნა საეკლესიო გამოსაღებისა და წილკნელის ჩაყენებისაგან, „სტუმრობისაგან“.

XVI—XVII სს. საქართველოში გლეხთა ანტიბატონყმურ მოძრაობას მეტწილად ცალკეული გამოსვლის ხასიათი ჰქონდა და ხშირად პასიური იყო. გლეხთა მასობრივ გამოსვლებსაც არ ჰქონდა დიდი გაქანება. ერთობლივი, დარაზმული ბრძოლის შეგნება მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. ამას გარდა, გლეხთა შორის სხვადასხვა ფენებისა და კატეგორიების არსებობა ხელს უშლიდა მათ გაერთიანებულიყვნენ და საერთო ინტერესებით გამოსულიყვნენ, მაგრამ ამგვარ ბრძოლასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

„ტყვის სყიდვა“

გლეხთა ანტიბატონყმური გამოსვლის წინააღმდეგ ფეოდალები სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავდნენ: გაქცეულ გლეხს, თუკი იგი დიდი ხნით და საიმედოდ არ „გადაიკარგებოდა“, მებატონე უკან იბრუნებდა. ფეოდალური სამართალიც მებატონეთა მხარეზე იყო და საშუალებას აძლევდა მათ გაქცეული, აყრილი ყმა 30 წლის განმავლობაში ეძებნათ და უკან დაებრუნებინათ, ან არადა იმ ბატონისათვის მიეყიდათ, რომელთანაც ყმა თავშეფარებული იყო. გაქცეული ყმის უკან დაბრუნება ან ახალი ბატონისათვის მიყიდვა გლეხთა აყრა-გაქცევის წინააღმდეგ მიმართული კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი სახე იყო. გლეხის მდგომარეობა ორივე შემთხვევაში უარესდებოდა. მაგრამ მებატონეები ამასაც არ ჯერდებოდნენ და კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო მახინჯსა და ველურ ფორმას — ტყვეთა სყიდვას მიმართავდნენ. ტყვეთა სყიდვამ განსაკუთრებით მძვინვარე და ფართო ხასიათი XVI—XVII სს. დასავლეთ საქართველოში მიიღო.

„ტყვის სყიდვა“ ეწოდებოდა ყმა-გლეხის უცხოეთში გაყიდვას. საკმარისი იყო ფეოდალს, რაიმე დანაშაულის მომიზეზებით ან სრულიად უმიზეზოდაც, თავისი თუ სხვისი ყმა დაეჭირა, ხელ-ფეხი შეეკრა მისთვის და ცოტა ხნით სადმე გადაემალა, რომ იგი „ტყვედ“ ექცია. ტყვედ ქცეულ ყმა-გლეხს მებატონე ადვილად ჰყიდდა. ასეთ ტყვეებზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო ოსმალეთში. იქ ტყვეებს იყენებდნენ ლაშქარში (იანიჩარებად), ჰარამხანებში (ქალებს), გემებზე მოსამსახურეებად და ა. შ. თურქეთის მეზობლობა და შავი ზღვის სავაჭრო პუნქტებზე მისი ბატონობა დიდად უწყობდა ხელს დასავლეთ საქართველოში „ტყვეთა სყიდვის“ ფართოდ გავრცელებას.

დასავლეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობდნენ მთავრები, თავადები, აზნაურები, თვით ეპისკოპოსები და ზოგ შემთხვევაში აბრაგი გლეხებიც კი.

ტყვით ვაჭრობა განსაკუთრებით შავი ზღვის ნავთსადგურებში იყო გაჩაღებული. ყოველ სექტემბერში მოადგებოდნენ ხოლმე მათ, ნაირ-ნაირი საქონლით დატვირთული ხომალდებით, თურქი ვაჭრები, რომელთაც ამ საქონლის სანაცვლოდ აქედან ხელ-ფეხშეკრული მონები მიჰყავდათ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ტყვეებით მოვაჭრე ნავსადგურთა შორის **ყულევს** ჰქონია. ამ

ნავსადგურს სახელიც — „ყულე“ — მისი ამგვარ „საქმიანობაში“ განსაკუთრებული როლის გამო უნდა შერქმეოდა („ყული“ თურქულად შონასა ნიშნავს).

ტყვეთა სყიდვა, ესოდენ გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, XVII ს-ისათვის მოედო თითქმის მთელ საქართველოს. ამ მახინჯ მოვლენას საქართველოს სხვა კუთხეებშიც იგივე სოციალურ-ეკონომიური მიზეზები ჰქონდა, რაც დასავლეთ საქართველოში.

ტყვის სყიდვა ანადგურებდა მწარმოებელ კლასს: ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელებს უვარდებოდა ხელში; ქვეყანა მოსახლეობის საუკეთესო ნაწილისაგან იცლებოდა. ამიტომ იყო, რომ XVI ს. დასავლეთ საქართველოში მწარმოებელი მოსახლეობის რიცხვი არათუ არ გაიზარდა, არამედ ორჯერ შემცირდა. ყოველივე ეს კი, საბოლოო ანგარიშით, განვითარების გზას უღობავდა ფეოდალურ საზოგადოებას.

§ 2. სოციალური ურთიერთობა ქალაქებში

ქალაქების სოციალური სახე

ქალაქების ძირითადი მოსახლეობა ხელოსნების, ვაჭრებისა და მედუქნეებისაგან შედგებოდა. მათი დიდი ნაწილი ყმა იყო. ყმა ხელოსნები და ვაჭრები ჰყავდათ მეფეს, ეკლესიას, თავადებსა და აზნაურებსაც. ქალაქის ყმური მოსახლეობა, ისევე როგორც ყმა-გლეხები სოფლად, სხვადასხვა კატეგორიისა იყო: ზოგი მათგანი ბატონის მიერ ნასყიდი იყო, ზოგი ტყვეობიდან გამოსყიდული, ზოგი დავალიანების გამო ჰყიდდა თავის თავს და ა. შ. ყველა ამათ საერთოდ „ნასყიდ ყმა“ ხელოსანს თუ ვაჭარს უწოდებდნენ. იყვნენ აგრეთვე „ნაწყალობევი“ ან ეკლესია-მონასტრებისადმი „შეწირული“ ყმა ხელოსნები და ვაჭრები. ზოგი ხელოსანი, რომელიც დროებით მაინც ახერხებდა თავის დახსნას, რაკი XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქები იქ თავშეფარებულ ყმას დიდი ხნით თავისუფლებას არ ანიჭებდნენ, „თავისი ნებით“ ეყმობოდა ამა თუ იმ ბატონს. ასეთ ყმებს „ნებიერ“ ყმებს უწოდებდნენ.

ქალაქის მოსახლეობის ერთ ნაწილს შეადგენდნენ ე. წ. „ქალაქის გლახაკნი“ ანუ „უქმად მოსიარულნი“, რომელნიც მათხოვრობითა და ყოველდღიურად სხვადასხვა შავი მუშაობის უმნიშვნელო ქირით ირჩენდნენ თავს.

ქალაქების მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო თავისუფალი მწარმოებელი და ვაჭარი. მათი ერთი ჯგუფი პრივილეგირებულ ზედაფენას ქმნიდა. ასეთებს თბილისში „მოქალაქეები“, ხოლო სხვა ქალაქებში ე. წ. „მეფის ვაჭრები“ შეადგენდნენ. XVI—XVII სს. მიჯნაზე „მოქალაქის“ და „სამეფო ვაჭრის“ წოდება ქალაქის მოსახლეობის მდიდარი ზედაფენის განსაკუთრებულ პრივილეგიად იქცა. XVII—XVIII სს. თბილისში „მოქალაქის“ წოდების მისაღებად საგანგებო წესები იყო შემუშავებული.

მოქალაქეები და „სამეფო ვაჭრები“ ქონებრივი შეძლებით საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ქალაქის ყმა-ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან. ისინი ფლობდნენ საკმაოდ დიდ კაპიტალს, საწარმოო საშუალებებს, დუქნებს, ქარვასლებს, სახნავ მიწებს და ზოგჯერ ყმებსაც, მათ შორის ხელოსნებსაც. მათ

ქალაქებში ჰქონდათ კარგად მოწყობილი ქვის სახლები, რამდენიმე ოთახით, დარბაზით, აივნებით, მარნით, სათორნით, ბაღ-ბოსტნითურთ და სხვ.

მეფის ხელისუფლებაც თავის მხრივ გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა და განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა მოქალაქეებს. ცხადია, ყმა-ხელოსნები და ვაჭრები ყოველივე ამას მოკლებული იყვნენ. მათი უმეტესობა ნაქირავებ დუქნებში მოსაქმეობდა და ცხოვრობდა ქოხებში, რომლებიც „უფრო საქათმეს წააგავდნენ, ვიდრე საცხოვრებელ სახლს“.

ქალაქის მოსახლეობას — როგორც მოქალაქეებს, ისე ყმა-ხელოსნებსა და ვაჭრებს, მეფისა თუ ქალაქის სხვა მფლობელის სასარგებლოდ სხვადასხვაგვარი ვალდებულება ეკისრებოდა. ამას გარდა, ყმა-ხელოსნები და ვაჭრები ცალკე თავიანთ უშუალო ბატონებსაც უწევდნენ სამსახურს. მათი ვალდებულება სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვაგვარი იყო. ყმა-ხელოსანი და ვაჭარი საბატონო ბეგარას ძირითადად თავისი შემოსავლის ნაწილით იხდიდა. ამას გარდა, მებატონე ითვისებდა ოსტატის უფასო შრომასაც.

კლასობრივი ბრძოლა ქალაქებში

არა ნაკლებ მწვავე იყო კლასობრივი ბრძოლა XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქებშიც. ქალაქის მოსახლეობის მძიმე სახელმწიფო და კერძო საბატონო ვალდებულება, ქალაქის მოხელეთა მიერ მოსახლეობის დაუნდობელი ყვლეფა და ძარცვა იწვევდა კლასობრივ ანტაგონიზმს ქალაქის ფეოდალურ არისტოკრატიასა და ექსპლუატირებულ მოსახლეობას შორის.

ქალაქის მოსახლეობის ეს უდიდესი ნაწილი ფეოდალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ იმავე ხერხებით იბრძოდა, რითაც ყმა-გლეხობა სოფლად, ოღონდ ქალაქის მოსახლეობის გამოსვლა, ზოგჯერ, შედარებით უფრო დარაზმული იყო ხოლმე.

მებატონეთა თუ მოხელეთა უსამართლობის გამო ქალაქებში არა მარტო ცალკეული პირები ჩიოდნენ, არამედ ზოგჯერ მთელი მოსახლეობაც. ამგვარი საჩივრები, ცხადია, უფრო მრისხანე იყო და ქალაქის მოსახლეობის ერთგვარ ანტიფეოდალურ მასობრივ გამოსვლად იქცეოდა ხოლმე. ქ. გორის მოსახლეობა ასე მასობრივად გამოსულა, ქალაქის მოურავის წინააღმდეგ, XVII ს. მიწურულს. გორელების ერთობლივმა გამოსვლამ აიძულა მეფე ერეკლე I გაეუქმებინა ყველა ძველი განაწესი, რომელთა ძალითაც მოქმედებდა გორის მოურავი და ქალაქისთვის მიეცა „ახალი განჩინება“, რომელიც შედარებით ხელსაყრელი ყოფილა ქალაქის მოსახლეობისათვის. როგორც ჩანს, გორელების ერთსულოვანი ბრძოლა ამ შემთხვევაში გამარჯვებით დაგვირგვინებულა. მაგრამ საჩივრებს ყოველთვის სასურველი შედეგი არ მოჰქონდა და ამიტომ სოციალური ჩაგვრით შევიწროვებული ქალაქის მოსახლეობაც — მათ შორის სამეფო ვაჭრებიცა და მოქალაქეებიც — „ხელმწიფის ყმობას გმობდნენ“, ქალაქიდან გარბოდნენ და უცხო მხარეებში აფარებდნენ თავს.

XVII ს-ში „მრავალი მოქალაქე და გორელი კაცი“ გაქცეულა. გაქცევით ბატონყმობაზე უარის თქმა იმ დროის საქართველოს ქალაქებში არც თუ იშვიათი მოვლენა ყოფილა.

კლასობრივი ბრძოლა ზოგჯერ რელიგიური შეტაკების სამოსელში ეხვეოდა. ასე მაგ., თბილისის ვაჭრებისა და მედუქნეების 1698 წ. ამბოხებამ ევროპის

სავაჭრო კაპიტალის აგენტების — კათოლიკე მისიონერებისა და მათი დამცველების, ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლების წინააღმდეგ რელიგიური ბრძოლის სახე მიიღო. ამ ამბოხების მოთავე, ქართული და სომხური ეკლესიების წარმომადგენლების გარდა, „ქალაქის 5 თუ 6 მოწინავე პირიც“ ყოფილა, მღელვარების მთავარ ძალას კი შეადგენდნენ ობილისის ვაჭრები და მედუქნეები, რომლებმაც მოწოდებისთანავე დაკეტეს დუქნები და, კეტებით, ქვებითა და ცულებით შეიარაღებულნი, ერთბაშად შეესიენ პატრების სახლებსა და ეკლესიებს. რომის პაპის აგენტების წინააღმდეგ ამხედრებული ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის დასაწყნარებლად საჭირო გახდა სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათი რაზმების ჩარევა.

კლასობრივი, ანტიფეოდალური ბრძოლები საქართველოს ქალაქებში ზოგჯერ ნაციონალურ შუღლსა და კონფლიქტებშიც იჩენდა თავს. კლასობრივი ანტაგონიზმის ამგვარ გამოვლინებას განსაკუთრებით ისიც უწყობდა ხელს, რომ ფეოდალური საქართველოს ქალაქებში როგორც ყმა-ვაჭრებსა და ხელოსნებს, ისე მოსახლეობის ზედაფენას, ე. ი. მოქალაქეებსაც, მეტწილად სხვა ეროვნების წარმომადგენლები, კერძოდ სომხები, შეადგენდნენ. მართალია, სომხური მოსახლეობის დიდი ნაწილი ძველადვე იყო საქართველოში გადმოსახლებული და ენობრივად და კულტურულად, ფაქტიურად, უკვე დიდი ხანი იყო ქართველობას ეკუთვნოდა, მაგრამ ქართველი თავად-აზნაურობა ყველა იმათ მაინც სომხებად თვლიდა. ქართული ფეოდალური არისტოკრატია განსაკუთრებით განაწყენებული იყო იმით, რომ მოქალაქეებს მეფეთა მიერ გარკვეული პრივილეგიები ჰქონდათ მინიჭებული. და ყოველნაირად ცდილობდა ისინი მეფისათვის დაეპირისპირებინა. მაგრამ მეფეებს, ჩანს, ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა, და განსაკუთრებით კი მისი ზედაფენა, უფრო მტკიცე და საიმედო დასაყრდენად მიაჩნდათ, ვიდრე ქართული ფეოდალური არისტოკრატია.

კლასობრივი ბრძოლა თვით ქალაქის მოსახლეობის შიგნითაც მიმდინარეობდა.

როცა ქალაქის მოსახლეობა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ გამოდიოდა, მაშინ მისი ინტერესები ერთიანდებოდა. მაგრამ, ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენლები ზოგჯერ ბატონებად და თავნება მოხელეებად ევლინებოდნენ ქალაქის მოსახლეობის დაბალ, ძირითად ფენას. ამიტომ ამ უკანასკნელს ბრძოლა უხდებოდა არა მარტო ფეოდალთა მძლავრობის, არამედ აგრეთვე საკუთარ თანამოქალაქეთა — მსხვილ ვაჭარ-მევახშეთა წინააღმდეგ.

ქალაქის მოსახლეობის ეკონომიური და სოციალური სიჭრელე, სხვადასხვა ფენების ინტერესთა სხვადასხვაობა, მოსახლეობის დანაწილება-დაქსაქსულობა სამეფო, საეკლესიო თუ კერძო საბატონო ყმებად ხელს უშლიდა ქალაქებს ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გასათავისუფლებლად და თვითმმართველობის მოსაპოვებლად.

§ 3. გაბატონებული კლასი

მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმები

XVI — XVII სს. საქართველოში არსებითად იყო მიწის ფეოდალური საკუთრების ორი ძირითადი ფორმა: **კერძო-საბატონო** და **სათავადო.**

საბატონო ანუ „საოჯახოთო“ საკუთრება, რომელიც გულისხმობდა მიწაზე კერძო მესაკუთრეთა მფლობელობას, შეადგენდა საკუთრების შედარებით პროგრესულ ფორმას. იგი აქეზებდა მებატონეს ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის, რასაც სათავადო მფლობელობა ფაქტიურად სპობდა.

სათავადო საკუთრებაში ძირითადად ბატონობდა მიწის „სახასო“ და „საუფლისწულო“ ანუ საერთო საგვარეულო მფლობელობის ფორმები. სათავადო ანუ სახასო-საუფლისწულო მიწები თავადისა და მისი სახლის წევრების, თავადიშვილების საერთო-საგვარეულო საკუთრება იყო. იგი არ ეკუთვნოდა არც ერთ მათგანს ცალკე და ამიტომ არც ერთი მათგანი მაინცდამაინც არ იყო დაინტერესებული იქ ინტენსიური მეურნეობის წარმოებით.

სათავადო საკუთრება, ისევე როგორც კერძო საბატონო, არსებითად შედგებოდა ორი ნაწილისაგან. მიწის ერთი ნაწილი დაყოფილი იყო ყმა-გლეხებს შორის, მეორე ნაწილს კი მემამულენი უშუალოდ ფლობდნენ. ეს უკანასკნელი შედგებოდა „ხოდაბუნებისა“ და „ზვრებისაგან“. „ხოდაბუნი“ ვრცელ სახნავ მიწას ეწოდებოდა, „ზვარი“ კი დიდ ვენახს. ზოგ მებატონეს შედარებით მცირე ხოდაბუნი ანუ „სახნავი“ ჰქონდა, ზოგან კი ზვრებს შედარებით მცირე „ვენახი“ ენაცვლებოდა.

ხოდაბუნებს, სახნავებს, ახოებს, ზვრებსა და ვენახებს მათი მფლობელები ყმა-გლეხების შრომითი ბეგარის საშუალებით ამუშავებდნენ.

მიწების მეორე ნაწილი უშუალოდ გლეხებს ჰქონდათ დარიგებული საღალოდ. ამ მიწებით სარგებლობისათვის გლეხები მებატონეებს თავიანთი შემოსავლის ნაწილს აძლევდნენ. ფეოდალის სიმდიდრესა და სიძლიერეს განსაზღვრავდა მიწის სიდიდე და ყმა-გლეხთა რიცხვი.

მემამულეთა უმეტესობა, დიდი ფეოდალები, უზრუნველყოფილი იყვნენ ყმა-გლეხთა შრომითი ბეგარით. მაგრამ იყვნენ ისეთი ფეოდალებიც, რომელთაც თითო-ოროლა კომლი ყმა-გლეხი ჰყავდათ, ზოგს კი არც ერთი. ასეთი წვრილი მემამულენი თავიანთ მამულებს დაქირავებული შრომით ამუშავებდნენ. დაქირავებული შრომის წყაროს შეტწილად ისევ სხვა მებატონეთა ყმები შეადგენდნენ.

თავადი

მემამულეთა ქონებრივი სიძლიერე განსაზღვრავდა იმ სხვადასხვა კატეგორიებსაც, რომლებიც ამ გაბატონებულ კლასს შიგნით იყო.

XVI — XVII სს. საქართველოში დიდ ფეოდალთა სოციალურ წოდებას ჰქმნიდნენ ე. წ. **თავადები.** XV საუკუნისათვის „თავადი“ გამოეყო ძველ აზნა-

ურთა კლასს და ცალკე სოციალურ წოდებად იქცა. XVI ს. კიდევ უფრო გაძლიერდა ეს პროცესი და კიდევ უფრო განმტკიცდა თავადთა ძალაუფლება.

თავადი ეწოდებოდა მსხვილ მემამულეთა სამფლობელოს, „სათავადოს" თუ „სახლის" (სენიორიის) უფროსს, გამგებელს. თავადთა შორის უპირველესთ შეადგენდნენ ე. წ. **„დიდებული თავადები"**, რომელნიც, მრავალრიცხოვან ყმა-მამულთან ერთად, დიდ სამოხელეო თანამდებობასაც ფლობდნენ. XVI ს-ში ქართლში ასეთი თავადები იყვნენ: ფანასკერტელ-ციციშვილი, ზევდგინიძე-ამილახორი, მუხრან-ბატონი, ბარათაშვილი, ქსნის ერისთავი, ჯავახიშვილი, სომხითის მელიქი და სხვ.; იმერეთის სამეფოში: აბაშიძე, რაჭის ერისთავი, წერეთელი, აგიაშვილი და სხვები.

დიდებულ თავადებს შემდეგ მოდიოდნენ ე. წ. **„შუა თავადები"**. ამ კატეგორიას ქმნიდნენ მსხვილ სათავადოთა სახლის წევრები, მათივე თანამოგვარენი, რომელთაც არ ჰქონდათ ოჯახის თავადობა, უფროსობა და მაღალი თანამდებობა სამეფო კარზე. შუა თავადების კატეგორიას ეკუთვნოდნენ აგრეთვე სხვა, შედარებით წვრილ მემამულეთა სახლის უფროსებიც.

მემამულე თავადების დანარჩენი ნაწილი კი ქმნიდა მესამე, **„დაბალ თავადთა"** კატეგორიას.

აზნაური

ფეოდალურ ქვეყანაში გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდნენ აზნაურებიც.

კუთვნილების მიხედვით აზნაურებიც განიყოფოდნენ სამეფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურებად. ყველაზე მეტი აზნაურები, ცხადია, მეფეებს ჰყავდათ.

აზნაურები საკმაო რაოდენობით ჰყავდათ თავადებსაც. სათავადო აზნაურები იყოფოდნენ „სასახლო", „საუფლისწულო" და „სათავისთაო" აზნაურებად.

ისინი არც ქონებრივი შეძლების მიხედვით იყვნენ ერთნაირ მდგომარეობაში. ზოგს 100-ზე მეტი ყმა-გლეხი ჰყავდა, ზოგი აზნაური კი სრულიად უყმო იყო. ამის მიხედვით აზნაურებში გამოიყოფოდა სამი ძირითადი კატეგორია: პირველს ე. წ. **„დიდი აზნაურები"** შეადგენდნენ, მეორეს — **„შუა აზნაურები"**, ხოლო მესამეს — **„ცალმოგვი აზნაურები"** ანუ წვრილი აზნაურები.

ზემოხსენებული სხვადასხვა კატეგორიის აზნაურები, იმის მიხედვით, თუ რა გზით შეიძინა თითოეული მათგანი თავისმა პატრონმა, იყოფოდნენ **„მკვიდრ"**, **„ახლად-მოსულ"**, **„ნაწყალობევ"** და **„ნასყიდ"** აზნაურებად. ეს უკანასკნელი აზნაურთა ყველაზე დაბალი კატეგორია უნდა ყოფილიყო.

აზნაურთა ფეოდალური საკუთრება უმთავრესად შედგებოდა პატრონის მიერ ნაწყალობევი ყმა-მამულისაგან. აზნაურის ქონება, იურიდიულად, მის პატრონს ეკუთვნოდა. ამიტომ აზნაურს არ შეეძლო პატრონის ნებადაურთველად თავისი ქონების გასხვისება. ასეთი დამოკიდებულება საშუალებას აძლევდა პატრონს ახალი გადასახადებით დაებეგრა არა მარტო აზნაურის ყმები, არამედ ზოგჯერ თვით აზნაურებიც კი.

აზნაურები შეადგენდნენ პატრონის მხლებელ ამალას, მის რაზმს. ამასთანავე, აზნაურებს სხვადასხვა თანამდებობა ეკავათ თავიანთ მფლობელთა კარზე.

აზნაურები, როგორც ყმა-მამულთა მფლობელები, თვით ეკუთვნოდნენ ექსპლუატატორთა კლასს და ქედმაღლურად ექცეოდნენ მსახურებსა თუ ყმა-გლეხებს. მაგრამ თავის მხრივ აზნაურებსაც ხშირად განუცდიათ მიმძლავრება თავიანთი პატრონების მხრივ. ეს კი იწვევდა შინაკლასობრივ ბრძოლას თავადებსა და აზნაურებს შორის.

ეკლესია

ფეოდალურ ქვეყანაში ეკლესია გაბატონებული კლასის არა მარტო ერთგული იდეოლოგიური მოკავშირე და დამცველი იყო, არამედ თვით წარმოადგენდა დიდ ფეოდალურ ორგანიზაციას და ამდენად ატარებდა ექსპლუატატორთა კლასის ყველა ნიშანს.

ეკლესია-მონასტრებს, ისევე როგორც საერო ფეოდალებს, მრავალი ყმა-მამული ეკუთვნოდათ. მათვე ჰქონდათ წისქვილები, ზეთსახდელები, სავაჭრო დუქნები; ჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ჯოგები და სხვ.

ეკლესია-მონასტრების სიმდიდრის მთავარ წყაროსაც ყმა-გლეხთა ექსპლუატაცია შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია-მონასტრები ფეოდალურ საქართველოში მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-ეკონომიურ ძალას წარმოადგენდნენ, ჩვენში XVI — XVII ს-შიაც არ ჩამოყალიბებულა ცალკე სასულიერო წოდება. ეკლესიის მსახურთა ერთი ნაწილი — მღვდლები და სხვ., დაბალი საზოგადოებრივი ფენებიდან იყვნენ გამოსული და თვით განიცდიდნენ ამა თუ იმ მებატონის მხრივ ექსპლუატაციას.

ეკლესია-მონასტრების მსახურთა მეორე ძირითად ნაწილს შეადგენდნენ მაღალი საეკლესიო ხელისუფალნი — კათალიკოსი, ეპისკოპოსები და სხვები. ასეთი დიდი საეკლესიო თანამდებობანი XVI — XVII სს. უკლებლივ ეპყრათ მაღალი საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებს — სამეფო სახლის წევრებს, თავადებსა და აზნაურებს. ასე რომ სასულიერო პირები ცალკე წოდებას კი არ ჰქმნიდნენ, არამედ სხვადასხვა წოდებაში ერთიანდებოდნენ. მათი ძირითადი, გავლენიანი ნაწილი ფეოდალ-ექსპლუატატორთა კლასში შედიოდა და იმგვარადვე უწევდა ექსპლუატაციას ყმა-გლეხობას, როგორც იმავე კლასში შემავალი საერო ფეოდალები. ამიტომ იყო, რომ ეკლესია სარწმუნოებით აკურთხებდა ფეოდალურ წყობილებას, ადიდებდა შუასაუკუნეებრივ ბატონყმობას, ქადაგებდა გაბატონებული და დამონებული კლასების არსებობის აუცილებლობას (მარქსი).

თ ა ვ ი XVII

საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება XVI-XVII საუკუნეებში

§ 1. საქართველოს საშინაო ვითარება XVI საუკუნეში

ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის გაღრმავება

XVI—XVII სს. კიდევ უფრო გაღრმავდა ფეოდალური საქართველოს ცალ-ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად დაშლა-რღვევის პროცესი.

XV ს-ში უკვე სამ სამეფოდ დაყოფილ ქვეყანას იმავე საუკუნის 60-იან წლებში დამოუკიდებელი სამთავროს სახით ჩამოშორდა სამცხე-საათაბაგო. XVI ს. პირველ ნახევარში კი სამცხის ათაბაგებმა საბოლოოდ დაასრულეს სამეფო ხელისუფლებასთან ხანგრძლივი ბრძოლა გამოყოფისათვის.

XVI ს-ში პოლიტიკურმა დაშლილობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი დასავლეთ საქართველოში მიიღო. იმერეთის სამეფო რამდენიმე, ფაქტიურად დამოუკიდებელ, ერთეულად დაიყო. ერთ დროს საქართველოს მეფის მოხელე ერისთავმა, დადიანმა XVI ს-ის დასაწყისში დამოუკიდებელი მთავრის მრავალი ნიშანი შეიძინა. XVI ს. შუა წლებიდან კი ლევან I დადიანი (1532—1572 წწ.) დამოუკიდებელ მთავრად იქცა, იმერეთის მეფეს აღარც ხარკს აძლევდა და აღარც ლაშქრით უწევდა სამსახურს. სამეგრელოს მთავარი იშვიათად და ფორმალურად-ღა აღიარებდა იმერეთის მეფის მორჩილებას.

მაშინ სამეგრელოს სამთავროში აფხაზეთიც შედიოდა. აფხაზეთის ფეოდალებმაც, შერვაშიძეების მეთაურობით, დაიწყეს განკერძოებისათვის ბრძოლა, რაც XVII ს. დამდეგს აფხაზეთის ცალკე სამთავროს ჩამოყალიბებით დასრულდა. სამეგრელოს სამთავროს შემდგომმა დანაწილებამ კიდევ უფრო გააძლიერა შინაფეოდალური ომები: სამეგრელოს მთავარი აფხაზეთის დასამორჩილებლად იბრძოდა, აფხაზი ფეოდალები კი, პირიქით, თავიანთი სამფლობელოს საზღვრის მდ. კოდორიდან მდ. ენგურამდე გადაწევისაკენ მიისწრაფოდნენ. ეს საუკუნოვანი ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და მწარმოებელი მოსახლეობის განადგურების ხარჯზე ხდებოდა.

XV ს. შუა წლებიდან განკერძოების გზას დაადგა გურიაც. XVI ს. შუა წლებიდან გურიის მთავარიც დამოუკიდებელ ხელისუფლად იქცა. სამეგრელო-

ნა და გურიის მთავრები ერთსა და იმავე, ვარდანისძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ.

სამთავროებს გარდა, XVI ს-ში განსაკუთრებით მომრავლდა **სათავადოები**: ეს იყო სამთავროებზე უფრო მცირე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები. სათავადოები ძირითადად წარმოიქმნა ერთ დროს მეფეების მიერ ამა თუ იმ დიდი ფეოდალისა და მოხელისათვის სამმართველოდ, საგამგებლოდ მიცემული მიწა-წყლის მისაკუთრების შედეგად. სათავადოში, ამას გარდა, შედიოდა შებატონის მამა-პაპეული საკუთრება და თავისუფალ მიწისმოქმედთათვის წართმეული მიწა-წყალიც.

დროთა ვითარებაში არა ერთმა ბატონმა მოიპოვა სამეფო ხელისუფლებისაგან საგადასახადო და ზოგჯერ აგრეთვე სასამართლო შეუვალობა. შეუვალობა-მიღებული ბატონის ყმები სამეფო გამოსაღებისაგან თავისუფლდებოდნენ და მხოლოდ თავიანთ უშუალო ბატონებს ემსახურებოდნენ. მებატონე თვით წყვეტდა თავის ყმა-გლეხთა სამართალს. მებატონის ამგვარად მოწყობილი სამფლობელო თანდათან იქცეოდა სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ცალკე ორგანიზაციად. ერთადერთი, რაც მათ ჯერ კიდევ აკავშირებდათ მეფის ხელისუფლებასთან, იყო მათი სალაშქრო ვალდებულება — მეფის მოწოდებისთანავე სათანადო ჯარითურთ საომრად გამოსვლა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, თავადებს ესეც სულ უფრო ზედმეტ ტვირთად ეჩვენებოდათ.

ყოველი სათავადოს ერთ-ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენდა ტერიტორიული ერთობა: თავადის ყმა-მამულს, ძირითადად, ერთი გარკვეული ტერიტორია უნდა სჭეროდა. სათავადოს ჰქონდა თავისი პოლიტიკური ცენტრი, თავადის რეზიდენცია — სასახლე, ციხე-სიმაგრე და ეკლესია-მონასტერი; თავადს თავისი ადმინისტრაციული აპარატიც ჰყავდა. სათავადო თვითკმარი, კარჩაკეტილი სამეურნეო ორგანიზაცია იყო. ამასთანავე იგი შეადგენდა გარკვეულ სამხედრო ერთეულსაც.

საქართველოში სათავადოების წარმოქმნა XIII—XIV სს. დაიწყო და XVI ს-ში უკვე მთელი ქვეყანა სათავადოებით იყო მოფენილი. ამ დროისათვის ქართლში ძლიერ სათავადოებს წარმოადგენდა: ქსნის საერისთავო, არაგვის საერისთავო, სამუხრანბატონო, საამილახვრო, საციციანო, საბარათიანო და სხვ. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, XVI—XVII სს. დაიყო რამდენიმე ცალკე სათავადოდ: საყაფლანიშვილოდ, საგოსტაშაბიშვილოდ, სააბაშიშვილოდ, საიარალიშვილოდ, საზურაბიშვილოდ და სხვ.

ამგვარივე პროცესი მიმდინარეობდა იმერეთის სამეფოშიც. XVI ს. დამდეგს არგვეთში, ბაღვაშ-კახაბერისძეთა ყოფილ სამფლობელოში ჩამოყალიბდა ერთ-ერთი უძლიერესი სათავადო — სააბაშიძეო. XVI ს. პირველ ნახევარში სათავადოდ იქცა რაჭის ყოფილი საერისთაოც, რომელსაც ჩხეიძეები მოექცენ სათავეში. XVI ს. შუა წლებში ჩამოყალიბდა წერეთლიანთ სათავადო, XVII ს. მეორე ნახევარში — აგიაშვილების სათავადო და ა. შ.

სამცხე-საათაბაგოს სამთავროც XVI ს-ში ოცდაორი მსხვილი ფეოდალური „სახლისაგან“ (სენიორიისაგან) შედგებოდა.

ქვეყნის ამგვარი დაქუცმაცების მიზეზი მისი ეკონომიური ჩამორჩენილობა და ნატურალური მეურნეობის განუყოფელი ბატონობა იყო.

საშინაო რეფორმები და ღონისძიება ქვეყნის დაჭუცმაცების წინააღმდეგ

ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დანაწილებული საქართველო შინაფეოდალური ომების სარბიელად იქცა. კახეთის მეფე გიორგი, რომელმაც 1511 წ. ტახტი მიიტაცა, ქართლის დაპყრობასაც ლამობდა, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდა და მის დარბევას სჯერდებოდა. თავის მხრივ, ქართლის მეფე **დავითიც** (1505—1525) იბრძოდა კახეთის ისევ შემოსამტკიცებლად. 1513 წ. ერთ-ერთი ბრძოლის დროს დავითმა „ავგიორგი" (ასე უწოდებდნენ მამის მკვლელ კახთა მეფეს) დაიჭირა, მოკლა და კახეთი შემოიერთა. ქართლის მეფე ცდილობდა ხელთ ეგდო გიორგის მცირეწლოვანი მემკვიდრე ლევანიც და ამით საბოლოოდ შემოემტკიცებინა კახეთი. მაგრამ საგარეო გართულება-დაბრკოლებამ ხელი შეუშალა ქვეყნის გაერთიანების ამ გეგმას. კახეთის თავადებმა ლევანი გადაარჩინეს, დავით ქართლის მეფეს აუჯანყდნენ და ლევანი კახთა მეფედ გამოაცხადეს. დავითმა ისევ დაიმორჩილა განდგომილი კახეთი, მაგრამ დიდი ხნით კი ვერა. 1520 წელს ლევანმა დაამარცხა ქართლის მეფე, რომელიც იძულებული გახდა ეცნო ლევანი კახეთის მეფედ და შეეკრა მასთან გარეშე მტრებთან ბრძოლაში ურთიერთ დახმარების კავშირი. ქართლის მეფეს კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლაში ხელი შეუშალა არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო ვითარებამაც: დავითის ამ მისწრაფებას წინ აღუდგნენ გურიის მთავარი, სამცხის ათაბაგი და კახეთის თავადობა.

საქართველოს სამ სამეფოდ დაყოფის შემდეგ ძველი სამხედრო წყობილებაც მოშლილი იყო და ამიტომ საჭირო შეიქნა აგრეთვე ქართლის სამხედრო წყობილების რეორგანიზაცია. ამ მიზნით დავით ქართლის მეფემ ქვეყანა ოთხ სამხედრო ერთეულად ანუ „სადროშოდ" დაჰყო. ერთ მათგანს შეადგენდა ზემო ქართლი, რომელსაც ამილახორი სარდლობდა. მეწინავე სადროშოდ ითვლებოდა სომხით-საბარათიანო, რომელსაც აგრეთვე თავადი ედგა სათავეში. მესამე იყო სამუხრანბატონო, ხოლო მეოთხე—მეფის სადროშო, რომლის სარდლობაც ამა თუ იმ თავადის სახლს ეკუთვნოდა.

ამიტომ იყო, რომ დავით მეფის რეფორმამ ვერ შეარყია დიდი თავადების სიძლიერე. პირიქით, სარდლობა ამა თუ იმ თავადის კიდევ უფრო გაძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი გზა გახდა, სარდლის თანამდებობა ქართლში თასცათან მემკვიდრეობით სახელოდ იქცა.

ქვეყნის შემდგომი დაყოფა-დანაწილების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XVI ს. კახეთში ჩატარებულ რეფორმებს.

XV ს. მიწურულამდე კახეთიც საერისთავოებად იყო დაყოფილი. კახეთის ერისთავებიც საგამგეოდ მიცემული ადგილების სამემკვიდრო სამფლობელოდ გადაცემას და იქ გახელმწიფებას ლამობდნენ. ამიტომ იყო, რომ კახეთის მეფეებმა, XV ს. მიწურულში და XVI ს. დამდეგს, გააუქმეს ძველი საერისთავოები და კახეთი უფრო მრავალრიცხოვან საგამგეო ერთეულებად — სამოურავოებად დაჰყვეს. მოურავები მეფის ადგილბრივი ფეოდალური მოხელეები იყვნენ. მათი უფლება-მოვალეობა სათანადო წიგნებით იყო განსაზღვრული; ისინი მეფის ურჩობას ადვილად ვერ გაბედავდნენ და ხელმწიფობასაც ვერ დაიჩემებდნენ. მთავარი კი ის იყო, რომ მოურავს აღარ ჰქონდა სამხედრო ხელი-

სუფლება, რომელიც ყოფილი ერისთავების სიძლიერის უმთავრეს წყაროს შეადგენდა.

კახეთის სამეფო ხელისუფლებამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა ჩაატარა: საერისთავოებთან ერთად გააუქმა მათი სამხედრო ერთეულებიც და კახეთიც ოთხ სადროშოდ დაჰყო; მაგრამ სადროშოს სარდლობა თავადებს კი არ ჩაბარა, როგორც ეს ქართლში მოხდა, არამედ ეპისკოპოსებს. აი ით კახეთის მეფემ სარდლობაც სამოხელეო თანამდებობად აქცია. ეპისკოპოსობა და, მაშასადამე, სარდლობაც მემკვიდრეობითი თანამდებობა არ ყოფილა. ამგვარმა რეფორმებმა კიდევ უფრო გააძლიერა კახეთის სამეფო ხელისუფლება და შეასუსტა ძლიერი ფეოდალები, გაამრავლა მეფის ხელისუფლების მომხრე საშუალო და წვრილ აზნაურთა რიცხვი.

კახეთის მეფეები სხვა გზითაც ცდილობდნენ სამეფოს შინაგანი მთლიანობის აღდგენას. ლევან კახთა მეფემ (1520—1574) დიდი ხნის წინ გამდგარ ფშავლებს, ხევსურებსა და თუშებს საზამთრო საძოვრები დაუჭირა. შევიწროებული მთიელები იძულებული გახდნენ მეფის ლაშქრობაში მონაწილეობა და ყოველწლიური ბეგარა ეკისრათ.

ალექსანდრე ლევანის ძეც (1574—1605) წარმატებით განაგრძობდა თავის მამის საშინაო პოლიტიკას. იგი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ფეოდალური მოხელეების, მოურავების მოქმედებას და მათი უფლება-მოვალეობის მტკიცედ განსაზღვრით ცდილობდა დროზე ამოედო ლაგამი ამ მოხელეების აღვირახსნილობისათვის.

სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას ისახავდა მიზნად აგრეთვე ალექსანდრე მეფის ზრუნვა კახთა ლაშქრის უკეთ შეიარაღებისათვის. ალექსანდრეს 15 ათასამდე რჩეული მოლაშქრე ჰყავდა, მათ შორის 3000 ქვეითი იყო და სხვა კი ცხენოსანი, ოღონდ მხოლოდ 500 კაცი იყო ხელთოფით შეიარაღებული, ზარბაზნები კი სულ არა ჰქონდათ. ამიტომ ალექსანდრე მეფემ სცადა თავის ქვეყანაში მოეწყო თოფ-ზარბაზნის ჩამოსასხმელი სახელოსნოები და უცხოეთიდან გამოეწერა საამისო ოსტატები. ამასთანავე, მას სხვადასხვა სამშენებლო და აღდგენითი მუშაობის ჩასატარებლადაც მოჰყავდა რუსეთიდან ოსტატ-ხელოსნები, ხუროთმოძღვრები და მხატვრები.

კახთა მეფეების ყველა ზემოაღნიშნულ ღონისძიებას, რომლებიც, რა თქმა უნდა, მწარმოებელი მოსახლეობის ექსპლუატაციის გაძლიერებას ხარჯზე ხორციელდებოდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ისინი ხელს უწყობდნენ ფეოდალური ეკონომიკის გაძლიერებასა და მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ამით აიხსნება, რომ XVI ს. საქართველოში კახეთი, სხვებთან შედარებით, დაწინაურებული და კეთილმოწყობილი ფეოდალური სამეფო იყო.

დაშლილი ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა დასავლეთ საქართველოშიც მიმდინარეობდა. იმერეთის მეფე **ბაგრატი** (1510—1565) ცდილობდა განდგომილ-განკერძოებული სამთავროები შემოემტკიცებინა და მათი მთავრები შეემუსრა. ამ ბრძოლაში მეფე წვრილ აზნაურებსა და საეკლესიო ფეოდალებს ემყარებოდა. მან ჯერ ლევან დადიანი დაატყვევა და შემდეგ გურიელის ხელში ჩაგდებაც სცადა, მაგრამ მთავარი მიუხვდა განზრახვას და, ოდიშს სალაშქროდ მიწვეული, მეფეს არ ეახლა. ამასობაში მოღალატე თავადებმა გელათის სამ-

რეკლოში დატყვევებული ლევან დადიანიც გააქციეს და ახალციხეში გადაიყვანეს. მალე დადიანმა, გურიელის დახმარებით, ისევ შემოიმტკიცა თავისი სამთავრო. ოდიშისა და გურიის მთავრებმა ხონთქარს შეავედრეს თავი და იმერეთის მეფეც იძულებული შეიქნა მდგომარეობას შერიგებოდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ბაგრატ მეფის ცდები სამცხე-საათაბაგოს შემოსამტკიცებლად. იგი არ ცნობდა სამცხის ათაბაგის ხელმწიფობას. 1535 წ. ბაგრატმა სამცხეში გაილაშქრა, ყვარყვარე დაამარცხა, ტყვედ იგდო და მისი სამფლობელოც დაიჭირა, მაგრამ აქაც თავადები ჩაერივნენ საქმეში. მათი ღალატისა და ოსმალთა მძლავრობის გამო სამცხე-საათაბაგო ბაგრატმა მხოლოდ 1545 წლამდე შეინარჩუნა.

XVI ს. 30—40-იან წლებში სცადეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიების ხელახლა **გაერთ**იანებაც **და აფხაზეთის (დასავლ**ეთ საქართველოს) კათალიკოზმა მალაქიამ მართლაც მიიღო „ყოველნა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის“ ძველებური წოდება. მაგრამ არც საეკლესიო გაერთიანება აღმოჩნდა მყარი.

ქვეყნის შინაგანი ძლიერების აღდგენის საქმეს ემსახურებოდა აგრეთვე ბაგრატ მეფის სხვადასხვა ღონისძიება ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. იმერეთის მეფის თაოსნობით მოწვეულმა საეკლესიო კრებამ დაგმო ტყვეებით ვაჭრობა და დააწესა სიკვდილით დასჯა ყველასათვის, ვინც ყმა-გლეხთა უცხო ქვეყანაში გაყიდვაზე ხელს არ აიღებდა. თუმცა საეკლესიო კრების დადგენილებამ ვერ აღკვეთა ტყვეებით ვაჭრობა და სათანადო ღონისძიება შემდეგაც არა ერთხელ გახდა საჭირო, ბაგრატის მიერ მიღებულ ზომებს მაინც ჰქონდა ერთგვარი მნიშვნელობა.

როგორც ვხედავთ, ყველა ღონისძიება, რომელიც საქართველოს გაერთიანებისაკენ იყო მიმართული, მარცხით თავდებოდა. ქვეყნის დაშლა, სამეფო-სამთავროებად და სათავადოებად დანაწილება ფაქტად იქცა. მიუხედავად ამისა, „საქართველოების“ ერთიანობის იდეა მაინც არ ჩამკვდარა.

§ 2. სამეფო-სამთავროთა საგარეო ურთიერთობა

საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები

ასეთი იყო საქართველოს საშინაო მდგომარეობა იმ ხანაში, როცა მას სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ორი მძლავრი აგრესიული სახელმწიფო ემეზობლებოდა.

ოსმალეთი საქართველოს უშუალო მეზობელი გახდა 1461 წლიდან, მის მიერ ტრაპიზონის სამეფოს დაპყრობის შემდეგ. ოსმალეთს მშვიდობიანი მეზობლობა არავისთან არ შეეძლო: იგი ახალ-ახალი ქვეყნების დაპყრობითა და ძარცვით საზრდოობდა. ოსმალეთში გაბატონებული მიწის ფეოდალური მფლობელობის სამხედრო-ლენური სისტემა სავსებით შეესაბამებოდა ოსმალეთის სულთნებისა და გაბატონებული კლასის აგრესიულ ზრახვებს და მუდმივ ბიძგს აძლევდა დაპყრობითი ომების წარმოებას.

ოსმალეთის ფართო დაპყრობით გეგმებში ამიერკავკასიას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობა, აბრეშუმით განთქმუ-

ლი შაქი-შირვანისა და აქ გამავალი გზების ხელში ჩაგდება, ვოლგა-კასპიის ზღვის სავაჭრო მაგისტრალის გადაჭრა ოსმალო აგრესორებს უპირველეს ამოცანად ჰქონდათ მიჩნეული. მისი განხორციელების მთავარ სარბიელად საერთოდ საქართველო და კერძოდ კი სამცხე-საათაბაგო მიაჩნდათ.

ირანიც ასე უყურებდა საქართველოს. XV ს. მიწურულში ირანის სამეფო ტახტზე თურქმანთა დინასტია შეცვალა სეფი-ედ-დინის ჩამომავალმა ისმაილმა. სეფისაგან ჩამომავლობის გამო ამ ახალ სამეფო დინასტიას სეფიანებს ანუ სეფევიდებს უწოდებდნენ. მათ დასაყრდენს შეადგენდა შვიდი თურქული ტომი, რომელთაც ყიზილბაშებს („თავწითელებს") ეძახდნენ, რადგან მათ თეთრი დოლბანდით გარშემოვლებული წითელი თავსაბურავები ეხურათ.

სეფიანთა შაჰები თავიანთ თავს მონღოლთა ყაენების პოლიტიკურ მემკვიდრეებად თვლიდნენ და საქართველოში ილხანების მიერ ერთ დროს დაპყრობილ მხარეებს — ქართლს, კახეთსა და სამცხე-საათაბაგოს — საკუთრად იჩემებდნენ. მაგრამ იმჟამად სეფიანთა სახელმწიფო უკვე ამასაც აღარ ჯერდებოდა.

მედგრად და თავგამოდებით იცავდა თავს ქართველი ხალხი საშიში მტრებისაგან, მაგრამ მის თავდაცვის უნარს, სხვათა შორის, იაიც ასუსტებდა, რომ ირანი და ოსმალეთი სულ უფრო და უფრო აძლიერებდნენ ზეგავლენას აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ქვეყნებზე.

XVI ს. პირველ ნახევარში **შარვანი** და **შაქი** ირანის ყიზილბაშთა სახელმწიფოს უბრალო პროვინციებად იქცნენ. აქ გაძლიერებით იწყეს ჩამოსახლება ყიზილბაშ-თურქმანებმა. მომთაბარეებმა აზერბაიჯანში საგრძნობლად იმატეს.

XV ს-ში თურქმანებმა საქართველოს საბოლოოდ მოგლიჯეს მეზობელი **სომხეთიც**. XVI ს. მეორე ნახევრისათვის სომხეთისა და აზერბაიჯანის ფეოდალური ურთიერთობა და პოლიტიკური ორგანიზაცია აღარაფრით განსხვავდებოდა ყიზილბაშურისაგან. ასე რომ საქართველო საკუთრივ ამიერკავკასიაშიც კი მისთვის უცხო აღმოსავლური ფეოდალური ურთიერთობის გარემოცვაში აღმოჩნდა.

ფეოდალური აღმოსავლეთის სახელმწიფოებში მიწისმფლობელობის ოთხი კატეგორია არსებობდა: სახელმწიფო (დივნის) მიწები; ხასე ანუ ხალიფას, სულთნის თუ შაჰისა და მისი სახლის წევრთა მიწები; ვაკუფი — მუსლიმანური ეკლესიის მიწები და მულქი. მხოლოდ ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა მიწაზე კერძო საკუთრებას, რომლის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემაც შეეძლო მის მფლობელს. მაგრამ „მულქი" აღმოსავლეთის ქვეყნებში სუსტად იყო განვითარებული. მიწის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს ხელთ იყო და მას იგი „თიულის" სახით, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გასცემდა. გლეხთა ექსპლუატაციაც, ძირითადად, სახელმწიფოს მეშვეობით წარმოებდა. მიწისმფლობელობის ამგვარი კატეგორიები და გლეხთა ექსპლუატაციის ასეთი ფორმები უცხო იყო ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის.

საქართველოში მამულის მფლობელი ფეოდალი იყო და მიწის მემკვიდრეობით გადაცემის უფლებაც მას ჰქონდა. ოსმალო თუ ირანელი დამპყრობ-

ლები ცდილობდნენ ქართული მიწისმფლობელობის წესების გაუქმებას, რადგან ეს იყო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის საწინდარი, მისი ეკონომიური საფუძველი.

იმ პოლიტიკურ გაერთიანებათა შორის, რომელნიც საქართველოს ჩრდილოეთიდან ემეზობლებოდნენ, პირველ რიგში **დაღისტანი** უნდა აღვნიშნოთ. XVI—XVII სს. დაღისტანი ეკონომიურად, პოლიტიკურად და ეთნიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას წარმოადგენდა. დაღისტნის ვიწრო და ჩამორჩენილი ეკონომიური ბაზა, „მოსახლეობის სიჭარბე“ და ექსტენსიური მეურნეობა — მესაქონლეობა—მოსახლეობას აიძულებდა ბარში ეძებნა საქონლისათვის საზამთრო საძოვარი და თან თვითონაც იქვე ჩასახლებულიყო.

დაღისტნის უდიდეს ნაწილში „ნახევრად პატრიარქალური და ნახევრად ფეოდალური“ წყობა ბატონობდა. კლასობრივი ანტაგონიზმი დაღისტანში უმთავრესად ფეოდალიზაციის პროცესის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა. ამ შინაგანი სოციალური წინააღმდეგობის შერბილებას ისახავდა მიზნად დაღისტნელი ფეოდალების გამუდმებული ყაჩაღური აყაფალსბა შეზობელ ქვეყნებზე, რასაც საქართველოში „ლეკიანობას“ უწოდებდნენ. XVI—XVII სს. დაღისტანში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გაერთიანება ტარკის საშამხლო იყო.

საქართველოს ჩრდილოეთიდან **ყაბარდოც** ემეზობლებოდა. ყაბარდოს სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა არსებითად არ განსხვავდებოდა ჩრდილო კავკასიის სხვა გაერთიანებათა წყობისაგან, ოღონდ პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობა აქ უფრო წინ იყო წასული.

ყაბარდოც პოლიტიკურად დაქუცმაცებული ქვეყანა იყო. იგი ორ ძთავარ ნაწილად — დიდ და მცირე ყაბარდოდ იყოფოდა.

ჩრდილო ოსეთი XVI—XVII საუკუნეებში კავკასიის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენდა. ეკონომიურად და პოლიტიკურად ჩრდილო ოსეთიც დაქუცმაცებული ქვეყანა იყო. სოციალური ურთიერთობა პრიმიტიულ პატრიაქალურ-ფეოდალური წესითა და ზოგან კი სამხედრო-დემოკრატიული წყობილებით ხასიათდებოდა, ჩრდილო ოსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ყაბარდოს ემორჩილებოდა, სამხრეთ-დასავლეთი კი იმერეთის სამეფოს.

საქართველოსა და მის ჩრდილო მეზობლებს ადრე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. მთის ზოგი კუთხე საქართველოს გავლენას განიცდიდა და მას ემორჩილებოდა კიდევაც. მაგრამ მას შემდეგ, რაც იმიერკავკასიაში ოსმალეთის გავლენა გაძლიერდა, ასეთი ურთიერთობა თანდათან შეიცვალა. ოსმალური გავლენის გამტარებლად აქ ყირიმის ხანი და შამხალი გამოდიოდნენ. „ათასი წლის ყმები“, დაღისტნელები კახეთის მეფეს თანდათან ხელიდან გამოეცალნენ. დაღისტნელმა ფეოდალებმა, შამხალის მეთაურობით, ტყვეებისა და სხვა ნადავლის მოპოვების მიზნით, კახეთის რბევა-აოხრებას მიჰყვეს ხელი.

ოსმალეთმა ყირიმის სახანო დაიმორჩილა და ამით იმიერკავკასიის ქვეყნებსაც დაადო თავისი ხელი. ყირიმის ხანმა კი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან შემოუტია. ამრიგად, საქართველოს ოსმალური აგრესიის საფრთხე ჩრდილოეთიდანაც დაემუქრა. ამ მხრიდანაც გაუმეზობლდნენ მას მაჰმა-

დიანი ტყვისმსყიდველნი. მთის აგრესია განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც საქართველო ცალკე სამეფო-სამთავროებად დაიშალა და ეკონომიურად და პოლიტიკურად დასუსტდა.

რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო

ასეთი იყო საქართველოს საგარეო ვითარება, როდესაც ამიერკავკასიას თანდათან დაუახლოვდა **რუსეთის სახელმწიფო.**

XVI ს. მოსკოვის რუსეთი უკვე დიდი, ცენტრალიზებული, მრავალეროვანი სახელმწიფო იყო. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რუსი ხალხის, ისე ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ისტორიულ განვითარებაში. ამას გარდა, რუსეთი უკვე ისეთი ქვეყანა იყო, უორმლისოდაც აღარ შეიძლებოდა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების უმეტესობის გადაჭრა. რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო, განვითარების თვალსაზრისით, შეუდარებლად უფრო მაღლა იდგა, ვიდრე საქართველოს ყველა მეზობელი, სამხრეთისა თუ ჩრდილოეთისა.

XVI ს. შუა წლებში რუსეთის მიერ ყაზანისა და ასტრახანის სახანოების შემოერთებამ და ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზაზე რუსეთის გაბატონებამ იგი უშუალოდ გაუმეზობლა კავკასიას. რუსეთი ოსმალეთს სამტროდ დაუპირისპირდა. ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ აღმოსავლური ბარბაროსული ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიის ხალხები გამარჯვების საბოლოო იმედს ამყარებდნენ ჩრდილოეთიდან მომავალ ამ ახალ, მზარდ ძალასთან მტკიცე კავშირზე.

კახეთის სამეფოს ურთიერთობა მოსკოვის სახელმწიფოსთან

კახეთის სამეფოს ხელისუფალნი XVI საუკუნეში დიდი სიმარჯვით იცავდნენ თავს ყიზილბაშთა შემოტევისაგან. კახეთის მეფეები ცდილობდნენ, ფორმალური ყმობითა და შედარებით მცირე ხარკით, დამპყრობლები კახეთის საზღვრებში არ შემოეშვათ.

კახეთის მეფე ლევანი შამხალის მოქიშპე ყაბარდოელ მთავრებს მეგობრობდა, მაგრამ თან არც შამხალთან დაახლოებას გაურბოდა. მოქნილად მოქმედებდა იგი შაქის სამთავროს მიმართაც, რომელიც იმ დროს უკვე ყიზილბაშთა ყაენს ემორჩილებოდა.

ენერგიულად იბრძოდა კახეთი აგრეთვე დაღისტნელი ფეოდალების გამუდმებული ლაშქრობა-რბევის აღსაკვეთად. კახეთმა კარგად იცოდა, რომ ამ ბრძოლაში მის მფარველად და მოკავშირედ არც ოსმალეთი გამოდგებოდა და არც ყიზილბაშთა სახელმწიფო. იმავე დროს კი რუსეთი თანდათან უახლოვდებოდა ამიერკავკასიას. ივანე IV-მ ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ფეხი მოიკიდა: ყაბარდოში, მდინარე თერგისა და სუნჯის შესართავთან ციხე ააგო და შიგ ჯარიც ჩააყენა.

ლევან კახთა მეფე დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ დიდ ამბებს და მან ახალ რეალურ ძალასთან ურთიერთობის დამყარება სცადა: ივანე IV-ს საგანგებო ელჩები გაუგზავნა და მფარველობა სთხოვა. თავის მხრივ რუსეთის ხელმწიფეც მოკავშირეს ეძებდა ამიერკავკასიაში და ამიტომ მოსკოვში კახეთის სამეფოს ელჩის მისვლა სასიამოვნოდ მიიჩნიეს. 1564 წ. მეფე ივანემ მფარველობა შესთავაზა ლევან კახთა მეფეს და ჯარიც კი მისცა კახეთის ციხეებში ჩა-

საყენებლად. რუსეთის ხელმწიფისა და კახეთის მეფის კავშირმა გაარღვია დაღისტნელი ფეოდალებისა და ყირიმის სახანოს მიერ ჩრდილოეთში შექმნილი ალყა. მოსკოვის სახელმწიფო საქართველოსათვის იქცა რეალურ ძალად, რომელთან ურთიერთობის დამყარებით შეიძლებოდა აგრესიული გარემოცვის ვარღვევაც.

ამით აიხსნება, რომ რუსეთის სახელმწიფოსა და კახეთის სამეფოს შორის XVI ს. 70-იან წლებში ძალაუნებურად შეწყვეტილი კავშირი განახლდა იმავე საუკუნის 80—90-იან წლებში — სწორედ მაშინ, როცა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა და ოსმალეთმა, ამიერკავკასიაში გაბატონებასთან ერთად, ჩრდილო კავკასიის დაუფლებაც სცადა.

ოსმალეთის დაპყრობითი ზრახვები მალე აშკარა შეიქნა ყველასათვის და მათ შორის კახთა მეფე ალექსანდრესათვისაც, რომელიც, პირველ ხანებში, თავისი ინტერესებისათვის ოსმალეთის გამოყენებასაც კი აპირებდა. ამას გარდა, ამიერკავკასიაში ოსმალეთის გაბატონების შედეგად გადაიკეტა ირანთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან დამაკავშირებელი, ვოლგა-ასტრახანის გზა, დამბლა დაეცა ვაჭრობას, ამიერკავკასიელი და მათ შორის ქართველი ვაჭრები მოსწყდნენ ირანს; საგრძნობლად შეიზღუდა რუსეთ-ირანის ურთიერთ ხელსაყრელი საგარეო ვაჭრობაც. ყოველივე ამის გამო რუსეთისა და კახეთის სამეფოთა დიპლომატიური ურთიერთობის განახლება ორივე მხარეს ერთნაირად სჭირდებოდა.

ირანთან უხიფათო სავაჭრო გზის გამართვის მიზნით რუსეთი იძულებული ხდებოდა აელაგმა დაღისტნელი ფეოდალები შამხალის მეთაურობით, დაეპყრო დარუბანდი და ბაქო, რაც სავსებით ემთხვეოდა ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესებს. ამიტომ მოსკოვის ხელმწიფის მიერ 1585 წ. მიცემულ წინადადებას, კავშირისა და მფარველობის შესახებ, კახთა მეფე ალექსანდრე კმაყოფილებით შეხვდა. კახეთის მეფის მიერ ამის საპასუხოდ გაგზავნილი ელჩები 1586 წ. მეფე თეოდორეს ეახლნენ. წლების განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობამ სავსებით დაარწმუნა ქართველი პოლიტიკოსები, რომ რუსეთი კავკასიის საკითხით ნამდვილად არის დაინტერესებული; რომ იგი ამიტომაც უპირისპირდება არა მარტო ოსმალეთს, არამედ ირანსაც (რომელთანაც იმჟამად რუსეთი კავშირის შეკვრასაც კი ფიქრობდა). 1587 წ. ალექსანდრე კახთა მეფემ მოსკოვის ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო, 1589 წ. კი რუსეთის მეფემ ალექსანდრეს წყალობის სიგელი გამოუგზავნა. ეს იყო რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის პირველი წერილობითი აქტი.

მოსკოვის სახელმწიფოს კავკასიის სარბიელზე გამოსვლა იმჯერად მართალია უშედეგოდ დამთავრდა და საქართველოს საკითხიც ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი დარჩა, მაგრამ ამ ურთიერთობას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: რუსეთის სახელმწიფო ცდილობდა შეძლებისამებრ დახმარებოდა საქართველოს ოსმალებისა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველმა ხალხმა კი კარგად დაინახა, რომ იგი მარტო აღარ იყო და პროგრესისათვის ბრძოლაში მას ზურგს უმაგრებდა ძლიერი და დაწინაურებული ქვეყანა.

რუსეთსა და საქართველოს XVI საუკუნეში, პოლიტიკურს გარდა, კულტურული ურთიერთობაც ჰქონდათ. რუსეთი კახეთში გზავნიდა ხელოსან ოსტა-

ტებს, მხატვრებს, იარაღს. იმდროინდელი რუსი მხატვრების ნახელავი ახლაცა, კახეთში რამდენიმე ადგილას შემორჩენილი. რუსეთის იმდროინდელი კულტურის მიღწევებს ჯეროვნად აფასებდნენ ჩვენში. რუსი ელჩები, რომელნიც საკმაოდ ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე საქართველოს, ეცნობოდნენ მას და ზოგმა მათგანმა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის შესანიშნავი აღწერილობაც დაგვიტოვა.

ქართლის ბრძოლა ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ

ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა XVI ს-ში უმთავრესად ყიზილბაშური სახელმწიფოს აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა.

ყიზილბაშებმა ჯერ კიდევ XVI ს. პირველ ოცეულში სცადეს ქართლის დამორჩილება, მაგრამ ქართული მიწების მიტაცებისათვის თანმიმდევრული ბრძოლა სეფიანებმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციათა ყიზილბაშურ ყაიდაზე გარდაქმნის შემდეგ დაიწყეს. ამ ლაშქრობათა ორგანიზატორი ირანის შაჰი თამაზი იყო. იმ დროს ქართლში **ლუარსაბ I** (1530—1556) მეფობდა. 1541—1554 წლებში შაჰ-თამაზმა საქართველო ოთხჯერ დალაშქრა. მართალია, მან ქართლის ზოგი ციხე დაიპყრო და შიგ ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენა, მაგრამ ქვეყანა მაინც ვერ დაიმორჩილა. ქართველი ხალხი დაუცხრომელი შეუპოვრობით განაგრძობდა ბრძოლას ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ.

ორმოცდაათწლიანი ომის შემდეგ, 1555 წელს, ირანმა და ოსმალეთმა ქ. ამასიაში დადეს ზავი, რომლის მიხედვითაც საქართველო ამ ორ მოძალადეს შორის განაწილებული აღმოჩნდა: ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ყიზილბაშების სამფლობელოდ გამოცხადდა, ხოლო იმერეთის სამეფო თავისი სამთავროებითურთ და სამცხის დასავლეთი ნაწილი — ოსმალეთისად. ამ ზავმა კიდევ უფრო გააძნელა აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლა: იგი ხელოვნურად სთიშავდა ქვეყანას და აღრმავებდა მის პოლიტიკურ დაშლილობას. ქვეყნის დანაწილების ხელშემწყობ რეაქციონერ მთავრებსა და თავადებს მოკავშირე-მფარველები გაუჩნდათ.

ოსმალეთთან დაზავებულმა ირანმა კიდევ უფრო გააძლიერა შეტევა ქართლის მიმართ. მეფე ლუარსაბს ირან-ოსმალეთის ზავის პირობები სრულიადაც არ მიაჩნდა თავისთვის სავალდებულოდ. პირიქით, მან თანდათან შემოიკრიბა ძალები და შიდა და ქვემო ქართლის ციხეებისა და თბილისის აღებასაც შეეცადა. თბილისის ყიზილბაშ მეციხოვნეთა დასახმარებლად წამოსულ ყარაბაღის ბეგლარბეგთან ბრძოლას (ქცია-ხრამის ხეობაში, სოფ. გარისთან, 1556 წ.) თვით ლუარსაბ მეფეც შეეწირა.

ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგად ყიზილბაშებმა იმჯერად ვერ მოახერხეს ქართული მიწა-წყლის მიტაცება და აქ ყიზილბაშური წესების გაბატონება, მაგრამ მომდევნო წლებში ირანის აგრესიას ერთგვარი წარმატება მაინც მოჰყვა.

1569 წ. ყიზილბაშებმა დაამარცხეს ქართლის მეფე **სიმონ ლუარსაბის ძე**, ტყვედ ჩაიგდეს იგი და სამეფო ხელისუფლების გაუქმების მიზნით ქართლში თავიანთი მოხელე, სიმონის გამაჰმადიანებული ძმა, **დაუთ-ხანი** გაიჩინეს. დაუთ-ხანის ბატონობის დროს ყიზილბაშებმა თბილისი და ქვემო ქართლი აწერეს და-

დივანს დაუქვემდებარეს. ქართლის მოხელე დაუთ-ხანი ირანის შაჰს წელიწადში 20.000 დუკატს უხდიდა ხარკად. ცხადია, ამოდენა თანხის გამოღება მხოლოდ აწერილ მამულებს შეეძლო. შაჰ-თამაზის ამგვარი პოლიტიკა ქართლში ყიზილ-ბაშური მიწისმფლობელობის გაბატონებას ისახავდა მიზნად. ამით ჩაეყარა საფუძველი ლორესა და დებედაში XVII ს. დამდეგს წარმოქმნილ მაჰმადიანურ სახანოებს.

ქართველი ხალხის გრძოლა ოსმალო დამპყრობელთა წინააღმდეგ

ამავე ხერხით მოქმედებდნენ ოსმალო დამპყრობლებიც. საქართველოს მიმართ ოსმალეთის დაპყრობითმა პოლიტიკამ ყველაზე უფრო მკაფიოდ XVI ს. დამდეგის შემდეგ იჩინა თავი. საქართველოსთან უშუალოდ გამეზობლებისთანავე ოსმალეთმა, უპირველეს ყოვლისა, სამცხე-საათაბაგოს შემოუტია, მაგრამ მაშინ მას სამცხის სრული მიტაცება არ უცდია და XV საუკუნის 70-იანი წლებიდან მის ვასალობას, ყმადნაფიცობას ჯერდებოდა. მესხეთის ვასალობა მის ტერიტორიაზე ოსმალთა ჯარის თავისუფალ მოძრაობასა და საჭირო შემთხვევაში ლაშქრისათვის სურსათის მიწოდების ვალდებულებაში გამოიხატებოდა.

ეს კი საშუალებას აძლევდა ოსმალეთს, მორჩილ სამცხეზე გადმოვლით და ზოგჯერ თვით ათაბაგთა ხელშეწყობით, დასავლეთი საქართველო დაელაშქრა ხოლმე. დასავლეთ საქართველოს ოსმალეთმა სხვა მხრიდანაც შემოუტია: საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე ოსმალთა გავლენის ქვეშ ადრევე მოექცნენ ჯიქები და ზოგიც სხვა ჩერქეზულ-აფხაზური ტომი. მათი შემწეობით ოსმალეთი აფხაზეთში გამაგრებას ცდილობდა. ამას გარდა, ოსმალეთი დასავლეთ საქართველოსკენ ტრაპიზონის მხრიდანაც მოიწევდა. XVI ს. ოსმალეთმა მიიტაცა ჭანეთი (ლაზეთი) და დას. საქართველოს გურიის მხრიდან შემოუტია.

1510 წ. ოსმალთა დიდი ჯარი დასარბევად დასავლეთ საქართველოს სამცხე-საათაბაგოდან შემოესია. იგი მოულოდნელად დაეცა ქუთაისს, ისე რომ ხალხმა ძლივს მოასწრო დახიზვნა. ოსმალებმა ააოხრეს ქალაქები, დაარბიეს სოფლები, გაძარცვეს და გადასწვეს ეკლესიები. იმერთა ახალგაზრდა მეფემ **ბაგრატმა** მტერზე გალაშქრებაც კი ვერ მოასწრო. ქვეყნის აოხრებით გულდაჯერებულმა ოსმალებმა სწრაფად უკან დაიხიეს.

ათაბაგის ამგვარი ურთიერთობა ოსმალეთთან და ამ უკანასკნელის მიერ წაქეზებული ჯიქების ლაშქრობა სამეგრელო-აფხაზეთში ორმხრივ საფრთხეს უქმნიდა იმერეთის სამეფოს და ამიტომ 1533 წ., ბაგრატ მეფის თაოსნობით, დადიანმა და გურიელმა გაერთიანებული ძალით ჯერ ჯიქეთი დალაშქრეს, ხოლო 1535 წ. იმერეთის მეფემ, თავის მთავრებთან ერთად, ათაბაგის წინააღმდეგაც გაილაშქრა, დაამარცხა იგი და სამცხე-საათაბაგოც იმერეთის სამეფოს შემოუერთა. ამან საბაბი მისცა ოსმალეთის სულთანს, რათა უფრო აქტიურად ჩარეულიყო სამცხე-საათაბაგოს შინაურ საქმეებში. სამცხის ათაბაგის შვილი ქაიხოსრო სულტნის კარზე მისულიყო და იმერეთის მეფის წინააღმდეგ მას ველას სთხოვდა. მეორე წელსვე, 1536 წ. ოსმალთა ლაშქარი მესხეთს შეესია და მას რამდენიმე კუთხეც ჩამოგლიჯა. ამით ოსმალეთი უკვე იწყებდა სამცხე-საათაბაგოს მიწების თანდათანობით მიტაცებას და იქ ფაქტისი ადმინისტრაცი-

ული ერთეულების შექმნას. ამ წარმატების მიუხედავად, ოსმალეთმა მაინც ვერ შეძლო სამცხის ერთბაშად დაპყრობა და მისი გაოსმალება. 1543 წ. ოსმალეთის დიდ ჯარს, რომელიც სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილს აოხრებდა, მხნედ დაუხვდა ქართველთა ლაშქარი, რომელმაც ქარაქაღთან სასტიკად დამარცხა მომხდური.

დამარცხებულმა სულთანმა მეორედ კიდევ უფრო დიდი ლაშქარი გამოგზავნა. იმერეთს ქართლიც ამოუდგა მხარში და ისინი გაერთიანებული ძალით შეებრძოლენ ოსმალებს. ომი **სოხოისტასთან** მოხდა 1545 წ. ქართველები თავდადებით ებრძოდნენ მტერს, მაგრამ ომის ბედი ღალატმა გადასწყვიტა, ქართველები დამარცხდნენ. ეს ოსმალეთის დიდი სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვება იყო. ქაიხოსრო ათაბაგად დასვეს, მაგრამ მესხეთის ციხეებში ხონთქრის ჯარები ჩააყენეს და დაუყოვნებლივ დაიწყეს დაპყრობილი სამცხის ინკორპორაცია, შეერთება, რაც დღეს თუ ხვალ ათაბაგის ხელისუფლების გაუქმებით უნდა დამთავრებულიყო. სამცხის ქართველები მიუხვდნენ ოსმალებს განაზრახს და რამდენჯერმე აუჯანყდნენ კიდევაც. ამის საპასუხოდ ოსმალეთმა 1549 წ. სამცხეში დიდი ლაშქრობა მოაწყო და კიდევ ჩამოსჭრა სამცხე-საათაბაგოს მიწა-წყალი. აშკარა იყო, რომ აგრესორი ქართული მიწების საბოლოოდ მიტაცებასა და აქ ოსმალური წესების გაბატონებას ლამობდა.

ყოველივე ამის გამო ქაიხოსრო ათაბაგმა გეზი იცვალა და ოსმალეთისას ისევ ირანის ყმობა არჩია. შაჰს ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდა და მანაც ოსმალეთზე ზეგავლენის მოსახდენად ქართლში ილაშქრა, ქვეყანა ააოხრა და ოსმალებიც გარეკა სამცხიდან. ოსმალეთს იმჯერად ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გატეხვისა და ირანის დამარცხების ღონე არ აღმოაჩნდა და მან, 1555 წ. საზავო ხელშეკრულებით, სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ყიზილბაშების გავლენის არედ სცნო.

ოსმალეთის აგრესიის გაძლიერება

მაგრამ ოსმალეთი ვერ ურიგდებოდა სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილის დაკარგვას და მარჯვე დროს ეძებდა, რათა ირანი სამცხის ამ ნაწილიდანაც განედევნა. ეს დროც დადგა: XVI ს. 60-იან წლებში ირანში შინაფეოდალური ომი ატყდა და 1578 წ. კიდევაც დაიწყო ირან-ოსმალეთის მეორე, კიდევ უფრო მძვინვარე ომი. ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ჯარი, მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით, ახლაც საქართველოს გზით დაიძრა ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად. ოსმალეთს განზრახული ჰქონდა ქართული მიწების მიტაცება და აქ ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამყარება. „ოსმალობის“ საფრთხემ ქართული საზოგადოების უმრავლესობა ოსმალეთის წინააღმდეგ აამხედრა და დარაზმა, მაგრამ ზოგი პირდაპირ შებმას უიმედოდ მიიჩნევდა და „ნებით“ ყმობასა და ყოველწლიურ ხარკს კისრულობდა. ქართლის სამეფო და სამცხე-საათაბაგო კი შეუნელებლივ განაგრძობდნენ ომს მოძალის წინააღმდეგ.

ოსმალეთის მიერ დამარცხებულმა შაჰმა 1578 წ. **სიმონ I** გაათავისუფლა

და ქართლში გამოისტუმრა. სიმონ I-ის სამშობლოში დაბრუნებით შაჰი ფიქრობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთგული მოკავშირე გაეჩინა. ამას გარდა, იგი იძულებული გახდა ქართლში ყიზილბაშობის შემოღების განზრახვაზე დროებით ხელი აეღო.

დაუთ-ხანი კი სიმონ I-ის შინ დაბრუნებისთანავე გადაუდგა თავის მფარველს, ირანის შაჰს, ქართლის ციხეები ხონთქრის ჯარს ჩააბარა და თვით სტამბოლს გაიქცა.

ქართველი ხალხი დაუღალავად ებრძოდა ძლიერ მტერს, რომელიც საქართველოს შუაგულში, ქართლში ოსმალური წესების შემოღებას ლამობდა. თავგანწირული ბრძოლა ოც წელიწადს გრძელდებოდა და აღსავსე იყო მრავალი გმირული ეპიზოდით.

სიმონ მეფე, რომელიც სათავეში ედგა ამ ბრძოლას, დიდი ანტიოსმალური კოალიციის შექმნასაც ცდილობდა და ამ მიზნით დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებდა დასავლეთ ევროპის კათოლიკურ სახელმწიფოებთან. მაგრამ დასავლეთი ევროპა, რომელიც ანტიოსმალურ პროპაგანდას კათოლიციზმის გაძლიერებისა და აღმოსავლეთში თავისი სავაჭრო-ეკონომიური პოზიციების განმტკიცებას უკავშირებდა, რა თქმა უნდა, არ ცდილობდა ნამდვილი დახმარება აღმოეჩინა საქართველოსათვის.

ქართველი ხალხის გმირულმა წინააღმდეგობამ აიძულა ოსმალო დამპყრობლები ხელი აეღოთ ქართლის ოთხად დანაწილებაზე და აქ ოსმალური წესების გაბატონებაზე. ამას გარდა, საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ქართლისა და სამცხის თავდადებული ბრძოლა ოსმალეთის მტერს, ირანსაც უმსუბუქებდა მდგომარეობას.

1690 წ. სტამბოლში დადებული ზავის თანახმად, ირანი იძულებული შეექნა ეცნო ოსმალეთის უფლება მთელ ამიერკავკასიაზე, მაგრამ, ცხადია, ეს არ ნიშნავდა ოსმალეთის საბოლოო გამარჯვებას. სიმონ I ზავის პირობებს ქართლისათვის სავალდებულოდ არ თვლიდა და დამპყრობლის წინაშე ქედის მოხრას არ ფიქრობდა. მართალია, ქართლის ციხეებში ოსმალები ისხდნენ, მაგრამ მეფის შიშით ისინი ციხიდან ვერ გამოდიოდნენო, მოგვითხრობს ისტორიკოსი.

ოსმალო აგრესორები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და ქრისტიანი სიმონი ქართლის მეფედ ეცნოთ. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი შერიგება იყო. სიმონ I მოძალადეთა წინააღმდეგ ხელახალი ომის გაჩაღებისათვის შესაფერ დროს უცდიდა: 1599 წ. ქართველები აჯანყდნენ და თავგანწირული ბრძოლით ოსმალებს გორის ციხე გამოსტაცეს.

აჯანყებული ქართველების წარმატება ოსმალებს საფრთხეს უქმნიდა და სულთანმა თავრიზის ბეგლარბეგს ჯაფარ ფაშას აჯანყების ჩაქრობა დაავალა. ოსმალთა ლაშქარს ქართველები **ნახიდურთან** დაუხვდნენ, მაგრამ, მტრის სიმრავლით ძლეულნი, ხუთსაათიანი ომის შემდეგ იძულებული გახდნენ ბრძოლით უკან დაეხიათ. ჯაფარ ფაშამ ალგეთზე მდებარე სოფ. ფარცხისთან, მოღალატე ქართველი ფეოდალების შემწეობით, თვით მეფეც დაატყვევა და 1601 წ. გაგზავნა სტამბოლს (სადაც იგი ტყვეობაში გარდაიცვალა). ქართველები კი დამარცხდნენ ამ ბრძოლაში, მაგრამ ოსმალებმა ქართლი მაინც ვერ დაიჭირეს.

საცხე-საათაბაგო ოსმალეთის ულელ ქვეშ

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მხარე პირველი შეეჩეხა მოზღვავებული მტრის ძლიერ ტალღას და ამიტომ ოსმალეთის აგრესიის შედეგები ყველაზე სამძიმო სწორედ სამცხე-საათაბაგოსათვის აღმოჩნდა. აქ აგრესიის წარმატებას საგრძნობლად შეუწყო ხელი აგრეთვე გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა, განსაკუთრებით ათაბაგებსა და შალიკაშვილებს, შორის ამტყდარმა შინაპოლიტიკურმა ბრძოლამ.

ოსმალეთი ჯერ კიდევ ირანთან დაზავებამდე, სადაც კი ხელი მოუწვდებოდა, დაყინებით ცდილობდა „ოსმალობის" დანერგვას. 1590 წ. ზავის შემდეგ კი მას საამისოდ უფრო ფართო გასაქანი მიეცა.

სულთანის ბრძანებით, სახელმწიფო მოხელეებმა სამცხე-საათაბაგო აღწერეს და 1595 წ. შეადგინეს ამ ქვეყნის ვრცელი საგადასახადო წიგნი, რომელსაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" უწოდეს.

მიწების აღწერა და დივნისადმი დაქვემდებარება, ოსმალური გადასახადების შემოღება და მიწის დიდი ნაწილის ახალ (ოსმალ) მებატონეთა ხელში გადასვლა ნიშნავდა მიწისმფლობელობის ქართული წესის ოსმალური, სამხედროლენური მიწისმფლობელობის სისტემით შეცვლას. ამ ახალი სისტემის თანახმად, მხოლოდ სამხედრო პირი შეიძლებოდა ყოფილიყო მიწისმფლობელი და ისიც დროებით. სამხედრო სამსახურში შესვლა კი მხოლოდ მაჰმადიანს შეეძლო. ამიტომ ქართველ ფეოდალს, რომელიც მიწის მემკვიდრეობით მფლობელი იყო, ან უნდა დაეკარგა მიწა, ან არადა მაჰმადიანობა მიეღო და ამ გზით ვამხდარიყო მიწის დროებითი მფლობელი, პირობითი სარგებლობის წესით.

მიწისმფლობელობაში ოსმალური წესების შემოღება მოსპობით ემუქრებოდა ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ წყობას. ამის შესაბამისად, ოსმალები კიდევაც შეუდგნენ თავიანთი ადმინისტრაციული სისტემის შემოღებას. მთელ ქვეყანას მათ „გურჯისტანის ვილაიეთი"[1] უწოდეს და რვა ოსმალურ სანჯაყად ანუ ლივად[2] დაჰყვეს იგი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ამ ახალი სისტემის საბოლოოდ გაბატონებას. ქართველი ხალხი ადვილად როდი იღებდა ხელს მიწისმფლობელობის შედარებით პროგრესულ, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ სისტემაზე. ქართველ გლეხს არ სურდა „რაიათად" გადაქცევა, ისევე როგორც მის ექსპლუატატორს, ქართველ ფეოდალს არ სურდა მიწის მხოლოდ დროებითი და პირობითი მფლობელი ყოფილიყო.

ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ გლეხთა კლასობრივი ბრძოლა აყრაგაქცევაში გამოიხატებოდა. ოსმალურმა „ხარაჯობამ", ბეგარის აღმოსავლურმა სახეებმა და გამუდმებულმა ლაშქრობამ სამცხე-საათაბაგოში თანდათან მოამრავლა გლეხებისაგან დაცარიელებულ სოფელთა რიცხვი. XVI ს. მიწურულს სამცხე-საათაბაგოში უკვე 296 დაცლილი სოფელი იყო; 344 სოფელში კი 1—11 კომლი-ღა სახლობდა.

---

[1] „გურჯისტანის ვილაიეთი" ნიშნავდა „საქართველოს გუბერნიას".

[2] „სანჯაყი" ანუ „ლივა" ნიშნავს „სადროშოს".

ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგი იყო, რომ XVII ს. დამდეგსა და შემდეგაც ოსმალებს არა ერთხელ დასჭირდათ მესხეთის მიწების ხელახალი აღწერა. ოსმალეთმა ორასზე მეტ წელიწადს იბრძოლა ახალციხის საფაშოს შესაქმნელად და მხოლოდ XVII ს. მეორე მეოთხედში დაასრულა სამცხის დაპყრობა.

ოსმალეთმა საბოლოოდ მოსპო სამცხეში ათაბაგობის სახით ჯერ კიდევ შემორჩენილი ადგილობრივი ხელისუფლება. ამის შემდეგ შესწყვიტა სამცხე-საათაბაგოს ქართულმა ფეოდალურმა სამთავრომ პოლიტიკური არსებობა. ათაბაგის ადგილი აქ სულთნის მოხელემ, ფაშამ დაიჭირა. ეს 1628 წელს მოხდა. ახალციხის პირველი ფაშა, ანუ როგორც ოსმალეთში უწოდებდნენ, „ჩილდირის ბეგლარბეგი“, ბექა (საფარ-ფაშა) იყო.

ახალი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, სამცხე-საათაბაგო უკვე ერთ ვილაიეთად აღარ ერთიანდებოდა. თორთუმი, ისპირი, ნამერვანი და პატარა არტაანი სხვადასხვა ვილაიეთებში შევიდნენ. სამცხის დანარჩენი მიწა-წყალი კი შეადგენდა „ჩილდირის ვილაიეთს“ ანუ „ახალციხის საფაშოს“, რომელიც თავის მხრივ 14 სანჯაყად იყო დაყოფილი.

სულთანი და მისი მოხელე საფარ-ფაშა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქვეყნის გოსმალებას: ხელახლა აღწერეს ქვეყანა, გააწერეს ოსმალური გადასახადები, დაისაკუთრეს და ახალ მფლობელებს გაუნაწილეს ქრისტიან ქართველ ფეოდალთა მიწები. ყოველივე ეს ცვლიდა მიწის მფლობელობის წესს, მაგრამ ახალციხის საფაშო მაინც არ ყოფილა სავსებით გაიგივებული ოსმალეთის სხვა ადმინისტრაციულ პროვინციებთან: იგი დიდხანს ინარჩუნებდა ზოგ თავისებურებას. სულთანის მთავრობა იძულებული იყო ამა თუ იმ გამონაკლისს შერიგებოდა და ადგილობრივ ფეოდალთა ზოგი ძველი პრივილეგია მაინც ეცნო. ამით აიხსნება, რომ ახალციხის საფაშოს 14 სანჯაყიდან ოთხი წარმოადგენდა ე. წ. **„ოჯაკლიკს“**. „ოჯაკლიკებს“ იმ მიწებს უწოდებდნენ, რომელთაც ოსმალები სამემკვიდრეო სამფლობელოდ უტოვებდნენ ზოგიერთ ფეოდალს და რომელნიც არ ექვემდებარებოდნენ ოსმალეთის სახელმწიფო საგადასახადო სისტემას. ასე რომ მესხეთის მნიშვნელოვან ნაწილში ქართული ფეოდალური არისტოკრატია რჩებოდა სანახევროდ დამოკიდებულ საზოგადოებრივ ფენად.

ამას გარდა, ჩილდირის ვილაიეთს (ახალციხის საფაშოს) სულთნის ჩვეულებრივი მოხელე კი არ განაგებდა, არამედ ათაბაგთა გვარეულობის გამაჰმადიანებული წარმომადგენელი. ფაშის თანამდებობა აქ ძველებურად მემკვიდრეობით, მამიდან შვილზე გადადიოდა. ყოველივე ეს აშკარად გვიჩვენებს ადგილობრივი, ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობის გამძლეობასა და „ოსმალობის“, როგორც ჩამორჩენილი სამეურნეო-პოლიტიკური წყობის, სისუსტეს.

აჭარა ოსმალთა ულელ ქვეშ

ოსმალთა მფლობელობაში თანდათან მოექცა აჭარაც. იგი ერთ-ერთი უძველესი ქართული პროვინციაა. აჭარის წარსული განუყრელად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიასთან.

აჭარის დღევანდელი ტერიტორია ქართული მიწა-წყლის ნაწილებისაგან ზემო და ქვემო აჭარისაგან შეიქმნა. ძველად ეს ტერიტორია ჯერ კოლხეთის,

ხოლო შემდეგ ლაზიკის (ეგრისის) სამეფოში შედიოდა. VIII საუკუნიდან. საქართველოში ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოშობის შემდეგ, აჭარა, სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციებთან ერთად, ტაო-კლარჯეთის სამთავროში გაერთიანდა.

X საუკუნიდან აჭარა შევიდა საქართველოს ერთიანი ფეოდალური ქონარქიის ფარგლებში და მას X-XII საუკუნეებში საქართველოს მეფის ერისთავები — აბუსერიძეები — განაგებდნენ. აჭარა აქტიურად მონაწილეობდა მთელი საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

XIII ს. მეორე ნახევრიდან აჭარა მესხეთის მთავრების სამფლობელოში შედიოდა. ხოლო XIV ს. 60-იანი წლებიდან XVI ს. დამდეგამდე დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მთავრის, გურიელის საგამგებლო ერთეულში.

მართალია, 1512 წ. აჭარა და ჭანეთი (ლაზეთი) მესხეთის მთავარმა ისევ თავის სამფლობელოს შემოუერთა, მაგრამ არა დიდი ხნით. XVI ს. შუა წლებიდან აჭარაც, ამ პროვინციებთან ერთად, ოსმალო დამპყრობლებმა თანდათან ჩამოგლიჯეს საქართველოს.

უკვე XVII ს. მეორე მეოთხედში ოსმალეთის ადმინისტრაციულ ერთეულებს შეადგენდნენ **ლაზეთი** და **აჭარა**. ლაზეთი შედიოდა **ტრაპიზონის** ვილაიეთში, რომელიც ტრაპიზონისა და **ბათუმის** სანჯაყებისაგან შედგებოდა. ასე რომ გურიის ზღვის სანაპირო ზოლი (კახაბერი), ბათუმის ჩათვლით, და ლაზეთი ერთ ვილაიეთს ქმნიდნენ. თუმცა ბათუმი ოსმალეთის სამფლობელოდ ითვლებოდა, სულთანი მაინც ვერ ახერხებდა აქ თავისი სრული უფლების განხორციელებას. ბათუმი დიდხანს დარჩა ხონთქრის ნომინალურ სამფლობელოდ, რომლის ფაქტიურ ბატონ-პატრონებს ადგილობრივი ბეგები წარმოადგენდნენ.

საკუთრივ **აჭარა** კი ფორმალურად ჩილდირის ვილაიეთში (ახალციხის საფაშოში) შედიოდა ცალკე სანჯაყად. მაგრამ XVII ს. პირველ ნახევარში იქაური ფეოდალები ჯერ კიდევ არ სცნობდნენ ხონთქრის ხელისუფლებას. სულთანს კარგად ესმოდა აჭარის დამორჩილების სიძნელე. ამ მხარის სანჯაყად გამოცხადება და მისი ჩილდირის ვილაიეთში შეყვანა იმას მოწმობდა, რომ ოსმალეთი აჭარის დამორჩილებას ახალციხის ფაშების შემწეობით აპირებდა. ამიტომ იყო, რომ საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდნენ ერთიმეორეს ახალციხის ფაშები და აჭარელი ბეგები, ხიმშიაშვილები.

აჭარის მოსახლეობა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, გმირულად ებრძოდა ოსმალო მოძალადეებს, რომელნიც ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ აჭარის ქართველთა გამუსლიმანებას. აჭარის მოსახლეობა არა ერთხელ აჯანყებულა უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ. გამოსვლებმა განსაკუთრებით მასიური, სახალხო ხასიათი XVII ს. 80-იანი წლებიდან მიიღო. ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ 1680 წელს ქვემო და ზემო აჭარა აჯანყდნენ, 1685 წელს კი ლიმანის ხეობა. აჯანყების ცეცხლი არ ჩამქრალა XVII ს. მიწურულშიც. მიუხედავად ამ მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლისა, აჭარაში მუსლიმანობამ მაინც მოიკიდა ფეხი.

ასე მოგლიჯა ოსმალეთმა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი. იქაური ქართველობა მხნედ იტანდა გასაჭირს და მედგრად იცავდა თავს, „ოს-

მალობა“ დიდი შეფერხებით იკვლევდა გზას. ამით აიხსნება, რომ XVI ს. მიწურულში დაწყებული ქართველთა გაოსმალების პროცესი XIX ს. დასაწყისში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

§ 3. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVII საუკუნეში

ირანის ბრძოლა ქართული ფეოდების ფეოდალებისათვის

ოსმალეთთან 1590 წ. დადებული ზავი ყიზილბაშურ ირანს, რომლის სათავეშიც ამ დროს უკვე შაჰ-აბასი I იდგა, არ აკმაყოფილებდა და იგი მის დასარღვევად ემზადებოდა. ამას გარდა, ირანი შეაშფოთა კასპიის ზღვის სანაპიროზე და განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის გამოჩენამ: რუსეთისა და კახეთის მეფეთა კავშირი მისთვის სავსებით მიუღებელი ჩანდა. ამიტომ ყიზილბაშობის წინააღმდეგ ყოველგვარი ხერხებით მებრძოლი საქართველოს ერთიანად მოსპობა შაჰ-აბასის გადაუდებელ ამოცანად იქცა. შაჰ-აბასი ამ გეგმის განხორციელებას შეუდგა და საქმე იმით დაიწყო, რომ 1602 წლიდან, ოსმალეთთან ომის განახლების შემდეგ, ქართლში, ლორესა და დებედას ხეობაში ყიზილბაშური სახანოები და კახეთში კი ენისელის სასულტნო შექმნა.

1605 წ. შაჰმა მოაკვლევინა კახეთის მეფე, რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის მომხრე ალექსანდრე II მის მემკვიდრეს, სპარსეთში აღზრდილ-გამაჰმადიანებულ კონსტანტინე ბატონიშვილს და ეს უკანასკნელი გაამეფა კახეთში. გადაგვარებული და მამის-მკვლელი კონსტანტინე კახელებმა მეფედ არ მიიღეს და აუჯანყდნენ. ამასთანავე, რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობისათვის მებრძოლმა თავადებმა ალექსანდრე მეფის ძმისწული, ბაგრატ ბატონიშვილი ფარულად რუსეთს გაამგზავრეს.

აჯანყებულთა მიერ ტახტის მიმტაცებელ კონსტანტინეს მოკვლამ და ბაგრატ ბატონიშვილის რუსეთს გაგზავნამ შაჰი აიძულა უკან დაეხია და 1606 წ. ქრისტიანი მეფეები — კახეთში **თეიმურაზ I,** ხოლო ქართლში **ლუარსაბ II** დაამტკიცებინა. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი უკან დახევა იყო.

შაჰი ჩქარობდა. რუსეთმა თავი დააღწია გართულებულ საშინაო ვითარებას და სანამ იგი კავკასიის სარბიელზე ხელახლა გამოვიდოდა, შაჰ-აბასი ცდილობდა მისთვის დაესწრო და საქართველოს საკითხი საბოლოოდ გადაეწყვიტა. ამიტომ მან 1614 წ., ოსმალეთთან ზავის დადების მეორე წელსვე, დაიწყო ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ერთეულების სრული შემოერთებისათვის. მრავალი წლის სამზადისი შაჰ-აბასს იმედს აძლევდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ადვილად მოუღებდა ბოლოს და ყიზილბაშურ სახანოებად გადააქცევდა მათ. ამ მიზანს ემსახურებოდა შაჰ-აბასის ორგზის ლაშქრობა აღმოსავლეთ საქართველოში.

1614 წ. შაჰ-აბასმა კახეთი სასტიკად ააოხრა, ხელთ იგდო ათასობით ტყვე და კახეთის მმართველად თეიმურაზის ბიძაშვილი, გამაჰმადიანებული **ისა-ხანი** დასვა. იმავე დროს შაჰმა მოახერხა იმერეთის მეფე გიორგისთან შეხიზნული ლუარსაბ II-ის ხელში ჩაგდება და ირანს გაბრუნდა.

შაჰის მიერ კახეთში დატრიალებულმა საქმიანობამ სავსებით გამოამჟღავნა მისი გეგმები. 1615 წ. სექტემბრიდან კახეთი მოიცვა აჯანყებამ, რომელსაც ნოდარ ჯორჯაძე და დავით ჯანდიერი მეთაურობდნენ. მალე ქართლიც ამოძრავდა. აჯანყებულებმა კახეთისა და ქართლის მეფედ თეიმურაზი მოიწვიეს. თეიმურაზმა კახეთის მოსაზღვრე შაქში ილაშქრა და შაქი-შირვანელები შაჰის წინააღმდეგ ააჯანყა. შაჰ-აბასმა აჯანყების ჩასაქრობად 15 ათასიანი ლაშქარი გამოგზავნა ალი-ყული-ხანის სარდლობით. მაგრამ თეიმურაზმა მტერს მარჯვე დრო შეურჩია და 6000 კაცით სასტიკად დაამარცხა იგი.

აჯანყება ფართოვდებოდა და საშიშ სახეს იღებდა. შაჰმაც აღარ დააყოვნა და 1616 წ. გაზაფხულზე დიდძალი ლაშქრით წამოვიდა ქართლ-კახეთის მოსასპობად. ბრძოლამ ერთ წელიწადს გასტანა. მტრის სიმრავლემ სძლია ქართველი ხალხის გმირობას. აჯანყებულები დამარცხდნენ. მაგრამ შაჰ-აბასმა თავისი განზრახვა საბოლოოდ მაინც ვერ შეისრულა.

კახეთმა ამ შემოსევის შედეგად თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაჰკარგა. აოხრდა ქვეყანა, ნანგრევებად იქცა ქალაქები, ნასახლარებად სოფლები. კახელი ტყვეები, ასიათასამდე კაცი, შაჰ-აბასმა შიდა ირანის სხვადასხვა კუთხეში გადაასახლა; საკუთრივ კახეთი კი ორად გაჰყო: ივრის აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი განჯის ხანს ყიზილბაშ **ფეიქარ ხანს** ჩააბარა სამმართველოდ, ხოლო დასავლეთით მდებარე ნაწილი — ქართლის ხანს **ბაგრატს**. დაკარიელებულ ქვეყანაში მან თურქმანების ჩასახლება გადასწყვიტა.

კახეთის აოხრების შემდეგ შაჰ-აბასი ქართლში **გადმოვიდა**. ქართლს ამ დროს გამაჰმადიანებული ბაგრატ დავითის ძე მართავდა. შაჰმა თეიმურაზის მომხრე თავადთა მამულები დაარბია და ქართლის თავად-აზნაურთა შვილების დიდი უმრავლესობა თავის ჯარში გაიწვია. ტყვეებიც საკმაო რაოდენობით იგდო ხელთ და გამარჯვებული ირანს გაბრუნდა.

რუსეთთან ურთიერთობის განახლება

ყიზილბაშური ირანის მიერ ქართული მიწების მიტაცებისათვის ბრძოლის გაძლიერებას ქართველმა ხალხმა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა-განახლებით უპასუხა. ირანის გაბატონება ქართლ-კახეთში, ჯოლო ოსმალეთისა სამცხე-საათაბაგოში ისტორიული აუცილებლობით აყენებდა რუსეთთან, ამ ახალსა და პროგრესულ ძალასთან, კავშირის კიდევ უფრო განმტკიცების საკითხს.

ირანის სამფლობელოდან გადახვეწილი თეიმურაზი და მისი მომხრე თავადაზნაურობა იმედს არ კარგავდნენ. 1615 წ. თეიმურაზმა მოახერხა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების შეთანხმება და, მათთან ერთად, რუსეთში საგანგებო ელჩი წარავლინა. მეფე-მთავართა ელჩს თან მიჰქონდა თეიმურაზ I-ის, იმერეთის მეფე გიორგის და მთავრების — გურიელისა და დადიანის წერილები. ქართველი მეფე-მთავრები რუსეთის ხელმწიფეს აუწყებდნენ: შეერთებული ძალ-ღონით ვიბრძვით ირანის წინააღმდეგ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მის დასამარცხებლად და დახმარებასა გთხოვთო.

1624 წელს ქართველმა პოლიტიკოსებმა განმეორებით მიმართეს თხოვნით რუსეთის ხელმწიფეს. იმ დროს ირანის მოქიშპე ოსმალეთი ყიზილბაშების წინააღმდეგ ქართველთა ძალების გამოყენებას გეგმავდა და ირანთან ბრძოლაში დახმარებას აღუთქვამდა მათ. ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ,

თუ რას მოუტანდა საქართველოს ოსმალების დახმარება და ამიტომ იყო, რომ თეიმურაზის ელჩი რუსეთის კარს მოახსენებდა: მართალია, ოსმალეთი და ყირიმი დახმარებას გვპირდებიან, მაგრამ მათზე „იმედის დამყარება არ შეიძლება. მაჰმადიანები არიან; ჩვენ დიდი ხელმწიფის, რუსეთის მეფის მოიმედე ვრჩებით საბოლოოდ და სამუდამოდო“.

XVII ს. პირველ მეოთხედში რუსეთის, გართულებული საშინაო და საგარეო პირობების გამო, არ შეეძლო ირან-თურქეთის წინააღმდეგ აქტიურად გამოსულიყო ამიერკავკასიაში. ამიტომ ქართველი პოლიტიკოსების რუსეთში ელჩობამ ნაყოფი ვერ გამოიღო, მაგრამ რუსეთის მიერ ირანის შაჰის კარზე საქართველოს სასარგებლოდ გატარებული დიპლომატიური ღონისძიება დიდმნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. რუსეთი ჭეშმარიტად იყო დაინტერესებული ქართველთა გამარჯვებით და საამისოდ, რაც გაეწყობოდა, ძალ-ღონეს არ ზოგავდა.

ქართველი ხალხის ბრძოლა ირანის აბრესიის წინააღმდეგ

შაჰ-აბასმა ოსმალეთის საშინაო მდგომარეობის გართულებითაც ისარგებლა და 1623 წ. მასთან ომი განაახლა. ბაღდადის დაპყრობის შემდეგ შაჰი კვლავ მოუბრუნდა საქართველოს, საიდანაც მას არასასურველი ამბები მოსდიოდა: ქართლი და კახეთი აშლილობას მოეცვა: ქართველები შაჰის მაჰმადიან მოხელეებს არ ემორჩილებოდნენ და თეიმურაზთან აბამდნენ საიდუმლო კავშირს. შაჰს არც ის მოსწონდა, რომ რუსეთი საქართველოს მფარველად გამოდიოდა, მაგრამ მოსკოვის ხელმწიფეს თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მზად იყო თეიმურაზ I-ს შერიგებოდა. ნამდვილად კი შაჰ-აბასს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ქართლ-კახეთი შემოემტკიცებინა და ირანის სახანოებად ექცია. ასეთ ვითარებაში სამცხე-საათაბაგოს დაპყრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ შაჰმა ჯერ სამცხეში გაილაშქრა, ახალციხე ოსმალებს ხელიდან გამოგლიჯა და იქ გამგებლად სელიმ-ხანი დანიშნა. 1625 წ. დასაწყისში კი ქართლ-კახეთის საქმეების მოსაგვარებლად გამოისტუმრა საგანგებო ძალაუფლებით აღჭურვილი **ყარჩიხა-ხანი.** შაჰის გეგმით, კახელები ერთიანად უნდა ამოეჟლიტათ და მათ მაგიერ კახეთში ყიზილბაშური და სხვა თურქმანული ტომები დაესახლებინათ. ქართლის თავადები კი, რომელნიც ლუარსაბსა და თეიმურაზს ემხრობოდნენ, ირანში უნდა გადაესახლებინათ. ამ ვერაგული გეგმის განხორციელებას შაჰი ყარჩიხა-ხანისა და მასთან ერთად საქართველოში გამოგზავნილი თავისი ქართველი სარდლის **გიორგი საკაძის** ხელით აპირებდა.

გიორგი საკაძე

ჩამომავლობით გიორგი საკაძე აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, საკაძის მამას და ბიძას ქართლის სამეფო კარზე დიდ-დიდი თანამდებობა ეჭირათ. თვით გიორგი საკაძე კი უკვე 1608 წ. თბილისის მოურავი იყო. საკაძემ, ნიჭიერმა მხედართმთავარმა და პოლიტიკოსმა, მალე გაითქვა სახელი და იგი „დიდ მოურავად“ იწოდებოდა.

1609 წ. ქართველთა ლაშქარმა, გიორგი საკაძის მეთაურობით, ს. ქვიშხეთთან სასტიკად დაამარცხა ყირიმელ თათართაგან შემდგარი ოსმალთა ლაშქარი, რომელიც ქართლის დასარბევად და დასაპყრობად მოიწევდა. ამის შემ-

დეგ „დიდმა მოურავმა“ კიდევ უფრო მეტი სახელი და გავლენა მოიპოვა ქართლში.

გიორგი საკაძე დიდი პოლიტიკური მოღვაწე იყო. მისი გეგმით, საქართველოს ძლიერების აღსადგენად საჭირო იყო ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოსპობა და ქვეყნის ერთი ძლიერი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება. „დიდი მოურავის“ ამგვარი გეგმა არსებითად ეწინააღმდეგებოდა რეაქციონერი თავადების მისწრაფებას.

საკაძის მოწინააღმდეგენი უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ: თავადებმა იმდენი აბეხღეს იგი ქართლის მეფესთან, რომ მეფე მის მოღალატეობაში დარწმუნეს. ლუარსაბ II-მ მისი მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ საკაძემ გაიგო მეფის განაზრახი და 1612 წელს, თავის სიმამრთან, არაგვის ძლიერ ერისთავ ნუგზართან ერთად, საქართველოდან გაიქცა და შაჰს მიუვიდა.

გიორგი საკაძე ცდილობდა შაჰის ძალა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად გამოეყენებინა. ამ მიზნით იგი შაჰს ახლდა ქართლ-კახეთის დალაშქვრის დროს. მაშინ გიორგი საკაძე სავსებით დარწმუნდა, რომ შაჰი ქვეყნის გაერთიანებისათვის კი არა, არამედ მისი დამორჩილებისა და ყიზილბაშურ სახანოებად გადაქცევისაკენ მიისწრაფოდა. შაჰ-აბასისა და საკაძის გეგმები ერთიმეორესთან სავსებით შეუთავსებელი აღმოჩნდა.

აჯანყება ქართლში გიორგი საკაძის მეთაურობით

როცა გიორგი საკაძე ყარჩიხა-ხანთან ერთად შაჰის საგანგებო დავალებით ქართლს მოვიდა, მან კარგად დაინახა, რომ ქართლში ირანის წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყება მომწიფებული იყო და თვითონაც საჭირო სამზადისს შეუდგა. ამასობაში შაჰის განზრახვაც სავსებით გამომჟღავნდა: ყარჩიხა-ხანმა, შაჰ-აბასის ბრძანებისამებრ, მუხრანთან, აღაიანის მინდორზე ვითომდა იმერეთს სალაშქროდ მოწვეულ კახელ თავად-აზნაურთა ვერაგულად ამოწყვეტა დააპირა. ყიზილბაშებმა განაზრახი ვერ შეასრულეს. კახეთი ისევ აჯანყებამ მოიცვა.

შაჰ-აბასმა მეორე საიდუმლო ბარათიც გამოგზავნა: იგი ხელმეორედ ბრძანებდა კახეთის ამოწყვეტასა და ქართლის აყრას. შაჰის ბარათი საკაძეს ჩაუვარდა ხელში. ეს კი უკვე მომზადებული აჯანყების საბაბი შეიქნა.

1625 წლის 25 მარტს (ახალი სტილით 4 აპრილს) აჯანყებულმა ქართველებმა, გიორგი საკაძის მეთაურობით, **მარტყოფის ველზე** დაბანაკებულ ყიზილბაშთა ლაშქარს ერთიანად მუსრი გაავლეს. გ. საკაძემ დამარცხებულ მტერს გონს მოსვლა აღარ აცალა, თბილისი აიღო და ციხეში გამაგრებულ ყიზილბაშთა გარნიზონს ალყა შემოარტყა. ამის შემდეგ „დიდმა მოურავმა“ განჯა-ყარაბახზე გაილაშქრა და ყიზილბაშები იქაც დაამარცხა. ქართველებმა კახეთშიც ილაშქრეს და იქ ჩამოსახლებული თურქმანები ამოწყვიტეს. საკაძემ სამცხეშიაც გაგზავნა ლაშქარი, რათა ახალციხე ყიზილბაშთა ხელიდან გამოეგლიჯა. ყიზილბაშებზე გამარჯვების შემდეგ ქართველებმა თეიმურაზ I ქართლ-კახეთის მეფედ აღიარეს.

შაჰ-აბასი მაზანდარანში იმყოფებოდა, როცა ქართველთა აჯანყებისა და ყიზილბაშთა ამოწყვეტის ამბავი გაიგო. შაჰმა სასწრაფო ზომები მიიღო და

ათავისი საუკეთესო ჯარი, ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით, საქართველოში ომის ჩასაქრობად გამოგზავნა.

1625 წ. ივლისის დასაწყისში, სოფ. მარაბდასთან გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა ქართველებსა და ყიზილბაშებს შორის.

მარაბდის ომმა შაჰ-აბასს მწარე გამარჯვება არგუნა. ამ ომში თოთხმეტი ათასი ყიზილბაში და ცხრა ათასი ქართველი გაწყდა. ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მათ ბრძოლაზე ხელი არ აუღიათ; მეორე დღეს ომი კოჯრის მიდამოებში გაგრძელდა. მძიმედ დაზარალებულმა მტერმა შაჰის დავალების შესრულება ვერ შეძლო: ქვეყანა ვერ დაიმორჩილა. ქართველები, საakაძის მეთაურობით, პარტიზანულ ომს განაგრძობდნენ. მტერმა დიდი მსხვერპლის გაღების შემდეგ შეძლო შიდა ქართლში შემოჭრა, მაგრამ ხალხი უკვე დახიზნული იყო. თეიმურაზი იმერეთს გადავიდა, საakაძე კი სამცხეში. მაგრამ მალე ორივენი უკან დაბრუნდნენ და ყიზილბაშობის წინააღმდეგ ქართველთა დაუცხრომელ ბრძოლას ისევ სათავეში ჩაუდგნენ.

მარტყოფისა და მარაბდის ომებმა აღმოსავლეთი საქართველო იხსნა შაჰის მძიმე განაჩენისაგან — ქვეყნის გადაშენებისა და აქ ყიზილბაშური სახანოების შექმნისაგან. მუდამ ქართველების მოსპობის მოსურნე შაჰ-აბასი იძულებული გახდა უკან დაეხია და დათმობის გზას დადგომოდა. ამ მიზნით შაჰ-აბასი შეეცადა თეიმურაზი შემოერიგებინა. მოსკოვის ხელმწიფის შუამდგომლობის შედეგად და მისივე ელჩის პირით, შაჰი თეიმურაზს ტყვედ წაყვანილი ხალხის უკან დაბრუნებას და აოხრებული კახეთის ისევ აშენებას პირდებოდა. თეიმურაზთან შერიგება მას საშუალებას მისცემდა მთელი თავისი ძალ-ღონე ოსმალეთის წინააღმდეგ მიემართა. ესეც არ იყოს, ამ გზით იგი თეიმურაზს გიორგი საakაძესაც ჩამოაშორებდა. ამიტომ 1626 წ. შაჰ-აბასმა თეიმურაზ I ქართლ-კახეთის მეფედ სცნო. ასეთ ვითარებაში, კიდევ უფრო გაძლიერებული საakაძის მოქიშპეებმა, რეაქციონერმა თავადებმა თეიმურაზი და „დიდი მოურავი" ერთიმეორეს აღვილად გადაჰკიდეს. თეიმურაზ I-სა და საakაძეს შორის ომი აუცილებელი ‘ეიქნა. 1626 წ. **ბაზალეთის ომში** დამარცხებული გიორგი საakაძე იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო და თავი შეეფარებინა ოსმალეთში, სადაც 1629 წ. საakაძე, თავისი მხლებლებითურთ, სულთნის დიდი კეზირის ხელით მოკლულ იქნა. იმავე წელს გარდაიცვალა საქართველოს დაუძინებელი მტერი შაჰ-აბასიც.

დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში

ოსმალეთის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ახალციხის საფაშოს გადაქცევა დასავლეთ საქართველოს დამორჩილების იარაღად. ქართველი ხალხი თავგამოდებით იბრძოდა დასავლეთ საქართველოში ოსმალობის გაბატონების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ XVII ს. დამდეგს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებმა საოსმალო ხარჯი იკისრეს, ისინი მაინც ინარჩუნებდნენ შინაგან დამოუკიდებლობას. ოსმალეთიც იძულებული ხდებოდა უმთავრესად ხარკს დასჯერებოდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში დრო და დრო მაინც ეწყობოდა დამსჯელი ექსპედიციები. სულთნის ჯარის ასეთ ლაშქრობას თითქმის ყოველთვის უმართავდნენ ხელს მთავრები, რომლებიც სისტემატურად ებრძოდნენ ერთიმეორეს, და დახმარე-

ბის სათხოვნელად სტამბოლს გარბოდნენ ხოლმე. ოსმალეთი მარჯვედ იყენებდა ამ შინაფეოდალურ ქიშპს და თანდათან იკიდებდა ფეხს დასავლეთ საქართველოში, მაგრამ აგრესორმა მაინც ვერ მოახერხა ამ ქვეყნის გადაქცევა ოსმალეთის ვილაიეთად. კიდევ მეტიც: დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები სარგებლობდნენ ოსმალეთის ყოველი საგარეო მარცხით თუ საშინაო მდგომარეობის გართულებით და ხშირად წლობით აღარ უხდიდნენ ხარკ-ხონთქარს.

ოსმალეთი განსაკუთრებით ზღვის სანაპირო ზოლზე გაბატონებას ცდილობდა. ამიტომ დამპყრობლებმა აქ ზოგი ციხე-სიმაგრე გააშენეს და ზოგიც ძველი აღადგინეს. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1578 წ. ოსმალებმა განაახლეს დანგრეული სოხუმის ციხე და მასში, ისევე როგორც ბათუმში, ციხისძირსა და ფოთში, თავიანთი მეციხოვნე ჯარი ჩააყენეს.

ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ოსმალო-თურქები ბრძოლის სხვა მეთოდს მიმართავდნენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი ფეოდალების მოსყიდვა-გადმობირება, ტყვეებით ვაჭრობის ფართოდ გაშლა, მუსლიმანობის გაძლიერებული პროპაგანდა და გავრცელება, ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლების ბარბაროსული განადგურება, ადგილობრივი ენების, წეს-ჩვეულების დევნა და სხვ. ამ მეთოდებს იყენებდა ოსმალეთი როგორც საერთოდ დასავლეთ საქართველოს, ისე, კერძოდ, აფხაზეთის მიმართ, რომლის სრულ დამორჩილებას ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ამგვარი ბარბაროსული მეთოდების გამოყენებით, თურქეთმა XVII საუკუნეში უკვე შეძლო აფხაზეთში მეტ-ნაკლებად გაბატონება, მაგრამ აფხაზ ხალხს ოსმალო-დამპყრობლების წინაშე ქედი მონურად არასოდეს არ მოუხრია და იგი ქართველ ხალხთან ერთად დაუღალავად იბრძოდა უცხო მოძალადეთა წინააღმდეგ. საუკუნოვანი ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ ოსმალო-თურქებმა ვერ მოახერხეს ქრისტიანობის მაგიერ აფხაზეთში მუსლიმანობის გავრცელება, მუსლიმანობა იქ უმთავრესად ფეოდალურ ზედაფენებში იკვლევდა გზას. ასევე ვერ შეძლეს ოსმალო-მოძალადეებმა აფხაზეთიდან ქართული ენის განდევნა. XVII საუკუნეში, ისევე როგორც წინა და მომდევნო საუკუნეებში, აფხაზეთში ეკლესიის, წიგნისა და სამთავრო დაწესებულებათა ძირითადი ენა ქართული იყო.

XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს სამთავროთა შორის განსაკუთრებით გაძლიერდა ოდიში, რომლის მთავარი ლევან დადიანი (1611—1657 წწ.) მთელი დასავლეთი საქართველოს ხელმწიფობას იჩემებდა. იგი მარჯვედ იყენებდა შექმნილ საერთაშორისო ვითარებას და, თურქეთთან ტრადიციული ურთიერთობის შენარჩუნებასთან ერთად, ირანის შაჰის ყმობასაც ახერხებდა. დასავლეთი საქართველო იმ დროს ყიზილბაშობის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ პატრიოტთა თავშესაფარი იყო და ამიტომ ლევან დადიანის მეგობრობა შაჰს, ცხადია, მეტად სასურველად მიაჩნდა. იგი დადიანს ეხმარებოდა და იმერეთის მეფის სამტროდ ამოქმედებდა.

ლევან დადიანმა დიდად შეავიწროვა იმერეთის მეფე **ალექსანდრე III** (1639-1660). საშინაო და საგარეო მტრებით გარშემორტყმულმა ალექსანდრემ

დახმარება-მფარველობისათვის რუსეთის ხელმწიფეს მიმართა. 1649 წ. ალექსანდრეს ელჩები უკვე მოსკოვში იყვნენ. ისინი, უპირველეს ყოვლისა, იმერეთის სამეფოსადმი რუსეთის ხელმწიფის მფარველობასა და დადიანის წინააღმდეგ ბრძოლაში საშველად დონელი კაზაკების გამოგზავნას ითხოვდნენ. მოსკოვის ხელმწიფემ საპასუხო ელჩობა მოაწყო იმერეთში და 1651 წ. იმერეთის მეფემ თავისი დიდებულებითურთ რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა.

დასავლეთ საქართველოს მთავრებიც კარგად ხედავდნენ, რომ ოსმალეთისა თუ ირანის ყმობა ბოლოს და ბოლოს მათი ქვეყნების დაპყრობას გულისხმობდა და ამიტომ თავიანთ მხრივ მთავრებიც ცდილობდნენ რუსეთის ხელმწიფესთან ურთიერთობის დამყარებას.

1669 წ. იმერეთის ტახტზე კვლავ გამეფებულმა ბაგრატ ალექსანდრეს ძემ საგანგებო ელჩები გაგზავნა რუსეთს და ითხოვა იმ დამოკიდებულების განახლება, რომელიც რუსეთსა და იმერეთის სამეფოს შორის მამამისის დროს ყოფილიყო. მაგრამ იმ დროს მთელი დასავლეთი საქართველო შინაფეოდალური ომებით იყო მოცული. დადიანი თუ გურიელი, ქართლის ბატონიშვილი თუ იმერეთის ბატონიშვილი ზედიზედ ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს იმერეთის სამეფო ტახტზე. თავადები სამეფო ყმა-მამულს იტაცებდნენ, ერისთავები ხელმწიფობას იჩემებდნენ. მეფის ხელისუფლება უკიდურესობამდე დაეცა. ქვეყანაში ტყვეთა სყიდვა გაბატონდა. ფეოდალთა ბოლომოუღებელი ურთიერთთავდასხმა აჩანაგებდა მშრომელ მოსახლეობას და ფიზიკურადაც სპობდა მას. XVII ს. 60-იანი წლებიდან დასავლეთი საქართველო განუხრელად დაადგა დაქვეითების გზას.

ცვლილება აღმოსავლეთ საქართველოსა და ირანის ურთიერთობაში

თეიმურაზ I-მა ირანის წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა და, იმერეთის დამხმარე ლაშქართან ერთად, განჯა-ყარაბაღის ქვეყნები დაარბია. იმავე დროს მან რუსეთთან რამდენიმე წლით შეწყვეტილი ურთიერთობა აღადგინა და მოსკოვის მეფეს ქვეყნის გაერთიანებასა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. თეიმურაზის ამგვარ ღონისძიებას ყიზილბაშურმა ირანმა თეიმურაზის გადაგდებით უპასუხა. ახალმა შაჰმა კახეთის ხანად ყიზილბაში **სელიმი** დანიშნა, ხოლო ქართლი გადასცა ირანში აღზრდილსა და გამაჰმადიანებულ როსტომ დავითის ძეს. თეიმურაზი თავისი მცირე ამალითურთ იმერეთს გადავიდა.

როსტომი (1632—1658) ქართლის „ვალი“, ე. ი. ქართლში შაჰის მოადგილე, იყო. ქართველი ხალხის დაუღალავმა ბრძოლამ აიძულა ყიზილბაშური ირანი დათმობაზე წასულიყო: საქართველო გაყიზილბაშებას გადაურჩა, ქართული სოციალურ-ეკონომიური წყობა უცვლელი დარჩა, აღმოსავლეთ საქართველოს ასცდა მაჰმადიანურ სახანოებად გადაქცევის საფრთხე. მაგრამ, ქართლის მისდამი დამოკიდებულებას ირანის შაჰმა სათანადო ფორმულა მოუძებნა. მას შემდეგ ქართლში იჯდა მაჰმადიანი მეფე, „ვალი“ და შაჰი მისი მწყალობელი გამოდიოდა. მაგრამ ამის „ეკონომიურ საფუძველს“ წარმოადგენდა „ვალი“-სათვის საკუთრივ ირანში ნაწყალობევი მიწები და არა ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის დარღვევა-გაუქმება. ირანის შაჰმა მხოლოდ ფორმალურად დაადო ხელი ქართველ ფეოდალთა მიწებსაც. ამიტომ ქართლის

მაჰმადიანი მეფის, „ვალის“ მოხელეობა განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ვალისა და ბეგლარბეგის მოხელეობისაგან.

ირანისა და ქართლის ურთიერთობაში მომხდარი ეს ცვლილება, ურთიერთობის ამგვარი პოლიტიკური ფორმა ძალაში დარჩა XVIII ს. მეორე მეოთხედამდე, თუმცა ბრძოლა ქართველებსა და ყიზილბაშებს შორის კვლავ გრძელდებოდა.

თეიმურაზ I 1634 წ. იმერეთიდან **კახეთს** გადმოვიდა, მის ტახტს დაეუფლა და აქედან 14 წლის განმავლობაში დაუცხრომლად ებრძოდა როსტომს. მას ქართლის შემომტკიცება და ქვეყნის გაერთიანება სურდა. ამ ამოცანის განხორციელების იმედს იგი უმთავრესად კვლავ რუსეთზე ამყარებდა. ამიტომ 1639 წელს თეიმურაზმა თავის დიდებულებთან ერთად რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი მიიღო და სათანადო აქტსაც ხელი მოაწერა. სწორედ იმ დროს ირანი და ოსმალეთი საქართველოს განაწილების თაობაზე შეთანხმდნენ: დასავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის სამფლობელოდ ცხადდებოდა, ქართლ-კახეთი კი ირანისად. მიუხედავად ამისა, ირანის წინააღმდეგ თეიმურაზის ბრძოლას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ირანის შაჰი, რუსეთის მოკავშირე თეიმურაზის მომხრეთა შემცირების მიზნით, უკან იხევდა და დათმობაზე მიდიოდა.

ყოველივე ამან განსაზღვრა თვით როსტომ მეფის პოლიტიკაც. მან ქართველობას ბრძოლა ვერ გამოუცხადა. ქვეყნის სოციალური და ეკონომიური წყობა უცვლელად რჩებოდა. სახელმწიფოებრივი წყობის ცვლილება კი არსებითად იმაში გამოიხატა, რომ სხვადასხვა ადგილობრივ ქართულ თანამდებობას სპარსული სახელები ეწოდა. მაგ., მსახურთუხუცესს — „ყორჩიბაში“, მსაჯულთუხუცესს — „მდივანბეგი“, ხუროთმოძღვარს — „სარაიდარი“ და ა. შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თვით როსტომსაც, რომელიც შაჰის ერთგულ მოხელედ იყო მიჩნეული, ფარულად თვალი რუსეთისაკენ ეჭირა და, სანამ მოსკოვის სახელმწიფო ამიერკავკასიაში ფეხს მტკიცედ მოიკიდებდა, რუსეთისაგან შეშინებული და დათმობაზე წასული ირანის ვასალობის საფარველით ქართული საქმის გაკეთებას ცდილობდა.

როსტომს საგარეო პირობებმაც შეუწყო ხელი: 1639 წლის ზავი 1723 წლამდე არ დარღვეულა, შეწყდა ოსმალთა და ყიზილბაშთა თარეში. ქართლშიც თანდათან წესრიგი დამყარდა: გაჩიზნული ხალხი უკან დაბრუნდა — სოფლებმა და ქალაქებმა მოშენება-აღორძინება იწყეს.

კახეთის აჯანყება 1659 წელს

როსტომის პოლიტიკამ ქართლში თეიმურაზის მომხრეები შეამცირა, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც თავს არ ანებებდა ბრძოლას. კახეთში მას ჯერ კიდევ ბევრი ჰყავდა თანამგრძნობი. ამიტომ 1648 წელს, შაჰის ბრძანებით, როსტომმა თეიმურაზის წინააღმდეგ გაილაშქრა. თეიმურაზმა ომი წააგო და იმერეთში გადავიდა. კახეთიც როსტომს ჩააბარეს საგამგებლოდ, მაგრამ მისი დამორჩილება ძლიერ გაძნელდა. განსაკუთრებით შფოთავდნენ თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი: მათ გაერთიანება მოახერხეს, მოსკოვის ხელმწიფესთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს და ყიზილბაშების წინააღმდეგ სალაშქროდ მოემზადნენ. ასეთ პირობებში ირანის მბრძანებელმა შაჰ-აბასის ძველი გეგმა გაიხ-

სენა და კახეთში თურქმან მომთაბარეთა ჩასახლება გადაწყვიტა. ამ გეგმის შესრულება შაჰმა როსტომს კი არ მიანდო, არამედ განჯის ხანს სელიმს, რომელსაც 1656 წ. გადაეცა საგამგებლოდ კახეთი.

სელიმ ხანმა ორი წლის განმავლობაში ჩამოასახლა თურქმანთა დიდი ურდოები ბახტრიონს, ალავერდსა და კახეთის სხვა მნიშვნელოვან ადგილებში. როგორც ხალხურ ლექსშია ნათქვამი, თურქმანები მთელ კახეთს ყიშლაღ-ალაღებად, ე. ი. საძოვრებად გადაქცევას უპირებდნენ:

ბახტრიონს სხედან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ახმეტას ჩავჭრით ვენახსა,
შიგ დავასახლებთ ელსაო.

თურქმანთა ჩამოსახლება კახეთის მთასა და ბარს ერთნაირად ემუქრებოდა. ყოველივე ამან კახეთში მრისხანე აჯანყება გამოიწვია. კახი, თუში თუ ფშავ-ხევსური ერთიანი ძალით აღდგა მოძალადის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა სამშობლო მიწა-წყალი ერთბაშად გასწმინდეს მომთაბარე თურქმანებისაგან. ეს მოხდა 1659 წ. ბახტრიონის გმირულმა ეპოპეამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ქართველი ხალხის დასამორჩილებლად ირანს ძალა არ შესწევდა.

ქართლი XVII ს. დასასრულს

როსტომი 1658 წ. გარდაიცვალა და მის მემკვიდრედ ირანის შაჰმა დაამტკიცა თეიმურაზ მუხრან-ბატონის შვილი ვახტანგი. ეს იყო **ვახტანგ V** ანუ **შაჰ-ნავაზი**, რომლითაც დაიწყო ბაგრატიონების მუხრანბატონთა შტოს მეფობა ქართლის სამეფო ტახტზე. შაჰ-ნავაზმა ირანის შემწეობით საქართველოს სათავადოებისა და სამეფოების შემომტკიცებაც კი განიზრახა. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ბრძოლა ერისთავთა წინააღმდეგ, ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში და თავისი შვილის არჩილის გამეფება ჯერ იმერეთში, ხოლო შემდეგ კახეთში. ყოველივე ეს აძლიერებდა თვით შაჰ-ნავაზსაც, რაც ირანის შაჰს, ცხადია, მაინცდამაინც არ მოსწონდა.

1676 წ. ვახტანგ V-ის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი **გიორგი XI** გამეფდა. გიორგი ირანის შაჰისადმი მორჩილებას ვერ ითმენდა და ასაჯანყებლად ემზადებოდა. შაჰმა განზრახვა გაუგო და მეფობიდან გადააყენა. ქართლის მეფე შაჰის ბრძანებას არ დაემორჩილა და აჯანყდა. გიორგის მაგიერ 1688 წ. შაჰმა, რუსეთში გაზრდილი და იმყამად კი შაჰის კარზე ბედის მაძიებელი, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, **ერეკლე I** (ნაზარ-ალი-ხანი) დანიშნა. ერეკლე I-მა ქართლის სახელმწიფოებრივ წყობაში ზოგიერთი ცვლილების შეტანა გაიზრახა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მან საქალაქო ცხოვრების მოწესრიგებას. ქალაქის მოხელეებს — კერძოდ, მოურავებს — ახალი დებულება შეუდგინა და უფლება-მოვალეობა მტკიცედ განუსაზღვრა. ერეკლეს ბრძანებითა და დამტკიცებით შედგენილ იქნა აგრეთვე თბილისის ხელოსანთა ზოგი დიდი ამქრის წესდება (სტატუტი). ერეკლე I-მა ქართლში 1703 წლამდე იმეფა.

რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავება

პროგრესის გზაზე განუხრელად შემდგარი რუსეთის სახელმწიფოს მნიშვნელობა იმთავითვე სწორად შეაფასა თავისუფლებას მოწყურებულმა ქართველმა ხალხმა. ამიტომ იყო, რომ, რაც დრო გადიოდა, საქართველოში მით უფრო

ღრმავდებოდა რუსეთთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობის დამყარების სურვილი.

მოსკოვის სახელმწიფომ ჯერ კახეთს დაადო, XVII ს. ორმოციან წლებში, მფარველობის ხელი, ხოლო იმავე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში — იმერეთის სამეფოს. თეიმურაზ I ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ საქართველოს ყოველი კუთხე რუსეთთან დაეკავშირებინა.

1656 წ. თეიმურაზმა და მისმა მომხრეებმა თუშ-ფშავ-ხევსურეთში დიდი სამზადისი ჩაატარეს, ეს სამი კუთხე გააერთიანეს თუშების მეთაურობით და მათი ელჩები რუსეთში მფარველობის სათხოვნელად გაგზავნეს. 1657 წლიდან დაწყებული, თუშები არა ერთხელ იყვნენ მოსკოვში და რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულება მათ საგანგებო ფიცის წიგნითაც გამოხატეს.

1658 წ. თვით თეიმურაზ I გაემგზავრა რუსეთს თავისი ამალითურთ. რათა პირადად ენახა ხელმწიფე და ქართლ-კახეთის გასათავისუფლებლად 30.000 მოლაშქრე ეთხოვა მისთვის. თეიმურაზი დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ საგარეო პირობათა გართულების გამო რუსეთს იმჟამად შეიარაღებული ძალით დახმარების საშუალება არ აღმოაჩნდა. სამშობლოსაკენ მობრუნებული, იმედგადაწყვეტილი თეიმურაზი — ყიზილბაშ დამპყრობელთა წინააღმდეგ ნახევარი საუკუნის მანძილზე წარმოებული გმირული ბრძოლის მეთაური — ირანის შაჰმა ცრუ დაპირებით სპარსეთში მიიტყუა და გამოამწყვდია ასტრაბადის ციხეში, სადაც სამოცდათოთხმეტი წლის მოხუცს 1663 წ. სული ამოხდა.

მართალია, რუსეთი იმჟამად საქართველოს ჯარით ვერ დაეხმარა, მაგრამ ჩვენში მაინც არ შერყეულა გეზი რუსეთის მიმართ. ქვეყნის გამოხსნისათვის მებრძოლი მოწინავე ქართველობის ერთადერთ იმედად ისევ რუსეთი რჩებოდა. მძიმე ვითარებაში ჩავარდნილი ქართველი პოლიტიკოსები ფინანსურს, მორალურსა თუ დიპლომატიურ მხარდაჭერას მხოლოდ რუსეთისაგან იღებდნენ. ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანებისათვის, რუსეთის მფარველობით.

თ ა ვ ი XVIII

კულტურა XVI-XVII საუკუნეებში

§ 1. განათლება და მეცნიერება

განათლება

XIII ს. მეორე ნახევრიდან მოკიდებული, ქართული კულტურა თანდათან დაქვეითების გზას დაადგა. XV ს-ში უკვე საგრძნობლად შემცირდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი. დაეცა ქვეყნის კულტურული დონე. მდგომარეობა არსებითად არც XVI—XVII საუკუნეებში შეცვლილა. აი, რას წერდა ცნობილი ქართველი პოეტი დ. გურამიშვილი XVII ს. მიწურულისა და XVIII ს. დამდეგის ქართლში სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ:

...ჩემსა ყრმობაში
სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში,
მით იკლო სწავლამ. ჩვენში ლეკთ დავლამა
წიგნი წარსტყვენნა.
დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები
ჩემის დროს ყრმანი უწვრთელ-უცები.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ საერთოდ შეწყდა ყოველგვარი სწავლა-განათლება. მაღალი საზოგადოებრივი წრეებისა და მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენლები წერა-კითხვას სწავლობდნენ ოჯახებში, კერძო მასწავლებლებთან და ეკლესია-მონასტრებში; „საღმრთო“ თუ „საერო წიგნის“ სწავლას საქართველოში „მოძღვრები“ (მასწავლებლები) და „მოძღვართ-მოძღვრები“ ხელმძღვანელობდნენ.

XVII ს. 60-იან წლებში სწავლა-აღზრდის ქართულ კერებს გარდა თბილისში კათოლიკე მისიონერებმაც გახსნეს სკოლა, სადაც კათოლიკურ-ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად ქართულს, იტალიურსა და ლათინურ ენებსაც ასწავლიდნენ. მისიონერთა მარტო თბილისის სკოლაში წელიწადში საშუალოდ 40-მდე მოსწავლე მეცადინეობდა. მისიონერებს მოწაფეები ჰყავდათ აგრეთვე მეფისა და სხვა მსხვილ ფეოდალთა სასახლეებში და სამოქმედო ცენტრები ჰქონდათ გორში, ახალციხეში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში. ამას გარდა, 1670 წლიდან ქართველებს ორი ადგილი ჰქონდათ დათმობილი რომის უმაღლეს თეოლოგიურ სასწავლებელში, სადაც იგზავნებოდნენ ყველაზე უფრო ნიჭიერი ახალგაზრდები თბილისის სკოლის კურსდამთავრებულთაგან. საქართველოდან ევროპაში ქართველ ახალგაზრდებს მარტო საღვთისმეტყველო სა-

წავლებლებში როდი გზავნიდნენ. 1681 წ. ნეაპოლის საშუალო სკოლაში ერთი ქართველი თავადიშვილი თურმე „სამოქალაქო მეცნიერებას“ სწავლობდა.

XVII ს-ში ქართული საზოგადოების მაღალ წრეებში განსაკუთრებით ძლიერდება ინტერესები „სამოქალაქო მეცნიერების“ — პოეზიის, უცხო ენების, ფილოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფია-ასტრონომიის, მედიცინისა და სხვ. შესწავლისადმი. ამიტომ ამბობდა თეიმურაზ პირველი:

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა-ო“.

სკოლებში თუ კერძო სასწავლებლებში სახელმძღვანელოებს უმთავრესად ხელნაწერი წიგნები წარმოადგენდა.

ხელნაწერი წიგნები მრავლად ინახებოდა სათანადო საცავებში, რომელნიც უმთავრესად ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. მათ შორის უდიდესი იყო მცხეთის ეკლესიის წიგნთსაცავი. XVIII ს. დამდეგს თბილისში საგანგებო წიგნთსაცავიც კი აუგიათ, სიონის მახლობლად.

გამუდმებული ომიანობის გამო საქართველოში სტამბის დაარსება ვერ ხერხდებოდა და ამიტომ ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი ცდილობდა, რომ ქართული სტამბა საზღვარგარეთ მაინც შეექმნა.

1629 წ., როცა ქართლ-კახეთს შაჰ-აბასის მიერ მიყენებული მძიმე ჭრილობა ჯერაც არ ჰქონდა მოშუშებული, მისიონერებმა, ქართველი მწიგნობრის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბაქის) თანამშრომლობით, რომში ქართული სტამბა მოაწყეს და მისივე თანაავტორობით დაბეჭდეს ქართულ-იტალიური ანბანი ლოცვებითურთ და ქართულ-იტალიური ლექსიკონი. 1643 წ. რომშივე დაიბეჭდა ქართული გრამატიკა, რომელიც 1670 წელს ხელმეორედ, გამოიცა.

XVII ს. 80-იან წლებში ქართული სტამბის შექმნისათვის ბრძოლას იწყებს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და პოეტი **არჩილი**. მოსკოვში ყოფნის დროს, მან ქ. ამსტერდამში ქართული შრიფტი გააკეთებინა და 1705 წ., მოსკოვის სინოდის სტამბასთან, ქართული წიგნთსაბეჭდავი გამართა.

XVII ს-ის რუსეთი თავშესაფარად ექცა ძნელბედობის ჟამს საქართველოდან გადახვეწილ ქართველ პატრიოტებს. იქ არა ერთი ქართველი აღიზარდა: ზოგი მათგანი საქართველოში ბრუნდებოდა და თავის ცოდნას სამშობლო ქვეყანას ახმარდა, ზოგი კი ასტრახანში, ცარიცინში, ყაზანსა და მოსკოვში მსახურობდა. მოსკოვის სამეფო კარზე აღიზარდნენ თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე I, არჩილის შვილები ალექსანდრე და მათე ბაგრატიონები. ალექსანდრე ბაგრატიონი, პეტრე I-ის უახლოესი მეგობარი და თანამშრომელი, მასთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა, ხოლო შემდეგ მან პირველმა მიიღო რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდცეხმაისტერის თანამდებობა.

მეცნიერება

მეცნიერული და ტექნიკური ცოდნა თანდათან ვითარდებოდა და გზას იკაფავდა რეაქციული საეკლესიო მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვადასხვა ენებიდან ითარგმნებოდა მნიშვნელოვანი თხზულებანი მედიცინაში, ასტრონომიაში, გეოგრაფიაში, ისტორიასა და მეცნიერების სხვა დარგებში. XVI ს-ის მეორე ნახევარში გამაჰმადიანებულმა ბაგრატიონმა, ცნობილმა დაუთხანმა შექმნა სამედიცინო წიგნი, რომელსაც „იადიგარ დაუდი“ ეწოდებოდა. „იადიგარ დაუდი“ მანამდე არსებული სამკურნალო წიგნების უბრალო განმეორება კი არაა, არამედ

ამასში მოცემულია ბევრი ახალი დაკვირვება და დასახელებულია თვით ავტორის მიერ შექმნილი ახალი სამკურნალო საშუალებანი.

XVII ს-ში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამხედრო საქმის შემდგომ გაუმჯობესებას. ამ მიზნით XVII ს. დასასრულს სამხედრო საქმისადმი მიძღვნილი ერთი თხზულებაც კი ითარგმნა რუსულიდან.

ამას გარდა, მოხდა ცვლილება ლაშქრის შეიარაღებაში. XVII ს. მეორე ნახევარში ქართველთა ლაშქრის უკვე 37,7 პროცენტი იყო თოფით შეიარაღებული, მაშინ როცა XVI ს-ნის 80-იან წლებში თოფით შეიარაღებულთა რიცხვი მხოლოდ 3,7 პროცენტს შეადგენდა. ეს, ცხადია, ტექნიკის შემდგომი განვითარების შედეგი იყო.

XV—XVI საუკუნეებში არ შექმნილა არც ერთი მნიშვნელოვანი საისტორიო თხზულება, გარდა „ქორონიკონებისა", რომლებშიც ისტორიული ფაქტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მშრალად იყო მოთხრობილი.

XVII საუკუნეში კი საისტორიო მეცნიერებაც ერთგვარ აღორძინებას იწყებს. XVII ს. 40-იან წლებში როსტომის მეუღლის, მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაწერილ იქნა ძველ ქართულ საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება" (საქართველოს ისტორია), რომელიც მანამდე არსებული ასეთივე კრებულისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მასში შეტანილ იქნა XIV ს. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, „ჟამთააღმწერელის" თხზულებაც.

XVII ს. შეიქმნა აგრეთვე ორიგინალური საისტორიო თხზულება „საქართველოს ისტორია", რომელიც ფარსადან გორგიჯანიძეს (1626—1696) ეკუთვნის. ფარსადან გორგიჯანიძე საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან იწყებს და თავისი თანამედროვე ამბების თხრობით ამთავრებს. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი თხზულების იმ ნაწილს, რომელშიც XVI—XVII სს. ისტორიაა მოთხრობილი და რომელიც უმთავრესად დამყარებულია ავტორის პირად დაკვირვებაზე და თან სპარსელ ისტორიკოსთა ცნობებზე.

ფარსადან გორგიჯანიძემ, როგორც თავისი დროისათვის განათლებულმა და აღმოსავლური ენების კარგად მცოდნე მწიგნობარმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფირდოუსის „შაჰნამეს" ქართული ვერსიების შედგენასა და აგრეთვე ქართულ ლექსიკოგრაფიაში. მან შეადგინა ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, ქართულად თარგმნა სხვადასხვა აღმოსავლური ძეგლები და დაწერა რამდენიმე ორიგინალური თხზულება აღმოსავლეთის პოლიტიკური თუ კულტურული ისტორიიდან.

§ 2. ლიტერატურა და ხელოვნება

მხატვრული ლიტერატურა

XIII ს. მეორე ნახევარი, XIV და XV საუკუნეები ქართული მხატვრული ლიტერატურის დაცემის ხანაა. XVI ს-ში კი ქართული ლიტერატურა ერთგვარ აღორძინებას იწყებს.

უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა ენასა და ლიტერატურაშიც წარმოებდა. ირანელი და ოსმალო ასიმილატორები განსაკუთრებით ცდილობდნენ მოესპოთ მდიდარი ქართული ენა, მაგრამ ქარ-

თელეშა დიდი წინააღმდეგობის უნარი გამოიჩინა. მართალია, მან ბევრი აღ-მოსავლური სიტყვა შეითვისა, მაგრამ მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა არსებითად უცვლელი დარჩა. ამას გარდა, ქართული ეროვნული კულტურის გადასარჩენად აუცილებელი იყო ირანულ-მუსლიმანური კულტურის დაძლევა და მდიდარი ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების შემდგომი გაღრმავება. ამიტომ მოწინავე ქართველები უცხოურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში XVI ს-დან დაემყარნენ ძველი ქართული ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობას და, კერძოდ, რუსთაველის გენიას. ამის; აიხსნება, რომ XVI—XVII სს. ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა თუ გაგრძელების გაგრძელებათა მთელი ციკლი. „ვეფხისტყაოსნის“ ჩამატებათა თუ გაგრძელებათა ავტორები XVI—XVII საუკუნეებში იყვნენ **სარგის თმოგველი,** ვინმე **მესხი მელექსე, მანუჩარ მწერალი, იოსებ თბილელი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი** და სხვ.

საეკლესიო-კლერიკალური იდეოლოგიის წარმომადგენლები კი, პირიქით, რუსთაველის თხზულებას საერთოდ უსარგებლო და მავნე წიგნად მიიჩნევდნენ და ძს სასტიკად ებრძოდნენ.

XVII საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ქართულ პოეზიაში ირანული მიმართულებისა და გავლენის დამკვიდრების წინააღმდეგ ბრძოლა.

XVII ს. ქართულ პოეზიაში ირანული ყაიდის ერთ-ერთი აშკარა მატარებელი იყო დიდი პოლიტიკური მოღვაწე და ნიჭიერი ქართველი პოეტი **თეიმურაზ პირველი.** მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ირანის წინააღმდეგ ბრძოლას შეელია, თეიმურაზ I ირანული პოეზიის ძლიერ გავლენას განიცდიდა.

თეიმურაზმა შექმნა არა ერთი საუცხოო ნიმუში ქართული პოეზიისა, რომლებშიც გულწრფელად ასახა თავისი დროის საქართველოს ჭირ-ვარამი და საკუთარი ადამიანური მწარე განცდები. ზიზღითა და წყევლა-კრულვით იხსენიებდა იგი თავისი ქვეყნისა და მისი პირადი უბედურების მიზეზს, „სისხლისმსმელ“ ირანის შაჰს. შაჰ-აბასს იგი „მძლავრს“ (ე. ი. მოძალადეს), „უწყალოს“, „მტანჯველს“ და „უბრალოს სისხლთა მჩქეფელს“ უწოდებს. თეიმურაზმა შექმნა ისტორიული პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, რომელშიც პოეტური სახეებით აღწერა შაჰ-აბასის ლაშქრის ველური თარეში კახეთის მიწა-წყალზე და შაჰის კარზე თეიმურაზის შვილებისა და დედის ტყვეობისა და წამების ისტორია.

თეიმურაზის პოეზიას ჰყავდა მიმდევრები. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ **ნოდარ ციციშვილი,** რომელმაც გადმოაქართულა ირანული „ბარამგურიანი“.

თეიმურაზის ლიტერატურული ტრადიციებისა და სკოლის ძლიერი მოწინააღმდეგე იყო **არჩილი,** რომელიც ირან-ოსმალეთის წამლეკავ გავლენას ლიტერატურის სფეროშიაც ბრძოლას უცხადებდა. არჩილის მოღვაწეობამ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ-პატრიოტულ მიმართულებას საზოგადოებრივ აზროვნებასა და პოეზიაში.

არჩილი ქართულ პოეზიაში იცავდა რეალისტური შემოქმედებითი მეთოდის ძირითად პრინციპს — „მართლის თქმას“, ეროვნულ-ისტორიულ თემატი-

კას და ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდეს. ამ ახალი ლიტერატურული პრინციპების მიხედვით არის დაწერილი მისი ისტორიული პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“.

არჩილი პირდაპირ აცხადებდა, „ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებო“. და მან მართლაც დაუნდობლად ამხილა ფეოდალური საზოგადოების ერთი ნაწილის, ზოგი თავადისა და უგუნური მეფის მტრული მოქმედება. მისი მართებული მტკიცებით, ქვეყანას შინაგანმა ფეოდალურმა კინკლაობა-ომებმა და გაუტანლობამ მეტი უბედურება მოუტანა, ვიდრე გარეშე მტრების თარეშმა. არჩილმა პირველად მოუწოდა აღვირახსნილ თავადებს ყმა-გლეხებისადმი ჰუმანური მოპყრობისაკენ, რადგან **„თუ ამოწყდეს გლეხიკაცი საქართველო დაძაბუნდაო“**, აცხადებდა იგი. ფეოდალური საქართველოს დაცვის ინტერესებმა მეფე არჩილი გლეხთა გამოსარჩლებამდე მიიყვანა.

არჩილმა პირველმა დასვა ქართულ მწერლობაში აგრეთვე საკითხი ადამიანთა ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის უსამართლობის შესახებ. მაგრამ მას, თავისი კლასობრივი ინტერესების შეზღუდულობის გამო, ცხადია, არ შეეძლო ამგვარი უსამართლობისათვის ბრძოლა გამოეცხადებინა.

არჩილის ლიტერატურულ სკოლას არა ერთი მიმდევარი ჰყავდა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ **ფეშანგი** (ისტორიული პოემის „შაჰნავაზიანის“ ავტორი) და **იოსებ საკაძე** (თბილელი ეპისკოპოსი, „დიდმოურავიანის“ ავტორი). ეს უკანასკნელი პოემა გიორგი საკაძის ცხოვრება-მოღვაწეობისადმია მიძღვნილი და, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, XVII ს. ქართული პოეზიის საუცხოო ნიმუშად არის მიჩნეული.

ხალხური სიტყვიერება

ქართულ ლიტერატურას ცოცხალი ურთიერთობა ჰქონდა ხალხურ სიტყვიერებასთან. ხალხი ჰქმნიდა მნიშვნელოვან ლექსებსა და თქმულებებს იმ თემებზედაც, რომლებიც ლიტერატურაშიც მუშავდებოდა. ხალხის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა კლასობრივი ბრძოლის მოტივებს. ამის საუკეთესო მაგალითია ლექსების ციკლი XVII ს. მსხვილი ქართველი ფეოდალების — ნუგზარ და ზურაბ ერისთავების შესახებ. ხალხი ზიზღით იგონებს იმ დროს, როცა არაგვის მოძალადე ერისთავებს თავისუფალი მთის ხალხის ყმობის უღელში შებმა მოუნდომებიათ: „ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“ — ასე იწყება მძიმე სოციალური ბრძოლის ამსახველი ერთი ძველი ხალხური ლექსი.

ხალხურ სიტყვიერებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა აგრეთვე ქართველი ხალხის, დაუცხრომელ ბრძოლას უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ბევრი კარგი ლექსი მიეძღვნა ბახტრიონის გმირულ ეპოპეას.

ხალხური სიტყვიერების მიერ შექმნილი თემები, მომდევნო საუკუნეებში, საფუძვლად დაედო არა ერთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ ნაწარმოებს. ხალხური მოტივები ნაწილობრივ იგრძნობოდა თეიმურაზ I-ის, არჩილისა და სხვათა ლექსებშიაც.

ხელოვნება

XVI—XVII სს. ქართული **საამშენებლო ხელოვნება**, მასშტაბითა და შენების ტექნიკით, რა თქმა უნდა, კლასიკური ხანის (X—XIII სს.) საქართველოს ხელოვნებას ვერ შეედრებო-

და. მაგრამ ამ ხანაშიც აშენდა რამდენიმე ისეთი ნაგებობა, რომელიც საყურადღებოა, როგორც არა მარტო ისტორიული, არამედ აგრეთვე მხატვრული თვალსაზრისით.

XVI—XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება მრავალმხრივ ამჟღავნებს წინა ხანათა ხუროთმოძღვრებასთან ორგანულ კავშირს. ამასთანავე შეიმჩნევა (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში) ირანული ხელოვნების გავლენა: ზოგ ნაგებობაში, თლილი ქვის მაგივრ, საშენ მასალად აგურია გამოყენებული და ქვის ჩუქურთმაც ადგილს უთმობს აგურის წყობით გამოყვანილ სახეებსა და ცალკეულ ფორმებს. ყოველივე ეს ირანული ხუროთმოძღვრებიდან არის ნასესხები.

საქართველოს დასავლეთი და, განსაკუთრებით, მთის კუთხეები ირანული გავლენისაგან თავისუფალი იყო. ხალხურ ხუროთმოძღვრებაშიც უცხო ხელოვნების გავლენა მხოლოდ ცალკეულ ელემენტებში თუ მჟღავნდებოდა.

იმდროინდელმა სასახლეებმა და სახლებმა ჩვენამდე დაუზიანებელი სახით ვერ მოაღწია, მაგრამ წერილობითი წყაროები გვამცნობენ, რომ მეფეთა თუ მთავართა (როსტომის, კახთა მეფეების, ლევან II დადიანის და სხვ.) სასახლეები შესანიშნავად ნაგები, მდიდრულად მორთული და მოხატულიც ყოფილა.

იმდროინდელი საერო საამშენებლო ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს აგრეთვე ქარვასლები, აბანოები, ხიდები და ციხეები. როსტომის დროს აშენებულ ქარვასლებსა და მდ. ქციაზე გადებულ ხიდს (რომელიც დღესაც მოქმედებს „გატეხილი ხიდის“ ანუ „წითელი ხიდის“ სახელწოდებით, აზერბაიჯანის საზღვარზე) თავისი სილამაზით XVII—XVIII სს. არა ერთი უცხოელი მოგზაური გაუოცებია.

იმდროინდელ მნიშვნელოვან ხუროთმოძღვრულ ანსამბლებს წარმოადგენენ: **ანანურის ციხე-სიმაგრე** მრავალსართულიანი კოშკებითა და გუმბათოვანი ეკლესიებით; **გრემის** საქალაქო ანსამბლი ქალაქის უბნებით, ქულბაქებით *(დუქნებით)*, *აბანოებითა* და *ეკლესიებით*.

იმ ხანის საკულტო ნაგებობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: **ანანურის ეკლესია, მჭადისჯვარში** (სოფელია მუხრანსა და დუშეთს შუა) 1668 წ. აშენებული დიდი გუმბათიანი ეკლესია, **ახალი შუამთის** მონასტერი (კახეთში) და სხვ.

ბევრგანაა შემონახული XVI—XVII საუკუნეთა **კედლის მხატვრობის** ნიმუშები. საქართველოს ყოველ კუთხეში ტაძრების (სვეტიცხოველის, ახალი შუამთის მონასტრის, გრემის ეკლესიის, ნეკრესის მონასტრის, წალენჯიხის მონასტრის, ხობის ტაძრის, გელათის მონასტრისა და სხვა) კედლები შემკულია სხვადასხვაგვარი მოხატულობით, რომელიც, გარდა საეკლესიო სიუჟეტებისა, შეიცავს ისტორიულ პირთა (მეფეების, მთავრების, ფეოდალების და მათი ოჯახობის) პორტრეტებსაც.

კედლის მხატვრები უმთავრესად ადგილობრივი ოსტატები იყვნენ: ასე მაგ., XVII საუკუნეში სვეტიცხოვლის ტაძრის ერთ-ერთი მომხატველი ყოფილა მოქალაქე, ვინმე გრიგოლ გულჯავარისშვილი.

საქართველოს მეფეებსა თუ მთავრებს მხატვრები ზოგჯერ მეზობელი სახელმწიფოებიდანაც — უფრო ხშირად, რუსეთიდან — მოჰყავდათ XVI—XVII სს. რუს მხატვრებს უმუშავნიათ კახეთის მეფეთა კარზე: ისინ

საგანგებოდ იყვნენ მოწვეულნი კახეთის ეკლესიების მოსახატავად და მოსაწყობად; მათ აღუდგენიათ მხატვრობა ალავერდში, მოუხატავთ გრემის სასახლის ეკლესია და სხვ.

XVI — XVII სს. ხელოვნება კარგად არის წარმოდგენილი **ოქრომჭედლობის** ნიმუშებითაც. საქართველოს სიძველეთსაცავებში თავმოყრილია იმდროინდელი ოქროსა და ვერცხლის დიდძალი ნივთი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია დამზადებული. განსაკუთრებით ბევრია კახთა მეფეებისა და სამეგრელოს მთავრის ლევან II-ის დაკვეთით გაკეთებული ჭედური ხელოვნების ნიმუშები.

XI — XII სს. ქართულ ჭედურ ხელოვნებასთან შედარებით, სამეგრელოში გაკეთებული ოქრომჭედლობის ნაწარმი, მხატვრული თვალსაზრისით, დიდ დაქვეითებას მოწმობს, მაგრამ იგივე არ ითქმის კახეთში დამზადებულ ნივთებზე. ეტყობა, კახეთის მეფეთა კარზე ჯერ კიდევ უმუშავნიათ დახელოვნებულ ოქრომჭედლებს.

ხელოვნების ერთ-ერთ დარგს **მხატვრული ქარგვაც** შეადგენდა. XV — XVII სს. ნაქარგობის ნიმუშებმა მოაღწიეს ჩვენს დრომდე ე. წ. „გარდამოხსნებისა“ და სხვადასხვა საეკლესიო თუ საერისკაცო სამოსლის სახით.

მრავალი იმდროინდელი საერო თუ სასულიერო შინაარსის ხელნაწერი წიგნი დიდი ხელოვნებით არის მორთული. ზოგ მათგანში ტექსტთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი სურათებიცაა დახატული. ამ მხრივ განსაკუთრებით ძვირფასია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსანის“ XVII საუკუნის დასურათებული ხელნაწერები.

თ ა ვ ი XIX

საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში

§ 1. საქართველოს ეკონომიური ვითარება XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში

მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოში XVIII ს. პირველ ნახევარში, ისევე როგორც XVII საუკუნეში, სოფლის მეურნეობა და საქალაქო ცხოვრება დაქვეითების გზაზე იდგა. ფეოდალურ ურთიერთობაში სამთავრო-სათავადოთა სისტემის უცილობელი ბატონობა და ტყვეთა სყიდვის საყოველთაო მძვინვარება დიდად აბრკოლებდა ქვეყნის შინაგანი ეკონომიური სიძლიერის აღდგენას. შინაფეოდალური ომები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში XVIII ს-ში აგრეთვე გრძელდებოდა, ისედაც უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანილ მწარმოებელ მოსახლეობას ფიზიკურადაც ანადგურებდა და უცხო მოძალადეებს, ოსმალებს, ქვეყნის დაპყრობას უადვილებდა.

1723 წ. ოსმალებმა დაიპყრეს ფოთი. 1725 წ. მათვე გაანადგურეს იმ-დროინდელი სამეგრელოს ერთადერთი ქალაქი, ლევან დადიანის ბრძანებით განახლებული რ უ ხ ი და მის ხარჯზე გააძლიერეს ოსმალთა საზღვისპირო მტაცებლური ვაჭრობის მნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტი ა ნ ა კ ლ ი ა.

ოსმალო-თურქების გამაგრება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სავაჭრო პუნქტებში დიდ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ საქართველოს. ტყვეთა სყიდვა, იმერეთის სამეფო ხელისუფლების დაუძლურებისა და ოსმალეთის აგრესიის თანდათან გაძლიერების ვითარებაში, განსაკუთრებით საშიშ სახეს იღებდა.

ასეთი მდგომარეობა აქ XVIII ს. მეორე ნახევრის დასაწყისამდე გაგრძელდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური ვითარება XVIII ს. პირველ ნახევარში

სხვაგვარი ვითარება იყო იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოში.

კახეთში, XVII ს. მეორე ნახევრიდან, სოფლის მეურნეობა და საქალაქო ცხოვრება კვლავ ერთგვარ აღმავლობას განიცდიდა, მაგრამ მათი შემდგომი განვითარება დიდად დააბრკოლა დაღისტნელ ფეოდალთა გამუდმებულმა თავდასხმამ, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო XVII ს. მიწურულსა და XVIII ს. დამდეგს.

ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში სამეურნეო განვითარების მხრივ საგრძნობლად განსხვავდებოდა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებისაგან. ქართლის სამეფო ხელისუფლებამ, ქვეყნის შინაეკონომიური მდგომარეობის შემდგომი აღორძინების მიზნით, მრავალმხრივი ღონისძიება ჩაატარა. უპირველეს ყოვლისა, იგი შეეცადა ქართლიდან კახეთს გაქცეული და იქ თავშეფარებული გლეხობა უკან, თავ-თავიანთ ძველ 'მიწა-წყალზე დაებრუნებინა და ქართლის გავერანებული ადგილები ისევ მოეშენებინა.

გლეხებს, ცხადია, ძველ მებატონეებთან დაბრუნება არ სურდათ, მაგრამ ქართლის სამეფო ხელისუფლებამ შაჰის საგანგებო ნებართვა მიიღო, და, თავისი მოხელეებისა და ქართლის ფეოდალების შემწეობით კახეთიდან მრავალი გლეხი აყარა. დაიწყო ეგრეთ წოდებული **„მყრელობა“**. ყველა გლეხის დაბრუნება მაინც შეუძლებელი გახდა: ზოგი მათგანი იარაღით იცავდა თავს, ზოგი კი გარბოდა და დროებით მთიელებს ეხიზნებოდა. ამ ღონისძიებამ, რომელიც მწარმოებელი მოსახლეობის აწიოკების ხარჯზე ტარდებოდა, მაინც გამოიღო შედეგი: დიდი ხნის წინ დაცლილ-გაუკაცრიელებული სოფლები და მხარეები ხელახლა დასახლდა; კვლავ იწყო მოშენება თრიალეთმა, გუჯარეთმა, ბაიდარმა, ტაშირმა და სხვა მხარეებმა.

ქართლში სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მოშლილი სარწყავი არხების განახლებას და ზოგი ახალი არხის გაყვანას. ყოველივე ამის შედეგად აღორძინდა სოფლის მეურნეობა — ხორბლეულის მოყვანა, მევენახეობა-მეღვინეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, უკვე ბლომად მოჰყავდათ ბამბა, აშენებდნენ თუთის ხეს და მისდევდნენ მეაბრეშუმეობას. ასევე წარმატება დაეტყო მესაქონლეობას. დროთა ვითარებაში მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამო დიდად შეფერხებული სამეურნეო ცხოვრება თანდათან ისევ განვითარების გზაზე დგებოდა.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების აღორძინება, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ხელოსნური წარმოების, ვაჭრობისა და, საერთოდ, საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას. სამეფო ხელისუფლება, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების ექსპლუატაციის გაძლიერების ხარჯზე, ამ მხრივაც ბევრ მნიშვნელოვან ღონისძიებას ატარებდა: განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გზების გაუმჯობესებასა და დაცვას, ხიდების შეკეთებას, ქარვასლებისა და სხვათა მშენებლობას. XVIII ს. პირველ მეოთხედში საკმაოდ ბევრი რამ აშენდა თბილისში, გორსა და სხვაგან.

საქალაქო ცხოვრების აღმავლობას ხელს უწყობდა სამონეტო (ფულის მოჭრის) საქმის მოწესრიგებაც.

აღორძინდა ქართლის სატახტო ქალაქი თბილისი, რომელიც კვლავ რჩებოდა საქართველოს გამაერთიანებელ მთავარ ეკონომიურ ცენტრად. იძდროინდელ თბილისში, წვრილ ხელოსნურ საწარმოთა გვერდით, გაჩნდა შედარებით დიდი სარეწაოებიც. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო სამეფო ზარაფხანა, სადაც მუშაობდა რამდენიმე ათეული დაქირავებული სხვადასხვა ხელობის ოსტატი და შავი მუშა. ზარაფხანა იჯარით იყო მეფის მიერ გაცემული. თბილისის მეორე მნიშვნელოვანი საწარმო იყო 1709 წ. გახსნილი სტამბა.

საქალაქო ცხოვრების მოწესრიგება-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVIII ს. პირველ მეოთხედში შექმნილ კანონმდებლობასაც. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში" — სახელმწიფოებრივი წყობის ძირითად კანონებში — დიდი ადგილი დაეთმო ქალაქის მოხელეთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრას. ამგვარადვე, ვახტანგის ბრძანებით შედგენილ და შეკრებილ ქართულსა და უცხოურიდან თარგმნილ სამართლის ძეგლებში საგანგებო თავები ეძღვნებოდა ხელსნურ წარმოებას, ხელოსნური შრომისა და ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხებს. სამეფო ხელისუფლების ასეთი ღონისძიება ხელს უწყობდა ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის გაძლიერებას. ამავე მიზანს ემსახურებოდა ვახტანგ VI-ის მიერ შემოღებული და განსაკუთრებით დიდვაჭრებისათვის, მოქალაქეებისათვის ხელსაყრელი ე. წ. **„საკუთრების ქალაქური** წესი", რომლის მიხედვითაც უძეოდ გადასული მოქალაქის ქონება მეფეს კი აღარ მიჰქონდა, როგორც ეს მანამდე იყო, არამედ განსვენებულის ნათესავს რჩებოდა, რაც არ უნდა შორეული ყოფილიყო იგი.

§ 2. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVIII ს. პირველ ნახევარში

დაშლილობა და ვასალური დამოკიდებულება

პოლიტიკური დაშლილობა ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას XVIII ს-შიც შემოჰყვა. ისევ ცალ-ცალკე სამეფოებს წარმოადგენდნენ ქართლი, კახეთი და იმერეთი.

დაუძლურებულ სამეფო ხელისუფლებას ძველებურად ეურჩებოდნენ ადგილობრივი მთავრები, ქართლისას — არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი და ზოგი სხვა თავადი, იმერეთისას—ოდიშის ანუ სამეგრელოს მთავარი, აფხაზეთის მთავარი, გურიის მთავარი და სხვ. ესენი თავ-თავიანთ სამთავროებში უგვირგვინო მეფეებად მოჩანდნენ.

მეორე მხრივ, საქართველოს ძლიერ ასუსტებდა თურქთა და ყიზილბაშთა ბატონობა, რომელიც მას თავზე მოახვიეს XV—XVI საუკუნეებში.

ქართლისა და კახეთის მეფეები ირანის ყაენის ვასალებად ითვლებოდნენ. მათ ეკისრებოდათ შედარებით „შეღავათიანი" გადასახადი, ეგრეთ წოდებული „ფეშქაში": ძღვნად მისართმევი „ტყვე" ჰაბუკები და ქალიშვილები, საპალნეობით ღვინო, ჯიშიანი ცხენები, ქორ-შევარდენი. საფეშქაშო გამოსაღების დასაფარავად იხარჯებოდა, კერძოდ, „საური" — მეფის სალაროში შემომავალი გადასახადი, რომელიც კისრად აწვა უმთავრესად გლეხკაცობას. საურის

სახით შემოსული ფულით უნდა ეყიდნათ ყველაფერი, რისგანაც შედგებოდა ფეშქაში.

ყიზილბაშთა მოძალადეობის ცოცხალ ნიშნად რჩებოდა თბილისის შიდაციხეში ჩაყენებული ყაენის შეიარაღებული რაზმი. ყიზილბაშ ოეციხოვნეებს შევიწროებული და შეზღუდული ჰყავდათ მოსახლეობა, რომელსაც ეჭირა უმთავრესად ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთი უბანი, ე. ი. საკუთრივ ქალაქი. ყიზილბაშთა ხელში თბილისის ციხე ავაზაკების, ქურდ-ბაცაცებისა და ტყვის მსყიდველთა ბუნაგად იყო ქცეული. ხანდახან, საჭიროების ძალით, ქართველთა მეფეც ეწვეოდა ხოლმე ციხეს (მაგალითად, ყაენის შიკრიკებთან შესახვედრად), მაგრამ ისიც სულ იმის შიშში უნდა ყოფილიყო, რომ ანაზდად რამე მახეში არ გაბმულიყო ყიზილბაშების ვერაგობის შედეგად.

ქართველთა მეფის მემკვიდრე ტახტზე ყაენს უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ გამეფება მას ეღირსებოდა მხოლოდ აუცილებელი პირობის, მამა-პაპათა რჯულის უარყოფისა და მუსლიმანობის მიღების შესრულების შემდეგ.

„გათათრებული“ მეფე, ჩვეულებრივ, გულში იმარხავდა თავისი ქვეყნის რჯულს, წინაპართაგან ნაანდერძევ ქრისტიანობას, მაგრამ შაჰის კარზე თვითონ მეფეცა და მისი მახლობელ-ნათესავებიც დიდი პატივითა და ნდობით სარგებლობდნენ. მათ ენიჭებოდათ სხვადასხვა მაღალი სამხედრო-ადმინისტრაციული და სამოსამართლო თანამდებობა.

ირანელთა ვასალობაში ახლად შესული ქართველი მეფისათვის დადებული იყო დიდი საბოძვარი: ორი ათასი თუმანი ფულად; საზეიმო „ხალათი“ (რომელიც შედგებოდა ოქროქსოვილი კაბისა, სარტყლისა და სიასამურის ბეწვიანი მოსასხამისაგან); „თაჯი“ (პატიოსანი თვლებით შემკული ოქროქსოვილი თავსაბურავი); ხმალი და ხანჯალი ანუ სატევარი; მარგალიტით ნაკერი საბუხრები (სამკლავეები); ცხენი ოქრონაჭედი მოსართავებით; ოქროს სურა და თასი.

ღონისძიება ქართლის კულტურულ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის

XVIII საუკუნის დასაწყისს სპარსეთის ყაენმა ქართლის მეფობა მიუბოძა ვახტანგ (=შაჰნავაზ) მეფის ძეს გიორგის, რომელიც თავისთან სპარსეთშივე დაიტოვა დიდ სამხედრო თანამდებობაზე; ქართლში კი მეფის მოადგილედ (=„ჯანიშინად“) გიორგის ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა. იმავე დროს კახეთის მეფის მოადგილედ გამოცხადებულ იქნა ერეკლეს ძე დავითი, რომელსაც მაჰმადიანური სახელი იმამყულიხანი ერქვა. ერეკლე კი ირანს დარჩა, რადგან მას ყაენმა, კახეთთან ერთად, უბოძა კარის ყულარაღასობა, ანუ სასახლის მცველი რაზმის სარდლობა.

ვახტანგის „ჯანიშინობა“ გაგრძელდა რვა წელს (1703—1711 წწ.). ამ ხნის განმავლობაში ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა. ირანიდან სამშობლოს დაუბრუნდნენ იქ გადახვეწილი ქართველები, მათ შორის არაგვის ერისთავი გიორგი და პაპუა მუხრანბატონი. ეკლესიის მეთაურობა ჩამოერთვა კათალიკოზ ნიკოლოზს, „უმეცრება“ უკიჟინეს მის შესაცვლელად წამოყენებულ ერთ კანდიდატს და, სამღვდელოების მხარდაჭერით, კათალიკოზობა დაუმტკიცეს იმჟა-

მად რუსეთიდან დაბრუნებულ დომენტის, ვახტანგის ძმას, რომელიც ქებული იყო კარგი ცოდნითა და მომზადებით.

ამილახორობა, რომელიც ავთანდილს წაართვეს, ებოძა გივის ძეს ანდუყაფარს. ახალმა ამილახორმა, ყაენის გულის მოსაგებად, „არა ინება უმაჰმადიანოდ“, რჯული გამოიცვალა და ისე მიიღო ამილახორის თანამდებობა. მაგრამ ანდუყაფარს გადარჯულება ძვირად დაუჯდა: ნადირობის დროს ერთმა თავისმაგე კაცმა „აძგერა ცხენი, მოსტეხა კისერი“ და ისე მოკლა.

ვახტანგმა გარს შემოიკრიბა ღირსეული თანამშრომლები, რომელთა შორის ბრწყინავდა დიდი **სულხან-საბა ორბელიანი**. ვახტანგი თვითონაც შემკული იყო შემოქმედებითი ნიჭით, მრავალმხრივი ცოდნით, სანაქებო თაოსნობით. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ქართული კულტურის სწრაფ განვითარებას.

ქართლის მმართველმა წრეებმა გავლენა მოიპოვეს იმერეთის სამეფოშიც და კახეთშიც.

ირანი ამ დროს დიდ პოლიტიკურ გასაჭირს განიცდიდა: ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ავღანები აჯანყებულიყვნენ. რადგან ქართლის ბაგრატიონები სამეთაურო როლს ასრულებდნენ ავღანთა წინააღმდეგ ირანის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ყაენიც იძულებული იყო ქართველ პატრიოტთა სურვილებისათვის ანგარიში გაეწია და მხარი დაეჭირა მათი პოლიტიკური ნაბიჯებისათვის ქართლში. დომენტისაც წყალობის თვალით შეხედა შაჰმა და კახელ მფლობელებს ხელი ააღებინა მცხეთის ტაძრის კუთვნილ მამულზე.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ შაჰმა თბილისის მეციხოვნე ყიზილბაშებიც კარ დაიცვა: ქართველთა ხელისუფლებამ შეზღუდა და „დაამდაბლნა თათარნი“. წაართვა მათ ძარცვა-რბევის საშუალება და „მოშალა ტყვის-ყიდვა“. ამიტომ ისინი აჯანყდნენ, ციხის კარები დახშეს და ქალაქს თოფ-ზარბაზანი დაუშინეს. ყოველივე ეს ვახტანგმა ყაენს აუწყა. ამის შედეგად ტფილისს ეწვივნენ შაჰის გამოგზავნილი „მტარვალნი“, რომელთაც აჯანყებული მეციხოვნეები ჯერ ხელშებორკილი წარუდგინეს ვახტანგს, შემდეგ კი ისპაჰანს გადარეკეს და იქ ალამუტის ციხეში გამოამწყვდიეს.

მცველი ჯარი

მეფის ხელისუფლების განსამტკიცებლად, თვითნებობა თავადებისა და, საერთოდ, ურჩი ძალების ასალგამავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეგრეთ წოდებული „მცველი ჯარის“ შექმნას, რომელსაც სამეფო სალაროდან ეძლეოდა ჯამაგირი. ჯარის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ თავადიშვილები, აზნაურები და მსახურები. იგი შედგებოდა სამი რაზმისაგან, რომელთაც მეთაურობდნენ თავთავისი „უზბაშები“, ანუ ასისთავები.

მცველი ჯარი უზრუნველყოფდა ვახტანგის პიროვნებისა და სასახლის დაცვასაც და, საერთოდ, სამეფოში საპოლიციო-საჟანდარმო წესების შესრულებასაც. ასეთი სამხედრო ღონისძიების გამო ჯანიშინს ზოგი გავლენიანი ფეოდალი გადაემტერა, მეტადრე „შუღლი ჩაიდო გულში არაგვის ერისთავის სახლმა“.

ვახტანგ VI-ის გაპეფება

გიორგი მეფე ავღანელებთან ბრძოლას შეეწირა (მოკლეს 1709 წ.) და ქართლის მეფობა ერგო მის ძმისწულს, ქაიხოსრო ლევანის ძეს. მაგრამ აღარც მას დასცალდა გამეფება: გიორგის მსგავსად, ისიც ავღანელთში დაიღუპა (მოკლეს 1711 წ.).

ამის შედეგად ვახტანგს—ჯერ ბიძის გიორგისა და შემდეგ ძმის ქაიხოსროს ნაცვალს—დაუდგა ყაენის კარზე გამოცხადების ჯერი (1712 წ.). შაჰს ის ღირსეულ სამეფო კაცად მიაჩნდა. საქართველოში ვახტანგს ამ დროს უკვე დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, კერძოდ როგორც კანონმდებელს, სტამბის მომწყობს, ლიტერატორს და ა. შ.

ვახტანგის მეფედ დამტკიცება უაღრესად მტკივნეული გამოდგა. ისპაჰანში ის მტკიცედ დაადგა ქრისტიანობას და უარი თქვა მუსლიმანობის მიღებაზე. ამან ხელი გაუხსნა მის მტრებს როგორც საქართველოში, ისე ირანში. მის მოწინააღმდეგე ქართველ ფეოდალთა დასში შეკავშირებული აღმოჩნდნენ არაგვის ბატონები გიორგი და დათუნა და თვით ვახტანგის ძმებიც — იესე და სვიმონი. სვიმონი ვახტანგის მიერ ქართლს იყო დატოვებული, როგორც ქვეყნის „განმგე", მეფის მოადგილე, ხოლო იგი არაგვის საერისთავო სახლს სიძედ ეკუთვნოდა და ამ სახლის ავ საქმიანობაში იყო ჩათრეული, ვახტანგის საზიანოდ.

გამუსლიმანებული იესე თოფჩიბაშის თანამდებობას ასრულებდა, ე. ი. მეთოფეთა მეთაური იყო და მას თბილისის ყიზილბაშურ მეციხოვნე ჯარში გავლენა ჰქონდა. მან ეს მეციხოვნეები აუჯანყა ვახტანგს სწორედ მაშინ, როდესაც ვახტანგი ყაენის კარზე დიდ ხიფათში იყო ჩავარდნილი. ვახტანგს ცილს სწამებდნენ, მუსლიმანების საღოცავი წიგნი „ყურანი" დაგიწვავსო. ამ ყალბ ცნობასთან ერთად ყაენს სვიმონისა და მისი მომხრეების მოხსენებაც მიუვიდა, მეფედ იესე გვსურსო. ამათ თვითონ ყაენის კარზედაც უჭერდნენ მხარს შაჰის მრჩეველები.

თანაც ვახტანგმა გამაჰმადიანება არ ინება. ჩანს, ჯანიშინს იმედი ჰქონდა, რომ რჯულის გამოუცვლელად მოახერხებდა ქართლში გამეფებას.

შაჰმა ვახტანგი ირანში დაიტოვა, ხოლო ქართლის მეფედ მისი ძმა — გამაჰმადიანებული იესე დაამტკიცა.

დასავლეთ ევროპასთან დაკავშირების აქაო ცდა

ვახტანგმა დასავლეთი ევროპისაგან ფულადი დახმარების მიღება სცადა. მან ირანიდან საიდუმლო კავშირი გაბა საფრანგეთის მეფის (ლუი XIV) მთავრობასთან. სათანადო საქმის მოსაგვარებლად დასავლეთ ევროპაში იმოგზაურა, როგორც ქართლის ელჩმა, ცნობილმა მწიგნობარმა სულხან ორბელიანმა (1713—1714 წწ.). მას ხელს უწყობდა ფრანგი მისიონერი რიშარი, რომელიც ერთ ხანს ირანში მოღვაწეობდა.

ორბელიანის ელჩობას ქართლისათვის სასურველი პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია და იმედგაცრუებულმა ვახტანგმა, თავისი თანამოაზრეების გავლენით, დათმობა არჩია: გარეგნულად აღიარა მაჰმადის რჯული და ამ საშუალებით 1716 წ. მიიღო ქართლის მეფობაცა და ირანის სპასალარობაც, ხოლო 1719 წ. სამშობლოში დაბრუნებაც შეძლო.

საფეფო ხელისუფლების ახალი წარმატება

ქართლის მმართველმა წრეებმა ვახტანგის მეთაურობით ხელახლა მოიკრიბეს სამხედრო-პოლიტიკური ძალა და მედგრად შეუტიეს მოწინააღმდეგეებს. მეფემ ჯერ კიდევ ირანიდან დაბრუნებამდე დაიწყო მოღალატეებთან ანგარიშის გასწორება: დაპატიმრებულ იქნა რეაქციონერთა წრის სულის ჩამდგმელი იესე; შეპყრობილ ერეკლე მუხრანბატონს თვალები დათხარეს; ძმების მაშფოთებელი პაპუნა დიასამიძე ჩამოახრჩეს; ზოგნი კი სამშობლოს საზღვრებიდან გაძევეს. ამას გარდა, სახლთუხუცესის პატივი აჰყარეს ქსნის ერისთავს დათუნას, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ დაუპატიმრეს მისი მემკვიდრე შანშე ერისთავი.

ვახტანგის თბილისს დაბრუნების შემდეგაც ერთ ხანს გრძელდებოდა რეაქციონერი თავადების დევნა. კერძოდ, თოფით იქნა დახვრეტილი სომხეთის მელიქი; რამდენიმე კაცი, რომელნიც სიკვდილით დასჯას გადაარჩინა კათალიკოზმა, ოსეთს თხებზე გაცვალეს. მეფის ლაშქარს ომი მოუხდა ქსნის ერისთავის შანშეს დასამორჩილებლადაც.

დაღისტნელი ფეოდალების თავდასხმანი

რაც დრო გადიოდა, ქართლისა და კახეთის ჯარს სულ უფრო ხშირად უხდებოდა დაღისტნის მხრიდან მომხდურ ფეოდალთა მტაცებლური რაზმების უკუქცევა. რადგან ქართულად დაღისტანს (თურქულად. სიტყვა-სიტყვით, „მთიანეთს") ძველიდანვე „ლეკეთი" ერქვა, ამიტომ იქიდან რაზმებად საქართველოში შემოსეულ აბრაგებსაც ყველას განურჩევლად „ლეკებს" უწოდებდნენ. ეს რაზმები მიზნად ისახავდნენ სოფლებისა და ქალაქების დარბევა-აწიოკებას, ადამიანების დატაცებას ტყვედ გასასყიდად, ხალხის სარჩო-საბადებლის გატაცებას.

ამ აბრაგებს რაზმავდნენ და უსევდნენ ხოლმე, ქართლსა და მეტადრე კახეთს, ტყვისმსყიდველები, ადამიანით მოვაჭრენი. ასეთი ბელადები საკმაოდ მომძლავრებული იყვნენ ამ ტყვე ქართველ გლეხთა ბაზარზე „გატანით" და თვით დაღისტნისავე ღატაკი მშრომელების ყვლეფით. აბრაგებს ლაშქრობაში ქორის თვალი და მგლის მუხლი ჰქონდათ. „ლეკმა" (აბრაგის მნიშვნელობით) ზეპირად იცოდა დაღისტნიდან ალაზნის, არაგვისა და ივრის ხეობებში ჩამომავალი ბილიკები. აღმოსავლეთ კახეთში მდებარე ჭარი მათ ბუნაგად იქცა. „ლეკები" არც საქართველოს გარეთ მდებარე ქვეყნებს სტოვებდნენ მოუთარეშებლად — ირანის სახანოებს: შარვანს, ყარაბაღს და სხვ.

დაღისტნელი აბრაგების ამ ავაზაკურ თავდასხმებს მედგრად ებრძოდა ქართველი გლეხობა. მაგრამ დაღისტნელ მტაცებელთა წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას მეტად აძნელებდა, ერთი მხრით, ფეოდალური ქვეყნების შეუთანხმებლობა, ხოლო, მეორე მხრით, ირანის ყაენის მერყეობა. შაჰს საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, თუ ვისთვის მიენდო ამ დიდი საქმის მოგვარება.

ქართლის პოლიტიკური გავლენის გაძლიერება

ქართლის პოლიტიკურ მესვეურებს კახეთთანაც და იმერეთთანაც ჰქონდათ საერთო საქმისთვის სასარგებლო ურთიერთობა. პირადად ვახტანგი იმერეთის თავკაცებზე ახდენდა გავლენას. ქსნის საერისთავოს დასამორჩილებლად გამართულ ლაშქრობაში, ვახტანგის მოწოდებით, მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ საქართველოს ისეთმა ძლიერმა თავადებმაც, რო-

გორიც იყვნენ რაჟის ერისთავი შოშიტა, აბაშიძეთა სახლის წარჩომადგენლები და სხვ. იმავე დროს, თბილისის სამეფო კარის თანხმობით, იმერეთს გამეფებულ იქნა ქართლის მეფის კანდიდატი ალექსანდრე გიორგის ძე. ამის შესახებ 1721 წელს შეთანხმდნენ ვახტანგი და ოსმალეთის სულთნის რწმუნებული.

ქართლის მესვეურთა ავტორიტეტის ზრდას დიდ ანგარიშს უწევდნენ საქართველოს გარეთაც. კოჯრის საზაფხულო სასახლეში მყოფ ვახტანგს მოართვეს ყაენისაგან ბოძებული საპატიო ნიშნები. მას მიენიჭა სამხრეთ აზერბაიჯანის სპასპეტობა და დაეკისრა გალაშქრება შარვანს, რომელიც სულ ერთიანად მოეცვათ დღისტნელ ფეოდალთა მძარცველურ რაზმებს.

§ 3. რუსეთთან ურთიერთობის გამოცოცხლება

რუსეთის მხედრობის კავკასიაში ჩამოსვლა

სწორედ იმ დროს თბილისს მოვიდა ცნობა, რომ რუსეთის ძლიერი ლაშქარი, პეტრე დიდის მეთაურობით მოსკოვის მხრიდან დაძრული, უკვე ჩამოსულიყო ჩრდილო კავკასიაში, მდ. სულაკზე და ემზადებოდა ირანში შესაჭრელად. პეტრე იმპერატორს უკვე გაეფრთხილებინა ყაენი, რომ რუსეთის მხედრობა აპირებდა იარაღით დაეცვა ირანში რუსეთის, რუსი ვაჭრების, ქონება და სიცოცხლე. რადგან იმქამად დაუძლურებული ირანი საკუთარ საზღვრებსაც კი ვეღარ იცავდა ავღანთაგან, რუსეთი შიშობდა, რომ ყაენის საბატონოს თურქები დაეპატრონებოდნენ. პეტრეს იმედი ჰქონდა, რომ ქართველები ცხოველ მონაწილეობას მიიღებდნენ საომარ მოქმედებაში შაჰის წინააღმდეგ. ამის შესახებ მოლაპარაკება წარმოებდა ჯერ კიდევ პეტრესა და არჩილ მეფის მეჯიდრო დაახლოვების დროს ქალაქ მოსკოვში (1699—1713 წწ.). შემდეგ, როდესაც ომი ცოახლოვდა, ასტრახანის გუბერნატორი ვოლინსკი ატყობინებდა ვახტანგს (1721 წლის ნოემბერში), რომ პეტრეს კეთილი სწადია ქართველებისთვის, ფიქრობს მფარველობა გაუწიოს მათ და ამიტომ ქართველებმაც და კავკასიის სხვა „ქრისტიანმა ხალხებმაც უნდა იმოქმედონ რუსეთის სასარგებლოდო“. ეს ეხებოდა ქართველებსაც და სომხებსაც.

ამრიგად, თითქოს ხორცს ისხამდა ქართველი ხალხისათვის დიდი ხნის საუკეთესო აზრი ირანის კლანჭებიდან გამოხსნის შესახებ. ირან-თურქ-ლეკთაგან განაწამებ ხალხებს პეტრეს ძლევამოსილების დიდი იმედი ჰქონდათ.

ომის დაწყების წინ (1722 წ. 15 ივნისს) პეტრემ მანიფესტით მიმართა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს. ვახტანგს პეტრესაგან (სულაკიდან) მოუვიდა გამამხნევებელი წერილი. კავკასიაში ქართლის მეფე უძლიერესი იყო ფეოდალ ხელისუფალთა შორის და მომავალ ომში სწორედ მას ეკისრებოდა ხელმძღვანელი როლი. პეტრეს გეგმის თანახმად, ქართული ლაშქარი, სომხების მხარდაჭერით, სასწრაფოდ უნდა შეჭრილიყო „ირანის საზღვრებში“, განჯის მიმართულებით გაეკვლია გზა კასპიის სანაპიროსაკენ და „დარუბანდია და

ბაქოს შუა“ შეერთებოდა რუსეთის მხედრობას, როცა ამასობაში რუსები იქ გაჩნდებოდნენ.

ყიზილბაშთა მფლობელობის წინააღმდეგ ომის მსვლელობა

1722 წ. აგვისტოში რუსის მხედრობას დარუბანდი უომრად ჩაბარდა და ამით მას ამიერკავკასიაში შემოსასვლელი კარი გაეღო. პეტრეს არმია კიდევაც დაიძრა სამხრეთისაკენ. ამ დროს ქართველთა 40-ათასიანი ლაშქარი და მისი დამხმარე სომეხთა ძლიერი რაზმები უკვე განჯის სახანოში ჩასული და მტკვრის პირას დაბანაკებული იყვნენ.

მაგრამ ისეთი ვითარება შეიქნა, რომ ბაქოსკენ გალაშქრება აღარ მოხერხდა. საგარეო და შინაური მდგომარეობის მოულოდნელი გართულების გამო ახლო აღმოსავლეთში მოქმედების პეტრესეული გეგმა საგრძნობლად შეიზღუდა. ვახტანგს გადმოსცეს ცნობა პეტრეს ბანაკიდან, რომ ქართველთა ლაშქარს დასჭირდებოდა ადგილზე მოცდა, სანამ იმპერატორის ახალი მითითება არ მოვიდოდა. რუსის სარდლობამ შეწყვიტა არმიის წინსვლა და მისმა მთავარმა ძალამაც იწყო უკან, ასტრახანისაკენ დახევა.

ასეთ პირობებში ვახტანგის ლაშქარმა ვეღარ გაბედა სამხედრო მოქმედების დაწყება და თბილისს დაბრუნდა.

პოლიტიკური კრიზისი ქართლში

რაკი აშკარა გახდა, რომ ქართველებსა და მათთან ერთად სომხებსაც პეტრესთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ, ირანის ხელისუფლები და მათი მოყმე ხანები, აგრეთვე ოსმალები და მათი აგენტები — დაღისტნელი ფეოდალები, ყველა ვახტანგის დასაღუპავად ალესილი— შურს იძიებდნენ.

ყაენმა ვახტანგს „ორგულობისთვის“ ქართლი ჩამოართვა და ის თავის ერთგულს, კახეთის მეფე კონსტანტინეს უწყალობა (1723 წ.). აღარავინ იცოდა, ვინ ვის დაასწრებდა ქართლში იარაღით შემოჭრას — ირანელთა მომხრე კონსტანტინე თუ თურქეთის ფაშა. იმავე დროს ქართლის მმართველ წრეებშიც კვლავ იჩინა თავი პოლიტიკურმა შუღლმა. ვახტანგის რუსეთთან მეგობრობა სახიფათოდ მიიჩნია მისმა შვილმა ბაქარმა, რომელმაც, მამის საწინააღმდეგოდ, ისევ ყაენთან დაკავშირება განიზრახა.

თბილისისათვის ბრძოლა

ამავე დროს კონსტანტინემ, დაღისტნელთა რაზმების დახმარებით, ორგზის მოაწყო მძლავრი თავდასხმა თბილისზე, ავლაბრის მხრიდან. მეორედ დაცემისას, 1723 წ. გაზაფხულზე, მან აიღო თბილისი. კონსტანტინეს დაღისტნელმა მოკავშირეებმა ქალაქი ისე სასტიკად გაძარცვეს, რომ შემდეგ მას მრავალი ათეული წლის მანძილზე აღარ დაბრუნებია თავისი ძველი კეთილდღეობა.

კონსტანტინეს და მის აბრაგებს დარბეულ თბილისში (1723 წ. ივნისს) ანაზდეულად თავს წაადგნენ თურქები არზრუმის ფაშის მეთაურობით. ფაშასთან შეთანხმებით, ქართლის გამგებლობა იკისრა ვახტანგის ძემ ბაქარმა, საგრამ მან თურქთა მკაცრ ზედამხედველობას და გადასახადებს ვერ გაუძლო, მთაში გაიხიზნა და ერთ ხანს, მამასა და ძმებთან ერთად, პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა დამპყრობელთა წინააღმდეგ. მაშინ თურქებმა ქართლში გაამეფეს ვახტანგის ძმა იესე.

ვახტანგის ოჯახის გადასახლება მოსკოვს

ირანი ყოვლად უმწეო იყო თურქთა შემოტევის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და აზერბაიჯანში. რუსთა სარდლობაც დაადგა ახალ გადაწყვეტილებას — უფრო ხელსაყრელ დრომდე მორიდებოდა თურქებთან პირისპირ შეხლას, რათა კასპიის სანაპიროებიც არ დაეკარგა. გადაიდო, ამრიგად, ბრძოლა ქართველი, სომეხი და სხვა ხალხების გასათავისუფლებლად. ასეთ ვითარებაში ვახტანგი პეტრეს თანხმობით, ოჯახითა და დიდი ამალითურთ (სულ 1200 კაცის თანხლებით), 1724 წლის ივლისის 15-ს გაემგზავრა მოსკოვში. რუსეთში იმედი ჰქონდათ, რომ მალე შეიქმნებოდა ისეთი ვითარება, როცა ვახტანგი და მისი მხლებლები თავის ქვეყანას დაუბრუნდებოდნენ.

ქართველი ხალხი თურქეთ-ირანის ომის ახალ ვითარებაში

ყაენის მორჩილ ქვეყნებში ანარქია და ომიანობა გრძელდებოდა.

ჯერ იყო და ყველასაგან აბუჩად აგდებულმა შაჰმა მეფობა დაკარგა. ისპაანს გამეფდა ავღანთა გამარჯვებული მეთაური მ ა ჰ მ უ დ ი (1722 წ.), მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა ჰუსეინის შვილი თ ა ჰ მ ა ს პ ი, რომელსაც მხარში უდგა სახელმოხვეჭილი სარდალი ნ ა დ ი რ-ყ უ ლ ი, იგივე თ ა ჰ მ ა ს პ-ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი. თურქ-ირანელთა ომი მრავალ წელს გრძელდებოდა.

ქართველი ხალხი, ვახტანგის სამეფო კარის ქართლიდან რუსეთს წასვლის შემდეგ, საკუთარი ძალ-ღონით იცავდა მამულს. ბაგრატიონთა სახლის გამაჰმადიანებულ წარმომადგენლებსაც კი უჭირდათ რამე სიკეთეს გამორჩენოდნენ სულთნის სამსახურს, ფაშებთან შეთანხმებას. მეფე იესე 1727 წ. გარდაიცვალა. კონსტანტინე კახთ ბატონი ერთ ხანს თანამშრომლობდა თბილისის ფაშასთან, შველოდა მას ურჩი მოსახლეობის მოთოკვას, მეტადრე თავადების აჯანყებათა ჩაქრობას, მოთარეშე აბრაგების განიარაღებას. მაგრამ თურქებმა იცოდნენ კონსტანტინეს ერთგულება ირანელთადმი და ამიტომ 1733 წ. მოკლეს იგი.

ქართლისა და კახეთის ურთიერთობა სპარსეთთან

თანდათან ომის სასწორი ისევ სპარსთა მხარეზე გადაიხარა. ნ ა დ ი რ-ყ უ ლ ი მ სპარსეთში ხელთ აიღო ძალაუფლება (1732 წ.), რის შემდგომაც მალე (1736 წ.) შაჰის წოდებაც მიითვისა. ნადირი მტკიცედ მართავდა ქვეყანას. თურქების ბატონობა იმდენად საშიშარი და დამაზარალებელი გამოდგა მის მიერ დაპყრობილი ხალხებისათვის, რომ ამიერკავკასიაში თავისუფლე-

ბისათვის მებრძოლი ხალხები ნადირის თურქებზე გამარჯვებას ერთგვარი თანაგრძნობითაც კი შეხვდნენ: იმჟამად მათთვის თურქეთი უფრო საშიში მტერი იყო.

რაკი თურქეთი მარცხდებოდა და კასპიის სანაპიროზე მისი გაბატონების საშიშროება ქრებოდა, რუსეთი შედარებით ადვილად მოურიგდა ირანს და ნაწილ-ნაწილ დაუთმო მას კასპიის სანაპირო, რომელიც მან 1723 წელსა და მის მომდევნო ხანებში დაიჭირა. ამას გარდა, რუსებმა წინასწარ მიიღეს ირანის თანხმობა, რომ თურქთა უკუქცევის შემდგომ ქართლში ისევ ვახტანგი გამეფდებოდა.

ასეთ ვითარებაში ქართლისა და კახეთის მმართველი წრეები გაბედულად დაუკავშირდნენ ნადირს.

§ 4. ოსმალობა-ყიზილბაშობა და მისი გავლენა აღმოსავლეთ საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაზე

1723 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში დაიწყო ოსმალთა ბატონობის მძიმე ხანა. ოსმალებმა ქართული მიწა-წყლის საბოლოოდ მიტაცება და ქვეყნის საფაშოებად ქცევა გადაწყვიტეს: ამ მიზნით მათ ქართლი 6 ნაწილად დაჰყვეს და მოსახლეობას მძიმე საოსმალო გადასახადები გააწერეს. ეს კი ნიშნავდა ინტენსიური სოფლის მეურნეობის ქვეყანაში ოსმალური მიწისმფლობელობისა და, მაშასადამე, ექსტენსიური მეურნეობის გაბატონებას.

ქართლში ოსმალთა გაბატონება ხელს უწყობდა აგრეთვე დაღისტნელ ფეოდალთა ლაშქრობის გახშირებას. არ დარჩენილა აღმოსავლეთ საქართველოს აღარც ერთი კუთხე, აღარც ერთი სოფელი, რომელიც დაღისტნელი ფეოდალების ძარცვისა და განადგურების საგანი არ გამხდარიყო. გამუდმებული ომი კიდევ უფრო აზარალებდა ქვეყანას. მართალია, ოსმალო ასიმილატორებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, ქართველობა ვერ მოშალეს და უკან დაიხიეს, მაგრამ ქვეყანა მაინც მძიმედ დააზიანეს: ზოგი მჭიდროდ დასახლებული კუთხე სავსებით გავერანდა; ხელახლა დაკნინებისა და დაქვეითების გზას დაადგა აღდგენილი სოფლის მეურნეობა და საქალაქო ცხოვრება.

ოსმალობამ აღმოსავლეთ საქართველოში დიდხანს ვერ იბოგინა, მაგრამ

ქვეყანას მაინც არ დასცალდა სულის მოთქმა: ოსმალო თურქებს ისევ ირანელი დამპყრობლები შეენაცვლენ, 1735 წლიდან ქართლში **„ოსმალობის“** მაგიერ **„ყიზილბაშობა“** დამყარდა. ყიზილბაშთა გაბატონება სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობის მძარცველური ექსპლუატაციით დაიწყო: ქალაქ თბილისს ერთბაშად რვა ათასი თუმანი წაართვეს, ქართლის სახასო სოფლებს სამი ათასი თუმანი და ათასი ხარვარი (25.000 ფუთი) პური. ამას გარდა, ყიზილბაშებმა ქართლ-კახეთს დამსჯელი ექსპედიციები გაუსიეს და კვლავ ქვეყნის აყრა და გადაშენება მოიწადინეს.

1741 წ. მოძალადეებმა ქართლი აღწერეს მიწების ირანის სახელმწიფო დივნისადმი დაქვემდებარებისა და აქ ყიზილბაშური წესების შემოღების მიზნით. ამ ამბების თანამედროვის სიტყვით, არ დაუტოვებიათ არც ერთი სოფელი თუ ნასოფლარი, რომ არ აეზომათ და არ დაეხარკათ. ყიზილბაშებმა სათითაოდ დათვალეს ვაზები და ყოველ ძირს თითო ბისტი (2 კაპ.) გააწერეს; სოფელსა თუ ბაღებში რაც ხე ნახეს — თითო შაური;ხოლო ყოველ მამაკაცს — 2 მინალთუნი (2 მან.), ასაკოვან ყმაწვილს — ხუთი აბაზი და ყველა დანარჩენს, ათი წლის ასაკიდან, — სხვადასხვა სიდიდის გამოსაღები. ამგვარადვე დაბეგრეს პირუტყვი, ბოსტანი, წისქვილი და სხვ.

ასეთი მტაცებლური ექსპლუატაცია აიძულებდა სოფლის მოსახლეობას თვითვე გაენადგურებინა თავისი მეურნეობა და გადაკარგულიყო: ამ ამბების დროს, ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, „მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებს თავის ხელით კაფდის და აოხრებდისო“.

მოძალადე ყიზილბაშები თავიანთ მიერ გაწერილ ხარკსაც აღარ ჯერდებოდნენ. მაშინ, როცა ქართლში პურის მოუსავლობა და შიმშილობა იყო და მოსახლეობა ბალახის ფესვებსა და თესლს ახმობდა, ფქვავდა და იმით იკვებებოდა, ნადირ-შაჰმა 60.000 მინალთუნი ხარკის ანგარიშში 3.000.000 ლიტრა პურის გადახდა მოითხოვა. ამდენი პური კი ბაზარზე, სულ მცირე, 300.000 მინალთუნი მაინც ღირდა. ასე რომ მარტო იმ ერთი წლის განმავლობაში ქართლმა ფაქტიურად 240.000 მინალთუნით მეტი გადაიხადა, ვიდრე მას ემართა. ქართლში აღარც საუღლე საქონელი დარჩა: შაჰის ბრძანებით, ერთდროულად 8.000 ხარი იქნა აქედან გაყვანილი.

„ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ ხანამ საქართველოს სოფლის მეურნეობა ისევ დაქვეითებამდე მიიყვანა: ქვეყანა აოხრდა; იმატა გლახაკთა, ბოგანოთა და ხიზანთა რიცხვმა; გამრავლდა გადაშენებული, დაუსახლებელი ადგილები. ასე მაგალითად, ქვემო ქართლი, სადაც XVIII ს. 20-იანი წლებისათვის 40.000-ზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა, მომდევნო ოცი-ოცდაათიოდე წლის მანძილზე თითქმის სრულებით გაუკაცურდა: „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთაოებში. აღარსად ჩანდა შენობა იმ მხარეში“, მოგვითხრობს ოსმალობა-ყიზილბაშობის შედეგების თვითმხილველი ქართველი ისტორიკოსი.

არანაკლებ დაზარალდნენ ქალაქები და მოიშალა საქალაქო ცხოვრება. სოფლის მეურნეობის დაცემა, გამუდმებული ომიანობა, რომლის შედეგადაც რამდენჯერმე აოხრდა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები, გზას უხშავდა

ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარებას. გამუდმებული ომიანობა აიძულებდა ქალაქის მოსახლეობას მიეტოვებინა თავისი სახელოსნო-სავაჭროები და სხვაგან ეძებნა თავშესაფარი. მოსახლეობის ნაკლებ შეძლებული ნაწილი კი ქალაქში რჩებოდა და დამპყრობელთა მსხვერპლი ხდებოდა. როგორც კი ომის ქარიშხალი გადაივლიდა, მოსახლეობა ისევ უბრუნდებოდა აოხრებულ-გაძარცულ ქალაქს და ხელახლა იწყებდა ცხოვრებას; ან, რაკი მშვიდობიანი ცხოვრების პირობები და ქონების დაცვის იმედი აღარ ჰქონდა, უცხო ქვეყანაში იხიზნებოდა და იქ მკვიდრდებოდა.

ოსმალობა-ყიზილბაშობამ მოშალა აგრეთვე ქართული საქალაქო წესწყობილება. ქალაქებსა და სოფლებს განაგებდნენ ოსმალთა თუ ყიზილბაშთა მიერ დანიშნული მოხელეები, რომელნიც აუქმებდნენ ქართულ მართვა-გამგეობას, არსებულ კანონ-წესებს. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების დაქვეითებას.

ქართველი ხალხის დაუცხრომელმა ბრძოლამ, ხშირმა აჯანყებამ ოსმალებისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ, აღარ დააცალა უცხო დამპყრობლებს თავიანთი მიზნების განხორციელება. ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ: „სპარსელი და თურქი ასიმილატორები ასეული წლების განმავლობაში ფლეთდნენ. აწამებდნენ და ყლეტდნენ სომეხ და ქართველ ერებს, მაგრამ არა თუ ვერ მიაღწიეს ამ ერების მოსპობას, არამედ — პირიქით, — იძულებული გახდნენ აგრეთვე კაპიტულაცია მოეხდინათ“.[1]

§ 5. კულტურა XVIII ს. პირველ ნახევარში

მეცნიერება

XVIII ს. პირველ მეოთხედში დიდი ყურადღება მიექცა საქართველოს ისტორიის დამუშავებას. ამ მიზნით ვახტანგ VI-მ შეადგინა „სწავლულ კაცთა“ კომისია ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ თავისი დროისათვის ღირსეულად შეასრულა ეს რთული საქმე — შეადგინა საქართველოს ისტორია XIV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე, რაც მანამდე არ დაწერილიყო.

ვახტანგის სკოლაში აღიზარდა და იმავე ხანებში დაიწყო მოღვაწეობა ქართული საისტორიო მწერლობისა და გეოგრაფიული მეცნიერების დიდმა წარმომადგენელმა ვახუშტი ბაგრატიონმა, რომელიც ვახტანგის შვილი იყო.

ქართველ მეცნიერთა ამ დასს ეკუთვნოდა და მის ნამდვილ სიამაყეს წარმოადგენდა ვახტანგის აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი — დიდი მეცნიერი ლექსიკოგრაფი, სახელგანთქმული იგავების მწერალი, სწავლული რედაქტორი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. სულხან-საბას მიერ შედგენილი ქართული ენის ლექსიკონი დღესაც ამოუწურველი საუნჯეა ჩვენთვის.

თვითონ ვახტანგიც მთელი ამ სამეცნიერო-სალიტერატურო მუ-

---

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. II, გვ. 385.

შაობის მარტო პრაქტიკული და იდეური ორგანიზატორი კი არ იყო, არამედ გვერდში ედგა ამ მოღვაწეებს, როგორც ლიტერატურ-რედაქტორი, ისტორიკოსი, პოეტი და მთარგმნელი. ვახტანგის წრის ღირსეული თანამშრომლები იყვნენ აგრეთვე მთელი გუნდი სხვა მეცნიერ-მწიგნობრებისა და პოეტებისა.

იმ ხანად უცხოეთში მოქმედ ქართველთაგან საგანგებო ყურადღების ღირსია რუმინეთის შესანიშნავი მოღვაწე ა ნ თ ი მ ო ზ ი. უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტმა 1708 წლიდან, ანთიმოზმა სახელი გაითქვა როგორც საეკლესიო მოღვაწემ, ორატორმა, მხატვარმა, მოქანდაკემ, მშენებელმა, როგორც თავისი მეორე სამშობლოს მხურვალე პატრიოტმა. ამ ახალ სამშობლოს ანთიმოზმა თავისი სიცოცხლეც კი შესწირა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანთიმოზის სასტამბო საქმიანობა — როგორც თვით რუმინეთში, სადაც იგი წიგნებს ბეჭდავდა (რუმინულ, სლავურსა და ბერძნულ ენებზე), ისე მის საზღვარგარეთაც. ანთიმოზმა მოაწყო წიგნების ბეჭდვა არაბულ ენაზე შორეული სირიისათვის. იგივე იყო ვახტანგ მეექვსის აქტიური ხელისშემწყობი პირველი ქართული სტამბის დაარსების საქმეში.

სტამბა

1709 წელს თბილისში პირველად მოეწყო სტამბა. ეს მეტად დიდი კულტურული საქმე იყო. მანამდე წიგნები მხოლოდ ხელნაწერად ვრცელდებოდა. ასე დამზადებული წიგნი კი ცოტა იყო და ძვირიც ღირდა. სტამბა წიგნს ადვილად ამრავლებდა და ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ხდიდა. ვახტანგის სტამბაში, საეკლესიო წიგნებს გარდა, მალე საერო შინაარსის წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს. ბეჭდავდნენ „ვეფხისტყაოსანს", სასწავლო სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო თხზულებებს.

კანონმდებლობა

ვახტანგის კარზე გაჩაღებული იყო საკანონმდებლო მუშაობაც.

ვიდრე საკუთარ სამართლის წიგნს გაიჩენდა, ვახტანგმა შეაგროვა ძველი ქართული თუ უცხოური (ებრაული, ბერძნული, სომხური) სამართლის წიგნები და ერთ კრებულად შეჰკრა ისინი. ამ კრებულს შემდეგ მან დაურთო საკუთარი „სჯულიც", ანუ კანონები.

სამართლის წიგნი ვახტანგმა დარბაისელთა (ესე იგი საერო და საეკლესიო მაღალი ფეოდალების) უშუალო მონაწილეობით შეადგინა. რა თქმა უნდა, ეს კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ამ ხაზოგადოებრივი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა.

კანონთა წიგნი ვახტანგმა ქართლისათვის შეადგინა, მაგრამ ის ბუნებრივად გავრცელდა და მალე მთელ ფეოდალურ საქართველოში მოქმედ სამართლის წიგნად იქცა.

ვახტანგის მოღვაწეობის ამავე ხანას ეკუთვნის მისი მეორე საკანონმდებლო ძეგლი — დ ა ს ტ ურ ლ ა მ ა ლ ი. დასტურლამალი სახელმწიფოს ძირითადი კანონის მაგიერი რამ იყო საშუალო საუკუნეებში.

ამრიგად, ვახტანგის ხელში სახელმწიფო და კერძო წერილობითი სამართალი კვლავ მტკიცედ მოწესრიგდა საქართველოში.

ᲫᲚᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

არჩილის მიერ თავის დროზე დაწყებულ რეალისტურ ლიტერატურულ მიმართულებას გამოუჩნდა ნაყოფიერი გამგრძელებელი, — პოეტი მეფე **თეიმურაზ II** (1700—1762 წწ.).

არჩილის მსგავსად, თეიმურაზმა თავის ნაწერებში გამოხატა საქართველოს ცხოვრების ნამდვილი სურათები, ხალხის ყოფა, ზნე-ჩვეულება; აგრეთვე ბუნების მოვლენები და სხვ. საყურადღებოა პოეტის დიდი ლექსი „სარკე თქმულთა“ ანუ „დღისა და ღამის გაბაასება“: ვითომ დღე და ღამე ერთმანეთს ეკამათებიან; მათი „ბაასიდან“ მკითხველი სწავლობს, მაგალითად, თუ რა წესით იგერიებდნენ ქართველები მტერს, როგორი იყო მათი ჯარის წყობა; რას წარმოადგენდნენ გასართობ-სათამაშოები; სამედიცინო ცოდნა, ქორწილის წესები, მიცვალებულის დატირების წესები და სხვ.

იმავე ხანებში დაიწყო მოღვაწეობა ფეოდალური საქართველოს ერთერთმა უდიდესმა პოეტმა **დავით გურამიშვილმა.**

თ ა ვ ი XX

საქართველოს ეკონომიური და სოციალური ვითარება XVIII ს. მეორე ნახევარში

§ 1. საქართველოს ეკონომიური ვითარება

ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის ასაღორძინებელი ღონისძიება

საკმაოდ დიდი ხანი დასჭირდა ოსმალობა-ყიზილბაშობის მიერ საქართველოსათვის მოყენებული მძიმე ჭრილობის მოშუშებას.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მხოლოდ XVIII ს. მეორე ნახევრიდან შეიქმნა — უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლის შედეგად — შედარებით ხელსაყრელი პირობები მშვიდობიანი ცხოვრებისა და ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის. ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს სამეფოების რუსეთთან ურთიერთობის შემდგომმა განმტკიცებამ.

სამეფო ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ტყვეთა სყიდვას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ყმა-გლეხთა დაინტერესებას სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების აღდგენა-განვითარებით. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ხელისუფლება ენერგიულ ზომებს იღებდა დაღისტნელ ფეოდალთა ყაჩაღური თარეშის ასალაგმავად.

დაღისტნელი ფეოდალების ლაშქრობას დიდი ზიანი მოჰქონდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საქალაქო ცხოვრებისათვის. დაღისტნელ ფეოდალთა თავდასხმისაგან თავის დაცვასა და მეურნეობისათვის მშვიდობიანი პირობების შექმნას ისახავდა მიზნად XVIII ს. მეორე ნახევარში მდევარი ლაშქრის ახალი, კუთხობრივი ორგანიზაცია, ციხე-სიმაგრეთა, სახიზარ-თავშესაფართა შენება და განახლება, „მორიგე ჯარის“ შექმნა და სხვა ღონისძიება.

სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის აღორძინებას დიდად შეუწყობდა ხელს საქართველოს შემცირებული მოსახლეობის ხელოვნური გაზრდა. ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა მე-

ზობელი ქვეყნებიდან მოახალშენეებად გადმოეყვანა უცხო მოძალადეთა მიერ დაპყრობილი მოსახლეობა. ერეკლე II-მ არა ერთხელ მიმართა მოძმე სომხებს პოწოდებით, გადმოსახლებულიყვნენ საქართველოში. ამგვარ ღონისძიებასაც მნიშვნელოვანი შედეგი მოსდევდა: XVIII ს. 70-იან — 80-იან წლებში საქართველოში დიდი რაოდენობით გადმოვიდა ირანელ და ოსმალო დამპყრობელთაგან გაწამებული, შრომისმოყვარე სომხობა. ისინი ესახლებოდნენ როგორც საქართველოს ქალაქებში, ისე სოფლად — ზოგიერთ თითქმის დაცარიელებულ კუთხეში. ქვეყანა ნელ-ნელა ეშენებოდა, სოფლის მეურნეობაცა და საქალაქო ცხოვრებაც კვლავ აღორძინებას იწყებდა.

საქალაქო ცხოვრების აღორძინებას ისახავდა მიზნად აგრეთვე ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს მოშლილი საქალაქო წესწყობილების აღდგენა, ვაჭრობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და ქალაქის მოსახლეობის ზედაფენისათვის მრავალი შეღავათისა და პრივილეგიის მინიჭება, ქალაქის მოხელეთა უფლებამოვალეობის ხელახლა განსაზღვრა, ამქრის წესდებათა განახლება-დამტკიცება, „საკუთრების ქალაქური წესის“ აღდგენა და სხვა მსგავსი ღონისძიება. აღორძინებული ქალაქები სამეფო ხელისუფლებას ქვეყნის დაშლა-დანაწილებისათვის მოღვაწე თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში დამხმარედ სჭირდებოდა.

სოფლის მეურნეობა

XVIII ს. მეორე ნახევარში ჩნდებიან ახალი მემამულეები, რომლებიც, რაციონალური მეურნეობის წარმოების მიზნით, ცდილობენ თავიანთი სხვადასხვა ადგილებში მიმოფანტული მამულების „მორგვალებას“, ერთად თავმოყრას, მათი მართვა-ანგარიშიანობის გაუმჯობესებასა და სხვ.

კერძო საბატონო მიწისმფლობელობის ფორმების გაძლიერებას დიდად უწყობდა ხელს აგრეთვე სამეფო ხელისუფლების ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ; ზოგი სათავადოს დასუსტება, ხოლო ზოგის სრულიადაც გაუქმება აძლიერებდა სათავისთავო, კერძო საბატონო საკუთრებას, რაც ინტენსიური მეურნეობის განვითარების საშუალებას ქმნიდა.

მეორე მხრივ კი ცალკეული დიდი მიწისმფლობელებიც განსაკუთრებულ ღონისძიებას მიმართავდნენ და საკმაოდ დიდ ფულსაც ხარჯავდნენ თითქმის დაცარიელებული მამულების დასასახლებლად და მეურნეობის აღსადგენად. ასე მაგ., ერეკლე II-ის მეუღლემ დარეჯან დედოფალმა თავისი საკუთარი ხარჯით ხელახლა დაასახლა წინწყარო, შუა ბოლნისი, ქოლაგირი და ქვემო ქართლის სხვა სოფლები. ასეთ ღონისძიებას ატარებდნენ არა მარტო მეფის ოჯახის წევრები, არამედ ცალკეული საეკლესიო და საერო ფეოდალებიც.

ყოველივე ამის შედეგად შენდებოდა და ესახლებოდა დაცარიელებული ადგილები; თანდათან მატულობდა ხელოვნურად განოყიერებული მიწების ფართობი.

მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც კი

საამისო პირობები იყო, ვენახებსა და ბაღებს ეთმობოდა. მევენახეობის განვითარებისათვის მებატონეები ზოგჯერ საკმაოდ დიდ თანხასაც ხარჯავდნენ. XVIII ს. შუა წლებში ფეოდალებს ჰქონდათ ისეთი ზვრებიც, რომელთა დამუშავებას 100—170 მუშა სჭირდებოდა. ფართოვდებოდა მებაღეობაც. მემამულეები ცდილობდნენ მეტი ტექნიკური მცენარეები მოეყვანათ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მებამბეობას (რომელმაც თანდათან განდევნა სელისა და კანაფის მოყვანა) და თუთის ხის გაშენებას, მეაბრეშუმეობის განვითარებას.

XVIII ს. მეორე ნახევარში საგრძნობლად იმატა სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენებამ. დაქირავებულ მუშახელს იყენებდნენ არა მარტო დიდ სამეფო და საბატონო მეურნეობაში, არამედ წვრილ გლეხურ მეურნეობაშიც. ამასთანავე საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება. ზოგი მამული, რომელიც მის მფლობელს წლების განმავლობაში არავითარ შემოსავალს არ აძლევდა, XVIII ს. 70-80-იანი წლებიდან საკმაოდ შემოსავლიანი გახდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში სოფლის მეურნეობის ნაწარმი დიდი რაოდენობით გადიოდა საქართველოს ქალაქთა ბაზარზე. თბილისში და სხვა ქალაქებში იყიდებოდა არა მარტო ხორბალი თუ ფქვილი, ქერი, ფეტვი, ღვინო და სხვა, არამედ აგრეთვე ბამბა, აბრეშუმი, ბრინჯი, თამბაქო, ენდრო, ზეითუნი, სხვადასხვაგვარი ხილი და ჩირი, ბოსტნეული და სხვ.

სოფლის მეურნეობის ნაწარმი ბაზარზე გამოჰქონდათ დიდ საერო თუ საეკლესიო ფეოდალთა ყმა-ვაჭრებს.

ქალაქები

XVIII ს. მეორე ნახევარში კვლავ აღორძინდა ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს მრავალგზის აოხრებული და გაძარცული თბილისი: მისი მოსახლეობის რიცხვმა XVIII ს. 60-70-იან წლებში 25.000-ს მიაღწია. განახლდა და გაიზარდა აღმოსავლეთ საქართველოს მეორე მნიშვნელოვანი ქალაქი გორიც: მისი მოსახლეობა XVIII ს. 70-იან წლებში უკვე 2500 სულს უდრიდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი მშენებლობა ჩატარდა ქ. თელავშიც, რომელიც თანდათან გაძლიერდა და მალე კახეთის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად იქცა. თელავში XVIII საუკუნის 70-იან წლებში დაახლოებით 3700 სული სახლობდა. გამოცოცხლდა აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ქალაქებიც: ცხინვალი, ატენი, ალი, ახალგორი და სხვ.

იმდროინდელ ქართლ-კახეთში წარმოიშვა ახალი ქალაქებიც. XVIII ს. 50-იან წლებში ხელახლა გაიხსნა დიდი ხნის წინათ ჩაკეტილი **დარიალის სავაჭრო გზა,** რომელიც საქართველოს ჩრდილოეთთან აკავშირებდა. ამ გზაზე კვლავ იწყეს მიმოსვლა ვაჭრებმა და ქარავნებმა. დარიალის სავაჭრო გზის გახსნას ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება ჯეროვანად აფასებდა და პირველ ხანებში მან, რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, ამ გზით შემოტანილ საქონელზე შეღავათიანი ბაჟიც კი დააწესა. მომდევნო წლებში საქართველოსა და რუსეთის ქალაქების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამას გარდა, ახლად გახსნილმა სავაჭრო გზამ ქართლის ჩრდილო ნაწილის — მთიულეთ-არაგვისპირის

ზობელი ქვეყნებიდან მოახალშენეებად გადმოეყვანა უცხო მოძალადეთა მიერ დაპყრობილი მოსახლეობა. ერეკლე II-მ არა ერთხელ მიმართა მოძმე სომხებს პოწოდებით, გადმოსახლებულიყვნენ საქართველოში. ამგვარ ღონისძიებასაც მნიშვნელოვანი შედეგი მოსდევდა: XVIII ს. 70-იან — 80-იან წლებში საქართველოში დიდი რაოდენობით გადმოვიდა ირანელ და ოსმალო დამპყრობელთაგან გაწამებული, შრომისმოყვარე სომხობა. ისინი ესახლებოდნენ როგორც საქართველოს ქალაქებში, ისე სოფლად — ზოგიერთ თითქმის დაცარიელებულ კუთხეში. ქვეყანა ნელ-ნელა ეშენებოდა, სოფლის მეურნეობაცა და საქალაქო ცხოვრებაც კვლავ აღორძინებას იწყებდა.

საქალაქო ცხოვრების აღორძინებას ისახავდა მიზნად აგრეთვე ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს მოშლილი საქალაქო წესწყობილების აღდგენა, ვაჭრობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და ქალაქის მოსახლეობის ზედაფენისათვის მრავალი შეღავათისა და პრივილეგიის მინიჭება, ქალაქის მოხელეთა უფლებამოვალეობის ხელახლა განსაზღვრა, ამქრის წესდებათა განახლება-დამტკიცება, „საკუთრების ქალაქური წესის“ აღდგენა და სხვა მსგავსი ღონისძიება. აღორძინებული ქალაქები სამეფო ხელისუფლებას ქვეყნის დაშლა-დანაწილებისათვის მოღვაწე თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში დამხმარედ სჭირდებოდა.

სოფლის მეურნეობა

XVIII ს. მეორე ნახევარში ჩნდებიან ახალი მემამულეები, რომლებიც, რაციონალური მეურნეობის წარმოების მიზნით, ცდილობენ თავიანთი სხვადასხვა ადგილებში მიმოფანტული მამულების „მორგვალებას“, ერთად თავმოყრას, მათი მართვა-ანგარიშიანობის გაუმჯობესებასა **და სხვ.**

კერძო საბატონო მიწისმფლობელობის ფორმების გაძლიერებას დიდად უწყობდა ხელს აგრეთვე სამეფო ხელისუფლების ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ; ზოგი სათავადოს დასუსტება, ხოლო ზოგის სრულიადაც გაუქმება აძლიერებდა სათავისთავო, კერძო საბატონო საკუთრებას, რაც ინტენსიური მეურნეობის განვითარების საშუალებას ქმნიდა.

მეორე მხრივ კი ცალკეული დიდი მიწისმფლობელებიც განსაკუთრებულ ღონისძიებას მიმართავდნენ და საკმაოდ დიდ ფულსაც ხარჯავდნენ თითქმის დაცარიელებული მამულების დასასახლებლად და მეურნეობის აღსადგენად. ასე მაგ., ერეკლე II-ის მეუღლემ დარეჯან დედოფალმა თავისი საკუთარი ხარჯით ხელახლა დაასახლა წინწყარო, შუა ბოლნისი, ქოლაგირი და ქვემო ქართლის სხვა სოფლები. ასეთ ღონისძიებას ატარებდნენ არა მარტო მეფის ოჯახის წევრები, არამედ ცალკეული საეკლესიო და საერო ფეოდალებიც.

ყოველივე ამის შედეგად შენდებოდა და ესახლებოდა დაცარიელებული ადგილები; თანდათან მატულობდა ხელოვნურად განოყიერებული მიწების ფართობი.

მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც კი

საამისო პირობები იყო, ვენახებსა და ბაღებს ეთმობოდა. მევენახეობის განვითარებისათვის მებატონეები ზოგჯერ საკმაოდ დიდ თანხასაც ხარჯავდნენ. XVIII ს. შუა წლებში ფეოდალებს ჰქონდათ ისეთი ზვრებიც, რომელთა დამუშავებას 100—170 მუშა სჭირდებოდა. ფართოვდებოდა მებაღეობაც. მემამულეები ცდილობდნენ მეტი ტექნიკური მცენარეები მოეყვანათ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მებამბეობას (რომელმაც თანდათან განდევნა სელისა და კანაფის მოყვანა) და თუთის ხის გაშენებას, მეაბრეშუმეობის განვითარებას.

XVIII ს. მეორე ნახევარში საგრძნობლად იმატა სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენებამ. დაქირავებულ მუშახელს იყენებდნენ არა მარტო დიდ სამეფო და საბატონო მეურნეობაში, არამედ წვრილ გლეხურ მეურნეობაშიც. ამასთანავე საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება. ზოგი მამული, რომელიც მის მფლობელს წლების განმავლობაში არავითარ შემოსავალს არ აძლევდა, XVIII ს. 70-80-იანი წლებიდან საკმაოდ შემოსავლიანი გახდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში სოფლის მეურნეობის ნაწარმი დიდი რაოდენობით გადიოდა საქართველოს ქალაქთა ბაზარზე. თბილისში და სხვა ქალაქებში იყიდებოდა არა მარტო ხორბალი თუ ფქვილი, ქერი, ფეტვი, ღვინო და სხვა, არამედ აგრეთვე ბამბა, აბრეშუმი, ბრინჯი, თამბაქო, ენდრო, ზეითუნი, სხვადასხვაგვარი ხილი და ჩირი, ბოსტნეული და სხვ.

სოფლის მეურნეობის ნაწარმი ბაზარზე გამოჰქონდათ დიდ საერო თუ საეკლესიო ფეოდალთა ყმა-ვაჭრებს.

ქალაქები

XVIII ს. მეორე ნახევარში კვლავ აღორძინდა ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს მრავალგზის აოხრებული და გაძარცული თბილისი: მისი მოსახლეობის რიცხვმა XVIII ს. 60-70-იან წლებში 25.000-ს მიაღწია. განახლდა და გაიზარდა აღმოსავლეთ საქართველოს მეორე მნიშვნელოვანი ქალაქი გორიც: მისი მოსახლეობა XVIII ს. 70-იან წლებში უკვე 2500 სულს უდრიდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი მშენებლობა ჩატარდა ქ. თელავშიც, რომელიც თანდათან გაძლიერდა და მალე კახეთის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად იქცა. თელავში XVIII საუკუნის 70-იან წლებში დაახლოებით 3700 სული სახლობდა. გამოცოცხლდა აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ქალაქებიც: ცხინვალი, ატენი, ალი, ახალგორი და სხვ.

იმდროინდელ ქართლ-კახეთში წარმოიშვა ახალი ქალაქებიც. XVIII ს. 50-იან წლებში ხელახლა გაიხსნა დიდი ხნის წინათ ჩაკეტილი **დარიალის სავაჭრო გზა**, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთთან აკავშირებდა. ამ გზაზე კვლავ იწყეს მიმოსვლა ვაჭრებმა და ქარავნებმა. დარიალის სავაჭრო გზის გახსნას ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება ჯეროვანად აფასებდა და პირველ ხანებში მან, რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, ამ გზით შემოტანილ საქონელზე შეღავათიანი ბაჟიც კი დააწესა. მომდევნო წლებში საქართველოსა და რუსეთის ქალაქების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამას გარდა, ახლად გახსნილმა სავაჭრო გზამ ქართლის ჩრდილო ნაწილის — მთიულეთ-არაგვისპირის

მნიშვნელოვანი დაბები — **ანანური** და **დუშეთი** თანდათან ქალაქებად აქცია. ანანურს ერეკლე II „რუსეთის გზის კარს“ უწოდებდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში კახეთში წარმოიშვა ქ.**სიღნაღი,** რომელიც თანდათან გაიზარდა და XIX ს. დამდეგისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ხელოსნობა-ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

XVIII ს. მეორე ნახევრიდან აღორძინდა საქალაქო ცხოვრება ქ. ქუთაისშიც, თუმცა იქაური მოსახლეობა მაინც მძიმედ მატულობდა. XVIII ს. 70-იანი წლებისათვის ქუთაისის მოსახლეობამ 2500 სულს ძლივს მიაღწია. გამოცოცხლება ღაეტყო დასავლეთ საქართველოს მცირე ქალაქებსაც.

ხელოსნობა

XVIII ს. მეორე ნახევარში საქართველოს ქალაქები არსებითად წვრილი სასაქონლო წარმოების, ხელოსნობის ცენტრები იყვნენ. ამ დროისათვის შეინიშნება ხელოსნობის ცალკეული დარგების განვითარებაც და აგრეთვე მისი დანაწილება ცალკეულ წვრილ-წვრილ სპეციალობად და თან ზოგი ახალი დარგის წარმოშობა. აღსანიშნავია, რომ XVIII ს. მიწურულში უკვე ცალ-ცალკე მუშაობდნენ ქართული, კავკასიური და ევროპული (რუსული) ტანსაცმლის მკერვალები. ამგვარადვე დანაწილდა მეფეხსაცმელეთა, მექუდეთა და სხვათა ხელობა, იმავე ხანებში ჩნდება აგრეთვე მეფუნთუშეთა, ეპოლეტების მკეთებელთა და სხვა მსგავსი ხელობა. ყოველივე ეს იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებასთან იყო დაკავშირებული.

საერთოდ საქართველოს ქალაქებში გავრცელებული ხელოსნობის სხვადასხვა დარგი 60-მდე დაითვლებოდა.

ხელოსნური წარმოება განსაკუთრებით დაწინაურდა თბილისში. მისი ბაზარი, ქარვასლები და დუქნები უმთავრესად ხელოსნებს ჰქონდათ დაკავებული. XVIII ს. მიწურულში თბილისის 574 დუქნიდან 310 ხელოსნებს ეჭირათ. ქალაქებში ხელოსნები რიგებად, უბნებად იყვნენ დაყოფილნი. თითოეული უბანი ერთ რაიმე საქმიანობას ეწეოდა.

ხელოსნური ნაწარმი უმთავრესად ადგილობრივ ბაზარზე იყიდებოდა, მაგრამ ნაწილი საქართველოს სხვა ქალაქებში და მეზობელ ქვეყნებშიც გაჰქონდათ. ბაზრისთვის მუშაობდნენ არა მარტო თავისუფალი ხელოსნები, არამედ ყმეებიც, რომელნიც ქალაქის ხელოსნების უმეტესობას შეადგენდნენ. ხელოსანთა ნაწილი მომხმარებელთა დაკვეთით მუშაობდა, ზოგი კი (კალატოზები, დურგლები, ქვისმთლელები და სხვ.) დღიურ სამუშაოზე დადიოდა. შედარებით შეძლებული ხელოსნები თვითონაც ქირაობდნენ შავ მუშებს, რაც დრო გადიოდა, ამქრული ხელოსნური წარმოება სულ უფრო მეტად იყენებდა დაქირავებულ შრომას.

მსხვილი სარეწაოები (მანუფაქტურები)

ქართლ-კახეთის სამეფოში და, კერძოდ, მის ქალაქებში ხელოსნობა წარმოების ერთადერთი დარგი არ ყოფილა. XVIII ს. 70-იან წლებიდან ჩნდება შედარებით დიდი სარეწაოებიც. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი **სამთამადნო წარმოება** იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში სამთამადნო წარმოების აღდგენის მიზნით

სამეფო ხელისუფლებამ 1763 წ. გადმოასახლა რამდენიმე ასი კომლი ანატოლიელი ბერძენი, რომლებმაც განაახლეს ვერცხლის საბადოთა დამუშავება ახტალაში და ხელი მიჰყვეს ალავერდის სპილენძის საბადოების დამუშავებასაც.

ახტალის სარეწაოს ყოველწლიური შემოსავალი 200-640 ლიტრა (40-92 ფუთს) ვერცხლს შეადგენდა, ხოლო ალავერდისა — 10—15 ათას ფუთ სპილენძს. მარტო ვერცხლის საბადოები წლიურად 48.000 მანეთზე მეტ წმინდა შემოსავალს აძლევდა სამეფო ხელისუფლებას. იყო წლები, როცა ახტალის ვერცხლის სარეწაოებში 700-დან 1000-მდე ბერძენი მუშაობდა. ომარ-ხანისა და ალა-ბაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ მადნების მოპოვებისა და გადამუშავების მასშტაბი, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა.

XVIII ს. 70-იანი წლებიდან საქართველოს ქალაქებშიც განსაკუთრებით თბილისში) ჩნდება სხვადასხვა მსხვილი სარეწაო, რომელნიც იმდროინდელ წერილობით წყაროებში „ფაბრიკებად“ და „ქარხნებად“ იწოდებიან. ასეთი იყო: „თოფ-ზარბაზნების ქარხანა“, სამეფო ზარაფხანა (რომლის ოჯარიდან მეფე ყოველწლიურად 30.000 მანეთს იღებდა), ტყამბა, მინის სარეწაო, მარილსახდელი, „საპნის ქარხანა“, სამღებროები, „თოფისწამლის ქარხანა“ და სხვა. ამგვარი სარეწაოების უმეტესობა ეკუთვნოდა მეფესა და მისი სახლის წევრებს, რომელნიც ამა თუ იმ სარეწაოს იჯარით აძლევდნენ კერძო პირებს — დიდ-ვაჭარ-მოქალაქეებსა და შეძლებულ ოსტატებს. მოიჯარადრეები, რაკი მათ საკუთარი ყმები არ ჰყავდათ, სარეწაოებში ხელოსნებისა და შავი მუშების დაქირავებულ შრომას იყენებდნენ; ზოგიერთი სარეწაო კი თვით დიდ-ვაჭრებს ეკუთვნოდა. XVIII ს. 70-იან წლებში თბილისში მოქალაქე ისაია თაყუაშვილმა გახსნა თოფისწამლის დასამზადებელი სარეწაო, რომელიც, ცხადია, ოსტატთა და მუშათა დაქირავებულ შრომაზე იყო დამყარებული.

. ასე რომ, XVIII ს. 70—80-იანი წლების მსხვილ სარეწაოთა უმეტესობა უბრალო სახელოსნოები კი არ იყო, არამედ მანუფაქტურული ტიპის საწარმოები. შრომის მანუფაქტურული განაწილება კი უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების გზაზე. მაგრამ მანუფაქტურული წარმოება იმდროინდელ საქართველოში ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული და ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ნაკლებ როლს თამაშობდა, ვიდრე წვრილი ხელოსნური წარმოება.

ვაჭრობა

XVIII ს. მეორე ნახევარში ხელოსნური წარმოების განვითარებამ და მსხვილი სარეწაოების გაჩენამ ხელი შეუწყო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას. აღორძინდა სავაჭრო ურთიერთობა როგორც ქვეყნის შიგნით — ცალკეულ კუთხეებსა და ქალაქებს შორის, ისე მეზობელ ქვეყნებთან. ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ საქართველოს ქალაქები, რომელთა შორის ამ საქმეშიც თბილისი პირველობდა.

თბილისი უკვე XVIII ს. 40-იანი წლებიდან აწარმოებდა მნიშვნელოვან საშინაო და საგარეო ვაჭრობას. თბილისის მაშინდელ ბაზარზე ტრიალებდა სხვადასხვაგვარი ფარჩა, მაუდი, შალეული, აბრეშუმისა და ბამბის ნაწარმი, ხამხალათი, ბეწვეული, მატყლი; აგრეთვე სხვადასხვაგვარი საწვრილმანო და სურსათ-სანოვაგე — შაბი, რკინა, ნალი, თავრიზის ლილა, გუნდა, სპილენძი, თამ-

ბაქო, ტყავეული, თევზი, ბრინჯი, თაფლი, ქონი, ხუშკაბარი, ზეითუნი, მარილი, ხორბალი, ფქვილი და სხვა.

ვაჭრობაში თბილისის როლმა განსაკუთრებით იმატა მომდევნო წლებში: დარიალის სავაჭრო გზის გახსნის შემდეგ თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ვაჭრებმა თანდათან იწყეს მიმოსვლა არა მარტო ასტრახანში, მოზდოკსა და ყიზლარში, არამედ „მაკარიაში“ (ნიჟნი-ნოვგოროდი) და მოსკოვშიც.

მაგრამ თბილისი იმ დროს უმთავრესად ჯერ კიდევ მაინც აღმოსავლეთის ქალაქებთან ვაჭრობდა. თბილისში ყოველდღე მოდიოდნენ ქარავნები განჯიდან, შამახიიდან, ერევნიდან, თავრიზიდან, არზრუმიდან და სხვა ქალაქებიდან.

საქართველოს ქალაქებში დიდი გასავალი ჰქონდა ინგლისურ ქსოვილს, დრაპს, ვენეციურ აბრეშუმის ქსოვილებს, ჰოლანდიურ ბეწვს, შემახურსა და უზბეკურ თივთიკს და სხვა აღმოსავლურსა თუ დასავლურ საქონელს. საქართველოს ქალაქები, განსაკუთრებით თბილისი, თავისი ნაწარმით აქტიურად მონაწილეობდა საგარეო ვაჭრობაში. თბილისიდან XVIII ს. 50-იან — 60-იან წლებში ყოველთვიურად 150—200 სხვადასხვა საქონლით დატვირთული ურემი მიდიოდა ერევანს, თავრიზსა და არზრუმს. თბილისელ ვაჭრებს ბეწვეული გაჰქონდათ ირანისა და ოსმალეთის ქალაქებში. აქედანვე გადიოდა აბრეშუმის ნაწარმი, მატყლი, ტყავეულობა, ღვინო, ენდრო, ერბო, თაფლი და სხვა.

თბილისური საქონელი განსაკუთრებით ბევრი გაჰქონდათ კავკასიის მთიანეთში. თბილისელ ფეიქართა, სპილენძის ჭურჭლის მკეთებელთა, მეიარაღეთა და ხელოსნობის სხვა დარგის წარმომადგენელთა ნაწარმი კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის ფართო მოხმარების საგანს შეადგენდა. ასე რომ თბილისი არა მარტო მთელი საქართველოს, არამედ კავკასიის მთიანეთის ეკონომიური ცენტრი ხდებოდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად იქცა ქუთაისიც. იგი საგარეო ვაჭრობას უმთავრესად ოსმალეთის ქალაქებთან აწარმოებდა და იქიდანვე შემოჰქონდათ ქუთაისში ევროპული საქონელი. ქუთაისიდან კი გადიოდა აბრეშუმისა და ბამბის ნაწარმი, სხვადასხვაგვარი ბეწვეული, ცვილი, სურსათ-სანოვაგე და სხვა.

საშინაო და საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვა ქალაქებიც: თელავი, გორი, დუშეთი და სხვა. საშინაო ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მცირე ქალაქებიც.

ვაჭრობის გაფართოება და მსხვილი ოპერაციები დიდ თანხას უყრიდა თავს ქართველ ვაჭართა ხელში. XVIII ს. მიწურულს თბილისელ ვაჭართა შორის იყვნენ ისეთები, რომელთაც 50.000 მანეთზე მეტი კაპიტალი ჰქონდათ. საგრძნობლად გაიზარდა იმ დროს სავაჭრო კაპიტალის როლიც.

სავაჭრო კაპიტალი ხელს უწყობდა საქონლის მიმოქცევის გაფართოებას და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერთიმეორესთან დაკავშირებას. სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი კიდევ უფრო აძლიერებდა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დიფერენციაციას — მისი ერთი ნაწილის გაჩანაგებასა და მდიდარი ზედაფენის გამოყოფას. ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, ძირს უთხრიდა ფეოდალურ

წყობას და ამზადებდა ნიადაგს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის.

კაპიტალისტ-წამომწყებთა მოწვევის ცდა

ერეკლე II, თავისი დროისათვის დიდი პროგრესული მოღვაწე, კარგად ხედავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიური აღორძინების მიზნით ჩატარებული ღონისძიება საკმარისი არ იყო და ახალ გზებს სახავდა. „ერეკლე არაფრისაკენ ისე არ მიისწრაფვის, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენაო", ამბობდნენ მისი თანამედროვენი. ქართლ-კახეთის მეფე ხედავდა ჩრდილოეთის მეზობლის, რუსეთის სახელმწიფოს სიმძლავრეს და იცოდა, რომ ამგვარი ძლიერების წყარო ტექნიკისა და მეცნიერების განვითარება იყო. ამიტომ იგი ყოველნაირად იბრძოდა, რათა მოემრავლებინა თავის ქვეყანაში „კაცნი მეცნიერნი, ბრძენნი და ხელოვანნი". „ვარ ყოვლისა გულის მოდგინებით, ვიდრე სულისა დადებად, მოსწრაფე სამეფოსა ჩვენისა ყოვლის გზით წარმატებისათვის და უმეტესად მეცნიერებისა და ხელოვნებათა აღმატებისათვისო", წერდა ერეკლე თავის ერთ სიგელში. ამ მიზნით იგი ცდილობდა მოეზიდა მეზობელი თუ შორეული ქვეყნებიდან (განსაკუთრებით რუსეთიდან) სხვადასხვა დარგის სპეციალისტი-ოსტატები და ხელი შეეწყო საქართველოში მრეწველობის გაფართოებისათვის. მეცნიერების სხვადასხვა დარგის დასაუფლებლად იგი ქართლ-კახეთიდან გზავნიდა ახალგაზრდებს რუსეთისა თუ დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში.

მაგრამ ყველაზე დიდ მნიშვნელობას იგი კაპიტალისტ-წამომწყებთა მოწვევას ანიჭებდა. ამ მიზნით მან XVIII ს. 70-80-იან წლებში მიმოწერა გამართა ინდოეთის ქალაქ მადრასში მცხოვრებ ცნობილ სომეხ ნეგოციანტსა და საზოგადო მოღვაწესთან შაამირ შაამირიანთან. ერეკლემ მას თავადობა და ლორეს პროვინცია უბოძა და სთხოვა გადმოსახლება საქართველოში. სადაც მას ქარხნებისა და ფაბრიკების შექმნისათვის უნდა მიეყო ხელი. შაამირი ყოველივე ამის თანახმა იყო და თავის მხრივ ურჩევდა მეფეს არსებულ სოციალურ ურთიერთობაში რადიკალური რეფორმა ჩაეტარებინა.

თავის წერილში ერეკლესადმი შაამირი სასტიკად ილაშქრებდა საქართველოში გაბატონებული ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ და მის გაუქმებას მოითხოვდა. მისი გეგმით, მეფესა და მის სახლს, ყმა-გლეხებისათვის სრული თავისუფლების მინიჭებით, თვითონ უნდა მიეცათ პირველი მაგალითი თავისი ქვეშევრდომებისათვის. „დარწმუნებული ვარ, — სწერდა იგი ერეკლე II-ს, — დიდსულოვანი ქართველი თავადაზნაურობა მიბაძავს სამეფო სახლის კეთილ მაგალითს". რაც შეეხებოდა საეკლესიო ყმების გამოსყიდვას, შაამირ შაამირიანს მზად იყო თვით გაეღო საამისოდ საჭირო თანხა. აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელმა ლაშქრობამ შეაფერხა შაამირიანის საქართველოში გადმოსახლება. იგი ელოდა ამიერკავკასიაში მშვიდობის დამყარებას, მაგრამ 1797 წ. გარდაიცვალა.

მართალია, შაამირიანის მიერ შემოთავაზებული რეფორმების ჩასატარებლად ქართლ-კახეთის მაშინდელი სამეფო ჯერ კიდევ მზად არ იყო, მაგრამ ის კი ცხადია, რომ უკვე XVIII ს. 80-იან წლებში, ქართული ფეოდალური საზოგა-

დოების პროგრესულ ნაწილში, შაამირს ჰყავდა თანამგრძნობებიც, რომელნიც ხედავდნენ არსებული წარმოებითი ურთიერთობის უვარგისობას და საჭიროდ მიიჩნევდნენ მის ძირფესვიანად გარდაქმნას.

§ 2. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა

გლეხთა მდგომარეობა

ყველა ის ღონისძიება, რომელიც სოფლის მეურნეობისა და საქალაქო ცხოვრების აღორძინების მიზნით ტარდებოდა, გლეხთა და ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების ექსპლუატაციის გაძლიერების ხარჯზე მიმდინარეობდა.

ბემამულეთა სწრაფვა თავიანთი მეურნეობის უკეთ მოწყობისაკენ, თავის მხრივ. ამძიმებდა საგლეხო გამოსაღებსა და საბატონო სამსახურს. ამას გარდა, სასაქონლო წარმოების განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა მებატონეთა მოთხოვნილება — განსაკუთრებით ფულზე, რომლის შესაძენად საჭირო იყო მეტი შემოსავლის მიღება და ფულადი გამოსაღების გადიდება. გლეხთა ექსპლუატაციას აძლიერებდა აგრეთვე ოსმალობა-ყიზილბაშობისა და დაღისტნელ ფეოდალთა გამუდმებული თავდასხმის შედეგად მწარმოებელი მოსახლეობის შემცირება. ყმათა შემცირებით გამოწვეული შემოსავლის დანაკლისის შესავსებად მებატონე სულ მეტსა და მეტ გამოსაღებს აწერდა გლეხებს.

გლეხთა ექსპლუატაციის გაძლიერებით ატარებდა თავის სხვადასხვა ღონისძიებას სამეფო ხელისუფლებაც. მრავალი სასიმაგრო თუ სხვაგვარი ნაგებობის მშენებლობა, რომელიც იმ ხანებში ინტენსიურად მიმდინარეობდა, მწარმოებელი მოსახლეობის უსასყიდლო შრომით ხდებოდა.

სამეფო ხელისუფლების მიერ ჩატარებული სხვა ღონისძიებაც იწვევდა კიდევ ახალ-ახალი გამოსაღების დაწესებას. ქართლ-კახეთის სამეფომ XVIII ს. მეორე ნახევარში შემოიღო ახალი სახელმწიფო გამოსაღები, ე. წ. **„სურსათი“**. სურსათი ჯარის შესანახად იყო განკუთვნილი და მხოლოდ მაშინ უნდა მოეკრიბათ, როცა ლაშქარი შეიყრებოდა, მაგრამ იგი სამეფო ხელისუფლებამ თანდათან მუდმივ გამოსაღებად აქცია.

იმავე ხანებში, უცხოელ დამპყრობელთა შემოსევებისაგან თავდასაცავი ღონისძიების გასატარებლად, დაწესდა საგანგებო გამოსაღები, რომელსაც **„სალეკოს“** უწოდებდნენ. ამათ გარდა, სამეფო ხელისუფლება სხვადასხვა საჭიროებისათვის აწესებდა სხვადასხვა ერთდროულ გამოსაღებსაც, რომელთაგან ზოგი, დროთა ვითარებაში, თანდათან მუდმივ გადასახადად იქცეოდა.

გლეხთა ექსპლუატაციის ზრდასთან ერთად უარესდებოდა მათი უფლებრივი მდგომარეობაც. XVIII ს. მეორე ნახევარში საგრძნობლად შემცირდა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფ გლეხთა, **„მსახურთა“** რიცხვი. მსახურების უმეტესობა თანდათან დაბეგრილ გლეხთა კატეგორიაში გადავიდა. გაუარესდა „წყალობის“ ანუ „ნებიერ ყმათა“ მდგომარეობაც: მებატონეები ცდილობდნენ თავიანთ მკვიდრ ყმებად ექციათ ისინი. ასევე, თანდათან მკვიდრი და ნასყიდი ყმების უფლებრივ მდგომარეობამდე დაჰყავდათ სხვა კატეგორიის გლეხებიც. იმავე დროს უმეტესობა მოჯალაბეებისა, რომელნიც მანამდე თავ-

თავიანთი ოჯახებითურთ ბატონებთან ცხოვრობდნენ და სხვადასხვაგვარ დამამცირებელ სამსახურს უწევდნენ მათ, XVIII ს-ში, ქვეყნის გაუკაცრიელების გამო, მემამულეებმა მიწაზე დაასახლეს და მებეგრე გლეხებს გაუთანაბრეს. ამრიგად, თანდათან ძლიერდებოდა გლეხთა სხვადასხვა კატეგორიებს შორის არსებული განსხვავების მოსპობის პროცესი.

გლეხთა მდგომარეობას ამძიმებდა შინაფეოდალური ომებიც. ფეოდალების ურთიერთქიშპობას მეტწილად ყმა-გლეხები ეწირებოდნენ. ასეთი შინაფეოდალური ბრძოლის შედეგად, XVIII ს. 40-იან წლებში „საციციანო ასრე გაოხრებული იყო, რომ ოთხი წელიწადი არც ხვნა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამალს უყივლია". მსგავს მოვლენებს ვხედავთ სხვა სათავადოებშიც.

მებატონეები ახორციელებდნენ თავიანთ უფლებას არა მარტო გლეხის პიროვნებაზე, არამედ მის საკუთრებაზედაც. XVIII ს-ში გახშირდა გლეხთა ოჯახების დაშლა და მათი უმიწოდ გაყიდვაც. ასე რომ მემამულეები თავიანთ სრულ საკუთრებად მიიჩნევდნენ როგორც თვით გლეხებს, ისე მათ უძრავ-მოძრავ ქონებას. ფეოდალური სამართალი, თავის მხრივ, კანონის ძალას აძლევდა გაბატონებული კლასის ამ მისწრაფებას: **„ყმისა ყველა ბატონისა არისო"**, ნათქვამია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში.

გლეხთა განუკითხავ ექსპლუატაციას და მებატონეთა განუსაზღვრელ უფლებას მათ მიმართ, სრულ გაღატაკებამდე მიჰყავდა მწარმოებელი მოსახლეობა. გაღატაკებულსა და დაბეჩავებულ გლეხობას აღარც სურვილი ჰქონდა და აღარც უნარი შესწევდა მძარცველ მებატონეთა ქონების დაცვისა გარეშე მტრებისაგან. ყოველივე ეს კი ფეოდალურ საქართველოს ძალას აცლიდა და საძირკველს უშლიდა.

საბეფო ხელისუფლების საგლეხო პოლიტიკა

ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ ფეოდალური საქართველოს დაუძლურების უმთავრესი მიზეზი „გლეხი-კაცის ამოწყვეტა" იყო. გლეხობა მარტო გარეშე მტერმა კი არა, არამედ აგრეთვე და უფრო მებატონეთა „უსამართლობამ გარეკა საქართველოდან". ამიტომ სამეფო ხელისუფლება, გაბატონებული ფეოდალური წყობის დასაცავად და დაღუპვისაგან გადასარჩენად, იძულებული ხდებოდა გლეხთა საკითხისათვის ყურადღება მიექცია.

სამეფო ხელისუფლება აქტიურად ჩაერია ბატონისა და ყმის ურთიერთობაში და გლეხისაგანაც და ბატონისაგანაც მოითხოვდა „ბატონყმობის რიგის", ე. ი. ძველითგანვე შემუშავებული საბატონყმო მოვალეობის მტკიცედ დაცვას: „რომელიც ამათი (გლეხების) დებულება არ არის და არა სდებიათ, იმის გარდა თუ მეტი რამ მოინდომეთ, ჩვენგან მოსაკითხავი იქნება. ამათ სამართლიანის საქმით მოექეცით, თორემ თუ კიდევ ამათ ჩვენთან გიჩივლესთ, იცოდეთ რომ გიწყენთო", აფრთხილებდა ერეკლე II თავგასულ მებატონეებს.

რაკი მკვიდრი ყმების აყრა-გაქცევის უმთავრესი მიზეზი ბატონების მიერ ყმათა უსაზღვრო ექსპლუატაცია იყო, ერეკლე II-მ გლეხთა აყრაზე პასუხისმგებლობა თვით მებატონეს დააკისრა: „ერთი კაცი რომ აიყაროს. იცოდეთ. დიდად ავად მოგეპყრობით და გარდაგახდევინებთო", უბრძანებდა მეფე მემა-

მულეებს. მებატონეს ამგვარი ბრძანების შესრულება მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუკი ყმას „უდებს“ არ დაადებდა, თუ „ძალსა და უსამართლოს“ არ უზამდა და „ბატონყმობის რიგს“ დაიცავდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ერეკლეს მიერ გლეხის ოჯახის დაშლისა და მისი წევრების ცალ-ცალკე გაყიდვის აკრძალვას; კანონს, რომლის მიხედვითაც უცხოეთის ტყვეობიდან თავისივე გარჯით შინ დაბრუნებული გლეხი ძველი მებატონის ყმობისაგან თავისუფლდებოდა და სხვ.

ამგვარი კანონებითა და ღონისძიებით სამეფო ხელისუფლება ბატონყმობის გაუქმებას კი,არა, არამედ, პირიქით, გადაგვარების გზაზე შემდგარი ფეოდალური ურთიერთობის გამოჯანსაღებას, მის შემდგომ განმტკიცებას ცდილობდა. ამიტომ სამეფო ხელისუფლების საგლეხო პოლიტიკა არსებითად იცავდა გაბატონებული კლასის, მემამულეთა ინტერესებს.

ამასთანავე, განდგომა-განცალკევების გზაზე შემდგარი თავადები ხშირად არც ასრულებდნენ მეფის ბრძანებას და გლეხთა ყოველგვარ უფლებას ჩვეულებრივ კვლავ თელავდნენ.

კლასობრივი ბრძოლა

მაგრამ გლეხები ასე ადვილად არ თმობდნენ თავიანთ უფლებას. ბატონისა და ყმის ურთიერთობას მწვავე კლასობრივი ბრძოლის სახე ჰქონდა. გლეხები თავგამოდებით ებრძოდნენ მებატონეების უსამართლობას და საამისოდ ბრძოლის სხვადასხვა ხერხს იყენებდნენ.

XVIII ს-ში გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმები არსებითად იგივე იყო, რაც წინა საუკუნეებში. გლეხები ჩიოდნენ სასამართლოში, მეფესთან; უარს ამბობდნენ გამოსაღების გადახდაზე; ურჩობდნენ, იყრებოდნენ და აბრაგობა-ყაჩაღობას ეწეოდნენ. მაგრამ XVIII საუკუნეში გლეხთა აყრა-გაქცევა და ამბოხება, შფოთი თანდათან სულ უფრო მასობრივი ხდებოდა.

მებატონეებს გაურბოდნენ არა მარტო ცალკეული გლეხები, არამედ ზოგჯერ მთელი სოფლებიც. 1735 წ. სოფ. საყდრიონისა და მეზობელი ადგილების გლეხობა, ალავერდის მიტროპოლიტის ყმები, აიყარა და მთებსა და ტყეებს შეაფარა თავი. კახეთის ხელისუფლება მუქარითა და დაპირებით ცდილობდა მათ დაბრუნებას თავ-თავიანთ მიწა-წყალზე. მსგავსი მოვლენა მოხდა 1780 წ. ქართლში, ჩხეიძეების საყმოში: სოფ. ფონას მებატონეთა ძალმომრეობისაგან შევიწროებული ყმა-გლეხები ერთიანად აიყარნენ და უმთავრესად იმერეთში გადაიხვეწნენ. იმერეთიდან აყრილი გლეხობა კი, პირიქით, ქართლში გამორბოდა. XVIII ს. 20-30-იან წლებში ერთ-ერთ იმერელ აზნაურს, რაც ყმა ჰყავდა, ყველა ქართლს გამოეპარა.

XVIII საუკუნეში ძალზე ვრცელდება არა მარტო აყრა-გაქცევა, არამედ საერთოდ ანტიფეოდალური გამოსვლა. ცალკეულ კუთხეთა თუ მებატონეთა ყმა-გლეხები შეერთებული ძალ-ღონითა და შედარებით დარაზმულად იწყებენ ბრძოლას ფეოდალ-ექსპლუატატორთა წინააღმდეგ.

XVIII ს. დამდეგს ახალი, დამატებითი გამოსაღების გაწერის გამო მღელვარება დაიწყეს ბოდბელი ეპისკოპოსის ყმებმა. გლეხთა მასობრივ გამოსვლამ ისე მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ეპისკოპოსი მზად იყო დაეთმო, მაგრამ საქმეში სამეფო ხელისუფლება ჩაერია და მოახერხა ამბოხების დროებით ჩაქრობა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ბოდბელის ყმები ისევ აჯანყდნენ და მათ ამჟამად გამარჯვებასაც მიაღწიეს: ეპისკოპოსიცა და კახეთის ხელისუფლებაც იძულებული გახადეს უარი ეთქვათ ახლად დაწესებულ საეკლესიო გამოსაღებზე.

გლეხთა მღელვარება ზოგჯერ მთელ კუთხესაც მოედებოდა ხოლმე.

1743 წელს მასობრივი ამბოხება მოხდა არაგვის საერისთაოშიც. აჯანყებულებმა მოჰკლეს ბეჟან ერისთავი, საერისთავოს სამეფოდ გადაცემა მოინდომეს და მეფე თეიმურაზი მიიწვიეს, მაგრამ, მალე მასაც აუჯანყდნენ — უარი თქვეს გამოსაღების გადახდაზე და მეფის მოხელეები საერისთავოში არ შეუშვეს. ერეკლემ იარაღით ჩაქრო აჯანყება და სასტიკად დასაჯა მისი მონაწილენი.

არა ერთხელ გამოსულან თავიანთი მებატონეების წინააღმდეგ აგრეთვე ქსნის საერისთაოს გლეხები.

XVIII ს. ოთხმოციან წლებში დიდი მღელვარება იყო იმერეთის სამეფო გლეხებს შორის. 1785 წლის დასაწყისში მეფე დავითმა ხალხს (გლეხობას) ახალი გადასახადი გააწერა და ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია. სამეფო გლეხთა მღელვარება იმერეთში რვა თვეს გრძელდებოდა.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნეში და განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობა შედარებით მასობრივი გამხდარა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო ჯეროვნად დარაზმული და ამიტომ ხშირად ვერც აღწევდა მიზანს. ამას გარდა, იმ ხანებში გლეხები იბრძოდნენ არა საერთოდ ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ და მისი გაუქმებისათვის, არამედ სბატონო გამოსაღების შემცირებისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გლეხებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული თავიანთი კლასობრივი ინტერესები.

სოციალური ურთიერთობა ქალაქებში

მწარმოებელი მოსახლეობის ექსპლუატაციის გაძლიერება სოფლად, სასაქონლო წარმოების განვითარება და, ამასთან დაკავშირებით, ნატურალური რენტის გვერდით (განსაკუთრებით XVIII ს. მეორე ნახევრიდან) ფულადი გამოსაღების ზრდა ყმა-გლეხებსა და ხელოსნებს სოფლიდან ქალაქად ერეკებოდა. ფეოდალური ქალაქი იზიდავდა წვრილ აზნაურებსაც, რომელნიც ამჯობინებდნენ „ვაჭართა სახით". ქალაქებში ეცხოვრათ, ვიდრე თავიანთ დამცრობლსა და აოხრებულ მამულებში.

ზოგ შემთხვევაში თვით მებატონეებსაც გადმოჰყავდათ ქალაქებში თავიანთი ყმა-ხელოსნები და ვაჭრები. ეს კი თანდათან ამრავლებდა სამეფო თუ საბატონო ყმათა რიცხვს ფეოდალურ ქალაქებში.

მარტო ქართლ-კახეთის მეფეს თბილისში XVIII ს. 80-იან წლებში 1500 კომლზე მეტი ყმა ჰყავდა. XVIII ს. 80-იან წლებში თბილისში ყმა ხელოსნთა და ვაჭართა რაოდენობა მოსახლეობის 77% შეადგენდა, მაშინ როცა თავისუფალი მწარმოებელი მხოლოდ 15% იყო. მომდევნო წლებში კი თავისუფალ მწარმოებელთა რაოდენობა თანდათან მატულობდა, დაახლოებით ასეთივე სურათი იყო საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

XVIII ს. მეორე ნახევარში თანდათან გაძლიერდა ქალაქის მოსახლეობის ზედაფენა — მოქალაქეები და სამეფო ვაჭრები, რომელთა შორის განსაკუთრე-

ბით მომრავლდა „საპატიო“, „პირველხარისხოვანი“, „ჩინებული“ და „აღმორჩეული“ მოქალაქეების რიცხვი.

„მოქალაქეები“ თბილისში და „დიდვაჭრები“ სხვა ქალაქებში სამეფო ხელისუფლების დასაყრდენს შეადგენდნენ და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ. ამას გარდა, ისინი მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდნენ სამეფო ხაზინასაც. ამიტომ სამეფო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა გაემრავლებინა მოქალაქეთა რიცხვი და სხვადასხვა პრივილეგიის მინიჭებით გაეძლიერებინა ისინი. მიუხედავად ამისა, თავისუფალმოწარმოებელმა მოსახლეობამ და მოქალაქეებმა ვერ შეძლეს ჩამოყალიბებულიყვნენ ცალკე დამოუკიდებელ კლასად, რაც აიხსნება ფეოდალური საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიური განვითარების სისუსტით.

XVIII ს. ქალაქებში ფეოდალური ექსპლუატაციის ზრდას იწვევდა როგორც ახალ გამოსაღებთა დაწესება, ისე ძველის თანდათან გადიდება. XVIII ს. მეორე ნახევარში თბილისსა და გორში, ხოლო XVIII ს. ბოლოს — ქართლ-კახეთის სხვა ქალაქებშიც შემოღებულ იქნა ახალი სახელმწიფო გამოსაღები, რომელსაც „**მახტა**“ ეწოდებოდა. მახტა იყო ამა თუ იმ ქალაქზე წინასწარ განსაზღვრული რაოდენობით გაწერილი ფულადი გადასახადი (მაგალითად, თბილისს ყოველწლიურად 400 თუმანი უნდა გადაეხადა), რომელიც შემდეგ მოქალაქეებსა და სამეფო ვაჭრებზე ნაწილდებოდა, მათი ქონებრივი შეძლების კვალობაზე. მახტას არ იხდიდნენ საეკლესიო და კერძო მებატონეთა ყმები.

იმავე დროს ქალაქებში შემოვიდა აგრეთვე „სურსათი“, „სალეკო“ და სხვა გამოსაღები, რომელსაც იხდიდა ქალაქის შეძლებული მოსახლეობაცა და დაბალი ფენებიც.

სახელმწიფო გამოსაღებთან ერთად იზრდებოდა კერძო საბატონო ვალდებულება, რაც უმთავრესად ქალაქის ყმა-ხელოსნებსა და ვაჭრებს აწვებოდათ კისერზე. აღსანიშნავია, რომ XVIII ს. 80-90-იან წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ზოგი მებატონე თავისი ყმების ნატურალურ გამოსაღებს ფულადი გადასახადით სცვლიდა.

ფეოდალურ არისტოკრატიასა და ქალაქის მოსახლეობას შორის კლასობრივ ურთიერთობას ამწვავებდა აგრეთვე საქალაქო ცხოვრებაში საერო და საეკლესიო ფეოდალთა მონაწილეობის გაფართოება. ისინი ქალაქებში, ყმებს გარდა, ფლობდნენ წარმოების სხვადასხვა საშუალებასაც — სარეწაოებს, ქარვასლებს, სახელოსნოებს, დუქნებსა და სხვ.

ფეოდალური არისტოკრატიის მონაწილეობა ეკონომიურ ცხოვრებაში ხელს უწყობდა ქალაქებზე მათი პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებასაც.

ქალაქის მოსახლეობა ებრძოდა ფეოდალურ არისტოკრატიას: მოქალაქეები და ყმა-ხელოსან-ვაჭრები ხშირად ერთობლივ გამოდიოდნენ თავნება მოხელეების წინააღმდეგ. ამგვარი გამოსვლა ზოგჯერ ისე ფართო და საშიშ სახეს იღებდა, რომ სამეფო ხელისუფლება იძულებული ხდებოდა ანგარიში გაეწია მისთვის და დაეკმაყოფილებინა ქალაქის ამბოხებული მოსახლეობის მოთხოვნილება.

XVIII ს. 90-იან წლებში გორის მოსახლეობამ მასობრივად გაილაშქრა მოურავის, იესე ამილახვრის წინააღმდეგ და სათანადო საჩივარი წარუდგინა

ერეკლე II-ს. გორელები მოურავის გადაყენებას და სამოურავო დებულების ხელახლა განსაზღვრას მოითხოვდნენ. ერეკლე II იძულებული გახდა 1795 წელს თვით ქალაქის მოსახლეობის თავკაცების, „ქეთხუდების“ მიერ შედგენილი დებულებით განესაზღვრა გორის ახალი მოურავის, ოთარ ამილახვრის უფლება, მოვალეობა და სარგო. ასევე იბრძოდა ქალაქის მოსახლეობა სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშნულ თანამოქალაქეთა — მამასახლისების, ნაცვლებისა და სხვების წინააღმდეგაც.

ფეოდალური ექპლუატაციის გაძლიერება, მოხელეთა თვითნებობა ქალაქებში და იმავე დროს გარეშე მტრების მძარცველური გამოლაშქრების მუდმივი საფრთხე ხელს უშლიდა „ვაჭრის პიროვნებისა და ქონების დაცვის უზრუნველყოფას“, საქალაქო ცხოვრების ნორმალურ განვითარებას. სამეფო ხელისუფლების საამისო ღონისძიება საკმარისი არ ჩანდა.

დიდი ვაჭრები თუ ქალაქის მწარმოებელი მოსახლეობა ხმას იმაღლებდნენ და მეფისაგან მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფას მოითხოვდნენ. ან არადა იხიზნებოდნენ და უფრო ძლიერ სახელმწიფოს აფარებდნენ თავს. ამიტომ ერეკლე II-ს დასჭირდა საგანგებო ბრძანების გამოცემა, რომ თბილისიდან და გორიდან მოსახლეობის აყრა და სხვაგან გადასვლა აეკრძალა. მაგრამ დიდად ვერც ამგვარი ბრძანება შველოდა საქმეს. ამ მხრივ მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ.

საქალაქო წესწყობილება

ხელოსნები და ვაჭრები, ფეოდალური არისტოკრატიის შემოტევისაგან თავდაცვის მიზნით, ხელობისდა მიხედვით ერთიანდებოდნენ სხვადასხვა ჯგუფებად, რომელთაც XVI—XVIII სს. „ასნაფი“ (ამქარი) ერქვა. ყოველ ასნაფს სათავეში ედგა ამქრისთავი, რომელსაც **„ასნაფბაშს“** ან **„უსტაბაშს“*** უწოდებდნენ. ზოგი შედარებით დიდი, განსაკუთრებით ვაჭართა, ასნაფის უსტაბაშს მეფე ნიშნავდა, ზოგს კი თვით ასნაფი ირჩევდა, ოღონდ არჩევანი მაინც მეფეს ან მის მოხელეს უნდა დაემტკიცებინა.

ასნაფების უმეტესობას ჰქონდა დაწერილი წესდება (სტატუტი), რომელიც აგრეთვე მეფის ან ქალაქის მთავარი ხელისუფალის მიერ იყო დამტკიცებული.

ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები ევროპის ხელოსნური ორგანიზაციისაგან განსხვავდებოდნენ შინაგანი წყობით. ქართულ ამქრულ ორგანიზაციებში ერთიანდებოდნენ როგორც თავისუფალი, ისე ყმა ხელოსნები და ვაჭრები: ამას გარდა, აქ ერთსა და იმავე ამქარში თავს იყრიდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ოსტატები, რაც უცხო იყო ევროპული ცეხებისათვის. ყოველივე ეს XVI—XVIII საუკუნეთა საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიური განვითარების თავისებურებით აიხსნება.

XVI—XVIII სს. საქართველოში ე. წ. „თავისუფალი ქალაქი“ არ არსებობდა: ყოველი ქალაქი ან მეფეს ეკუთვნოდა, ან მთავარს და ან თავადს. რაკი ქალაქები თავისუფალი არ იყვნენ, მათ, ცხადია, არ შეიძლებოდა ჰქონოდათ სა-

---

[1] „უსტა“ ნიშნავდა ოსტატს, „ბაშ“—თავს, „უსტაბაში“ კი ოსტატების უფროსს, მეთაურს; „ამქარბაში“—„ამქრის თავს“.

კუთარი თვითმმართველობა. ქალაქის მმართველობა მისი მფლობელის მიერ დანიშნულ მოხელეთა ხელში იყო.

ქალაქის მთავარ გამგებელს XVI—XVIII სს. „ამირას“, „ამირათ-ამირას“ ან „მოურავს“ უწოდებდნენ. ამა თუ იმ ქალაქის მოურავად (ამირად) რომელიმე დიდი ფეოდალი ინიშნებოდა. მეორე მოხელე ქალაქში მამასახლისი იყო. XVI ს. მეორე ნახევრიდან ზოგ ქალაქში (თბილისში) ჩნდება „მელიქის“ თანამდებობაც. მამასახლისი და მელიქი მოქალაქეთა ზედაფენიდან ინიშნებოდნენ. იმავე ფენიდან იყვნენ ხოლმე „ქალაქის ნაცვლები“ — საპოლიციო ხელისუფლების წარმომადგენლები, მებაჟენი, მესასწორენი ანუ ყაფანდარები და სხვა, მეორეხარისხოვანი მოხელეები.

ქალაქის არცთუ მცირერიცხოვან მოხელეთა გასტუმრება-შენახვა თვით ქალაქის მოსახლეობას ეკისრებოდა.

მართალია, ქალაქის მოხელეთა უფლება, მოვალეობა და სარგო სათანადო გარიგების წიგნებით იყო განსაზღვრული სამეფო ხელისუფლების მიერ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ, რომ ქალაქის მოსახლეობისაგან კუთვნილზე მეტი გამოსაღები და სამსახური მოეთხოვათ და ქალაქი თავიანთი გამდიდრების წყაროდ, საწველ ფურად ეჭციათ.

მეფის თუ ქალაქის სხვა მფლობელთა მიერ დანიშნულ მოხელეთა გარდა XVII—XVIII სს. ქალაქებში იყო აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის მდიდარი ზედაფენის წარმომადგენელთა, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „აღმორჩეულ მოქალაქეთა“, „ქეთხუდთა“ (უხუცესთა) ხელისუფლებაც. მაგრამ „აღმორჩეულ მოქალაქეთა“ მონაწილეობა ქალაქის მმართველობაში უმნიშვნელო იყო: მათ მხოლოდ მოქალაქეთა შინაური საქმეების თვალყურის დევნება ჰქონდათ მინდობილი.

თ ა ვ ი XXI

საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

§ 1. ბრძოლა პირველობისათვის ამიერკავკასიაში

1748—1750 წლებში ქართლ-კახეთს ფიცხელი ომები ჰქონდა მეზობელ ხანებთან, რომელთაც მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სურდათ გაბატონება. ამ ომებში ქართველმა მხედრობამ, თეიმურაზისა და ერეკლეს მეთაურობით, ზედიზედ მოიპოვა გამარჯვება. ერევნის, განჯისა და ნახჭავნის ხანები საქართველოს მოხარკეები გახდნენ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ქართლისა და კახეთის უპირატესობა თითქოს უცილობელი ხდებოდა.

დაღისტნელ ფეოდალთა გამოლაშქრება

საქართველოში დაღისტნელი ფეოდალების თარეშის მოსასპობად ქართლისა და კახეთის მმართველ წრეებს აუცილებლად მიაჩნდათ ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის დაპყრობა და მათი კვლავ კახეთისათვის შემოერთება: აღნიშნული კუთხეები თავშესაფრად ჰქონდათ გადაქცეული აბრაგებს.

ჭარელებს დაღისტნიდან მაშველი ძალა მოუვიდათ და 1750 წელს ისინი საქართველოზე გამოემართნენ. მომხდურთა ერთი ნაწილი კახეთს დაეცა. მთავარი ძალა კი ყაზახს შეესია და სასტიკად დაარბია იგი. ქართველთა ლაშქარი, ახალგაზრდა ერეკლეს მეთაურობით, კახეთზე წამოსულ მტერს რამდენჯერმე შეება და უკუაგდო. ამის შემდეგ ერეკლეს ლაშქარი ფიცხლავ ქართლს მიეშველა. ქართლისა და კახეთის ჯარი აედევნა ნადავლით დატვირთულ დაღისტნელთა მთავარ ძალას და ალაზან-ივრის შესართავთან შეება მას. მტერი დამარცხდა. ნადავლ-ნაალაფევს გარდა, მან დიდძალი დაჭრილ-დახოცილი თუ ტყვე და ათასობით ცხენი შეატოვა ქართველებს და გაიქცა.

ამ გამარჯვებას ქართლ-კახეთის მმართველ წრეებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ: მოპოვებული წარმატება „ლეკთა“ საკითხის საბოლოო გადაჭრის საწინდრად ესახებოდათ. შედგა სამეფო დარბაზის სხდომა, რომელზედაც გადაწყდა „უბატონო თემების“ დაპყრობა.

ომი ჭარ-ბელაქნისა და შაქი-შარვანის ხანის წინააღმდეგ

შაქი-შარვანის ხანი აჯი-ჩალაბი გარეგნულად თითქოს ქართლისა და კახეთის მეფეებს მეგობრობდა, მაგრამ ნამდვილად კი მტრულად იყო მათ მიმართ განწყობილი. ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის შეერთებია. კახეთის სამეფო შაქს უშუალოდ უმეზობლდებოდა. ეს კი აჯი-ჩალაბს აშფოთებდა და იგი საიდუმლოდ ემზადებოდა გადამწყვეტი ომისათვის. ქართველებმა

აჯი-ჩალაბს განზრახვა გვიან შეუტყეს. 1751 წ. დაღისტნელი ფეოდალებისა და შაქი-ქარვანის შეერთებულმა ლაშქარმა დაამარცხა ქართველთა ჯარი.

ეს იყო თეიმურაზ-ერეკლეს პირველი სერიოზული დამარცხება. ამასთანავე გამოირკვა, რომ დაღისტნელ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი გაცილებით უფრო მძიმე და რთული იყო, ვიდრე ეს ქართლისა და კახეთის მმართველ წრეებს წარმოედგინათ.

აზატ-ხანის დამარცხება

იმავე დროს საქართველოს დიდი საფრთხე გაუჩნდა სამხრეთ აზერბაიჯანის მხრივ. თავრიზის მფლობელი აზატ-ხანი მთელი ირანის დაპყრობასა და ხელმწიფედ დაჯდომას აპირებდა. 1751 წელს ხანმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიას შემოუტია. საქმე მან ერევნის სახანოდან დაიწყო.

ახალი საფრთხე ქართლისა და კახეთის პოლიტიკურმა მესვეურებმა კარგად გაითვალისწინეს და ერეკლე ფიცხლავ გაეშურა ერევნის მისაშველებლად. აზატ-ხანიც თვრამეტი ათასი მეომრით სწრაფად წამოვიდა ერეკლეს წინააღმდეგ. ომი მოხდა ერევნის ახლოს, ყირხ-ბულახთან. ერეკლეს ბევრად უფრო მცირე ჯარი ჰყავდა, მაგრამ იგი გულმტკიცედ შეება მტერს. თავდაპირველად აზატ-ხანის დიდმა ჯარმა შეავიწროვა ქართველთა ლაშქარი და ყოველმხრივ გარს შემოერტყა მას. ყიზილბაშებს ქართველთა დამარცხება არ ეეჭვებოდათ და აზატ-ხანი ერეკლე მეფისაგან მორჩილების მოციქულსაც კი ელოდა. მაგრამ ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა გაიმარჯვა: მისი პირადი გაძღოლით ქართველთა ჯარი ისე ძლიერ და ხერხიანად დაეტაკა ყიზილბაშთა ლაშქრის ცენტრს, რომ ის ერთი დაკვრით მოშალა. მტერი სულიერად გატყდა და მალე გაიქცა. ქართველებმა მას ოცდაათი კილომეტრის მანძილზე კვალდაკვალ სდიეს, ჰკაფეს და ატყვევეს იგი. აზატ-ხანმა ძლივს უშველა თავს, არაქსი გადალახა და სამხრეთ აზერბაიჯანს შეეფარა. ერეკლე მეფემ ერევან-ნახჭავნის საქმეები მოაწესრიგა და თბილისს დაბრუნდა.

აჯი-ჩალაბის დამარცხება

ახლა შესაძლებელი გახდა აბრაგების ასალაგმავი ღონისძიების გატარებაც. დაღისტნელ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის გადაჭრა აჯი-ჩალაბით უნდა დაწყებულიყო. აჯი-ჩალაბი ხერხიანად იბრძოდა. ქრისტიანული ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მან მაჰმადიანურ სახანოთა შეკავშირება სცადა და ამ საქმეში წარმატებასაც მიაღწია. თეიმურაზისა და ერეკლეს წინააღმდეგ შაქის ხანმა არა მარტო დაღისტნელები დარაზმა, არამედ განჯა-ყარაბაღისა და ერევნის ხანებიც კი გადაიბირა. 1752 წელს ამ ხანების მოღალატეობის გამო ქართველებმა განჯასთან ომი წააგეს. გამარჯვებული აჯი-ჩალაბი შეტევაზე გადმოვიდა. მტრის დიდი ლაშქარი ქართლში შემოიჭრა. იმავე დროს დაღისტნელთა ბრბოები ქართლ-კახეთის დაბა-სოფლებს მოედვნენ.

კარზე მომდგარ საფრთხეს ქართლ-კახეთის სამეფოს ხელმძღვანელობა მხნედ შეეგება: ხალხი ციხე-სიმაგრეებში დახიზნეს, ომში ქუდზე-კაცი გაიწვიეს, ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზებისა და სხვა მთიელების დასაქირავებლად კაცები აფრინეს. ამ საქმიანობის სულის ჩამდგმელი ერეკლე იყო.

სამი თვის გასულს ქართველები სავსებით მზად იყვნენ, რომ მტრისათვის საკადრისი პასუხი გაეცათ. მტერმა თავის დამპყრობლურ განზრახვაზე ხელი

აიღო და უკან გაბრუნება არჩია, მაგრამ ქართველთა ჯარი, ერეკლეს სარდლობით, ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე მიეწია მას. მოხდა სასტიკი ომი, რომელშიც განსაკუთრებით ისახელეს თავი ქიზიყელმა გლეხებმა და ჩერქეზთა რაზმმა. მტერი დამარცხდა და დიდად დაზარალებული გაიქცა.

ზავი აზატ-ხანთან

ამ გამარჯვებას ქართველი ხალხისათვის მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. მაჰმადიანური სახანოების კავშირი, რომელიც შაქის ხანმა ქართლ-კახეთს დაუპირისპირა, მალე დაიშალა. ერევნის, განჯისა და ამიერკავკასიის სხვა ხანები თეიმურაზისა და ერეკლეს მიმართ ისევე მეგობრობა-მორჩილების გზას დაადგნენ. ბოლოს თავრიზელმა აზატ-ხანმაც ხელი აიღო მტრულ საქმიანობაზე და ზავი შემოსთავაზა ქართლ-კახეთის მეფეებს. ქართველთათვის ეს ზავი მეტად სასურველი იყო. აზატ-ხანის დაცხრომა ქართლ-კახეთის საშინაო სიმტკიცესაც ხელს შეუწყობდა. ქართლის ზოგიერთი უკმაყოფილო თავადი, სამეფო ხელისუფლების ურჩი ფეოდალი, აზატ-ხანის გამოლაშქრებას მოუთმენლად ელოდა. რეაქციონერ ფეოდალებს აზერბაიჯანის ხანის შემწეობით ქართული სამეფო ხელისუფლების დასუსტება ეწადათ. ზოგიერთებს თეიმურაზისა და ერეკლეს გაძევება და ქართლში ვახტანგის შემკვიდრეთა გამეფება სურდათ. ახლა კი თავადებს ყოველივე ამის იმედი უქარწყლდებოდათ.

ამრიგად, ხუთი წლის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად ქართლ-კახეთმა უკუაგდო აზატ-ხანი და წარმატებით მოიგერია მეზობელ ხანთა გაერთიანებული შემოტევა.

§ 2. დაღისტნელ ფეოდალთა თავდასხმები XVIII საუკუნის მეოთხე ნახევარში და ბრძოლა მათ წინააღმდეგ

„ლეკიანობის" ხასიათი

დაღისტნელი აბრაგები მოწინააღმდეგეებთან პირისპირ შებმას გაურბოდნენ ხოლმე. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ აბრაგები საძარცვავად მოდიოდნენ და დიდ სამხედრო-პოლიტიკურ ამოცანებს არ ისახავდნენ. მათი მიზანი ტყვისა და სხვა ნადავლის შოვნა იყო. ვერც შეიარაღებით და ვერც სამხედრო ორგანიზაციით ისინი ქართლ-კახეთის ლაშქარს ვერ შეედრებოდნენ. ქართველთა ლაშქართან დიდ ბრძოლაში ისინი ჩვეულებრივ მარცხდებოდნენ ხოლმე.

მთებიდან ჩამოსვლის უმალ მტაცებლები წვრილ-წვრილ გუნდებად ნაწილდებოდნენ, უღრან ტყეებს, მიუვალ კლდეებსა და ვერანა ადგილებში საფრდებოდნენ და ასეთი ბუნაგებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის სათითაოდ გატაცებასა და ძარცვას მიჰყოფდნენ ხოლმე ხელს. ისინი სწორედ მაშინ იწყებდნენ მოქმედებას, როცა ქართველი გლეხი ციხე-გალავნებიდან თუ გამაგრებული სოფლებიდან სამუშაოდ უნდა გასულიყო. ხვნა-თესვის, მკისა თუ რთველის დროს ესეოდნენ ეს მძარცველები ვენახ-მინდვრებს და მიჰქონდათ და მიჰყავდათ ყველაფერი, რის მოტაცებაც კი შეიძლებოდა: ადამიანები, ოთხფეხი საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი. იმავე დროს დაღისტნელი აბრაგები მიუხტებოდნენ ხოლმე უკაცოდ დარჩენილ სოფლებს და მიერეკებოდნენ ქალებს, ბავშვებსა და სოფლის ნახირს. ნაშოვნით დატვირთულნი, ისინი ტყის

ბილიკებითა და უგზო ველებით ბრუნდებოდნენ დაღისტანში. მიდიოდნენ ღამ-ღამობით, ხოლო დღისით მიუვალ ხევ-ხუვებსა და ტყეებში ბანაკობდნენ. ჭარ-ბელაქანს გასულნი, უკვე სამშვიდობოს იყვნენ ხოლმე. აქ ჩვეულებრივ სტო-ვებდნენ მონატაცებს და თუკი მას საკმაოდ არ მიიჩნევდნენ, ახალი საშოვრ-სათვის ისევ ქართლ-კახეთს ბრუნდებოდნენ. დაღისტანში გადაყვანილ ტყვეებს უმთავრესად ყირიმელი ვაჭრები იძენდნენ ხოლმე.

ქართლ-კახეთში დაღისტნელი აბრაგების თავდასხმა განსაკუთრებით ძლიერი იყო 1754—1760 წლებში. მთელი ქართლი აივსო მათი ბრბოებით. მოსახლეობა ციხეებს ეფარებოდა და მეურნეობა ძალზე მინელებული იყო.

მჭადიჯვრის ომი

გარდა წვრილ-წვრილი თარეშისა, დაღისტნელმა ფეოდალებმა იმ ხანებში რამდენიმე დიდი ლაშქრობაც მოაწყეს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დაღისტნელთა ორგზის ლაშ-ქრობა ხუნძახის ბატონის ნურსალ-ბეგის მეთაურობით.

1754 წელს ხუნძახის ბატონი დიდი ჯარით გადმოვიდა და ქართლ-კახეთის ერთიანად აოხრებას ლამობდა. კახეთის მოსახლეობა ერეკლემ სულ ციხეებში შეიყვანა, ხოლო კახეთის ჯარი თვითონ შემოიყარა. თეიმურაზმა ქართლი დახიზნა.

ნურსალ-ბეგმა ძარცვა-რბევით კახეთი გამოიარა, არაგვი გადმოლახა, ქართლ-ში შემოვიდა და გარს შემოერტყა მჭადიჯვრის ციხე-გალავანს, მუხრან-დუშეთის გზაზე, მდინარე ნარეკვავის ხეობაში. დაღისტნელ სარდალს იქ შე-ხიზნული ხალხის დატყვევება სურდა. ქართველთა ჯარის სიმცირის მიუხედა-ვად, ერეკლე მხნედ შეება მტერს.

სასტიკი ომი გაიმართა, მაგრამ ერეკლეს სიმამაცემ და ბრწყინვალე სამ-ხედრო ნიჭმა იხსნა ქართველები დამარცხებისაგან. მან ისე ხერხიანად შეაბა თა-ვისი ჯარი რიცხვმრავალ მტერს და ისე მარჯვედ გამოიყენა ქართველთა ჯარის პოზიციური და ტექნიკური უპირატესობა, რომ მტერი გატყდა და მძიმედ დაზა-რალებული გაიქცა.

ხუნძახის ბატონის ეს დიდი ლაშქრობა დამარცხდა, მაგრამ გამარჯვების სიხარულს ანელებდა აბრაგთა კვლავ ბოლომოუღებელი წვრილ-წვრილი თა-რეში.

ყვარლის ალყა

ამ წვრილ-წვრილ თარეშს 1755 წელს კვლავ დიდი ლაშქრობა მოჰყვა. ხუნძახის ბატონს მჭადიჯვართან დამარცხების ჯავრის ამოყრა სურდა. ქართლ-კახეთის ერთი დაკვრით წახდენის სურვილი მას არ შორდებოდა. წინა წლის გამოცდილების მიხედვით, ის ახლა სა-განგებოდ ემზადებოდა. მისი კაცები მოედვნენ მთელ დაღისტანს და ყველას ქართლ-კახეთზე სალაშქროდ იწვევდნენ. ნურსალ-ბეგმა დიდძალი ხალხი შემო-იყარა და მას დაღისტნის სხვა ბატონებიც გამოჰყვნენ. ამ დიდი ლაშქრით ხუნ-ძახის ბატონი ყვარლის თავს დადგა. აქედან მან მოციქულები გაგზავნა ჭარს, შაქს, კაკ-ენისელს, განჯას და ყველას ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოუწოდა. ნადავლის მოიმედენი ყოველი მხრით ხალისით ეახლნენ დაღისტნელ სარდალს.

ქართლ-კახეთის მმართველებისათვის ნურსალ-ბეგის ეს გამოლაშქრება მოულოდნელი არ ყოფილა. ამიტომ სათანადო ღონეც დროულად იხმარეს. თეი-მურაზმა და ერეკლემ მთელი ქართლისა და კახეთის მოსახლეობა, ოთხი თვის

მარაგით, განსაკუთრებით საიმედო ციხეებსა და მიუვალ ხევებში დახიზნეს. ჯარი ქუდზე კაცი გამოიყვანეს და თან იახლეს.

ნურსალ-ბეგმა ამჯერად საქმე კახეთიდან დაიწყო. ოცი ათასი მეომრით შემოადგა იგი ყვარლის დიდ ციხე-გალავანს, სადაც კახეთის ერთ-ერთი ნაწილის, ეგრეთ წოდებული „გაღმა მხრის", მოსახლეობა იყო ნაწილობრივ შეხიზნული.

ნურსალ-ბეგის ლაშქართან პირისპირ შებმა ქართველებმა შესაძლებლად ვერ ცნეს. მტრის ჯარი რიცხვით დიდად სჭარბობდა ქართველებისას, მისი დამარცხება მხოლოდ ხერხით თუ შეიძლებოდა და ერეკლემაც ამ ძნელ საქმეს ბრწყინვალედ მოუარა. მოალყეებს გალავნის გარშემო ისეთი მაღალი საფრები შეეკრათ, რომ თოფს შიგ ციხეში ჩაისროდნენ. ციხის დამცველებს უჭირდათ და აუცილებელი იყო მათი გამხნევება. ერეკლემ მეშველი რაზმის შეგზავნა გადასწყვიტა. ვინც ამ სავაჟკაცო საქმის მოხალისედ გამოვიდოდა, მეფე პირდებოდა — თავადსა და აზნაურს შესაფერისი თანამდებობისა და მამულის წყალობას, ხოლო გლეხს — ბატონყმობისაგან განთავისუფლებას, ორ საკომლო მიწა-ადგილსა და ფულად ჯილდოს.

საგმირო საქმეზე ორასექვსი კაცი გამოვიდა (ექვსი თავადიშვილი, ორი აზნაურიშვილი, ერთი ხუცესი და დანარჩენი ყველა გლეხი, ამათგან ასსამი ქიზიყელი). ისინი ღამე გავიდნენ ქიზიყიდან, გავლეს ალაზანი, მიეპარნენ მეალყეთა ყარაულებს და ხმალდახმალ გაიკაფეს გზა ციხისაკენ. მეშველმა რაზმმა თოფის წამლის დიდი მარაგი შეიტანა ციხეში. გულმოცემულმა მეციხოვნეებმა მოახერხეს გალავნის გარშემო მტრის მიერ აღმართული საფრების დაწვა. ნურსალ-ბეგის ლაშქარს მერყეობა დაეტყო: ციხის ჩქარა და ადვილად აღება უკვე საეჭვო ჩანდა.

ყვარლის ციხეში მეშველი რაზმის შეგზავნასთან ერთად ერეკლემ აარჩია გულადი და კარგი ცხენოსანი ქიზიყელები და ჭარის დასარბევად გაგზავნა. ამ რაზმმა დიდძალი საქონელი და ტყვე მორეკა დაუცველად დაგდებული ჭარიდან. ყვარლის ციხის ალყაზე მდგომი ჭარელები შეშფოთდნენ და შინ გაბრუნება დააპირეს, ხუნძახის ბატონმა ძლივს-ღა შეიმაგრა ისინი.

მაშინ ერეკლემ უკვე მოზრდილი ლაშქარი გაგზავნა ჭარისაკენ. ყვარლის ციხესთან მდგომი ჭარელები ფიცხლავ წავიდნენ ქართველებთან შესაბმელად, მაგრამ ქართველები, ერეკლეს ბრძანების თანახმად, ბრძოლას მოერიდნენ, უკან გამობრუნდნენ და ქიზიყს დადგნენ. ჭარელებს საქმე გაურთულდათ: ქიზიყს მდგომი ქართველთა ლაშქარი ჭარს აოხრებას უქადდა. ერეკლეს სამხედრო ხერხმა გასჭრა: ჭარელებმა გადასწყვიტეს ყვარლის ციხეს ჩამოსცლოდნენ და თავ-თავისი სახლებისათვის მიეხედნათ. ამ ნიადაგზე ჭარელებსა და ნურსალ-ბეგის მოლაშქრეებს შორის მტრობა ჩამოვარდა და ბოლოს ისინი ერთმანეთს იარაღით დაერივნენ კიდევაც. ჭარელები მოიხსნენ და შინ წავიდნენ. მათ გაჰყვა კაკის სულთანიც, რადგან ქართველი მარბიელები მის ქვეყანასაც უპირებდნენ მოთარეშებას.

ამის დანახვაზე ნუხის ხანმაც თავის ქვეყანას მიაშურა. ასე რომ მოალყეთა ჯარის ერთი მხარი სავსებით მოიშალა. დაღისტნელებს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. კიდევ მეტი: საჭირო ხდებოდა თავდაცვაზე ზრუნვა, რადგან ვამხნევებული ქართველები, სადაც იყო, შეუტევდნენ დასუსტებულ მტერს.

ასეთ პირობებში დაღისტნელი სურხაი-ხანიც გამოეთიშა მოკავშირეს და შინისაკენ გასწია. 28 სექტემბერს ნურსალ-ბეგიცა და შამხალიც შემოეცალნენ ყვარლის ციხეს.

ამრიგად, ნურსალ-ბეგმა ომი წააგო. ხუნძახელმა სარდალმა ეხლა ისევ ძველებური ქურდ-ავაზაკობა ირჩია: დარჩენილი ჯარი მცირე გუნდებად დაიშალა. ტყეებსა და კლდეებს შეეფარა და იქიდან შეუდგა ქართლ-კახეთის რბევას.

ქართველმა ხალხმა დიდი საფრთხე აიცილა თავიდან, მტერს ქართლისა და კახეთის ერთბაშად აოხრების გეგმა ჩაეშალა. რა თქმა უნდა, აბრაგთა ბრბოების მეთაური ვერ შეიძლებდა იმას, რაც თვით შაჰ-აბასმაც კი ვერ შესძლო. მაგრამ დაღისტნელ ფეოდალთა თავდასხმა მაინც დიდ ვნებას აძლევდა ქვეყანას.

§ 3. რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცება

მოსკოვის ქართული კოლონია

XVII ს. მიწურულსა და XVIII ს. დამდეგს კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა ქართველი ხალხის რუსეთთან ურთიერთობა, კულტურული კავშირი და პოლიტიკური დაახლოვება.

ქართველი ხალხის რუს ხალხთან, მის დიდ კულტურასთან თანაზიარებას, რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობას ძალზე შეუწყო ხელი, კერძოდ, მოსკოვში წარმოქმნილმა ქართულმა კოლონიამ. როგორც ვიცით, ვახტანგისა და მისი მხლებლების იქ ჩასახლების შედეგად ეს კოლონია გაიზარდა რიცხობრივაც და სულიერადაც. ამ კოლონიას პირველ ხანებში ნივთიერად რუსეთის მთავრობა ინახავდა, ხოლო სულიერად მთელი მოწინავე რუსეთი განამტკიცებდა.

იქ გრძელდებოდა გადასახლებულთა შემოქმედებითი კულტურული მუშაობა; იბეჭდებოდა, ვახტანგის დროინდელი თბილისური სტამბის ტრადიციებისამებრ, ქართული წიგნები; წარმოებდა რუსული ენის, ლიტერატურის შესწავლა, მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუშაობა.

ამ კოლონიის წევრები მოსკოვის გარეთაც ესახლებოდნენ საცხოვრებლად. დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი მოსკოვიდან საბოლოოდ გადასახლდა მოძმე უკრაინელი ხალხის ქვეყანაში, ქ. მირგოროდს. ვახტანგის ძმა სვიმონი და ზოგი სხვა პეტერბურგს დაბინავდნენ და ა. შ.

მოსკოვის კოლონიის შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი ნათლად ჩანს ქართული კულტურის ისტორიაში.

ამ კოლონიის არსებობას თავის დროზე პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ის აადვილებდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო ხელისუფლების დაკავშირებას რუსეთთან, ამ ქვეყნების ურთიერთ გაცნობას, საჭირო ინფორმაციის მიღებას, მისვლა-მოსვლას.

ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩები რუსეთში

1752 წ. მღვდელმთავარი ათანასე ამილახვარი და სვიმონ მაყაშვილი რუსეთს გაიგზავნენ ქართლისა და კახეთის მეფეთა ელჩებად. მათ იქ სამეფო კარს აუწყეს, რომ ქართველი ხალხი უკვე საკმაოდ მომძლავრდა, მას უკვე მხოლოდ ქართველი მეფეები ჰყავს მეთაურებად და რომ ამიტომ ახლა უფრო ადვილი იქნება, რუსეთის მხედრობისა და ხაზინის დახმარებით და-

რუსეთის ინტერესთა შესაბამისად, დაცვა ქართველთა მიწა-წყლისა, რომელსაც ირგვლივ კვლავ აეშალენ ძველი მტრები.

რუსეთი ჯერ კიდევ არ მიიჩნევდა ვითარებას ასეთი დახმარებისათვის ხელსაყრელად. თურქეთი, თავის მხრივ, პროვოკაციული ფანდებით ლამობდა ქართველი ხალხის რუსეთისაგან ჩამოშორებას. მოსკოვს დამკვიდრებული ვახტანგ მეექვსის შთამომავლობაც, ეგოისტური მიზნით, აბრკოლებდა რუსეთში ქართველი ელჩების საქმიანობას (თეიმურაზ-ერეკლეს შტოს მიმართ მათ მტრობა ჰქონდათ).

თეიმურაზ II-ის გამგზავრება რუსეთს

ამის შემდგომ, უკვე 1761 წელს, პეტერბურგს ეწვია თვით ქართლის მეფე თეიმურაზი.

ქართველმა მეფემ პეტერბურგში თანაგრძნობა მოიპოვა, ზოგ წრეებში. საგულისხმოა, რომ კულტურის რიგითმა მუშაკებმა, მეცნიერებათა აკადემიის სტამბის „მსახურებმა“, თეიმურაზის სტუმრობის სახსოვრად დაბეჭდეს მისი სურათი და მისალმების ფურცელი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ისინი ამით „პატივცემლობასა თვისათა მოწმობენ“.

თეიმურაზს რუსეთის იმპერატორისათვის გაბედული გეგმა და მნიშვნელოვანი სათხოვარი ჰქონდა მოსახსენებელი.

რუსეთის მეფისაგან თეიმურაზი ითხოვდა ჯარს ან ჯარის დასაქირავებელ ფულს, სესხად. ამ ჯარის დახმარებით ქართველი მეფეები დაღისტნელ აბრაგებსაც ალაგმავდნენ და ქართველთა საგანგებო ლაშქრით კი ირანში შევიდოდნენ, იქ ირანელი დიდებულების ყრილობას მოიწვევდნენ და მას რუსეთისათვის სასურველ შაჰს აარჩევინებდნენ.

ამ გეგმის თანახმად, თეიმურაზი და ერეკლე ირანში რუსეთის ინტერესების გამტარებლად გამოვიდოდნენ, ხოლო ამ საქმეში წარმატება ირანის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების მტკიცე საწინდარი იქნებოდა.

რუსეთის სამეფო კარზე სხვა წყაროდანაც ჰქონდათ ცნობა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური წრე ერეკლესაგან მოელოდა ირანის მმართველობაში გადატრიალების მოწყობას.

რუსეთში ამ გეგმაზე აქტიურად გამოხმაურება იმჯერად შესაძლებლად ვერ დაინახეს. 1762 წლის 8 იანვარს თეიმურაზი პეტერბურგში გარდაიცვალა.

§ 4. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ბრძოლა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის

თეიმურაზის გარდაცვალების უმალ ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა და ამრიგად ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ იქცა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი დაემთხვა ირანში ტახტის მაძიებელთა შორის ატეხილ ბრძოლას. ერეკლეს ემარჯვებოდა მეტოქე ხანების ძალთა სწორი შეფასება და საჭირო თადარიგს ყოველთვის დროზე იჭერდა. როცა ქერიმ-ხან-ზანდი თავის მეტოქე ტახტის მაძიებლებთან ბრძოლაში პირველ წარმატებას ეწია, ერეკლემ მას დიდ სამსახური გაუწია: ქერიმის მიერ დამარცხებული აზატ-ხანი ერეკლეს ხელში ჩაუვარდა, ხოლო ერეკლემ ეს „ძვირფასი ტყვე“, თავისი ძველი მტერი, მხარშეკრული გაუგზავნა ქერიმ-ხანს.

ამ სამსახურის სამაგიეროდ ქერიმ-ხანმა სცნო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აღიარა ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე და ამით დაადასტურა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიაში ჰეგემონობის ერეკლესეული გეგმა წარმატებით ხორციელდებოდა. მმართველ წრეებს ძველი, ძლიერი საქართველოს აღდგენის პერსპექტივა დაესახათ. ბევრი არაქართველი — სომეხი, აისორი თუ სხვა — მოღვაწეც ამიერკავკასიაში და მის მეზობელ ქვეყნებში თავისი ხალხის უკეთეს მომავალს ერეკლეს ამ პოლიტიკურ გეგმას უკავშირებდა და მზად იყო, ქართველთა მეფის ხელმძღვანელობით, ქართველებთან ერთად ებრძოლა ამ გეგმის განხორციელებისათვის. ასე რომ ქართლ-კახეთის მმართველი წრეები, ერეკლეს მეთაურობით, ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანების მესვეურად გამოდიოდნენ.

ბრძოლა თავადებთან

ამასობაში მიმდინარეობდა მძიმე საშინაო ბრძოლა სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეთა შორის, ძლიერი თავადები პირდაპირ ებრძოდნენ მეფის ხელისუფლების გაძლიერებას.

თეიმურაზმა და ერეკლემ ადრევე შეუტიეს ერთ-ერთ უძლიერეს სათავადოს, არაგვის საერისთავოს (1743 წ.). იმ დროს აჯანყებულმა არაგველმა გლეხებმა თავიანთი ერისთავი ბეჟანი მოკლეს, თეიმურაზმა „არაგველები მიიმხრო და საერისთავო შეუერთა სამეფო მიწებს.

შემდეგ ქსნის ხევის მოსახლეობაც გადმობირებულ იქნა და ქსნის საერისთავო ჩამოერთვა გივი ამილახვარს (1744 წ.).

ასე რომ თეიმურაზისა და ერეკლეს მეფობა თავადებთან მძაფრი შეტაკებით დაიწყო. ქართლის თავადებს აშინებდათ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება. ისინი ქართლ-კახეთის გაერთიანების აზრსაც კი ვერ იწყნარებდნენ. თავიანთი ვიწრო წოდებრივი მიზნებისათვის ბრძოლაში რეაქციონერი თავადები პროგრესულ წრეებს არ ინდობდნენ და ხალისით უკავშირდებოდნენ ქართველი ხალხის ყველა მტერს: ყიზილბაშებს, ოსმალებს, „ლეკებს“ თუ სხვებს. რეაქციის მომხრეებს თეიმურაზისა და ერეკლეს მოწინააღმდეგე ფალავნები მოსკოვის ქართულ კოლონიაშიც ეგულებოდათ. იქ ისხდნენ ქართლის სამეფო ტახტის „ნამდვილი მემკვიდრეები“, ბაქარის ძმა და შვილები, რომლებიც ქართლში გაბატონებაზე ოცნებობდნენ და თეიმურაზისა და ერეკლეს მოღვაწეობას, რაც გაეწყობოდათ, ხელს უშლიდნენ.

60-იანი წლებიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ქართლის თავადებს გარედან დახმარების იმედი თითქმის გადაეწურათ, რადგან ქერიმხანი ერეკლეს მეგობრობდა, რუსეთიდან ბაქარის დახმარების მოლოდინი აღარ იყო, ოსმალეთიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საქმეებში აღარ ერეოდა, ხოლო ახლობელი ხანები ერეკლეს ან ემორჩილებოდნენ, ან უსმენდნენ და მის წინააღმდეგ გამოსვლას ვეღარ ბედავდნენ.

„ბარაბაშვილის დაბადება“

ამ ახალ პირობებში რეაქციონერი თავადები შეთქმულება-ტერორის გზას დაადგნენ: მათ მეფისა და მთელი მისი ოჯახის გაწყვეტა განიზრახეს. ამ საქმის ხელმძღვანელი იყო პაატა, ვახტანგ მეფის უკანონო შვილი. მალე პაატას სად-

ბომი. ვინმე მარკოზაშვილის დარბაზი,შეთქმულების ბუდედ იქცა. 1765 წელს, როცა შეთქმულები უკვე მზად იყვნენ განაზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ისინი გასცა სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა.

მეფემ სწრაფად დააჭერინა შეთქმულების მეთაურები. ერეკლეს კარგად ესმოდა ამ საქმის საზოგადოებრივი აზრი. მან იცოდა, რომ შეთქმულებს სხვა მომხრეებიც ჰყავდათ. მეფემ დარბაზის სხდომა მოიწვია, საქმე გასარჩევად მას გადასცა და თვითონ კი მოჩივარის როლში გამოვიდა. დარბაზმა საქმე განიხილა, დამნაშავეებს ქონება ჩამოართვა და მეფეს „ნასისხლად"[1]) მისცა. ხოლო შეთქმულების მეთაურები კანონის თანახმად დასაჯეს.

ამ გამარჯვების შემდეგ მეფე კიდევ უფრო გაძლიერდა. „მარკოზაშვილის დარბაზელები", ფიზიკურ დამარცხებასთან ერთად, ზნეობრივადაც დამარცხდნენ. რა თქმა უნდა, რეაქციონერები ამით არ გამჭრალან და მათ არც მეფის წინააღმდეგ მოქმედება შეუნელებიათ, მაგრამ. შექმნილი პირობების შესაფერისად, მათ ბრძოლის ხერხი შესცვალეს და ამის შემდეგ მეფის წინააღმდეგ ტერორი აღარ უცდიათ.

ქვეყნის გაერთიანებისა და მეფის ხელისუფლების გაძლიერების გზაზე ერეკლე სხვა წარმატებასაც ეწია. 1755 წელს მან ყაზახში ხანობა გააუქმა და ეს ქვეყანა სამოურავოდ აქცია, ხოლო 1765 წლისათვის ბორჩალო-ბაიდარსაც უკვე მეფის მოურავები განაგებდნენ.

§ 5. იმერეთის სამეფო XVIII საუკუნის მეოთხე ნახევარში

დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე ფეოდალური არეულობა შეუნელებლივ გრძელდებოდა, იქ სათავადოების სისტემა შეუზღუდველად ბატონობდა. მეფის ხელისუფლება უკიდურესად დაძაბუნებული იყო. სამეფო-სახასო ქვეყნები, ციხე-სიმაგრეები მთავრებსა და თავადებს ჰქონდათ მიტაცებული. იმერეთში ოსმალთა გავლენა უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, 1723 წელს ოსმალებმა ფოთი დაიპყრეს და იქ დასვეს ფაშა, რომელიც ზღვის სანაპიროს მმართველად დანიშნეს. იმავე დროს ოსმალთა ხელში იყო სოხუმი, ანაკლია, ბათომი.

ოსმალთა ხელში ეს ციხეები ტყვის მსყიდველთა ბუნაგებად იქცნენ. ციხეებისა და მათ გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაჰმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან ადვილად ერეოდნენ ფეოდალთა ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ.

სოლომონის გამეფება

1752 წელს იმერეთში ახალგაზრდა სოლომონ ალექსანდრეს ძე გამეფდა. ამ დროს სამეფოს უძლიერესი თავადები იყვნენ ლევან აბაშიძე და როსტომ ოაპის ერისთავი. ეს თავადები მთავრობას იჩემებდნენ (აბაშიძე — არგვეთისას,

---

[1] „ნასისხლი"—საზღაური კაცის მოკვლისათვ-ს თუ მოკვლის განზრახვისათვის.

ერისთავი — რაჭისას) და ამ ნიადაგზე მათ სასტიკი მტრობა ჰქონდათ სოლომონის მამასთან, მეფე ალექსანდრესთან. ახალგაზრდა სოლომონი მამის კვალს გაჰყვა და ამ თავადების დამორჩილებას ცდილობდა. საერთოდ სოლომონს ფართო სამოქმედო გეგმა ჰქონდა: მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნა, დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ოსმალთა ბატონობის მოსპობა. ამ მხრივ სოლომონის მოღვაწეობა ერეკლესას ჰგავდა.

ბრძოლა ტყვის სყიდ-ვის წინააღმდეგ

სოლომონი მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. სამეფო ქონება, დიდი ხანი იყო, თავადებს მიეტაცნათ და წვრილი ფეოდალებიც ძლიერი თავადების გავლენის ქვეშ მოქცეულიყვნენ. თავისი მოღვაწეობა მეფემ მაჰმადიანობის გავრცელებისა და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. ერთიც და მეორეც მტკივნეული მოვლენები იყო და იმერეთის ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილს მათი აღმოფხვრა გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა. ამიტომ ამ საქმის გარშემო ძალთა გაერთიანება შედარებით ყველაზე ადვილად მოხერხდებოდა. ძლიერი სამეფო ხელისუფლების არსებობას ამით მტკიცე იდეური დასაყრდენი გაუჩნდა: მეფე ქართველობისათვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა.

წვრილი ფეოდალე-ბის თანდათან შემო-კრება. დადიანისა და გურიელის შემოერ-თება

სოლომონმა წვრილი თავადები შემოიკრიბა. იმავე დროს მან მოხერხებულად შემოირიგა უძლიერესი ფეოდალები — ოტია დადიანი და მამია გურიელი. ამით მეფემ მტრები გაიმარტოვა: რაჭის ერისთავსა და აბაშიძეს ძლიერი მომხრეები ჩამოაცილა.

მეფე-მთავრების ასეთმა შეთანხმებამ ოსმალეთის ყურადღება მიიპყრო. მისთვის განსაკუთრებით უსიამოვნო იყო მეფისა და მისი მომხრეების ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. სოლომონმა თანდათან თითქმის სავსებით მოსპო თავის სამეფოში ეს საშინელი სენი. ახალციხის ფაშამ არაერთგზის შემოუთვალა მეფეს, რათა ტყვის სყიდვა იმერეთში ძველებურად ნებადართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და ტყვის სყიდვა, საერო და საეკლესიო სასჯელით, სასტიკად აკრძალა.

ხრესილის ომი

მაშინ ოსმალეთის ხონთქარმა სოლომონის დასჯა ბრძანა. ლევან აბაშიძემ და როსტომ ერისთავმა დრო ახელთეს. აბაშიძემ ახალციხეში ამოჰყო თავი და მტერს სოლომონისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ იმერეთზე წამოუძღვა. მეფეს დადიანისა და გურიელის რაზმები მოეშველნენ. იმერეთის მეფეს ეახლა აგრეთვე, თავისი რაზმით, აფხაზი ბატონიშვილი შარვაშიძეთა სახლიდან.

1757 წელს დეკემბერში ოსმალთა დიდი ჯარი იმერეთში შემოვიდა. ქვეყნის მოღალატეები თავიანთი რაზმებით მტერს მიუვიდნენ. ახალგაზრდა სოლომონი შესანიშნავი სარდალი და ყოვლად უშიში მეომარი აღმოჩნდა. მან ადვილად შეატყუა თავის სიმრავლეს მინდობილი ოსმალები მოხერხებულ ადგილას — ოკრიბაში, ხ რ ე ს ი ლ ი ს მ ი ნ დ ო რ ზ ე, და ისე გაბედულად დაესხა თავს, რომ სულ ერთიანად მოშალა მტერი. ოსმალთა სარდლები დაატყვევეს ან დახოცეს. მათი ჯარის დიდი ნაწილი გაწყდა და მრავალიც იმერ-

ლებმა იგდეს ხელში ტყვედ. ამ ომში მოკლულ იქნა ლევან აბაშიძე. როსტომ რაჭის ერისთავმა და ოსმალთა ჯარის მცირე ნაშთმა გაქცევით უშველეს თავს.

მეფემ აბაშიძის სათავადო საბოლოოდ დაიმორჩილა. თვითონ ლევან აბაშიძის წილი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, სხვა აბაშიძეები კი ფიცით შემოიმტკიცა და სააბაშიოს ნაწილი მათ უწყალობა. ასევე ჩამოართვა მეფემ ყმა-მამული სხვა დამნაშავე ფეოდალებს. როსტომ ერისთავი იმჯერად დაუსჯელი გადარჩა: ფეოდალებმა შემოარიგეს სოლომონს ეს ძლიერი თავადი, რომელმაც მეფეს ერთგულება შეჰფიცა.

ხრესილის ომის შედეგად იმერეთის მეფე შესამჩნევად გაძლიერდა და ამასმა ავტორიტეტმაც დიდად იმატა.

იმერეთის სამეფოს შეფდგომი გაძლიერება. მმართველი წრეების საერთო კრება ელჩობა რუსეთში

1758 წელს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა ერთმანეთთან დასდეს სამხედრო კავშირი: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მივეშველნეთო“. ეს კავშირი 1770 წლამდე არ დარღვეულა.

ოსმალეთს ხრესილთან დამარცხება ვერ მოენელებინა და იმერეთის დამორჩილებას დაჟინებით ცდილობდა. 1758 წელს სოლომონ მეფისა და ოსმალთა ჯარებს შორის ორჯერ მოხდა ომი. პირველად ოსმალებმა გაიმარჯვეს, მეორედ კი ისინი სასტიკად დამარცხდნენ. ამან მეფის ხელისუფლების მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო გაზარდა.

მმართველმა წრეებმა კარგად გამოიყენეს ეს გამარჯვება და სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და იმერეთის გაერთიანების მიზნით ახალი ნაბიჯები გადადგეს. 1759 წლის დეკემბერში მოწვეულ იქნა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალების საგანგებო კრება.

ამ კრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დადგენილება იყო ტყვის სყიდვის აკრძალვა დასავლეთ საქართველოში. კრებაზე სოლომონ მეფე მთელი დასავლეთ საქართველოს საერთო საქმეებში ხელმწიფედ გამოდიოდა, ხოლო მთავრები (დადიანი, გურიელი) და თავადები — როგორც მისი „მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელნი“. ეს მოვლენა მეფის ხელისუფლებისა და ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის დიდი გამარჯვება იყო.

მთავრები და, კიდევ უფრო, იმერეთის თავადები შიშით უცქეროდნენ მეფის გაძლიერებას —განსაკუთრებით როსტომ რაჭის ერისთავი. აბაშიძის სახლის დამდაბლების შემდეგ ჯერი ერისთავზე იყო მიმდგარი. ამის პირველი ნიშანი ის იყო, რომ მეფემ ერისთავის მოქიშპე რაჭის თავადები, წულუკიძეები დაიახლოვა. იმავე დროს დამდაბლებულ აბაშიძეთა მაგიერ სოლომონმა წერეთლების სახლი წამოსწია.

1763-68 წლებში იმერეთის მოსახლეობა, სოლომონ მეფის მეთაურობით გმირულად ებრძოდა ოსმალო დამპყრობლებს და მათ დამხმარე თავადებს. სოლომონმა არა ერთგზის დამარცხა ოსმალთა რაზმები, არა ერთი ორგული თავადი დასაჯა. შეუდრეკელი ბრძოლით იმერეთის ხალხმა აიძულა ოსმალეთი ხელი აეღო მისი ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობის განზრახვაზე. მტერმა მეფესთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. სოლომონმა კარგად იცოდა ოსმალეთის

ვერაგობა და მასთან ზავის სიმტკიცე არ სწამდა. მეფე შემდგომი ბრძოლისათვის ემზადებოდა და ძლიერ მოკავშირეს ეძებდა.

იმერეთში კარგად იცოდნენ რუსეთ-ოსმალეთის ძველისძველი მტრობის ამბავი და სოლომონ მეფეც ამაზე ამყარებდა თავის გეგმას. 1768 წლის 23 ივნისს იმერეთიდან საგანგებო ელჩი, მ ა ქ ს ი მ ე ქ უ თ ა თ ე ლ ი გაიგზავნა რუსეთს, სოლომონი რუსთ ხელმწიფეს მფარველობას სთხოვდა და სამაგიეროდ რუსეთ-ოსმალეთის ომის შემთხვევაში დახმარებას პირდებოდა.

§ 6. რუსეთ-ოსმალეთის ომი და საქართველო

ომის მონაწილეთა მიზნები და გეგმები

სწორედ იმ დროს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ოსმალების დასამარცხებლად საჭირო იყო, რომ მის მეზობლად მყოფი მცირე ხალხები ამხედრებულიყვნენ ოსმალთა დესპოტიის წინააღმდეგ. რუსეთი თურქთაგან დაპყრობილ ქვეყნებს უსჯულო მტარვალების ხელიდან გამოხსნას პირდებოდა და აჯანყება-ომისკენ მოუწოდებდა. რუსეთი ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების მიშხრობას ცდილობდა, ოსმალეთი კი, თავის მხრივ, ყირიმისა და კავკასიის მაჰმადიანთა ერთგულების მოიმედე იყო.

სოლომონიცა და ერეკლეც მზად იყვნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დასაწყებად, მაგრამ ამისათვის აუცილებლად მიაჩნდათ, რომ რუსეთი მათ ჯარითა და ფულით დახმარებოდა.

სოლომონ მეფე, რუსეთის შემწეობით, დიდი პოლიტიკური გეგმების განხორციელებას აპირებდა.

რუსეთის ჯარი იმერეთს საშინაო და საგარეო გაძლიერების საქმეში უშველიდა. რუსთა ძალის შემწეობით მეფე თავადებსა და მთავრებს დაიმორჩილებდა, ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალს დაიბრუნებდა და დამპყრობლებს იმერეთიდან საბოლოოდ გააძევებდა.

ასეთივე დიდი საკითხების გადაჭრას ფიქრობდნენ ქართლის მესვეურებიც. რუსეთის დახმარება ქართლს ოსმალეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შემოერთებას, ჭარ-ბელაქნის დაპყრობასა და ქართლ-კახეთში „ლეკიანობის" მოსპობას გაუადვილებდა. ამას გარდა, ქართველ ხალხს რუსეთთან კავშირი ოსმალეთისა და ირანის თავდასხმისაგან დაიცავდა მომავალში.

რუსეთის ჯარის ამიერკავკასიაში შემოსვლით ქართველი ხალხისათვის ახალი ხანა უნდა დაწყებულიყო.

რუსეთის გეგმის თანახმად, ოსმალთა წინააღმდეგ ომში ქართველებს მტრის დიდი ძალა უნდა დაებანდებინათ, რომ ამით ომის მთავარ ფრონტზე, ბალკანეთში მტერს ხელი შეშლოდა.

რუსთა ჯარის შემოსვლა საქართველოში

1769 წლის ზაფხულის გასულს რუსთა ჯარი, გენერალ ტ ო ტ ლ ე ბ ე ნ ი ს სარდლობით, საქართველოში შემოვიდა. მას დაკისრებული ჰქონდა ზემოაღნიშნული გეგმის განხორციელება.

ტოტლებენი არ იყო პროგრესულად მოაზროვნე რუსეთის წარმომადგენელი. საქართველოს ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევას ის საჭიროდ არ-

სთვლიდა და ერეკლე-სოლომონის მხრივ მხოლოდ უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა.

ტოტლებენმა წყალობის თვალით შეხედა სოლომონ მეფის მოწინააღმდეგეებსა და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ხელისშემშლელებს, დადიანსა და გურიელს. ერეკლეს წინააღმდეგ კი გენერალმა დაიახლოვა ქართლის რეაქციონერი თავადები — დავით ქსნის ერისთავი, ზაალ ორბელიანი, მაჩაბელი, ამირეჯიბი და სხვები.

ასპინძის ომი

1770 წელს რუს-ქართველთა შეერთებული ჯარი ახალციხის საფაშოზე სალაშქროდ გაემართა და აპრილის შუა რიცხვებში შუა გზაზე მდებარე აწყურის ციხეს შემოადგა. მაგრამ ის იყო ომი გაჩაღდა, რომ ტოტლებენი თავისი ჯარით უეცრად უკან გამობრუნდა. ხმა გავარდა, ტოტლებენი ქართველ სარდლობას საომარი მოქმედების ორგანიზაციის საკითხში ვერ შეუთანხმდაო.

ტოტლებენის საქციელმა ქართველთა ჯარში აღშფოთება და არევ-დარევა გამოიწვია. ოსმალომ გული მოიცა, ციხიდან გამოვიდა და ქართველებს თავს დაესხა. ქართველი ჯარის რჩეულმა ნაწილმა მტერი დააზარალა და ისევ ციხეში შერეკა. ქართველებს უკუქცევის გარდა აღარა დარჩენოდათ რა და ერეკლემაც თბილისში დასაბრუნებლად ჯავახეთ-თრიალეთზე მომავალი გზა აირჩია. უკუქცეულ ქართველებს მტერი ფეხდაფეხ აედევნა. მეორე დღეს ასპინძასთან მისულ ქართველთა ლაშქარს ახალქალაქიდან წამოსული 1500 ოსმალო შემოეყარა. ქართველთა რაზმი ფიცხლავ ეკვეთა მტერს. დაამარცხა ის და უკუაქცია. ამას მოჰყვა ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარი ლეკ-ოსმალთა რჩეული მხედრობის დამარცხებაც: მტერმა სამი ათასამდე მოკლული დაკარგა, სხვები მტკვარში დაიხრჩვნენ ან ტყვედ ჩაცვივდნენ. ქართველთა ზარალი ფრიად უმნიშვნელო იყო. ამ ომში, სხვა გმირებს შორის, სახელი მოიხვეჭა სარდალმა დავით ორბელიანმა. ეს მოხდა 1770 წლის 20 აპრილს.

ერეკლემ ამ დიდი გამარჯვებით ვერ ისარგებლა: მას დიდად აფიქრებდა ტოტლებენის აწყურიდან წასვლა და ქართლის საქმეები. 29 აპრილს მეფე სასწრაფოდ თბილისს დაბრუნდა. ტოტლებენი ანანურს ასულიყო და იქ რუსეთიდან ახალ ჯარს ელოდა.

ტოტლებენის განზრახვა

ერეკლესა და ტოტლებენს შორის ურთიერთობა ძალზე გართულდა. გენერალს მეფის ტახტიდან ჩამოგდება გადაეწყვიტა. ქართლის დაპყრობის საკითხი მან რუსთა კორპუსის სამხედრო საბჭოში დასვა და დასტურიც მიიღო. ამ საქმეში ტოტლებენის ერთგული მოკავშირეები იყვნენ ქართლის რეაქციონერი თავადებიც. გენერალიც საქმეს შეუდგა: ქართლის ციხე-ქალაქების დაპერა და ხალხის რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო.

მაგრამ ერეკლეს საპასუხო ენერგიულმა მოქმედებამ თავნება ტოტლებენი დააფრთხო და თავის განზრახვაზე ხელი ააღებინა.

ტოტლებენმა მიიღო დამხმარე ძალა და იმერეთს გადავიდა. ამასობაში სოლომონ მეფეს ცუცხვათისა და შორაპნის ციხეებიდან ოსმალები გაერეკა, ქალაქი ქუთაისი დაეპყრო და მისი ციხეც შეეხუთა. 2 ივლისს ტოტლებენმა

ბაღდადის ციხე წაართვა ოსმალებს. ამის შემდეგ, 9 აგვისტოს, რუს-იმერელთა შეერთებულმა ჯარმა ქუთაისის ციხეც აიღო.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ტოტლებენი უკვე ფოთს შემოადგა, მაგრამ ციხე ძლიერ გამაგრებული აღმოჩნდა. არც მოკავშირე მთავრები, დადიანი, გურიელი და შარვაშიძე მოქმედებდნენ თავდადებით. ფოთი აუღებელი დარჩა.

რუსეთის სამეფო კარი დარწმუნდა, რომ საქართველოში „ტოტლებენი რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდა, ვიდრე სახელს". ამიტომ ტოტლებენი გაათავისუფლეს და მის მაგიერ ს უ ხ ო ტ ი ნ ი დაინიშნა.

რუსეთის მფარველობის საკითხის განახლება

ერევნის ხანი გადაუდგა ერეკლეს და ოსმალეთის მფარველობის ქვეშ შევიდა. ქერიმ-ხანიც გაუავგულდა რუსეთის მხარეზე გადასულ ქართლ-კახეთის მეფეს და ახლო მეზობელმა ხანებმაც ეჭვის თვალით დაუწყეს მას ცქერა. დაღისტნელი ფეოდალები კიდევ უფრო გააქტიურდნენ: მათ უკვე ოსმალეთი შველოდათ. არ ისვენებდნენ შინაური მტრებიც. რეაქციონერმა თავადებმა ახლა იმედი დაამყარეს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ქ ა რ ი ს ძ ე ზ ე, რომელიც რუსეთიდან წამოსულიყო, ქერიმ-ხანს შეხიზნოდა და მისი დახმარებით აპირებდა ერეკლეს ქართლიდან განდევნას.

სამეფო საბჭოს დიდმნიშვნელოვანი დადგენილებით, ერეკლემ რუსეთის მთავრობას შესთავაზა ქართლ-კახეთის რუსთა მფარველობის ქვეშ შესვლის გეგმა.

1772 წლის მაისში რუსეთის ჯარი საქართველოდან რუსეთს გაბრუნდა. ერეკლეს წინადადებაზე იქიდან უარი მოვიღა. პეტერბურგში იმ აზრისა იყვნენ, რომ დასახული დიდი გეგმის განხორციელებისათვის პირობები ჯერ კიდევ არ იყო მზად. ერიდებოდნენ ოსმალეთისა და ირანის შეშფოთებას.

ჩხერის ომი

ოსმალეთმა სცადა ესარგებლა რუსთა ჯარის წასვლით და იმერეთი ძველებურად დაეპყრო. 1774 წლის იანვარში 4000 კაცისაგან შემდგარი ოსმალთა ჯარი იმერეთს შემოესია. იმავე დროს ახალციხის ფაშამ დადიანსა და აფხაზთა მთავარს მოუწოდა სოლომონის წინააღმდეგ. ორი მხრიდან ერთდროულად უნდა დასხმოდნენ იმერეთს. სოლომონ მეფის თხოვნით, ერეკლემ დადიანს მეფის წინააღმდეგ გამოსვლაზე უარი ათქმევინა. ამის შემდეგ იმერეთის მთელი ძალა ოსმალების წინააღმდეგ მიიმართა. ერეკლემაც იმერთა საშველად ჯარი შემოიყარა.

მტერი მიხვდა, რომ ხიფათში გაება და სასწრაფოდ უკან დახევა იწყო. სოლომონმა თურქებს ჩხერის ვიწროებში (ჩხერიმელას ხეობაში) რჩეულ მეთოფეთა რაზმი ჩაუსაფრა. 6 თებერვალს იმერელთა თოფებმა მტერს გზა მოუჭრეს. იმავე დროს სოლომონ მეფე თურქებს ზურგიდან ხმლით დაეცა და მათი წინააღმდეგობა ერთბაშად გასტეხა. 1000 მოკლული და 600 ტყვე ლეკ-ოსმალო ადგილზე დარჩა. 1400 კაცი ჩხერიდან ვახანამდე დაკარგა დევნილმა მტერმა. 700 კაცმა ძლივს მიაღწია ახალციხეს და იქაურ ფაშას საზარელი ამბავი ჩაუტანა.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავი

1774 წლის 10 ივლისს ქუჩუკ-კაინარჯიში დაიდო ზავი რუსეთსა და ოსმალეთს შორის. საზავო ხელშეკრულების 23-ე მუხლი საქართველოს შეეხებოდა: რუსეთის მთავრობა ამ მუხლით დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის უფლებას სცნობდა, იმ პირობით, რომ ოსმალეთი ხელს აიღებდა იმერეთის დახარკვაზე. ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების ამ მუხლს საქართველოსათვის ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ რუსეთი ამიერიდან ოფიციალურად გამოდიოდა საქართველოს ინტერესების დამცველად ამიერკავკასიაში და რუსეთის ამ უფლებას ოსმალეთი სცნობდა.

1768—1774 წლის ომმა სოლომონ მეფეს თვალსაჩინო წარმატება არგუნა. რადგან ოსმალებმა ვერ გამოიყენეს ქუჩუქ-კაინარჯის ზავის ეს მუხლი, ვერც სოლომონი დაიმორჩილეს და ვერც იმერეთის ციხეები დაიპირეს. მეფემ სავსებით მოსპო ტყვეთა სყიდვა, მტკიცე ხელით ალაგმა თავადების აღვირახსნილობა. როსტომ რაჭის ერისთავი სოლომონმა ჯერ კიდევ 1769 წელს იგდო ხელთ, დასაჯა იგი და მისი საერისთავოც შემოიერთა. მეფე შესამჩნევად გაძლიერდა. მისი შიში და პატივისცემა ჩაენერგათ დადიანსა და გურიელსაც. ქვეყანა შედარებით დამშვიდდა და მოშენება იწყო: ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ თვალსაჩინოდ იმატა.

თ ა ვ ი XXII

ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

§ 1. ხელისუფლების ორგანოები

მეფე და მისი მოხელეები

ქვეყნის სათავეში იდგა მეფე, რომელიც შეუზღუდველი უფლებით სარგებლობდა ყველა საერო საქმის გადაწყვეტაში. მიუხედავად ამისა, მეფის ხელისუფლებასთან არსებობდა საბჭოც, რომელშიც შედიოდნენ კათალიკოსი, სხვა მაღალი თანამდებობის საეკლესიო პირები, უფლისწულები, მსხვილი მემამულეები და მოხელეები. საბჭოს დაუკითხავად მეფე არც ერთ მნიშვნელოვან საშინაო და საგარეო საქმეს არ სწყვეტდა. საბჭო ორგვარი იყო — დიდი და მცირე. ეს უკანასკნელი მეფის მიერ საგანგებოდ შერჩეულ ერთგულ თანამშრომელ პირთაგან შედგებოდა. საქმეთა რაგვარობისა და მნიშვნელობის მიხედვით, მეფე ზოგს დიდ საბჭოში განიხილავდა, ზოგს კი მცირეში.

მეფისა და სამეფო საბჭოს ბრძანება-გადაწყვეტილებას ასრულებდნენ სხვადასხვა მოხელეები, რომელნიც XVIII ს. 70-იან წლებამდე განიყოფოდნენ ორ ძირითად ნაწილად — „დარბაზის „რიგის“ ანუ „სამეფო კარის“ მოხელეებად, ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებად და „საქვეყნოდ გამრიგე“ ანუ ადგილებზე წარგზავნილ მოხელეებად.

„დარბაზის რიგის“ მოხელეები იყვნენ: სახლთუხუცესი (სამეფო შემოსავალ-გასავლის მთავარი გამგებელი), სამეფო ხაზინის მოხელეები, მოლარეები, მდივნები, მორდლები (სამეფო ბეჭდის შემნახველები), მდივანბეგი (სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი), ეშიკაღასბაშები (სასახლის წესრიგის მთავარი მეთვალყურენი) და მათდამი დაქვემდებარებული პირები, ბოქაულთუხუცესები — საპოლიციო ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვანი.

„საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეებად ითვლებოდნენ: სარდლები, კუთხეთა, სოფელთა და ქალაქთა მოურავები, მინბაშები (ციხისთავები), სამეფო სოფელთა და ქალაქთა მამასახლისები, ნაცვლები და სხვანი.

ფეოდალურ სახელმწიფოში ზოგი თანამდებობა არ იყო ერთიმეორისაგან ზუსტად გამიჯნული. ამას გარდა, ესა თუ ის პირი ერთსა და იმავე დროს რამდენსამე თანამდებობას ფლობდა. ზოგი თანამდებობა კი მამიდან შვილზე მე-

მკვიდრეობით გადადიოდა, რის შედეგადაც ხანდახან საპასუხისმგებლო თანამდებობა სრულიად შეუფერებელ პირს ჩაუარდებოდა ხოლმე ხელთ.

ესა თუ ის მოხელე სამეფო ხელისუფლებისაგან ჯამაგირს კი არ იღებდა, არამედ თავისი თანამდებობიდან მიღებული შემოსავლის განსაზღვრულ ნაწილს, რომელსაც **სარგო** ეწოდებოდა. ზოგ მოხელეს, სარგოსთან ერთად, ენიშნებოდა ყოველწლიური **ულუფაც** — გარკვეული რაოდენობის ხორბალი, ღვინო, ხორცი და სხვა სურსათი. მოხელეთა გასტუმრების ამგვარი წესი მათ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სხვადასხვა გამოსაღების; ბაჟისა და ჯარიმის ხელოვნურად გაზრდის ფართო საშუალებას აძლევდა. ყოველივე ეს ხდებოდა მწარმოებელი მოსახლეობის ექსპლუატაციის ხარჯზე. ფაქტიურად მას ეკისრებოდა მთელი ფეოდალური სახელმწიფო აპარატის შენახვაც.

მორიგე ჯარი

ქართლ-კახეთის მმართველმა წრეებმა მანამდეც კარგად იცოდნენ, ხოლო 1769—1771 წლებში რუსთა ჯარის უშუალოდ გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო დარწმუნდნენ, რომ ქართველთა თავადურ-ფეოდალური ლაშქარი ორგანიზაციულად ჩამორჩენილი იყო და „**რეგული**", ესე იგი მოსახლეობისაგან გაწვეული მუდმივი ჯარი ეჭირვებოდა ქართველი ხალხის დიდ თავდაცვით გეგმას. მაგრამ ბატონყმურ ქართლ-კახეთში ასეთი ჯარის მოწყობა შეუძლებელი იყო. არც მეფეს გააჩნდა „რეგულის" იარაღ-სანოვაგითა და ტანისამოსით მომარაგების საშუალება და არც თავადები მისცემდნენ მეფეს თავიანთ ყმებს ამ ლაშქრისათვის.

1773 წლის მიწურულში მეფის დარბაზში გაიმართა მსჯელობა ისეთი ჯარის შექმნაზე, რომელიც დაღისტნელ ფეოდალთა აბრაგულ თარეშს საბოლოოდ მოსპობდა და ქართველ გლეხკაცობას მშვიდობიანი შრომის საშუალებას მისცემდა. დარბაზმა შეიმუშავა წესდება — „მორიგის ლაშქრის განაჩენი".

მორიგე ლაშქრის წესდება ასეთი იყო: აღწერილ იქნა ქართლ-კახეთის მოსახლეობა; ლაშქრობის შემძლე ყოველ მამაკაცს დაეკალა რიგ-რიგობით, წელიწადში თითო თვით გასულიყო ლაშქარში. ჯარში ყოველი მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა, მაგრამ სამაგიეროდ მეფემ ქართლ-კახეთის მთელი გლეხობა სურსათის გადასახადისაგან გაათავისუფლა. მორიგეს იარაღიც საკუთარი უნდა ჰქონოდა. მორიგე ლაშქარს ვერავინ გამოაკლდებოდა, ამისათვის სოფლის მებატონე და მოხელე აგებდნენ პასუხს. ბატონი მოვალე იყო მორიგედ მიმავალი გლეხი მოემარაგებინა ყველაფრით, თუკი ამ უკანასკნელს საკუთარი სახსარი არ გააჩნდა. მორიგე ლაშქარი შედგებოდა ცალ-ცალკე რაზმებისაგან, რომელთაც თითოეულს მეფის მიერ დანიშნული მეთაური უფროსობდა. თავდაპირველად მორიგე ჯარში თვეში ხუთი ათასი მეომარი გამოდიოდა.

მორიგე ლაშქრის დიდი სარგებლიანობა მალე აშკარა შეიქნა: აბრაგების თარეში შეწყდა, ქვეყანა შედარებით მშვიდ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებულმა სოფლებმა კვლავ მოშენება იწყეს, გლეხებმა ციხე-გალავნები დასტოვეს, მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან მიწისმოქმედებას შეუდგნენ. მორიგე ლაშქრის მთავარი ხელმძღვანელი იყო ერეკლეს შვილი ლ ე ვ ა ნ ი. ახალი ლაშქრის ასეთი სარგებლიანობის მიუხედავად, თავადებმა მას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს, რადგან მორიგე ჯარი მეფის ხელისუფლებას აძლიერებდა.

მორიგე ლაშქარი მეფის ბრძანებით არ გაუქმებულა, მაგრამ თავადებმა მოახერხეს მისი თანდათან მოშლა. უდიდესი ზიანი მიაყენა მორიგე ლაშქარს ლევანის მოულოდნელმა სიკვდილმა (1781 წ.). შემდეგ მორიგე ჯარი, ანგარი, მოხელეების ხელში, თანდათან მათი შემოსავლის წყაროდ იქცა. ესა თუ ის თავადი, საკუთარ ყმებთან ერთად, მორიგეში გასვლისაგან ქრთამით აღწევდა თავს. მორიგეთა რიცხვმა თანდათან იკლო და ბოლოს ეს ჯარი სულ გაქრა.

მორიგე ჯარის გაუქმება ნიშნავდა თავადების გამარჯვებას და სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისა და პროგრესის სასარგებლო პოლიტიკის დიდ მარცხს.

ცვლილება ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივ წყობილებაში

ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი, ერეკლე II-ის მეთაურობით, გრძნობდა ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების უვარგისობას და იბრძოდა მისი გარდაქმნისათვის. თუმცა სინამდვილე ასეთ საფუძვლიან გადახალისებას მეტისმეტად ეძნელებდა, ერეკლე II-მ ამ მხრივაც მიაღწია ერთგვარ წარმატებას. მან გააუქმა მსხვილი საერისთავო-სახანოები და ერისთავებისა და ხანების მაგიერ იქ თავისი მოხელეები, მოურავები დანიშნა. ერეკლემ საგრძნობლად ალაგმა თავნება თავადებიც, თუმცა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა მან ბოლომდე წარმატებით ვერ ჩაატარა.

XVIII ს. 70-80-იან წლებიდან მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება სახელმწიფოებრივ წყობილებაშიც. მმართველობა იყოფა **საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლისა და სამხედრო საქმეთა** დარგებად.

იმავე ხანებში მოხდა გარდატეხა სამართლის დარგში. XVII საუკუნეში და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლს ჰყავდა მხოლოდ ერთი მდივანბეგი, რომელსაც ყველა ქვეშევრდომის საჩივარი და სარჩელი უნდა გაერჩია. XVIII ს. 80-იანი წლებიდან კი ქართლ-კახეთში იყო უკვე 13-ზე მეტი მდივანბეგი, რომელნიც სხვადასხვა კუთხეებში ძოსამართლეობდნენ. ამათგან ორი საგანგებოდ თბილისში იყო, დანარჩენები კი გორში, თელავსა და სხვაგან.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამეფო ხელისუფლებამ სამხედრო საქმეში რეფორმის გატარებას. ქართველები გაეცნენ რუსეთის რეგულარულ არმიას და სცადეს რუსული სამხედრო წყობის გადმოღება. ერეკლე II-მ დააწესა კაპრალის, უნტერ-ოფიცრის, სერჟანტის, ოფიცრის, არტილერიის კაპიტნის, მაიორისა და პოლკოვნიკის ჩინები და წოდებანი; არტილერიის სათავეში კი ფელდცეხმეისტერი დააყენა. იმავე დროს ქართლ-კახეთის სამეფო ლაშქარს სათანადოდ მომზადებული პირები წვრთნიდნენ „რუსული არტიკულის“ მიხედვით.

სხვა თანამდებობათა აღსანიშნავადაც შემოვიდა რუსული სახელწოდებანი და ტიტულები: ვიცე-კანცლერი, კანცლერი, სენატორი, ღუბერნატორი (მოურავის მაგიერ) და სხვ.

საგრძნობი ცვლილება მოხდა მოხელეთა გასტუმრების წესშიც: სამეფო ხელისუფლება ცდილობდა ისინი თანდათან ჯამაგირზე გადაეყვანა. XVIII ს. წლებიდან დარბაზის რიგის მოხელეთა უმეტესობას, სარგოსა და ულუფასთან

ერთად, ჯამაგირიც დაენიშნა. სამხედრო უწყების ყველა მოხელე კი მთლიანად ჯამაგირზე იყო გადაყვანილი.

ყველა ეს ღონისძიება დიდად უწყობდა ხელს ხელისუფლების ცენტრალიზაციას, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ არ ჩანდა საკმარისი.

§ 2. პროექტები სახელმწიფოებრივი წყობის შესაცვლელად

სახელმწიფოებრივ რეფორმათა პროექტი

ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება არ სჯერდებოდა ქვეყნის ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური წყობის გადასახალისებლად მის მიერ უკვე ჩატარებულ ღონისძიებას. XVIII ს. ბიწურულს ერეკლე II აპირებდა რუსეთის დახმარებით საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში არსებითი რეფორმების მოხდენას. ამიტომ ითხოვდა მისი მოსკოველი ელჩი, რომ მეფეს, სახელმწიფოს განსაგებელად, და, საერთოდ, ქართველ ხალხს რუსული კანონები მისცემოდათ.

იმავე დროს საქართველოში პროგრესული საზოგადოების არა ერთი წარმომადგენელი ამუშავებდა კანონ-პროექტებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იოანე ბაგრატიონის პროექტი.

იოანე ბაგრატიონი, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის გაერთიანებას მოითხოვდა. მანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ვაჭრობის შემდგომი გაფართოებისა და ქართველთა შორის ვაჭრობის დანერგვის აუცილებლობას. ამასთანავე, მისი აზრით, სამეფო ხელისუფლებას უფრო მეტად უნდა ეზრუნა არა მარტო ხელოსნობის, არამედ აგრეთვე სამთამადნო და მრეწველობის სხვა, იმ დროისათვის ცნობილი დარგების განვითარებაზედაც. ვაჭრობა-ხელოსნობისა და მრეწველობის განვითარებისათვის საქართველოში სწავლა-განათლების გაფართოება იყო აუცილებელი. საამისოდ კი ქალაქებში უნდა გახსნილიყო სათანადო სკოლები, რომლებშიც ისწავლიდნენ არა მარტო თავად-აზნაურების, არამედ მოქალაქეთა და გლეხთა შვილებიც. სკოლებსა და მასწავლებლებს სახელმწიფოს ხარჯზე უნდა ემუშავნათ.

ქვეყნის ეკონომიური აღორძინება საშუალებას მისცემდა სამეფო ხელისუფლებას უფრო რადიკალური ღონისძიება გაეტარებინა სახელმწიფოებრივ წყობაში. იოანე ბაგრატიონი მოითხოვდა არა მარტო საერისთავოების, არამედ აგრეთვე სათავადოების გაუქმებას, სათავადო მიწების თავადიშვილთა შორის საბოლოოდ დანაწილებასა და დიდი საბატონო მეურნეობის განვითარებას.

ასევე საჭიროდ იყო მიჩნეული სამოხელეო წყობის არსებითი გადახალისება; როგორც ყველა თანამდებობის პირის, ისე თვით მეფისა და დედოფლის ჯამაგირზე გადაყვანა და სხვა.

იოანე ბაგრატიონმა ყურადღება მიაქცია სამეფო საბჭოს წევრების ჯეროვან შერჩევას და მასში მოქალაქეთა წარმომადგენლების შეყვანასაც.

იოანე ბაგრატიონის პროექტი, ისე როგორც სხვა პროექტები, არ განხორციელებულა.

ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნის გეგმა და ერეკლე II

სომეხი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწეები, XVIII ს. მეორე ნახევარში, თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივობის აღდგენის გეგმებს სახავდნენ.

XVIII ს. 70-იან წლებში ინდოეთის ქ. მადრასში მცხოვრებ სომეხთა ერთმა ჯგუფმა, **შაამირ შაამირიანის** მეთაურობით, აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო. ამ ჯგუფის მიზანი იყო ფართო პროპაგანდის წარმოება სომხეთის განსათავისუფლებლად და აღსადგენად. სომეხი ხალხის განთავისუფლების საქმეში შაამირიანი და მისი თანამებრძოლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ერეკლე II-ის დახმარებას.

რუსეთ-საქართველოს სამეგობრო ხელშეკრულების დადების შემდეგ შაამირიანის პოლიტიკური გეგმის განხორციელება უფრო შესაძლებელი ჩანდა. ამიტომ, 1783 წლის ტრაქტატზე ხელმოწერასთან დაკავშირებით, შაამირიანმა ქართლ-კახეთის მეფეს, მდიდარ საჩუქრებთან ერთად, გამოუგზავნა მის მიერვე შეთხზული ერთიანი ქართულ-სომხური სახელმწიფოს ღერბიც. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებდა შაამირის პოლიტიკურ პროგრამაზე — ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნაზე, რუსეთის მფარველობითა და ერეკლე II-ის ინიციატივითა და მეთაურობით.

მანამდე ასეთივე პროგრამითა და გეგმით ჩავიდა ჯერ პეტერბურგში, ხოლო 1763 წელს კი თბილისშიც ჩამოვიდა ცნობილი სომეხი პოლიტიკური მოღვაწე **იოსებ ემინი**. ერეკლე II-მ ემინი დიდი პატივისცემით მიიღო და, როცა მის გეგმებს გაეცნო, თვითონაც გამოთქვა აზრი ამ ორი მოძმე ხალხის გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. ემინს სურდა, ერეკლე II-ს დაუყოვნებლივ მოეკიდა ხელი სომხური მიწა-წყლის განთავისუფლების საქმისათვის. მის აზრს ქართლ-კახეთის მეფეც თანაუგრძნობდა, მაგრამ იგი მაინც დიდხანს ყოყმანობდა და მხოლოდ 1764 წ. დათანხმდა. მაგრამ ერეკლესა და ემინის გეგმას წინააღუდგა თვით სომეხთა ერთი ნაწილი, კათალიკოს სიმეონის მეთაურობით: „ემინ-აღა, — ეუბნებოდა ერეკლე მას, — აბა, რა ვქნა? თქვენი საკუთარი კათალიკოსი, თავისი ეპისკოპოსებითა და ბერებით, თქვენი წინააღმდეგია; ჩემი ქვეშევრდომი სომხების კეთილგონიერი ნაწილი კი მათ წინასწარმეტყველებად და მოციქულებად სთვლის. თუ ყურად არ ვიღებ, რასაც ისინი ამბობენ და თქვენთან ერთად ვიმოქმედებ, ისინი ხომ ისეთივე ქრისტიანად ჩამთვლიან, როგორიც სულთანიაო“.

ესეც რომ არ ყოფილიყო, არც იმდროინდელი საგარეო პირობები უწყობდა ხელს ამ ფართო და წარმტაცი გეგმის განხორციელებას. ამიტომ ერეკლე II იძულებული გახდა ისევ მარჯვე დროს დალოდებოდა და ემინიც მხოლოდ დაპირებით დაეკმაყოფილებინა.

სომეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა და ერეკლე II-ის გეგმები იმჯერად განუხორციელებელი დარჩა.

*

თ ა ვ ი XXIII

საქართველოს რუსეთთან შეერთება

§ 1. 1783 წლის ხელშეკრულება

ქართლ-კახეთის ურთიერთობა ამიერკავკასიის ხანებთან

XVIII საუკუნის 80-იან წლებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საქართველოს უმთავრეს მოწინააღმდეგედ გამოვიდა შარვანის მპყრობელი ფ ა თ ა ლ ი-ხ ა ნ ი. ქერიმ-ხანის შემდეგ ირანში ფათალი-ხანი ყ ა ე ნ ო ბ ა ს ეძებდა, ხოლო ამისათვის მას ჯერ აღმოსავლეთი ამიერკავკასია უნდა დაემორჩილებინა. ქართლ-კახეთის მეფეს განჯისა და ერევნის ხანები აუჯანყდა. სამაგიეროდ, ერეკლე ყარაბაღის ხანს ი ბ რ ე ი მ ს შეუკავშირდა. მოკავშირეებმა 1779 წელს ორგზის დაამარცხეს ფათალი-ხანის ჯარები და აჯანყებული განჯის ხანიც დაიმორჩილეს. იმავე წელს ერეკლემ დიდი ჯარით ერევანზე გაილაშქრა. შეშინებულმა ხანმა პატიება სთხოვა. მეფეს ერევნის სახანოს გაუქმება და ამ ქვეყნის შემოერთება ჰქონდა გადაწყვეტილი და ამიტომ პატიებას არ აპირებდა. მაგრამ ქართლში საქმის გართულებამ აიძულა ერეკლე ერევნის ხანის თხოვნა შეეწყნარებინა და სასწრაფოდ თბილისში დაბრუნებულიყო.

ერეკლეს შინაური გასაჭირი

ერეკლეს ოსმალეთთან შეთანხმებამ სოლომონ მეფე შეაშფოთა; ის ეშვრობდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე ოსმალთა თანხმობით იმერეთის დაპყრობას შეეცდებოდა. სოლომონთან თანდათან თავი მოიყარეს ერეკლეს უკმაყოფილო თავადებმა. აქვე გაჩნდა ქართლის ტახტის მაძიებელი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბაქარის ძეც. სოლომონ მეფემ საგანგებოდ მოაყვანინა ის ირანიდან.

1779 წელს ალექსანდრემ ისარგებლა ერეკლეს ერევანზე ლაშქრობით და ქართლის თავადებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. მაგრამ ერევნიდან დაბრუნებულმა მეფემ ენერგიული ღონისძიებით ჩაუშალა რეაქციონერ თავადებს აჯანყების განზრახვა.

ალექსანდრე იმერეთიდან ფათალი-ხანთან გადავიდა და მისი დახმარებით საკმაოდ დიდი ჯარი იშოვნა ქართლ-კახეთზე გამოსალაშქრებლად.

ამიერკავკასიისადმი რუსეთის ინტერესის გაძლიერება

XVIII საუკუნის განმავლობაში რუსეთმა თანდათან ჩამოართვა ოსმალეთს ყირიმი, ჩრდილო კავკასიის მხარეები და 80-იანი წლებისათვის მისი სახელმწიფოს საზღვრები თითქმის კავკასიონის ქედს მოებჯინა. რუსეთის შემდგომი წარმატებისათვის აუცილებელი იყო ამიერკავკასიაში დასაყრდენის გაჩენა.

რუსეთის მეფის კარზე გადაწყვიტეს აგრეთვე კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროების კვლავ ხელში ჩაგდება.

ამ პირობებში საქართველოსთან მჭიდრო კავშირს რუსეთის დიპლომატიის თვალში დიდი მნიშვნელობა მიეცა.

თავის მხრივ ალექსანდრე ბაქარის ძე და ფათალი-ხანი ქართლ-კახეთისთვის უფრო და უფრო საშიში ხდებოდნენ. ქართლის რეაქციონერი თავადები მოუთმენლად ელოდნენ მათ შემოსვლას.

იმავე დროს, 1781 წელს, უეცრად გარდაიცვალა ერეკლეს ძე ლევანი, ნიჭიერი მხედართმთავარი, მეფის მარჯვენა ხელი, მორიგე ლაშქრის მეთაური. მეფის მოძულე თავადებს სიხარული შეუდგათ.

მმართველ წრეებში კი მხნეობას არ ჰკარგავდნენ და ქვეყნის ხსნის ღონეს დაუცხრომლად ეძებდნენ.

დასავლეთ ევროპასთან დაკავშირების ცდა

1781 და 1782 წლებში ქართლ-კახეთის მესვეურებმა ევროპის ხელმწიფეებთან კავშირის გაბმა და მათგან დახმარების მიღება სცადეს. განზრახული იყო რამდენიმე პოლკი მხედრობის ევროპულ წესზე გაწყობა, რომ ქვეყნის გარეშე და შინაური მტრები საბოლოოდ აელაგმათ და მტკიცე ხელით შესდგომოდნენ აღმშენებლობას. მაშინდელი მოწინავე ქართველები კარგად ხედავდნენ, რომ ჩამორჩენილი სამშობლოს გაძლიერება და მისი მომავლის უზრუნველყოფა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ საქართველო მოწინავე ქვეყნების, კერძოდ, პროგრესული რუსეთის წესზე გარდაიქმნებოდა.

დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებისადმი მიმართვამ შედეგი არ გამოიღო. იმავე დროს ენერგიულად ამოქმედდნენ რუსეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები. რუსი მოხელეები, ელჩები, მოგზაურები ბეჯითად ურჩევდნენ ერეკლეს რუსეთის ხელმწიფის მფარველობა ეთხოვნა, რადგან ძლიერი მოკავშირის დახმარებით ქართველი ხალხი ყველა დაბრკოლებას ადვილად დასძლევდა, მშვიდობასა და კეთილდღეობას ეწეოდა.

საფრთხე ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიიდან

განსაკუთრებით სახიფათო შეიქმნა ალექსანდრე ბაქარის ძის საქმიანობა. ფათალი-ხანისა თუ სხვა კავკასიელი მფლობელების შემოსევის მოლოდინში ქართველთა ჯარი ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყო. ქართლის ლაშქარი ამ საქმისათვის სანდო არ იყო, რადგან ალექსანდრეს შიგ მრავალი მომხრე ჰყავდა. ამიტომ მეფე იძულებული იყო ლეკთა მრავალრიცხოვანი ჯარი დაექირავებინა და მუდამ თან ჰყოლოდა. ამ ჯარის ჯამაგირი მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას და მის უკმაყოფილებას აძლიერებდა.

საგარეო ორიენტაციის საკითხი

ახალ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გარეპოლიტიკური გეზის სწორად შერჩევას. დადგა ჟამი, როდესაც პროგრესულ რუსეთს თავისი ძალა ამიერკავკასიის ხალხების სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა. ქართლ-კახეთის ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილს მტკიცედ სწამდა, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ამიერკავკასიაში ერთიმეორეს ეთანხმებოდნენ და რუსეთის მფარველობა საქართველოს მიმართ საიმედო იქნებოდა.

ქართველი ხალხის ბედის რუსეთთან დაკავშირება ირან-ოსმალეთის მოძალადეებისაგან მის სამუდამოდ გ ა მ ო ხ ს ნ ა ს ნიშნავდა.

1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლემ, რუსეთის მთავრობის სურვილის თანახმად, რუსეთის მეფის მფარველობა ითხოვა.

ერეკლეს მოთხოვნით, რუსეთის მთავრობამ წინასწარ საქმით დაუმტკიცა მას მეგობრობა. ეკატერინეს ბრძანებით, დარუბანდელმა ფათალი-ხანმა ერეკლეს წინააღმდეგ შეყრილი ჯარი დაითხოვა, ხოლო ალექსანდრე ბაქარის ძე აიძულა რუსეთს წასულიყო. ქართლის ტახტის მაძიებელი გზაშივე დააპატიმრეს.

1783 წლის ტრაქტატი

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხე-სიმაგრე გ ე ო რ გ ი ე ვ ს კ შ ი დაიდო რუსეთსა და საქართველოს შორის „ მ ე გ ო ბ რ ო ბ ი თ ი პ ი რ ო ბ ა“ ანუ „ ტ რ ა ქ ტ ა ტ ი “. ერეკლე მეფის მხრივ მას ხელი მოაწერეს ი ო ა ნ ე მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ მ ა დ ა გ ა რ ს ე ვ ა ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ, ეკატერინე მეფის მხრივ — გენერალმა პ ა ვ ლ ე პ ო ტ ი ო მ კ ი ნ მ ა.

6 თვის შემდეგ, ესე იგი 1784 წლის 24 იანვარს, ერეკლემაც მოაწერა ტრაქტატს ხელი და ეს „მეგობრობითი პირობა“ ძალაში შევიდა.

ტრაქტატში ანუ ხელშეკრულებაში ორმხრივი ვალდებულება იყო ჩაბოთვლილი.

ქართლ-კახეთის მეფე საქვეყნოდ უარყოფდა თავის დამოკიდებულებას ირანისა და სხვა ხელმწიფეთაგან, ამიერიდან ის იმპერატორის უზენაეს უფლებას სცნობდა და მის საფარველში შედიოდა.

ქართლ-კახეთის ტახტზე ახლად გამეფებული პირი ამიერიდან რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა.

უცხო სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობას ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან რუსეთის მთავრობის მოხელესთან შეთანხმებით აწარმოებდა.

ქართლ-კახეთის მთელი სამხედრო ძალა საჭიროებისამებრ რუსეთის მეფის სამსახურად უნდა გამოსულიყო.

თავის მხრივ, რუსეთის იმპერატორი აღთქმას სდებდა, რომ ქართლ-კახეთის მეფეს საუკუნო მფარველობას გაუწევდა, იმპერატორი ერეკლეს სამეფლობელოს დაცვას კისრულობდა.

ამიერიდან უცხო ქვეყნების მიმართ რუსეთი და ქართლ-კახეთი ერთნი იყვნენ. იმპერატორი პირობას აძლეოდა, რომ საქართველოს მტერს თავის მტრად იგულებდა.

იმპერატორი პირობას სდებდა, რომ ერეკლესა და მის შთამომავლობას ქართლ-კახეთის ტახტზე უცვალებლად დაიცავდა.

ქვეყნის შინაურ მართვა-გამგეობაში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდებელი რჩებოდა. რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ ჩაერეოდა.

ტრაქტატს ახლდა კერძო (საიდუმლო) პუნქტები. ამათ თანახმად ერეკლე სოლომონ მეფესთან თანხმობით ყოფნას კისრულობდა, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში ის შუამავლად რუსეთის ხელმწიფეს სცნობდა და საცილობელ საკითხს მის მსჯავრს ანდობდა.

ქართველთა ჯარის განსამტკიცებლად და საქართველოს დასაცავად **რუ-**

სეთი ქართლ-კახეთში მუდმივ სამყოფად ორ ბატალიონ ქვეით ჯარს გზავნიდა, ხოლო ომის შემთხვევაში დამატებითი სამხედრო შემწეობის აღმოჩენას კისრულობდა. იმპერატორი აღთქმას სდებდა აგრეთვე, რომ ომისა თუ დაზავების დროს ის ყოველ ღონეს იხმარდა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა ყველა კუთხე და მხარე, რომელნიც მტრებს ჰქონდათ მისგან მიტაცებული.

ტრაქტატით გათვალისწინებული რუსული ჯარი 1783 წლის 3 ნოემბერს მოვიდა თბილისში, ხოლო 1784 წლის 23 იანვარს ერეკლემ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი მიიღო.

განხორციელდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება და საზრუნავი. გამარჯვებით დასრულდა 350 წლიანი ბრძოლა ბარბაროსული გარემოცვის გარღვევისათვის, პროგრესულ ქვეყნებთან უშუალო კავშირის აღდგენისათვის.

§ 2. ტრაქტატიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე

ტრაქტატის პირველი შედეგები

ქართველები რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას დიდ გეგმებს უკავშირებდნენ. მფარველ-მოკავშირის დახმარებით დაღისტნელ ფეოდალებს ადვილად ალაგმავდნენ და უმთავრეს ყურადღებას ქვეყნის შინაურ აღმშენებლობას მიაქცევდნენ. ქართველებს იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთ-ოსმალეთს შორის მომავალი ომის შედეგად სამცხე-საათაბაგოს დაიბრუნებდნენ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კი არა მარტო საქართველოდან ჩამოგლეჯილი კაკ-ენისელის შემოერთება იყო განზრახული, არამედ პოლიტიკური გავლენის გავრცელება შაქი-შირვანის სახანოებზედაც. ქართლ-კახეთის მმართველთა ყოველ ასეთ განზრახვას მფარველ-მოკავშირე მხარს უჭერდა. ქართლ-კახეთის მეფის მფლობელობის უფლებას სცნობდა რუსეთი განჯა-ერევნის სახანოების მიმართაც.

რუსეთის მთავრობა იმერეთის მეფე სოლომონთანაც აპირებდა ასეთივე ტრაქტატის დადებას.

ერეკლეს რუსეთის მხარეზე დადგომამ და რუსთა ჯარის საქართველოში შემოსვლამ ამიერკავკასიის ხანები ააფორიაქა. ისინი შეშინდნენ და რუსეთისადმი მოსაჩვენარი მორჩილებით თავის გადარჩენას შეეცადნენ. დარუბანდის, ყარაბაღისა და ხოის ხანები ერთგულებას ეფიცებოდნენ რუსებს. მორჩილება განაცხადეს დაღისტნის მთავრებმაც.

მაგრამ პირველმა შიშმა მალე გაიარა. მაჰმადიანი ხანები დაბნეულობიდან ოსმალეთმა გამოიყვანა და რუსეთის სამტროდ წააქეზა.

რუსეთი ამჯერად იძულებული შეიქმნა იმერეთის მეფესთან განზრახული ხელშეკრულების დადებაზე უარი ეთქვა. რუსეთის სტამბოლელმა ელჩმა გამოარკვია, რომ ოსმალეთი უომრად არ დასთმობდა მტაცებლობით შეძენილ „უფლებას“ იმერეთზე, ასე რომ იმერეთის საჯაროდ მფარველობაზე რუსეთმა ძალაუნებურად ხელი აიღო.

მალე ოსმალეთი ირანის სახანოების მფარველისა და დამრაზმავის როლში გამოვიდა. ოსმალეთის აგენტები „სარწმუნოების დასაცავად“ მოუწოდებდნენ მაჰმადიანობას. მათ ფულით, საჩუქრებითა და სხვადასხვა დაპირებით ადვი-

ლად აამოძრავეს სამხრეთ აზერბაიჯანისა და ამიერკავკასიის ხანები, დაღისტნის მთავრები.

დაღისტნელ ფეოდალთა თავდასხმის განახლება

ქართლ-კახეთის წინააღმდეგ კვლავ წამოიშალნენ დაღისტნელი ფეოდალები. ამ საქმის მთავარ ორგანიზატორად ახალციხის ფაშა გამოვიდა. ფაშამ ახალციხე აქცია დაღისტნელი აბრაგების საბუდრად, საიდანაც ავაზაკთა ბრბოები გამუდმებით ესხმოდნენ თავს ქართლის სოფლებს.

ამიერკავკასიისა და აზერბაიჯანის ზოგიერთი ხანი ოსმალთა „სამსახურში" შევიდა. ერეკლეს მტრად ექცა და საქართველოზე ლაშქრობას აპირებდა. ხანები აყვედრიდნენ ერეკლეს რუსთა შემოყვანას, აფრთხილებდნენ, ემუქრებოდნენ. უფრო მეტიც: მეფეს გადაუდგნენ და ხარკი შეუწყვიტეს განჯამ და ერევანმა; თვით ყაზახ-შამშადილუს თათრებიც კი შფოთავდნენ და მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ.

დაღისტნელთა თარეში სამ წელიწადს გრძელდებოდა. ქვეყანამ კვლავ დაცლა იწყო. მოსახლეობა სახიზარებს უბრუნდებოდა. ვისაც შეეძლო, უცხოეთში გარბოდა. რუსეთი ამაოდ ცდილობდა ენერგიული დიპლომატიური ზომებით აეძულებინა ოსმალეთი ხელი აეღო ქართლ-კახეთის მიმართ მტრობისაგან.

ომარ-ხანის შემოსევა

1785 წელს ხუნძახის ბატონი ომარ ხანი 20.000 კაცით კახეთის საზღვარს მოადგა. ერეკლე ხელშეკრული იყო: ქართლის ჯარი ვერ შემოიყარა, რადგან ახალციხიდან მხრიდან ლეკ-ოსმალთა შემოსევისა ეშინოდა. ხოლო კახელებს ლაშქრითა და რუსთა რაზმით, მათი სიმცირის გამო, შებმა ძნელი იყო. ომარ-ხანმა სწრაფად გამოვლო ყარაია, აიღო ბორჩალოს ციხე (თეთრი ციხე). აჰყვა დებედის ხეობას, გაძარცვა და აიკლო ახტალის მადნები; შემდეგ დალაშქრა საბაშიძო (ზემო იმერეთში), აიკლო ვახანის ციხე და დიდძალი ტყვითურთ უკან გაბრუნდა. ერეკლე იძულებული შეიქნა მორიგებოდა ომარ-ხანს და მისთვის ყოველწლიური „ჯამაგირი", 5.000 მანეთი გაეჩინა.

კვლავ საგარეო ორიენტაციის საკითხი ქართლ-კახეთში

ქართლ-კახეთი მძიმე გასაჭირში ჩავარდა. შემოსავალი შეწყდა, ქვეყანა გადასახადებს ვეღარ ასდიოდა. სხვა გზა აღარ იყო და მოსახლეობა სამ წლით განთავისუფლებულ იქნა სამეფო გადასახადისაგან. სამეფოს მოხარკე ხანებიც აღარ ჰყავდა. ახტალის მადნები, ომარ-ხანის თავდასხმის შედეგად, ორ წელიწადს გაუქმებული იდგნენ. ვაჭრობა დაეცა და საბაჟო შემოსავალმაც სათანადოდ იკლო. ოსმალეთი მოუწოდებდა ერეკლეს, მასთან „მეგობრობა"-კავშირი არედგინა და რუსეთს ჩამოშორებოდა. არზრუმის ფაშამ მეფეს მოაგონა, თუ როგორი მშვიდობის ჟამი ჰქონდა ქართლ-კახეთს ოსმალეთთან კეთილმეზობლობის დროს. ფაშა ამაოდ ცდილობდა ჩაეგონებინა ქართველი პოლიტიკოსებისთვის, რომ საქართველოს რუსთა მხარეზე გადასვლის შემდეგ დაუდგა მძიმე დღეები.

ამჯერად საგარეო ორიენტაციის საკითხის გარშემო ქართლ-კახეთში აზრთა სხვადასხვაობა იყო. ქართველი ფეოდალების პროგრესულ ნაწილს, ერეკლესთან ერთად, მხოლოდ რუსეთის მოკავშირეობა სწამდა. ამ დასს

უკუთვნოდნენ აგრეთვე სომეხი დიდვაჭრები და სომეხთა ეკლესიის მოღვაწენი. ესენი იმედოვნებდნენ სომხური სახელმწიფოს აღდგენასაც, სწორედ რუსეთის შემწეობითა და რუსული გეგმის თანახმად. ამას გარდა, სომეხ ვაჭრებს იმ დროს რუსეთში საკმაოდ ძლიერი ეკონომიური ინტერესები ჰქონდათ. თავის მხრივ ქართველი რეაქციონერები — „მარკოზაშვილის დარბაზელები", რუსოფილენი იყვნენ, რადგან რუსეთთან ერთობას შედეგად უნდა მოჰყოლოდა მათი სენიორული და კუთხური ინტერესების მარცხი.

რეაქციონერ თავადებს მხარში უდგნენ ერეკლეს მეუღლე, დედოფალი დარეჯანი და მისი შვილები. ესენი, რუსეთის მომხრეთა წინააღმდეგ, ოსმალეთთან მორიგებას მოითხოვდნენ.

1787 წლის აგვისტოში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ახალი ომი დაიწყო და რუსეთის მთავრობამ თავისი ჯარი ქართლიდან უკან გაიწვია. ამის შემდეგ აშლილი მეზობლები დროებით მოურიგდნენ ერეკლეს: ოსმალეთმაც რამდენადმე შეანელა მტრობა, თუმცა ქართლ-კახეთის რუსეთისგან ჩამოშორებას ის შემდეგშიაც დაჟინებით ცდილობდა.

რეაქციის შემოტევა

1783—1795 წლებში ქართლ-კახეთის პროგრესული და რეაქციული ძალები მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთიმეორეს. რუსეთთან კავშირმა სამეფოს უშუალოდ ჯერ ვერ შეუმსუბუქა ძნელბედობა. თითქოს პირიქით ხდებოდა: ქვეყანას გარეშე მტრები შეემატნენ და ის ამიერკავკასიაში განმარტოებული დარჩა. ეს სიძნელე შინაურმა მტრებმა მარჯვედ გამოიყენეს. ზოგიერთი რეაქციონერი თავადი ახალციხის ფაშასთან გაიქცა, ლეკთა ბრბოების მეგზური გახდა და მათთან ერთად ქართლის სარბევად წამოვიდა. სხვებმა თვით ქვეყნის შიგნით აიშვეს თავი: მორიგე ლაშქარში აღარ გამოდიოდნენ, არ ემორჩილებოდნენ ერეკლეს მიერ გამოცემულ კანონებს გლეხთა და მებატონეთა შესახებ, ვაჭარ-ხელოსნებს ავიწროებდნენ.

ერეკლეს რიცხვმრავალ შვილებში უფროსი, ტახტის მემკვიდრე გიორგი ერთი დედოფლისგან იყო შობილი, დანარჩენნი კი მეორის, დარეჯანისგან. ძმებს შორის უთანხმოება სუფევდა: თითოეულ ბატონიშვილს თავისი თავადების ჯგუფი ჰყავდა და ხელმწიფობას იჩემებდა. 1791 და 1792 წლები რეაქციის ზეიმი იყო. დარეჯანმა და მისმა შვილებმა მოხუც მეფეს ორი კანონი გამოგლიჯეს ხელიდან: ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოების შესახებ. პირველი კანონით ერეკლემ ტახტის მემკვიდრეობის წესი შეცვალა — სამეფო ტახტი შვილს კი აღარ უნდა რგებოდა, არამედ გვარში უფროსს. ეს კანონი ნახევრად ნატყუარ-ნაძალადევი იყო და ერეკლემ ხელის მოწერის უმალვე უარყო ის. სამაგიეროდ, ძალაში დარჩა მეორე კანონი: თითოეულ უფლისწულს მეფემ 1000 კომლი ყმა მისცა (ასეთი უფლისწული 5 იყო), ხოლო მემკვიდრე გიორგის — 4.000 კომლი. ამრიგად, შრომითა და ბრძოლით შექმნილი სამეფო ქონება თავადებზე უფრო რეაქციულ ფეოდალებს, უფლისწულებს უვარდებოდათ ხელთ. მიჩემებულ საუფლისწულოებში ბატონიშვილებს თავი ხელმწიფეებად მოჰქონდათ. ისინი თავადური რეაქციის ბურჯებად იქცნენ.

აფერეთ-იმერეთის კავშირი ერეკლეს მეთაურობით

მეორე მხრივ კი საქართველოს ცხოვრებაში მოხდა ისეთი მოვლენაც, რომელიც ქვეყნის მოწინავე ძალების აქტიურობას მოასწავებდა.ეს იყო ამერეთ-იმერეთის გაერთიანების ცდა.

იმერეთის მეფე სოლომონი 1784 წელს გარდაიცვალა. მას ვაჟი არ დარჩენია. ტახტის მემკვიდრეობას ორი პირი იჩემებდა: მეფის ძმისწული დავით არჩილის ძე და მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. მემკვიდრეებს შორის ბოლომოუღებელი ბრძოლა წარმოებდა. ამ ბრძოლაში თან ოსმალეთის ხელიც ერია და თან ერეკლე და რუსი დიპლომატებიც მონაწილეობდნენ. ბოლოს იმერეთის თავადების ერთმა ჯგუფმა ამერეთ-იმერეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების საკითხი დასვა. მისი წარმომადგენელნი ერეკლეესთან გამოცხადდნენ შესათანხმებლად. მეფემ დარბაზი შეყარა. ბჭობა სამ დღეს გაგრძელდა, მაგრამ ბოლოს გაერთიანების წინადადება უარყოფილ იქნა; რადგან ქართლ-კახეთი რუსეთის ხელდებული იყო, ხოლო იმერეთს ოსმალეთი ეპიდებოდა, ეს უკანასკნელი ამერეთ-იმერეთის გაერთიანებას არ მოითმენდა.

მაინც ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ამერეთ-იმერეთის გაერთიანების პროგრესული იდეა მწიფდებოდა.

ერეკლემ თავის მხრივ ხელი შეუწყო დავით არჩილის ძის საბოლოო გამეფებას იმერეთში. იმერეთის ახალგაზრდა მეფე ერეკლეს შვილიშვილი, მისი გაზრდილი და მისივე პოლიტიკის გამტარებელი იყო. დავით არჩილის ძემ გამეფების შემდეგ სოლომონის სახელი შეიღო (სოლომონ II, 1789—1810).

მართალია, გაერთიანება იმჟამად შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ მოწინავე ძალებმა მაინც თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს სოლომონ ლიონიძის თაოსნობით.

ერეკლეს შესანიშნავი თანამოღვაწე, ნიჭიერი პოლიტიკოსი, 1783 წლის ტრაქტატისათვის აქტიური მებრძოლი, სახელმწიფო მსაჯული სოლომონ ლიონიძე ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელნიც ერეკლემ გაბედულად დააწინაურა უგვაროთა წრიდან, მათი ჭკუის, ნიჭისა და ერთგულების მიხედვით. იმ დროს სოლომონ ლიონიძეს დიდი გავლენა ჰქონდა: მისი თაოსნობით დადეს ხელშეკრულება, ერთი მხრივ, ერეკლე მეორემ, ხოლო მეორე მხრივ სოლომონ მეორემ, გრიგოლ დადიანმა და სიმონ გურიელმა (1790 წ.). ეს იყო, როგორც თვით საბუთში წერია, „ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“ ხელშეკრულება, რომელიც ნიშნავდა საერთო მტრის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის დადებას ერეკლეს მეთაურობით. 1793 წელს ამ ხელშეკრულების მონაწილენი საერთო მფარველობას სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს.

კრწანისის ომი

ამასობაში, ირანში მრავალ წელს მიმდინარე შინაური ომებიდან საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი.

აღა-მაჰმად-ხანმა ჯერ კიდევ 1786 წელს გაახსენა თავი ერეკლეს: „ძმობისა და სიყვარულის“ სიტყვები შემოუთვალა „გურჯისტანის“ მეფეს. აღა-

მაჰმად-ხანი ქართლ-კახეთში ირანის ძველი ბატონობის აღდგენას ცდილობდა. ერეკლესაგან ის რუსეთ-საქართველოს კავშირის გაუქმებასა და ქართლ-კახეთის ირანისადმი დამორჩილებას მოითხოვდა. სამაგიეროდ ხანი დიდ წყალობასა და პატივს პირდებოდა ერეკლეს.

მაგრამ უკვე დიდი ხანი იყო, რაც საქართველოს მომავალი პროგრესულ რუსეთთან ჰქონდა სამუდამოდ დაკავშირებული. ამიტომ ირანთან შეტაკება აუცილებელი ჩანდა.

1793 წელს ერეკლემ უკვე იცოდა, რომ აღა-მაჰმად-ხანს საქართველოზე ლაშქრობა გადაწყვეტილი ჰქონდა. აქეთკენ ეპატიჟებოდნენ შაჰს ქართლ-კახეთის მეფის მეტოქე ხანებიც. თბილისში მოუთმენლად ელოდნენ რუსეთის ჯარსა და არტილერიას, რუსთა ჯარის სარდალი იმიერკავკასიაში გენერალ-გუდოვიჩი ამის იმედს იძლეოდა.

1795 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში აღა-მაჰმად-ხანის ჯარები შუშასა და ერევანს მოვიდნენ. ეჩმიაძინის სომეხთა კათალიკოსს ყაენმა დიდი გადასახადი აართვა. სექტემბრის დამდეგს აღა-მაჰმად-ხანი უკვე თბილისს შემოადგა.

თბილისის დაცვის სამზადისი ვერ მოესწრო. ომში ნაცადმა ერეკლემ თადარიგი დროზე დაიჭირა, მაგრამ ვეღარ გადალახა მრავალი შინაური დაბრკოლება და ვერ მოხერხდა ქართველი ჯარის შესაძლებელი რაოდენობით დაჯგუფება თბილისთან. ლაშქრის ნაწილს მტრისაგან მოსისიანებული ლეკებ აბანდებდნენ. თავადური რეაქციაც ძლიერ ხელს უშლიდა საქმეს — ბატონიშვილებიც კი არ თვლიდნენ საჭიროდ თავისი საუფლისწულოებიდან დაძრულიყვნენ, ხოლო ზოგი სულ მცირე ამალით გამოვიდა. „მარკოზაშვილის დარბაზელები“ დაძრწოდნენ სოფლიდან სოფლად, მოტყუებით, მეფის სახელით ხალხს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის უიმედობას შთააგონებდნენ და შორს დახიზნას ურჩევდნენ. ყოველივე ამის შედეგად, 40 ათასი მეომრის ნაცვლად მეფეს 5 ათასი ძლივს მოუვიდა.

საქართველოს ასაოხრებლად აღა-მაჰმად-ხანმა 35 ათასი კაცი წამოიყვანა. 10 სექტემბერს მტერი თბილისს მოუახლოვდა. ქართველი ჯარის სიმცირის მიუხედავად, მეფემ ომი გადაწყვიტა. აღა-მაჰმად-ხანი თბილისთან ძლიერ წინააღმდეგობას მოელოდა. 10 სექტემბერს ქართველებმა დაამარცხეს და დიდი ზარალით უკუაგდეს მტრის მოწინავე რაზმი. მტერი შეფიქრიანდა და თავისი საქმის წარმატებაში შეეჭვდა. ამ დროს მოღალატეებმა თბილისიდან მტრის ელჩი გააპარეს. თბილისის დაცვის სისუსტე გამჟღავნდა. მტერს იმედი მოეცა და 11 სექტემბერს ერეკლეს გულსრულად შემოუტია. კრწანისის მინდორზე, თბილისის კარებთან, გადამწყვეტი ომი მოხდა. მიუხედავად თავგანწირული ბრძოლისა, ქართველები დამარცხდნენ. თვით ერეკლეც ხიფათში ჩავარდა, — მას მტერი გარს შემოერტყა, — მაგრამ მეფე შვილიშვილის, იოანე გიორგის ძისა, და სხვა ერთგულთა თავდადებამ იხსნა: მებრძოლი მოხუცი ომის ცეცხლიდან გამოიყვანეს. ერეკლემ დროებით მთიულეთს მიაშურა.

აღა-მაჰმად-ხანი თბილისში შემოიჭრა. ქალაქში დაიწყო ძარცვა, ნგრევა, ხანძარი. ყაენი მეფის სასახლეში შევიდა, ჯერ გაძარცვა ის და შემდეგ დაან-

გრევინა. მისივე ბრძანებით საგანგებოდ დაანგრიეს ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, იარაღის საწყობი, ზარაფხანა. იმავე დროს ყაენმა ქვეყანას მარბიელი რაზმები გაუსია. ერთი ასეთი რაზმი ახტალას ავიდა, გაძარცვა და დანგრია ვერცხლისა და სპილენძის ქარხნები, რომელნიც ომარ-ხანის შემდეგ აღედგინა ერეკლეს. იქ სპარსელებმა მრავალად დაატყვევეს მადნის მუშები და ოსტატები. მარბიელთა რაზმებმა მოითარეშეს შიდა ქართლიც, გორ-ცხინვალამდე, მაგრამ მოსახლეობა დახიზნული იყო და ბევრი ვერაფერი იშოვეს. არაგვზე მტრის ერთი ნაწილი 500 კაცისაგან შემდგარმა ხევსურთა რაზმმა გასწყვიტა.

ერეკლე დროს მოგებას ცდილობდა და ანანურიდან მტერთან მოლაპარაკება გამართა. ამის შესახებ გუდოვიჩსაც ატყობინებდა და მისგან სასწრაფოდ დახმარებას მოითხოვდა.

ჯერ კიდევ მოლაპარაკება გრძელდებოდა, რომ, სექტემბრის მიწურულში, ყაენი სასწრაფოდ აიყარა და საქართველოდან წავიდა.

აღა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობამ ზოგ მეზობელ სახანოში სიხარული და კმაყოფილება გამოიწვია. ხონთქარმაც აღა-მაჰმად-ხანს საგანგებოდ მიულოცა გამარჯვება და კავშირი შესთავაზა. ყაენის ამ „გამარჯვებას“ თანაგრძნობით შეხვდა საფრანგეთიც. ხსენებულმა სახელმწიფოებმა თბილისის აკლება შეაფასეს, როგორც რუსეთის დამარცხება და ამიერკავკასიაში თავისი მეტოქის, რუსეთის გავლენის აღმოსაფხვრელად ისინი აღა-მაჰმად-ხანს საქართველოში კვლავ ლაშქრობას ურჩევდნენ.

საქართველოს გასაჭირით სარგებლობა მოინდომეს დაღისტნელმა აბრაგებმა. მათი ბრბოები წამოიშალნენ და ქართლ-კახეთის დაუცველ სოფლებს მოედვნენ.

რუსთა ჯარის ლაშქრობა ირანში 1796 წელს

შექმნილ ვითარებას ყურადღება მიაქცია რუსეთის მთავრობამაც. აღა-მაჰმად-ხანი თბილისიდან უკვე წასული იყო, როცა გუდოვიჩმა პეტერბურგიდან ერეკლესათვის დახმარების აღმოჩენის ნებართვა მიიღო. ორი ათასი კაცისაგან შემდგარი რუსის ჯარი 1795 წლის დეკემბერში საქართველოში შემოვიდა. ამ დროს რუსეთში ერთხელ კიდევ გამოცოცხლდა ჩრდილო ირანის დაჭერისა და ინდოეთთან ურთიერთობის დამყარების გეგმა, რომელიც პეტრე პირველმა შეადგინა თავის დროზე. საქართველოს დაცვისა და აღა-მაჰმად-ხანის დასჯის მოტივით 1796 წელს, გაზაფხულზე, რუსთა 30-ათასიანი ჯარი დარუბანდის გზით ამიერკავკასიაში შემოიჭრა.

ამასობაში თბილისმა ნელ-ნელა ისევ მოშენება იწყო და აყრილ-დახიზნული სოფლის მოსახლეობაც თავის სახლებს დაუბრუნდა.

1796 წლის გაზაფხულზე მეფის ძენი დავითი და ალექსანდრე განჯას, ჯავად-ხანის წინააღმდეგ იქნენ გაგზავნილი. განჯის ეს მფლობელი აღა-მაჰმად-ხანს თბილისზე წამოუძღვა და საქართველოს აოხრების დროს ყიზილბაში მოლაშქრეებისაგან მრავალი ტყვე და დიდი ალაფი შეიძინა. ქართველმა ლაშქარმა სამ აპრილს განჯა აიღო. ჯავად-ხანი ციხეში ჩაიკეტა. ცოტა ხნის შემდეგ ერეკლეც განჯას ჩავიდა. ხანგრძლივი ალყით შეწუხებულმა

ჯავად-ხანმა პატიება ითხოვა. მეფემ განჯას ძველებურად ხარკი დაადო, ათასი ქართველი და სომეხი ტყვე, ჯავად-ხანის მიერ ყიზილბაშებისაგან შეძენილი, გათავისუფლა, ამ ლაშქრობის ხარჯებიც ხანს აზღვევინა და უკან დაბრუნდა. მოგვარდა აგრეთვე ერევნის ხანის ურთიერთობა ქართლ-კახეთთან: მასაც ძველებურად დაეკისრა ხარკი მეფის სასარგებლოდ.

რუსთა ჯარმა ზუბოვის სარდლობით აიღო დარუბანდი, ყუბა, ბაქო, სალიანი, შამახია, გავიდა მუღანს და შეუდგა თადარიგს შიდა ირანში სალაშქროდ. ირანში ლაშქრობის გეგმასთან ერთად, პეტრეს ძველი გეგმის მეორე ნაწილიც წამოდგა წინ. ეს იყო ამიერკავკასიაში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნის იდეა. მისი ავტორების აზრით, ასეთი სახელმწიფო ერეკლეს სამეფო უნდა ყოფილიყო. ამიერიდან სომხებსაც. აღა-მაჰმად-ხანი ძრწოლამ შეიპყრო.

1796 წლის ნოემბერში გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე. მისმა მემკვიდრემ—პ ა ვ ლ ე მ — ირანის ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკან გაიწვია. აღა-მაჰმად-ხანმა ეს თავის გამარჯვებად გამოაცხადა და კვლავ საქართველოში ლაშქრობა დააპირა. აღა-მაჰმად-ხანი ყარაბაღს მოვიდა, მაგრამ საქართველო ახალი აოხრებისაგან მკვლელის დანამ იხსნა: 1797 წლის ივნისში აღა-მაჰმად-ხანი ყარაბახშივე გამოასალმეს სიცოცხლეს.

ირანში ერთ ხანს კვლავ არეულობა გამეფდა და მერე კი ძალაუფლება აღა-მაჰმად-ხანის ძმისწულმა ბ ა ბ ა-ხ ა ნ მ ა იგდო ხელთ. საქართველოს მიმართ ისიც თავისი ბიძის პოლიტიკას განაგრძობდა.

ასეთ გარემოცვაში იყო საქართველო, როცა 1798 წ. 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა 78 წლის ე რ ე კ ლ ე, დ ი დ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ო ღ ვ ა წ ე, ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ს ა რ დ ა ლ ი და თ ა ვ ი ს ი დ რ ო ი ს მ ო წ ი ნ ა ვ ე კ ა ც ი.

§ 3. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება

საგარეო-პოლიტიკური ვითარება XVIII ს. მიწურულში

XVIII ს. მიწურულში ქართველი ხალხი მწვავედ განიცდიდა თავის შინაგან და გარე-პოლიტიკურ კრიტიკულ მდგომარეობას.

მოახლოებული იყო კავკასიაში საერთაშორისო წინააღმდეგობათა კვანძის გახსნის დრო.

ღონემიხდილი ოსმალეთი ჯერ კიდევ ვერ ურიგდებოდა ამიერკავკასიაში თავისი გავლენის საფუძვლიან შერყევასა და რუსეთის პოზიციების თანდათანობით განმტკიცებას. რუსეთთან ომებში დამარცხებული ოსმალეთი თავისას არ იშლიდა და განაგრძობდა მუშაობას ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიელი მუსლიმანების ასამხედრებლად. იგი სასჯელს უმზადებდა ქართლ-კახეთს იმისათვის, რომ მან საბოლოოდ იბრუნა პირი ჩრდილოეთისაკენ და რუსეთს ახლო აღმოსავლეთის კარი გაუღო. მაგრამ შალ, საფრანგეთის შემოტევის შედეგად, ოსმალეთს ეგვიპტის დაკარგვის საფრთხე დაუდგა და ის ძალაუნებურად რუსეთის მოკავშირე გახდა. 1799 წლიდან მოკიდებული, ოსმა-

ლეთი თითქმის ვეღარაფრით აბრკოლებდა რუსეთის სახელმწიფოს, რომელიც დასახულ პოლიტიკურ მიზნებს თამამად ახორციელებდა ამიერკავკასიაში. მიუხედავად ამისა, ოსმალეთი ხელს არ იღებდა საქართველოს სრული დაპყრობის განზრახვაზე, ოღონდ ამის გამოსახორციელებლად ხელსაყრელ დროს ელოდა.

ირანი იმხანად ოსმალეთთან შედარებით უფრო აქტიურობდა და ქართლ-კახეთში თავისი ძველი ბატონობის აღსადგენად იბრძოდა. 1795 წ. გამანადგურებელი შემოსევით ირანმა ვერ შეძლო ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის დამყარებული კავშირის ჩაშლა. კრწანისის შემდეგ ქართლ-კახეთის მესვეურები რუსეთთან კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოების გზას დაადგნენ. ეს ძალზე აშფოთებდა ირანს. ირანი სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე აზერბაიჯანისა და სომხეთის სახანოებს, რომლებიც მის პოლიტიკურ ბატონობას აღიარებდნენ, და თავის ჯარს საქართველოს მახლობლად უყრიდა თავს. იმავე დროს ქართლ-კახეთის ფეოდალური რეაქციის ძალები ირანის შაჰის მოიმედენი იყვნენ.

ახლო აღმოსავლეთში სერიოზული მეტოქეობა ჰქონდათ ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს. XVIII ს. ბოლოს ინგლისმა საბოლოოდ დაიპყრო სინდიდრით აღსავსე ინდოეთის დიდი ნაწილი. ამის შემდეგ ინგლისი კიდევ უფრო დაინტერესდა ახლო აღმოსავლეთით: იგი მისი ვრცელი ბაზრების მონოპოლიურად დაუფლებას აპირებდა. ამიტომ ინგლისს აღელვებდა რუსეთის გამარჯვება საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

იმავე დროს გამწვავებული იყო ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორისაც. მაშინ საფრანგეთიც ვრცელ ბაზრებს ფლობდა აღმოსავლეთ ინდოეთში. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის წარმატება არც ერთ მათგანს არ სურდა, თავის მხრივ აადვილებდა რუსეთის წინსვლას აღმოსავლეთისაკენ. საქართველო-ამიერკავკასია მოქიშპე სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ყველასათვის ცხადი იყო, რომ მოწინააღმდეგეთა შორის უპირატესობა რუსეთს ეკუთვნოდა. იგი ამიერკავკასიას უშუალოდ ემეზობლებოდა. მართლმადიდებელ-ქრისტიანულმა საქართველომ რუსეთი თავის პოლიტიკურ მოკავშირედ და მფარველ ძალად აღიარა. რუსთა ჯარს საქართველოსაკენ გზა გახსნილი ჰქონდა. ინგლის-საფრანგეთი კი ხან ოსმალეთის და ხან ირანის ხელით ცდილობდნენ რუსეთისათვის აღმოსავლეთისაკენ გზის ჩაკეტვას. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ირან-ოსმალეთის მიმხრობის მიზნით, ინგლისი და საფრანგეთი სცნობდნენ მათ პოლიტიკურ უფლებას ამიერკავკასიის ქვეყნებზე.

გიორგი XII-ის ურთიერთობა რუსეთთან. რუსის ჯარის შემოსვლა საქართველოში

გიორგი XII-ის გამეფება 1798 წ. შინაფეოდალური რეაქციის ახალი შემოტევით დაიწყო. სნეული და ნებასუსტი მეფე მისმა ძმებმა, დარეჯან დედოფლის მეთაურობით, აიძულეს მიეღო ტახტის მემკვიდრეობის ის წესი, რომლის მიხედვითაც გიორგის შემდეგ სამეფო ტახტი სახლისშვილთაგან უფროსს უნდა რგებოდა და, ამრიგად, ტახტის მემკვიდრედ იულონ ერეკლეს ძე გამოდიოდა. გიორგი XII-მ მალე დაარღვია თავისი პირობა. იგი თავისი შვილის, დავითის

ჯავად-ხანმა პატიება ითხოვა. მეფემ განჯას ძველებურად ხარკი დაადო, ათასი ქართველი და სომეხი ტყვე, ჯავად-ხანის მიერ ყიზილბაშებისაგან შეძენილი, გაათავისუფლა, ამ ლაშქრობის ხარჯებიც ხანს აზღვევინა და უკან დაბრუნდა. მოგვარდა აგრეთვე ერევნის ხანის ურთიერთობა ქართლ-კახეთთან: მასაც ძველებურად დაეკისრა ხარკი მეფის სასარგებლოდ.

რუსთა ჯარმა ზუბოვის სარდლობით აიღო დარუბანდი, ყუბა, ბაქო, სალიანი, შამახია, გავიდა მუღანს და შეუდგა თადარიგს შიდა ირანში სალაშქროდ. ირანში ლაშქრობის გეგმასთან ერთად, პეტრეს ძველი გეგმის მეორე ნაწილიც წამოდგა წინ. ეს იყო ამიერკავკასიაში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნის იდეა. მისი ავტორების აზრით, ასეთი სახელმწიფო ერეკლეს საპეფო უნდა ყოფილიყო. აიმედებდნენ სომხებსაც. აღა-მაჰმად-ხანი ძრწოლამ შეიპყრო.

1796 წლის ნოემბერში გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე. მისმა მემკვიდრემ—პ ა ვ ლ ე მ — ირანის ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკან გაიწვია. აღა-მაჰმად-ხანმა ეს თავის გამარჯვებად გამოაცხადა და კვლავ საქართველოში ლაშქრობა დააპირა. აღა-მაჰმად-ხანი ყარაბაღს მოვიდა, მაგრამ საქართველო ახალი აოხრებისაგან მკვლელის დანამ იხსნა: 1797 წლის ივნისში აღა-მაჰმად-ხანი ყარაბახშივე გამოასალმეს სიცოცხლეს.

ირანში ერთ ხანს კვლავ არეულობა გამეფდა და მერე კი ძალაუფლება აღა-მაჰმად-ხანის ძმისწულმა ბ ა ბ ა-ხ ა ნ მ ა იგდო ხელთ. საქართველოს მიმართ ისიც თავისი ბიძის პოლიტიკას განაგრძობდა.

ასეთ გარემოცვაში იყო საქართველო, როცა 1798 წ. 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა 78 წლის ე რ ე კ ლ ე, დ ი დ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ო ღ ვ ა წ ე. ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ს ა რ დ ა ლ ი და თ ა ვ ი ს ი დ რ ო ი ს მ ო წ ი ნ ა ვ ე კ ა ც ი.

§ 3. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება

საგარეო-პოლიტიკური ვითარება XVIII ს. მიწურულში

XVIII ს. მიწურულში ქართველი ხალხი მწვავედ განიცდიდა თავის შინაგან და გარე-პოლიტიკურ კრიტიკულ მდგომარეობას.

მოახლოებული იყო კავკასიაში საერთაშორისო წინააღმდეგობათა კვანძის გახსნის დრო.

ღონემიხდილი ოსმალეთი ჯერ კიდევ ვერ ურიგდებოდა ამიერკავკასიაში თავისი გავლენის საფუძვლიან შერყევასა და რუსეთის პოზიციების თანდათანობით განმტკიცებას. რუსეთთან ომებში დამარცხებული ოსმალეთი თავისას არ იშლიდა და განაგრძობდა მუშაობას ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიელი მუსლიმანების ასამხედრებლად. იგი სასჯელს უმზადებდა ქართლ-კახეთს იმისათვის, რომ მან საბოლოოდ იბრუნა პირი ჩრდილოეთისაკენ და რუსეთს ახლო აღმოსავლეთის კარი გაუღო. მაგრამ შალვ, საფრანგეთის შემოტევის შედეგად, ოსმალეთს ეგვიპტის დაკარგვის საფრთხე დაუდგა და ის ძალაუნებურად რუსეთის მოკავშირე გახდა. 1799 წლიდან მოკიდებული, ოსმა-

ლეთი თითქმის ვეღარაფრით აბრკოლებდა რუსეთის სახელმწიფოს, რომელიც დასახულ პოლიტიკურ მიზნებს თამამად ახორციელებდა ამიერკავკასიაში. მიუხედავად ამისა, ოსმალეთი ხელს არ იღებდა საქართველოს სრული დაპყრობის განზრახვაზე, ოღონდ ამის გამოსახორციელებლად ხელსაყრელ დროს ელოდა.

ირანი იმხანად ოსმალეთთან შედარებით უფრო აქტიურობდა და ქართლ-კახეთში თავისი ძველი ბატონობის აღსადგენად იბრძოდა. 1795 წ. გამანადგურებელი შემოსევით ირანმა ვერ შეძლო ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის დამყარებული კავშირის ჩაშლა. კრწანისის შემდეგ ქართლ-კახეთის მესვეურები რუსეთთან კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოების გზას დაადგნენ. ეს ძალზე აშფოთებდა ირანს. ირანი სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე აზერბაიჯანისა და სომხეთის სახანოებს, რომლებიც მის პოლიტიკურ ბატონობას აღიარებდნენ, და თავის ჯარს საქართველოს მახლობლად უყრიდა თავს. იმავე დროს ქართლ-კახეთის ფეოდალური რეაქციის ძალები ირანის შაჰის მოიმედენი იყვნენ.

ახლო აღმოსავლეთში სერიოზული მეტოქეობა ჰქონდათ ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს. XVIII ს. ბოლოს ინგლისმა საბოლოოდ დაიპყრო სამხრეთ-დიდრით აღსავსე ინდოეთის დიდი ნაწილი. ამის შემდეგ ინგლისი კიდევ უფრო დაინტერესდა ახლო აღმოსავლეთით: იგი მისი ვრცელი ბაზრების მონოპოლიურად დაუფლებას აპირებდა. ამიტომ ინგლისს აღელვებდა რუსეთის გამარჯვება საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

იმავე დროს გამწვავებული იყო ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორისაც. მაშინ საფრანგეთიც ვრცელ ბაზრებს ფლობდა აღმოსავლეთ ინდოეთში. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის წარმატება არც ერთ მათგანს არ სურდა, თავის მხრივ აადვილებდა რუსეთის წინსვლას აღმოსავლეთისაკენ. საქართველო-ამიერკავკასია მოქიშპე სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ყველასათვის ცხადი იყო, რომ მოწინააღმდეგეთა შორის უპირატესობა რუსეთს ეკუთვნოდა. იგი ამიერკავკასიას უშუალოდ ემეზობლებოდა. მართლმადიდებელ-ქრისტიანულმა საქართველომ რუსეთი თავის პოლიტიკურ მოკავშირედ და მფარველ ძალად აღიარა. რუსთა ჯარს საქართველოსაკენ გზა გახსნილი ჰქონდა. ინგლის-საფრანგეთი კი ხან ოსმალეთის და ხან ირანის ხელით ცდილობდნენ რუსეთისათვის აღმოსავლეთისაკენ გზის ჩაკეტვას. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ირან-ოსმალეთის მიმხრობის მიზნით, ინგლისი და საფრანგეთი სცნობდნენ მათ პოლიტიკურ უფლებას ამიერკავკასიის ქვეყნებზე.

გიორგი XII-ის ურთიერთობა რუსეთთან. რუსის ჯარის შემოსვლა საქართველოში

გიორგი XII-ის გამეფება 1798 წ. შინაფეოდალური რეაქციის ახალი შემოტევით დაიწყო. სნეული და ნებასუსტი მეფე მისმა ძმებმა, დარეჯან დედოფლის მეთაურობით, აიძულეს მიეღო ტახტის მემკვიდრეობის ის წესი, რომლის მიხედვითაც გიორგის შემდეგ სამეფო ტახტი სახლისშვილთაგან უფროსს უნდა რგებოდა და, ამრიგად, ტახტის მემკვიდრედ იულონ ერეკლეს ძე გამოდიოდა. გიორგი XII-მ მალე დაარღვია თავისი პირობა. იგი თავისი შვილის, დავითის

:გამეფებისათვის ზრუნავდა. ამის გამო გიორგი მეფესა და მის ძმებს შორის შეურიგებელი მტრობა ჩამოვარდა. ბატონიშვილთა გარშემო დაჯგუფდნენ თავადებიც და ორ ბანაკად გაყოფილი სამეფო სახლი უაღრესად საზიფათო განხეთქილებამ მოიცვა. ეს ხდებოდა მეტად კრიტიკულ მომენტში, როდესაც ისედაც დაუძლურებული სახელმწიფო სულს ღაფავდა, ხოლო ირანის შაჰი კვლავ საქართველოს დასარბევად ემზადებოდა.

გიორგი XII და მასთან მყოფი ქართველი დიპლომატები ფხიზლად აფასებდნენ სახელმწიფოში იმჟამად შექმნილ ვითარებას და მიმხვდარი იყვნენ, რომ მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთი საშუალება რუსეთის დახმარება იყო. რუსეთსაც ახლა ადრინდელზე უფრო აინტერესებდა საქართველოს ბედი. ამიტომ გიორგი რუსეთის მთავრობისაგან დაჟინებით მოითხოვდა 1783 წ. ტრაქტატის შესრულებას და საქართველოში რუსის ჯარის შემოყვანას. მეფის აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ერთი გზა-ღა დარჩებოდა — რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და სხვა სახელმწიფოს დახმარების მოძებნა. ასეთი განცხადების გავლენით პავლე პირველმა მოულოცა გიორგი XII-ს გამეფება და აღუთქვა მას 1783 წ. ხელშეკრულების დაცვა.

1799 წ. აპრილში პავლე იმპერატორმა განაახლა სამფარველო ხელშეკრულება ქართლ-კახეთის მეფესთან. რუსის ჯარი აქ მხოლოდ ნოემბრის ბოლოს შემოვიდა. გარეშე სახელმწიფოების თვალსაზრისით, საქართველოში რუსების ლაშქრის შემოყვანა იმას მოასწავებდა, რომ რუსეთი რეალურად შეუდგა ახლო აღმოსავლეთში თავისი მიზნების განხორციელებას.

ქართლ-კახეთის სახელმწიფო, თავის მხრივ, დიდ იმედს ამყარებდა რუსეთის ჯარზე, რომლის დახმარებითაც ფიქრობდა იგი საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კრიზისიდან თავის დაღწევას. დარბეულ-აწიოკებული და შინაური თუ გარეშე მტრების მიერ გაჩანაგებული ქართველი ხალხი რუსის ჯარის მოსვლას უყურებდა, როგორც ისეთი მხსნელის გამოჩენას, რომელიც ქვეყანას მშვიდობიან ცხოვრებას მოუტანდა. ამიტომ იყო, რომ 1799 წ. 26 ნოემბერს რუსის ჯარის შემოსვლამ თბილისში საყოველთაო ზეიმი გამოიწვია. თვით გიორგი მეფე თბილისიდან 3 კილომეტრის მანძილზე შეეგება მომავალ ჯარს. თანამედროვის გადმოცემით, „ათი ათასზე მეტი კაცი მიისწრაფოდა ქალაქს გარეთ, რომ რუსთა რაზმების შემოსვლა ენახა. თბილისის ყველა სახლის სახურავი სავსე იყო ქალებით, რომლებსაც თეთრი ტანისამოსი ეცვათ. კრიალა და მზით გაბრწყინებული ცის ქვეშ ქალაქში განფენილი ეს ბანაკი პოეტურ სანახაობას წარმოადგენდა“.

რუსის ჯარის შემოსვლამ, მიუხედავად მისი უდიდესი მნიშვნელობისა, მაინც ვერ გამოაკეთა ქართლ-კახეთის შერყეული სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. კვლავ მძვინვარებდა ფეოდალური რეაქცია, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებოდა საქართველოს საუკუნოვან მტრებს — ოსმალეთს (მისი დაღისტნელი ფეოდალებითურთ) და ირანს (მისი სახანოებითურთ). ბატონიშვილები დარეჯან დედოფლის მოთავეობით მზად იყვნენ იარაღით დაეცვათ 1791 — 1792 წლების რეაქციული კანონები ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოთა შესახებ. ცხადი იყო, რომ კრიზისიდან გამოსასვლელად ერთი რუსული პოლკის საბრძოლო ძალით დახმარება და 1783 წ. ტრაქტატით ნავარაუდევი

მფარველობა არ კმაროდა. გიორგი მეფეს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა რუსეთის ძალაზე დაყრდნობისა და მეფემ თვით დაიწყო რუსეთთან დადებული ძველი ტრაქტატის გადასინჯვა. 1800 წ. 24 ივნისს, პეტერბურგში მყოფი ქართველი ელჩების მიერ წარდგენილი ნოტით, ქართლ-კახეთის მეფე ინარჩუნებდა მხოლოდ შეზღუდულ ავტონომიურ თვითმმართველობას. ქართლ-კახეთის მეფე ახლა რუსეთის სახელმწიფოს მორჩილი ხდებოდა უკვე არა მარტო საგარეო-პოლიტიკურ, არამედ საშინაო მმართველობის საკითხებშიც.

1800 წ. მიწურულს რუსეთის სახელმწიფო შეუკავშირდა ნაპოლეონის საფრანგეთს, პავლე იმპერატორი საბოლოოდ დაუპირისპირდა ინგლისს. რუსეთი და საფრანგეთი ინგლისის წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ. რუსეთი უნდა დახმარებოდა ნაპოლეონს ინგლისის წინააღმდეგ ომში, ხოლო სამაგიეროდ მას ფართო პერსპექტივები ეხსნებოდა ახლო აღმოსავლეთში: ნაპოლეონისათვის დახმარება რუსეთს ოსმალეთის ხარჯზე უნდა აენაზღაურებინა. ასეთ ვითარებაში რუსეთისათვის საქართველოს მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო მატულობდა. ამიტომ იყო, რომ პავლე იმპერატორმა დაამტკიცა გიორგი მეფის ახალი მოთხოვნილება. იმავე დროს მან ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმების მიმართულებითაც გადადგა ნაბიჯი.

1800 წ. 23 სექტემბერს თბილისში ახალი რუსული პოლკი შემოვიდა. იმავე წლის 7 ნოემბერს აქ მყოფმა ორმა რუსულმა პოლკმა და ქართველმა ჯარმა მდ. იორის ნაპირზე, სოფ. კაკაბეთთან, სასტიკად დაამარცხეს საქართველოში შემოსეული ავარიის ხანის აბრაგთა რაზმები. მათ მეთაურს, ომარხან ავარიელს თან ახლდა ქართული ფეოდალური რეაქციის ბურჯი—ალექსანდრე ერეკლეს ძე.

რუსთა და ქართველთა ერთობლივი ბრძოლით მოპოვებულმა გამარჯვებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ ხალხზე და დანერგა სიფუძვლიანი იმედი, რომ რუსეთის დახმარებით საქართველო კრიზისს თავს დააღწევდა და სამშვიდობო ცხოვრების გზაზე გამოვიდოდა.

1800 წ. ბოლოს გიორგი მეფე ლოგინად ჩავარდა. იმ ხანად უმაღლესი ხელისუფლება თანდათან გადადიოდა პავლე იმპერატორის მიერ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე დანიშნული ელჩის პეტრე კოვალენსკისა და რუსის ჯარის მეთაურის გენ. ლაზარევის ხელში. ასეთ მომენტში განხეთქილება ქვეყნის შიგნით კიდევ უფრო ღრმავდებოდა. გიორგი მეფის სიკვდილის მოლოდინში მოწინააღმდეგე პარტიები აქტიურდებოდნენ და ამით უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ სახელმწიფოს არსებობას ქართლ-კახეთში.

მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საყრდენ ძალად რუსთა რაზმები იქცნენ, ამ სახელმწიფოს შემდგომი არსებობის ბედს უკვე რუსეთის იმპერატორი სწყვეტდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

ქართლ-კახეთის მესვეურები რუსეთისაგან მეტ დახმარებასა და მეტი ჯარის გამოგზავნას მოითხოვდნენ, მაგრამ ისინი სრულებით არ ფიქრობდნენ ხელის აღებას საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე თუ შეზღუდულ ავტონომიურ თვითმმართველობაზე. იმავე დროს პავლე იმპერატორის მთავრობა

ხედავდა ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას და ამ სამეფოს სრული გაუქმებისათვის ხელსაყრელ მომენტს-ღა ელოდა. ეს დროც დადგა: 1800 წ. 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა.

გიორგის შემდეგ, თანახმად დადებული პირობისა, რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის მეფედ დავით გიორგის ძე უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ პავლე იმპერატორს გიორგის სიცოცხლეშივე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლება მოესპო და ეს ქვეყანა რუსეთის გუბერნიად გამოეცხადებინა. ამიტომ დავით ბატონიშვილი, ვითომდა მეფედ დამტკიცების მოლოდინში, ქვეყნის დროებით მმართველად სცნეს.

1801 წ. 18 იანვარს პეტერბურგსა და მოსკოვში გამოქვეყნდა პავლე პირველის მანიფესტი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად ცხადდებოდა. ეს მანიფესტი თბილისში გამოქვეყნდა იმავე წლის 16-17 თებერვალს. მაგრამ ეს ახალი ვითარება საქართველოს ცხოვრებაში ჯერ კიდევ რეალურად არ შესულიყო, რომ 1801 წლის 11 მარტს მოკვდა რუსეთის იმპერატორი პავლე.

ტახტზე ავიდა ალექსანდრე I, ამას თან მოჰყვა შეცვლა რუსეთის საფრანგეთთან ურთიერთობისა. ალექსანდრემ მოშალა პავლეს დროს დაწყებული ლაშქრობა ინდოეთისაკენ და კავშირი გააბა ინგლისთან. ამასთან დაკავშირებით რუსეთის სახელმწიფო საბჭომ საქართველოს შემოერთების საკითხი ხელახლა განიხილა. პეტერბურგში გაითვალისწინეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს რუსეთისათვის, უარყვეს მისი ავტონომიური მმართველობა და ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარება გადაწყვიტეს. ეს მოხდა 1801 წ. აგვისტო-სექტემბერში. 1801 წ. 12 სექტემბერს გამოქვეყნდა ახალი მანიფესტიც, ქართლ-კახეთის შეერთების შესახებ. 1802 წლის აპრილში ეს მანიფესტი გამოცხადებულ იქნა თბილისში და ქართლ-კახეთის სხვა ადგილებში.

ამრიგად გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო. ეს ფაქტი მოასწავებდა დიდ მარცხს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ, ამასთანავე, 1801 წლის აქტი იყო ამ მარცხიდან გამოსავალი ერთადერთი სწორი გზა. სწორედ ასე ესმოდა ეს აქტი, როგორც იმ დროის, ისე შემდგომი ხანის ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა პროგრესულ ნაწილს. რუსეთთან შეერთება საქართველოსათვის იმ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი იყო. და მართლაც, ეს რომ არ მომხდარიყო, ჩვენს ქვეყანას ირანის ან ოსმალეთის ბარბაროსული სახელმწიფოები დაიპყრობდნენ და ორსავე შემთხვევაში საქართველოს ეროვნული გადაშენება ელოდა.

1801 წლის აქტით საქართველო, დიდი მსხვერპლის ფასად, პ რ ო გ რ ე ს უ ლ რუსეთს შეუერთდა. ამით იგი საბოლოო განადგურებას გადაურჩა.

1801 წლიდან მოყოლებული, საქართველო თანდათანობით გაერთიანდა მეფის რუსეთის მფლობელობაში და მშვიდობიანი განვითარების გზაზე გამოვიდა. ქართველი ხალხი დაუახლოვდა დიდ რუს ხალხს. მან განიცადა არა მარტო მძიმე ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრა თვითმპყრობელობის მხრივ, არამედ რუსი ხალხის კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების დიდი პროგრესული გავ-

ლენაც. მას შემდეგ ქართველები და რუსები თანდათან გაერთიანდნენ როგორც საერთო საგარეო მტრების, ისე შინაური მჩაგვრელების — ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შემდგომმა ისტორიულმა განვითარებამ ნათლად დაადასტურა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებას ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

დიდ რუს ხალხთან კავშირში და მისი დახმარებით ქართველმა ხალხმა, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, მოიპოვა შეუზღუდველი თავისუფლება და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში თავისი ბედნიერი მომავალი სამარადისოდ უზრუნველყო.

თ ა ვ ი XXIV

კულტურა XVIII ს. მეორე ნახევარში

§ 1. ქართული საზოგადოებრიობა XVIII ს. მეორე ნახევარში

იმ ხანად ქართველი ხალხის დამოუკიდებელი არსებობის ძირითადი საკითხები წყდებოდა. პოლიტიკის სფეროში უმთავრესი იყო რუსეთთან ურთიერთობის ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგება. მოწინავე ადამიანები რაზმავდნენ რუსეთის ორიენტაციის მომხრეებს, თავგამეტებით ებრძოდნენ ოსმალოს მოიმედეებს.. „თათრული“ ტრადიციების მიმდევრებს. პროგრესის მცველთა მთელი თაობების ღვაწლით უკვე არჩეული და საკმაოდ გაკაფული იყო ერთადერთი სწორი გზა. გზა — აზიიდან რუსეთისაკენ წამყვანი. მაგრამ კიდევ მძიმე შრომა იყო საჭირო, რათა ყველასათვის ნათელი გამხდარიყო ამ გზის დიადი ისტორიული დანიშნულება, რუსი და ქართველი ხალხების სასიცოცხლო ინტერესთა იგივეობა, ამ ხალხთა კულტურული, რელიგიურ-სულიერი ნათესაობა. ამ გზაზე დადგომას, ცხადია, უფრთხოდნენ სწორედ სოციალურ-ეკონომიური პროგრესის მტრები, თავადური რეაქციის ქომაგნი.

ბრძოლის იდეოლოგიური ხელმძღვანელები

ქართლ-კახეთის რუსეთთან დაკავშირების აზრის დამცველად მმართველ წრეებში გამოდიოდა, პირველ ყოვლისა, თვითონ მეფე ერეკლე. ის მოქმედებდა იმ რწმენით, რომ რუსეთთან კავშირი იყო სურვილი მთელი „ჩვენის ქვეყნის კაცთა, დიდთა და მცირეთა“.

შთამომავლობამ (ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე და სხვ.) ერეკლეს მრავალმხრივ მოღვაწეობაში ყველაზე უფრო დასაფასებლად მიიჩნია ქართველი ხალხის რუსეთთან დაკავშირება. ერეკლეს წერილობით მემკვიდრეობაშიც უდიდეს ძეგლად რჩება მისი ხელმძღვანელობით შედგენილი 1783 წლის ტრაქტატი, ანუ „მეგობრობითი პირობა“.

მაშინდელი ქართული ენით რომ ვთქვათ, მოწინავე რუსეთი თვით წარმოადგენდა „ე ვ რ ო პ ი ა ს“. იმავე დროს ერეკლე, ეკატერინეს გენერლის პავლე პოტიომკინის დახასიათებით, იყო დიდი „მოსწრაფე თავისი ხალხის ევროპულ რიგზე გარდაქმნისა“.

საერთოდ, ერეკლე თვითონაც კარგი განათლების მქონე მოღვაწე იყო. ქართული დიპლომატიკის ძეგლებში მკაფიოდ გამოირჩევა მის მიერ გაცემული ბრძანების წიგნები; ერეკლეს „ოქმებს“, განკარგულებებს ზედ აჩნევია მისი ცოდნა.

ცნობილია, რომ თანამედროვეები, შინაური თუ გარეული, ერთხმად აღიარებდნენ ერეკლეს ხელმძღვანელობის პოლიტიკურსა და სამხედრო ღირსებებს. დამფასებელთა შორის იყვნენ არა მარტო თურქთა თუ სპარსთა მეფეები (სულთანი მაჰმუდი, ყაენი ქერიმ-ხანი და სხვ.), ან დასავლეთი ევროპის ოფიციალური პირები, არამედ რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენლებიც, კერძოდ, ეკატერინე და მისი მოხელეები.

პოტიომკინის დახასიათებით, ერეკლეს ჰქონდა გამჭრიახი თვალი, გონებამახვილი დიპლომატის თვისებები, ნათელი გონება, იშვიათი მომთმინეობა; იგი იყო საოცრად გამრჯელი, მთელი ღამეობით ფხიზელ-მღვიძარე, მუდამ სახელმწიფო საქმეებზე მდგომი და ა. შ.

გარსევან ჭავჭავაძე

იმ დროს ქართლ-კახეთის მოწინავე ოფიციალურ პირთაგან ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო იყო გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე (1751 — 1817), რუსეთის მომხრეთა აქტიური მეთაური, თანამდებობით ყაზახის მოურავი, მეფის ეშიკაღასბაში (ანუ, იმ დროის რუსული სამოხელეო ტერმინოლოგიით, გენერალ-ლეიტენანტი). მამამისს, რევაზ ჭავჭავაძესაც იცნობდნენ როგორც მეფის თანამებრძოლს, ნადირ-შაჰის ინდოეთს ლაშქრობაში ერეკლესთან ერთად მონაწილეს.

გარსევანის ოჯახი, მისი მეუღლე მარიამი, ცოლის ძმები სოლომონ ივანეს ძე ავალიშვილი და გიორგი (დრამატურგი, ეგვიპტეში ნამგზავრი და მგზავრობის აღმწერი) — ქართველ განათლებულ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ. მათ კარგად იცნობდნენ რუსულ წრეებშიც.

გარსევანი, ქართლ-კახეთის მეფის მისანდო ელჩი პეტერბურგის საიმპერატორო კარზე წლების განმავლობაში (1784—1802 წწ.), განუხრელად იბრძოდა ტრაქტატის განხორციელებისათვის, ხალხის მიერ მოწონებული საგარეო პოლიტიკის დაცვისათვის. ერეკლემ გარსევანი ეკატერინეს გააცნო როგორც საკუთარი „შვილი“ და ყოველ საქმეში „სარწმუნო“ კაცი.

გარსევანი სულ იმის ზრუნვაში იყო, რომ მისი დაუდევრობით საქვეყნო საქმე არ დაზიანებულიყო და თვით იგი არ გამხდარიყო შეამომავლობის საკიცხარ პირად „მომავალსა დროსა შინა“.

გარსევანი ბოლომდე დარჩა ტრაქტატის მუხლების პრინციპული დამცველი.

სოლომონ ლიონიძე

საზოგადოებაში დიდი გავლენით სარგებლობდა ერეკლეს მრჩეველი და „მსაჯული“ სოლომონ ლიონიძე (1754—1811 წწ.). მამამისი ანდრია თელავის სამეფო კარის მღვდელი იყო. სოლომონიც მეფის მდივანი გახდა და ნამსახურობის გამო ერეკლეს მიერ ქართველი თავადების წოდებაში იქნა ჩარიცხული. სოლომონი აღმოსავლურ

ენებს გირდა რუსულსაც ფლობდა. მან ქართულად თარგმნა სავარჯიშო წიგნი „რაზლოვორი“ ანუ „სასაუბრო“.

ის მხარს უჭერდა რუსეთთან კავშირს 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. მისი თაოსნობით დაიდო, როგორც ვიცით, ქართულ სამეფოებს შორის საკავშირო ხელშეკრულება (1790 წ.).

სოლომონის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა კარგად ჩანს იმ ვრცელ სამგლოვიარო სიტყვაში, რომელიც მან დიდი სიმჭევრით წარმოთქვა ერეკლეს დაკრძალვის დღეს. ამ სიტყვაში სოლომონმა დაახასიათა ქვეყნისთვის თავდადებული მეფე, როგორც „ჰერკულესი“ სარდალი, რომელმაც თავისი მაგალითით „საიგავოდ აქო, ადიდა სიმხნე ქართველთა ცათამდე“. რუსეთის პროგრესული როლის შესაფასებლად მან რიტორიკულად მიმართა ქართველობას: სანამ საქართველოს „დიდის როსიიდამ გამოჰყავს ლაშქარი, ციმბირიდამ მოჰყავს სამხედრო გუნდი, ვის შეუძლიან შენი დამდაბლებაო!“ ორატორმა პირუთვნელად აღიარა, რომ მეფის მემკვიდრეებში მას არ ეგულებოდა ერეკლეს ტოლი კაცი და ამიტომ დაებადა საკითხი: „ვის დროშას ვემსახურო“ და „ვისთვის ვიცოცხლოო“.

იესე ოსეს ძე ბარათაშვილი

დაბალი სოციალური წრეებიდან დაწინაურებულ ფენას ეკუთვნოდა იესე ოსეს ძე ბარათაშვილი (1728—1786 წწ.). იესეს, თბილისელი მღვდლის შვილს, ერეკლემ თავადობა მიანიჭა.

ამრიგად, სოლომონ ლიონიძის მსგავსად, მის მთავარ ძალას შეადგენდა არა „თანდაყოლილი“ წოდებრივი ბრწყინვალება და მამაპაპური ქონება, არამედ საკუთარი ჭკუა-გონება და თაოსნობა, რასაც თან ერთოდა კარგი განათლება. ქართლ-კახეთის დიდი სოციალურ-ეკონომიური კრიზისის პირობებში, გაკოტრებულ მემამულეთა ხარჯზე, იესე ოსეს ძემ შეძლო, უმნიშვნელო თანამდებობის მეოხებით, დიდი უძრავი ქონების შეძენა. იესემ შვილებს დაუტოვა საგულისხმო „ა ნ დ ე რ ძ ი“, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ მოძღვრებას, სწავლა-დარიგებას იმის შესახებ, თუ „უგვაროთა“ ახალ თაობას რა ხერხით და საშუალებით უნდა გაეკვლია გზა ფეოდალური საზოგადოების წინა რიგებში.

ანტონ I იესეს ძე

იმდროინდელი ქართველი საზოგადოების იდეოლოგიურ მეთაურთა შორის პროგრესის საერთო საქმეს თავდადებით და დიდი პატრიოტიზმით ემსახურებოდა ანტონ კათალიკოზი. იგი ერეკლეს უახლოესი თანამშრომელი და მისანდო ადამიანი იყო. ანტონმა თავისი დიდი ცოდნით და პრაქტიკული მოღვაწეობით ძალზე შეუწყო ხელი რუსული ენის და კულტურის, რუსული ორიენტაციის პოპულარიზაციას ქართველობაში.

ქართველი საზოგადოების პროგრესულ მისწრაფებათა განხორციელებას მოახმარა მან თავისი ნიჭი, მწიგნობრული უნარი, მისი ღვაწლით გაცხოველებული უმაღლესი სკოლის მუშაობა. მას ახასიათებდა უზომო შრომისუნარიანობა და დიდი რიტორული ნიჭი. მან გამოაცოცხლა, კერძოდ, ქართველი ხალხის ღვაწლმოსილ წინაპართა ისტორიული საქმენი, რომელთა შექება-შესწავ-

ლას უძღვნა, კერძოდ, ერთ-ერთი თავისი ორიგინალური ნაშრომი „წყობილსიტყვაობა“. ერეკლეს, როგორც განათლებული მონარქის, სახელი ანტონს ,ასად არ ავიწყდებოდა. თავის საენათმეცნიერო ნაშრომშიც („ღრამმატიკა“), ქვემდებარის დასახასიათებლად, მას მოსწავლეთათვის მოყვანილი აქვს ასეთი მაგალითი: „ირაკლი სჯის ბრძნებრ ყოველთა წინადადებათა სამეფოთა“.

§ 2. ქართული მეცნიერებისა და კულტურის სხვა წარმომადგენლები

XVIII ს. მეორე ნახევარში პროგრესისათვის მებრძოლ ქართველთა რიგები, საერთოდ, საკმაოდ ძლიერი იყვნენ შემოქმედი ძალებით. მათ შორის იდგნენ სხვადასხვა თანამდებობის, განათლებისა და სპეციალობის მოღვაწენი როგორც უფროსი თაობის, ისე უმცროსისაც, საერონიცა და სამღვდელონიც.

ქართული სამსაჯულოს მეთაურთა, მდივანბეგთა შორის, სოლომონ ლიონიძის გარდა, ცოდნით გამოირჩეოდა იოანე ორბელიანი, „სიბრძნესა შინა აღზრდილი“. მას საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ფილოსოფია, ასტრონომია, ფიზიკა, არითმეტიკა, ბუნების ისტორია. მდივანბეგი მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანი ძველი ფილოსოფიის მცოდნე და სამართლის დარგში გაწვრთნილი იყო.

იმ დროის მოწინავე წრეებს ეკუთვნოდნენ განათლებული ახალგაზრდები, პოეტები ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი), დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე მოსკოვში აღზრდილი დიმიტრი ციციშვილი (მამა 1803—1806 წლებში საქართველოში მოღვაწე გენერლის პავლე ც ი ც ი ა ნ ო ვ ი ს ა), რომელიც იყო ენებისა და მათემატიკური საგნების მცოდნე; დიმიტრი ბაგრატიონი, რომელმაც გალექსა თეიმურაზ I-ის დედის, შაჰ-აბასის მიერ წამებული ქეთევან დედოფლის ცხოვრება (XVII ს.); პაატა ანდრონიკაშვილი, რომელმაც მოსკოვს შეითვისა საარტილერიო ცოდნა, მათემატიკა, მხაზველობა, არტილერია და ფორტიფიკაცია. პაატა ერთ დროს ერეკლეს თანამებრძოლი იყო; მან თბილისს გამართა თოფხანა, სადაც ჩამოასხა სხვადასხვა ყალიბის ზარბაზნები; მის მიერ შექმნილ საარტილერიო სკოლაში სწავლობდა ორასი თოფჩი (არტილერისტი). თვით პაატას ერეკლესგან ნაბოძები ჰქონდა თოფჩიბაშის (მეთოფეთა უფროსის) წოდებულება.

როგორც პოლიტიკისა და განათლების სხვადასხვა დარგში, ისევე სამხედრო საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ადგილობრივმა სომეხმა მოღვაწეებმაც. პაატა, როგორც თოფჩიბაში, შეცვალა ვინმე „გაბრიელ სომეხმა“. ეს თოფჩიბაში და მისი ძმა თბილისის დაცვისას (1795 წ.) მეფე ერეკლეს „წინაშე დაიხოცნენ“ გმირულად და ამით მათ ქართველ პატრიოტებთან ერთად უკვდავჰყვეს თავისი სახელი.

საქართველოს ეკლესიასაც, რომელსაც კათალიკოზ-პატრიარქი ანტონი მეთაურობდა, თავის მხრივ, აგრეთვე ჰყავდა ცოდნითა და განათლებით ძლიერი მოღვაწეები. ამათ შორის იყო ანტონის მოწაფე გაიოზი, რომელმაც, ქართულს გარდა, იცოდა რუსული და ლათინური ენები და რომელსაც თითქოს 300 წიგნი უთარგმნია რუსულიდან. გაიოზის სახელი კარგად არის ცნობილი

იმდროინდელი ქართული სკოლების ისტორიაში. იოანე იოსეს შვილი, იესეს ძმა, აგრეთვე ანტონის მოწაფე, ცნობილი იყო, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა დავით ალექსის ძე მესხიშვილი, ცნობილი ლექტორთაგანი, რომელიც ასწავლიდა ფილოსოფიას და იმ დროს ქებული იყო, როგორც „ქართველთა შორის პირველი ისტორიკოსი“.

დასახელებული და ზოგიც სხვა ქართველი სასულიერო პირები ნაწილობრივ მუშაობდნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, მაგალითად, ქ. ვლადიმირს—ანტონი, ქ. პენზას — გაიოზი, ქ. იასს და მერმე კიევსა და მოსკოვს—იონა გედევანისშვილი.

ევროპის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი იდეების გამოძახილი საქართველოში

XVIII ს. მეორე ნახევარში საქართველო თანდათან ეცნობოდა ახალი (ბურჟუაზიული) ევროპის საზოგადოებრივ იდეებს. მოწინავე ქართველები, რომელთა შორისაც ბევრმა, აღმოსავლურ ენებს გარდა, შეიძინა ევროპული ენების ცოდნაც და ევროპულ-რუსული განათლება, გულმოდგინედ ეცნობოდნენ ევროპის აღმავალი ბურჟუაზიის საზოგადოებრივ მისწრაფებას. მის განმანათლებელ ფილოსოფიას. ეს ფილოსოფია, როგორც ცნობილია, ითმენდა აბსოლუტურ-მონარქიულ ხელისუფლებას, მაგრამ მოითხოვდა კაპიტალისტური მრეწველობისათვის საჭირო რეფორმებს.

ქართულ მწერლობაში თანდათან იკვლევდა გზას სხვადასხვა ახალი შეხედულება, სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები, ცნებები. თანდათან გავრცელდა სიტყვები: ს ა ზ ო გ ა დ ო ო ბ ა (მონარქიის საპირისპიროდ) და რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა; გამოუჩნდნენ მთარგმნელები და მიმბაძველები ბურჟუაზიულ ენციკლოპედისტებს; მოეძებნენ თანამგრძნობელნიცა და განმაქიქებელნიც მაშინ ახალგაზრდა ნაპოლეონსა და „უღმერთო“ ვოლტერს; ცნობილი გახდა მონტესკიე და მისი „კანონთა სული“, ყურადღების საგნად იქცნენ „გ ა ზ ე თ ი“, „ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა ი“; განახლება შემოვიდა სკოლებში, სასწავლო პროგრამებში; საზოგადოებაში გამოჩნდა ახალი ტიპის ოჯახი; გაჩნდა განათლებული ქართველი ქალი, პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილე, საჯარო ადგილებზე უკვე „უმანდილოდ“ მიმავალი და ხელთ მარაოს მქონე.

ალექსანდრე ამილახვარი

სხვადასხვა საზოგადოებრივ ინტერესებს თავ-თავისი გამომხატველი ახალგაზრდები გამოუჩნდნენ. ამათგან ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარმა, ერეკლესაგან ტახტისათვის ბრძოლაში დამარცხებული დასის მონაწილემ, შექმნა სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ნაშრომი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ (1769—1784 წწ. დაწერილი).

ეს ნაწარმოები მკაფიოდ გამოხატავს ქართლ-კახეთის რეაქციული წრეების. გამარჯვებული მეფის მიერ შევიწროებული თავადობის მისწრაფებას. ავტორი იცნობდა ევროპის განმანათლებელთა კრიტიკულ დამოკიდებულებას მეფის ხელისუფლებისადმი და თვითონაც გაბედულად გამოვიდა მეფის ხელისუფლების კრიტიკით, მან მოითხოვა მეფის უფლების შეზღუდვა. მაგრამ, ავტორის აზრით, მეფე თავადებს (და არა ხალხს) უნდა შეეზღუდათ; მეფეს მართვა-გამგეობაში

წილი უნდა დაედო ფეოდალური სახლებისთვის, მათი დახმარებით უნდა წარემართა სამეფოს საქმეები.

ალექსანდრე ამილახვრის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „გეორგიანული (ესე იგი „ქართველური") ისტორია" მოგვითხრობს „მარკოზაშვილის დარბაზელთა" შეთქმულების მძიმე ამბავს. პოლიტიკური ჟინით აღგზნებული ავტორი არ ერიდება ერეკლეს უსაფუძვლო აუგსაც.

ალექსანდრე ამილახვარი, ქართულს გარდა, რუსულ ენასა და განათლებასაც იყო დაუფლებული.

დავით და იოანე ბაგრატიონები

განათლებულ ქართველთა ახალ თაობას ეკუთვნოდნენ. სხვებთან ერთად, გამოჩენილი მწერლები დავით (1767—1819) და იოანე (1772—1830) ბაგრატიონები. როგორც ერეკლეს შვილიშვილები და გიორგის შვილები, ისინი ძალზე კარგად იცნობდნენ თავიანთი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას, სასახლეს, მასთან დაკავშირებულ დიპლომატებს, რუსის მოხელეებს. მეფისწულები უშუალო მონაწილენი და მეთაურები იყვნენ სახელმწიფო-სამხედრო თუ სამოსამართლო ცხოვრებისა. სამეფო კარის ძველი ტრადიციების თანახმად, მათ მიღებული ჰქონდათ იმდროინდელი ქართული უმაღლესი განათლება, XVIII ს-ში უკვე გაპოხიერებული რუსულ-ევროპული სკოლის მრავალი მიღწევით.

დავითმა და იოანემ, ქართული მწიგნობრობის სხვა მოღვაწეებთან ერთად, ხელი შეუწყეს, დიდი წვლილის შეტანით, მშობლიური მწერლობის, მეცნიერების, სასკოლო დისციპლინების დამუშავებას და გამდიდრებას. რუსეთთან შეერთების შემდეგ უკვე მოწიფული ძმები, სხვა მრავალრიცხოვან ძმებთან, ბიძებთან და ბიძაშვილებთან — ერეკლესა და გიორგის სამეფო სახლის წევრებთან— ერთად რუსეთს იქნენ გადასახლებული. მათ იქ დიდი წარმატებით განაგრძეს სამშობლოში დაწყებული კულტურული საქმე; ფართოდ გამოიყენეს სიჭაბუკეშივე შეძენილი უმაღლესი ცოდნა, საქართველოდან თან წაღებული ძვირფასი ბიბლიოთეკები.

დავითის მრავალრიცხოვან ნაშრომებში გამოირჩევა რუსულიდან ნათარგმნი მ ო ნ ტ ე ს კ ი ე ს „კანონთა სული". მან რუსეთის მთავრობას საკუთარი პროექტიც წარუდგინა, თუ როგორ უნდა მოხერხებულიყო, მისი აზრით, ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა.

იოანე გიორგის ძემ, თავის მხრივ, დიდი მონაწილეობა მიიღო „ქართლის ბედის" ირგვლივ გაშლილ იდეოლოგიურ ჭიდილში. მისი კაპიტალური ნაშრომი „კალმასობა" წარმოადგენს ადრინდელი ტიპის ენციკლოპედიას. იოანე, ისევე როგორც ბევრი მისი თანამემამულე, გაიმსჭვალა, ევროპის გამანათლებელთა მსგავსად, მაშინ გაბატონებული აზრით, რომ ხალხის კეთილდღეობის, ენისა და კულტურის გადარჩენის საწინდარი ისევ ცოდნა და განათლებაა. ამიტომ მან „კალმასობაში" მკაფიოდ გამოხატა ქართველი ხალხის, სოციალური კლასების, წოდებათა (აზნაურები, ეკლესიის მსახურნი, მეფის ოჯახის წევრები, ვაჭრები და სხვ.) ყოფა-ცხოვრებაც; კრიტიკულად შეაფასა ძველი წეს-ჩვეულების, დრომოჭმულ შეხედულებათა მიმდევარი, რეაქციონერი თავადები, საერთოდ მებატონეები; ამხილა მათი ულმობელობა გლეხების მიმართ: გაჰკიც-

ხა ის ჩამორჩენილი ქართველები, რომელთა წრიდანაც შემდეგში მრავლად გამოდიოდნენ უვიცი და ეგოისტი თათქარიძეები. ერთ თავად იოანემ თავის წიგნში ასე დასცინა: ცხენების მოვლა კარგი გცოდნიათ. საკუთარი ბავშვების აღზრდა კი დაგივიწყნიათ, თითო თქვენ ცხენს თითო მომვლელი ჰყავს, ხოლო ბავშვები უმეთვალყურეოდ ეზოში ყრიან და არ სწავლობენ. ერთი დიდი ქართველი მოხელის ვაჟიშვილი, სახელად ფლორე, მისი სიბრიყვისთვის მწარე სატირის საგნად აქცია იოანემ. ფლორეს საპატიო სტუმრებთან ხმამაღლა უთქვამს: „მე ცოლი მირჩევნია რომ შევირთო, მამას არ უნდა ბერობა და პაპას, რად მინდა წიგნი ვისწავლო და მეცნიერებაო“. პირიქით, იოანემ დიდი თანაგრძნობით დახატა ის ქართველი მოწაფეები, რომელნიც წარმატებით სწავლობდნენ იმ ხანებში თელავის ერთ-ერთ სკოლაში. იოანემ, როგორც კარგმა პატრიოტმა, საერთოდ ქართული სკოლის საკეთილდღეოდ ბევრი რამ საყურადღებო დასწერა და გააკეთა. მან დაგმო მეჩრთამე მსაჯულებიც, ხვეისი ნაოფლარის მტაცებელნიც, ხამშობლო ქვეყნის ორგულნიც. იგი გამოექომაგა პატრიარქალურ ოჯახებში დაბეჩავებულ ქართველ ქალსაც, მოითხოვა მისთვის განათლების მიცემა, მისდამი პატივისცემა.

§ 3. ქართული სკოლები, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა, სტამბა

განათლება

XV—XVIII სს. ქართული სკოლები კერძო პირთა თაოსნობით მოქმედებდნენ. XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან კი საქართველოში **საეროსწავლო სკოლებიც** დაარსდა. ასეთი იყო ფილოსოფიის სემინარიები, შექმნილი ჯერ თბილისს (1755 წ.) და მერე თელავს (1782 წ.). მათი სასწავლო გეგმები რუსეთიდან იყო გადმოღებული. სემინარიებს განაგებდნენ **რექტორები**, რომელთაც სამეფო სალაროდან ეძლეოდათ ხელფასი. რექტორთაგან ხალხმა სხვებზე უფრო დაიმახსოვრა თელავის სემინარიის მმართველი დავით ალექსიძე-მესხიშვილი, რომელსაც პირდაპირ **დავით რექტორს** ეძახდნენ.

თბილისის სემინარია მოთავსებული იყო ანჩისხატის ეზოში. იქ ასწავლიდნენ. საეკლესიოს გარდა, „თავისუფალ“ საგნებსაც: გრამატიკას, პიიტიკას, რიტორიკას, ლოგიკას, კატეგორიებს (არისტოტელისა), მეტაფიზიკას, ფიზიკას, ზნეობით ფილოსოფიას.

სასკოლო მოღვაწეთა უფროს თაობას ეკუთვნოდნენ ანტონ I, ფილიპე ყაითმაზაშვილი (თბილისის სემინარიის პირველი რექტორი), ანტონის მოწაფე გაიოზი (იმავე სემინარიის მეორე რექტორი), დავით რექტორი და სხვ.

სასკოლო საახელმძღვანელოების, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის შექმნაში ანტონს დიდი ხელმძღვანელი როლი და საავტორო შრომა მიუძღოდა. ანტონის კალამს, გარდა „ღრამმატიკისა“, ეკუთვნის რუსულიდან თარგმნილი შრომები ეოლფისა, ბაუმეისტერისა და სხვ. მის მიერვეა შედგენილი „სპეკალი“ (სიტყვა-სიტყვით — პატიოსანი ანუ ძვირფასი თვალი), რომელშიც გადმოცემულია ფილოსოფიის დარგები, დიალექტიკა, ფსიქოლოგია და სხვ. ამ

წიგნში წარმოდგენილი არიან, არისტოტელეს, პლატონის და სხვა ფილოსოფოსთა გარდა, ქართველი სიბრძნისმეტყველნიც (იონე პეტრიწი), სომეხნიც (აკიმეონ ჯულფელი) და სხვ. ანტონის ამ შრომას წინ უძღვის მისი თანამოკალმის, ტიმოთე გაბაშვილის წინასიტყვაობა.

თბილისისა და თელავის სემინარიებში ბევრი ქართველი მეცნიერი, მდივან-მწიგნობარი, კალიგრაფი, მგალობელი და სხვა დარგის მოღვაწე გამოზარდა. თელავის სემინარიიდან იყო, კერძოდ, იონა ხელაშვილი, ქართველი მწიგნობარი, რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ პეტერბურგს გადაიტანა თავისი პატრიოტული საქმიანობა. იქ მან უმაღლესი სასულიერო განათლება მიიღო და იქვე, პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღზარდა ცნობილი ქართველი მწიგნობარი, პედაგოგი და ლიტერატორი სოლომონ დოდაშვილი, „ლოგიკის“ სახელმძღვანელოს ავტორი, პირველი ქართული ჟურნალის დამაარსებელი.

რუსული ენის სწავლება

რუსული ენის მცოდნეთა რიცხვი სწრაფად მატულობდა. ურთიერთობა რუსეთთან და რუს მოღვაწეებთან, ქართული კოლონიების ზრდა მოსკოვს, პეტერბურგს და რუსეთის სხვა ქალაქებში, რუსულ კულტურასთან დაახლოვება, თარგმნილი ლიტერატურის საჭიროება — ყოველივე ეს თავისთავად იწვევდა რუსული ენის გავრცელებას ქართველთა შორის. რუსულიდან სხვადასხვაგვარი ნაშრომები ითარგმნებოდა. როდესაც ერეკლემ განიზრახა სახელმწიფო აპარატის, მმართველობითი ორგანოების გადახალისება, გადმოაქართულეს პეტრე მეფის „დებულება“ საიმპერიო კ ო ლ ე გ ი ე ბ ი ს (სამინისტროების) წესახებ. ითარგმნა აგრეთვე პედაგოგიური ნაშრომები, კერძოდ, რუსულ-ქართული ანბანი, რუსულისა და ქართულის შესაწავლად ქრისტეფორე გურამიშვილის მიერ შედგენილი და პეტერბურგს დაბეჭდილი (1737 წ.).

თეოფანე პროკოპოვიჩის, პეტრეს თანამედროვე მოღვაწის, შრომა „პირველი ს ა ს წ ა ვ ლ ო ყ რ მ ა თ ა“, თარგმნილი გაბრიელ ჩხეიძის მიერ ქ. მოსკოვს, დაიბეჭდა (1739 წ.) იქვე, ქართულ სტამბაში, რომელიც მოთავსებული იყო არჩილ მეფის ასულის დარეჯანის სასახლეში, ვსესვიატსკოეში. წიგნში მოთავსებულია ანბანი და სასწავლო მასალა და განმარტებულია სწავლის დიდი მნიშვნელობა.

დიდი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი და გეოგრაფი ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი რუსეთის სამეცნიერო წრეებში ცნობილი ავტორი იყო. მისი მრავალი მეცნიერული მიღწევა თავის დროზე გამოიყენეს, კერძოდ, რუსმა ისტორიკოსმა ტატიშჩევმა და ასტრონომიის პროფესორმა დელილმა. ვახუშტიმ, სხვათა შორის, თარგმნა რუსული „მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია“ რომლის შინაარსი თვითონ შეაჯმო. ამავე დარგის სხვა ნაშრომი „გეოგრაფია, ანუ ქვეყნის სიმრგვლის მოკლე აღწერა“ გადმოაქართულა გაბრიელ გელოვანმა. ერეკლე მეფის ბრძანებით თარგმნილ იქნა „სამხედრო წესდება“.

საერთოდ, XVIII საუკუნეში რუსულიდან ნათარგმნი ნაშრომები მრავალფეროვანია. მათ შორის ირიცხება, სხვათა შორის, ეკატერინეს „ნაკაზი“ (ეს იგი „განაწესი“), რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ამ მეფის მიერ მოწვეულ საკანონმდებლო კომისიას და სხვ.

დიმიტრი ციციშვილმა რუსულად დაბეჭდა ორიგინალური ნაშრომი, რომელის სათაური ქართულად ასე იქნებოდა: „სამეჯნო მიწისმზომელობის მოკლე მათემატიკური ახსნა“.

ქართული ისტორიოგრაფია

ქართველი ხალხის ისტორიის აღმწერლობა ანუ ისტორიოგრაფია თავის ადგილს იკავებდა სეკრეტარიატთან საგანმანათლებლო მუშაობაში. ვახუშტის დიდი საქმის გამგრძელებელთა შორის ერეკლეს მეფობის დროის აღწერას მიუძღვნეს თავისი ნაშრომები პაპუნა ორბელიანმა, ომან ხერხეულიძემ და ზოგმა სხვამ. სხვებზე მეტი მნიშვნელობა აქვს მათ შორის პაპუნას ნაშრომს. ის მკაფიოდ და საქმის კარგი ცოდნით აღწერს, მეტადრე, პოლიტიკურსა და სამხედრო ამბებს. ავტორი მწუხარედ აუწყებს მკითხველს, რომ მას უხდება ქართველი ხალხის მეტად მძიმე თავგადასავლის თხრობა. იგი წერს, რომ თითქმის „არაოდეს ყოფილ არიან ესეოვითარნი იწროებანი „საქართველოს ცხოვრებაში“, დამპყრობელთა ასეთი „მალიადნი ცვალებანი“. პაპუნა განმარტავა თავისი ნაშრომის პატრიოტულ-აღმზრდელობით მნიშვნელობას; ის ისტორიას წერს იმ მიზნით, რომ „მოზარდულთა“ (ესე იგი მოზარდმა თაობამ) შეისწავლონ თავიანთი სამშობლოს მიერ გადატანილი „ჭირნი და იწროებანი“ და ფხიზელ დარაჯებად ემსახურონ მას მომავალში.

ანტონს, სხვა ისტორიულ ნაშრომთა შორის, შეუდგენია სკოლებში სახმარებლად „მოკლე ისტორია საქართველოსი“. ერეკლეს და გიორგის მეფობის დრო და მომდევნო წლები აღწერეს დავითმა და მისმა ძმამ ბაგრატმა, გიორგი მეფის შვილებმა.

ქართული სტამბები

თბილისში ვახტანგისდროინდელი სტამბა შემდგომ დამდგარ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ჩაკვდა. ერეკლე-თეიმურაზის დროს ის აღდგენილ იქნა (1749 წ.). პირველი სამი წლის მანძილზე (1749—1751) ამ სტამბაში დაიბეჭდა 7400-მდე წიგნი, ხოლო შემდეგ (1728—1795 წწ.) — 10000 წიგნი. სტამბის მუშაკთაგან დიდი ღვაწლი დასდო ამ საქმეს ქრისტეფორე კეკერაშვილმა, რომელსაც ერეკლესგან ჩაბარებული ჰქონდა სტამბია „განმგეობა და ზედამხედველობა“. სტამბა აკრებულ იქნა, თბილისთან ერთად, აღა-მაჰმად-ხანის მიერ.

ქართული სტამბები რუსეთშიც მოქმედებდნენ. 1742 წელს მოსკოვში ბაქარის რედაქტორობით დაიბეჭდა, პირველად ქართულ ენაზე, ხუცური ანბანით, „დაბადება“ („ბიბლია“).

§ 4. ლიტერატურა და ხელოვნება

მხატვრული ლიტერატურა

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მხატვრული ლიტერატურა გამდიდრდა პოეტური შემოქმედების ახალი ნიმუშებით. დავით გურამიშვილის (1705—1792) დიდი პოეტური შემოქმედება გაიშალა მისი მშფოთვარე ცხოვრებია მეორე ნახევარში, უკვე უკრაინას (დაახლოებით 1763 წლიდან). აღორძინების ხანის ლიტერატურაში რეალისტური ტენდენციების დამამკვიდრებელმა

დავითმა შექმნა ლექსთა ძვირფასი კრებული, რომელიც ცნობილია პოეტიანად სახელით — „დავითიანი“.

დავითი კარგი განათლების, ცხოვრების დიდი გამოცდილების და ძალიან პატრიოტული გრძნობის მქონე მწერალი იყო. ის ზედმიწევნით იცნობდა ქართველი ხალხის ჭირ-ვარამს, მის ისტორიას, მის ზნე-ჩვეულებას, პოლიტიკის საკითხებს, სკოლის საჭიროებას, ქართველი მოზარდი თაობის აღზრდის პირობებს. გურამიშვილმა ყოველივე ეს ასახა სხარტულად, სადა და თან ფერადოვანი ხალხური სასაუბრო ენით.

დავითი მშობლიური ზრუნვით, მასწავლებლური დარიგებით მიმართავს მომავალ სოციალურ და პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმულ მომავლებს და სთხოვს:

არ დაღუპონ თავიანთი მომავალი, არც ომში და არც სიმშილში არ გადაადგილოს სწავლა-განათლება. პოეტმა სადა ქართულით გამოთქვა უდიდესი ჭეშმარიტება:

„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“.

გურამიშვილმა გამოიჩინა ისტორიკოსის კარგი ალღო. პოემაში „ქართლის ჭირი“ მან მხატვრულად აღწერა ვახტანგ VI-ის ჭირნახული მეფობა, პეტრე იმპერატორთან მისი ურთიერთობა, მოსკოვს გადასახლება; ქართლ-კახეთში ფეოდალური შფოთი; თბილისის აღება კახთა მეფის კონსტანტინეს ძიერ და ა. შ.

„დავითიანში“ კარგად აისახა დიდი პოეტის დრამატული თავგადასავალი. მისი დაღისტნელ აბრაგთა მიერ ტყვედ გატაცება, მოსკოვს გაქცევა და იქ ჩასვლა; რუსეთს მისი სამხედრო სამსახური, ომებში მონაწილეობა; 30 წლის განმავლობაში ცხოვრება უკრაინის ქ. მირგოროდის რაიონის ს. ზუბოვკაში, სადაც ის გარდაიცვალა კიდევაც (I. VIII. 1792 წ.).

დავითი დიდი გულისყურით მოეკიდა რუსულ-ევროპულ კულტურას. შეისწავლა რუსული და უკრაინული ენები, კარგად გამოიყენა სლავ ხალხთა ლექსთწყობის წესები ქართული პოეტური ფორმების გასამდიდრებლად.

ქართული ლექსთწყობის ძველი წესების გადამხალისებელი პოეტი იყო დავითის თანამედროვე მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. მან დასწერა პოეტური ფორმების შესასწავლი წიგნი „ჭაშნიკი“.

ბ ე ს ი კ ი ანუ ბესარიონ ზაქარიას ძე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი (1750—1791) თავისი დროის სახელმოხვეჭილი პოეტი იყო. სწავლა მას ერეკლე II-ის კარზე ჰქონდა მიღებული. ნიჭმა და განათლებამ, ენების ცოდნამ ბესიკს გზა გაუხსნა როგორც დიდ ქართულ მწერლობაში, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე. თავის ცხოვრების უკანასკნელ წლებში, 1777 წლიდან, იგი ირიცხებოდა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარზე; მისი დიპლომატიური დავალებით იმგზავრა სპარსეთსა და რუსეთს; ერთ ხანს დაჰყო კრემენჩუგს (უკრაინა, პოლტავის ოლქი), კიშინევსა და იასს (სადაც დაიკრძალა კიდევაც).

ბესიკს, გარდა სატრფიალო ლირიკისა, ეკუთვნის რამდენიმე პოემა, რომლებშიც ასახულია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ერთი მათგანი, „ასპინძისათვის“ ავტორმა მიუძღვნა ამ ბრძოლის მონაწილეს, ერეკლეს სიძესა და თანამებრძოლს, სარდალ დავით ორბელიანს. პოემაში ჩანს თვით მეფე ერეკლე:

„ითვით მეფე, ქართველ და კახნი ომის ხალისით ხლდებოდენ“.

ჩანს რუსული მხედრობაც:

„რუსნიცა წითელ-მწვანითა და ლურჯით შეხამდებოდნენ,
თითბრის ჩანთანი ბრწყინავდენ, ვარსკვლავთა ეგვანებოდენ“.

ჩანს ბრძოლის ველიდან უკან წამოსული ტოტლებენიც:

„ღრაფი ჯარით გამობრუნდა — მით სახელი ვერა იქო —
„სხვა პასუხი არვის მისცა: სითაც მოველ, წავალ იქო“.

შარმტაცი ფერებით არის დახატული ომის მსვლელობა, დავით სარდლის გმირობა და ქართველთა გამარჯვება.

სხვა პოემაში მოთხრობილია რუხის ბრძოლა, სოლომონ იმერთა მეფის ბიერ ძლევამოსილად გადახდილი.

პოეტი არუთინ საიათნოვა (დაიბ. 1712 წ. ახლოს, გარდ. 1801), ეროვნებით სომეხი, დაიბადა ქვემო ქართლს და აღიზარდა თბილისს. იყო ქალაქის მოსახლეობაში განთქმული აშუღი (დამკვრელ-მომღერალი). ლექსებს ერთნაირი ხალისით წერდა სომხურადაც, ქართულადაც და აზერბაიჯანულადაც. ისე შეეზარდა ქართველობას, რომ აზერბაიჯნულად გამოთქვა: „ჩემი სამშობლო თბილისია, მხარე ქართლისა“.

ერთ დროს (1758—1765 წწ.) საიათნოვა მეფე ერეკლეს ჰყავდა კარის აშუღად. საიათნოვამ ერთ თავის ქართულ ლექსში აღნიშნა, რომ ის იყო:

„მეფეთაგან მეჯლიშს მიწოდებული,
„თავადებთან პატივცემით შვებული,
„ალისფერის კაბით განშვენებული“.

სხვა ლექსში იგი თავმომწონედ აცხადებს, „საქართველოს მეფის საზანდარი ვარო“.

ხელოვნება

ქართველმა ხალხმა ფეოდალური მშფოთვარებისა და გარეშე მტრებთან დაძაბული ომიანობის პირობებშიც კი ბოლომდე შეინარჩუნა ცხოველი ინტერესი და სიყვარული ხელოვნებისადმი, აქტიური შემოქმედებისადმი, ამას მოწმობენ დღემდე მეტ-ნაკლებად შემორჩენილი ძეგლები ხუროთმოძღვრებისა (საცხოვრებელი შენობები, ციხე-გალავნები და კოშკები, მღვიმე-გამოქვაბულნი, საყდრები), ქანდაკებისა, მხატვრობისა და ა. შ.

ადრეინდელი ხუროთმოძღვრების ნიმუშები არ არიან ისე დიდებული და მოხდენილი, როგორც, მაგალითად, ადრეფეოდალური ხანის ან განვითარებული ფეოდალიზმის საუკუნეთა ძეგლები, მაგრამ მათ მაინც აქვთ დიდი მიმზიდველობა. ეტყობათ ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითი გამბედაობა, ახალი ფორმების ძიების უნარი.

წინოწმინდას (საგარეჯოს რაიონი), ეკლესიის ეზოში დგას საბა ტუსიშვილისეული სახლი, რომელიც ამ სასულიერო პირისთვის აუგიათ (XVIII ს. 70-იან წწ.). ამ სახლის ზოგი დეტალი უკვე ევროპული არქიტექტურის მიბაძვით არის გაკეთებული.

ირანის ბატონობის პირობებში (XVI ს-დან) ქართულ ხუროთმოძღვრებაში თავი იჩინა სპარსულმა გავლენამ. მაგ., თლილი ქვის ნაცვლად ზოგ ნაგებობას, სპარსულის მიბაძვით, ამკობს უფრო იაფფასიანი აგურის პერანგი. აგურის

პერანგით არიან მოსილი ნინოწმინდის ეკლესიის სამრეკლო (XVI ს.). თბილისის ანჩისხატის სამრეკლო (1675 წ.), ქარვასლები — კერძოდ, „თეკლას ქარვასლა“ (XVIII ს. მეორე ნახევ.), აბანოები და სხვ. აგურისპერანგიანი თბილისისთვის ნიშანდობლივია ისრისებური ფორმა. აგურის წყობა, კუთხეები და საფასადო წიბოები ქმნიან ერთგვარ სახეებს, ფიგურებს და კარგ საერთო შესახედაობას.

თბილისი დამშვენებული იყო მდიდრული შენობებით. სასახლეთაგან ვახტანგისეული დააქციეს თურქებმა (1725 წ.), მეორე, როსტომისეული ეშალა ხურებოდა ერეკლე II-საც. ამ სასახლეში ერეკლემ, ხსვათა შორის, რუსული ღუმელი გააკეთებინა რუს ოსტატს. ეს სასახლე აღა-მაჰმად-ხანმა დაანგრია.

თბილისის სასახლეთაგან დღემდე შემორჩენილია, ავლაბარს, ერეკლეს მეუღლის დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი, რომელსაც „სარინო“ ეწოდება და რომელიც შექმნილია ერეკლეს მეფობაში (1776 წ.). ამ თავისებურ სასახლეს თან ახლავს კარის ეკლესია და სხვადასხვა სამნეო ნაგებობანი. ერეკლემ თელავს ააშენა ციხე და სასახლე.

იმ გამუდმებული ომიანობის ხანაში, ქართლ-კახეთის სამეფოში შვილობათა დაქცევა და დაზიანება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომ ქართველი ხალხის ნივთიერი სახსრები და ენერგია დიდი დაზოგვით უნდა დახარჯულიყო და უფრო გადაუდებელს, აღდგენითს, სარემონტო სამუშაოებს უნდა დასჯერებოდნენ. კერძოდ, თბილისში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა ჩატარებული. მაგალითად, დედაციხის, ნარიყალას სიმაგრე-კოშკების აღსადგენად. მეტეხის ბჭეები, მისი ტაძარი და მეფის სასახლე XVII ს-ში დამპყრობლებს ჩაუვარდათ ხელთ და ძლიერ დაზიანდნენ. მეტეხის მტრისგან განთავისუფლებას (1798 წ.) მოჰყვა მისი გალავნისა და იქვე ეკლესიის აღდგენა. ამას მეტყველებს ერეკლეს სახელით ტაძრის კედელზე ამოკვრილი წარწერა.

ასეთივე აღდგენითი მუშაობა ტარდებოდა საქართველოს ყოველ კუთხეში. იმავე დარეჯანის მიერ თბილის-ბოლნისის გზაზე (XVIII ს. დამლევს) აგებულ იქნა ქოლაგირის ციხე, რომელსაც აქვს სწორკუთხი გალავანი და დიდი ბურჯები.

მჭადიჯვარს, მუხრანსა და დუშეთს შორის, არის დიდი ეკლესია, რომლის გალავანიც აშენებულია 1746 წ.

1777 წ. აღდგენილ იქნა არა ერთხელ დაზიანებული ცაიშის ტაძარი სამეგრელოში. 1752 წ. რაჭის ერისთავმა როსტომმა სოფ. წესთან ააშენა ბარაკონის ტაძარი. ეს არის ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესია, თლილი ქვის პერანგიანი, მდიდრულად მოჩუქურთმებული. ბარაკონისთანა დიდი და თვალსაჩინო ნაგებობა ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების ოსტატებს მას შემდეგ აღარსად შეუქმნიათ.

ყოფა-ცხოვრება

ქართველ ხალხს თავდაცვისა და პროგრესისთვის ბრძოლაში კულტურული არსებობის უძველესი ტრადიციებიც ამხნევებდნენ. მისი ყოფა-ცხოვრება, ყოველდღიური შრომის პირობები, ჭირი და ლხინი სათანადო მიზანშეწონილსა და სურათოვან გამოხატულებას პოულობდნენ. საყოფაცხოვრებო მოვლენებს, ჩვეულებრივ, სხვადასხვა-

გვარად ასახავდნენ გლეხები, თავად-აზნაურები, სასულიერო პირები; ქალაქს თავისი ჩვეულება ჰქონდა, სოფელს — თავისი.

მაგალითად, თბილისის მოსახლეობამ მტერზე გამარჯვებით გამოწვეული ზეიმი ფერადოვანი და შინაარსიანი იცოდა. ზეიმის საყოველთაო მაუწყებელი იყო ზარბაზნების სროლა ნარიყალას ბჭეებიდან. ბრძოლის ველიდან მოჰქროდნენ ცხენოსანი მახარობლები. გამარჯვებულ ლაშქარს ქალაქი მორთულ-მოკაზმული ხვდებოდა: აივნები, ბანები და ქუჩები ფერადი ქეჩა-ნოხებით იყო მორთული; ქუჩები სავსე იყო ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი, მოსეირნე ქალ-ვაჟით. ღამ-ღამობით ქალაქს აშუქებდა „ჩირაღდანი“ (ილუმინაცია). ეკლესიის მსახურნი საზეიმო „პარაკლისს“ — გარკვეული წესის ლოცვას — აწყობდნენ სიონში. მეფეს მისალოცავი სიტყვით მიმართავდა ესა თუ ის ორატორი. იწყებოდა საერთო „მეჯლისი და ლხინი“. გულს ახარებდნენ მესაკრავენი.

სახალხო გასართობებში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ყ ე ე ნ ო ბ ა, რომელიც შორეული წარმოშობით საკულტო სანახაობას წარმოადგენდა და რომელშიც თავის დროზე გამოიხატებოდა მოსავლიანობის ღვთაების თაყვანისცემა. ამჯერად კი ხალხს მოქმედ პირად სასაცილო როლში გამოჰყავდა ყეენი (ირანის შაჰი). მაყურებლების წინაშე ყეენი გამოდიოდა განზრახ ვირზე უკუღმა შემჯდარი, სახეშემურული, გადაბრუნებული ტყაპუჭით მოსილი. ყეენს მოსდევდა ასევე ტყაპუჭებში გამოწყობილი და სახეშემურული ამალა. ამ მოძრავი სახუმარო სცენის მონაწილენი ეწვეოდნენ მეფეს, დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა და ხალხში სიცილსა და მხიარულ ყიჟინასთან ერთად შაჰისადმი მძულვარებას, ყეენის სულიერი არარაობის რწმენას აღძრავდნენ. ამ წარმოდგენას ზოგჯერ უფრო რთული სახე ეძლეოდა. იმართებოდა კრივი, ესე იგი სიმბოლური ბრძოლა ყეენის ჯარსა და აჯანყებულ ხალხს შორის; შურდულებით ქვას ისროდნენ, ტრიალებდა მუშტები, ხის ხმლები და ა. შ. ამრიგად, ყეენობა კარგი ტანვარჯიშობაც იყო.

მიმზიდველი იყო ყაბახიც. „ყაბახი“ ერქვა მაღალ სვეტს, რომლის კენწეროზე იდგმებოდა საპრიზო ნიშანი — მაგალითად, ვერცხლის თასი. ყაბახთან იკრიბებოდნენ ნაცადი მეისრეები, რომელნიც ცხენდაცხენ, ჭენებით სტყორცნიდნენ თასს ისარს, რიგ-რიგობით. ვინც ისარს მოარტყამდა და თასს გადმოაგდებდა, ქებულიცა და დაჯილდოებულიც ის რჩებოდა.

იცოდნენ ჩოგანბურთიც (ცხენბურთი).

სკოლასაც თავისი ყოფა-ცხოვრება ჰქონდა. გამოცდებს ესწრებოდნენ სტუმრები, თავადაზნაურები, ზოგჯერ მეფეც. ცალ მხარეზე იდგნენ გამოსაცდელი მოწაფეები, შუაში იჯდა რექტორი, მაგიდაზე ეწყო წიგნები. ზარის დარეკვის შემდეგ იწყებოდა გამოკითხვა. გამარჯვებულს ქების სიტყვა ხვდებოდა ჯილდოდ.

ფეოდალური ურთიერთობის რღვევა

თავი XXV

ბატონყმური საქართველო XIX ს. I მესამედში

§ 1. მეფის რუსეთის პოლიტიკა ქართლ-კახეთში XIX ს. დამდეგს და ქართველი საზოგადოება

რუსული მფარველობის დამყარება ქართლ-კახეთში

რუსეთი XIX ს. დამდეგს წარმოადგენდა ვრცელ იმპერიას, რომელსაც ეკავა მთელი აღმოსავლეთი ევროპა და აზიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. მისი მოსახლეობა მაშინ 40 მილიონა — მთელი ევროპის მოსახლეობის ერთ მეოთხედს — უდრიდა.

იმ დროს ევროპის მოწინავე ქვეყნებში კაპიტალიზმი იმარჯვებდა; რუსეთი კი სოფლის მეურნეობის, ჩამორჩენილ ბატონყმურ ქვეყანას წარმოადგენდა. თუმცა ფეოდალიზმი აქაც უკვე შეუჩერებლივ ირღვეოდა და მის წიაღში თანდათან ახალი, კაპიტალისტური წყობა ვითარდებოდა.

რუსეთის ცენტრალიზებული და ძლიერი სახელმწიფო XIX ს. დამდეგს დიდ როლს თამაშობდა მსოფლიო პოლიტიკაში. სახელმწიფოს სათავეში უდგნენ მეფე და მემამულეები. რომლებიც ჩაგრავდნენ არა მარტო რუს ხალხს, არამედ რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებსაც. მაგრამ, ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის მიუხედავად, ქვეყანა მაინც წინ მიდიოდა.

ეკონომიური და სახელმწიფოებრივი განვითარების მხრივ რუსეთი დიდად უსწრებდა წინ საქართველოს მეზობელ მტაცებლურ აღმოსავლურ სახელმწიფოებს — ირანს და ოსმალეთს, რომელიც „ფეოდალიზმის ყველაზე უფრო დაბალ, ბარბაროსულ საფეხურზე იდგა“.[1] ასევე წინ უსწრებდა იგი საშინაო და საგარეო მტრების მიერ დაუძლურებულ-დაქსაქსულ საქართველოს, რომელიც XIX ს. დამდეგიდან მეფის რუსეთმა თავის პოლიტიკურ მიზნებს დაუმორჩილა.

ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ჰეგემონიისათვის მებრძოლი რუსეთი ცდილობდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის დაუფლებას.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ., IX, გვ. 374, რუსული გამოცემა.

ამიერკავკასია უნდა გადაქცეულიყო დასაყრდენად მეფის რუსეთის პოლიტიკისათვის აღმოსავლეთში.

ქართლ-კახეთში ჩამოყალიბებულ მმართველობას რუსეთის ხელისუფლება ფართო ამოცანებს უსახავდა. მმართველობას უნდა ებრძოლა რუსეთის მფლობელობის დამყარება-განმტკიცებისათვის მთელ საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში. ამისათვის პირველ რიგში ნავარაუდევი იყო რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიის — ქრისტიანული სარწმუნოების გამოყენება. ქრისტიანული საქართველო და სომხეთი რუსეთის მთავრობას მიაჩნდა ისეთ ქვეყნებად, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ამ სარწმუნოების გავრცელებას და რუსეთის გავლენის გაძლიერებას კავკასიელ მაჰმადიანებში.

საქართველოში, ისე როგორც საერთოდ რუსეთში, რუსული მმართველობა ბატონყმობას იარაღით იცავდა და ადგილობრივი თავად-აზნაურობის ინტერესებს ემსახურებოდა.

1802 წ. ქართლ-კახეთში შექმნილი ახალი მმართველობის სათავეში იდგა „საქართველოს მთავარსარდალი", რომელსაც „მთავარმართებელსაც" უწოდებდნენ. იგი ჯერ ქართლ-კახეთის და შემდეგ კი მთელი საქართველოსა და ამიერკავკასიის საქმეებზე რუსეთის სახელმწიფოს წინაშე უმაღლესი პასუხისმგებელი პირი იყო და აერთიანებდა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ხელისუფლებას. ამ თანამდებობაზე დაინიშნა რუსი გენერალი კნორინგი, ხოლო მის თანაშემწედ კოვალენსკი, რომელიც მანამდე, ჯერ კიდევ გიორგი XII-ის კარზე, რუსეთის წარმომადგენლად იყო. მმართველობა შედგებოდა 4 განყოფილებისაგან. თითოეულ განყოფილებას („ექსპედიციას") საქვეყნო მართვა-გამგეობის სხვადასხვა უწყება ექვემდებარებოდა.

ქართლ-კახეთი დაიყო 5 მაზრად — ლორის (შემდეგ თბილისის), გორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრებად. განყოფილებათა და სამაზრო სამმართველოთა სათავეში ჩაყენებულ იქნენ რუსი სამხედრო მოხელეები. მმართველობაში რუს მოხელეთა მრჩევლებად შეიყვანეს ადგილობრივი თავადაზნაურობის წარმომადგენლებიც. ახალ სასამართლო დაწესებულებებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა რუსეთში არსებული კანონების მიხედვით უნდა მომხდარიყო. ქართული კანონმდებლობა მხოლოდ სამოქალაქო საქმეების გარჩევისას ინარჩუნებდა ძალას.

ახალმა მმართველობამ მოსპო ძველი ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება და პოლიტიკური ცხოვრებიდან განდევნა ქართული ენა. მისი ადგილი ხალხისათვის უცხო ენამ, რუსულმა დაიკავა. რუსული ენის მცოდნეთა რაოდენობა მაშინ ჩვენში ძალზე ცოტა იყო. ახალი მმართველობის მეთაურებს — რუსებს და მათ მრჩეველ ქართველებსაც კი არა გაეგებოდათ რა ერთიმეორისა. ამიტომ ეს მმართველობა დასაწყისში უდიდეს წინააღმდეგობას აწყდებოდა.

რუსული მმართველობა გამოხატავდა მეფის რუსეთის მიერ საქართველოში დამყარებულ კოლონიურ-პოლიტიკურ რეჟიმს, სამხედრო-საოკუპაციო სისტემას, რომელიც, სოციალურ ჩაგვრასთან ერთად, ქართველი ხალხის ეროვ-

ნულ ჩაგვრასაც ეწეოდა. „ცარიზმი ახორციელებდა არა რუს ხალხთა სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას... რუსიფიკაციის პოლიტიკას“.[1]

მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, ახალი რეჟიმის დამყარებას ჩვენი ქვეყნის მომავალი ცხოვრების განვითარებისათვის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ახალი მმართველობა, ძველისაგან განსხვავებით, უკვე აღარ იყო თავნება ქართველი ფეოდალების ხელში. მოისპო მათი სამემკვიდრეო-სამოხელეო პრივილეგიები. ახალი მმართველობა, რომელიც რუსთა რეგულარულ ჯარებს ეყრდნობოდა და საგარეო მტრებისაგან ქვეყნის დაცვის მტკიცე საწინდარს იძლეოდა, ფეოდალთა თვითნებობას ვერ შეურიგდებოდა. იგი საფუძველს უყრიდა ფეოდალურ ერთეულებად დაშლილი საქართველოს გაერთიანებას რუსეთის მფლობელობაში. ცენტრალური და ძლიერი ხელისუფლების დამყარება კი ქვეყნის განვითარების საუკეთესო საშუალება იყო.[2]

ბრძოლა ქართული თვითმფართველობისათვის

თავდაპირველად საზოგადოების დაბალი ფენები რუსთ ხელმწიფისაგან მოელოდნენ თავიანთი ბეჩავი მდგომარეობის შემსუბუქებას. 1800—1801 წლებში მათ თვალნათლივ დაინახეს, თუ როგორ ებრძოდნენ რუსთა რაზმები საქართველოში შემოსეულ მძარცველებს და ამით მშვიდობიანი შრომითი მოღვაწეობისათვის საჭირო პირობებს ქმნიდნენ. გარდა ამისა, ხალხში ხმა დაირხა, პავლე იმპერატორს განუზრახავს ხალხი 3 წლით გათავისუფლოს გადასახადებისაგანო. რუსი სამხედრო მოხელეებიც, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მომენტში, ლმობიერად ეკიდებოდნენ გლეხებს და მათი გულის მონადირებას ცდილობდნენ. ბატონყმობის გაუქმების შესახებაც კი იყო მითქმა-მოთქმა. ეს გარემოება ამწვავებდა ადგილობრივ კლასებს შორის წინააღმდეგობას, აძლიერებდა გლეხთა სიმპათიებს რუსეთისადმი და სამაგიეროდ ამრავლებდა უკმაყოფილო თავად-აზნაურთა რიცხვს.

ფეოდალთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილო იყო თავისი ძველი პოლიტიკური პრივილეგიების დაკარგვის გამო. განსაკუთრებით შეაშფოთა ისინი ქართველი მეფის ხელისუფლების დროს ნაქონ თანამდებობათა დაკარგვამ. წინათ მოხელეობა ამა თუ იმ ფეოდალური გვარის სამემკვიდრეო საკუთრებას წარმოადგენდა და მოხელეს დიდი შემოსავალიც ჰქონდა. ასე მაგალითად, რომელიმე სოფლის მოურავს ამ სოფლიდან აკრეფილი გადასახადის მეათედი ერგებოდა. მას შემდეგ კი, რაც ქვეყანა მაზრებად დაიყო და მათ უფროსებად რუსი მოხელეები დაინიშნენ, ძველ მოურავებს აღარაფერი ეკითხებოდათ. გარდა ამისა, ძველისაგან განსხვავებით, ახალი მთავრობა დანაშაულისათვის — ფორმალურად მაინც — ერთნაირ პასუხისმგებლობას აკისრებდა როგორც დაბალი, ისე მაღალი კლასის წარმომადგენლებს. ყოველივე ამის გამო ფეოდალები ჩიოდნენ, რომ მთავრობამ ისინი გლეხებს გაუთანაბრა, გააღარიბა და დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება. კიდევ უფრო უკმა-

[1] თეზისები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ. „კომუნისტი“, 1954, 12 იანვარი.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. IV, გვ. 370, რუსული გამოცემა.

ყოფილო იყვნენ სამეფო სახლის მრავალრიცხოვანი წევრები, რომლებიც თავიანთ მომხრე ფეოდალებთან ერთად იბრძოდნენ ტახტის დაბრუნებისათვის.

რეაქციონერი ფეოდალები სამეფო ტახტის აღდგენისათვის ბრძოლაში დახმარებისათვის მიმართავდნენ ქართველი ხალხის საუკუნოვან მტრებს — ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოებს, რომლებიც თავის მხრივ შეშფოთებული იყვნენ ქართლ-კახეთში რუსეთის გაბატონებით. შინაფეოდალური რეაქცია და საგარეო მტრები კვლავ გაერთიანდნენ. მათ სურდათ საქართველოს რუსეთისაგან ჩამოცილება და ძველი ფეოდალური დაქსაქსულობის აღდგენა.

1802 წ. ფეოდალებმა კიდევაც სცადეს თავიანთი მიზნის განხორციელება. ისინი შეიარაღებული გამოსვლისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ხალხმა მათ მხარი არ დაუჭირა და ამიტომ გეგმა ჩაეშალათ. ვერც ირანი ეწია საწადელს.

მაგრამ, ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, რეაქციონერებს გარდა, იყო პროგრესული დასიც, რომელიც სწორად აფასებდა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას. მას ესმოდა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე უმჯობესი გზა არ გააჩნდა და თუ იგი რუსეთს ჩამოსცილდებოდა, ის ისევ ოსმალეთს ან ირანს ჩაუვარდებოდა ხელში. ამ დასმა, რომელსაც მეთაურობდა გარსევან ჭავჭავაძე (ჯერ ერეკლე მეორისა და შემდეგ გიორგი XII-ის ყოფილი ელჩი რუსეთში), ისიც დაინახა, რომ რუსეთის მთავრობას სრულიადაც არ აინტერესებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცვა. ამიტომ იგი იბრძოდა იმისათვის, რომ რუსეთის მთავრობას აქ შეზღუდული თვითმმართველობა შეეწყნარებინა. იგი მოითხოვდა, რომ რუსეთის მფლობელობის ქვეშ მყოფი საქართველოს მმართველობა ქართველების მიერვე განხორციელებულიყო. ასეთი ვითარება, ამ დასის აზრით, უნდა გაგრძელებულიყო მანამდე, სანამ საქართველო ძალებს მოიკრებდა, მოღონიერდებოდა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის მოემზადებოდა.

რეაქციონერი თავადებისაგან განსხვავებით, პროგრესული დასის წარმომადგენლები ძველი, დრომოჭმული მმართველობის აღდგენას კი არ მოითხოვდნენ. არამედ განახლებულ-გაუმჯობესებული ქართული მმართველობის დამყარებისათვის იბრძოდნენ. ამ პროგრესულ მიმართულებას სათავე ერეკლეს ხანაში ჰქონდა.

ქართული თვითმმართველობისათვის მებრძოლი ეს დასი არ უკავშირდებოდა გარეშე, მტრულ ძალებს. იგი მეფის რუსეთის ძალადობას ქვეყნის შიგნითვე ებრძოდა. მას სურდა ცარიზმის პოლიტიკის იმგვარად შეცვლა, რომ იგი მისაღები ყოფილიყო ქართველი ხალხისათვის. არც ეს იყო ქართველი ხალხის განთავისუფლების ნამდვილი გზა. იგი მიზნად არ ისახავდა არსებული წყობილების რევოლუციურ გარდაქმნას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დასის ბრძოლას მაშინ პროგრესული ხასიათი ჰქონდა, რადგან იგი მიმართული იყო კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ და ქართველი ხალხის უკეთეს მომავალს ემსახურებოდა.

1802 წ. სექტემბერში ქართლ-კახეთს საყოველთაო უკმაყოფილება მოედო. მმართველობის უარყოფით მხარეებს ზედ დაერთო რუს სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა არნახული ბოროტმოქმედება. იმედი გაუცრუვდათ მშრომელებსაც, რომლებმაც თანდათანობით იგემეს ახალი რეჟიმის სუსხი.

მათთვის სავსებით გაუგებარი იყო რუსული ენა და სამართალი. ძველი, შედარებით მარტივი სამართლის ნაცვლად შემოღებული ახალი სამართალი ხანგრძლივ გამოძიებას ემყარებოდა და მომჩივანთაგან რუსულად დაწერილ საჩივრებსა და ახსნა-განმარტებას მოითხოვდა. სოფლებში ჩაყენებულმა რუსმა მოხელეებმაც ფართოდ მიჰყვეს ხელი მეკრთამეობას, ძალადობასა და გლეხთა ოჯახების შეურაცხყოფას. თვითმპყრობელურმა რეჟიმმა ერთბაშად გამოამჟღავნა თავისი ანტიხალხური ხასიათი.

გართულდა საგარეო მდგომარეობაც. ქართლ-კახეთში რუსეთის ბატონობას საფრთხე შეექმნა. ცარიზმმა ამჯერად ოსტატურ ხერხს მიმართა და უკმაყოფილო ქართველი ფეოდალების დასაწყნარებლად საქართველოში მთავარსარდლად 1802 წლის ბოლოს გამოგზავნა ქართველი, მაგრამ რუსეთში გაზრდილი და გარუსებული გენერალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი). ამით ცარიზმმა ნაწილობრივ უპასუხა მოწინავე ქართველობის მოთხოვნას, მაგრამ ქართული თვითმმართველობა მაინც არ აღადგინა.

ციციანოვმა მოკლე ხნის განმავლობაში შეძლო რუსეთის პოლიტიკური მფლობელობის გავრცელება მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ქართულმა წარმოშობამ ციციანოვს გაუადვილა გაბატონებული კლასის ფართო ფენებთან დაახლოვება. მან ანგარიში გაუწია ფეოდალთა ინტერესებს და სცადა არსებული მმართველობა ნაწილობრივ მაინც შეეხამებინა ძველი წეს-ჩვეულებისათვის. რამდენადმე აილაგმა მოხელეთა ბოროტმოქმედებაც.

იმ დროს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მეფის მთავრობის მიერ კარგად მოშარჯვებულ ლოზუნგს ისტორიულად მთლიანი საქართველოს მიწა-წყლის შემოკრების შესახებ. ეს ლოზუნგი შეესაბამებოდა ქართველ პატრიოტთა ინტერესებს. ისინი რუსის ჯართან ერთად წარმატებით იბრძოდნენ როგორც აბრაგულად მოთარეშე მტრის რაზმების წინააღმდეგ, ისე ძველი ქართული მიწების დასაბრუნებლად და შემოსაერთებლად. ასე იყო, მაგალითად, 1803 წელს, როცა შემოერთებულ იქნა საქართველოსაგან XVIII საუკუნის 20-იან წლებში ჩამოცილებული ჭარ-ბელაქანი, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია ქართველობაში. ჭარის ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 4.500-მა ქართველმა მეომარმა.

მოწინავე ქართველთა დასი უკვე ჩაება საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანებისა და მტრული გარემოცვის გარღვევისათვის წარმოებულ, პროგრესულ ბრძოლაში. ამასთანავე იგი არც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას სწყვეტდა და ქართველი ხალხის ეროვნულ თვითმყოფობას იცავდა.

საქართველოს სამეფო სახლის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების ყოფნა სამშობლოში სამეფო ტახტის აღდგენისათვის ბრძოლას ფართო გასაქანს აძლევდა. რუსეთის იმპერატორი მათ პეტერბურგში ეპატიჟებოდა, მაგრამ ბევრი მათგანი ნებით არ სტოვებდა თავის ქვეყანას და მათ ძალით ასახლებდნენ, ამას კი ზოგჯერ სისხლიანი შეტაკებაც მოსდევდა. 1803 წ. აპრილში გენ. ლაზარევი კაზაკთა რაზმით შეიჭრა გიორგი XII-ის მეუღლის მარიამ დედოფლის სასახლეში. შეურაცხყოფილმა დედოფალმა ხანჯლით მოჰკლა ლაზარევი. მიუხედავად ასეთი ინციდენტისა, 1803-1805 წლებში ძველი სამეფო სახლის თითქმის ყველა წარმომადგენელი გადაასახლეს რუსეთის ცენტრალურ

ქალაქებში. ბატონიშვილთაგან ყველაზედ უფრო აქტიური მებრძოლი ალექსანდრე ირანის შაჰის კარს აფარებდა თავს და მისი დახმარებით ფიქრობდა ქართლ-კახეთში სამეფო ტახტის აღდგენას.

რუსეთის თანდათანობით გაძლიერება აღმოსავლეთ საქართველოში ცოფს ჰგვრიდა ირან-ოსმალეთს, განსაკუთრებით კი ირანს, რომელიც იძულებული ხდებოდა გამოსთხოვებოდა თავის პოლიტიკურ გავლენას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

აჯანყება ქართლის მთიანეთში 1804 წ.

აღმოსავლეთ ქართლის მთიანეთს შეადგენდა მთიულეთი, გუდამაყარი, თრუსო, ხანდო და ჭართალი, ქსნისა და არაგვის ზემო ხეობები, რომლებიც რუსული ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ჯერ დუშეთის მაზრაში შედიოდნენ, ხოლო 1803 წლიდან — ანანურის მაზრაში.

ამ მთიელთა სოციალური ცხოვრება არ ყოფილა ისე განვითარებული, როგორც ბარის მოსახლეობისა. მთაში შემორჩენილი იყო ძველი გვაროვნულ-ფემური წყობილების ნაშთები. ქართველ მეფეთა დროს მთიელები სახელმწიფო გლეხთა რიცხვს ეკუთვნოდნენ, ნახევრად თავისუფალ მდგომარეობას ინარჩუნებდნენ და მსუბუქადაც იბეგრებოდნენ.

რუსული რეჟიმის დამყარება, მიუხედავად მისი უარყოფითი მხარეებისა, მთიელებს უფრო აახლოვებდა საქართველოს ცენტრებთან, ხელს უწყობდა მთაში არსებული დრომოჭმული წეს-ჩვეულების რღვევას და მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებას. მაგრამ ეს ხდებოდა მშრომელთა ჩაგვრის გაძლიერება-გამწვავების ხარჯზე. ახალი მთავრობა მთიელთაგან ზოგჯერ ფულად მოითხოვდა იმ გადასახადებს, რომლებსაც ისინი წინათ ნატურით იხდიდნენ, მათ კი, იქ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განუვითარებლობის გამო, ფული იშვიათად თუ მოეპოვებოდათ. განსაკუთრებით გაუარესდა იმ კუთხეების მდგომარეობა, რომლებიც დარიალის გზის გასწვრივ მდებარეობდნენ (მთიულეთი, ჭართალი, ხანდო; ხევი). დარიალის სამხედრო გზა კი იმ დროს ერთადერთი იყო, რომლითაც საქართველო რუსეთს უკავშირდებოდა. ამ გზაზე მიმომავალი რუსთა რაზმებისათვის მთავრობა მოსახლეობისაგან გზის ხშირად შეკეთებას, ტრანსპორტისა და სურსათის მიწოდებას და სხვა სამსახურს მოითხოვდა.

მთის მოსახლეობა ვერ აუდიოდა მთავრობის მოხელეთა მოთხოვნილებას. მოხელეები კი ძალმომრეობდნენ, სცემდნენ გლეხებს და შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ ოჯახებს. ზამთრის სუსხიან ამინდში მათ გზის გასაწმენდად ერეკებოდნენ. თოვლში მუშაობის დროს ჩამოწოლილმა ზვავმა 4 კაცი მოკლა. მარტო მთიულეთში რუსმა მოხელეებმა ცემით მოჰკლეს 23 კაცი. იყო შემთხვევა, როცა ხარების მაგიერ უღელში დედაკაცები შეუბამთ.

არაგვის ხეობის აჯანყებული გლეხები აღნიშნავდნენ, რომ წინათ ისინი „ღმერთსა ითხოვდნენ“ საქართველოში რუსთა ჯარის გაძლიერებას. ახლა კი სიკვდილს ნატრულობენ და თავიანთ ცოლშვილთან ერთად თავების დახოცვა გადაწყვიტეს, რადგან მათ რუსის ჯარის გამკლავება არ შეუძლიათ. „ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესო საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთო“.

1804 წ. მთიანეთის აჯანყება დარიალის სამხედრო გზის შეკეთებაზე მომუშავე გლეხებში დაიწყო. იგი წარმოშვა საქართველოში მეფის რუსეთის მიერ დანერგილმა კოლონიურმა რეჟიმმა და მოსახლეობის ექსპლოატაციის გამწვავებამ. გლეხებმა სისხლისმღვრელი ბრძოლა გააჩაღეს ბოროტმოქმედ და მჩაგვრელ მოხელეთა წინააღმდეგ. მათ არ ჰქონიათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ პოლიტიკური მიზნები. თავიანთი მდგომარეობის შემსუბუქებისათვის ისინი, როგორც საერთოდ გლეხთა აჯანყების დროს ხდებოდა ხოლმე, დაურაზმავად, სტიქიურად იბრძოდნენ.

მთიელთა აჯანყება საქართველოში რუსეთის მთავრობისათვის უაღრესად კრიტიკულ ვითარებაში მოხდა. აქ მყოფი რაზმები ფაქტიურად უკვე ჩაბმული იყვნენ ირანთან ომში. მთავარსარდალი ციციანოვი რუსის ჯარის ძირითადი ნაწილით ერევნის ციხის ასაღებად იბრძოდა. გართულებული მდგომარეობით ისარგებლეს ტახტისათვის მებრძოლმა, იმერეთში გადახვეწილმა ბატონიშვილებმა, ქართლში გადმოვიდნენ და სცადეს გლეხთა აჯანყების გამოყენება თავიანთი მიზნებისათვის, კავშირი გაბეს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებთან. ბატონიშვილები და მათი მომხრე ფეოდალები აჯანყებულებს ვითომცდა მხსნელთა როლში მოევლინენ. ამრიგად, მთიელი გლეხების ბრძოლა ცარიზმის სოციალურ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ რუსთა რაზმების განდევნისა და ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენისათვის ბრძოლად გადაიქცა. ძველი წყობილების აღდგენა კი ჩვენს ქვეყანას კვლავაც მეზობელი აგრესორების პირისპირ დასტოვებდა და ფიზიკური განადგურების წინაშე დააყენებდა.

ივლის-აგვისტოში აჯანყება გაფართოვდა. აჯანყებულებმა ჩაკეტეს რუსეთთან დამაკავშირებელი დარიალის გზა. აჯანყება მოედო ოსეთს, ფშავ-ხევსურეთს, ბარის ზოგ კუთხეს და კახეთის ფეოდალთა ერთ ნაწილსაც. მთიანეთში მსხვერპლი დიდი იყო. რუსთა რაზმები სასტიკად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს, ანადგურებდნენ და სწვავდნენ მათ სოფლებს. აჯანყებულმა ოსებმა მთლიანად მოსპეს როკის უღელტეხილით ლიახვის ხეობაში (სოფ. ჯავასა და კოშკთან) გადმოსული რუსთა ახალი პოლკი. საქართველოში რუსთა ბატონობას დიდი საფრთხე შეექმნა. ამასობაში მთავარსარდალი ციციანოვი იძულებული გახდა ერევნისათვის ალყა მოეხსნა. ახლა მან თავისი რაზმები აჯანყებული მთიანეთისაკენ დასძრა.

1804 წ. ოქტომბერში ციციანოვმა აჯანყება ჩააქრო. შეიპყრეს და დასაჯეს აჯანყების 73 მოთავე და წამქეზებელი.

მთიელ გლეხთა აჯანყება წარმოადგენდა პირველ მასობრივ შეიარაღებულ გამოსვლას მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. ეს აჯანყება სერიოზული გაფრთხილება იყო თვითმპყრობელობისათვის, რომ იგი უნდა გამოხმაურებოდა ხალხის მოთხოვნილებას. აჯანყების შედეგად მეფის მთავრობა იძულებული გახდა ხარ-ურმისა და სამხედრო გზაზე მუშაობისათვის სათანადო ქირა დაეწესებინა.

§ 2. საქართველოს გაერთიანება რუსეთის მფლობელობაში. ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ

დასავლეთ საქართველოს შემოერთება

დასავლეთი საქართველო XIX ს. დამდეგს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქსაქსულ და შინაფეოდალური ომებით მოცულ მხარეს წარმოადგენდა. იმერეთის მეფეს, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის მთავრებს ურთიერთ შორის მუდმივი შუღლი და მტრობა ჰქონდათ. პოლიტიკური დაშლის პროცესი თვით ამ ერთეულებს შიგნითაც მიმდინარეობდა. სამეფო-სამთავროებში მრავლად იყვნენ შეუვალი და თავნება თავადები, რომლებიც მთავრების ხელისუფლებას არაფრად აგდებდნენ. გამაერთიანებელი ცენტრალური ხელისუფლების უქონლობისა და თვით მეფე-მთავართა სისუსტის გამო დასავლეთ საქართველოში საშინაო განხეთქილება და ძალადობა იყო გაბატონებული. ოსმალეთი ამ დროს უკვე ღონემიხდილი იყო, მაგრამ მაინც ახერხებდა დასავლეთ საქართველოზე პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას. მის ხელთ იყო საქართველოს ზღვისპირა ქალაქები ბათუმი, ფოთი და სოხუმი. ამ ნავთსადგურებში გაცხოველებით წარმოებდა საქართველოდან მოტაცებული ტყვეადამიანებით ვაჭრობა.

განსაკუთრებით ძლიერი იყო ოსმალეთის გავლენა აფხაზეთის სამთავროში. მთავარ შარვაშიძეთა სახლი იმ დროს მაჰმადიანობას აღიარებდა და სულთანის ბატონობას სცნობდა. აფხაზეთის მოსახლეობაშიაც იკაფავდა გზას გათურქების პროცესი, მაგრამ ხალხის დიდი ნაწილი მაინც მტკიცედ იცავდა ქრისტიანობას და საქართველოს მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდა. ამ დროს სამეგრელოს დროებითი მთავარი ნინო ბაგრატიონი სწერდა რუსეთის მთავრობას, რომ აფხაზეთში „გლეხნი... უმეტესნი ქრისტიანნენ და სწამთ ჯვარი და ხატი ჩვენიო“.

XIX ს. დამდეგისათვის საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას 4 საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია ჰქონდა. ამ რღვევის პროცესის ხანგრძლივობამ მძიმე დაღი დაასვა ქართველი ხალხის ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, ენისა და მწერლობის ტრადიციები იმდენად ძლიერი იყო, რომ პოლიტიკურად გათიშულ, მაგრამ ერთი ხალხის წევრ ტომებს შორის კავშირი არ გაწყვეტილა.

დასავლეთი საქართველო, აღმოსავლეთისავით, ფეოდალურ-ბატონყმურ ქვეყანას წარმოადგენდა. სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ერთგვაროვნობა ახასიათებდა იმერეთ-გურია-სამეგრელოს და აფხაზეთის ბარს. სხვაგვარი ვითარება იყო მთა აფხაზეთსა და სვანეთში, სადაც ბატონყმური ურთიერთობა ისე ღრმად არ შეჭრილიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გვაროვნულ-თემური წყობილების გადმონაშთებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ.

საერთოდ, სამეფო-სამთავროებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ძალზე სუსტად იყო განვითარებული და ბატონობდა კარჩაკეტილი, თვითკმარი ნატურალური მეურნეობა. ეს გარემოება ასაზრდოებდა ქვეყნის ესოდენ დიდ

პოლიტიკურ დაქსაქსულობას. დასავლეთ საქართველოს არცთუ დიდ მიწა-წყალზე, სადაც სულ 300-იოდე ათასი სული ცხოვრობდა, არსებობდა ერთი სამეფო, 4 სამთავრო (აფხაზეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი), რამდენიმე ნახევრადდამოუკიდებელი სათავადო და ერთიც სამხედრო-დემოკრატიის სერიოზული გადმონაშთების შემცველი პოლიტიკური ერთეული (თავისუფალი სვანეთი).

აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის იმერეთი შედარებით დაწინაურებული ქვეყანა იყო. იმერეთის მეფე სოლომონ II ენერგიულად იბრძოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის. იგი არ სცნობდა ოსმალეთის სულთანის ხელისუფლებას და შავი ზღვის საქართველოს ნაპირებიდან ოსმალთა სავსებით განდევნისათვის ემზადებოდა. მაგრამ გამაერთიანებელი ძალების ბრძოლას ქვეყნის მოღალატე მთავრები აბრკოლებდნენ. თავიანთი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით ისინი იმერეთის მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და საქართველოს საგარეო მტრებს უკავშირდებოდნენ. აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიისა და სვანეთის მთავრები, სხვა სეპარატისტ თავადებთან ერთად, განასახიერებდნენ შინაფეოდალურ რეაქციას, რომელიც შიგნიდან ანგრევდა ქვეყანას და ხელს უწყობდა ოსმალეთის მტაცებლურ სახელმწიფოს საქართველოს დამონების საქმეში. ასეთი დაშლილობისა და შინაფეოდალური ომების ვითარებაში მიუსწრო რუსეთმა დასავლეთ საქართველოს.

ქართლ-კახეთში მეფის რუსეთის გაბატონებამ ძირფესვიანად შეცვალა პოლიტიკური ვითარება საქართველო-ამიერკავკასიაში. მეფის რუსეთი თანმიმდევრულად მოიწევდა ახლო აღმოსავლეთისაკენ და აქ არსებულ სახელმწიფოებრივ ერთეულებს დაპყრობით ემუქრებოდა. დამოუკიდებლობის დაკარგვის შიშით მოცული ხელმწიფე-მთავრები სხვადასხვაგვარად ეხმაურებოდნენ ამ მოვლენას. ზოგი სამრად ემზადებოდა, ზოგი რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაბმით თუ სამფარველო ტრაქტატის მიღების გზით ფიქრობდა თავის გადარჩენას, ხოლო ზოგი თავის სამსახურს სთავაზობდა რუსეთს — იმ მიზნით, რომ მისგან დახმარება მიეღო და კატასტროფის წინაშე მდგარი საკუთარი ხელისუფლება გადაერჩინა. რუსეთის მთავრობა კი ასეთ ვითარებაში თავისი სამფლობელოების შემდგომი გაფართოების გეგმებს აწყობდა. მაგრამ ამ გეგმების განხორციელებას მაშინ ბევრი რამ უშლიდა ხელს. ქართლ-კახეთში რუსეთს ჯერ კიდევ არა ჰყავდა საკმაო ძალა. ქვეყნის შიგნით მდგომარეობა დიდად იყო გართულებული. ირანიც ამხედრდა და ისეთი კრიტიკული ვითარება შეიქმნა, რომ რუსეთს ქართლ-კახეთის შენარჩუნებაზე უფრო უნდა ეფიქრა, ვიდრე ამიერკავკასიაში მფლობელობის შემდგომ გაფართოებაზე.

მიუხედავად ამ სხვადასხვაგვარი ხიბლისა და ოსმალეთთან სამშვიდობო „მეგობრული“ ურთიერთობისა, რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას თავისი მიზნებისათვის იყენებდა.

XIX ს. დამდეგს სოლომონ მეორემ შეძლო გურიელის დამორჩილება და რამდენჯერმე დაამარცხა და ტახტიდან ჩამოაგდო სამეგრელოს მთავარი დადიანიც. მაგრამ ეს უკანასკნელი ხან აფხაზეთის მთავრის დახმარებით და ხან სხვა თავადთა ხელისშეწყობით მაინც ახერხებდა სამთავრო ხელისუფლებისადმი ბრუნებას. იმერეთის მეფის მიერ დიდად შევიწროებული დადიანი რუსეთის მთავრობას სთხოვდა შველასა და მფარველობას. დადიანის ეს მოთხოვნა მეტად

ხელსაყრელი იყო რუსეთისათვის, რომელსაც სამეგრელოს მოპოვებით გაუადვილდებოდა იმერეთის მეფის დამორჩილება და მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთება. ამ გზით რუსეთი საქართველოს სანაპიროდან გაბამდა საზღვაო კავშირს ყირიმთან.

რუსეთის მთავრობამ 1803 წ. დეკემბერში სამფარველო ხელშეკრულება დაუდო სამეგრელოს მთავარს გრიგოლ დადიანს, დაიცვა მისი ხელისუფლება და იგი იმერეთის მეფეს დაუპირისპირა. მას შემდეგ დადიანი რუსეთის ერთგული, მორჩილი და დასავლეთ საქართველოში თვითმპყრობელობის პოლიტიკის თავწამკვდარი მსახური გახდა.

იმერეთის მეფე სოლომონი ხედავდა, რომ რუსეთის მიერ ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმება მის დამოუკიდებლობასაც უქადდა საფრთხეს და ამიტომ ცხოველ მონაწილეობას იღებდა ბაგრატიონთა მიერ დაკარგული ტახტის აღდგენისათვის ბრძოლაში. რუსეთთან ურთიერთობაში იმერეთის მეფე მთელი დასავლეთ საქართველოს მეფობას იჩემებდა, მაგრამ რუსეთი ეხარს არ უქერდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მეფის ხელისუფლების გაფართოებას. ამიტომ სოლომონის ბრძოლას მარცხი მოელოდა. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დადიანის დაცვა იკისრა, იმერეთის მეფის დამოუკიდებლობას კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნა.

სოლომონ II თავის საშინაო დამოუკიდებლობას იცავდა და რუსთ ხელმწიფეს მხოლოდ საგარეო-პოლიტიკურ მბრძანებლობას სთაჭაზობდა. მაგრამ რუსეთი ამას არ სჯერდებოდა. საქართველოს მთავარსარდალი ციციანოვი იმერეთის მეფისაგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. მეფისადმი ციციანოვის მედიდურმა დამოკიდებულებამ უფრო მას შემდეგ იჩინა თავი, როცა რუსთა ჯარმა, 1804 წ. იანვარში, დაიპყრო განჯის სახანო აზერბაიჯანში და შიშის ზარი დასცა ირანს. იმავე წლის აპრილში რუსის ჯარი იმერეთშიაც შევიდა და სოლომონ მეფე უკვე იძულებული შეიქნა მიეღო ციციანოვის მიერ ნაკარნახევი სამფარველო პირობები.

1804 წ. 25 აპრილს დადებული ტრაქტატის საფუძველზე იმერეთის მეფე საქართველოს მთავარსარდლის ბრძანებათა აღმასრულებელი და რუსეთის მთავრობის მსახური ხდებოდა. მაგრამ ეს იყო იმერეთის მეფის დროებითი უკანდახევა. მიუხედავად ამ ხელშეკრულებისა, სოლომონ II დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას განაგრძობდა. ტრაქტატის საფუძველზე რუსეთის მფარველობა გავრცელდა გურიის სამთავროზედაც. იმერეთში მუდმივ სამყოფელად შეიყვანეს რუსის ჯარის მცირე რაზმი, რომლის რიცხვი შემდგომ თანდათან იზრდებოდა.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა მფარველობაში მიღებითა და მათი ამგვარი დამორჩილებით საფუძველი ეყრებოდა ფეოდალური შინა ომების მოსპობას და საქართველოს გამთლიანებას რუსეთის მფლობელობაში.

1804 წ. ოქტომბერში რუსეთის მთავრობამ შეძლო ერთი პოლკი ჯარის ზღვიდან გადმოსხმა ყულევში (მდ. ხობის შესართავთან). იქ რუსებმა ააგეს პატარა სიმაგრე და მის მიხედვით ყულევს „რედუტ-კალე“ უწოდეს. ყულევში რუსთა რაზმის გადმოსხმა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთისა და საქართველოს ისტორიაში. ამით გადაიდგა პირველი რეალური ნაბიჯი შავი ზღვის

აღმოსავლეთი ნაპირებიდან ოსმალთა განდევნის საქმეში. ასევე რეალური ხდებოდა დასავლეთ საქართველოს შემოერთებაც.

ქართველთა და რუსთა ერთიანი ბრძოლა უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ

XIX ს. დამდეგს მსოფლიო პოლიტიკური ვითარება მეტად დაძაბული იყო. ევროპაში ომი მიმდინარეობდა. ინგლისმა რუსეთი საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრია. მიუხედავად ასეთი კავშირისა, ინგლისი ფარულად მაინც აბრკოლებდა რუსეთის გაბატონებას ამიერკავკასიაში. საფრანგეთი კი უკმაყოფილო ირან-ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ აშკარად მოუწოდებდა.

ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით და შემდეგ განჯის სახანოს დაპყრობით რუსეთი უშუალოდ დაემუქრა ირანის ჩრდილო პროვინციებს. მალე დამორჩილებულ იქნა შაქისა და შუშის სახანოებიც აზერბაიჯანში. 1805 წ. შაჰმა რუსეთს ომი გამოუცხადა. ნაპოლეონი მას ამიერკავკასიის დაპყრობაში დახმარებას აღუთქვამდა. ივნისში შაჰის ლაშქარი ჩრდილო აზერბაიჯანში შემოიჭრა და მშვიდობიანი სოფლები დაარბია. დამპყრობლები ქართლ-კახეთის ტერიტორიაზედაც გამოჩნდნენ, მაგრამ რუსთა რაზმებმა, ციციანოვის სარდლობით, მალე უკუაგდეს ირანელები, დაიმორჩილეს შარვანის დიდი სახანო და ქ. ბაქოსაც ალყა შემოარტყეს. 1806 წ., ბაქოს ჩაბარების დროს მშვიდობიანი მოლაპარაკებისას, ვერაგულად მოჰკლეს ნიჭიერი სარდალი ციციანოვი.

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როდესაც ევროპაში ნაპოლეონის წარმატებით გამხნევებულმა და მის მიერ წაქეზებულმა ოსმალეთმაც გამოუცხადა ომი რუსეთს. ოსმალეთთან ზავის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი დასავლეთ საქართველოში რუსეთის შემოჭრაც იყო.

ამ დროისათვის ქართველ ხალხს უკვე ჰქონდა საგარეო მტრების წინააღმდეგ რუსებთან ერთად ბრძოლის ტრადიცია. ქართველები რუსთა ჯარებთან ერთად ჩაებნენ ომში თავიანთი დაუძინებელი მტრების, ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ და დაკარგული ისტორიული მიწა-წყლის კვლავ შემოერთებისათვის იბრძოდნენ. საქართველო ამ ომების დროს რუსთა რაზმების მტკიცე ზურგი და დასაყრდენი აღმოჩნდა. „ომი ყოველი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების ყოველმხრივი გამოცდაა“[1], და მართლაც. იმ შემთხვევაშიც, ქართველმა ხალხმა ომის ყოველგვარი სიმძიმე რუსებთან ერთად გაიზიარა და თავისი მომავალი საერთო მტრების დამარცხებას დაუკავშირა. ქართველები არა მარტო ამარაგებდნენ რუსთა ჯარს საჭირო სურსათ-სანოვაგითა და ტრანსპორტით, არამედ იარაღითაც მხნედ იბრძოდნენ მათ მხარდამხარ.

ქართველთა და ამიერკავკასიის სხვა ხალხთა პროგრესული ძალების ერთიანი მხარდაჭერა რომ არა, რუსეთი აქ მყოფი 8000 კაცისაგან შემდგარი მცირე ჯარით მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ირანის მიერ საომრად გამოყვანილ 60-ათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ. ოსმალეთმაც მრავალრიცხოვანი რაზმები მოაყარა საქართველოს. საქართველოში იკრიბებოდნენ სახალხო რაზმები.

---

[1] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1949, გვ. 126.

შავი ზღვის სანაპიროზე გაჩაღდა ბრძოლა ქ. ფოთის გასათავისუფლებლად. აქ კი ბრძოლის მთავარი სიმძიმე უკვე ქართულ რაზმებს აწვათ. წარმატება რუს-ქართველთა მხარეზე იყო, მაგრამ 1807 წ. რუსეთ-ოსმალეთი დროებით დაზავდნენ და ფოთის აღების საქმეც გადაიდო. ომი 1809 წ. განახლდა. ფოთისათვის ბრძოლას ქართველი გენერალი დ. ორბელიანი სარდლობდა. ადგილობრივი მოსახლეობის სიძულვილი ოსმალო დამპყრობლებისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ ხალხი არ გაჰყვა გურიის მთავარს, რომელიც ოსმალთა საშველად ემზადებოდა. გურიელი აიძულეს, პირიქით, ოსმალთა წინააღმდეგ აეხედრებული ხალხისათვის გაეწია სარდლობა. მაშინ როცა ტრაპიზონის ფაშა 9 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარით მოიწევდა ფოთში მომწყვდეული ოსმალური გარნიზონის საშველად, გურიელის რაზმმა გაანადგურა იგი მდ. მალთაყვასთან და ამით დიდად შეუწყო ხელი ფოთთან მებრძოლი რაზმების გამარჯვებას. 1809 წ. 15 ნოემბერს რუს-ქართველთა ჯარებმა ფოთი აიღეს. მაგრამ 1812 წ. რუსეთ-ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვით ფოთი ისევ ოსმალებს დაუბრუნდა. იმ მომენტში რუსეთმა ვერ შესძლო ფოთის შენარჩუნება.

1810 წ. შემოდგომაზე ქართულ-რუსული ჯარი წარმატებით იბრძოდა ოსმალთა მიერ მიტაცებული ქ. ახალციხის დასაბრუნებლად, მაგრამ ჯარში შავი ჭირის გავრცელებამ ეს საქმე ჩაშალა. ფოთის ბედი ეწია ახალქალაქსაც, რომელიც რუსთა რაზმებმა 1811 წ. 8 დეკემბერს აიღეს, მაგრამ 1812 წლის ზავის ძალით კვლავ ოსმალთა ხელში გადავიდა.

იმერეთის სამეფოს გაუქმება და გურია-აფხაზეთის სამთავროთა შემოერთება

რუსეთის მთავრობასა და იმერეთის მეფეს შორის ურთიერთობა წლითიწლობით მწვავდებოდა. სოლომონ მეფისთვის სავსებით ცხადი გახდა, რომ რუსეთს განზრახული ჰქონდა იმერეთის სამეფოს გაუქმება. ამიტომ იგი უნდობლად უყურებდა იმერეთში შეყვანილ რუსთა რაზმებს და ქუთაისიდან მათ გაყვანას მოითხოვდა, მაგრამ ამაოდ. მართალია, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს სოლომონი რუსეთის წინააღმდეგ არ გამოსულა, მაგრამ არც არაფრით დახმარებია მას. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იმერეთის მეფე ამ ომის ვითარებაში რუსეთს უპირისპირდებოდა და უნებლიედ ექცეოდა მტრული ოსმალეთის ბანაკში. რუსი მოხელეები, თავის მხრივ, ნიადაგს ამზადებდნენ სოლომონის თავიდან მოსაცილებლად. ისინი ცდილობდნენ, მეფე მოტყუებით ეგდოთ ხელთ და რუსეთში გადაესახლებინათ. 1810 წ. მათ ესეც მოახერხეს, სოლომონ II დაატყვევეს და თბილისში ჩაიყვანეს, მაგრამ იმავე წლის 11 მაისს იგი გაექცა მათ და ოსმალთა ხელში მყოფ ქ. ახალციხეში ჩავიდა.

იმერეთის მოსახლეობის უკმაყოფილება თანდათან მატულობდა. აქაც იჩინა თავი რუსი სამხედრო მოხელეების ძალადობამ. იმერეთშიაც ისინი იძულების წესით მოითხოვდნენ გლეხთაგან ჯარებისათვის საჭირო სურსათს, ურმებს, ცხენებს, სამსახურს. იმერეთის გლეხობის ძველ ბატონყმურ უღელს ახლა კოლონიური ჩაგვრაც დაემატა. ბორგავდნენ მეფის მომხრე თავადაზნაურებიც, რომლებმაც ძველი პოლიტიკური უპირატესობა დაკარგეს. ამრიგად, ქვეყანაში საყოველთაო უკმაყოფილება შეიქნა და 1810 წ. ივნისში დაიწყო შეიარაღე-

ბული აჯანყება, რომელსაც სამეფო ტახტის დაბრუნებისათვის მებრძოლ: სოლომონ II მეთაურობდა.

1810 წ. ზაფხულში იმერეთში რუსთა ჯარის წინააღმდეგ გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ბრძოლას მეტად სახიფათო ხასიათი ჰქონდა. იგი დიდ საფრთხეს უქადდა რუსეთის ბატონობას საქართველოში. ოსმალეთ-ირანთან მიმდინარე ომის დროს სოლომონის ბრძოლა ემსახურებოდა ოსმალეთის რუსეთზე გამარჯვებისა და რუსეთის ჯარის საქართველოდან განდევნის მიზანს, ე. ი. იმ დიდი პროგრესული საქმის ჩაშლას, რომელიც XIX ს. დამდეგს დაიწყო და რომელსაც ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებმა დაუჭირეს მხარი. აჯანყებას რომ გაემარჯვა, დასავლეთ საქართველოში ოსმალეთი გაბატონდებოდა.

რუსეთის მთავრობამ, სამეგრელოსა და გურიის მთავართა მიერ გამოყენილი რაზმების დახმარებით, შეძლო აჯანყების ჩაქრობა და კრიტიკულ მდგომარეობიდან თავის დაღწევა. სოლომონ მეფე ოსმალეთში გაიქცა. იმერეთში დამყარდა დროებითი მმართველობა, რომლის სათავეშიც რუსი მოხელეები ჩააყენეს.

ამრიგად, რუსეთმა გააუქმა იმერეთის სამეფოც, რომელიც საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის დასაყრდენს წარმოადგენდა. სამაგიეროდ რუსეთმა თავისი მიზნებისათვის ხელსაყრელად სცნო დასავლეთ საქართველოში ცალკეულ მთავართა შეზღუდული ხელისუფლების შენარჩუნება, რადგან მისთვის ცხადი გახდა, რომ იმჯერად მთავრები ხელს შეუწყობდნენ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის განხორციელებას საქართველოში.

გურიის მთავარს, რომელიც 1804 წ. იმერეთის მეფესთან ერთად რუსეთის მფარველობაში მიღებულად გამოაცხადეს, ახლა (1810 წ.) დამოუკიდებლად დაუდეს სამფარველო ხელშეკრულება. ამით დაუკმაყოფილეს პატივმოყვარეობა გურიელს, რომელიც დადიანთან შედარებით თავს დამცირებულად გრძნობდა, და მას შემდეგ იგიც რუსეთის ბრძანების მორჩილ შემსრულებლად გადააქციეს.

აფხაზეთის სამთავრო სახლი XIX ს. დამდეგიდანვე ხედავდა, რომ ოსმალეთის გავლენა დასავლეთ საქართველოში სულს ღაფავდა, ხოლო რუსეთი ძლევამოსილად მოიწევდა აქეთკენ. სამეგრელოს მთავრის მიბაძვით აფხაზეთის მთავარი, სულთანის ყმა ქელეშ-ბეგ შარვაშიძე, ახლა რუსეთის საფარველ ქვეშ ფიქრობდა თავისი პრივილეგიების დაცვას. რუსეთიც, თავის მხრივ, დიდად იყო დაინტერესებული აფხაზეთის ხელში ჩაგდებით. მაგრამ სოხუმში ოსმალთა საკმაოდ ძლიერი მეციხოვნე რაზმი იყო გამაგრებული და აფხაზეთის მშვიდობიანი გზით შემოერთება საძნელო ჩანდა. 1808 წლიდან აფხაზეთის რუსეთთან შეერთების საქმის მოთავედ გამოდიოდა სამთავრო ხელისუფლების მემკვიდრე, გაქრისტიანებული გიორგი შარვაშიძე.

1810 წ. 10 ივლისს რუსთა რაზმებმა ფიცხელი ბრძოლით აიღეს სოხუმის ციხე. იმავე წლის ოქტომბერში დადიანისა და გურიელის მსგავსად მიღებულ იქნა რუსეთის მფარველობაში აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძეც. ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზი და ქართველი ხალხების

კულტურულ-პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა-განმტკიცებისა და აფხაზი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური აღმავლობისათვის. დაიწყო ოსმალთა მტარვალური ბატონობის მძიმე შედეგების აღმოფხვრისა და, საერთოდ, დასავლეთ კავკასიის მთიანეთიდან მათი განდევნის ხანა.

შიმშილობა და შავი ჭირი საქართველოში 1811—1812 წწ.

ახალციხესთან მებრძოლ რაზმებში გავრცელებული შავი ჭირი სწრაფად მოედო საქართველოს, მთელს ამიერკავკასიასა და დაღისტანსაც. განსაკუთრებით მძვინვარებდა იგი დასავლეთ საქართველოში, სადაც 1810 წ. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ნაადრევად დამდგარმა ყინვებმა მოსპო ჭირნახული, ხოლო 1811 წ. ისეთი შიმშილობა ჩამოვარდა, რომლის მსგავსი მოსახლეობას არ ახსოვდა. უეშველობისაგან ღონემიხდილი მშობლები იმათ აძლევდნენ შვილებს, ვინც მათ აჭმევდა. ხალხი რკოსა და ვაზის რტოებს ფქვავდა და იმით იკვებებოდა, ხოლო როცა ესეც აღარ ჰქონდათ, ბალახს სჭამდნენ. იმავე წლის მარტში ისეთი დიდი თოვლი დადო, რომ შინაური პირუტყვი ერთიანად მოისპო. გახშირდა თვითყმობა: თავისუფალი კაცი იძულებული ხდებოდა ყმად დადგომოდა მას, ვინც მის რჩენას იკისრებდა. დამშეულ ქვეყანას საოცარი სისწრაფით მოედო შავი ჭირი, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში მარტო იმერეთში 32.750 კაცი იმსხვერპლა. 7.450 კაცი გაიხიზნა, ხოლო 2.000 სული ტყვეებად დაჰყიდეს. ასეთ განსაცდელში მყოფ ქვეყანას თავს დაატყდა ახალი სტიქიური უბედურება — წყალდიდობა, რომელმაც ბარის გლეხთა ასობით ოჯახი ფუძიანად მოშალა. სოფლები დაყრუვდა და მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი ამოწყდა.

მოუსავლობა, შიმშილობა და შავი ჭირი ანადგურებდა აღმოსავლეთ საქართველოსაც. 1812 წ. იანვრამდე ჭირმა აქ 4.255 სული მოსპო და ამდენივე კარანტინში იმყოფებოდა. წყალდიდობამ აქაც დააბრკოლა მოსავლის აღება და მერე კი პურის ყანები მინდვრის თაგვებმა გაანადგურეს. თუ ადრე კოდი (2 ფ. და 10 გირვ.) პური ერთ მანეთამდე ფასობდა, ახლა მისი ფასი 7-10 მანეთამდე ავიდა და საყიდლად აღარც იშოვებოდა.

მეფის მთავრობა იძულებული გახდა იმერეთის დამშეული მოსახლეობისათვის 70 ათასამდე ფუთი პური გამოეყო, მაგრამ ხალხის მძარცველმა მოხელეებმა ეს ისედაც მცირე ულუფა მთლიანად არ გაიმეტეს მშრომელებისათვის. მეფის ბოროტმოქმედი მოხელეები ასეთი უბედურების დროსაც კი გლეჯდნენ პირიდან ლუკმას ხალხს.

აჯანყება კახეთში 1812 წ.

კახეთის აჯანყება თითქმის ისეთივე მიზეზმა გამოიწვია, რაც 1804 წ. მთიანეთის აჯანყება. ახალი აქ ის იყო, რომ ირან-ოსმალეთთან ომის დროს უჩვეულო მოუსავლობის, შიმშილობისა და შავი ჭირის ვითარებაში მეფის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები უკანასკნელ სარჩოს ართმევდნენ გლეხებს. ისინი ოდნავაც არ უწევდნენ ანგარიშს ხალხის ქონებრივ შემძლეობას: სურსათი ძალით, რეკვიზიციის წესით მიჰქონდათ, „ურჩ“ სოფლებსა და გლეხებს უყენებდნენ ჯარის ნაწილებს, რომლებიც მათ უნდა ერჩინათ, ხოლო თავხედი ოფიცრები მადლობის ნაცვლად შეურაცხყოფდნენ გლეხთა ოჯახებს.

კახეთის სოფლებიდან გამუდმებით გამოჰყავდათ ურმები და ცხენები თა-

ვიანთი ჩავლადრებით. საერთოდ, ქართლ-კახეთს წელიწადში 112 ათასზე მეტი ურემი გამოჰყავდა. ომის დროს სურსათისა და საჭურვლის გადასაზიდად ურმებსა და ხარ-კამეჩებს უსასყიდლოდ ერეკებოდნენ შორეულ გზებზე — ფოთში, ახალციხეში, სომხეთში, ირანში. ურმებიც იმტვრეოდა და საქონელიც იღუპებოდა, გლეხი კარგავდა წარმოების იარაღს, დიდძალ დროს, შრომის უნარსა და საშუალებას.

ასეთი მძიმე და აუტანელი შეიქნა ქართველი გლეხობის მდგომარეობა. ისინი ვეღარ აუდიოდნენ მებატონეებისა და რუსი მოხელეების სამსახურს, ვერ იტანდნენ საკუთარი ოჯახების შეურაცხყოფასა და აბუჩად აგდებას. მათ იგრძნეს, რომ მეფის რუსეთის მოხელეებმა დიდად გაამწვავეს ბატონყმური ჩაგვრა. გლეხობა, რომელიც თავისი ბეჩავი ცხოვრების შემსუბუქებისათვის იბრძოდა, უკვე ნატრულობდა ძველ დროს, როცა იგი ეროვნულ ჩაგვრას მაინც არ განიცდიდა. მას არ მოსწონდა მისთვის გაუგებარი რუსული სამართალი, მისთვის უცხო პატიმრობა-გაციმბირება და სხვ.

სასოწარკვეთილსა და საბრძოლველად განწყობილ გლეხებს ვითომცდა „მფარველთა“ როლში ევლინებოდნენ მათივე კლასობრივი მჩაგვრელები და მტრები, ადგილობრივი ფეოდალები, რომლებიც აგრეთვე უკმაყოფილო იყვნენ — უმთავრესად ძველი პოლიტიკური პრივილეგიების დაკარგვით. მაგრამ თუ მოძრაობის დასაწყისში მოწინააღმდეგე კლასთა ინტერესები რამდენადმე დაემთხვნენ ერთიმეორეს[1], ეს იყო დროებით, რადგან მათ შორის არსებული კლასობრივი შუღლი და გლეხთა ანტიბატონყმური მისწრაფება მოძრაობის განვითარების პროცესში ფეოდალებს კვლავ ცარიზმის ბანაკისკენ ერეკებოდა.

ფეოდალებს სურდათ, რომ გლეხთა ბრძოლის გამოყენებით განეხორციელებინათ თავიანთი რეაქციული მიზანი — ძველი თავადური, პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს აღდგენა, გლეხთა შეუგნებელი და სტიქიური ბრძოლა კი მიმართული იყო არსებული სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. გლეხები იბრძოდნენ უკეთესი ხელისუფლებისათვის, „უკეთესი მეფისათვის“, რომელიც მათ მდგომარეობას შეუმსუბუქებდა და აღნიშნული ჩაგვრისაგან დაიხსნიდა.

აჯანყება დაიწყო 1812 წ. 31 იანვარს, სოფ. ახმეტაში. გლეხებმა განდევნეს სოფელში სურსათის შესაკრებად მისული რაზმი. თებერვალში აჯანყება მთელ კახეთს მოედო და ქართლის მთიანეთშიაც გავრცელდა. კახეთის სოფლებში სისხლისმღვრელი და დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. აჯანყებულები შურს იძიებდნენ მათ შეურაცხმყოფელ ოფიცრებზე და გულქვა მოხელეებზე, მაგრამ გარკვეული სიმპათიით ეექცეოდნენ რიგითს ჯარისკაცებს და ისეთ მოხელეებს, რომლებიც მათ ადრე თანაუგრძნობდნენ. გლეხებმა ალყა შემოარტყეს თელავის, ყარაღაჯის, ქოდალოსა და სხვა სიმაგრეებს; აიღეს თელავი და სიღნაღი; გაანადგურეს რუსთა საპოლკო შტაბები, გაძარცვეს და დაჯსწვეს მათი

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 12, გვ. 498.

სადგომები. დიდი იყო მსხვერპლიც. 6 თებერვალს ს. ბოდბისხევთან შეტაკებაში 200-ზე მეტი კაცი დაიხოცა.

აჯანყებულები დაუკავშირდნენ ტახტისათვის მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ირანში იმყოფებოდა და მაშველი ლაშქრით კახეთში შემოსვლას აპირებდა. მეორე მხრივ თანდათანობით თავი იჩინა კლასობრივმა შუღლმა მებატონეებსა და გლეხებს შორის. აჯანყებულმა გლეხებმა მთავრობის მომხრე ფეოდალთა სახლკარის დარბევაც იწყეს. მერყევი და თავგანწირვას უჩვეულო ფეოდალები მოძრაობას შორდებოდნენ და მთავრობის მომხრეთა ბანაკში გადადიოდნენ. მარტის დასაწყისში ცალკეულ ჯგუფებად მებრძოლი აჯანყებულები უკვე მარცხდებოდნენ.

იმ დროს საქართველოს მთავარსარდლად დანიშნული იყო რუსეთის სამხედრო სამსახურში მყოფი იტალიელი მარკიზი პაულუჩი, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა აჯანყების ჩაქრობას. მან პირველმა ამართა სახრჩობელები კახეთის სოფლებში. ჩამოხრჩობილ გლეხთა რაოდენობა 13-ს უდრიდა, ხოლო მოკლულებისა — 520. დიდი ზარალი განიცადეს დამსჯელმა რაზმებმაც, რომლებმაც მოკლულ-დაჭრილთა სახით 1.146 კაცი დაჰკარგეს. 1812 წ. 10 მარტისთვის კახეთი „დამშვიდებულ“ იქნა.

თავადაზნაურთა მიმხრობისა და მოძრაობის ჩაქრობის მიზნით მთავრობამ აღადგინა ძველი ქართული სასამართლო წესები და მოურავობა. მოისპო მოსახლეობისათვის საძულველი სამაზრო პოლიცია. სასამართლო ფუნქციები სოფლად კვლავ მოურავთა ხელში გადავიდა. თავადაზნაურობის სამაზრო წინამძღოლებს დაეკისრათ მოსამართლეებისა და მოურავებისადმი ზედამხედველობა. კახეთის საბოლოო დამშვიდება მთავარსარდალმა ქართველ სამხედრო მოხელეებს დაავალა. ეს იყო მთავრობის იძულებითი უკანდახევა, ფართო სახალხო მოძრაობის მიერ გამოწვეული.

აჯანყების მიყუჩების შემდეგ მთავრობამ ხელი მიჰყო რეპრესიებს, რამაც მღელვარების ახალი ტალღა გამოიწვია. 1812 წ. მაისში კვლავ ატყდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. მაგრამ ამჯერად დამსჯელი რაზმების მდგომარეობა იმით იყო გაუმჯობესებული, რომ რუსეთმა ზავი დადო ოსმალეთთან და ირანთანაც სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებდა. ამიტომ აჯანყებულებმა წარმატება ვერ ჰპოვეს. ფეოდალურმა რეაქციამ ფრთები შეისხა მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც კახეთში ალექსანდრე ბატონიშვილი მოვიდა. მისი გამოსვლა დაემთხვა რუსეთის იმპერიისათვის საბედისწერო ომს, როცა მიმდინარეობდა ბრძოლა რუსეთში შემოჭრილი ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ბატონიშვილმა სასტიკი დამარცხება განიცადა.

1812 წ. ნოემბერში განახლდა მწვავე რეპრესიები აჯანყებაში მონაწილეთა წინააღმდეგ. სასტიკად სჯიდნენ და აციმბირებდნენ გლეხებს. გადასახლეს 62 თავადიც, მაგრამ ფეოდალებს მთავრობამ მალე შეუმსუბუქა სასჯელი. მხოლოდ მშრომელთა კლასმა განიცადა დიდი ზიანი როგორც თვით აჯანყების დროს, ისე მისი დამარცხების შემდეგ. ეს იმას მოასწავებდა, რომ

ცარიზმი საქართველოში არა მარტო ეროვნული, არამედ, კიდევ უფრო, სოციალური ჩაგვრის პოლიტიკასაც ატარებდა.

აჯანყება რომ საბოლოოდ ჩააქრო, მთავრობამ უარჰყო დროებითი უკანდახევით ნაკარნახევი ღონისძიებანი და საბოლოოდ გააუქმა მცირე ხნით აღდგენილი მოურავობა.

1812 წ. აჯანყება წარმოადგენდა გრანდიოზულ გამოსვლას კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი სოციალური მონობის წინააღმდეგაც იყო მიმართული — იმდენად, რამდენადაც ცარიზმი სოციალურ ჩაგვრასაც ახორციელებდა. კახეთის მშრომელთა მიერ გაღებულ დიდ მსხვერპლს უშედეგოდ არ ჩაუვლია. რუსეთის მთავრობას მუდამ თვალწინ ედგა მასობრივი ბრძოლის მოგზაგზე ხანძარი. იგი იძულებული ხდებოდა, მეტი ანგარიში გაეწია ხალხის მოთხოვნილებისათვის და აელაგმა მმართველობის სისტემაში გავრცელებული ბოროტმოქმედება.

ომების დასრულება. მათი შედეგები საქართველოსათვის

ზემოაღნიშნული ომების დროს ქართველობა რუს ხალხთან ერთად ებრძოდა თავის ისტორიულ მტრებს — ირანისა და ოსმალეთის მტაცებლურ საზელმწიფოებს.

ქართველები არა მარტო საქართველო-ამიერკავკასიის ფრონტზე იბრძოდნენ რუსების მხარდამხარ, არამედ რუსეთშიაც. ისინი 1812 წ. სამამულო ომშიაც აქტიურად მონაწილეობდნენ იმ შეგნებით, რომ რუსეთის საგარეო მტერი ქართველი ხალხის ინტერესებსაც ემუქრებოდა. თუ ნაპოლეონი რუსეთის დამარცხებას შესძლებდა, მაშინ იგი საქართველოს ირანს გადასცემდა. ვინაიდან მას საამისო პირობა მიცემული ჰქონდა ჯერ კიდევ 1807 წ.

ქართველმა გენერლებმა და რიგითმა მებრძოლებმა მონაწილეობა მიიღეს რუსეთში შემოჭრილი ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ომში. მთავარსარდალ კუტუზოვის შემდეგ. ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღოდა ეროვნებით ქართველ გენერალს პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონს.

სახელგანთქმული სუვოროვის მოწაფე. შვეიცარიაში ლაშქრობის გმირი, და სწორუპოვარი სიმამაცის მეომარი პ. ბაგრატიონი უაღრესად პოპულარული სარდალი იყო რუსეთის იმპერიაში. ნაპოლეონიც კი მას რუსეთის არმიის საუკეთესო გენერლად მიიჩნევდა.

1812 წ. სამამულო ომში ბაგრატიონმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი დიდი მხედართმთავრული ნიჭი. ბოროდინოს ისტორიულ ბრძოლაში მისმა არმიამ ნაპოლეონის კორპუსთა 7 წამლეკავი იერიში მოიგერია. სარდლის სასიკვდილოდ დაჭრამ შეარყია ბოროდინოს მებრძოლთა ბანაკი: როგორც ამ ომის მონაწილენი გადმოგვცემენ, „თითქოს სული გაუფრინდა მთელ მარცხენა ფრთას“.

ბაგრატიონის გმირობა აღტაცებას იწვევდა მის თანამემამულეებში. ფრანგი დამპყრობლების დროებითს წარმატებას არ შეურყევია მოწინავე ქართველთა რწმენა, რომ დიდი რუსი ხალხი მტერზე გამარჯვებას მოიპოვებდა. ქართველმა პოეტმა პ. ლარაძემ 1812 წ. მოსკოვის გადაწვის გამო დასწერა ლექსი. რომელშიაც პატრიოტული გულისტკივილით დაიტირა ეს მოვლენა და გამოთქვა იმედი, რომ მტერს სამაგიეროს მიუზღავდნენ.

ბაგრატიონს გარდა, 1812 წ. ომში მონაწილეობდნენ სხვა ქართველი სარდლებიც — გენერლები ლ. იაშვილი, ვ. იაშვილი, ი. ფანჩულიძე, ს. ფანჩულიძე, ი. ჯავახიშვილი და სხვები. საკმაოდ ბევრი ქართველი იყო რიგით მებრძოლთა შორისაც.

ამრიგად იჭედებოდა რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო მეგობრობა და ერთიანობა გარეშე მტრების წინააღმდეგ.

1805—1813 წლების ომიანობისას ქართველმა ხალხმა უდიდესი ნივთიერი ზარალი განიცადა, მაგრამ სამაგიეროდ იმ ომებმა საქართველოსათვის დიდად მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. უკვე ნათელი გახდა, რომ ოსმალეთ-ირანის ბარბაროსულ გავლენას ამიერკავკასიაში დღე ელეოდა. მართალია, 1812 წ. მაისში ოსმალეთთან დადებული ზავის ძალით ფოთი და ახალქალაქი ისევ ოსმალებს დაუბრუნდა, მაგრამ რუსეთმა შეძლო ოსმალთა ხელიდან გამოგლეჯილი სოხუმისა და აფხაზეთის შენარჩუნება. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანთან ომის წარმატებით დასრულებასაც, 1813 წ. ოქტომბერში. რუსეთი გაბატონდა ჩრდილო აზერბაიჯანში და კასპიის ზღვაზე. მას შემდეგ კი საქართველოს აღმოსავლეთიდან საშიშროება თითქმის აღარ მოელოდა. იხსნებოდა თავისუფალი გზა ბაქო-ასტრახან-ვოლგისაკენ.

მიუხედავად ომიანობის დასრულებისა, ოსმალეთი და ირანი ვერ უროგდებოდნენ განცდილ მარცხს.

ოსმალეთი კვლავ აცხადებდა პრეტენზიას, ეპოტინებოდა დასავლეთ საქართველოს. ომით რომ ვერა გააწყო რა, ხელი მიჰყო რუსეთის მიმართ ირგამომთხრელ საქმიანობას. იგი რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდა ჩრდილო კავკასიელ ტომებს. სულთანის აგენტები დასავლეთ საქართველოს მთავართა მიმხრობასაც ცდილობდნენ, მაგრამ უკვე ამაოდ.

ქართლ-კახეთსა და საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე პრეტენზიას აცხადებდა ირანი. იგი იბრძოდა აზერბაიჯანის სახანოებში თავისი პოლიტიკური გავლენის აღსადგენად.

ამასობაში რუსეთის მფლობელობა ამიერკავკასიაში შეუნელებლივ ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. 1818 წელს დაიწყო რეალური ნაბიჯების გადადგმა საჩაჩნოსა და დაღისტნის დასაპყრობად. 1819—1826 წლებში თანდათან გაუქმდა ხანთა ხელისუფლება აზერბაიჯანში და იქ რუსული მმართველობა დაინერგა. ამ მოვლენას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო აზერბაიჯანელი, არამედ ქართველი ხალხისთვისაც: ნელ-ნელა ეცლებოდა ნიადაგი ფეოდალურ შუღლსა და მტრობას მეზობელ ხალხებს შორის.

აჯანყება იმერეთსა და გურიაში 1819—1820 წწ.

1810 წ. იმერეთში მეფის ხელისუფლების გაუქმების შემდეგ ქვეყნის სათავეში რუსი მოხელეები მოექცნენ, მაგრამ ახალი მმართველობა ერთბაშად არ დანერგილა. მთავრობას ქართლ-კახეთის მაგალითზე უკვე მიღებული ჰქონდა სათანადო გამოცდილება და ეშინოდა, რომ უცხო რეჟიმის დანერგვა ქვეყანაში აჯანყებას გამოიწვევდა. ეს შიში იმიტომაც იყო საფუძვლიანი, რომ საშინაო და საგარეო მდგომარეობა დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა დაძაბული. ამიტომ მთავრობამ სცადა იმერეთის ახალი მმართ-

ველობა, რაც შეიძლებოდა, მეტად შეეხამებინა იმერეთის მეფის დროინდელი წყობილებისათვის.

1814 წ. იმერეთი დაიყო 4 მაზრად, რომელთა უფროსებად რუსი ოფიცრები დააყენეს, ხოლო მათ თანაშემწეებად — ადგილობრივი თავადები. შენარჩუნებულ იქნა სოფლის მოურავების თანამდებობაც. იმერეთის ცენტრალურ მმართველობაში ადგილობრივი ფეოდალები დიდ როლს თამაშობდნენ. ამრიგად, მთავრობამ იმერეთში ვერ შეძლო ძველი წყობილების სავსებით მოშლა და ეს უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადასდო. მიუხედავად ამისა, მმართველობას რუსი მოხელეები ჩაუდგნენ სათავეში და თვითმპყრობელობის კოლონიური რეჟიმი მეტ-ნაკლები სიმწვავით იმერეთშიაც დაინერგა. აქაც ფართო გასაქანი მიეცა სამხედრო მოხელეთა თვითნებობას.

1818 წლიდან მთავრობამ სცადა რუსული რეჟიმის შემდგომი განმტკიცება იმერეთში. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილებაშიც დაიწყო რუსული საეკლესიო წყობილების დანერგვა.

ეკლესია საერთოდ — ქართულიც, რუსულიცა და სხვაც — თავისი ქრისტიანული სარწმუნოებით წარმოადგენდა „დაბალი კლასების ლაგამის ამოსადებ საშუალებას“ — იარაღს, რომელსაც გაბატონებული კლასები ფლობდნენ[1]. ეკლესია დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში.

1811 წ. მეფის რუსეთმა მოუსპო დამოუკიდებლობა ქართულ ეკლესიას და ქართლის კათალიკოსის ხელისუფლება გააუქმა. ქართული ეკლესია, რომლის მეთაურად „საქართველოს ეგზარქოსი“ დაინიშნა, რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს. 1817 წლიდან დაწესდა, რომ სიონის საკათედრო ტაძარში კვირაში სამჯერ წირვა-ლოცვა რუსულად უნდა ყოფილიყო. ეს ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, მკვიდრთა გარუსების მიზანს ემსახურებოდა.

რუსული მმართველობა საქართველოს ეკლესიას თვითმპყრობელობის სამსახურში აყენებდა, ქართულ ფეოდალურ ეკლესიას შლიდა და მის ნაცვლად ბიუროკრატიულ ეკლესიას ნერგავდა. ახალი, შედარებით მაღალი, პოლიტიკური წყობილება თავის შესაფერის ეკლესიას აწყობდა.

საქართველოში მეფის ხელისუფლების არსებობის დროს ეკლესია-მონასტრები ყმა-მამულებს ფლობდნენ, როგორც ფეოდალურ საკუთრებას და მაღალი სამღვდელოება საეკლესიო ყმათაგან მოკრეფილი ბეგარა-გადასახადით ცხოვრობდა. ახალი საეკლესიო რეჟიმის მიხედვით კი ეკლესიის მამულები სახაზინო მართვა-გამგეობაში უნდა გადასულიყო, ხოლო სასულიერო პირებს ჯამაგირი ენიშნებოდათ. ამრიგად, თანდათანობით ირღვეოდა ქართული საეკლესიო-ფეოდალური ორგანიზაცია აღმოსავლეთ საქართველოში. მსგავსი ცვლილება უნდა ჩაეტარებიათ დასავლეთ საქართველოშიაც. 1819 წ. ივნისში კიდევაც შეუდგნენ იმერეთში საეკლესიო ყმა-მამულების აღწერას.

იმერეთის ეკლესიაში გაბატონებული ფენები, რომლებიც ძველ პრივილეგიებს კარგავდნენ, მტრულად შეხვდნენ აღნიშნულ რეფორმას. მათ შეუერთდნენ რუსული რეჟიმით საერთოდ უკმაყოფილო თავადები. მღვდლებმა და

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 481.

თავადებმა მოიმხრეს გაწამებული გლეხებიც, რომლებმაც მთავრობის ამ ღონისძიებაში დაინახეს თავიანთი ისედაც ბეჩავი და აუტანელი მდგომარეობის მოსალოდნელი გაუარესება. გლეხებმა გარეკეს ქონების აღსაწერად მოსული მოხელეები. უკმაყოფილება სწრაფად გავრცელდა. დაიწყო აჯანყება.

ამ აჯანყების დასაწყისშიაც, ისევე როგორც წინა აჯანყებათა დროს, მოხდა გაბატონებული და დამონებული კლასების დროებითი გაერთიანება.

გლეხთა აჯანყება დაიწყო, როგორც მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის სტიქიური გამოვლინება. რაც შეეხება ფეოდალებს, ისინი მხოლოდ თავიანთი ძველი პრივილეგიური მდგომარეობის აღსადგენად იბრძოდნენ. მათ სურდათ იმერეთში ქართველი მეფის ხელისუფლების აღდგენა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნის ძველი დაქუცმაცებულობაც უნდა განახლებულიყო და წინსვლა შეფერხებულიყო.

აჯანყებულები ერიდებოდნენ რუსთა რაზმებთან შეიარაღებულ შეტაკებას. ამან რამდენადმე ხელი შეუწყო აჯანყების გახანგრძლივებას. აჯანყება გრძელდებოდა 1820 წელსაც, როცა უკვე სისხლისმღვრელი ბრძოლაც გაბშირდა და იგი გურიასა და სამეგრელოშიაც გავრცელდა. განსაკუთრებით მწვავე იყო აჯანყება გურიაში, სადაც, შემოქმედის ციხის ახლოს, მოკლეს იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი პუზირევსკი. ფიცხელი ბრძოლა მოხდა შემოქმედში, ჩოხატაურში, სურებში და სხვაგანაც.

მეფის მთავრობამ სასტიკად ჩაახშო აჯანყება. აჯანყებულთა სოფლები გაანადგურეს და დასწვეს; ბაღ-ვენახები გაჩეხეს და ძირფესვიანად მოთხარეს; აჯანყებული მოსახლეობა ისე დასაჯეს, რომ, თვით კავკასიის მთავარსარდლის გენ. ერმოლოვის სიტყვით, ისინი „კიდევ ბევრ წელიწადს ვერ აღიდგენდნენ თავიანთ პირვანდელ მდგომარეობას, უკიდურესი სიღარიბე იქნებოდა მათი სასჯელი“.

§ 3. საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის შემოერთება 1828-1830 წლებში

რუსეთთან ომში დამარცხებული ირანი სამაგიეროს გადასახდელად ემზადებოდა. ირანს აქეზებდა და რუსეთის წინააღმდეგ საომრად ამზადებდა ინგლისი, რომელიც თავგამოდებით ცდილობდა რუსეთის ამიერკავკასიიდან გაძევებას. 1826 წ. ზაფხულში დაიწყო რუსეთ-ირანის ახალი ომი. მოულოდნელად შემოსეულმა ირანელებმა დაიკავეს ყარაბაღი, განჯა, მიადგნენ ბაქოს და საქართველოში შემოჭრით საშიშროება შეუქმნეს თბილისსაც.

საქართველოს მშრომელი მოსახლეობა ამ ომშიაც რუსთა ჯარს ამოუდგა მხარში და მასთან ერთად ებრძოდა ირანელ დამპყრობლებს, მიუხედავად იმისა, რომ თვითმპყრობელურმა რეჟიმმა ბევრი სიმწარე აგემა გლეხობას. თუმცა

ამ დროისთვის ნაწილობრივ აღმოფხვრილი იყო ის ძალადობა, რომელსაც წინათ რუსი მოხელეები იჩენდნენ სასურსათო და სატრანსპორტო ბეგარის მოკრებისას.

ქართველ ხალხს იმდენად სძულდა ირანელი დამპყრობლები, რომ მან საკუთარი თაოსნობით, სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში, 6.000 მოხალისე გამოიყვანა. ეს რაზმი და მასთან ერთად მრავალი ქართველი მეთაური (გენერალ-ლეიტენანტი გ. ერისთავი, პოლკოვნიკი ლ. სავარსამიძე, გ. ორბელიანი, ზ. ანდრონიკაშვილი და სხვები) წარმატებით მონაწილეობდნენ ომში, ფრონტის სხვადასხვა უბნებზე.

ქართველებმა თავი ისახელეს სომხეთის დედაქალაქ ერევნის განთავისუფლებისას 1827 წ. იმავე წლის 13 ოქტომბერს რუსთა რაზმებმა გენერალ გ. ერისთავის სარდლობით დაიკავეს სამხრეთ აზერბაიჯანის ცენტრალური ქალაქი თავრიზი.

თავრიზის აღებამ დააჩქარა ზავის დადება (1828 წ. 10 თებერვალს). ამ ზავის საფუძველზე რუსეთმა შემოიერთა ერევნისა და ნახჭევნის სახანოები და ამრიგად გაათავისუფლა ამ სახანოების სომხურ-აზერბაიჯანული მოსახლეობა ირანელთა ბარბაროსული ბატონობისაგან. მოძმე სომხური მოსახლეობის რუსეთთან შემოერთების შედეგად საქართველოს სამხრეთი საზღვრის ეს ნაწილიც უვნებელყოფილ იქნა.

მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა 1828 წ. დაწყებულ რუსეთ-ოსმალეთის ომსაც — კერძოდ, კავკასიის ფრონტზე მიმდინარე ბრძოლას, რომელზედაც ქართველობა დიდ იმედს ამყარებდა.

ოსმალეთთან 1806—1813 წწ. ომში „ახალციხის საფაშოს“ სახელით მოხსენიებული ქართული მიწა-წყლის შემოერთების ცდები უშედეგოდ დასრულდა. ოსმალთა უღელ ქვეშ მგმინავი ქართველი მოსახლეობა კვლავ ოცნებობდა იმ ბედნიერ დღეზე, როცა ამ უღლისგან განთავისუფლდებოდა და თავის ღვიძლ ძმებს შემოუერთდებოდა.

ახალციხის საფაშო წარმოადგენდა ოსმალეთის აგრესიის პლაცდარმს ამიერკავკასიაში. XIX ს. დამდეგიდან ახალციხე ანტირუსული საქმიანობის კერად იქცა. აქედან უკავშირდებოდა ოსმალეთი დაღისტნელ ერთმორწმუნე ფეოდალებს და აბრაგთა რაზმებს, რომლებსაც საქართველოს უსევდა. აქედანვე მყარდებოდა კავშირი ჭარელ აბრაგთა საბუდართან. ჭარში მოკალთებული აბრაგები კი, ოსმალებთან შეთანხმებით, ზურგიდან ურტყამდნენ ქართლ-კახეთს და იქ განლაგებულ რუსთა ჯარებს.

ქართველობა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში დიდი ენთუზიაზმით ჩაება და კვლავ წარმატებით იბრძოდა თავისი მიწა-წყლის შემოერთებისათვის.

რუსთა რაზმების მიერ ყარსის აღების შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა ახალციხის მიმართულებითაც. 1828 წ. 24 ივლისს აღებულ იქნა ახალქალაქი, ხოლო 16 აგვისტოს, ქართველთა რაზმების ენერგიული მონაწილეობით — ქ. ახალციხეც. იმავე დროს რუსთა რაზმებმა გენერალ ალ. ჭავჭავაძის სარდლობით დაიპყრეს ბაიაზეთის საფაშოც.

ახალციხე-ახალქალაქის აღებამ საქართველოში ნამდვილი ზეიმი გამოიწვია. თანამედროვეთა გადმოცემით, „უდიდესმა აღტაცებამ მოიცვა მთელი მოსახ-

ლობა“: „ახალციხის აღება იყო საქართველოს სახალხო დღესასწაული... საქართველო ზეიმობდა დიდი ხნის წინათ დაკარგული... ახალციხის დაბრუნებაზე თავის მშობლიურ წიაღში“. ასე უყურებდა ქართველი ხალხი რუსეთის მფლობელობაში საქართველოს ტერიტორიათა გაერთიანებას.

1828 წ. ქართულმა რაზმებმა, ისევე როგორც 1809 წ., გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქ. ფოთისათვის ბრძოლაში. ფოთი აღებულ იქნა 15 ივლისს. ამის შემდეგ ქართულ-რუსულმა რაზმებმა ქობულეთ-ბათუმის მიმართულებითაც შეუტიეს მტერს. რუსებთან ერთად მარტო დასავლეთ საქართველოდან ებრძოდა 6 ათასი ქართველი.

ქობულეთის ახლოს, ლიმანთან და კინტრიშთან ბრძოლებში ქართველებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. მებრძოლი ბეჟან ბოლქვაძე, რომელიც მტრის ბანაკში დაზვერვაზე გაიგზავნა, მარტო შეებრძოლა 8 ოსმალოს; უთანასწორო ბრძოლაში, ხმალდახმალ, მან მოჰკლა და დასჭრა 4 მოწინააღმდეგე, ხოლო დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. ქართველთა რაზმმა სასტიკად დაამარცხა ოსმალები მუხაესტატესთან და კინტრიშთან 1829 წ. აგვისტოში. მიუხედავად მოპოვებული წარმატებისა, იმჯერად ქობულეთ-აჭარის განთავისუფლება ვერ მოხერხდა.

ამ ომში მონაწილე ჯარის სურსათით მომარაგების მთელი სიმძიმე კვლავ ქართველ ხალხს აწვა კისრად. „შეიძლება თამამად ითქვას, — წერდა დიდი რუსი პოეტი გრიბოედოვი, — რომ 1825 წლიდან დღემდე (1828 წ. სექტემბერი) საქართველომ პურით, სასაპალნე და შესაბმელი პირუტყვით, მეხრეებითა და ა. შ., საერთო ანგარიშით, მეტი დახარჯა თავისი ქონებიდან, ვიდრე ამას შესძლებდა რუსეთის რომელიმე ყველაზე უფრო ღონიერი ოლქი, მაშინ როცა სივრცითა და მოსახლეობით იგი ველიკორუსული გუბერნიის მხოლოდ სამ მაზრას თუ უდრის“. 1827—1831 წლებში საქართველომ გაიღო რუსთა რაზმებისათვის საჭირო პურის 40,3%, ბურღულის 46,2%, ქერის 76% და თივა-ჩალის 96,5%. იმ დროს აქ მყოფი ჯარის რაოდენობა კი 20 ათას კაცს აღემატებოდა. სამაგიეროდ, ქართველი ხალხის მიერ გაღებულ დიდ მსხვერპლს უშედეგოდ არ ჩაუვლია.

1829 წ. სექტემბერში ოსმალეთთან დადებული ზავის ძალით რუსეთმა, სხვა წარმატებასთან ერთად, შემოიერთა ძველი ქართული ქალაქები ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი და აგრეთვე ძველი სამცხე-საათაბაგოს ათი რაიონი — ახალციხისა, ახალქალაქისა, ასპინძისა, აწყურისა, ხერთვისისა, ქვაბლიანისა, აბასთუმნისა, ჭაჭარაქისა, ფოცხოვისა და ჩილდირისა. მაგრამ ეს მაინც მცირე ნაწილი იყო იმ დიდი მიწა-წყლისა, რომელიც ოსმალეთმა საქართველოს XVI საუკუნეში წაგლიჯა.

1829 წ. ზავმა დაადასტურა მეფის რუსეთის ბატონობის განმტკიცება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ოსმალეთი საბოლოოდ განიდევნა მდ. ყუბანსა და მდ. ჩოლოქს შუა მდებარე სანაპიროდან. ბარბაროსული ოსმალეთის სახელმწიფო ძველებურად უკვე ვეღარ დაემუქრებოდა კავკასიის ხალხებს.

ამ ომის დროს, 1828 წ., რუსეთის მთავრობამ გააუქმა გურიის სამთავრო და იქ, იმერეთის მსგავსად, თავისი მმართველობა შემოიღო.

ომის დასრულების შემდეგ, 1830 წ., რუსთა და ქართველთა რაზმებმა საბოლოოდ შემოიერთეს ჯარ-ბელაქანი, სადაც აგრეთვე რუსული მმართველობა დამკვიდრდა. ამით ბოლო მოეღო ჯარის გზით დაღისტნელი ფეოდალების მტაცებლურ თავდასხმას ქართლ-კახეთზე. ჯარ-ბელაქანში რუსეთის მთავრობამ ფიდიდ შეამსუბუქა ლეკური მუსლიმანური ზეადფენის მიერ დამონებული ქართველი ტომის, ინგილოების მდგომარეობა. მათ ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების დღიდან გასული თითქმის მეოცე საუკუნის მანძილზე საქართველოს მიწა-წყალი და ქართველობა ძირითადად გაერთიანდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში. გაირღვა საქართველოს ისტორიული გარემოცვა და, უდიდესი მსხვერპლის ფასად, ჩვენი ქვეყანა თანდათანობით გამოვიდა მშვიდობიანი განვითარების გზაზე. საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი აღნიშნული დიდმნიშვნელოვანი მოვლენები საუკეთესოდ გაიზრა გენიალურმა ქართველმა პოეტმა ნ. ბარათაშვილმა, რომელიც თავის ლექსში — „საფლავი მეფის ირაკლისა“ — ამბობდა:

„აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა.
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა.
შავი ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა“.

§ 4. ცვლილება ბატონყმურ მეურნეობასა და საზოგადოებაში XIX ს. I მესამედში

სოფლის მეურნეობა

XIX ს. I მესამედში საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრების ხანგრძლივ პერიოდს თან სდევდა გაუთავებელი ომები, საშინაო მღელვარება და სტიქიური უბედურება, რომლებიც დიდ ზიანს აყენებდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. სოფლის მეურნეობა, უწინდებურად ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობისა და საშინაო თუ საგარეო გართულების მძიმე ვითარების გამო, ვერ წინაურდებოდა. მებატონეთა ძალადობა, რუს მოხელეთა თვითნებობა, ეგზეკუციები, სასურსათო და ტრანსპორტო ბეგარა, მოთარეშე აბრაგთა რაზმების განუწყვეტელი შემოსევა და გაუთავებელ ომიანობასთან დაკავშირებული მთელი საშინელება ერთობ აუტანელს ხდიდა გლეხთა ცხოვრებას და მათ ნორმალური შრომითი მოღვაწეობის საშუალებას არ აძლევდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სოციალური და კოლონიური ჩაგვრის უღელში გაბმული გლეხობა უკიდურეს ძალ-ღონეს იკრებდა და საწარმოო საქმიანობას უმძიმეს პირობებშიაც განაგრძობდა. მას იმ დროისთვის უკვე მოძველებული სამიწათმოქმედო იარაღებით მოჰყავდა პური და სხვა მარცვლეული. მემინდვრეობა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი იყო. ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში გლეხები პურს საკუთარი და ბატონის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწარმოებდნენ. ბაზარზე უმთავრესად შემთხვევითი ჭარბი პროდუქტი გადიოდა.

საქართველოში მოსულ რუსთა რაზმების მოთხოვნილებას ოდნავაც ვერ დააკმაყოფილებდა ის პური, რომელსაც გლეხები ქართლ-კახეთის სახელმწიფოს

ბეგრად უხდიდნენ. ამიტომაც იყო, რომ სასურსათო ბეგრის მოკრებას თან სდევდა თვითმპყრობელობის მოხელეთა გაუგონარი ძალადობა და თავხედობა. 1801—1805 წლებში ქართლ-კახეთში მოიკრიბა 13 ათასამდე ჩეტვერტი (ჩეტვერტი 7-ოდე ფუთს უდრიდა) პური, ხოლო რეკვიზიციის წესით მოსახლეობას წაართვეს 190 ათასი ჩეტვერტი და რუსეთიდან კი 54.580 ჩეტვერტი შემოზიდეს. რაც დრო გადიოდა და საქართველოში რუსის ჯარის რიცხვი მრავლდებოდა, მით უფრო იზრდებოდა როგორც საბეგრო, ისე სარეკვიზიციო პურის რაოდენობა, ხოლო ჩვენში პურის წარმოება კი ძალზე მცირედ მატულობდა. მწარმოებელ გლეხს თავის სარჩენად აუცილებელ მინიმუმსაც კი არ უტოვებდნენ.

მაშინ მემამულეებსა და ხაზინას საკმაოდ ბლომად ჰქონდათ უამირი მიწები, მაგრამ გლეხებს მათი გამოყენების უფლება არ ეძლეოდათ. გარდა ამისა, რიცხობრივ შემცირებულსა და დაუძლურებულ გლეხობას ასეთი მიწების ათვისების ძალა და უნარიც აღარ შესწევდა. ისინი უკვე დამუშავებულ მიწებზე მოსავლიანობის გაზრდასაც კი ვერ ახერხებდნენ. წლითიწლობით ერთისა და იმავე პურეულის თესვის გამო ნიადაგი იფიტებოდა და მოსავალი თანდათან კლებულობდა. ამის ერთადერთ საშველს მაშინ ძველითგანვე მომდინარე წესი — მიწის დასვენება წარმოადგენდა. მაგრამ გლეხი, მიწის ნაკლებობისა გამო, ამას ვერ ახერხებდა. თუ XVIII ს. დამდეგს პურის მოსავალი 8-ჯერადი იყო, XIX ს. დამდეგს იგი 6-ჯერადი გახდა.

მიუხედავად ამისა, პურის მოთხოვნილების მატება მაინც ბიძგს აძლევდა მებატონეებსაც და გლეხებსაც, გაეზარდათ პურის წარმოება, მაგრამ ამ მისწრაფებას ანელებდა თვით მთავრობა, რომელიც ხელოვნურად უნარჩუნებდა პურს მცირე ფასს. პურის სახელმწიფო ფასად გაყიდვით გლეხი შრომას ვერ აინაზღაურებდა.

მარცვლეული კულტურებიდან აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ადგილი ხორბალს ეჭირა, ხოლო დასავლეთ საქართველოში — ღომსა და სიმინდს. დასავლეთ საქართველოდან ცოტაოდენი მარცვლეული ოსმალეთში გაჰქონდათ და სამაგიეროდ იქიდან მარილი, რკინის ნაკეთობანი და სხვა საქონელი შემოჰქონდათ. დასავლეთში იმ დროს სიმინდის კულტურა სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა და თანდათან დევნიდა ღომს.

XIX ს. I მესამედში ვერც მევენახეობა-მეღვინეობა განვითარდა ჯეროვნად და ვერც სოფლის მეურნეობის სხვა დარგები. მეღვინეობის ძირითადი მხარე იყო კახეთი. კახური ღვინო ძველითგანვე ფართო საშინაო და საგარეო ვაჭრობის საგანი იყო. მაგრამ იმხანად პურის მოთხოვნილების ზრდამ და ღვინის ბაზრის შესუსტებამ ეს მაღალი სამეურნეო კულტურა დააქვეითა.

მრეწველობა

ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდა მრეწველობაც, რომელსაც მე-18 ს. II ნახევართან შედარებით ნაწილობრივ დაქვეითებაც კი დაეტყო. იგი ჯერ კიდევ შინამრეწველობით, ხელოსნობითა და თითო-ოროლა საფაბრიკო-საქარხნო წამოწყებით იყო წარმოდგენილი. ახალი მთავრობა ნაკლებ, ან თითქმის სრულიადაც არ ზრუნავდა საქართველოს მრეწველობის განვითარებისათვის. მას მხოლოდ სოფლის მეურნეობის ნაწარმი და ისეთი ნედლეული აინტერესებდა, რომელიც რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებს გამოადგებოდა.

დაქვეითების გზას დაადგა ერეკლეს დროინდელი სამთო მრეწველობაც. ალავერდის, შამბლუღისა და ახტალის სპილენძ-ვერცხლის საბადოებში იძულებით მუშაობის წესები დაინერგა: გლეხებს ძალით ერეკებოდნენ იქ სამუშაოდ, დაქირავებულ მუშათა რაოდენობა მეტად მცირე იყო. ერეკლეს დროს ალავერდის ქარხნის წლიური წარმადობა უდრიდა 9-10 ათას ფუთ სპილენძს, ხოლო 1817—1829 წლებში, ე. ი. 12 წლის განმავლობაში, იქ მოპოვებულ იქნა 29100 ფუთი სპილენძი. ამრიგად, წარმადობამ ერთისამად იკლო.

1828 წელს ფრანგმა კასტელამ, მთავრობის კაპიტალითა და მხარდაჭერით, თბილისში აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა მოაწყო. ასეთი წარმოება (რომელიც იმავე წლის ბოლოდან ხაზინის საკუთრებად იქცა) არ ეწინააღმდეგებოდა ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიურ პოლიტიკას: აბრეშუმის ნახევარფაბრიკატის მიწოდებით იგი ხელს შეუწყობდა რუსეთის მრეწველობის ზრდას. მაგრამ ფაბრიკამ ვერ იხეირა და იგი დახურეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობისა და თავისუფალი მუშახელის უქონლობის გამო წარმოება ძვირი ჯდებოდა. მეაბრეშუმეობა ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული და ამიტომ ფაბრიკას ნედლეულიც დროზე ვერ მოსდიოდა.

XIX ს. პირველ მესამედში საქართველოს მრეწველობაში წარმოების მარტივი ფორმები იყო გაბატონებული. ასეთი იყო შინამრეწველობა და ხელოსნობა. შინამრეწველობას თანდათანობით სდევნიდა ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან და შინამრეწველთა გადაქცევა საქონელ-მწარმოებლებად, მაგრამ შინამრეწველობა მაინც არ ისპობოდა. გლეხები შინ, თავისთვის ამზადებდნენ შალეულს და სხვა საგნებს. 1827 წ. აღმოსავლეთ საქართველოში მარტო ტილოს მქსოველ შინამრეწველთა რაოდენობა ათასამდე აღწევდა.

საქალაქო მოსახლეობის ძირითად მასას იმ დროს ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ. ვაჭარ-ხელოსნები იყვნენ თავისუფალნიც (მოქალაქეები) და არათავისუფალნიც. თავისუფალთა რიცხვი ჯერ კიდევ ძალზე მცირე იყო, მაგრამ თანდათანობით კი იზრდებოდა.

გამონაკლის შემთხვევებში, ქალაქებში ცდილობდნენ კაპიტალისტური წარმოების დანერგვას, მაგრამ, ბატონყმური წყობილების სიმტკიცის გამო, ასეთი ცდები ჯერ კიდევ ვერ აღწევდნენ მიზანს.

XIX ს. 20-იანი წლებიდან საქართველოში იაფფასიანი სამრეწველო საქონლის ფართო შემოზიდვამ საგრძნობლად შეავიწროვა ფეიქარ ხელოსანთა საქმიანობა და ამ დარგის დაქვეითება გამოიწვია.

მიუხედავად სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების შეფერხებისა, XIX ს. პირველ ათეულ წლებში, მტრული გარემოცვის გარღვევის შედეგად, შემზადდა სათანადო ხელისშემწყობი პირობები მომავალი სამეურნეო წინსვლისათვის.

20-იანი წლებიდან ჩვენში შესამჩნევი გახდა საქალაქო ცხოვრების შედარებით განვითარება. ყველაზე ადრე ეს დაეტყო თბილისს, რომელიც იმავე ხანაში არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცენტრადაც იქცა. XIX ს. დამდეგიდან ვიდრე 1826 წლამდე ქალაქის მოსახლეობის რიცხვმა მიაღწია იმავე დონეს, რომელზედაც იგი XVIII ს. 80-იან წლებში იყო (20.857 სულ). თბილისის, ქუთაისის, გორის, თელავის, სიღნა-

ლისა და სხვა ქალაქების განვითარებას ხელი შეუწყო 20-იანი წლებიდან ვაჭ-
რობის გამოცოცხლებამ.

ვაჭრობა

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა დიდად
უწყობდა ხელს ვაჭრობის განვითარებას. მას შემდეგ,
რაც ოსმალებმა საქართველო ევროპას მოსწყვიტეს და შავი ზღვა ჩაჰკეტეს,
ხოლო ირანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონდა, საქართველოშიც ოსმა-
ლეთ-ირანის სავაჭრო მონოპოლია დამყარდა. ევროპული საქონელიც აქ ირან-
ოსმალეთის გზით თუ შემოვიდოდა. XIX ს. პირველი 20 წლის განმავლობაში
რუსეთმა ვერ შესძლო ამიერკავკასიის ბაზრის მომარაგება პირველი მოთხოვნი-
ლების საგნებით და საქართველოს ბაზარსაც კვლავ აღნიშნული ქვეყნებიდან
შემოსული საქონელი ავსებდა. ფულის ნიშნებიც სხვადასხვაგვარი იყო.

მიუხედავად ამისა, რუსეთმა მაინც დიდად შეუწყო ხელი ჩვენში ვაჭრო-
ბის განვითარებას და ბაზრის დასაპყრობად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. აქ
ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დამყარება და საკუთრების დაცვის გა-
რანტიის შექმნა ფართო პერსპექტივებს შლიდა ამ მიმართულებით. განვ-
თარდა საგზაო მშენებლობაც, რომელსაც უკვე მარტო სტრატეგიული მნიშვნე-
ლობა როდი-ღა ენიჭებოდა. გამოიყო რაზმები სავაჭრო-საქარავნო გზების დასა-
ცავად. გადაიდგა ნაბიჯები შინაფეოდალური ყაბაყოების ლიკვიდაციისათვის.
დამყარდა საფოსტო კავშირი რუსეთის ცენტრალურ ქალაქებთან.

საშინაო ბაზრის შედარებით ზრდას ხელი შეუწყო საქართველოში რუსთა
რაზმების ჩაყენებამ. ჯარის მომარაგების საჭიროება ადგილობრივი ვაჭრებისა-
თვის ხელსაყრელი შეიქნა. ვაჭარ-მევახშეები ძველებურად სისხლს სწოვდნენ
წვრილ მწარმოებლებს, მათგან ჩალის ფასად ყიდულობდნენ და ძვირად ჰყიდ-
დნენ მათს ზედმეტ პროდუქციას და ამრიგად აგროვებდნენ ფულად კაპიტალს.

ერთგვარი გაცხოველება დაეტყო საგარეო ვაჭრობას. საქართველოდან
უწინდებურად გაჰქონდათ ძვირფასი ხელოსნური ნაწარმი. ქართულ ოქროქსო-
ვილს ჯერ კიდევ დიდი გასავალი ჰქონდა ოსმალეთსა და ირანში. ქართული ხე-
ლოსნური ნაწარმი გადიოდა აგრეთვე კავკასიის სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა,
გაჰქონდათ იშვიათ ნადირთა ბეწვეული, ხამი ტილო, ცვილი, სიმინდი, ღვინო,
აბრეშუმი და სხვა საქონელი. საქართველოში შემოჰქონდათ სხვადასხვაგვარი
(შალის, აბრეშუმის) ქსოვილი, მარილი, რკინის იარაღები, შაქარი, ბროლის
ჭურჭელი და სხვ.

ამიერკავკასიის ბაზარზე რუსული საქონელი ჯერ კიდევ ძალზე მცირე
როლს თამაშობდა. ამას შედეგად მოსდევდა მმართველობისა და აქ განლაგე-
ბული ჯარის შესანახავად გამოყოფილი ფულის ნიშნების გადინება ირან-ოსმა-
ლეთში. ეს კი დიდ ზიანს აყენებდა რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიურ მიზნებს
ახლო აღმოსავლეთში, რომლის ბაზარი იმ დროს ინგლისს ეპყრა ხელთ. ამიტომ
რუსეთის მთავრობა სერიოზულად ფიქრობდა, საქართველო-ამიერკავკასიაში
გაეხსნა გზა ფრანგულ-გერმანული საქონლისათვის და ამით შეესუსტებინა
ყარს-არზრუმის გზით მომავალი ტრანზიტი, რომელიც ინგლისის ხელთ იყო.
გარდა ამისა, რუსეთის მაშინდელი მესვეურები ფიქრობდნენ ამიერკავკასიაში
თავიანთი მფლობელობის განმტკიცებაზე, რაც იმ ვითარებაში შეუძლებელ
იქნებოდა, თუ მოსახლეობის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა ოდნავ მაინც არ

შემსუბუქდებოდა. ყველა ამის გამო საჭიროდ მიიჩნიეს უცხოურ საქონელზე 10 წლის ვადით ბაჟის ძლიერ შემცირება. ამასთანავე ნებადართულ იქნა ევროპული საქონლის უბაჟოდ ზიდვა ამიერკავკასიის გზით ირანისაკენ. ეს ღონისძიება განხორციელდა 1822 წ. 1 ივლისიდან.

დაიწყო უცხოური იაფი საქონლის მრავლად შემოზიდვა საქართველოში. ევროპული საქონელი მოჰქონდათ ყულევში (მდ. ხობის შესართავში), საიდანაც ტვირთი, ცივის არხის მეშვეობით, ნავებით ამოჰქონდათ მდ. რიონამდე, ხოლო შემდეგ — რიონს ამოღმა, ვიდრე სოფ. ორპირამდე. აქედან კი იწყებოდა სახმელეთო გზა, თბილის-ბაქოსაკენ და უფრო შორსაც მიმავალი.

შეღავათიანმა და თითქმის თავისუფალმა ვაჭრობამ ხელი შეუწყო ადგილობრივი ვაჭრების გამდიდრებას. მათ ხელში დაგროვდა ფულადი კაპიტალი, რომელიც საერთოდ წარმოადგენს წარმოების ახალი წესის გაჩენის ერთ-ერთ პირობას. მაგრამ ეს ვაჭრები უმთავრესად უცხოურ საქონელს ასაღებდნენ და ნაკლებ უწყობდნენ ხელს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების, მისი ეკონომიური წინსვლის საქმეს. გარდა ამისა, საგრძნობლად შესუსტდა ქართველ ვაჭართა კავშირი რუსეთის ცნობილ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზართან. ამან კი რუსეთის ბურჟუაზიის უკმაყოფილებაც გამოიწვია. ამიტომ შეღავათიანი ბაჟით ვაჭრობა ვადამდე ერთი წლით ადრე შეწყდა. რუსეთის მთავრობა საკუთარი ბურჟუაზიის მფარველობის გზას დაადგა. მას შემდეგ ჩვენი ქვეყანა რუსული სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზრად უნდა გადაქცეულიყო.

მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, შეღავათიანმა ვაჭრობამ ხელი შეუწყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას ჩვენ ქვეყანაში.

ცვლილება გაგატონებული კლასის ცხოვრებაში

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს რუსეთში ფეოდალ-მემამულეებს არ ჰქონდათ ისეთი დიდი პრივილეგიები, როგორც ქართველ თავადებს. რუსეთის ფეოდალები თავ-თავიანთ მამულებში მხოლოდ სამეურნეო დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ისინი პასუხს აგებდნენ მთავრობის წინაშე, რომ მათ გლეხებს დროულად და წესიერად შეესრულებინათ სახელმწიფო ვალდებულება. თავის მხრივ სახელმწიფო იცავდა მემამულეთა საკუთრებასა და უფლებას მათ მიწებსა და ყმა-გლეხებზე, აიძულებდა გლეხებს, რომ მებატონეთა მონურად მორჩილნი ყოფილიყვნენ. ქართველ თავადებს კი თავიანთ სათავადოებში სამემკვიდრეო მართვა-გამგეობისა და სამართლის უფლება ჰქონდათ. ამასთანავე, მათ განკარგულებაში იყო ყმა-გლეხთა იძულებით დამორჩილების აპარატი.

რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო ვერ შეურიგდებოდა ნახევრად ხელმწიფური უფლებებით აღჭურვილი თავადების არსებობას საქართველოში. ამიტომ მან იმთავითვე გამოუთხარა ძირი ქართლ-კახეთის სათავადოებს. დაიწყო ქართველი თავადების გადაქცევა რუსული ტიპის მემამულეებად („პომეშჩიკებად"). თავადებმა ჯერ საქვეყნო მართვა-გამგეობის სამემკვიდრო პრივილეგიები დაკარგეს. ხოლო შემდეგ. უფრო გვიან — აზნაურებზე ბატონობის უფლება. ეს პროცესი გრძელდებოდა XIX ს. მთელი პირველი ნახევრის განმაელობაში.

რუსეთის დაწინაურებული ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილებ-ს ზემოქმედება საქართველოში არსებულ ურთიერთობაზე დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა. წინანდელი ფეოდალურ-საგვარეულო მიწისმფლობელობის ნაცვლად თანდათან შემოდიოდა მემამულის ინდივიდუალური ფეოდალური საკუთრების წესი, რაც გზას უხსნიდა მიწაზე ბურჟუაზიული მფლობელობის შემოსვლას და ბატონყმური ურთიერთობის რღვევის ტენდენციების განვითარებას.

პროგრესულ ზემოქმედებასთან ერთად რუსეთის სახელმწიფომ ჩვენში უაღრესად გააძლიერა მებატონეზე ყმის პირადი დამოკიდებულება. რუსეთის სახელმწიფო ბატონყმობას იცავდა, ძლიერი მთავრობა ახლა უწინდელზე გაცილებით უფრო მეტად იმონებდა მშრომელ მასებს. 1807 წ. კანონით ქართველ მემამულეებს უფლება მიეცათ, საკუთარ გლეხებს შორის აღმოცენებული სამოქალაქო საჩივრები განეხილათ. 1832 წ. მთავრობამ ყმათა ფლობა მხოლოდ თავადაზნაურთა პრივილეგიად სცნო (მანამდე საქართველოში ყმები ჰყავდათ ვაჭრებსაც, მოქალაქეებსაც და გლეხებსაც კი). მათ უფლება მიენიჭათ, დამნაშავე ყმები ჩრდილო კავკასიაში გადაესახლებინათ.

მეფის მთავრობამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები ქართველი თავად-აზნაურობის რუს „დვორიანებთან“ უფლებრივი გათანაბრებისაკენ. ამისათვის საჭირო იყო მათთვის წოდებრივი უფლების დამტკიცება. ეს დაიწყო 1818 წელს. მაგრამ ბევრ თავად-აზნაურს თავისი წოდების დამამტკიცებელი საბუთები აღარ აღმოაჩნდა. მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა 1827 წ. ბრძანებულება, რომლის საფუძველზე ქართველი თავადაზნაურობა უფლებრივად გაუთანასწორეს რუს „დვორიანებს“. 1833 წ. გამრცემული კანონის მიხედვით თავადების ყმა აზნაურები უნდა გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ვიდრე ეს აზნაურები თავადებს ქონებრივად არ გამოეყოფოდნენ, მათი განთავისუფლება შეუძლებელი იქნებოდა. თავადები კი აზნაურთა საკუთრებას არ სცნობდნენ. ამიტომ იყო, რომ აღნიშნულმა ღონისძიებამ მაშინ თავადთა უკმაყოფილება კიდევ უფრო გაამწვავა და მისი განხორციელებაც მომავლისთვის გადაიდო. რუსეთის დვორიანებთან უფლებრივი გათანაბრებით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ სახაზინო და საეკლესიო აზნაურებს. ეს უკანასკნელნი 1818 წლიდან სახაზინო უწყებაში მოხვდნენ.

ამრიგად, რუსეთის მთავრობამ შესძლო აზნაურთა ფენის გულის მოგება. სათავადო აზნაურებსაც რუსეთის მთავრობაზე ეჭირათ თვალი. მთავრობა მხარს უჭერდა მათ ბრძოლას თავადთა ყმობისაგან განთავისუფლებისათვის.

XIX ს. I მესამედში რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთში შექმნა თავადაზნაურთაგან განსხვავებული, პრივილეგირებული საზოგადოებრივი ჯგუფი — სასულიერო წოდება. წინათ მაღალ სამღვდელო პირებად თავადები და აზნაურები იყვნენ, სოფლის დაბალი სამღვდელოება კი ყმა გლეხთა ბანაკს ეკუთვნოდა და თითქმის ისეთსავე ჩაგვრას განიცდიდა, როგორსაც სხვა გლეხები. 1808 წ. 7 ივლისის კანონით დაბალი სამღვდელოება განთავისუფლდა ბატონყმური ექსპლუატაციისაგან. 20—40-იან წლებში ეს ღონისძიება დასავლეთ საქართველოშიაც გატარდა. ამრიგად, მეფის მთავრობამ სასულიერო წოდების შექმნით ახალი და საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი გაიჩინა.

გლეხობა

საქართველოში რუსეთის გაბატონებასთან დაკავშირებით გლეხთა ცხოვრებაშიაც მოხდა ცვლილება. უპირველეს ყოვლისა, გამწვავდა მათი ექსპლუატაცია. ძველ საბატონყმო ბეგარა-გადასახადებს ზედ დაერთო ვალდებულება ახალი მმართველობისადმი. როგორც ზემოთ ითქვა, რუსი მოხელეები ოდნავაც არ უწევდნენ ანგარიშს გლეხთა ქონებრივ შემძლეობას და შეუძლებელს მოითხოვდნენ მათგან.

მშრომელთა მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია არა მარტო ექსპლუატაციის გაძლიერებამ, არამედ აგრეთვე მეფის რუსეთის მიერ დამყარებულმა ეროვნულმა ჩაგვრამ. უცხო მოხელეები აბუჩად იგდებდნენ მათ მრავალსაუკუნოვან კულტურულ ტრადიციებს.

გლეხთა ექსპლუატაციის გამწვავებას XIX ს. 20-იანი წლებიდან ხელი შეუწყო აგრეთვე საშინაო ბაზრის შედარებით გაფართოებამ, რამაც გაზარდა მებატონეთა მოთხოვნილება ფულზე. ამას შედეგად მოსდევდა საბატონყმო ვალდებულების მატებაც.

გლეხები თავიანთ ბატონებს სამგვარ ბეგარა-გადასახადს უხდიდნენ: შრომითს, ნატურალურსა და ფულად ბეგარას. დანარჩენებს ჭარბობდა ნატურალური ბეგარა. ქვეყანაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განუვითარებლობის გამო ფულადი ბეგარა ჯერ კიდევ მცირე იყო.

გლეხი მოვალე იყო მიერთმია ბატონისათვის პურისა და ღვინის ჭირნახულის გარკვეული ნაწილი. პურზე დაწესებულ გადასახადს ღალა ეწოდებოდა, მისი რაოდენობა მერყეობდა მოსავლის $^1/_3$-დან $^1/_{10}$-დე. ღვინის გადასახადს კულუხი ერქვა. კულუხს, ისევე როგორც ღალას, სხვადასხვა სოფელში გლეხური კომლები სხვადასხვა მოცულობით იხდიდნენ — მოსავლის $^1/_7$-დან $^1/_{15}$-მდე. ბეგრის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა აგრეთვე საკლავი. ამ ძირითად პროდუქტებს გარდა გლეხს ბატონისათვის დროდადრო, საბედნიერო თუ სამგლოვიარო დღეებში, ძღვენი უნდა მიერთმია.

არანაკლებ მძიმე იყო შრომითი ბეგარა. **გლეხს** უნდა დაეთესა ბატონის მიწა, აეღო და დაებინავებინა მოსავალი, შეესრულებინა სხვა მრავალგვარი სამეურნეო ბატონის სასახლეში და მისთვის მუდმივი მოსამსახურე-მოახლეც მიეცა. თავისი ოჯახის წევრთაგან. იმავე დროს გლეხი ცოლის შერთვის თუ ქალის გათხოვების შემთხვევაშიც ფულს უხდიდა ბატონს. ასევე უნდა გადაეხადა ფული გლეხის ოჯახს, თუ მისი წევრები გაიყრებოდნენ ან შეერთდებოდნენ და სხვ.

საერთოდ ყმა-გლეხებს მცირემიწიანობა ახასიათებდათ. აღმოსავლეთ საქართველოს საბატონო გლეხთა ყოველ კომლზე საშუალოდ $3\frac{1}{2}$ დესეტინა მოდიოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში — არა უმეტეს $2\frac{1}{2}$-სა. დიდად იყო დარღვეული პროპორცია მებატონეებსა და გლეხებს შორის. ქართლ-კახეთში ყოველ მებატონე კომლზე დაახლოებით 9 კომლი გლეხი მოდიოდა, დასავლეთ საქართველოში კი — 5-6. ამიტომ დასავლეთში ყმათა ჩაგვრას უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა, ვიდრე აღმოსავლეთში.

მიუხედავად ერთნაირად მძიმე ექსპლუატაციისა, საბატონო გლეხთა შორისაც იყო ქონებრივად და ნაწილობრივ უფლებრივადაც განსხვავებული კატეგორიები: აზატები, მსახურები, ხიზნები, მებეგრეები, მოჯალაბეები და სხვანი.

ეზატი გლეხი ზოგიერთი მძიმე ბეგრისაგან განთავისუფლებულ ყმას ნიშნავდა. მსახურებიც (უპირატესად დასავლეთ საქართველოში) შედარებით მსუბუქ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: ბევრ მათგანს გადასახადი ევალებოდა არა ყოველწლიურად, არამედ 3 წელიწადში ერთხელ. ხიზნები იურიდიულად, პირადად თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ უმიწობის გამო ვერ ინარჩუნებდნენ ამ თავისუფლებას და ისევ მებატონეთა უღელში ებმებოდნენ. მებეგრეებს — ყმაგლეხთა ძირითად ნაწილს — თითქმის ყოველგვარი საბატონო ბეგარა-გადასახადი ეკისრებოდათ. მოჯალაბეები ყველაზედ უფრო დამონებულნი და უუფლებონი იყვნენ. ამათ საკუთარი მეურნეობა არ ჰქონდათ: მებატონეთა კარ-მიდამოზე ცხოვრობდნენ და მათგან განუსაზღვრელ ძალადობას განიცდიდნენ.

საბატონო გლეხებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ სახაზინო გლეხები. ეს კატეგორია შედგა ძველი სამეფო და საბატონოშვილო გლეხებისაგან. სახაზინო ფონდში გადავიდნენ აგრეთვე რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ და ამის გამო დასჯილ ფეოდალთაგან ჩამორთმეული გლეხები. რუსეთის გაბატონების პირველ ხანებში ექსპლუატაციის გამწვავება თანაბრად შეეხო როგორც საბატონო, ისე სახაზინო და საეკლესიო გლეხებს, მაგრამ დროთა ვითარებაში, როცა რუსეთის ბატონობა აქ თანდათან განმტკიცდა და არსებული სახელმწიფო ბეგრის აკრებაში განუკითხაობა და ძალადობა მეტნაკლებად შენელდა (განსაკუთრებით 20-იანი წლებიდან) შესამჩნევი გახდა სახაზინო გლეხთა შედარებით უკეთესი მდგომარეობა. მართალია, ისინი ხაზინის მხრივ ფეოდალურ ექსპლუატაციას განიცდიდნენ და მათ საკუთარი მიწები და პირადი თავისუფლება არ ჰქონდათ, მაგრამ სახაზინო გლეხთა ბეგარა საბატონო გლეხთა ბეგარაზე ნაკლები იყო. გარდა ამისა, ისინი მებატონეთა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი სამსახურისაგან თავისუფალი იყვნენ. ძირითადად ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ყოფილი საეკლესიო გლეხებიც.

საქართველოში მეფის რუსეთის სოციალურ-კოლონიური პოლიტიკა, როგორც ზემოთ ითქვა, ბატონყმობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ისახავდა მიზნად. იგი ხელს უწყობდა ყმა გლეხებზე მებატონეთა უფლების გაძლიერებას. მაგრამ იმავე დროს მთავრობა თავგამოდებით იბრძოდა საქართველოში სახაზინო-ფეოდალური საკუთრების გაზრდისათვის. ამიტომ იგი ზოგიერთ ისეთ ღონისძიებასაც ატარებდა, რომელიც წინანდელთან შედარებით მეტ პერსპექტივას უქმნიდა ყმათა მიერ მებატონისაგან თავის დახსნას და ხაზინის მფლობელობაში მათ გადასვლას.

რუსეთის ფეოდალურ სახელმწიფოს ჩვენ ქვეყანაში ძლიერი დასაყრდენის მოპოვება და თავადური ოპოზიციის დაძლევა ესაჭიროებოდა. საამისოდ კი სამხედრო ძალა არ კმაროდა. ჩამორჩენილ რუსეთს ჯერ კიდევ არ შესწევდა იმის უნარი, რომ ეკონომიური ზემოქმედებით გადაეჯგუფებინა საზოგადოებრივი ძალები და თავისი ბატონობისათვის აქ მტკიცე დასაყრდენი უზრუნველეყო. ამიტომ რუსეთის მთავრობა მემამულეობით უპირისპირდებოდა ადგილობრივ ფეოდალებს და, რაც შეეძლო, მეტსა და მეტ მიწასა და ყმას ითვისებდა.

1801 წ. აგვისტოში იმპერატორის ბრძანებით ტყვეობიდან თუ სხვაგვარად დაკარგვიდან დაბრუნებული გლეხები სახაზინო უწყებაში გადადიოდნენ. ამან ერთგვარი ბიძგი მისცა უცხოეთში გაქცეული გლეხების დაბრუნებას.

1803 წ. 14 თებერვალს გამოცემული ბრძანებულებაც შეეხო ამ საკითხს. უცხოეთიდან თავისი ნებით მოსულ გლეხს პირადი თავისუფლება ენიჭებოდა და რადგან გლეხი მაშინ არსებული ურთიერთობისა და უმიწობის პირობებში პირად თავისუფლებას ვერ ინარჩუნებდა, იგი ხაზინის ყმად იქცეოდა. 1824 წ. 22 თებერვლის კანონით ქართველ გლეხებს მიეცათ ბატონისაგან თავის გამოსყიდვის უფლება, თუკი ბატონის ქონება საჯარო ვაჭრობით გაიყიდებოდა. თუ გლეხს საკმაო ფული ექნებოდა, იგი თავს მიწიანად გამოისყიდდა და პირად თავისუფლებასაც შეინარჩუნებდა. მართალია, გლეხს მაშინ იშვიათად თუ შეეძლო ამ უფლების გამოყენება, მაგრამ ეს კანონი მაინც გზას უკაფავდა თავდახსნის პროცესის შემდგომ გაძლიერებას.

ხაზინის ინტერესებით იყო ნაკარნახევი, რომ XIX ს. 20-იანი წლებიდან დაიწყო მთავრობის მიერ გლეხთაგან თავდასახსნელი საჩივრების მიღება—იმ შემთხვევაში, თუ მებატონეს ყმაზე საკუთრების დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნდა. დაიწყო ასეთი საჩივრების აღძვრა, მაგრამ მათ მომჩივან გლეხთათვის უბედურების მეტი არაფერი მოჰქონდათ. მთავრობამ ამით გაამწვავა კლასობრივი ურთიერთობა გლეხებსა და მებატონეებს შორის და სახაზინო ფონდისაკენ გლეხთა ლტოლვა წაახალისა.

ამ გზით მთავრობა, გარდა იმისა, რომ სახაზინო ფონდის გაზრდას უწყობდა ხელს, ქართულ ბატონყმურ ურთიერთობას თანდათანობით უფარდებდა და უხამებდა რუსეთში არსებულ ბატონყმობის ნორმებს. ქართულმა ფეოდალურმა ურთიერთობამ შედარებით უფრო განვითარებული რუსეთის ბატონყმური სახელმწიფოს მხრივ ძლიერი ზემოქმედება განიცადა.

XIX ს. 20-იან წლებში მთავრობამ სცადა ადგილობრივი საბატონყმო ბეგარა-გადასახადების მოწესრიგება, მათი განსაზღვრა. დაიწყო ამ საკითხის შესწავლა, რაშიაც თვით ქართველი მებატონეები მონაწილეობდნენ. ასეთი „შესწავლა“, რა თქმა უნდა, გლეხთათვის სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა. ქართველმა ფეოდალებმა დაუმტკიცეს მთავრობას, რომ ყმების დაბეგვრა „მებატონეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული“. მთავრობასაც არ უღალატნია თავისი სოციალური ბუნებისათვის და იგი განაგრძობდა ყმების მიმართ ფეოდალთა უფლების დაცვას. მთავრობის ბრძოლა სახაზინო საკუთრების გაფართოებისათვის არ ცვლიდა პოლიტიკის ამ კურსს.

ექსპლუატაციის გაძლიერებას გლეხები კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმით უპასუხებდნენ. ბრძოლის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა იმ დროს ბატონისაგან გაქცევა იყო. გლეხები „ცუდ“ მებატონეებს გაურბოდნენ და „კარგებთან“ მიდიოდნენ, ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდნენ. ხშირი იყო გლეხთა გამოქცევა დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთში. გარდა ამისა, გლეხები უჩიოდნენ მოძალადე ბატონებს და უარს აცხადებდნენ ყმური მოვალეობის შესრულებაზე.

მაგრამ გლეხები უფრო აქტიურადაც იბრძოდნენ. წინანდელთან შედარე-

ბით გახშირდა ყმათა მიერ ავი ბატონების დახოცვისა და ყაჩაღად გავარდნის შემთხვევები.

XIX ს. პირველ მესამედში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მაჩვენებელი იყო ის რამდენიმე აჯანყებაც, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. გლეხები უმთავრესად კოლონიურ რეჟიმს ებრძოდნენ და ამით იმ წყობილებასაც უცხადებდნენ პროტესტს, რომელიც ისე თავგამოდებით იცავდა ბატონყმობას, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას. მაგრამ გლეხები სტიქიურად იბრძოდნენ და, კლასობრივი შეუგნებლობის გამო, მიზანს ვერ აღწევდნენ. ჯერ კიდევ არ არსებობდა რევოლუციური კლასი, რომელსაც შეეძლებოდა გლეხთა ბრძოლისათვის ხელმძღვანელობა გაეწია.

ბრძოლა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ

ოსმალეთის მტაცებლური სახელმწიფოს მიერ საქართველოში ძველითგანვე გაჩაღებული ტყვის სყიდვა (ადამიანებით ვაჭრობა) XIX ს. I ნახევარშიაც გრძელდებოდა. მოწინავე ქართველი მოღვაწეები იმთავითვე ებრძოდნენ ამ უმახინჯეს სოციალურ სენს. საქართველოში ძლიერი რუსეთის გაბატონების შედეგად მეტი გასაქანი მიეცა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლას. დიდი როლი ითამაშა ამ საქმეში ფოთის, სოხუმის, ახალციხის მხარისა და ჭარ-ბელაქნის შემოერთებამ, ვინაიდან ყველა ეს ადგილი ადამიანებზე მონადირე ავაზაკთა საბუდარს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ტყვის სყიდვა მაინც გრძელდებოდა.

ყმა-გლეხთა მოტაცებას და უცხოეთში გაყიდვას მფარველობდნენ მოღალატე ადგილობრივი ფეოდალებიც. ტყვეთა მტაცებელ ოსმალო ყაჩაღებს ბევრი აგენტი ჰყავდათ ქვეყნის შიგნით. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ეს სენი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, სადაც მთავარი ქელეშბეგ შარვაშიძე ოფიციალურად ეწეოდა ტყვე-მონებით ვაჭრობას. ჩუმ-ჩუმად ჰყიდდა ტყვეებს გურია-სამეგრელო-იმერეთის არა ერთი ფეოდალიც.

რუსეთის მთავრობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ტყვის სყიდვას, გამოქვეყნდა მოწოდებანი და კანონები, რომელთა მიხედვით დამნაშავენი სასტიკად ისჯებოდნენ.

თავის მხრივ მშრომელი ხალხიც შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ. XIX ს. პირველ ნახევარში გურიაში დიდი სახელი მოიხვეჭა ასეთი ბრძოლის ერთ-ერთმა გმირმა, ხეველმა გლეხმა ბუღარა მამალაძემ. გოლიათური ძალ-ღონის, რკინის გულის, მჭექარე ხმის მქონე ბუღარა, როგორც მას წარმოგვიდგენს ხალხური გადმოცემა, მის გარს შემოკრებილ ვაჟკაცთა გუნდთან ერთად, შიშის ზარს სცემდა ადამიანებზე მონადირე ავაზაკებს.

30-იანი წლებიდან ტყვის სყიდვამ თანდათან იკლო. მან მეტნაკლებად იარსება თვით 60-იან წლებამდე, როცა იგი საბოლოოდ მოისპო, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური წინსვლის შედეგად.

ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის შემაძრწუნებელი, რეალისტური სურათები დაგვიხატა მწერალმა უიარაღომ (კ. თათარაშვილმა) თავის შესანიშნავ მოთხრობაში „მამელუკი“.

§ 5. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XIX ს. 20-30-იან წლებში

მოწინავე საზოგადოებრივი ძალების ბრძოლა

როგორც ვიცით, XIX ს. დამდეგს მოწინავე ქართველები ქართული თვითმმართველობისათვის იბრძოდნენ. საქართველოში ციციანოვის დანიშვნით ცარიზმი, ნაწილობრივ გამოეხმაურა მათ ბრძოლას. ციციანოვის მოკვლის შემდეგ მის მაგიერ ცნობილი პეტრე ბაგრატიონის გამოგზავნას ფიქრობდნენ, მაგრამ ეს არ განხორციელდა და 1806 წლიდან საქართველოს მთავარსარდლებად მხოლოდ რუს გენერლებს ნიშნავდნენ. ერთი სიტყვით, ცარიზმმა იცი კი არ სცნო სასურველად, რომ ქართველთა ხელით ემართა ქვეყანა. მიუხედავად ამისა, მოწინავე დასელები მაინც არ თანაუგრძნობდნენ რეაქციონერ ფეოდალებს და რუსეთისაგან ჩამოცილებას მხარს არ უჭერდნენ. რუსეთი კი ამ დროს ნამდვილად ასრულებდა პროგრესულ როლს აღმოსავლეთში.[1] მოწინავე ქართველები მთელი ძალ-ღონით ხელს უწყობდნენ აღნიშნული პროგრესული მისიის განხორციელებას.

მეფის რუსეთი ამიერკავკასიაში თავისი სამფლობელოების გაფართოებისათვის იბრძოდა, მაგრამ თან ჩვენი ქვეყნის მტრებს — ირან-ოსმალეთის სახელმწიფოებს — ამარცხებდა. ქართველი ხალხის არსებობისათვის აუცილებელი იყო ირან-ოსმალეთის განდევნა ამიერკავკასიიდან. გარდა ამისა, რუსეთი დაქუცმაცებული საქართველოს მიწა-წყალს აერთებდა, რასაც, მიუხედავად იმისა, რომ აქ სასტიკი კოლონიური რეჟიმი მყარდებოდა. ჩვენი ხალხის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ რუსეთის ბრძოლას მოწინავე ქართველებმა თავიანთი პატრიოტული მიზნები შეუთავსეს. მტრული გარემოცვის გარღვევა, დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანება და ფეოდალური შინაომების აღკვეთა ქართველებს სწორად ესმოდათ, როგორც სამშობლოს, საქართველოს 'უკეთესი' მომავლისათვის ბრძოლა. მათი აზრით, რუსეთის ძალებთან ერთად ბრძოლის ეს გზა, რომელსაც ქართველი ხალხის გაერთიანება-გაძლიერება მოსდევდა, ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის მოამზადებდა.

XIX ს. პირველი ათეული წლების განმავლობაში მომხდარმა მოვლენებმა ხელი შეუწყეს რუსი და ქართველი ხალხების მოწინავე წარმომადგენელთა დაახლოებას. ქართული თავადაზნაურული ინტელიგენციის წარმომადგენლები მალე ჩაებნენ სამხედრო სამსახურში და დიდ როლს ასრულებდნენ რუსეთის ომებში. ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა პეტერბურგსა და მოსკოვში. რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო სასწავლებლებში ისინი ეცნობოდნენ რუსულსა და ევროპულ ლიტერატურას და მოწინავე საზოგადოებრივ იდეებს. ბევრი მათგანი, როგორც მაგალითად, სოლომონ დოდაშვილი, იაგორ ჭილაშვილი და სხვები, განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდა და აქ ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა.

XIX ს. 20-იან წლებში მოწინავე ქართველთა პროგრესულ ჯგუფში ჩამოყალიბდა ქართველი ხალხის განთავისუფლების მიმდინარეობა, რომელიც სა-

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ., ტ. XXI, გვ. 211. რუსული გამოცემა.

ქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის სათანადო ნიადაგის შესამზადებლად საქმიანობდა.

განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ქართველ ინტელიგენციაზე თავადაზნაური რევოლუციონერების გამოსვლამ პეტერბურგს, 1825 წ. დეკემბერში. იქ მყოფი ქართველი ახალგაზრდები სენატის მოედანზე მომხდარი სისხლიანი ამბების მოწმენი გახდნენ. დეკაბრისტულ მოძრაობაში 2 ქართველიც კი მონაწილეობდა — ა. განგებლიძე და მ. ბარათაშვილი.

მეფის მთავრობამ სასტიკად დასაჯა დეკაბრისტები. ბევრი მათგანი გადმოასახლეს ამიერკავკასიაში, რომელსაც „თბილ ციმბირს“ უწოდებდნენ. გადმოსახლებულები — ნ. რაევსკი, ა. ოდოევსკი, სუხორუკოვი, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი, ბურცევი და სხვები — უახლოვდებოდნენ მოწინავე ქართველებს, რომლებიც მაშინ რუსთა რაზმების მეთაურებად მსახურობდნენ. ასეთები იყვნენ პოეტი და გენერალი ალ. ჭავჭავაძე, პოეტი და შემდეგ აგრეთვე გენერალი გ. ორბელიანი და სხვები.

ალ. ჭავჭავაძე მეგობრობდა დეკაბრისტ რაევსკის. შემდგომ ცნობილი დრამატურგი გ. ერისთავი დიდ პატივს სცემდა ბესტუჟევ-მარლინსკის. დეკაბრისტებს თანაუგრძნობდნენ გ. ორბელიანი და სხვა ქართველებიც. გ. ორბელიანმა 1831 წ. ქართულად თარგმნა ცნობილი დეკაბრისტი პოეტის რილეევის ლექსი „ნალივაიკოს აღსარება“, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

ქართველი ახალგაზრდებისა და დეკაბრისტების ურთიერთობას ამჭიდროებდა საქართველოში მყოფი დიდი რუსი მწერლის ალ. გრიბოედოვის ნათესაური კავშირი პოეტ ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან.

XIX ს. 20-იანი წლების მიწურულში თბილისში, წინანდალსა და ყარაღაჯში (ამ უკანასკნელში პოლკს ჰქონდა ბინა) შეიქმნა პროგრესულ ძალთა თავშესაყარი პუნქტები, სადაც ერთიმეორეს ხვდებოდნენ მოწინავე რუსი და ქართველი ადამიანები. ალ. გრიბოედოვი და ალ. ჭავჭავაძე ამ შეხვედრათა ცენტრალურ ფიგურებს წარმოადგენდნენ. რუსებთან ერთად ქართველი ახალგაზრდებიც ცოცხლად ეხმაურებოდნენ იმ დროის ევროპისა და რუსეთის ახალ ამბებს. დეკემბრის დიდმნიშვნელოვანი აჯანყების შემდეგ, მათი ყურადღების ცენტრში იყო 1830 წ. რევოლუცია ევროპაში და 1830-31 წწ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა პოლონეთში. საქართველოში გამოხმაურებას პოულობდა რუსეთის რევოლუციური მოძრაობა, ევროპის რევოლუციური სიტუაცია და მისი გადაზრდა რევოლუციაში. რუსი და ევროპელი ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლი კიდევ უფრო აღვივებდა ამიერკავკასიელი ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას.

პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში მყოფი ზოგიერთი ქართველი ახალგაზრდა თავისებურად აკრიტიკებდა დეკაბრისტების მიერ დაშვებულ შეცდომებს და მოსწავლეთა შორის ცარიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა. ასეთი იყო, მაგალითად, პაჟთა კორპუსის მსმენელი ივანე მუხრანბატონი, რომლის აზრითაც თვითმპყრობელობის დამამხობელ აჯანყებას უფრო ფართო ხასიათი უნდა მისცემოდა და ასეთი აჯანყება ხანგრძლივი, 10—15 წლის განმავლობაში წარმოებული პროპაგანდისტული მუშაობით უნდა მოემზადებინა.

მოწინავე ქართველები რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად ფიქრობდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობის დასამხობად და კოლონიური ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განსათავისუფლებლად.

სოლომონ დოდაშვილი (1805—1836). პროგრესული დასის სხვა წარმომადგენლები

ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსულმა სოლომონ დოდაშვილმა 1827 წ. დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი. იგი მხოლოდ მოწმე კი არ იყო 1825 წ. დეკემბრის აჯანყებისა, არამედ დეკაბრისტების განმათავისუფლებელ იდეებსაც ნაწილობრივ იზიარებდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაისახა მან მიზნად, რომ მთელი თავისი მომავალი მოღვაწეობა და ცხოვრება სამშობლოს კეთილდღეობისათვის შეეწირა.

უნივერსიტეტში ყოფნის დროს დოდაშვილმა რუსულად დაწერა და 1827 წ. გამოსცა „ფილოსოფიის კურსის“ პირველი ნაწილი — „ლოგიკა“, რომელმაც მაშინდელ რუსეთში დიდი მოწონება დაიმსახურა.

სოლ. დოდაშვილის მთელი მოღვაწეობა გვაფიქრებინებს, რომ ის რესპუბლიკურ-დემოკრატიული იდეების მიმდევარი უნდა ყოფილიყო. იგი წოდებათა თანასწორობას ქადაგებდა. მისი აზრით, ადამიანი უნდა დაფასებულიყო პიროვნულ ღირსებისამებრ და არა სოციალური წარმოშობის მიხედვით. დოდაშვილი მოითხოვდა განათლების გავრცელებას მშრომელ მასებში. საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილება მას უმეფოდ, რესპუბლიკის მსგავსი ფორმით ჰქონდა წარმოდგენილი.

1827 წლიდან დოდაშვილი უკვე სამშობლოში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1829 წ. იგი დაინიშნა მაშინდელი თბილისის გაზეთის „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ ქართული გამოცემის („თბილისის უწყებანი“) რედაქტორად. რუსული გამოცემის რედაქტორად მაშინ მუშაობდა პუშკინის ამხანაგი სანკოვსკი, ხოლო რედაქციაში თანამშრომლობდნენ აგრეთვე აქ გადმოსახლებული დეკაბრისტები. გაზეთის გარშემო თავი მოიყარეს ქართველმა ახალგაზრდებმა— გ. ერისთავმა, დ. ყიფიანმა, ალ. ორბელიანმა, ი. მამაცაშვილმა და სხვებმა. ეს გაზეთი რაზმავდა ქართველ ხალხს ოსმალო და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ქადაგებდა რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობას და ხელს უწყობდა ამ ორი ხალხის ერთიმეორესთან დაახლოებას.

ს. დოდაშვილის მეთაურობით ქართველმა ინტელიგენტებმა 1832 წ. იანვარში დაიწყეს გამოცემა პირველი ქართული ჟურნალისა — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელმაც გააჩაღა ბრძოლა ქართული ენის, მწერლობისა და საერთოდ კულტურის განვითარებისათვის. ჟურნალი ეწეოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისათვის მებრძოლი ერეკლე II-ის გმირულ საქმეთა პოპულარიზაციას, იბრძოდა ხალხის განათლებისათვის და სამშობლოსადმი თავდადებულ სიყვარულს ქადაგებდა. მაშინდელი მკაცრი ცენზურის პირობებში, როდესაც მეფის მსახურები აზშობდნენ ყოველგვარ მოწინავე აზრს, ჟურნალი შენიღბულად ახერხებდა კოლონიური ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას.

ს. დოდაშვილმა და მისმა დასმა XIX ს. 20—30-იანი წლების მიჯნაზე სერიოზული როლი ითამაშეს ქართველი საზოგადოების განვითარების საქმეში.

მათ გამოაფხიზლეს ხალხში განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთება. ქართველი ხალხის პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლა მათ თავისებურად დაუკავშირეს რუსი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

ალ. ჭავჭავაძე, ი. ჭილაშვილი და სხვა პროგრესიული ელემენტები, თავადაზნაურთა ბანაკიდან, ეხმაურებოდნენ მშრომელთა ინტერესებსაც. მათ ახასიათებდა ხალხის სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ტენდენცია.

მოწინავე ქართველები ჯერ კიდევ ერეკლე მეორის დროს ადგენდნენ ჩვენი ქვეყნის გარდაქმნა-გაუმჯობესების გაბედულ გეგმებს. ამ მიმართულებით ქართველთა საქმიანობა XIX საუკუნეშიაც არ შეწყვეტილა. პეტერბურგსა და მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბატონიშვილები — იოანე, დავითი, თეიმურაზი, ბაგრატი და სხვები — განიცდიდნენ ევროპელი და რუსი მოაზროვნეების კეთილმყოფელ გავლენას და გამოთქვამდნენ აზრებს ფეოდალური მეურნეობის გარდაქმნა-გაუმჯობესების, კულტურული ცხოვრების განვითარებისა და სხვა საკითხების შესახებ. იოანე ბაგრატიონმა XIX ს. 20-იან წლებში დასწერა ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოები „კალმასობა". ამ წიგნში მან ამხილა ძველი ქართული ფეოდალურ-ბატონყმური ცხოვრების მანკიერი მხარეები.

მოწინავე ქართველთა მრავალმხრივი საქმიანობა ამზადებდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ძალების ზრდას და იმ მომავალს, როცა დიდ რუს ხალხთან მხარდამხარ ბრძოლით თვითმპყრობელობა დაინგრეოდა და ქართველი ხალხი სოციალურსა და პოლიტიკურ თავისუფლებას მოიპოვებდა.

თავადაზნაურული რეაქციული შეთქმულება 1832 წ.

ქართველ ფეოდალთა რეაქციული ბანაკი თავიდანვე იბრძოდა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილებისათვის. ამ ბანაკს საკუთარი ვიწრო-კლასობრივი ინტერესები ამოძრავებდა. იგი რუსეთისა და საქართველოს მტერ სახელმწიფოთა დახმარებით ფიქრობდა ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების აღდგენას. რეაქციონერთა საერთო ხელმძღვანელი ირანის შაჰის კარზე მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო.

ფეოდალური რეაქცია თავისი მიზნების განხორციელებას ყოველთვის უფარდებდა საშინაო და საგარეო გართულების მომენტებს. იგი აქტიურდებოდა გლეხთა აჯანყებებისა და ირან-ოსმალეთთან მიმდინარე ომების ვითარებაში.

XIX ს. 20-იანი წლებიდან პეტერბურგში მყოფი ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები იქ ჩასულ ქართველ ახალგაზრდებს პროპაგანდას უწევდნენ რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის მოსაწყობად. მოწინავე ინტელიგენტთა მიმხრობის მიზნით ბატონიშვილები ჩვენში რესპუბლიკური თუ კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნაზედაც ლაპარაკობდნენ. ასეთი პროპაგანდა თავდაპირველად მართლაც აერთიანებდა პროგრესული და რეაქციული ჯგუფების ბრძოლას, მაგრამ ეს გაერთიანება დროებითი და წინააღმდეგობით აღსავსე იყო.

პეტერბურგში აღმოცენებული თავადაზნაურული შეთქმულების ცენტრმა 1829—1830 წლებში თბილისში გადმოინაცვლა ადგილი. 1829 წ. აქ თავი მოიყარეს შეთქმულთა ხელმძღვანელებმა: ოქროპირ ბატონიშვილმა, ელიზბარ ერისთავმა და იასე ფალავანდიშვილმა. აქტიურ შეთქმულებს შორის ერია ცნო-

ბილი სოლ. დოდაშვილიც, მაგრამ იგი დანარჩენთა მონარქიულ მიზნებს არ იზიარებდა და საქართველოში რესპუბლიკური წყობილების მაგვარი სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძოდა. იგი ჩამოშორდა შეთქმულებას, როგორც კი მისთვის ცხადი გახდა შეთქმულთა ბრძოლის რეაქციული მიზნები და უვარგისი მეთოდები.

თავიანთი ფარული მიზნების განსახორციელებლად აქტიური შეთქმულები ფართო მოსამზადებელ მუშაობას ატარებდნენ. ისინი ფიქრობდნენ საქართველო-ამიერკავკასიაში ერთდროული აჯანყების მოწყობას, რუსეთის აქაური ჯარის სარდლობის გაქცევას და რუსეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, საქართველოში მეფის ხელისუფლების აღდგენას.

შეთქმულები გლეხთა აჯანყების გამოწვევასაც ცდილობდნენ. მათ იცოდნენ, რომ გლეხები უმიზეზოდ არ აუჯანყდებოდნენ მთავრობას და ამიტომ არსებობდნენ მათში ცრუ ხმებს, თითქოს რუსეთის მთავრობა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებას აპირებდა და სხვ.

ამასთანავე შეთქმულები კავშირს აბამდნენ ამიერკავკასიაში რუსეთის გაბატონებით უკმაყოფილო სახელმწიფოებთან. სხვებზე უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს მათ ირანთან და იქ მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელსაც საქართველოს მეფედ გულისხმობდნენ. ისინი რუსეთის წინააღმდეგ სხვა ამიერკავკასიელი ხალხების ამხედრებასაც ცდილობდნენ.

შეთქმულები დიდ იმედს ამყარებდნენ პოლონეთის 1830—1831 წწ. აჯანყებაზე. 1831 წ. სექტემბერში პოლონელთა მარცხმა მათ ეს იმედი გაუცრუა. შეთქმულთა უფრო ფართო წრე საქმეს წაგებულად თვლიდა, მაგრამ აქტიური შეთქმულები — ე. ერისთავი, ა. ორბელიანი, ი. ფალავანდიშვილი და სხვ. — მაინც განაგრძობდნენ საქმიანობას. მათ შეადგინეს ე. წ. „პირველი ღამის განკარგულება", რომლის მიხედვით თბილისში გამართულ საზეიმო ვახშამზე, 1832 წ. 20 დეკემბერს, უნდა მოეწვიათ რუსი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები და ამოეწყვიტათ ისინი. ასეთ შეთქმულებას მთლიანად ზურგი აქციეს პროგრესულმა ელემენტებმა.

შეთქმულთა უმრავლესობა ვიწრო კლასობრივ-ფეოდალური ინტერესებისათვის, ძველი თავადური საქართველოს წესწყობილების აღდგენისათვის იბრძოდა. ისინი არ სვამდნენ მშრომელთა მასების გათავისუფლების საკითხს. ასეთ შეთქმულებს გლეხები მხარს არ დაუჭერდნენ და მათ აკი ვერც მოიპოვეს ფართო მასების თანაგრძნობა. ამიტომ შეთქმულთა დამარცხება გარდუვალი იყო. შეთქმულთა ბანაკში თავი იჩინა გამცემლობამ, რის შედეგადაც ისინი დაატიმრეს.

მთავრობამ შეიპყრო და გაასამართლა 38 შეთქმული. ისინი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს რუსეთის გუბერნიებში. შორეულ ქალაქ ვიატკაში გადაასახლეს ს. დოდაშვილიც.

სამშობლოსათვის თავდადებულმა დოდაშვილმა სასამართლო გამოძიებისას ამხილა თვითმპყრობელური მმართველობის უმსგავსოება. მან ცხადჰყო, რომ ეს მმართველობა, რომლის ენა და კანონები ხალხს არ ესმოდა, ანტიხალხური და ფართო მასებისთვის მიუღებელი იყო. მიუხედავად ამისა, იგი არ იზიარებდა რეაქციონერ შეთქმულთა გეგმებს. სხვაგვარი იყო მისი ბრძოლის გზა და

მიზანი. ეს ცხადი შეიქნა გამოძიების დროსაც, მაგრამ დოდაშვილი სხვებზე უფრო მკაცრად დასაჯეს. ამის მიზეზი, — გარდა იმისა, რომ იგი დაბალ წოდებას ეკუთვნოდა, — ისიც იყო, რომ დოდაშვილი თვითმპყრობელური წყობილებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა. ჭლექით დაავადებული ს. დოდაშვილი გარდაიცვალა ქ. ვიატკაში 1836 წ.

1832 წლის შეთქმულება ქართველ თავადაზნაურთა ვიწრო წრის რეაქციული, მასებისაგან მოწყვეტილი და უნიადაგო პოლიტიკური გამოსვლა იყო. იგი არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ინტერესებს და ძველი წოდებრივი პრივილეგიების აღდგენაზე მეოცნებე ფეოდალთა კლასობრივ მიზნებს ემსახურებოდა. ამიტომაც იყო, რომ მან მარცხი განიცადა.

თ ა ვ ი XXVI

ბატონყმური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალიზმის საწყისების განვითარება XIX ს. 30-50-იან წლებში

§ 1. მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX ს. 30-40-იან წლებში

საკოლონიზაციო და ეკონომიური პოლიტიკა

საქართველოსა და ამიერკავკასიას მეფის რუსეთი უყურებდა, როგორც თავის განაპირა კოლონიურ მხარეს, მაგრამ თვით რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მზად ამ ქვეყნის კოლონიური ათვისებისათვის. იმ ეტაპზე რუსეთის სახელმწიფოს ჩამორჩენილობა განსაზღვრავდა მისი კოლონიური პოლიტიკის ხასიათს.

რუსეთის მთავრობამ საქართველოში თავისი მმართველობის შემოღებიდანვე მიზნად დაისახა ქვეყნის გარუსება და აქ საიმედო დასაყრდენის შექმნა. ამისთვის ფართოდ იქნა გამოყენებული მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევართა გამრავლების ხერხი.

რუსიფიკაციისა და ადგილობრივ საიმედო დასაყრდენის შექმნის პოლიტიკა საქართველოში სხვადასხვა სახით ვლინდებოდა. ერთ-ერთი სახე იყო სანდო ელემენტების ჩამოსახლება და მათი ყოველმხრივ უზრუნველყოფა. ამას ხელს უწყობდა ის, რომ XIX ს. I მესამედში საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის პირას მდებარე რაიონები უცხო დამპყრობლებისა და ადამიანებზე მონადირე ავაზაკების მრავალსაუკუნოვანი თარეშის შედეგად გაუდაბურებული და გაუკაცრიელებული აღმოჩნდა. განსაკუთრებით გატიალებული იყო თრიალეთი, სომხითი, ლორე-ბამბაკი და ზოგიც სხვა კუთხე. ადგილობრივ გადარჩენილ მოსახლეობას თავისუფალი მიწების დაკავების უფლება და საშუალება არ ჰქონდა. პირიქით, მთავრობა მკვიდრ ელემენტებს ხშირად ერეკებოდა დასახლებული სოფლებიდან და მათ მიწა-ადგილს კოლონისტებს უყოფდა. ამ გზით ინერგებოდა შუღლი მოსულებსა და დამხდურებს შორის.

1817—1819 წლებში, უმთავრესად, აღმოსავლეთ საქართველოსა და ნაწილობრივ აზერბაიჯანშიც ჩამოასახლეს გერმანელთა 500-ზე მეტი ოჯახი. მაშინ, როცა ქართველ ყმა-გლეხთა ყოველ კომლს 4-ოდე დესეტინა მიწა ძლივს ჰქონდა, კოლონისტების თითო კომლს 35 დესეტინა საუკეთესო მიწა გამო-

უყვეს. გარდა ამისა, მკვიდრ მოსახლეობას აიძულებდნენ მიწები დაეხნათ და საბინაო-საშენი მასალა მიეწოდებინათ ჩამოსახლებულ ახალმოშენეთათვის.

1828-29 წლების ომის შემდეგ მეფის მთავრობამ საქართველოში ჩამოასახლა ოსმალეთიდან გადმოხვეწილი ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების 6000-ზე მეტი ოჯახი, რომლებიც უპირატესად ახალციხე-ახალქალაქისა და წალკის რაიონებში დასახლდნენ.

1837 წლიდან საქართველოში არსდება რუსული სამხედრო კოლონიებიც. ეს კოლონიები შედგა იმ ჯარისკაცთაგან, რომელთაც 15 წლის სამსახურის შემდეგ დაოჯახების უფლება ჰქონდათ. ასე წარმოიშვნენ ჩვენში რუსული სოფლები თბილისის ახლოს, წალკაში, თეთრ წყაროზე, წითელწყაროზე, გომბორში, მანგლისში, კოჯორში და სხვაგან. გარდა ამისა, მეფის მთავრობა ჩვენს ქვეყანაში ასახლებდა იმპერიის ქრისტიანული ეკლესიის მიერ დევნილ „მწვალებლებს“ ანუ სექტანტებს — დუხობორებს, მოლაკნებს, სკოპცებსა და სხვ. 1845 წ. მათი რაოდენობა 10 ათას სულს აღწევდა.

რუსეთის მთავრობა საქართველოს ეკონომიური ათვისებისათვისაც იბრძოდა. მაგრამ გამუდმებული ომიანობის პირობებში ამ მიმართულებით ცალკეულ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია. 20-30-იანი წლებიდან მეფის მთავრობამ ჩამოაყალიბა თავისი ეკონომიური პოლიტიკა ამიერკავკასიაში, როგორც რუსეთის კოლონიაში. საქართველო-ამიერკავკასია უნდა გადაქცეულიყო რუსეთის სამრეწველო საქონლის გამსაღებელ ბაზრად და მზარდი რუსული მრეწველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნად. ხელი არ უნდა შეწყობოდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებისა და მრეწველობის განვითარებას, რადგან ეს შეასუსტებდა რუსეთზე საქართველოს დამოკიდებულებას და ძირს გამოუთხრიდა ცარიზმის აქ ბატონობას. საქართველოში შესაძლებლად მიაჩნდათ სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარება, რომლებიც რუსეთის ფაბრიკებს ნედლეულს მიაწვდიდნენ. ასეთი იყო აბრეშუმი, ბამბა, საღებავი მცენარეები და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურები.

რუსეთის მოწინავე ადამიანები — დეკაბრისტები და დიდი რუსი მწერალი გრიბოედოვი — ილაშქრებდნენ ცარიზმის აღნიშნული პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოში. გრიბოედოვი 1828 წ. შედგენილ პროექტში საქართველოს სამრეწველო განვითარებასაც მოითხოვდა. მაგრამ, მიუხედავად პროგრესული ადამიანების ცდებისა, ცარიზმი მაინც თავის პოლიტიკას ატარებდა.

1833 წელს დაარსდა „სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის წამხალისებელი საზოგადოება“, 1836 წ. — „მეაბრეშუმეობის გამავრცელებელი საზოგადოება“. 1850 წ. — „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“ და სხვ. ეს ორგანიზაციები მიზნად ისახავდნენ ჩვენში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობას.

მიუხედავად აღნიშნული ცდებისა, ცარიზმი და რუსეთის ბურჟუაზია XIX ს. I ნახევარში საწადელს ვერ ეწივნენ. რუსეთმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიური დაპყრობა. ამის მთავარი მიზეზი რუსეთის ბურჟუაზიის სისუსტე იყო.

მმართველობის რეფორმა 1840 წ.

1802 წ. ქართლ-კახეთში შექმნილი რუსული მმართველობა დროთა განმავლობაში მეტ-ნაკლებ ცვლილებას განიცდიდა. ამ ცვლილებას საქართველოში კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა კარნახობდა: ზოგჯერ მთავრობა უკან იხევდა და უფრო ფართოდ უშვებდა მმართველობაში ადგილობრივ ელემენტებს, მაგრამ ამით ხალხის მასების ინტერესთაგან მისი მოწყვეტილობა არ იცვლებოდა. თვითნებობა და ძალადობა, მექრთამეობა, ადგილობრივი წეს-ჩვეულების უგულებელყოფა, მკვიდრთა შეურაცხყოფა და ათასგვარი ბოროტმოქმედება ყოველთვის იჩენდა თავს. მმართველობისადმი სიძულვილს იწვევდა ქართული ენის უგულებელყოფა, რაც ერთგვარ გამთიშველ ზღუდეს ავლებდა რუსულ რეჟიმსა და ხალხს შორის.

XIX ს. 30-იანი წლებიდან ცარიზმმა ამიერკავკასიაში ფართო ამოცანები დაისახა. იგი ქვეყნის კოლონიური ექსპლუატაციისათვის ემზადებოდა და ხედავდა, რომ არსებული მმართველობა მისი მიზნების განსახორციელებლად გამოუსადეგარი იყო. დაიწყო მმართველობის რეფორმის პროექტების შედგენა. 1840 წ. 10 აპრილს,როგორც იქნა, დაამტკიცეს სარეფორმო დებულებაც.

შემოღებულ იქნა ახალი ადმინისტრაციული დანაწილება. ამიერკავკასია გაიყო ორად: „საქართველო-იმერეთის“ გუბერნიად და „კასპიის ოლქად“. საქართველო-იმერეთის გუბერნიაში, საქართველოს გარდა, გაერთიანდა სომხეთი და აზერბაიჯანის ის ნაწილი, რომელიც განჯის ყოფილ სახანოს შეადგენდა, ხოლო კასპიის ოლქი ძირითადად აზერბაიჯანს აერთიანებდა. ამით ცარიზმმა უარჰყო შემოერთებული ქვეყნების ეროვნულ-ადმინისტრაციული მთლიანობის დაცვა, რაც აუცილებელი იყო მმართველობის უკეთესად მოწყობისათვის. კოლონიურმა პოლიტიკამ ადმინისტრაციულ დაყოფაშიაც იჩინა თავი.

ამიერკავკასიის მმართველობის სათავეში კვლავ რჩებოდა მთავარმმართველი, ანუ მთავარსარდალი, რომელიც უფლებრივ გაუტოლდა რუსეთის გენერალ-გუბერნატორებს.

ახალი წესის მიხედვით, ცარიზმმა ამიერკავკასიაში დანერგა თითქმის ისეთივე მმართველობა, როგორიც რუსეთის გუბერნიებში იყო და ამით საკუთარი უარჰყო ადგილობრივ წეს-ჩვეულებასთან შეხამების ის ელემენტები, რომლებიც ძველ მმართველობას ჯერ კიდევ ახასიათებდა. საკუთარი განიდევნა მკვიდრთა მონაწილეობა მართვა-გამგეობაში. უარყოფილ იქნა საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის ცნობილ კანონთა მოქმედება სამოქალაქო სამართლის დარგში. ყოველივე ეს კიდევ უფრო აშორებდა სახეშეცვლილ მმართველობას ფართო მასებისაგან. გამეფდა უმაგალითო ბიუროკრატიზმი. ერთიორად გაიზარდა მოხელეთა რიცხვი. ამიერკავკასიის საშტატო ხარჯებმა ერთნახევარი მილიონი მანეთით გადააჭარბა ქვეყნის ფულად შემოსავალს. გაცილებით მეტი გასაქანი მიეცა მოხელეთა ბოროტმოქმედებას.

ჩატარებული რეფორმის დედააზრი იყო ჩვენი ქვეყნის სწრაფი გარუსება და მისი შედუღება რუსეთის იმპერიასთან. მიუხედავად ცვლილებისა, რუსული მმართველობა საქართველოში — როგორც ადრე, ისე შემდეგაც — ატარებდა

სამხედრო-საოკუპაციო ხასიათს, სადაც „სამოქალაქო ხელისუფლება და იერარქიული იერარქია მოწყობილია სამხედრო საფუძველზე“.[1]

მმართველობიდან ადგილობრივი ელემენტებისა და სამართლის განდევნამ, უპირველეს ყოვლისა, თავადაზნაურობის უკმაყოფილება გამოიწვია. დიდი იყო მშრომელთა უკმაყოფილებაც. მომხდარ ცვლილებას მათი ჩაგვრის შემდგომი გამწვავება მოჰყვა.

აჯანყება გურიაში 1841 წ. მღელვარება სამხრეთ-ოსეთში

1840 წ. რეფორმის სიმწვავე უფრო საგრძნობი გამოდგა გურიასა და იმერეთში. მანამდე იმერეთში მმართველობა მეტად იყო შეხამებული ძველ წეს-ჩვეულებასთან. კიდევ მეტი ითქმის გურიაზე, სადაც მთავრია ხელისუფლება მხოლოდ 1828 წ. გაუქმდა და მაშინ იქ შექმნილ დროებით მმართველობაში დიდი როლი შერჩათ ადგილობრივ თავადებს; საქმეებს ქართული სამართლის მიხედვით სწყვეტდნენ; საქვეყნო-სასოფლო მმართველობაც ძველი მოურავების ხელთ იყო. ამიტომ გურიაში, სხვა მხარეთაგან განსხვავებით, რუსული რეჟიმის სუსხი ნაკლებ იგრძნობოდა. რეფორმამ კი ეს მდგომარეობა შეცვალა. განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია თითოეულ გლეხზე ახალი ფულადი ბეგარის დაწესებამ.

გურიაში იმ დროს ნატურალური მეურნეობა ბატონობდა. ადგილობრივ ბაზრებზე მიმოქცევაში ოსმალური ფულის ნიშნები სჭარბობდა, მთავრობა კი გადასახადს რუსული ფულით მოითხოვდა. რუსეთი ჯერ კიდევ იპყრობდა ბაზარს და გლეხებს რუსული ფული არ მოეპოვებოდათ. ამიტომ იყო, რომ 1841 წ. მაისში, როცა გადასახადის აკრეფა დაიწყეს, სოფ. ლანჩხუთის გლეხები აჯანყდნენ. მღელვარება თანდათან მოედო გურიას. რუსული რეჟიმით უკმაყოფილო ფეოდალებმაც დრო იხელთეს და აჯანყებას შეუერთდნენ. მოწინააღმდეგე კლასების წარმომადგენელთა დროებით-მიზნობრივ გაერთიანებას აქაც ივივე საფუძველი აღმოაჩნდა, რაც წინამორბედ აჯანყებათა დროს. ფეოდალების მიზანი აქაც რეაქციული იყო. ისინი ცდილობდნენ, გლეხთა აჯანყება თავიანთი ვიწრო კლასობრივი მიზნებისთვის დაემორჩილებინათ. მათ სურდათ აღედგინათ ძველი დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო, სადაც ფეოდალის უფლება ნაკლებ შეზღუდული იყო. გლეხები კი იბრძოდნენ სოციალური და კოლონიური ჩაგვრის დამცველი სისტემის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ მოძრაობის განვითარების შემდგომ საფეხურებზე ფეოდალები ყოველთვის ზურგს აქცევდნენ გლეხებს და მეფის მთავრობის მხარეზე გადადიოდნენ. ასე იყო გურიის 1841 წ. აჯანყების დროსაც.

მაის-ივლისის განმავლობაში აჯანყება ხან იფეთქებდა და ხან ისევ ქრებოდა ხოლმე. მეამბოხენი დრო და დრო ებრძოდნენ რუსთა რაზმებს. ივლის-აგვისტოში მოძრაობა გაფართოვდა. დიდი ბრძოლა მოხდა სოფ. გოგორეთში, 1841 წ. 9 აგვისტოს. აქ გლეხებმა დაამარცხეს პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი. ამ ბრძოლაში მოკლულ-დაჭრილთა რაოდენობა 77 კაცამდე აღწევდა. გათამამებულმა აჯანყებულებმა მალე ალყა შემოარტყეს სამაზრო ცენტრს ოზურგეთს. მეფის ჯარების საშველად ამოძრავდნენ იმერეთისა და სამეგრელოს ფეოდალები. მაგრამ აჯანყებულებმა მათი რაზმებიც დაამარცხეს.

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. IX, გვ. 397.

რუსეთის მთავარსარდლობას კვლავ დაუდგა სახიფათო მომენტი: იმავე დროს დიდი ბრძოლა იყო დაღისტანშიაც. გურულ მებრძოლებს თანაგრძნობა გამოუცხადეს იმერეთ-სამეგრელოსა და აფხაზეთის მშრომელებმაც. მთავრობამ გურიისაკენ ჯარის ახალი ნაწილები დასძრა. აჯანყებულთა ბანაკშიაც დაიწყო შინაგანი განხეთქილება. მოძრაობას თანდათან ჩამოსცილდნენ დროებით ამგზავრებული ფეოდალები, რადგან გლეხთა ბრძოლა მათ წინააღმდეგაც იყო მიმართული. თავადაზნაურები მოეგებნენ ნასაკირალთან მოსულ რუსთა რაზმებს. 5 სექტემბერს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ოზურგეთთან, სადაც აჯანყებულები დამარცხდნენ. გლეხთაგან მარტო მოკლულთა რიცხვი 60-ს აღემატებოდა. ამის შემდეგ აჯანყება მალე ჩაქრა.

1841 წ. გურიის გლეხთა ბრძოლასაც დაქსაქსული, ვიწრო-ადგილობრივი და დაურაზმავი ხასიათი ჰქონდა. მაშინ მათი დამარცხებაც გარდუვალი იყო.

გურულ გლეხთა ამ ბრძოლას მიუძღვნა თავისი ნაწარმოები „ჯანყი გურიაში" ცნობილმა რევოლუციონერმა მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა.

40-იანი წლების დასაწყისში მიმდინარეობდა ოსი გლეხობის შეუპოვარი ბრძოლა რუსი მოხელეებისა და ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ.

ოსი გლეხობის სიძულვილი მებატონე ერისთავებისადმი განსაკუთრებით გამწვავდა 1803 წლიდან, როცა რუსეთის მთავრობამ, ერისთავების სახით ძლიერი დასაყრდენის მოპოვების მიზნით, მათ ერეკლეს მიერ ჩამორთმეული მამულები — ქსნის ხეობა და გვერდისძირი დაუბრუნა. მას შემდეგ რუსეთის მთავრობა და ერისთავები გაერთიანდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი გლეხების წინააღმდეგ. დიდხანს გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლა ოსეთში. მეფის ჯარები და ფეოდალები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ გლეხებს. ოსმა გლეხებმა ხანგრძლივი ბრძოლით დააღწიეს თავი ერისთავების ყმობას: 1830 წ. ისინი სახაზინო გლეხთა რიგში გადარიცხეს. მაგრამ ამის შემდეგაც არ ჩამქრალა ოსების ბრძოლა.

ოსეთში 1840 წ. მომხდარი აჯანყება საყოველთაო იყო. ბრძოლის უშუალო მიზეზი მოუსავლობა და მებატონე მაჩაბლების თვითნებობა შეიქნა. რუსთა დამსჯელი რაზმები კვლავ მოედვნენ ოსურ სოფლებს და იქ სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. სოფლები ნანგრევებად აქციეს. მმართველობის ზემოაღნიშნული რეფორმის შემდეგაც გაიშალა ბრძოლა, რომელიც პერიოდულად მიმდინარეობდა 1850 წლამდე, როცა გლეხებმა, დიდი მსხვერპლის ფასად, თავიანთი მდგომარეობა ნაწილობრივ შეიმსუბუქეს: განისაზღვრა და შემცირდა მათი საბატონყმო გადასახადი.

ოსი გლეხობის ასეთი ბრძოლა, საქართველოს გლეხთა დროდადრო აჯანყებასთან ერთად, აახლოვებდა ბატონყმური სისტემის აღსასრულს.

ცარიზმის დროებითი უკანდახევა. თავადაზნაურობასთან კავშირის განმტკიცება

1840 წ. რეფორმამ საქართველოში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. აჯანყება აჯანყებას მოსდევდა. მდგომარეობა გართულდა სომხეთსა და აზერბაიჯანშიაც. შეშინებული მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია და კვლავ შესამჩნევად შეეცვალა მმართველობა.

1842 წ. საქართველოში მოავლინეს რუსეთის სამხედრო მინისტრი. მას

უფლება ჰქონდა ადგილობრივ შეეტახა საკიოო ცვლილეა ძალთველობაზ. ამ ცვლილების მთავარი აზრი ის იყო, რომ მმართველობა ადგილობრივ წარ. ჩვეულებაა უნდა შეხამებოდა და მასში გზა გახსნოდა მკვიდრ ელემეხტებ.. ასეც მოხდა. ცვლილება შეეხო არსებულ სასამართლოსაც, რომელიც უამრავ. ინსტანციებით იყო დამძიმებული. სცადეს აღედგინათ საჩივრების ზეპირი, ... სწრაფი განხილვის ქართული წესები, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ ნაწილობრივ აღადგინეა ვახტანგის კანონთა 'მოქმედება. სოფლის მამასახლისებს მიეცათ უფლება, ადგილობრივ განეხილათ ხოლმე მცირემნიშვნელოვანი საქმეები. ერთგვარი ცვლილება მოხდა ადმინისტრაციულ დაყოფაშიაც: ცალკეული დიდრონ-მაზრები დაანაწევრეს; დაყოფის დროს ცდილობდნენ გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ნიშნების დაცვასაც და სხვ.

მაგრამ ამგვარი ცვლილება ვერ სპობდა მმართველობის ძირითად მანკიერებას. ეს კი იმაში მდგომარეობდა, რომ მმართველობის ენა ხალხს არ ეამოდა და საერთოდ იგი ხალხის ინტერესებს არ ემსახურებოდა. მიუხედავად ამისა. მასების ბრძოლით მოპოვებულ ცვლილებას მაინც საგრძნობი მნიშვნელობა ენიჭებოდა. უპირველეს ყოვლისა, მთავრობამ გაბატონებული ფენების დაკმაყოფილება მოახერხა და მდგომარეობის შემდგომი გართულება რამდენადმე აიცილ. თავიდან.

ადგილობრივი თავადაზნაურობის დიდ ნაწილთან კონტაქტის დამყარება შეძლო საქართველო-ამიერკავკასიაში დანიშნულმა დიდმა მოხელემ ვორონ-ცოვმა. რუსეთის მეფის ერთგული მსახური, განათლებული და შორსმჭვრეტელ. ვორონცოვი, თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, აქ დაინიშნა, როგორც მეფისნაცვალი. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი არსებითად მხოლოდ იმპერატორს ემორჩილებოდა და თითქმის ხელმწიფის უფლებით იყო აღჭურვილი.

რუსეთის მეფემ ნიკოლოზ პირველმა პირადად გააცნო ვორონცოვს თავისი მიზანდასახულება საქართველოსა და ამიერკავკასიაში: თავი და თავი იყო ... ქვეყნის გარუსება და მისი შერწყმა რუსეთთან; შენარჩუნება რუსეთისაგან ამ. ერკავკასიის სრული პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულებისა. ვორონცოვი ხერხიანად შეუდგა აღნიშნული პოლიტიკის გატარებას. მან არჩ. ადგილობრივი თავადაზნაურების მოფერება-დაყვავებისა და რუსეთის მიზნებისადმი მათი საქმიანობის დაქვემდებარების გზა.

ვორონცოვმა ხელი გაუწოდა გაღატაკების გზაზე დამდგარს. უდარდელს და უქნარა თავადაზნაურობას. 1848 წ. დაარსებულმა ბანკმა მათ გრძელვადიან სესხის მიღების საშუალება მისცა. ამასთანავე, დაჩქარდა დიდი ხნის დაწყებული საქმე თავადაზნაურთათვის წოდების დამტკიცებისა. ამას მათთვის დიდ მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან უამისოდ სახელმწიფო სამსახურში მიღება გაძნელებული იყო. წოდება დაუმტკიცდა 30 ათასამდე კაცს. დიდი მუშაობა ჩატარდა სათავადო აზნაურთა გასათავისუფლებლად. არსებითად დასრულდ. მათი ქონებრივი გამიჯვნა თავადთაგან — ისე, რომ ორივე მხარის ინტერესებ. შეძლებისდა გვარად დაცული ყოფილიყო.

დახსნის მიზნით საჩივრის აღსაძრავად საკმარისი იყო, რომ ბატონს მისი კეთილშობილების დამამტკიცებელი საბუთი არ ჰქონოდა.

გარდა აღნიშნულისა, ვორონცოვმა თავადაზნაურობას კლუბები და თეატრები მოუწყო. ერთგვარი გასაქანი მიეცა პროგრესული ინტელიგენციის პატრიოტულ მოღვაწეობასაც. თავადაზნაურთა შვილებს ფართოდ ეგზავნებოდ. რუსეთის სამხედრო სამსახურში და სხვადასხვა სასწავლებლებში.

ამგვარი პოლიტიკის შედეგად დამყარდა მჭიდრო კონტაქტი ქართველ თავადაზნაურობის დიდ ნაწილსა და მეფის მთავრობას შორის. ალბათ დაახლოებებში მკვეთრად იჩენდა თავს მეფის მთავრობის კლასობრივ-კოლონიური პოლიტიკა. მიუხედავად ამ კავშირისა, ქართული ფეოდალური ინტელიგენციის პროგრესული წარმომადგენლები განაგრძობდნენ ბრძოლას მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

§ 2. ქართველი ხალხი ოსმალო დამპყრობლებისა და მიურიდების წინააღმდეგ ბრძოლაში

ოსმალო დამპყრობლებთა შემოსევა საქართველოში პირველ ოსმის ოსმის დროს და მათი განდევნა

ევროპის სახელმწიფოებს, ინგლისსა და საფრანგეთს, მოსვენებას უკარგავდა რუსეთის ყოველი წარმატება ირან-ოსმალეთთან ომებში. განსაკუთრებით შეშფოთებული იყო ინგლისი, რომელიც თითქმის სავსებით ფლობდა ახლო აღმოსავლეთის ბაზრებს და ეშინოდა რუსეთის გაძლიერებას დიდ საშიშროებად მიიჩნევდა. 1826—1829 წლების ომთა შედეგად რუსეთმა დიდი უპირატესობა მოიპოვა ირან-ოსმალეთთან ეკამრობაში. 1831 წ. ამიერკავკასიაზე გავლით თავისუფალი ტრანზიტის გაუქმების შემდეგ ტრაპიზონში მყოფმა ინგლისურმა კომპანიამ ნაძლევილი ეკონომიური ომი გაუმართა რუსეთს და აღმოსავლეთის ბაზრებიდან საქონლით აავსო. მიუხედავად ამისა, ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით რუსეთს აღმოსავლეთში მაინც საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა. მის ხელთ იყო კავკასია, საიდანაც უაღრესად მარჯვე და მოკლე გზები მიდიოდა აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ. აქედანაც და ბალკანეთიდანაც რუსეთი ემუქრებოდა ოსმალეთს, ხოლო თუ იგი კონსტანტინეპოლის დაპყრობას შესძლებდა, ევროპას საბოლოოდ უნდა აეღო ხელი ახლო აღმოსავლეთზე. ამიტომ იყო, რომ ინგლისი-საფრანგეთი დიდ დახმარებას უწევდნენ ოსმალეთის დაჩაჩანაკებულ სახელმწიფოს და რუსეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამრიგად წარმოიშვა ყირიმის ომი, 1853—1856 წლებში — ერთი მხრივ რუსეთსა და მეორე მხრივ ოსმალეთ-ევროპის სახელმწიფოებს შორის, როდესაც საქართველო-ამიერკავკასია სამხედრო მოქმედების ერთ-ერთ ასპარეზად იქცა.

ამ ომის შედეგად, ინგლისელ დამპყრობთა გეგმით, საქართველო უნდა ჩამოშორებოდა რუსეთს და ინგლისისა და ოსმალეთის მფარველობის ქვეშ გადასულიყო. ისინი ფიქრობდნენ ჩვენში ძველი პოლიტიკური დაქსაქსულობის აღდგენას და საქართველოს კვლავ გადაქცევას ფეოდალური შინაომების ასპარეზად. ინგლისელი გენერლის ვინდაშის აღიარებით, ინგლისი ფიქრობდა ამიერკავკასიის ყველა პროვინციის მოწყვეტას რუსეთისაგან. საქართველო უნდა და-

ყოფილიყო „ქართლის“, „იმერეთის“, „გურიის“, „სამეგრელოსა“ და სხვა სამთავროებად. ირანსა და ოსმალეთს უნდა დაბრუნებოდა ის მიწა-წყალი, რომელიც რუსეთმა 1813 და 1829 წლების საზავო ხელშეკრულებათა მიხედვით შეიერთა, მათ ხარჯზე. მეორე ინგლისელი მზვერავის ოლიფანტის აზრით, საქართველო იყო „ყველაზე ეფექტიური ზღუდე აღმოსავლეთისაკენ რუსეთის აგრესიის შესაკავებლად“, ხოლო ქართველების — „მსოფლიოში ყველაზე უფრო გულადი და თავაზიანი ხალხის“ — მფარველად ინგლისი უნდა გამხდარიყო. ასეთი ლამაზი და პირმოთნე სიტყვებით ფიქრობდნენ ინგლისელი აგენტები ქართველი ხალხის გადაბირებას. მაგრამ ამ სიტყვებს მიღმა მათი ბნელი ზრახვები იმალებოდა. ყირიმის ომის დროს ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი რუსეთის საგარეო მტრებს თავისი ქვეყნის მტრებად მიიჩნევდა და რუს ხალხთან ერთად თავგამოდებით ებრძოდა სამშობლოში შემოსეულ უცხოელ დამპყრობლებს.

ყირიმის ომი დაიწყო 1853 წ. კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედება გაჩაღდა ოქტომბერში, როცა ოსმალო დამპყრობლები საქართველოს საზღვრებში შეძოიჭრნენ. მათ დაიკავეს გურიის საგრძნობი ნაწილი და ახალციხისაკენ გაჭრით საშიშროება შეუქმნეს თბილისს. ოსმალო დამპყრობლებმა საქართველოსომხეთის საზღვრებს 60-ათასიანი არმია მოაყარეს. როგორც მაშინდელი ამბების თანამედროვე, დიდი მ ა რ ქ ს ი წერდა, რუსეთი ამიერკავკასიის ფრონტზე საქართველოს დაკარგვის საშიშროების წინაშე იდგა.[1]

ქართველი ხალხი დაირაზმა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ საომრად. სწრაფად ყალიბდებოდა სახალხო რაზმები. კავკასიის მთავარსარდალ ვორონცოვის უახლოესი თანაშემწეები ქართველი სარდლები იყვნენ. პირველი სერიოზული დამარცხება ოსმალებს აგემეს რუსთა და ქართველთა რაზმებმა 1853 წ. 14 ნოემბერს, გენ. ივანე ანდრონიკაშვილის სარდლობით. ეს იყო მდ. ფოცხოვის ნაპირას, ახალციხის მისადგომებთან.

უაღრესად დიდი როლი ითამაშეს სახალხო რაზმებმა დასავლეთ საქართველოდან ოსმალების განდევნაში. რუსთა და ქართველთა შეერთებულმა რაზმებმა პოდპოლკოვნიკ ერისთავის სარდლობით ნიგოითის მთასთან ოსმალთა 8-ათასიანი რაზმი გაანადგურეს და მდ. ჩოლოქს გაღმა გადარეკეს. 1854 წ. 4 ივნისს მოხდა დიდი ბრძოლა მდ. ჩოლოქზე, სოფ. ქაქუთის ახლოს. აქ გაერთიანებულმა რაზმებმა გენ. ი. ანდრონიკაშვილის სარდლობით გაანადგურეს მტრის 34 ათასი კაცისაგან შემდგარი არმია. მსხვერპლი დიდი იყო. ოსმალებმა ამ ბრძოლაში 4.000-ზე კაცი დაჰკარგეს, ხოლო ქართველებმა და რუსებმა — 1700.

ოსმალები ამ მარცხის შემდეგ საქართველოს საზღვრებში შემოჭრას ვეღარ ბედავდნენ და სევასტოპოლსა და ყარსთან მიმდინარე ბრძოლებზე ამყარებდნენ თავიანთ იმედს. 1855 წ. ივნისში რუსთა რაზმებმა ალყა შემოარტყეს ციხე-ქალაქ ყარსს და ამით საფრთხე შეუქმნეს ოსმალეთის სასიცოცხლო ცენტრებს. შეშინებული ოსმალეთი თავის ევროპელ მოკავშირეებს ყარსის გადარჩენას სთხოვდა. მათ კი ეს მუდარა მხოლოდ მას შემდეგ შეიწყნარეს, როცა, 11 თვის ბრძოლის შემდეგ. 1855 წ. 27 აგვისტოს, სევასტოპოლი აიღეს. მაშინ მიეცა ოს-

მალეთს საშუალება, ყირიმიდან თავისი ჯარი ყარსის გადასარჩენად გადმოეყვანა.

1855 წ. სექტემბერში ბათუმში გადმოსხმული რამდენიმე კორპუსიდან ოსმალეთის სარდლობამ 36 ათასი კაცი აფხაზეთს შეუსია. მას განზრახული ჰქონდა დასავლეთ საქართველოს დაკავება და თბილისისათვის საშიშროების შექმნა, რათა იძულებულ ეყო რუსები ყარსისათვის ალყა მოეხსნათ.

აფხაზეთში შესვლა ოსმალებს იმიტომ გაუადვილდა, რომ კავკასიის რუსულმა სარდლობამ, საქართველოში მყოფი ჯარის სიმცირის გამო, ძალა შეამჩიდროვა და აფხაზეთი ჯერ კიდევ 1854 წ. ზაფხულში დაცალა. აფხაზეთის გზით ოსმალთა არმია მოადგა მდ. ენგურს, სადაც 1855 წ. 25 ოქტომბერს დიდი ბრძოლა მოხდა. რუს-ქართველთა გაერთიანებულ რაზმებს გენ. ივ. ბაგრატიონი სარდლობდა. ეს იყო უთანასწორო, მაგრამ არნახული გმირობით აღსავსე ბრძოლა ორჯერ მეტი და გაცილებით უკეთესად შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ. ენგურის გმირებმა დიდად შეასუსტეს მოწინააღმდეგე, მაგრამ მისი შეჩერება კი ვერ შესძლეს. ოსმალებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს სამეგრელო. დაიწყო ოსმალთა ბარბაროსული თარეში დასავლეთ საქართველოში.

გამწვავდა მდგომარეობა გურიასა და იმერეთშიაც. სარდლობამ გურიიდან რეგულარული რაზმები გამოიყვანა და იქ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე გურულთა რაზმებს დააწვა. რეგულარული ჯარი ქუთაისის დასაცავად ემზადებოდა.

სამეგრელოში, მთავრის სამყოფელ ქალაქ ზუგდიდში მოკალათებული ოსმალო სარდლები, ინგლისელ და ფრანგ მრჩევლებთან ერთად, ყოველ ღონეს ხმარობდნენ ქართველი მოსახლეობის გადასაბირებლად, მაგრამ ამაოდ. ხალხმა თვალნათლივ დაინახა, თუ როგორ მიჰყვეს ხელი ოსმალებმა თავიანთ ჩვეულ საქმეს — ადამიანთა დატაცება-გაყიდვას. ინგლისელები კი სრულიადაც არ უშლიდნენ ქართველი გოგო-ბიჭებით დატვირთულ გემებს შავ ზღვაზე მიმოსვლას. 1855 წ. ოქტომბერში სოხუმის ნავსადგურში ტყვეებით ვაჭრობდა ინგლისური გემი „კენგურუ“.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა პარტიზანული ბრძოლით ასუსტებდა დამპყრობლებს, ხოლო ოსმალები, თავის მხრივ, ძირფესვიანად სპობდნენ ყოველ სოფელს, სადაც კი მოკლულ თურქს ნახავდნენ. ქართველთა იმედი უმთავრესად კვლავ დამყარებული იყო რუსის ჯარის გამარჯვებაზე ქ. ყარსთან, რომელიც აღებულ იქნა 1855 წ. 15 ნოემბერს. ამის შემდეგ მოსული მაშველი ჯარებისა და პარტიზანთა ჯგუფების თავგამოდებული ბრძოლის შედეგად საქართველო საბოლოოდ გაიწმინდა ოსმალო დამპყრობლებისაგან. ჩაიშალა ამიერკავკასიის მიმართ ინგლის-საფრანგეთის გეგმებიც.

ყირიმის ომში რუსეთმა საერთოდ მარცხი განიცადა, მაგრამ მან, ქართველი ხალხის მხარდაჭერით, თავი დააღწია დიდ საფრთხეს ამიერკავკასიაში და აქ თავისი ბატონობა შეინარჩუნა. ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ დასავლეთ საქართველოში საშუალება მისცა რუსის ჯარს მშვიდად განეგრძო ყარსის ალყა, აეღო იგი და ამით რამდენადმე მაინც შეემსუბუქებინა სევასტოპოლის დაკარგვის სიმძიმე.

ქართველმა ხალხმა ყირიმის ომშიაც შეასრულა მოწინავე რაზმის როლი

ამიერკავკასიელი ხალხების პროგრესისათვის ბრძოლის ისტორიაში. მეფის ისტორიკოსი რ. ფადეევი აღნიშნავდა, რომ რუსეთის მიერ ამიერკავკასიის შენარჩუნების საქმეში ქართველი ხალხის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. „ვიდრე ქართველები ჩვენთან ერთად ძმურად დგანან, რაც არ უნდა მოხდეს. შეუძლებელია კავკასიის არმიას განდევნა ქვეყნიდან, რომელიც ესოდენ ძმაცი ხალხითაა დასახლებული“.

ხანმოკლე იყო ოსმალო დამპყრობელთა თარეში, მაგრამ მათ მაინც უდიდესი ზიანი მიაყენეს ჩვენს ქვეყანას. განსაკუთრებით გაჩანაგდნენ დასავლეთ საქართველოს მშრომელები. ასობით სოფელი და ათასობით ოჯახი განადგურდა. ბევრი გლეხი დაყიდეს მტაცებლებმა, ბევრი კი შეაკვდა მათ.

ყირიმის ომმა, ისევე როგორც რუსეთში, საქართველოშიაც გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა. ომმა გამოამჟღავნა ბატონყმური რუსეთის შინაგანი უძლურება და მთელი სიმწვავით დააყენა დღის წესრიგში ბატონყმობის მოსპობის საკითხი.

სამთავროების საბოლოო გაუქმება

როგორც ვიცით, 1828 წ. მეფის რუსეთმა გააუქმა გურიის სამთავრო. მას შემდეგ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობდნენ სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის მთავრები, რომლებიც ქვეყნის საშინაო მართვა-გამგეობაში სამემკვიდრეო უფლებას მაინც ინარჩუნებდნენ.

ეს მთავრები ცდილობდნენ რუსეთის ხელისუფლების მომადლიერებას და თავ-თავიანთი სამთავროების ცალ-ცალკე არსებობის გახანგრძლივებისათვის იბრძოდნენ. მაგრამ, მიუხედავად მათი ერთგულებისა, რუსეთი მთავართა ხელისუფლებას, ამ სამთავროთა არსებობას, მხოლოდ მანამდე შეურიგდებოდა და მოითმენდა, სანამ ისინი თვითმპყრობელური პოლიტიკის გატარებას ხელს შეუწყობდნენ და არ შეუშლიდნენ. მაგალითად, სამეგრელოსა და გურიის მთავრებმა ბევრჯერ ისახელეს თავი რუსეთის მთავრობის სამსახურში. აფხაზეთის მთავარიც ხელს უწყობდა რუსეთის გავლენის გავრცელებას დასავლეთ კავკასიის მთიანეთში.

მაგრამ მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის განვითარებისა და მფლობელობის გაფართოების პროცესში, საქართველო-ამიერკავკასიის ერთიანი რუსული მმართველობის თვალსაზრისით, სამთავროების არსებობა ახალი დროისათვის თანდათან შეუფერებელი ხდებოდა და უკვე აფერხებდა ცარიზმის მიზნების შემდგომ განხორციელებას ჩვენს ქვეყანაში. ეს გარემოება მით უფრო ეჩენდა თავს, რაც უფრო უახლოვდებოდა რუსეთი ბურჟუაზიული რეფორმების პერიოდს და რაც უფრო გულმოდგინედ გეგმავდა იგი ამიერკავკასიის კოლონიურ ექსპლუატაციას.

სამთავროების შეზღუდულ-ავტონომიურ არსებობას ახალ დროში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგადაც თანდათანობით ეცლებოდა ძველი დაშლა-დაქუცმაცებულობის მასაზრდოებელი ნიადაგი. სულ უფრო და უფრო მჭიდროვდებოდა ჩვენი ქვეყნის ცალკეულ მხარეთა შორის კავშირი. მიუხედავად მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა, ვითარდებოდა მოწინავე საზოგადოებრივი ძალების ბრძოლა, რომელიც მიმართული იყო ქართველი ხალხის პოლიტიკური გამთლიანებისა და უკეთესი მომავლის მოპოვე-

ბისაკენ. მართალია, სამთავროთა მოსახლეობა თავისუფალი იყო უცხო რეჟიმისაგან, მაგრამ ეს გარემოება ოდნავაც ვერ ამსუბუქებდა ამ მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას. სამთავროთა შიგნით ფეოდალური ურთიერთობის პირობებში, მშრომელები უაღრესად მძიმე სოციალურ ჩაგვრას განიცდიდნენ. დასასრულ, ცალკეულ სამთავროთა არსებობა აბრკოლებდა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესს. ამიტომ მათ გაუქმებას ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

ყირიმის ომის დასრულების შემდეგ ცარიზმმა ხელსაყრელი საბაბი ჰპოვა და 1857 წ. გააუქმა კიდევაც სამეგრელოს სამთავრო. 1857—1859 წლებში გააუქმეს სვანეთის სამთავრო,[1] ხოლო 1864 წელს — აფხაზეთის სამთავროც. ეს უკანასკნელი აქტი დაუკავშირდა რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის მთიანეთის დაპყრობას (1864 წ.) — კავკასიის დაუფლებისათვის წარმოებული თითქმის საუკუნოვანი ბრძოლის დასასრულს.

ქართველთა მოღვაწეობა მიურიდიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

ოსმალო დამპყრობლებმა თავიანთ ერთმორწმუნე დაღისტანში ჯერ კიდევ XVIII ს. მიწურულში დანერგეს მიურიდიზმი. მიურიდიზმი იყო ამიერკავკასიაში ოსმალეთის მიერ გაჩაღებული რეაქციული მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა აქედან რუსების განდევნას და სულთანის თურქეთის გაბატონებას. ოსმალეთი იმთავითვე ამხედრებდა საქართველოზე დაღისტნელ ფეოდალებსა და აბრაგებს, რადგან საქართველო ის ქვეყანა იყო, რომელმაც რუსეთს ფართო გზა გაუხსნა ამიერკავკასიაში და მხარი მისცა მას აღმოსავლეთელი მეტოქეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსმალეთის ძირგამომთხრელი საქმიანობა, კავკასიაში რუსეთის მფლობელობის განმტკიცების შესაბამისად, სულ უფრო და უფრო ცხოველდებოდა.

განსაკუთრებით გაძლიერდა მიურიდული მოძრაობა XIX ს. 20-30-იან წლებში. ამ დროს უფრო მკაფიოდ გამოვლინდა ოსმალეთის აგენტთა მიერ მთაში დანერგილი რელიგიურ-ფანატიკური სიძულვილი რუსეთისა და საერთოდ ქრისტიანი ხალხებისადმი. დაიწყო „ჰაზავათის“ ანუ „საღვთო ომის“ ქადაგება. მალე გაჩაღდა ხანგრძლივი ომიც რუსეთსა და მიურიდებს შორის.

საქართველო ძველითგანვე განიცდიდა დაღისტნელი აბრაგებისა და ფეოდალების სისტემატურ თავდასხმას. ეს ხშირი თარეში გრძელდებოდა XIX ს. პირველ მესამედშიაც. იგი არ შეწყვეტილა 1830 წ. შემდეგაც, როცა რუსეთის მთავრობამ ჭარ-ბელაქანი (საინგილო) შემოიერთა. აქ მოეწყო მტაცებლურ შემოსევათა საწინააღმდეგო ციხეთა სისტემა, ე. წ. „სალეკო ხაზი“, რომლის დაცვაშიც ქართველები დიდ როლს თამაშობდნენ.

40-იანი წლების დასაწყისში დაღისტნელმა მიურიდებმა შამილის მეთაურობით დიდ წარმატებას მიაღწიეს და კავკასიაში რუსეთის ბატონობას სერიოზული საფრთხე შეუქმნეს. ასეთ ვითარებაშიაც ქართველი ხალხის წარმომადგენლები რუსებთან ერთად იბრძოდნენ. მათ სწორად ჰქონდათ შეგნებული, რომ ამითაც საქართველოს ინტერესებს ემსახურებოდნენ. ქართველები მიურიდებში ხედავდნენ საკუთარ ისტორიულ მტრებს, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას ბევრი სისხლი ადინეს, გააუკაცურეს მისი მრავალი კუთხე და უდიდესი ნიეთიერი ზა-

[1] დადეშქელიანთა სვანეთის სამთავროზე რუსეთის მთავრობამ 1833 წ. გავრცელა თავისი მფარველობა.

რალი მიაყენეს. ქართველი სამხედრო მოღვაწეები და რიგითი მეომრები შამილისა და მიურიდების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

XIX ს. 50-იან წლებში მიურიდთა წინააღმდეგ მებრძოლ ჯარს დაღისტანში ქართველი გენერალი, ცნობილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი სარდლობდა. ყირიმის ომი რომ დაიწყო, მიურიდებმა სცადეს კახეთში შემოვრა — სწორედ მაშინ, როცა ოსმალები დასავლეთ საქართველოს შეესივნენ, მაგრამ გენ. ორბელიანის რაზმებმა ისინი გარეკეს. ასევე მარცხით დასრულდა შამილის ბანდების მეორე შეჭოსევა საქართველოში 1854 წ.

ყირიმის ომის დასრულების შემდეგ გენ. ორბელიანის რაზმები ზედიზედ ამარცხებდნენ შამილს. დაღისტანში მოპოვებული ყოველი გამარჯვება პოეტ გ. ორბელიანს საქართველოს „სისხლის აღებად" მიაჩნდა. მიურიდების წინააღმდეგ ბრძოლას, რუს გენერლებთან ერთად, მეთაურობდნენ სხვა ქართველი გენერლებიც (ზ. ჭავჭავაძე, ლ. სავარსამიძე, დ. ორბელიანი და სხვ.). მოწინავე ქართველი საზოგადოება აღტაცებით ხვდებოდა მიურიდების დამარცხებას.

1859 წ. 25 აგვისტოს რუსთა რაზმებმა, კავკასიის მეფისნაცვალ გენ. ბარიატინსკის საერთო სარდლობით, შამილი დაატყვევეს და დაღისტნის დაპყრობაც დასრულდა. ამ ფაქტს ქართველობა ზეიმით შეხვდა. რუსეთის მიერ დაღისტნის დამორჩილების შემდეგ დაიწყო ახალი ხანა საქართველო-დაღისტნის ურთიერთობაში. ძველი მტრობა, რასაც აქ ოსმალეთი და ადგილობრივი ფეოდალები აჩაღებდნენ, კეთილმეზობლურ ურთიერთობას უნდა შეეცვალა.

§ 3. ფეოდალიზმის რღვევა XIX ს. 30-50-იან წლებში

საშინაო და საგარეო ბაზრების ზრდა

XIX ს. 30-40-იანი წლებიდან მოყოლებული. საქართველოს სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრება დაწინაურების გზით წავიდა. ეს დაწინაურება შეამზადა ბარბაროსული გარემოცვის გარღვევამ. წინანდელი განუკითხაობისა და ძალადობის ნაწილობრივმა ალაგმვამ მეტი ხალისი და გასაქანი მისცა მწარმოებლებს თავიანთი შრომითი მოღვაწეობის განვითარებისათვის.

საქართველოში შეუჩერებლივ მატულობდა პურის მოთხოვნილება. სასაქონლო პურის მთავარი მომხმარებელი კვლავ რუსის ჯარი იყო. პურს ფასი დაედო და გლეხებიც ცდილობდნენ, რაც შეეძლოთ, მეტი მოეყვანათ. საამისოდ ისინი მიწისმფლობელთაგან იჯარით იღებდნენ მიწებს და სახნავ-სათეს მინდვრებს აფართოებდნენ. გლეხები წინანდელთან შედარებით გაცილებით მეტს შრომობდნენ. მწარმოებლებს ჰქონდათ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი სამეურნეო გამოცდილება და საჭირო ჩვევები, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჩამორჩენილობისა და არსებული ფეოდალური ურთიერთობის პირობებში მათ ნაკლებ შეეძლოთ ისე გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება, რომ ერთსა და იმავე ფართობზე უფრო მეტი მოსავალი მოეყვანათ. XIX ს. 40-50-იან წლებში საქართველო და სომხეთ-აზერბაიჯანი უკვე საკუთარი პურით ამარაგებდნენ ამიერკავკასიის მრავალათასიან არმიას. კერძოდ, საქართველოს ცალკეულ მაზრებში პურის მთელი მოსავლის მეოთხედი ბაზარზე გადიოდა. 1821—1861 წლების მანძილზე მარცვლეულის რაიონებში ჭირნახულმა ერთი-

სამად იმატა. შესამჩნევად იზრდებოდა ღვინის საბაზრო წარმოებაც. 40—50-იან წლებში ღვინის მთელი მოსავლის მეოთხედი გადიოდა ბაზარზე. ბაზარზე მნიშვნელოვანი რაოდენობით გადიოდა აგრეთვე მეცხოველეობის ნაწარმი, ბოსტნეული, ხილი და სხვა საქონელი. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველოში მარტივი სასაქონლო მიწათმოქმედება განუხრელად იზრდებოდა.

გამოცოცხლება დაეტყო აგრეთვე მეაბრეშუმეობას, მებამბეობას, მეთამბაქოეობას და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს, რომელთა განვითარებას 40-იანი წლებიდან სტიმულს აძლევდა რუსეთის მზარდი მრეწველობა. ტექნიკურ კულტურათა გავრცელებას ჩვენში მთავრობაც უწყობდა ხელს, რადგან, თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის მიხედვით, საქართველო-ამიერკავკასიას რუსეთის ფაბრიკებისათვის ნედლეული უნდა მიეწოდებინა. საამისოდ ჩატარებულმა ღონისძიებებმა, მიუხედავად მათი კოლონიური ხასიათისა, ხელი შეუწყეს მიწათმოქმედების განვითარებას.

30—50-იან წლების მანძილზე საქართველოში ნათლად შეიმჩნეოდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომი გაღრმავება და სოფლის მეურნეობის დარგობლივი სპეციალიზაციის განვითარება. ამას ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიც, ბარისა და მთიანი მხარეების სამეურნეო თავისებურება. მესაქონლეობის, ხორბლეულის მოყვანის, მევენახეობის თუ სხვა დარგებში დახელოვნებულ რაიონებს შორის ძველითგანვე არსებული გაცვლა-გამოცვლა ამ დროს, სასაქონლო პროდუქციის ზრდის პირობებში, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ფართოვდებოდა საშინაო ბაზარი, რომელიც ძირს უთხრიდა განცალკევებულ მხარეთა სამეურნეო კარჩაკეტილობას.

საშინაო ბაზრის ზრდას აბრკოლებდა უგზოობა, რის გამოც. მაგალითად, პარიზიდან ყულევში ტვირთის მოტანა უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე იმ ტვირთის ყულევიდან თბილისში გადმოტანა. გზათა გასაუმჯობესებლად განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარდა 40-იანი წლებიდან.

დაიწყო საქართველოს სამხედრო გზის გადაკეთება: გაიჭრა ჯვარის უღელტეხილის შემოსავლელი მაგისტრალი, რომელიც გუდამაყრის ხეობაზე გადიოდა. შეაკეთეს ქუთაის-ყულევის გზა; გაიყვანეს მრავალი გზა, რომლებიც საკუბერნიო ცენტრს ქუთაისს სამაზრო ქალაქებსა და დაბებთან აკავშირებდა. 1849 — 1851 წლებში გაკეთდა ქუთაის-ახალციხე-ახალქალაქ-ერევნის დიდი გზა. გაუმჯობესდა ქართლ-კახეთის საურმე გზებიც და განახლდა იმ მთავარი გზის თითქმის ყველა შტო, რომელიც შავსა და კასპიის ზღვებს უკავშირებდა ერთიმეორეს. გარდა ამისა, გაუმჯობესდა და ახლებურად მოეწყო საზღვაო-სამდინარო ნაოსნობა. გაიბა სანაოსნო ქსელი ყირიმ-საქართველოსა და ბაქო-ვოლგა-მოსკოვს შორის. გაუმჯობესდა ნაოსნობა რიონსა და მტკვარზე. 1847-48 წლებში დამყარდა რეგულარული მიმოსვლა ოდესასა და ყულევს შორის. საამისოდ ინგლისში სპეციალურად ააშენებინეს 2 გემი. 1858 წელს გაიხსნა ფოთის ნავსადგური. 1860 წ. საქართველო ტელეგრაფით დაუკავშირდა

---

[1] ყოფილი საქართველო-იმერეთის გუბერნიის ნაცვლად 1846 წელს ორი—ქუთაისისა და თბილისის—გუბერნია შეიქმნა.

რუსეთის ცენტრალურ ქალაქებს. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მჭიდრო ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის დამყარებას რუსეთთან. ამასთანავე ამიერკავკასიის ქვეყნების შინაგანი ეკონომიური დაახლოებაც ხდებოდა.

ჩვენი ქვეყნისა და საერთოდ იმ დროის რუსეთის იმპერიის ეკონომიური ჩამორჩენილობა თავისებურ გამოხატულებას პოულობდა საგარეო ვაჭრობაში: საქონლის შემოზიდვა ჩვენში დიდად ჭარბობდა გაზიდვას. ასე მაგალითად, 1846 წ. ამიერკავკასიაში შემოზიდული საქონლის ღირებულება ხუთჯერ მეტი იყო, ვიდრე გაზიდული საქონლისა.

	ამიერკავკასიაში შემოზიდეს საქონელი (მანეთობლივ)	ამიერკავკასიიდან გაზიდეს
1846 წ.	3.892.768	735.465
1847 წ.	3.966.116	832.590
1851 წ.	4.193.433	1.104.800
1857 წ.	4.865.532	4.255.063
1861 წ.	5.673.845	3.934.562

საქართველო-ამიერკავკასია იყო მთავარი არტერია რუსეთ-ირანის ვაჭრობაში. რუსეთიდან და ევროპიდან აქ შემოზიდული დიდძალი საქონელი დიდი რაოდენობით გადიოდა ირან-ოსმალეთში. ასევე, ირან-ოსმალეთის საქონელი ამიერკავკასიის გავლით გადიოდა რუსეთ-ევროპაში. საკუთრივ ამიერკავკასიის გაზიდული საქონლის რაოდენობა კი მოყვანილ ციფრებთან შედარებით მცირე იყო.

ამიერკავკასიული საქონელი გაზიდეს (მანეთობლივ)

1848 წ. — 605.036
1853 წ. — 1.174.944
1857 წ. — 1.309.562

კერძოდ, საქართველოდან რუსეთში და საზღვარგარეთ გაჰქონდათ: აბრეშუმი, ღვინო, სიმინდი, ბამბა, ძვირფასი ხეების (კაკლის, ბზის, მუხის) მასალა, საქონლის ტყავი და სხვ. ქვეყნის ხელოსნური და ჩანასახობრივ მდგომარეობაში მყოფი ფაბრიკული მრეწველობის ნაწარმის ხვედრითი წონა საგარეო ვაჭრობაში 40-50-იან წლებში ძალზე უმნიშვნელო იყო. გაზიდვის რიცხობრივ ზრდას ამ დროს განსაზღვრავდა ბუნებრივი სიმდიდრისა და სოფლის მეურნეობის ნაწარმის ექსპორტი. ეს გარემოება ახასიათებდა კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც ცხრილებიდან ჩანს, საქონლის შემოზიდვაცა და გაზიდვაც მატულობდა. 50-იანი წლებიდან კი გაზიდვა შედარებით უფრო სწრაფად იზრდებოდა. მართალია, უპირატესად ბუნებრივ სიმდიდრეს ეზიდებოდნენ, მაგრამ ქვეყნის წინსვლისათვის ამასაც ჰქონდა მნიშვნელობა.

40-იანი წლებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება ფულადი რენტის ზრდაშიაც გამოიხატა. 1843—1845 წლებში ჩატარებული საფინანსო რეფორმის შედეგად სახელმწიფო გადასახადში ფულადი ბეგარა გაბატონდა. მართალია, საერთოდ და უმთავრესად კი ყმა-გლეხთა საბეგარო დამოკიდებულებაში ნატურალური რენტა ჭარბობდა, მაგრამ ფულადი ბეგრის ხვედ-

ერთი წონის მატება მაინც გამოხატავდა მნიშვნელოვან ნაბიჯს წინ, ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევისა და ახალი ურთიერთობის აღმოცენებისაკენ.

40-იანი წლებიდან გაიზარდა სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის როლი საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში. ვაჭარ-მევაჭრეები ყვლეფდნენ წვრილ მწარმოებლებს. 40-იან წლებში გლეხებს რამდენიმე წლის მოსავალი წინასწარ ჰქონდათ ვალში გაყიდული. ეს იწვევდა გლეხების დამონებას, მათი ექსპლუატაციის გამწვავებას. ამიერიდან სავაჭრო კაპიტალი ბატონებთან ერთად უკვე სერიოზულ როლს ასრულებდა გლეხთა ექსპლუატაციის შემდგომი გაძლიერების საქმეში.

40-50-იან წლებში სავაჭრო კაპიტალის მოგების წყაროს წარმოადგენდა წვრილ მწარმოებელთა მიერ შექმნილი ნაწარმის ის ნაწილი, რომელსაც ვაჭარ-მევაჭრე მოტყუების გზით ითვისებდა. სავაჭრო კაპიტალი ჯერ კიდევ ძალზე ნაკლებად ებმებოდა წარმოებაში. მიუხედავად ამისა, ვაჭრობის ფართო გავრცელებასა და ფულის კულტის თანდათან გაბატონებას საგლეხო რეფორმის წინა ხანაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სავაჭრო კაპიტალის ტიპიური წარმომადგენელი დაგვიხატა მწერალმა ლ. არდაზიანმა თავის ნაწარმოებში „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.

ვაჭრობის განვითარებას საქართველოში მეტად შეუწყო ხელი ერთიანი ფულადი სისტემის შექმნამ. 1852 და 1853 წლების დებულებით საბოლოოდ მოხდა ფულის სხვადასხვაგვარი ნიშნების ლიკვიდაცია: რუსულმა მონეტამ განდევნა XIX ს. დამდეგის „ქართული თეთრი“ და ოსმალური მონეტები.

40-იანი წლებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ ალიერ შეარყია თავადაზნაურთა მიწისმფლობელობა — მათი ბატონობის საფუძველი. გახშირდა შეუძლო მოვალე თავადაზნაურთა ყმებისა და მამულების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ვალის დასაფარავად. სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალმა ბევრ მემამულეს დააკარგვინა საკუთრება. ფეოდალთა ნივთიერი გაჩანაგების პროცესის შესაჩერებლად მთავრობამ იაფი კრედიტი მისცა მებატონეებს და ამით ხელი შეუწყო მათ მეურნეობრივი საქმიანობის გაუმჯობესებაში, სასაქონლო წარმოების მოწყობაში. ბევრმა მართლაც შეძლო კრიზისისათვის თავის დაღწევა და მეურნეობის რაციონალურად მოწყობა. ზოგი მებატონე დაქირავებულ შრომასაც კი იყენებდა. გამონაკლის მემამულურ მეურნეობებს ახასიათებდათ კაპიტალისტური ევოლუცია, რაც თავისი შეზღუდული მასშტაბის გამო საერთოდ დამახასიათებელ მოვლენას არ წარმოადგენდა. ცდილობდნენ გაუმჯობესებული სამეურნეო ტექნიკის დანერგვას. ერთგვარი განვითარება ჰპოვა ქართულმა სახვნელმა იარაღმაც, აქა-იქ გაჩნდა „მუხრანული გუთანი“, რომელიც წინანდელთან შედარებით უფრო გამძლე და უკეთესი იყო.

მიუხედავად აღნიშნული ზოგიერთი წარმატებისა, თავადაზნაურთა უმეტესობას არ აღმოაჩნდა მეურნეობის გარდაქმნის უნარი და შესაძლებლობა. იგი უწინდებურად უსაქმურსა და უდარდელ ცხოვრებას ეწეოდა, განცხრომასა და სიამოვნებაში ატარებდა დროს. 1863 წ. 1 იანვრისთვის საქართველოს ყმა-გლეხთა 26% დაგირავებული იყო ბატონების მიერ. ეს რაოდენობა

გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა, მათი მიწები რომ გამიჯნული ყოფილ-ყო, გაუმიჯნავ მიწებს კი ვერ აგირავებდნენ.

საშინაო და საგარეო ბაზრის ზრდა XIX ს. 40—50-იან წლებში ფეოდალური ურთიერთობის რღვევის პროცესსაც გამოხატავდა. „ბატონყმური საზოგადოება, — ამბობდა ლენინი, — ყოველთვის უფრო რთული იყო, ვიდრე მონათმფლობელური საზოგადოება. მასში დიდი იყო ვაჭრობის, მრეწველობის განვითარების ელემენტი, რასაც ჯერ კიდევ მაშინ განვითარება კაპიტალიზმისაკენ მიჰყავდა“.[1]

მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება

XIX ს. 40-იანი წლებიდან საქართველოში სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა ძველი ფეოდალურ-ამქრული ხელოსნობის რღვევა და კაპიტალიზმის საწყისების განვითარება. საშინაო ბაზრის ზრდა არყევდა მრეწველობის პატრიარქალურ ფორმებს.

თბილისში ევროპელებისა და ევროპული ცხოვრების მიმდევართა გამრავლება აჩქარებდა წარმოების ახალი დარგების წარმოქმნას. ძველი ჩოხების, ეტიერო მესტების, ქოშების, აზიური მუსიკალური ხელსაწყოების (ზურნა, დუდუკი, ჩიანური და ა. შ.) და სხვათა წარმოება სუსტდებოდა. თანდათან იზრდებოდა მოთხოვნილება ევროპულ ტანსაცმელსა და საგნებზე. ევროპულმა მოდამ შეასუსტა ადგილობრივი ხელოსნური და საშინაო მრეწველობის მნიშვნელობა. ხელოსნურ წარმოებას უნარი აღარ შესწევდა, რომ დაეკმაყოფილებინა ახალი დროის მოთხოვნილება. ამიტომ შეუჩერებლივ მატულობდა ბურჟუაზიული საფუფუნებო საგნების შემოზიდვა.

40-იანი წლებიდან იწყო გაღრმავება საქართველოს ხელოსან მრეწველთა დიფერენციაციამ. ამქრებში (ამქარი ხელოსანთა გაერთიანებას ერქვა) მომუშავე ზოგი ხელოსანი საკუთარი ნედლეულით მუშაობას და დაქირავებული შრომის გამოყენებასაც კი იწყებდა. ეს ნიადაგს უმზადებდა მარტივიდან დიდრონ სარეწაოებზე გადასვლას. იყო გამონაკლისი შემთხვევები, როცა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები იმორჩილებდნენ წვრილ საქონელმწარმოებლებს და აწვდიდნენ მათ ნედლეულს, თვითონ კი გამოშვებულ ნაწარმს ასაღებდნენ და ამრიგად ითვისებდნენ მწარმოებელთა შრომას. წვრილ საქონელმწარმოებელთა მიერ ბაზართან უშუალო კავშირის დაკარგვა და შემსყიდველთა მიერ მათი დამორჩილება 50-60-იან წლებში ნელ-ნელა უკვე ვითარდებოდა. ეს კი კაპიტალისტური განვითარების დასაწყისს მოასწავებდა.

მაგრამ საქართველოში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას არ ახასიათებდა ისეთივე ისტორიული გზა, როგორსაც ადგილ ჰქონდა კლასიკური კაპიტალიზმის ქვეყნებში. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება ექვსი საუკუნის განმავლობაში იყო შეფერხებული. ახლა კი, XIX საუკუნის შუაში, ასე დაგვიანებით, იგი განვითარების ახალ გზაზე გამოდიოდა. როგორც კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა. საქართველოს სამრეწველო განვითარებას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და რუსეთის ეკონომიური ზემოქმედება საზღვარს უდებდა. აქაურ ბაზარზე უცხოური და რუსული სამრე-

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 597.

წველო საქონელი ბატონობდა. ასეთ პირობებში კი ადგილობრივ კაპიტალისტურ თაოსნობას გასაქანი ვერ ექნებოდა; მით უფრო, რომ ცარიზმი საქართველოს სამრეწველო განვითარებაზე სრულიადაც არ ზრუნავდა. ამიტომ იყო, რომ ჩვენში უმთავრესად მარტივი კაპიტალისტური სარეწაოები ჩნდებოდა, ხოლო საფაბრიკო-საქარხნო წამოწყებათა დანერგვის მრავალმა ცდამ მარცხი განიცადა.

1839 წ. თბილისში ვაჭარ ზუბალაშვილის კომპანიამ გახსნა შაქრის ქარხანა. სადაც 50-ზე მეტი დაქირავებული მუშა მუშაობდა. კომპანია ზრუნავდა საკუთარი ნედლეულის ბაზის შექმნაზედაც, შაქრის ლერწმის პლანტაციის გაშენებაზე. 1841 წ. ქარხანამ 186.000 მანეთის ნაწარმი გამოუშვა. ეს იყო ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლის მიერ დაფუძნებული, ნამდვილი კაპიტალისტური ტიპის ქარხანა, მაგრამ მას მთავრობამ ხელი არ შეუწყო ნაწარმის გასასაღებელი ბაზრის შექმნაში. მთავრობა მხოლოდ რუსეთის მრეწველებს უქმნიდა მონოპოლიას. ქარხანას შეუტიეს უცხოური შაქრის გამსაღებელმა ვაჭრებმაც და 1846 წ. იგი დაიხურა.

მიუხედავად აღნიშნული და სხვა მრავალი მსგავსი წამოწყების მარცხისა. 40-50-იან წლებში ჩვენში, უმთავრესად , თბილისში, მაინც გაჩნდა როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი კაპიტალისტების მიერ დაარსებული ფაბრიკა-ქარხნები. 1848 წ. თბილისში ყორღანოვმა გახსნა თუჯჩამომსხმელი ქარხანა; 1852 წ. გაიხსნა მეორე ასეთი ქარხანა. 60-იანი წლების დასაწყისში ინგლისელმა რაისმა ააშენა ორთქლისძრავიანი სახერხი ქარხანა და მოაწყო აგურის მანქანური წარმოება. 50-იან წლებში ადგილობრივმა ვაჭრებმა გახსნეს თამბაქოსა და ბამბის ფაბრიკები და სხვ. ამ ფაბრიკა-ქარხნებში გამოჩნდნენ პირველი კაპიტალისტები და პროლეტარები. მართალია, მათი რაოდენობა და როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო, მაგრამ მომავალი მათ ეკუთვნოდათ.

კაპიტალისტური წამოწყებანი გაჩნდნენ არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. ასე იყო, მაგალითად, ჩითახში (ბოლნისის რაიონი, ფოლადაურის ხეობა), სადაც 1860 წ. კვლავ განახლდა ერეკლეს დროს წამოწყებული და შემდეგ შეწყობილი რკინის მადნის დამუშავება. 40—50-იან წლებში ქუთაისში, ორპირში, ზუგდიდსა და სხვა ადგილებში უცხოელმა კაპიტალისტებმა აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკები მოაწყეს. ამ ფაბრიკებში ყმა-გლეხთა შრომა ჭარბობდა. უპირატესად ყმათა შრომას ემყარებოდნენ აგრეთვე გორის მაზრასა და იმერეთში არსებული ფეოდალური მანუფაქტურებიც. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მებატონე ერისთავების მიერ სოფ. ღვარებში დაარსებული შუშის წარმოება, რომელსაც თავისი ნაწარმი საქართველოს გარეთაც კი გაჰქონდა.

ფაბრიკებსა და მანუფაქტურებში ყმა-გლეხთა შრომა მომგებიანი არ იყო და აშკარად იგრძნობოდა თავისუფალ დაქირავებულ მუშათა უპირატესობა. მათი რიცხვი კი, ჩვენში ბატონყმობის ჯერ კიდევ სიმტკიცის გამო, ცოტა იყო, მაგრამ მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა აგრეთვე მოთხოვნილება თავისუფალ მუშა ხელზე.

40-იანი წლებიდან საქართველოში განვითარება იწყო სამთო-მოპოვებითმა მრეწველობამ. საფუძველი ჩაეყარა ტყიბულის ქვანახშირის ამოღებას. 1846 წ.

ამოიღეს 2000 ფუთი, 1848 წელს 60 ათასი, ხოლო 1860 წ. — 160 ათასი ფუთი. 1850 წლიდან დაიწყო ახალციხის ახლოს მდებარე ქვანახშირის საბადოს ექსპლუატაცია. ქვანახშირის მოპოვებამ ხელი შეუწყო შავ ზღვაზე ნაოსნობის ზრდას: ორთქლის გემებმა იაფი საწვავი მიიღეს. დაიწყო აგრეთვე ნავთლუღის, ელდრისა და შირაქის ნავთობის ათვისება.

საქართველოში XIX ს. I ნახევარში არსებული კაპიტალისტური წამოწყებანი წარმოადგენდნენ უპირატესად წვრილ-წვრილ სარეწაოებს, რომელთა ნაწარმი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას სამრეწველო საქონელზე. ზოგი მათგანი მხოლოდ მთავრობის კაპიტალით იყო მოწყობილი და უმთავრესად დაკვეთებისამებრ მუშაობდა. როგორც უკვე ითქვა, ჩვენი ქვეყნის ბაზარი რუსულ და უცხოურ სამრეწველო საქონელს ეპყრა. ბაზრის დანაკლისს ავსებდა ადგილობრივი ხელოსნური და შინამრეწველური წარმოება. მიუხედავად ამისა, იმხანად მაინც ვითარდებოდა კაპიტალისტური წარმოების საწყისები ჩვენში. იზრდებოდა სამრეწველო საწარმოთა რიცხვი და ხვედრითი წონა. ეს კი ხელს უწყობდა წარმოების ფეოდალური წესის რღვევას.

XIX ს. 30-იანი წლებიდან საშინაო და საგარეო მტრების მიერ დარბეულ-აწიოკებულ საქართველოში მშვიდობის დამყარების შემდეგ მოსახლეობამ შესამჩნევად იწყო მატება. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა იზრდებოდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების კვლავ შემოერთებისა და აქ რუსი და უცხოელი კოლონისტების ჩამოსახლების შედეგად.ასეთ შემატებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1846 წ. საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლეობის რაოდენობა 900 ათასს არ აღემატებოდა, ხოლო 1859 წ. იგი 1 მილიონამდე ავიდა. 13 წლის განმავლობაში ნამატი მთელი რაოდენობის 10%-ს უდრიდა. მომდევნო წლებში მოსახლეობის ზრდის ტემპმა იმატა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მაჩვენებელი იყო ქალაქის მოსახლეობის ზრდა სოფლის ხარჯზე. 1847 წ. თბილისში ცხოვრობდა 43.863, ხოლო 1862 წ. — 62.082 სული. ამრიგად, 15 წლის განმავლობაში ნამატი 41%-ს უდრიდა.

საქალაქო ცხოვრება აღმოსავლეთ საქართველოში უფრო დაწინაურდა, ვიდრე დასავლეთში. ქართლ-კახეთის ქალაქებში, თბილისს გარდა, 35 ათასამდე მცხოვრები იყო, ხოლო დასავლეთ საქართველოს ქალაქებში — 20 ათასამდე. ეს მაშინ, როცა მოსახლეობის საერთო რიცხვი იქა და აქ თითქმის თანაბარი იყო. ასეთი განსხვავება იმით აიხსნება, რომ ქართლ-კახეთის ქალაქებზე ძლიერ ზემოქმედებდა თბილისის სიახლოვე.

თბილისი. საქართველოს დედაქალაქი თბილისი იმ დროს კვლავ იქცა საქართველოს (რუსეთის მფლობელობაში გაერთიანებულის) ცენტრად. თანაც იგი მთელი ამიერკავკასიის ცენტრალურ ქალაქს წარმოადგენდა. 40-იანი წლებიდან თბილისში შესამჩნევად ვითარდებოდა ბურჟუაზიული ურთიერთობა, რომელიც ნელ-ნელა უცვლიდა სახეს ძველ ფეოდალურ ქალაქს. წინანდელთან შედარებით დიდად გაიზარდა ქალაქის ბურჟუაზიული ელემენტის რაოდენობა. 1862 წ. აქ თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვი მთელი მოსახლეობის 33%-მდე აღწევდა.

იზრდებოდა თბილისის ვაჭრობა-მრეწველობაც. 60-იანი წლების დასა-

წყისში აქ 116 წვრილი სარეწაო და ფაბრიკა-ქარხანა იყო. მათი წლიური ნაწარმის საფასური 530 ათას მანეთს აღწევდა. 1850 წლისთვის, 1832 წელთან შედარებით, ქალაქის სავაჭრო ბრუნვა ერთისამად გაიზარდა.

40-იანი წლებიდან თბილისში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა საბინაო მშენებლობა, რაც დიდ გავლენას ახდენდა საამშენებლო მასალის — აგურ-კრამიტისა და ხე-ტყის — წარმოების ზრდაზე. 1846 წ. აქ 40 ქვის სახლი აშენდა (მათ შორის 17 ორსართულიანი), 1848 წ. — 45, 1849 წ. — 52. 40-იანი წლების ბოლოს გორის მაზრიდან თბილისში ყოველწლიურად ჩამოჰქონდათ 7000-დე ტივი ხის მასალა. ქალაქის მშენებლობაში უკვე შეიმჩნეოდა დაპირისპირება „ცუდსა“ და „კარგ“ უბნებს შორის; არისტოკრატიულსა, წვრილბურჟუაზიულსა და მუშურ უბნებს შორის.

გაიზარდა თბილისის, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის კულტურული ცენტრის, მნიშვნელობაც. 40—50-იანი წლებიდან აქ გაჩნდა რუსული თეატრი და იტალიური ოპერა; აღდგა ქართული დრამატული თეატრი; დაარსდა კლუბები, საჯარო და სხვა ბიბლიოთეკები; გამრავლდა სასწავლებელთა რიცხვი; გამოდიოდა პერიოდული რუსული გაზეთები, ქართული ჟურნალი („ცისკარი“), მწიფდებოდა და იზრდებოდა საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივი ძალები. 50-იანი წლების დამდეგს თბილისში მყოფი ლ. ტოლსტოი, შემდგომ დიდი რუსი მწერალი, წერდა: „თბილისი მეტად ცივილიზებული ქალაქია, იგი ძალიან ბაძავს პეტერბურგს და ეს მას კარგადაც გამოუდის. საზოგადოება რჩეული და მრავალრიცხოვანიაო“.

თბილისთან ერთად 40-იანი წლებიდან იზრდებოდნენ ქალაქები ქუთაისი, გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე, ყულევი, ფოთი, სოხუმი, ცხინვალი, დუშეთი და სხვები. კერძოდ, ქუთაისს განსაკუთრებით დაეტყო ზრდა 1846 წლიდან, როცა იგი საგუბერნიო ცენტრად იქცა.

ქუთაისსა და საქართველოს სხვა სამაზრო ქალაქებშიაც ვითარდებოდა ეკონომიური და კულტურული ცხოვრება. ქალაქების მოწინავე საზოგადოებრივი ძალები მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ერთიმეორეს და თანდათან ერთიანდებოდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე.

ბატონყმობისაგან თავდახსნის პროცესი

რუსეთის სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიური ზემოქმედების შედეგად 40-50-იან წლებში საქართველოში ძირითადად დასრულდა ბატონყმური ურთიერთობის თავისებურების ლიკვიდაცია და მისი შერწყმა რუსულ ბატონყმურ წესრიგთან. ძირითადად ჩატარდა სოციალური და ადმინისტრაციული სტრუქტურის უნიფიკაცია. კლასობრივი ბრძოლა მაღალ საფეხურზე ავიდა, ის ფეოდალური ურთიერთობის პირობებში უკიდურესად გაღრმავდა. გლეხსა და ბატონს შორის წინათ არსებული შუალედი ფენების საბოლოოდ გაქრობის შედეგად ჩამოყალიბდა გლეხთა ერთიანი მასა — ერთნაირი უფლებებით თუ ერთნაირის უუფლებობით. ამიერიდან გლეხთა კატეგორიები ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ უფრო თავიანთი ქონებრივი მდგომარეობით, ვიდრე იურიდიული უფლებებით. ეს იყო ბატონყმური ურთიერთობისაგან განთავისუფლების წინა ხანა, როცა ჩნდებოდა თავდახსნილთა, თავისუფალ გლეხთა კატეგორია.

საშინაო ბაზრის ზრდას, ფულადი რენტის გაფართოებას, მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებას თან სდევდა გლეხთა ექსპლოატაციის გამწვავება, გლეხთა შორის დიფერენციაციის გაღრმავება. დიდი უმრავლესობის გაღატაკება-გაჩანაგებასთან ერთად სოფლად შესამჩნევი ხდებოდა შეძლებულ გლეხთა ფენის გაძლიერება — განსაკუთრებით სახელმწიფო გლეხებს შორის, რომელთა რაოდენობა უკვე მთელი გლეხობის თითქმის ნახევარს აღწევდა. გაჩნდნენ მდიდარი მეურნეობის მქონე გლეხები, რომლებიც უკვე დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. ასეთები საკმაოდ ბევრი იყვნენ ჩამოსახლებულ კოლონისტებს შორის. სწორედ მათ ბანაკში წარმოიშვნენ პირველი კულაკური ელემენტები, რომლებიც ექსპლუატაციას უწევდნენ სოფლის ნახევრად პროლეტარებს და მათ ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ამრიგად, სოფლად. მკრთალად. მაგრამ მაინც მიმდინარეობდა წარმოების საშუალებათაგან უშუალო მწარმოებლების თანდათან მოწყვეტის პროცესი და ისახებოდა სოფლის მუშათა კატეგორია, რომლის ძირითადი საარსებო წყარო სამუშაო ძალის გაყიდვა იყო. ასეთი პროცესი ახასიათებდა კაპიტალის დაგროვების პერიოდს.

ქირაზე გასული. საქალაქო ცხოვრებაში დროებით თუ მუდმივ ჩაბმული, გახელოსნებული და გავაჭრებული ყმა-გლეხი კაპიკს კაპიკზე აწებებდა და მიწისა და თავისუფლების გამოსყიდვისათვის იბრძოდა. მაგრამ ცოტანი თუ ახერხებდნენ, ისიც დიდი ვაი-ვაგლახით, თავის დახსნას, რადგან გამოსყიდვა ძალზე ძვირი ჯდებოდა. ამასთანავე, თავისუფლებას მეტწილად ისინი ინარჩუნებდნენ. რომლებიც მიწიანად გამოისყიდიდნენ თავს. უმიწოდ თავდახსნილ გლეხს კი ძალზე უჭირდა თავისუფლების შენარჩუნება. იგი იძულებული ხდებოდა ხაზინის ხელთ გადასულიყო. თუკი ხაზინა მიწას გამოუყოფდა, თუ არა და ხიზნად უნდა დასდგომოდა რომელიმე სხვა მემამულეს. ბატონყმობის სიმტკიცის გამო ჯერ კიდევ ვერ იყო შექმნილი სათანადო პირობები თავდახსნილთა თავისუფლების შენარჩუნებისათვის. განთავისუფლებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა საქალაქო ცხოვრებაში ჩაბმას და ნამდვილი მოქალაქეობრიობის მოპოვებას.

40—50-იანი წლებიდან გახშირდა ყმათა თავდახსნის შემთხვევები. 1846-55 წლებში მარტო ქუთაისის გუბერნიაში (სამეგრელო-სვანეთ-აფხაზეთის გამოკლებით) 100-მა კომლმა გამოისყიდა თავი. 1850—1864 წლებში იმავე გუბერნიაში აღრიცხულ იქნა თავდახსნის 1314 შემთხვევა; დაიწერა განთავისუფლების 468 აქტი, რომელთა შორის იყო 351 შემთხვევა, როცა გლეხური ოჯახები მიწიანად განთავისუფლდნენ. თავდახსნილებმა მებატონეებს საერთო ანგარიშით 200 ათას მანეთზე მეტი გადაუხადეს. ნაკლები არ ყოფილა თავდახსნილთა რაოდენობა თბილისის გუბერნიაშიც.

§ 4. ბრძოლა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ

გლეხთა ექსპლუატაციის გამწვავება

XIX ს. 40-იანი წლებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით გამწვავდა გლეხთა ჩაგვრა. მებატონეები ახლა გლეხებს გაცილებით უფრო მეტ მუშაობას, სურსათ-სანოვაგესა და ფულს სთხოვდნენ.

ყმა-მამულების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით, რაკი ამის გამო ფეოდალები მიწებს ჰკარგავდნენ, სამამულო დავამ უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო. ცეცხლზე ნავთს ასხამდა ის გარემოება, რომ მამულები საერთოდ გაუმიჯნავი იყო. ფეოდალები არა მარტო ერთიმეორეს მტრობდნენ მიწებისათვის, არამედ გლეხთა პირად-საკუთარ მიწებსაც გადასწვდნენ. სამამულო საჩივრების სიმრავლით სარგებლობდნენ და ხელს ითბობდნენ მეფის ბიუროკრატიის მეკრთამე ზოხელეები. ცოცხლად დახატა ერთი ასეთი სურათი გ. ერისთავმა თავის კომედიაში „დავა".

დროთა ვითარებაში მოსახლეობის ზრდისა და ჩამოსახლებულ კოლონისტთა მომრავლების გამო, მწარმოებლები სულ უფრო და უფრო მწვავედ განიცდიდნენ მიწის სიმცირეს. სოფლად განვითარებული დიფერენციაციაც აჩქარებდა გლეხობის უმრავლესობის გაღატაკებას. იმავე დროს მრავალი მემამულეც ღატაკდებოდა. ეს კი უფრო ამწვავებდა კლასობრივ ანტაგონიზმს. ძალზე განვითარდა მებატონეთა თვითნებობა გლეხთა მიმართ. ხშირი გახდა ყმათა ცემა-ტყეპა, ხეებზე გაკვრა და მილურსმვა, ბორკილის გაყრა, სარდაფში ჩაგდება, ურემსა და კევრში შებმა, ულლის ქვეშ სიკვდილი, ყმათა ცოლებისა და ქალიშვილების გაუპატიურება. მებატონეები არღვევდნენ არსებულ კანონებს და ხშირად ყმებს ოჯახისაგან მოწყვეტითაც ჰყიდდნენ. ისინი აშორიშორებდნენ მშობლებსა და შვილებს, დებსა და ძმებს, რომლებსაც ზოგჯერ ცხენებზე, ქორ-მიმინოებსა და მეძებარ ძაღლებზედაც კი ცვლიდნენ.

40-იანი წლებიდან ძალზე გახშირდა ყმათა ურჩობის შემთხვევები. ისინი უარს ამბობდნენ ბატონის სამსახურზე, ბატონი კი დახმარებისათვის რუს მოხელეებს მიმართავდა და გლეხებს სჯიდა, 1843-46 წლებში აღრიცხულ იქნა ყმათა ურჩობის 133 შემთხვევა. ამ „შემთხვევათა" რიცხვში ცალკეულ სოფელთა აჯანყებაც შედიოდა. აღურიცხავ შემთხვევათა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ყმის მიერ ბატონის მოკვლა და ყაჩაღად გავარდნა.

XIX ს. 30—40-იანი წწ. საქართველოსათვის დამახასიათებელია „ყაჩაღ" არსენა ოძელაშვილის ტიპი. არსენა გლეხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეტად პოპულარული და ხალხის ღრმა სიყვარულით მოსილი გმირი იყო. მისდამი მიძღვნილ სიმღერაში — „არსენას ლექსში" — ხალხმა გამოხატა არსებული უსამართლობისადმი შეურიგებელი სიძულვილი. არსენა სდევნიდა ხალხის მჩაგვრელებს და ღარიბ-ღატაკებს ეხმარებოდა. 1843 წ. მცხეთის ახლოს, მუხათგვერდთან, მეფის მსახურთა მიერ მოკლული არსენა გლეხებმა დიდი პატივისცემით დაასაფლავეს.

განსაკუთრებით გამწვავდა საქართველოში გლეხთა მდგომარეობა ყირიმის ომის დროს, 1853—1856 წლებში, როცა ქვეყანა სომარი მოქმედების ასპარეზად იქცა. ომის შემდეგ გლეხთა რამდენიმე მასობრივი აჯანყებაც მოხდა.

1852 წ. აჯანყდნენ რაჭის მაზრის სოფ. კვაცხუთის გლეხები, რომლებიც მებატონისაგან განთავისუფლებასა და საეკლესიო მფლობელობაში გადარიცხვას მოითხოვდნენ. მათ გალახეს მებატონისა და მთავრობის შუამავლები, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მთავრობამ დააპატიმრა აჯანყების 5 მონაწილე, რომელთაგან 3 ციმბირში გადაასახლეს. 1854 წ. აჯანყდნენ აგრეთვე ახალციხის

მაზრის ხერთვისის უბნის გლეხებიც. რომლებმაც უარი განაცხადეს სახელმწიფო გადასახადების გადახდაზე.

1856 წ. დასაწყისში აჯანყდნენ გორის მაზრის სოფ. ჭალის გლეხები. მათ უარი უთხრეს მებატონე ამილახვარს ფეოდალურ გამოსაღებთა გადახდაზე. მებატონე იძულებული გახდა შეემცირებინა გაწერილი ფულადი გადასახადი. მაგრამ გლეხები მაინც არ ცხრებოდნენ. მთავრობამ შეიპყრო რამდენიმე მათი მოთავე და ამით ჩააჩუმა სოფელი. მაგრამ ერთ სოფელში ჩაქრობილი მღელვარება უმალვე მეორე სოფელში იჩენდა ხოლმე თავს.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 1857 წ.

ყირიმის ომის დროს ოსმალო დამპყრობელთა თარეში, რომელიც 4 თვეს გრძელდებოდა, ყველაზე მეტად სამეგრელოს შეეხო. გლეხები ნივთიერად დიდად დაზარალდნენ. მშრომელთა მდგომარეობა არც ოსმალთა განდევნის შემდეგ შემსუბუქებულა. ფეოდალებმა მათი ექსპლუატაციის გაძლიერებით სცადეს ომისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება. გაიზარდა საბატონო-სამუშაო დღეები და დაირღვა ძველი საგადასახადო ნორმები.

სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი ეკატერინე დადიანი, რომელიც თავის ფეოდალური სახლის ინტერესებისათვის იბრძოდა, გამალებით შეუდგა დანგრეული სასახლეებისა და გაჩეხილი ბაღ-ვენახების აღდგენას. სამთავრო სამუშაოებზე დიდძალ მშიერ-მწყურვალ ყმას ერეკებოდნენ. ძველი ჩვეულების თანახმად, ბატონის სამსახურში გასული გლეხი ბატონს უნდა გამოეკვება. ახლა კი გლეხებს საკუთარი სურსათით ამუშავებდნენ. განსაკუთრებულ შევიწროებასა და შეურაცხყოფას განიცდიდნენ ისინი მთავრის მოხელეებისაგან.

დიდი გავლენა იქონია გლეხებზე ომის დროს ინგლისელი და ფრანგი აგენტების მიერ სამეგრელოში ხალხის მომხრობის მიზნით დარხეულმა ხმებმა ბატონყმობის მოსალოდნელი გაუქმების შესახებ. ასეთი ხმები იმ დროს რუსეთის იმპერიაშიაც ვრცელდებოდა და ასე თუ ისე აქეზებდა გლეხებს ანტიბატონყმურ ბრძოლაზე. მთავარი მიზეზი კი, რამაც სამეგრელოს გლეხთა აჯანყება გამოიწვია, იყო ბატონყმური ჩაგვრის უკიდურესი გაძლიერება.

სოფ. სალხინოში მთავრის სასახლის აღდგენაზე მომუშავე გლეხებისათვის მცირე ყაბაბიც კი საკმაო გახდა, რომ აჯანყებულიყვნენ. ეს საბაბი მათ მისცა მთავრის მოურავმა, რომელმაც არ შეიწყნარა გლეხთა თხოვნა, მთავრის წინაშე ქვილზე სიმინდი უმინდოდ დაგვაფქვევინეთო. სალხინოშივე 1857 წ. დასაწყისში მოხდა პირველი შეტაკება მოურავსა და გლეხებს შორის. აჯანყება მალე გავრცელდა და თითქმის მთელ სამეგრელოს მოედო.

აჯანყებულმა გლეხებმა, რომლებსაც მხნე მეთაურები აღმოუჩნდათ, თავიანთი რაზმები ასეულებად და პატარა ჯგუფებად დაანაწილეს. მალე მათ ფაქტიურად მოშალეს ბატონყმობა სამეგრელოში. გლეხები არბევდნენ და სწვავდნენ მებატონეთა სახლ-კარს, ათავისუფლებდნენ მოახლეებს. უარს ამბობდნენ საბატონყმო დამოკიდებულებაზე. აჯანყებას მეთაურობდა მჭედელი უტუ მიქავა, რომელსაც ბევრი თანაშემწე ჰყავდა.

მიქავას პირადად იცნობდა პოეტი რ. ერისთავი. მისი გადმოცემით, მიქავა იყო კარგი ვაჟკაცი და მჭევრმეტყველი ადამიანი, რომელიც მებატონეებთან კამათისას შესანიშნავად იცავდა თავის კლასობრივ მოძმეთა ინტერესებს. მას

სძულდა ბატონყმობა. რუს მოხელეებთან საუბარში მიქავამ აუხილა კიდევაც ბატონყმური დამოკიდებულების უმსგავსობა და მოითხოვა. გლეხი „კაცად ეცნოთ“. იგი ადამიანთა შორის თანასწორუფლებიანობის დამყარებას და წოდებათა მოსპობასაც კი მოითხოვდა. სხვა აჯანყებულთაგანაც ისმოდა ბატონყმობისაგან სრული განთავისუფლების მოთხოვნა.

მეექვსე გლეხის ესოდენ თამამი, მკვეთრი და შეგნებული გალაშქრება ბატონყმობის წინააღმდეგ არც თუ ისე ხშირი მოვლენა იყო ბატონყმობის დროინდ. გლეხთა მოძრაობის ისტორიაში. მის დიდ მნიშვნელობას ვერ ამცირებს ის გარემოება, რომ მიქავა და მისი თანამებრძოლები თანმიმდევრულად ვერ ავითარებდნენ თავიანთ მოთხოვნას და იმაზედაც კი თანხმდებოდნენ, რომ ყმათა მდგომარეობა „ასატანი“ ყოფილიყო. მათ ეგონათ, რომ მაშინდელი წყობილების ფარგლებში შესაძლებელი გახდებოდა გლეხთა ადამიანური უფლებების დაცვა.

აჯანყებულებმა მიქავას მეთაურობით გადაწყვიტეს, არ დამორჩილებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მიეღოთ რუსი ჯოხელეებისა და სარდლების დახმარება სახაზინო გლეხთა კატეგორიაში გადარიცხვისათვის. მათ იცოდნენ, რომ რუსული მმართველობის განკარგულებაში მყოფი სახაზინო გლეხები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამიტომ იყო, რომ აჯანყებულებმა ყური არ ათხოვეს ეკატერინე დადიანს, რომელმაც მათ მოუწოდა, დაიშალეთო და აღუთქვა, მდგომარეობას შეგიმსუბუქებთო.

მთავრის ხელისუფლებისადმი გლეხთა ასეთი დამოკიდებულება რუსეთის მთავრობამ თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა. ქუთაისის გუბერნატორი დაჰპირდა გლეხებს, რომ „მართლმსაჯულება მალე განხორციელდებოდა“. მაგრამ გუბერნატორმა და კავკასიის მეფისნაცვალმა ეს დაპირება მხოლოდ იმით „შეასრულეს“, რომ სამეგრელოში მთავრის ხელისუფლება გააუქმეს. მაგ შემდეგ გლეხებს იარაღით აიძულებდნენ დამორჩილებოდნენ მებატონეებს და ხელი აეღოთ აჯანყებაზე. ასე რომ გლეხებს უკვე ბატონყმობის დამცველი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგაც მოუხდათ ბრძოლა, მრავალი წვრილი და ზოგჯერ დიდი შეტაკებაც. 1857 წ. სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დამდეგს მომხდარი ორი შეტაკების შედეგად მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 40-მდე აღწევდა.

რუსეთის მთავრობამ დააპატიმრა და სხვადასხვა ვადით გააციმბირა აჯანყების 38 ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილე. უტუ მიქავამ 9 წელიწადი დაჰყო გადასახლებაში.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება, რომელშიაც 10 ათასამდე გლეხი მონაწილეობდა, გამოხატავდა მასობრივ პროტესტს ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს აჯანყებაც სტიქიურ-გლეხური მოძრაობა იყო, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისა და მისი მსგავსი სხვა აჯანყებანი აიძულებდნენ მეფის რუსეთს, საქართველოშიაც დაეჩქარებინა ბატონყმობის გაუქმება.

1857 წ. სამეგრელოს აჯანყებამ გამოძახილი ჰპოვა მეზობელ კუთხეებშიც. იმავე წელს გამოვიდნენ გლეხები ქუთაისის მაზრის ბაღდადის უბანში. მთავ-

რობამ მოტყუებით შეძლო სისხლისღვრის თავიდან აცილება. 40 აჯანყებული გლეხი შეიპყრეს და 16 მათგანი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს.

გლეხთა აჯანყებანი საქართველოში ბატონყმობის გაუქმების წინ

1858 წელს გლეხები იბრძოდნენ გორის მაზრაშიც. სოფ. აბისის გლეხები აუჯანყდნენ მებატონე ამირეჯიბა. აბისელთა შემდეგ ამოძრავდნენ ნოსტელები, რომლებიც მებატონე თარხნიშვილებს გადაუდგნენ. 1859 წ. აჯანყდნენ ქსნის ხეობის გლეხები. მათმა ბატონებმა — ერისთავებმა გლეხებს კაზაკთა რაზმები გაუსიეს და იარაღით დააწყნარეს ისინი. ურჩობდნენ აგრეთვე ქარელის, ყინცვისის, წრომის, აჩაბეთის, ცხინვალის, ვანათის, ყორნისისა და სხვა სოფელთა გლეხებიც.

საქართველოში 50-იან წლებში მომხდარმა მრავალმა აჯანყებამ ხელი შეუწყო იმ დროს რუსეთის იმპერიაში შექმნილი ანტიბატონყმური რევოლუციური სიტუაციის გაღრმავებას.

გლეხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოში არ ჩამქრალა მას შემდეგაც, რაც ცნობილი გახდა 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტი, რომლის საფუძველზედაც რუსეთში ბატონყმობა ისპობოდა და ფართო გზა ეხსნებოდა ქვეყნის ბურჟუაზიულ გარდაქმნას. მეფის მთავრობა აგვიანებდა ამ რეფორმის გატარებას განაპირა კოლონიურ ქვეყნებში, მაგრამ მანიფესტმა მეტი გამბედაობა შესძინა აქაურ გლეხებს. იმავე დროს საქართველოშიაც დაიწყო სარეფორმო ღონისძიებათა გატარებისათვის მზადება და მშრომელებს გათავისუფლების იმედი მიეცათ.

1861—1864 წლებში განსაკუთრებით ხშირი იყო წვრილ-წვრილი გამოსვლა გორის მაზრაში. 1862 წ. აჯანყდნენ თამარაშენის, თეზის, ბოშურის, ბობნევისა და სხვა სოფელთა გლეხები. ისინი უარს ამბობდნენ მებატონეთა სამსახურსა და გადასახადებზე. ურჩებს საეგზეკუციო რაზმები სჯიდნენ. 1863 წ. გლეხები გამოვიდნენ ბერშუეთში, ხოვლეში, ქარელსა და კეხიჯვარში.

გამწვავდა გლეხთა კლასობრივი ბრძოლა თბილისის, თელავისა და სიღნაღის მაზრებშიაც.

1862 წ. გამოვიდა გლეხობა გურიაში. აქაც აჯანყება სოფლიდან სოფელს ედებოდა. გურიანთაში და ლანჩხუთში მარტში ჩამქრალმა აჯანყებამ თავი იჩინა მაკვანეთში, ბახვში, ლეხოურში, შემოქმედში, სუფსაში და სხვაგან. იმავე წლის ოქტომბერში მთავრობამ საეგზეკუციო რაზმები შეუსია გურიის სოფლებს. 1863 წ. აჯანყება მოხდა სენაკის მაზრის სოფ. თამაკონშიაც.

აღნიშნულ აჯანყებებს ფართო ხასიათი არ ჰქონიათ. ისინი უფრო ერთიანეოროსაგან მოწყვეტილ მცირე ამბოხებებს წარმოადგენდნენ. „მთელი საუკუნეების ბრძოლამ იმდენად დააბეჩავა და დაჩლუნგა გლეხთა მასები, რომ მათ რეფორმის დროს არავითარი უნარი არ შესწევდათ, გარდა დაქსაქსული, განცალკევებული აჯანყებებისა, უფრო კი „ბუნტებისა“, რომლებიც არავითარი პოლიტიკური შეგნებით არ იყო გაშუქებული“.[1] მთავრობა და ფეოდალები ადვილად უმკლავდებოდნენ ყოველ ასეთ გამოსვლას, მაგრამ მათი გახშირება კი იმის ცხადი მაჩვენებელი იყო, რომ დრომოჭმული ბატონყმობა 50—60-იან

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 128.

წლებში უკვე კრიზისმა მოიცვა. იგი აფერხებდა საწარმოო ძალებისა და საერთოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას. გამწვავდა წინააღმდეგობა შედარებით განვითარებულ საწარმოო ძალებსა და არსებულ საწარმოო ურთიერთობას შორის. საქართველოშიაც აღარ შეიძლებოდა რეფორმის დაყოვნება. გარდა ამისა, ჩვენში რეფორმების გადაუდებლივ ჩატარებას მოითხოვდა რუსეთის მზარდი კაპიტალიზმის ინტერესები და საქართველოს ეკონომიური ათვისების ამოცანები, რუსეთის სახელმწიფოს წინაშე რომ იდგა.

ბატონყმური იდეოლოგია. ანტიბატონყმური იდეოლოგიის წინამძღვრები

ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში საქართველოში, ისევე როგორც საერთოდ ყველა ქვეყანაში, გაბატონებული კლასის იდეოლოგია ბატონობდა. ფეოდალთა წარმოდგენით ბატონყმობა მარადიული და უცვლელი რამ იყო და გლეხები მებატონეთა სამსახურად იყვნენ გაჩენილნი. მაგრამ ახალ ხანაში უკვე ბევრი მებატონე ხედავდა ბატონყმური დამოკიდებულების გამწვავებას და, არსებული წყობილების დაცვა-შენარჩუნების მიზნით, თავის კლასობრივ თანამოძმეებს ყმების მიმართ ლმობიერ მოპყრობას ურჩევდა. 1859 წ. ჟურნალ „ცისკარის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ალ. ორბელიანის წერილი, რომელშიაც ფეოდალთა კლასის ეს იდეოლოგი ბატონყმობას იცავდა. არსებული გამწვავებული მდგომარეობა მას მებატონეებსა და ყმებს შორის ძველი „მამა-შვილური“ დამოკიდებულების დარღვევად მიაჩნდა.

ფეოდალურ ყოფაში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ელემენტთა შეჭრასა და მებატონეთა გაღატაკებასთან დაკავშირებით, გაბატონებული კლასის იდეოლოგთა აზროვნებაში თავი იჩინა წინააღმდეგობამ. ისინი დეგრადაციის გზაზე მდგომ თავადაზნაურებს მეურნეობის გაუმჯობესებასა და ბაზართან მჭიდრო კავშირის დამყარებას ურჩევდნენ; აღნიშნავდნენ, რომ ძველი „თოფისა და ხმლის“ მაგიერ ახლა საჭირო იყო სწავლა-განათლება და ვაჭრობა. ამ გზით ფიქრობდნენ ეს მოაზროვნეები ფეოდალთა კლასის ბატონობის შენარჩუნებას. ის კი არ იცოდნენ, რომ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და ბატონყმური დამოკიდებულების არსებობა ერთმანეთს გამორიცხავდნენ.

ანტიბატონყმური იდეოლოგიის პირველი სერიოზული წარმომადგენელი საქართველოში იყო ცნობილი მოთხრობის „სურამის ციხის“ ავტორი დანიელ ჭონქაძე, რომელმაც მწვავედ დაგმო არსებული სოციალური უსამართლობა. „სურამის ციხე“ გამოქვეყნდა 1859 წ., როცა საქართველოში ფართოდ იყო გაშლილი გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა. ფეოდალური რეაქცია მტრულად შეხვდა ამ მოთხრობას და მის ავტორს მოკვლასაც კი უპირებდნენ.

50—60-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან ცნობილი მოღვაწეები ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, რ. ერისთავი და სხვები, რომლებმაც უკვე იმ დროსვე დაგმეს და გაკიცხეს ბატონყმობა.

საერთოდ კი ამ დროის ანტიბატონყმურ იდეოლოგიას, რომელიც თავადაზნაურთა პროგრესულ ნაწილში აღმოცენდა, არ ჰქონია რევოლუციური ხასიათი, იგი არ გასცილებია მემამულურ-ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ფარგლებს. მაშინ მხოლოდ გლეხობა წარმოადგენდა ერთადერთ რევოლუციურ ძალას, რომელიც იბრძოდა ბატონყმობისა და ფეოდალური მიწისმფლობელობის მოსასპობად. ამის ერთი საუკეთესო მაგალითი იყო 1857 წ. გლეხთა აჯანყება უტუ მიქავას მეთაურობით.

ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლა

1820-იანი წლების შემდეგაც არ შეწყვეტილა პროგრესულ ქართველ მოღვაწეთა ბრძოლა. იგი გრძელდებოდა XIX ს. მთელი პირველი ნახევრის განმავლობაშიც და უფრო გვიანაც. ამ ბრძოლის მიზანი იყო ქართველი ხალხის განთავისუფლება კოლონიური ჩაგვრისაგან.

პროგრესული დასის საქმიანობა კვლავ ვერ ეგუებოდა რეაქციულ თავადაზნაურობას, რომელიც ბაგრატიონთა ტახტის აღდგენაზე ოცნებობდა. ისინი წარსულ „დიდებას", გარდასულსა და დრომოჭმულს, მისტიროდნენ, პროგრესისტები კი იბრძოდნენ საქართველოს განახლება-განათლებისათვის, რის საფუძველზედაც უნდა განხორციელებულიყო სოციალური და პოლიტიკური თავისუფლება.

1832 წ. შეთქმულების გამო გადასახლებული ბევრი მოღვაწე მალე დაუბრუნდა სამშობლოს. ბევრ მათგანს არსებობისათვის სხვა გზა არა ჰქონდა, თუ არა მთავრობის სამსახურში შესვლა, მაგრამ ასეთ ძნელ პირობებშიაც ახერხებდნენ ისინი პატრიოტული საქმიანობის გაგრძელებას.

მოწინავე ძალები განაგრძობდნენ იმ საქმიანობას, რომელსაც XIX ს. 20-30-იან წლებში ს. დოდაშვილი მეთაურობდა. დოდაშვილის წერილებს იმეორებდნენ თბილისის გიმნაზიის ქართველი მოსწავლეები თავიანთ ხელნაწერ ჟურნალებში. მისმა ყოფილმა მოწაფეებმა ნ. ბარათაშვილმა, მ. თუმანიშვილმა და სხვებმა 1835 წ. დაიწყეს ჟურნალ „თბილისის გიმნაზიის ყვავილის" გამოშვება. ისევე, როგორც „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", „გიმნაზიის ყვავილიც" ქადაგებდა სამშობლოსადმი სიყვარულს და მიზნად ისახავდა ჰოსწავლეთა და საერთოდ ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას. ნ. ბარათაშვილისა და მ. თუმანიშვილის მიერ 1836 წ. შედგენილ ანთოლოგიაში შეტანილ იქნა დ. მაჩაბლის ლექსები და გ. ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა". ამით მოწინავე ახალგაზრდობამ გამოხატა თანაგრძნობა პოლიტიკურ-განმათავისუფლებელი იდეებისადმი.

40-იან წლებში ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივები თავს იჩენდა მოწინავე ინტელიგენციის მრავალმხრივ საქმიანობაში. ამ დროს გ. ერისთავის, დ. მაჩაბლისა და სხვათა თაოსნობით ამზადებდნენ ახალი ქართული ჟურნალის „სინათლის" გამოცემას. ამ მიზნით გამოშვებულ მოწოდებაში ისინი აღვივებდნენ ხალხის პატრიოტულსა და თავისუფლებისმოყვარულ მისწრაფებას. არსებული ჩამორჩენილობის შესახებ ჩივილში გამოსჭვივოდა პროტესტი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და

ამშობლიური ლიტერატურის აღორძინებისადმი დიდი ინტერესი: „აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი, გინა შავთელნი, რუსთაველნი და პეტრიწნი? სადღა ისმის ტკბილხმოვანება ბესიკისა? სად გადმოიცემიან ფილოსოფიურნი და ღვთისმეტყველებითნი ტექსტნი ანტონისანი? ყოველივე დრომან მიჰფარა და სიბრძნეცა ქართველთა, ვითა აჩრდილნი, მათთანვე წარხდნენო“.

„ცარიზმი ახშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველივე ინიციატივას“.[1] ამიტომ იყო, რომ ჟურნალ „სინათლის“ გამოცემა ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ბრძოლა არ შეწყვეტილა.

40—50-იან წლებში ამოძრავდნენ ეროვნულ-კულტურული ძალები. გახშირდა წიგნების ბეჭდვა; გამოჩნდნენ სამშობლოს ისტორიის შესწავლით დაინტერესებული პირები: აღადგინეს ქართული თეატრი; დაიწყო გამოსვლა ჟურნალმა „ცისკარმა“. საქართველოში დაბრუნდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი. ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან.

ქართველი მოღვაწეები ქართული თეატრის სცენიდან და პერიოდული პრესის ფურცლებიდან იბრძოდნენ — რამდენადაც ეს მაშინ ყოვლის ჩამხშობი ცენზურის პირობებში შეიძლებოდა — კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის. ასეთი ბრძოლა მიმდინარეობდა ლიტერატურულ სარბიელზედაც.

პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში იყენებდნენ საქართველოს ისტორიის გმირული ეპიზოდების პოპულარიზაციის ხერხს. 1846 წ. ალ. ორბელიანმა დაწერა დრამა „დავით აღმაშენებელი, ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“, რომელშიც აღმაშენებლის დროის ამბებს ამოფარებულმა ავტორმა გაატარა ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანებისა და ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის იდეა.

1861—1862 წლებში ჟურნალ „ცისკარის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა იოანე ბატონიშვილის „ალმასობა“. ამ ნაწარმოებს წინ უძღოდა ახალგაზრდა ისტორიკოსის დ. ბაქრაძის მიერ დაწერილი შესავალი წერილი, რომელიც სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთგვარ მოწოდებას შეიცავდა. ავტორი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებას უნდა „მისცემოდა მოძრაობა განათლებისა“, „თავისუფლებისმოყვარეობისა და სულის სიმტკიცე“.

ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას ქართველი მოღვაწეები წინანდებურად უკავშირებდნენ მოწინავე რუსი ადამიანების ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. 1861 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი მოსწავლეები ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ბ. ღოღობერიძე და სხვები რუსებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. ისინი ხარბად ეწაფებოდნენ დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და სხვ. ნაშრომებს, რომელთაგანაც მოწინავე განმათავისუფლებელ იდეებს ითვისებდნენ.

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 388.

თ ა ვ ი XXVII

საქართველოს კულტურა XIX ს. I ნახევარში

§ 1. განათლება, ლიტერატურა, მეცნიერება და ხელოვნება

განათლება

თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანი იყო მეფის მთავრობის ერთგულ მსახურთა მომზადება. განათლება გაბატონებული კლასების პრივილეგიას წარმოადგენდა. ამასთანავე აღნიშნულ პოლიტიკას საქართველოში კოლონიური მიზანიც ჰქონდა: სკოლებს ადგილობრივი მმართველობისათვის საჭირო მოხელეთა მომზადებასთან ერთად უნდა ხელი შეეწყო ხალხის გარუსებისათვისაც.

მეფის მთავრობამ სავსებით უარჰყო ძველი ქართული ეროვნული სკოლები.

1804 წ. მთავრობამ თბილისში გახსნა რუსული სკოლა, რომელშიც მაღალი წოდების წარმომადგენელთა და რუს მოხელეთა შვილებს იღებდნენ. სწავლების კურსი ოთხწლიანი იყო. სკოლას არ ჰყავდა მომზადებული მასწავლებლები. მასში პოლიციური რეჟიმი იყო გამეფებული, მოწაფეებს მათრახითა და სახაზავით სცემდნენ. საგნებს გაზეპირების „მეთოდით“ ასწავლიდნენ.

სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლაც დაშვებული იყო, რადგან მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, რომ აქაურ მოხელეებს, რუსულს გარდა, ქართული ენაც სცოდნოდათ.

მთავრობის სკოლის ასეთი მიზანდასახულობის მიუხედავად, 1804 წ. დაარსებულ სასწავლებელს მაინც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო პირველი ოფიციალური საერთო სკოლა ჩვენში. გარდა ამისა, ამ სკოლაში ერთიმეორეს უახლოვდებოდნენ რუსი და ამიერკავკასიელ ხალხთა შვილები.

აღნიშნული სასწავლებელი 1830 წ. გიმნაზიად გადაკეთდა. თბილისში იმავე წელს გაიხსნა ქალთა პირველი სკოლა-პანსიონი, რომელსაც თავადაზნაურთა ასულთათვის რუსეთის მთავრობისადმი ერთგულება უნდა ჩაენერგა. გარდა ამისა, გაიხსნა სამაზრო სასწავლებლებიც — თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისსა და სოფ. სუჯუნაში (სამეგრელოში).

40-50-იანი წლებიდან ოფიციალური სკოლების ქსელი შესამჩნევად გაიზარდა. 1840 წ. ქალთა სკოლა გადაკეთდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად. 1850 წ. თბილისში მეორე გიმნაზიაც გაიხსნა და ამასთანავე ჩამოყალიბდა გიმნაზია ქუთაისში. გაფართოვდა გიმნაზიებთან არსებული პანსიონები.

სასკოლო ქსელის შედარებით გაფართოებასთან ერთად სულ უფრო მკაფიოდ იჩენდა თავს ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკა, რაც საწინააღმდეგო რეაქციას იწვევდა ქართველ მოსწავლეებში. ცარიზმის სურვილებისაგან დამოუკიდებლად, გიმნაზიებში იზრდებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მომავალი მოღვაწეები. საკმარისია ითქვას, რომ XIX ს. 30-50-იან წლებში დაასრულეს თბილისის გიმნაზია ნ. ბარათაშვილმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, რ. ერისთავმა და სხვებმა.

ქრისტიანული ეკლესიის მოხელეთა მოსამზადებლად ცარიზმი ჩვენში სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარებსაც ხსნიდა. ეს სასწავლებლებიც რუსული იყო.

არსებული სკოლები მაღალი ფენების მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებდნენ. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ის იყო, რომ სწავლება უცხო ენაზე წარმოებდა და სკოლებში ჩაბმული მოსწავლეების 1—2 % თუ ამთავრებდა სრულ კურსს. გარდა ამისა, სკოლათა რაოდენობა ძალზე მცირე იყო. 1856 წლისთვის საქართველოს სასწავლებლებში ირიცხებოდა 3000-ოდე მოსწავლე, რაც მთელი მოსახლეობის 0,3 % უდრიდა. მშრომელთათვის ეს სკოლები საერთოდ მიუწვდომელი იყო.

მიუხედავად ცარიზმის კლასობრივ-კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკისა, მშრომელთა მცირე ნაწილი დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდა დაწყებითი განათლების მიღებას. გავრცელებული იყო ახალგაზრდების მოსამზადებლად მიბარება სოფლის მასწავლებლებთან. იყო კერძო სასწავლებლებიც. გლეხთა ოჯახებში, სასწავლო მოწყობილობის უქონლობის გამო, ხშირად იყენებდნენ ხარის ბეჭის ძვალსა და ნახშირს, რომლებიც დაფისა და ცარცის მაგიერობას ეწეოდნენ.

მოწინავე ქართველები 30-40-იანი წლებიდან უკვე აყენებდნენ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხს, მაგრამ მეფის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა მათ მოთხოვნას. ცარიზმს ეშინოდა, რომ უნივერსიტეტი კიდევ უფრო გაუღვივებდა ქართველებს განმათავისუფლებელ იდეებს და აქ იმპერიის ბატონობის საფუძვლებს შეარყევდა.

სახალხო განათლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიბლიოთეკებს. ბიბლიოთეკათა ზრდას, თავის მხრივ, ხელს უწყობდა წიგნის ბეჭდვის საქმის განვითარება. მეფის მთავრობა, თავისი პოლიტიკის შესაბამისად, არ ზრუნავდა ქართული წიგნების ბეჭდვაზე. თუ 1782 წლიდან ვიდრე 1795 წლამდე, 13 წლის განმავლობაში, მარტო თბილისში 20-ზე მეტი ქართული წიგნი დაიბეჭდა, 1801—1815 წლებში არც ერთი არ დაბეჭდილა.

XIX ს. 40-იანი წლებიდან, როცა თბილისისა და სხვა ქალაქთა ქართველ მოღვაწეებს გასაქანი მიეცათ, ქართული წიგნის ბეჭდვამ წინანდელთან შედარებით ფართო ასპარეზი გადაეშალა. თანდათან ვითარდებოდა საგანმანათლებლო მეცნიერული ლიტერატურა.

მეფის მთავრობა არც საჯარო ბიბლიოთეკის გახსნაზე ზრუნავდა. წიგნთსაცავები იყო მხოლოდ სკოლებსა და რუსული მმართველობის ზოგ დაწესე-

ბულებაში. ეს სამკითხველოები სრულიად ვერ აკმაყოფილებდნენ წიგნის მოთხოვნილებას.

წიგნი მაშინ ძალზე ძვირად ფასობდა: საშუალო ზომის წიგნის ღირებულება აღწევდა 1 ½ მანეთამდე, ოქროს კურსით, ისე რომ მისი შეძენა მდიდრებს თუ შეეძლოთ. ქართველმა მოღვაწეებმა ნ. ბარათაშვილმა, დ. ყიფიანმა, ვ. ორბელიანმა, ზ. ფალავანდიშვილმა და სხვ. გაითვალისწინეს ბიბლიოთეკათა მნიშვნელობა მასების გათვითცნობიერების საქმეში და საკუთარი თანსნობითა და ხარჯით მოაწყეს კერძო საჯარო სამკითხველო. 1846—1850 წლებში, აღნიშნული სამკითხველოსა და სხვა წიგნსაცავების საფუძველზე, თბილისში გაიხსნა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაც.

მეცნიერება

XVIII ს. II ნახევარში საქართველოში გაჩაღებული მეცნიერული მუშაობა XIX ს. I მეოთხედში ვეღარ განვითარდა. მეცნიერების ბევრი მოღვაწე რუსეთში გადაასახლეს და თბილისის სამეცნიერო ცენტრი თითქმის მოიშალა. სამაგიეროდ ქართველები სამშობლოს გარეთ, მოსკოვსა და პეტერბურგში განაგრძობდნენ მეცნიერულ საქმიანობას.

XIX ს. 20-იანი წლებიდან, საკმაოდ დიდი ხნით შეფერხების შემდეგ, თბილისში, ს. დოდაშვილის მეთაურობით, კვლავ ჩაიდგა სული მეცნიერულმა მოღვაწეობამ. მაგრამ, 1832 წ. შეთქმულებასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის კულტურის წარმომადგენლები კვლავ მოწყდნენ სამშობლოს. ასე გრძელდებოდა ვიდრე 40-იან წლებამდე, როდესაც დაფანტულმა და ისედაც სუსტმა ძალებმა მაინც მოიყარეს თავი და თბილისში მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობისათვის უკეთესი პირობები შეიქმნა.

პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შორის XIX ს. პირველ მესამედში გამოირჩეოდა იოანე ბაგრატიონი (1772—1830), რომელმაც 15 წლის დაუღალავი შრომის შედეგად შექმნა დიდი ენციკლოპედიური ნაშრომი „კალმასობა". ამ ნაშრომში ავტორმა დაგვიხატა მაშინდელი საქართველოს სინამდვილე და ჩამოაყალიბა თავისი ცოდნა იმ დროის მეცნიერების თითქმის ყველა დარგში. ავტორი მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნულ-კულტურული ტრადიციების დაცვას ცარიზმის ბატონობის პირობებში.

პეტერბურგშივე იოანეს ძმამ დავითმა (1776—1819), თავისი დროისათვის დიდად განათლებულმა პიროვნებამ, 1818 წ. შეადგინა „შემოკლებული ფიზიკის" სახელმძღვანელო. დავითმა, დედაენის გარდა, კარგად იცოდა რუსული და ევროპული ენებიც. ამ გარემოებამ მას საშუალება მისცა გაეთვალისწინებინა მაშინდელი მეცნიერების მონაპოვარი ფიზიკის დარგში. მის წიგნში იგრძნობა დიდი რუსი მეცნიერის მ. ლომონოსოვისა და ფრანგი მატერიალისტების გავლენა.

XIX ს. 40-იან წლებში რუსეთსა და ევროპაში საკმაოდ ცნობილი იყო წარმოშობით ქართველი მეცნიერის პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის (1818—1876) სახელი. იგი სახელოვანი გმირი სარდლის, პეტრე ბაგრატიონის ძმისწული იყო. მან შეიმუშავა ოქროს მოპოვება-დამუშავების (ციანირების) ახალი ხერხი, რომელიც მიიღო და გამოიყენა მაშინდელმა მეცნიერულ-ტექნიკურმა სამყარომ.

1840—1844 წლებში ბაგრატიონი მუშაობდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის კაბინეტში, გამოჩენილ რუს აკადემიკოს იაკობისთან. იქ მან გამოიგონა ახალი გალვანური ელემენტი, რითაც, როგორც იაკობი ამბობდა, „მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფიზიკის განვითარების ისტორიაში“. მანვე აღმოაჩინა მინერალ ორტიტის ახალი სახეობა, რომელსაც 1845 წლიდან „ბაგრატიონიტი“ ეწოდება.

ქართველი მეცნიერები დაინტერესებული იყვნენ ფილოსოფიის საკითხებითაც. ამან გამოხატულება ჰპოვა ს. დოდაშვილის „ლოგიკა“-ში — იმ დროისათვის სერიოზულ ნაშრომში, რომელიც ფილოსოფიის კურსის შესავალს წარმოადგენდა.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი მეცნიერები სამშობლოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის საკითხებისადმი.

XIX ს. I ნახევრის ისტორიკოსთა შორის გარკვეული ადგილი უკავია ზემოხსენებულ დავით ბაგრატიონს. ძველ ისტორიკოსთაგან განსხვავებით, ბაგრატიონი ისტორიას არ უყურებდა, როგორც ზებუნებრივი ძალებისა თუ ცალკეულ პიროვნებათა ნება-სურვილის ნაყოფს. მას ყოველთვის აინტერესებდა ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევი რეალური მიზეზები. მან რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა სამშობლოს ისტორიის შესწავლას. ასეთებია მისი „საქართველოს ისტორია“, „ახალი ისტორია“ და სხვ.

დასავლეთ საქართველოდან გამოსული პირველი ისტორიკოსი იყო ნიკოლოზ დადიანი (1765—1834), რომელმაც დაწერა საქართველოს ისტორია ანუ „ქართველთ ცხოვრება“. აღსანიშნავია, რომ მან სცადა ქართველი ხალხის ისტორიის პროცესის ერთობლივ, მთლიანად გააზრება.

30-40-იანი წლების რუსეთისა და ევროპის ისტორიკოს-მეცნიერთა შორის საკმაოდ ცნობილი გახდა თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846). განსაკუთრებით საინტერესოა მისი ნაშრომი „ევროპის ისტორია“, რომელშიც ავტორმა იმ დროისათვის დიდი მეცნიერული მომზადება და ნიჭი გამოამჟღავნა. იგი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა ფრანგმა მეცნიერმა, შემდგომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა მ. ბროსემ.

ქართველი ისტორიკოსები პ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი, მ. ბარათაშვილი და სხვები გულმოდგინედ აცნობდნენ საქართველოს გმირულ ისტორიას რუს და ევროპელ მკითხველებს.

ქართველთმცოდნეობით დაინტერესებული ქართველი ახალგაზრდების ზრდას ხელი შეუწყო თეიმურაზ ბაგრატიონის მოწაფემ აკად. მ. ბროსემ, რომელმაც ფრანგულად დაწერილი ნაშრომებით საქართველოს მდიდარი წარსული ევროპის მეცნიერებას გააცნო. მან, ქართველ მეცნიერ ზ. ფალავანდიშვილთან ერთად, 1841 წ. გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“. ეს იყო ამ უკვდავი ნაწარმოების მეორე გამოცემა, რომელსაც პირველი, ვახტანგ მეფის, გამოცემისაგან 129 წელიწადი აშორებდა.

1845 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე დაარსდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომელზედაც ნაყოფიერი მუშაობა გაჩაღდა. ამ კათედრაზე მუშაობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიე-

რი, პროფესორი დ. ჩუბინაშვილი (1814—1891). ჩუბინაშვილმა დიდი შრომა გასწია და შეადგინა ქართულ-რუსულ-ფრანგული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები. მანვე 1846 წ. დაბეჭდა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ხოლო 1855 წ. — ქართული ენის გრამატიკა, რუსულად. მისივე რედაქციით 1860 წ. გამოიცა „ვეფხის ტყაოსანი“.

ლიტერატურა

XIX ს. I ნახევრის ქართულ ლიტერატურას უწინდებურად ახასიათებდა ცხოვრების ღრმა სიყვარული, სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისათვის თავდადება, ჰუმანიზმი, ხალხთა შორის მეგობრობის იდეა და მტერთან შეურიგებელი ბრძოლა. ამ ხანაში ჩვენი ლიტერატურის უმთავრეს პრობლემას ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

საქართველოში მეფის რუსეთის გაბატონების შედეგად ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

XIX ს. I ნახევრის ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმი გაბატონდა. ქართული რომანტიზმი წარმოადგენდა შექმნილი მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილების გამომხატველ მიმდინარეობას, რომელსაც იმავე დროს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის პროგრესული იდეები ამოძრავებდა. რომანტიკოსთა შემოქმედებაში თავი იჩინა რეალისტურმა ტენდენციებმა და ყურადღებამ სოციალური პრობლემებისადმი.

ქართული რომანტიზმის მამამთავრად ითვლება პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786—1846). იგი ძველი ქართული პოეზიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ არც რუსეთისა და ევროპის რომანტიზმის გავლენისაგან იყო თავისუფალი. ა. ჭავჭავაძე ფართო განათლების მქონე და თავისი დროის პროგრესული იდეების მიმდევარი ადამიანი იყო.

ალ. ჭავჭავაძე ილაშქრებდა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მან, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, აიმაღლა ხმა მშრომელთა ინტერესების დასაცავად. ლექსში „ვაჲ სოფელსა ამას“ გამოხატულია იმედი, რომ წოდებათა შორის უთანასწორობა და მშრომელთა ჩაგვრა მოისპობოდა.

ალ. ჭავჭავაძე თავის ნაწარმოებებში დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა საქართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის გამო, მაგრამ მას ისიც კარგად ესმოდა, რომ რუსეთის გაბატონების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა დამყარდა და შემდგომი განვითარებისათვის პირობები შეიქმნა.

ალ. ჭავჭავაძე პატრიოტული ლირიკის ერთი წამომწყებთაგანი იყო. სამშობლოსადმი სიყვარულით აღსავსე ლექსებში პოეტი ამჟღავნებდა მაღალ პატრიოტულ მისწრაფებას.

რომანტიზმის მეორე წარმომადგენლის გრ. ორბელიანის (1804—1883) შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეროვნულ საკითხს უჭირავს. XIX ს. 30-იან წლებამდე იგი ამჟღავნებდა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლ სულისკვეთებას. 30-იანი წლებიდან კი, მას შემდეგ, რაც პოეტმა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის ბრძოლა წაგებულად ჩათვალა, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი შეიქმნა მწუხა-

რება-სევდის მოტივები. 60-იან წლებში იგი თავისი კონსერვატორული იდეოლოგიით დაუპირისპირდა ახალ, პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების თაობას.

გრ. ორბელიანი ქართული ლექსის თვალსაჩინო ოსტატი იყო. მან დაწერა ძველი საქართველოსადმი მოწიწებით გამსჭვალული მრავალი ლექსი. პოეტმა დაგვიტოვა აგრეთვე რეალისტური პოეზიის ნიმუშებიც. ასეთია ლექსები: „არავისთვის დღეს მე არა მცალიან“, „დიმიტრი ონიკოვის დარდები“, „მუხამბაზი“ და სხვ. იგი ოსტატურად უმღეროდა თავისი სამშობლოს თვალწარმტაც ბუნებას. ცალკე აღსანიშნავია მისი ლექსი „მუშა ბოქულაძე“, სოციალური პრობლემისადმი მიძღვნილი.

რომანტიკოსმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა (1817—1845) ქართული პოეზია უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. ახალგაზრდა მგოსანმა ღრმად მოფიქრებული პასუხი გასცა საქართველოს მაშინდელი ცხოვრების მიერ მწვავედ წამოყენებულ ურთულეს საკითხებს. თავისი შემოქმედებით იგი ენათესავებოდა რუსეთის პროგრესულ რომანტიზმს. მის პოეზიაში, ერთი მხრივ, მკაფიოდ მოჩანს ძიებისა და ბრძოლის მოტივები, ხოლო მეორე მხრივ — მწუხარება, პესიმისტურ-სევდიანი კილო, რომელიც იმ დროის შავ-ბნელი სამყაროს ანარეკლია.

კოლონიური რეჟიმითა და ფეოდალური გარემოთი უკმაყოფილო პოეტი უჩივის „სულიერ ობლობას“, ემიჯნება მოწამლულ ატმოსფეროს, „ბოროტ სულს“ და ბუნებაში ჰპოვებს შვებას. იმავე დროს პოეტი პროტესტს უცხადებს არსებულ უსამართლობას და ქართველ ხალხს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისკენ მოუწოდებს.

ნ. ბარათაშვილმა პოემაში „ბედი ქართლისა“ და ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ღრმად და სწორად შეაფასა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული აუცილებლობა და მისგან გამომდინარე შედეგები. მისი მართებული აზრით, საქართველომ რუსეთის მფლობელობაში მოქცევის შემდეგ დაიბრუნა დაკარგული მიწა-წყალი და მშვიდობა მოიპოვა. იმავე დროს იგი გამოთქვამდა იმედს, რომ პოლიტიკურად დამონებული საქართველო მომავალში განთავისუფლდებოდა და აყვავდებოდა.

XIX ს. ორმოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურაში საფუძველი ჩაეყარა რეალიზმის განვითარებას, რაც გიორგი ერისთავის (1811—1864) შემოქმედებით დაიწყო. მის კომედიებში („გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“ და სხვ.) აისახა ქართველი თავადაზნაურობის თანდათანობითი დეგრადაციის პროცესი და სავაჭრო კაპიტალის როლის ზრდა. ამასთანავე მან ნიღაბი ახადა თვითმპყრობელური მმართველი ბიუროკრატიის ბოროტმოქმედებას და ამით პროტესტი გამოთქვა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

გ. ერისთავის ლიტერატურულ ტრადიციებს მისდევდა დრამატურგი ზ. ანტონოვიც (1820—1854).

სოციალური უსამართლობის მოსპობისათვის ბრძოლას მიუძღვნა თავისი შემოქმედება ახალი ქართული რეალისტური პროზის ფუძემდებელმა დანიელ

ჭონქაძემ (1830—1860). როგორც ზემოთ ითქვა, მწერალმა თავის „სურამის ციხეში“ სააშკარაოზე გამოიტანა ბატონყმობის მთელი სიმახინჯე, მწვავედ დაჰგმო ბატონყმობა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა.

რეალისტური პროზის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელია ლავრენტი არდაზიანი (1815—1870). არდაზიანმა თავის ნაწარმოებში „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ გვიჩვენა საქართველოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ზრდის პროცესი. მან ცხადჰყო, რომ იმ ხანაში (ე. ი. ბატონყმობის გაუქმების წინ) ჩვენში სწრაფად ვითარდებოდნენ ვაჭრულ-ბურჟუაზიული ელემენტები, რომელნიც აჩქარებდნენ ახალი საზოგადოებრივი წყობილების წარმოქმნას.

გ. ერისთავის, დ. ჭონქაძისა და ლ. არდაზიანის შემოქმედებამ საფუძველი მოუმზადა ჩვენში კრიტიკული რეალიზმის მძლავრ განვითარებას.

ხელოვნება

ფეოდალური საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებამ თავისებური გავლენა მოახდინა ხელოვნებაზედაც. XIX ს. პირველ ნახევარში თანდათან იდევნებოდა ქართულ ხელოვნებაში ძველად შემოჭრილი აღმოსავლურ-მაჰმადიანური ელემენტები, რომლებიც აქა-იქ იჩენდა ხოლმე თავს — ხუროთმოძღვრებაში თუ წიგნებისა და ხელნაწერების მორთულობაში და სხვ. არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში უკვე შესამჩნევი გახდა რუსული ხელოვნების გავლენა. სურათების შექმნა აღარ უკავშირდებოდა არქიტექტურას, მათ უკვე კერძო პირთა დაკვეთით ხატავდნენ. განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა პორტრეტულმა მხატვრობამ, რომელშიაც მოჩანდა ხელოვნების რეალისტური საწყისების განვითარება.

საგრძნობი ცვლილება განიცადა არქიტექტურამ. საქალაქო მშენებლობაში, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სტიქიურობის ნაცვლად, გეგმიანობა ინერგებოდა. დაქვეითებას განიცდიდა ქართული ეროვნული არქიტექტურა, რომლის შესაბამისი მშენებლობა ფრიად შრომატევადი იყო, და გზას იკაფავდა უფრო მარტივი სტილის სამშენებლო ხელოვნება. თბილისში გაჩნდა რუსული კლასიციზმის სტილისათვის დამახასიათებელი შენობები.

ქართული ხელოვნების მდიდარ ტრადიციებს ისევ მშრომელი მოსახლეობა ინარჩუნებდა. ისინი განაგრძობდნენ თავიანთი სახლების შემკობას სხვადასხვაგვარი ქართული ჩუქურთმებით. ხალხის ფართო ფენებიდან ნიჭიერ ხელოვანთა გამოვლინება-გაფურჩქვნას ახშობდა ბატონყმობა და ცარიზმის კოლონიური რეჟიმი.

60-იანი წლებიდან მოწინავე ქართველებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით, დაიწყეს ზრუნვა ქართული ეროვნული სახუროთმოძღვრო ხელოვნების უმდიდრეს ტრადიციათა აღდგენა-გამოცოცხლებაზე.

ქართველი მოღვაწეები გამუდმებით ცდილობდნენ XVIII ს. 90-იან წლებში მოშლილი მუდმივი ქართული თეატრის აღდგენას. XIX ს. 20-30-იანი წლების მიჯნაზე სცენისმოყვარე ახალგაზრდებმა, გ. ერისთავისა და ვ. ორბელიანის თაოსნობით, თარგმნეს და წარმოადგინეს კიდევაც გრიბოედოვის ცნობილი პიესა „ვაი ჭკუისაგან“. მუდმივი თეატრის აღდგენისათვის ნიადაგი

უკვე მზად იყო, მაგრამ ამ საქმეს მთავრობა მხარს არ უჭერდა. იგი დიდი ხნით შეაფერხა 1832 წ. შეთქმულების გამომჟღავნებამაც.

40-იანი წლებისთვის თეატრით გატაცება იმდენად დიდი იყო, რომ, მაგალითად, სოფელ მეჯვრისხევშიც კი დაუდგამთ უცნობი პირის მიერ ინგლისურიდან ქართულად ნათარგმნი შექსპირის „ოტელო". 1845 წ. იმერეთში, სოფ. გორისაში დაუდგამთ ოქროპირ წერეთლის კომედია „ქორწილი იმერეთის თავადისა". ასეთი შემთხვევები ძალზე ხშირი იყო.

1846 წ. თბილისში მუდმივი რუსული თეატრის დაფუძნებამ მუდმივი ქართული თეატრის აღდგენისათვის ბრძოლას ძალ-ღონე შემატა. ამ საქმეს კვლავ გ. ერისთავი ჩაუდგა სათავეში.

1850 წ. 2 იანვარს თბილისის ქართული გიმნაზიის სცენაზე ქართველმა სცენისმოყვარეებმა დადგეს გ. ერისთავის კომედია „გაყრა". იმ ერთი წლის განმავლობაში ქართველ მსახიობთა მუდმივი დასიც ჩამოყალიბდა და 1851 წ. პირველ იანვარს ქართული პროფესიული თეატრიც გაიხსნა.

მეფისნაცვალი ვორონცოვი მხარს უჭერდა ქართველი ინტელიგენციის ამგვარ საქმიანობას. იგი ფიქრობდა, რომ ქართულ თეატრს მეფის მთავრობის მიზნებს დაუმორჩილებდა, მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. ქართულმა თეატრმა ამხილა ფეოდალური წყობილების სიდამპლე და პროტესტი გამოუცხადა კოლონიურ რეჟიმს. აშკარა გახდა, რომ ქართული თეატრი დიდ როლს შეასრულებდა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის ქვეშ მყოფი ხალხის გათვითცნობიერებისა და გამოფხიზლების საქმეში. ამიტომ იყო, რომ ქართულ თეატრს მთავრობამ საარსებო სახსარი მოუსპო და 1856 წ. იგი დაიხურა კიდევაც.

§ 2. კულტურული ურთიერთობა რუს, უკრაინელ და მეზობელ ხალხებთან

რუსული საზოგადოებრივი აზროვნების პროგრესული გავლენა

XX ს. პირველი წლებიდანვე დაიწყო რუსი და ქართველი ხალხების ერთიმეორესთან დაახლოება. ამას ძალიან შეუწყო ხელი საგარეო მტრების წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლამ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ რუს ხალხსა და რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ხალხებს ერთნაირად სძულდათ თვითმპყრობელობა. ქართველი ხალხის ბრძოლა კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ეხმაურებოდა და უკავშირდებოდა რუსი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას ბატონყმობისა და თვითმპყრობელური მონარქიის დასამხობად.

საქართველოში მყოფი მეფის არმიის ჯარისკაცები როგორც ომის, ისე მშვიდობიან დროს ხვდებოდნენ ქართველ მშრომელებს, ეცნობოდნენ მათ კულტურასა და ყოფა-ცხოვრებას. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ რუს ჯარისკაცთა დიდი ნაწილი ადგილობრივ სახლდებოდა და ისეთივე

მიწის მუშა ხდებოდა, როგორიც სხვა, ქართველი გლეხი. ადგილობრივი მშრომელებიც ეცნობოდნენ მათ წეს-ჩვეულებას, ხასიათს. ხდებოდა გარკვეული კულტურული ურთიერთზემოქმედება. მოსულებიცა და აქაურებიც ცდილობდნენ მათი მეტყველება ურთიერთგასაგები ყოფილიყო. გაჩნდა ცოლ-ქმრული კავშირი ქართველებსა და რუსებს შორის, განსაკუთრებით საზოგადოების მაღალ ფენებში. ყოველივე ეს ხელს უწყობდა რუსებსა და ქართველებს შორის მეგობრობის განმტკიცებას.

რუსი და ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებმა იმთავითვე გამონახეს საერთო ენა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დიდი რუსი მწერლის გრიბოედოვისა და საქართველოში ჩამოსახლებული დეკაბრისტების სიახლოვეს პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან და, საერთოდ, ქართველ ინტელიგენციასთან. ალ. ჭავჭავაძის მეუღლე 1846 წ. რუსეთის იმპერატორს სწერდა: „ჩვენი სახლი 40 წლის განმავლობაში ღია იყო ყველასათვის. ჩვენი თანამემამულენი რუსებს აქ უმეგობრდებოდნენო“.

XIX ს. პირველი ნახევრის თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა რუსეთის სასწავლებლებში იყო აღზრდილი. ალ. ჭავჭავაძემ, ს. დოდაშვილმა, ი. ჭილაშვილმა და სხვებმა განათლება პეტერბურგში მიიღეს. იქ კი ისინი არა მარტო მეცნიერებას ეუფლებოდნენ, არამედ მოწინავე საზოგადოებრივ იდეებსაც ეზიარებოდნენ. რუსული ლიტერატურის გაცნობა აღვივებდა მათში სამშობლოსადმი თავდადებულ სიყვარულს და არსებული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებას.

ქართველ მოღვაწეებზე დიდი გავლენა მოახდინა დეკაბრისტების რევოლუციურმა მსოფლმხედველობამ. ეს გავლენა დაეტყოთ ჩვენთვის უკვე ცნობილ ს. დოდაშვილს, ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს და ბევრ სხვა ქართველ მოღვაწეს. მათგან უნდა შეეთვისებინათ ქართველ პროგრესისტებს რესპუბლიკურ-კონსტიტუციური იდეები.

დეკაბრისტებისა და მათი იდეებისადმი სიმპათიები ქართველ მოღვაწეებში არ ჩამქრალა 20—30-იანი წლების შემდეგაც. 1837 წ. მიურიდებთან ბრძოლაში დეკაბრისტ ბესტუჟევ-მარლინსკის დაღუპვის გამო დამწუხრებულმა გ. ერისთავმა დაწერა ნეკროლოგი, რომელშიც წყევლა-კრულვით მოიხსენია ცარიზმი და მიურიდები, რომელთაც ემსხვერპლა რევოლუციონერი პოეტი.

ბესტუჟევ-მარლინსკის შემოქმედება საკმაოდ პოპულარული იყო საქართველოში. ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა მარლინსკის რამდენიმე ნაწარმოების ქართული თარგმანი.

დეკაბრისტული იდეები ძალასა და ენერგიას მატებდა თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის მებრძოლ ქართველებს.

სათანადო გავლენა მოახდინა ქართველ მოაზროვნეებზე აგრეთვე 50-იან წლებში რუსეთში განვითარებულმა ანტიბატონყმურმა იდეებმა. იმ დროს ქართულ ლიტერატურაშიაც დაიწყო ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის თვალსაჩინო გამოხატულება იყო „სურამის ციხის“ გამოქვეყნება 1859 წ.

50—60-იანი წლების მიჯნაზე ქართველ ახალგაზრდებს პირადი ნაცნო-

ბობაც ჰქონდათ რუსეთის რევოლუციონერებთან. 1861 წ. ისინი მონაწილეობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარებაში. მაშინდელ მოწინავე ქართველებს უკვე კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ბრძოლაში რუს ხალხთან გაერთიანება ქართველ ხალხს უკეთეს მომავალს მოაპოვებინებდა. ეს აზრი გამოთქვა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატის ნ. ჩერნიშევსკის თანამოაზრემ და მეგობარმა ნ. ნიკოლაძემ.

50—60-იანი წლების მიჯნაზე ნათლად გამოვლინდა ქართველ მოღვაწეთა დიდი სიმპათია რუსი რევოლუციონერი დემოკრატებისადმი. ამის მიზეზი ის იყო, რომ რუსი რევოლუციონერები თანაუგრძნობდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და ქადაგებდნენ ერთა შორის სოლიდარობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს.

მოწინავე რუსი ადამიანების დამოკიდებულება საქართველოსადმი

რუსეთის მოწინავე ადამიანები თანაგრძნობით უყურებდნენ ქართველ და სხვა კავკასიელ ხალხებს. საქართველოში ჩამოდიოდნენ არა მარტო მეფის უსულ-გულო მოხელეები და დამსჯელი რაზმები, არამედ რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებიც. კერძოდ, რუსმა მწერლებმა დიდი როლი ითამაშეს რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

ბევრი დიდი რუსი პოეტის ნიჭი საქართველოში გაიფურჩქნა. მათზე სერიოზული გავლენა მოახდინა ქართველმა ხალხმა და ჩვენი ქვეყნის ულამაზესმა ბუნებამ. კავკასია, როგორც დიდი რუსი მოაზროვნე ბელინსკი ამბობდა, რუსეთის „პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად, მათ პოეტურ სამშობლოდ" იქცა.

საქართველოში დაწერა ალ. გრიბოედოვმა თავისი გენიალური ნაწარმოები „ვაი ჭკუისაგან" და დაუმთავრებელი პიესა „საქართველოს ღამე". კავკასიას მიუძღვნა ერთ-ერთი თავისი პირველი პოემა „კავკასიის ტყვე" ალ. პუშკინმა. საქართველოში ამობრწყინდა ლერმონტოვის პოეტური გენია. მის ბევრ ნაწარმოებს („დემონი", „მწირი", „თერგის საჩუქრები" და სხვ.) ქართული ხალხური თქმულებები დაედო საფუძვლად.

ალ. გრიბოედოვს უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. იგი აკრიტიკებდა ცარიზმის პოლიტიკას საქართველოში, ააშკარავებდა აქაური მმართველობის უმსგავსო, მახინჯ მხარეებს, მის ანტიხალხურ ხასიათს. ქართველებსა და ამიერკავკასიელებს იგი რუსი ხალხის „თანამოქალაქეებს" ეძახდა და ამით ხალხთა შორის თანასწორუფლებიანობის იდეას გამოხატავდა. ამიტომ შეიყვარა გრიბოედოვი ქართველმა ხალხმა. 1829 წ. 30 იანვარს იგი ვერაგულად მოჰკლეს თეირანში. ამ ამბავმა დიდად დაამწუხრა ქართველი საზოგადოება. გრიბოედოვი დასაფლავებულია მთაწმინდაზე, უდიდეს ქართველ მოღვაწეთა გვერდით. გრიბოედოვის ძეგლი განასახიერებს რუსი და ქართველი ხალხების უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი ადამიანების მეგობრობასა და სიყვარულს.

1818-24 წლებში საქართველოში ცხოვრობდა რუსი მწერალი ა. შიშკოვი. შიშკოვმა თავის პირველ რეალისტურ რომანში „ქეთევანი, ანუ საქართველო 1812 წ.“? დაასურათა კოლონიური და სოციალური ჩაგვრის ქვეშ მყოფი ქართველი მშრომელების მდგომარეობა. მწერალმა ნიღაბი ახადა თვითმპყრობელობის მოხელეთა ბოროტმოქმედებას საქართველოში.

1829 წ. საქართველოში იყო დიდი პუშკინი. მან გულწრფელი თანაგრძნობა გამოუცხადა თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიელ ხალხებს. პუშკინს ჰყავდა ნაცნობ-მეგობრები საქართველოში. მას უყვარდა ქართველი ხალხი, აინტერესებდა მისი ძველისძველი კულტურა. პუშკინი აღნიშნავდა, რომ „ქართველთა. გონებრივი უნარი“ მათი მომავალი დიდი განვითარების საწინდარი იყო.

ყურადღებითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ საქართველოს დეკაბრისტი მწერლები ბესტუჟევ-მარლინსკი, ოდოევსკი და სხვები. კერძოდ. ოდოევსკის 58 ლექსიდან 13 ლექსი საქართველოს თემაზეა დაწერილი.

საქართველო უყვარდა გენიალურ რუს პოეტს ლერმონტოვსაც. იგი საქართველოს ესტუმრა 1837 წ. მისი პოეზია ყოველთვის აღვივებდა რუსი ხალხის ინტერესსა და სიყვარულს კავკასიელებისადმი.

ქართველი პოეტები და მწერლები, თავის მხრივ. დიდი სიყვარულით ეკიდებოდნენ რუს მწერლებსა და მათ შემოქმედებას. ისინი გატაცებით, არაერთგზის თარგმნიდნენ გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვა რუს მწერალთა ნაწარმოებებს.

საქართველოს უმადლოდა თავის პოეტურ შემოქმედებას ახალგაზრდა რუსი მწერალი პოლონსკი, რომელიც აქ 1846 წ. ჩამოვიდა. თავის ლექსთა კრებულში, რომელსაც მან „საზანდარი“ უწოდა, იგი წერდა: „ამ ქვეყნად გაჩენას ისინი (პოლონსკის ლექსები) უნდა უმადლოდნენ არა იმდენად ჩემ თავს, რამდენადაც ჩემს ყოფნას კავკასიაში, უმთავრესად საქართველოში... ჩემს წიგნს ვუძღვნი ყველა იმას, ვინც იცნობს საქართველოს“.

საქართველოში. XIX ს. 50-იან წლებში, დაიწყო ლ. ნ. ტოლსტოის გენიალური ნიჭის გაფურჩქვნა. აქ გადაწყვიტა მან სამწერლო მოღვაწეობის დაწყება. აქვე შეუდგა იგი თავისი პირველი მოთხრობის — „ბავშობის“ წერას.

მოწინავე რუსმა და ქართველმა ადამიანებმა დიდად შეუწყეს ხელი რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობის განმტკიცებას. ეს მეგობრობა და საბრძოლო ერთობა იყო ის ერთი დიდი შედეგი, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა.

ურთიერთობა უკრაინელ და ქართველ მოღვაწეთა შორის

უკრაინა და საქართველო XIX ს. I ნახევარში თითქმის ერთნაირად განიცდიდნენ კოლონიურსა და სოციალურ ჩაგვრას. ამ ორი მოძმე ხალხის საუკეთესო ადამიანთა ბრძოლა საერთო პროგრესულ მიზნებს ემსახურებოდა.

ქართველები XIX ს. I ნახევარში ინტერესით ეკიდებოდნენ უკრაინას. ქართველი ისტორიკოსი ნ. დადიანი, რომელიც 1805 წ. პეტერბურგში იყო,

დაინტერესებულა უკრაინელი ხალხის ცხოვრებით. მას, როგორც თვითონ გვაუწყებს, „აღუწერია მალოროსია“, ანუ უკრაინა.

უკრაინასთან კულტურული კავშირის გაბმას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს სკოლები მაშინ ხარკოვის სასწავლო ოლქს ექვემდებარებოდნენ და ხარკოვის უნივერსიტეტს ეკისრებოდა ჩვენი ქვეყნის სკოლებისადმი მეცნიერული მზრუნველობა.

ცნობილმა ქართველმა მოაზროვნემ და საზოგადო მოღვაწემ ს. დოდაშვილმა 1827 წ. დაწერილი თავისი „ლოგიკა“ მიუძღვნა ხარკოვის უნივერსიტეტისა და მისი სასწავლო ოლქის მზრუნველ ა. პეროვსკის. ს. დოდაშვილი პირადად ეწვია ხარკოვს, სადაც ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი აღტაცებით მიიღეს.

ქართველ ახალგაზრდებს უყვარდათ დიდი უკრაინელი მწერალი ტ. შევჩენკო (1814—1861). შევჩენკომ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა აკაკი წერეთელზე, რომელიც მას პირადად იცნობდა. მისით აღტაცებული აკაკი ამბობდა, „უნდა გამოვტყდე, რომ მე პირველად შევჩენკოს სიტყვებიდან გავიგე, როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და შენი ხალხი“.

XIX ს. I ნახევარში უკრაინაში მოღვაწეობდა ქართველი მეცნიერი ნ. წერეთელი (1790—1869), რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა უკრაინული კულტურის ისტორიაში. მან შეკრიბა და გამოსცა უკრაინული ხალხური პოეზიის ნიმუშები და გაამახვილა ყურადღება ხალხის ფართო მასების შემოქმედებისადმი.

საქართველოს კულტურული ურთიერთობა მეზობელ კავკასიელ ხალხებთან

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ დააჩქარა ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანება რუსეთის მფლობელობაში. ამ გარემოებამ, მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა. ხელი შეუწყო ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა კავკასიელ ხალხებს შორის კავშირის განმტკიცებას.

ირან-ოსმალეთთან წარმოებულ ომებში რუსებთან და ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხთა შვილებიც. ამ-რიგად მტკიცდებოდა ხალხთა ერთიანი საბრძოლო თანამშრომლობა.

ამიერკავკასიელი ხალხები ერთნაირად განიცდიდნენ სოციალურსა და კოლონიურ ჩაგვრას. ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა მათ კიდევ უფრო აახლოვებდა ერთიმეორესთან.

მოძმე ხალხთა საუკეთესო წარმომადგენლები ხვდებოდნენ ერთმანეთს თბილისში, რომელიც კავკასიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა.

XIX ს. I ნახევარში თბილისში არსდება სასულიერო სასწავლებელი სომხური მოსახლეობისათვის, გამოსვლას იწყებს სომხური გაზეთი და ა. შ. განათლება თბილისში მიიღო და აქ გაატარა თავისი საუკეთესო წლები სომეხმა მწერალმა, სომხური რეალისტური პროზის ფუძემდებელმა ხაჩატურ აბოვიანმა (1805—1848). იგი თავის ნაწერებში ატარებდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის იდეას. თბილისში დასწერა აბოვიანმა თავისი ცნობილი

წაწარმოები „სომხეთის წყლულები“. აქვე შეადგინა მან სომხური ენის გრამატიკა.

თბილისი სომეხ მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის მოღვაწეობის კერადაც იქცა.

XIX ს. I ნახევარში თბილისში ცხოვრობდნენ და ქართველ მწერლებთან მეგობრობდნენ ცნობილი სომეხი მოღვაწეები: პუბლიცისტი ს. ნაზარიანი, პოეტი ალმადარიანი, დრამატურგი გ. სუნდუკიანი და სხვ.

თბილისის საზოგადოებამ 1860 წ. აქ ჩამოსულ სომეხ რევოლუციონერ-დემოკრატს მ. ნალბანდიანს საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ეს შეხვედრა გამოხატავდა ამიერკავკასიელი ხალხების მოწინავე ადამიანთა მიზნების ერთიანობასა და სოლიდარობას.

იზრდებოდა და მტკიცდებოდა კულტურული ურთიერთობა მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის წარმომადგენლებთანაც.

თბილისში გაატარა რამდენიმე წელი აზერბაიჯანელმა ისტორიკოსმა ა. ბაქიხანოვმა. მისი ახლო ნაცნობები და მეგობრები იყვნენ ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი. თბილისის საზოგადოებასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე აზერბაიჯანელი ხალხის ცნობილ მწერალ-განმანათლებელს მირზა ფათალი ახუნდოვს. 1833—1840 წლებში ახუნდოვი თბილისში მუშაობდა. აქ გაიფურჩქნა მისი შემოქმედებითი ტალანტი. აქვეა იგი დამარხული.

40-იანი წლების დამდეგს თბილისში იყო აზერბაიჯანელი პოეტი მირზა შაფი ვაზეხი, რომელმაც აქ დააარსა აზერბაიჯანული ლიტერატურულ-ფილოსოფიური წრე. იმდროინდელი თბილისის საზოგადოება კარგად იცნობდა აგრეთვე აზერბაიჯანული თეატრისა და გაზეთის დამაარსებელს ჰასან-ბეგ ზარდაბის.

ბევრი რამ გააკეთა ოსი და ქართველი ხალხების კულტურული დაახლოებისათვის ოსმა პოეტმა, ქართულ მწიგნობრულ ტრადიციებზე აღზრდილმა ი. იალღუზიძემ (1770—1830). მან ქართული ანბანის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი, რომელზედაც დაბეჭდა რამდენიმე წიგნი. იალღუზიძე არა მარტო თარგმნიდა ქართულიდან ოსურად, არამედ თვითონაც თხზავდა ქართულ ლექსებს.

თბილისში რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პირველი ყაბარდოელი ისტორიკოსი შ. ნოგმოვი (1801—1844). აქ 1861 წ. გამოქვეყნდა, რუსულ ენაზე, მისი ძირითადი ნაშრომი „ადიღე ხალხის ისტორია“.

ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის XIX ს. I ნახევარში, მეზობელ კავკასიელ მოღვაწეებთან ერთად, იბრძოდნენ მოწინავე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლები ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, ალ. ორბელიანი და სხვები. მოძმე ხალხების მოწინავე შვილთა თანამშრომლობა ხელს უწყობდა ამ ხალხებს შორის სოლიდარობის განმტკიცებას და მათ დარაზმვას უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

თავი XXVIII

ბურჟუაზიული რეფორმები საქართველოში

§ 1. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება საგლეხო რეფორმის წინ

გლეხთა მოძრაობის გაძლიერება

XIX საუკუნის 60-იანი წლები უდიდესი გარდატეხის ხანაა საქართველოს ისტორიაში. ამ დროს გატარდა ბურჟუაზიული რეფორმები და დაიწყო კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება. ეს ნიშნავდა ფეოდალური წყობილების საბოლოო დამარცხებას და კაპიტალისტური წყობილების გაბარჯვებას.

საგლეხო რეფორმა, ისევე როგორც სხვა ბურჟუაზიული რეფორმები, საქართველოში ნაკარნახევი იყო საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მთელი წინანდელი განვითარებით, ის შედეგი იყო იმ მწვავე კონფლიქტისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში აღმოცენდა, ერთი მხრივ, ახალი (ბურჟუაზიული) საწარმოო ძალების განვითარებასა და, მეორე მხრივ, იმ დროს გაბატონებულ ძველ (ფეოდალურ) საწარმოო ურთიერთობას შორის. წარმოების ძველი წესისა და მისი დამცველი ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ აღდგნენ დაჩაგრული და უუფლებო კლასები, აღდგა, უპირველეს ყოვლისა, გლეხობა, რომელიც ვეღარ იტანდა გაძლიერებულ ფეოდალურ ექსპლუატაციას. გლეხთა სტიქიური ანტიფეოდალური მოძრაობა, რომელმაც საფუძველი შეურყია ბატონყმურ წყობილებას, განსაკუთრებით გაძლიერდა 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იანი წლების დასაწყისში.

მაშინდელი საქართველოს ვითარებისათვის მეტად დამახასიათებელი მოვლენა იყო სამეგრელოს გლეხთა დიდი აჯანყება (1857 წ.). რომლის შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი. სამეგრელოს გლეხთა ანტიფეოდალური აჯანყება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი იყო იმ დიდი ბრძოლისა, რომელსაც ქართველი გლეხობა ეწეოდა ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ.

რეფორმის წინ გლეხობა შეიარაღებული გამოდიოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. 1857 წელს ყმა გლეხობის გამოსვლამ სერიოზული

სახე მიიღო იმერეთში. ნოემბერში იარაღი აისხეს ქუთაისის მაზრის სოფელ ამაღლების გლეხებმა, ხოლო მალე მათ მაგალითს მიბაძეს ბაღდადელებმა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნატორმა დაუყოვნებლივ დასძრა ზარბაზნებით შეიარაღებული ქვეითი ჯარი და აჯანყება ჩააქრეს. 1862 წელს გლეხთა მღელვარება და შეიარაღებული გამოსვლა მოხდა გურიაში. აჯანყება თანდათან ფართოვდებოდა. მაგრამ ცარიზმი აქაც დიდი ჯარით მიეშველა მემამულეებს და აჯანყებული გლეხები იძულებულნი გახდნენ იარაღი დაეყარა. 1863 წელს გლეხობა ამოძრავდა შიდა ქართლის სხვადასხვა კუთხეებშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია გლეხთა მღელვარება ქსნის ხეობასა და სურამის რაიონში. 1864 წელს მოხდა გლეხთა სერიოზული გამოსვლა თბილისის მაზრასა და თიანეთის ოკრუგში (სოფ. მატანში). მაგრამ იმ ხანად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო აფხაზეთის გლეხთა დიდი აჯანყება.

ეს მოხდა 1866 წლის ზაფხულში. აფხაზეთის მშრომელი გლეხობისათვის ძალიან მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ერთი მხრივ, მემამულეთა გაძლიერებულმა ექსპლუატაციამ, და, მეორე მხრივ, წინა წლების მოუსავლიანობამ და ყვავილის ფართოდ გავრცელებულმა სენმა გლეხები უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო. ამას ისიც დაემატა, რომ მეფის მოხელეები საგლეხო რეფორმის სამზადისს შეუდგნენ და ხმა დაირხა: რეფორმის პირობების თანახმად, გლეხებმა თავიანთი მიწები უნდა გამოისყიდონ, ნაწილი კი ჩამოეჭრებათო. გლეხობას ასაჯანყებლად აქეზებდნენ აგრეთვე თურქეთის დაქირავებული აგენტები. რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ ამ გზით რუსებს განდევნიდნენ და აფხაზეთს ისევ თურქეთი დაეპატრონებოდა.

აჯანყება ბზიფის რაიონში დაიწყო. მრავალრიცხოვანმა შეიარაღებულმა გლეხებმა დახოცეს მეფის მთავრობის მოხელეები, დაამარცხეს მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ყაზახთა ასეული და ქ. სოხუმისაკენ დაიძრენ. გზაში მათ შეიარაღებულ გლეხთა ახალ-ახალი ჯგუფები უერთდებოდნენ. 27 ივლისს აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს აფხაზეთის სამთავროს ცენტრს ქ. სოხუმს და, თავგანწირული ბრძოლით, იმავე დღეს მოახერხეს ქალაქის აღება. მათ ვერ აიღეს მხოლოდ ქალაქის ციხე, სადაც მთავრობის ჯარი იყო გამაგრებული. მეორე დღეს სოხუმს გემებით მოადგა ფოთიდან გამოგზავნილი მთავრობის დიდი ჯარი, რომელმაც დაამარცხა აჯანყებულები.

აფხაზეთის მშრომელებს ძვირად დაუჯდათ თავიანთი გაბედული გამოსვლა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ. მეფის მთავრობამ დიდძალ ჯარს მოუყარა თავი აფხაზეთში და აჯანყება ულმობელი სისასტიკით ჩაახშო. აფხაზეთი დაუნდობელი ტერორისა და ხალხის საშინელი რბევა-აწიოკების სარბიელად იქცა.

თბილისის ღარიბი მოსახლეობის აჯანყება 1865 წელს

გლეხობასთან ერთად ფეოდალური წყობილებისა და მისი დამცველი მონარქიული სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობა — უბრალო მუშა-ხალხი, ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, აგრეთვე ნაწილობრივ ახლად ფეხადგმული საშუალო და მსხვილი ბურჟუაზია.

მძლავრი პროტესტის გამოხატულება იყო თბილისის ღარიბი მოსახლეობის აჯანყება 1865 წლის ივნისში. ამ აჯანყებაში მონაწილეობდნენ ამქრებად გაერთიანებული ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, მუშები, სოფლიდან სამუშაოს საძებრად ჩამოსული გლეხები და, საერთოდ, ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ფართო ფენები; აგრეთვე ბურჟუაზიის ზოგიერთი წარმომადგენელი — ეგრეთ წოდებული „პირველხარისხოვანი მოქალაქეები".

ამქრები უამრავ გადასახადს იხდიდნენ, კანონიერი უფლებები კი თითქმის სრულიად არ გააჩნდათ. მას შემდეგ, რაც ცარიზმი თავისი კოლონიური პოლიტიკის გატარებას აქტიურად შეუდგა, ამქრების შევიწროება და ექსპლუატაცია თანდათან გაძლიერდა, რაც თბილისის ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

უკმაყოფილებამ თავი იჩინა თბილისის დიდ ვაჭრებსა და მრეწველებს შორისაც. ადგილობრივი ბურჟუაზია იმ დროს (რეფორმის წინა ხანებში) ქონებრივად საკმაოდ ძლიერი იყო, მაგრამ უფლებრივად ისიც არსებითად წვრილი ბურჟუაზიის (ე. ი. ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების) მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო იმითაც, რომ მეფის მთავრობამ, მას შემდეგ, რაც რუსეთის საქონელმა ფართოდ გაიკაფა გზა საქართველოსაკენ, თანდათან ხელი აიღო ადგილობრივი ბურჟუაზიის ინტერესების დაცვაზე. რადგან ეს ბურჟუაზია მას უკვე ნაკლებ სჭირდებოდა.

ქალაქის მოსახლეობის უკმაყოფილება განსაკუთრებით გაძლიერდა რეფორმის წინა ხანაში, როდესაც თბილისში კლასობრივსა და ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული ბრძოლა უაღრესად გამწვავდა. უკმაყოფილების მთავარი ცენტრები იყო ამქართა ორგანიზაციები[1], რომლებშიც განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა ყველაზე უფრო უუფლებო და ღარიბი ფენა — ქარგლებისა და შეგირდების ფენა.

1865 წლის გაზაფხულზე მთავრობამ, შემოსავლის გადიდების მიზნით, გადაწყვიტა ქალაქში შემოეღო ახალი დიდი გადასახადები სამიკიტნოებზე, აგრეთვე ცხენებზე, საწყობებზე, მიწაზე და მოსახლეობის წიგნში მცხოვრებთა გაწერაზედაც კი. ამ ამბავმა ხალხის მოთმინების ფიალა აავსო. ამქრებმა უარი განაცხადეს გადასახადების გადახდაზე და დაიწყეს საიდუმლო კრებების მოწყობა. მათ ჯერ თხოვნით მიმართეს მთავრობას გაეუქმებინა ახალი გადასახადები. მაგრამ თხოვნამ რომ არ გასჭრა, მთელ ქალაქში დაჰკეტეს დუქნები, სახელოსნოები და ქუჩაში გამოვიდნენ.

27 ივნისს, კვირა დილას, ერევნის (ამჟამად ლენინის სახელობის) მოედანზე, პოლიცმეისტერის სამმართველოს წინ თავი მოიყარა ათიათასამდე კაცმა. აღელვებული ხალხი ხმამაღლა აცხადებდა თავის მოთხოვნებს. ვერც პოლიციის ძალებმა და ვერც თბილისის გუბერნატორმა ვერ შეძლეს აღშფოთებული ხალხის დაშოშმინება. მაშინ მოედანზე გამოვიდა კავკასიაში მეფის

[1] იმ დროს თბილისში ასამდე ამქრული ორგანიზაცია ითვლებოდა. ამქრებად გაერთიანებული იყვნენ: კალატოზები, დურგლები, მჭედლები, ზეინკლები, მეაგურუნი, ხარატები, მეიარაღენი, მეუნაგირენი, თერძები, მეფურნეები, მექუდეები, სირაჯები, მარკიტანტები და სხვები.

ნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელი გენერალი გრიგოლ ორბელიანი. მაგრამ ხალხმა მეფის ნაცვალი სტვენითა და ქვის სროლით გააქცია მოედნიდან. აბობოქრებულმა ხალხმა დაარბიეს ქალაქისთავის შერმაზან-ვართანოვის სახლი. აჯანყებულებმა დაარბიეს აგრეთვე გადასახადის ამკრების ბაჟბეუქ-მელიქოვის სახლი, ხოლო თვით ბაჟბეუქ-მელიქოვი, რომელმაც წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ქვებით ჩაქოლეს.

მთავრობამ სასწრაფოდ მოახდინა თავისი ძალების მობილიზაცია და შეტევაზე გადავიდა. თბილისის ქუჩებში მოხდა რამდენიმე სისხლისმღვრელი შეტაკება მთავრობის ძალებსა და აჯანყებულ ხალხს შორის. ბრძოლაში რამდენიმე ათეული კაცი იქნა მოკლული.

მთავრობას ეშინოდა, თბილისის მოსახლეობის აჯანყება არ გაფართოვდეს და საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებსაც არ მოედოსო. ამიტომ მან სასწრაფოდ გამოიწვია სხვადასხვა ადგილებიდან ჯარის მრავალრიცხოვანი ნაწილები, რომლებმაც დედაქალაქს ალყა შემოარტყეს. თბილისის მთავარი ქუჩები ჯარმა დაიკავა. ამასთანავე მთავრობამ ხერხს მიმართა: თავისი ერთგული ქალაქის თავი შერმაზან-ვართანოვი თანამდებობიდან გადააყენა და მის ადგილას თბილისის ბურჟუების სასურველი კანდიდატი აბესალომოვი დანიშნა. გარდა ამისა, ხალხსაც დაჰპირდა, გადასახადების აკრეფა შეჩერებული იქნებაო.

ასეთი ზომების მიღებით მთავრობამ შედარებით მალე მოახერხა აჯანყების ჩაქრობა. ბურჟუაზიამ, რომელიც ღარიბ ხალხს ასაჯანყებლად აქეზებდა, ადვილად გამონახა საერთო ენა მთავრობასთან და გადამწყვეტ მომენტში უღალატა ხალხს. აჯანყება დამარცხდა. მისი აქტიური მონაწილეები, სულ 80 კაცი, მიცემულ იქნენ პასუხისგებაში. მათ უმრავლესობას მიესაჯა სხვადასხვა ვადით პატიმრობა და ციმბირში საკატორღო მუშაობა.

ამრიგად, ბურჟუაზიული საგლეხო რეფორმის წინ საქართველოში ბატონყმური უღლის ქვეშ მგმინავი გლეხობაცა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობაც აქტიურად იბრძოდა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. იმ ხანად საქართველოში აშკარად გამოხატული რევოლუციური სიტუაცია (ვითარება) შეიქმნა.

ახალი იდეოლოგიის გაჩენა

საქართველოს მატერიალური ცხოვრების განვითარების პირობებმა, მისმა ახალმა ეკონომიურმა და სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია ბატონყმური წესწყობილებისა და თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო შეხედულებათა აღმოცენება — ახალი, დემოკრატიული და რევოლუციური იდეოლოგიის გაჩენა. ამ იდეოლოგიის ჩამოყალიბებასა და ფართოდ გავრცელებას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, მოწინავე ქართული კულტურის ხანგრძლივმა ტრადიციებმა, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველი ახალგაზრდობის მიერ რუსეთის გამოჩენილი მწერლებისა და მოაზროვნეების შეხედულებათა შეთვისებამ.

რუსეთის დედაქალაქებში პეტერბურგსა და მოსკოვში, აგრეთვე ოდესაში, კიევსა და სხვა ქალაქებში ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. იქ ისინი ეცნობოდნენ რუსეთის მოწინავე მწერლებისა და მოაზროვნეების,

კერძოდ დიდი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის, აგრეთვე პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის და სხვათა ნაზრევს. რუსული ლიტერატურის საშუალებით ქართველი ახალგაზრდობა ეცნობოდა და სწავლობდა აგრეთვე დასავლეთ ევროპის პროგრესულ მწერალთა და მოაზროვნეთა შეხედულებებს, ითვისებდა მატერიალისტურ, ჰუმანისტურ და სოციალისტურ იდეებს.

ამასთანავე ქართველი ახალგაზრდობა გულდასმით და სიყვარულით სწავლობდა თავისი სამშობლოს შესანიშნავ ლიტერატურას — შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვათა უკვდავ ნაწარმოებებს, რომლებმაც აგრეთვე დიდად შეუწყეს ხელი მათი პროგრესული შეხედულებების შემუშავებას.

ასე ჩამოყალიბდა საქართველოში XIX საუკუნის 60-იან წლებში ახალი, დემოკრატიული და რევოლუციური იდეოლოგია, რომელიც დაუპირისპირდა ძველ, ფეოდალურ-არისტოკრატიულ და კლერიკალურ იდეოლოგიას და სასტიკი ბრძოლა გაუმართა მას.

ქართველი ახალგაზრდობის ის თაობა, რომლის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში მკაფიოდ აისახა ახალი, დემოკრატიული და რევოლუციური იდეები, ცნობილია ქართველი სამოციანელების ანუ თერგდალეულების სახელწოდებით.[1] თერგდალეულთა თაობას ეკუთვნოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე, კირილე ლორთქიფანიძე, დავით ყიფიანი, სერგეი მესხი, მიხეილ ყიფიანი, ნიკო ღოღობერიძე, ბესარიონ ღოღობერიძე, პეტრე ნაკაშიძე, პეტრე უმიკაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, დავით მიქელაძე და სხვები.

ქართველი ხალხის ეს სახელოვანი და განათლებული შვილები გაბედულად გამოექომაგნენ დაჩაგრულ კლასებს და ხმა აიმაღლეს გლეხთა გათელილი უფლებების დასაცავად. მათ ყმა-გლეხთა ღარიბული ქოხები თავადების ბრწყინვალე სასახლეებზე მაღლა დააყენეს და მძლავრი ყიჟინა დასცეს ძირმომპალ ბატონყმურ წყობილებას.

ბატონყმობის წინააღმდეგ პროტესტის ხმა ყველაზე ადრე რაფიელ ერისთავის პოეზიაში გაისმა. რაფ. ერისთავი უშუალო მოწმე იყო სამეგრელოს გლეხთა აჯანყებისა და სწორედ ამ აჯანყების გავლენით დაწერა მან 1857 წელს ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, რომელშიც, პირველად ქართულ პოეზიაში, მკაფიოდ არის დასმული მწვავე სოციალური საკითხი — ბატონისა და ყმის დამოკიდებულების უკანონობის საკითხი.

რ. ერისთავის პირველ სოციალურ ლექსებს მოჰყვა ჯერ დანიელ ჭონქაძის შესანიშნავი მოთხრობის „სურამის ციხის“ (1859—1860 წწ.), ხოლო შემდეგ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის უკვდავი ნაწარმოებების (1859—1862 წწ.) გამოქვეყნება თავადაზნაურულ-ლიბერალური მიმართულების ჟურნალ „ცისკარში“.

[1] ასეთი სახელი მათ იმასთან დაკავშირებით უწოდეს, რომ მდინარე თერგს იქით, ე. ი. რუსეთში, ჰქონდათ სწავლა მიღებული.

„სურამის ციხის“ გამოქვეყნება თავისი დროისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა იყო. დ. ჭონქაძის მიერ დახატული მებრძოლი გლეხი ოსმან-აღა იარაღით უსწორდება თავის ბატონს. ამ ტიპის დახატვით დ. ჭონქაძემ ყმა გლეხებს უჩვენა გზა, რომელსაც ისინი უნდა დასდგომოდნენ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს იყო გაბედული რევოლუციური გამოსვლა.

დიდმა ქართველმა მწერლებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა „ცისკარში“ მოათავსეს მრავალი შესანიშნავი, დემოკრატიული და რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოები. ეს ნაწარმოებები შეეხებოდა როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ პრობლემებს და გამოხატავდა ქართველი ხალხის მაშინდელ სულისკვეთებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის ღრმააზროვან წერილებს „ორიოდე სიტყვა კაზლოვის „შეშლილი“-ს თარგმანზედა“ (1860 წ.) და „პასუხი“ (1861 წ.), რომლებშიც გაბედულად და ნათლად იყო ჩამოყალიბებული ახალი თაობის სახელმძღვანელო პრინციპები. ამ წერილებმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვეს მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში. ძველი თაობის ინტელიგენცია — აშკარა რეაქციონერებიცა და თავადაზნაურული ლიბერალებიც — ერთსულოვნად აღდგა ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების წინააღმდეგ. გაიმართა სასტიკი იდეოლოგიური ბრძოლა. ახალი თაობის წარმომადგენელთა შემდგომი თანამშრომლობა „ცისკარში“ შეუძლებელი შეიქნა და 1863 წელს კიდევაც დაარსდა ახალი, უაღრესად პროგრესული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ ჟურნალის დამაარსებელი და რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც თერგდალეულთა იდეური ხელმძღვანელი და ბელადი გახდა.

„საქართველოს მოამბემ“ უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურისა და აზროვნების განვითარების საქმეში. ჟურნალმა ერთ წელიწადზე მეტს ვერ გასძლო, მაგრამ მისი ძალით დახურვის შემდეგ თერგდალეულებს სრულიადაც არ დაუყრიათ იარაღი, — ისინი მხოლოდ ღონეს იკრებდნენ და კვლავ ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

§ 2. საგლეხო რეფორმის მოამზადება. ბატონყმობის გაუქმება

ბატონყმობის გაუქმება რუსეთში

XIX საუკუნის 50-იან წლებში აშკარა გახდა, რომ ბატონყმობის მოუსპობლად შეუძლებელი იყო რუსეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა, მისი საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება. ყირიმის მარცხიანმა ომმა და გლეხთა მოძრაობის უმაგალითო ზრდამ თვით რუსეთის მთავრობა და გაბატონებული კლასებიც კი დაარწმუნა, რომ ბატონყმობის გაუქმების გადადება აღარ შეიძლებოდა.

1855 წ. გარდაიცვალა რუსეთის მეფე ნიკოლოზ I და მის მაგიერ ტახტზე ავიდა მისი შვილი ალექსანდრე II. ახალი მეფე ბატონყმობის მომხრე იყო,

მაგრამ შექმნილი ვითარების გამო იძულებული გახდა რეფორმების გზას დასდგომოდა.

გლეხთა განთავისუფლების პირობების ირგვლივ რუსეთის თავადაზნაურთა შორის ცხარე კამათი გაიმართა. შემუშავებულ იქნა სხვადასხვა პროექტები, რომლებიც ასახავდნენ თავადაზნაურთა რეაქციული და ლიბერალური ჯგუფების შეხედულებებს. ამ ჯგუფებს შორის გაჩაღდა მწვავე ბრძოლა, მაგრამ, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ეს იყო არა მოწინააღმდეგე კლასთა ბრძოლა, არამედ ერთისა და იმავე კლასის შიგნით წარმოებული ბრძოლა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დათმობათა სიდიდისა და რაგვარობის საკითხის ირგვლივ ტრიალებდა. რეაქციონერი მემამულეებიც და ლიბერალებიც იბრძოდნენ თავიანთი ინტერესებისათვის, მიწისა და ძალაუფლების შენარჩუნებისათვის.

ყმა გლეხობის ინტერესთა დასაცავად რუსეთში გაბედულად აიმაღლა ხმა რევოლუციონერთა ახალმა თაობამ, რომელსაც გამოჩენილი რევოლუციონერი დემოკრატი და მარქსამდელი პერიოდის დიდი სოციალისტი ნიკოლოზ ჩერნიშევსკი (1828—1889) ხელმძღვანელობდა. ჩერნიშევსკიმ და მისმა სახელოვანმა თანამებრძოლებმა ნ. დობროლიუბოვმა (1836—1861) და ნ. ნეკრასოვმა (1821—1877) ჟურნალ „სოვრემენნიკის“ ფურცლებზე ნათელჰყვეს, რომ გლეხთა ე. წ. „განთავისუფლება“ ნამდვილად ყმების მოტყუება იყო და წამოაყენეს გლეხთა რევოლუციის გაბედული პროგრამა. გლეხთა გათვითცნობიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ა. ი. გერცენის (1812—1870) მიერ ჟურნალ „პოლიარნაია ზვეზდა“-სა და „კოლოკოლ“-ში გაჩაღებულ რევოლუციურ აგიტაციას.

1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე II ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ და გლეხთა მოწყობის დებულებას, რომელიც ცნობილია „19 თებერვლის დებულების“ სახელწოდებით. გაბატონებულმა კლასებმა მიაღწიეს თავის მიზანს: „დებულება“ ითვალისწინებდა გლეხთა განთავისუფლებას ისეთი პირობებით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ თავადაზნაურობის ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნებას. გლეხობის ინტერესები კი დავიწყებული იქნა. მართალია, ყმა გლეხებმა პირადი თავისუფლება მიიღეს, მაგრამ მათი ეკონომიური მდგომარეობა არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა.

საგლეხო რეფორმისათვის მზადება საქართველოში. ლიბერალური თავადაზნაურობის პოზიცია

საქართველოს ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება კვალდაკვალ მისდევდა რუსეთის ცხოვრების განვითარებას. ამიტომ ბატონყმობის გაუქმება საქართველოშიც უკვე გადაუდებელი ამოცანა გახდა.

1856—1862 წწ. კავკასიაში მეფისნაცვლად იყო ფელდმარშალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი, ხოლო 1862—1882 წწ. — დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი. ბარიატინსკის განკარგულებით რეფორმისათვის სამზადისს საქართველოში ჯერ კიდევ 1857 წელს შეუდგნენ, მაგრამ პეტერბურგიდან საამისო ოფიციალური მითითება მხოლოდ

1861 წლის მარტში იქნა მიღებული. ამის შემდეგ შეიქმნა ცენტრალური საგლეხო კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა რეფორმისათვის მზადების ხელმძღვანელობა და სათანადო პროექტის შედგენა.

1861 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის გუბერნიის) მაზრებში მიმდინარეობდა თავადაზნაურთა ყრილობები, რომლებზედაც უნდა შეემუშავებინათ გლეხთა განთავისუფლების პირობები. მაგრამ ამ ყრილობებმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. რეფორმისათვის მზადება მეტისმეტად ჭიანურდებოდა, რადგან თავადაზნაურობა გააფთრებით იბრძოდა გლეხობის წინააღმდეგ, მათზე ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის შესანარჩუნებლად.

რაკი სამაზრო ყრილობები უშედეგო გამოდგა, 1862 წლის აპრილში თბილისში მოწვეულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საგუბერნიო ყრილობა, რომელმაც მოახერხა ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება საგლეხო რეფორმის პროექტის შესადგენად. ამ პრინციპების საფუძველზე პროექტის შედგენა ყრილობამ დაავალა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს.

დ. ყიფიანი ქართველი თავადაზნაურობის ლიბერალური ჯგუფის წარმომადგენელი იყო. ლიბერალები გრძნობდნენ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დრომოჭმულობას და კიდევაც აკრიტიკებდნენ მას, მაგრამ მათი კრიტიკა მთავრობის მიერ ნებადართულ ფორმებს არ სცილდებოდა. ისინი, რუსეთის ლიბერალების მსგავსად, მოითხოვდნენ ბატონყმური მეურნეობის იმგვარად გადაკეთებას, რომ შეეგუებინათ იგი ახალ ვითარებასთან, კაპიტალისტურ წყობილებასთან, ხოლო მემამულეთა სახელმწიფო და მათი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა ხელუხლებლად დაეტოვებინათ. ქართველი თავადაზნაური ლიბერალები გაბურჟუების გზაზე შემდგარ მემამულეთა იდეოლოგები იყვნენ.

რეფორმის ხანაში ლიბერალები აშკარად მიემხრნენ რეაქციული თავადაზნაურობის პოზიციას და გლეხთა უმიწოდ განთავისუფლებას მოითხოვდნენ. ასე მოიქცა დიმიტრი ყიფიანიც. მან დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ ერთგულად დაეცვა ქართველ მემამულეთა ინტერესები, რისთვისაც ის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ თავის წინამძღოლად აირჩია.

დ. ყიფიანის მიერ შედგენილი საგლეხო რეფორმის პროექტი მოიწონა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა უდიდესმა უმრავლესობამ — 536 მემამულემ. თავადაზნაურთა მცირე ნაწილმა (14 მემამულემ), რომელიც უმრავლესობის პროექტს არ მიემხრო, ცალკე პროექტი შეადგინა. ეს პროექტები ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა, შინაარსი ორივეს ბატონყმური და რეაქციული ჰქონდა და ორივე ყმა გლეხების უმიწაწყლოდ განთავისუფლებას ითვალისწინებდა. ქართველ თავადაზნაურობას უნდოდა, რომ გლეხებისათვის სრულიად არ მიეცა მიწა და ხიზნების მდგომარეობაზე გადაეყვანა ისინი.

ლიბერალური თავადაზნაურობის ბანაკიდან მხოლოდ ორმა მოწინავე ინტელიგენტმა, სახელდობრ გენერალმა კონსტანტინე მამაცაშვილმა და მოსამართლე ნიკოლოზ ჭავჭავაძემ გამოიჩინეს ეპოქის სულისკვეთების შედარებით

სწორი გაგება და მთავრობას წარუდგინეს ყმების განთავისუფლების საკუთარი პროექტები, რომლებშიც მოითხოვდნენ გლეხებისათვის მიწის განსაზღვრული რაოდენობით მიცემას. მათი აზრით, ეს აუცილებელი იყო საქართველოს ეკონომიური ცხოვრების შემდგომი წინსვლისათვის. მართალია, ეს პროექტები ზემოხსენებული პროექტებისაგან განსხვავდებოდა და მათზე უფრო პროგრესული იყო, მაგრამ გლეხთა მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას არც ისინი ითვალისწინებდნენ.

ახალი თაობის ბრძოლა გლეხობის ინტერესებისათვის

დაჩაგრული ქართველი გლეხობის ინტერესთა ერთადერთი დამცველები იყვნენ ახალი თაობის წარმომადგენლები — თერგდალეულები, რომლებიც ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლისას ჩაებნენ რევოლუციურ მოღვაწეობაში.

1861 წლის 19 თებერვლის რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა რუსეთის გლეხობა და მან მეფის მიერ ბოძებულ „თავისუფლებას“ მღელვარებით უპასუხა. გლეხობის გამოსვლას აქტიურად დაუჭირა მხარი რუსეთის „რაზნოჩინცულმა“ (ასე უწოდებდნენ ხალხის ქვედა ფენებიდან გამოსულ რევოლუციონერებს) ინტელიგენციამ, რომელსაც ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი მეთაურობდნენ. ამ რევოლუციონერების გავლენით 1861 წელს პეტერბურგის სტუდენტებმა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოაწყეს. ამ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველ სტუდენტთა დიდი ჯგუფი, რომლიდანაც ბევრი დაპატიმრებული იქნა და თავიანთ რუს მეგობრებთან ერთად რამდენიმე თვეს იჯდა კრონშტადტის ციხეში. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ გამოჩენილი თერგდალეულები: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ღოღობერიძე და სხვები.

თერგდალეულთა იდეური ბელადი ილია ჭავჭავაძე იმჟამად პეტერბურგში არ იმყოფებოდა და მას სტუდენტთა დემონსტრაციაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავად ამისა, მთავრობამ მასზედაც გაავრცელა რეპრესიები: 1861 წლის 12 ოქტომბერს ი. ჭავჭავაძე გამორიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან. საქართველოში ჩამოსვლისთანავე მან გარს შემოიკრიბა მოწინავე ახალგაზრდობის ჯგუფი და უაღრესად ფართო ლიტერატურული და პოლიტიკური საქმიანობა გააჩაღა.

ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების — აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის და სხვათა ანტიბატონყმური ნაწერებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს ქართველი გლეხობის გამოფხიზლებისა და კლასობრივი გათვითცნობიერებისათვის. ბატონყმური წყობილებისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძის უკვდავ სოციალურ ნაწარმოებებს: „აჩრდილს“, „კაკო ყაჩაღს“, „გლახის ნაამბობს“, „კაცია-ადამიანს“. მათში გატარებულია გლეხური რევოლუციის იდეა. პოემა „აჩრდილ“-ში ილია ჭავჭავაძე გაბედულად მოითხოვს „კაცთა ცხოვრების შემფერხებელი ბორკილის დამსხვრევას“ და „შრომისა ახსნას“; აქ იგი პირველად აყენებს ახალი თაობის მთავარ ლოზუნგს, „ძმობა, ერთობა და თავისუფლებას“. პოემა „კაკო ყაჩაღში“. ილია ჭავჭავაძე სიყვარულით უმღერის XIX საუკუნის პირველი ნახევ-

რის გლეხთა მოძრაობის ბელადს არსენა ოძელაშვილს და ხატავს მეამბოხე გლეხთა ისეთ ტიპებს (კაკო, ზაქრო), რომლებიც იარაღით ხელში უსწორდებიან საძულველ ბატონებს. მებრძოლი გლეხის ასეთივე ტიპია დახატული მოთხრობა „გლახის ნაამბობში“ გაბროს სახით. თავისი მხატვრული ნაწარმოებებით ილია ჭავჭავაძე ქართველ გლეხობას მოუწოდებდა იარაღისაკენ, რომლითაც მას თავისუფლება უნდა მოეპოვებინა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე მარტო ლიტერატურულ მოღვაწეობას როდი სჯერდებოდა, პრაქტიკულადაც იბრძოდა გლეხობის ინტერესთა დასაცავად. ამის გამო თავადაზნაურობამ შეიძულა ილია ჭავჭავაძე და სდევნიდა მას. თავადაზნაურთა ერთ-ერთ კრებაზე ილია ჭავჭავაძე ძლივს გადარჩა სიკვდილს. ამ კრებაზე ილიამ მოითხოვა, გლეხებს მიწა უნდა მიეცესო. ამის გამო ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა, ლანძღვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაშმაგებული თავადი ძლივს შეაკავეს.

ასევე სდევნიდა თავადაზნაურობა თერგდალეულთა მეორე გამოჩენილ ბელადს, დიდ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს. მებატონეთა განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია აკაკის ლექსებმა „მუშური“ და „გლეხის აღსარება“, რომლებშიც ბატონყმური წყობილების დაუნდობელი და უაღრესად მახვილი კრიტიკაა მოცემული. როცა „გლეხის აღსარება“ გამოქვეყნდა, თავადაზნაურთა აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. თავადმა მიქელაძეჰ სასიკვდილოდ მიიწია პოეტზე, რომელიც ხალხმა ძლივს გადაარჩინა.

ასე თავდადებით იბრძოდნენ თერგდალეულები მშრომელი გლეხობის ინტერესთა დასაცავად. მათ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი გლეხობისა და საერთოდ საქართველოს მშრომელი მასების გარევოლუციონერების საქმეში.

ბატონყმობის გაუქმება საქართველოში

ქართველი თავადაზნაურობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ შედგენილი რეფორმის პროექტები განხილულ იქნა მთავრობის ორგანოებში. მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დაეცვა მემამულეთა ინტერესები, მაგრამ იმავე დროს ის იძულებული იყო ანგარიში გაეწია, ერთი მხრივ, გლეხთა მზარდი უკმაყოფილებისათვის, რომელიც ადვილად შეიძლებოდა რევოლუციად გადაზრდილიყო, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზინის ინტერესებისათვის, ე. ი. იმისათვის, რომ გლეხს არსებობის მინიმალური პირობები მაინც ჰქონოდა, რათა ხაზინისათვის გადასახადების გადახდა შესძლებოდა. ამიტომ მთავრობამ უარყო ქართველი თავადაზნაურობის მოთხოვნა გლეხების სრულიად უმიწოდ განთავისუფლებისა და მათი ხიზნების მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ. მთავრობამ თუმცა მთელი მიწა მებატონის საკუთრებად აღიარა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა დაეტოვებინა გლეხებისათვის მიწის მცირე ნაკვეთები, იმ პირობით, რომ ამ ნაკვეთებით სარგებლობისათვის გლეხებს გარკვეულ ვადამდე მემამულეებისათვის მძიმე გადასახადი ეხადათ, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ გამოესყიდათ მათგან ნაკვეთები და თვითონ გამხდარიყვნენ მისი მესაკუთრენი. ამ ნაკვეთების გამოსყიდვამდე ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხებს „დროებით ვალდებული გლეხები“ ეწოდებოდათ.

1864 წლის 13 ოქტომბერს მთავრობამ დაამტკიცა „მთავარი დებულებები“, რომლებშიც ჩამოყალიბებული იყო თბილისის გუბერნიის გლეხთა განთავისუფლების პირობები. იმავე წლის 8 ნოემბერს ქალაქ თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს ყველა სამაზრო ცენტრში ერთდროულად იქნა გამოცხადებული ბატონყმობის გაუქმება. „13 ოქტომბრის დებულებები“, ზოგიერთი არაარსებითი ცვლილებით, შემდგომ გავრცელებულ იქნა დასავლეთ საქართველოზედაც. ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა და გურია) ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა 1865 წლის ნოემბერში, ხოლო სამეგრელოში — 1867 წლის თებერვალში. აფხაზეთში ბატონყმობა გაუქმდა 1870 წელს, სვანეთში კი — 1871 წელს.

მთავრობის მითითებით, ბატონყმობის გაუქმება ყველგან ცხადდებოდა დიდი ზეიმით, რომლის ცერემონიალი წინასწარ იყო შემუშავებული. ამით მთავრობას უნდოდა გლეხობაზე შთაბეჭდილების მოხდენა, მისთვის თვალის ახვევა და ყაქმის ისე მოჩვენება. თითქოს რეფორმა ბედნიერებას მოუტანდა გლეხობას. მაგრამ ზეიმობდნენ მხოლოდ მთავრობის მოხელეები და თავადაზნაურობა, რომლებიც რეფორმის „წარმატებით“ ჩატარებისათვის რუსეთის მეფემ ჯილდოებით აავსო. გლეხობას კი საზეიმო არაფერი ჰქონდა, რადგან იგი მალე მიხვდა, რომ მოტყუებული დარჩა. გლეხობის ფართო მასები რეფორმას აშკარა უკმაყოფილებით შეხვდნენ.

ქართველი გლეხობის მაშინდელ სულისკვეთებას კარგად გამოხატავს ხალხური ლექსი, რომელიც ბატონყმობის გაუქმების პირველ ხანებშივეა შექმნილი:

ბატონყმობა გადავარდა,
ასე როდი მეგონა.
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყოდა,
ასე როდი მეგონა!

საგლეხო რეფორმა რუსეთშიც მემამულეთა ინტერესების სასარგებლოდ გატარდა და წარმოადგენდა ბატონყმური ხასიათის რეფორმას, მაგრამ საქართველოში რეფორმის ამგვარი ხასიათი კიდევ უფრო მეტად იგრძნობოდა. თუ როგორ მოატყუეს და გაძარცვეს გლეხობა რეფორმის გატარებისას, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები: აღმოსავლეთ საქართველოში რეფორმამდე ყმა გლეხები სარგებლობდნენ 84.665 დესეტინა მიწით, რეფორმის შემდეგ კი მათ დაუტოვეს მხოლოდ 55.679 დესეტინა, დანარჩენი 28.986 დესეტინა ჩამოაჭრეს და მემამულეებს გადასცეს (ამას ეწოდებოდა „ჩამონაჭრები“). ამის შედეგად, თუ რეფორმამდე თითო ყმა გლეხი საშუალოდ 5,2 დესეტინა მიწით სარგებლობდა, რეფორმის შემდეგ თითოეულ დროებით ვალდებულ გლეხს საშუალოდ დარჩა მხოლოდ 3,4 დესეტინა (აქ შედიოდა როგორც კარმიდამო და ბაღ-ვენახი, ისე სახნავ-სათესი მიწები). კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დასავლეთ საქართველოს გლეხები. ქუთაისის გუბერნიაში თითოეულ დროებითვალდებულ გლეხს საშუალოდ დარჩა მხოლოდ 2,5 დესეტინა მიწა. სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის გლეხობის მდგომარეობა კიდევ უარესი იყო.

კანონით გლეხებს არ მიეცათ არც ტყე და არც საძოვრები და ასეთი

ადგილებით სარგებლობისათვის მათ მემამულისათვის მძიმე გადასახადი უნდა ეძლიათ. სრულიად არ მიუღიათ მიწა იმ გლეხებს, რომლებსაც რეფორმამდე მიწა არა ჰქონდათ, აგრეთვე შინაყმებსა და ხიზნებს. დროებითვალდებულ გლეხებს მიწის იმ მცირე ნაკვეთებით სარგებლობისათვის, რომლებიც მათ კანონით გამოუყვეს (ამ ნაკვეთებს „ნადელებს“ ეძახდნენ), მებატონეთათვის გაცილებით მეტი გადასახადი უნდა ეძლიათ, ვიდრე ბატონყმობის დროს იხდიდნენ. გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ე. წ. „ურთიერთ თავდებობის“ წესის შემოღება, რაც იმას ნიშნავდა, რომ გლეხები თავიანთი ქონებით იყვნენ ერთიმეორისათვის პასუხისმგებელნი გადასახადის გადახდაზე. რეფორმამდე საქართველოში ასეთი წესი არ ყოფილა.

ამრიგად, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა რეფორმის შედეგად არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ საგრძნობლად გაუარესდა კიდევაც. სამაგიეროდ, მემამულეთა ინტერესები სრულიად არ შელახულა. მათ გადაეცათ გლეხებისაგან ჩამოჭრილი მიწები, რომელთა ფართობი რამდენიმე ათეულ ათას დესეტინას აღწევდა. გარდა ამისა, მეფემ თავის ერთგულ თავადაზნაურობას გლეხებისათვის პირადი თავისუფლების მინიჭების საზღაურად „უწყალობა“ დიდი ფულადი დახმარება: თითოეული ყმის განთავისუფლებისათვის ქართველმა თავადებმა და აზნაურებმა ხაზინიდან მიიღეს 25-დან 50 მანეთამდე, რაც საერთოდ რამდენიმე მილიონ მანეთს აღწევდა. გლეხებს, რომლებსაც თავიანთი სისხლითა და ოფლით მორწყული მიწები უნდა გამოესყიდათ, მემამულეები ყოველნაირად ავიწროებდნენ: უზომავდნენ მდარე ან სულ უვარგის მიწებს და აიძულებდნენ დათანხმებულიყვნენ მიწით სარგებლობის უმძიმეს პირობებზე; მემამულეები გლეხთა საკუთარი მიწების პირდაპირ მიტაცებასაც არ ერიდებოდნენ.

ასე მოატყუეს და შეავიწროვეს ისედაც დაბეჩავებული გლეხები რეფორმის დროს. ამიტომ ამბობდა დიდი ლენინი, რომ „ყბადაღებული განთავისუფლება იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას“.

მაგრამ. მიუხედავად თავისი ბატონყმური ხასიათისა, საგლეხო რეფორმა მაინც ბურჟუაზიული რეფორმა იყო და მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში. რეფორმის შედეგად გლეხს პირადი თავისუფლება მიენიჭა. მემამულეს უკვე აღარ შეეძლო გლეხის არც ყიდვა და გაყიდვა, არც გაცვლა და გაჩუქება, როგორც ბატონყმობის დროს ხდებოდა ხოლმე. მემამულე ვეღარ ჩაერეოდა გლეხის პირად ოჯახურ ცხოვრებაში, ვეღარ აუკრძალავდა მას ქორწინებას, ვეღარ გაუყიდდა ქონებას. გლეხს უფლება მიეცა თავისი სახელით დაედო ხელშეკრულება, ჩაბმულიყო ვაჭრობა-მრეწველობაში, შეეძინა უძრავი თუ მოძრავი ქონება, გამოსულიყო სასამართლოში მომჩივნად თუ მოპასუხედ, მიეტოვებინა სოფელი, გლეხი წოდება და ჩაწერილიყო „მოქალაქედ“ ან ვაჭრად. ერთი სიტყვით, გლეხი იურიდიულად თავისუფალი ადამიანი გახდა.

ნ. ნიკოლაძის გამოსვლა ა. ბერცენის „კოლოკოლში“

ბერგდალეულები ვერ დაკმაყოფილა კუდმოკვეცილმა საგლეხო რეფორმამ და ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ მასაც და მის ავტორებსაც, უმთავრესად

თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში. რეფორმის წინააღმდეგ პრესაში აშკარად გალაშქრება, მაშინდელი მძიმე საცენზურო პირობების გამო, საქართველოში შეუძლებელი იყო. მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაშინდელი ევროპის შედარებით თავისუფალ ატმოსფეროში შეიძლებოდა ბატონყმური რეფორმის წინააღმდეგ დაუფარავი პროტესტით გამოსვლა და მებატონე „განმათავისუფლებელთა“ სამარცხვინო ბოძზე გაკვრა. ეს ამოცანა ჩინებულად შეასრულა ნიკო ნიკოლაძემ.

პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგ, ნ. ნიკოლაძე ერთ-ხანს რუსეთშივე მოღვაწეობდა. მაგრამ მალე იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო. იქ ნ. ნიკოლაძე დაუკავშირდა გამოჩენილ რუს რევოლუციონერ დემოკრატს ა. გერცენს და მისი ჟურნალის „კოლოკოლის“ აქტიური თანამშრომელი გახდა. 1865 წელს ამ ჟურნალის ორ ნომერში (ივნის-ივლისში) დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის ვრცელი წერილი „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, რომელშიც გამოხატულია დემოკრატიული ქართველი ახალგაზრდობის საერთო აზრი რეფორმის შესახებ.

ნ. ნიკოლაძემ საგლეხო რეფორმას „მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება“ უწოდა. მან დაწვრილებით გაარჩია რეფორმის დებულების მუხლები და დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მეფემ მოატყუა ხალხი, გლეხობა. დებულებით გლეხებისათვის გათვალისწინებულ ზოგიერთ უმნიშვნელო დათმობას ნიკოლაძე დაცინვას უწოდებს.

ნ. ნიკოლაძემ მკაცრად გააკრიტიკა აგრეთვე ქართველი თავადაზნაურული ლიბერალები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მთავრობას გლეხების მოტყუებაში. „ამ ვაებატონებზე ლაპარაკიც კი არ ღირსო“ — წერდა ნიკოლაძე.

ნ. ნიკოლაძის ეს წერილი ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების შესანიშნავი ნიმუშია. წერილის ავტორი სავსებით ჩერნიშევსკი-დობროლიუბოვის პოზიციებზე დგას და დაჩაგრული ქართველი გლეხობის რევოლუციურ სულისკვეთებას გამოხატავს.

§ 3. ცვლილება სოფლის მმართველობაში. საქალაქო და სასამართლო რეფორმები

სასოფლო მმართველობა

საგლეხო რეფორმასთან ერთად რუსეთში გატარდა სხვა ბურჟუაზიული რეფორმებიც, მათ შორის: საერობო რეფორმა, საქალაქო რეფორმა და სასამართლო რეფორმა.

1864 წელს რუსეთში შეიქმნა ე. წ. „ერობები“ ანუ ადგილობრივი (სამაზრო და საგუბერნიო) მმართველობის ორგანოები. ერობის ხმოსნებს ირჩევდნენ მიწისმფლობელები და გლეხები, აგრეთვე ქალაქის შეძლებული მცხოვრებნი. არჩევნები ხდებოდა საადგილმამულო ცენზის საფუძველზე. ამას ისიც ემატებოდა, რომ მთავრობის ორგანოები გლეხებს აიძულებდნენ ხმოსნებად კულაკები აერჩიათ. ამის გამო ერობები მსხვილი მიწათმფლობელობისა და ბურჟუაზიის ორგანოებად იქცნენ. მიუხედავად ამისა, ერობების შექმნას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ერობები ხელს უწყობდნენ კაპიტალიზმის

განვითარების დაჩქარებას; მათ გაჰყავდათ გზები და რკინიგზები, აარსებდნენ ბანკებს, აწყობდნენ სკოლებს, საავადმყოფოებს და სხვ.

საქართველოში საერობო რეფორმა არ გატარებულა. ერობების ნაცვლად აქ შემოიღეს ყოველგვარ უფლებას მოკლებული „სოფლის საზოგადოებანი", რომლებიც აერთიანებდნენ ერთი სოფლის (ზოგჯერ კი რამდენიმე სოფლის) მიწა-წყალზე მცხოვრებ გლეხობას. სოფლის საზოგადოების მთელი მოსახლეობა კომლობრივ შეადგენდა სოფლის ყრილობას, რომელიც ირჩევდა სოფლის მამასახლისს. სოფლის ყრილობა და მის მიერ არჩეული სოფლის მამასახლისი, აგრეთვე სოფლის გლეხთა სასამართლო ერთად შეადგენდა „სასოფლო მმართველობას", რომელსაც არსებითად არავითარი უფლება არ გააჩნდა. სასოფლო მმართველობის თითქმის მთელი საქმიანობა ამოიწურებოდა გლეხებში გადასახადების აკრებით და სახელმწიფო ბეგარა-სამუშაოთა შესრულების თვალყურის დევნებით.

სოფლის მმართველები მოვალე იყვნენ უსიტყვოდ შეესრულებინათ პოლიციისა და მთავრობის სხვა ორგანოთა ყოველგვარი მითითება. მაზრის უფროსი და მისი ხელქვეითი (ჩაფარი და პოლიციის სხვა მოხელეები) გლეხების მიერ არჩეულ თანამდებობის პირებს აბუჩად იგდებდნენ და ხშირად მათრახითაც კი უმასპინძლდებოდნენ.

სოფლის საზოგადოების წესდება ისე იყო შედგენილი, რომ სასოფლო მმართველობას მხოლოდ მდიდართა უფლებების დაცვა ევალებოდა, გლეხთა ინტერესები კი ყველას ადვილად შეეძლო ფეხქვეშ გაეთელა.

საქალაქო მმართველობის რეფორმა

1870 წლამდე რუსეთის ქალაქებს მართავდა ჯერ კიდევ ეკატერინე II დროს შემოღებული ექვსხმოსნიანი საბჭოები (რუსულად ამ საბჭოს ერქვა „დუმა"), რომლის ხმოსნებს ანუ დეპუტატებს ირჩევდნენ წოდებრივი პრინციპის მიხედვით. საგლეხო რეფორმის პარალელურად რუსეთში დაიწყეს მზადება საქალაქო რეფორმის გასატარებლადაც. 1870 წლიდან რუსეთის ქალაქებში შემოვიდა მმართველობის ახალი სისტემა, რომელიც 1874 წელს გავრცელდა ქალაქ თბილისზე, ხოლო უფრო გვიან — საქართველოს სხვა ქალაქებზეც.

1866 წელს თბილისში გატარდა ქალაქის მმართველობის ნაწილობრივი რეფორმა, რაც უშუალო შედეგი იყო თბილისის ღარიბი მოსახლეობის 1865 წლის აჯანყებისა. ამ აჯანყების შემდეგ მთავრობა იძულებული გახდა ქალაქის მსხვილი ბურჟუაზიის მიმართ ერთგვარ დათმობაზე წასულიყო და წინანდელი „ექვსხმოსნიანი საბჭოები" შეეცვალა ახალი საქალაქო მმართველობით, რომელსაც ირჩევდნენ გაცილებით უფრო ფართო საარჩევნო სისტემის საფუძველზე და მოქალაქეთა ქონებრივი ცენზის, ე. ი. მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების გათვალისწინებით.

მაგრამ 1866 წლის სანახევრო რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა ქალაქის მსხვილი ბურჟუაზია და იგი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას თავადაზნაურობის წოდებრივი პრივილეგიების მოსპობისა და საკუთარ უფლებათა გაფართოებისათვის. ამით აიხსნება, რომ რუსეთში გატარებული საქალაქო რეფორმის დებულება, რომელიც მეფემ 1870 წელს დაამტკიცა, 1874 წელს თბილისზედაც გაავრცელეს. ეს რეფორმა ახალი ნაბიჯი იყო თბილისის მმართველობის

ბურჟუაზიულად გარდაქმნის გზაზე. ახალი რეფორმით სრულიად ისპობოდა წოდებრივი საარჩევნო სისტემა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვინც კი გადასახადს იხდიდა, მიუხედავად მათი წოდებრივი კუთვნილებისა. არჩევნებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქონებრივ ცენზს; ერთი მუჭა მდიდარი მემამულეები და მსხვილი ბურჟუაზია ქალაქის ნამდვილი ბატონ-პატრონები ხდებოდნენ.

საქალაქო მმართველობის რეფორმები საქართველოში მეტისმეტად გააჭიანურეს. ქუთაისსა და ბათუმში რეფორმა მხოლოდ 1888 წელს გატარდა, სოხუმსა და ფოთში — 1892 წელს, ხოლო გორში, დუშეთში, ახალციხეში, ახალქალაქში, სიღნაღსა და თელავში — 1894 წელს. ამ ქალაქებში რეფორმა ბევრად უფრო კუდშეკვეცილი და გამარტივებული იყო, ვიდრე თბილისში.

თბილისის ბურჟუაზიას თავის უფლებათა გაფართოებისათვის ბრძოლა საქალაქო რეფორმის შემდეგაც არ შეუწყვეტია. მაგრამ ეს ბრძოლა მიმართული იყო უკვე არა იმდენად მეფის მთავრობის წინააღმდეგ, არამედ არსებითად მხოლოდ გაბურჟუების გზაზე შემდგარი ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა თავისი წოდებრივი პრივილეგიები გამოეყენებინა და ქალაქის მართვა-გამგეობა ხელთ ეგდო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საქალაქო რეფორმა მოკლებული იყო ნამდვილი დემოკრატიულობის ნასახსაც კი, მას მაინც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის. საქალაქო მმართველობის ახალი ორგანოები გაცილებით უფრო მაღლა იდგნენ წინანდელ წოდებრივ ორგანოებზე, უფრო შეეფერებოდნენ ახალ ვითარებას და ხელს უწყობდნენ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას.

სასამართლო რეფორმა

რუსეთში გატარებულ ბურჟუაზიულ რეფორმებს შორის ყველაზე უფრო თანმიმდევრული იყო სასამართლო რეფორმა, რომელიც განხორციელდა 1864 წელს. ამ რეფორმით ძველი, წოდებრივ-ბატონყმური სასამართლო, რომელიც ჯერ კიდევ ეკატერინე II დროიდან არსებობდა, შეცვლილ იქნა ახალი, ბურჟუაზიული სასამართლოთი. თუ წინანდელი სასამართლო მთლიანად მთავრობის პოლიციურ-ბიუროკრატიული ადმინისტრაციის ხელში იყო და თვით მოსამართლესაც მთავრობა ნიშნავდა, სასამართლო რეფორმის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა: ახალი დებულებით სასამართლო მთავრობის ორგანოებისაგან დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო; საქმის გამოძიებას პოლიციის ნაცვლად აწარმოებდნენ სასამართლოს მოხელეები — გამომძიებლები; საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებდნენ მოსახლეობის მიერ არჩეული ნაფიცი მსაჯულები; ბრალდებულს იცავდნენ ვექილები, ხოლო ბრალდებას ასაბუთებდა პროკურატურა. შემოღებულ იქნა აგრეთვე მოსამართლეთა არჩევა. სასამართლოს სხდომები უკვე იმართებოდა საჯაროდ, ხალხის თანდასწრებით. ნებადართულ იქნა სასამართლო პროცესების ანგარიშთა გამოქვეყნება პრესაში. ერთი სიტყვით, ახალი სასამართლო ფორმალურად უახლოვდებოდა „კანონის წინაშე ყველას თანასწორობის“ ბურჟუაზიულ პრინციპს და თუმცა არსებითად შორს იყო ამ პრინციპისაგან და შეძლებული კლასების ინტერესთა სადარაჯოზე იდგა, მაგრამ მაინც წარმოადგენდა მნიშ-

ენელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს და შეესაბამებოდა რუსეთის სახელმწიფოში შექმნილ ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობას.

მეფის მთავრობამ არ მოისურვა საქართველოსა და ამიერკავკასიაში სასამართლო რეფორმის იმგვარად გატარება, როგორც რუსეთში გატარდა. ამის მიზეზად ასახელებდნენ „მოსახლეობის მოუმზადებლობას“ და ადგილობრივ „სპეციფიკურ პირობებს“. ნამდვილი მიზეზი კი მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა იყო: ცარიზმი ცდილობდა კოლონიებში თავისი ადმინისტრაციის შეუზღუდველი თვითნებობა შეენარჩუნებინა და ფორმალური უფლებაც კი არ მიეცა კოლონიების ხალხთათვის, რომ კანონიერება ეძიათ. ამით აიხსნება, რომ საქართველოში სასამართლო რეფორმას თითქმის გამოცლილი ჰქონდა ის დადებითი შინაარსი, რომელიც რუსეთში გატარებულ რეფორმას ჰქონდა.

საქართველოში სასამართლო რეფორმა გატარდა 1867 წლის კანონის საფუძველზე, რომლითაც გაუქმდა წინანდელი წოდებრივი სასამართლოები და შეიქმნა შემდეგი ახალი სასამართლოები: მომრიგებელი განყოფილებანი მომრიგებელი მოსამართლეებითურთ, საოლქო სასამართლოები და სასამართლო პალატა. მომრიგებელი განყოფილებანი ითვლებოდნენ სასამართლოს ყველაზე დაბალ ინსტანციებად და არსებობდნენ საქართველოს ყველა მაზრაში; შემდგომი, უფრო მაღალი ინსტანცია იყო საოლქო სასამართლოები, რომლებიც არსებობდნენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში; სასამართლო პალატა კი ითვლებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის უმაღლეს სასამართლო ორგანოდ. პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა მხოლოდ პეტერბურგს, სენატში.

რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში არ გატარებულა სასამართლო რეფორმის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი, სახელდობრ: არ შემოუღიათ მოსამართლეთა არჩევა. და მათ წინანდებურად მთავრობა ნიშნავდა; არ შემოღიათ არც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ერთი სიტყვით, მოსახლეობის მიერ არჩეული სასამართლოს მაგიერ საქართველოში შეიქმნა მთავრობის მოხელეთა სასამართლოები, რომლებიც მთლიანად და სავსებით ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატის ხელში იყო. ამ სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ხალხის განსაკუთრებით შემაწუხებელი ნაკლი ის იყო, რომ საქმეები ირჩეოდა რუსულ ენაზე, რომელიც ხალხის დიდი უმრავლესობისათვის სრულიად გაუგებარი იყო. ამიტომ სასამართლო რეფორმამ საქართველოში ძალიან მცირე დადებითი ნაყოფი გამოიღო. ხალხს წინანდებურად სძულდა მისთვის გაუგებარი სასამართლო და იგი გულში იგროვებდა უსამართლობითა და ჩაგვრით გამოწვეულ უსაზღვრო ბოღმას.

ასეთია, მოკლედ, საქართველოს ბურჟუაზიული რეფორმების ისტორია. აქედან ჩანს, რომ რევოლუციური სიტუაციით შეშინებული მეფის მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია რუსეთის სახელმწიფოში შექმნილი ახალი ვითარებისათვის და რამდენიმე რეფორმა გაეტარებინა როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ეს რეფორმები, მიუხედავად მათი შეზღუდულობისა და ნახევ-

რულობისა, მაინც მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ვ. ლენინი ამბობდა: „1861 წ. რუსეთშიც მოხდა გადატრიალება, რასაც შედეგად მოჰყვა საზოგადოების ერთი ფორმის შეცვლა მეორე ფორმით — ბატონყმობის შეცვლა კაპიტალიზმით“.

საქართველოში ეს გადატრიალება მოხდა 1864—1871 წლების ხანაში. მას შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში გაცილებით უფრო სწრაფად წავიდა წინ.

თ ა ვ ი XXIX

კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

§. 1. კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში

კაპიტალიზმის მანუფაქტურული პერიოდი. პიროლბების მრეწველობა მანქანური ინდუსტრიისათვის

მეურნეობის ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემას საქართველოში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა ბურჟუაზიული საგლეხო რეფორმის დამთავრებამდე, ე. ი. დაახლოებით 70-იანი წლების დასაწყისამდე. ეროისათვის კი ფეოდალიზმის ეპოქა დასრულდა და დაიწყო ახალი ხანა — კაპიტალიზმის ეპოქა.

მაგრამ ისტორიულად კაპიტალისტური წყობის მეტ-ნაკლებად დამთავრებული ფორმები ჯერ კიდევ ფეოდალური საზოგადოების წიაღში მწიფდებოდნენ. საქართველოს მრეწველობამ ფეოდალიზმის ეპოქაში განვლო კაპიტალისტური წარმოების განვითარების ისეთი საფეხურები, როგორიცაა კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურული პერიოდი.

მანუფაქტურა ეწოდება ისეთ კაპიტალისტურ წარმოებას, სადაც იყენებენ დაქირავებულ მუშებს, რომლებიც ხელით მუშაობენ, და სადაც შრომა განაწილებულია[1]. მანუფაქტურულ წარმოებას საქართველოში ვხვდებით ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში მანუფაქტურა კიდევ უფრო ვითარდება. ამ დროს მანუფაქტურული წარმოება ამზადებს პირობებს მანქანურ ანუ საფაბრიკო ინდუსტრიაზე გადასასვლელად.

მანუფაქტურულ საწარმოებს საქართველოში აარსებდნენ ვაჭარ-შემსყიდველები, შევაჭშეები, გამდიდრებული ხელოსანი-ოსტატები და აგრეთვე გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის ცალკეული წარმომადგენლები. ზოგიერთ მანუფაქტურულ საწარმოში (სახელოსნოში) კაპიტალისტები აერთიანებდნენ ერთისა და იმავე სპეციალობის ხელოსნებს, რომლებიც შრომის განაწილების საფუძველზე ამზადებდნენ გასაყიდ საქონელს (მაგალითად, ფეხსაცმელს). ზოგან კი კაპიტალისტები თავს უყრიდნენ სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნებს, რომლებიც იმავე შრომის განაწილების საფუძველზე ამზადებ-

[1] „მანუფაქტურა“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ხელით შრომას“.

დნენ ისეთ საქონელს (მაგალითად, ეტლებს), რომლის დამზადება მრავალგვარი სპეციალისტის შრომას მოითხოვდა. მანუფაქტურული ტიპის საწარმოებში მრავლად მზადდებოდა საქართველოს ადგილობრივი ბაზრისათვის საჭირო საქონელი: ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ფეხსაცმელი, ქუდები, რკინის სხვადასხვა იარაღი, სამშენებლო მასალა, თიხისა და მინის ჭურჭლეული, საღვინე კასრები, ხის ავეჯი, საპონი და მრავალი სხვა. მარტო თბილისის გუბერნიაში 60-იან წლებში უკვე არსებობდა 500-ოდე შედარებით დიდი მანუფაქტურული საწარმო, რომლებშიც 3000-ზე მეტი დაქირავებული მუშა შრომობდა. ამ რიცხვში არ შედის სოფელ ადგილებში არსებული მრავალრიცხოვანი გლეხური სარეწაოები, რომლებიც მეტწილად მანუფაქტურული ტიპის საწარმოებს წარმოადგენენ. მანუფაქტურულ წარმოებასთან ერთად საქართველოში იმ დროს ძალზე დიდი ადგილი ეჭირა აგრეთვე წვრილ ხელოსნურ და კუსტარულ მრეწველობას, რადგან მანუფაქტურამ, თავისი განვითარების მაღალ საფეხურზედაც კი, ვერ შეძლო მთლიანად მოეცვა საზოგადოებრივი წარმოება.

მანუფაქტურული საწარმოებიდან, განსაკუთრებით 50-იანსა და 60-იან წლებში, თანდათან გამოიყო ცალკეული დიდრონი საწარმოები, რომლებშიც გაჩნდნენ პირველი მანქანები, თუმცა იქ ხელით შრომა ჯერ ისევ გაბატონებული იყო. ასეთი დიდი მანუფაქტურების გაჩენა საქართველოს მრეწველობაში ნიშნავდა მანუფაქტურული პერიოდიდან მანქანურ ინდუსტრიაზე გადასასვლელად პირობების მომზადებას. თუ როგორ თანდათანობით მზადდებოდა ეს პირობები და როგორ გადაიქცა დიდი მანუფაქტურა ნამდვილ კაპიტალისტურ ფაბრიკად, ეს კარგად ჩანს საქართველოში მინის წარმოების განვითარების მაგალითზე.

საქართველოს ცხოვრების ახალმა პირობებმა, კერძოდ, სასაქონლო (საბაზრო) ღვინის წარმოების სწრაფმა გაფართოებამ და ღვინის ექსპორტის საჭიროებამ მოითხოვა საქართველოში მინის წარმოების განვითარება, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩაეყარა. 50-იან და 60-იან წლებში გორის ახლოს, სოფ. ღვარებში (ატენის ხეობაში) მოქმედებდა მინის დიდი მანუფაქტურული საწარმო, რომელიც მემამულე ელიზბარ ერისთავს ეკუთვნოდა. ეს საწარმო წელიწადში ამზადებდა 100 ათასამდე ღვინის ბოთლს და აგრეთვე დიდძალ სასარკმლე მინას და სააფთიაქო ჭურჭლეულს. საწარმოში მრავალი ათეული დაქირავებული მუშა შრომობდა. მინის დამზადების მთელ პროცესში სისტემატურად იყო გატარებული შრომის განაწილება. მუშაობა ხელით წარმოებდა, მაგრამ უკვე მექანიკური ძალაც იყო გამოყენებული. კერძოდ, იყენებდნენ წყლის ბორბალს, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა ცეცხლგამძლე თიხისა და სხვა მასალის დასანაყავი (გასაფხვიერებელი) მოწყობილობა. ამ საწარმოს მუშაობა სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაყვანილ იქნა ფოთი-თბილისის რკინიგზა (1872 წ.) და საქართველოსაკენ გზა გამოიკაფა რუსეთისა და ევროპის მინის ქარხნების ნაწარმმა, ღვარების მანუფაქტურულმა საწარმომ ვეღარ გაუძლო კონკურენციას და არსებობა შესწყვიტა. ამის შემდეგ საქართველოში მინის წარმოების შემდგომი განვითარება შეიძლებოდა მომხდა-

რიყო მხოლოდ რუსეთისა და ევროპის მინის მრეწველობის ყველა მიღწევა-ს გათვალისწინებით, ე. ი. იმ დროის ტექნიკით აღჭურვილი ნამდვილი ქარხანა-ც მოწყობილი. ეს ასეც მოხდა. ღვარების მანუფაქტურული საწარმოს დახურვა-დან რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ 1882 წელს, ბორჩალოს მაზრაში ამოქმედდა იმ დროისათვის საკმაოდ დიდი მინის ქარხანა, რომელიც, როგორ-ც მაშინ წერდნენ, „სავსებით ევროპულ ყაიდაზე იყო მოწყობილი". ეს ქარხანა ეკუთვნოდა გერმანელ კაპიტალისტს ბარონ კუჩენბახს. ქარხანა წელიწადში ამზადებდა 300 ათას ღვინის ბოთლს, 200 ათას ლამპის შუშას, 200 ათას საფ-თიაქო შუშას, 100 ათას მინის სურას და ა. შ. მთელი ეს ნაწარმი საქართვე-ლოსა და ამიერკავკასიაში საღდებოდა.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრების წინსვლისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო გზე-ბის გაუმჯობესება. მეფის მთავრობა მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდა საქართველოში გზების მშენებლობასა და შეკეთებაზე. ეს მას სჭირდებოდა, ერთი მხრივ, სტრატეგიული მიზნებისათვის, ე. ი. ირანსა და თურქეთთან ომების წარმატებით წარმოებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, თვით საქართვე-ლოს ბუნებრივი სიმდიდრის ასათვისებლად და მის ბაზრებზე რუსეთის საქ-ონლის შესატანად. რკინიგზების გაყვანამდე რუსეთ-საქართველოს შორის მიმოსვლა უმთავრესად საქართველოს სამხედრო გზით ხდებოდა. ამ გზის შე-კეთებასა და შენახვაზე დიდძალი სახსრები იხარჯებოდა. 50-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რუსეთისა და საქართველოს დაკავშირ-ებას აგრეთვე შავი ზღვის გზით: ქ. ფოთიდან მდ. რიონზე ორპირამდე მოეწყო ორთქლის გემების რეგულარული მიმოსვლა.

50—60-იან წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა კავშირგაბმულობა: გა-ფართოვდა საფოსტო სადგურების ქსელი, მოეწყო ტელეგრაფი. 70-იანი წლე-ბის დამდეგისათვის საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მთავარი ქა-ლაქები უკვე ტელეგრაფით იყვნენ დაკავშირებული ერთიმეორესთან და რუ-სეთის სამრეწველო ცენტრებთანაც.

საკმაოდ განვითარდა აგრეთვე საქართველოს ადგილობრივი გზები, რომ-ლებიც ერთიმეორესთან აკავშირებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს: მაგისტრალური საფოსტო გზა, რომელიც სოხუმიდან ყულევის, ქუთაისის, სი-მონეთის, ხარაგოულის, სურამისა და გორის გამოვლით თბილისამდე მოდი-ოდა, ბევრგან იტოტებოდა და უკავშირდებოდა ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ქა-ლაქებსა და დასახლებულ პუნქტებს: ზუგდიდს, ფოთს, ოზურგეთს, ონს, საჩხერეს, ბაღდადს და მრავალ სხვას. გორიდან საფოსტო გზა, ბორჯომის გავ-ლით, ახალციხემდე მიდიოდა. 1861 წელს დაიწყო ახალი გზის მშენებლობა თელავისაკენ, გომბორზე გავლით. 70-იან წლებში საურმე გზა გაიყვანეს ზე-კარის უღელტეხილზე, რომელიც ქუთაისს ახალციხესთან აკავშირებდა. იმავე ხანებში გააუმჯობესეს გზა, რომელიც თბილისიდან მანგლისსა და წალკაზე გავლით ახალქალაქამდე მიდის. ყველა ამ გზას მრავალი შტო ჰქონდა. თი-თქმის მთელი საქართველო დაისერა გზებით.

მანუფაქტურიდან მანქანურ. ინდუსტრიაზე გადასვლა. სამრეწველო გადატრიალება

კაპიტალიზმის მანუფაქტურულმა პერიოდმა, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს საქართველოში XIX საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში მიაღწია, მოამზადა პირობები კაპიტალიზმის მესამე, უმაღლესი სტადიისათვის — მანქანური ინდუსტრიისათვის.

მანუფაქტურიდან მანქანურ ანუ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასვლა საქართველოში XIX საუკუნის 70—80-იან წლებში ხდება. მას შემდეგ, წარმოებაში გაბატონებულ ხელით შრომას თანდათან სცვლის მანქანა, რომელიც წარმოების წამყვანი ძალა ხდება. ეს იწვევს ნამდვილ ტექნიკურ გადატრიალებას საქართველოს მრეწველობაში და, ამასთანავე, მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნას.

კაპიტალისტური ფაბრიკა ეწოდება ისეთ დიდ წარმოებას, რომელიც დამყარებულია დაქირავებული მუშების ექსპლუატაციაზე და ამზადებს საქონელს მანქანათა სისტემის გამოყენებით. ასეთი ფაბრიკები და ქარხნები საქართველოში პირველად უცხოელმა მრეწველებმა აამენეს. ჯერ კიდევ 1851 წელს კაპიტალისტმა შტუსემ თბილისში აამუშავა მექანიკური ქარხანა, რომელშიც ევროპიდან მოტანილი მანქანები იდგა. იმავე ხანებში თბილისში გაიხსნა თუჯის ნაკეთობათა ჩამოსასხმელი ქარხანა, ხოლო 1865 წელს ინგლისელმა კაპიტალისტმა რუქსმა გახსნა დიდი მექანიკური ქარხანა. 1863 წელს უცხოელმა კაპიტალისტებმა ბოლნისის ხეობაში (სოფ. ჩათახში) ცნობილი რკინის მადნის ბაზაზე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლები ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ამუშავებდნენ, ააშენეს რკინისა და თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც წლიურად 65.000 ფუთ თუჯს იძლეოდა.

70-იანი წლების დამდეგს საქართველოს მრეწველობის განვითარებაში დაიწყო ახალი ხანა: სწრაფად და ფართო მასშტაბით განვითარდა ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზების მშენებლობა, აგრეთვე სამთამადნო მრეწველობა და საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას. მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლის ეს პროცესი ნიშნავდა სამრეწველო გადატრიალებას, რომელიც ჩვენში სულ რაღაც ორი ათეული წლის განმავლობაში მოხდა. ამ გადატრიალებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

1872 წლის მეორე ნახევარში დაიწყო მატარებლების რეგულარული მოძრაობა ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე. 1877 წელს სადგურ რიონიდან გაყვანილ იქნა რკინიგზის ხაზი ქუთაისამდე და, ამრიგად, დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი ქუთაისი რკინიგზით დაუკავშირდა, ერთი მხრივ, საქართველოს დედაქალაქს თბილისს, ხოლო მეორე მხრივ — შავ ზღვას. 1883 წელს დამთავრდა რკინიგზის გაყვანა ბათუმ-სამტრედიასა და თბილისი-ბაქოს შორის, რითაც რკინიგზის ხაზი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაიჭიმა. 1886 წელს რკინიგზა გაყვანილ იქნა აგრეთვე ქუთაისიდან ტყიბულამდე.

რკინიგზებმა დააახლოვა და ეკონომიურად შეაკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, დააჩქარა აღებ-მიცემის განვითარება და წიაღისეული

რიყო მხოლოდ რუსეთისა და ევროპის მინის მრეწველობის ყველა მიღწევა-ს გათვალისწინებით, ე. ი. იმ დროის ტექნიკით აღჭურვილი ნამდვილი ქარხანა მოწყობით. ეს ასეც მოხდა. ღვარების მანუფაქტურული საწარმოს დახურვა-დან რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ 1882 წელს, ბორჩალოს მაზრაში ამოქმედდა იმ დროისათვის საკმაოდ დიდი მინის ქარხანა, რომელიც, როგორ-კ მაშინ წერდნენ, „სავსებით ევროპულ ყაიდაზე იყო მოწყობილი". ეს ქარხანა ეკუთვნოდა გერმანელ კაპიტალისტს ბარონ კუჩენბახს. ქარხანა წელიწადში ამზადებდა 300 ათას ღვინის ბოთლს, 200 ათას ლამპის შუშას, 200 ათას საფ-თიაქო შუშას, 100 ათას მინის სურას და ა. შ. მთელი ეს ნაწარმი საქართვე-ლოსა და ამიერკავკასიაში საღდებოდა.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრების წინსვლისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო გზ-ების გაუმჯობესება. მეფის მთავრობა მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდა სა-ქართველოში გზების მშენებლობასა და შეკეთებაზე. ეს მას სჭირდებოდა, ერთი მხრივ, სტრატეგიული მიზნებისათვის, ე. ი. ირანსა და თურქეთთან ომების წარმატებით წარმოებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, თვით საქართვე-ლოს ბუნებრივი სიმდიდრის ასათვისებლად და მის ბაზრებზე რუსეთის სა-ქონლის შესატანად. რკინიგზების გაყვანამდე რუსეთ-საქართველოს შორის მიმოსვლა უმთავრესად საქართველოს სამხედრო გზით ხდებოდა. ამ გზის შე-კეთებასა და შენახვაზე დიდძალი სახსრები იხარჯებოდა. 50-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რუსეთისა და საქართველოს დაკავშირე-ბას აგრეთვე შავი ზღვის გზით: ქ. ფოთიდან მდ. რიონზე ორპირამდე მოეწყო ორთქლის გემების რეგულარული მიმოსვლა.

50—60-იან წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა კავშირგაბმულობა: გა-ფართოვდა საფოსტო სადგურების ქსელი, მოეწყო ტელეგრაფი. 70-იანი წლე-ბის დამდეგისათვის საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მთავარი ქა-ლაქები უკვე ტელეგრაფით იყვნენ დაკავშირებული ერთიმეორესთან და რუ-სეთის სამრეწველო ცენტრებთანაც.

საკმაოდ განვითარდა აგრეთვე საქართველოს ადგილობრივი გზები, რომ-ლებიც ერთიმეორესთან აკავშირებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს: მაგისტრალური საფოსტო გზა, რომელიც სოხუმიდან ყულევის, ქუთაისის, სი-მონეთის, ხარაგოულის, სურამისა და გორის გამოვლით თბილისამდე მოდი-ოდა, ბევრგან იტოტებოდა და უკავშირდებოდა ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ქა-ლაქებსა და დასახლებულ პუნქტებს: ზუგდიდს, ფოთს, ოზურგეთს, ონს, საჩხერეს, ბაღდადს და მრავალ სხვას. გორიდან საფოსტო გზა, ბორჯომის გავ-ლით, ახალციხემდე მიდიოდა. 1861 წელს დაიწყო ახალი გზის მშენებლობა თელავისაკენ, გომბორზე გავლით. 70-იან წლებში საურმე გზა გაიყვანეს ზე-კარის უღელტეხილზე, რომელიც ქუთაისს ახალციხესთან აკავშირებდა. იმავე ხანებში გააუმჯობესეს გზა, რომელიც თბილისიდან მანგლისსა და წალკაზე გავლით ახალქალაქამდე მიდის. ყველა ამ გზას მრავალი შტო ჰქონდა. თი-თქმის მთელი საქართველო დაისერა გზებით.

მანუფაქტურიდან მანქანურ. ინდუსტრიაზე გადასვლა. სამრეწველო გადატრიალება

კაპიტალიზმის მანუფაქტურულია პერიოდმა, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს საქართველოში XIX საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში მიაღწია, მოამზადა პირობები კაპიტალიზმის მესამე, უმაღლესი სტადიისათვის — მანქანური ინდუსტრიისათვის.

მანუფაქტურიდან მანქანურ ანუ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასვლა საქართველოში XIX საუკუნის 70—80-იან წლებში ხდება. მას შემდეგ, წარმოებაში გაბატონებულ ხელით შრომას თანდათან სცვლის მანქანა, რომელიც წარმოების წამყვანი ძალა ხდება. ეს იწვევს ნამდვილ ტექნიკურ გადატრიალებას საქართველოს მრეწველობაში და, ამასთანავე, მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნას.

კაპიტალისტური ფაბრიკა ეწოდება ისეთ დიდ წარმოებას, რომელიც დამყარებულია დაქირავებული მუშების ექსპლუატაციაზე და ამზადებს საქონელს მანქანათა სისტემის გამოყენებით. ასეთი ფაბრიკები და ქარხნები საქართველოში პირველად უცხოელმა მრეწველებმა ააშენეს. ჯერ კიდევ 1851 წელს კაპიტალისტმა შტუსემ თბილისში აამუშავა მექანიკური ქარხანა. რომელშიც ევროპიდან მოტანილი მანქანები იდგა. იმავე ხანებში თბილისში გაიხსნა თუჯის ნაკეთობათა ჩამოსასხმელი ქარხანა, ხოლო 1865 წელს ინგლისელმა კაპიტალისტმა რუქსმა გახსნა დიდი მექანიკური ქარხანა. 1863 წელს უცხოელმა კაპიტალისტებმა ბოლნისის ხეობაში (სოფ. ჩათახში) ცნობილი რკინის მადნის ბაზაზე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლები ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ამუშავებდნენ, ააშენეს რკინისა და თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც წლიურად 65.000 ფუთ თუჯს იძლეოდა.

70-იანი წლების დამდეგს საქართველოს მრეწველობის განვითარებაში დაიწყო ახალი ხანა: სწრაფად და ფართო მასშტაბით განვითარდა ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზების მშენებლობა, აგრეთვე სამთამადნო მრეწველობა და საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას. მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლის ეს პროცესი ნიშნავდა სამრეწველო გადატრიალებას, რომელიც ჩვენში სულ რაღაც ორი ათეული წლის განმავლობაში მოხდა. ამ გადატრიალებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

1872 წლის მეორე ნახევარში დაიწყო მატარებლების რეგულარული მოძრაობა ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე. 1877 წელს სადგურ რიონიდან გაყვანილ იქნა რკინიგზის ხაზი ქუთაისამდე და, ამრიგად, დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი ქუთაისი რკინიგზით დაუკავშირდა, ერთი მხრივ, საქართველოს დედაქალაქს თბილისს, ხოლო მეორე მხრივ — შავ ზღვას. 1883 წელს დამთავრდა რკინიგზის გაყვანა ბათუმ-სამტრედიასა და თბილისი-ბაქოს შორის, რითაც რკინიგზის ხაზი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაიჭიმა. 1886 წელს რკინიგზა გაყვანილ იქნა აგრეთვე ქუთაისიდან ტყიბულამდე.

რკინიგზებმა დააახლოვა და ეკონომიურად შეაკავშირა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, დააჩქარა აღებ-მიცემის განვითარება და წიაღისეული

სიმდიდრის მოპოვება-დამუშავება, გამოაცოცხლა ცხოვრება. რკინიგზების მშენებლობას თან სდევდა სამთამადნო მრეწველობის სწრაფი განვითარება. განსაკუთრებით ფართოდ 70-იან და 80-იან წლებში დაწინაურდა ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობა.

ქვანახშირის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცა ტყიბულის საბადო. 70-იან წლებამდე ტყიბულის ქვანახშირს იყენებდნენ შავი ზღვის ფლოტის გემებზე საწვავად და აგრეთვე საქართველოს ქალაქებში შენობების გასათბობად, მაგრამ, უგზოობის გამო, ქვანახშირის მიზიდვა მოხმარების ადგილებამდე ძალიან ძვირი ჯდებოდა, რაც საგრძნობლად აფერხებდა ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას. რკინიგზების გაყვანის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა: გადაზიდვის ხარჯები დიდად შემცირდა და ამის შედეგად გაიზარდა მოთხოვნილება ქვანახშირზე. გარდა ამისა, ახლა აუარებელი ქვანახშირი სჭირდებოდა უკვე თვით რკინიგზას ორთქლმავლებისათვის. ასე შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ქვანახშირის ამოღების გასაფართოებლად. ამის შედეგი ის იყო, რომ თუ 1870 წელს ტყიბულში ამოღებულ იქნა მხოლოდ 145.000 ფუთი ქვანახშირი, 1880 წელს ამოიღეს 320.000 ფუთი, ხოლო 1890 წელს — 600.000 ფუთი. რკინიგზის გაყვანამ გააადვილა აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. მაგალითად, 1887 წელს ტყიბულში გაყვანილ იქნა პირველი საბრემსბერგო გზა, რომლის სიგრძე 720 საჟენს უდრიდა. მიუხედავად ამისა, ქვანახშირის ამოღების ტექნიკა იმ ხანად ჯერ კიდევ მაინც მეტად პრიმიტიული იყო.

70-იან წლებში მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მეტალურგიის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით არაჩვეულებრივ გაიზარდა მოთხოვნილება მარგანეცზე ანუ შავ ქვაზე. ამ ძვირფასი მადნის დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის საბადო ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში იქნა აღმოჩენილი ჭიათურის მიდამოებში (სოფლების რგანის, ზედა რგანის, პერევისის, შუქრუთის, მღვიმევის, დარკვეთისა და სხვ. ტერიტორიაზე). მაგრამ მისი სამრეწველო დამუშავება დაიწყო მხოლოდ 1879 წელს. მარგანეცის მოპოვება იმთავითვე უმაგალითო სისწრაფით ვითარდებოდა. 1879 წელს ამოღებულ იქნა 51.000 ფუთი მარგანეცი, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ე. ი. 1880 წელს, მარგანეცის ამოღებამ მიაღწია 254.000 ფუთს, 1885 წელს — 1.756.000 ფუთს, 1890 წელს კი 10.468.000 ფუთს. მარგანეცის წარმოება საქართველოს სამთამადნო მრეწველობის წამყვან დარგად იქცა. ჭიათურის მარგანეცმა უაღრესად ფართო გამოყენება ჰპოვა არა მარტო რუსეთის მზარდ მრეწველობაში, არამედ აგრეთვე ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების მრეწველობაში. ქართულმა მარგანეცმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა მსოფლიო ბაზარზე. 1892 წელს საქართველოში მოპოვებული მარგანეცი შეადგენდა მარგანეცის მსოფლიო მოპოვების 38,2 პროცენტს, ხოლო ქართული მარგანეცის ექსპორტი — მარგანეცის მსოფლიო ექსპორტის 53,8 პროცენტს.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის (ისევე როგორც მთელი ამიერკავკასიისათვის) აგრეთვე ბაქოს ნავთის მრეწველობის გან-

ვითარებას 70—80-იან წლებში. აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთობის მოპოვებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ XIX საუკუნის 70-იან წლებამდე ნავთობს აქ მცირე რაოდენობით იღებდნენ და ბაქოს მრეწველობას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. 70-იანი წლებიდან დაწყებული, და განსაკუთრებით კი ბაქო-ბათუმს შორის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ბაქოს ნავთის მრეწველობა ზღაპრული სისწრაფით ვითარდება. თუ 1850 წელს ბაქოში ამოღებული იქნა 260.000 ფუთი ნავთი, ხოლო 1862 წელს 340.000 ფუთი, სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან ნავთის ამოღების ზრდა შემდეგ სურათს გვაძლევს: 1872 წელს ამოღებულ იქნა 1.500.000 ფუთი ნავთი, 1873 წელს — 3.000.000 ფუთი, 1876 წელს — 10.000.000 ფუთი, 1885 წელს — 116.000.000 ფუთი, ხოლო 1890 წელს — 242.900.000 ფუთი. დაიწყო ნავთის ნამდვილი ციებცხელება. ნავთის მრეწველობაში აბანდებდნენ თავიანთ კაპიტალს არა მარტო ადგილობრივი მრეწველები (მირზოევი, კოკორევი, გუბუნინი, ზუბალაშვილი, ბეგთაბეგოვი, ლიანოზოვი, ბენკენდორფი, მურომცევი, ერისთავი, ტერ-აკოფოვი, ჯაყელი და სხვ.), არამედ აგრეთვე ევროპის უდიდესი კაპიტალისტები — „ფულის მეფეები“ — ძმები ნობელები, როტშილდი და სხვები, რომლებმაც შეავიწროვეს ადგილობრივი (აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და ქართველი) კაპიტალისტები და ხელთ იგდეს ბაქოს ნავთის მრეწველობის დიდი ნაწილი. ბაქოს ნავთმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიჭირა მსოფლიო ბაზარზე, სადაც ის წარმატებით უწევდა მეტოქეობას ამერიკულ ნავთს.

ბაქოს ნავთის მრეწველობის განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი მრეწველობის ზრდას ქალაქ ბათუმში. მას შემდეგ, რაც ბათუმი რკინიგზით თბილისსა და ბაქოს დაუკავშირდა, იქ სწრაფად გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი. განსაკუთრებით ფართოდ ვითარდებოდა მრეწველობის ის დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ბაქოდან მიღებული ნავთის საზღვარგარეთ ექსპორტთან.

თუ რამდენად სწრაფად იზრდებოდა ბათუმიდან ნავთისა და ნავთობის სხვა ნაწარმის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე, ეს კარგად ჩანს შემდეგი ციფრებიდან: 1883 წელს ბათუმიდან გატანილ იქნა 3.349.000 ფუთი ნავთი და ნავთობის დანარჩენი პროდუქტები, 1885 წელს — 10.409.000 ფუთი, ხოლო 1891 წელს — 48.872.000 ფუთი. ბათუმიდან გატანილ ნავთს უდიდესი ადგილი ეჭირა მსოფლიო ბაზარზე. მაგალითად, 1888 წელს ბათუმიდან გატანილი ნავთი შეადგენდა ნავთის მსოფლიო მოხმარების 21,2 პროცენტს. ნავთის შესანახად კაპიტალისტებმა ბათუმში ააშენეს უზარმაზარი რკინის რეზერვუარები, რომლებშიც მილიონობით ფუთი ნავთი ისხმებოდა. საზღვარგარეთ ნავთი გაჰქონდათ ჩასასხმელი გემებით, კასრებითა და თუნუქის ბიდონებით, რომლებსაც ხის ყუთებში აწყობდნენ. ამასთან დაკავშირებით ფართოდ განვითარდა ნავთის საექსპორტო ჰურჭლის (ბიდონებისა და ყუთების) წარმოება. ბიდონები კეთდებოდა თეთრი თუნუქისაგან, რომელიც საზღვარგარეთიდან (ინგლისიდან) შემოჰქონდათ. მთელ რუსეთში საზღვარგარეთიდან შემოტანილი თუნუქის უდიდესი ნაწილი ბათუმის მრეწველობას ხმარდებოდა. მაგალითად, 1889 წელს რუსეთში შემოტანილ იქნა 1.076.724 ფუთი თუნუქი და აქედან 1.059.161 ფუთი მარტო ბათუმის მრეწველობას მოხმარდა. ყუთებისა-

თვის საჭირო იყო აუარებელი ხე-ტყე, რომელიც ბათუმში მიჰქონდათ ერ-
გორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, ისე რუსეთიდან და საზღვარ-
გარეთიდან. განსაკუთრებით ბევრი ხის მასალა შემოჰქონდათ ავსტრიიდან.
საიდანაც მას ეზიდებოდნენ ჯერ რკინიგზით ოდესამდე, ხოლო შემდეგ გე-
მებით ბათუმამდე. 1890 წელს ბათუმში გემებით შემოტანილ იქნა 2.700.000
ფუთი ხე-ტყე.

საექსპორტო ჯურჯლის პირველი ქარხანა ბათუმში ააშენეს 1883 წელს.
კაპიტალისტებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ. ეს ქარხანა მოწყობილი იყო ტექ-
ნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. იგი ყოველდღიურად ამზადებდა 12.000
ბიდონს და 6.000 ხის ყუთს. 1886 წელს ქარხანა როტშილდის ხელში გადავიდა
და კიდევ უფრო გაფართოვდა. 1891 წელს იგი უკვე ყოველდღიურად ამზა-
დებდა 36.000 ბიდონსა და 18.000 ხის ყუთს. მასში 150-ზე მეტი მექანიკური
დაზგა იდგა და წარმოების ძირითადი პროცესები მექანიზაციაქმნილი იყო.
ქარხანას ჰქონდა აგრეთვე სპილენძის სადნობი ღუმელი. სამკედლო ბრძმედები
და მრავალი სხვა ტექნიკური მოწყობილობა. ქარხანა ყოველწლიურად ხარ-
ჯავდა 150.000 ფუთ ქვანახშირს (ტყიბულისას) და აგრეთვე 1000 კუბ. საჟენ
შეშას. მასში ერთდროულად 1300-ზე მეტი მუშა მუშაობდა. ამ ქარხნის გარ-
და, იმავე 80-იან წლებში ბათუმში აშენდა ათამდე დიდი ქარხანა, რომლებიც
აგრეთვე ნავთის საექსპორტო ჯურჯლს ამზადებდნენ. მათი ყოველდღიური
პროდუქცია უდრიდა დაახლოებით 100.000 ბიდონს და 60.000 ხის ყუთს. ოფ-
ნუქისა და ხე-ტყის გარდა, ნავთის საექსპორტო ჯურჯლის წარმოებისათვის
საჭირო იყო აგრეთვე დიდძალი ლურსმანი, მავთული, მარილ-მჟავა, კალა,
თუთია, ტყვია და სპილენძი. ეს მასალები შემოჰქონდათ რუსეთიდან, საფრან-
გეთიდან, ინგლისიდან და ევროპის სხვა ქალაქებიდან. ამრიგად, ბათუმს უკვე
გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთისა და ევროპის
დიდ სამრეწველო ცენტრებთან.

იმ ხანებში საკმაოდ ფართოდ ვითარდებოდა ჩვენში აგრეთვე მსუბუქი
მრეწველობა, რომელშიც სწრაფად მიმდინარეობდა სამრეწველო გადატრია-
ლების პროცესი. 70-იან და 80-იან წლებში მანქანური წარმოება იქცევა მსუ-
ბუქი მრეწველობის ნამდვილ საფუძვლად და მანუფაქტურათა ადგილს თან-
დათან ფაბრიკა-ქარხნები იპერს. 1870 წელს მდიდარმა ვაჭარმა გ. მირზოევმ
თბილისში აამუშავა დიდი საფეიქრო ფაბრიკა, რომელიც მოწყობილი იყო
უახლესი ტექნიკის საფუძველზე. ამ ფაბრიკაში მოქმედებდა ინგლისიდან ჩა-
მოტანილი ორთქლის მანქანები, 300 საფეიქრო დაზგა და 11.000 თითისტარი.
ფაბრიკა ქსოვდა მიტკალს, რიფსს, ფანელს, ტილოს. იქ 600-ზე მეტი მუშა
შრომობდა. 1875 წელს თბილისში კაპიტალისტმა გ. ადელხანოვმა ააშენა ტყვა-
ვის გადამმუშავებელი დიდი ფაბრიკა, რომელშიც აგრეთვე ორთქლის ქვაბები
მუშაობდა. ქარხანა ტექნიკურად კარგად იყო მოწყობილი. ქარხანასთან 1885
წლიდან გაიხსნა ფეხსაცმლის საკერავი მექანიკური სახელოსნო, რომელიც
წლიურად 50.000 ჩექმას ამზადებდა. 70-იანი წლების ბოლოდან მანქანა
შეიჭრა აგრეთვე აგურის მრეწველობაში. 80-იან წლებში თამბაქოს გადამმუშა-
ვებელ მანუფაქტურებს შეენაცვლა თამბაქოს დიდი ფაბრიკები. თამბაქოს გა-
დასამუშავებელ წარმოებაში ტექნიკური გადატრიალება გამოიწვია მექანიკურ-

მა საკრელმა დაზგამ, რომელსაც თან მოჰყვა ორთქლისა და ბენზინის (შიდაწვის) ძრავების გამოყენება. იმავე ხანებში მექანიზაციამ ფეხი მოიკიდა აგრეთვე ხე-ტყის მრეწველობაში.

ასე თანდათან დაიპყრო მანქანურმა წარმოებამ მრეწველობის სხვადასხვა დარგი, მოახდინა ტექნიკური გადატრიალება მრეწველობაში და დასაბამი მისცა ქვეყნის კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას.

მრეწველობის ზიდდგომი განვითარება. ქალაქების ზრდა

90-იან წლებში საქართველოში ხდება საფაბრიკო-საქარხნო და სამთამადნო მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარება, რკინიგზის ხაზების გაფართოვება, ქალაქების სწრაფი ზრდა. ამასთანავე, იმ დროის მრეწველობის წამყვან დარგებს ახასიათებს წარმოების კონცენტრაციის პროცესი.

90-იან წლებამდე ამიერკავკასიის რკინიგზის ნორმალურ მუშაობას დიდად აფერხებდა წიფის გვირაბის დაუმთავრებლობა. წიფის გვირაბი გაიხსნა 1890 წლის 1 აპრილს. მას შემდეგ დიდად გაძლიერდა ტვირთის ზიდვა ბაქო-ბათუმსა და თბილისი-ბათუმ-ფოთს შორის. 1894 წელს გაიხსნა ხაშურ-ბორჯომის რკინიგზის ხაზი, რამაც ხელი შეუწყო ბორჯომის ხეობის მდიდარი ტყეების სამრეწველო დამუშავებას. 1895 წელს დამთავრდა რკინიგზის ეიწროლიანდაგიანი ხაზის მშენებლობა შორაპანსა და ჭიათურას შორის.

საქართველოს სამთამადნო მრეწველობამ 90-იან წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. მრეწველობის ამ დარგში მთავარი ადგილი წინანდებურად ქვანახშირსა და მარგანეცს ეჭირა. სულ ათიოდე წლის განმავლობაში ტყიბულში ქვანახშირის ამოღებამ რამდენჯერმე იმატა. თუ 1890 წელს ამოღებული იყო 600.000 ფუთი ქვანახშირი, 1900 წელს ამოღებამ უკვე 3.875.000 ფუთს მიაღწია. კიდევ უფრო სწრაფად ვითარდებოდა მარგანეცის მრეწველობა: 1890 წელს მოპოვებული იყო 10.468.000 ფუთი მარგანეცი, 1894 წელს—11.118.000 ფუთი, 1898 წელს—16.259.000 ფუთი, 1899 წელს—34.052.000 ფუთი, ხოლო 1900 წელს — 40.363.000 ფუთი. იმ ხანებში ჭიათურაში მოპოვებული მარგანეცი ამ მადნის მთელი მსოფლიო მოპოვების 45,4 პროცენტს უდრიდა. რუსეთს გარდა, ჭიათურის მარგანეცის ძირითადი მომხმარებლები იყვნენ ისეთი კაპიტალისტური სახელმწიფოები, როგორიცაა: გერმანია, ინგლისი, ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები, ჰოლანდია, ბელგია, საფრანგეთი, ავსტრო-უნგრეთი და სხვები. 90-იანი წლების ბოლოდან მოკიდებული საგრძნობლად გაუმჯობესდა მარგანეცის ამოღებისა და გაწმენდის ტექნიკა: გაკეთდა ბრემსბერგები და საჰაერო გზა, მაღაროდან წყლის ამოსაქაჩი ახალი მოწყობილობა; შემოვიდა ელექტრონით განათება; აშენდა პირველი მადნის სარეცხი (გამამდიდრებელი) ქარხნები და სხვ.

იმავე ხანაში განვითარების მნიშვნელოვან დონეს მიაღწია საქართველოს მსუბუქმა და საშენ მასალათა მრეწველობამ. განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა თამბაქოსა და ტყავის გადამმუშავებელი მრეწველობა. 1896 წელს საქართველოში მუშაობდა თამბაქოს 10 დიდი ფაბრიკა (თბილისში, ქუთაისსა და

ბათუმში), რომელთა წლიური პროდუქცია 1.350.000 მანეთს აღემატებოდა. თამბაქოს მრეწველობაში ხელის დაზგების ნაცვლად ფართოდ დაინერგა ორთქლისა და გაზის ძრავებით მომუშავე დაზგები. 90-იანი წლებიდან მოკიდებული, საქართველოს თამბაქოს მრეწველობა წარმატებით უწევდა მეტოქეობას და ავიწროებდა სამხრეთ რუსეთის (მაგალითად, როსტოვის) თამბაქოს ფაბრიკების ნაწარმს. საქართველოში დამზადებული თამბაქოს მზა ნაწარმი მრავლად გაჰქონდათ არა მარტო რუსეთის იმპერიის გუბერნიებში, არამედ უცხოეთშიც— ირანში, თურქეთში, ეგვიპტესა და სხვაგან. ასევე წარმატებით ვითარდებოდა ტყავის გადამმუშავებელი მრეწველობა. განსაკუთრებით განთქმული იყო გ. ადელხანოვის ფირმა, რომელშიც 1500 კაცი მუშაობდა. ამ ფირმამ რუსეთის სამრეწველო გამოფენებზე რამდენჯერმე (1882, 1890, 1896 წლებში) მიიღო ოქროსა და ვერცხლის მედლები. მისი წლიური პროდუქცია 2 მილიონ მანეთს აღემატებოდა. ტყავის მრეწველობაში განუწყვეტლივ ხორციელდებოდა ტექნიკური გაუმჯობესება. 1891 წლიდან შემოღებულ იქნა ტყავის ელექტრული თრიმვლა. საშენ მასალათა მრეწველობაში განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა აგურის მექანიზაციაქმნილი წარმოება. დიდი რაოდენობით მზადდებოდა სტანდარტული აგური თბილისში, სადაც აგურის მრავალი ქარხანა მუშაობდა. აგურის წარმოებაში საწვავ მასალად იყენებდნენ უმთავრესად მაზუთს, რის გამოც აგურის ქარხნებში იდგმებოდა ორთქლის ქვაბები. საგრძნობლად განვითარდა იმ ხანაში აგრეთვე ხე-ტყის მრეწველობა: 1897 წელს საქართველოში 100-ზე მეტი სახერხი ქარხანა იყო. ამ ქარხნების უმეტესობა წარმოადგენდა მცირე საწარმოებს, რომლებშიც 10—15 მუშა შრომობდა და თითო ქვაბიანი ლოკომობილი და ერთი ან ორი სახერხი დაზგა იდგა.

მრეწველობის წამყვან დარგებში სულ უფროდაუფრო ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა ტექნიკური პროგრესი. ამ მხრივ, თბილისთან ერთად, დიდ წარმატებას მიაღწია ბათუმის მრეწველობამ. ბათუმის ნავთის ჰურჭლის წარმოებაში იმ დროს ფართოდ დაინერგა გაუმჯობესებული მანქანები და ორთქლის ძრავები, ხოლო შემდეგ — ელექტროენერგიაც. ბათუმის მრეწველობის მაგალითზე კარგად ჩანს წარმოების კონცენტრაციის პროცესი, რაც მაშინ ხდებოდა საქართველოს მრეწველობაში. კაპიტალისტებს შორის გაჩაღებულ საკონკურენციო ბრძოლას შედეგად ის მოჰყვა, რომ თუ 1890 წელს ბათუმში 36 ნავთის სავაჭრო-საექსპორტო ფირმა და ნავთის ჰურჭლის 45 ქარხანა და სახელოსნო იყო, 90-იანი წლების მიწურულისათვის წვრილი ფირმების დიდი უმრავლესობა განადგურდა და ნავთის ჰურჭლის წარმოება, ისევე როგორც ნავთის ექსპორტი, თითქმის მთლიანად იგდეს ხელთ ისეთმა უდიდესმა ფირმებმა, როგორიც იყო როტშილდის, ძმ. ნობელების, მანთაშევისა და სხვ. ფირმები. მძაფრი საკონკურენციო ბრძოლისა და წარმოების კონცენტრაციის ასეთივე პროცესი, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციასთან, მიმდინარეობდა მარგანეცის მრეწველობაშიც. 90-იან წლებში განუხრელად იზრდებოდა მსხვილი კაპიტალის ხვედრითი წონა მარგანეცის მოპოვებასა და ექსპორტში, ხოლო წვრილი კაპიტალისტები თანდათან ნადგურდებოდნენ და მათი ხვედრითი წონა მარგანეცის მრეწველობაში განუწყვეტლივ კლებულობდა. წარმოების კონცენტრაციის ამ პროცესმა 90-იანი წლების ბო-

ლოსათვის წარმოშვა სწრაფვა თავისუფალი საკონკურენციო ბრძოლის შეზღუდვისა და მრეწველთა მონოპოლიური გაერთიანებისაკენ. 1896 წელს შეიქმნა ადგილობრივ მრეწველთა ორგანიზაცია „შავი ქვის მრეწველთა ყრილობა". მისი მუდმივი ორგანო იყო „შავი ქვის მრეწველთა საბჭო", რომლის მუშაობაში ჩაბმული იყო დასავლეთ საქართველოს ბურჟუაზიული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ საბჭოს ინიციატივით შეიქმნა ადგილობრივ კაპიტალისტთა პირველი მონოპოლიური გაერთიანება — სინდიკატი „შავი ქვა". რომელიც 200-ზე მეტ ადგილობრივ მრეწველს აერთიანებდა. ამ გაერთიანების ძირითადი მიზანი იყო საკონკურენციო ბრძოლის შენელება და ადგილობრივი მრეწველების გასვლა მსოფლიო ბაზარზე უშუალოდ, უცხო კაპიტალის ჩაურევლად და მისთვის გვერდის ავლით. მაგრამ ეს სინდიკატი მალე დაიშალა, რადგან მან არათუ ვერ შეანელა, არამედ, პირიქით, უფრო გაამწვავა კონკურენცია დიდსა და წვრილ მრეწველებს შორის.

90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობამ და სავაჭრო ბრუნვის გაფართოებამ, აგრეთვე სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ გამოიწვიეს საქართველოს ქალაქების არაჩვეულებრივი სწრაფი ზრდა რეფორმისშემდგომ ხანაში, — კერძოდ, 80-იანსა და 90-იან წლებში. იმ ხანაში საქართველოს მოსახლეობა საერთოდ საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ქალაქის მოსახლეობა გაცილებით უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სოფლისა. 1866 წელს საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) მოსახლეობის რიცხვი უდრიდა 1.300.400 სულს, 1886 წელს — 1.731.500 სულს, ხოლო 1897 წელს — 2.034.700 სულს. ამასთანავე, მოსახლეობის ამ საერთო რიცხვში ქალაქის მოსახლეობის პროცენტი სულ უფროდაუფრო მატულობდა, სოფლის მოსახლეობისა კი კლებულობდა. ქალაქის მოსახლეობის ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა იმიტომ, რომ მრეწველობა სულ უფრო მეტად იზიდავდა სოფლის გაღატაკებულ გლეხობას, რომელსაც თავის სარჩენად სახსარი აღარა დარჩენოდა-რა, გარდა საკუთარი მარჯვენისა.

განსაკუთრებით გაიზარდა და განვითარდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც იმ დროს მთელი ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. თბილისში იმყოფებოდა კავკასიის მეფისნაცვალი მთელი თავისი უზარმაზარი სამხედრო აპარატითურთ. აქვე იყო საგუბერნიო დაწესებულებანი და მრავალრიცხოვანი სამხედრო ნაწილები. თბილისი გადაიქცა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სამრეწველო და სატრანსპორტო ცენტრად. ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა და, კერძოდ, სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი. მარტო რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში (რომლებიც 1883 წელს, ბაქო-ბათუმის რკინიგზის ხაზის გაყვანის დამთავრებასთან დაკავშირებით, ხაშურიდან თბილისში იქნა გადმოტანილი) 3 ათასზე მეტი მუშა მუშაობდა. თბილისის მცხოვრებთა საერთო რიცხვი 1865 წელს უდრიდა 71.051 სულს, 1897 წლისათვის კი 159.590 სულამდე ავიდა. თანდათან უმჯობესდებოდა საქალაქო მეურნეობა, კერძოდ. ტრანსპორტი და კანალიზაცია. შენდებოდა ქვის დიდი სახლები და ახალი ხიდები, ფართოვდებოდა წინანდელი ვიწრო ქუჩები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისმა საბოლოოდ დაჰკარგა ძველი, ფეოდალური ქალაქის სახე და იგი კაპიტალისტურ ქა-

ლაქად იქცა. 1861 წელს აშენდა თბილისის პირველი წყალსადენი, რომელმაც 27 წელიწადს გასძლო. 1887 წელს მეორე, უფრო დიდი (ავჭალის) წყალსადენი აშენდა. 1884 წელს რუსთაველის პროსპექტზე (მაშინ გოლოვინის პროსპექტი ერქვა) გაყვანილ იქნა ცხენის რკინიგზა, რომელიც ოციოდე წლის შემდეგ ელექტრო-რკინიგზამ, ტრამვაიმ შეცვალა.

დედაქალაქთან ერთად საგრძნობლად გაიზარდნენ და განვითარდნენ აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქები; წარმოიშვა ბევრი ახალი ქალაქი, სარკინიგზო კვანძი და დაბა.

საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის ზრდას თვალნათლივ გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: ქუთაისში 1865 წელს 11.807 მცხოვრები ითვლებოდა, 1897 წელს კი 32.476-ს მიაღწია; ბათუმში 1886 წელს ცხოვრობდა 14.803 სული, 1897 წელს კი — 28.512; გორში 1865 წელს — 5.054, 1897 წელს — 10.269; თელავში 1865 წელს — 7.240, 1897 წელს — 13.929; ფოთში 1865 წელს — 1.039, 1897 წელს — 7.666; სოხუმში 1865 წელს — 1612, 1897 წელს — 7.998; ოზურგეთში 1865 წელს — 700, 1897 წელს — 4.710, და ა. შ. თბილისის შემდეგ განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა დასავლეთ საქართველოს ცენტრი ქალაქი ქუთაისი, რომელიც გუბერნიის ცენტრს წარმოადგენდა. ქუთაისის მნიშვნელობამ კიდევ უფრო იმატა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარების შემდეგ. იმ ხანად ქუთაისში თავი მოიყარა დასავლეთ საქართველოს ბურჟუაზიული და დემოკრატიული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა და გამრავლდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი, საგრძნობლად გამოცოცხლდა ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. დიდი სისწრაფით განვითარდა ქალაქი ბათუმი, რომელიც თურქეთის უღლისაგან აჭარის განთავისუფლების დროისათვის სოფელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. ხოლო 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრად იქცა. მარგანეცის მრეწველობამ წარმოშვა ახალი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი — ჭიათურა, ხოლო მარგანეცის ექსპორტის გაუგონარი სისწრაფით ზრდამ გამოიწვია ქალაქ ფოთის გადაქცევა საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნავთსადგურად. რკინიგზის ტრანსპორტმა წარმოქმნა მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძები: ხაშური, ზესტაფონი, სამტრედია და სხვ., რომლებიც შემდეგ ქალაქებად იქცნენ.

ამრიგად, 70—80-იანი წლების მანძილზე საქართველოში ხდება სამრეწველო გადატრიალება და საფუძველი ეყრება კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას; მიმდინარეობს რკინიგზების სწრაფი მშენებლობა, სამთამადნო და მსუბუქი მრეწველობის ფართო განვითარება; ძველი, მანუფაქტურული მრეწველობის ადგილს, რომელიც ხელით შრომას ეყრდნობოდა, იჭერს ახალი, მანქანური წარმოება. რომლის საფუძველს შეადგენს მანქანა. 90-იან წლებში კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობს ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდა, ფართოვდება საფაბრიკო-საქარხნო და სამთამადნო მრეწველობა, იზრდება ქალაქები და საქალაქო მეურნეობა; კაპიტალისტური წარმოების წესი, რომელიც საქართველოში საბოლოოდ მკვიდრდება და გაბატონებული ხდება, გარკვევით ამჟღავნებს განვითარების ახალი, უმაღლესი სტადიის — მონოპოლისტური კაპიტალიზმის ანუ იმპერიალიზმის ნიშნებს. მრეწველობის ასეთი მასშტაბით განვითარება მრავალ

უდიდეს ცვლილებას იწვევს საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მრეწველობა საბოლოოდ ეთიშება მიწათმოქმედებას და ღრმავდება წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის; ქალაქი ბატონდება სოფელზე. კაპიტალიზმი, რომელიც იმ დროს მსოფლიო მასშტაბით შედის იმპერიალიზმის ხანაში, ჩვენშიც ამწვავებს ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოების ყველა წინააღმდეგობას და ქმნის ნიადაგს მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლისათვის.

საქართველოს მრეწველობის განვითაოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას ის წარმოადგენდა, რომ იგი დიდად იყო დამოკიდებული რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალზე. საქართველო იმ დროს ცარიზმის კოლონია იყო და რუსეთის ბურჟუაზია ლამობდა, საქართველოს მრეწველობა მეტროპოლიის მრეწველობის უბრალო დანამატად ექცია. თავის მხრივ, ევროპის კაპიტალისტები, რომლებიც თავისუფლად დაპარპაშობდნენ მეფის რუსეთის იმპერიაში, ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე და ამ გზით იაფი ნედლეული ეშოვნათ თავიანთი ქარხნებისათვის. ამით აიხსნება, რომ საქართველოს მრეწველობის განვითარება ცალმხრივ წარიმართა: ვითარდებოდა უპირატესად მრეწველობის ის დარგები, რომლებიც მეტროპოლიისა და უცხო ქვეყნების კაპიტალისტებისათვის იყო საჭარგებლო (მაგ., სამთამადნო მრეწველობა და მსუბუქი მრეწველობის ზოგი დარგი), ხოლო მძიმე მრეწველობა, რომელიც ყოველი დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია, თითქმის სრულიად არ ვითარდებოდა. ცარიზმი და უცხოეთის ბურჟუაზია ყოველნაირად უშლიდნენ ხელს საქართველოში მძიმე მრეწველობის განვითარებას, რის გამოც ჩვენში მანქანათმშენებლობა 90-იანი წლების ბოლოსაც კი ჯერ ისევ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ასე მოესპო საქართველოს დამოუკიდებელი ინდუსტრიული განვითარების საშუალება, რის გამოც იგი დიდხანს დარჩა აგრარულ ქვეყანად. საქართველოს მშრომელთა კოლონიური ექსპლუატაცია, რომელიც ხასიათდებოდა იმპერიალისტური ძარცვა-გლეჯისა და ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლუატაციის ყველაზე უფრო უხეში ფორმების შეერთებით, კიდევ უფრო ამწვავებდა სხვადასხვა წინააღმდეგობას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და ამით ნიადაგს უქმნიდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

§ 2. კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში

სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი გაცილებით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე მრეწველობაში. მიუხედავად ამისა, უკვე 50-60-იანი წლების მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობა მნიშვნელოვანი სიღრმით და მასშტაბით ვითარდებოდა. განსაკუთრებით სწრაფად ხდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება საქართველოს სოფელში რეფორმის შემდგომ ხანაში — 70-იანი წლების დასაწყისიდან 90-იანი წლების ბოლომდე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში

საქართველოს მიწათმოქმედების ისტორია არსებითად ბატონყმური საწარმო-ურთიერთობის ბურჟუაზიული ურთიერთობით შეცვლის ისტორიაა.

ვ. ლენინი ამბობდა: „ახალი სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც ჩვენში ბატონყმური ნაჭუჭიდან გამოდის, არის სავაჭრო მიწათმოქმედება და კაპიტალიზმი... სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა რუსეთში განუწყვეტლივ მიმდინარეობს, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, და ეს სავაჭრო მიწათმოქმედება გარდუვალად იქცევა კაპიტალისტურ მიწათმოქმედებად“.

დიდი ლენინის ეს სიტყვები სავსებით მიუდგება იმდროინდელ საქართველოსაც. კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ ხანაში საქართველოში არა მარტო მრეწველობა ეყოფოდა თანდათან მიწათმოქმედებას, არამედ თვით მიწათმოქმედებაშიც მიმდინარეობდა სხვადასხვა კუთხეთა სპეციალიზაცია კულტურებისა და დარგების მიხედვით და ამის გამო სწრაფად იზრდებოდა საქონლის გაცვლა-გამოცვლის საჭიროება, რაც, თავის მხრივ, სასაქონლო წარმოების გაფართოებას იწვევდა. სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის ნაწარმი სულ უფრო მეტი რაოდენობით იქცეოდა საქონლად: განუხრელად იზრდებოდა სავაჭრო მიწათმოქმედება, რომელიც თანდათან კაპიტალისტური ხდებოდა. რკინიგზების გაყვანამ და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ზრდამ კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში იმ დროს ყველაზე უფრო დიდი ადგილი **მარცვლეულის** (პურის, სიმინდის) მეურნეობას ეჭირა. პური განსაკუთრებით ბევრი ითესებოდა თბილისის გუბერნიაში (გორის, დუშეთის, თელავის, ახალქალაქის და სხვ. მაზრებში), სიმინდი კი ქუთაისის გუბერნიაში (ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, შორაპნის და სხვ. მაზრებში). ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სოფლიდან დიდძალი მარცვლეული გადიოდა არა მარტო შინაურ, არამედ მსოფლიო ბაზარზედაც. 90-იანი წლების დასაწყისში მარტო დასავლეთ საქართველოდან გაჰქონდათ მსოფლიო ბაზარზე წელიწადში საშუალოდ 5—6 მილიონი ფუთი სიმინდი.

მარცვლეულის შემდეგ ჩვენი მიწათმოქმედების უმნიშვნელოვანესი დარგი **მევენახეობა-მეღვინეობა** იყო. მევენახეობა-მეღვინეობის ძირითადი რაიონი იყო კახეთი (სიღნაღისა და თელავის მაზრები). კახური ღვინო განთქმული იყო მთელ ამიერკავკასიაში და არა მარტო ადგილობრივ ბაზრებზე ბატონობდა, არამედ რუსეთშიც საკმაოდ ბევრი იგზავნებოდა. 70-იანი წლებიდან სასაქონლო ღვინის წარმოება ფართოდ განვითარდა აგრეთვე ქართლსა და იმერეთში. განსაკუთრებით დაწინაურდა შორაპნის მაზრა, საიდანაც 80-იან წლებში სხვადასხვა ბაზრებზე რკინიგზით ყოველწლიურად საშუალოდ 250.000 ვედრო ღვინო იგზავნებოდა. მეღვინეობის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა იმერეთის სოფელი სვირი, რომლის მცხოვრებლები ღვინით ვაჭრობისაგან დიდ შემოსავალს იღებდნენ. კარგი ხარისხით სახელი გაითქვა რაჭის მაზრაში (ხვანჭკარის სასოფლო საზოგადოებაში) მოყვანილმა ღვინომ, ე. წ. „ყიფიანურმა“. მთელ საქართველოში იმ დროს საშუალოდ დაახლოებით 5—6 მილიონი ვედრო ღვინო მოდიოდა. აქედან დაახლოებით ერთ მესამედს მწარმოებელი თვითონვე მოიხმარდა, ორი მესამედი კი ბაზარზე გასაყიდად გადიოდა. ღვინის წარმოების ზრდასთან ერთად იზრდე-

ბოდა სასაქონლო სპირტისა და არაყის წარმოებაც. 1894 წელს საქართველოში მუშაობდა 700-ზე მეტი სპირტ-არაყის სახდელი ქარხანა, რომლებშიც 2.320 კაცი შრომობდა. ამ ქარხნებმა ერთ წელიწადში 55.899 ვედრო სპირტი და არაყი გამოხადეს.

ფართო ვაჭრობის საგნად იქცა **მეცხოველეობის** ნაწარმიც. მეცხოველეობას საქართველოს, განსაკუთრებით მთიანეთის, სოფლის მეურნეობაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ბაზარზე მრავლად გამოდიოდა სახორცე პირუტყვი, უმთავრესად ცხვარი, ღორი და თხა, აგრეთვე ფრინველი (ქათამი, ინდაური), კვერცხი და სხვ. 80-იან და 90-იან წლებში მარტო თბილისი ყოველწლიურად საშუალოდ 1.155.000 ქათამსა და ვარიას, 90.000 ინდაურს, ბატსა და იხვს. ჩვენებური მეცხოველეობის ნაწარმი ბლომად გადიოდა არა მარტო ამიერკავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში, არამედ მსოფლიო ბაზარზეც. მარტო ქუთაისის გუბერნიის სოფლებიდან წლიურად საშუალოდ გამოჰქონდათ ბაზარზე 2.500.000 მანეთის ფრინველი და კვერცხი. 90-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან ევროპაში ყოველწლიურად გადიოდა 1.200.000 მანეთის კვერცხი, რომელიც მიჰქონდათ ლონდონის, ჰამბურგის, ბერლინის, პარიზისა და სხვა დიდი ქალაქების ბაზრებზე.

მეცხოველეობის ბაზაზე ფართოდ იყო განვითარებული შინამრეწველობა, რომელიც თანდათან კაპიტალისტურ ხასიათს იღებდა. შინ გაკეთებულ საფეიქრო დაზგებზე გლეხი-ოსტატები ართავდნენ მატყლს და ქსოვდნენ სხვადასხვა ქსოვილებს ბაზარზე გასატანად. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ამზადებდა მაღალი ხარისხის მაუდს, ე. წ. „თივთიკს", რომელიც ღირსებით ფაბრიკულს არ ჩამოუვარდებოდა. თიანეთის, დუშეთის, გორის, ბორჩალოსა და სხვ. მაზრების შინამრეწველები გასასყიდად ამზადებდნენ ჩოხა-ახალუხებს, ნაბდებს, ქუდებს, ხურჯინებს. მრავლად მზადდებოდა საბაზროდ რძის ნაწარმი — ყველი და კარაქი. თუშური და ოსური ყველი და აგრეთვე საუცხოო მეგრული სულუგუნი მთელ საქართველოში იყო განთქმული.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოფლის მეურნეობაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე **მეთამბაქოეობა, მებამბეობა** და **მეაბრეშუმეობა.** მეთამბაქოეობა განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა რეფორმის შემდგომ ხანაში. 90-იანი წლების დამდეგს საქართველოში თამბაქოს პლანტაციებს 2.000-მდე დესეტინა მიწა ეჭირა. მეთამბაქოეობის ძირითადი რაიონები დასავლეთ საქართველოში იყო აფხაზეთი, აჭარა და ოზურგეთის მაზრა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — სიღნაღის მაზრა. ბამბის კულტურის ფართოდ გავრცელება 60-იანი წლებიდან დაიწყო. იმ დროს ბამბის პლანტაციების ფართობი საქართველოში უდიდესი სისწრაფით იზრდებოდა. შემდგომ მსოფლიო ბაზარზე იაფი ამერიკული ბამბის გამოჩენამ ჩვენში ბამბის პლანტაციების ძლიერ შემცირება გამოიწვია. მაგრამ 80-იანი წლებიდან მებამბეობა კვლავ მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. მეაბრეშუმეობა ჯერ კიდევ რეფორმის წინა ხანაში იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უაღრესად განვითარებული დარგი. მაგრამ 1865 წელს აბრეშუმის თესლით მოვაჭრე უცხოელებმა საქართველოში შემოიტანეს აბრეშუმის ჭიის გამანადგურებელი ავადმყოფობა პებრინი, რო-

მელმაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს მეაბრეშუმეობას. 80-იანი წლებიდან მიღებულ იქნა ენერგიული ზომები აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის წინააღმდეგ, რის შედეგადაც მეაბრეშუმეობა კვლავ ფართო მასშტაბით აღდგა. მარტო ქუთაისის გუბერნიაში 1887 წელს გამოყვანილ იქნა 2.500 ფუთი აბრეშუმის პარკი, ათი წლის შემდეგ კი პარკის გამოყვანამ 40.000 ფუთს მიაღწია.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სავაჭრო-სასაქონლო ხასიათს იღებს აგრეთვე **მეხილეობა.** მეხილეობის ძირითადი რაიონები იყო გორისა და ახალციხის მაზრები. 80-იან და 90-იან წლებში ჩნდება სანიმუშო ხეხილის ბაღები და სანერგეები: თბილისსა და ქუთაისში არსდება მებაღეობის სპეციალური სკოლები. ქართული ხილი დიდი რაოდენობით გადის ბაზარზე. საგრძნობლად ვითარდება სავაჭრო **მებოსტნეობა, მეფუტკრეობა** და სოფლის მეურნეობის მრავალი სხვა დარგი. იმავე ხანას ეკუთვნის საქართველოში **ჩაის** კულტურის დანერგვის ცდები. ჩაის თესლი საქართველოში 1845 წელს შემოაქვთ პეკინიდან. ჩაის პირველმა ბუჩქებმა კარგად იხარა სოხუმში, ზუგდიდსა და ოზურგეთში. სავაჭრო ჩაის პლანტაციები შენდება 90-იან წლებში. ჩაის ყველაზე დიდი კაპიტალისტური მეურნეობა იყო აჭარაში, ჩაქვის რაიონში.

საქართველოს ბუნებრივი პირობები, საერთოდ, ხელს უწყობდა ჩვენში ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებას. მეფის მთავრობა, რომელიც მიზნად ისახავდა, რომ საქართველო ექცია ნედლეულის ბაზად რუსეთის მრეწველობისათვის, თვითონვე ზრუნავდა აქ ისეთი კულტურების ფართოდ გავრცელებაზე, რომლებიც რუსეთში, ცივი ჰავის გამო, არ ხარობდა. ამით აიხსნება, რომ 1850 წელს მთავრობამ შექმნა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“, რომლის მიზანი იყო ხელის შეწყობა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ასე ვითარდებოდა ჩვენში სავაჭრო მიწათმოქმედება, რომელიც გარდუვალად იქცეოდა კაპიტალისტურ მიწათმოქმედებად. სოფლის მეურნეობაში ბატონყმური ნაჭუჭიდან იბადებოდა ახალი სამეურნეო ორგანიზმი, რომლის საფუძველს კაპიტალისტური ურთიერთობა შეადგენდა.

ფეოდალური მეურნეობიდან კაპიტალისტურზე გადასვლა

ჯერ კიდევ რეფორმამდელ საქართველოში როგორც მემამულეთა, ისე გლეხთა მეურნეობაში დაიწყო, წარმოების ფეოდალური ფორმიდან კაპიტალისტურზე გადასვლის პროცესი, რეფორმის შემდეგ ეს პროცესი გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა.

მას შემდეგ. რაც მემამულეებმა დაკარგეს იაფი მუშახელი — ყმები, მათ წინაშე მწვავედ დადგა საკითხი: როგორ დაემუშავებინათ თავიანთი უზარმაზარი მიწები?

მემამულეთა ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა თვითვე გასძღოლოდა თავის მეურნეობას და შეეგუებინა იგი ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობისათვის. საამისოდ მათ ხელი მიჰყვეს მუშების დაქირავებას, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენასა და მეურნეობის რაციონალურად მოწყობას. ასეთი მემამულეები წლიურად, სეზონურად ან დღიურად დაქირავებულ სასოფლო-სამეურნეო მუშებს საკუთარი (ე. ი. მემამულეთა) ინვენტარით ამუშავებდნენ თავიანთ დიდრონ ლატიფუნდიებში და მრავლად აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობის

პროდუქტებს ბაზრისათვის. თუ როგორ აფართოებდნენ ნათესებს და ადიდებ-დნენ სასაქონლო პროდუქციას ქართველი მემამულეები, ეს კარგად ჩანს გორისა და თელავის მაზრების მემამულეთა ხორბლეულის ნათესების ზრდის მაგალითზე. გორის მაზრის მემამულეებმა 1862 წელს თავიანთი ნათესებიდან მიიღეს 22.585 ჩეტვერტი ხორბლეული (ჩეტვერტი 7 ფუთს უდრის). 1882 წელს — უკვე 108.510 ჩეტვერტი, ხოლო 1886 წელს — 180.000 ჩეტვერტი. თელავის მაზრის მემამულეებმა 1862 წელს მიიღეს 12.820 ჩეტ. ხორბლეული. 1899 წელს კი — 150.000 ჩეტვერტი. ასევე სწრაფად იზრდებოდა კაპიტალიზმის გზაზე დამდგარი მემამულეების მეურნეობა საქართველოს სხვა მაზრებშიც. ასეთი მემამულეები არა მარტო მარცვლეულის ფართობებს ეუმატებდნენ, არამედ საგრძნობლად ზრდიდნენ აგრეთვე ვენახის ფართობს, ნერგავდნენ ტექნიკურ კულტურებს, აშენებდნენ ფაბრიკა-ქარხნებს და აწყობდნენ სოფლის მეურნეობის ნაწარმის სამრეწველო გადამუშავებას. ტყის მფლობელი მემამულეები აშენებდნენ სახერხ ქარხნებს და მრავლად ამზადებდნენ გასასყიდ ხე-ტყეს. განსაკუთრებით დიდი, ძირითადად კაპიტალისტურად მოწყობილი ლატიფუნდიები ჰქონდათ შემდეგ თავადებს: აღმოსავლეთ საქართველოში — ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის, გ. ერისთავს, კ. ერისთავს, ს. ანდრონიკაშვილს, დ. აფხაზს, ფ. გურამიშვილს, ლ. მელიქოვს, ორბელიანებს და სხვ. დასავლეთ საქართველოში — მ. ერისთავს, ნ. ჩიჯავაძეს, ლ. ლორთქიფანიძეს და სხვ. დიდ ლატიფუნდიებში ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, რომელიც გაცილებით უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე ყმის შრომა; ავრცელებდნენ გაუმჯობესებულ თესლეულს და ჯიშიან პირუტყვს; ნერგავდნენ ახალ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს; აუმჯობესებდნენ მეურნეობის წარმოების მეთოდებს.

ეს იყო კაპიტალიზმის განვითარების „პრუსიული გზა“, რომლის დროსაც. წარმოების ძველი წესისა და ძველი წყობილების რევოლუციური ნგრევის ნაცვლად, ხდება ფეოდალური მეურნეობის თანდათანი ევოლუცია და მისი შეგუება ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობასთან. სწორედ ამ გზისაკენ მოუწოდებდნენ ქართველ მემამულეებს თავადაზნაურული ლიბერალები.

მაგრამ ყველა მემამულეს როდი შეეძლო თავისი მეურნეობის გარდაქმნა ახალი ვითარების შესაბამისად. უსაქმურობას მიჩვეული ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი ვაჭრებისა და მევახშეების ხელში ჩავარდა და ვალებში ჩაეფლო; მეურნეობის განვითარებისათვის მას არც სახსრები გააჩნდა და არც საამისო უნარი ჰქონდა. ასეთ მემამულეებს არ შეეძლოთ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენა, დაქირავებული მუშებისათვის ქირის ძლევა და მეურნეობის ახალ, რაციონალურ საფუძველზე მოწყობა. ამიტომ ისინი ამჯობინებდნენ არ შეეწუხებინათ თავი მეურნეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვით და უფრო იოლი გზით წასულიყვნენ: მიწა იჯარით გაეცათ ან გაეყიდათ.

მემამულეთა მიწებს ხშირად იღებდნენ იჯარით ვაჭარ-მრეწველები და კულაკები, რომლებიც თავიანთი მეურნეობის გაფართოებისა და გამდიდრებისაკენ მიილტვოდნენ. ისინი ხშირად დიდრონ მიწებს იგდებდნენ ხელთ და, დაქირავებული შრომის გამოყენებით, მნიშვნელოვანი რაოდენობით ამზადებდნენ სოფლის მეურნეობის ნაწარმს ბაზარზე გასატანად. ხშირად მათ ასეულობით ჰექტარი მიწა ჰქონდათ იჯარით აღებული და ცხვრის ფარები და რქოსანი პი-

ჩუტყვის ჯოგები ჰყავდათ. ისინი იძენდნენ იარაღ-მანქანებს და ა. შ. ასე მაგალითად, თბილისის მაზრის სოფ. ლისის მცხოვრებს, კულაკს ე. ოჰანეზოვს იჯარით აღებული ჰქონდა თავად ბებუთოვებისაგან 300 დესეტინა, ხოლო ელენე ბრუზინსკაიასაგან 100 დესეტინა მიწა; გარდა ამისა, მას საკუთარი მიწაც ჰქონდა და ცხვრის დიდი ფარა ჰყავდა. ასეთი ღონიერი კულაკები სოფლებში იშვიათი როდი იყო. კულაკებისა და ვაჭარ-მრეწველების მიერ იჯარით აღებულ მიწაზე მეურნეობა კაპიტალისტური გზით ვითარდებოდა.

მემამულეები მიწას იჯარით აძლევდნენ გლეხებსაც, რათა თავიანთი მეურნეობა უზრუნველეყოთ იაფი მუშახელით. ასეთ შემთხვევებში ისინი მიმართავდნენ ღარიბი და საშუალო გლეხობის „დაკაბალების“ ხერხს: აიძულებდნენ მიწის სიმცირით შეწუხებულ გლეხებს, მიწის საიჯარო ფასი მემამულის მიწაზე მუშაობით გადაეხადათ და თან საკუთარი მუშა პირუტყვითა და იარაღით ემუშავნათ. ეს არსებითად წარმოადგენდა ძველი, ბატონყმური ბეგარის ახალ ფორმას, რომელსაც „შრომამიგება“ ანუ წილზე-ჟერა ეწოდებოდა.

შრომამიგების სისტემა ფეოდალური მეურნეობის პირდაპირი გადმონაშთი იყო და ის აფერხებდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას, რადგან ემყარებოდა ნატურალურ მეურნეობას, პრიმიტიულ გლეხურ ტექნიკას და მემამულეზე გლეხის პირდაპირ დამოკიდებულებას. მაგრამ სასაქონლო მეურნეობისა და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება თანდათან ძირს უთხრიდა შრომამიგების სისტემისათვის ხელსაყრელ პირობებს და გზას უკაფავდა კაპიტალიზმის განვითარებას. გლეხობის, როგორც კლასის, დაშლა-დიფერენციაციის შედეგად თანდათან ვრცელდებოდა შრომამიგების ისეთი სახე, როცა იჯარას იღებდა გაღატაკებული გლეხი, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი იარაღი და მუშა საქონელი. ასეთი მეიჯარე გლეხი თანდათან იქცეოდა დაქირავებულ მუშად, სოფლის პროლეტარად.

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფეოდალური სისტემა სულ უფროდაუფრო სწრაფად უთმობდა ადგილს კაპიტალისტურ სისტემას. კაპიტალიზმი თანდათან ულმობელად ანგრევდა ფეოდალური წყობილების თვით საფუძველს — მემამულეთა მიწის საკუთრებას. რეფორმის შემდგომ ხანაში მემამულეების მიერ მიწის გაყიდვამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მიწაც ისეთივე საქონელი გახდა, როგორიც სოფლის მეურნეობის ნაწარმი. 9 წლის განმავლობაში, — 1879-დან 1888 წლამდე, — თბილისის გუბერნიაში გაიყიდა 35.173 დესეტინა მიწა. მიწას ჰყიდდნენ თავადები და აზნაურები, ხოლო ყიდულობდნენ შეძლებული და საშუალო გლეხები, ვაჭრები და კაპიტალისტები. 80-იან წლებში მარტო ბორჩალოს მაზრაში თავადმა ორბელიანებმა გაყიდეს 12.629 დესეტინა მიწა. ამ მიწების დიდი ნაწილი შეიძინეს კაპიტალისტმა კუჩენბახმა და თბილისელმა ვაჭარმა ხუდადოვმა. დიდი რაოდენობით იყიდებოდა მემამულეთა მიწები დასავლეთ საქართველოშიც: 1868—1879 წლებში მარტო ქუთაისის მაზრაში გაიყიდა 10.754 დესეტინა მიწა. პარაზიტული ცხოვრების შედეგად ვალებში ჩაფლული თავადაზნაურობა ხშირად მიმართავდა აგრეთვე მიწების დაგირავებას ბანკებში. 1875—1899 წლების მანძილზე საქართველოს ბანკებში დაგირავებული იყო 800-ზე მეტი მამული, რომელთა საერთო ფართობი 260.505 დესეტინას უდრიდა. დაგირავებული მამულების დიდი ნაწილის გამოხსნას მემა-

მულეები ვეღარ ახერხებდნენ და მათი მამულები საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. ოდესღაც „ბრწყინვალე“ წოდება — თავადაზნაურობა ეკონომიურად დაქვეითდა და დაკნინდა; რეფორმის შემდეგ, განსაკუთრებით 90-იანი წლებისათვის, ეს წოდება სრული გადაგვარების გზაზე იდგა.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში შეუჩერებლივ მიმდინარეობდა ფეოდალური მეურნეობიდან კაპიტალისტურზე გადასვლის პროცესი. ამ პროცესს ადგილი ჰქონდა არა მარტო მემამულეთა და დიდ ვაჭარ-მრეწველთა მეურნეობაში, არამედ აგრეთვე გლეხთა მეურნეობაშიც. რაც უფრო ფართოდ ვითარდებოდა სასაქონლო მეურნეობა, ანუ, უფრო სწრაფად ხდებოდა გლეხობის დაშლა და გლეხური მეურნეობის ჩაბმა კაპიტალისტურ მეურნეობაში.

გლეხობის დაშლა. საშოვარზე სიარული

შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და სავაჭრო-სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა გლეხთა კლასის დაშლა მდიდრებად და ღარიბებად. ქართველი გლეხობის დაშლის ანუ ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა რეფორმის შემდეგ, როცა გაჩნდა მიწის მესაკუთრე გლეხობის მნიშვნელოვანი ფენა.

თუ რამდენად დიდი იყო იმ დროს გლეხთა ქონებრივი უთანასწორობა, კარგად გვიჩვენებს სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობის მაგალითი. მარტო თბილისის გუბერნიაში იყო 2034 კომლი ისეთი სახელმწიფო გლეხი, რომელთაც სრულიად არ ჰქონდათ მიწა და რომელნიც იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწები. იმავე დროს ბევრი იყო ისეთი სახელმწიფო გლეხი, რომელთაც ბლომად შეეძინათ მიწა. თბილისის მაზრის ს. მარტყოფში 203 კომლ სახელმწიფო გლეხს სრულიად არ ჰქონია მიწა, 162 კომლ გლეხს კი ჰქონდა 3-დან 6 დესეტინამდე. იყვნენ ისეთი კომლებიც, რომლებიც ფლობდნენ 15-დან 40 დესეტინამდე მიწას. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა მაზრებშიც.

მაგრამ მდიდარი გლეხები მარტო მიწის შეძენას როდი სჯერდებოდნენ. ისინი მრავლად ფლობდნენ აგრეთვე მუშა პირუტყვსა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს. 80-იან წლებში სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 48 პროცენტს სულ არ გააჩნდა მუშა პირუტყვი, ხოლო 594 კომლ სახელმწიფო გლეხს თითოეულს 3—5 უღელი ხარი ჰყავდა და 550 კომლს კი 5—10 უღელი. ღარიბ გლეხებს არც სასოფლო-სამეურნეო იარაღი ებადათ. 80-იან წლებში სოფელ ველისციხეში გუთანი ჰქონდა მხოლოდ 35 კომლს, ანუ სახელმწიფო გლეხთა 6 პროცენტს. ესენი იყვნენ მდიდარი გლეხები.

გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია ხდებოდა არა მარტო ბარის სოფლებში, არამედ მთაშიაც. იქ მეურნეობის მთავარ დარგს მეცხოველეობა წარმოადგენდა და გლეხის სიმდიდრეც შინაური პირუტყვის (უმთავრესად ცხვრის) რაოდენობით გაიზომებოდა. 80-იან წლებში თიანეთის მაზრაში მრავალი იყო ისეთი გლეხი, რომელსაც 1000 სულზე მეტი ცხვარი ჰყავდა, იმავე დროს გლეხთა მნიშვნელოვან ნაწილს სრულიად არ ჰყოლია ცხვარი. მაგალითად, წოვა-თუშეთში 25 კომლს ხუთას-ხუთასზე მეტი ცხვარი ჰყავდა, 8 კომლს — ათასზე მეტი, ხოლო 3 კომლს — ორიათასზე მეტი თითოეულს. იმავე დროს

წოვა-თუშეთის 39 კომლს სულ არ ჰყოლია ცხვარი. ფარსმის საზოგადოებაში 124 კომლიდან 24 კომლს ცხვარი სრულიად არ ჰყავდა, ხოლო არტანის საზოგადოებაში უცხვარო იყო კომლთა ნახევარი. ღარიბი მთიელები მდიდრებს ექირავებოდნენ მწყემსებად.

განსაკუთრებით მძაფრად იჩინა თავი ქონებრივმა დიფერენციაციამ მესაკუთრე გლეხთა შორის. ბატონყმური დროებითი ვალდებულებიდან თავდახსნილი გლეხის მეურნეობა არავითარი იურიდიული ნორმებით არ იყო შეზღუდული და მესაკუთრე გლეხი თავისი მიწის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იყო. ამიტომ მესაკუთრე გლეხთა მეურნეობაში უფრო შეუზღუდველად მოქმედებდნენ კაპიტალიზმის მგლური კანონები: ერთი მხრივ, მიწა და სხვა საწარმოო საშუალებანი თავს იყრიდნენ ერთი მუჭა მდიდრების ხელში, ხოლო, მეორე მხრივ, გლეხობის დიდი ნაწილი ღატაკდებოდა, მისი მეურნეობა სრულიად ჩანაგდებოდა. გადაუხდელი ვალებისათვის გლეხს ახლა ვეღარავინ იყმობდა, მაგრამ, სამაგიეროდ, გაღატაკებული გლეხი კარგავდა მიწას და სხვა საწარმოო საშუალებებს — ხდებოდა გლეხობის ექსპროპრიაცია.

ასე გაჩნდა საქართველოს სოფელში ახალი სოციალური ფენები: **სოფლის ბურჟუაზია ანუ კულაკობა** და **სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი**, რომლებიც კაპიტალისტური საზოგადოების კლასებს წარმოადგენენ.

კულაკებმა მნიშვნელოვანი სიმდიდრე იგდეს ხელთ. ისინი ფლობდნენ ბლომად მიწას (როგორც საკუთარს, ისე მემამულეებისაგან იჯარით აღებულს) და აგრეთვე მუშა-პირუტყვს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, მიწამოქმედების ნაწარმს, ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოებს, წისქვილებს, სოფლის დუქნებსა და ა. შ. ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეების სასტიკი ექსპლუატაციის გზით კულაკები მრავლად ამზადებდნენ ბაზარზე გასატან ნაწარმს; აგრეთვე ეწეოდნენ მევახშეობას და ყოველნაირად სწოვდნენ სისხლს ღარიბ და საშუალო გლეხობას.

სოფლის პროლეტარიატი მოკლებული იყო საწარმოო საშუალებებს. მას, უკეთეს შემთხვევაში, მიწის მცირე ნაკვეთი და სრულიად უმნიშვნელო მეურნეობა თუ გააჩნდა, ამიტომ იგი იძულებული იყო თავისი სამუშაო ძალა გაეყიდა; მოჯამაგირედ დამდგარიყო და ისე ერჩინა თავი. დაახლოებით ასეთსავე მდგომარეობაში იყო სოფლის ღარიბი გლეხობა, რომელსაც მხოლოდ პატარა მიწა ჰქონდა და მცირეოდენი პირუტყვიც ჰყავდა. ღარიბი გლეხი ნახევრად-პროლეტარი იყო. მას, ისევე როგორც სოფლის პროლეტარს, არ ჰყოფნიდა საკუთარი პური და სიმინდი, რის გამოც იძულებული იყო საკუთარი მარჯვენის გაქირავებით ეშოვნა დამატებითი სარჩო. 80-იან წლებში სიღნაღის მაზრაში მცხოვრები ღარიბი გლეხის გერმანე კოჭლამაზაშვილის მეურნეობის მთელი წლიური შემოსავალი 136 მანეთს შეადგენდა, ოჯახის აუცილებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კი მას გაცილებით მეტი სჭირდებოდა. ამიტომ ეს გლეხი იძულებული იყო ქირაზე ევლო. იმავე დროს მის მეზობელს, კულაკ გიგია კოჭლამაზაშვილს ყოველწლიურად ბაზარზე გასასყიდად გაჰქონდა 3.200-ზე მეტი მანეთის მეცხოველეობის ნაწარმი: სახორცე პირუტყვი, ყველი, კარაქი, მატყლი და სხვ. ქონებრივი უთანასწორობის ასეთი სურათი დამახასიათებელია მთელი მაშინდელი საქართველოსათვის.

კულაკებსა და ღარიბ გლეხობას შორის შუალედ რგოლს წარმოადგენდა საშუალო გლეხობა, რომელიც მეურნეობას პირადი შრომითა და საკუთარი საწარმოო საშუალებებით ეწეოდა. მართალია, ასეთი გლეხი, თუ პირობები ხელს შეუწყობდა, ახერხებდა ოჯახის უზრუნველყოფას აუცილებელი სარჩო-საბადებლით, მაგრამ მისი მდგომარეობა არ იყო მტკიცე და ურყევი. საშუალო გლეხობის ფენა იშლებოდა: მისი ძალიან მცირე ნაწილი მდიდრდებოდა და კულაკობად ქცევას ახერხებდა, დიდი ნაწილი კი ღარიბი გლეხობის დონეზე ქვეითდებოდა. საშუალო გლეხობის ფენის დაშლა ძირს უთხრიდა მემამულეთა ფეოდალურ ბატონყმურ მეურნეობას და აჩქარებდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას.

კაპიტალიზმმა ყოველივე ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცია. ექსპროპრიაციაქმნილ გლეხობას, რომელსაც გასაყიდი არაფერი ჰქონდა, ისღა დარჩენოდა, რომ „საშოვარზე წასულიყო“, ე. ი. თავისი სამუშაო ძალა გაეტანა ბაზარზე. სოფლის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული მასების ნაწილი ისევ სოფლის მეურნეობაში რჩებოდა და მოჯამაგირეებად ან დროებით დაქირავებულ მუშებად დგებოდა, ნაწილი კი იძულებული ხდებოდა თავის სახლ-კარს მოშორებოდა და სამუშაო ეძებნა სხვადასხვა ქალაქებში, სამრეწველო ადგილებში, რკინიგზებზე, ნავთსადგურებსა და ა. შ. იმ დროს საშოვარზე წასულ ქართველ გლეხს ნახავდით არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებში, არამედ რუსეთის ბევრ ქალაქსა და ნავთსადგურშიც.

ლუკმა-პურის საძებრად სოფლიდან გადმოხვეწილი გაჭირვებული გლეხები არავითარ სამუშაოს არ ერიდებოდნენ. ნაწილი ფაბრიკებსა და ქარხნებში ეწყობოდა, დანარჩენი კი სხვადასხვაგვარ სამუშაოს კიდებდა ხელს: მუშაობდნენ ტვირთის მზიდავებად, ხეროებად, ქვისმთლელებად, მეპურეებად, მზარეულებად, წყლის მზიდავებად (თულუხჩებად), მენახშირეებად და ა. შ. ათასობით გლეხი ჩაბმული იყო ხე-ტყის მრეწველობაში. გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხენებითა და ხარებით ეზიდებოდა ტვირთს.

საშოვარზე გასულ გლეხებს ძალიან მძიმე ცხოვრება ჰქონდათ. ხშირად მათ თავშესაფარი არ გააჩნდათ და ღია ცისქვეშ ათევდნენ ღამეს. მუშაობდნენ ფაადაუზოგავად, ყოველგვარ ამინდში; იკვებებოდნენ მარტო შავი პურით; ათასგვარ გაჭირვებას იტანდნენ. სწორედ მათ მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავი ლექსი „მუშა“, რომელშიც რეალისტურად, ცხოვრების დიდი ცოდნით არის დახატული საშოვარზე ქალაქად წასული, გაღატაკებული ქართველი გლეხის ცხოვრება.

ბაზრის გაფართოება და სავაჭრო მიმოქცევის გაძლიერება

საქართველოში კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ბაზარიც, იზრდებოდა ვაჭრობა. სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა და გლეხობის დაშლა განუწყვეტლივ ქმნიდა და აფართოებდა შინაურ ბაზარს კაპიტალიზმისათვის.

60-იანი წლების მეორე ნახევარში მარტო თბილისში ითვლებოდა სამი ათასამდე დუქანი და სავაჭრო დაწესებულება (მათ შორის 17 ქარვასლა). იმ დროს თბილისის საშინაო ვაჭრობის წლიური მოცულობა უდრიდა 8.251.000 მანეთს. განუხრელად ვითარდებოდა ვაჭრობა საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

ახალქალაქის, გორისა და სიღნაღის მაზრებიდან ბაზარზე გამოდიოდა უმთავრესად ხორბლეული და ფქვილი; ზუგდიდისა და ხენაკის მაზრებიდან — სიმინდი; თელავის, ქუთაისის, შორაპნისა და რაჭის მაზრებიდან — ღვინო და მევენახეობის სხვა ნაწარმი; სოხუმის ოლქიდან — თამბაქო; გორისა და ახალციხის მაზრებიდან — ხილი; თიანეთის, დუშეთისა და სხვა მთიანი მაზრებიდან — მეცხოველეობის ნაწარმი და ა. შ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ყოველი კუთხე ჩაება გაცხოველებულ აღებ-მიცემაში. სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობის განუხრელმა განვითარებამ გამოიწვია არა მარტო საშინაო, არამედ აგრეთვე საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი გაფართოება. საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ჩაბმას მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში აჩქარებდა რუსეთში კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება. ვ. ლენინი სამართლიანად მიუთითებდა, რომ „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“. ამის შედეგად XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ბაზარი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის ბაზართან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ვაჭრობაში.

საქართველოს ვაჭრობა ფართო მასშტაბით გასცილდა ეროვნული ბაზრის ფარგლებს ჯერ კიდევ რკინიგზების გაყვანამდე, — 50-60-იან წლებში. საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც იმ დროს ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი იყო.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი 70-იანი წლებიდან მოკიდებული, საქართველოში კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად უმაგალითო სისწრაფით ხდება როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრის გაფართოება და სავაჭრო მიმოქცევის გაძლიერება; ძლიერდება ფულის ტრიალი და საქართველოს ყველაზე მიყრუებული კუთხეებიც კი ებმიან ვაჭრობაში.

ასე შეაკავშირა, გააერთიანა კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები და დაუკავშირა ის მსოფლიო ბაზარს. სამიწათმოქმედო კაპიტალიზმმა საფუძვლიანად შეარყია საქართველოს სოფლის მეურნეობის საუკუნოებრივი უძრაობა და მძლავრად უბიძგა საწარმოო ძალების განვითარებას. ოდესღაც კარჩაკეტილი და ფეოდალური ქვეყანა, რომელიც დაბალი კულტურის მქონე მუსლიმანურმა სახელმწიფოებმა მრავალი საუკუნით მოსწყვიტეს ცივილიზებულ ქვეყნიერებას, რუსეთთან მჭიდრო კავშირის მეოხებით, კვლავ დაუახლოვდა ევროპის მოწინავე სახელმწიფოებს და აქტიურად ჩაება საერთაშორისო ეკონომიურ ცხოვრებაში.

რუსეთის მთავრობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ატარებდა უხეშ კოლონიურ პოლიტიკას, რითაც კიდევ უფრო ამწვავებდა კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას და აძლიერებდა მშრომელი ხალხის ძარცვას. მიუხედავად

ამისა, საქართველოს განვითარება კაპიტალიზმის გზით და მისი ეკონომიური ცხოვრების უშუალოდ დაკავშირება რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოების ცხოვრებასთან უაღრესად მნიშვნელოვანი პროგრესული მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

§ 3. რუსეთ-თურქეთის ომი 1877-1878 წლებში და ქართველი ხალხის ბრძოლა თურქეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის განსათავისუფლებლად

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება. საომარი მოქმედება ამიერკავკასიაში

ბურჟუაზიულმა რეფორმებმა, მიუხედავად მათი ნახევრულობისა, გზა გაუხსნეს რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას და ხელი შეუწყეს რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერებას. რეფორმები გატარდა აგრეთვე რუსეთის არმიაში. 1874 წლიდან შემოღებულ იქნა საყოველთაო სამხედრო ბეგარა, რამაც საგრძნობლად გააძლიერა არმიის ბრძოლისუნარიანობა.

70-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ — განემტკიცებინა რუსეთის ეკონომიური და სამხედრო პოზიციები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ხოლო მეორე მხრივ — მიეღწია იმისათვის, რომ შავი ზღვის სრუტეები გაღებულიყო რუსეთისათვის. ამით აიხსნება, რომ რუსეთის მთავრობა მხარს უჭერდა ბალკანეთში მცხოვრებ სლავ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო საუკუნეული თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ.

1875 წელს თურქეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ბალკანეთის ორ პროვინციაში — ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, რომლებშიც მოსახლეობის უმეტესობას შეადგენდა სლავური მოდგმის ხალხი, სერბიელები. მალე თურქეთის წინააღმდეგ აჯანყების დროშა აღმართა აგრეთვე ბულგარელმა ხალხმა. თურქეთმა აჯანყებულთა წინააღმდეგ დიდი სამხედრო ძალა გამოიყვანა. მას ზურგში ედგა ინგლისი, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა და რუსეთის წინააღმდეგ საომრად აქეზებდა თურქეთს. რუსეთის სამტროდ ფარულად მოქმედებდა აგრეთვე ავსტრია-უნგრეთი, რომელსაც თვითონ სურდა ბალკანეთში გაბატონება. ყოველივე ამით წათამამებული თურქეთის სულთანი აბდულ-ჰამიდი აღარაფერს სთმობდა და რუსეთიც იძულებული გახდა 1877 წლის აპრილში ომი დაეწყო.

ომის მთავარი ასპარეზი ბალკანეთში იყო. იქ მოქმედებდა რუსეთის ე. წ. დუნაის არმია, რომელშიც 257 ათასი კაცი ითვლებოდა. თავდაპირველად ბალკანეთის ფრონტზე საომარი მოქმედება ნელ-ნელა ვითარდებოდა. ამიერკავკასიის ფრონტზე კი რუსეთის ჯარმა ომის დაწყებისთანავე მოიპოვა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება. კავკასიის არმიამ, რომელშიც 70 ათასი კაცი ითვლებოდა, ზედიზედ სასტიკად დამარცხა თურქეთის ე. წ. ანატოლიის არმია.

რუსეთის შემტევმა ჯარებმა აპრილშივე დაიკავეს ქ. ბაიაზეთი და მთელი

ბაიაზეთის დაბლობი, აგრეთვე ქ. აღზევანი (ყაღიზმანი) და მრავალი სხვა ღასახლებული პუნქტი. მაისში თურქებმა დესანტი გადმოსხეს სოხუმსა და ოჩამჩირეში და ამრიგად ახალი ფრონტი გახსნეს. მიუხედავად ამისა, კავკასიის არმიის შეტევა წარმატებით გრძელდებოდა. 5 მაისს რუსეთის ჯარმა იერიშით აიღო ქალაქი და მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე არტაანი. ივნისში თურქეთმა კავკასია-მცირე აზიის ფრონტზე დამხმარე ძალა გადმოისროლა და რუსების შეტევა შეაჩერა. იმავე დროს თურქებმა, რომლებსაც ძლიერ ეხმარებოდნენ ინგლისელები, გააძლიერეს შემოტევა აფხაზეთის მხრიდან. გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა მდინარე კოდორისა და ოჩამჩირის მიდამოებში. ოჩამჩირე ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. თურქების წინააღმდეგ ამ რაიონში მოქმედ რაზმს რუსეთის სარდლობამ ახალი ძალა მიაშველა. ივლისის შუა რიცხვებში თურქეთის ჯარი დამარცხებულ იქნა და იძულებული გახდა სოხუმისაკენ დაეხია. 20 აგვისტოს რუსეთის ჯარმა იერიშით დაიკავა სოხუმიც და მთლად გაწმინდა აფხაზეთის ტერიტორია თურქებისაგან.

აფხაზეთში გადმოსხმულ დესანტზე თურქეთი და მის ზურგს უკან მდგომი ინგლისი დიდ იმედებს ამყარებდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ აფხაზეთში თურქების გამოჩენა გამოიწვევდა საყოველთაო აჯანყებას რუსების წინააღმდეგ არა მარტო აფხაზეთში, არამედ საჩაჩნოსა და დაღისტანშიც. მაგრამ მათ იმედი გაუმტყუნდათ: თურქეთის ძლიერმა სადესანტო არმიამ და მისმა დამხმარე მრავალრიცხოვანმა აგენტურამ სრული მარცხი განიცადა.

სექტემბრის მეორე ნახევარში კავკასიის ფრონტზე მოქმედმა კორპუსმა, რომელსაც გენერალი ლორის-მელიქოვი მეთაურობდა, განაახლა აქტიური საომარი მოქმედება. 3 ოქტომბერს მოხდა დიდი ბრძოლა ქ. ყარსის ახლოს, ალაჯა-ავლიარის მიდამოებში. ანატოლიის ნაწილი არმია, რომელსაც მუხთარ-ფაშა მეთაურობდა, განადგურებულ იქნა. მისგან გადარჩენილი სამი დივიზია რუსებს ტყვედ ჩაუვარდა. ეს იყო რუსეთის არმიის დიდი გამარჯვება. 5 ნოემბერს ღამე დაიწყო გმირული იერიში მცირე აზიის უძლიერესი ციხე-სიმაგრის ყარსის ასაღებად. რუსმა ჯარისკაცებმა უმაგალითო სიმამაცე გამოიჩინეს და მეორე დილას ყარსი უკვე აღებული იყო.

ამ დამარცხებამ თავზარი დასცა თურქეთის მთავრობას. ყარსის აღებამ ხელი შეუწყო რუსეთის არმიის წარმატებას ომის მთავარ ასპარეზზე: 28 ნოემბერს დაეცა თურქეთის უდიდესი სიმაგრე ბალკანეთში, პლევნა. რუსეთის არმიამ ოცგრადუსიან ყინვაში გადალახა ბალკანეთის მთები და დაიწყო ფართო შეტევა თურქეთის დედაქალაქ კონსტანტინეპოლის მიმართულებით. მან რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგის არმიები. მალე თურქეთის წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხილ იქნა. 1878 წლის იანვარში თურქეთმა იარაღი დაჰყარა და ზავი ითხოვა.

ქართველი ხალხის მონაწილეობა თურქეთის ომში

რუსეთის მიერ თურქეთის დამარცხებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ რუსეთის არმიას ბალკანეთშიცა და ამიერკავკასიაშიც აქტიურად უჭერდა მხარს ადგილობრივი მოსახლეობა. ბალკანეთის სლავები, ისევე როგორც ქართველებისა და სომხების მნიშვნელოვანი

ნაწილი, იმ დროს თურქეთის ბატონობის მძიმე უღელქვეშ იტანჯებოდნენ, რის გამოც ამ ხალხებისათვის რუსეთ-თურქეთის ომმა სახალხო-განმათავისუფლებელი ომის ხასიათი მიიღო. ამით აიხსნება, რომ ქართველი ხალხი ყოველნაირად, თავდაუზოგავად ეხმარებოდა რუსეთის არმიას — ზურგშიცა და ფრონტზედაც.

თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას კმაყოფილებით შეეგება არა მარტო მეფის ერთგული ქართველი თავადაზნაურობა, არამედ მთელი ქართველი ერი. სხვანაირად შეუძლებელიც იყო: ქართველებს კარგად ახსოვდათ ის დაუსრულებელი ნგრევა, აწიოკება და ტანჯვა, რომელთაც მათი სამშობლო საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა თურქი დამპყრობლებისაგან. გარდა ამისა, ქართველები ამ ომს უკავშირებდნენ თავიანთი დიდი ხნის ნატვრის განხორციელებას: თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლისა და იქ მცხოვრები თანამოძმე ქართველების განთავისუფლებას.

თუ რამდენად ერთსულოვანი იყო ქართველი ხალხის დახმარება და მხარდაჭერა რუსეთის არმიისადმი, ამას გვიჩვენებს ომის დროს ქართველი გლეხობისა და ქალაქების ღარიბი მოსახლეობის თავდადების მრავალრიცხოვანი მაგალითები. როდესაც მთავრობა შეუდგა ქართული ლაშქრის საჯარისო ნაწილებს (ე. წ. მილიციის) შედგენას, გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი სურვილითა და დიდი ხალისით ეწერებოდა ლაშქარში. განსაკუთრებით ბევრი იყო ჯარში წასვლის მსურველი გურიის გლეხობაში: მარტო ოზურგეთის მაზრამ გამოიყვანა 4.000 მოლაშქრე. ჯარში თავისი ნებით წამსვლელთა რიცხვი დიდი იყო აგრეთვე თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. ქართველებისაგან შედგენილ იქნა მოლაშქრე მილიციონერთა 102 ასეული, რომლებშიც 18.395 კაცი ითვლებოდა. ამათგან 63 ასეული ქვეითი იყო, ხოლო 39 ასეული — ცხენოსანი. ამას გარდა, შეიქმნა ე. წ. საერობო დაცვა: ქალაქებსა და ფრონტისპირა სოფლებში მოსახლეობის შეიარაღებული რაზმები ეწეოდნენ საყარაულო სამსახურს. სულ საქართველოდან რუსეთ-თურქეთის ომის დროს თოფქვეშ იდგა 25 ათასი კაცი.

ქართული ლაშქრის რაზმები ფრონტზე მამაცურად იბრძოდნენ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების მხარდამხარ. ბათუმის მიმართულებით წარმოებულ ხანგრძლივსა და მძიმე ბრძოლაში თავი ისახელეს პირველი და მეორე ქვეითი ქართული ლაშქრის ნაწილებმა, რომლებშიც ქართლ-კახეთის წარგზავნილები იბრძოდნენ, და აგრეთვე გურიის სახელოვანმა პირველმა ქვეითმა ლაშქარმა. აფხაზეთის მხრიდან თურქეთის დესანტის შემოტევის დროს გმირულად იბრძოდა ქუთაისის პირველი და მეორე ქვეითი ლაშქარი და ქუთაისის ცხენოსანი არარეგულარული პოლკი. არტაანისა და ყარსისათვის მებრძოლ კორპუსში თავდადებული და გაბედული მოქმედებით გამოიჩინეს თავი ახალციხისა და თიანეთის (თუშთა) რაზმებმა. ქართული რაზმების სიმამაცესა და დიდ სამხედრო ოსტატობაზ ქებით იხსენიებდნენ რუსეთის არმიის გამოჩენილი გენერლები და ოფიცრები.

ქართული ლაშქრის ჯარისკაცები და მეთაურები, აგრეთვე ის ქართველი ოფიცრები და გენერლები, რომლებიც რუსულ რეგულარულ ნაწილებს მეთაუ-

რობდნენ, ძალიან ხშირად უჩვენებდნენ სხვებს თავდადებისა და გმირობის ნიმუშებს. დაუვიწყარია გმირობა იმ 16 ქართველი გლეხისა, რომლებიც ომის დაწყების დღესვე ეახლენ ქობულეთის რაზმის უფროსს და სთხოვეს ნებართვა თურქების წინააღმდეგ მოქმედ მოწინავე ჯარის ნაწილში ჩარიცხვისა. ეს გლეხები სოფელ ლიხაურიდან მოვიდნენ და ხუთი თვის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. თექვსმეტივე ლიხაურელი ვაჟკაცი გმირულად დაიღუპა 1877 წლის 23 ოქტომბერს, უძნელესი საბრძოლო დავალების შესრულებისას.

რუსეთ-თურქეთის ომში ღირსეულად გაითქვეს სახელი ქართველმა გენერლებმა: ზაქარია ჭავჭავაძემ, რომელიც ღირსეულად მეთაურობდა მოქმედ კორპუსის ცხენოსან ჯარს და ექვსჯერ იქნა დაჭრილი გააფთრებულ ბრძოლაში; ალექსი ქავთარაძემ, რომელიც მთელი ომის განმავლობაში დერბენტის 154-ე ქვეითი პოლკის მეთაური იყო და რომელსაც იშვიათი გაბედულებით მიჰყავდა თავისი პოლკი იერიშებზე თურქების მთავარი ძალის წინააღმდეგ; მიხეილ ამირეჯიბმა, რომელიც ელიზავეტპოლის პოლკს მეთაურობდა და რომელმაც არტაანის ბრძოლაში და აგრეთვე ალაჯა-ავლიარის მაღლობებთან მომხდარ სისხლისმღვრელ შეტაკებაში სიმამაცისა და მხედართმთავრული ოსტატობის მაგალითები გვიჩვენა; ივანე ამილახვარმა, რომელიც შესანიშნავად წარმართავდა ერევნის რაზმის ცხენოსან ჯარს, და სხვებმა. გენერლებთან ერთად რუსეთ-თურქეთის ომში თავი ისახელა მრავალმა ქართველმა ოფიცერმა, სახელდობრ: პოლკოვნიკმა მიქელაძემ, პოდპოლკოვნიკმა კვინიტაძემ, მაიორმა იოსელიანმა, მაიორმა ჭავჭავაძემ, შტაბს-კაპიტანმა ორბელიანმა, პორუჩიკმა ფანჩულიძემ და მრავალმა სხვამ. ამ მამაცმა ოფიცრებმა თავიანთი გმირობითა და თავდადებით დიდად შეუწყეს ხელი მტერზე გამარჯვებას.

მაგრამ ქართველი ხალხის წვლილი რუსეთ-თურქეთის ომში არ ამოიწურებოდა მარტო სამხედრო მოქმედებაში მისი აქტიური მონაწილეობით. იმის გამო, რომ ომის ასპარეზი მეტისმეტად ახლოს იყო, ხოლო ზოგჯერ საომარი მოქმედება თვით საქართველოს ტერიტორიაზედაც კი მიმდინარეობდა, ჩვენი საშობლო სამხედრო ბანაკად იქცა. ომში, ამა თუ იმ გვარად, თითქმის მთელი ქართველი ხალხი მონაწილეობდა. მოქმედ არმიას ხალხი დახმარებას უწევდა სურსათ-სანოვაგით, ფურაჟით, ტვირთის ზიდვით, ბინებით და მრავალი სხვა ნივთიერი საშუალებით. არმიის შეუფერხებელი მომარაგება საომარი მასალებითა და სურსათით უდიდეს ძალ-ღონეს მოითხოვდა. ამ ამოცანის შესასრულებლად ათასობით ქართველი გლეხი მუშაობდა თავთავიანთი ურმებითა და ცხენებით.

რუსეთ-თურქეთის ომში ქართველი ხალხის საუკუნოვანი მტრის — თურქეთის დამარცხებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ თურქეთის მიერ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელმაც, ასეული წლების მანძილზე თურქი ასიმილატორების მხრივ უხეში ძალადობის მიუხედავად, შეინარჩუნა სიყვარული დედა-სამშობლოს — საქართველოს მიმართ, ცდილობდა თავი დაეღწია თურქეთის ბატონობისათვის და გადმოსულიყო რუსეთის მხარეზე.

ამრიგად, ქართველმა ხალხმა, მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი მისი მოსისხლე მტერი იყო, რუსეთ-თურქეთის ომში ერთსულოვნად დაუჭირა მხარი რუსეთს, რადგან მას ესმოდა, რომ ომში რუსეთის გამარჯვება ხელს შეუწყობდა მისი საკუთარი სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას. ქართველი ხალხის აქტიურმა დახმარებამ ფრონტზე და ზურგში გაუადვილა რუსეთის არმიას მტრის წინააღმდეგობის დაძლევა და სახელოვანი გამარჯვების მოპოვება.

თურქეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის ნაწილის შემოერთება

1878 წლის თებერვალში კონსტანტინეპოლის ახლოს, დაბა სან-სტეფანოში ხელმოწერილ იქნა წინასწარი საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის. ამ ხელშეკრულებით თურქეთი იძულებული იყო ბევრი მნიშვნელოვანი რამ დაეთმო, რაც ძირითადად შეესაბამებოდა როგორც რუსეთის მიერ ომში დასახულ მიზნებს, ისე ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ჩაგრულ ხალხთა ინტერესებს.

სან-სტეფანოს ხელშეკრულება საგრძნობლად აძლიერებდა რუსეთის პოზიციებს. მაგრამ რუსეთის გაძლიერებას ვერ უყურებდნენ ინგლისი და ავსტრია, რომლებმაც დაჟინებით მოითხოვეს ამ ხელშეკრულების გადასინჯვა. 1878 წ. ივლისში ბერლინში შედგა ევროპის დიდ სახელმწიფოთა კონგრესი, რომელმაც სან-სტეფანოს ხელშეკრულება ახალი ხელშეკრულებით შეცვალა. რუსეთი, რომელსაც არ შეეძლო ბრძოლა ინგლისისა და ავსტრიის წინააღმდეგ, იძულებული გახდა დათანხმებულიყო ახალ, მისთვის ბევრად უარეს პირობებს. მიუხედავად ამისა, ომის შედეგებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რუსეთისათვის, ისე ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის.

ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთმა შემოიერთა თურქეთის მიერ წინათ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი. სახელდობრ: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი — ოლთისი. ამათგან აჭარა-ქობულეთს, შავშეთსა და კლარჯეთს რუსული ადმინისტრაციული დაყოფით ეწოდათ ბათუმის ოლქი (1886 წლიდან ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შემოუერთდა), ხოლო კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი (ოლთისი) ყარსის ოლქის შემადგენლობაში შევიდა.

ასე დაუბრუნდა საქართველოს თავისი დაკარგული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქართველი ხალხის დიდი ხნის ნატვრა და ოცნება ასრულდა. მრავალი ათეული ათასი ქართველი, რომლებიც სამი საუკუნის განმავლობაში იტანჯებოდნენ თურქეთის ბარბაროსულ-დესპოტური სახელმწიფოს უღელ-ქვეშ, კვლავ დაუბრუნდა დედა-სამშობლოს — საქართველოს. ქართველი ხალხი აღფრთოვანებით შეეგება თავისი დაკარგული ძმების დაბრუნებას მის ოჯახში. 1878 წლის ნოემბერში თბილისს ეწვია თურქეთის მონობიდან განთავისუფლებულ თანამოძმეთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შერიფ-ბეგ და ნური-ბეგ ხიმშიაშვილები და ჰუსეინ-ბეგ აბაშიძე. საქართველოს დედაქალაქი მათ ზეიმით შეეგება. ქართველმა ხალხმა მნიშვნელოვანი

დახმარება გაუწია თურქეთისაგან განთავისუფლებულ თავის თანამოძმეებს, მათი ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. მან ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ქართველი ერის კონსოლიდაციას; ამასთანავე დააჩქარა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი. ამ ომში ქართველი ხალხის მონაწილეობამ ის დადებითი შედეგიც გამოიღო, რომ რუსები და ქართველები ერთიმეორეს კიდევ უფრო დაუახლოვდნენ: საერთო მტრის წინააღმდეგ რუსი და ქართველი ჯარისკაცის მხარდამხარ ბრძოლამ და მათ მიერ ერთად დაღვრილმა სისხლმა გააღრმავა და გააძლიერა ამ ორი ხალხის ტრადიციული საბრძოლო თანამეგობრობა.

თ ა ვ ი XXX

ქართველი ერის ჩამოყალიბება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება. თერგდალეულთა მოღვაწეობა

§ 1. ქართველი ერის ჩამოყალიბება

ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი

ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის დაშლას და კაპიტალისტური წყობილების გამარჯვებას შედეგად მოჰყვა ქართველი ერის ჩამოყალიბება და ქართული კულტურის უმაგალითო აღორძინება — მისი ნამდვილი რენესანსი.

ქართველი ერის შექმნის პროცესი ხანგრძლივი ისტორიული პროცესია. ქართველი ერის ისეთი ელემენტები, როგორიცაა ერთიანი ქართული ენა და საერთო ქართული ტერიტორია, აგრეთვე ქართველების კულტურული ერთობა, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ჩასახვამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდნენ. მაგრამ წინაკაპიტალისტურ ხანაში ამ ელემენტებს, რომლებიც ჩანასახ მდგომარეობაში არსებობდნენ, არ შეეძლოთ ქართველი ერის შექმნა. ფეოდალიზმის ხანაში ქართველი ერის შექმნისათვის პირობები არ არსებობდა. საქართველო დაქუცმაცებული იყო ცალკე დამოუკიდებელ სამთავროებად და მას არ გააჩნდა არც ნაციონალური ბაზარი, არც ეკონომიური და კულტურული ცენტრები, რომლებიც შეძლებდნენ ქართველი ხალხის სამეურნეო დაქუცმაცებულობის მოსპობას და საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ერთ ნაციონალურ მთელად შეკავშირებას.

საქართველოს სამეურნეო და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მოსპობა და მისი სხვადასხვა კუთხეების ერთ ნაციონალურ მთელად შეკავშირება შეეძლო მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების მნიშვნელოვანი მასშტაბით განვითარებას და ქვეყნის მთელი ეკონომიური ცხოვრების სეროზულ აღმავლობას. ჯერ კიდევ ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და ეკონომიური აღმავლობის ხანაში — XII-XIII საუკუნეებში — შრომის საზოგადოებრივი განაწილების ფართოდ განვითარების შედეგად, საქართველოში სწრაფად ვითარდებოდა ვაჭრობა და ხელოსნობა, ჩნდებოდა ახალი ქალაქები და ამრიგად იქმნებოდა პირობები ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარებისათვის, რაც ქართველი

ერის ჩამოყალიბების დასაწყისის მომასწავებელიც იქნებოდა. მაგრამ, მრავალრიცხოვანი გარეშე მტრების გამანადგურებელი თავდასხმების შედეგად, მოვდევნო ხანაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება დაქვეითდა და მოიშალა. სწორედ ეკონომიური ცხოვრების დაქვეითებამ გამოიწვია საქართველოს მთლიანი სახელმწიფოს ცალკე სამეფო-სამთავროებად დაყოფა, რაც XV საუკუნეში მოხდა. იმ დროიდან მოკიდებული, დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ეკონომიური ცხოვრება განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ეკონომიური წინსვლის ძაფი, მისი გამოცოცხლების ტენდენციები მთლიანად არასოდეს არ შეწყვეტილა. ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლება და აღმავლობა საგრძნობი ხდებოდა საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ყოველთვის, როგორც კი იქ მშვიდობიანობა ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროით დამყარდებოდა. ასე იყო, მაგალითად, კახეთში XVI საუკუნეში, ქართლში — XVII საუკუნეში, ხოლო უფრო ფართო მასშტაბით ქართლ-კახეთში — XVIII საუკუნეში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში უდიდესი მოვლენები მოხდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. რუსეთის დახმარებით საქართველომ თავი დააღწია ირანისა და თურქეთის ჩამორჩენილი სახელმწიფოების დამღუპველ გავლენას. შეწყდა საუკუნოებრივი უთანასწორო ომები, ტყვეებით ვაჭრობა და ლეკთა გაუთავებელი თავდასხმა. ქართველმა ხალხმა დაიბრუნა თურქების მიერ მიტაცებული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მას საშუალება მიეცა დაბრუნებოდა მშვიდობიან შრომას და შედგომოდა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების აღორძინებას. დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება უკვე სწრაფად ირღვეოდა. ზედიზედ უქმდებოდა ფეოდალური სამთავროები, იშლებოდა ეკონომიური და პოლიტიკური ზღუდეები საქართველოს ცალკე კუთხეებს შორის, ვითარდებოდა აღებ-მიცემობა.

ფეოდალური წყობილების რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესი განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს XIX საუკუნის 30—40-იან წლებიდან. იმავე დროიდან განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესიც.

ქართველი ერის ჩამოყალიბების დამთავრება XIX საუკუნის მეორე ნახევარში

პირობები ქართველი ერის შექმნისათვის საბოლოოდ მომწიფდა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ კი 60—70-იან წლებში. იმ დროს ქართველები უკვე წარმოადგენდნენ ისტორიის ქარცეცხლში გამოვლილ ადამიანთა მყარ ერთობას, რომელსაც ახასიათებდა ერის ყველა ძირითადი ნიშანი: ენის ერთობა, ტერიტორიის ერთობა, ეკონომიური ცხოვრების ერთობა და ფსიქიური წყობის ერთობა, რომელიც თავს იჩენდა კულტურის ერთობაში.

ქართული ლიტერატურული ენის ხალხურობისათვის ბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ გენიალურმა რუსთაველმა დაიწყო, მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. გვიანფეოდალურ ხანაში მისთვის იღვწოდნენ ქართული კულტურის ისეთი მოწინავე და გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ დავით გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. მაგრამ ამ ბრძოლას მრავალი გადაულახავი სიძნელე ეღობებოდა წინ. ენის განვითარებას ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, შინაური ფეოდალურ-კლერიკალური რეაქცია, რომელიც დრომოჭმული ფეოდალური წყობილების იდეოლოგიას წარმოადგენდა და ხალხისაგან მოწყვეტილი გაბატონებული არისტოკრატიის ინტერესებს ემსახურებოდა (ასეთი იყო, მაგალითად, კათალიკოზ ანტონ I-ის სკოლა), ხოლო, მეორე მხრივ, სპარსელი და თურქი ასიმილიატორების მრავალსაუკუნოვანი დამანგრეველი მოქმედების გავლენა, რაც ქართულ ენას სრულ მოსპობასაც კი უქადდა. ამ სიძნელეთა დაძლევისათვის აუცილებელი პირობები მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა. ეს პირობები კარგად გამოიყენეს 60-იანი წლების გამოჩენილმა მოღვაწეებმა თერგდალეულებმა, რომლებმაც თავიანთი საერთო ბრძოლა ძველი წყობილების დამცველთა წინააღმდეგ სწორედ ქართული ლიტერატურული ენის ხალხურობისათვის ბრძოლით დაიწყეს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვით ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის ფუძემდებლებს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და, აგრეთვე, გამოჩენილ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს. სწორედ მათ დაამკვიდრეს და გაბატონეს ქართულ ლიტერატურაში ხალხის ენა, რომელიც მანამდე რეაქციული არისტოკრატიისა და სამღვდელოების ძიერ დევნილი იყო და მარტო ღარიბთა ქოხებში აფარებდა თავს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადად დამთავრდა აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შეიქმნა პირობები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქართული მიწა-წყლის საიმედოდ დაცვას თურქი და სპარსელი აგრესორების მხრივ ხელყოფისაგან. რუსეთის არმიის რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვებამ ირან-თურქეთის წინააღმდეგ ომებში და აგრეთვე შამილის დამარცხებამ საბოლოოდ უზრუნველყო საქართველოს ტერიტორიული უშიშროება.

ქართველი ერის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი შინაგანი ეკონომიური კავშირის გაჩენა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შედეგია ისეთი დიდი მოვლენებისა, როგორიც იყო: ბატონყმური წყობილების დამხობა: საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის შრომის საზოგადოებრივი განაწილების განვითარება და, ამის შედეგად, აღებ-მიცემის არაჩვეულებრივი გაფართოება; გზებისა და რკინიგზების მშენებლობა; ქალაქების ზრდა; კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში და ა. შ.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრების აღორძინებამ ხელი შეუწყო იმავე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველების ფსიქიკური წყობის ერთობის შექმნას, რაც აგრეთვე ერის ჩამოყალიბების ერთ-ერთი აუცილებელი

პირობა იყო. ქართველი ერის სულიერი სახე, მისი „ნაციონალური ხასიათის“ თავისებურებანი ყალიბდებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე. მისი ჩამოყალიბება განსაზღვრა არა მარტო ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა საქართველოს გეოგრაფიული გარემოს თავისებურებანი, მოსახლეობის სიმჭიდროვე და სხვა მისთანები, არამედ, უმთავრესად, ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების პირობების თავისებურებებმა.

ქართველი ხალხის ფსიქიკური წყობის ერთობის გამოხატულებაა მისი ნაციონალური კულტურის სპეციფიკურ თავისებურებათა ერთობა. ქართველი ხალხის სულიერი თვისებები აღბეჭდილია ქართული კულტურის ისეთ ძეგლებში, როგორიცაა: შ. რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“; დ. გურამიშვილის და ნ. ბარათაშვილის ლექსები და პოემები; ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა უკვდავი მხატვრული ქმნილებები. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში და ნაწილობრივ 80-იან წლებშიც ქართული კულტურა გვევლინება, როგორც შედარებით ერთიანი, მთელი ქართველი ერისათვის საერთო კულტურა.

ასე დამთავრდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, რომელიც შედეგი იყო ქართველების ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთკავშირისა, მათი ერთად ცხოვრების, შრომისა და ბრძოლისა საუკუნეთა მანძილზე, თაობიდან თაობამდე.

ამასთან დაკავშირებით ი. სტალინი ამბობს: „საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა საშეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი“.

ქართველი ერის შემადგენლობა

ქართველი ერის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც ქართველი ტომები, ისე ზოგიერთი არაქართველური წარმოშობის ეთნიკური ელემენტი. ქართველი ერის ძირითადი ბირთვი, მისი უდიდესი უმრავლესობა შეადგინეს მოძმე ქართველმა ტომებმა: ქართებმა, მეგრელებმა და სვანებმა (ქართებში შედიან: ქართლელები, კახელები, იმერლები, გურულები, რაჭველები, ლეჩხუმლები, თუშ-ფშავ-ხევსურები, მთიულ-მოხევეები და სხვები). სწორედ ეს ქართველი ტომები და თემები გადაიქცნენ ქართველ ერად. მაგრამ ამათთან ერთად ქართველ ერში შევიდნენ აგრეთვე არაქართველური მოდგომის ხალხთა ისეთი ცალკეული ჯგუფები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველებთან ერთად სახლობდნენ ერთ ტერიტორიაზე და მათთან საერთო კულტურულ-ისტორიული ცხოვრება ჰქონდათ. ასეთებია: სომხების, ებრაელების, ბერძნების და სხვათა მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებიც ძალიან დიდი ხნის წინათ გადმოსახლებულან საქართველოში და ქართველი ხალხის ცხოვრების საერთო ფერხულში ჩაბმულან. ამათგან ბევრმა შეითვისა ქართული ენა და ქართველი ერის განუყოფელი ნაწილი გახდა; ისინი ახლა ეროვნებით ქართველები არიან.

როგორც ვთქვით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა ქართველი ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. მაგრამ ამ ხანაში მაინც არ მომხდარა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე მთელი ხალხის ერთ ერად შედუღება. საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროს ცხოვრობდნენ როგორც ქართველური, ისე არაქართველური წარმოშობის ადამიანთა მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებიც, მრავალი ისტორიული მიზეზის გამო, არ შესულან ქართველი ერის შემადგენლობაში, თუმცა მის ცხოვრებასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. ასეთები იყვნენ, მაგალითად, აჭარლები, რომლებიც მოდგმით ქართველ ტომებს, კერძოდ ქართებს, ეკუთვნიან, მაგრამ ძალიან დიდხანს იყვნენ მოწყვეტილი თავიანთ დედა-სამშობლოს საქართველოს და ამის გამო ეკონომიურად ჩამორჩნენ. აჭარლები მხოლოდ 70-იანი წლების მიწურულში განთავისუფლდნენ თურქეთის ძრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან და, თუმცა ამის შემდეგ სწრაფად წავიდა წინ მათი სამეურნეო აღორძინების პროცესი, თურქი ასიმილატორების ხანგრძლივი ზემოქმედების ამ მავნე გავლენის აღმოფხვრა და ამ მხარის მნიშვნელოვანი ეკონომიურ-კულტურული დაწინაურება მაინც დიდ დროის მოითხოვდა. ასეთები იყვნენ, შემდეგ, აფხაზები, რომლებიც ქართველთა ახლო მონათესავენი არიან, მაგრამ აგრეთვე ძალიან დიდხანს იტანჯებოდნენ თურქეთის უღელქვეშ, რამაც მათი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენა გამოიწვია. მართალია, აფხაზები ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში განთავისუფლდნენ თურქეთის ბატონობისაგან, მაგრამ 60-იან წლებამდე, ე. ი. აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავროს გაუქმებამდე, და უფრო გვიანაც, ეს მხარე ეკონომიურად მოწყვეტილი იყო დანარჩენ საქართველოს და ძალიან ნელა ვითარდებოდა. ასეთები იყვნენ, დასასრულ, ოსები, რომლებიც ეთნიკურად არ ეკუთვნიან ქართველურ ან მის მონათესავე ტომთა რიცხვს, მაგრამ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ ქართველებთან ერთად, ერთ კულტურულ-ისტორიულ ვითარებაში და იზიარებენ მათს ჭირსა და ლხინს.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების — მათ შორის აგრეთვე აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის — ეკონომიური და კულტურული კავშირი სულ უფროდაუფრო მჭიდრო ხდებოდა.

§ 2. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება XIX საუკუნის მეორე ნახევარში

საქართველოს რუსეთთან შეერთებას, როგორც უკვე ითქვა, დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. რუსეთის დაწინაურებული ცხოვრების გავლენით საქართველოს ცხოვრება განუხრელად მიდიოდა წინ. მაგრამ ეს ხდებოდა მეფის მთავრობის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლივ, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შესაბამისად — იმ კანონებისა, რომლებიც არ ემორჩილებიან ადამიანების, მათ შორის თვით მეფეების, ნება-სურვილს. რაც შეეხება მეფის მთავრობას, ცარიზმს, ის რუსეთის ყველა ხალხის — და მათ შორის თვით რუსი ხალხის — უბოროტესი მტერი იყო. ცარიზმმა რუსეთი გადააქცია „ხალხთა საპყრობილედ", სადაც გამეფებული იყო არარუს ერთა ჩაგვრის და შევიწროების პოლიტიკა — უხეში კოლონიური პოლიტიკა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის მთავრობა იძულებული იყო მაშინდელი ვითარებისათვის ანგარიში გაეწია და კოლონიური პოლიტიკა საქართველოში შედარებით ფრთხილად და მოქნილად ეწარმოებინა. მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. რუსული იარაღის არა ერთი გამარჯვების შედეგად განმტკიცდა რუსეთის პოზიციები კავკასიასა და შავი ზღვის რაიონში. 1859 წელს საბოლოოდ იქნა დამარცხებული შამილი და კავკასიის დაპყრობაც დამთავრდა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სწრაფად დაიწყო განვითარება სასაქონლო-კაპიტალისტურმა მეურნეობამ. რუსეთი საქართველოსა და ამიერკავკასიას დაუკავშირდა რკინიგზებით. ამასთან ერთად დაიწყო გემების რეგულარული მიმოსვლა შავ ზღვაზე. რუსეთის ფაბრიკებისა და ქარხნების ნაწარმი სულ უფროდაუფრო ფართოდ შემოდიოდა ჩვენში. რუსეთის წინაშე პრაქტიკულად დადგა საქართველოს ეკონომიური დაპყრობის ამოცანა, ე. ი. რუსეთის კოლონიად მისი საბოლოოდ გადაქცევის ამოცანა. ამ მოვლენებმა გამოიწვიეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი გაძლიერება საქართველოში.

ეკონომიურ სფეროში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო გადაექცია საქართველო არა მარტო რუსეთის საქონლის გასასაღებელ ბაზრად, არამედ აგრეთვე რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო ნედ-

ლეულის ბაზად, ე. ი. რუსეთის მრეწველობის უბრალო დანამატად. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს მრეწველობა ვითარდებოდა ცალმხრივად და ის თითქმის საუსებით იყო დამოკიდებული რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალზე.

მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკა ითვალისწინებდა აგრეთვე საქართველოს მიწა-წყალზე კოლონიზატორული ელემენტების (გერმანელების, ბერძნების, რუსების, სომხებისა და სხვ.) მასობრივად დასახლებას. კოლონისტებს ეძლეოდათ საუკეთესო მიწები და ენიჭებოდათ მრავალი პრივილეგია, მკვიდრთა შევიწროვების ხარჯზე. თვითმპყრობელობა შეგნებულად აღვივებდა ეროვნულ და სარწმუნოებრივ შუღლს სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის; ატარებდა ხალხების ერთმანეთზე წასისიანების, მათ შორის მტრობისა და შუხლა-შემოხლის ხელოვნურად გამოწვევის პოლიტიკას.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკა გამოიხატებოდა ქართველი ხალხის უფლებათა ყოველმხრივი შეზღუდვით როგორც სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ისე სასამართლოში, სკოლაში, პრესაში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ა. შ. ცარიზმი აშკარად დაადგა საქართველოს სრული რუსიფიკაციის გზას, ქართველი ერის თავისთავადობისა და მისი კულტურის მოსპობის გზას. ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებულ როლს ანიჭებდნენ სკოლას. რომელსაც, მეფის მრჩეველი შავრაზმელი მოღვაწეების აზრით, შეეძლო სრულიად დაევიწყებინა ქართველი ხალხისათვის დედაენა და გადაეგვარებინა, მოესპო საქართველო, როგორც ერი. ამით აიხსნება, რომ, 60-იანი წლებიდან მოკიდებული, მეფის მთავრობა სულ უფროდაუფრო ავიწროებდა ქართულ ენას, ხოლო შემდეგ საუსებითაც განდევნა იგი სკოლებიდან.

გაუგონარ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა ქართული პრესა. მეფის მთავრობა ყოველი ღონისძიებით ცდილობდა შეეზღუდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემა, ხოლო იმ მცირეოდენ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებიც მოწინავე ქართველი მოღვაწეების თავდადებული მეცადინეობის მეოხებით მაინც ახერხებდნენ გამოსვლას, სასტიკი ცენზურის არტახებში აქცევდა. მთავრობის ორგანოებმა ჩვენი სამშობლოს თვით სახელის ხსენებაც კი აკრძალეს: „საქართველოს“ მაგივრად პრესას უნდა ეწერა „თბილისის გუბერნია“ და „ქუთაისის გუბერნია“.

თვითმპყრობელობის ცენზურა და შავრაზმული პრესა სულს უხუთავდა ქართულ თეატრსაც. ცენზურა კრძალავდა ან სრულიად ამახინჯებდა ისეთ პიესებს, რომლებიც ოდნავ მაინც შეეხებოდნენ მწვავე სოციალურსა თუ ეროვნულ პრობლემებს. რეაქციული რუსული პრესა, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ცარიზმს, შეურაცხყოფდა და ამასხარავებდა ქართველი ხალხის უწმინდეს ეროვნულ გრძნობებს. 1882 წელს რეაქციონერი კატკოვის გაზეთმა „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-მ თბილისის სცენაზე დ. ერისთავის პიესის „სამშობლოს“ დადგმასთან დაკავშირებით დაბეჭდა საზიზღარი ცილისმწამებ-

ლური წერილი, რომელშიც აბუჩად აიგდო ქართველი ხალხის ეროვნული ემბლემა — ქართული დროშა.

ქართველი ერისა და მისი კულტურის დევნა-შევიწროებაში რუსეთის ცარიზმს ხელს უწყობდა რეაქციონერი ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც, თავისი ვიწრო კლასობრივი ინტერესების შესაბამისად, ერთგულად ემსახურებოდა მეფის მთავრობას და ჩინ-მედლებზე სცვლიდა თავისი ქვეყნის თავისუფლებას.

საქართველოს მშრომელი მასები იტანჯებოდნენ ორმაგი ჩაგვრის — ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკისა და მისი ხელისშემწყობი „საკუთარი“ თავადაზნაურობის ექსპლუატაციის უღელ ქვეშ. ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია ქართველი ხალხის უდიდესი გულისწყრომა და პროტესტი. აუტანელ სოციალურსა და ეროვნულ ჩაგვრას ქართველმა ხალხმა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით უპასუხა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება

რუსეთის თვითმპყრობელობა ჩაგრავდა და ავიწროებდა არა მარტო ქართველ ხალხს, არამედ რუსეთის ყველა ხალხს. ცარიზმი ატარებდა, ერთი მხრივ, არარუსი ხალხების უხეში ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის, ხოლო, მეორე მხრივ, თვით რუსი ხალხის აუტანელი სოციალური ჩაგვრისა და სასტიკი ექსპლუატაციის პოლიტიკას. რუსეთის ხალხების წინაშე მწვავედ იდგა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ამოცანა.

რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში წამყვანი როლი შეასრულა დიდმა რუსმა ხალხმა, რომელმაც პირველმა აღმართა ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. როგორც ვ. ლენინი გვასწავლის, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში განვლო სამი მთავარი პერიოდი: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პერიოდი, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული პერიოდი — 1895 წლიდან. რევოლუციონერთა პირველი თაობა, რომელმაც განაგრძო რადიშჩევის რევოლუციური ტრადიციები და ცარიზმის წინააღმდეგ მრისხანე აჯანყება მოაწყო, დეკაბრისტები იყვნენ. მათ შემდეგ ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ გამოვიდნენ დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატები — გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი.

საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსსა და მიმართულებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებმა. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. XIX საუკუნეში საქართველო რუსეთის სახელმწიფოში შედიოდა და უაღრესად მჭიდროდ იყო ჩაბმული რუსეთის ცხოვრების საერთო ფერხულში, რის გამოც განიცდიდა რუსეთის არა მარტო პოლიტიკურსა და ეკონომიურს, არამედ აგრეთვე იდეოლოგიურ გავლენას. ამით აიხსნება, რომ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა იდეები, მათი სოციალურ-პოლიტიკური და სხვა შეხედულებანი ძირითადად ემთხვევა მათი რუსი მასწავლებლების —

დეკაბრისტების, გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეებს.

მაგრამ საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობას, რუსეთის მოძრაობისაგან განსხვავებით, ჰქონდა აგრეთვე თავისი საკუთარი, სპეციფიკური ამოცანები, რომლებიც საქართველოს მაშინდელი ცხოვრების თავისებურებით იყო ნაკარნახევი. როგორც ვთქვით, საქართველო მეფის რუსეთის კოლონია იყო და განიცდიდა არა მარტო სოციალურ, არამედ აგრეთვე ეროვნულ ჩაგვრას, ე. ი. ორმაგ უღელ ქვეშ იტანჯებოდა. ამიტომ, თუ რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსსა და მიზანს სოციალური უსამართლობისაგან მშრომელი ხალხის განთავისუფლება შეადგენდა, საქართველოში ამას დაემატა ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების ამოცანაც. ამრიგად, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით და საქართველოს მაშინდელი ცხოვრების პირობების თავისებურების შედეგად წარმოიშვა **საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა,** რომელმაც, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მსგავსად, განვითარების სამი მთავარი პერიოდი განვლო.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ანუ თავადაზნაურული პერიოდი ჩვენში იწყება დაახლოებით 1832 წლიდან და გრძელდება 60-იანი წლების დასაწყისამდე; სამოციანი წლებიდან ოთხმოცდაათიანი წლების ბოლომდე გრძელდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პერიოდი, ხოლო შემდეგ იწყება პროლეტარული პერიოდი.

მეფის თვითმპყრობელობამ სასტიკი ზომებით სცადა ჩაეხშო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ ვერ შეძლო განმათავისუფლებელი იდეების მოსპობა. პირიქით, რაც უფრო ძლიერდებოდა ორმაგი ჩაგვრით შეწუხებული ხალხის დრტვინვა, მით უფრო ნოყიერი ნიადაგი იქმნებოდა განმათავისუფლებელი იდეების გასავრცელებლად. ამ იდეებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჰპოვეს გამოხატულება და ანარეკლი ისეთი გამოჩენილი მოაზროვნეებისა და მწერლების შემოქმედებაში, როგორიც იყვნენ: ს. დოდაშვილი, ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი და სხვ. შემდგომ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპზე, ეს იდეები გააღრმავეს, გააფართოეს და განამტკიცეს სამოციანი წლების სახელოვანმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა — თერგდალეულებმა.

თერგდალეულთა აზრები და იდეები წარმოადგენდნენ მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარების შედეგს, მის გამოხატულებას იდეოლოგიურ სფეროში. ქართველმა გლეხობამ და ქალაქის ღარიბმა მოსახლეობამ, რომლებიც მთელი ქართველი ხალხის თითქმის ცხრა მეათედს შეადგენდნენ, ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყეს თავიანთი ინტერესების შეგნება. თუ წინათ, სიცოცხლეგამწარებული ქართველი გლეხი ხან თავადაზნაურობას ეკედლებოდა და ცარიზმის მძიმე უღლის გადაგდებას მისი დახმარებით ლამობდა, ხან კი მეფის ჩინოვნიკებისა და მეფის კანონების შემწეობით იმედოვნებდა არანაკლებ მძიმე ბატონყმური უღლის მოცი-

ლებას, მერე და მერე უკვე მიხვდა, რომ ცარიზმიცა და „საკუთარი“ თავადაზნაურობაც ორივე მისი მტერია. გლეხობა, და მასთან ერთად ქალაქის მშრომელები, თანდათან გამოერკვნენ ბურანიდან, თანდათან გაიზარდა მათი კლასობრივი თვითშეგნება. უკვე გურიის გლეხობის 1841 წლის აჯანყებაში გლეხობამ აშკარად მიმართა მახვილი ორივე მტრის — ცარიზმისა და ქართველი მემამულეების წინააღმდეგ. მომდევნო ხანაში — განსაკუთრებით ყირიმის ომის დროიდან საგლეხო რეფორმამდე — გლეხობის ბრძოლამ ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. ქართველი გლეხობის ბრძოლას მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ ხმა მისცა ქალაქის ღარიბმა მოსახლეობამაც — მუშებმა, ხელოსნებმა, წვრილმა ვაჭრებმა და ნაწილობრივ აგრეთვე ახლად ფეხადგმულმა ბურჟუაზიამ.

ამრიგად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საფუძველს წარმოადგენდა დაჩაგრული და უუფლებო კლასების, ე. წ. „მესამე წოდების“ ბრძოლა ცარიზმისა და პრივილეგიის მქონე კლასების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა XIX საუკუნის მეორე ნახევარში სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა და მშრომელთა ექსპლუატაციის გაძლიერების შესაბამისად.

დაჩაგრული კლასების ბრძოლის გაფართოებასა და გაძლიერებას არ შეეძლო არ გამოეწვია ამ ბრძოლის იდეოლოგიური ფორმის გაძლიერებაც. ამით აიხსნება, რომ მეცხრამეტე საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების სარბიელზე ცენტრალური ადგილი დაიჭირეს თერგდალეულებმა, — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

§ 3. ქართველი სამოციანელების ანუ თერგდალეულების მოღვაწეობა

თერგდალეულების ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის

როგორც ვ. ლენინი მიუთითებდა, რუსეთში გასული საუკუნის სამოციან წლებში „**ყველა** საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა“. ამით აიხსნება, რომ რუსეთის ყველაზე უფრო პროგრესული მოღვაწეები თავიანთ უმთავრეს და უპირველეს ამოცანად ბატონყმობის დამხობასა და სოციალური უსამართლობის მოსპობას სახავდნენ. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ამოცანა არანაკლები სიმწვავით იდგა საქართველოს პროგრესული მოღვაწეების — თერგდალეულების წინაშეც და ამიტომ იყო, რომ ისინი თავდადებით იბრძოდნენ ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ. მაგრამ, ამასთანავე, როგორც უკვე ითქვა, მათ წინაშე იდგა მეორე, აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხი — ნაციონალური ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების საკითხი, რომელსაც ისინი პირველ რიგში აყენებდნენ.

ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თერგდალეულები ეყრდნობოდნენ რუსეთის მოწინავე ადამიანთა მხარდაჭერას.

.რუსი ხალხის საუკეთესო შვილები, გამოჩენილი რევოლუციური დემოკრატები ყოველთვის აღიარებდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხების — მათ შორის ქართველი ხალხის — ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული კულტურის განვითარების უფლებას. რუსეთის ყველა ხალხის და მათ შორის დიდი რუსი ხალხის ნამდვილი განთავისუფლების საქმეს ისინი მართებულად უკავშირებდნენ ცარიზმის დამხობის ამოცანას.

თერგდალეულები კარგად ხედავდნენ, რომ არსებობს ორი რუსეთი: მეფის, კატკოვისა და მისი მსგავსი რეაქციონერების რუსეთი და რევოლუციონერ-დემოკრატების, ჩერნიშევსკის რუსეთი. თერგდალეულები მთელი ძალ-ღონით ებრძოდნენ მეფის რეაქციულ რუსეთს, რომელიც მათ უსაზღვროდ სძულდათ. იმავე დროს ისინი ამაყობდნენ ამით, რომ პროგრესული რუსეთის მეგობრები იყვნენ და უსაზღვროდ უყვარდათ იგი.

ქართველი ხალხის ეროვნულ უფლებათა დაცვისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით დიდ ქართველ მწერლებს ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელს, რომელთა მხატვრული ნაწარმოებები გაჟღენთილია ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის სულისკვეთებით.

ი. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ჭაბუკობის დროს დაწერილ ლექსებსა და პოემებში უდიდესი გაბედულებით აღვივებდა ხალხში ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას. 1858 წელს ლექსში „ჩემი თარიანალი“ ის ამბობდა:

„რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს
ჩვენი სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს...
თუ ერთობა ჩვენ გვექნება,
მტერი წინ ვერ დაგვიდგება;
ჩვენგანი ქართვლის დამთრგუნველს
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება“.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა განსაკუთრებით ძლიერად გამოხატული პოემაში „ქართვლის დედა“, რომელიც თავისუფლების ნამდვილი ჰიმნია. პოემის ავტორი პირდაპირ მოუწოდებდა ხალხს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ.

ასევე თავგამოდებით მოუწოდებდა ქართველ ხალხს მეფისა და მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველად აკაკი წერეთელი.

თერგდალეულები დაუნდობლად ებრძოდნენ არა მარტო აშკარა რეაქციონერებს, რომლებიც თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის ხელშეუხებლობას იცავდნენ, არამედ აგრეთვე თავადაზნაურულ ლიბერალებს, რომლებიც სიტყვით „მთელი ქართველი ერის“ დამცველად გამოდიოდნენ, საქმით კი ცარიზმისა და დიდი მემამულეების ინტერესებს ემსახურებოდნენ. რეაქციონერებისა და ლიბერალების წინააღმდეგ თერგდალეულთა ბრძოლის უმთავრეს საგნად გადაიქცა ეროვნული საკითხი, სახელდობრ — ქართული ენის დაცვის საკითხი. ძველი თაობის იდეოლოგიის გამანადგურებელი კრიტიკა მოგვცა ი. ჭავჭავაძემ ლექსში „პასუხის პასუხი“.

თერგდალეულთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამსახურება ისაა, რომ ისინი აქტიურად გამოდიოდნენ ნაციონალური კარჩაკეტილობისა და შეზღუდულობის წინააღმდეგ, დაუღალავად ქადაგებდნენ ხალხთა ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის იდეას.

ბრძოლის ძირითად და უმთავრეს საშუალებად თერგდალეულებს ხალხში თავიანთ შეხედულებათა ფართო პროპაგანდა მიაჩნდათ. პროპაგანდას თერგდალეულები უმთავრესად ლეგალური პრესის საშუალებით ეწეოდნენ, მაგრამ ზოგჯერ არალეგალურ საშუალებებსაც იყენებდნენ.

ქართველი სამოციანელების ანუ თერგდალეულების შეხედულებანი ყველაზე უფრო მკაფიოდ და სრულად ჩამოაყალიბეს თავიანთ ნაწერებში გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა.

ილია ჭავჭავაძე
(1837 — 1907)

ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაიბადა სოფელ ყვარელში, გაღარიბებული თავადის ოჯახში. პატარა ილია მრავალი წლის განმავლობაში გლეხის ბავშვებთან ერთად იზრდებოდა. 1848 წელს ილია სასწავლებლად ჩამოიყვანეს თბილისში. 1857 წელს იგი გაემგზავრა პეტერბურგში და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. იქ ის გაეცნო რუსეთის მოწინავე ადამიანებს, მათ შორის ნ. ჩერნიშევსკის. პეტერბურგში ყოფნის დროს ი. ჭავჭავაძემ ღრმად შეითვისა თავისი დროის მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიული და ჰუმანისტური იდეები. 1861 წელს, პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით, ი. ჭავჭავაძე გამორიცხეს უნივერსიტეტიდან. იმავე წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა.

ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე ი. ჭავჭავაძემ გარს შემოიკრიბა ნაშინდელი საქართველოს დემოკრატიული და რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი ახალგაზრდობა და გააჩაღა მძაფრი იდეური ბრძოლა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. ი. ჭავჭავაძის მიერ დაარსებული პროგრესული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ გადაიქცა თერგდალეულთა თაობის ტრიბუნად. „საქართველოს მოამბეს“ მთავრობის ცენზურამ აუტანელი პირობები შეუქმნა, რის გამოც ჟურნალი მალე დაიხურა. ამის შემდეგ ი. ჭავჭავაძე იძულებული გახდა სამსახური დაეწყო. სამსახურთან ერთად ის აქტიურად განაგრძობდა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას და კვლავ ხელმძღვანელობდა თერგდალეულთა საქმიანობას. ფართო შემოქმედებითსა და მეცნიერულ მუშაობასთან ერთად, ი. ჭავჭავაძე ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ილია ჭავჭავაძე იყო საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი მწერალი და მოაზროვნე, — ქართველი ხალხის დიდი განმანათლებელი; უაღრესად ფართო ერუდიციისა და განათლების ადამიანი, სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლი, ის რისხვად ევლინებოდა ქართველი ხალხის მტრებს, რომლებსაც ანადგურებდა ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ბასრი იარაღით. სასტიკი ცენზურის პირობებში ი. ჭავჭავაძე ახერხებდა გაეპარებინა პრესაში თვითმპყრობელობისა და დრომოჭმული წყობილების საწინააღმდეგო გაბედული აზრები.

ილია ჭავჭავაძე თავისი სამშობლოს უდიდესი პატრიოტი იყო. მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი ერი, განსაკუთრებით მისი დაჩაგრული ნაწილი — გლეხობა. მაგრამ, ამასთანავე, ის უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა სხვა ერებს, განსაკუთრებით — დაჩაგრულ ერებს. მას არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი მხურვალე თანაგრძნობა ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი იტალიელების, ირლანდიელების, ჩეხების, უნგრელების, ბერძნებისა და სხვათა მიმართ.

ილია ჭავჭავაძის მთელი სიმპათია ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხის, — მუშებისა და გლეხების მხარეზე იყო. თუ რა მხურვალე თანაგრძნობით ეპყრობოდა ი. ჭავჭავაძე ევროპის მუშათა მოძრაობას, ეს ჩანს მისი შესანიშნავი ლექსიდან, რომელიც მიძღვნილია პარიზის კომუნისადმი. ამ ლექსში დიდი ქართველი პოეტი მიესალმება პარიზის კომუნარებს და მათ წითელ დროშას „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელ დიდ დროშას“ უწოდებს, მათ მიერ დაღვრილ სისხლს — „წმინდა სისხლს“, ხოლო მათ საქმეს — „ქვეყნის ხსნად მოვლინებულ დიდ საქმეს“.

ილია ჭავჭავაძემ ვერ შეძლო ამაღლებულიყო ისტორიის მატერიალისტურ, ე. ი. მარქსისტულ გაგებამდე. მას ჰქონდა სერიოზული თეორიული შეცდომები და ცალკეული გადახვევები იდეალიზმისაკენ. მან ვერ გაიგო საქართველოს მუშათა კლასისა და მისი რევოლუციური მოძრაობის ისტორიული როლი. მიუხედავად ამისა, ძალიან დიდი იყო ყოველივე იმის მნიშვნელობა, რის გაკეთებაც მან შეძლო მაშინდელი საქართველოს დუხჭირ ვითარებაში — ჩამორჩენილობის, უუფლებობისა და თავისუფალი აზრის დევნის პირობებში.

ილია ჭავჭავაძე მსოფლმხედველობით ძირითადად განმანათლებელი იყო, მაგრამ ბევრ საკითხში გამოდიოდა როგორც ნამდვილი რევოლუციონერი-დემოკრატი. მან, თავის თანამოზრეებთან ერთად, გამოაღვიძა და გაათვითცნობიერა ქართველი ერი, აამაღლა დაბალი კლასების შეგნება და ხელი შეუწყო ხალხის მასებს მომზადებას მომავალი რევოლუციისათვის.

აკაკი წერეთელი
(1840 — 1915)

ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამებრძოლი და თერგდალეულთა ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი იყო დიდი ქართველი პოეტი აკაკი როსტომის ძე წერეთელი. აკაკი დაიბადა სოფელ სხვიტორში (საჩხერის ახლოს), თავადის ოჯახში. პატარა აკაკი აღსაზრდელად გააბარეს სოფელ სავანეში, ყმა გლეხის სადუნიშვილის ოჯახში, სადაც მან 6 წელი დაჰყო. ღარიბი გლეხის ოჯახში მიღებულ შთაბეჭდილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის.

1850 წელს აკაკი ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს. პოეტი ჩინებულად სწავლობდა, მაგრამ ვერ შეურიგდა სასწავლებელში გამეფებულ უხეშ რუსიფიკატორულ რეჟიმს და გიმნაზიის უკანასკნელი კლასიდან გამოვიდა. ამ დროს ის სამშობლოს განთავისუფლებაზე ოცნებობდა და ამიტომ გადასწყვიტა სამხედრო განათლება მიეღო. 1859 წელს აკაკი პეტერბურგს გაემგზავრა. მას განზრახული ჰქონდა სამხედრო სასწავლებელში შესულიყო, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალა და პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა თავისუფალ მსმენე-

ლად. რუსეთში ახალგაზრდა ქართველ პოეტს საუცხოოდ მომზადებული პირობები დახვდა: იმ დროს რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ საფეხურზე ავიდა.

პეტერბურგში აკაკი გაეცნო და დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძეს. მოწინავე ქართველ სტუდენტებთან ერთად, აკაკი უდიდესი გატაცებით ითვისებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს. იმავე ხანებში გაეცნო და დაუმეგობრდა აკაკი უკრაინის სახალხო პოეტს, გამოჩენილ რევოლუციონერ-დემოკრატს ტარას შევჩენკოს.

აკაკიმ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაწერა მრავალი შესანიშნავი ლექსი, რომლებშიც უმღერა ხალხის თავისუფლებას. 1864 წელს აკაკი საქართველოში დაბრუნდა. მან უარი თქვა სამსახურში შესვლაზე და მთელი თავისი ძალ-ღონე ლიტერატურულსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეალია. აკაკი დაუღალავად იღვწოდა ხალხის საკეთილდღეოდ; უაღრესად აქტიურად მონაწილეობდა თერგდალეულთა ჟურნალ-გაზეთებში.

აკაკი წერეთელი ნამდვილი სახალხო პოეტი იყო. ის ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ახლოს ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას. მის გრძნობით სავსე ლექსებში ქართველი ხალხის, დაჩაგრული ქართველი გლეხობის სულისკვეთებაა გამოხატული. აკაკი ხშირად იყენებდა სატირას, რომლის მახვილი მიმართული ჰქონდა ხალხისათვის საძულველი მეფის ჩინოვნიკებისა და რეაქციონერი ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ. აკაკის მართალი, პირდაპირი და მახვილი სიტყვა ძილს უფრთხობდა ძველი წყობილების დამცველებს. რაც უფრო ძლიერდებოდა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, მით უფრო მძლავრად გაისმოდა აკაკის ჩანგის ჟღერა ხალხის ინტერესების დასაცავად. მისი პოეზია აღვიძებდა ხალხს, უძლიერებდა მას გამარჯვების რწმენას, მოუწოდებდა ბრძოლისაკენ.

ამიტომ იყო აკაკი ქართველი ხალხის განსაკუთრებით საყვარელი პოეტი.

ნიკო. ნიკოლაძე
(1843 — 1928)

გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და მოაზროვნე ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე დაიბადა ქ. ქუთაისში, ვაჭრის ოჯახში. სწავლა მას ძალიან ადრე დააწყებინეს. ჯერ კერძო მასწავლებლებთან სწავლობდა, შემდეგ კი ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს.

1861 წელს ნ. ნიკოლაძე სასწავლებლად გაემგზავრა რუსეთში და პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა. მაგრამ უნივერსიტეტში სწავლა დიდხანს არ დასცალდა: სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის იმავე წელს დააპატიმრეს და სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად კრონშტადტის ციხეში ჩასვეს. ამას მოჰყვა მისი უნივერსიტეტიდან გამორიცხვა. 1864 წელს ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა.

პეტერბურგში ცხოვრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. ნიკოლაძისათვის. იქ ის აქტიურად ჩაება განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა საქმიანობაში. ნ. ნიკოლაძე პირადად გაეცნო ნ. ჩერნიშევსკს, რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

1866 წელს, მეფე ალექსანდრე მეორეზე კარაკოზოვის თავდასხმასთან და-

კავშირებით, ნ. ნიკოლაძემ ჟენევაში გამოსცა ბროშურა: „მთავრობა და ახალი თაობა“, რომელშიც სასტიკად ილაშქრებდა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, თუმცა კი უარყოფდა ტერორისტულ აქტებს, როგორც ბრძოლის მეთოდს. 1868 წელს ნ. ნიკოლაძე ლ. მეჩნიკოვთან ერთად ჟენევაში სცემდა რუსულ ჟურნალს „სოვრემენნოსტ“ („თანამედროვეობა“). იმავე წელს ჟენევაში მისი რედაქტორობით გამოიცა ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი.

1869 წელს ნ. ნიკოლაძე ევროპიდან სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება თერგდალეულთა ბრძოლაში ძველი წყობილების დამცველთა წინააღმდეგ. ის უშუალოდ მონაწილეობდა თერგდალეულთა ორგანოების — „დროებისა“ და „კრებულის“ გამოცემაში, ხოლო შემდეგ (1878 წ.) დააარსა საკუთარი ორგანო, რუსული გაზეთი „ობზორი“ („მიმოხილვა“).

ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობამ გამოაცოცხლა და გააძლიერა თერგდალეულთა მოძრაობა 70-იან წლებში. მის ნიჭიერ, მახვილ პუბლიცისტურ წერილებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის.

გიორგი წერეთელი
(1842 — 1900)

თერგდალეულთა შორის ფრიად თვალსაჩინო, ხელმძღვანელი ადგილი ეჭირა აგრეთვე ნიჭიერ ქართველ მწერალსა და მოაზროვნეს გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელს, რომელიც დაიბადა სოფელ გორისაში (ზემო იმერეთში), აზნაურის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება გიორგიმ ოჯახში მიიღო. ცხრა წლისა რომ შეიქნა, ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს.

1860 წელს გ. წერეთელმა დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. რის შემდეგაც სასწავლებლად პეტერბურგს გაემგზავრა. ის შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. იმავე დროს გაეცნო მოწინავე სტუდენტებს და გულმოდგინედ დაეწაფა აკრძალული წიგნების კითხვას. გ. წერეთელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობაში. 1861 წლის სექტემბერში სტუდენტებმა დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია მოაწყეს დედაქალაქის ქუჩებში. ამ დემონსტრაციის აქტიური მონაწილეები — მათ შორის გ. წერეთელი და ბევრი სხვა ქართველი სტუდენტი — მთავრობამ დააპატიმრა.

სტუდენტობის წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა გ. წერეთლის მოწინავე მსოფლმხედველობა. მან საფუძვლიანად შეითვისა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები და ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას ჩაება იმ იდეურ ბრძოლაში, რომელიც საქართველოში გაჩაღდა თერგდალეულებსა და ძველი, თავადაზნაურული იდეოლოგიის წარმომადგენლებს შორის.

1863 წლის ბოლოს გ. წერეთელი სამშობლოში დაბრუნდა და გვერდში ამოუდგა ახალ თაობას. ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ თერგდალეულთა ერთმა ჯგუფმა დაიწყო ზრუნვა ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის, „დროების“ გამოცემისათვის. ამ გაზეთის გამოცემის ნებართვა მიღებულ იქნა 1866 წელს. მის რედაქტორად მიიწვიეს გ. წერეთელი, რომელიც უძღვებოდა მას 1869 წლამდე. 1868 წელს მან დააარსა „საპასოფლო გაზეთი“. 1871 წელს გ. წერეთლის რედაქტორობით გამოსვლა იწყო თერგდა-

ლეულთა ახალმა სალიტერატურო ჟურნალმა „კრებულმა“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ახალი თაობის შეხედულებათა გავრცელების საქმეში. 1873 წელს გ. წერეთელი გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც 1877 წლამდე დარჩა. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, განსაკუთრებით კი 80-იანი წლებიდან, გ. წერეთელი აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოში მრეწველობის განვითარებისათვის.

ფართო საზოგადოებრივ და სარედაქტორო მუშაობასთან ერთად გ. წერეთელი დაუღალავად შრომობდა მხატვრული ლიტერატურის დარგშიც და აგრეთვე ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას. გ. წერეთლის შემოქმედებაში რეალისტურად აისახა საქართველოში ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესი. მისი მრავალრიცხოვანი, ნიჭიერად დაწერილი მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები დიდი სიცხადით გამოხატავენ თერგდალეულთა თაობის იდეოლოგიას.

გ. წერეთლის ნაწერებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ძველი, ფეოდალურ-კლერიკალური იდეოლოგიის დამარცხებისა და ახალი, დემოკრატიული იდეების გავრცელების საქმეში.

თერგდალეულთა სოციალურ-პოლიტიკური იდეალები. „სამართლიანი საზოგადოება“

თერგდალეულები, თვითმპყრობელობისა და ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ, იმავე დროს ახალი, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების აშენებაზე ოცნებობდნენ. მათ სურდათ ადამიანთა შორის ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარება, რომლის დროსაც აღარ იქნებოდა ადამიანთა სოციალური და ნაციონალური ჩაგვრა, მოისპობოდა წოდებათა შორის ყოველგვარი პრივილეგიები და კანონის წინაშე ყველა ადამიანს ერთნაირი უფლება ექნებოდა. ისინი ცდილობდნენ გამოენახათ გზები ისეთი სამართლიანი საზოგადოების ასაშენებლად, რომელშიც დამყარებული იქნებოდა „ძმობა, ერთობა და თავისუფლება“.

თერგდალეულების აზრით, ამ „სამართლიან საზოგადოებას“ საფუძვლად შრომა უნდა დადებოდა. ყველა ადამიანი, რა წოდებისაც არ უნდა ყოფილიყო ის, მოვალე იქნებოდა ეშრომა. ხოლო იმისათვის, რომ შრომა ნამდვილად განთავისუფლებულიყო ჩაგვრისა და ექსპლუატაციისაგან, მშრომელები უნდა გაერთიანებულიყვნენ ისეთ ასოციაციებად და კოოპერატიულ ამხანაგობებად, რომლებიც დაეხმარებოდნენ ყველა წევრს მეურნეობის უკეთ მოწყობაში და თან დაიცავდნენ მათ ყოველგვარი ჩაგვრისაგან. თავიანთი თეორიები თერგდალეულებმა შეიმუშავეს რუსეთისა და ევროპის უტოპისტ-სოციალისტების (ჩერნიშევსკის, სენ-სიმონისა და სხვების) შეხედულებათა გავლენით, მაგრამ თერგდალეულები, ისევე როგორც მათი მასწავლებლები, არ მოითხოვდნენ არც კერძო საკუთრებისა და არც კლასების მოსპობას.

თერგდალეულებს გულწრფელად სწამდათ, რომ მათი „სამართლიანი საზოგადოება“, თუკი აშენდებოდა, ქართველ ხალხს ნამდვილ ბედნიერებას მოუტანდა. მაგრამ ისინი ღრმად სცდებოდნენ. თერგდალეულები არ იცნობდნენ მარქსის თეორიას და არ ესმოდათ, რომ შეუძლებელია შრომის განთავისუფლება და ადამიანთა ჩაგვრის მოსპობა ისე, თუ არ მოისპო მიწისა და წარ-

მოების საშუალებათა კერძო საკუთრება, თუ არ მოისპო ანტაგონისტური კლასები. თერგდალეულებს ეგონათ, რომ ისინი შეძლებდნენ ახსნა-განმარტების, დარწმუნებისა და თანდათანი რეფორმების გზით, რევოლუციის მოუხდენლად მოეპოვებინათ ხალხისათვის უფლებები. მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ შეუძლებელია საზოგადოების ყველა წევრისათვის თანასწორ უფლებათა მოპოვება, თუ წინასწარ ძალით არ იქნა დათრგუნვილი ძლიერება გაბატონებული კლასებისა, რომლებიც ყოველი ღონითა და საშუალებით იცავენ თავიანთ პრივილეგიებს. ამიტომ თერგდალეულთა გეგმები უტოპიური და განუხორციელებელი იყო.

თერგდალეულებმა ვერ შეძლეს ეპოვნათ სწორი გზა მომავალი, ნამდვილად სამართლიანი და თანასწორი საზოგადოების, ე. ი. სოციალისტური საზოგადოების, შექმნისათვის. მათი „სამართლიანი საზოგადოება“ ნამდვილად ისევ უსამართლო, ბურჟუაზიული საზოგადოება იქნებოდა, რადგან ის იმავე კერძო საკუთრებას უნდა დაყრდნობოდა, რომელიც გამუდმებით წარმოშობს ქონებრივ უთანასწორობასა და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას.

მიუხედავად ამისა, თერგდალეულთა ბრძოლას სამართლიანი საზოგადოებისათვის, ქვეყნად ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების დამყარებისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია: მათი პროპაგანდა ხელს უწყობდა მშრომელი ხალხის შეგნების ზრდას და მის შემზადებას ნამდვილად სამართლიანი და ბედნიერ-საზოგადოებრივი წყობილებისათვის საბრძოლველად.

თ ა ვ ი XXXI

აგრარული საკითხი საქართველოში რეფორმის შემდგომ ხანაში. ქართველი ხალხოსნები

§ 1. მიწათმფლობელობა საქართველოში რეფორმის შემდეგ და გლეხთა აგრარული მოძრაობა

მეფისა და მემამულეების მიწათმფლობელობა. კაპიტალიზმის განვითარების ორი გზა

საგლეხო რეფორმამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ვერ გაამართლა ქართველი გლეხობის იმედი. ეს რეფორმა თვით მემამულეების ხელით გატარდა და ბატონყმური ხასიათისა იყო. მართალია, ყმა გლეხი პირადად განთავისუფლდა, მაგრამ ის თითქმის ყველგან უმიწაწყლოდ დარჩა, რის გამო კიდევ უფრო მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდა, ვიდრე ბატონყმობის დროს იყო. საგლეხო რეფორმამ არსებითად ხელუხლებლად დატოვა მემამულეთა მიწათმფლობელობა.

ყველაზე დიდი მემამულე თვით მეფე და მისი სახლი იყო. მეფის მთავრობამ სხვადასხვა გზით იგდო ხელთ საქართველოს მიწების უდიდესი ნაწილი. საგლეხო რეფორმის შემდეგ სამეფო ხაზინას ეკუთვნოდა 3.862.723 ჰექტარი მიწა, რაც მიწის მთელი ფართობის 57,6 პროცენტს შეადგენდა (გარდა ამისა, 127.060 ჰექტარი მიწა საუფლისწულო უწყებას ეკუთვნოდა). სახაზინო მიწებს მეფის მთავრობა თავისი კოლონიური პოლიტიკის მიზნებისათვის იყენებდა: საუკეთესო მიწებს უცხო კოლონიზატორულ ელემენტებს ურიგებდა, ადგილობრივ მცხოვრებლებს კი მამაპაპეული მიწიდან ერეკებოდა და ხრეოკ ადგილებში ასახლებდა. გარდა ამისა, მთავრობა სახაზინო მიწებით უხვად აჯილდოებდა ცარიზმის ერთგულ მოხელეებს — რუსეთის დიდ თავადებსა და აზნაურებს, აგრეთვე უცხოელ ვაჭრებსა და ფაბრიკანტებს. სახაზინო მიწებზე მცხოვრებ გლეხებს სახელმწიფო გლეხები ეწოდებოდათ. ისინი მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიდნენ, თუმცა სხვა კატეგორიის გლეხებთან (დროებით ვალდებულნი, ხიზნები) ამ მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ხაზინის შემდეგ მიწის ყველაზე დიდი მფლობელები იყვნენ ქართველი თავადები და აზნაურები. რეფორმის შემდეგ მათ საკუთრად ჰქონდათ 2.091.354 ჰექტარი მიწა. თავადაზნაურობაშიც მიწები ერთნაირად როდი იყო განაწილებული. ამ წოდების წამყვან ძალას წარმოადგენდნენ დიდი მიწათმფლობელები, რომელთა ხელში საუკეთესო მიწის უდიდესი მასივები, ლატიფუნდიები

იყო თავმოყრილი. თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 567 უდიდესი მემამულე, რომლებიც თითოეული 500 დესეტინაზე მეტ მიწას ფლობდა. მათი მიწები შეადგენდა მთელი გუბერნიის კერძო სამფლობელო მიწის 62,7 პროცენტს. ქუთაისის გუბერნიაში კი მარტო 92 ლატიფუნდია შეადგენდა კერძო მიწების 52,7 პროცენტს.

ეს ლატიფუნდიები წარმოადგენდნენ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ყველაზე დიდ გადმონაშთს, — რეაქციის ეკონომიურ დასაყრდენს. მართალია, ლატიფუნდიებიც კაპიტალიზმის გზით ვითარდებოდა და თანდათან ევოლუციას განიცდიდა, მაგრამ ეს იყო კაპიტალიზმის განვითარების ე. წ. „პრუსიული გზა", რომელიც, ერთი მხრივ, თვითმპყრობელობის ხელუხლებლობას და მემამულეთა ინტერესებისა და პრივილეგიების დაცვას უზრუნველჰყოფდა. ხოლო მეორე მხრივ — მშრომელი გლეხობის ტანჯვისა და ექსპლუატაციის კიდევ უფრო გამძაფრებას იწვევდა. ამით აიხსნება, რომ გლეხობამ ბატონყმური წყობილების ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის მახვილი უმთავრესი ბატონყმური ლატიფუნდიების წინააღმდეგ მიმართა. გლეხობა იმისათვის იბრძოდა, რომ მოესპო მემამულეთა ლატიფუნდიები, ექსპლუატაციის ყველა ბატონყმურ-კაბალური წესი და გაეფართოებინა თავისუფალი გლეხური მიწათმფლობელობა. ესეც კაპიტალიზმის განვითარება იქნებოდა, ოღონდ ბევრად უფრო პროგრესული გზით, ე. წ. „ამერიკული გზით", რომელიც შექმნიდა პირობებს გლეხთა კეთილდღეობის საგრძნობლად გაუმჯობესებისათვის.

ამრიგად, რეფორმის შემდეგ საქართველოს სოფელში კაპიტალიზმის განვითარების ანუ ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ორი სხვადასხვა გზა დაისახა: რეაქციული და რევოლუციური. პირველისათვის იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობა და მემამულეები, ხოლო მეორისათვის — გლეხობა.

გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობა

როგორც დავინახეთ, სამეფო ხაზინისა და ქართველი თავადაზნაურობის ხელთ თავმოყრილი იყო მიწების უდიდესი ნაწილი. რეფორმის შემდეგ მიწების მნიშვნელოვანი პროცენტი დაისაკუთრეს აგრეთვე ვაჭარ-მრეწველებმა, ფინანსისტებმა, მთავრობის მოხელეებმა და სხვა პარაზიტულმა ელემენტებმა. რაც შეეხება მიწის უშუალო დამმუშავებელს — გლეხობას, მას სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით ჰქონდა საკუთარი მიწა. საქართველოს გლეხობის კუთვნილი მიწების რაოდენობა სულ უდრიდა 418.110 ჰექტარს, რაც მიწის საერთო ფართობის მხოლოდ 6,4 პროცენტს შეადგენდა. ამ მიწების დიდი ნაწილიც გლეხთა ზედაფენის — კულაკების ხელში იყო.

უმიწობის გამო განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ყოფილი შინაყმები, დროებით ვალდებული გლეხები და ხიზნები. ბატონყმობის გაუქმების დროს ყმობიდან განთავისუფლებულ გლეხთა მნიშვნელოვან ნაწილ (შინაყმებს) მიწა სრულიად არ მიუღია; თბილისის გუბერნიაში უმიწოდ განთავისუფლდა 1444, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 4.000 კომლი გლეხი. ცხადია, ამ, პროლეტარებად ქცეულ გლეხებს არსებობის არავითარი წყარო არ გააჩნდათ, გარდა საკუთარი მარჯვენის გაქირავებისა.

არც დროებით ვალდებული გლეხები იყვნენ უკეთეს მდგომარეობაში. საუკუნეთა განმავლობაში ბატონყმური უღლისაგან ილაჯგაწყვეტილი და და-

ბეჩავებული ნაყმევი მეტწილად ვეღარ ახერხებდა ხოლმე მემამულისაგან იმ მცირე ნაკვეთის გამოსყიდვასაც კი, რომელიც მას „ჩამონაჭრების“ წართმევის შემდეგ დაუტოვეს, და იგი რჩებოდა „დროებით ვალდებულის“, ე. ი. ფაქტიურად იმავე ბატონყმური დამოკიდებულების მდგომარეობაში.

საგლეხო რეფორმის დროს სრულიად დავიწყებულ იქნა ხიზანთა ინტერესები. ხიზნების გაჩენა შედეგი იყო იმ აუტანელი პირობებისა, რომელშიც ქართველი გლეხობა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დროს ცხოვრობდა. ბატონყმური უღლის სიმძიმე, განუწყვეტელი შინაფეოდალური ომები, უცხო დამპყრობელთა თარეში და სხვა ამისთანა მიზეზები ხშირად აიძულებდნენ გლეხებს მიეტოვებინათ მამაპაპეული სახლ-კარი და ბედის საძიებლად სხვაგან წასულიყვნენ. თავიანთი მებატონეებისაგან გამოქცეული გლეხები ჩვეულებრივ თავს აფარებდნენ სხვა მემამულეებთან. ამრიგად შეხიზნული გლეხები იძულებული იყვნენ უმძიმესი პირობით ემუშავებინათ მემამულეთა მიწები. რეფორმის წინ საქართველოში ხიზნების რაოდენობა 8 ათას კომლს აჭარბებდა. საგლეხო რეფორმა ხიზნებს სრულიად არ შეხებია, ისინი კვლავ უმიწოდ დარჩნენ.

საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოში ძალზე იმატა მიწის საიჯარო ფასმა. ამის გამო მემამულეებმა ადვილად მოახერხეს მოიჯარადრე გლეხებისა და ხიზნების გაცილებით უფრო მძიმე ეკონომიურ პირობებში ჩაყენება, ვიდრე ისინი ბატონყმობის დროს იმყოფებოდნენ. გლეხობის გაჭირვებას კიდევ უფრო ამწვავებდა რეფორმის შემდეგ ყოველგვარი გადასახადის შეუნელებლივი ზრდა. გლეხობისათვის განსაკუთრებით შემაწუხებელი იყო გადასახადები ტყითა და საძოვრით სარგებლობისათვის. გლეხობას მძიმე უღლად აწვა აგრეთვე საეკლესიო გადასახადები.

უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობით სარგებლობდნენ ვაჭარ-მევახშეები და კულაკები, რომლებიც თავდაუღწეველ უღელს ადებდნენ ღარიბ გლეხებს. ვაჭარი-მევახშე ხშირად სულ მუქთად იგდებდა ხელში არა მარტო გლეხის მონაგარს — პურს, ღვინოს, პირუტყვს და სხვას, არამედ მის პატარა ნაგლეჯ მიწას და ღარიბულ სახლ-კარსაც კი.

ამრიგად, რეფორმის შემდგომ ხანაში ქართველი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა ერთობ გაუარესდა. ქართველი ხალხი იტანჯებოდა არა მარტო კაპიტალიზმის განვითარების, არამედ, კიდევ უფრო მეტად, მისი განუვითარებლობის გამო, — ძლიერი ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთების არსებობის გამო. ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას თან ერთვოდა მისი ეროვნული უფლებების შეზღუდვა და ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ცხადია, არ შეიძლებოდა, რომ ამ მიზეზებს არ გამოეწვიათ ხალხის პროტესტი და მღელვარება.

კლასთა ბრძოლის გამწვავება სოფლად. გლეხთა აჯანყებები

რეფორმის შემდეგ საქართველოში სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა პოლიტიკური ვითარება სოფლად, ძლიერდებოდა გლეხთა უკმაყოფილება და მზადდებოდა პირობები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის.

ჯერ კიდევ რეფორმის გატარებისას იჩინა თავი საქართველოში გლეხთა

აშკარა უკმაყოფილებისა და პროტესტის მრავალმა ფაქტმა. ნაბატონარსა და ნაყმევს შორის მტრულმა შეხლა-შემოხლამ იმთავითვე ფართო ხასიათი მიიღო. ქართველმა გლეხობამ მალე იგრძნო, რომ, მიუხედავად იმ დიდი ზეიმისა, რომელიც მთავრობამ ბატონყმობის გაუქმების გამო მოაწყო, რეფორმა ტყუილ-ცხვილო მოტყუება იყო. გლეხობა თვალნათლივ დარწმუნდა, რომ მისი ცხოვრება დღითიდღე უარესდებოდა და მან ხმა აღიმაღლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

60—70-იან წლებში საქართველოს სოფლებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა გლეხების მიერ გადასახადებზე უარის თქმა, ტყისა და საძოვრის ძალით გამოყენება, მემამულეთა სახლ-კარისა და ქონების გადაწვა და განსაკუთრებით საძულველ თავადაზნაურთა და მეფის მოხელეთა დახოცვა. გლეხები იარაღს ისხამდნენ და ცდილობდნენ ძალით დაეცვათ თავიანთი სასიცოცხლო ინტერესები. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა გლეხთა სტიქიური მოძრაობა 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში. იმ დროს საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, კვლავ შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია.

1876 წელს ზუგდიდის მაზრაში იფეთქა გლეხთა დიდმა ამბოხებამ. ამბოხება დაიწყეს სოფ. ლიას და ფახულანის დროებით ვალდებულმა გლეხებმა, რომლებმაც უარი უთხრეს თავად დადიანს ყოველგვარი სანადელო გადასახადის მიცემაზე. მალე მათ სხვა სოფლების გლეხობაც შეუერთდა და დაიწყო გლეხთა ფართო მოძრაობა. გლეხები მოითხოვდნენ დროებითი ვალდებულების მოსპობას და სანადელო მიწის მათ საკუთრებად დამტკიცებას. გლეხთა მოძრაობა სწრაფად ფართოვდებოდა. რამდენიმე ათასი შეიარაღებული გლეხი დადიოდა სოფლიდან სოფლად და ხალხს საყოველთაო აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. მთავრობამ სასწრაფოდ მიიღო სამხედრო ზომები. ზუგდიდში გაგზავნა რეგულარული ჯარის ნაწილები. შეიარაღებულ გლეხებსა და მთავრობის ჯარს შორის მომხდარ შეტაკებაში 18 კაცი მოიკლა, ხოლო 30 კაცი დაიჭრა. მეფის მთავრობამ ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო სამეგრელოს გლეხთა აგრარული მოძრაობა.

დაახლოებით იმავე ხანებში დაიწყო გლეხთა აჯანყება სვანეთში. ამ მთიან მხარეში კიდევ უფრო მეტად იგრძნობოდა მიწის სიმცირე, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. საგლეხო რეფორმის დროს სვანეთის საუკეთესო მიწები მთავრობამ საკუთრებად დაუმტკიცა თავადებსა და აზნაურებს — დადეშქელიანებს, იოსელიანებს, ქურდიანებს, დევდარიანებს და სხვებს. გლეხებს კი მიუზომეს ყველაზე უფრო მწირი მიწები, — კომლზე საშუალოდ 4 ქცევა. 1875 წლის ზაფხულში მთავრობის მოხელეები სვანეთში მიწების აზომვას შეუდგნენ, ახალი გადასახადების გაწერის მიზნით. ამ ღონისძიებამ გაჭირვებული სვანების მოთმინების ფიალა აავსო და სვანეთში გლეხთა მღელვარება დაიწყო. აჯანყებულთა წინააღმდეგ ქუთაისიდან გაიგზავნა დიდძალი ჯარი,რომელსაც თავად დადეშქელიანის რაზმიც შეუერთდა. მთავრობის ჯარმა შეძლო გლეხთა რაზმების გაფანტვა და მათი მეთაურების დაპატიმრება. მაგრამ მეორე წელს სვანეთის გლეხთა ამბოხებამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. სოფელ ხალდეში შეიარაღებული შეტაკების დროს გლეხებმა მოკლეს მაზრის უფროსი გრინევსკი და სამხედრო რაზმის უფროსი ლეუსი. ამის შემდეგ მთავრობამ სვანეთში გაგზავნა რეგულარული ჯარისა და მილიციის დიდი რაზმები, რომლებმაც ნამდ-

ვილი საომარი წესების დაცვით შეუტიეს სვანეთის სოფლებს. სოფელი ხალდე, რომელიც საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიშით იქნა აღებული, მთავრობის ჯარმა მიწასთან გაასწორა: სოფელში ყველა სახლი დასწვეს, ხოლო კოშკები ნაღმებით ააფეთქეს. აჯანყების აქტიური მონაწილენი, — რამდენიმე ათეული გლეხი, — პასუხისგებაში მისცეს და კატორღაში გაგზავნეს.

სამეგრელოსა და სვანეთის გლეხობის შემდეგ მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ აღდგა კახეთის გლეხობა. ეს მოხდა 1878 წელს ქიზიყში. გლეხთა მღელვარება აქაც უმიწაწყლობამ, სიღატაკემ და აუტანელმა გადასახადებმა გამოიწვია. ამას დაემატა რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომთან დაკავშირებით გლეხთა ახალი, მძიმე დაბეგვრა და დიდი მოუსავლიანობა. ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც საერთაშორისო მდგომარეობა კვლავ გართულდა, მეფის მთავრობამ ხელახალი მობილიზაცია გამოაცხადა. ხალხისათვის ეს სრულიად გაუგებარი იყო. ზაფხულში, პურის მკის დროს, გლეხებს უბრძანეს მილიციაში გამოსულიყვნენ, მდიდრებს კი, რომლებსაც მოხელეებისათვის ქრთამის მიცემა შეეძლოთ, მობილიზაციისაგან ათავისუფლებდნენ. მთავრობის მოხელეთა ასეთი უკანონო მოქმედება აჯანყების საბაბი გახდა. გლეხობამ ველარ აიტანა გაჭირვება, შეურაცხყოფა და დამცირება, შეიარაღდა კეტებით, ხანჯლებით, ცულებით და დაიძრა სიღნაღის მაზრის თავადობისა და მეფის მოხელეების წინააღმდეგ. მაზრის უფროსი გრაფი ტიზენგაუზენი, ჯარის სარდალი გენერალი ორბელიანი და სხვა მოხელეები იმ დროს ბაკურციხეში თავად ვაჩნაძის სახლში ილხენდნენ. 5 ივნისს იმ სახლს ალყა შემოარტყა ხუთი ათასზე მეტმა ამბოხებულმა გლეხმა. მათ დაარბიეს ვაჩნაძის სახლი და შეუბრალებლად სცემეს ტიზენგაუზენს, ორბელიანსა და მათ თანმხლებ პირებს. ხოლო შემდეგ სოფლებს მოედვენ და იწყეს მამასახლისების, კულაკების, მედუქნეების, მღვდლებისა და სოფლის ყველა წურბელის რბევა.

მთავრობამ სამხედრო ძალის გამოყენებით ადვილად მოახერხა უიარაღო გლეხთა მღელვარების ჩაქრობა. ამბოხების აქტიური მონაწილენი (21 კაცი) გაასამართლეს და კატორღაში გაგზავნეს. მათ შორის იყო ორი ქალი — მელანია ხელაშვილი და საბედა გულხადარაშვილი, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ გაჭირვებული ხალხის უფლებებისათვის.

80-იანი წლების დასაწყისში, მიუხედავად მეფის თვითმპყრობელობის მიერ მიღებული სასტიკი ზომებისა, გლეხთა უკმაყოფილება და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლა მთელ საქართველოს მოედო. ფართოდ გავრცელდა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი თავისებური ფორმა, როგორიცაა ყაჩაღობა ანუ ფირალობა. განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო ფირალობამ გურიაში. სიცოცხლეგამწარებული გლეხები იარაღს ისხამდნენ და ტყეში გარბოდნენ, რათა შური ეძიათ თავიანთ კლასობრივ მტრებზე. ხალხი თანაუგრძნობდა და ყოველნაირად უწყობდა ხელს ფირალებს. მთავრობამ გურიაში თავი შეუყარა დიდძალ ჯარს, რომელსაც გენერალი სმეკალოვი მეთაურობდა. ცარიზმმა უხეში ძალის გამოყენებით შეძლო გურიის გლეხთა უკმაყოფილების დროებით ჩახშობა, მაგრამ ვერ გატეხა გლეხების ნებისყოფა. გურიის გლეხობა, მთელი საქართველოს გლეხობასთან ერთად, ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

§ 2. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში

70-იანი წლების რევოლუციონერი ხალხოსნები

მშრომელი გლეხობის ინტერესთა დამცველად 70-იან წლებში გამოვიდა ქართველი დემოკრატიული ახალგაზრდობის ახალი ჯგუფი, რომლის წევრები „ხალხოსნების“ სახელით არიან ცნობილნი. ხალხოსნები მიზნად ისახავდნენ მეფის მთავრობის დამხობასა და გლეხობისათვის მიწისა და თავისუფლების მოპოვებას. ამ მიზნის მისაღწევად ისინი „გავიდნენ ხალხში“, რათა გაეჩაღებინათ რევოლუციური აგიტაცია და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად ამეხედრებინათ გლეხობა.

ხალხოსნური მოძრაობა ჩაისახა რუსეთში 60-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დასაწყისში. ხალხოსნებმა ვერ შეძლეს რუსეთის სამოციანი წლების გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატების ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შეხედულებათა განვითარება და სრულიად მცდარი გზით წავიდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთში არ განვითარდება კაპიტალიზმი და. მაშასადამე, ვერც პროლეტარიატი განვითარდებაო. ისინი ოცნებობდნენ სოციალიზმზე, მაგრამ არ ესმოდათ პროლეტარიატის როლი და მთავარ რევოლუციურ ძალად გლეხობა მიაჩნდათ. რუსული გლეხური თემი მათ სოციალიზმის ჩანასახად და საფუძვლად გამოაცხადეს. ხალხოსნებს სრულიად არ ესმოდათ საზოგადოების განვითარების კანონები და ფიქრობდნენ, რომ ისტორიას ქმნიან არა კლასები და კლასთა ბრძოლა, არა ხალხი, არამედ ცალკეული გამოჩენილი პიროვნებანი — „გმირები“, რომლებსაც თითქოს ბრმად მიყვება ხალხი, „ბრბო“.

ხალხოსნებს არასწორი გზით მიჰყავდათ რუსეთის რევოლუციური მოძრაობა და ხალხი არც გაჰყვა მათ. ხალხოსანთა საიდუმლო ორგანიზაციები მთავრობამ აღმოაჩინა და გაანადგურა; მრავალი ხალხოსანი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. ამის შემდეგ ხალხოსნები ინდივიდუალური ტერორის გზას დაადგნენ. მათ პეტერბურგში შექმნეს პარტია „ნაროდნაია ვოლია“ („ხალხის თავისუფლება“). 1881 წლის 1 მარტს ნაროდოვოლცებმა მოჰკლეს მეფე ალექსანდრე II, მაგრამ ამის შედეგად თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკა ოდნავაც არ შეცვლილა. მოკლული მეფის მაგიერ ტახტზე ავიდა მისი შვილი ალექსანდრე III, რომელმაც კიდევ უფრო სასტიკი რეაქციული რეჟიმი დაამყარა.

70-იან წლებში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მრავალი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ხალხოსნური იდეების გავლენის ქვეშ მოექცა და ხალხოსნურ მოძრაობაში აქტიურად ჩაება. ზოგიერთი ქართველი სტუდენტი თვით რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებში იღებდა უშუალო მონაწილეობას, დანარჩენები კი სამშობლოში დაბრუნდნენ და ხალხოსნური იდეების აქ გავრცელებას შეუდგნენ.

რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თვალსაჩინო ქართველი ხალხოსნები: ივანე ჯაბადარი, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), მიხეილ ჩიკოიძე, ალექსანდრე ციციშვილი, ანთიმოზ გამყრელიძე, ალექსანდრე ქიქოძე, რომან ფავლენიშვილი და სხვები. როცა მთავრობამ რუსეთის ხალხოსანთა ორგანიზაციები აღმოაჩინა, პასუხისგებაში მიცემული იქნენ ამ

ორგანიზაციათა ქართველი წევრებიც. მეფის სასამართლომ თითქმის ყოველ მათგანს ხანგრძლივი პატიმრობა და შორეულ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა.

საქართველოში ხალხოსნური მოძრაობა ჩაისახა 70-იანი წლების დამდეგს. ხალხოსნებს რევოლუციურად განწყობილ ქართველ ახალგაზრდობაში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. მათ შექმნეს მრავალრიცხოვანი ფარული წრეები და ენერგიული არალეგალური მუშაობა გააჩაღეს. 1873—1876 წლების მანძილზე საიდუმლო ხალხოსნური ორგანიზაციები საქართველოს ბევრ ქალაქსა და სოფელში შეიქმნა. განსაკუთრებით ძლიერი იყო ეს ორგანიზაციები თბილისში, გორში, ქუთაისში, ოზურგეთში და აგრეთვე გორისა და თელავის მაზრათა სოფლებში. საქართველოში ხალხოსანთა მოძრაობის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილეები იყვნენ: ეგნატე იოსელიანი, ისიდორე ქიქოძე, მიხეილ ყიფიანი, სტეფანე ჭრელაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, შიო დავითაშვილი, გოლა ჩიტაძე, ვასო დეკანოზიშვილი, ალ. ნანეიშვილი, ვარლამ გაბიჩვაძე, ანტონ ლორთქიფანიძე, მელიტონ ნაკაშიძე, დავით ფურცელაძე, ვასილ სამადაშვილი, მათე კერესელიძე, ოლღა ყიფიანი, იოსებ ბაქრაძე, არსენ კალანდაძე, ილიკო ჭიჭინაძე, სოფიო ჯორჯაძე, ზაქარია გულისაშვილი, მიხეილ ასათიანი, მიხ. გურგენიძე, დიმიტრი ხაზარაშვილი და სხვები. ხალხოსნებთან ახლოს იდგა და მათ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ბევრი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი, კერძოდ: ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი), ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები.

ქართველი ხალხოსნების აზრით, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის ყველა ხალხის ბრძოლა ურთიერთდაკავშირებული უნდა ყოფილიყო და ერთიანი გეგმით უნდა წარმართულიყო. ამიტომ მათ უაღრესად მჭიდრო კავშირი დაამყარეს რუს ხალხოსნებთან. რუსი ხალხოსნები არა მარტო იდეურ ხელმძღვანელობას უწევდნენ ქართველ ხალხოსნებს, არამედ შეძლებისდაგვარად პრაქტიკულადაც ეხმარებოდნენ მათ — კერძოდ, აწვდიდნენ ხალხში გასავრცელებელ რევოლუციურ ლიტერატურას. ქართველ ხალხოსნებს კავშირი ჰქონდათ უცხოეთთანაც (შვეიცარიასთან), საიდანაც აგრეთვე იღებდნენ რევოლუციურ ლიტერატურას. ამ მხრივ მათ საგრძნობ დახმარებას უწევდა ევროპაში მყოფი ქართველი სტუდენტების საზოგადოება „უღელი“, რომელიც დაარსდა 1873 წელს ქ. ციურიხში.

ქართველი ხალხოსნების სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი ძირითადად ისეთივე იყო, როგორიც რუსეთის ხალხოსანთა შეხედულებანი, მაგრამ მათი პროგრამა ზოგ საკითხში მაინც განსხვავდებოდა რუსი ხალხოსნების პროგრამისაგან. ეს განსხვავება გამოწვეული იყო საქართველოს მაშინდელი ცხოვრების თავისებურებით, კერძოდ, მისი კოლონიური მდგომარეობით. ქართველ ხალხოსნებს არ შეეძლოთ გვერდი აევლოთ ქართველი ხალხის ეროვნული ტკივილებისათვის და მათ კიდევაც შეიტანეს თავიანთ პროგრამაში ეროვნული საკითხი. მაგრამ, თერგდალეულებისაგან განსხვავებით, ხალხოსნები, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ პრობლემებს აყენებდნენ, ეროვნულ საკითხს კი მათ შემდეგ განიხილავდნენ.

ქართველი ხალხოსნების რევოლუციურ აგიტაციას, მათ „ხალხში სია-

რულს“ თითქმის არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. მშრომელი გლეხობა არ გაჰყვა ხალხოსნებს, ყური არ ათხოვა მათ აგიტაციას. ეს იმით აიხსნება, რომ ხალხოსნები ვერ იცნობდნენ გლეხობის ცხოვრებას და მათ ვერ მიაგნეს იმ გზას, რომელსაც შეეძლო მშრომელი ხალხისათვის თავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვება.

1876 წელს ქართველი ხალხოსნების ორგანიზაცია გასცა მის რიგებში შეპარულმა პროვოკატორმა ი. იოსელიანმა. მეფის მთავრობამ მოახერხა სწრაფად გაენადგურებინა ხალხოსანთა ძირითადი ჯგუფები. ხალხოსნური მოძრაობის აქტიურ მონაწილეთა უმრავლესობა დააპატიმრეს.

ხალხოსნები 80-90-ან წლებში

მას შემდეგ, რაც ხალხოსნების ფარული ორგანიზაციები მეფის პოლიციამ გაანადგურა, ხოლო „ხალხში სიარულის“ ტაქტიკას არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყვა, ქართველმა ხალხოსნებმა ახალი გზების ძიება დაიწყეს: ნაწილი რუსეთის ფარული ნაროდნიკული ორგანიზაციის „ნაროდნაია ვოლიას“ თვალსაზრისზე დადგა და კვლავ განაგრძობდა არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობას, ხოლო მეორე, უფრო მრავალრიცხოვანმა ნაწილმა ხელი აიღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის იდეაზე და ქართველი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, ამხანაგობათა დაარსებით და სხვა ამგვარი ლეგალური ღონისძიებებით ლამობდა.

ლეგალურმა ხალხოსნებმა 80-იანი წლების დასაწყისში შექმნეს თავიანთი ბეჭდვითი ორგანოებიც. 1881—1883 წლებში ისინი სცემდნენ გაზეთ „შრომას“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა. იმავე ხანებში თბილისში ხალხოსნები სცემდნენ ჟურნალ „იმედს“. ამ ორგანოთა ფურცლებზე ხალხოსნურმა შეხედულებებმა დაკარგეს წინანდელი რევოლუციური ელფერი და არსებითად ბურჟუაზიული ლიბერალების პოზიციამდე ჩამოქვეითდნენ.

ხალხოსნური იდეების მცდარობა 80-იანსა და განსაკუთრებით კი 90-იანი წლების შემდეგ თანდათან სულ უფრო ნათელი ხდებოდა. კაპიტალიზმის განვითარება და კლასთა ბრძოლის გამწვავება რუსეთსა და საქართველოში ძირს უთხრიდა ხალხოსნურ შეხედულებებს. 90-იან წლებში ხალხოსნობა, როგორც იდეური მიმდინარეობა, საბოლოოდ გაკოტრდა.

ხალხოსნებმა ვერ გაიგეს მუშათა კლასის ისტორიული როლი. ისინი ხელს უშლიდნენ მუშათა და გლეხთა ნამდვილი რევოლუციური მოძრაობის განვითარებას. ამით აიხსნება, რომ მუშათა კლასის იდეოლოგიამ — მარქსიზმმა დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა ხალხოსნურ შეხედულებათა წინააღმდეგ.

თ ა ვ ი XXXII

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებანი 80—90-იან წლებში. რეაქციის გაძლიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

§ 1. თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა. ახალი დემოკრატიული მიმართულებანი. ბრძოლა სოციალურ-ეკონომიური პროგრესისათვის

ქართველი ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ჩამოყალიბება. თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა

თერგდალეულთა მოღვაწეობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, წარმოადგენდა იმ ბრძოლის გამოხატულებას იდეოლოგიის სფეროში, რომელსაც აწარმოებდა მოსახლეობის დაჩაგრული და უუფლებო ნაწილი (ე. წ. „მესამე წოდება“) გაბატონებული თავადაზნაურობისა და მისი დამცველი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის გაჩენამდე ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ მთავარი მებრძოლი ძალა გლეხობა იყო, მაგრამ მას მხარში უდგა და აქტიურად ეხმარებოდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობა (მუშები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები), აგრეთვე ნაწილობრივ ბურჟუაზია. გლეხობას, ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებს და ბურჟუაზიას ერთი დროშის ქვეშ უყრიდა თავს დრომოჭმული ბატონყმური წყობილებისადმი სიძულვილი. მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მათ შორის თავი იჩინა ეკონომიურმა ანტაგონიზმმა, რასაც შედეგად მოჰყვა „მესამე წოდების“ დაშლა და ბურჟუაზიის ინტერესების მკვეთრი დაპირისპირება ქალაქისა და სოფლის წვრილი მწარმოებლების, ე. ი. „ხალხის“, ინტერესებისადმი.

საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის მბრძანებელი სიმაღლეები უმეტესწილად უცხო კაპიტალისტების ხელში იყო. მაგრამ რეფორმის შემდეგ თვალსაჩინოდ მოღონიერდა ეროვნული ბურჟუაზიაც. სამრეწველო გადატრიალების ხანაში, ე. ი. 70—80-იან წლებში, ჩამოყალიბდა ქართველი ბურჟუაზია როგორც კლასი და იმ დროიდან დაიწყო მან თავისი კლასობრივი ინტერესების

შეგნება. 90-იანი წლების ბოლომდე ქართველი ბურჟუაზია ჯერ კიდევ წარმოადგენდა აღმავალ კლასს, რომელიც ხელს უწყობდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას. მაგრამ ეკონომიურად ის ძალიან სუსტი იყო და არ შეეძლო არც ძლიერი უცხო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა, არც მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა. ქართველი ბურჟუაზია სუსტი და მერყეევი იყო, ის სულ მცირე დათმობას სჯერდებოდა და ყოველთვის მზად იყო ეღალატა ხალხისათვის, მორიგებოდა თავადაზნაურობასა და მეფეს. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართველი ბურჟუაზიის მოწინავე წარმომადგენლებმაც კი უკვე თანდათან დაივიწყეს ხალხის კულტურისათვის ზრუნვა და მთელ თავის ენერგიას გამდიდრების საქმეს ახმარდნენ.

ამრიგად, ბატონყმობის გაუქმებამ და რეფორმის შემდეგ კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია „მესამე წოდების" დაშლა, დააჩქარა ქართველი ბურჟუაზიის როგორც კლასის ჩამოყალიბება. ქონებრივი უთანასწორობის ზრდამ მკვეთრად გათიშა და ურთიერთს დაუპირისპირა ბურჟუაზიისა და ღარიბი ხალხის ინტერესები ჯერ ეკონომიურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ სფეროშიც. საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთ განვითარებას არ შეეძლო არ გამოეწვია და მან გამოიწვია კიდევაც თერგდალეულთა ჯგუფის, როგორც ერთიანი იდეური მიმდინარეობის, დაშლა.

ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ გაჰყარა თერგდალეულთა გზები. ამით აიხსნება, რომ სწორედ ეკონომიური პრობლემები, — სახელდობრ ბანკის საკითხი, — გახდა მათი განხეთქილების პირველი მიზეზი.

სათავადაზნაურო ბანკის როლისა და მნიშვნელობის შესახებ თერგდალეულებს შორის კამათი ჯერ კიდევ 1873 წელს გაიმართა. მაგრამ მაშინ ამ კამათს განხეთქილება არ გამოუწვევია. 1876 წლის გაზაფხულზე თერგდალეულებმა დიდი ზეიმით იდღესასწაულეს თავიანთი მთავარი ორგანოს, გაზეთ „დროების" არსებობის ათი წლის თავი. იმხანად თერგდალეულთა შორის ჯერ კიდევ თანხმობა და ერთსულოვნება სუფევდა, მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა. იმავე წელს ბანკის ირგვლივ ცხარე კამათი გაიმართა თერგდალეულთა ორ გამოჩენილ ხელმძღვანელს — ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის. ი. ჭავჭავაძე გავიდა „დროების" რედაქციიდან და 1877 წელს დააარსა ახალი ორგანო — გაზეთი „ივერია". ცოტა ხანს შემდეგ „დროების" რედაქცია დატოვეს აგრეთვე ნ. ნიკოლაძემ და გ. წერეთელმა. ნ. ნიკოლაძემ 1878 წელს დაიწყო რუსული გაზეთის „ობზორი"-ს გამოცემა. ახალ ორგანოთა შორის გაჩაღდა კამათი მწვავე პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე.

ასე დაიწყო თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა და ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმართულებათა ჩამოყალიბება 70-იანი წლების მიწურულში. თერგდალეულები ორ ბანაკად გაიყვნენ: ერთი მათგანი აშკარად გამოხატავდა აღმავალი ქართველი ბურჟუაზიის მისწრაფებებს, მეორე კი ისევ „მთელი ქართველი ერის" ინტერესების დაცვაზე ლაპარაკობდა, მაგრამ არსებითად წვრილ-ბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგიის გამომხატველი იყო.

ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულება. მისი მერყეობა და ლიბერალიზმის პოზიციებზე გადასვლა

ახალი იდეური მიმართულება, რომელიც თერგდალეულთა ჯგუფის დაშლის შემდეგ ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგებმა შექმნეს, თავისი არსებობის პირველ პერიოდში პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულება იყო და შედარებით აქტიურად იბრძოდა ცარიზმისა და რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ამ მიმართულების ხელმძღვანელები და თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, გიორგი ზდანევიჩი (მაიაშვილი), დავით ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი, იონა მეუნარგია, ალექსანდრე ჯაბადარი, გიორგი ლასხიშვილი და სხვები.

ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების წარმომადგენლები მკაცრად აკრიტიკებდნენ თავიანთი წინანდელი თანამოაზრეების, — ი. ჭავჭავაძისა და მისი ჯგუფის, — პოზიციას ქართველი თავადაზნაურობისადმი დამოკიდებულების საკითხში. ისინი არ იზიარებდნენ ამ ჯგუფის ილუზიებს, რომ თითქოს შესაძლებელი იყო ქართველი ერის ინტერესებისათვის თავადაზნაურობის მოწინავე, კულტურული ნაწილის გამოყენება. ისინი ამბობდნენ: თავადაზნაურობამ, როგორც წოდებამ, დიდი ხანია დრო მოიჭამა და ახლა იგი ვეღარავის მოუტანს სარგებლობასო.

მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო ხალხის (ერის) ხელმძღვანელი, მისთვის ბედნიერების მომტანი? ამ კითხვას ნ. ნიკოლაძე ასე უპასუხებდა: „ერის და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონებისაგან, უმეცრებისა და უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყველგან მარტო... ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“. ასევე ფიქრობდა გ. წერეთელიც.

ასეთი შეხედულებიდან გამომდინარეობდა მათი უარყოფითი დამოკიდებულება სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკებისადმი. ისინი ფიქრობდნენ, რომ თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკები ჩვენი ქვეყნისთვის მხოლოდ ზიანის მომტანია და აუცილებელია მათი გადაკეთება სამრეწველო ბანკებად, რათა ხელი შევუწყოთ ქართველი ბურჟუაზიის საქმიანობასაო.

ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების მოღვაწენი სავსებით მართალნი იყვნენ, როცა ქართველ თავადაზნაურობას დრომოჭმულ წოდებად სთვლიდნენ და უარყოფდნენ მის დადებით მნიშვნელობას ხალხის ცხოვრების წინსვლა-გაუმჯობესებაში, მაგრამ ისინი სრულიად არ იყვნენ მართალი, როცა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების იმედს სუსტსა და მერყეულ ქართველ ბურჟუაზიაზე ამყარებდნენ; მათ არ ესმოდათ, რომ ისტორიული ვითარების სხვადასხვაობის გამო ქართველ ბურჟუაზიას არ შეეძლო ისეთივე მოწინავე, რევოლუციური როლი ეთამაშნა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორიც თავის დროზე ითამაშა საფრანგეთის, ინგლისისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ბურჟუაზიამ ევროპის ხალხთა ცხოვრებაში.

1887 წელს ნ. ნიკოლაძემ დაწერა წერილი „ძველი შეცდომები“, რომელშიც მან ხელი აიღო თავის ადრინდელ რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებებზე. ამ წერილში ნ. ნიკოლაძემ „ახალგაზრდული ენთუზიაზმით“ გამოწვეული შეცდომა უწოდა იმ შესანიშნავ წერილს, რომელიც მან 1865 წელს

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ა. გერცენის ჟურნალ „კოლოკოლ"-ში. იმავე ხანებში ის შეუდგა ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის ამხანაგობათა და აქციონერულ საზოგადოებათა შექმნის პროპაგანდას, რის მიზანიც იყო ქართველი კაპიტალისტების ეკონომიური გაძლიერება.

90-იან წლებში, რუსეთსა და საქართველოში მუშათა მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, ბურჟუაზიული მიმართულების ზოგიერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ სცადა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტრადიციების გამოცოცხლება. გ. წერეთელმა 1893 წელს დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „კვალი". ამ გაზეთის ფურცლებზე, ბურჟუაზიულ-ლიბერალური შინაარსის წერილებთან ერთად, მრავლად იბეჭდებოდა რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის წერილები, რომლებშიც ახალი თაობის წარმომადგენლები მუშათა კლასის იდეოლოგიის — მარქსიზმის შეხედულებათა პროპაგანდას ეწეოდნენ. იმავე ხანებს ეკუთვნის გ. წერეთლის, გ.ზდანოვიჩის (მაიაშვილის) და ზოგიერთი სხვა ბურჟუაზიული მოაზროვნის ცდები მარქსიზმთან დაახლოვებისა. ამ მიზნით მათ დაიწყეს თავიანთ შეხედულებათა მარქსისტულ სამოსელში გახვევა და მარქსისტული ფრაზეოლოგიით შელამაზება, მაგრამ ნამდვილად მათ შეხედულებებს მარქსიზმთან საერთო არა ჰქონდათ რა.

90-იანი წლების ბოლოდან ბურჟუაზიულმა მიმართულებამ საბოლოოდ დაჰკარგა პროგრესულობა.

წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულება. თერგდალეულთა იდეების დრომოჭმულობა

თერგდალეულთა ერთიანი იდეური მიმართულების დაშლის შემდეგ საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში, — მანამდე, ვიდრე სამოღვაწეო სარბიელზე მარქსისტული ახალგაზრდობა გამოვიდოდა, — ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მიმართულებას წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ირგვლივ შემოკრებილი ჯგუფი გვიანდელი თერგდალეულებისა, რომელიც თავისი იდეურ-კლასობრივი შინაარსით ძირითადად წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების ჯგუფი იყო.

წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატ მოღვაწეთა ჯგუფში, რომელიც იმავე დროს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფს წარმოადგენდა, შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, სერგი მესხი, ივანე მაჩაბელი, დავით მიქელაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), მუშა პოეტი იოსებ დავითაშვილი და სხვები.

ამავე ჯგუფს შეუერთდნენ 80-იანი წლების დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული დიდი ქართველი მწერლები **ალექსანდრე ყაზბეგი** (1848—1893) და **ვაჟა ფშაველა** (1861—1915), რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში დაეყრდნენ საქართველოს მთიანი კუთხეების ცხოვრების თავისებურებას და ხელახლა გააცოცხლეს და გააძლიერეს თერგდალეულთა მოწინავე იდეები. მთიელთა ყოფაცხოვრებაში კაპიტალისტური ურთიერთობა შედარებით გვიან შეიჭრა. ამიტომ იქ 80-იანი წლების დასაწყისისათვის ჯერ კიდევ არსებობდა პირობები თერგდალეულთა იდეების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარე-

ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულება. მისი მეოცეობა და ლიბერალიზმის პოზიციებზე გადასვლა

ახალი იდეური მიმართულება, რომელიც თერგდალეულთა ჯგუფის დაშლის შემდეგ ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგებმა შექმნეს, თავისი არსებობის პირველ პერიოდში პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულება იყო და შედარებით აქტიურად იბრძოდა ცარიზმისა და რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ამ მიმართულების ხელმძღვანელები და თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, გიორგი ზდანევიჩი (მაიაშვილი), დავით ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი, იონა მეუნარგია, ალექსანდრე ჯაბადარი, გიორგი ლასხიშვილი და სხვები.

ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების წარმომადგენლები მკაცრად აკრიტიკებდნენ თავიანთი წინანდელი თანამოაზრეების, — ი. ჭავჭავაძისა და მისი ჯგუფის, — პოზიციას ქართველი თავადაზნაურობისადმი დამოკიდებულების საკითხში. ისინი არ იზიარებდნენ ამ ჯგუფის ილუზიებს, რომ თითქოს შესაძლებელი იყო ქართველი ერის ინტერესებისათვის თავადაზნაურობის მოწინავე, კულტურული ნაწილის გამოყენება. ისინი ამბობდნენ: თავადაზნაურობამ, როგორც წოდებამ, დიდი ხანია დრო მოიჯამა და ახლა იგი ვეღარავის მოუტანს სარგებლობასო.

მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო ხალხის (ერის) ხელმძღვანელი, მისთვის ბედნიერების მომტანი? ამ კითხვას ნ. ნიკოლაძე ასე უპასუხებდა: „ერის და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონებისაგან, უმეცრებისა და უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყველგან მარტო... ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“. ასევე ფიქრობდა გ. წერეთელიც.

ასეთი შეხედულებიდან გამომდინარეობდა მათი უარყოფითი დამოკიდებულება სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკებისადმი. ისინი ფიქრობდნენ, რომ თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკები ჩვენი ქვეყნისთვის მხოლოდ ზიანის მომტანია და აუცილებელია მათი გადაკეთება სამრეწველო ბანკებად, რათა ხელი შეეუწყოთ ქართველი ბურჟუაზიის საქმიანობასაო.

ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების მოღვაწენი სავსებით მართალნი იყვნენ, როცა ქართველ თავადაზნაურობას დრომოჭმულ წოდებად სთვლიდნენ და უარყოფდნენ მის დადებით მნიშვნელობას ხალხის ცხოვრების წინსვლა-გაუმჯობესებაში, მაგრამ ისინი სრულიად არ იყვნენ მართალი, როცა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების იმედს სუსტსა და მერყეულ ქართველ ბურჟუაზიაზე ამყარებდნენ; მათ არ ესმოდათ, რომ ისტორიული ვითარების სხვადასხვაობის გამო ქართველ ბურჟუაზიას არ შეეძლო ისეთივე მოწინავე, რევოლუციური როლი ეთამაშნა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორიც თავის დროზე ითამაშა საფრანგეთის, ინგლისისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ბურჟუაზიამ ევროპის ხალხთა ცხოვრებაში.

1887 წელს ნ. ნიკოლაძემ დაწერა წერილი „ძველი შეცდომები“, რომელშიც მან ხელი აიღო თავის ადრინდელ რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებებზე. ამ წერილში ნ. ნიკოლაძემ „ახალგაზრდული ენთუზიაზმით“ გამოწვეული შეცდომა უწოდა იმ შესანიშნავ წერილს, რომელიც მან 1865 წელს

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ა. გერცენის ჟურნალ „კოლოკოლ"-ში. იმავე ხანებში ის შეუდგა ქართველ ეკარმრეწველთა შორის ამხანაგობათა და აქციონერულ საზოგადოებათა შექმნის პროპაგანდას, რის მიზანიც იყო ქართველი კაპიტალისტების ეკონომიური გაძლიერება.

90-იან წლებში, რუსეთსა და საქართველოში მუშათა მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, ბურჟუაზიული მიმართულების ზოგიერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ სცადა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტრადიციების გამოცოცხლება. გ. წერეთელმა 1893 წელს დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „კვალი". ამ გაზეთის ფურცლებზე, ბურჟუაზიულ-ლიბერალური შინაარსის წერილებთან ერთად, მრავლად იბეჭდებოდა რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის წერილები, რომლებშიც ახალი თაობის წარმომადგენლები მუშათა კლასის იდეოლოგიის — მარქსიზმის შეხედულებათა პროპაგანდას ეწეოდნენ. იმავე ხანებს ეკუთვნის გ. წერეთლის, გ.ზდანოვიჩის (მაიაშვილის) და ზოგიერთი სხვა ბურჟუაზიული მოაზროვნის ცდები მარქსიზმთან დაახლოვებისა. ამ მიზნით მათ დაიწყეს თავიანთ შეხედულებათა მარქსისტულ სამოსელში გახვევა და მარქსისტული ფრაზეოლოგიით შელამაზება, მაგრამ ნამდვილად მათ შეხედულებებს მარქსიზმთან საერთო არა ჰქონდათ რა.

90-იანი წლების ბოლოდან ბურჟუაზიულმა მიმართულებამ საბოლოოდ დაკარგა პროგრესულობა.

წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულება. თერგდალეულთა იდეების დრო-მოჭმულობა

თერგდალეულთა ერთიანი იდეური მიმართულების დაშლის შემდეგ საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში, — მანამდე, ვიდრე სამოღვაწეო სარბიელზე მარქსისტული ახალგაზრდობა გამოვიდოდა, — ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მიმართულებას წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ირგვლივ შემოკრებილი ჯგუფი გვიანდელი თერგდალეულებისა, რომელიც თავისი იდეურ-კლასობრივი შინაარსით ძირითადად წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების ჯგუფი იყო.

წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატ მოღვაწეთა ჯგუფში, რომელიც იმავე დროს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფს წარმოადგენდა, შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, სერგი მესხი, ივანე მაჩაბელი, დავით მიქელაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), მუშა პოეტი იოსებ დავითაშვილი და სხვები.

ამავე ჯგუფს შეუერთდნენ 80-იანი წლების დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული დიდი ქართველი მწერლები **ალექსანდრე ყაზბეგი** (1848—1893) და **ვაჟა ფშაველა** (1861—1915), რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში დაეყრდნენ საქართველოს მთიანი კუთხეების ცხოვრების თავისებურებას და ხელახლა გააცოცხლეს და გააძლიერეს თერგდალეულთა მოწინავე იდეები. მთიელთა ყოფაცხოვრებაში კაპიტალისტური ურთიერთობა შედარებით გვიან შეიჭრა. ამიტომ იქ 80-იანი წლების დასაწყისისათვის ჯერ კიდევ არსებობდა პირობები თერგდალეულთა იდეების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარე-

ბისათვის. ეს პირობები კარგად გამოიყენეს ა. ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ, რომლებმაც თავიანთ უკვდავ მხატვრულ ნაწარმოებებში ჩააქსოვეს სამოციანელების საერთო-საგანმანათლებლო და პროგრესული იდეები: სამშობლოსათვის თავდადება, ხალხის სამსახური, ერის ტკივილები და მისი განკურნებისათვის ბრძოლა, ადამიანთა შორის საყოველთაო თანხმობა და სიყვარული, ძმობა, ერთობა, მეგობრობა და ა. შ.

მაგრამ თუ მთის პირობებში ჯერ კიდევ არსებობდა ნიადაგი და შეიძლებოდა რეალისტურ და პროგრესულ ლიტერატურას მთელი ხალხის, მთელი ერის საერთო ინტერესების დაცვაზე ელაპარაკნა, ბარში 80—90-იანი წლების მანძილზე მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა: ერი ანუ „მესამე წოდება", რომელიც უწინ მხოლოდ ერთ მუჭა თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას უპირისპირდებოდა, ამ დროისათვის უკვე დაშლილი იყო, ბურჟუაზია თავისი გზით წავიდა და მან გლეხობის ინტერესები დაივიწყა. თავის მხრივ თვით გლეხობაც დაიშალა: მისი ნაწილი — კულაკობა — ბურჟუაზიას შეუერთდა, მეორე ნაწილი კი სავსებით გაღატაკდა და პროლეტარიატის რიგებს შეერწყო. რაც შეეხება მცირემიწიან მეურნე გლეხებს, რომლებიც დიდი ვაი-ვაგლახით ახერხებდნენ თავიანთი მეურნეობის გაძღოლას, ისინი სოფლის წვრილ ბურჟუაზიას წარმოადგენდნენ და მუდამ მერყეობდნენ: კულაკებად გახდომას ცდილობდნენ, მაგრამ უფრო ხშირად კოტრდებოდნენ და კულაკის ან ვაჭრის მოჯამაგირედ იქცეოდნენ.

ასეთ პირობებში „მთელი ერის" საერთო ინტერესებზე ლაპარაკი უნიადაგო იყო. ქართველ ერში იმ დროს ფაქტიურად უკვე ორი „ერი" გაჩნდა: ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის „ერი" და გაღატაკებული ან გაღატაკების გზაზე შემდგარი ხალხის „ერი". ამის შესაბამისად, ერთიანი ქართული კულტურის მაგივრ, ფაქტიურად ორი კულტურა ჩამოყალიბდა: ბურჟუაზიის კულტურა და მშრომელი ხალხის კულტურა.

ცხოვრება წინ წავიდა, თერგდალეულთა საერთო-საგანმანათლებლო იდეები კი მოძველდნენ და აღარ შეეფერებოდნენ ისტორიულ ვითარებას, „მთელი ერის" თვალსაზრისმა თავისი დრო მოსჭამა. კლასთა ბრძოლისა და რევოლუციის აუცილებლობის აღიარების ნაცვლად, თერგდალეულებმა წამოაყენეს წოდებათა შერიგების ყალბი თეორია, რომელიც ამბობდა: ყველა ქართველები, რა წოდებასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ, ძმები არიან და ერთმანეთს კი არ უნდა ებრძოდნენ, არამედ ძმურად უნდა შეერთდნენ და შეხმატკბილებით იცხოვრონო. მაგრამ როგორ უნდა მოხერხებულიყო მდიდრისა და ღარიბის, მჩაგვრელისა და ჩაგრულის შერიგება, მათი ერთად, ძმურად ცხოვრება?

ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა კარგად იცოდნენ, რომ იმდროინდელ საქართველოში, ისევე როგორც რუსეთსა და ევროპაში, მიმდინარეობდა მწვავე და სასტიკი კლასობრივი ბრძოლა, ერთი მხრივ, კაპიტალისტებსა და მემამულეებსა და, მეორე მხრივ, მუშებსა და ღარიბ გლეხობას შორის; ამ ბრძოლაში თვითონ ილია და მისი თანამებრძოლებიც მონაწილეობდნენ და, სიტყვით თუ საქმით, აქტიურად ეხმარებოდნენ ღარიბ, დაჩაგრულ ხალხს; მათ ისიც იცოდნენ, რომ ქართველი თავადაზნაურობა დრომოჭმული და გადაგვარებული წოდებაა, ხოლო ქართველი ბურჟუაზია სუსტი და მხდალია, რის გა-

მოც მას არ შეუძლია ერის წინამძღოლობა (ჰეგემონობა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობდნენ ყველა წოდების (კლასის) შერიგებას და მთელი ქართველობის გაერთიანებას. რა იყო ამის მიზეზი?

ამის მიზეზი იყო საქართველოს მაშინდელი ცხოვრების თავისებურება. კერძოდ, მისი კოლონიური მდგომარეობა. წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების წარმომადგენლები შიშობდნენ, რომ ჩვენს ქვეყანაში კლასთა ბრძოლის გამწვავება დაასუსტებდა ქართველ ხალხს, რასაც ცარიზმი იმისათვის გამოიყენებდა, რომ სრულიად მოესპო საქართველო, როგორც ერი. სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ ისინი ქართველი ხალხის ერთიანობას, რათა მას უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაეწია მეფის თვითმპყრობელობის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკისათვის. გაერთიანებულ ქართველ ერს, მათი აზრით, სათავეში უნდა ჩასდგომოდა არა ძველი, გადაგვარებული თავადაზნაურობა, არამედ თავადაზნაურთა ახალი, განათლებული თაობა, რომელიც თვითონვე აიღებდა ხელს თავის წოდებრივ პრივილეგიებზე და პატიოსნად მოემსახურებოდა ქართველი ერის ინტერესებს.

მაგრამ ამ კეთილშობილ ადამიანთა სურვილები უტოპიური და განუხორციელებელი იყო. ისინი ივიწყებდნენ, რომ ქართველი თავადაზნაურობა და ბურჟუაზია თავიანთ ვიწრო, კლასობრივ ინტერესებს გაცილებით უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ეროვნულ ინტერესებს. ვერავითარი განათლება ვერ აიძულებდა ქართველ თავადაზნაურობას ხელი აელო თავის, საუკუნეობით განმტკიცებულ პრივილეგიებზე და ქართველი გლეხობის თანასწორუფლებიან წოდებად ქცეულიყო. ამიტომ წოდებათა შერიგების ქადაგება და ამ გზით ქართველი ერის გაძლიერება ფუჭი ოცნება იყო. პირიქით, რაც დრო გადიოდა, საქართველოში სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა და სასტიკი ხდებოდა კლასობრივი ბრძოლა.

ასე გამოეცალა საფუძველი თერგდალეულთა იდეოლოგიას. 80-იანი წლებიდან მოკიდებული, და განსაკუთრებით კი 90-იან წლებში, თანდათან ნათელი გახდა ამ კონცეფციის დრომოჭმულობა, ხოლო რუსეთის პირველი რევოლუციის ჭექა-ქუხილმა მისი სრული გაკოტრება და კრახი გამოიწვია.

ბრძოლა ეკონომიურ სარბიელზე გავლენისათვის. საშიწათმოქმედო ბანკები. თბილისის თვითთმფართველობა

რეფორმის შემდგომ ხანაში კაპიტალიზმის განვითარებამ გაამწვავა ბრძოლა სხვადასხვა კლასებს შორის და გამოიწვია უაღრესად მძაფრი სამეურნეო ანტაგონიზმი. ეკონომიურ სარბიელზე გავლენისათვის ერთიმეორეს ებრძოდნენ: თავადაზნაურობა, რომელიც ცდილობდა გარდაექმნა მემამულური მეურნეობა და შეენარჩუნებინა ეკონომიური ძლიერება; ბურჟუაზია; წვრილი მწარმოებლები (გლეხები, ხელოსნები), რომელნიც ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ და ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

შეძლებული კლასების ეკონომიური მეტოქეობა და ანტაგონიზმი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა იმ ცხარე ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობდა თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურთა სამიწათმოქმედო ბანკების ხელ-

მძღვანელობაში და, აგრეთვე, ქალაქ თბილისის თვითმმართველობაში გავლენის მოპოვებისათვის.

თბილისის თავადაზნაურთა სამიწათმოქმედო ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, საადგილმამულო ბანკის დაარსების აზრი საგლეხო რეფორმის გატარებისთანავე დაიბადა. იმ თანხიდან, რომელიც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ ყმების განთავისუფლების სანაცვლოდ მიიღო მეფის მთავრობისაგან, ნაწილი გადადებულ იქნა საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად. 1875 წ. მუშაობას შეუდგა თბილისის ბანკი. 1876 წელს ასეთივე ბანკი გაიხსნა ქუთაისშიც.

სამიწათმოქმედო ბანკებით დაინტერესდნენ თერგდალეულები, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს როგორც ბანკების წესდების შემუშავებაში, ისე თვით ბანკების პრაქტიკულ მუშაობაში. მათ მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ ორივე ბანკის ხელმძღვანელობა: თბილისის ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ი. ჭავჭავაძე, ხოლო ქუთაისის ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ — ბ. ღოღობერიძე.

ი. ჭავჭავაძე, ბ. ღოღობერიძე და მათი თანამოაზრენი ბანკებს უყურებდნენ, როგორც მთელი ქართველი ერისათვის სასარგებლო ფინანსურ დაწესებულებებს: მათი აზრით, ბანკებს ხელი უნდა შეეწყო ქართველი ხალხის, მისი ყველა წოდების ეკონომიური გაძლიერებისა და საერთო ეროვნული კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებების საქმიანობისათვის.

მაგრამ წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების მოღვაწეთა ამ გეზს არ ეთანხმებოდნენ არც მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიისა და არც თავადაზნაურობის იდეოლოგები. თბილისის საადგილმამულო ბანკის ხელმძღვანელობას 80-იან წლებში ოპოზიციაში ჩაუდგა ძლიერი თავადაზნაურული არისტოკრატია, რომელსაც ბანკის ერთ-ერთი დამაარსებელი, „ლიბერალური“ მოღვაწე დ. ყიფიანი მეთაურობდა. ყიფიანი ამ ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში თავადაზნაურობამ კვლავ შეადგინა ახალი, კიდევ უფრო ძლიერი ოპოზიცია და ხელახლა გაიმართა ბრძოლა. ამჯერად უკმაყოფილო თავადაზნაურობას მთავარ ხელმძღვანელად მოევლინა ი. ჭავჭავაძის ჯგუფიდან გასული ნიჭიერი მოღვაწე ი. მაჩაბელი. ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო და იგი დიდ ხანსაც გრძელდებოდა, მაგრამ გამარჯვება კვლავ ი. ჭავჭავაძესა და მის მომხრეებს დარჩათ.

ბურჟუაზიული საზოგადოების ურთიერთწინააღმდეგობამ იმავე ხანებში მკვეთრად იჩინა თავი აგრეთვე ქალაქ თბილისის ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც საქალაქო მმართველობის რეფორმა გატარდა და ქალაქის ბატონ-პატრონი მსხვილი ბურჟუაზია გახდა, მისი დამოკიდებულება მეფის მთავრობისადმი შეიცვალა. თუ 1865 წელს თბილისის ბურჟუაზია ღარიბ ხალხთან ერთად ქუჩაში გამოვიდა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა, საქალაქო რეფორმის შემდეგ ის თანდათან იქცა თვითმპყრობელობის ერთგულ და საიმედო საყრდენად.

იმავე დროს სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა ის უფსკრული, რომელიც ქალაქის მდიდრებს ჰყოფდა ღარიბი მოსახლეობისაგან. როგორც კი ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება, დიდმა ვაჭრებმა, მრეწველებმა და ბანკირებმა მაშინვე ყოველმხრივ შეავიწროვეს ქალაქის ღარიბი მოსახლეობა: მუშები, ხე-

ლოსანები, გლეხები და წვრილი ვაჭრები. 90-იან წლებში ქალაქის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ღარიბი მოსახლეობის უკმაყოფილებისათვის ნიადაგი საკმაოდ მომზადებული იყო.

მაგრამ მსხვილი ბურჟუაზიის მოქმედებით არა მარტო ქალაქის პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული ელემენტები იყვნენ უკმაყოფილნ, არამედ — თავადაზნაურული არისტოკრატიაც. ბურჟუაზია თანდათან ძირს უთხრიდა მემამულეთა ეკონომიურ ძლიერებას და თვითონ ეუფლებოდა ქალაქის მთელ სიმდიდრეს. ამ მდგომარეობას არ შეეძლო არ გაემწვავებინა წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობას შორის, არ შეეძლო არ გამოეწვია მათ შორის მძაფრი ეკონომიური ანტაგონიზმი.

სწორედ ამ ანტაგონიზმის პოლიტიკურ გამოხატულებას წარმოადგენდა ის ცხარე ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა 90-იან წლებში თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანთა არჩევნების დროს. საარჩევნო ბრძოლა წარმოებდა უმთავრესად თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას შორის. მსხვილი ბურჟუაზიის მთავარ დაჯგუფებას, რომელიც ქალაქის ფაქტიური ბატონ-პატრონი იყო და არჩევნებშიც ერთიანი ფრონტით გამოდიოდა, წარმოადგენდა ე. წ. „სოლოლაკელების“ პარტია, რომელიც უმთავრესად სომეხი ეროვნების ვაჭარ-მრეწველებისაგან შედგებოდა. ამ პარტიას გააფთრებით ებრძოდა ქართველი თავადაზნაურობა. მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გაილაშქრეს აგრეთვე წვრილ-ბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების მოღვაწეებმა: ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა და სხვებმა. ამ უკანასკნელთა გამოსვლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ იმით აიხსნებოდა, რომ მსხვილი ბურჟუაზია ავიწროებდა არა მარტო ეკონომიურად დაუძლურებულ თავადაზნაურობას, არამედ, კიდევ უფრო მეტად, ქალაქის ღარიბ მოსახლეობას — ხელოსნებს, მუშებს, წვრილ ვაჭრებსა და აგრეთვე გლეხებს, ე. ი. საერთოდ „ერს“.

თბილისის ქალაქის ხმოსანთა არჩევნებში გამარჯვება მსხვილ ბურჟუაზიას დარჩა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ბურჟუაზიულ საქართველოში, სადაც უკვე ყველაფერი ფულით იზომებოდა, გადამწყვეტ ძალად იქცა დიდი სიმდიდრის მქონე აღმავალი ბურჟუაზია.

მსხვილი ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა სცადეს თავიანთი კლასობრივი ბრძოლა ეროვნულ სამოსელში გაეხვიათ და სომეხ-ქართველთა ბრძოლად გაესაღებინათ. მაგრამ ეს ცდა სრული მარცხით დამთავრდა. თბილისში მცხოვრები სომეხი და ქართველი მშრომელები არ აჰყვნენ ბურჟუებისა და მემამულეების პროვოკაციებს და ბოლომდე შეინარჩუნეს ის ძმური და მეგობრული ურთიერთობა, რომელიც მათ შორის ძველიდანვე არსებობდა.

რაც შეეხება საქართველოს მოწინავე მოღვაწეთა გალაშქრებას სომხეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ, იგი მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის იდეოლოგების წინააღმდეგ. პროგრესული ქართველი ინტელიგენცია, — მათ შორის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და ი. გოგებაშვილი, — მუდამ უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდნენ სომხეთის ერს, მშრომელ ხალხსა და მის მოწინავე ინტელიგენციას.

§ 2. ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის გაძლიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 80-90-იან წლებში

მეფის მთავრობის რეაქციული კურსი და ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება

რევოლუციური სიტუაცია, რომელიც 1879—1880 წლების განმავლობაში შეიქმნა რუსეთში, ვერ გადაიზარდა რევოლუციაში. ცარიზმმა ისარგებლა წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერების სისუსტით და 80-იანი წლების დასაწყისში გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა რევოლუციური და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. რუსეთში ხანგრძლივი და სასტიკი რეაქციის ხანა დადგა.

თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკის გაძლიერებამ საქართველო უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ქართველი ხალხის ისედაც მძიმე ნაციონალურ-კოლონიურმა ჩაგვრამ 80—90-იანი წლებში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ალექსანდრე III მთავრობამ ზედიზედ გაატარა რამდენიმე მკაცრი ღონისძიება, რომელთა მიზანი იყო ქართული კულტურის საბოლოო მოსპობა და ქართველი ხალხის ძალით გარუსება.

1882 წელს შეცვლილ იქნა კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის ორგანიზაციული წყობა: გაუქმდა კავკასიის მეფის-ნაცვლის თანამდებობა და მის მაგიერ დაარსდა მთავარმმართებლის თანამდებობა; მეფისნაცვლად ნამყოფი დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი რუსეთში გაიწვიეს, მთავარმმართებლად კი დანიშნეს თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1890 წლამდე იმყოფებოდა. დონდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ მთავარმმართებლად იყო თავადი შერემეტიევი, რომელიც 1896 წელს თავადმა გოლიცინმა შესცვალა. ყველა ეს ახლად მოვლენილი მმართველები უკიდურესი რეაქციონერები იყვნენ და ენერგიულად ატარებდნენ ქართველი ხალხის ჩაგვრის, მისი დამონების დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას.

80-იანი წლებიდან მოკიდებული, მთავრობამ გააძლიერა საქართველოს კოლონიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხი, მშრომელი გლეხობა მიწის მწვავე სიმცირეს განიცდიდა, საუკეთესო მიწებზე ცარიზმი უცხო ელემენტებს ასახლებდა. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო კოლონიზაციამ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს რაიონებში, სადაც მასობრივად ასახლებდნენ კოლონიზატორულ ელემენტებს რუსეთის შორეული ადგილებიდან და თან არ ანებებდნენ უმიწაწყლო ქართველ გლეხებს იმ ადგილებში დასახლებას.

იმავე დროს არაჩვეულებრივ გაძლიერდა ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანების დევნა. სასტიკი ცენზურა დაწესდა ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემაზე და გატარდა სხვადასხვა ღონისძიება ქართული ენის მოსასპობად. იმისათვის, რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგობის ძალა შეესუსტებინა და საქართველოს, როგორც ერის, მოსპობა გაეადვილებინა, ცარიზმმა მიმართა ცდას გაეთიშა საქართველო ცალკე ნაწილებად და მისი სხვადასხვა კუთხეები ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა. კერძოდ, ცარიზმის მოხელეებმა გააჩაღეს კამპანია დედა სამშობლოსაგან აჭარის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზე-

თის ჩამოსაშორებლად. მაგრამ რუსიფიკატორთა მზაკვრული გეგმები მთელი ქართველი ხალხის შეუპოვარსა და ერთსულოვან წინააღმდეგობას წააწყდა.

თვითმპყრობელობის უხეში კოლონიური პოლიტიკა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა მეფის მთავრობის მიერ ქართული სკოლების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში. ცარიზმის აგენტები, 60-იანი წლებიდან მოკიდებული, სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ ქართულ ენას საქართველოს სკოლებში. 1878 წელს სასწავლო ოლქის მზრუნველად, ე. ი. კავკასიის სასწავლო უწყების ხელმძღვანელად, დაინიშნა რეაქციონერი მოღვაწე კ. ივანოვსკი, რომელმაც სასტიკი იერიში მიიტანა ქართული ენის წინააღმდეგ. ცარიზმის მოხელეებს უნდოდათ სრულიად განდევნათ ქართული ენა სკოლებიდან და კიდევაც მიაღწიეს თავის მიზანს. უკვე 80-იანი წლების ბოლოს ქართული ენა დაწყებითი სკოლებიდანაც განდევნილ იქნა და ბავშვებს სკოლაში შესვლის დროიდანვე რუსულად ასწავლიდნენ საგნებს. სკოლებშიც ქართული ლაბარაკი სასტიკად აიკრძალა. ქართველ მასწავლებლებს სამსახურიდან ითხოვდნენ და მათ მაგიერ ქართული ენის სრულიად უცოდინარ პედაგოგებს ნიშნავდნენ.

ცხადია, ასეთ ძალადობასა და ეროვნული უფლების აბუჩად აგდებას ვერ შეურიგდებოდა ქართველი ხალხი და მისი მოწინავე, დემოკრატიული ინტელიგენცია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ბრძოლა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ

მეფის თვითმპყრობელობის მიერ ქართველი ხალხის ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, მძლავრი აღმავლობა. 80-იანი წლების დასაწყისში ამ მოძრაობის დროშის ქვეშ დადგა საქართველოს თითქმის ყველა საზოგადოებრივი ძალა, გარდა ქართველი თავადაზნაურობისა და სამღვდელოების უკიდურესად რეაქციული ნაწილისა. იმ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების მოღვაწენი, ისე ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების წარმომადგენლები და აგრეთვე ხალხოსნები. ამათ გარდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იმ ხანებში მხარს უჭერდნენ თავადაზნაურული ლიბერალები, რომელთა მოძრაობა 80-იანი წლების დასაწყისში საგრძნობლად გამოცოცხლდა.

შემდეგში ლიბერალები და ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი თანდათან ჩამოშორდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას; მათ ხელი აიღეს ქართველი ხალხის ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლაზე. რაც შეეხება წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატებს, რომლებიც უმთავრესად გაზეთ „ივერიას" ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, რ. ერისთავი და სხვ.), ისინი დარჩნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან ძალად ამ მოძრაობის ახალი, მესამე ეტაპის დასაწყისამდე, ე. ი. საქართველოში რევოლუციურ-მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებამდე.

მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა 80—90-იან წლებში დიდი და მძიმე

კის მოკვლა 1886 წელს. სემინარიელთა წინააღმდეგ მთავრობამ სასტიკი რეპრესიული ზომები მიიღო, მაგრამ მათ შორის რევოლუციური მოძრაობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა. 1893 წლის დეკემბერში სემინარიის მოსწავლეებმა მოაწყეს მასობრივი რევოლუციური გამოსვლა, რომელიც გასცილდა სემინარიის ფარგლებს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანეს მოვლენად გადაიქცა.

ლიბერალების მოძრაობა. დ. ყიფიანის გამოსვლა

თავადაზნაურული ლიბერალები, თერგდალეულებთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, თანდათან განდევნილ იქნენ საზოგადოებრივი სარბიელიდან. მათმა მოძრაობამ ერთხანს სრულიად დაჰკარგა საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მათი ჟურნალი „ცისკარი", თუმცა ცდილობდა თავისი აზრების ახალი დროისათვის შეფარდებას, თანდათან ჰკარგავდა მკითხველებს, კნინდებოდა შინაარსითაც და ფორმითაც და ბოლოს (1875 წელს) სულაც დაიხურა.

მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა: იმ დროს კვლავ შეიქმნა პირობები ლიბერალური მოძრაობის გამოცოცხლებისათვის. ალექსანდრე III-ს რეაქციამ და ქართველი ხალხის ეროვნულ უფლებათა უკიდურესმა შევიწროებამ ლიბერალური თავადაზნაურობა კვლავ გამოიყვანა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ლიბერალები ალაპარაკდნენ ქართველი ხალხის შელახულ ეროვნულ ინტერესებზე და მათ ხელი გაუწოდეს დემოკრატებს. მართალია, მეორე ხელით ისინი კვლავ მეფის მთავრობასა და მსხვილ მემამულურ არისტოკრატიასთან იყვნენ დაკავშირებულნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც საკმაოდ გაბედულად შეუერთეს თავიანთი ხმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა ხმას.

ლიბერალურ მოძრაობაში ქართველი თავადაზნაურობის მრავალი განათლებული წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. მათ შორის იყვნენ: გამოჩენილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, პოეტები გიორგი შარვაშიძე, გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი) და სხვები. მაგრამ ამ მოძრაობის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ლიბერალური მოძრაობის ხელმძღვანელისა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის **დიმიტრი ყიფიანის** (1814—1887) გამოსვლა მეფის მოხელეთა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

დ. ყიფიანმა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დამდეგს აიმაღლა ხმა ქართული ენის დასაცავად. მან მკაცრი წერილით მიმართა სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის, რომელმაც საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა მოინდომა. „ვერც ჩინგიზ-ხანმა, ვერც თემურ-ლენგმა, ვერც შაჰ-აბაზმა და ვერც ნადირ-შაჰმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხის მეობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ?!" — სწერდა ყიფიანი იანოვსკის და მოუწოდებდა ხელი აეღო თავის უგუნურ განზრახვაზე. 1885 წელს დ. ყიფიანი არჩეულ იქნა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად. იმავე წელს მას მოუხდა შეტაკება კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვთან. მთავრობამ არ მოუწონა თავადაზნაურთა წინამძღოლს დედა ენის დაცვაზე ზრუნვა და ხელმწიფის მითითებით მას ოფიციალურად გაკიცხვა გამოუცხადა. მაგრამ დ. ყიფიანმა უკან არ დაიხია. 1886 წელს, როდესაც ი. ლაღიაშვილმა ჩუდეცკი მოჰკლა, საქართ-

კელოს ეგზარქოსმა, უკიდურესმა რეაქციონერმა პავლემ საჯაროდ დასწყევლა ქართველი ერი. ეგზარქოსის ასეთმა თავხედობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველ ხალხში. ამ შემთხვევის გამო დ. ყიფიანმა ეგზარქოსს გაუგზავნა მკაცრი წერილი, რომელშიც მოითხოვდა, რომ ეგზარქოსს დაეტოვებინა საქართველო.

მეფის მთავრობამ გადასწყვიტა სასტიკად დაესაჯა დ. ყიფიანი, რომელიც იმჟამად უკვე ღრმა მოხუცი იყო. იგი 1886 წელსვე გადააყენეს თანამდებობიდან და გადაასახლეს სტავროპოლში. ერთი წლის შემდეგ კი თვითმპყრობელობის აგენტებმა გადასახლებული მხცოვანი მოღვაწე მხეცურად მოჰკლეს.

დ. ყიფიანის დასაფლავებას უამრავი ხალხი დაესწრო. მისი დაკრძალვა ქართველმა ხალხმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მძლავრ საპროტესტო დემონსტრაციად გადააქცია.

თვითმოქმედების ორგანოები. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეროვნული თვითშეგნების ზრდა

როგორც უკვე ითქვა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი მოღვაწენი არ სჯერდებოდნენ თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლას პრესის ფურცლებზე და ამასთანავე ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეურნეო დაწესებულებანი და საზოგადოებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქართული კულტურის დაცვას და შემდგომ განვითარებას, ქართველი ხალხის სამეურნეო წინსვლას. ასეთ დაწესებულებებსა და საზოგადოებებს ისინი ხალხის თვითმოქმედების ორგანოებს უწოდებდნენ.

თვითმოქმედების ორგანოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ქართული ენის დაცვისა და ქართული კულტურის განვითარების საქმეში ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. ეს საზოგადოება დაარსდა 1879 წელს. მისი დამაარსებლები და აქტიური ხელმძღვანელები იყვნენ დემოკრატიული მოღვაწეები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მეთაურები და წარმომადგენლები: ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ბ. ღოღობერიძე, ა. წერეთელი, ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი, ა. ფურცელაძე, ი. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი და სხვები. სწორედ დემოკრატიული ინტელიგენცია იყო ამ საზოგადოების სულისჩამდგმელი მისი არსებობის მთელ მანძილზე. მაგრამ იმისათვის, რომ საზოგადოება ცარიზმის აგენტების მიერ დევნა-შევიწროებისაგან დაეფარათ და მთავრობის ორგანოებში მისი წესდების დამტკიცებაც გაეადვილებიათ, დემოკრატმა მოღვაწეებმა საზოგადოების დაარსების საქმეში ჩააბეს (მის დამფუძნებელ წევრებად მიიწვიეს) ცნობილი ლიბერალები და ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატიის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები, სახელმწიფო თანამდებობის პირები, გენერლები და ა. შ. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე დ. ყიფიანი იყო, ხოლო მისი „ამხანაგი“ (მოადგილე) ი. ჭავჭავაძე. 1885 წლიდან საზოგადოებას უცვლელად ი. ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მიზნად ისახავდა ქართველ ხალხში წერა-კითხვისა და ცოდნის გავრცელებას; ძველი

ქართული უნიკალური წიგნებისა და ხელნაწერების, არქეოლოგიური ძეგლების, ხალხური შემოქმედების ნიმუშების, ფოლკლორის შეგროვებასა და დაცვას; ქართველ ხალხში, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობაში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას. ამ მიზნით საზოგადოება საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, აგრეთვე საქართველოს გარეთ (სადაც კი ქართველები ცხოვრობდნენ) ქმნიდა სახალხო სკოლებს და აარსებდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ადგენდა და სცემდა სახელმძღვანელოებს, მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილ პოპულარულ წიგნებს: აგროვებდა, იძენდა და შეძლებისამებრ ბეჭდავდა კიდევაც ძველ ქართულ ხელნაწერებსა და წიგნებს, აგროვებდა ზეპირსიტყვიერების მასალებს და ა. შ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაწეულ მუშაობას დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისათვის. მის მიერ დაარსებული სკოლები და სამკითხველოები, გამოცემული წიგნები ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას და გამოფხიზლებას, ამზადებდნენ პირობებს მასების ამოძრავებისათვის.

80-90-იან წლებში ქართველმა ხალხმა, ცარიზმის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, არა ერთხელ მოახდინა თავისი ეროვნული ინტერესების შეგნებისა და ეროვნული ოლიდარობის აშკარა დემონსტრაცია. 1893 წელს განჯიდან თბილისში გადმოსვენებულ იქნა გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი. ეს ფაქტი უდიდეს საზოგადოებრივ მოვლენად გადაიქცა. გადმოსვენებას უამრავი ხალხი დაესწრო. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ წარმომადგენლები. გაზეთი „კვალი" წერდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვლებიც ამდგარიყო და მოდიოდა დიდებით საფშობლოში. ერმა მუხლი მოუყარა თავის მომავლის სვე-ბედის წინასწარმეტყველსა. მას უშლიდნენ წინ მუხისა, დაფნისა და პურის თაველებისაგან შეკრულს გვირგვინებს". გადმოსვენების დროს სიტყვები წარმოთქვეს ა. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძემ, გ. წერეთელმა. დამსწრე საზოგადოების აღტკინება და ერთსულოვნება უსაზღვრო იყო.

1895 წელს თბილისში არაჩვეულებრივი ზეიმით იქნა გადახდილი შესანიშნავი ქართველი დემოკრატი პოეტის რაფიელ ერისთავის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ზეიმზე ჩამოვიდნენ ქართლ-კახეთიდან, იმერეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, გურიიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მრავალრიცხოვანი სტუმრები. ზეიმზე მიმავალ, თეთრცხენებიან ეტლში მჯდომ პოეტს, რომელსაც გვერდით ილია და აკაკი უსხდნენ, მთელი ქალაქი მიაცილებდა.

ასეთივე განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა თბილისში კრწანისის ომისა და მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების ასი წლის თარიღები. აღა-მაჰმად-ხანის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ გმირთა ხსოვნის პატივსაცემად კრწანისის მინდორზე მრავალმა ათეულმა ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი. ერეკლე მეფისა და თავდადებული გმირების ხსოვნას ხალხმა მუხლდაჩოქილმა სცა პატივი.

ასეთი ფაქტები დამახასიათებელია ქართველი ხალხის მაშინდელი სულისკვეთებისა და მისწრაფებისათვის. სწორედ აქ იჩენდა თავს ეროვნული თვით-

კელოს ეგზარქოსმა, უკიდურესმა რეაქციონერმა პავლემ საჯაროდ დასწყევლა ქართველი ერი. ეგზარქოსის ასეთმა თავხედობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველ ხალხში. ამ შემთხვევის გამო დ. ყიფიანმა ეგზარქოსს გაუგზავნა მკაცრი წერილი, რომელშიც მოითხოვდა, რომ ეგზარქოსს დაეტოვებინა საქართველო.

მეფის მთავრობამ გადასწყვიტა სასტიკად დაესაჯა დ. ყიფიანი, რომელიც იმჟამად უკვე ღრმა მოხუცი იყო. იგი 1886 წელსვე გადააყენეს თანამდებობიდან და გადაასახლეს სტავროპოლში. ერთი წლის შემდეგ კი თვითმპყრობელობის აგენტებმა გადასახლებული მხცოვანი მოღვაწე მხეცურად მოჰკლეს.

დ. ყიფიანის დასაფლავებას უამრავი ხალხი დაესწრო. მისი დაკრძალვა ქართველმა ხალხმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მძლავრ საპროტესტო დემონსტრაციად გადააქცია.

თვითმოქმედების ორგანოები. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ეროვნული თვითშეგნების ზრდა

როგორც უკვე ითქვა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი მოღვაწენი არ სჯერდებოდნენ თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლას პრესის ფურცლებზე და ამასთანავე ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეურნეო დაწესებულებანი და საზოგადოებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქართული კულტურის დაცვას და შემდგომ განვითარებას, ქართველი ხალხის სამეურნეო წინსვლას. ასეთ დაწესებულებებსა და საზოგადოებებს ისინი ხალხის თვითმოქმედების ორგანოებს უწოდებდნენ.

თვითმოქმედების ორგანოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ქართული ენის დაცვისა და ქართული კულტურის განვითარების საქმეში ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. ეს საზოგადოება დაარსდა 1879 წელს. მისი დამაარსებლები და აქტიური ხელმძღვანელები იყვნენ დემოკრატიული მოღვაწეები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მეთაურები და წარმომადგენლები: ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ბ. ღოღობერიძე, ა. წერეთელი, ნ. ცხვედაძე, რ. ერისთავი, ა. ფურცელაძე, ი. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი და სხვები. სწორედ დემოკრატიული ინტელიგენცია იყო ამ საზოგადოების სულისჩამდგმელი მისი არსებობის მთელ მანძილზე. მაგრამ იმისათვის, რომ საზოგადოება ცარიზმის აგენტების მიერ დევნა-შევიწროებისაგან დაეფარათ და მთავრობის ორგანოებში მისი წესდების დამტკიცებაც გაეადვილებიათ, დემოკრატმა მოღვაწეებმა საზოგადოების დაარსების საქმეში ჩააბეს (მის დამფუძნებელ წევრებად მიიწვიეს) ცნობილი ლიბერალები და ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატიის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები, სახელმწიფო თანამდებობის პირები, გენერლები და ა. შ. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე დ. ყიფიანი იყო, ხოლო მისი „ამხანაგი“ (მოადგილე) ი. ჭავჭავაძე. 1885 წლიდან საზოგადოებას უცვლელად ი. ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მიზნად ისახავდა ქართველ ხალხში წერა-კითხვისა და ცოდნის გავრცელებას; ძველი

ქართული უნიკალური წიგნებისა და ხელნაწერების, არქეოლოგიური ძეგლების, ხალხური შემოქმედების ნიმუშების, ფოლკლორის შეგროვებასა და დაცვას; ქართველ ხალხში, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობაში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას. ამ მიზნით საზოგადოება საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, აგრეთვე საქართველოს გარეთ (სადაც კი ქართველები ცხოვრობდნენ) ქმნიდა სახალხო სკოლებს და აარსებდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ადგენდა და სცემდა სახელმძღვანელოებს, მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილ პოპულარულ წიგნებს; აგროვებდა, იძენდა და შეძლებისამებრ ბეჭდავდა კიდევაც ძველ ქართულ ხელნაწერებსა და წიგნებს, აგროვებდა ზეპირსიტყვიერების მასალებს და ა. შ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაწეულ მუშაობას დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისათვის. მის მიერ დაარსებული სკოლები და სამკითხველოები, გამოცემული წიგნები ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას და გამოფხიზლებას, ამზადებდნენ პირობებს მასების ამოძრავებისათვის.

80-90-იან წლებში ქართველმა ხალხმა, ცარიზმის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, არა ერთხელ მოახდინა თავისი ეროვნული ინტერესების შეგნებისა და ეროვნული სოლიდარობის აშკარა დემონსტრაცია. 1893 წელს განჯიდან თბილისში გადმოსვენებულ იქნა გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი. ეს ფაქტი უდიდეს საზოგადებრივ მოვლენად გადაიქცა. გადმოსვენებას უამრავი ხალხი დაესწრო. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ წარმომადგენლები. გაზეთი „კვალი" წერდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვლებიც ამდგარიყო და მოდიოდა დიდებით საფშობლოში. ერმა მუხლი მოუყარა თავის მომავლის სვე-ბედის წინასწარმეტყველსა. მას უშლიდნენ წინ მუხისა, დაფნისა და პურის თაველებისაგან შეკრულს გვირგვინებს". გადმოსვენების დროს სიტყვები წარმოთქვეს ა. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძემ, გ. წერეთელმა. დამსწრე საზოგადოების აღტკინება და ერთსულოვნება უსაზღვრო იყო.

1895 წელს თბილისში არაჩვეულებრივი ზეიმით იქნა გადახდილი შესანიშნავი ქართველი დემოკრატი პოეტის რაფიელ ერისთავის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. ზეიმზე ჩამოვიდნენ ქართლ-კახეთიდან, იმერეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, გურიიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მრავალრიცხოვანი სტუმრები. ზეიმზე მიმავალ, თეთრცხენებიან ეტლში მჯდომ პოეტს, რომელსაც გვერდით ილია და აკაკი უსხდნენ, მთელი ქალაქი მიაცილებდა.

ასეთივე განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა თბილისში კრწანისის ომისა და მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების ასი წლის თარიღები. აღა-მაჰმად-ხანის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ გმირთა ხსოვნის პატივსაცემად კრწანისის მინდორზე მრავალმა ათეულმა ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი. ერეკლე მეფისა და თავდადებული გმირების ხსოვნას ხალხმა მუხლდაჩოქილმა სცა პატივი.

ასეთი ფაქტები დამახასიათებელია ქართველი ხალხის მაშინდელი სულისკვეთებისა და მისწრაფებისათვის. სწორედ აქ იჩენდა თავს ეროვნული თვით-

შეგნების ზრდა. რაც წარმოადგენდა პირდაპირ შედეგს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა იდეური ბრძოლისა და ისეთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობისა, როგორიც იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

მაგრამ არც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და არც ე. წ. „ხალხის თვითმოქმედების“ დანარჩენი ორგანოები არ ყოფილან მასობრივი, ნამდვილად ხალხური დაწესებულებანი: მათში უფრო ინტელიგენციის მოწინავე ძალები მოღვაწეობდნენ, ხოლო მშრომელი მოსახლეობის ფართო მასები მათ მუშაობაში ნაკლებ მონაწილეობდნენ. მაშინდელმა მოწინავე ქართველმა ინტელიგენტებმა, რომლებიც უმთავრესად გლეხურ დემოკრატიას წარმოადგენდნენ, ვერ „შეძლეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადაქცევა საერთო-სახალხო მოძრაობად ცარიზმისა და ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგ. ამის მიზეზი იყო მათი მცდარი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი.

საქართველოს მშრომელი ხალხი სრული თანაგრძნობით ეპყრობოდა და მხარს უჭერდა დემოკრატიული ინტელიგენციის ბრძოლას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და ქართველი ერის შელახული უფლებების დასაცავად. რადგან ეს მის საკუთარ, ღვიძლ საქმეს წარმოადგენდა. მაგრამ მშრომელებისათვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელი იყო წოდებათა შერიგების ქადაგება, რადგან მუშებსა და გლეხებს ერთნაირად სტანჯავდა როგორც ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელი, ისე ქართველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის მიერ მათი აღვირახსნილი ექსპლუატაცია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს წოდებათა შერიგების ქადაგებით ქართველი ხალხის ერთიანობა, ე. ი. გაძლიერება სურდათ, ნამდვილად კი ეს მათ აშორებდა ხალხს და, მაშასადამე, გაძლიერების ნაცვლად ასუსტებდა ეროვნულ მოძრაობას. დემოკრატები არ ერიდებოდნენ კავშირს ლიბერალებთან და უმაღლეს თავადაზნაურულ არისტოკრატიასთან, მაგრამ სამაგიეროდ ამის გამო ხალხის ფართო მასების ნდობას კარგავდნენ.

90-იანი წლების საქართველოში კლასობრივი ბრძოლა უკიდურესად გამწვავებული იყო. სამოციანი წლების იდეები უკვე სრულიად აღარ შეეფერებოდნენ იმდროინდელ ვითარებას. საჭირო იყო ისეთი თეორია, რომელიც მშრომელ ხალხს დარაზმავდა როგორც რუსეთის ცარიზმის, ისე საქართველოს ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ასეთი თეორიით აღჭურვა საქართველოს მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ.

მაგრამ ეს მოხდა უკვე განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე, პროლეტარულ ეტაპზე.

თ ა ვ ი XXXIII

საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბება და მუშათა მოძრაობის დასაწყისი. მარქსიზმის გავრცელება საქართველოში

§ 1. პროლეტარიატის გაჩენა და მუშათა სტიქიური მოძრაობა 70—90-იან წლებში

ახალი კლასის — საქართველოს პროლეტარიატის გაჩენა

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას შედეგად მოჰყვა ბურჟუაზიული საზოგადოების ახალი კლასის, — დაქირავებულ მუშათა კლასის ანუ სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენა. საქართველოს ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. პროლეტარიატი სწორედ ის კლასი იყო, რომელსაც ისტორიამ დააკისრა მშრომელი და დაჩაგრული ხალხის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი (ჰეგემონი) გამხდარიყო, ძირფესვიანად მოესპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაზე დამყარებული წყობილება და აეშენებინა ახალი, კომუნისტური საზოგადოება.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოში, როდესაც ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებას ჯერ კიდევ გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა, საკმაოდ ბევრი მოიპოვებოდა მცირემიწიანი და გაღატაკებული გლეხები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ თავის სახლ-კარს მოსწყვეტოდნენ და სარჩო საკუთარი ძალის გაქირავებით მოეპოვებინათ. ასეთი გლეხები ხშირად მებატონეებთან შეთანხმებით მიდიოდნენ საშოვარზე, ზოგჯერ კი იძულებულნი იყვნენ მებატონის მათრახს გაქცეოდნენ და თავი ქალაქ ადგილებში შეეფარებინათ. იყვნენ ისეთი გლეხებიც (უმთავრესად მთიელები), რომლებსაც ბატონი არ ჰყოლიათ, მაგრამ მცირემიწიანობის გამო იძულებული იყვნენ საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში ევლოთ ან ქალაქებში წასულიყვნენ და თავისი მარჯვენის გაქირავებით ეცხოვრათ. ყველა ეს გლეხები დაქირავებულ მუშებად იქცეოდნენ ხოლმე — ხან დროებით, სეზონურად, ხან კი სამუდამოდ.

იმ გაღატაკებულ ადამიანთა რიცხვმა, რომლებსაც თავიანთი შრომა გაჰქონდათ ბაზარზე გასასყიდად, განსაკუთრებით იმატა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება ღრმა კრიზისს განიცდიდა. იმ დროს დაქირავებულ მუშახელს მნიშვნელოვანი რაოდენობით იყენებდნენ მანუფაქტურულ საწარმოებში, ხელოსნო-

ბაში. შინამრეწველობაში და დიდ მემამულეთა მეურნეობაში. დაქირავებული მუშები საკმაოდ მრავლად იყრიდნენ თავს თბილისში და საქართველოს სხვა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში.

რეფორმამდელ ხანაში დაქირავებული მუშები უმთავრესად ქალაქის სხვადასხვა მშენებლობაზე, ტვირთზიდვაზე და სავაჭრო დაწესებულებებში იყვნენ დაბანდებული. მაშინდელ მუშათა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე კაპიტალისტური ტიპის სახელოსნოებში მომუშავე ქარგლები და შეგირდები და აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მომუშავე მოჯამაგირეები. ამათ გარდა, მუშების ნაწილი მუშაობდა მანუფაქტურულ წარმოებაში. 60-იან წლებში კაპიტალისტურ მანუფაქტურულ საწარმოთა რიცხვი, როგორც უკვე ნათქვამი იყო, მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 500-მდე ითვლებოდა და მათში 3000-ზე მეტი მუშა შრომობდა.

ამრიგად, უკვე კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ პერიოდში, როდესაც მეურნეობის ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემას გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა, საქართველოში საკმაოდ მრავლად იყვნენ დაქირავებული მუშები. მაგრამ იმ დროს მუშათა მასები, რომლებიც დაფანტული იყვნენ სხვადასხვა მანუფაქტურულ საწარმოებსა და წვრილ სახელოსნოებში, ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ ბურჟუაზიული საზოგადოების ახალ კლასს — მუშათა კლასს.

მუშათა კლასის ანუ პროლეტარიატის გაჩენა დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარების უფრო მაღალ სტადიასთან, სახელდობრ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე (მანქანურ ინდუსტრიაზე) გადასვლასთან. როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოში სამრეწველო გადატრიალება ანუ მანუფაქტურიდან მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლა 70—80-იანი წლების განმავლობაში განხორციელდა. სწორედ იმ დროს მოხდა დაქირავებულ მუშათა მასების პროლეტართა კლასად ჩამოყალიბებაც.

რეფორმის შემდგომ ხანაში, სამრეწველო კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად, განუხრელად იზრდებოდა მრეწველობაში ჩაბმული მუშების რიცხვიც. მუშათა კლასის პირველი კადრები შეადგინეს მანუფაქტურულ საწარმოთა და სახელოსნოთა მუშებმა, ქარგლებმა და შეგირდებმა. შემდეგ მათ მიემატენ სოფლიდან აყრილი და ქალაქს წამოსული გაპროლეტარებული გლეხები. თუ რამდენად სწრაფად იზრდებოდა, რეფორმის შემდეგ, საქართველოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი, ამას გვიჩვენებს შემდეგი ცნობები: თუ 60-იან წლებში მთელი აღმოსავლეთ საქართველოს კაპიტალისტურ მანუფაქტურულ წარმოებაში 3 ათასი მუშა ითვლებოდა, 90-იანი წლების ბოლოს მარტო თბილისში ყველა კატეგორიის მუშათა რიცხვმა 20 ათასს გადააჭარბა. ამათგან 12 ათასი კაცი სამრეწველო პროლეტარიატს მიეკუთვნებოდა. იმავე ხანებში მუშათა რაოდენობა ქ. ბათუმში 11 ათასს აღწევდა, ჭიათურაში — 5 ათასს და ა. შ. საქართველოს მუშათა კლასის განვითარებისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო მისი სწრაფი რაოდენობრივი ზრდა, არამედ აგრეთვე მუშათა კონცენტრაცია (თავმოყრა) დიდ საწარმოებში.

ახლად ჩამოყალიბებულ პროლეტართა კლასს უაღრესად მძიმე, თითქმის აუტანელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და მუშაობა. ხელფასი მეტისმეტად

მცირე იყო, სამუშაო დღე კი 14 საათამდე გრძელდებოდა. მუშებს არ ჰქონდათ რიგიანი ბინები და ნესტიან ქოხმახებში უხდებოდათ ცხოვრება. ფაბრიკებსა და ქარხნებში ჰუჟუჟი და ანტისანიტარია იყო გამეფებული. განსაკუთრებით მძიმე პირობებში შრომობდნენ სამთამადნო მრეწველობის მუშები. მუშათა მძიმე საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებს კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა კაპიტალისტების განუსაზღვრელი თვითნებობა, უკანონო ჯარიმები და მუშების პირდაპირი მოტყუება. მუშებს არავითარი იურიდიული უფლებები არ გააჩნდათ. ცარიზმის მთელი სახელმწიფო აპარატი კაპიტალისტების მხარეზე იყო.

ბურჟუაზიული საზოგადოების ახალი კლასის გაჩენა შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოს მოწინავე ინტელიგენციას. ქართველი დემოკრატები მუშათა კლასს აშკარა სიმპატიით ეპყრობოდნენ და, არც იშვიათად, მათი ინტერესების დამცველადაც კი გამოდიოდნენ, მაგრამ საქართველოს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიზმის ყველაზე გამოჩენილმა წარმომადგენლებმაც კი ვერ გაიგეს და ვერ შეაფასეს მუშათა კლასის ნამდვილი ისტორიული როლი. ამით აიხსნება, რომ ქართველ დემოკრატებს პროლეტარიატის გაჩენა და მისი რიცხვის გამრავლება დადებით ისტორიულ მოვლენად კი არ ჰქონდათ წარმოდგენილი, არამედ თავიანთი ქვეყნის უბედურებად მიაჩნდათ. ერის ორგანიზმში პროლეტარიატის გაჩენას ისინი ადარებდნენ იარას, წყლულს, რომელიც სასწრაფო მკურნალობას საჭიროებს.

ასეთი შემცდარი, წვრილბურჟუაზიული შეხედულება პროლეტარიატზე და მის ისტორიულ როლზე დამახასიათებელი იყო მარქსამდელი პერიოდის თითქმის ყველა დემოკრატისა და სოციალისტისათვის.

მუშათა კლასის სტიქიური მოძრაობა 70—90-იან წლებში

კაპიტალისტების მხრივ სასტიკ ექსპლუატაციას და უაღრესად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს არ შეეძლო მუშათა კლასის უკმაყოფილება და პროტესტი არ გამოეწვია. იმ დროს საქართველოს მუშათა კლასს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესები და მან ჯერ არ იცოდა თავისი განთავისუფლების ნამდვილი გზები. ამიტომ მისი ბრძოლა არ ატარებდა დარაზმული და შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს: ეს იყო მუშათა სტიქიური მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავდა მუშათა კლასის ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას. მუშათა მოძრაობის ძირითად ფორმას მაშინ გაფიცვა წარმოადგენდა.

მუშათა პირველი დიდი გაფიცვა მოხდა 1872 წელს, თბილისში, მირზოევის საფეიქრო ფაბრიკაში, სადაც 500-ზე მეტი კაცი მუშაობდა. გაფიცვა მთელ კვირას გრძელდებოდა. მაგრამ იმ დროს მუშებს არ გააჩნდათ თავიანთი ორგანიზაციები, გაფიცვას დარაზმულობა აკლდა და იგი მარცხით დამთავრდა.

გაცილებით უფრო დარაზმულად ჩატარდა თბილისში ზეიცერის ავეჯის ფაბრიკის მუშათა გაფიცვა 1878 წელს. გაფიცვას ხელმძღვანელობდა მუშახელოსანთა კავშირი, რომელიც იმ ხანებში შეიქმნა. გაფიცულებსა და პოლიციას შორის შეტაკებისას მოკლულ იქნა ერთი მუშა. მუშათა ენერგიულმა და მამაცურმა ბრძოლამ თავისი შედეგი გამოიღო: გაფიცულთა თითქმის ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა. ეს იყო საქართველოს მუშების პირველი გამარჯვებული გაფიცვა.

80-იანი წლებიდან საქართველოს მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობის ავანგარდში ჩადგნენ რკინიგზელი მუშები. მუშათა მოძრაობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კერა იყო თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც 3 ათასამდე კაცი მუშაობდა. ამ სახელოსნოებში პირველი გაფიცვა 1886 წელს მოხდა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო 1887 წლის დიდი გაფიცვა, რომელიც სამუშაო დღის მომატებამ გამოიწვია. მთავრობამ გაფიცულთა წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართა. მუშათა შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად გაფიცვა მარცხით დამთავრდა.

საქართველოს მუშათა კლასის რიგებში ქართველ მუშებთან ერთად მუშათა საქმისათვის აქტიურად იბრძოდნენ რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მუშები, რომლებიც თავიანთი ქართველი ძმების მხარდამხარ შრომობდნენ და მათ თანაბრად განიცდიდნენ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მთელ სიმძიმეს. თბილისის ქარხნებში, კერძოდ რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, განსაკუთრებით ბევრი იყვნენ რუსი მუშები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოს მუშათა მოძრაობის განვითარების საქმეში.

1889 წელს რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა მუშებმა კვლავ გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა, მაგრამ მთავრობამ ამჯერადაც შეძლო მუშათა დამარცხება. გაფიცვის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილეები დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. მრავალი მუშა სახელოსნოებიდან დაითხოვეს.

იმავე ხანებში დაიწყო მუშათა გაფიცვები საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებშიც. ბათუმში 1889 წელს გაიფიცნენ ნობელის ქარხნის მუშები, ხოლო 1892 წელს — მანთაშევის ქარხნის მუშები. 80—90-იან წლებში განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა თბილისის თამბაქოსა და ტყავის მრეწველობის მუშათა გაფიცვები.

1898—1900 წლებში საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა: გათავდა მუშათა სტიქიური, შეუგნებელი მოძრაობის ხანა და დაიწყო მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპი — ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა დარაზმული და შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ეტაპი. ამ ახალი ეტაპის დასაწყისი იყო რკინიგზის მუშათა სახელოვანი გამოსვლა 1898 წელს, რომელსაც უკვე მუშათა მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ.

მუშათა პირველი ორგანიზაციები. მუშათა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალები

70—90-იან წლებში, როცა საქართველოს პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ ესმოდა თავისი ისტორიული მისია და მისი მოძრაობა სტიქიურ-ეკონომიურ ხასიათს ატარებდა, მოწინავე მუშათა შორის შემუშავდა შეგნება, რომ აუცილებელია მუშათა ორგანიზაციების შექმნა და ექსპლუატატორთა წინააღმდეგ შეერთებული ძალ-ღონით ბრძოლა.

მუშათა პირველი ორგანიზაციები (წრეები, ამხანაგობანი, კავშირები) საქართველოში შეიქმნა 70-იანი წლების მეორე ნახევარში, მუშა-ხელოსნების თაოსნობით. იმ დროს მოწინავე მუშები უფრო ხელოსანთა წრეებიდან გამოდიოდნენ ხოლმე. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ბევრ მათგანს სახელოსნო სასწავ-

ლებელი ჰქონდა დამთავრებული, წერა-კითხვა იცოდა და ადვილად გასაგები, პოპულარული წიგნების კითხვაც შეეძლო.

1876 წელს ზეიცერის ფაბრიკის მოწინავე მუშა-ხელსანებმა იოსებ დავითაშვილმა და მიხა ჩოდრიშვილმა ჩამოაყალიბეს მუშათა თვითგანვითარების წრე. მისი წევრები ხშირ-ხშირად იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ აკრძალულ წიგნებსა და ბროშურებს. ამ წრემ მოაწყო მუშათა წიგნთსაცავ-სამკითხველო. წიგნების შესაძენად ყოველი მუშა თვეში 20 კაპიკს იხდიდა. ასეთი თვითგანვითარების წრეები იმხანად თბილისის სხვა ფაბრიკა-ქარხნებშიც ჩამოყალიბდა.

ზეიცერის ფაბრიკის მუშათა წრე თანდათან გაფართოვდა, მას შეუერთდნენ მუშები სხვა საწარმოებიდანაც და, ამრიგად, შეიქმნა თბილისის „მუშათა კავშირი", რომელიც აღარ იფარგლებოდა მარტო საგანმანათლებლო საქმიანობით და ცდილობდა სათავეში ჩადგომოდა თბილისის მუშათა საგაფიცვო მოძრაობას. სწორედ ამ კავშირის მიერ გამოყოფილი კომიტეტი ხელმძღვანელობდა ზეიცერის ფაბრიკაში 1878 წელს ჩატარებულ მუშათა გაფიცვას, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

1882 წელს თბილისის „მუშათა კავშირთან" და აგრეთვე მუშათა წრეებთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა რევოლუციონერ ხალხოსანთა ჯგუფმა, რომელსაც გოლა ჩიტაძე ხელმძღვანელობდა. გ. ჩიტაძე მუშათა წრეებს რევოლუციურ ლიტერატურას აწვდიდა.

მუშათა ორგანიზაციების საქმიანობა განსაკუთრებით გაცხოველდა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან. 1889 წელს თბილისის მოწინავე მუშებმა დააარსეს არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი „მუშა", რომელშიც თვით მუშათა წერილები იბეჭდებოდა. შემდეგ მუშათა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააფართოვეს საჟურნალო მოღვაწეობა. 1891 წელს გამოვიდა მუშათა მეორე ხელნაწერი ჟურნალი „განთიადი", ხოლო 1892 წელს — მესამე ასეთივე ჟურნალი „სხივი". ცოტა უფრო გვიან მეჩექმე მუშა-ხელოსანთა ამხანაგობა სცემდა ხელნაწერ ჟურნალ „სინათლე"-ს.

ამ ჟურნალების შინაარსი გვიჩვენებს, რომ საქართველოს მუშათა კლასის თვითშეგნება განუწყვეტლივ იზრდება, მოწინავე მუშები თანდათან ერკვევიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებში და ემზადებიან ექსპლუატატორთა წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლისათვის. ამასთანავე, მუშათა პირველი ჟურნალებიდან აშკარად ჩანს ისიც, რომ საქართველოს პროლეტარიატის პოლიტიკური მომზადება მაშინ ჯერ კიდევ ძალიან დაბალ დონეზე დგას, მუშათა აზრი სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული იდეებს გავლენის ქვეშ იმყოფება, ხოლო კლასთა ბრძოლის მეცნიერულ, ე. ი. მარქსისტულ, თეორიაზე მუშებს ჯერ წარმოდგენაც არა აქვთ.

ხალხოსნურ შეხედულებებთან ერთად, იმ დროს მუშათა კლასში ვრცელდებოდა აგრეთვე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები. ქართველ მუშებს, სოციალურ ჩაგვრასა და ექსპლუატაციასთან ერთად, ეროვნული ჩაგვრაც აწუხებდა. ამიტომ მათთვის გასაგები და მახლობელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები, მიუხედავად იმისა, რომ თავისი შინაარსით ეს იდეები წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მისწრაფებებს გამოხატავდა. მოწინავე მუშა-რევოლუციონერები (ი. დავითაშვილი, მ.

ჩოდრიშვილი და სხვები) პირადადაც კი იყვნენ დაკავშირებულნი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან და საჭირო შემთხვევებში მათგან სათანადო რჩევა-დარიგებასაც იღებდნენ.

90-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისსა და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებში არაჩვეულებრივ გამრავლდა მუშათა წრეები, ამხანაგობანი და კავშირები. მუშათა ორგანიზაციები თანდათან თავისუფლდებიან წვრილბურჟუაზიული იდეების გავლენისაგან და დგებიან მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დროშის ქვეშ.

მუშა-რევოლუციონერთა პირველი თაობა

საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბებისა და მუშათა მოძრაობის დაწყებისთანავე მუშების წრიდან გამოიყოფიან უნარიანი და მოწინავე ადამიანები, რომლებიც უდიდესი სიმხნევითა და გაბედულებით იწყებენ ბრძოლას პროლეტარიატის ინტერესთა დასაცავად.

მუშა-რევოლუციონერთა პირველი თაობის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც უდიდესი შრომა გასწიეს მუშათა მოძრაობის გასაძლიერებლად 70—90-იანი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მოწინავე მუშები: მიხა ჩოდრიშვილი, იოსებ დავითაშვილი, არაქელა ოქუაშვილი, ზაქრო ჩოდრიშვილი, ვანო სტურუა, მიხა ბოჭორიძე, ვასო ცაბაძე, გიორგი ნინუა და სხვები.

მიხა ჩოდრიშვილი რვა წლის ბავშვი იყო, როდესაც ღარიბმა მშობლებმა მოჯამაგირედ მიაბარეს სიღნაღელ ვაჭარს. 1866 წელს 13 წლის მიხა უკვე თბილისშია და სამუშაოს დაეძებს. ერთხანს ის შეგირდად მუშაობს დურგალთან. 1868 წლიდან კი ფაბრიკა-ქარხნებში გადადის და კადრის მუშა ხდება. „არ დამრჩენია ბათუმიდან ბაქომდე ქარხანა და ფაბრიკა, რომ არ მემუშავნოსო“, იგონებს იგი შემდგომ. 70-იანი წლებიდან მ. ჩოდრიშვილი აქტიურად ებმება მუშათა მოძრაობაში და მუშათა ორგანიზაციების ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი ხდება. იგი იოსებ დავითაშვილთან ერთად აარსებს „მუშათა კავშირს“ და ხელმძღვანელობს ზეიცერის ფაბრიკის მუშათა გაფიცვას. 80-იანი წლების დასაწყისში მ. ჩოდრიშვილი უკავშირდება რევოლუციონერ ხალხოსნებს და აარსებს მუშათა საიდუმლო წრეებს. 90-იან წლებში მ. ჩოდრიშვილი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში, თან ბევრს მეცადინეობს, ეცნობა მარქსისტულ მოძღვრებას და უყოყმანოდ დგება სოციალ-დემოკრატიის პოზიციაზე.

მუშა-პოეტი, ქართლელი ყმა გლეხის შვილი იოსებ დავითაშვილი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში 1876—1887 წლების მანძილზე. 1878 წელს ზეიცერის ფაბრიკის მუშათა გაფიცვის მოწყობისათვის იოსები დაითხოვეს სამუშაოდან და დიდხანს უმუშევრად დადიოდა. პოეტს დიდი გაჭირვებით უხდებოდა ლუკმაპურის შოვნა, მაგრამ გულს არ იტეხდა და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურებოდა მშრომელი ხალხის საქმეს. 80-იანი წლების დასაწყისში ის მჭიდროდ დაუკავშირდა რევოლუციონერ ხალხოსნებს, ესწრებოდა მათ საიდუმლო კრებებს და უსრულებდა სხვადასხვა დავალებას. ი. დავითაშვილის შემოქმედება მოწმობს, რომ საქართველოს მუშათა კლასმა ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე, უაღრესი სიძნელისა

და ჩამორჩენილობის პირობებში, შეძლო თავისი წრიდან წარმოეშვა ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც უსწორდებოდნენ მაშინდელი დემოკრატიული აზროვნების დონეს. ი. დავითაშვილის შემოქმედებას წვრილბურჟუაზიულ-გლეხური და ხალხოსნური მიმართულების მოაზროვნეთა აშკარა გავლენა ემჩნევა. ნიჭიერ მუშა-პოეტს არ დასცალდა მარქსისტული მოძღვრების გაცნობა. ის გარდაიცვალა 1887 წელს.

რევოლუციური მოღვაწეობის სახელოვანი გზა განვლეს აგრეთვე ზაქრო ჩოდრიშვილმა (მიხას უმცროსმა ძმამ), არაქელა ოქუაშვილმა, ვანო სტურუამ, მიხა ბოჭორიძემ და მათი თაობის სხვა მოწინავე მუშებმა. ისინი საქართველოს ჩაგრული კლასების — მუშებისა და ღარიბი გლეხების შვილები იყვნენ. თვითეულმა მათგანმა ძალიან ადრე, თითქმის ბავშვობაშივე იგემა დაქირავებული მუშის მწარე ხვედრი. თბილისის, ბათუმისა და საქართველოს სხვა ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში მათ რევოლუციური აღზრდის მკაცრი სკოლა განვლეს და მუშათა მოძრაობის შესანიშნავ ორგანიზატორებად იქცნენ. 90-იან წლებში ისინი გაეცვნენ მუშათა კლასის მსოფლმხედველობას — მარქსიზმს და გადაჭრით დადგნენ მის მხარეზე.

1898—1900 წლებში, როდესაც საქართველოს მუშათა მოძრაობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, მუშა რევოლუციონერთა პირველმა თაობამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთების საქმეში.

§ 2. რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და მუშათა კლასის იდეოლოგიის, მარქსიზმის გავრცელება

რევოლუციური მოძრაობა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებამდე. წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი

მარქსიზმის გავრცელებამდე საქართველოში რევოლუციურ მუშაობას, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში, ეწეოდნენ თერგდალეულები და ხალხოსნები. აგრეთვე, ნაწილობრივ — 80-იანი წლების ბურჟუაზიულ-პროგრესული და წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატები. მეცნიერული სოციალიზმის გავრცელებამდე რევოლუციური მოძრაობა ატარებდა წვრილბურჟუაზიულ ხასიათს და მისი იდეები შეიცავდა არა მარტო საერთო დემოკრატიულ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს, არამედ აგრეთვე წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის მოძღვრებასაც.

ვ. ლენინი ამბობდა: „თვითეულ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან თვითეულ ერში არის მშრომელი და ექსპლუატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობს დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას“.

საქართველოს მშრომელი და ექსპლუატირებული მასების ცხოვრების პირობებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში წარმოშვეს სოციალისტური კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც მაშინ

დამოუკიდებელი მიმდინარეობის სახით კი არ არსებობდნენ, არამედ საერთო დემოკრატიული აზროვნებისაგან განუყოფელი იყვნენ. გაზეთი „დროება“, ჟურნალები „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“ და „კრებული“ სავსეა სხვადასხვა ელფერის სოციალისტური აზრებით, რომლებიც მეტწილად ევროპისა და რუსეთის უტოპისტ-სოციალისტებისაგან იყო ნასესხები. სოციალისტური აზროვნების ელემენტები განსაკუთრებით უხვად არის გაბნეული თერგდალეულების ისეთ წარმომადგენელთა ნაწერებში, როგორიც იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე, გრ. თარხან-მოურავი და სხვები. თერგდალეულები ოცნებობდნენ შრომის განთავისუფლებასა და ისეთი იდეალური საზოგადოების შექმნაზე, სადაც აღარ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და ექსპლუატაცია.

მაგრამ თერგდალეულები მარტო ლეგალურ პრესაში იდეების პროპაგანდით როდი შემოფარგლულან; მათ სცადეს ზოგიერთი პრაქტიკული რევოლუციური ნაბიჯის გადადგმაც. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1873 წელს პარიზში არალეგალური ქართული სოციალისტური გაზეთის „დროშის“ გამოცემა. გამოცემის ინიციატორები იყვნენ თერგდალეულები დ. მიქელაძე და ნ. ნიკოლაძე და აგრეთვე მათი თანამოაზრე, მოწინავე სომეხი მოღვაწე პ. იზმაილოვი. გაზეთი ქადაგებდა სოციალისტურ აზრებს და, აგრეთვე, ამიერკავკასიის ხალხთა თავისუფალი ფედერაციის შექმნის იდეას. 1874 წელს ჟენევაში ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ს. მესხისა და სხვა თერგდალეულთა თაოსნობით ჩატარდა კავკასიელი ახალგაზრდობის კონგრესი, რომელზედაც განხილულ იქნა ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხები.

1870 წელს თერგდალეულებმა თბილისში დააარსეს საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც ოფიციალურად „ივანოვის ბიბლიოთეკის“ სახელით იყო ცნობილი. ამ ბიბლიოთეკის მთავარი მიზანი იყო ხალხში, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობაში, დემოკრატიული და სოციალისტური შინაარსის აკრძალული წიგნების გავრცელება. იგი წარმოადგენდა თავისებურ პოლიტიკურ კლუბს, სადაც თავს იყრიდა მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია. ბიბლიოთეკაში საიდუმლოდ ინახებოდა და რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას საკითხავად ეძლეოდა ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლიუბოვის, პისარევისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატთა და სოციალისტთა აკრძალული ნაწერები. ასეთივე ბიბლიოთეკა იყო ქუთაისში, ანტონ ლორთქიფანიძის ბინაში.

თერგდალეულთა ამგვარ საქმიანობას შედეგად მოჰყვა მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური სულისკვეთების გაღვივება. საქართველოს სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი თბილისის სემინარიაში, რომლის მსმენელები უფრო მოსახლეობის დაბალი ფენებიდან იყვნენ გამოსულნი, უკვე 70-იანი წლების დასაწყისში შეიმჩნეოდა მთავრობის საწინააღმდეგო სერიოზული საქმიანობა. 1873 წელს მთავრობამ დააპატიმრა სემინარიის მოსწავლე დავით კეზელი, რომელსაც უპოვეს მის მიერ დაწერილი პროკლამაცია „საქართველოს ახალთაობას“. პროკლამაციაში ახალგაზრდა ავტორი ლაპარაკობდა მომავალ ბრძოლაზე „ტირანიისაგან მისი დაჩაგრული სამშობლოს გასათავისუფლებლად“.

განსაკუთრებით ფართოდ გააჩაღეს რევოლუციური მუშაობა, როგორც

ზემოთ უკვე დავინახეთ, 70-იანი წლების ხალხოსნებმა, რომლებმაც ცარიზმის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის მაგალითები გვიჩვენეს. ქართველ ხალხოსნებს, რუსი ხალხოსნების მსგავსად, თავი სოციალისტებად მიაჩნდათ. თავიანთ ნაწერებში ისინი პირდაპირ აღნიშნავდნენ, რომ მათი მიზანი სოციალისტური წყობილების დამყარებაა.

ნამდვილად კი როგორც ხალხოსნების, ისე თერგდალეულებისა და სხვა ქართველი სოციალისტების მოძღვრება წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის სხვადასხვა ნაირსახეობას წარმოადგენდა და მათ არსებითად არაფერი ჰქონიათ საერთო პროლეტარულ სოციალიზმთან. ვერც თერგდალეულებმა და ვერც ხალხოსნებმა ვერ გაიგეს კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა და ვერ შეაფასეს პროლეტარიატის ისტორიული როლი, რის გამოც მათი ოცნება იდეალურ და სამართლიან საზოგადოებაზე, სოციალიზმზე ფუჭ ოცნებად დარჩა.

წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი რეაქციული მოძღვრება იყო და ნამდვილ, მეცნიერულ სოციალიზმს გზის გაკაფვა სწორედ მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით უნდებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც თერგდალეულთა, ისე ხალხოსანთა მოძღვრება შეიცავდა ძვირფას კრიტიკულ ელემენტებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მშრომელი მასების გათვითცნობიერებისათვის.

კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმი, ისევე როგორც დემოკრატიზმი, საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების აუცილებელი საფეხური იყო და, საქართველოს ცხოვრების მაშინდელი ჩამორჩენილობის პირობებში, უაღრესად პროგრესულ ისტორიულ როლს ასრულებდა. წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერები და სოციალისტები მარქსიზმის წინამორბედნი იყვნენ.

წვრილბურჟუაზიული იდეების კრიზისი და ანარქიზმის ძიებანი. ე. ნინოშვილის მოღვაწეობა

საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო წვრილბურჟუაზიულმა თეორიებმა ჩვენში დიდი გამძლეობა გამოიჩინეს და ისინი დიდხანს იყვნენ გაბატონებული საზოგადოებრივ სარბიელზე. მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა. იმ დროს მოწინავე მოღვაწეებისათვის უკვე აშკარა გახდა როგორც სამოციანელთა იდეების, ისე ხალხოსნური სოციალიზმის კრახი. რაც კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ და კლასობრივი ანტაგონიზმის ზრდამ გამოიწვია.

რუსეთში მოწინავე რევოლუციონერებმა უკვე 80-იანი წლების დასაწყისში დანახეს ხალხოსნური კონცეფციის გაკოტრება, გამიჯნენ მას და გაბედულად აღმართეს მარქსიზმის დროშა. მარქსიზმის გამოჩენილმა პროპაგანდისტმა **გ. პლეხანოვმა** (1856—1918), რომელიც წინათ ხალხოსანი იყო, გაწყვიტა კავშირი ხალხოსნებთან და 1883 წელს საზღვარგარეთ (ჟენევაში) დააარსა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“. პლეხანოვმა დაწერა მრავალი მარქსისტული ნაშრომი, რომლებითაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ხალხოსნურ სოციალიზმს და გზა გაუკაფა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთში. იმავე დროს პლეხანოვის ჯგუფს სერიოზული შეცდომებიც ჰქონდა. ეს ჯგუფი ვერ აფასებდა გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მო-

დამოუკიდებელი მიმდინარეობის სახით კი არ არსებობდნენ, არამედ საერთო დემოკრატიული აზროვნებისაგან განუყოფელი იყვნენ. გაზეთი „დროება“, ჟურნალები „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“ და „კრებული“ სავსეა სხვადასხვა ელფერის სოციალისტური აზრებით, რომლებიც მეტწილად ევროპისა და რუსეთის უტოპისტ-სოციალისტებისაგან იყო ნასესხები. სოციალისტური აზროვნების ელემენტები განსაკუთრებით უხვად არის გაბნეული თერგდალეულების ისეთ წარმომადგენელთა ნაწერებში, როგორიც იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე, გრ. თარხან-მოურავი და სხვები. თერგდალეულები ოცნებობდნენ შრომის განთავისუფლებასა და ისეთი იდეალური საზოგადოების შექმნაზე, სადაც აღარ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და ექსპლუატაცია.

მაგრამ თერგდალეულები მარტო ლეგალურ პრესაში იდეების პროპაგანდით როდი შემოფარგლულან; მათ სცადეს ზოგიერთი პრაქტიკული რევოლუციური ნაბიჯის გადადგმაც. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1873 წელს პარიზში არალეგალური ქართული სოციალისტური გაზეთის „დროშის“ გამოცემა. გამოცემის ინიციატორები იყვნენ თერგდალეულები დ. მიქელაძე და ნ. ნიკოლაძე და აგრეთვე მათი თანამოაზრე, მოწინავე სომეხი მოღვაწე პ. იზმაილოვი. გაზეთი ქადაგებდა სოციალისტურ აზრებს და, აგრეთვე, ამიერკავკასიის ხალხთა თავისუფალი ფედერაციის შექმნის იდეას. 1874 წელს ჟენევაში ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ს. მესხისა და სხვა თერგდალეულთა თაოსნობით ჩატარდა კავკასიელი ახალგაზრდობის კონგრესი, რომელზედაც განხილულ იქნა ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხები.

1870 წელს თერგდალეულებმა თბილისში დააარსეს საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც ოფიციალურად „ივანოვის ბიბლიოთეკის“ სახელით იყო ცნობილი. ამ ბიბლიოთეკის მთავარი მიზანი იყო ხალხში, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობაში, დემოკრატიული და სოციალისტური შინაარსის აკრძალული წიგნების გავრცელება. იგი წარმოადგენდა თავისებურ პოლიტიკურ კლუბს, სადაც თავს იყრიდა მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია. ბიბლიოთეკაში საიდუმლოდ ინახებოდა და რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას საკითხავად ეძლეოდა ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლიუბოვის, პისარევისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატთა და სოციალისტთა აკრძალული ნაწერები. ასეთივე ბიბლიოთეკა იყო ქუთაისში, ანტონ ლორთქიფანიძის ბინაში.

თერგდალეულთა ამგვარ საქმიანობას შედეგად მოჰყვა მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური სულისკვეთების გაღვივება. საქართველოს სასწავლებლებში, განსაკუთრებით კი თბილისის სემინარიაში, რომლის მსმენელები უფრო მოსახლეობის დაბალი ფენებიდან იყვნენ გამოსულნი, უკვე 70-იანი წლების დასაწყისში შეიმჩნეოდა მთავრობის საწინააღმდეგო სერიოზული საქმიანობა. 1873 წელს მთავრობამ დააპატიმრა სემინარიის მოსწავლე დავით კეზელი, რომელსაც უპოვეს მის მიერ დაწერილი პროკლამაცია „საქართველოს ახალთაობას“. პროკლამაციაში ახალგაზრდა ავტორი ლაპარაკობდა მომავალ ბრძოლაზე „ტირანიისაგან მისი დაჩაგრული სამშობლოს გასათავისუფლებლად“.

განსაკუთრებით ფართოდ გააჩაღეს რევოლუციური მუშაობა, როგორც

ზემოთ უკვე დავინახეთ, 70-იანი წლების ხალხოსნებმა, რომლებმაც ცარიზმის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის მაგალითები გვიჩვენეს. ქართველ ხალხოსნებს, რუსი ხალხოსნების მსგავსად, თავი სოციალისტებად მიაჩნდათ. თავიანთ ნაწერებში ისინი პირდაპირ აღნიშნავდნენ, რომ მათი მიზანი სოციალისტური წყობილების დამყარებაა.

ნამდვილად კი როგორც ხალხოსნების, ისე თერგდალეულებისა და სხვა ქართველი სოციალისტების მოძღვრება წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის სხვადასხვა ნაირსახეობას წარმოადგენდა და მათ არსებითად არაფერი ჰქონიათ საერთო პროლეტარულ სოციალიზმთან. ვერც თერგდალეულებმა და ვერც ხალხოსნებმა ვერ გაიგეს კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა და ვერ შეაფასეს პროლეტარიატის ისტორიული როლი, რის გამოც მათი ოცნება იდეალურ და სამართლიან საზოგადოებაზე, სოციალიზმზე ფუჭ ოცნებად დარჩა.

წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი რეაქციული მოძღვრება იყო და ნამდვილ, მეცნიერულ სოციალიზმს გზის გაკაფვა სწორედ მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით უხდებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც თერგდალეულთა, ისე ხალხოსანთა მოძღვრება შეიცავდა ძვირფას კრიტიკულ ელემენტებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მშრომელი მასების გათვითცნობიერებისათვის.

კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმი, ისევე როგორც დემოკრატიზმი, საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების აუცილებელი საფეხური იყო და, საქართველოს ცხოვრების მაშინდელი ჩამორჩენილობის პირობებში, უაღრესად პროგრესულ ისტორიულ როლს ასრულებდა. წვრილბურჟუაზიული რევოლუციონერები და სოციალისტები მარქსიზმის წინამორბედნი იყვნენ.

წვრილბურჟუაზიული იდეების კრიზისი და ანარქიზმის გაბატონება. ე. ნინოშვილის მოღვაწეობა

საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო წვრილბურჟუაზიულმა თეორიებმა ჩვენში დიდი გამძლეობა გამოიჩინეს და ისინი დიდხანს იყვნენ გაბატონებული საზოგადოებრივ სარბიელზე. მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა. იმ დროს მოწინავე მოღვაწეებისათვის უკვე აშკარა გახდა როგორც სამოციანელთა იდეების, ისე ხალხოსნური სოციალიზმის კრახი, რაც კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ და კლასობრივი ანტაგონიზმის ზრდამ გამოიწვია.

რუსეთში მოწინავე რევოლუციონერებმა უკვე 80-იანი წლების დასაწყისში დაინახეს ხალხოსნური კონცეფციის გაკოტრება, გამიჯნენ მას და გაბედულად აღმართეს მარქსიზმის დროშა. მარქსიზმის გამოჩენილმა პროპაგანდისტმა **გ. პლეხანოვმა** (1856—1918), რომელიც წინათ ხალხოსანი იყო, გაწყვიტა კავშირი ხალხოსნებთან და 1883 წელს საზღვარგარეთ (ჟენევაში) დააარსა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“. პლეხანოვმა დაწერა მრავალი მარქსისტული ნაშრომი, რომლებითაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ხალხოსნურ სოციალიზმს და გზა გაუკაფა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთში. იმავე დროს პლეხანოვის ჯგუფს სერიოზული შეცდომებიც ჰქონდა. ეს ჯგუფი ვერ აფასებდა გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მო-

კავშირის, როლს და ქადაგებდა სრულიად შემცდარ აზრს: მუშათა კლასის მოკავშირე ლიბერალური ბურჟუაზია უნდა იყოსო.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის დაარსებამ და რუსეთში მარქსიზმის გავრცელებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზედაც. საქართველოში გაბატონებული წვრილბურჟუაზიული თეორიების მდგომარეობა შეირყა. დაიწყო ახალი გზების ძიება. მოწინავე ქართველმა რევოლუციონერებმა ზურგი აქციეს და ბრძოლა გამოუცხადეს როგორც ხალხოსნების, ისე გვიანდელი თერგდალეულების შეხედულებებს. თავიანთ ბრძოლაში მშრომელი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის მათ თვალი მიაპყრეს პროლეტარიატის დიდი ბელადების **კარლ მარქსის** და **ფრიდრიხ ენგელსის** მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას.

საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარების ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გარდამავალი პერიოდი, ე. ი. მისი შემობრუნება წვრილბურჟუაზიული აზროვნებიდან მარქსიზმისაკენ, მშვენივრად აისახა გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი მწერლის **ეგნატე ნინოშვილის** მოღვაწეობასა და შემოქმედებაში.

ეგნატე თომას ძე ინგოროყვა-ნინოშვილი (1859—1894) დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩირგვეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ბავშვობა მან გაჭირვებასა და მძიმე შრომაში გაატარა. სწავლას მოწყურებულმა ეგნატემ 1875 წელს მოახერხა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შესვლა, მაგრამ იქიდან მალე გამორიცხეს სასწავლებელში დამყარებული რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ მოწინავე მოსწავლეთა გამოსვლაში აქტიური მონაწილეობის გამო. ამის შემდეგ ის ერთხანს სოფლის მასწავლებლად მუშაობდა და თვითგანვითარებით იმაღლებდა ცოდნას, კითხულობდა რევოლუციურ ლიტერატურას. 1884 წელს ეგნატე თბილისს ჩამოვიდა და სტამბაში დაიწყო ასოთამწყობად მუშაობა. 1886 წელს ე. ნინოშვილი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა საზღვარგარეთ, საფრანგეთში, მაგრამ დიდი გაჭირვების გამო მალე იძულებული გახდა ისევ საშობლოს დაბრუნებოდა. 1889 წელს ის ბათუმში ჩავიდა და ერთხანს ნავსადგურში მუშაობდა ტვირთმზიდველად, ხოლო შემდეგ როტშილდის ქარხანაში შევიდა შავ მუშად.

მძიმე და ეკლიანი ცხოვრების გზაზე ე. ნინოშვილი ახლოს გაეცნო მუშებისა და გლეხების დუხჭირი ცხოვრების პირობებს და მან გადასწყვიტა მთელი სიცოცხლე ხალხის სამსახურისათვის შეეწირა.

თავის შესანიშნავ მოთხრობებში ე. ნინოშვილმა მაღალი მხატვრული ოსტატობით ასახა ყოველმხრივ დაჩაგრული და შეევიწროებული ქართველი გლეხის ცხოვრება. მოთხრობებს გარდა ე. ნინოშვილმა დაწერა აგრეთვე შესანიშნავი პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული წინანდელი თაობის წარმომადგენელთა მცდარი შეხედულებანი და წამოყენებულია პროგრესული შეხედულებანი ძირითად სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე.

ე. ნინოშვილი არ დასჯერდა მარტო რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ქადაგებას. მან გარს შემოიკრიბა იმდროინდელი მოწინავე რევოლუციური ახალგაზრდობა, რომელსაც აღარ აკმაყოფილებდა წინანდელი დემოკრატიული

და ხალხისნური შეხედულებანი და ცდილობდა მარქსიზმის მიერ ნაჩვენები გზით წასულიყო. მაგრამ ხალხისათვის თავდადებულ მწერალ-მებრძოლს აღარ დასცალდა სათავეში ჩასდგომოდა რევოლუციური მოძრაობის ახალ, მარქსისტულ ეტაპს. ე. ნინოშვილი გარდაიცვალა 1894 წლის მაისში.

მარქსიზმის გავრცელება საქართველოში. პირველი მარქსისტული ორგანიზაციის—„მესამე დასის" ჩამოყალიბება

ცნობები მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მოძღვრების შესახებ ქართულ დემოკრატიულ პრესაში საკმაოდ ფართოდ ქვეყნდებოდა უკვე 70—80-იანი წლებში, მაგრამ იმ დროს მოწინავე ქართველ ინტელიგენციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა მარქსისტულ მოძღვრებაზე.

მარქსიზმის, როგორც მუშათა კლასის იდეოლოგიის, გავრცელება საქართველოში იწყება მხოლოდ 90-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც კლასობრივი ანტაგონიზმის ზრდამ და მუშათა მოძრაობის აღმავლობამ მოამზადეს პირობები მუშათა მასებში მეცნიერული სოციალიზმის რევოლუციური თეორიის გასავრცელებლად.

საქართველოში მარქსიზმის გავრცელების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს, ერთი მხრივ, რუსეთიდან გადმოსახლებულმა სოციალ-დემოკრატებმა: იოსებ კოგანმა, ივანე ლუზინმა, გიორგი ფრანჩესკიმ, ნიკოლოზ კაზარენკომ და სხვებმა, ხოლო, მეორე მხრივ — დასავლეთ ევროპაში ნამყოფმა ქართველმა ლეგალურმა მარქსისტებმა, ნოე ჟორდანიამ, კარლო ჩხეიძემ და სხვებმა.

რევოლუციური ქართველი ახალგაზრდობის იმ ჯგუფმა, რომელმაც მწერალ ე. ნინოშვილის გარშემო მოიყარა თავი, პირველი ოფიციალური კრება მოაწყო 1892 წლის 25 დეკემბერს (ძველი სტილით) დაბა ზესტაფონში, სადაც მაშინ მსახურობდა ე. ნინოშვილი. კრების მიზანი იყო რევოლუციონერთა მომავალი მოქმედების პროგრამის შემუშავება.

ზესტაფონის კრებას ესწრებოდნენ: ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანია, მიხა ცხაკაია, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი და სხვები. ამ ჯგუფთან კავშირი ჰქონდა აგრეთვე ფილიპე მახარაძეს, რომელიც მაშინ ქ. ვარშავაში ცხოვრობდა. პირველსავე კრებაზე გამოირკვა, რომ ჯგუფის შემადგენლობა იდეურად ერთგვაროვანი არ იყო. კრების ბევრი მონაწილე ხალხისნური სოციალიზმისა და სხვა წვრილბურჟუაზიულ-ოპორტუნისტულ შეხედულებათა აშკარა გავლენას განიცდიდა.

1894 წლის დასაწყისში ჯგუფის წევრები ხელმეორედ შეიკრიბნენ, — ამჯერად თბილისში მიხა ცხაკაიას ბინაზე. ამ კრებამ გადაჭრით დაგმო ხალხისნური შეხედულებანი და აღიარა კლასთა ბრძოლის იდეა.

იმავე წლის მაისში, ე. ნინოშვილის დასაფლავებისას წარმოთქმულ სიტყვებში ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა საჯაროდ გამოაცხადეს თავიანთი პროგრამა. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს პროგრამა იყო ჩამოყალიბებული სილ. ჯიბლაძის სიტყვაში.

ე. ნინოშვილის დასაფლავების მეორე დღეს მისმა თანამოაზრეებმა კვლავ მოაწყეს კრება სოფ. ნიგოითში. კრებამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ ჯგუ-

კავშირის, როლს და ქადაგებდა სრულიად შემცდარ აზრს: მუშათა კლასის მოკავშირე ლიბერალური ბურჟუაზია უნდა იყოსო.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის დაარსებამ და რუსეთში მარქსიზმის გავრცელებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზედაც. საქართველოში გაბატონებული წვრილბურჟუაზიული თეორიების მდგომარეობა შეირყა. დაიწყო ახალი გზების ძიება. მოწინავე ქართველმა რევოლუციონერებმა ზურგი აქციეს და ბრძოლა გამოუცხადეს როგორც ხალხისნების, ისე გვიანდელი თერგდალეულების შეხედულებებს. თავიანთ ბრძოლაში მშრომელი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის მათ თვალი მიაპყრეს პროლეტარიატის დიდი ბელადების **კარლ მარქსის** და **ფრიდრიხ ენგელსის** მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას.

საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარების ეს უაღრესად მნიშვნელოვანი გარდამავალი პერიოდი, ე. ი. მისი შემობრუნება წვრილბურჟუაზიული აზროვნებიდან მარქსიზმისაკენ, მშვენივრად აისახა გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი მწერლის **ეგნატე ნინოშვილის** მოღვაწეობასა და შემოქმედებაში.

ეგნატე თომას ძე ინგოროყვა-ნინოშვილი (1859—1894) დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩირგვეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ბავშვობა მან გაჭირვებასა და მძიმე შრომაში გაატარა. სწავლას მოწყურებულმა ეგნატემ 1876 წელს მოახერხა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შესვლა, მაგრამ იქიდან მალე გამორიცხეს სასწავლებელში დამყარებული რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ მოწინავე მოსწავლეთა გამოსვლაში აქტიური მონაწილეობის გამო. ამის შემდეგ ის ერთხანს სოფლის მასწავლებლად მუშაობდა და თვითგანვითარებით იმაღლებდა ცოდნას, კითხულობდა რევოლუციურ ლიტერატურას. 1884 წელს ეგნატე თბილისს ჩამოვიდა და სტამბაში დაიწყო ასოთამწყობად მუშაობა. 1886 წელს ე. ნინოშვილი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა საზღვარგარეთ, საფრანგეთში, მაგრამ დიდი გაჭირვების გამო მალე იძულებული გახდა ისევ საშობლოს დაბრუნებოდა. 1889 წელს ის ბათუმში ჩავიდა და ერთხანს ნავსადგურში მუშაობდა ტვირთმზიდველად, ხოლო შემდეგ როტშილდის ქარხანაში შევიდა შავ მუშად.

მძიმე და ეკლიანი ცხოვრების გზაზე ე. ნინოშვილი ახლოს გაეცნო მუშებისა და გლეხების დუხჭირი ცხოვრების პირობებს და მან გადასწყვიტა მთელი სიცოცხლე ხალხის სამსახურისათვის შეეწირა.

თავის შესანიშნავ მოთხრობებში ე. ნინოშვილმა მაღალი მხატვრული ოსტატობით ასახა ყოველმხრივ დაჩაგრული და შევიწროებული ქართველი გლეხის ცხოვრება. მოთხრობებს გარდა ე. ნინოშვილმა დაწერა აგრეთვე შესანიშნავი პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული წინანდელი თაობის წარმომადგენელთა მცდარი შეხედულებანი და წამოყენებულია პროგრესული შეხედულებანი ძირითად სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე.

ე. ნინოშვილი არ დასჯერდა მარტო რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ქადაგებას. მან გარს შემოიკრიბა იმდროინდელი მოწინავე რევოლუციური ახალგაზრდობა, რომელსაც აღარ აკმაყოფილებდა წინანდელი დემოკრატიული

და ხალხოსნური შეხედულებანი და ცდილობდა მარქსიზმის მიერ ნაჩვენები გზით წასულიყო. მაგრამ ხალხისათვის თავდადებულ მწერალ-მებრძოლს აღარ დასცალდა სათავეში ჩასდგომოდა რევოლუციური მოძრაობის ახალ, მარქსისტულ ეტაპს. ე. ნინოშვილი გარდაიცვალა 1894 წლის მაისში.

მარქსიზმის გავრცელება საქართველოში. პირველი მარქსისტული ორგანიზაციის—„მესამე დასის“ ჩამოყალიბება

ცნობები მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მოძღვრების შესახებ ქართულ დემოკრატიულ პრესაში საკმაოდ ფართოდ ქვეყნდებოდა უკვე 70—80-იანი წლებში, მაგრამ იმ დროს მოწინავე ქართველ ინტელიგენციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა მარქსისტულ მოძღვრებაზე.

მარქსიზმის, როგორც მუშათა კლასის იდეოლოგიის, გავრცელება საქართველოში იწყება მხოლოდ 90-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც კლასობრივი ანტაგონიზმის ზრდამ და მუშათა მოძრაობის აღმავლობამ მოამზადეს პირობები მუშათა მასებში მეცნიერული სოციალიზმის რევოლუციური თეორიის გასავრცელებლად.

საქართველოში მარქსიზმის გავრცელების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს, ერთი მხრივ, რუსეთიდან გადმოსახლებულმა სოციალ-დემოკრატებმა: იოსებ კოგანმა, ივანე ლუზინმა, გიორგი ფრანჩესკიმ, ნიკოლოზ კაზარენკომ და სხვებმა, ხოლო, მეორე მხრივ — დასავლეთ ევროპაში ნამყოფმა ქართველმა ლეგალურმა მარქსისტებმა, ნოე ჟორდანიამ, კარლო ჩხეიძემ და სხვებმა.

რევოლუციური ქართველი ახალგაზრდობის იმ ჯგუფმა, რომელმაც მწერალ ე. ნინოშვილის გარშემო მოიყარა თავი, პირველი ოფიციალური კრება მოაწყო 1892 წლის 25 დეკემბერს (ძველი სტილით) დაბა ზესტაფონში, სადაც მაშინ მსახურობდა ე. ნინოშვილი. კრების მიზანი იყო რევოლუციონერთა მომავალი მოქმედების პროგრამის შემუშავება.

ზესტაფონის კრებას ესწრებოდნენ: ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანია, მიხა ცხაკაია, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი და სხვები. ამ ჯგუფთან კავშირი ჰქონდა აგრეთვე ფილიპე მახარაძეს, რომელიც მაშინ ქ. ვარშავაში ცხოვრობდა. პირველსავე კრებაზე გამოირკვა, რომ ჯგუფის შემადგენლობა იდეურად ერთგვაროვანი არ იყო. კრების ბევრი მონაწილე ხალხოსნური სოციალიზმისა და სხვა წვრილბურჟუაზიულ-ოპორტუნისტულ შეხედულებათა აშკარა გავლენას განიცდიდა.

1894 წლის დასაწყისში ჯგუფის წევრები ხელმეორედ შეიკრიბნენ, — ამჯერად თბილისში მიხა ცხაკაიას ბინაზე. ამ კრებამ გადაჭრით დაგმო ხალხოსნური შეხედულებანი და აღიარა კლასთა ბრძოლის იდეა.

იმავე წლის მაისში, ე. ნინოშვილის დასაფლავებისას წარმოთქმულ სიტყვებში ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა საჯაროდ გამოაცხადეს თავიანთი პროგრამა. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს პროგრამა იყო ჩამოყალიბებული სილ. ჯიბლაძის სიტყვაში.

ე. ნინოშვილის დასაფლავების მეორე დღეს მისმა თანამოაზრეებმა კვლავ მოაწყეს კრება სოფ. ნიგოითში. კრებამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ ჯგუ-

ფის წევრები საჯაროდ გამოსულიყვნენ პრესაში თავიანთი პროგრამით და შეებრძოლებოდნენ წინანდელ წვრილბურჟუაზიულ შეხედულებებს. ეს გადაწყვეტილება განხორციელდა კიდევაც. გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე დაიწყო მათი საპროგრამო წერილების ბეჭდვა.

ასე შეიქმნა პირველი მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“[1], რომელმაც დასაბამი მისცა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას საქართველოში.

„მესამე დასი“ თავისი იდეური შემადგენლობით ერთგვაროვანი არ ყოფილა. მისი უმრავლესობა, ნ. ჟორდანიას მეთაურობით, წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც უხეშად ამახინჯებდა რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებას.

„მესამე დასის“ უმრავლესობა კლასთა ბრძოლის იდეას კი აღიარებდა, მაგრამ მუშათა კლასის როლის მარქსისტულ გაგებამდე არასოდეს არ მისულა. მარქსიზმს ის მხოლოდ სიტყვიერად, გარეგნულად ემხრობოდა, ნამდვილად კი უხეშად ამახინჯებდა მას, რადგან უარყოფდა მარქსიზმის არსს, მის სულსა და გულს — მოძღვრებას პროლეტარულ რევოლუციასა და პროლეტარიატის დიქტატურაზე.

„მესამე დასის“ უმრავლესობა უარყოფდა გლეხობის, როგორც მუშათა კლასის მოკავშირის, როლს. ის ქადაგებდა, რევოლუციაში მუშათა კლასის მოკავშირე ლიბერალური ბურჟუაზია უნდა იყოსო. ამასთანავე, იგი არ სცნობდა მუშათა კლასის, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ჰეგემონის (ხელმძღვანელის), როლს.

„მესამე დასის“ უმრავლესობა პროლეტარიატს მოუწოდებდა კავშირი შეეკრა ბურჟუაზიასთან, რომელიც, მისი აზრით, რევოლუციის ხელმძღვანელი ძალა იყო. ნ. ჟორდანია ყოველ ნაბიჯზე აქებდა და ხოტბას ასხამდა ბურჟუაზიას, რომელსაც ის ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლად მიიჩნევდა.

„მესამე დასის“ უმრავლესობა ნაციონალურ საკითხში იმავე გზას დაადგა, რომლითაც ბურჟუაზიის იდეოლოგები მიდიოდნენ: მან წამოაყენა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის საერთო ეროვნული მოქმედების თეორია, რომლის მიზანი ის იყო, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობის ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა.

ზემოთ ნათქვამიდან ადვილი გასაგებია, თუ რატომ დაიახლოვა და დაუთმო თავისი გაზეთის ფურცლები „მესამე დასის“ უმრავლესობის წარმომადგენლებს ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგმა გ. წერეთელმა; გაზეთ „კვალის“ ირგვლივ შემოკრებილ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოაზროვნეები და „მესამე დასის“ უმრავლესობის წარმომადგენლები იდეურად პირდაპირ ენათესავებოდნენ ერთიმეორეს.

„მესამე დასის“ უმრავლესობა ებრძოდა „კვალის“ ფურცლებზე როგორც ხალხოსნურ, ისე წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების ინტელიგენციას.

---

[1] სახელწოდება „მესამე დასი“ შემოიღო მწერალმა გიორგი წერეთელმა, რომელიც XIX ს. მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებას სამ მიმართულებად ანუ დასად ჰყოფდა. თუმცა აღნიშნული პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრის ასეთი დაყოფა არ არის სწორი და მეცნიერული, მაგრამ „მესამე დასი“, როგორც პირობითი სახელწოდება, მაინც გავრცელდა და უკვე საყოველთაოდ აღიარებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრძოლა წარმოებდა არა რევოლუციური მარქსიზმის, არამედ მარქსიზმის ვულგარიზატორთა პოზიციებიდან, მას მაინც ერთგვარი დადებითი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. გაზეთ „ივერიას“ ირგვლივ შემოკრებილი ხალხოსნებისა და გვიანდელი თერგდალეულების პოლიტიკური შეხედულებანი, როგორც უკვე ითქვა, იმ დროს უკვე დრომოჭმული გახდა და დაგმობის, უკუგდების ღირსი იყო. მაგრამ წინანდელ მოღვაწეთა შეცდომებს რომ აკრიტიკებდნენ, „მესამე დასის“ უმრავლესობის წარმომადგენლები ვერ ხედავდნენ მათი მოღვაწეობის დადებით მხარეებს. კერძოდ, ნ. ჟორდანიამ და მისმა ჯგუფმა ვერ გაიგო დიდი ქართველი მწერლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელის ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის მნიშვნელობა და მის მცდარ პოლიტიკურ კონცეფციასთან (კლასთა შერიგების ქადაგება) ერთად ხელაღებით უარჰყო მთელი მისი შემოქმედება, აგრეთვე მისი და მისი თანამოაზრეების თავდადებული ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ნ. ჟორდანიას კრიტიკული გამოსვლები ი. ჭავჭავაძისა და 60-იანი წლების სხვა მოღვაწეთა წინააღმდეგ წარმოადგენდა კლასიკური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხზე მარქსისტულ შეხედულებათა უხეში დამახინჯებისა და გაყალბების ნიმუშს.

„მესამე დასში“ იმთავითვე შედიოდნენ ისეთი მოღვაწეები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტულ შეხედულებებს. ასეთები იყვნენ ე. ნინოშვილი, მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე. მაგრამ იმ დროს არც მათ ჰქონდათ საფუძვლიანად შეთვისებული მარქსის მოძღვრება და ისინი ჟორდანიას ჯგუფს კი არ ებრძოდნენ, არამედ მასთან შემარიგებლობის ხაზს ატარებდნენ. ფ. მახარაძე თავის წერილებში თვითონაც უხეშ შეცდომებს უშვებდა და ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას იმავე ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებდა, რომელსაც ნამდვილ, რევოლუციურ მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ამრიგად, პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“, მასში გაბატონებული ნ. ჟორდანიას ჯგუფის წყალობით, 1892—1898 წლების განმავლობაში ოპორტუნისტული გზით მიდიოდა. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის მუშაობას იმ დროს მაინც ჰქონდა ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა, რადგან იგი ქადაგებდა კლასთა ბრძოლის თეორიას და ცდილობდა მუშებს შორის მარქსისტული ლიტერატურის გავრცელებას.

90-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობის განვითარებამ — კლასობრივი ანტაგონიზმის გამწვავებამ და საგაფიცვო მოძრაობის ზრდამ—დღის წესრიგში დააყენა „მესამე დასის“ უმრავლესობის ოპორტუნისტულ შეხედულებათა განადგურებისა და საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის მარქსიზმთან შეერთების ამოცა-

ნა. ამ დიდი ისტორიული ამოცანის შესრულება მოუხდა „მესამე დასის“ რევოლუციურ უმცირესობას, რომელიც ჩამოყალიბდა 1896—1898 წლებში.

1898 წელს „მესამე დასის“ შემადგენლობაში შევიდა ი. ბ. სტალინი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ დასის რევოლუციურ უმცირესობას. სტალინს გარდა „მესამე დასის“ უმცირესობაში შედიოდნენ: ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, პ. ჯაფარიძე და სხვები. „მესამე დასის“ ეს რევოლუციური ბირთვი წარმოადგენდა პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის ჩანასახს საქართველოში.

1898—1900 წლებში „მესამე დასის“ უმცირესობის ხელმძღვანელობით საქართველოს მუშათა კლასი გადავიდა ვიწრო პროპაგანდიდან მასობრივ აგიტაციაზე, რითაც საქართველოშიც დაიწყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების პრაქტიკულად განხორციელება.

„მესამე დასის“ რევოლუციურ უმცირესობას უდიდესი იდეური ბრძოლის ჩატარება მოუხდა „მესამე დასის“ უმრავლესობის ოპორტუნისტულ შეხედულებათა გასანადგურებლად, რადგან უამისოდ შეუძლებელი იყო საქართველოს მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარება და ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციების შექმნა. ი. სტალინმა, ა. წულუკიძემ, ლ. კეცხოველმა და სხვებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ნ. ჟორდანიას ჯგუფის ოპორტუნიზმს. იმავე დროს „მესამე დასის“ რევოლუციურმა უმცირესობამ პირველმა მოგვცა სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული და ნაციონალისტური იდეოლოგიის ნამდვილი მარქსისტული კრიტიკა, ამხილა და მკაცრი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ხალხოსნური, თავადაზნაურულ-ლიბერალური, ბურჟუაზიულ-ლიბერალური და სხვა მტრული მიმდინარეობანი, რომლებიც ხელს უშლიდნენ მუშათა კლასის იდეოლოგიის გავრცელებას.

„მესამე დასის“ რევოლუციურმა უმცირესობამ მხურვალედ დაუჭირა მხარი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მთელი რუსეთის საერთო რევოლუციური მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. რუსეთის პროლეტარიატი, ვ. ლენინის ხელმძღვანელობით, გადაჭრით იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას და დაუნდობლად ებრძოდა ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას. დიდი ლენინის გზით მავალმა ქართველმა მარქსისტებმა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საერთო რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას დაუკავშირეს და რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის ინტერესებს დაუქვემდებარეს. მათ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და დაანახვეს მშრომელ ხალხს, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობა მხოლოდ რუსეთის ყველა ეროვნების ხალხთა ერთობლივ-რევოლუციური ბრძოლით შეიძლებოდა.

ასე ავიდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განვითარების ახალ, მესამე ეტაპზე — პროლეტარულ ეტაპზე.

თ ა ვ ი XXXIV

ქართული კულტურა XIX საუკუნის მეორე ნახევარში

§ 1. მეცნიერება. განათლება. პრესა

მეცნიერება

კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვებამ და ქართველი ერის ჩამოყალიბებამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ეროვნული კულტურის სწრაფ განვითარებას. თვითმპყრობელობის უხეში კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა, მისი მოწინავე ინტელიგენციის თავდადებული მოღვაწეობის შედეგად, იმ ხანაში შეძლო თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის მნიშვნელოვანი აღმავლობა. 60-იანი წლების დემოკრატ მოღვაწეებს კულტურა და განათლება ხალხის კეთილდღეობის უპირველეს პირობად მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ ხალხის განათლებისათვის, ქართული კულტურის უკლებლივ ყველა დარგის ფეხზე დაყენებისა და განვითარებისათვის. თერგდალეულებს, ხალხოსნებს და სხვა ქართველ დემოკრატებს საგანმანათლებლო მოღვაწეობა უდიდეს პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნდათ. სწორედ მათი მეოხებით იქცა ქართული კულტურა უაღრესად დემოკრატიულ და ჰუმანისტურ კულტურად, რომელმაც მიზნად საზოგადოების დაბალი კლასების განათლება დაისახა.

ქართული კულტურის საერთო აღმავლობამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა მეცნიერების განვითარებაში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით ვითარდებოდა საზოგადოებრივი მეცნიერებანი. ქართული მატერიალისტური აზროვნება საგრძნობლად წასწია წინ და საზოგადოებრივი მეცნიერების მრავალი დარგი ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ისეთი გამოჩენილი მწერლებისა და მოაზროვნეების პუბლიცისტურმა ნაშრომებმა, როგორიც იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ა. წერეთელი, ა. ფურცელაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ე. ნინოშვილი და სხვები. განსაკუთრებით თვალსაჩინო დონეს მიაღწია საზოგადოებრივ მეცნიერებათა ისეთმა დარგებმა, როგორიცაა: ფილოსოფია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორიოგრაფია და ეთნოგრაფია. საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგთაგან საქართველოს შვილებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქიმიასა და ფიზიოლოგიაში.

ქართული ფილოსოფიური აზროვნება, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი

ტრადიციები უძღოდა წინ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში უაღრესად ნაყოფიერ ბოლოვან წარმატებას აღწევს. მართალია, იმ დროს მოწინავე ქართველი მოაზროვნეები არ სწერენ სპეციალურ ფილოსოფიურ გამოკვლევებს და თავიანთ აზრებს ხალხისათვის ადვილად გასაგებ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნაშრომებში გადმოგვცემენ, მაგრამ ამ უკანასკნელთა შორის ბევრია ღრმა ფილოსოფიური ნაწარმოები, რომლებშიც წამოყენებულია მატერიალისტური ფილოსოფიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის და ნ. ნიკოლაძის ნაშრომები. იმდროინდელი ქართული ფილოსოფიური აზროვნების უმთავრესი მიღწევა ის არის, რომ იგი ამარცხებს ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დროს გაბატონებულ იდეალისტურ და თეოლოგიურ აზროვნებას და გარკვევით დგება მატერიალიზმის პოზიციებზე. იდეალიზმის დამარცხებასა და მატერიალისტური ფილოსოფიის გამარჯვებას საქართველოში დიდად უწყობს ხელს მოწინავე ქართველ მოაზროვნეების მიერ გამოჩენილი რუსი მატერიალისტი ფილოსოფოსების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეების შეთვისება.

რუსეთსა და საქართველოში მატერიალისტური აზროვნების გავლენის ზრდამ აიძულა ძველი წყობილებისა და რელიგიის დამცველი ლიბერალური ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი გადაესინჯა იდეალისტური ფილოსოფიის მოძღვრება, შეელამაზებინა მისი დებულებანი და მოეცა იდეალისტურ-რელიგიურ შეხედულებათა მატერიალისტური „დასაბუთება“. 1858 წელს პეტერბურგში რუსულად გამოიცა გაბრიელ ეპისკოპოზის (გერასიმე ქიქოძის) კაპიტალური, ნიჭიერად დაწერილი ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელშიც ავტორი ცდილობს დაეყრდნოს ბუნებისმეტყველების უახლეს ფაქტებს და მათი საშუალებით ახლებურად დაასაბუთოს იდეალისტური ფილოსოფიის ძირითადი დებულებანი. ეკლესიის ამ განათლებულ ქართველ მსახურს სურდა რელიგია მეცნიერებასთან „შეერიგებინა“, მაგრამ ეს შეუძლებელი საქმე იყო: საბუნებისმეტყველო მეცნიერების მრავალმა დიდმა მიღწევამ საბოლოოდ გამოუთხარეს ძირი იდეალისტურ ფილოსოფიას.

მიუხედავად ქართული ფილოსოფიური აზრის დიდი წარმატებისა, XIX საუკუნეში მაინც ვერ მოხერხდა იდეალიზმის საბოლოოდ დაძლევა და თანამიმდევრული, მთლიანი მატერიალისტური შეხედულებების შემუშავება. იმდროინდელმა ქართველმა მოაზროვნეებმა ვერ შეძლეს დიალექტიკური მატერიალიზმის დონეზე ასვლა. მათ ჰქონდათ სერიოზული თეორიული შეცდომები და არა ერთი აშკარა იდეალისტური გადახვევა საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გაგებაში.

მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოში ფართოდ გავრცელდა მარქსისტული ფილოსოფია, მოხდა უდიდესი გარდატეხა ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში. ამ დროს საბოლოოდ დამარცხდა იდეალიზმი და გაიმარჯვა მარქსისტულმა დიალექტიკურმა მატერიალიზმმა. დიდი სტალინისა და მის თანამებრძოლთა ნაშ-

რომებში ქართული ფილოსოფიური აზრი ავიდა უდიდეს სიმაღლეზე და გაუსწორდა მსოფლიო აზროვნების მწვერვალებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხების მეცნიერული შესწავლისათვის. მას შემდეგ, რაც თერგდალეულებმა, ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, ლიტერატურიდან განდევნეს ანტონ I და მისი მიმდევრების არქაული ენა და სალიტერატურო ქართულში საერთო-სახალხო ენა დაამკვიდრეს, საენათმეცნიერო საკითხებისადმი ინტერესი გაძლიერდა. ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემათა დამუშავებას თვალსაჩინო ნაშრომები უძღვნეს ცნობილმა მეცნიერებმა დავით ჩუბინაშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ნიკო მარმა და ალექსანდრე ხახანაშვილმა. ქართული ენის საკითხების დასამუშავებლად სერიოზული შრომა გასწიეს აგრეთვე დ. ყიფიანმა, თ. ჟორდანიამ, მ. ჯანაშვილმა, ი. გოგებაშვილმა, ს. ხუნდაძემ, პ. ჭარაიამ და სხვებმა.

იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობდა უნივერსიტეტი და სამეცნიერო ინსტიტუტები, ქართველი მეცნიერები იძულებული იყვნენ სწავლის დასრულების შემდეგ რუსეთის ქალაქებში დარჩენილიყვნენ და იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში ემუშავათ. პეტერბურგის უნივერსიტეტში ნაყოფიერად მოღვაწეობდა პროფესორი დ. ჩუბინაშვილი, რომელიც 1853 წლიდან განაგებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას. დ. ჩუბინაშვილის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ შედგენილ საუცხოო ქართულ-რუსულ, ქართულ-რუსულ-ფრანგულსა და რუსულ-ქართულ ლექსიკონებს. მოსკოვის უნივერსიტეტში ასეთსავე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პროფესორი ა. ხახანაშვილი, რომელმაც ოთხტომიანი ნაშრომი მიუძღვნა ქართული ლიტერატურის ისტორიას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი იყო პროფესორ ა. ცაგარელის (1844—1929) მოღვაწეობა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ თბილისში. ქართველი ღარიბი მღვდლის შვილმა ა. ცაგარელმა 1865 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, შემდეგ გიმნაზიის სრული კურსი და 1867 წელს სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პეტერბურგში. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ცოდნის გასაღრმავებლად წავიდა ევროპაში. ისმენდა ლექციებს მიუნხენსა და ვენაში. დ. ჩუბინაშვილის შემდეგ (1871 წ.) ა. ცაგარელი მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელად. 1880 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და არჩეულ იქნა პროფესორად, 1897 წელს კი მიენიჭა დამსახურებული პროფესორის წოდება. ა. ცაგარელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში.

ა. ცაგარელი თერგდალეულთა თაობის უშუალო გავლენას განიცდიდა. ის იყო გამოჩენილი ენათმეცნიერი, რომელიც დაუღალავად მუშაობდა ქართული ენის, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შესწავლაზე. ა. ცაგარელის საენათმეცნიერო ნაშრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვა-

ნია გამოკვლევა „მეგრული ეტიუდები“, რომლისთვისაც მას მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ცაგარელის სამტომიანს „ცნობები ქართული მწერლობის ძეგლების შესახებ“, ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მის მიერ გამოცემულმა დოკუმენტებმა, რომლებიც ასახავენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XVIII საუკუნეში.

საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის დარგში უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ისტორიკოსები და ეთნოგრაფები: დიმიტრი ბაქრაძე, სულხან ბარათაშვილი, მოსე ჯანაშვილი, თედო ჟორდანია, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი), რაფიელ ერისთავი, ევგენიმე თაყაიშვილი, თედო სახოკია, სოლომონ ზვანბა და სხვები.

საქართველოს ისტორიის საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით დ. ბაქრაძეს (1827—1890) და მ. ჯანაშვილს (1855—1934), რომლებიც თერგდალეულების შეხედულებათა გავლენას განიცდიდნენ და ცდილობდნენ ქართული ისტორიოგრაფია მეცნიერულ ნიადაგზე დაეფუძნებინათ.

დ. ბაქრაძემ უმაღლესი სასულიერო განათლება მიიღო მოსკოვში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან უარი თქვა სასულიერო მოღვაწეობაზე და მთელი სიცოცხლე საქართველოს ისტორიის შესწავლას შეუწირა. მის გამოკვლევათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში“, „ქართული პალეოგრაფია“ და „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, „ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნემდე“ და სხვები. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად დ. ბაქრაძე დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. მისი თაოსნობით დაარსდა საეკლესიო მუზეუმი ქართული ისტორიული ძეგლების, უძვირფასესი ხელნაწერების დასაცავად. მისი უახლოესი მონაწილეობით ჩამოყალიბდა აგრეთვე „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“, რომელმაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დასვა საკითხი არქეოლოგთა V ყრილობის საქართველოში მოწვევის შესახებ. ეს ყრილობა ჩატარდა თბილისში 1881 წელს. მან ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის გაღრმავებულ შესწავლას. ყრილობის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა დ. ბაქრაძე. მეცნიერებაში დიდი დამსახურებისათვის ის არჩეულ იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის დაუღალავად იღვწოდა აგრეთვე პროფესორი მ. ჯანაშვილი. მან განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამოცემაზე. 1884 წელს მ. ჯანაშვილმა გამოსცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო.

საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებისათვის XIX საუკუნის საქართველოში პირობები არ არსებობდა, რის გამო ამ დარგის ქართველ მეცნიერებს სამშობლოს გარეთ უხდებოდათ მოღვაწეობა. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდნენ და გამოჩენილ მეცნიერთა სახელი მოიხვეჭეს ფი-

ზიოლოგმა ივანე თარხნიშვილმა და ქიმიკოსებმა ვასილ პეტრიაშვილმა და პეტრე მელიქიშვილმა.

პროფესორი ივანე თარხნიშვილი (1846—1908) შესანიშნავი მატერიალისტი მოაზროვნე იყო. მისი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა სამოციანი წლების რუსეთისა და საქართველოს რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის გავლენით. ივ. თარხნიშვილი მუშაობდა სახელგანთქმული რუსი ფიზიოლოგის ი. სეჩენოვის ხელმძღვანელობით და მისი ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფე იყო. 1877 წელს 31 წლის ი. თარხნიშვილმა მიიღო პროფესორის წოდება და დაიკავა სეჩენოვის კათედრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. 1871 წელს ახალგაზრდა ივ. თარხნიშვილმა თბილისში წაიკითხა ლექციების ციკლი „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში", რომელიც შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოიცა. ამ ლექციებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს მაშინდელ საზოგადოებასა და პრესაში. ივ. თარხნიშვილის მრავალრიცხოვან ნაშრომებს, რომლებიც ხანგრძლივი ექსპერიმენტული კვლევა-ძიების ნაყოფია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ რუსეთში მატერიალისტური ფიზიოლოგიის განვითარებისათვის.

პროფესორი პეტრე მელიქიშვილი (1850—1927), რომელიც ხანგრძლივ მოღვაწეობდა ოდესის უნივერსიტეტში, ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი გახდა. 1869 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია, ხოლო 1872 წელს — ოდესის უნივერსიტეტი. 1885 წელს ის უკვე ქიმიის პროფესორი იყო. შემდეგ მან მიიღო დამსახურებული პროფესორის წოდება და არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. პ. მელიქიშვილი იყო თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი.

პ. მელიქიშვილი თეორგდალეულთა მოწინავე წრეს ეკუთვნოდა და თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი იყო. ქიმიაში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენებისათვის პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ 1899 წელს პ. მელიქიშვილს და მის მოწაფეს, რუსეთის გამოჩენილ მეცნიერს ლ. პისარჟევსკის ლომონოსოვის პრემია მიანიჭა. პ. მელიქიშვილის ნაშრომებს, რომლებსაც დიდად აფასებდა და თავის კვლევა-ძიებაში იყენებდა გენიალური რუსი ქიმიკოსი დ. მენდელეევი, საპატიო ადგილი უჭირავთ ქიმიის განვითარების ისტორიაში.

პ. მელიქიშვილთან ერთად ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა მ-სი მეგობარი, ქიმიის აგრეთვე გამოჩენილი პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი (1845—1908). ვ. პეტრიაშვილის მრავალრიცხოვანი მეცნიერული ნაშრომებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ მის გამოკვლევებს აგროქიმიის დარგში, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას. რამდენიმე ვრცელი ნაშრომი ვ. პეტრიაშვილმა ქართულად დაწერა და საქართველოში გამოაქვეყნა. მისმა ამ ნაშრომებმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენში ღვინის დაყენების, რძის დამუშავებისა და სხვა ამგვარი საკითხების შესახებ ცოდნის გავრცელებას.

ამრიგად, მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით გამოწვეული უაღრესად მძიმე პირობებისა, ქართველმა ხალხმა შეძლო XIX საუკუნის მეო-

რე ნახევარში საგრძნობლად წაეწია წინ მშობლიური მეცნიერების განვითარება და თან მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა დიდი რუსეთის მეცნიერების განვითარებაშიც.

განათლება

XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც და შემდეგაც მეფის რუსეთი სწავლა-განათლების მხრივ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მთავრობა მხოლოდ გაბატონებული კლასებისათვის აარსებდა სკოლებს, ხალხის განათლებაზე კი სრულიად არ ზრუნავდა. ცარიზმი შეგნებულად ცდილობდა სიბნელესა და უმეცრებაში ჰყოლოდა მშრომელი მასები. აწორედ ამიტომ ამბობდა ვ. ლენინი: „მთავრობა რუსეთში სახალხო განათლების უდიდესი მტერიაო".

მეფის მთავრობის მტრული დამოკიდებულება სახალხო განათლებისადმი კიდევ უფრო აშკარად იჩენდა თავს კოლონიურ საქართველოში. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში აქ არსებობდა მხოლოდ ერთი გიმნაზია (თბილისში) და რამდენიმე სამაზრო ორკლასიანი სასწავლებელი. ამ სკოლების დანიშნულება ის იყო, რომ მოემზადებინა მეფის მთავრობის ერთგული მოხელეები ადგილობრივი თავადაზნაურობის წრიდან. გლეხობა კი იმ დროს მოკლებული იყო სწავლის უფლებას, გლეხის შვილებისათვის სკოლის კარები დაკეტილი იყო.

60-იანი წლების რეფორმათა ხანაში მეფის მთავრობა, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო ანგარიში არ გაეწია რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მომხდარი სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის, იძულებული გახდა გაემრავლებინა საშუალო სკოლების (გიმნაზიების, რეალური და სასულიერო სასწავლებლების) რიცხვი და თან დაბალი წოდების ბავშვთათვისაც გაეხსნა დაწყებითი სკოლები, რომლებსაც „სახალხო სკოლები" უწოდეს. ამ სკოლათა შენახვა მთლიანად ხალხს დაეკისრა, სწავლა კი მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამითა და პოლიციური აპარატის ზედამხედველობით წარმოებდა.

ქართველმა გლეხობამ სცადა ფართოდ გამოეყენებინა სწავლის უფლება და ენერგიულად შეუდგა სკოლების გახსნას. 60—70-იან წლებში სახალხო დაწყებითი სკოლების რიცხვი საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა: თითქმის ყველა სასოფლო საზოგადოება ცდილობდა სკოლის გახსნას. გლეხები საკუთარი ხარჯებით აშენებდნენ სკოლის შენობებს, იძენდნენ სასკოლო ინვენტარს და იხდიდნენ მასწავლებელთა ხელფასს. მაგრამ სახალხო სკოლებისადმი გლეხობის ინტერესი სულ მალე განელდა.

რეაქციის გაძლიერებასთან ერთად მთავრობა სულ უფრო და უფრო ავიწროებდა სკოლებს: სკოლის ხელმძღვანელობა მთლიანად პოლიციას დააკისრეს, მასწავლებლებად ნიშნავდნენ შეუფერებელ პირებს, რომელთაგან ბევრმა სრულიად არ იცოდა ქართული ენა; სწავლისა და აღზრდის ერთადერთი მეთოდი მოსწავლეთა განუკითხავი ცემა-ტყეპა იყო. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ 80-იან წლებში სახალხო სკოლებიდანაც სავსებით განდევნეს დედაენა. გლეხობამ დაინახა, რომ სკოლას მისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და ხარჯი კი დიდი სჭირდება. ამიტომ გლეხობამ შეიძულა სახალხო

სკოლები. 80-იან წლებში ზოგიერთი სოფლის გლეხებმა ძალით დაანგრიეს მათ მიერვე აგებული სკოლის შენობები და ცეცხლს მისცეს სასკოლო ინვენტარი. ეს იყო ბუნებრივი შედეგი მეფის მთავრობის ანტიხალხური საგანმანათლებლო პოლიტიკისა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მეფის თვითმპყრობელობა ხელს უშლიდა და აფერხებდა ქართველ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას, XIX საუკუნის მეორე ნახევარში სახალხო განათლების საქმე მაინც საგრძნობლად გაუმჯობესდა. 90-იანი წლების ბოლოს წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის იმპერიაში. საქართველოში განათლების შედარებით სწრაფი წინსვლა აიხსნებოდა, ერთი მხრივ, ქართველი ხალხის დიდი კულტურული ტრადიციებით, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში არაჩვეულებრივი სისწრაფით გამოცოცხლდნენ და გაძლიერდნენ. ხოლო, მეორე მხრივ, თერგდალეულთა ენერგიული საგანმანათლებლო მოღვაწეობით, კერძოდ კი მათ მიერ შექმნილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური მუშაობით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა ხალხმა წარმოშვა გამოჩენილ პედაგოგთა მთელი თაობა, რომელიც თავდადებით მუშაობდა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღსაზრდელად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღვაწლი სახალხო განათლების დარგში მიუძღვის დიდ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს, რომლის სახელმძღვანელოები „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ქართველი მოსწავლეების უსაყვარლესი წიგნები გახდა. ი. გოგებაშვილი თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში ეყრდნობოდა მოწინავე რუსული პედაგოგიკის ფუძემდებლის კ. უშინსკის იდეებს. ი. გოგებაშვილთან ერთად სახალხო განათლების ფრონტზე უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი პედაგოგები: ნიკო ცხვედაძე, ილია წინამძღვრიშვილი, ზაქარია გულისაშვილი, ანთიმოზ ჯუღელი, ლუარსაბ ბოცვაძე, ნიკო ჯანაშია, ალექსი ჭიჭინაძე, ივანე როსტომაშვილი და მრავალი სხვა.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში უნივერსიტეტი გახსნილიყო, მაგრამ მათი ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის არსებობისათვის პირობები ყოველმხრივ მომზადებული იყო, მეფის მთავრობამ გადაჭრით უარი თქვა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნაზე. მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა მიზნად ისახავდა ხიბნელესა და უმეცრებაში ჰყოლოდა რუსეთის დაჩაგრული ხალხები და მათ შორის ქართველი ხალხი.

ქართული პრესა

ქართული კულტურის აღმავლობის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში პრესის სწრაფი განვითარება. მეფის მთავრობა ყოველნაირად ავიწროვებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს; ცენზურა უფლებას არ აძლევდა მათ დაებეჭდათ თუნდაც მცირედი სიმართლე ხალხის ჭირ-ვარამზე; ხშირი იყო პროგრესული გაზეთების დახურვა და „ურჩი“ რედაქტორების პასუხისგებაში მიცემა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოწინავე ინტელიგენციის დაუ-

ღალავი მეცადინეობის მეოხებით, განუხრელად იზრდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების რიცხვი და ტირაჟი. ქართულ პრესაში ამ დროს მთავარი ადგილი ეჭირა დემოკრატიულ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებიც ხალხის ინტერესებისათვის ზრუნვას ისახავდნენ მიზნად.

რეფორმის წინა ხანაში ერთადერთი ქართული ორგანო იყო ლიბერალური თავადაზნაურობის ჟურნალი „ცისკარი", რომელიც 1852 წელს დააარსა მწერალმა გიორგი ერისთავმა. 1853 წელს „ცისკარის" გამოცემა შეწყდა, მაგრამ 1857 წელს მისი განახლება მოახერხა ივანე კერესელიძემ. რომლის რედაქტორობით ეს ჟურნალი 1875 წლამდე გამოდიოდა. „ცისკარი" იდეურად ჩამორჩენილი ჟურნალი იყო, მაგრამ მაინც დადებით როლს თამაშობდა პანამ, სანამ საქართველოში ახალი, დემოკრატიული პრესა გაჩნდებოდა.

1863 წლის განმავლობაში ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა ახალი თაობის მებრძოლი ჟურნალი „საქართველოს მოამბე". ამ ჟურნალით იწყება ქართული დემოკრატიული პრესის ისტორია. „საქართველოს მოამბეში", დობროლიუბოვის, ლერმონტოვის, ჰიუგოს და სხვა გამოჩენილ ავტორთა საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმანებთან ერთად, იბეჭდებოდა მოწინავე ქართველი მწერლების შესანიშნავი მხატვრული და პუბლიცისტური თხზულებანი. სწორედ აქ დაიბეჭდა პირველად ი. ჭავჭავაძის უკვდავი მოთხრობა „კაცია ადამიანი?!", აგრეთვე, ნაწილობრივ, პოემები „აჩრდილი" და „კაკო ყაჩაღი" და მოთხრობა „გლახის ნაამბობი". აქვე დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის თანამებრძოლთა დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილი მრავალი ნაწარმოები.

„საქართველოს მოამბეში" სარკესავით აისახა რეფორმის წინანდელი საქართველოს რევოლუციურად განწყობილი მშრომელი მასების სულისკვეთება. ამ ჟურნალმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ძველ, დრომოჭმულ ფეოდალურ იდეოლოგიას.

მას შემდეგ, რაც უაღრესად მძიმე ცენზურული პირობების გამო „საქართველოს მოამბე" დაიხურა, თერგდალეულებმა დაიწყეს ზრუნვა საკუთარი გაზეთის გამოცემაზე. 1866 წელს მათ მოახერხეს დაეარსებინათ გაზეთი „დროება", რომელიც 1885 წლამდე გამოდიოდა. თავდაპირველად „დროებას" კვირაში ერთხელ უშვებდნენ, 1874 წლიდან — კვირაში სამჯერ, 1877 წლიდან კი ყოველდღიურად. „დროება" თერგდალეულთა მთავარი ორგანო იყო და თითქმის ოცი წლის განმავლობაში წარმოადგენდა მოწინავე ქართული აზრის შესანიშნავ ტრიბუნას. გაზეთში იბეჭდებოდა გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეების მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები, რომლებშიც გაბედულად იყო წამოყენებული მწვავე სოციალური და ეროვნული პრობლემები.

1871—1873 წლებში „დროებას" თან ერთვოდა სალიტერატურო ჟურნალი „კრებული", რომელმაც ავრეთვე უაღრესად დიდი როლი შეასრულა თერგდალეულთა იდეების გავრცელების საქმეში. „კრებული" მთლიანად დროების იდეურ პოზიციებზე იდგა. დაახლოვებით იმავე დროს (1869—1872 წწ.) გამოდიოდა ჟურნალი „მნათობი", რომელიც ძირითადად თერგდალეულთა შეხედულებებს იზიარებდა, მაგრამ ამასთანავე ხშირად ხალხოსნურ იდეებსაც ქა-

დაგებდა. 1868—1880 წლებში თერგდალეულები უშვებდნენ აგრეთვე „სასოფ-ლო გაზეთს“, რომელშიც იბეჭდებოდა პოპულარული წერილები. უმთავრესად. სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

1885 წელს მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების გამო თვითმპყრო-ბელობამ დახურა გაზეთი „დროება“. ამის შემდეგ მოწინავე ქართველმა მოღვა-წეებმა თავი მოიყარეს ი. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიას“ გარშემო. გაზეთი „ივე-რია“ დაარსდა ჯერ კიდევ 1877 წელს, როდესაც თერგდალეულთა ბანაკში გან-ხეთქილება მოხდა და ი. ჭავჭავაძე გავიდა „დროების“ რედაქციიდან. მაგრამ შემდეგ, როცა „დროებას“ ჩამოშორდნენ ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმარ-თულების მეთაურები ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე და მისი უახ-ლოესი თანამოაზრენი კვლავ დაუბრუნდნენ „დროების“ რედაქციას. გაზეთი „ივერია“ კი ჟურნალად გადააკეთეს. „დროების“ დახურვის შემდეგ ი. ჭავჭა-ვაძე იძულებული გახდა „ივერია“ კვლავ გაზეთად გადაეკეთებინა და მრავა-ლი წლის განმავლობაში ის იყო ერთადერთი ყოველდღიური ქართული გაზე-თი. ამ გაზეთის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი და მასში თანამშრომლობდნენ არა მარტო მაშინდელი დემოკრატი მოღვაწეები, არამედ თავადაზნაურული ლიბერალებიც, მაგრამ „ივერიის“ თანამშრომელთა ძირითად ბირთვს მაინც წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატები შეადგენდნენ. გაზეთმა „ივერიამ“ უაღრესად დიდი როლი ითამაშა 80—90-იანი წლებია პე-რიოდში ცარიზმის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში.

90-იან წლებში ქართულ დემოკრატიულ პრესას შეემატა გაზეთი „კვალი“ (დაარსდა 1893 წ.) და ჟურნალი „მოამბე“ (დაარსდა 1894 წ.). ორივე ეს ორგა-ნო ბურჟუაზიული მიმართულებისა იყო. მათში მოწინავე, დემოკრატიული ში-ნაარსის წერილებთან ერთად იბეჭდებოდა ბურჟუაზიულ-ლიბერალური შინაარ-სის წერილებიც. გაზეთი „კვალი“ მრავლად აქვეყნებდა აგრეთვე რევოლუ-ციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის წერილებს, რომლებშიც ავ-ტორები კლასთა ბრძოლის იდეის პროპაგანდას ეწეოდნენ. შემდეგ „კვალი“ პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის“ ოპორტუნის-ტული უმრავლესობის ორგანოდ იქცა.

XIX საუკუნის მიწურულში მუშათა მოძრაობის განვითარებამ დღის წეს-რიგში დააყენა საქართველოში არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზე-თის შექმნის საკითხი. 1901 წელს „მესამე დასის“ რევოლუციურმა უმცირე-სობამ, რომელსაც ი. სტალინი მეთაურობდა, შექმნა მებრძოლი არალეგალუ-რი ორგანო — გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც ვ. ლენინის მიერ საზღვარგარეთ დაარსებულ გაზეთ „ისკრას“ შემდეგ საუკეთესო მარქსისტული გაზეთი იყო მთელ რუსეთში. „ბრძოლამ“ დასაბამი მისცა მუშათა კლასის პრესას საქართ-ველოში. მაგრამ ნიადაგი ასეთი პრესისათვის ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუ-ნის მეორე ნახევრის საერთო-დემოკრატიულმა პრესამ მოამზადა.

საერთო-დემოკრატიული ქართული პრესის განვითარებაში განსაკუთრე-ბით დიდი ღვაწლი მიუძღვით: ი. ჭავჭავაძეს, გ. წერეთელს, ს. მესხს, ნ. ნიკო-ლაძეს, ა. წერეთელს, ი. მაჩაბელს, კ. ლორთქიფანიძეს, ა. ფურცელაძეს და

ხვებს. როგორც უკვე ვიცით, ი. ჭავჭავაძე რედაქტორობდა „საქართველოს მოამბეს“ და „ივერიას“. გარდა ამისა, ის უშუალოდ მონაწილეობდა „დროების“ და „კრებულის“ ხელმძღვანელობაში. გ. წერეთელი წლების განმავლობაში რედაქტორობდა „დროებას“, „კრებულს“, „სასოფლო გაზეთს“ და „კვალს“. თერგდალეულთა მთავარი ორგანოს, გაზეთ „დროების“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ნიჭიერი ჟურნალისტი და პუბლიცისტი ს. **მესხი** (1844—1883), რომელიც ათ წელიწადზე მეტ ხანს რედაქტორობდა „დროებას“ და მთელი თავისი ცოდნა და ენერგია ამ გაზეთის წარმატებას შესწირა. ასევე თავდადებით იღვწოდნენ ქართული დემოკრატიული პრესისათვის დანარჩენი თერგდალეულები.

გამოჩენილ ქართველ მწერლებსა და პუბლიცისტებთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პრესაში აქტიურად მონაწილეობდა თერგდალეულთა მოწინავე იდეებზე აღზრდილი ნიჭიერი ჟურნალისტების მთელი თაობა. 60-იანი წლებიდან მოკიდებული, ქართველი ჟურნალისტები სულ უფრო და უფრო გაბედულად გამოდიოდნენ ხალხის ინტერესთა დასაცავად. თუ უფროსი თაობის ჟურნალისტების (ივანე კერესელიძის, მიხეილ თუმანიშვილის ანუ „მოლაყბის“, ნიკოლოზ ბერძნიშვილისა და სხვ.) აზროვნებაში ჯერ კიდევ ლიბერალური შეხედულებანი სჭარბობდნენ, შემდეგ არაჩვეულებრივ იმატა რიცხვმა რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებებით აღტურვილი ჟურნალისტებისა და პუბლიცისტებისა, რომლებიც მხარში უდგნენ მოწინავე ქართველ მწერლებს. 70—80-იან წლებში განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ პუბლიცისტები და ჟურნალისტები: ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი), ნიკოლოზ ავალიშვილი, დავით მიქელაძე (მეველე), მიხ. გურგენიძე, ალექსანდრე ნანეიშვილი, რომანოზ ფანცხავა (ხომლელი), გრიგოლ ყიფშიძე და სხვები. ბევრი მათგანი არ სჯერდებოდა ჩვეულებრივ საჟურნალ-გაზეთო წერილებს და აქვეყნებდა სერიოზულ ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის.

ქართულ გაზეთებთან ერთად XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოდიოდა აგრეთვე სხვადასხვა მიმართულების რუსული და სომხური გაზეთები. მთავრობის ოფიციალური ორგანო იყო გაზეთი „კავკაზი“, რომელიც 1846 წლიდან არსებობდა. ამ გაზეთში, მთავრობის მოხელეებსა და რეაქციონერ მოღვაწეებთან ერთად, ქართველი ლიბერალებიც მონაწილეობდნენ. 1873 წელს იწყო გამოსვლა ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების გაზეთმა „ტიფლისკი ვედომოსტი“, რომელიც კ. ბებუთოვმა დააარსა და 1880 წლამდე გამოდიოდა. 1884 წელს დაარსდა იმავე მიმართულების გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, რომელიც ადგილობრივი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. 1872 წელს შეიქმნა სომხური ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების გაზეთი „მშაკი“ („მუშაკი“), რომელსაც გ. არწრუნი რედაქტორობდა.

პერიოდული პრესის ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე ქართული წიგნის გამოცემა. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში რამდენიმე წლის განმავლობაში საშუალოდ თითო წიგნი გამოდიოდა, საუკუნის მეორე ნა-

ხევარში ეს საშუალო რიცხვი წელიწადში რამდენსამე ათეულ წიგნს აღწევდა. ასე მაგალითად, 1868 წელს დაიბეჭდა 11 სახელწოდების ქართული წიგნი. 1878 წელს — 45, 1893 წელს — 93, ხოლო 1899 წელს — 112. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართული ანბანისა და სხვა სახელმძღვანელოების გამოცემას. მარტო 1868—1892 წლების განმავლობაში დაიბეჭდა 100 ქართული სახელმძღვანელო.

რეფორმის მომდევნო ხანაში საგრძნობლად გაფართოვდა ქართული წიგნის მკითხველთა წრე. გაჩნდა ახალი, ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული მკითხველი. საუკუნეებრივი ფეოდალური უძრაობისა და ძილისაგან გამოფხიზლებული ხალხი ხარბად დაეწაფა წიგნს, ცოდნას. ამით აიხსნება, რომ რეფორმის შემდგომ ხანაში უაღრესად გაძლიერდა მოთხოვნილება არა მარტო საკოლო სახელმძღვანელოებზე, არამედ მხატვრულ ლიტერატურაზედაც. უკვე დიდი ტირაჟით იბეჭდება ქართველი მწერლების ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და სხვათა ნაწერები, აგრეთვე რუსეთისა და უცხოეთის მწერლების თხზულებათა თარგმანები. განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი შ. რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის ტყაოსნისადმი". რომელიც რამდენჯერმე დაიბეჭდა. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ზრუნავდა იმისათვის, რომ „ვეფხის ტყაოსანი" იაფად გამოეცა და ხალხისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა. თუ რამდენად გაიზარდა ხალხში წიგნისადმი სიყვარული, ამას მოწმობს ხალხური „არსენას ლექსის" არაჩვეულებრივი წარმატება. ამ პატარა წიგნაკს ხალხი ბაზარზე გამოსვლისთანავე იტაცებდა. 1872 წლიდან 1892 წლამდე „არსენას ლექსი" ოცდახუთჯერ გამოიცა.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში როგორც ქართული პერიოდული პრესის, ისე ქართული წიგნის გამოცემა სწრაფად ვითარდებოდა. ეს იყო ქართული ეროვნული კულტურის აღმავლობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი.

§ 2. ლიტერატურა და ხელოვნება

ქართული ლიტერატურა

ქართული კულტურის წინსვლას განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ასახავდა მხატვრული ლიტერატურის განვითარება. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ლიტერატურის გამოჩენილმა კლასიკოსებმა ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, ა. ყაზბეგმა და სხვებმა შექმნეს ბრწყინვალე პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, რომლებშიც არაჩვეულებრივი სიძლიერით გამოვლინდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენია.

ქართული ლიტერატურის წარმატებას ხელი შეუწყო მისმა მჭიდრო კავშირმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. მოწინავე ქართველი მწერლები იმავე დროს იყვნენ მოწინავე მოაზროვნეები და საზოგადოებრივი მოღვაწენი, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის. ქართველმა დემოკრატმა მწერლებმა გადაჭრით უარყვეს ხელოვნების „იდეალისტური თეორია, რომლის ლოზუნგი იყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის", და, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის დახმარებით, შეიმუშავეს ხელოვ-

ნების ასალი, მატერიალისტური მოძღვრება, რომელიც ხელოვნების მიზანს ხალხის სამსახურში ხედავდა. ამის შესაბამისად ქართულ ლიტერატურაში გაბატონდა მოწინავე შემოქმედებითი მეთოდი — რეალიზმი.

ქართული რეალისტური ლიტერატურა იზრდებოდა და ვითარდებოდა შეურიგებელ ბრძოლაში ფეოდალური წყობილების დროს გაბატონებული, ხალხისაგან მოწყვეტილი იდეალისტურ-კლერიკალური კულტურის წინააღმდეგ, საერთო-სახალხო ენისა და ლიტერატურისათვის. რეალისტი მწერლები უდიდესი სიყვარულითა და სიმართლით აშუქებდნენ მშრომელი ხალხის ცხოვრებას, ამასთანავე ისინი გაბედულად აკრიტიკებდნენ ადამიანის ძიერ ადამიანის ჩაგვრაზე დამყარებულ წყობილებას და მოუწოდებდნენ ხალხს უკეთესი მომავლისაკენ. მათი რეალიზმი კრიტიკული რეალიზმი იყო.

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის დამკვიდრებისათვის გადადგა დრამატურგმა გიორგი ერისთავმა (1811—1864), რომლის შემოქმედება 40—50-იან წლებში გაიფურჩქნა. მართალია, სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მხრივ მწერალი ვერ გასცილდა ლიბერალური თავადაზნაურობის მსოფლმხედველობას, მაგრამ მხატვრულ შემოქმედებაში რეალიზმის მეთოდის მომარჯვებამ მას საშუალება მისცა დიდი სიმართლით დაეხატა რეფორმის წინა ხანის საქართველოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები. გ. ერისთავმა დაწერა შესანიშნავი კომედიები: „დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“, „წარსული დროების სურათები“ და სხვ., რომლებშიც ნიჭიერად არის ასახული, ერთი მხრივ, ფეოდალური წყობილების რღვევა და ქართველი თავადაზნაურობის გადაგვარება, ხოლო, მეორე მხრივ, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება და სავაჭრო ბურჟუაზიის ზრდა.

გ. ერისთავის რეალისტური ხაზი დრამატურგიაში განაგრძეს ზურაბ ანტონოვმა (1820—1854) და ავქსენტი ცაგარელმა (1857—1902). ზ. ანტონოვმა დასწერა კომედიები: „მზის დაბნელება საქართველოში“, „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“, „მე მინდა კნეინა გავხდე“ და სხვ. ეს კომედიები, განსაკუთრებით კი „მზის დაბნელება საქართველოში“, წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე. ნიჭიერი დრამატურგის ა. ცაგარლის პიესებიდან განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა კომედიები: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“, „ციმბირელი“ და სხვ.

ქართული რეალისტური ლიტერატურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ლავრენტი არდაზიანის (1815—1870) რომანს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, რომელშიც დახატულია რეფორმის წინა ხანის საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების ტიპიური სურათი.

განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ჰპოვა, 50-იანი წლების ბოლოს. კრიტიკულმა რეალიზმმა დანიელ ჭონქაძის (1830—1860) შემოქმედებაში. მისი შესანიშნავი მოთხრობა „სურამის ციხე“ არის ქართული ლიტერატურის პირველი დიდი პროზაული ნაწარმოები, რომელშიც აისახა ბატონყმური უღლისაგან გაწამებული გლეხობის დუხჭირი ცხოვრება და სულისკვეთება.

60-იანი წლებიდან იწყება ქართული რეალისტური ლიტერატურის ნამდვილი აყვავების ხანა. იმ დროს დაიწყეს თავიანთი შესანიშნავი მხატვრული

ნაწარმოებების გამოქვეყნება ქართული ლიტერატურის კორიფეებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ილიას უკვდავი ლექსები, პოემები და მოთხრობები — „ყვარლის მთებს“, „გუთნის დედა“, „ნანა“, „მესმის, მესმის“, „კომუნის დაცემის დღე“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „განდეგილი“, „კაცია ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და მრავალი სხვა; აკაკის ბრწყინვალე პოეტური და პროზაული ნაწარმოებები — „სალამური“, „მუშური“, „გლეხის აღსარება“, „ციცინათელა“, „განთიადი“, „აღმართ-აღმართ“, „გაზაფხული“, „ხანჯალს“, „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „ნათელა“, „ბაში აჩუკი“ და სხვ. უდიდესი სიღრმითა და სიძლიერით აშუქებენ საქართველოს მაშინდელი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, გამოხატავენ ქართველი ხალხის სულისკვეთებას, მის აზრებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის ფუძემდებლები არიან. ქართველი ხალხის ეს საამაყო მწერლები მრავალი ათეული წლის განმავლობაში მეთაურობდნენ ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის წინსვლას.

XIX საუკუნის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში, ილიასა და აკაკისთან ერთად, უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი რეალისტი მწერლები — პროზაიკოსი გიორგი წერეთელი და პოეტი რაფიელ ერისთავი (1824—1901).

გ. წერეთელი, ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, დაუღალავად მუშაობდა მხატვრული პროზის დარგში. მან დაწერა რომანები „პირველი ნაბიჯი“ და „გულქანი“, მოთხრობები „რუხი მგელი“, „მამიდა ასმათი“, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, „განწირულნი“ და სხვ. ამ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით კი რომანში „პირველი ნაბიჯი“, დიდი სიმართლითა და მხატვრული ძალით არის ასახული საქართველოში ფეოდალური წყობილების რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი.

რ. ერისთავის პოეზიის მთავარი თემა ქართველი გლეხის ცხოვრება იყო. პოეტი ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმამდე ბევრად ადრე გამოექომაგა ჩაგრულ გლეხობას. შემდეგ მან გამოაქვეყნა მრავალი შესანიშნავი, დიდი გულწრფელობით დაწერილი ლექსი, რომლებშიც ღარიბი გლეხობის ფიქრები და გრძნობებია გამოხატული. რ. ერისთავის პოეზია შეეხო ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრის პრობლემასაც. მისი მშვენიერი პატრიოტული ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ მთელმა ქართველმა ხალხმა შეიყვარა. რ. ერისთავმა ვერ შეძლო დაეხატა მეამბოხე. რევოლუციონერ გლეხთა ტიპები.

60—70-იან წლებში განაგრძობდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას გამოჩენილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანიც. იმ ხანაში მისმა პოეზიამ განიცადა ახალი, დემოკრატიული თაობის აზროვნების გავლენა. 1876 წელს გრ. ორბელიანმა გამოაქვეყნა ლექსი „მუშა ბოქულაძე“, რომელიც ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებია.

80—90-იან წლებში ქართული რეალისტური ლიტერატურა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებებით გაამდიდრეს დიდმა ქართველმა დემოკრატმა მწერლებმა ვაჟა-ფშაველამ და ალექსანდრე ყაზბეგმა. მხატვრული სიტყვის ამ გამო-

ჩენილმა ოსტატებმა თავიანთ უკვდავ პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებში არაჩვეულებრივი ძლიერებით ასახეს ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გამოწვეული ტკივილები. ვაჟა-ფშაველას და ა. ყაზბეგის ნაწარმოებთა გმირების მოქმედება მთიან კუთხეებში მიმდინარეობს, მაგრამ ჭათ-ფიქრი და სწრაფვა მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთებას გამოხატავს. ვაჟა-ფშაველას მრავალრიცხოვანი ლექსები და მოთხრობები, განსაკუთრებით კი მისი უკვდავი პოემები „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“ და სხვები, ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი განძია. ქართული რეალისტური პროზის განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ყაზბეგის ისეთ შესანიშნავ მოთხრობებსა და რომანებს, როგორიცაა „ელგუჯა“, „ელისო“, „მამის-მკვლელი“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“ და სხვები.

70—80-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს ხალხოსნური მიმართულების მწერლებმა: ეკატერინე გაბაშვილმა (1851—1938), ანტონ ფურცელაძემ (1839—1913), ნიკო ლომოურმა (1852—1915), სოფრომ მგალობლიშვილმა (1851—1925), ზაქარია (შაქრო) გულისაშვილმა (1857—1913) და სხვებმა. მათ მრავალრიცხოვან მოთხრობებში დახატულია ქართველი გლეხობის ცხოვრება და მოცემულია მაშინდელი წყობილების კრიტიკა, ხალხოსნური იდეების თვალსაზრისით. ხალხოსანი მწერლები, განსაკუთრებით ა. ფურცელაძე და ე. გაბაშვილი, განიცდიდნენ თერგდალეულთა იდეების ძლიერ გავლენას. მხატვრულობის თვალსაზრისით ყველა ხალხოსანი მწერლის ნაწარმოებები არ გამოირჩევა მაინცა და მაინც მაღალი ოსტატობით. გამონაკლისს წარმოადგენს ე. გაბაშვილისა და ნ. ლომოურის პროზა, რომელიც ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების სიმაღლეზე დგას.

90-იან წლებში სამწერლო სარბიელზე გამოვიდნენ ნიჭიერი რეალისტი მწერლები: ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი და სხვები. ამ მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებებში აისახა ის დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, რომელიც იმ დროს მოხდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ე. ნინოშვილმა (ინგოროყვამ) განაგრძო და ახალ პირობებში განავითარა ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები. მან დაწერა შესანიშნავი მოთხრობები: „გოგია უშვილი“, „პალიასტომის ტბა“, „მოსე მწერალი“, „განკარგულება“, „სიმონა“, „ქრისტინე“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და სხვ., აგრეთვე ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“. ე. ნინოშვილის ნაწარმოებთა უმრავლესობა მიძღვნილია ღარიბი გლეხობის ცხოვრებისადმი. მწერალი ხატავს მებრძოლ გლეხთა ტიპებს, რომლებიც იარაღით ხელში იბრძვიან არა მარტო ბატონყმური წყობილების ნაშთების, არამედ აგრეთვე ახლად გაჩენილი სოფლის ბურჟუაზიის (კულაკების) წინააღმდეგ.

ე. ნინოშვილი სწავლობდა მუშათა კლასის ცხოვრებას და ამზადებდა მოთხრობას მუშათა ცხოვრებიდან, მაგრამ მას აღარ დასცალდა ამ განზრახვის შე-

სრულება. მისი გზა წარმატებით [illegible]
სიტაშვილმა) (1873—1915). [illegible]
გაჟღენთილ ლექსებში ირ. ევდოშვილი [illegible]
საქართველოს გმირულ მუშათა [illegible]
ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტ [illegible]

დავით კლდიაშვილის (1862—1931) [illegible]
ფიოდ აისახა ქართველი თავადაზნაურობის [illegible]
ჭიერად, ძლიერი იუმორით დაწერილი [illegible]
მონ მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი", [illegible]
„დარისპანის გასაჭირი" და სხვები — [illegible]
ლით გადმოგვცემენ ეკონომიურად და [illegible]
„შემოდგომის აზნაურების" ცხოვრებას.

ქალაქისა და სოფლის ცხოვრების, [illegible]
წარსულის რეალისტური სურათები [illegible]
ბებში მწერლებმა ვ. ბარნოვმა, შ. [illegible]
ონმა (არსენ მამულაიშვილმა), ანასტასია [illegible]
მა (დიმიტრი ხოშტარიამ), საბავშვო [illegible]
რომლებმაც 90-იან წლებში დაიწყეს [illegible]

XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის [illegible]
არ იცოდნენ, თუ რა გზით შეიძლებოდა [illegible]
მათი მსოფლმხედველობა ისტორიულად [illegible]
მათ ნაწერებში ვხვდებით იდეურ [illegible]
მაგრამ, მიუხედავად ამისა, [illegible]
სი როლი შეასრულა ქართველი [illegible]
ლისტური და დემოკრატიული [illegible]
ემსახურებოდა.

თეატრი

ხანგრძლივი ისტორიის მქონე [illegible]
აღდგენილ იქნა 1850 წელს, [illegible]
ერისთავის თაოსნობით. ეს [illegible]
გაჰყვა. მის სცენაზე იდგმებოდა [illegible]
პიესები, უმთავრესად კომედიები, [illegible]
ამათრახებდნენ გადაგვარებულ [illegible]
მოხელეებს.

მუდმივი თეატრის აღდგენა [illegible]
ლი ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ [illegible]
პირობებში უხდებოდა არსებობა [illegible]
ნაირად დევნიდნენ და ავიწროებდნენ [illegible]
ბა, სასტიკი ცენზურა დაუწესეს [illegible]
1856 წელს გ. ერისთავის თეატრის [illegible]
ბის ბოლომდე მუდმივი დასი [illegible]
სცენისმოყვარეთა ძალებით [illegible]

ჩენილმა ოსტატებმა თავიანთ უკვდავ პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებში-
არაჩვეულებრივი ძლიერებით ასახეს ქართველი ხალხის სოციალური და ეროვ-
ნული ჩაგვრისაგან გამოწვეული ტკივილები. ვაჟა-ფშაველას და ა. ყაზბეგის ნა-
წარმოებთა გმირების მოქმედება მთიან კუთხეებში მიმდინარეობს. მაგრამ ამათ-
ფიქრი და სწრაფვა მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთებას გამოხატავს. ვაჟა-
ფშაველას მრავალრიცხოვანი ლექსები და მოთხრობები, განსაკუთრებით კი
მისი უკვდავი პოემები „გოგოთურ და აფშინა", „ალუდა ქეთელაური", „ბახტ-
რიონი", „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი" და სხვები, ქართული ლი-
ტერატურის ფასდაუდებელი განძია. ქართული რეალისტური პროზის განვითა-
რებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ყაზბეგის ისეთ შესანიშ-
ნავ მოთხრობებსა და რომანებს, როგორიცაა „ელგუჯა", „ელისო", „მამის-
მკვლელი", „ხევისბერი გოჩა", „მოძღვარი" და სხვები.

70—80-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი დაიკა-
რეს ხალხოსნური მიმართულების მწერლებმა: ეკატერინე გაბაშვილმა
(1851—1938), ანტონ ფურცელაძემ (1839—1913), ნიკო ლომოურმა (1852—
1915), სოფრომ მგალობლიშვილმა (1851—1925), ზაქარია (შაქრო) გულისა-
შვილმა (1857—1913) და სხვებმა. მათ მრავალრიცხოვან მოთხრობებში დახა-
ტულია ქართველი გლეხობის ცხოვრება და მოცემულია მაშინდელი წყობი-
ლების კრიტიკა, ხალხოსნური იდეების თვალსაზრისით. ხალხოსანი მწერლები,
განსაკუთრებით ა. ფურცელაძე და ე. გაბაშვილი, განიცდიდნენ თერგდალე-
ულთა იდეების ძლიერ გავლენას. მხატვრულობის თვალსაზრისით ყველა ხალ-
ხოსანი მწერლის ნაწარმოებები არ გამოირჩევა მაინცა და მაინც მაღალი ოს-
ტატობით. გამონაკლისს წარმოადგენს ე. გაბაშვილისა და ნ. ლომოურის პრო-
ზა, რომელიც ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების სიმაღლეზე
დგას.

90-იან წლებში სამწერლო სარბიელზე გამოვიდნენ ნიჭიერი რეალისტი
მწერლები: ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, იროდიონ ევდოშვილი,
ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი და სხვები. ამ მწერალთა მხატვრულ
ნაწარმოებებში აისახა ის დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, რო-
მელიც იმ დროს მოხდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ე. ნინოშვილმა (ინგოროყვამ) განაგრძო და ახალ პირობებში განავითარა
ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის საუკეთესო ტრადი-
ციები. მან დაწერა შესანიშნავი მოთხრობები: „გოგია უშვილი", „პალიას-
ტომის ტბა", „მოსე მწერალი", „განკარგულება", „სიმონა", „ქრისტინე",
„ჩვენი ქვეყნის რაინდი" და სხვ., აგრეთვე ისტორიული რომანი „ჯანყი
გურიაში". ე. ნინოშვილის ნაწარმოებთა უმრავლესობა მიძღვნილია ღარიბი
გლეხობის ცხოვრებისადმი. მწერალი ზატავს მებრძოლ გლეხთა ტიპებს, რომ-
ლებიც იარაღით ხელში იბრძვიან არა მარტო ბატონყმური წყობილების ნაშ-
თების, არამედ აგრეთვე ახლად გაჩენილი სოფლის ბურჟუაზიის (კულაკების)
წინააღმდეგ.

ე. ნინოშვილი სწავლობდა მუშათა კლასის ცხოვრებას და ამზადებდა მოთ-
ხრობას მუშათა ცხოვრებიდან, მაგრამ მას აღარ დასცალდა ამ განზრახვის შე-

სრულება. მისი გზა წარმატებით განაგრძო პოეტმა �როდიონ ევდოშვილმა (ხოსიტაშვილმა) (1873—1915). თავის შესანიშნავ, რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილ ლექსებში ირ. ევდოშვილმა ჯერ კიდევ 90-იან წლებში უმღერა საქართველოს. გმირულ მუშათა კლასს, რომელიც ემზადებოდა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

დავით კლდიაშვილის (1862—1931) შემოქმედებაში განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა ქართველი თავადაზნაურობის გადაგვარების პროცესი. მისი ნიჭიერად, ძლიერი იუმორით დაწერილი მოთხრობები და პიესები — „სოლომონ მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „დარისპანის გასაჭირი“ და სხვები — არაჩვეულებრივი სიზუსტით და სიმართლით გადმოგვცემენ ეკონომიურად და სულიერად დაკნინებული წოდების, „შემოდგომის აზნაურების“ ცხოვრებას.

ქალაქისა და სოფლის ცხოვრების, აგრეთვე საქართველოს ისტორიული წარსულის რეალისტური სურათები დახატეს თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში მწერლებმა ვ. ბარნოვმა, შ. არაგვისპირელმა (დედაბრიშვილმა), ლალიონმა (არსენ მამულაიშვილმა), ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ, დუტუ მეგრელმა (დიმიტრი ხოშტარიამ), საბავშვო მწერალმა შიო მღვიმელმა და სხვებმა, რომლებმაც 90-იან წლებში დაიწყეს თავიანთი შემოქმედებითი გზა.

XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ რა გზით შეიძლებოდა ხალხისათვის ბედნიერების მოპოვება: მათი მსოფლმხედველობა ისტორიულად შეზღუდული იყო. ამით აიხსნება, რომ მათ ნაწერებში ვხვდებით იდეურ შეცდომებსა და ამა თუ იმ ნაკლოვანებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმდროინდელმა ქართულმა ლიტერატურამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ეს იყო რეალისტური და დემოკრატიული ლიტერატურა, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურებოდა.

თეატრი

ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქართული თეატრი აღდგენილ იქნა 1850 წელს, დრამატურგ გიორგი ერისთავის თაოსნობით. ეს თეატრი თავიდანვე რეალისტური ხელოვნების გზას გაჰყვა. მის სცენაზე იდგმებოდა გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის შესანიშნავი პიესები, უმთავრესად კომედიები, რომლებშიც ავტორები სატირის შოლტით ამათრახებდნენ გადაგვარებულ თავადაზნაურობას, ვაჭარ-მევახშეებს, მეფის მოხელეებს.

მუდმივი თეატრის აღდგენა დიდი კულტურული მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ ახლად აღდგენილ თეატრს უაღრესად ძნელ პირობებში უხდებოდა არსებობა და განვითარება. მეფის მოხელეები ყოველნაირად დევნიდნენ და ავიწროებდნენ ქართულ თეატრს: წაართვეს მას შენობა, სასტიკი ცენზურა დაუწესეს რეპერტუარზე და ა. შ. ყოველივე ამის გამო 1856 წელს გ. ერისთავის თეატრის დასი დაიშალა. მას შემდეგ 70-იანი წლების ბოლომდე მუდმივი დასი აღარ ყოფილა და ქართული თეატრი მხოლოდ სცენისმოყვარეთა ძალებით ახერხებდა არსებობის შენარჩუნებას.

ქართული სათეატრო ხელოვნების განვითარების ახალი, მეტად ნაყოფიერი საფეხური იწყება 1879 წლიდან, როდესაც თბილისში, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ხელმძღვანელობით, მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა მოახერხა პროფესიული დრამატული თეატრის ხელახლა აღდგენა. ერთი წლის შემდეგ დრამატიული თეატრი დაარსდა აგრეთვე ქუთაისში. იმ დროს ქართულ თეატრში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები: ვასო აბაშიძე (1854—1926), ლადო მესხიშვილი (1857—1930), ნატო გაბუნია (1859—1910), მაკო საფაროვა-აბაშიძისა (1860—1940), კოტე ყიფიანი (1849—1921), კოტე მესხი (1859—1914), ვალერიან გუნია (1862—1938). ესენი იყვნენ ქართული სცენის უნიჭიერესი ოსტატები, რომლებმაც თეატრალური ხელოვნება მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს.

80—90-იანი წლების რეაქციის დროს ქართულმა თეატრმა უდიდესი პროგრესული როლი ითამაშა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. თეატრის სცენაზე იდგმებოდა ორიგინალური და ნათარგმნი რეალისტური პიესები ისეთი გამოჩენილი ავტორებისა, როგორიც იყვნენ: გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. გრიბოედოვი, ნ. გოგოლი, ა. ოსტროვსკი, უ. შექსპირი, ფ. შილერი და სხვები. თეატრის წარმატებაა ხელს უწყობდა მისი მჭიდრო კავშირი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან, რის შედეგადაც ქართული თეატრის სცენა განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდის ტრიბუნად გადაიქცა. მაყურებელთა შორის განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა შესანიშნავი პატრიოტული პიესები — დ. ერისთავის „სამშობლო“ და ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებოდნენ ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების იდეებს.

ქართული თეატრი და მისი მოღვაწენი უაღრესად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი რუსული თეატრის, კერძოდ მოსკოვის სახელგანთქმული მცირე თეატრის. მოწინავე მოღვაწეებთან და ყოველთვის სარგებლობდნენ მათი დახმარებითა და მხარდაჭერით. ბევრმა ქართველმა თეატრალურმა მოღვაწემ განათლება რუსეთში მიიღო და მოწინავე რუსული ხელოვნების უშუალო გავლენა განიცადა. ქართული თეატრის კავშირს რუსეთის თეატრებთან დიდად შეუწყო ხელი ნიჭიერი დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობის ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ მოსკოვის მცირე თეატრში.

სახვითი ხელოვნება

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შეიქმნა ახალი, ღრმად ეროვნული სახვითი ხელოვნება, რომელიც წარმოადგენდა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ საფეხურს. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატება დაეტყო ფერწერას. ქართველმა მხატვრებმა, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და თავიანთ შემოქმედებაში ხალხურობის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, შექმნეს მრავალი შესანიშნავი, ხალხის ცხოვრების რეალისტურად ამსახველი ტილო.

60—70-იან წლებში ნაყოფიერად მუშაობდა მხცოვანი მხატვარი გრიგოლ მაისურაძე (1814—1885), რომლის შემოქმედებაში სულ უფრო და უფრო იჩენ-

და თავს დემოკრატიულ-რეალისტური ხელოვნების სულისკვეთება. გ. მაი-სურაძე პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილი ყმა იყო. ის ჯერ კიდევ 1837—1844 წწ. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. მან მრავალი საუკეთესო პორტრეტი შექმნა და საგრძნობლად წასწია წინ ქართული პორტრეტული მხატვრობა. 60-იან წლებში დაიწყო მუშაობა ნიჭიერმა თვითნასწავლმა მხატვარმა-გრავიორმა გრიგოლ ტატიშვილმა (1838—1911), რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული ბეჭდვითი გრაფიკული ხელოვნების გრავიურის განვითარებაში.

ახალი ქართული სახვითი ხელოვნება განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა 80-იანი წლების დასაწყისიდან. ამ დროს შემოქმედებით სარბიელზე გამოვიდნენ შესანიშნავი მხატვრები რომანოზ გველესიანი (1859—1884) და ალექსანდრე ბერიძე (1858—1917), რომლებმაც საგრძნობლად გააღრმავეს და გააფართოვეს ქართული ფერწერის რეალისტური ტრადიციები. რ. გველესიანი და ა. ბერიძე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდნენ. არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა რ. გველესიანმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შექმნა საინტერესო რეალისტური ნაწარმოებები: „ქახელი დოქით", „უცნობის პორტრეტი", „ქართველი მანდილოსანი", „ალავერდის ხიდი", „მოედანი" და სხვ. ა. ბერიძის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთაგან საუკეთესოა: „მწყემსი", „სალამურზე დამკვრელი ბიჭი", „მოხუცი ქალი აივანზე", „პატარა გოგონა წინდას ქსოვს" და სხვ. ა. ბერიძემ დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარებაში.

ახალი ქართული რეალისტური ფერწერის ნამდვილი ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელი იყო გამოჩენილი მხატვარი გიგო გაბაშვილი (1862—1936), რომელმაც მრავალი ბრწყინვალე მხატვრული ტილო შექმნა. გ. გაბაშვილი ახალგაზრდობიდანვე გატაცებული იყო მხატვრობით. 1886—1888 წლებში გ. გაბაშვილი სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. აქ ის გულმოდგინედ დაეწაფა მოწინავე რუსული სახვითი ხელოვნების შესწავლას და განსაკუთრებით გატაცებული იყო დიდი რუსი მხატვრის ი. რეპინის შემოქმედებით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გ. გაბაშვილმა მოაწყო თავის ნაწარმოებთა გამოფენა (1891 წ.), რომელზედაც 70-მდე სურათი წარმოადგინა. ამ გამოფენამ გ. გაბაშვილს შესანიშნავი რეალისტი მხატვრის სახელი დაუმკვიდრა. 1894 წელს გ. გაბაშვილმა იმოგზაურა შუა აზიაში და მრავალი კოლორიტული სურათი შექმნა სამარყანდისა და ბუხარის ცხოვრებიდან. იმავე წელს ის გაემგზავრა ევროპაში სწავლის გასაღრმავებლად, წარმატებით დაამთავრა მიუნხენის სამხატვრო აკადემია (1897 წ.), იმოგზაურა იტალიასა და საბერძნეთში.

გ. გაბაშვილმა ორი ათასზე მეტი სურათი დაგვიტოვა. მათი უდიდესი უმრავლესობა ასახავს ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს და საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას. ღრმა იდეურ-მხატვრული ჩანფიქრითა და შესრულების ოსტატობით განსაკუთრებით გამოირჩევა: „სამი მოქალაქე", „მძინარე ხევსური", „მთვრალი ხევსური", „ბაზარი სამარყანდში", „ალავერდობა", „ტივებზე", „მუსიკოს დე როზას პორტრეტი", „უცნობი ქართველი თა-

ქართული სათეატრო ხელოვნების განვითარების ახალი, მეტად ნაყოფიერი საფეხური იწყება 1879 წლიდან, როდესაც თბილისში, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ხელმძღვანელობით, მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა მოახერხა პროფესიული დრამატული თეატრის ხელახლა აღდგენა. ერთი წლის შემდეგ დრამატიული თეატრი დაარსდა აგრეთვე ქუთაისში. იმ დროს ქართულ თეატრში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები: ვასო აბაშიძე (1854—1926), ლადო მესხიშვილი (1857—1930), ნატო გაბუნია (1859—1910), მაკო საფაროვა-აბაშიძისა (1860—1940), კოტე ყიფიანი (1849—1921), კოტე მესხი (1859—1914), ვალერიან გუნია (1862—1938). ესენი იყვნენ ქართული სცენის უნიჭიერესი ოსტატები, რომლებმაც თეატრალური ხელოვნება მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს.

80—90-იანი წლების რეაქციის დროს ქართულმა თეატრმა უდიდესი პროგრესული როლი ითამაშა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. თეატრის სცენაზე იდგმებოდა ორიგინალური და ნათარგმნი რეალისტური პიესები ისეთი გამოჩენილი ავტორებისა, როგორიც იყვნენ: გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. გრიბოედოვი, ნ. გოგოლი, ა. ოსტროვსკი, უ. შექსპირი, ფ. შილერი და სხვები. თეატრის წარმატებაა ხელს უწყობდა მისი მჭიდრო კავშირი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან, რის შედეგადაც ქართული თეატრის სცენა განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდის ტრიბუნად გადაიქცა. მაყურებელთა შორის განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა შესანიშნავი პატრიოტული პიესები — დ. ერისთავის „სამშობლო“ და ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი“, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებოდნენ ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების იდეებს.

ქართული თეატრი და მისი მოღვაწენი უაღრესად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი რუსული თეატრის, კერძოდ მოსკოვის სახელგანთქმული მცირე თეატრის, მოწინავე მოღვაწეებთან და ყოველთვის სარგებლობდნენ მათი დახმარებითა და მხარდაჭერით. ბევრმა ქართველმა თეატრალურმა მოღვაწემ განათლება რუსეთში მიიღო და მოწინავე რუსული ხელოვნების უშუალო გავლენა განიცადა. ქართული თეატრის კავშირს რუსეთის თეატრებთან დიდად შეუწყო ხელი ნიჭიერი დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობის ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ მოსკოვის მცირე თეატრში.

სახვითი ხელოვნება

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შეიქმნა ახალი, ღრმად ეროვნული სახვითი ხელოვნება, რომელიც წარმოადგენდა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ საფეხურს. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატება დაეტყო ფერწერას. ქართველმა მხატვრებმა, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და თავიანთ შემოქმედებაში ხალხურობის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, შექმნეს მრავალი შესანიშნავი, ხალხის ცხოვრების რეალისტურად ამსახველი ტილო.

60—70-იან წლებში ნაყოფიერად მუშაობდა მხცოვანი მხატვარი გრიგოლ მაისურაძე (1814—1885), რომლის შემოქმედებაში სულ უფრო და უფრო იჩენ-

და თავს დემოკრატიულ-რეალისტური ხელოვნების სულისკვეთება. გ. მაისურაძე პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილი ყმა იყო. ის ჯერ კიდევ 1837—1844 წწ. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. მან მრავალი საუკეთესო პორტრეტი შექმნა და საგრძნობლად წასწია წინ ქართული პორტრეტული მხატვრობა. 60-იან წლებში დაიწყო მუშაობა ნიჭიერმა თვითნასწავლმა მხატვარმა-გრავიორმა გრიგოლ ტატიშვილმა (1838—1911), რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული ბეჭდვითი გრაფიკული ხელოვნების, გრავიურის განვითარებაში.

ახალი ქართული სახვითი ხელოვნება განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა 80-იანი წლების დასაწყისიდან. ამ დროს შემოქმედებით სარბიელზე გამოვიდნენ შესანიშნავი მხატვრები რომანოზ გველესიანი (1859—1884) და ალექსანდრე ბერიძე (1858—1917), რომლებმაც საგრძნობლად გააღრმავეს და გაფართოვეს ქართული ფერწერის რეალისტური ტრადიციები. რ. გველესიანი და ა. ბერიძე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდნენ. არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა რ. გველესიანმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შექმნა საინტერესო რეალისტური ნაწარმოებები: „კახელი დოქით", „უცნობის პორტრეტი", „ქართველი მანდილოსანი", „ალავერდის ხიდი", „მოედანი" და სხვ. ა. ბერიძის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთაგან საუკეთესოა: „მწყემსი", „სალამურზე დამკვრელი ბიჭი", „მოხუცი ქალი ივანზე", „პატარა გოგონა წინდას ქსოვს" და სხვ. ა. ბერიძემ დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარებაში.

ახალი ქართული რეალისტური ფერწერის ნამდვილი ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელი იყო გამოჩენილი მხატვარი გიგო გაბაშვილი (1862—1936), რომელმაც მრავალი ბრწყინვალე მხატვრული ტილო შექმნა. გ. გაბაშვილი ახალგაზრდობიდანვე გატაცებული იყო მხატვრობით. 1886—1888 წლებში გ. გაბაშვილი სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. აქ ის გულმოდგინედ დაეწაფა მოწინავე რუსული სახვითი ხელოვნების შესწავლას და განსაკუთრებით გატაცებული იყო დიდი რუსი მხატვრის ი. რეპინის შემოქმედებით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გ. გაბაშვილმა მოაწყო თავის ნაწარმოებთა გამოფენა (1891 წ.), რომელზედაც 70-მდე სურათი წარმოადგინა. ამ გამოფენამ გ. გაბაშვილს შესანიშნავი რეალისტი მხატვრის სახელი დაუმკვიდრა. 1894 წელს გ. გაბაშვილმა იმოგზაურა შუა აზიაში და მრავალი კოლორიტული სურათი შექმნა სამარყანდისა და ბუხარის ცხოვრებიდან. იმავე წელს ის გაემგზავრა ევროპაში სწავლის გასაღრმავებლად, წარმატებით დაამთავრა მიუნხენის სამხატვრო აკადემია (1897 წ.), იმოგზაურა იტალიასა და საბერძნეთში.

გ. გაბაშვილმა ორი ათასზე მეტი სურათი დაგვიტოვა. მათი უდიდესი უმრავლესობა ასახავს ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს და საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას. ღრმა იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრითა და შესრულების ოსტატობით განსაკუთრებით გამოირჩევა: „სამი მოქალაქე", „მძინარე ხევსური", „მთვრალი ხევსური", „ბაზარი სამარყანდში", „ალავერდობა", „ტივებზე", „მუსიკოს დე როზას პორტრეტი", „უცნობი ქართველი თა-

ვადის პორტრეტი", „განთიადზე ს.ასაფლაოს ეკლესიასთან", „ჭიდაობა" და მრავალი სხვა.

ახალი ქართული ფერწერის გამოჩენილი წარმომადგენელია აგრეთვე ალექსანდრე მრევლიშვილი (1866—1933), რომლის შემოქმედება 90-იან წლებში გაიფურჩქნა. ალ. მრევლიშვილმა 1890 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი. შემდეგ იგი სწავლობდა პარიზში, მოგზაურობდა იტალიასა და გერმანიაში. ა. მრევლიშვილი დიდხანს ცხოვრობდა გლეხებს შორის თავის სამშობლო მცხეთაში და თვითონაც ეწეოდა სოფლის მეურნეობას. მან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა ღარიბი გლეხობის ცხოვრება. ა. მრევლიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა რევოლუციურ-დემოკრატიული ხელოვნების სულისკვეთება. მხატვარმა მთელი თავისი შემოქმედება ღარიბი და დაჩაგრული ხალხის ცხოვრების რეალისტურ ასახვას მიუძღვნა. ა. მრევლიშვილმა შექმნა ღრმად იდეური და დიდად მხატვრული სურათები: „დაბალი ღობე", „სოფლის კანცელარიის წინ", „დრამის აკრეფა", „ჯვარედინ გზაზე", „სოფლელი ბიჭი და მდიდარი ქალები" და სხვები.

90-იან წლებში დაიწყეს თავიანთი შემოქმედებითი გზა აგრეთვე ღარიბი ხალხის წრიდან გამოსულმა დიდად ნიჭიერმა მხატვრებმა ანტონ გოგიაშვილმა (1878—1907) და მოსე თოიძემ (1871—1954), რომელთა მრავალრიცხოვანი სურათები ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენდნენ.

90-იანი წლების ბოლოს იწყებს მოღვაწეობას გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე (1876—1951), რომელიც ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელია. მისი პირველი მნიშვნელოვანი ქანდაკება „შოთა რუსთაველი" გამოფენილ იქნა 1897 წელს. შემდგომ ი. ნიკოლაძემ შექმნა მრავალი შესანიშნავი რეალისტური ნაწარმოები.

ახალი ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებას ხელი შეუწყო მისმა სიახლოვემ მოწინავე რუსულ ხელოვნებასთან. ქართველი მხატვრები რუსული რეალისტური მხატვრობის დიდ გავლენას განიცდიდნენ და სწავლობდნენ ისეთი სახელოვანი ოსტატებისაგან. როგორიც იყვნენ ი. რეპინი, ი. კრამსკოი, ვ. სურიკოვი, ვ. პეროვი, ი. ლევიტანი და სხვები. რუსი მხატვრები ხშირად ჩამოდიოდნენ და მოღვაწეობდნენ საქართველოში, აარსებდნენ აქ სამხატვრო სკოლებს, ეხმარებოდნენ ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს ფერწერის ოსტატობის ათვისებაში.

ქართული მუსიკა

ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის განძილზე შექმნა უაღრესად მდიდარი, მრავალფეროვანი და ლამაზი მუსიკა, რომელშიც ასახულია ხალხის ფიქრი და გრძნობა, განცდა და მისწრაფება. ქართული ხალხური მუსიკა სრულიად ორიგინალური და თავისთავადია. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა მრავალხმიანობა (ხალხური სიმღერა ძირითადად სამხმიანია). თუ წინათ ფეოდალიზმის ხანაში ქართული პროფესიული მუსიკა უმთავრესად ეკლესიის ხელში იყო და მის ინტერესებს ემსახურებოდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაეყარა ახალ, საერო პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებას, რომელიც იზრდე-

ბოდა და ვითარდებოდა ხალხური მუსიკის საფუძველზე, რუსეთისა და ევროპის განვითარებული მუსიკალური კულტურის ყველა მიღწევის ფართო გამოყენებით.

საქართველოს მუსიკალური ცხოვრება საგრძნობლად გამოცოცხლდა უკვე 50—60-იან წლებში. 1851 წელს თბილისში მოწვეულ იქნა იტალიური დასი და გაიხსნა საოპერო თეატრი, რამაც ხელი შეუწყო მუსიკალური კულტურის ზრდა-განვითარებას. იმავე დროს გაძლიერდა ინტერესი ქართული ხალხური მუსიკისადმი. გამოჩნდნენ განათლებული ქართველი პროფესიონალი მუსიკოსები, რომლებმაც შეამზადეს ნიადაგი ახალი ეროვნული მუსიკალური ხელოვნების შესაქმნელად.

ახალი ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი პირველი გამოჩენილი მოღვაწე იყო ნიჭიერი მომღერალი ხარლამპი სავანელი (1845—1890). რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან. ხ. სავანელი გენიალურ რუს კომპოზიტორ პ. ჩაიკოვსკისთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის კონსერვატორიაში, მისი დამთავრების შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა და გატაცებით შეუდგა ქართული საერო პროფესიული მუსიკის აღორძინების საქმეს. 1873 წელს მან დააარსა საგუნდო კურსები, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და იქცა მუსიკალურ კურსებად, ხოლო 1885 წელს გადაკეთდა პირველ ქართულ მუსიკალურ სასწავლებლად, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა შემდეგ საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორია.

ხ. სავანელთან ერთად 60—80-იან წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა და მუსიკალური კურსების დაარსებაშიც აქტიურად მონაწილეობდა შესანიშნავი ქართველი პიანისტი და კომპოზიტორი ალიოზ მიზანდარი (1838 1912). ა. მიზანდარი ჯერ პეტერბურგში სწავლობდა, შემდეგ რამდენსამე წელს პარიზსა და ვენაში მოღვაწეობდა, 1868 წლიდან კი თბილისში დასახლდა და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა ხალხში პროფესიული მუსიკალური განათლების გავრცელების საქმეს.

80-იან წლებში ქართული მუსიკის წარმატების მოღვაწეთა წრე მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1885 წელს ლადო აღნიაშვილმა (1860—1904) დააარსა ქართული ხალხური სიმღერების გუნდი, რომლის ხელმძღვანელად მიიწვია ჩეხი მუსიკოსი ი. რატილი. გუნდი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, აწყობდა ეთნოგრაფიულ კონცერტებს, ეწეოდა ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდას. იმავე ხანებში სამოღვაწეო სარბიელზე გამოვიდა შესანიშნავი მუსიკოსებისა და კომპოზიტორების მთელი ჯგუფი, რომელთაგან ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი შეასრულეს: ფილიმონ ქორიძემ (1830—1911), მელიტონ ბალანჩივაძემ (1862—1937), ილია კარგარეთელმა (1867—1939), ანდრია ყარაშვილმა (1857 — 1925), ზაქარია ჩხიკვაძემ (1862 — 1930), ანდრია ბენაშვილმა (1850—1908) და სხვებმა. ისინი სიყვარულით აგროვებდნენ ხალხურ სიმღერებს, ეწეოდნენ ქართული მუსიკის პროპაგანდას, ამზადებდნენ და ზრდიდნენ მუსიკოსთა ახალ კადრებს. მათვე გადადგეს პირველი სერიოზული ნაბიჯები კომპოზიციის (მუსიკის შეთხზვის) დარგში.

იმდროინდელი ჩვენი მუსიკის მოღვაწეები იბრძოდნენ ახალი, რეალისტური და დემოკრატიული ქართული მუსიკალური კულტურისათვის. ამ ბრძოლაში მათ დიდ დახმარებას უწევდნენ რუსეთის მუსიკალური საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლები. რუსეთის გამოჩენილი კომპოზიტორები დიდად აფასებდნენ ქართულ ხალხურ მუსიკას. ბევრი მათგანი (მაგალითად, მ. გლინკა, მ. ბალაკირევი, ა. რუბინშტეინი, პ. ჩაიკოვსკი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი და სხვები) საგანგებოდ სწავლობდა და შემდეგ თავის ნაწარმოებებში იყენებდა ქართული ხალხური მუსიკის ჰანგებს. განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწია ქართველ მუსიკოსებს რუსეთის გამოჩენილმა კომპოზიტორმა მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვმა (1859—1935), რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკალური კულტურის აღორძინების საქმეში.

80—90-იან წლებში ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარება საგრძნობლად დაწინაურდა. შეიქმნა და ფართოდ გავრცელდა ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, მომწიფდა პირობები საოპერო ხელოვნების განვითარებისათვის. 1897 წელს პეტერბურგში დაიდგა ნაწყვეტები მ. ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცბიერი". ეს იყო ქართული ოპერის შექმნის პირველი ცდა. მ. ბალანჩივაძის მიერ დაწყებული გზა განაგრძეს ზაქარია ფალიაშვილმა (1872—1933) და დიმიტრი არაყიშვილმა (1873—1953), რომლებიც შემოქმედებით სარბიელზე გამოვიდნენ XX საუკუნის დასაწყისში.

ქართული მუსიკალური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული, ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. მისმა უკვდავმა ოპერებმა („აბესალომ და ეთერი", „დაისი") ქართული პროფესიული მუსიკა გაუთანაბრეს რუსეთისა და ევროპის საოპერო ხელოვნების მწვერვალებს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
შესავალი	5
§ 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	5
§ 2. ქართველი ხალხი და მისი ჩამოყალიბების პროცესი	5
პირველყოფილ-თემური წყობილება	
თ ა ვ ი I. საქართველოს მოსახლეობა პირველყოფილ-თემური წყობილების ადრეულ საფეხურზე	9
§ 1. წინაგვაროვნული საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე	9
§ 2. გვაროვნული საზოგადოება საქართველოს ტერიტორიაზე. მატრიარქატის ხანა	10
§ 3. მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლის ხანა. ენეოლითური კულტურა საქართველოში	14
§ 4. უძველესი რელიგიური წარმოდგენები. ხელოვნების ჩანასახები	15
§ 5. პატრიარქატის განმტკიცების ხანა. ბრინჯაოს მეტალურგიის საწყისი ეტაპები	16
თ ა ვ ი II. პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა საქართველოს მოსახლეობაში	18
§ 1. ქართველი და მათი მეზობელი ტომები ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში	18
§ 2. პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევა საქართველოს მოსახლეობაში	22
§ 3. საქართველოს მეზობელი ქვეყნები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში	25
§ 4. ქართველი ტომების მეცირეაზიური გაერთიანებანი	28
§ 5. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა დიდი გაერთიანებანი—დიაუხი, კულხა, სასპერები	29
§ 6. ხელოვნების განვითარება ბრინჯაოს მეტალურგიის ხანაში. ცვლილება რელიგიურ წარმოდგენებში	35
მონათმფლობელური ხანა	
თ ა ვ ი III. პირველ სახელმწიფოთა წარმოქმნა აწინდელი საქართველოს ტერიტორიაზე	39
§ 1. დასავლეთი საქართველო კოლხეთის სამეფოს არსებობის ხანაში (ძვ. წ. VI—III სს.)	39
§ 2. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა	45
§ 3. დასავლურ-ქართულ და აღმოსავლურ-ქართულ ეროვნებათა ჩამოყალიბება. ერთიანი ქართული ეროვნების ჩამოყალიბების დასაწყისი	51
თ ა ვ ი IV. მონათმფლობელური ხანის საქართველო ელინისტური სამეფოებისა და რომის იმპერიის გარემოცვაში	53
§ 1. ვითარება იბერიის მეზობელ ქვეყნებში	53
§ 2. იბერიის სამეფო ძვ. წ. II—I სს-ში	56
§ 3. რომაელთა პირველი ლაშქრობა საქართველოში	59
§ 4. კოლხეთის სამეფო ძვ. წ. III—I სს-ში	60
§ 5. იბერიის სახელმწიფოს გაძლიერება (ახ. წ. I—III სს.)	62
§ 6. სოციალ-ეკონომიური ვითარება მონათმფლობელურ იბერიაში	65
§ 7. კულტურული ვითარება მონათმფლობელურ საქართველოში	71

	83
თ ა ვ ი V. ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა საქართველოში (IV—VI სს.)	76
§ 1. ცვლილება ეკონომიურსა და სოციალურ ცხოვრებაში	76
§ 2. ცვლილება პოლიტიკურსა და კულტურულ ვითარებაში	77
§ 3. ძველი ქართული წარმართული სარწმუნოება	78
§ 4. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება იბერიაში	79
§ 5. ქართლი IV—V საუკუნეებში	81
§ 6. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V ს. მეორე ნახევარში	83
§ 7. ეგრისის (ლაზიკის) სამეფო II—VI სს-ში	88
§ 8. ლაზიკის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის VI საუკუნეში	90

ადრეფეოდალური ხანა

თ ა ვ ი VI. ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საქართველოში	97
§ 1. ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობა	97
§ 2. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის	100
§ 3. კულტურა და იდეოლოგია V—VI საუკუნეებში	101
თ ა ვ ი VII. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ VII—VIII სს	105
§ 1. საქართველოს მეზობელი ქვეყნები VII საუკუნეში	105
§ 2. საქართველო VII ს. პირველ ნახევარში	106
§ 3. არაბების შემოსვლა საქართველოში	107
§ 4. არაბთა ბატონობა ქართლში	110
თ ა ვ ი VIII. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის	115
§ 1. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა საქართველოში	115
§ 2. სახოგადოებრივი კლასები და მათი ბრძოლა VII—IX საუკუნეებში	119
§ 3. სამთავროების გაერთიანების აუცილებლობა	121
§ 4. სამთავროების ბრძოლა პირველობისათვის	125
§ 5. კულტურული ვითარება VIII—X საუკუნეებში	128

განვითარებული ფეოდალიზმის ხანა

თ ა ვ ი IX. ქართული მიწა-წყლის პოლიტიკური გაერთიანება	131
§ 1. ცვლილება სოციალურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში	131
§ 2. ცვლილებები პოლიტიკურ წყობაში	133
§ 3. ბრძოლა ბიზანტიასთან	136
§ 4. ბრძოლა ქვეყნის გაერთიანება-შემომტკიცებისათვის XI ს. მეორე ნახევარში	139
§ 5. თურქების შემოსევა	142
§ 6. საქართველოს კულტურული ვითარება XI საუკუნეში	144
§ 7. დავით IV აღმაშენებელი	147
თ ა ვ ი X. საქართველოს ეკონომიური და სოციალური ვითარება XI—XII საუკუნეებში	161
§ 1. საქართველოს ეკონომიური ვითარება XI—XII საუკუნეებში	161
§ 2. სოციალური ურთიერთობა და კლასთა ბრძოლა XI—XII საუკუნეებში	165
თ ა ვ ი XI. საქართველოს საშინაო პოლიტიკური და საგარეო ურთიერთობა XII საუკუნესა და XIII ს. დასაწყისში	172
§ 1. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედში	172
§ 2. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე ნახევარში	174
§ 3. საგარეო პოლიტიკური ურთიერთობა XII ს. მიწურულს და XIII ს. დასაწყისში	183
თ ა ვ ი XII. სახელმწიფოებრივი წყობილება და კულტურული ვითარება XII—XIII საუკუნეებში	188
§ 1. სახელმწიფოებრივი წყობილება	188
§ 2. კულტურა	193

ᲒᲕᲘᲐᲜᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲐᲜᲐ

ᲗᲐᲕᲘ XIII. ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლთა მფლობელობის წინააღმდეგ . . 197
§ 1. საქართველოს საშინაო ვითარება XII—XIII სს. მიჯნაზე 197
§ 2. ბრძოლა ხვარაზმელების წინააღმდეგ 199
§ 3. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ 202
§ 4. საქართველო მონღოლთა უღელ ქვეშ 208
§ 5. საქართველოს პოლიტიკური წყობა მონღოლთა მფლობელობის დროს . . . 216
§ 6. საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის პოლიტიკური მდგომარეობა XIII ს. 70-იან წლებიდან XIV ს. 10-იან წლებამდე 219
§ 7. საქართველო XIV ს. პირველ ნახევარში 223
ᲗᲐᲕᲘ XIV. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლა 230
§ 1. თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში 230
§ 2. საქართველო XV ს. პირველ ნახევარში 234
§ 3. საქართველოს დაშლა სამეფოებად და სამთავროებად 239
ᲗᲐᲕᲘ XV. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XVI—XVII სს 246
§ 1. სოფლის მეურნეობა 246
§ 2. შინამრეწველობა და ხელოსნობა 252
§ 3. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება 253
ᲗᲐᲕᲘ XVI. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა XVI—XVII სს . . 257
§ 1. გლეხობა, მისი კატეგორიები და ვალდებულება. გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმები 257
§ 2. სოციალური ურთიერთობა ქალაქებში 267
§ 3. გაბატონებული კლასი 270
ᲗᲐᲕᲘ XVII. საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება XVI—XVII საუკუნეებში 273
§ 1. საქართველოს საშინაო ვითარება XVI საუკუნეში 273
§ 2. სამეფო-სამთავროთა საგარეო ურთიერთობა 277
§ 3. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVII საუკუნეში . . . 289
ᲗᲐᲕᲘ XVIII. კულტურა XVI—XVII საუკუნეებში 299
§ 1. განათლება და მეცნიერება 299
§ 2. ლიტერატურა და ხელოვნება 301
ᲗᲐᲕᲘ XIX. საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში 306
§ 1. საქართველოს ეკონომიური ვითარება XVIII ს. პირველ მეოთხედში . . . 306
§ 2. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVIII ს. პირველ ნახევარში . . 308
§ 3. რუსეთთან ურთიერთობის გამოცოცხლება 313
§ 4. ოსმალობა-ყიზილბაშობა და მისი გავლენა აღმოსავლეთ საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაზე 316
§ 5. კულტურა XVIII ს. პირველ ნახევარში 318
ᲗᲐᲕᲘ XX. საქართველოს ეკონომიური და სოციალური ვითარება XVIII ს. მეორე ნახევარში 321
§ 1. საქართველოს ეკონომიური ვითარება 321
§ 2. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა 328
ᲗᲐᲕᲘ XXI. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVIII ს. მეორე ნახევარში . . . 335
§ 1. ბრძოლა პირველობისათვის ამიერკავკასიაში 335
§ 2. დაღისტნელ ფეოდალთა თავდასხმები XVIII ს. მეორე ნახევარში და ბრძოლა მათ წინააღმდეგ 337
§ 3. რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცება . 340
§ 4. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ბრძოლა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის 341
§ 5. იმერეთის სამეფო XVIII ს. მეორე ნახევარში 343
§ 6. რუსეთ-ოსმალეთის ომი და საქართველო 346

		გვ.
თ ა ვ ი	XXII. ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი წყობილება XVIII ს. მეორე ნახევარში	350
	§ 1. ხელისუფლების ორგანოები	350
	§ 2. პროექტები სახელმწიფოებრივი წყობის შესაცვლელად	353
თ ა ვ ი	XXIII. საქართველოს რუსეთთან შეერთება	355
	§ 1. 1783 წ. ხელშეკრულება	355
	§ 2. ტრაქტატიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე	358
	§ 3. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება	364
თ ა ვ ი	XXIV. კულტურა XVIII ს. მეორე ნახევარში	370
	§ 1. ქართული საზოგადოებრიობა XVIII ს. მეორე ნახევარში	370
	§ 2. ქართული მეცნიერებისა და კულტურის სხვა წარმომადგენლები	373
	§ 3. ქართული სკოლები, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა, სტამბა	376
	§ 4. ლიტერატურა და ხელოვნება	378

ფეოდალური ურთიერთობის რღვევა

თ ა ვ ი	XXV. ბატონყმური საქართველო XIX ს. I მესამედში	383
	§ 1. მეფის რუსეთის პოლიტიკა ქართლ-კახეთში XIX ს. დამდეგს და ქართველი საზოგადოება	383
	§ 2. საქართველოს გაერთიანება რუსეთის მფლობელობაში. ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ	390
	§ 3. საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის შემოერთება 1828—1830 წლებში	402
	§ 4. ცვლილება ბატონყმურ მეურნეობასა და საზოგადოებაში XIX ს. I მესამედში	405
	§ 5. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XIX ს. 20—30-იან წლებში	415
თ ა ვ ი	XXVI. ბატონყმური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალიზმის საწყისების განვითარება XIX ს. 30—50-იან წლებში	421
	§ 1. მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX ს. 30—40-იან წლებში	421
	§ 2. ქართველი ხალხი ოსმალო დამპყრობლებისა და მიურიდების წინააღმდეგ ბრძოლაში	427
	§ 3. ფეოდალიზმის რღვევა XIX ს. 30—50-იან წლებში	432
	§ 4. ბრძოლა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ	440
თ ა ვ ი	XXVII. საქართველოს კულტურა XIX ს. I ნახევარში	448
	§ 1. განათლება, ლიტერატურა, მეცნიერება და ხელოვნება	448
	§ 2. კულტურული ურთიერთობა რუს, უკრაინელ და მეზობელ ხალხებთან	455

ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვების ხანა

თ ა ვ ი	XXVIII. ბურჟუაზიული რეფორმები საქართველოში	461
	§ 1. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება საგლეხო რეფორმის წინ	461
	§ 2. საგლეხო რეფორმის მომზადება. ბატონყმობის გაუქმება	466
	§ 3. ცვლილება სოფლის მმართველობაში. საქალაქო და სასამართლო რეფორმები	473
თ ა ვ ი	XXIX. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში	478
	§ 1. კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში	478
	§ 2. კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში	489
	§ 3. რუსეთ-თურქეთის ომი 1877—1878 წლებში და ქართველი ხალხის ბრძოლა თურქეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის განსათავისუფლებლად	499
თ ა ვ ი	XXX. ქართველი ერის ჩამოყალიბება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება. თერგდალეულთა მოღვაწეობა	505
	§ 1. ქართველი ერის ჩამოყალიბება	505
	§ 2. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა	510

		გვ.
	§ 3. ქართველი სამოციანელების ანუ თერგდალეულების მოღვაწეობა	514
თ ა ვ ი	XXXI. აგრარული საკითხი საქართველოში რეფორმის შემდგომ ხანაში. ქართველი ხალხოსნები	522
	§ 1. მიწათმფლობელობა საქართველოში რეფორმის შემდეგ და გლეხთა აგრარული მოძრაობა	522
	§ 2. ხალხოსნები 80—90-იან წლებში	529
თ ა ვ ი	XXXII. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებანი 80—90-იან წლებში. რეაქციის გაძლიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა	530
	§ 1. თერგდალეულთა ჯგუფის დაშლა. ახალი დემოკრატიული მიმართულებანი. ბრძოლა სოციალურ-ეკონომიური პროგრესისათვის	530
	§ 2. ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის გაძლიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 80-90-იან წლებში	538
თ ა ვ ი	XXXIII. საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბება და მუშათა მოძრაობის დასაწყისი. მარქსიზმის გავრცელება საქართველოში	545
	§ 1. პროლეტარიატის გაჩენა და მუშათა სტიქიური მოძრაობა 70—90-იან წლებში	545
	§ 2. რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და მუშათა კლასის იდეოლოგიის, მარქსიზმის გავრცელება	551
თ ა ვ ი	XXXIV. ქართული კულტურა XIX საუკუნის მეორე ნახევარში	563
	§ 1. მეცნიერება. განათლება. პრესა	563
	§ 2. ლიტერატურა და ხელოვნება	573

გამომცემლობის რედაქტორი ო. გიორგაძე
ტექნიკური რედაქტორები ნ. ჯაფარიძე, გ. ითანიძე
კორექტორი ა. გოგეშვილი

გადაეცა წარმოებას 15/X-55; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/III-56 წ.; ანაწყობის ზომა 7×11; ქაღალდის ზომა 70×108/16, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 50,35.
შეკვ. № 1340, უე 01081, ტირაჟი 500. უფასო

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат „Комунисти“, г. Тбилиси, ул. Ленина № 14.